

# ქართული სამართლის ძეგლები

ტომი II

საერო საკანონმდებლო ძეგლები  
(X – XIX სს.)

ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო  
პროფ. ი. დოლიძემ

გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1965

34 (C 41) (09)  
34 (47.922) (09)  
j 279

## წინასიტყვა

ქართული სამართლის ძეგლების I ტომში, როგორც მკითხველმა იცის, დაიბეჭდა ვასტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, რომელიც შეიცავს ქართული და ქართულად თარგმნილი უცხოური სამართლის ძეგლებს.

II ტომში საერო და საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლები უნდა შესულიყო, მაგრამ, როცა ტექსტები გამოსაცემად მომზადდა, აღმოჩნდა, რომ შერჩეული მასალა ერთ ტომში ვერ მოსაყვანებოდა; ამიტომ საჭირო გასდა მისი ორ ტომად გაყოფა. წინამდებარე II ტომში ქვეყნდება X—XIX საუკუნეების ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი საერო საკანონმდებლო ძეგლები. შესაბამისად III ტომში შევა იმავე პერიოდის საეკლესიო სამართლის ძეგლები.

ქართული სამართლის ძეგლები მოიცავს არა მარტო იმ საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც შედგენილი იყო საქართველოში ქართველ მეფეთა თუ სხვა დიდ ხელისუფალთა მიერ, არამედ უცხოურ საკანონმდებლო ძეგლებსაც, რომლებიც პოქმედებდნენ საქართველოში თავისებურად გადამუშავებული ქართული ვერსიის სახით და, მაშასადამე, ქართული სამართლის უაროს შეადგენდნენ (მოსეს სამართალი, სირიულ-რომაული სასართალი, მხითარ გომის სამართალი, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ვლასტარის სინტაგმა და სხვ.).

საქართველოს საარქივო ფონდებში დაცულია მდიდარი საკანონმდებლო მასალა, რომელიც ასახავს შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის უმნიშვნელოვა-

ნეს ეტაჰებს. ვეველა ამ საკანონმდებლო აქტის გამოქვეყნება „ქართული სამართლის მეგლების“ სერიაში არა მარტო მხელია, არამედ მიზანშეუწონელიც.

წინამდებარე ტომში შეტანილია საერო კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი მეგლები, რომლებიც შერჩეულია გამოკრებით. მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ ვეველა მეგლი თანაბარი მნიშვნელობისა არ არის. დიდსა და ღირსშესანიშნავ საკანონმდებლო მეგლებთან ერთად აქ წარმოდგენილია მომცრო და უფრო შემოფარგლული მნიშვნელობის, კონკრეტული იურიდიული ურთიერთობის მომწესრიგებელი, მაკრამ, ჩვენი აზრით, მეტად საუურადღებო აქტები. შესაძლოა, ამ შერჩევის დროს ზოგი საგულისხმო მეგლი გამოგვრჩენოდეს კიდევ მხედველობიდან და ასეთმა ხარვეზმა მკითხველის სამართლიანი შენიშვნაც გამოიწვიოს.

შუა საუკუნეების სამართლის მეგლების დაუოფა საერო და საეკლესიო კანონმდებლობის მეგლებად იოლი საქმე როდია. ზოგჯერ ესა თუ ის საკანონმდებლო აქტი შეიცავს როგორც საერო, ისე საეკლესიო სასიათის დადგენილებებს და მარტოდენ შინაარსის მიხედვით მათი გამოჯვნა თითქმის შეუძლებელი ხდება. ეს მდგომარეობა საზოგადოდ აიხსნება საერო და საეკლესიო იურიდიქციის შერეული ხასიათით შუა საუკუნეებში. როგორც ცნობილია, იმ დროს საჯარო და კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელოვანი საკითხები (მეფეთა და მთავართა კურთხევა, საოჯახო ურთიერთობანი, ქორწინება, მემკვიდრეობა, დამნაშავის დაკრულვა-შეჩვენება და სხვ.) საეკლესიო იურისდიქციის სფეროს შეადგენდა.

ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოშიც. ჩვენს გამოცემაში ქართული სამართლის საკანონმდებლო მეგლების საერო და საეკლესიო მეგლებად დაუოფას საფუძვლად ერთი ძირითადი ნიშანი უდევს: საერო მეგლად მიჩნეულია ვეველა ის საკანონმდებლო აქტი, რომელიც შედგენილი და გაცემულია საერო ხე-

ღისუფლების უმაღლესი წარმომადგენლის (მეფე, ვაზირი, მთავარი) სახელით. ასეთი აქტები, როგორც უკვე ითქვა, შესაძლოა საეკლესიო სამართლის ნორმებსა და დებულებებს შეიცავდეს (მაგ., ღმრთაების გუჯარი), მაგრამ ამ შემთხვევაშიც საკანონმდებლო აქტის ხასიათი (საერო თუ საეკლესიო) იმის მიხედვით უნდა განისაზღვროს, თუ ვის მიერაა იგი გამოცემული.

სამართლის ძეგლი შეიძლება სხვადასხვა სახისა იყოს: ჩვეულება, კანონი, დადგენილება, განკარგულება, ხელშეკრულება, სასამართლო პრეცედენტი და სხვ. ჩამოთვლილი აქტები ამავე დროს მოქმედი სამართლის ფორმებია და, მაშასადამე, სამართლის წყაროს წარმოადგენენ.

წინამდებარე ტომში, ორიოდე გამონაკლისის გარდა, შეტანილია ქართული საკანონმდებლო ძეგლები. ფეოდალიზმის ეპოქაში საკანონმდებლო აქტის ცნება გულისხმობს არა მარტო კანონს, ე. ი. სელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით გამოცემულ აქტს, არამედ უოველგვარ დადგენილებასა და განკარგულებას, სიუზერენის ან სენიორების სახელით რომ გამოიცემოდა და კანონის ძალა ჰქონდა. ფეოდალური სისტემის დაქსაქსულობა პოლიტიკური ხელისუფლებისა და საკანონმდებლო საქმიანობის დაქსაქსულობასაც განაპირობებდა. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში საკანონმდებლო ფუნქცია მარტოდენ მეფის პრეროგატივას არ შეადგენს, იგი დეცენტრალიზებული და დანაწევრებულია მსხვილ ფეოდალურ სენიორიებს შორის.

ანალოგიური სურათია ჩვენშიც. ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანის (XI—XII სს.) ქართველ მეფეთა გაცხოველებული საკანონმდებლო საქმიანობა ლაშა გიორგისა და რუსუდან მეფის მოღვაწეობით მთავრდება XIII საუკუნის 30-იან წლებში. მონღოლთა შემოსევამ საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობა მოშალა. ცენტრალიზებული საკანონმდებლო მოღვაწეობა თითქმის შეწყდა. კანონმდებლობის ფუნქციამ სამთავროებში გა-

დანიაცვლა. ამ პერიოდს (1245—1260 წწ.) ეკუთვნის ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელის, მეჭურჭლეთ-უსუცეს კახა თორელის, მაგან აბულეთის მისა და სხვა ერისთავთა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ამ ტომში ქვეყნდება. სამართლებრივი პარტიკულარიზმი იმდენად განვითარდა, რომ XIII საუკუნის ბოლოს სამცხის მთავარმა ბექა მანდატურთუხუცესმა თავისი სამთავროსათვის სამართლის წიგნი შეადგინა.

ცენტრალიზებული საკანონმდებლო საქმიანობა ფეოდალურ საქართველოში საგრძნობლად გაცხოველდა გიორგი ბრწყინვალის დროს, რომელმაც, საქართველო მონღოლთა ბატონობისაგან რომ გაათავისუფლა, ქვეყანა კვლავ ერთ სახელმწიფოდ გააერთიანა. მანვე მთიულთათვის საგანგებო სამართლის წიგნი — „შეგლის დადება“ — შეადგინა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე XIV საუკუნის 80-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს მთავარმა აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარმა ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნი ახალი კანონმდებლობით შეაგოსო, ხოლო XV საუკუნეში საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლამ საბოლოოდ დაამკვიდრა პარტიკულარული კანონმდებლობა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნიც, როგორც ცნობილია, ქართლის სამეფოსათვის იყო შედგენილი.

ერთგვარად ცენტრალიზებული საკანონმდებლო მოღვაწეობა ერეკლე II-ის დროს განახლდა, ისიც მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში, და, არსებითად, ეს საქმიანობა ერეკლეს მეფობითვე დამთავრდა. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში საკანონმდებლო მოღვაწეობა შეწყდა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იქ ეს საქმიანობა იმერეთის მეფის სოლომონ II-ის დროს კიდევ წარმოებდა, ხოლო სამეგრელოში, როგორც დავით დადიანის სჯულდებიდან ჩანს, XIX საუკუნის 50-იან წლებამდე გაგრძელდა.

შუა საუკუნეების ქართულ სამართალში საკანონმდებლო აქტის აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინი იხმარებოდა. ასეთი ტერმინები იყო: წიგნი, სიგელი, გუჯარი, დაწერილი, ბრძანება, ჯელი, ჰიტაკი და ოქმი. წიგნი უოველგვარი (როგორც ოფიციალური, ისე კერძო) საბუთის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო. სიგელი და გუჯარი მეფის მიერ ნაბოძებ საბუთს ეწოდებოდა; ბრძანება ან ოქმი — მეფეთა განკარგულებას, სოლო ჯელი ქვაზე ამოკვეთილ მეფის ბრძანებას გულისხმობდა. სიგელის მნიშვნელობის აღსანიშნავად ზოგჯერ ბრძანება და ჰიტაკიც იხმარებოდა. რაც შეეხება დაწერილს, იგი XV საუკუნემდე იხმარებოდა და იმ საბუთებს ეწოდებოდა, რომლებიც მეფის მიერ არ იყო გაცემული, მაგრამ ზოგჯერ საკანონმდებლო აქტსაც შეიცავდა (მაგალითად, ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელის დაწერილი შიომღვიმისადმი).

ქართული სამართლის მეგლები II ტომი უკვლავ შემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტის სახეობას შეიცავს.

გარდა ამისა, კრებულში შეტანილია ცნობილი საისტორიო ქრონიკა „მეგლი ერისთავთა“, რომელსაც პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა აქვს ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის ისტორიის შესასწავლად, და, აგრეთვე, „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი“, რომელიც გვიანფეოდალურ საქართველოში მოქმედი ადათობრივი სამართლის ნორმებს შეიცავს.

ქართული საისტორიო წყაროების შეკრებისა და გამოცემის საშვილიშვილო საქმეს თაოსნობდნენ XIX და XX სს. გამოჩენილი მეცნიერები: მ. ბროსე, პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, დ. ჩუბინაძეილი, დ. ფურცელაძე, ალ. ცაგარელი, ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი.

მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ისტორიკოსების თ. ჯორდანიას, ექ. თაუაიშვილის, ს. კაბაძისა და ნ. ბერმენიშვილის დამსახურება, რომლებ-

მაც მრავალი საისტორიო წყარო და საბუთი მოიპოვეს, შეკრიბეს, რამდენიმე ტომად გამოაქვეყნეს და, ამრიგად, ბევრი პირველსარისსოგანი საისტორიო ტექსტი, რომელთა სელნაწერები შემდგომ დაიკარგა, სამუდამო დაღუპვას გადაარჩინეს. თ. ყორღანიას „ქრონიკებისა“ და ექ. თაუაიშვილის „საქართველოს სიმეფლენის“ გარეშე დღეს წარმოუდგენელია ქართული საისტორიო წყაროთმცოდნეობა.

ქართული სამართლის მეგლების წინამდებარე II ტომი სულ 164 მეგლს შეიცავს.

საბუთების ერთი ნაწილი მოპოვებულია საარქივო ფონდებში და პირველად ქვეყნდება. რაც შეეხება ტომში შესულ წინათ გამოცემულ საბუთებს, რომელთა ნუსხები დედნისა თუ პირის სახით შემონახულა, ისინი სელნაწერების მიხედვით იბეჭდება, მაგრამ გათვალისწინებულია დაბეჭდილი ტექსტებიც. დაბოლოს, დოკუმენტების ნაწილი, რომელთა სელნაწერები დღეისათვის დაკარგულად ითვლება, იბეჭდება არსებული პუბლიკაციების მიხედვით. ამასთან ჩვენი გამოცემა, როგორც მკითხველი დარწმუნდება, ტექსტის გაგებისა და გამართვის (პუნქტუაცია, მუხლებად და აბსაცებად დაუოთა) მიხედვით საგრძნობლად განსხვავდება ამ საბუთების წინათ გამოქვეყნებული ტექსტებისაგან.

მხოლოდ ორიოდე კარგად გამართული და გამოქვეყნებული ტექსტი იბეჭდება ჩვენს გამოცემაში უცვლელი სახით.

ამრიგად, მკითხველს პირველად ექნება ხელთ ქართული სამართლის მეგლების, თუმცა არა საბოლოოდ დადგენილი, მაგრამ ჯეროვნად გამართული სანდო ტექსტები.

შეიძლება მკითხველმა გვისაუბედუროს, რომ დაბეჭდილ ტექსტს დართული არა აქვს კომენტარები და ზოგჯერ მხოლოდ მოკლე. ისიც უმთავრესად არქეოგრაფიული ხასიათის, შენიშვნებით ვემაუოფილდებით. შენიშვნა უდავოდ სამართლიანი იქნებოდა, ჩვენს გამოცემას რომ ასეთი მიზანდასახულობა ჰქონდეს, მაგრამ როგორც I, ისე მომდევნო ტომებისთვისაც ტექსტის კომენტარები თავიდანვე არ იყო გათვალისწინებული.



თანდართულ შენიშვნებში საბუთის რიგითი ნომრის მიხედვით მოცემულია ხელნაწერის მოკლე აღწერილობა (ფონდი, მიწერი, ზომა, დამწერლობა, განკვეთილობის ნიშანი და თარიღი), ხოლო თუ საბუთი გამოქვეყნებულია, მითითებულია ჰუბლიკაცია. ზოგიერთი ძეგლის მიმოხილვა შედარებით დაწვრილებითაა მოცემული და აუცილებელ ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის შენიშვნებს შეიცავს (ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი და სსჯ.).

ქარაგმები „ღ“თის“, „მღ“თის“ ეპელგან გახსნილია „ღმრთის“-ად, უმ კომპლექსი გადმოცემულია უფ-თი, ხოლო „ო“-ნისა და „უ“-ნის უმართებულო შენაცვლება გასწორებულია ტექსტშივე; რიცხვის აღმნიშვნელი ასოები ეპელგან შეცვლილია ციფრებით.

ტექსტს დართული აქვს ტერმინთა, პირთა და ეთნიკურ-გეოგრაფიულ სახელთა ვრცელი საძიებლები.

ბეჭდვის დროს ტექსტში საგრძნობი რაოდენობით გაგვეპარა შეცდომები, რომელთა გასწორება წიგნს ერთვის. მკითხველს ვთხოვ გაითვალისწინოს ისინი ტექსტით სარგებლობის დროს.

დასასრულ, სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი, მადლობა მოვასხენო პროფ. ილ. აბულაძეს და წიგნის რედაქტორს, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს ნ. მოშიაშვილს, რომლებმაც დახმარება გამიწიეს ტექსტების მომზადებაში.

ი. დოლიძე



ტექსტი



1. [ნახშირობის დაწვითი ფაქტისა შიგნითისადაჲ]

[IX ს.]

[1r] სახელითა ღმრთისათა მამისა, ძისა და სულისა წინდისათა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისაი[თა], შუამდგომლობითა ნაშობთა უმეტეს წოდებულისა იოვანე<sup>1</sup> ნათლისმცემლისათა, რომელი მიეყრდნა მკერდსა საუფლოსა, წმიდათა და სამეოცდაათთა ქალწულთათა (sic), რომელთა გუ[ი]ქადაგეს განკორცი[ე]ლება სიტყუისა ღმრთისა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდისა მამისა შიოსითა...\*

მას უამსა, ოდეს ბარდავს შევიბენით, ერთი ღმრთისა მსგავსი ფაქტელი მკუდარი დარჩა და ერთი ცოცხალი. ესე უარესი წამეკიდა: ერთი უხუცესი შვილი ქაეთარ შინა მომიკუდა<sup>2</sup>.

ვთხოვენ ჩემნი მკუდარნი მამულნი<sup>3</sup> მეფესა და მიბოძნა, რომე ტუ[უ]ენი დავიგნენ და მკუდრისა სული ვაურგო. ვთხოვენ<sup>4</sup> ოთხნი სოფელნი: ცხევერეთი, გუელ-დესითურთ, გავაზელნი, კოტმითურთ. ქუმო გუელ-დეს[ს] ორი გლეხი: შულ-ლიას-ძე და ტარიკას-ძე.

და მოვიყვანე მთავარი მემლუ[ი]მე თევდორე და მივათუალენით სოფელნი; და მომიწონა<sup>5</sup> ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვერცხლი, წმიდისა შიოს კუბოსა<sup>6</sup> შემონაყარი, ათათასი პელბელი, ათათასი სტავრა, შუიდი ჯორი ვარდა, შუიდი ქორი კაპოტი, შუიდი მეძებარი, შუიდი მწევარი წაუვალი...\*\*

...თეთრსა რა ანგარიში უნდა: კაბარქ[ი]თა გარდაუწყევ. უკანისა საფასე ემცირებოდა და კიდევ მოგუეშაღნეს. მივეცით ერთი კორი პალარ-კურტამითა, ერთი ცხენი სამასად, ერთი უნაგირი ხუთასად ყუელასა<sup>7</sup> მჯობი, ერთი ლავამი მარგალიტოსა ძირით[ა]; მივეცით და მივეუბდნიერეთ სარკინისა წინამცლუ-არსა...

... აჰ ნიჩბელი, კორითელი და ვახტანგ ბივრი-ტელი...\*\*\*

<sup>1</sup> იოვანე. <sup>2</sup> მაიმიკუდა. <sup>3</sup> ჩემნი მკუდარნი მამულნი. <sup>4</sup> ვთხოვენ. <sup>5</sup> მომწონა. <sup>6</sup> კუბოსა. <sup>7</sup> ყუელასა.

\* აქ ტექსტი უნდა აკლდეს.  
\*\* ჩანს, აქ პირველი საბუთის ტექსტი წყდება.  
\*\*\* უკანასკნელი ორი აბზაცი სხვა ნახშირობის ფრაგმენტი უნდა იყოს.

\*. . ჩავე მე, მიქაელ მემღუიმე და ჩავიტანენ ჩემნი ლაერანი ცხევრელნი. დაუწყე ჩემსა მამულსა შიგან ციხესა გება, დავდგი ჳევისა კერძოდ უკეთესი კოშკი შიგნით; და გარეთ უკეთესი სახიზნო ცხევრელთა ჰქონდეს.

დავიდევ ერთი დღე ანეული ციხისა ბეგარი, ერთი დღე სამკალი, ერთი დღე საღეწავი; თუ [ი] გრივი გამოვიდეს, ცხრა გრივი პატონსა და მეათე ცხევრელთა.

წელიწადსა შიგან ერთი დღე ნადირობა არის, ბეგა[ში]რა ჩუენი მოსაცემელი, კაცისა თ[ა]ვისა ორ-ორი ჯამი შეჭამადი, ორ-ორი პური, ორ-ორი პირი ღუ[ი]ნო.

თუ რამე ცხირელსა ჳელოსან[სა] გუ[ე]რდსა შესაპოვარი გედვას, აჭმევდე რასა ბეგრობისათუის, ღალისა ნუ გა[ა]ვლებინებ; სიარული არა შეუძლოს, აიკიდე ჳურგსა, მათსა სამზღვარსა შიგან გაიყვანე.

გარდავე ლიხთ-იმერთ და მოვიდე თავისუფლობისა ბრძანება კოსტანტინესა და ბაგრატიისი, კახთა მეფეთა ფალღესი და კუ[ი]რიკესი.

მითავისუფლებიან მეფეთა და დედოფალთაგან, და დიდთაღათა და დიდებულთაგან, აზნაურთა და მათთა ცოლთაგან; მითავისუფლებიან ყოველთავე ჳელოსანთაგან: \_ მოღარეთაგან, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მენსაბანჯრეთა, მეგოდრეთა, მეჯამეთა, ყოველთავე დარბაზით გამოსულთა ჳელოსანთაგან.

თუ ვინმე გაწყენდეს და არვინ რას გაგიგონებდეს, სააჯოს კარსა მიიხუენით.

და ვინც რამანც გუარისა კაცმან შეუცვალოს, შე-მც[ა]-იცვლების რჯულისაგან ქრისტიანეთასა; რისხაესმცა მამა, ძე და სული წმიდა; კრულმცა არს ძილი და ღუიძილი მისი, საფლავი და საწენებელი მისი; შე-მც[ა]-ელების კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისი; იგიმცა მას უთქუამს: «სისხლი მაგისი ჩუენზედა და შვილთა ჩუენთა ჳედა»\*\*; ქრისტე[ს] ჳუარის მცმელთა თანამცა დაინაწილების სული და საწენებელი მისი; პირველ კურთხევითგან იაკობ ძმისა უფლისა, ვიდრე უკან-

\* აქ ტექსტი უნდა აკლდეს.

\*\* მათე 27,25.

სკნელობამდი, რაცა 'უამი იწირვის წმიდათა მამათა, მღრდელთ-  
მოძღუართა და მღრდელთაგან, მათითაშ[ა] წირვითა კრულია;  
სატანას გან[უ]ტსნელითამცა საკრველითა შეიკრვის ტომით, ნათე-  
სავით და სატსენებლით მისითურთ\*. ამა ზემო წერილთ[ა] წმიდა-  
თ[ა] მადლი რისხაგს, რამანც ადამიანის [ჰ] რ [ნ]ათესავეა შე-  
შალოს.

ამისი დამამტკიცებ[ელ]ი ლმერთმან აკურთხოს.

### 3. ქველი ცხრაჯვის ჯვრის ჯვრისუშაალთა სამსახურის დაღმების შესახებ

[X ს.]

სახელითა ლმრთისაჲთა ესე ქელი ჩვენ, რამინ და გიორგი  
დავწერეთ: ოდეს კონსტანტი ქართლისა გამგებელი  
იყო, ჩვენ, ცხრაჯვის ჯვრის ჯვრისუფლად ვიყუენით. მას ჟამსა ავაგეთ  
წისქოჯლნი და ზემოთ სახლი ერთი. სამსახურის ჰქიდევეს მ კაცი.  
ქ[რისტ]ე ა[დიდე] ცისკარ, ამენ.

ესე ქელი, მე, გიორგი დავწერე. ქრისტე, განმგებლო ორ-  
თავე ცხოვრებათაო...

### 4. [შაფიკულების სიგელი ბაგრაბ IV-ისა შიომღვიმისადმი]

[1057 წ.]

...[ლაშ]ქარი დიდი წარმართნი... და ვე[რ და]ვიმორჩილეთ  
ლაშქარნი, და ალაოტრეს მამულნი წმიდისა უდაბნოისა ლავრისა  
მღუიმისანი. და [ესე წმიდათა მამათა მღუიმელთა ფრიად] დაუშ-  
ძივდა, რომლისათუისცა გულსვიდგინეთ შესა[ვსებელად] ალაოტრე-  
ბულისა მამულისა წმიდის ლავრისა და დაკლებულობისა მათესჲ  
გასაკურნებლად, მოსახსენებლად სულ[ი]სა პირველ გარდაცვალებ-  
ულთა მეფეთა — მამათა ჩემთა და სალოცველად სულისა ჩემისა  
და სალხინებლად ცოდვათა ჩემთა შევს[წირვ] მამასა შიოს, ლავ-  
რასა მღუიმისასა და წმიდათა მამათა მღუიმელთა მანგლისის  
ჯევეს ადგილი ბორცუის-ჯუარი, ყოვლითა მზღვრითა მისითა:  
მ[თითა], ბარითა, წყლითა, ტყითა, კლდითა, წისქულითა და  
ყოვლითა საკმრითა და უკმრითა.

\* ამის შემდეგ ტექსტი დაწერილია სხვა ხელით.

და გაუთავისუფლეთ ყოველისა შესავალისა და გამოსა[ვ]ალი-  
საგან: საჯელმწიფოისა, საერისთვოისა, სააზნაურო-  
ისა, საციხისთვოისა, საჯევისუფლოისა, საბანჯრი-  
ისა, საჯიდისა, საკოშრისა და ყოველისა ღმრთისა დაბადე-  
ბულისა<sup>1</sup> შესავალისა და გამოსავლისაგან.

და არა[ა] რაი ზედა-აც, თუნიერ სამსახურებელისა მის წმი-  
დისა ლავრისა მღუიშისა, რამეთუ თავისუფლობით შემიწირავს  
ყოველისავე მეუნებლისა და დამაქლებლისაგან, რათა მეოხებითა წმი-  
დისა მამისა შიოსითა, ლოცვითა წმიდათა მამათა მღუიშელთათა  
მოგუენიქოს ღმრთისა მიერ შენდობაი ამის ნაქმრისა და დაკლე-  
ბისა მათისაი წარმემართოს ლაშქრობაი ესე და ყოველნივე დღენი  
ცხოვრებისა ჩემისანი ნებასა შინა ღმრთისასა, მზუილობით და  
მტერთა ჩემთა ზედა ძლევით აღვასრულნე. და, შემდგომად სიკუ-  
დილისა, მეოხ იყოს წინაშე ღმრთისა სულისა ჩემისათუის წმიდაი  
იგი და მადლი მათ ყოველთა წმიდათა მამათაი.

აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომთა  
ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერის-  
თავთა, აზნაურთა, ციხისთავთა, ქევისუფალთა, ჩი-  
ნებულთა და ყოველთავე საქმის მოქმედთა ჩუენთა დაუმ-  
ტკიცეთ და ნუვინ უშალავთ ბრძანებულსა მას და გაგებულსა ჩუ-  
ენსა. ნუცა რას ვინ დააკლებთ: ნუ დიდსა და ნუ-მცირესა, თუი-  
ნიერ შეწყენისა და თანადგომისა.

და უკუეთუ<sup>2</sup> ვინმე გამოსჩნდეთ ღმრთისა უარის-მყოფელად  
და მის წმიდისა ლავრისა შემცოდედ, ოდესცა და რასცა ჟამსა,  
ანუ რაისაცა მიზეზისა მოღებითა გინა თუ იგი ადგილი შეუცვა-  
ლოთ მას წმიდასა ლავრასა, ანუ თუ ესე წესნი, გაგებულნი ჩუენ-  
ნი, შეუშალნეთ, უარის-მყოფელთამცა ღმრთისათა თანა დასჯილ-  
ხართ, იგიმცა წმიდაი მამაი და მადლი მის წმიდისა ლავრისაი  
არს მოსაჯული თქუენი, ცოდვათამცა და ბრალთა ჩემთა გარდა-  
მგდელნი ხართ წინაშე ღმრთისა.

და თქუენ, ქრისტეს მიერ გიორგი ქართლისა კათა-  
ლიკოზმან და წმიდათა მღდელთ-მოძღუართა დაწერილთ  
ესე ჩუენი დაამტკიცეთ, ვითა წესი არს. წყევლანი და შეჩუენებანი  
დაწერენით, ვინცა უქციოს და შეუცვალოს.

<sup>1</sup> დაბადებულისა] და გადებულისა. <sup>2</sup> ოკთუ.



დაიწერა ბრძანებები და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტონ-  
სა მეფობისა ჩემისასა მეო-ლა-სა, კელითა იოვანე მწიგნობრისა  
მწერლისაითა<sup>1</sup>.

სხვა ხელით, XI საუკ. ორი მინაწერი:

ქ. კირიელეისონ! ესე ვითა, აღიდენ ღმერთმან, ძლიერს  
ბაგრატ აფხაზთა მეფესა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისა-  
მოსსა დაუწერია და ბორცუის-ჯუარი, სალოცველად მეფობის-  
მათისა და შეილთა მათათუის მღუიმის მონასტრ[ი]სადა შეგ-  
წირავს, მე, გიორგი ქართლისა კათალიკოზი მოწამ-  
ვარ დაწერილსა მათსა.

აწ ვინცა ვინ, რამანც-გუარმან კაცმან, რასცა ჟამსა, ვით  
მათსა დაწერილსა სწერია, უქციოს და შალოს დაწერილი მათი,  
გინა ჟამთა-ცვალებითა, გინა სიგრძოთაგან ჟამთაისა იკადრო  
ანუ შლად, ანუ ცვალებად ანუ შესავალად და საჭევისუფლოდ გა-  
ჟადოს, ანუ ბეგარი და გამოსავალი რაი დასდევს, და ვითა დაწ-  
წერია და გაუთავისუფლებია, მას-ზედა მკუიღრად<sup>2</sup> და შეუვალს,  
არა იპყრან, ჰრისხავსმცა მამაი, ძე და სული წმიდაი, წმიდ  
ღმრთისმშობელი; და კრულმცა არიან დაუსაბამოისა ღმრთი-  
სიტყუითა, ათორმეტთა წმიდათა მოციქულთა მადლითა, ექუსი  
კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა, წმიდისა და-  
და-ქალაქისა და სუეტის-ცხოელისა მადლითა, ჩემ გლახაკისა ჯუა-  
რითა გაუქსნელად სულით და ჯორცითა [ა]მას ყოფასა და მას სა-  
კუნესა; არსმცა ნაწილი მისი იუდასთანა ისკარიოტელსა და ყ-  
ველთა მწუველებელთა და ღმრთისა უარისყოფელთა-თანა შე-  
რა ცხილია.

და ვინ დაამტკიცოს და არა შალოს ბრძანებული და დაწ-  
რილი მათი, მიიღენ კურთხევაი ღმრთისაგან და ჩემ გლახაკი-  
საგან.

ქ. აღიდენ ღმერთმან, ესე ვითა უძღვევლსა მეფეთა მეფესა  
დაუწერია და შეუწირავს ბორცუის-ჯუარი მღუიმისა-თანა სალო-  
ცველად მეფობისა მათისა, შეაწიენ ღმერთმან მადლი წმიდისა  
შიოსი და ევაგრესი. მცა, მიწასა მეფობისა მათისასა იოანეს, ძე-  
სა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა დამიმტკიცებია  
უქციველი არს ბრძანებები მათი ჩემგანცა, მონისა მათისაგან.

<sup>1</sup> მწერლისაითა. <sup>2</sup> მკოდრად.

5. [სიგელი ბაგრატი IV-ისა ოპიზარტა და მიჯნადოროელთა  
სამაგულე ღაპის გამო]

[1027—1072 წწ.]

\*... [მო]ვიდეს ჩუენ წინაშე ქუთათის, სახლსა სამკუიდ-  
რებელსა ჩუენსა, ესე მამანი მიჯნადოროელნი და მამანი ოპი-  
ზარნი.

და მოიყვანნეს მიჯნადოროელთა ხატნი წმიდათა მოციქულ-  
თა პეტრესი და პავლესი და ნაწილნი წმიდისა ბართლომე მოცი-  
ქულისანი. და მოიხუნეს სიგელნი გურგენ ერისთავთა ერის-  
ავისაი. გურგენ მეფეთა-მეფისაი, პაპისა ჩემისა ბაგ-  
რატი კურაპალატისაი და მამისა ჩემისა გიორგი მეფი-  
აი, რომლითა იგი ტყენი და ზღვარნი მიჯნადოროისათუის და-  
ემტკიცნეს და კრულობითა მოწმობანი კათალიკოზთა და მღდელთ-  
მოდღუართანი.

და მოიღეს ოპიზართა დაწერილი გუარამ მამფლი-  
საი, რომლითა მას ტყესა და ზღვარსა მიჯნადოროელთა ერჩო-  
დეს; და ამათ მიჯნადოროისა სიგელთა შინა გუარამ მამფლისა  
დაწერილი, რომელ ოპიზართათუის დაუწერია, არა ჯსენებული იყო  
არცა დამტკიცებულად და არცა გარდაგდებულად.

და ჩუენ ესე შფოთი მათი გუიმძიმდა, რავდენ იგი წმიდანი  
უდაბნონი მშუილობისა და დაწყნარებისა და ჩუენ მეფეთა ლოც-  
ვისათუის აღშენებულნი არიან.

და გულს-მიდგინა ღმერთმან და მადლმან მათ წმიდათამან,  
და ჯელ-ყავა ხარკებით საურავსა მათსა, შეეკრიბენ კარსა და რ-  
ბაზისა ჩუენისასა მღდელთ-მოდღუარნი, ერისთავთ-  
ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ჯევთა ზემოთა და  
ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი.  
და დავსხენით წინაშე-ჩუენსა და წავიკითხენით მათნიცა და  
მათნიცა დაწერილნი და, რომელი სიტყუის-გებაი იყო მათ ში-  
რის, მოვისმინეთ.

და სამართლად ესე გავიგონეთ, რომელ ჯელნი ამათნი  
მრავალნი და მტკიცენი იყუნეს, და ჩუენგან მათი გატეხაი  
არა ჯერ-იყო, და სულსა მათ პირველთა მეფეთასა არა დავამძი-  
მებდით. და თუმცა ოპიზარნი უნუგეშინისცემოდ გაგუეშნეს, იგი-  
ნი შეწუხდებოდეს, და ესე ჩუენ ბრალად შევინახეთ.

და აწ სალოცველად მეფობისა ჩემისა და შვილისა ჩემისა  
გიორგი კურაპალატისა და სალოცველად სულ[ი]სა მათ პირ-

\* თავი აკლია.

ველთა მეფეთასა. ესრეთ განვაგე და დავამტკიცე საქმე მათი: ტყე-  
ნი და ზღვარნი ამათნი, ვითა მათ პირველთა მეფეთა დაწერილ-  
თა სიგელთა შიგან, უწერიან, ნიშნით ზღვარნი: სამხრით — სა-  
მწყრისა წყალი, ვითა შავშეთისა წყალსა ჩაერთვის,  
და ტიხარის კლდე, და ქედ-ქედი ვითა წავალს; დასა-  
ვლით — ეჭუანთა ქედი; და ჩრდილოით — დიდუბისა ხერ-  
ვისი და საქათმის კარი<sup>1</sup>, ვითა ქედ-ქედი წავალს, დიდი ქედი  
ერთ-კარი. ესე ზღვარნი მტკიცენი არიან მიჯნაძროველთა ზედა;  
და ქედს ამერით არაი უც საქმე და სასარჩლოი ოპიზართა, სა-  
ლესველთა სათიბისაგან კიდე.

და ამისდა ნაცვლად, რათამცა ოპიზარნიცა გულსავე ვყვენ,  
სალოცველად სულისა ჩემისა, თაესავე ჩემსა დავათმინე: ავიღე  
სამამასახლისოისა სამსახურებლისა ჩუენისაგან ბა-  
რეგანი სოფელი და მივეც ოპიზართა სატრაპეზოდ.

და გარდავსწყუიდე მათ შორის საზიდი და სარჩელი, რათა  
ესე ორნივე წმიდანი უდაბნონი მშუილობით და უშფოთველად  
იყუნენ და მეფობასა ჩემსა და ძესა ჩემსა გიორგი კურაპა-  
ლატსა გუილოცვიდენ, და მათ პირველთა მეფეთა, მაშენებელთა  
და შემწირველთაცა ულოცვიდენ, რათა ღმერთმან მეოხებთათა მათ  
წმიდათა მოციქულთათა და მათდა მიმართ ვედრებითა მათ წმინ-  
დათა მამათათა დღესა მას განკითხვისასა ულხინოს ცოდვილსა  
სულსა ჩემსა და მივსნას სასჯელთაგან საუკუნეთა.

აწ ვინცა პნახოთ ბრძანებანი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომ-  
თა ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა,  
ერისთავთა, ტაოისა და კლარჯეთისა ტანუტერთა  
და ყოველთა ქელისუფალთა და საქმის მოქმედთა და უმ-  
ტკიცეთ და ნუ ვინ ქელჰყოფთ შლასა და შეცვალებასა ამისსა.

და უკეთუ ვინმე, რასაცა ჟამსა, რაიცა-გუარო კაცი, დიდი  
გინა მცირე, აღგეს და ამას ნაქმარსა ჩუენსა აქცევდეს, გა-მცა-  
ურისხდების მამაი, ძე და სული წმიდაი; და ესემცა წმიდანი მო-  
ციქულნი არიან მოსაჯულნი სულისა მისისანი დღესა მას განკი-  
თხვისასა. და ჩემნი ბრალნი მისგან იძიენ ღმერთმან.

და თქუენ, წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოსო, და  
წმიდანო მღვდელთ-მოძღუარნო უჯუარო[ბითა დაუმტკიცეთ]....\*

<sup>1</sup> კარი] კირი.

\* ბოლო აკლია.

6. [შუუვალობის განახლების სიგელი გიორგი II-ისა  
შიომღვიმისადმი]\*

[1072 წ.]

ქ. მე, გიორგი ბაგრატიონი, ნებ[ითა ღმრთისა-  
თა აბხაზთა და ქართველთა მეფემან], ძემან სულქურთხეულისა  
უსისა [ბაგრატიონი და] ვწერე და მოვაცხენე სიგელი ესე [ლავე-  
ოასა] და [მონასტერსა] მღვმისასა.

მოვიდეს მღვმეს ჩუენ წინაშე წმიდა მამა მიქაელ და ყოველ-  
ნი მამანი, მკვდრნი მღვმისანი და [მოიხუნეს] სიგელნი [მამათა-  
და პაპათა] ჩემთანი და დაწერილნი მთავართა ყოველთა [და  
ზნაურთა] საქონელთათჳს მათთა, რომელნი [ჰქონან] ლავრასა  
მღუიმისსა] თრიალეთს და მანგლისის ქვეს და მოგვაცხენეს,  
რათა] იგი სიგელნი გაუახლენით და დაწერილნი დაუმტკიცენით.

გულგვიდგინა ღმერთმან, სამლოცველოდ მეფობისა ჩემისა და  
მამისა ჩემისა [ბაგრატი] კურაპალატისა, და მოსაქსენებლად  
სულთა პირველთა მეფეთა მამათა ჩემთასა გაგუიახლებიან სიგელ-  
ნი მამისა და პაპათა ჩემთანი და დაგუმტკიცებიან დაწერილნი  
ყოველთა მთავართა, ყოველთა [დიდებულთა] და აზნაურთა შე-  
პირველთანი.

და სიგელი ესე სიმტკიცისათუის დაგუიწერიან, და მოგუიქსე-  
ნებიან წმიდისა მამისა შიოისდა და წმიდისა ლავრისა მღუიმისადა  
სოფელნი და აგარნი მათნი და ყოველნი საქონელნი მათნი, რო-  
მელნი სამეფოსა ჩუენსა შინა არიან, — სახელდებით ესე: აგა-  
მ — ციხედიდს, გლეხნი და მიწაი — ნიჩბისს, გლეხნი და მი-  
წაი — კოდალს, და წინარეჭს, და შუარეჭს, ადლ[ე]თს,  
შედარს, და ძუელ ღრდულებს, და ცხირეთს, ცხევერი  
და გავაზელნი, გუელდესი და კოტმანი, კლდექართა  
ქუეშე ბორცუის-ჯუარი და ბჭითი, ზეგანთა მოუგონელნი  
სვინეთს და ფურჭიდს.

დაფიცეს ესე ყოველნი საქონელნი მათნი, ვითა თუით პირ-  
ველთა სიგელთა სწერიან, და ვითა შემწირველთა ჳელით-წერილ-  
სა შინა სწერიან შეუვალობისა და თავისუფლობისა მათისათუის.

აწ ჩუენცა მასვე ზედა გაგუითავისუფლებიან ესე ყოველნი  
საქონელნი მღუიმისნი ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან:  
საქელმწიფოისა, საერისთვოისა, საციხისთვოისა,  
ქვეისუფლოისა, შურტათა და ჩინებულთაგან და  
ელთა საქმის მოქმედთაგან

\* გვიანდელი სათაური: „ქ. სიგელი გიორგი მეფისა ცხირეთს ცხავარისა,  
სა, კოტმანისა, გველდესისა და სხვათა სოფელთა შინა გლეხებისა და მა-  
ისა“.

1 და ვითა სამსახურებელი ციხეთაჲ არაი ზედა სდებია და, ჟამთა-შლილობისათა შინა ოდესმე, მძლავრთა და უღმრთოთა კაცთა მათ ზედა რაიცა ბეგარი დაუც და რაიცა დაჭირებითი სამსახური უქნევია, ანუ საზღუშაოი, ანუ სუხრაი, ანუ ბაჟი აღებულა, ვითა არაი ზედა სდებია, ესე ყოველი აგუიჲდია, გარდაგუიგდია და ყოელისაგანვე გაგუითავისუფლებიან. და ვითა პირველთა სიგელთა შინა უწერია გაგებით, მას წესსა ზედა იყუნენ.

და არავის ჰელეწიფების მათ ზედა დაჭირებითისა და უსამართლოსა საქმის ქნად. და მეუნებლე, მავნებელი და დამკლებელი მათი არ ვინ გუბრძანებია და არცა მშლელი და მქცეველი ბრძანებისა ამის ჩუენისაი.

და ესე ამისთუის გუიქნია, რათა ღმერთმან, მადლითა და მეოხებითა წმიდისა მამისა შიოისითა, საწუთროისა ამის ცხორებასა კეთილად წარჰმართოს მეფობაი ჩემი და საუკუნესა მას მლხინებელ მექმნეს სულისა ჩემისა, დღესა მას საშინელსა განკითხვისასა.

აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა მემამულეთა და მოსაკარგავეთა, ციხისთავთა, ჯევისუფალთა, მანდატურთა, შურტათა, ჩინებულთა და ყოველთა საქმის მოქმედთა დაუმტკიცეთ, და ნუ ვინ უშალავთ ბრძანებასა ამას და გაგებულსა ჩუენსა და ნუცა რას ვინ ~~დააკლებთ~~ ნუ დიდსა, ნუ მცირესა, თუიერი შეწევისა და თანადგომისა.

და უკუეთუ ვინმე, რამანცა გუარზან კაცმან, რასცა ჟანს ჰელყოს და იკადროს ამის ბრძანებისა ჩუენისა შეცვალებად, წმიდაი მამაი შიო და ყოველნი წმიდანიმცა არიან მოსაჯულნი და დამსჯელნი სულისა მისისანი, დღესა მას საშინელსა სასჯელისასა, და შე-მცა-ჩუენებულ არს მარანათა (sic) ყოველთა ღმრთისა უარისმყოფელთა თანა.

და თქუნენ, წმიდაო მეფუფეო ქართლისა კათალიკოზო და ყოველნიო მღდელთ-მოძღუარნიო უჯუარობით და წყევით დაუმტკიცეთ დაწერილი და სიგელი ესე.

დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა ა, ჯელითა იოანე მონაზონისითა.

სხვა ხელით, მხედრულად:

ქ. ესე ვითა ზემოით დამიწერია, მე, გიორგის ბაგრატიანიანსა ჯელითა ჩემითა დამიმტკიცებია. მტკიცე არს, უ[კუეთუ] უფალსა ღმერთსა უნდეს.

ქ. კირიელისონ! ესე ვითა, აღიდენ ღმერთმან, ძლიერსა მეფეთა-მეფესა გიორგის ბაგრატიონიანსა დაუწერია წმიდის შიოის-თუის, და ყოველნი საქონელნი მისნი ყოველის შესავალისაგან გაუთავისუფლებიან, ჩუენ, გაბრიელ კრისტეს მიერ კათალიკოზი მოწამენი ვართ; მტკიცე არს ბრძანებაი მათი ნებითა ღმრთისათათა.

და ვინცა მშლელ და დამაქცეველად გამოჩნდეს, კრულმცა არს დაუსაბამოისა ღმრთისა სიტყუითა, წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა მადლითა.

და... ვინ კულა მტკიცე [ჰყოს], ღმერთმან აკურთხონ, ამინ.

7. [ანდერჰი დავით აღმაშენებლისა შიოხაღვივისადი]

[1123 წ.]

[ნე]ბითა ღმრთისაითა მე, დავითს მიწყვიეს<sup>1</sup>.\*

ჟამსა ჩემსა შარვან[სა ზედა] განმა]რთვისასა შევევედრე შეწვენად ჩემდა შესავედრებელსა ჩემსა წმიდასა მამასა შიოს. ვინილე ეკლესიაჲ ჩემ მიერ აღშენებული [და]სრულებულად; და მივიღე ლოცვა ყოველთა მამათაჲ.

და სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერჩისა დაწერა. [ხოლო] დაკლებული სისწრაფისაჲ არს.

თუ ინებოს ღმერთმან ჩემი შემოქცევაჲ, უმჯობესად შეიცვალოს; თუ არა, ესე იყოს აწინდელი:

ვინათგან მსთუადმან წყალობად, და სულგრძელმან მხედველობათა შინა ცოდვათასა, და წყალობითა სიყუარულისა თვისისა მიმართ მიმზიდველმან ღმერთმან ჩემ უღირსსა ზედა აჩუენნა მიუწდომელნი ქველის-მოქმედებანი, რომელთათუჲს ყოველად უმადლოი ესე, ჯერისაებრ ვერ-მმადლობელიცა არა მომიძაგა და არა დააცადა ჩუეულებითი წყალობაჲ დღეს-დღემდე უგბილსა სულსა ზედა, რომელთაჲ კერძოჲ რაჲმე და ურიცხუთაგან ერთი მიზეზად თხრობისაჲე მივსცე თხრობასა.

თვით იგი ოდეს მარწმუნა მის მიერ განგებულსა მეფობასა, თვისითა რაჲთამე განგებითა არა-უღირს-მჩენელმა შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატიოებისა ჩემისმან, აქაითგანვე აღილო ქელი სიტკბოებითა თვისითა განწლებად ჩემდა.

+ და თუთ მეფე-მეფეთაჲ ექმოდა საჭირველთა უჭირველად: ცხადთა წინააღმდეგომთა განგებულისა<sup>2</sup> თვისისათა მისცემდა მოსასრველად; იღუმალთა, კულად ზაკუფისათუჲს შორის მფარველთა, არა შეუნდობდა სიციბილად, რომელთა თანად თუთ მიიღეს ზაკუფისა მათისათუჲს საცთური.

\* ეს სიტყვები დაწერილია მხედრულად, როგორც ჩანს, თვით დავით აღმაშენებლის ხელით.

<sup>1</sup> [ნე]ბითა ღმრთისაითა შედაის შეწყვის A, დიდებითა ღმრთისაითა მე დავითს მაწყვიეს B. <sup>2</sup> განმგეობისა A.

და ერთმან მათგანწან, ძაგანმან, შემაწუხებელმან ღმრთისა და მონათა მისთამან, მძლავრებით ღმრთისაცა არა-მრიდმან, თანავე ძმისა თვისისა მოდისტოს, წინაუკმოასა მღდელთ-მოდღურისა, რომელმან-ერთმან პატრონთა თვსთა წყალობაჲ მათ ზედა საისრელად აღმახუა, ხოლო მეორემან ღმერთსადა გ[ან]კუთვნითა ეკლესიები საზნებთ-მჩენოდ თვსად მიიტაცა; რომელნი-ესე არა ითნნა ესრედ ყოფად საშჯელმან გამოუძიებელმან, — ცხად არს, რამეთუ ღმრთისამან, — და არცა მიუშუა კუერთხი ცოდვილთა ნაწილსა ზედა მართალთასა: მწყემსი უკაროჲ ჭეშმარიტთა მწყემსთა მიერ დაემჯუა. და ძაგანი, მღუიშეს შელტოლვილი, მომცა ღმერთმან, რომელსა შინა არა-მციორელი ერთგულებაჲ აჩუენეს ჩუენდა მომართ მამათა მემღკმეთა, რამეთუ იხარებს მართალი, რაჲაჲს იხილოს შურისგებაჲ. მაღლობაჲ აღუვარე დაზბადებელსა ღმერთსა და თაყუანის-ვეც ღმერთ-შემოსილისა წმიდისა მამისა შიოის საფლავსა.

ვიხილე წმიდა მთავარ-მამა, მემღკმე მიქაელ, და სულითა ღმრთისაჲთა განათლებულნი მამანი; განვიშვ სულითა საწადელისა მისთვს კრებულისა და მხიარულებით აღვივსე სამოთხის მსგავსისა მის ლავრისათვს.

მყის მოგწოდდე არსენის ბერსა და განუცხადე სათნოჲ ჩემი და ვარწმუნე აღშენებად ეკლესიაჲ, საშუალ მონასტრისა, სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისასა, და მომადლებითა მისითა სრულად ვიხილე.

მიბრძანა სასომან ჩემმან ბერმან არსენი და თვთ სულიერმან ბერმან, მოძღუარმან ჩემმან იოანე, რათამცა წესსა ზედა სუმონწმიდისასა დავსხენ მონასტრისა მღკმისა წესნი, რომელი თვთ მათ მიერ აღწერილი ვიხილე ყოვლად შუენიერად, უცთომელი გზა და წესიერი ცხორებაჲ და ანგელოზებრი მოქალაქობაჲ, რათა ღმრთისათვს ოდენ განკუ[თვნილ]ნი, მას მხოლოსა, თვნიერ საწუთუთაჲსა, ზრუნვასა ჭზრახვიდენ [და წინაშე ღმრთისა] მეოხებად კადნიერ იყვნენ.

შეწევნითა ყოვლად სახიერისა ღმრთისაჲთა და მაღლითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და მეოხებითა შესავედრებელისა ჩემისა წმიდისა შიო:სითა მიეცინ სიმტკიცე ეკლესიასა, ჩემ მიერ აღშენებულსა!

თუ მე ღირს-მყოს ღმერთმან ენკენობაჲ მისი ვიხილო, კურთხეულ არს სულგრძელებაჲ მისი, თუ არა — არსენის ბერსა, რომელ აქუს კოსტანტი და პერაპერაჲ, კალაპოტი გამოუყარონ, მოლესენ, მოხატონ, და ძემან ჩემმან დემეტრე, თანადგომითა

თურთხეულის მწიგნობართ-უხუცესისა<sup>1</sup> და ჩემთა ბერთაჲთა, აკურ-  
კხონ ჴელითა იოანე ქართლისა კათალიკოზისათა,  
ბუნა-დახუდომითა იმერთა და ამერთა ყოველთა ეპისკოპოსთაჲთა.

ვითარად მამათაჲ და პაპთა ჩემთაგან სიგელნი ჰქონან სო-  
ფელთათჳს მათთა წმიდასა ამას უდაბნოსა, რაჲცა სიბოროტთა  
ჟამათა შეცვალებულ იყო, მე კულა გამიახლებიან იგი სიგელნი  
ანუ მეფეთა შეწირულთა ანუ მთავართა ვიეთმე და თჳთ ძუელი  
და ძუელის-ძუელი ნასყიდი მონასტრისაგან, ყოველი უბეგროდ,  
უბაჟოდ და უწყენლად კულა მომიხსენებია წმიდისა მამისა შიო-  
სათჳს.

ქალაქს ტფილის, რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონებია, და  
რომელი აწ უყიდია, და რომელი მე მომიქსენებია იგი, და ანუ  
წაღმართ მოიგონ ზგიცა, ყუელაჲ უბაჟოდ და უსუხრაოდ ყოველი-  
სა სასეფოჲსა გამოსავლისაგან ჰქონდეს.

ვითა წინამძღუარსა შჯულისა ჩუენისასა, მეუფესა იოანეს  
ქართლისა კათალიკოზსა უბრძანებია და მოუნიჭებია ეკლესიისა  
ჩემისადა, რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან,  
მღჳმესა, საშჯულოჲ სამრებლოჲ არს ყოველგან, თჳთ მემღჳმისა  
დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოაჭმაროს; და  
ამისთჳს რომელ მიპრონსა მოანიჭებდეს<sup>2</sup> ქართლისა კათალიკოზი,  
✱ ჩემსა ეკლესიასა შინა სახელი მისი მოიქსენებოდეს პირველთა-  
თანა, მღდელისაგან.

ბროლისა, ბაზიჯისა და მინისა კანდლები, რომელი მე მო-  
მიქსენებია და რომელი არსენის დაუდგამს, ნუმცა-ვის უკადრებია  
გამოღებაჲ.

სასანთლები, სიწმინდის სამსახური და რაჲცა უნდა  
მისთჳს, ოც-და-ათი ლიტრაჲ ვეცხლი წმიდისა არსენის ჴელსა არს.

ცკლი, ვითა გამიჩენიან ვაჭართა ზედა ჟამად-ჟამადი, იგი  
ამსახურონ.

საზრდელი ძმათა — პური, ხილი ფურნისაჲ, ხუთასისა დრა-  
მისა წონი, ნუმცა ოდეს მოაკლდების.

სამღღევროდ<sup>3</sup> ღჳნოჲ, ჟამსა სთულისასა, შემსგავსებულად მო-  
სულისა, შინათ მოართუან მსახურთა მონასტრისათა ყოველთა ერ-  
თი საწყაჲვი. ეგრეთვე სხუაჲ ყოველი საჭიროჲ საჭმარი, შემოსავალ-  
თაგან მონასტრისათა.

სხუაჲ: ნაბჳობი, და ქულბაქთაჲ, და საზეთეთაჲ, და წისქჳლ-  
თაჲ ყოველი შესამოსლად განეყოფოდის.

<sup>1</sup> მწიგნობართ-უხუცესისა]მწეთ-უხუცესისა A.B. <sup>2</sup> მოანიჭებდეს—A. <sup>3</sup> სა-  
მღღვიროდ A.B.



ოც-და-ათი ჯორი, რომელი აწ მე მომიტყენებია, ამას ნუ დააკლდების.

ძუელითგან ვითა სიგელი შეუვალობისაჲ აქუს ცხუართათჳს უსაბანჯრობისაჲ, სამი-ათასისა ცხურისაჲ მთასა და ბარს, აწ მე მომიტყენებია ორი ათასი ცხუარი: და ხუთი ათასი ცხუარი, თჳთ სასეფოჲ მონასტრისაჲ და მათთა მეცხოვრეთაჲ, უსაბანჯროდ, უბაჲოდ და უწყინელად დგეს და იარებოდის ჩუენსა ჭამბარსა გუერდით. და ამისი გამოსავალი ცხუარი ჯორსა იყიდდეს, მატყლი— მსახურთა მონასტრისათა და წუელაჲ ძმათა მიეცემოდის.

ასი ფური მომიტყენებია, რომელ თრიალეთს მთასა, სოფელსა ბჭითს და ბჭითს ზეითს სოფლებს, მათსა საფურესა მუხნარს დგეს. მომეტებული ზროხაჲ, ჯორსა და ცხენსა მონასტრისა სამსახურებელსა იქმოდეს. ჭარი სამცხოვრებელთა სამუშაოთა ადგილთა მოაჭმარონ.

თჳალი და მარგალიტი, ჩემისა ხატისათჳს რომელი დამიც და ორნი ბროლისა სასანთლენი, მას ემსახუროს უკლებად.

ბროლისა ბარძიმი და ბაზიჯისა ფეშხუემი სიწმიდისა განახლებისა სამსახურად მოიჭმარებოდის.

სხუაჲ ჭურჭელი, იავარი სპარსთაჲ, რომელი არსენისდა და იოანესდა მიმიტალაფს, იგი მისსა ჟამსა ჩემსა მონასტერსა გაგზავნოს ძემან ჩემმან დემეტრე.

ძელი ცხორებისაჲ და ნაწილნი წმიდათანი, ორი მოთხე საესე, ესე თჳთ ამას ჩემსა ეკლესიასა შინა იყოს.

წმიდათა დიდთა მარხვათა ყოველთა პარასკევთა ეკლესიას ტფილსა სეფისკუერსა განუყოფდენ საკსენებელად ჩემდა. და პირველისა შვიდეულისა პარასკევსა თითო კარასეული მიეცეს, სეფისკუერსა და თესლსა-თანა შესუან ყოველთა<sup>1</sup> და მილოცონ ესრეთ: «უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისანი!»

მემსგეფსე ყოველთა კვირათა ჩემთჳს წირვიდეს ჩემსა ეკლესიასა შინა და მამაჲ მემღჳმე მას დღესა სერსა უყოფოდეს.

რომელსაცა დღესა ჩემი განყოფაჲ იქმნას ჳორცთა ამათგან უბადრუკთა და მრავალმცოდველთა, ღამის-თევაჲ და ლოცვაჲ ყონ ყოველმან სიმრავლემან, და მას დღესა ჟამის-წირვაჲ ჩემთჳს აესრულებოდის.

<sup>1</sup> ყოველთა—A.

სოხასტერი, ვითა ბერსა განმანათლებელსა ჩემსა არსენის გაუწესებია და მე ხუდაბუნი შემიწირავს მუხრანს წმიდისა სკმონ საკრველ-მოქმედისადა, რომელმან სამისა დლისა მკუდარი აღმა-დგინა, იგი, ვითარცა თვთ არსენი განაწესის, ეგრე იქნას, გარნა ჩემ-მიერ ესე-ოდენი, რომელი შემდგომად არსენისსა განკრძალული მღვდელი იყოს მაქსენებელი ჩემი შეუწყვალებლად.

ტფილის საამილოთ, ვითა სხუთაცა ნიშნითა თვთ ჳელითა ჩემითა დამიწერია ასი დრაჰკანი მღვდელთა და მგალობელთათჳს, ნუფინ დააკლებს მას დღესა, რომელსა მომიტყენოს ღმერთმან, გაიყონ მღვდელთა და მგალობელთა.

ვითა აწ არსენის გაუწესებია ყოველთა კვრათა ღამე-ყოველ ღამისთევაჲ, ნუ ვინ შესცვლის ამას წესსა.

და ტუ რათის უბანსა რომელ მეზურენი დაუსხმან და ზუ-არნი და მიწანი, ამისი პური ეკლესიას მიეცემოდის თითოჲ კვრახს ძალითა და თითო კარასეული ღვნო.

ოდეს ზეზადნისა ციხე და მუხრანი ძუელითგან ვეცადე მათ-გან ძებნითა, მაშინცა არა იყო ნებაჲ ჩემი, მამამან ჩემმან უბოძა, მით რომელ სხუათაცა ჰქონებოდა მათთა გუართა და არავის ოდეს ექნა ჩუენი ერთგულობა.

აწ ძაგანმან სადგომად საეპისკოპოსნიცა უდიდესნი გარნა სამთავროდ, თვთ აღრითგან მამაობასა ეწერაყე საეპისკოპოსოდ, და მცხეთისა საქონებელნი მრავალნი დაემჭირნეს, და წილკანი საყდრისა. მონასტრისა რაცა იყო: მთასა ციხე, მარანი ანუ მათური იგი სოფელი და მღვმე მონასტერი შიგან ციხედ და სადგომად ჰქონდეს თვთ.

ოდეს მოიქცა<sup>1</sup> საღმობა მისი თავსა მისსა, ყოველი ყოვლითავე უკუნ-ეცით ნაქონები მისა-მიმართ თვსებული და მღვმეს-ქონებანი მისნი საავაზაკონი და წარტყუენილი, ვითა მამისა ჩემისა ბრძანებასა შიგან გაჩენით სწერია. აღარ-ოდეს მიგელოს იგი და არცა-ვის სხუასა საქმე უც მღვმესა-თანა და არცა მღვმისა ქუაბთა.

ვითარ-იგი თვთ სანატრელისა მამათა ნათლისა შიოჲს ან-დერაში სწერია, უფალი მღვმისა ღმერთია, მეუფე---წმიდაჲ მამა შიო; და მეფეთათჳს ლოცვა აღასრულონ, ვითა თვთ წერილნი წმიდანი უმოძღურებენ და ვითა თვთ იგინი. თვნიერ მეფეთა სა-წირავისა [არაჲ] საქმე ყოფილა მღვმესა თანა, არცა-ვის აწ უც საქ-მე, თვნიერ ლოცვისა და შეწირვისა.

<sup>1</sup> მოიქცეს AB.

აწ სვიმეონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შევედრებულ. რა-  
ცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყოფოდის, რომელსა ჩვენ  
ვერ მივიწინეთ. და შემდგომად მისსა, თუ მისსა აღვილსა ამითვე  
წესითა სხუაჲ მწიგნობართ-უხუცესი<sup>1</sup> იყოს, იგი იურვოდის.

და თუთ ძუელთა და აწინდელთა ქართლისა კათალიკოზთა  
ჯელნი ვითარად ჰქონან, არცა ქართლისა კათალიკოზის საქმე არს  
მღვმესა ზედა, არცა ვის სხვა ეპისკოპოზისა, არცა ზერი, არცა  
მეფეთა, არცა მუხრანისა მგეთა; არცა მღვმისა შემდგომად ვის  
აქუს ჯელმწიფებაჲ, არცა მათთა აგარაკთა და საქონებელთა-თანა  
ვის საქმე უც.

და ესე ჩემგან აღშენებულნი ეკლესია ნიჰად ჩუენობისად კმა  
ეყოს ყოველთა.

ოდეს მუხრანს ვიყვნეთ, წმიდისა შიოხს ხატსა შეგუანთხვნენ,  
სამი სეფისკუერი, ერთი ფილას საზედაზე და ფარჩითა კაპარი  
გვევლოგიონ. მთავარმან მემღვმემან [მოასუენოს] ჯუარი მისი, მას  
გვაამბორონ, ჩუენ პატივსცეთ, ვითარცა სულიერსა მამასა ჰშუენის,  
საჯდომელითა და სერიითა.

თუნიერ ერთი მიიცვალოს, ვითა თუთ წესი არს მის წმიდი-  
სა შიოხს საფლავსა ზედა წილგდებაჲ, ამით სხუაჲ განაჩინონ და  
ჩუენსა დარბაზსა მოიყვანონ, და ჩუენ არგანი მოვაჯსენოთ და  
შეგვედროთ მონასტერი.

და თქუენ, შემდგომად მომავალნო<sup>2</sup> მეფენო! ჩენსა ეკლესიასა  
და მონასტერსა ანდერძითა ამით შეგვედრებ, წინაშე ღმრთისა  
შეკრებასა ჩუენსა, რომელ არ-სირცხელისა თანამდებად იხილვენეთ  
ღმრთისა და ანგელოზთა მისთაგან, მოიქსენნეთ ვედრი ჩემი და ნუ  
ოდეს დამივიწყებთ დავითს; ჰნახედით გულსმოდგინებით ქმნილსა  
ჩემსა ეკლესიასა და ნუ ოდეს ვის გაარყვენეთ კულა მას დიდებულ-  
სა ლაგრასა.

და აწ, შემდგომად ამისსა, ანუ მეფემან, ანუ მთავარმან, ანუ  
ეპისკოპოსმან, გინა მონაზონმან, გინა ჯელისუფალმან-ვინ, თუნდა  
გლებმან და თუნდა აზნაურმან ანუ ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად  
იურვოს, ანუ ვინ საურავი მოულოს, ანუ ქრთამისათუს, ანუ თუ  
თუთ იქმოდეს, ანუ მძლავრებით და ანუ თუ ღვთის-მსახურებასა  
რასმე აჩუენებდეს, ანუ მღვმესა შიგან სადგომად იურვოდეს, ანუ  
თავისათუს ოადმე მოსაჯმარებლად, ანუ გარეშე მონაზუნისა<sup>3</sup> მწიგ-  
ნობართ-უხუცესისა<sup>4</sup> სასაურაობასა ვინმე იკადრებდეს რააგუა-

<sup>1</sup> მწიგნობართ-უხუცესი] მწეთ-უხუცესი A. <sup>2</sup> მომავალნო—A. <sup>3</sup> მონაზუნ-  
ისა], მონასტრისა A. <sup>4</sup> მწიგნობართ-უხუცესისა] მწეთ-უხუცესისა A

რი გინდა ვინ იყოს, — პირველად შენ, დაუსაბამო და დაუსრულებლო ღმერთო, მიაწიე რისხვად შენი დაუსრულებლად მის ზედა: ნუმცა უხილავს ნათელი ღმრთაებისა შენისაჲ; ნუმცა მიეცემის წყალობაჲ შენი, ნუცა ცუარისაგან ზეცისა, ნუცა ნაყოფისაგან ქუეყანისა; იყავნ სამკვდრებელი მისი ოკერ და ნაშობნი მისნი მოსასრველ; მოლოდებასა შინა წყალობისასა რისხვად შენი ეწიენ; გონებისა, ცნობისა<sup>1</sup> და ხედვისაგან ოკერ ყავ იგი ღმერთო.

ხოლო შენ, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, განყოფასა მისსა ჯორცთაგან განყავ იგი ნაწილისაგან ცხოვნებულთაჲსა და შური იძიე, ვითარცა მგმობარსა შენსა ნესტორს ზედა.

ხოლო შენ, წმიდაო ღმერთ-შემოსილო მამაო შიო, ოდეს დასჯდეს ქრისტე-ღმერთი განსჯად ყოველთა ტომთა და საქმეთა, წარმოუდგე და განესაჯე, და ვითარცა შემაწუხებელსა შენსა ზედა, ეგრეთ შური იძიე პირითა ღმრთისაჲთა.

უკუეთუ ჟამი მომცეს ღმერთმან და სხუად უახლესი ანდერძი დაეწერო, იგი თქუენ, თქუენ-მიერითა კანონითა, უჯუარობითა, წყევითა და შეჩუენებითა დაამტკიცეთ, წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოზო და ყოველნო მღდელთ-მოძღუარნო.

და თუ სხვისა<sup>2</sup> დაწერად ჟამი აღარ მომხუდეს, თუთ ესე დაამტკიცეთ. და რაჲთაცა-რას ვინ მღვმესა დააკლებდეს, კანონითამცა თქუენ-მიერითა კრული არს გაუქსნელად.

მხედრულად დავითის (?) მინაწერი:

სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო, მტკიცე მტკიცედ აქციე<sup>3</sup>.

†

გ. [ანდერძი დავით აღმაშენებლისა]\*

[1125 წ.]

[გვ. 21] გიბრძანებს და მოგაქსენებს მეფეთა-მეფე დავით, ღმერთა შინა სიკუდილისა და სოფლით განსლვისა მისისათა, ჩემ მიერ—უნდოჲსა და უღირსისა მლოცველისა მათისა ბერისა პირითა, თქუენ, ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოჲსა<sup>4</sup> მისისათა: კათალიკოსთა<sup>5</sup>, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა.

<sup>1</sup> ცნებისა A. <sup>2</sup> სიტყუსა A. <sup>3</sup> მტკიცე მტკიცედ აქციე] დამტკიცე, მტკიცედა უქციე B. <sup>4</sup> სამეფოსა A. <sup>5</sup> კათალიკოზთა B.

\* ანდერძის გვიანდელი სათაური: „ანდერძი დიდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა, პანკრატონ-დავითიანისა, რომელი წარმოუთხრა მოძღვარსა თქუსა არსენის, ჟამსა გარდაცულებისა თქისასა, ყოველთათჳს დიდებულთა თთჳსა“.

უკუდავი და დიდებისა მოყუარე<sup>1</sup> და მეფობისა<sup>2</sup> ტრფიალი მეღვა ბუნებაჲ, და არა-მიოდეს მივიწესნებდი დღესა ამას სამარადისოდ საფლავად მისლვისა ჩემისასა, და ვერ უძლე დატევებად საწუთოსასა<sup>3</sup>, ვიდრე არა დამიტევა მე საწუთომან და დამძიმებული ცოდვათა სიმრავლითა მწუხარედ განმიყვანა წინაშე მსაჯულისა.

რამეთუ მრავალნი წყალობანი ჰყვნა ჩემ ზედა სოფელსა ამან შინა: რამეთუ მომცა პირველად შვილი ესე ჩემი დიმიტრი, სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვნებითა და სიმკნითა უმჯობესი ჩემსა. და ნამდვილ ესეეთარსი ჯერ-იყო მეფე, მოცემული ღმრთისა მიერ მკვდრთათჳს სოფლისათა მართლ-მორწმუნეთა.

მე წარვედ წინაშე მსაჯულისა, მისისაებრ განმგებელი მეფობისა.

(რამეთუ მხიარულ ჰყდრდის ყრმაჲ ესე დაფარულთა გულისა ჩემისათა და მენებაცა მოცლა საწუთო<sup>4</sup>საგან<sup>4</sup> მეფე-ყოფითა მაგისითა, რომელი-ესე ღმერთმან და მე და ორის წლითგან მოძღუარმან ჩემმან უწყით.

[322] გარნა მძლო საწუთომან, და წალმართ ქადებულნი ეამნი მიმტყუნავე, და მომაგო ჩემნი და მამისა ჩემისა კირნი, რომელთა მიმიქცევიან ამისგან პირნი და თუაღნიცა.

გარნა განბჭო მართლად-მსაჯულობამან ღმრთისამან და ესერა მიწოდ<sup>5</sup> მე, და უწოდა მაგას მეფობაჲ, მამული და ახლად მოგებული ღუაწლითა ჩემითა და თქუენითა: ნიკოფსითგან დარუბანდისა<sup>6</sup> ზღუადმდე<sup>7</sup> და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე.

და მივიანდვენ შვილნი და დედოფალნიცა, შუამდგომელობითა ღმრთისაჲთა<sup>8</sup>, რათა ძმაჲ მისი ჯაზარდღს. და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-იყოს ცუატა, შემდგომად მისსა მეფე-ჰყოს მამულსა ზედა, და დათა მისთა პატივ-სცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყუარელთა.

ამას ყოველსა თანა-წარუძღუვანე წმიდაჲ ძელი ცხოვრებისაჲ და მივეც დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საკურტლენი ჩემნი ზემონი და ქუემონი.

ხოლო დრაჰკანი<sup>9</sup>, კოსტანტი ცუატას<sup>10</sup> და ჩემნი ლაღნი<sup>11</sup> და თუალ-მარგალიტნი ხახულისა ღმრთისმშობლისადა შემიწირავს.

<sup>1</sup> დიდების მოყუარე A. <sup>2</sup> მეფობის A. <sup>3</sup> საწუთოსა B. <sup>4</sup> საწუთოსაგან AB. <sup>5</sup> მიმიწოდა B. <sup>6</sup> დადუბანდისა A. <sup>7</sup> ზღუადმდე] საზღურადმდე B. <sup>8</sup> ღთისათა AB. <sup>9</sup> დრაჰკანი A. <sup>10</sup> ცუატა AB <sup>11</sup> ჩემნი ლაღნი] ჩემთა ალაღი AB.

ხოლო დუკატი და პოტინატი ატენისა საქურჭლისა, იგიცა ჩემითა<sup>1</sup> სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა. თუ არა, ნახევრისათუც წინაშე ღმრთისა ვესაჯები, რათა რომელნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი განმომწარებიან, მოძღუარმან ჩემმან უკუნ-ცემითა მათითა<sup>2</sup> ალოცნეს ჩემოვს.

ხოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძუალე შვილთა ჩემთა უსრულად და წარმყვა მისთუცა ტკივილი სამარადისოა.

აწ<sup>3</sup> შვილმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულ-ჰყოს ყოველითურთ საუკუნოდ ჩემოვს და მისთუც და მომავალთა ჩემთათუც; რომელნი მიმიცემიან<sup>4</sup>, მისგან ნურას მოაკლებს.

და ადგილნი, რომელნი მიშოვებიან<sup>5</sup> უმკვდრონი და უმამულონი, მათგანნიცა ვითარცა ბერმან არსენი და კათალიკოსმან<sup>6</sup> გამოარჩიონ, მეფემან დიმიტრი მიცემითა წერილთა<sup>7</sup> და სიგელთა განასრულონ ყოველითურთ უნაკლულად.

ვ. [გააულის ფლოგალოგისა და შუშვალოგის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი] 1  
f

[1170 წ.]

ქ. სახელითა ღმრთისაითა, გიორგისაგან ბაგრატიონისა, ნებითა<sup>8</sup> ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა. მეფისა, შარვანშა და შაჰანშა და აღმოსავალისა და ჩრდილოისა მფლობელისაი.

მოვიდეს ჩუენ წინაშე წმიდანი მამანი უდაბნოისა დიდისა მღუიმიისანი, მამაი იოანე მემღუიმე და მოიხუნეს სიგელნი დიდისა მეფეთა მეფისა, პაპისა ჩუენისა, დავითი[სი] და მამისა ჩუენისა დემეტრე მეფისანი და სხუანი ძუელნი მრავალნი პაპათა და მამათა ჩუენთანი; და გუეპაჯნეს და მოგუაჰსენეს, რ[ათა]მცა, ვითა მათ სიგლითა მათითა გაუჩენია და გაუგია პირველად თუით წმიდისა მის უდაბნოისა მღუიმიისათუის, და მერმე ყოელნი სოფელნი მათნი გაუთავისუფლებიან ყოელისა მაწყენრისა მათისა და დამაჭირებლისა და ჩუენთა კელისუფალთა შესავლობისაგან; ეგრეთვე ჩუენ გაუახლენით ძუელნი სიგელნი სიგლითა ჩუენითა და დავამტკიცეთ ბრძანებაი და სიგელი პაპათა და მამათა ჩუენთაი.

<sup>1</sup> ჩემისა B. <sup>2</sup> მათთა A. <sup>3</sup> აწ] ა A. <sup>4</sup> რომელი მიმიცემია B. <sup>5</sup> მიშოვებიან A. <sup>6</sup> კათალიკოსმან B. <sup>7</sup> წერილთა] წერათა AB. <sup>8</sup> + და.

ჩუენ ვისმინეთ ჰაჯაი მათი და მოკსენებაი და დიდთა მეფეთა პაპისა ჩუენისა და მამისა ჩუენისა ბრძანებანი და სიგელნი ამითა ჩუენითა სიგლითა გაგუიახლებიან და მათნი დაგუიმტკიცებიან.

პირველად თუით წმიდაი იგი უდაბნოი მლუიმი, ვითა ყოვლითურთ უწყენარი ყოფილა და თავისუფალი ყოვლისა წყენისაგან, ეგრევე იყოს, ვითა თუით პაპისა ჩუენისა ანდერცსა სწერია. ნუმცა ვის უკადრებია მას ზედა სიტყუისა შემოღებია და ცილობაი.

მერმე აგარანი მათნი, სახელდებით: სოფელი სხალტბაი და მათი კერძი გოროვანი--წმიდისა ევაგრესგან მოსყიდული: აგარაი—ჯოჯიკისგან მთავრისა მოსყიდული; რუეთი—ნასყიდი და შემოწირული; შიოის-უბანი ყოველი—მოსყიდული თუით მონაზონთა მეუდაბნოეთაგან; ჩიქუნურნი—რუსისა ნასყიდნი, მისგან აშენებულნი და შემოწირულნი; ხორვაი—მამისა ჩემისა ნაბოცვარი სამლუიმოდ, გოგრაქისაგან შემოწირული; ივან-წმიდაი—ძუელადვე გოდერძისა შემოწირული; დაოთი—კვირიკე კახთა მეფისაგან შემოწირული; ალაჭინი--ხახულიაგისგან შემოწირული; თრიალეთს ბჭითი—აღარნესესგან ნასყიდი და შემოწირული; მანგლის ჰეეს ბორცუის—ჯუარი ძუელადვე მლუიმისაი, ლიპარიტეთგან წაღებული, აწახლად პაპისა ჩემისა დიდისა მეფისა დავითისგან შემოწირული; მოუგონელთა, ფერჯადის და ფიცეს—წურღმანად გლეხები; ცხირეთს ცხევერი და გაეაზელნი—წმიდისა შიოის ოქროითა და ვეცხლითა მონასყიდი ფავნელთა და ტბელთაგან; კობალი, რაიც რატი სურამელიისაგან შემოწირულია, და მათ მიდამოთა, რაიცა გლეხები ნიჩბის, სასხორს და ყოელგან საღმე მოსყიდული და შემოწირული.

მესამედ\* ციხედიდს გლეხნი, ძუელადვე ნასყიდნი, მათითა სამართლითა ტყითა, წყლითა, ველითა, საკმრითა და უკმრითა, ვითა კათოლიკე ეკლესიისთა აქუს საკმარებლად, რაიცა საკმარებელი, ესე ყოელნი მათნი საქონებელნი შეუვალ გუიქმნიან ყოვლისა შესავლისაგან, თუით ჩუენისა სასეფოისა და ყოვლისა მათისა მოახლისაგან, ვითა ძუელითგან შეუვალნი საერისთვოისა, საციხისთვოისა და საშურტაოისა ყოვლისაგან.

ეგრეთვე ქალაქს რომელ ქულბაგნი აქუან, ხუთნი სპარსობითგანვე და ოთხნი რომელ უჯანის მოუყიდნიან და შემოუწირვან, თავისუფალნი და უხარაჯონი საამიროისა, საამიდოისა, სარაისოისა, საგუსტასიბოისა და ყოვლისა სანუკერისაგან.

\* „მესამედ“ ჩაწერილია მერმე გადაფხვილ ადგილას.

ეგრეთვე წმიდაი იგი უდაბნოი მღუიმიე პირველად და მერ-  
მე საქონებელნი მათნი უბაჟონია ჩუენსა სამეფოსა შიგან ყოველ-  
გან, და ჩუენცა გაგუითავისუფლებიან ბაჟისაგან ვაჰარნი და გლეხ-  
ნი მათნი.

ცხუარნი მათნი და მათთა სოფელთა: ცხევერელთა,  
გავაზელთა, ციხედიდელთა და სხალტბელთანი, ვი-  
თა ძუელითგან უსაბანჯრონი ყოფილან, ეგრეთვე ჩუენგან შეუ-  
ვალნია, და ნუ ვისგან აელების საბანჯრე.

მათნი სოფელნი იოანე ქათალიკოზისა<sup>1</sup> მინიჭებითაყო-  
ველგან და პაპისა ჩემისა დიდისა მეფისა დავითისგან მათისა-  
ეკლესიისათუის ბოძებულნია, რომელ სასჯულოი მოსავალი სანთლად  
მოიქმარონ, ეგრევე აწ გუიბრძანებია და დაგუიმტკიცებია ჩუენ,  
რომელ მათთა სოფელთა სასჯულოსა ნუ ვინ ეცილების.

და თუით ქანდაი მათი საფურე და მისსა მზღვარსა შიგან  
აშენებული მამისა ჩემისაგან.

წყალშატროანი, ვითარად მამასა ჩემსა მოუცვალებია,  
იგი ჩუენ მოგუიქსენებია, მასვე ეკლესიასა პაპისა ჩემისა აღშენე-  
ბულსა ჰქონდეს მათი მოსავალი სასჯულოი ყოველი, და ქანდა-  
ისა ნაცვალი ჩუენ მოვაჯსენოთ წმიდასა შიოს, სადაცა მემლუი-  
მემან ინებოს.

მამასა ჩემსა მუხნარსა შენებასა შიგა თუის თავსა ერთ-  
სა დღესა სამუშაოი ექნევიან მათთა სოფელთადა რუეთისა და  
სხალტბისადა, და ზედა დასდებოდა გელისუფალთა ჩუენთაგან,  
და იგიც გაგუიშუია, ნუცა რუეთისა და სხალტბასა და ნუ რომ-  
მელსა სოფელსა მათსა რაი ექნევის ნურაი სამუშაოი ჩუენი სასე-  
ფოი, თუინიერ სავნავი გუმსახურონ ორი დღე რუეთელთა,  
შიოის-უბნელთა და ჩიქუნურელთა, ამან სამმან სოფელ-  
მან, და ორი დღე სამკალი ამათვე სამთა სოფელთა: რუეთმა,  
შიოის-უბანმა და ჩიქუნურთა, ოთხთა კურისა მრეცხელთა  
სხალტბელთა მარანსა ჩუენსა ტყე-კორათა მოსცემდენ სამსა-  
კურიასა.

სამართალი სამპარავთ-მეძებლოი არცარაი წინაის შესრულა,  
ნუცა სადა აწ შეველენ ჩუენნი მპარავთ-მეძებელნი, თუინიერ თუ  
გარეთი ნაპარევი შელა-ვლეს მღუიმიისა გლესსა. თუ მრავალჯერ  
ეპაროს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ანუ გაპა-  
ტიჟონ. და თუ გარდაიხუეწოს სხუაგან, სდევედენ ჩუენნი ჩენილნი.  
და მისსა საქონელსა თანა არაი საქმე უც ჩუენთა მპარავთ-მეძე-  
ბელთა, თუით მემღუიმიისა გელისუფალმან თავნი ნაპარევისა პატ-

<sup>1</sup> ქათალიკოზისა.



რონსა შეუქცინეს და სამართალი წმიდისა უდაბნოისათუის აიღოს.

ბაზიარნი ერთსა დღე-ღამესა აგარას დადგენ უწყენლად, ზემოით მომავალნი, მეტად ნუოდეს დადგებიან. სხალტბელთა წყალშატროანს პატივ-სცენ ბაზიართა.

მონადირენი ჩუენნი ნუ სადა შეუდგებიან ნუ-რომელსა სოფელსა მათსა, რაოდენ ქანდაი მონადირეთა სადგომად მოიცვალა მამამან ჩუენმან მეფემან დემეტრე მლუიმისაგან და ნაცვალნი ჩუენ მოვაჯსენოთ წმიდასა მამასა შიოს; და ქანდაი მონადირეთა სადგომი არს.

აგარისა სოფელმა ერთი ტაიჭი შეგუინახოს თორმეტითა რემითა მათ რემათა დაცვამდე. და სხუათა სოფელთა მათთა მერემენი ნუცა სიახლესა დადგებიან, ნუცარას აწყენენ, ნუცა ტაიქთა უძღებენ, ნუცა კაცსა წაჭგურიან მძოვნებელსა. ჩუენთა სასეფოთა აღვილთა შიგა დადგენ და მლუიმისა სოფელთა თანა არაი საქმე უც მერემაეთა.

მეჯორენი ნუცა სადა მათსა შიგა დადგებიან, ნუცა სადა შეესიძებიან, ნუცა მერემაენი, ნუცა მეჯორენი, ნუცა მანდატურნი, ნუცა მესაწოლენი და ნურაი დარბაზისერი, ნუ-რომელი. ყოველითურთ უწყენრად იყოს იგი წმიდაი უდაბნოი.

ესე ყოველი, ვითა გუიბრძანებია და დაგუიწერია გაჩენით წმიდისა უდაბნოისა მლუიმისათუის, ნუმცა ვის უქადრებია წყენაი, ნუცა მის წმიდისა უდაბნოისა მლუიმისაი, ნუცა მათთა საქონელთაი ნურაი დაჭირებაი, ნუ ქათალიკოზთა<sup>1</sup>, ნუცა სხუასა ებისკოპოსსა, ნუცა ერისთავთ-ერისთავთა, ნუცა აზნაურთა, ნუცა ჩუენთა ტელისუფალთა, ნუცა ციხისთავთა, ნუცა ჩინებულთა და ნურას გუარსა კაცსა ნუ, რათა ღმერთმან, წმიდისა ღმერთ-შემოსილისა მამისა შიოის მაღლითა და წმიდათა მემლუიმეთა ლოცვითა ამას საწუთოსა წარმართებაი მოსცეს მეფობასა ჩუენსა, და მერმესა ცხორებასა ბრალთა ჩემთათუის შემწე მეყოს წმიდაი მამაი შიო, წინაშე ქრისტესსა.

აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი, ყოველთავე დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ, თუინიერ შეწევისა და თანადგომისა, და თქუენ, წმიდაო მამადმთავარო ქათალიკოზ<sup>2</sup> და წმიდანო მღდელთ-მოძღუარნო უჯუარობითა დაამტკიცეთ.

<sup>1</sup> ქათალიკოზთა <sup>2</sup> ქათალიკოზო.

დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა იდ, კელითა მწიგნობრისა ჩუენისა დანგა ბრუტაისძისაითა.

გიორგი მეფის (?) ხელით:

ქ. მტკიცე არს ნებითა ღმრთისაითა.

10. [საქართველოს მეფისის უმუხალთობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა]

[1178 წ.]

წ  
f

[ქ. სახელითა ღმრთისაათა, გიორგისაგან, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა] 'და სომეხთა მეფეთა-მეფისა, [შარქვანშაჲ და შაქანშაჲ და ყოვლი]სა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა [ფ]ლ[ობ]ით მპყრო[ბე]ლისა.

წელსა მეფობისა ჩუენისა კა-სა, ოდეს ბირებითა და განძრახებითა ეშმაკისაათა შეითქუნეს ვიეთნიმე მეფო[ბ]ისა ჩუენისა დიდებულნი და აზნაურნი ორგულობისა ჩუენისათ[უ]ის] და ძმისწული ჩუენი გაგუიყენეს და მრავალი ჭირი [და გა]ნსაცდელი აღგუიდგინეს.

გა'რქნა მრავალმოწყალებამან [და] არდავიწყებულებამან ქმნულებისა მისისამან ცუდ ქნა ამათა განძრახვად და შეთქმულებად მათი და დაპქსნნა ყოველნი ღონენი მათნი და განაბნივნა ყოველნივე ზოგნი სა[...]თსა შინა სიკუდილითა და გარდახუეწითა, და რომელნიმე ჩუენსა] სამეფოსა შინა ფერკტა ქუეშე ჩუენთა დასცნა.

ჩუენგან ამისა კუა[ლ] მსგავსი სამადლობელი რაიმცა მიემადლებოდა ღმრთაებასა მისსა განსადიდებელად ღმრთაებისა მისისად და კეთილად დაცვისათუის მეფობისა ჩუენისა, და სულიერად ქსნისათუის სატანჯველთასა, მოვიგონეთ ეკლესიათა სამეფოსა ჩუენისათა ყოვლისა ბეგრისა უსამართლომსათა და დაჭირებულისაგან ქსნად და განთავისუფლებად.

და ამისვე მიზეზისათუის შეკრბეს ყოველნი სამეფოსა ჩუენისა მონაზონნი და ებისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათალიკოზნი, მოძღუარნი და ყოველნი მეუღაბნონნი და მათცა გუიბრძანეს და მოგუაჯსენეს დაჭირებულობად ეკლესიათად და განრყუნად ს[ა]სჯულთა საქმეთა.

ამისთუის განვაჩინეთ კაცნი ყოველგან და განვაგეთ გულს-მოდგინედ შეკაზმვად და განთავისუფლებად წმიდათა ღმრთისა ეკლესიათად და გლახაკთად, რომელი თუით დაწერ[ილი]...

მინაწერი:

[ქ] ჩუენისა სულისაგან ღმრთისაგან ესრე გაგუიწესებია, ვითა აქა სწერია და ვითა მონასტრისა წესსა ჰმართებს, ეგრე დაგვი-  
ქირავს და ყოველი უსამართლო ბეგარი აგვიჩ[სნია]...

II. [შეფიკულეზის სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი]

[1188 წ.]

ქ. სახელითა ღმრთისაითა მე, თამარ ბაგრატიუნიან[მან, ნ]ებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სო-  
შებთა მეფემან და დედოფ[ალ]მან, შარვანშა და შაჰანშა და ყო-  
ლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუით მფლობელმან [ვი]-  
ნებე, [რა]თამცა წარსამართებელად მეფობის ჩემისად და  
კუალად[ცა შემდგომითი-შემდგომა]დ მომავლისა ჩემისა სინათლი-  
სა, იესო [ქრისტესადლ]გომასა ჟამსა სალხინებელად სულ[ისა]...გან  
მცირი ქველის საქმე ჩენილიყო.

ღმრთივ გუირგუინიანთა მეფეთა პაპათა ჩემთაგან სრულქნილ-  
სა, ყოვლითურთ შემკობილსა საყოფელსა დედისა ღმრთისასა, სამ-  
კუიდრებელსა დიდსა მონასტერსა გელათსა შინა, რომელი აღაშე-  
ნა სალოცველად სულისა მათისად და წარსამართებელად შემდგო-  
მად მათსა მომავალთა ტახტსა მათსა ზედა მსხდომთა მეფეთა.

და არ იყო დაკლებული და გაუგებელი მის მონასტრისა საქ-  
მე, ამისგან კიდე, რომელ აღმენებისავე მის მონასტრისასა ზედა  
თორმეტი მწირი იყო დაწესებული სპონდიოსა გარეთ. და არ იყო  
საზრდელ მათდა, თუნიერ რომელ, თუ ვინ გარეთმან გარდაიჟა-  
დოს აღაპი, მაშინ შეუშუნი ტრაპეზსა; და სხუებრ არა [ა]ქუნდა  
ტრაპეზისაგან; და ყოვლითურთ უღონონი გარეთ უცხ[ო]თასა სა-  
ზრდელისა მომლოდინი იქირვოდეს.

ესე ეწყინა მეფობასა ჩუენსა, რათგან განწესებულად ჩნდეს  
სხუისა ჯელთ-შემხედვარობაი, ამისთუის შევსწირე და მოვაჯსენე  
დიდსა ლავრასა და მუნ შინა დაუსრულებლად განჩენილსა ტრა-  
პეზსა არ გუეთს ჭორვილაი კავაისძისა ტოლეული.

ჰქონდეს ტრაპეზსა მიუკუენისამდინ და დასხდებოდიან ყოვ-  
ლადვე დაუცადებლად იგი მწირნი თორმეტნივე ტრაპეზს; ვითა  
მას მონასტერსა შინა მყოფნი ძმანი დასხდებიან, ეგრევე თორმეტი  
მწირი დასხდებოდეს. და ჰქონდეს ტრაპეზით პური და ულოცვი-  
დენ მეფობას ჩემსა, სოფელსა ამას შინა წარმართებისათუის და  
სიგრძისათუის დღეთასა, და მერმესა მას საუკუნესა შესანდობელად  
ჩემდა.

ჰქონდეს არგუეთს ჰორვილაი კავაისძის ტოლეული წმიდასა ღმრთისმშობელსა ხახულისასა და მუნ შინა განჩენილსა ტრაპეზსა მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქვილითა, და ყოვლითა სამართლიანითა ზღვრითა და მიმდგომითა მისითა, საკმრითა და უკმრითა მკუიდრად, თავისუფლად და შეუვალად ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან, ვითა თუით სხუანი საქონელნი მის მონასტრისანი აზადნი და შეუვალნი არიან.

და არაჲინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ბრძანებულისა ამის ჩუენისაი, არცა მეუწებლე, მავნებელი და დამაკლებელი მისი.

და თუ ვინმე იკადროს ამას ჩემსა გაგებულსა შეცვალებად, გინა თუ ჰელმწიფემან, ანუ რამანცა გუარმან კაცმან, რისაც მზიზისა შემოღებითა, გა-მცა-ურისხდების მამაი, ძე და სული წმიდაი; შე-მცა-ედების ძრწოლაი კაენისი, შიშთვილი იუდაისი, დანთქმად დათან და აბირონისი; და კრულმცა არს სიტყუითა ღმრთისაითა მკუდარი და ცოცხალი გაუჰსნელად, და ნუმცა-რა წარემართების მისთუის საუმჯობესოდ ქნილი.

აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩემი: შემდგომითი შემდგომად მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა, ოთხმესღურთა, ნაცვალთა, აჯამეთის აბრიმ დათა, ტყისმცველთ-უხუცესთა, გოგნისა ციხისთავთა<sup>1</sup>, ჰელისუფალთა, გზირთა და ყოველთა საქმი[ს მოქმედ]თა ჩუენთა დიდთა [და] მცირეთა, დაუმტკიცეთ.

და ნუჲინ [უშალავთ] ბრძანებასა ამას ჩუენსა. ნუცა რას ვინ დააკლებთ, ნუ დიდსა, ნუ [მცი]რესა, თუინიერ შეწეენისა და თანა-[დ]გომ[ის]ა.

და თქუენ, წმიდანო კათალიკოზნო და წმიდანო მღდელთ-მოდლ[უარ]ნო უჯ[უ]არობით[ა დაუმტკიცეთ].

[და]იწერა ბრძანებაი და სიგელი ვ[სე] [ჩ]ემი ინ[დრიკტიონსა მეფ]ობისა ჩემისასა მე[ხუ]თესა, [ჰელით]ა საწოლისა და საჭურჭლის ჩუენისა მწიგნობრ[ის] [არ]სენი სამძიგარისაი[თა]...

...საელისაგ[ან] და სამ... და სატრაპეზოსაგან] კიდე და არა რაი საქმე უც მათთანა და არცა ვისი ჰელი შევიდო[დეს] არაის გუარის კაცისაი: არა [ჩუენი], არა ჩუენთა სამეფ[ოთა ჰელისუფალთა]...

<sup>1</sup> ციხისთავთა ]საციხიხისთავთა.

თამარის (?) ხელით:

ქ. ესე [ვითა და] მიწერ[ია]...ნ სასოებით და გულსმოღ-  
ვინებით — ჩემისა საქმისა... განაჩენი ჩემითა ჳელითა ცოდ[ვი-  
ლითა დამიმტკ]იცებია. ვინც და [ანუ რა]მანცა [გუარმან კაც-  
მან შალოს] ბრძანება [ესე ჩემი]... მტკიცე არს... 'მეცვალენ' შენ  
ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო... და ჩემ[თა] ცოდვათა და  
ბრალთა [მზღვეველ არს]... იგი დღესა განკითხ[ვი]სასა. და სი-  
ტყუა იგი მ[ას] ზედაშცა აღ[ესრულები]ს: «სის[ხლი] მ[ა]გისი  
ჩუენზედა და შვილთა ჩ[უენ]თა ზედა»\*...

სხვა ხელით:

[ქ. სახელ]ითა ღმრთისა და [მეოხებითა ყოვლად წმიდისა ხა-  
ხულისა ღმრთისმშობელისათა, მას ჟამსა, ოდეს ს]კიპტრა შარავანდთა  
მეფობისათა [მ]ფლობ ვიქმენ, ამისთუის ვითნე კ... ძღუნიელი სამად-  
ლოთა და ტაძარსა შენ წ[მიდასა] დიდებ[ულ]სა განსაკ[უ]რ[ნებე-  
ლა]დ ქრ... შენისასა, განვაჩინენ გლახაკნი ... და მოწაფეთა შენ-  
თანნი... ჩემთუის ოხათა მირთუმელობდენ შენდა მოწყალებისა  
მნებისა და ნამდუილ... ნათელ მყუისა ძისა მი...ითა შენდა გუქ...  
სა გარნი გონებადცა... ჩემგან განგებისასა შერისხვითა მოეჳა-  
დენ... ნესტორ და ორიგესი.

ქ. ამას თამარის ბრძანებასა მე, ნებითა ღმრთისათა ერის-  
თავი დავით ვამოწმებ და ვამტკიცებ. მტკიცე ყოს ღმერთმან.

კვლავ სხვა ხელით:

ქ. ესე ვითა ღმრთივ გვრგვზნოსანსა მეფეთა-მეფესა და დედო-  
ფალთა-დედოფალსა თამარს დიდისა მონასტრისა მათისა შენ გე-  
ლათს მეფობისა მათისა წარსამართებელად და სულიერად ცხო-  
ნებისათჳს ქორვილიაი შეუწირავს მუნ შინა მყოფთა მწირთა სა-  
ზრდელად და სიგელი ესე დაუწერია და საუფლოითა ქელი-  
თა მათითა დაუმტკიცებია, — მტკიცე ყავ ღმერთმან  
ბრძანება მათი, — მეცა, გლახაკი ქრისტეს მიერ კათალიკოსი  
თეოდორე მოწამე და დამამტკიცებელი ვარ.

ვინ და რამანცა გუარმან კაცმან რასაც ჟამსა, რაისაცა მი-  
ზეზის მოღებითა ჳელ-ყოს შლად და ქცევად ამას ბრძანებასა და  
გაგებულსა, კრულმცა არს პირველად დაუსაბამოისა ღმრთისა პი-  
რითა, ათორმეტთა მოციქულთა ჯუარითა, შვიდთა კრებათა მად-

\* მათე 27, 25.

ლითა, ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა, კათოლიკე ეკლესიისა [მად-  
ლითა], შენ, ღმრთივ აღმართებულის სუეტისა ცხოველის მადლითა,  
ყოველთა პატრიარქთა ჯუარითა, მღღელ-მოდღუართათა და ჩემ  
გლახაკისაცა ჯუარითა.

ვინ მტკიცედ [ყოს], აკურთხენ ღმერთმან და წმიდამან დედაქა-  
ლაქმან.

სხვა ხელით, მხედრულად:

ქ. ესე ვითა სიკეთესა და სისრულესა ყოვლისა... და მეფო-  
ბისა და შეუენიერებისა და სიმტკიცესა ქრისტიანობისასა, ყოვე-  
ლისა დედოფლობისასა... ჩუენ, ჩუენთუის გორცშემსხმულისა ქრის-  
ტეს ღმრთისა ბრძანებათასა... რომელი ერთსა მცირეთაგანსა, იგი  
მე მიყავთო, ამისთუის ათორმეტთა... ამათ სიველ...

## 12. [შაფიჩულავის დაწერილი ზიაგაჩისა შიოკლვიძიისადმი]

[1189—1192 წწ.]

...ყოვლად წმინდისა... თა, რომლისაგან შეისხ[ენ] გორცნი  
ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან და კუალად შემდგომად. შობისა  
მშობელი ქალწულად დაიცვა ძალითა ცხოველს-მყოფელისა პა-  
ტიოსნისა ჯ[უარი]სა ძელისა ცხორებისაითა, რომელსა ზედა გა-  
ნიპყრნა უბრწველნი მ[კ]ლავნი თუისნი ქრისტემან ღმერთმან ჩუ-  
ენმან ვსნისათუის ჩუენისა; თავს-მღებობითა და შეწვევითა  
წმიდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარ-ანგელოზთაითა;  
მეოხებითა და შეწვევითა წმიდისა დიდებულისა წინასწარმე-  
ტყუელისა ნაშობ[თა] ყოველთა უვალრესსა წათლისმცემელისა  
იოანესითა; თავს-მღებობითა [და] შუამდგომელობითა წმიდისა და  
ყოვლად ქებულისა იოანე მახარებელისაითა, რომელი მიეყრდნო  
სერობასა მას მკერდსა საღმრთოსა; თავს-მღებობითა და შუა-  
მდგომელობითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთაითა,  
რომელთა განანათლნეს კიდენი სოფლისანი და აღმოჰფხურეს საც-  
თური კერპთა მსახურებისაი; თავს-მღებობითა და შუამდგომე-  
ლობითა ყოველთა [წმიდათა] ზეცისა და ქუეყანისაითა, რომელნი  
პირველ საუკუნეთა და შემდგომად საუკუნეთაისა სასუფეველი (?)  
და სათნო-ყოფად არიან ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ  
ქრისტესსა; მეოხებითა და თანამოქმედობითა წმიდისა და ყოვე-  
ლად სანატრელისა მამისა ჩუენისა შიოსითა, რომლისა მიმართ  
არს სასო[ე]ბაი ჩემი;

დაწერილი ესე დაგიწერე და მოგაჯსენე მე, მან და ტ უ რ თ-  
ხ უ ც ე ს მ ა ნ და ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ მ ა ნ ჭ ი ა ბ ე რ მ ა ნ პ ი რ ვ ე ლ ა დ  
შ ე ნ, ს ა ს ო ს ა და შ ე ს ა ე ვ ე დ რ ე ბ ე ლ ს ა წ მ ი დ ა ს ა მ ა მ ა ს ა შ ი ო ს და შ ე ნ  
მ ი ე რ ა ღ შ ე ნ ე ბ უ ლ ს ა უ და ბ ნ ო ს ა მ ლ უ ი მ ე ს ა და მ უ ნ შ ი ნ ა დ ა მ კ უ ი დ რ ე-  
ბ უ ლ თ ა ყ ო ვ ე ლ თ ა მ ა მ ა თ ა და ძ მ ა თ ა.

ადრიდგან მქონ[და] სასოებაი და სიყუარული მაგის წმიდისა  
უდაბნოისა მიმართ, მინდოდა და მწადდა, რათამცა სულისა ჩემი-  
სა სალოცავი განმეჩინა რაიმე, დაჰხედლოდი, რომელ ამათ[ითა]  
სასოებითა თქუენ იყვენით ჩემდა მომართ.

ჩემსა ჟინოვნისა ქონებასა შინა ვჰკადრე და მოგაჯსენე  
ღმრთისა სწორსა მეფეთა მეფესა თამარს და მათ მიერ  
ბრძანებითა და კითხვითა გკადრე და მოგაჯსენე შენ, წმიდასა მა-  
მასა შიოს და შენთა ცრემლთა მიერ აღშენებულსა უდაბნოსა  
მღუიმესა და მუნ შინა დამკუიდრებულთა მამათა და ძმათა ჟინოვ-  
ნით მიხითარაის ძენი დავითის შვილნი: ოქროი და  
მახარაი, ბრაჰი და იოანე, მათითა სახლითა და მამულითა  
ნასყიდითა და უსყიდელითა, რომელი მიიღებდენ ყოველთა წე-  
ლიწადსა შინა ცუინსა თხუთ[მე]ტსა ლიტრასა. და ამისთვის გა-  
მიჩინეთ სალოცველად ღღესასწაული წმიდისა ეფრემისი იანვარსა  
ოცდარვასა, აღაპითა და წირვითა უცვალებელად.

გიბედნიერენ ღმერთმან მიუქუნისამდე ჟინოვნით მიხითარაის  
ძენი დავითის შვილნი: ოქროი და [მახ]არაი, ბრაჰი და იოანე,  
მათითა სახლითა და მამულითა; ჯელ-მოსხლეტითა და მოუდევ-  
რად მომიჯსენებიან და შეუვალად ყოვლისა შესავლისაგან, და არა  
ზედ-აც ბეგარი. ვითა სადაცა სხუაგან შემოწირულნი ვაჭარნი  
თქუენნი ყოვლისა მავნებელისაგან შეუვალნი და ნებიერნი სხენან,  
ეგრეთვე ესენი სხდენ. და ყოველთა წელიწადთა ამას ცუინსა მღ-  
გარტუმიდენ თხუთმეტსა ლიტრასა.

არა შეგეცვალოს ჩემგან, არცა შემდგომად ჩემისა ჟინოვნისა  
მქონებელთაგან, რაიდგან მე პატრონთა ღმრთისა სწორთა ბრძა-  
ნებითა და კითხვითა [მი]ქნია.

და ვინც რამანცა გუარზან კაცმან ჯელყოს ამისად შლად და  
გატეხად, კრულმცა არს დაუსაბამოისა ღმრთისა პირითა, ნესტორ-  
მცა არს ყოველად წმიდისა ღმრთისმშობელისათვის, არიოზ ძისა  
მისისათვის, ჰეროდე ნათლისმცემლისათვის, ნერონ წმიდათა  
პეტრე და პავლესათვის, და უთქმსცა დასასრულად სიტყუისად,  
ვითარმედ არა არს სხუაი ღმერთი, თუნიერ სამაელისასაო. და  
ყოველთამცა ბრალთა და ცოდვათა ჩემთა პატიჟსა მიმტდელი არის.

და ვინცა დაამტკიცოს, ღმერთმან ყოველი გაგებულნი და მის მიერ ქნილი დაამტკიცოს და შეუნდვნეს.

თამარის (?) ხელით:

ქ. ესე მანდატურთ-ხუცესისაგან შეწირული განაჩენი ჩემგან-  
ცა მტკიცეა.

კიაბრის (?) ხელით:

ქ. ესე დაწერილი მე, ჭიაბერსა, მეფეთ-მეფისა თამარის მი-  
წასა, მანდატურთ-ხუცესისა თამარის დღეგრძელობისთვის  
შემიწირავს იგი კაცი, და დაწერილი დამიმტკიცებია<sup>1</sup> ჩემად სა-  
ლოცვად; ვინ შეცვალოს, შე-მცა-იცვალების ქრისტეს რჯული-  
საგან.

ქ. ესე დაწერილი ჩუენ, ქრისტეს მიერ ქართლისა კა-  
თალიკოზისა თევდორეს დაგუმტკიცებია.

შემცვალებელნი ამისნი შეცვალნეს ღმერთმან სჯულისაგან  
ქრისტიანეთასა და კრულმცა არიან ცათა შინა და ქუეყანასა ზე-  
და ამას ყოფასა და მას საუკუნესა.

დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხენ და წმიდამან დედაქა-  
ლაქმან.

ქ. მე, შოთაი ჩემს თინოვნის ქონებასაც შიგა ამას ვამტკი-  
ცებ, ვითა ამასა შიგა სწერია.

verso-ზე: ქ. მე, ავაგორბელი ამისი დამამტკიცებელი  
ვარ, რომე წმიდისა შიოისდა აქ შიგა სწერია.

ქ... და დამამტკიცებელი ვარ.

### 13. [შაფიკულუბის სიგელი თამარ მეფისა შიოშვიძისადმი] <sup>1</sup>

[1201 წ.]

...[სახელი]თა ღმრთისათა... [თამარისგან ბაგრატი-  
ონისა, ნებ[ითა ღმრთისათა აფხაზთა] და ქართველთა, რანთა,  
კახთა და სომეხთა მეფისა, დედო[ფალთ-დედოფლისა] და ყოვლ-  
ისა აღმოსაელეთისა და დასაელეთისა ფლობით მ[პყრობელისა].

მოვიდა ჩუენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონ ჭყონდიდე-  
ლი მთავარეპისკოპოსი, მწიგნობართ-[ხუცესი] და პროტოპე-  
რტიმოსი და გუეჰაჯა და მოგუაქსენა, რათამცა... და რომელი  
მლუიმეს მონასტერსა სამლოცველოსა ჩუენსა წყალი მ[ოიყვანეს]  
სხალტბისაით<sup>2</sup> და წყლისა მის სათავესა ზედა გლეხი ჯდა სასეფო  
[ქოსაის ძენი] მის წყლისა მკაზმავად<sup>3</sup>, იგი გლეხი სამკვდროდ  
შესაწირავად მლუიმისად სული[სა] მისისათვის მას მიუბოძეთ.

<sup>1</sup> + და. <sup>2</sup> სხალტბისლთ B. <sup>3</sup> მკაზმელად B.



დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოქსენებ[აი] მისი, ვაზირისა ჩუენისა ანტონ ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოზისა, მწიგნობართ-უხუცესისა და პროტოპერტიმოსისა, და რომელ სხალტბას მის წყლისა მისგან მოღებულისა სათავესა ზედა გლეხი ზის, მიწად ერთი და კუამლად ორი, ქოსაისძენი<sup>1</sup> საუკუნოდ მის წყლისა მკაზმავად, მლუიმისა მონასტრისა შესაწირავად მისდა მიგუითავისუფლებია.

ჰქონდეს<sup>2</sup> იგი წყალი და გლეხნი ქოსაისძენი<sup>1</sup>, მიწად ერთი და კუამლად ორი, სკმონ და გიორგი და იაბერი და შვილნი და შვილისშვილნი მათნი სასოსა და მფარველსა ჩუენსა წმიდასა მამასა შიოს და სამლოცველოსა ჩუენსა მონასტერსა მლუიმესა.

არას ჟამსა შეეცვალოს; და არცა რაი მას წყალსა და გლეხსა ზედა კელისუფალთა ჩუენთა კელი შეუვიდოდის; ყოველითურთ შეუვალი და თავისუფალი არს; რაიცა ანტონ ჭყონდიდელმან განუჩინოს სამსახური მის წყლისაი, მას ჰმსახურებდეს.

და არაეინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ბრძანებულისა ამის ჩუენისა, არც მეუნებლე<sup>3</sup> და დამკლებელი მათი.

აწ, ვინც კნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: ზეზადნისა ციხისთავთა, მპარავთ-მეძიებელთა, მოხარაჯეთა, მესაბანჯრეთა და ყოველთა საქმის მოქმედთა ჩუენთა დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ.

და ნუ ვინ უშალავთ ბრძანებასა ამას ჩუენსა, ნუც რას ვინ დააკლებთ, ნუ აღ[იღსა] და ნუ მცირესა, თუნიერ შეწევნისა და თანადგომისა.

დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მეათურამეტესა კელითა მწიგნობრისა ჩუენისა იაკობ აწრელიისძისაითა<sup>4</sup>.

თამარ მეფის (?) ხელით:

მტკიცე ყოს ღმერთმან შეუცვალელებლად.

კიდეზე:

ქ. მე მეფესა დავითსა ცა დამიმტკიცებია. მტკიცეა ნებითა ღმერთისათა.

ნუსხა-ხუცურად:

სახელითა ღმერთისაჲთა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაითა, მეოხებითა წმიდისა ღმერთისმზობელისაითა, მადლითა და შეწვე-

<sup>1</sup> ქოსაისძენი B. <sup>2</sup> ჰქონდის B. <sup>3</sup> მეუნებლი B. <sup>4</sup> იწრიელისა ძისათა A.

ნითა ღირსთა მამათა ჩუენთა იოანე, შიო და ევაგრესითა<sup>1</sup> ესე დაწერილი დაეწერეთ ჩუენ სრულად კრებულმან და ლავრამან მღუმისამან.

ქრისტეს სწორმან ანტონი ჭყონდიდელმან დიდითა ლუაწლითა და გულსმოდგინებითა და საფასოითა აღამართვინა, მოიყვანა წყაროი ესე ნუგეშინის-საცემელად ამის უდაბნოისათჳს, რომლისა საუკუნომცა არს ჳსენებაჲ და სუფევაჲ ყოველთა წმიდათა თანა.

ესე გლეხნი ქოსაისძენი, ფუძედ ერთი, კუამლად ზ, ვითა ამას სიგელსა შინა გაჩენით სწერია, მათგან მოგებული არს და წყაროჲსთჳს მიყენებული. ესე მიწანი, რომელნი თჳთ საუფლოჲთა ჳელითა მისითა სწერიან და ვენაჳი ჳქონდეს მათ გლეხთა.

ჩუენ დახვდენით ამას, რომელ ესენი ოდენ არა ეყოფოდეს მკაზმ[ა]ვად წყაროსა. მათითავე კითხვითა და ბრძანებითა ერთი მეორეშათეთ გლეხი, სახელით პატარ და მეორე გლეხი, გარეთმოს[რ]ული, ქაჩაბურაჲსძე ესენიცა წყაროსავე მიუყენენით მკაზმავად.

უქ[უ]ეთუ ნივთიერი რაიმე საკაზმავი იყოს, სხალტბურითა და სხვაგურითა ძალითა ზედა მოვიდოდით და მოჭირვებით ჩუენ კრებულობით ვჳკაზმიდეთ. და ამ[ა]თ მეწყაროეთა სრულად ყოველთა ერთი ეგოლოგიაჲ ჳქონდის, რაიცა გაიყოფოდის შინად და გარედ.

ამისი შეცვლა ჩუენ კრებულისაგან არაოდეს იკადროს. და ვინლაცა ესე ჩუენი გაგებული შეცვალოს და წარმდებად და უღებებით იურვოდის წყაროჲსა საქმესა, კრულმცა არს თჳთ საუფლოჲთა მით სიტყჳთა, რომელ ქრისტემან თავთა მათ მოციქულთა ჳრქუა; და ყოველთამცა მწვალებელთა თანა დაისაჯების სული მისი; და ნუმცა არს ჳსნა მისი დღესა მას დიდსა განკითხვისასა<sup>2</sup>.

მედრულად:

ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, აღიდენ და დაამყარენ ღმერთმან მეფენი ჩუენნი დავით და თამარ და ძე მათი გიორგი ლაშა, რომელთა წელნი უჳამრავ და სუფევაი დაუსრულებელ.

მე, მიწამან და მლოცველმან მეფობისა მათისამან ანტონი ჭყონდიდელმან ვიხლე სახლი ღმრთისა წმიდაი უდაბნოი მღუმისა და მას შინა მყოფნი წმიდანი მამანი ჳირსა და იწროებასა შინა ურწყულობისასა და შემწეობითა წმიდისა მამისა შიოისითა ვცბენე და ვპოე წყალი ადგილსა სხალტბისასა და ჳელეყავ მოქ-

<sup>1</sup> მამისა, ძისა... ევაგრესითა — B. <sup>2</sup> რომელ... განკითხვისასა — B.

მედებად და შეწევნითა მისითა: მოვიყვანე წყაროი კარსა წმიდისა ეკლესიისასა ეამთა წელიწადისა სამისათა დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა. და მასვე სათავესა<sup>1</sup> თანა ვპძებნე სხუაი წყალი, რომელი მკუიდრთა მის აღგილისათა არ მოაკლდა, ეგზომ მოვიდა და უმეტესიცა წყალი.

და ვევედრები მასვე წმიდასა და ღმერთშემოსილსა მამასა შიოს და მუნ შინა დამკუიდრებულთა წმიდათა მამათა მადლსა, რათა დაამკუიდროს იგი წყალი მას აღგილსა, სადიდებლად ღმრთისა და ნუგეშინის საცემელად მათ წმიდათა მამათა<sup>2</sup>.

და მას წყაროისა სათავესა იყო კუამლი ორი სასეფოი სახელით აფხაზთანი. და ვჰკადრე და მოვაჯსენე ღმრთისა სწორსა მეფეთა-მეფესა თამარს, რაითამცა იგი გლებნი მის წყაროისა მკაზმავად უბოდნეს და მოაჯსენნეს მონასტერსა.

შემიწყალეს და მიბოდნეს და სამსახურიცა იმსახურეს<sup>3</sup> ჯეროვანი და ამა სიგლითა მკუიდრად და თავისუფლად მეფობისა თამარისა სალოცავად აფხაზთანი<sup>4</sup> იგი გიორგი და იაბერი ფუცედ ერთი და კომლად ორი. და მე გაუჩინე სამსახური მის წყაროისი, რომელ ორისავე სახლისაგან თუითოი შვილი მათი ქუქანკად<sup>5</sup> გაისწავლებოდეს და ჰკაზმეიდენ მას წყაროსა.

სხუაი სამსახური<sup>6</sup> არცა რაი ეკლესიისა ედვას, თჯნიერ წყაროის კაზმეისაგან კიდე.

და თუ დიდი და ნიეთნი რაიმე საქმე გამოჩნდეს, რომელი მათგან არ იქნებოდეს, მონასტერი დაუდგებოდეს<sup>7</sup>, ანუ თუით მემლუიმე და კრებული ჩამოვიდოდეს და ყოვლითურთ უნაკლულად ჰკაზმეიდენ.

და ამათ გლებთა ორთავე სწორად მივსცენით მიწანი მონასტრისაგან სხალტბას, სახელდებით: ბოტკოს და დიდველსა<sup>8</sup>—ღლისა ათისა და წყაროისა თავსა—ორისა ღლისა; და ვენაჯი, რომელი საკრებულო იდვა სხალტბას.

აწ ეს ვითა ქმნილა და გაგებულა, მტკიცე ყოს ღმერთმან და თუით მან წმიდამან შიო.

<sup>1</sup> მასვე სათავესა] მოსლვისა თავსა B. <sup>2</sup> და ნუგეშინის... მამათა — B.

<sup>3</sup> სამსახურიცა იმსახურეს] მსახურიცა სსახურეს B. <sup>4</sup> აფხაზთანი B. <sup>5</sup> ქანკანად A. <sup>6</sup> სამსახური] მსახური B. <sup>7</sup> დაუდებდეს B. <sup>8</sup> დიდველს B.

და ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან, დიდმან ანუ მცირემან; აზნაურმან, გინა ერისაგანმან, ჭელისუფალმან ანუ უჭელისუფლომან<sup>1</sup>, მონაზონმან ანუ მოსაკარგვემან, გარეთმან და თუნდა შინამყოფმან, წინამძღუარმან, მოძღუარმან და ანუ კრებულმან დააკლოს, შეცვალოს და წარმდებებით აღარ ჰკაზმოს და არ იურვოს, რომლისაცა მიზეზისა მოღებითა, ნისტორმცა არს ყოველად წმიდისა ღმრთისმშობლისათვის, არიოზ ძისა მისისათვის, ჰეროდე ნათლისმცემლისათვის, დომენტიანე იოანე მახარებელისათვის, ნერონ წმიდათა მოციქულთათვის, დეოკლიტიანე და მაქსიმიანე წმიდათა მოწამეთათვის. და სადაც უსისხლო მსხუერბლი შეიწირვის და ან შეწირულა და ბარძიშა შინა წყალი ერთვის და რთულა, მისმცა ყუელასა მადლითა კრულია ცათა შინა და ქუეყანას ზედა.

და მემცა უბრალო ვიქმნები ყოველთა ცოდვათა ჩემთაგან. და ამას წმიდასა უდაბნოსა შინა მყოფთა რასაცა ჟამისა მართებდეს და საურავი უნდეს და დააკლონ და [არ იურვონ, უსარგებლომც ვიქმნებიან დღესა ჯორცთაგან განსვლისა მათისასა და გამო-მცა-ეჭუებთან კრებულისაგან წმიდათა მამათასა<sup>2</sup>

verso-ზე: ხუცურ-ნარევი, მხედრულად:

ქ. ამას ბრძანებასა და სიგელსა ღმრთისა სწორისა მეფეთ-მეფისა თამარისასა და ანტონი და გიორგის და წმიდათა მამათა მღვმელთა, რომელ წყაროსათჳს გაჩენით გლენხნ<sup>3</sup> გაუჩენიან და მეწყაროეთათვის ვენაჯი... მეცა, ქრისტეს მიერ უფლისა მთავარ-ეპისკოპოსი მოწამე და დამამტკიცებელი ვარ ბრძანებისა მათისაი...

სათაური XVII საუკ. ხელით:

ქ: ეს სიგელი წმიდის შიოსა არს სხალტბური.

კიდებუ' ტექსტის ხელით:

და მალი, ოდესცა უნდეს, მემლუიმე გაიღებდეს ეკლესიისა ძალითა და საფასითა.

<sup>1</sup>წელისუფლომან B. <sup>2</sup> და ნემცა უბრალო ვიქმნები... წმიდათა მამათასა — B. <sup>3</sup> მოხნი AB.

14. [ქელი ლაზა გიორგისა საუზლისწულო გვლოგელოგის  
შესახებ]

[1207—1212 წწ.]

სახელით[ა] ღმრთისაჲ[თა], ბძანებითა  
[ღმრ]თის[ა] სწორთ[ა] თამარის და გიორგისით[ა],  
ქუონდიდელის, ზაქარია, შალვ[ა],  
ოეს[ი]ყმა[ა], ვაჩესითა, ჯულაბაჲს  
მოჭირვებითა, სანობაჲს ძისა ინაჲსა  
ტელით[ა] დაისუა ტელი ესე [ღმრთის[ა]  
სწორთა მეფეთ-მეფის[ა]  
გიორგისი.

15. [შაფიჩულების სიგელი ლაზა გიორგისა შვათახვიისადმი]

[1213—1222 წწ.]

ქ. სახელითა ღმრთისაითა გიორგისგან [ნებითა] ღმრთისაითა  
აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვან-  
შა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და [დასავლეთისა  
ფლობით მპყრობელისა.

აწუც[ა] მოვიდა ჩუენთან] სულ[ა] ქართლის ერისთავი, ძე  
ერისთავთ-ერისთავისა ქართლის ერისთავისა რატისურამელისა,  
გუეჰაჯა და მოგუაქსენა, რაითამც[ა] შევიწყალეთ და ქართლის  
სოფელი სუელეთი, რომელი პაპისა ჩუენისაგან პაპასა და მა-  
მასა მის[ს]ა ჰქონებოდა... ნ. მე[რმე] ჰქონდა საქართლის (sic)  
ერისთვისაგან[ა]ნამც გ... მონასტერსა მისსა ქვათავეეს<sup>1</sup> შევს-  
წირეთ<sup>2</sup>.

დაგუაჯერა ღმერთმან, ვისმინეთ ჰაჯაი და მოქსენებაი ერის-  
თავთ-ერისთავის სულა ქართლის ერისთავისაი და სუელეთი  
გამოგუილია საქართლის (sic) ერისთავისაგან და შეგუიწირავს]...  
მთავარ [წმიდი]სა ჩუენისა, ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა და  
მონასტრის მისის ქვათავეისდა<sup>3</sup>, სალოცველად და წარსამარტებ-  
ლად] მეფობისა ჩუენისად.

ჰქონდეს ქვათავეეს<sup>1</sup> მონასტერსა სუელეთ[ი], [მთ]ითა, [ბა]-  
რითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქუ[ილ]ითა [და ყოვ]ლითა  
მიმ[დგომითა მისითა]...\*

16. [გამოსაღების გაუხვების სიგელი ლაზა გიორგისა  
შიომღვიმისადმი]

[1222 წ.]

სახელითა<sup>4</sup> ღმრთისათა ესე ბრძანება ჩემი არს გიორგი ბაგ-  
რატუნინისა<sup>5</sup>, ნებითა ღმრთისათა აბხაზთა და ქართველთა,  
რანთა, კახთა და სომეხთა მეფისაი, შარვანშა და შაჰანშა<sup>6</sup> და ყოვ-  
ლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმპყრობელისაი.

<sup>1</sup> ქვათავეეს. <sup>2</sup> შევსწირეთ. <sup>3</sup> ქვათავეისდა. <sup>4</sup> სახელითა] ძალითა ა.  
<sup>5</sup> ბაგრატუნინისა] ბაგრატოვანი ა. <sup>6</sup> შარვანშა და შაჰანშა] შარვანდაშა და შა-  
ღანშა ა.

\* ტექსტი აკლია

მოგუაჟსენა<sup>1</sup> ქრისტეს გამორჩეულმან სასომან და მე[უ]ფემან ჩემმან, წმიდამან მამამთავარმან იოანე, ქართლისა მთავარეპისკოპოსმან<sup>2</sup>, უდაბნოისა მღუიშისა სოფლისა აგარისა საქმე და გუეჰაჟა<sup>3</sup>, რომელი ჩუენისა<sup>4</sup> ზროხისა შებმაი<sup>5</sup> ზედ ედვა ფუძესა ზედა, რათამცა იგი გაუშუით, სალოცველად მეფობისა ჩუენისად.

ჩუენ ვისმინეთ მოჰსენებაი და ჰაჟაი<sup>6</sup> მისი იოვანე<sup>7</sup> ქართლისა მთავარეპისკოპოსისა<sup>8</sup> და გაგუიშუია ზროხისა შებმაი, რომელი ზედა ედვა უდაბნოისა მღუიშისა სოფელსა აგარასა, რაც მღუიშისაი არს საკუირაოისა გლეხითურთ. და ამისთუის გაგუიჩენია<sup>9</sup> მწირველი და<sup>10</sup> გაგუეკუეთა<sup>11</sup> საწირაედ ჩუენთუის ათორმეტნი საუფლონი დღესასწაულნი და მარხვათა შაბათ-კუირიაკენნი.

ესე ჩუენთუის განჩენილი არაოდეს დაეცადოს, ვიდრემდის იგი უდაბნო ეგოს. და არავინ გუიბრძანებია მშლელი და მქცვეელი გაგებულისა<sup>12</sup> ამის ჩუენისა, არცა შეუენებლე, მანებელი და დამკლებელი მისი.

აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: საგამგეოისა ჩუენისა მოურავთა, მუხნარისა ციხისთავთა, მეზროხეთა და ყოველთა საქმის მოქმედთა ჩუენთა, დიდთა და მცირეთა, დაამტკიცეთ. და ნუმცა ვის ჰელგეწიფების შლად და ქცევად ბრძანებისა ამის ჩუენისად.

დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათესა, ჰელითა მწიგნობრისა ჩუენისა მიქაელ კატარაწის ძისა ითა.

ხვეულად, მეფის ხელით:

მტკიცება ნებითა ღმრთისათა.

## 17. [ჰელი რუსულან შფისა კავთის გაგულის შემუვალობის შესახებ]

[1222—1245 წწ.]

წმიდ[აო] გიორგი კავთისაო,

ქ. ესე ბრძანებაი ჩემი არს—რუსულან: ნებითა ღმრთისაითა აზადად და შეუვალ არს [მამ]ულ[ი] მათი, ნასყრდით და ყოვლითა საწესოთ. ნუენ შალავთ ბრძანება[სა ამას].

<sup>1</sup> მოგუაჟსენა] გაგჰსენ A. <sup>2</sup> ქართლისა მთავარეპისკოპოსმან] ქრისტეს მესაიდუმლოემან] A. <sup>3</sup> გუეღაჟა A. <sup>4</sup> ჩუენსა A. <sup>5</sup> შებმან A. <sup>6</sup> ჰაჟა A. <sup>7</sup> იოვანე A. <sup>8</sup> ქართლისა მთავარეპისკოპოსისა] ქრისტეს მესაიდუმლოესი A. <sup>9</sup> გაგუიჩენია] გუიჩინა B. <sup>10</sup> და—A. <sup>11</sup> გაგუეკუეთა B. <sup>12</sup> გაგებულისა] ბრძანებულისა B.

18. [შეუვალოზის განახლების დაწერილი ძაბთლის ეპისტოპ  
გრიგოლ სუაგელისა შიოგლვივისადმი]  
[1245—1250 წწ.]

...ეს და თანად ყლ. ჩემსა არსენი ქრისტეს მიერ ქართლისა  
კათალიკოზი, მწიგნობართ უხუცესისა [მლუიმესა]... მწირობად ზე-  
მოსრული, ჩემსაცა ჯორციელსა და სულ[იერსა მამასა] და ძისა ჩემი-  
სა ბეგაისა წმიდითა ემბაზითა მშობელისა თანა გა... ამა საქმე-  
სა რაოდენსა.

აწ გულმოდგინებით ვწერ წამა... ნი სოფელი ფა[ვ]ნელთა-  
გან გუეყიდნეს ძუელ[ად]... და ჩუენგანცა მოგართუ უბადლოთა გელის-  
უფალთაგან ქმნი[ლი]... ბისთჳს ნახევრისა სამართლისასა ჩუენნი  
ჯელისუ[ფალნი]... გან საჯმარსაც მოჰკრეფდეს, სამუშაოცა უწე-  
[რია]... და შეწუხებულნი იყენეს წმიდანი მამანი.

მე დაწერილი... და მისყიდულები მათ თავისუფლად დაე-  
წერა. მე შემი... რა შემაწუხა სზნიდისმან ჩემმან, რაიმცა ერგო  
ჩემდა წუთ ერთ... და ურგებსა, დაღაცა თუმცა ყოელისა სოფ-  
ლისაი ყოფილიყო... და თუ უსამართლოჲ საჩუენოი გავაზელთა  
სოფლი[სა]... [ყოველივე დაეთმე საციხოი სამართალი და საჯმა-  
რი ჩემისა სულ[ისა საკურთხეველ]ად.

ნუცა ჯელისუფალი შვეა, ნუცა ციხისთავი... ნუცა მე-  
საჯმარე... რთლე და ნუ რაი მაწყინარი, ნუცა მენუჟვარი, ნუცა  
მოხარჯე, ნუცა მესაბანჯრე, ვინაითგან თუთ წმიდათა მეფეთა-  
გან და ჩუენისა სახლისაგანცა წმიდისა შიოს ცხვარნი და მეცხვარენი  
ყოველსა ადგილსა თავისუფალნი არიან და შეუვალნი საბანჯრობი-  
საგან და მისი სიგელიც აქენდა დაწერილი ჩუენისა სახლისაგან  
წმიდასა უდაბნოსა მღჳმისასა.

1\*. თუ ჩუენი კაცი და მღჳმისა ჩამოიკიდნენ, ჩუენისა კაცისაგან  
სამართალი მამასახლისმან ჩუენმან აილოს, და მლუიმისა კაცისა  
თუთ მემლუიმის ჯელისუფალმან აილოს.

2. თუ საქმე რამ დავარდეს სასაურო მლუიმისა და ჩუენთა  
კაცთა შუა, მამასახლისმან და მლუიმის ჯელისუფალმან მართლითა  
სამართალითა დაუთროვნ.

3. თუ სისხლი შეჰქდეს მლუიმის კაცსა ჩუენისა კაცისაჲ, მე-  
მლუიმის ჯელისუფალმან სისხლის პატრონსა სისხლი გარდასცეს,  
მონასტრისა წესითა, ვითა ჩუენისაც მონასტრის წესია.

4. და სხვებ ჩუენი მამასახლისისა პატრონთანა ნურას დაეკა-  
რების, ნუცა შეუღებობს, ნუცა რას წაულებს, თაილდა დაცეს და

\* ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

შუა ჩამოდგეს, და რაც მემლუიმემან ბრძანოს, იგი იურ-გოს.

5. თუ ნაპარევი შეპტდეს მლუიმის კაცსა, მლუიმის ჯელისუფალმან თავნი ჯელთ მისცეს და შუიდეული წმიდის შიოსდა შემეწი-რავს ს<sup>რ</sup>მნ (?)—ჩემი კერძია საერისთავოა.

6. გარეთ ვინც მაწყინარი გამოჩნდეს მლუიმის გლეხთაი, მამა-სახლისი ჩუენი ესე იურვოდეს ვითა ქვათაქვევისა გლეხთა.

7. სხუაი ყოველი ამიჯდია ჩუენი ბეგარაი და გაგუიშვია. ნუც ჩუენს დაჭირებასა რას ჟამსა და ნუც ლბინსა ნუ რათ შეუვალს: ნუ მამასახლისი, ნუ ჯელისუფალი, ნუ ციხისთავი, ნუ გზირი, ნუ მსახური და ნუ რაი გუარი კაცი ნუ იკადრებს.

ესე ყოველი ჩემითა ნებითა დამიწერია, სრულითა ცნობითა, სიმრთელესა შინა ტანისა ჩემისასა, მე, ჯელითა ჩემითა ძესა სულ-კურთხეულისა სულა ქართლის ერისთავთა ერისთვისასა, დიდად ვალიანსა ჩემსა სახლსა ზედა, მარჯუნით დგუამასა იმისა ჩემისა ივანესსა და წინა დგომასა ძისა ჩემისა ბეგასსა.

ამისთჳს სულისა ჩემისა შესავედრებელთა მთავარ-მამამან დიმიტრი მემლუიმემან და ყოველთა კრებულთა მეუდაბნოეთა მოგუმადლეს და ნიშანი დამიდევს საუკუნო აღაპი, დღესა ლაზარობასა. თუით ამას ჩემსა აღაპსა არ ეყოფოდა ს<sup>რ</sup>მე მას სოფელსა გავაზელთასა, ჩემმან ჯელისუფალმან ეწყინებოდეს (?), გარნა სი-ყუარულისა ჩემისათჳის ყვეს ესე.

და გარდაგან (sic) ამა ჩემსა საუკუნესა აღაპსა ნუ ვინ შე-ბიცელის დღესა ლაზარობასა.

თუ ღმერთს უნდეს, სხვითაცა სამსახურითა წმიდის უდაბ-ნოსთა გარდავიჯდი, თუ ღმერთმან ჟამ მომცეს; და თუ არა, ძესა ჩემსა ბეგას დავანდობ, თუ ღმერთმან დღენი მისცნეს, ვითა გუინ-და მან მსახუროს წმიდასა უდაბნოსა მლუიმისასა, თავითა თუისი-თა, რაჲთა წმიდამან მამამან მლუიმეს სცეს წარმართებაი კეთილი საწუთროსა ამას შინა. და ვცთა მე არა სადა დამიტევა შეუწეენე-ლი, ეგრეთვე იგი არა დაუტეოს, და მას საუკუნესა ორთავე მეო-ხად წარმოგუიდეგს წინაშე საყდარსა ქრისტეს ღმრთისასა, ოდეს ყოველთა განშჯიდეს მსაჯული იგი თუალუხავი.

აწ ესე ჩემგან დაწერილი მიითუალე პირველად შენ, ღმერთო, ყოველთა კეთილთა მიზეზო და მერმე<sup>1</sup> შენ, წმიდაო ღმერთშემო-სილო მამაო შიო. და შენ, მზრუნველო ორთავე ცხორებათა ჩემ-

<sup>1</sup> მერმე მესამე.



თაო არსენ, მიუთვალე ეს ღმერთს, თავსმდებობითა ყოვლად წმიდის ღმრთისმშობლისათა და წმიდისა მთავარმოწამისა [გიორგისი]თა ქმნილი და დაწერილი და შეწირული.

და ზენ, ჩემო ძმაო ივანე და ძეო ჩემო ბეგაო, თქვენ მიგითვალავ ამას ანდერძსა მე, გრიგოლ ქართლის ერისთავი, მიმავალი მეოთხედ წარმართთა თათართა შიგან ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიათა დაცვისათვის.

თუ ღმერთმან ჩემს შედეგად გყვენეს, და თქვენ ერთითაცა ბეწუისა ოდენითა შეჰშალოთ ესე ჩემგან ღმრთისა მითუალული, ღმერთმან ყოველი საქმე თქუენი შეშალოს და ნურაი კეთილი ნუ დაგიმტკიცოს.

და ჩემსა შედეგად მომავალნო ჩემგან შვილნო და შვილის-შვილნო, ვინც ეს ჩემგან ქმნილი საცილობელად შეჰქნათ, ანუ საქმითა ანუ სიტყუითა, ღმერთმან მოგჰადენ პატიჟი შეუნდობელი. ვინაითგან ვიყავ ოდესმე მეცა ამისი მოქმედი, თქუენცა ამასვე გზასა წარმოვლით უცილობელად, სირცხულეულნიმც მოხვალთ წინაშე ქრისტეს ღმრთისა და ღმერთშემოსილისა მაძისა შიოსსა და მერმე ჩემთანა ამათის მონისა<sup>1</sup>.

და რამაცა გუარმან კაცმან აქციოს ესე ჩემგან ნაქმარი: ანუ ჩემისა სახლისა შეილმან, ანუ სძალმა, ანუ სიძემან — სისხლთამცა ქრისტეს ღმრთისათა მზღველად წარგუადგინენ დღესა მას განჰჯისასა წმიდანო ანგელოზო; და ჯორცთაგან განსლვასა მისსა შინა სატანასმცა ახლავს შემწყნარებელად სულისა მისისა საწყალობელისად; და ოკეთე ბილწსა ორიგნესებრ ღმერთმან ყ[ო]ველთა კერპთ-მსახურთა ღმრთისა მგმობელთაცა...\*

... სასჯელისა ოდესმე ღმერთი, ამისთა შემცვალებელთა ნუცა მაშინ მისცემ შენდობასა ღმერთო მართლმსაჯულო. მით რომე სამართალი შენი მიქმნია და სხუისა არა ვისდა რაი დამიკლია.

და თუ ჯელისუფალმან ვინმე უპატრონოდ ამისი ცილობა იკადროს, და იგი ჯელისუფალი არ გაპატიჟოს ჩემისა სახლისა პატრონმან, — ესე ყოველნი წყევანი მას დაუმკუიდრენ ღმერთო, რომლისა<sup>2</sup> თავსმდებობითა ამას ვწერ, ჯელითა ჩემითა აქა სრულ მყოფელი.

\* აქამდე ხელნაწერი დაკარგულია. ამია შემდეგ მცირედი ხარვეზით ტექსტი დატულია ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad-1 საბუთში.

<sup>1</sup> ამათის მონისა] ამათ ისმუნსა. <sup>2</sup> რომელსა.

სხვა ხელით, მხედრულად:

ქ. ამა ჩემისა ძმისა და ღმერთშემოსილს<sup>1</sup> გრიგოლ ქართლისა ერისთვისა დაწერილსა, ვითარად მათისა სულისა სალოცველად ღმრთისადა და წმიდისა შიოსდა შეუწირავს ყოველი ჩუენი კერძი და ბეგარაი გავაზელთა სოფლისაი, მე, იოვანე მეაბჯრეთა უხუცესსა განალამცა დამიმტკიცებია. ღმერთმან მტკიცე ყოს და არგენ სულსა მათსა.

სხვა მხედრული ხელით, ხვეულად:

ქ. ესე ვითა პატრონსა და ღმერთშემოსილსა<sup>2</sup> მამასა ჩემსა უბრძანებია და დაუწერია და შეუწირავს ყოველი ჩუენი მოსავალი გავაზელთაი, მეცა, მათსა მიწასა და ძესა, ბეგასა ქართლისა ერისთავსა განალამცა დამიმტკიცებია] და მტკიცე ყოს ღმერთმან.

სხვა ხელით, მხედრულად:

ქ. კირიელეისონ. ესე ვითა ერისთავთ-ერისთავსა, გრიგოლ ქართლის ერისთავსა დაუცხასოებაი საუკუნოისადა ცხორებისაი, წმიდისა მამათა-მამისა შიოისი, და წმიდათავე ღმრთისათა მიმსგავსებულ[ი]სა ქართლის კათალიკოზ და მწიგნობართ- [უ]ხუცეს-ყოფილისა და აწ მწირობითა წმიდასა უდაბნოსა მღუიმისასა შინა მყოფისა არსენის, და წმიდათა მამათა მღუიმი-სათა, და დაუწერია თუით მის წმიდისა უდაბნოისაგან მოსყიდულისა გავაზელთა სოფლისათუის მათგან აზადებაი და უწყინლობაი, და თუ რაი ახალი უწყსოი დაჭირებაი მოჰმატებოდა მის ყოვლისავე აჲდა [და] ყოვლისა შესავლობისაგან შეუვალ და თავისუფალ ექმნა, და ძმასაცა მათსა მეაბჯრეთ-უხუცესსა იოვანეს თუით მათითა ჳელითა დაუმტკიცებია, არგენ ღმერთმან ცხოვნებითა სულიერითა და ჳორციელითა ორკერძოითავე.

და ჩუენ, ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი არსენიცა მოწამე და დამამტკიცებელი ვექმნებით წმიდისა განგებულებისა მათისასა.

ვინ და რამანც გუარმან კაცმან, რასაცა ჟამსა, რაისაც მიზეზისა შემოღებითა შეუცვალოს მას წმიდასა უდაბნოსა მღუიმისასა ამას შინა აღნაწერისათანი, რაიც რაისაცა წესისა მქონებელმან კაცმან, დიდმან გინა თუ მცირემან, კრულმცა არს და შეჩუენებულ სიტყუითა ღმრთისა იესო ქრისტესითა და წმიდათა მისთა ათორმეტთა მოციქულთა ჳუარითა, წმიდათა შუიდთა კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიაქთა ჳუარითა, წმიდისა და სამოციქულოისა კათოლიკე ეკლესიისა მადლითა. და რაოდენნი მას შინა წმიდანი

<sup>1</sup> ღოს. <sup>2</sup> ღოსა.

ქართლისა კათალიკოზნი სხდომილ არიან და დასხდებიან, მათ ყოველთა ჯუართა და მადლითაცმცა კრულია; და რაოდენი მას შინა და რაოდენ-გზისცა წმიდაი მიპრონი სრულ-ქმნილა და იქმნების, მის ყოვლისა მადლითაცმცა წყეულ და შეჩუნებულ არს ცოცხალი და მკუდარი, გაუქსნელად, აქა და უმეტეს საუკუნოსა საუკუნეთასა.

ხოლო მტკიცე-ყოფელნი ყოველნი აკურთხენს ღმერთმან და წმიდაჲმან დედაქალაქმან.

სხვა ხელით, მხედრულად:

ქ. ესე ვითა სულკურთხეულსა გრიგოლს ქართლისა ერისთავსა დაუწერია და მღუიშისათვის მათი ნასყიდი სოფელი გავა-ზელნი უსამართლოისა ზედა დადებულისა ბეგრისაგან გაუთავისუფლებიან, კოტმნისა თანა, და წმიდასა მეუფესა და მოძღუ[ა]რსა ჩუენსა არსენი ქართლისა კათალიკოზსა კანონითა მათითა დაუმტკიცებია, მეცა ქრისტეს მიერ ქართლისა მთავარებისკოპოზი<sup>1</sup> გიორგი დავამტკიცებ კანონითა წმიდისა ეკლესიისათა.

ვინცა ოდესცა ამას დაწერილსა შლად ჭელყოს და ამას შიგა წერილი ერთი სიტყუაი შეცვალოს, კრულმცა არს სიტყუითა ქრისტეს — ღისა ღმრთისათა, და ყოველთაგან მღრდელთმოძღუართა წმიდათა მადლითა კრული არს გაუქსნელად ზეცათა შინა და ქუეყანასა ზედა, პეტრე მოციქულთა, თავისა ჯუართა და პრისხავსმცა ხატი... ქრისტეს ღმრთისა, რომელი მდგომარე არს ტაძარსა შინა დიდებისა თუისასა სამთავროს და ჩუენ, გლახაკისამცა ჯუართა კრულია ცოცხალი და მკუდარი გაუქსნელად.

დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხენს.

ნუსხა-ხუცურად, გაკრული ხელით:

ქ. ესე ვითა ქართლისა ერისთავსა გრიგოლს დაუწერია თავისა ზელითა და მღუიშისათვის მათი ნასყიდი სოფელი გავა-ზელნი უსამართლოესა ზედა დადებულისა ბეგრისაგან გაუთავისუფლებიან, კოტმნისავე თანა, და წმ[ი]ლსა მეუფესა ქართლისა კათალიკოზსა<sup>2</sup> კანონითა მათითა დაუმტკიცებია, მეცა, იოანე აღავერდელი მტკიცე ვყოფ.

შემცვალებელნი ამის დაწერილისანი იყავნ კრულ, წყეულ და შეჩუნებულ დაუსაბამოესა ღმრთისა პირითა და ამა ზემო-წერილ-

<sup>1</sup> მთავარებისკოპოზი] მკოსი <sup>2</sup> კათალიკოზსა.

თა წმიდათა მადლითა, ვინცა ერთი სიტყუაჲ და გაგებული ქართლისა ერისთვისა გრიგოლისი შეცვალოს.

და ვინცა დაამტკიცოს, ღმერთმან ყოველი კეთილი ნაქმარი მისი დაამტკიცოს და აკურთხოს.

მხედრულად:

ქ. ესე ვითა ერისთავთ-ერისთავსა, ქართლის ერისთავსა გრიგოლს თავის ჳელითა დაუწერია მღუიშისათუის, დამკუიდრებულთა მამათა წმიდათათუის, მათი ნასყიდი სოფელი გაგაზელნი უსამართლოისა ჳელისუფალთა ზედ დადებულისა ბეგრისა და შესავლობისაგან გაუთავისუფლებიან, კოტმნისავე თანა, და წმიდათა მეუფეთა ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა არსენის და ქართლისა მთავარეპისკოპოზსა გიორგის უჯუარობითა და კანონითა დაუმტკიცებია, მეცა, უნდოი არსენი მან გლეღი ჩემითა ჳელითა ვამტკიცებ.

შემცვალებელნი ამისნი იყუნენ კრულ, წყეულ და შეჩუნებულ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა სიტყუითა ღმრთისაითა, ათორმეტთა მოციქულთა ჳუარითა და მადლითა, შუიდთა კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიაქთა ჳუარითა და მადლითა, და ყოველთა ღმრთისა ნებისყოფელთა მადლითა, და თუით წმიდისა მამისა შიოის მადლითა, და ამათ ყოველთა ჳემო-წერილთა მადლითა და ჩუენ, უნდოისა ჳუარითა.

დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს და ყოველი მისგან ქნილი მტკიცე ქმნას.

ქ. ესე, ვითა ერისთავთ-ერისთავს, ქართლის ერისთავსა გრიგოლს და ძმასა მისსა ივანეს თავის ჳელითა დაუწერია და წმიდისა შიოისდა ნასყიდი უდაბნოისა მისისაგან ძუელსავე წესსა ზედა გაუთავისუფლებია სოფელი გაგაზელთაი, კოტმითურთ, მოწამენი ვართ ჩუენ, სამნი ივე უდაბნონი გარესჯისანი და დავამტკიცებთ თუისის ჳელითა.

ან ვინ გრიგოლისა სახლისამან, ან გარემან შეცვალოს ესე აღთქუმაი და დაწერილი გრიგოლისი ოდესცა, — წყეულმცა არს და შეჩუნებულ წმიდისაგან ღმრთისა და ანგელოსთა მისთა, ვითა წმიდასა მამადმთავარს ქართლისა კათალიკოზსა<sup>1</sup> არსენის და მის თანა ღმერთშემოსილთა წმიდათა მღდელთ-მოძღუართა კანონითა დაუმტკიცებია; კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა მიუკუნისამდე ცოცხალი და მკუდარი; და მათმცა წმიდათა უდაბნო-

<sup>1</sup> კათალიკოზსა] ქზსა.

თა მადლითა და ლოცვითა კრულია; და წმიდანი შიო და დავითი მოსაჯულად წარმოუდგებიან განსჯასა მასა საშინელსა, წინაშე საყდართა ქრისტესთა.

ნუსხა-ხუტურად:

ქ. მე, გლახაკმან არსენი, მწირობასა შინა ჩემსა მღვმეს, ვეჭაჯე ნათელსა სულისა ჩემისასა გრიგოლ ქართლის ერისთავსა, რათამცა უბადოთა კაცთაგან შესავალად გასრული სოფელი გავაზღვნი ძუელითავე წესითა გაუთავისუფლნა წმიდასა მამასა შიოს და უდაბნოსა მღვმისასა, ვითა ძუელი დაწერილი აქუს თვენელთაგან მონასყიდობისაჲ მღვმესა, ერთსა ჯერსა ლაშქარს წამავალსა მოვაჯსენე თხუთმეტი ლიტრაჲ<sup>1</sup> აბრეშუმი, კარგი ოქსინოჲ, ჯუბაჩაი. ახალი მოვაჯსენე, სამოცდათხუთმეტი დუკატი, ერთი პალანკურდნითა შეკაზმული დიდად კარგი ჯორი — ოთხას თეთრად მოფასებული ჩემთვის, ცხენი ერთი — სამასორმოც და ათ თეთრად ნასყიდი, უნაგირი ოქროჲთა და ზარხოჲთა მოქედლი — ექუსას თეთრად დაფასებული, აღზრნი თათრულნი მარგალიტის ძირისანი, რომელსა ჰქვან სადაფი. ოცი დუკატი მისთა ყმათა მოურავისადა მიმიცემია მართ გავაზღვლთა საქმისათჳს, რომელ სამართლისა ნახევარსა აიღებდეს და ამას, მამისა მისისა სულაჲს დღეთა შიგან დადებულსა.

აწ გრიგოლ, ქვათაჯევეს წინაშე ხატსა ყოვლად წმიდისა-ღმრთისმშობელისასა მჯდომარემან, მისითა თავსმდებობითა და წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისითა, ესე ზემოით-დაწერილი დამიწერეს მან და ძმამან მისმან იოვანე და შევილმან მისმან ბეგამან და ამისვე საქმისათვის ლაზარობაჲ დღე მღვმეს აღაპად გაუჩინეს.

აწ შენ, ღმერთო, ესე მათი აღთქუმაჲ წინაშე შენსა დამიც-და შენ, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, თავსდებო<sup>1</sup> ამის მათისა აღთქუმისაო, თქუენ იცით და მათ, თუ მტკიცედ იპყრან ესე აღთქუმაჲ მათ პირველ და მეგრე, მათთა შემდგომად მომავალთა და მათთა ყმათა და ჳელისუფალთა, ყოველნი საქმენი მათნი შენ კეთილად დაიცვენ.

და თუ შეცვალოს ვინმე, შენ ხარ ჩემი მოურნე და დედაო ღმრთისაო, შენზედა დამიგდია ანდერძად.

<sup>1</sup> თავსდები.

19. [ნასყიდობის დაწერილი შიროკვძივის კაბეზლისა  
მსახურთ-უხუცეს მკიგოლ სუკამაქლისადმი]

[1247—1250 წწ.]

[ნებითა ღმრთისათა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა<sup>1</sup> ცხოველს-მყოფელისა [და წინასწარ]მეტყუელისათა და... მღრღელთ-მო[ძღუართა] წმიდათა მამა ჩუენთა იოანე, შიო... [მო]გაგსენეთ ჩუენ, სრულიად მღუი[მისა] მნათემან თადეო<sup>2</sup> და ყ... [სუ]რამელსა გრიგოლ მსახურთ-უხუცესსა... და აღუიშენენით წისქუილნი მტკუარსა ზედა, სალოცველად დღეგრ[ძელობისა] თქუენისათუის<sup>3</sup>.

და იყიდეთ ჩუენგანვე ციხედიდს გლეხი ქავთარერი<sup>4</sup> .. მეწისქუილედ და ავიღეთ თქუენგან ფასი სრული, რომელი თქუენ ბევრჯერ... [თქ]უენგან აღშენებულთა წისქუილთათუის საკაზმავად შემოსწირე წმიდასა შიოს და მის მიერ აღშენებულსა უდაბნოსა მღუიმისასა, სალოცველად და საჯსრად<sup>5</sup> სულისა თქუენისათუის, რომელი ყოველთა დღეთა და ყოველთა ლოცვათა გილოცვიდეთ და მოგიცხენებდეთ.

და ვითა წმიდისა ევაგრესობითგან გუქონებია უცილობელად და უწყინელად, ეგრეთვე თქუენთა ჩამომავალთაგან გუქონდეს. და არავის საქმე უც თქუენისა სახლისა ჩამომავალთა<sup>6</sup>, თუინიერ თქუენსა სულისაგან კიდე, რომელ სამსახურითა<sup>7</sup> ამისითა<sup>8</sup> სული თქუენი იკსენებოდეს წმიდასა ამას უდაბნოსა მღუიმისასა.

და ნუცა-ვინ თქუენისა სახლისა ჩამომავალნი<sup>9</sup> და მომავალნი შიგა დგომითა ნუკვევითა და სათხოველითა და სხუითა რაი-  
[თა]მე აწყენენ, და არცა-რაი ვის საქმე უც; და ვითა ციხედიდს სხუაი საქონებელი მღუიმისა არს შეუვალი, ჰაგრევე ესე ქავთარელი<sup>10</sup> თქუენგან ნასყიდი გლეხი შეუვალი იყოს თქუენისა სახლი-საგან.

და მცხეთისა სახლისა ბეგარი თუით არცა-რაი წინასა ზედა სდებია; და ვინაითგან თქუენითა ოქროითა თქუენისა სულისათუის გიყიდა, არცა-რაი ამას წალმა საქმე უც. მცხეთის სახლსა შესაელობად, არაის-თანად არა, და არცა-რაი სათათროი გამოპვიდოდეს: მალი, ყათჩერი, სალაშქროი, და საიამე არა-ისთანაი არა; ვითა თქუენგან ნასყიდი არის, აგრე სატუზღეუსგან კიდე, და მას სოფელსა თანა გამოიღებდენ.

და წისქუილთა რაცა საკაზმავი უნდოდეს, ესევე ჰკაზმიდეს<sup>11</sup>; და თუ რას წისქუილთა შიგა შეგუცოდებდეს, ჩუენ მღუიმელთა-

<sup>1</sup> თქუენისათუის] თქუენისა თავისა A. <sup>2</sup> საჯსრად]საჯმარად A. <sup>3</sup> ჩამომავალთაგან A. <sup>4</sup> სამსახურთა A. <sup>5</sup> ამისითა A. <sup>6</sup> + და მიმავალნი A. <sup>7</sup> ქავთარული A. <sup>8</sup> ჰკაზმავდეს A.

ან ეკითხვოდეს და ჩუენ გარდავაღდედეთ; და სამართალი თუ რაი იყოს, ჩუენგანვე აიღებოდეს.

და წელიწადსა შიგა სამსა დღეს სამებაუსა იქმოდეს. და ხრილისა<sup>1</sup> ნახევარი ჩუენი იყოს და ნახევარი ამა ჩუენის მეწისქუილისა იყოს. და ვინ გინდა მოფქავი იყოს და ფქვიდეს, მისდი<sup>2</sup> ნუ-ვისი ნუ აიღების, თქუენისა სულისა სალოცავად ფქვიდეს და მეწისქუილე ეგზომისა საპატიოსა აიღებდეს, რომე<sup>3</sup> ერთსა კაცსა<sup>4</sup> ეყოფოდეს: და ენკენიას და წელიწადის თავს მემლუიმეს ძღუენსა მოართუმიდეს<sup>5</sup>: სამსა სქელსა პურსა და ერთსა კორჩხალასა ლუინოსა და სხუებრ არაი გამოჰვა, რაიც არ დაგუიწერია ამისგან მეტი.

და გლახსა არ სუხრაობაი, არ გენდგაობაი, არ მოწიგნურობაი, არ საბანჯრე, არ საგმარი და არაისთანაი არა.

ვინც ესე თქუენგნით გაგებული შეცვალოს, შე-მცა-იცვლების სჯულისაგან ქრისტიანეთასა და პრისხავს [მამა, ძე და] სული წმიდაი და კრულმცა არს ღმრთისა პირითა მკუდარი და ცოცხალი ამა ყოფასა და მას საუკუნოსა.

და ესე ზემოით წერილნი ყოველნი წმიდანი დამსჯელ და შემასმენელ ექმნებიან წინაშე ქრისტესა, დღესა მას განკითხვისა მისისა; და ნუმცა არს ქსნაი სულისა მისისაი და თქუენთამცა ბრალთა მზღველი არის წინაშე ღმრთისა დაუსაბამოსა.

ანუ ვინ მისდი აუღოს, ანუ ვინ თქუენისა სულისა ქსენებაი დააკლოს, ღმერთმან მას ჰკითხნეს ბრალნი და ცოდვანი თქუენნი.

და თუ წისქუილნი დაშავდენ, ვითა გუბრძანებია, თქუენითავე სახლით შეიკაზმოდენ.

და გლახასა კაცსა უწინა დაუფქვიდენ და ცოტასა მქონებელსა ნუცა საპატიოსა აუღებენ ესე თქუენნი მეწისქუილენ[ი], ვინაითგან შიკდი გაგუიშუია და ხრილის ნახევარი მეწისქუილისაი იქნების.

სხვა ხელით, მხედრულად:

ქ. კირიელეისონ, ესე ვითა წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათა მემლუიმეს და სხუათა ძმათა დიდის მსახურთ-უხუცესის გრიგოლ სურამელის და მისთა მომავალთათუის სალოცავად საუკუნოდ დაწერილი და პატრონთა საუფლოითა კელითა დაუმტ-

<sup>1</sup> დაქრილისა B. <sup>2</sup> მისდა A. <sup>3</sup> რუმე AB. <sup>4</sup> კაცსა — A. <sup>5</sup> მოართუმოდეს A.

კიცვბია, ჩუენცა გლახაკი ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი ნიკოლოზ მოწამე და დამამტკიცებელი ვარ.

შემცვალეზელნი ამისნი იყავნ კრულ, წყეულ და შეჩუენებულ მადლითა კათოლიკე ეკლესიისა მუნ შინა და ღმრთივ-აღმართებულისა სუეტისა ცხოველისა ღმერთ-მყოფელისა მიპრონისა და კუართისა საუფლოჲსაჲთა და ჩუენ, გლახაკისა ჯუართთა, აქა და მერმესა საუკუნოსა.

დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხენ და წმიდამან დედაქალაქმან.

სხვა ხელით, მხედრულად:

ქ. ეს დაწერილი, ჩუენ მღუიმელთაგანვე მოკსენებული თქუენ გრიგოლ მსახურთ-უხუცესისათუის სულისა თქუენისა საკსრად წინაშე ღმრთისა, ჩუენ, ყოველთავე ძმათა მღუიმისათა დაგუიმტკიცებია, ძრიელთა და უძღურთა, დაყუედებულთა და ყოველთავე.

ვინცა შეცვალოს, პრისხაესმცა ღმერთი ყოველთა დამბადებელი, და ესემცა წმიდაი შიო პრისხაეს. და თქუენთამცა ცოდვითა და ბრალთა მზღველია დღესა მას განკითხვისასა.

და ვინ დაამტკიცოს ჯუარი აქუ[ს] და კურთხევაი.

სხვა ხელით, მხედრულად:

ქ. მე, დემეტრე მოძღუარი, მოწამე და თანდამცდომი ვარ ამა დაწერილისა. ვინც შეცვალოს წყეულმცა არს. და ვინ დაამტკიცოს, ჯუარი აქ[უ]ს და კურთხევაი.

სხვა ხელით, მხედრულად:

ქ. ესე ვითა სურამელსა გრიგოლს მსახურთ-უხუცესსა მათისა სულისათუის მღუიმელთა წისქუილნი აუშენნა და მღუიმელთაგანვე გლეხი იყიდა მეწისქუილედ და მათვე მღუიმელთა შესწირა სახელდებით ქავთარელი, მე ქრისტეს მიერ ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსი გიორგი მოწამე და დამამტკიცებელი ვარ.

ვინცა ამისად შლად ჭელ-ყოს, იყავნ იგი კაცი კრულ, წყეულ და შეჩუენებულ ღმრთისა და ყოველთა წმიდათა მისთაგან, წმიდისა შიო და ევაგრესითა.

ვინ მტკიცედ იპყრას, ჯუარი აქუს და კურთხევაი.



დიდნი შოთნი და ამბოხნი იქმნებოდეს ეფისკოპოსთა ცილობისაგან და ღმრთივ-გვრჯუნოსანმან მეფემან არჩილ არა სათნო იჩინა ამათ შოთთა ქმნად.

და გვბრძანა გაჩენად, ვითა ნიშანთა შეეტყუებოდა, და ჭელ-წყაფით მე, გლახაკმან მიქაელ ქართლისა კათალიკოზმან და ვაკურთხეთ წმიდად მირონი.

ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლისა ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერისთავნი და ყოველნი მღვდელთ-მოძღვარნი<sup>1</sup> შემოკრბენ მცხეთას, დიდსა ხუთშაბათსა, დიდსა სომხეთისა მიტრაპოლიტსა ჰმართებს ნიეთთა ზედა დგომად. და ქუაბნი საკურთხეველთათ გამოიხუნენ და მიტრაპოლიტსა და ქადაგსა ეტურთნენ კეტნი ქუაბთანი.

წინათა კეტთა მიტრაპოლიტი შეუდგეს და უკანათა ქადაგი.

თუ მწირველი იყოს, თეთრითა შესამოსლითა შემოსილ იყოს.

თუ მწირველი არა იყოს, თეთრისა ატლასისა ჩაჩი თავსა ებუროს მოყუნტუზვილი<sup>2</sup>; და მეორეთა ქუაბთა მთავარეფისკოპოსი ქუეშე უდგეს და წინა მივიდოდეს და უკანათა კეტთა მაწყურელი და უკანა მთავარეპისკოპოსი მიჰყვებოდეს<sup>3</sup>.

და რაჟამს განაზავებდენ ტაკუქსა, ტაკუქი მაწყურელსა ეტურთოს, და რაჟამს განზაონ, ტაკუქი ქადაგისა ჭელითა დაიბეჭდვოდეს. და ყოველთა ეფისკოპოსთა თითოჲ კოკაჲ მირონისა ეტურთოს და კეროვნები სუეტსა ცხოველსა გარე მოადგენ, და კათოლიკე ეკლესიისა გალობასა გალობდენ.

#### განგება დარბაზობისა

რაჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა<sup>4</sup>, ეფისკოპოსნი ამ წესითა დასხდენ:

1.\*\* ბრძანოს ქართლისა კათალიკოზმან და დაჯდეს მარჯუენით მეფისა, ტახტსა ზედა მოკიდებით, ნატიითა და ბალიშითა.

<sup>1</sup> მღვდელთ-მოძღვარი B. <sup>2</sup> მოყუნტვიზილი A. <sup>3</sup> მოჰყვებოდეს B. <sup>4</sup> და AB.

\* A ნუსხაში ძეგლს ასეთი სათაური აქვს. „წესი და განგება დარბაზობისა, რომელი აღესრულებს მცხეთას კურთხევისა მეფათასა“. ამას მოსდევს შესავალი, რაც გვიანდელი ჩანართი ჩანს და მას ორგანული კავშირი არა აქვს ძირითად ტექსტთან.

\*\* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

2. შემოვიდეს ჰყონდიდელი და დაჯდეს მარცხენით მუხისა, ნატიითა და ბალიშითა.

3. შემოვიდეს დიდისა სომხეთისა მიტრაპოლიტი და დაჯდეს კათალიკოსსა ქუემოთ<sup>2</sup>, ნატიითა და ბალიშითა.

4. შემოვიდეს მთავარეფისკოპოზი და დაჯდეს მიტრაპოლიტსა ქუემოთ, ნატიითა, უბალიშოდ.

5. შემოვიდეს მაწყუერელი და დაჯდეს მთავარეფისკოპოსსა ქუემოთ, ნატიითა, უბალიშოდ.

6. შემოვიდეს ამბა ალავერდელი და დაჯდეს ჰყონდიდელსა ქუემოთ, ნატიითა, უბალიშოდ\*.

7. შემოვიდეს ქისიყელი და დაჯდეს ამბა ალავერდელსა<sup>3</sup> ქუემოთ, უნატოდ.

8. შემოვიდეს კუმურდოელი და დაჯდეს ქისიყელსა ქუემოთ.

9. შემოვიდეს ნინოწმიდელი არქიმანდრიტი და დაჯდეს ქისიყელსა ქუემოთ.

10. შემოვიდეს იშხნელი და დაჯდეს კუმურდოელსა ქუემოთ.

11. შემოვიდეს ანჩელი არქიმანდრიტი და დაჯდეს ნინოწმიდელსა ქუემოთ.

12. შემოვიდეს მტბევეარი<sup>4</sup> და დაჯდეს ანჩელსა ქუემოთ.

13. შემოვიდეს წურწყაბელი და დაჯდეს მტბევეარსა<sup>5</sup> ქუემოთ.

14. შემოვიდეს წყაროხსთველი და დაჯდეს წურწყაბელსა ქუემოთ.

15. შემოვიდეს ერუშნელი და დაჯდეს წყაროხსთველსა ქუემოთ.

16. შემოვიდეს მანგლელი და დაჯდეს ერუშნელსა ქუემოთ.

17. შემოვიდეს წინწყაროელი და დაჯდეს მანგლელსა ქუემოთ.

18. შემოვიდეს რუსთველი და დაჯდეს წინწყაროელსა ქუემოთ.

19. შემოვიდეს წილქნელი და დაჯდეს რუსთველსა ქუემოთ.

20. შემოვიდეს კაწარელი და დაჯდეს წილქნელსა ქუემოთ.

21. შემოვიდეს ურბნელი და დაჯდეს კაწარელსა ქუემოთ.

22. შემოვიდეს მრუელი და დაჯდეს ურბნელსა ქუემოთ.

<sup>1</sup> სომხეთისა მიტრაპოლიტი B. <sup>2</sup> ქუემოთა A. <sup>3</sup> ალავერდელს B. <sup>4</sup> ტბევეარი B. <sup>5</sup> ტბევეარსა B.

\* A ნუსხაში ამის გასწვრივ მარცხენა კიდებუ გადამწერის ხელით მიწერილია: „შემოვიდეს ციხე-გოჯელი და დაჯდეს ბედიელს ქუემოდ“.

23. შემოვიდეს სამთავნელი და დაჯდეს მრუელსა ქუემოთ.

24. შემოვიდეს ნიქოზელი და დაჯდეს სამთავნელსა ქუემოთ.

აჲა მამათმთავართა

25. შემოვიდეს ვალაშკერტელი და დაჯდეს ნიქოზელსა ქუემოთ.

26. შემოვიდეს ბოლნელი მამათ-მთავარი და დაჯდეს ვალაშკერტელსა ქუემოთ\*.

27. შემოვიდეს კარელი მამათმთავარი და დაჯდეს ბოლნელსა ქუემოთ<sup>1</sup>.

28. შემოვიდეს ხარჭაშნელი და დაჯდეს კარელსა ქუემოთ.

29. შემოვიდეს ტფილელი და დაჯდეს ხარჭაშნელსა ქუემოთ.

30. შემოვიდეს წალკელი და დაჯდეს ტფილელსა ქუემოთ\*\*.

31. შემოვიდეს ბანელი და დაჯდეს წალკელსა<sup>2</sup> ქუემოთ.

32. შემოვიდეს კერემ-ქალაქელი<sup>3</sup> და დაჯდეს ბანელსა ქუემოთ.

33. შემოვიდეს დმანელი და დაჯდეს კერემ-ქალაქელსა<sup>4</sup> ქუემოთ.

34. შემოვიდეს დადაშნელი და დაჯდეს დმანელსა ქუემოთ.

35. შემოვიდეს გიშელი და დაჯდეს დადაშნელსა ქუემოთ. მოდგნენ ყოველთა მონასტერთა მოძღუარნი და წინამძღუარნი და მათითა წესითა წინამოხსნდენ<sup>5</sup> ეფისკოპოსთა.

სეფესა<sup>6</sup> ჯუარის-მტკრთველსა ათაბაგსა და სპასალარსა შუა მართებს ჯდომა.

ვინცა ესე ღმრთი[ს]ა სწორთა<sup>7</sup> მეფეთ-მეფისა არჩილის ბრძანებული და განაჩენი და ჩუენ, გლახაკისა ქართლისა კათალიკოზისა მიქაელისგან დამტკიცებული შეურაცხცოს და ამა განაჩენსა ურჩ-ექმნას, კათოლიკე ეკლესიისაგან განიჭადოს და ურჩებისა პატივი მიეჭადოს, ვითარცა ურჩსა და სჯულისა გარდამავალსა; და რომელიცა პატივი აქუნდეს იგიცა მოეძარცოს.

<sup>1</sup>+ შემოვიდეს ანელი და დაჯდეს ბოლნელსა ქუემოთ B. <sup>2</sup> წალკელსა] ტფილელსა B. <sup>3</sup> კერემელ-ქალაქელი B. <sup>4</sup> კერემელ-ქალაქელსა B. <sup>5</sup> წინა მიუხსნდენ B. <sup>6</sup> სეფესა] მეფესა B. <sup>7</sup> ღმრთისა სწორთა] რწ დიდისა A.

\* A ნუსხაში ჯმის გასწვრივ მარჯვენა კიდებზე გადამწერის ხელით მიწერილია: „შემოვიდეს ანელი და დაჯდეს ბოლნელსა ქუემოთ“.

\*\* B ნუსხის მიხედვით წალკელი შემოდის კერემ-ქალაქელის შემდეგ, მაგრამ A და სხვა ნუსხებიც ამას მხარს არ უჭერენ.

[მწ] წესი და განგება მეფეთ კურთხევისა ესრეთ არს:

წინა დღით მწუხრსა, რომელსა დღესა ეგულგობდის კურთხევა, შეიმოსოს მთავარებისკობოსი. [და უკეთუ მთავარებისკობოსი არ იყოს, დამთხუეულთა ებისკობოსთაგანი, ვისიცა სათნო უჩნდეს კათალიკოზსა, წარუძღუენ მგალობელნი, მღღელნი და დიაკონნი შემოსილნი, საკუნწველითა და კეროვნითა. ხოლო მგალობელნი მგზავრ იტყოდიან ჯუარი ქდგაინთაჲ.

და ვითა მიიწინენ პალატსა შინა და დადვან ფეშხუმსა ზედა გზრგზნი, სკიპტრა<sup>1</sup>, პორფირი და ბისონი, დაჰბურონ წმიდათა და ებისკობოსმან გელთა მიერ ტვრთვთ შეილოს ეკლესიად და დღვას ტრაპეზსა ზედა.

და აღივადოს შესამოსელი და იწყონ მწუხრისასა. და ღამე იგი უძილად განათიონ ლოცვითა და ვედრებითა ღმრთისა მიმართ, თვთ მეფედ განმზადებულმან და ყოველთა პალატთა შინა და ყოველმან საესებამან ეკლესიის[ვ]ამან.

და ვითარ განთენდეს და ლოცვა აღასრულონ, წარვიდენ ყოველნი სახიდ თვსად და განისუენონ.

და ვითარ მოიწიოს ჟამი წირვისაჲ, სამეამ ჰრეკონ ძელსა და შეკრბენ ეკლესიად.

და შეიმოსნენ კათალიკოზი და ებისკობოსნი, მღღელნი და დიაკონნი.

ჯუარის-მტვრთველმან აასუენოს ძელი ცხორებისა და წარიდლუანნეს წინა მთავარდიაკონნი სანთლებითა და საკუმეველითა.

და ვითარ მიიწინენ პალატად, თავმოდრეკილმან ჰრქუას მეფესა: «გუაჲკურთხენ, წმიდაო და თვთმპყრობელო მეფეო, მრავალმცა არიან წელნი მეფობისა თქუენისანი». და მერმე სრულაად ლაშქართა თქუან.

კუალად თავისა მომდრეკელმან ჰრქუას ლაშქართა: «და თქუენცა გიხაროდენ ძალნო უძლეველნო და დამამგობელნო მტერთა სამეფოთანო, ჟამი არს წინამდებარისა საქმისა აღსრულებად».

და წარმოემართნენ ესრეთ სახედ: წინათ ზარი მეფე[მწ] და შემდგომად დროზა და შუბი, და შემდგომად მთავარდიაკონი და ჯუარის-მტვრთველი, მეფე და ლაშქარნი.

<sup>1</sup> სკიპტრა

ამირსპასალარი, გრმალ-შემორტყმული, მარჯუნით კერძო ჰყვებოდეს და სამეფო გრმალი ორთავე გელთა ზედა ეტვრთოს.

ეგრეთვე ამილახორი :და მეაბჯრეთ-უხუცესი<sup>1</sup>, გრმალ-შემორტყმულივე, ამირსპასალარის<sup>2</sup> კერძო ვილოდენ.

ხოლო ჰყონდიდელი და ათაბაგი მარცხენით მეფისა ვილოდენ და სხვანი მთავარნი.

ხოლო მანდატურთ-უხუცესი, სამანდატუროსა არგნისა გელთა მქონებელი, შემდგომად ჯუარის-მტვრთველისა, წინა უვილოდეს მეფესა.

ეზოთ-უხუცესსა, ჩუხჩარებსა, მეაბჯრეთ უხუცესსა<sup>3</sup> სამეფო ფარი და ლახტი ჰქონდეს და ქარქაში; უქანა უდგეს მეფესა.

ამით წესითა ვითარცა მიიწიენენ კართა ეკლესიისათა, კათალიკოზი და ეპისკოპოსნი წინა მოეგებნენ: კათალიკოზმან თავმოდრეკილმან ჰრქუას მეფესა მალლად: «კურთხეულ [v] არს მოსლვა თქუენი და დამტკიცება მეფეთ-მეფედ სამეფოსა ამას თქუენსა ზედა, და განმტკიცნეს ღმერთმან შიშსა და სარწმუნოებასა მისსა ზედა, და დაგამორჩილნეს ყოველნი მტერნი და წინააღმდეგომნი სამეფოსა ამის თქუენისანი, ქუეშე ფერჯთა თქუენთა». და თქუას ყოველმან ერმან: «ამინ».

და თაყუანი-[ს]ცეს მეფემან მდაბლად კათალიკოზსა, დაუპყრას გელი მარჯუნენე კათალიკოზმან; ხოლო უკეთუ აფხაზეთისა კათალიკოზი არა იყოს,—იშხნელმან ანუ მთავარებისკოპოსმან; და წარიყუანონ და სამეფოსა ადგილსა დააყენონ, და იწყონ აღმოკუეთად სეფესა.

ხოლო აფხაზეთის კათალიკოზმან დაჰბუროს, ანუ მთავარებისკოპოსმან. და ვითარ დაჰბუროს, უწინარეს დაწყებისა, გამოუღოს ჯუარის-მტვრთველმან ამირსპასალარს<sup>4</sup> სამეფო გრმალი და საკურთხეველსა შინა ეგლსა ცხორებისასა მიყრდნობილი დადვას.

და დროშა და მუბი საკურთხეველისა კარს ენჭირნენ იმიერ და ამიერ.

[მერ] უწინარეს კათალიკოზთა თქმისა და მთავარდიაკონისა გამოსლვისა, რომელსა მდღელთ-მოდლუარსა დაებუროს, წინაშე წმიდისა საკურთხეველსა მდგ[ო]მარეობდეს, აღიღოს საკურთხეველისაგან ბისონი, გამოვიდეს და მეფეს თავი მოუდრიკოს, და ორთავე მუკლთა ზედა დაფენით დაუდვას, და წარმოიყუანოს სა-

<sup>1</sup> მარჯეთ უხუცესი. <sup>2</sup> ამირსპასალარის. <sup>3</sup> მეაბჯრეთ-უხუცესსა. <sup>4</sup> ამირსპასალარს.

და კათალიკოზი მდგომარე იყოს. თავი მოუდრიკოს მეფემან კათალიკოზსა და ჰრქუას: «მაკურთხეო მე[უ]ფეო».

კათალიკოზმან ჯუარი დასწეროს და თქუას: «კურთხეულმკა არს მეფობა თქუენი დასასრულამდე ეამთა, და განმტკიცენ სარწმუნობასა მისსა ზედა მიუღრეკელად». გამოულოს ბისონი და შთააცვას თავის ჳელითა და ჯუარი დასწეროს.

და წარუძლუეს იგივე მღდელთ-მოდღუარი, რომელსა მიეყვანოს. და და[ა]დგინოს ადგილსავე თჳსსა, და ეგრეთ შევიდეს საკურთხეველად.

და გამოვიდეს მთავარდიაკონი და იწყოს კუერეჳსი თქუმაღ. და ვითარ სახარება წარიკითხონ, გამოვიდეს აფხაზეთის კათალიკოზი [v] და მთავარებისკობოსი. და თუ აფხაზეთის კათალიკოზი არ იყოს, — იზხნელი. და იზხნელი და მთავარებისკობოსი მოეკიდნენ ჳელსა: ერთი მარჯუენით და ერთ[ი] მარცხენით, წესისაებრ მღდელთ-მოდღუართასა, და წარადგინონ შუა ეკლესიასა საწ[ა]რდგომესა ადგილსა, და სამგზის ათაყვანონ წმიდასა საკურთხეველსა. და წარადგინონ საკურთხეველისა კართა. და კუალად მოიყარონ მუჳლნი და თაყუანი-სცენ.

და ვითარ შეიყვანონ ერთგზის წმიდასა ტრაპეზსა, თაყუანი-სცეს და დაუყარნეს მუჳლნი კათალიკოზსა და მოაკრფენ გარემოს ყოველნი ებისკობოსნი და ყოველთავე ომფორი თავსა ჳედა დასდვან.

ჯუარი დასწეროს კათალიკოზმან, და იწყოს თქმაღ მალლად სასმენლად ყოველთა: «საღმრთო მადლი, რომელი ყოველადვე უძლურებათა ჩუენთა ჳკურნებს და ნაკლულებასა ჩუენს[ა] აღაგებს და განაჩინებს ღმრთის მოშიშსა სახელით ერსა და სამეფოსა ამას ჳედა მეფეთ-მეფედ და გარ[ჳზრ]ე შეარტყამს საღმრთოსა ძალსა მისსა, ვილოცოთ ყოველთა, რათა დაიმკჯდროს მის თანა მადლმან ყოველად წმიდისა სულისამან».

და ვითარ დაესრულოს, ჳმა-ყოს [სა]ვსებამან ეკლესიისამან თანა ერთ-ურთ მადლითა ჳმითა: «კირიელელისონ!» «კირიელელისონ!» «კირიელელისონ!»

იწყოს კათალიკოზმან იგივე: «საღმრთო მადლი, რომელი ყოველად...» და ერმან ყოველმან «კირიელელისონი» 3 [გზის]; კუალად იგივე «საღმრთო მადლი» და<sup>1</sup> «კირიელელისონი» 3 [გზის].

და ვითარ დასრულდეს, კათალიკოზმან ჯუარი დასწეროს 3 [გზის] და[ა] ყოველთა მღდელმოდღუართა.

<sup>1</sup> და] ენ.

და იწყოს კათალიკოზმან ლოცვა წარკითხვად სასმენელად ყოველთა. და ვითარ სრულ იქმნას ლოცვად წარკითხვად, დასწერონ ჯუჰარი და ალაღინონ.

და აღილოს კათალიკოზმან საკურთხეველით გვრგვინი და დაარქუას თავსა მეფეს და იტყოდეს ავჯითა ვმითა: «დაადგ თავსა მისსა გვრგვინი ქვსა მისგან პატიოსნისა, ცხოვრება გთხოვა შენ, და მიეც მას განგრძობა დღეთა უკუნისი უკუნისამდე».

მერმე აღილოს პორფირი, ჯუჰარი დასწეროს დ[ვ]ა შთააცვას<sup>1</sup>. ამის შემდგომად აღილოს სკიპ[ტ]რა, ჯუჰარი დასწეროს და მისცეს მარჯუენესა გელსა მისსა. და ტრაპეზსა მარჯუენით კერძო ორხაო დაუფინონ და ზედა დაადგინონ. მგალობელთა იწყონ: «მრავალ-ჟამეულ ჰყვენ ღმერთო მეფეთ-მეფე ჩუენი სახელით, მრავალ-ჟამეულ ჰყვენ». ხოლო მეფე დგეს წინაშე წირვისა აღსრულებამდე.

<sup>1</sup>და ვითარ ეზიარნენ მღღელთ-მოძღუარნი, თვთ მეფეცა აზიარონ უწინარეს მღღელთა.

და ვითარ ჩამოვიდენ საკურთხეველით კარით, ამირსპასალარმან<sup>2</sup> კრომალი შეარტყას და წარმოემართნეს მითვე სახით, რომელი პირველ მოვიტყენე:

მარჯუენე ჯელი კათალიკოზსა ეჭიროს, ხოლო მარცხენე ჯელი აფხაზეთისა კათალიკოზსა, ანუ ჰყონდიდელსა\*, ანუ იშხნელსა, და ეგრეთ შეჰყვენ პალატსა შინა.

და ვითარ ტახტსა მი[ე]ახლნენ, კათალიკოზი და ჰყონდიდელ[ი] თანა შეჰყვენ; ტახტსა ზედა დასვან მეფე, და იგ[მ]ირინი შთამოვიდენ.

ჯვარის-მტკრთველი შემოსილი ძელი ცხოვრებისა ეტკრთოს, მარჯუენით მეფის[ა] დგეს ტახტსა წინათ\*\*, ვიდრე ლაშქართა თაყუანისცემადმდე და ძღუნისა შეწირვამდე\*\*\*.

პირველად დედოფალმან თაყუანი-სცეს, მერმე-ლა კათალიკოზმან, ჰყონდიდელმან, ათაბაგმან, მანდატურთ-უხუცესმან, ამირსპასალარმან<sup>3</sup>, მეჭურჭლეთუხუცესმან, მსახურთ-უხუცესმან და შემდგომად ჯელოსანთა და უჯელოთა დარბაზისერთა სრულიადთა.

<sup>1</sup> შთააცვას ათაცვს. <sup>2</sup> ამისპლარემ. <sup>3</sup> ამისპასალარმან.

\* „ანუ ჰყონდიდელსა“ ჩამატებულია მხედრული ხელით.

\*\* „წინათ“ ჩაწერილია სხვა ხელითა და მელნით, მის ადგილას ყოფილა „ზედა“.

\*\*\* ამის შემდეგ ხელნაწერშია: „და ვითარ ეყ სრულ იქმნას, შთამოვიდეს ჯუჰარისმტკრთველი და შემოსილი აიჯადოს“, რაც ხაზგადასმულია.

და ვითარ სრულქმნან ძღნობა\*, შთამოვიდეს ჯუარის-მტკრთველი და შესამოსელი აღიჯადოს.

ხოლო ყოველთა დღეთა სამ დღემდის მეფე ტახტსა ზედა ჯდეს გზგზნითა და პორფირითა.

ხოლო ესე საცნაურ იყავნ, რომელ თვნიერ კათალიკოზისა არა ვისგან ჯერ-არს კურთხევა.

## 22. ლოცვაჲ დაღვინებასა მთავართასა

უფალო, ღმერთო ჩუენო, რომელსა ყოელისა მთავრობისა და ჯელმწიფებისა ჯელმწიფებაჲ გაქუს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, რომელმან მონაჲცა ესე შენი [სახელი] სათნო-იყავ მოღებად მთავრობისა ამის, მონიჭე ამას ყოველივე საცხოვრებელად თხოვაჲ და ღირს-ყავ იგი სჯად მის ქუეშემყოფთა სიწორფობითა და სიმართლითა; რათა სათნოდ შენდა გამოჩნდეს ყოველსავე შინა, რომელსა ცა იქმოდის, და ყოველსა საქმესა წყალობისასა აჩუენებდეს.

გლახაკთაჲ და ნაკლულევიანთაჲ და მსახურთა მისთაჲ მშკდობით და მორჩილებით მწყსაჲ სათნო-იყავ და აღარძინე ჩუეულეებისამებრ ნაყოფი ქუეყანისაჲ იეფობისათჳს ყოელისა ერისა შენისა, რამეთუ შენი არს სიმტკიცე და შენდა დიდებასა შეეწირავთ...

თაენი ჩუენნი უფალსა მოუდრიკნეთ. მღღელმან ლოცვაჲ:

უფალო, ღმერთო ჩუენო, ყოველთა დაბადებულთა შემომქმედო, ისმინე ვედრებისა ჩუენისა და მოჰმადლე სარწმუნოსა ამას მონასა შენსა ყოველივე საცხოვრებელად თხოვაჲ და ღირს-ყავ იგი ნებისაებრ შენისა განგებად და მონებად რწმუნებულსა ამას მისდა მთავრობასა, რათა იქმნას მკვდრ ზეცისა სასუფეველისა შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი წყალობისა და მაცხოვარებისა, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა აღვაფლენთ თანადაუსაბამოჲთ მამით შენით და ყოვლად წმიდით და სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

## 22'. კურთხევაჲ მარისთავისაჲ

რაჟამს მიანიჭებდეს ღმერთი პატივსა ერისმთავრობისასა, განიბანოს გუჲში ყოველი და შეიმოსოს სამოსელი, ვითარცა შეუ-

\* ამის შემდეგ ხელნაწერშია: „მირთნ პური წინაშე“, რაც ხაზგადასმულია და ნაცვლად მხედრული ხელით ჩაწერილია: „შთამოვიდეს ჯუარისმტკრთველი და შესამოსელი აღიჯადოს“, რაც ტექსტში შემოგვაქვს.



ნის მეფეთა. და ჰრეკონ ჟამსა სამხრისასა, წარმოადგინონ ერის-  
თავი იგი აღსავალსა საქურთხეველისასა, ტაბატა დაუფინონ, და  
ჯელთა აქუნდეს კეროვანი აღნთებული. დაუდგენ მღვდელნი და  
ღიაკონნი მარჯუენით და მარცხენით, და კათალიკოზმან ანუ მიტ-  
როპოლიტმან აკურთხოს ამით კურთხეითა.

«უფალო, ღმერთო ჩუენო, რომელსა ყოველთა მთავრობათაჲ  
და ჯელმწიფებათაჲ ფლობაჲ გაქუს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა,  
რომელმან მონაჲცა ესე შენი [სახელით] ჯერ-იჩინე სოფლის  
პყრობად, მიჰმადლე ამას დამორჩილებად ქუეშემყოფნი სიმართ-  
ლით და ჭეშმარიტებითა სათნო-ყოფად შენდა ყოველი, რომელი  
ამის მიერ იქმნებოდის: რათა გლახაკთა და ნაკლულევანთა ყოველ-  
სა საქმესა მოწყალეობისასა აჩუენებდეს და სასჯელსა სიმართლისა-  
სა ჰყოფდეს უქრთამოდ, და ყოველნი მსახურნი მისნი ყოველითა  
მშჯღობითა და მორჩილებითა მოჰმადლე.

განამრავლე და მარადის მოეც ნაყოფი ქუეყანისაჲ ცხოვრე-  
ბისათჳს ყოველისა ერისა შენისა. რამეთუ შენი [არს] ჯელმწიფებაჲ,  
მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი  
უკუნისამდე. ამინ.

## 22<sup>2</sup>. ლოცვაჲ დადგინებასა მარისთავთ-მარისთავისასა

მეუფეო მეუფეთაო და უფალო უფლებათაო, რომლისა განგე-  
ბულებითა და ბრძანებითა განეწესნეს მთავრობანი და ჯელმწიფე-  
ბანი და ძალნი ზეცისანი და ქუეყანისანი საქებელად უხილავისა  
მის და მიუწვდომელისა მეუფებისა შენისა.

შენ, ღმერთმან ყოველთა ძალთამან და უფალმან ყოველთა  
განგებულებათამან, ჰბრძანე განწესებაჲ ქუეყანისა და სოფლის  
მპყრობელთაჲ და დაადგინენ ერისმთავარნი ერისა შენისანი, რა-  
თა მფარველ და საყუდელ ექმნენ წყალობით-მოგებულსა ახალსა  
ერსა შენსა.

რომელმან აღუთქუ წმიდათა შენთა მოციქულთა მოცემად  
მადლი ღმრთეებისა შენისაჲ დათრგუნვად გუელთა და ღრიან-  
კელთა და ყოველსა ძალსა მტერისასა, აწ მეუფეო უკუდავო, და-  
იკეე მონაჲ ესე შენი [სახელი] ყოველისაგან განსაცდელისა საეშმა-  
კოჲსა და კაცობრივისა, რათა გმონებდეს ღმერთსა ღმერთთასა და  
უფალსა უფლებათასა; და შენმიერთა მადლითა ბრძანე სიმტკიცე  
მკლავისა მისისაჲ წარდგომად წინაშე პირსა შენსა სიხარულითა  
და სიტკბოებითა.

შეჰმოსე ამას ნაწუეთი წყალობისაჲ და მოეც ძლიერებაჲ მტერთა ზედა დღედ ბრძოლისა.

დაადგ თავსა მისსა ჩაუხუტი დიდებისაჲ, რათა შენითა შეწვენითა არცხუენდეს მტერთა დღეთა ბრძოლისათა.

დანერგე გულსა ამისასა ნაწუეთი წყალობისა შენისაჲ, რათა მზრდელ და მწყალობელ ექმნეს ერსა შენსა, რომელი მოეც მას.

იყოს ვითარცა მამა სახიერი, რომელი ჰყუარობნ შვილთა და ასწავებნ ყოველსა გზასა ღმრთისმსახურებისასა.

რათა ობოლთა მზრდელ ექმნეს თვისითა მით ჯელმწიფებითა და შენითა მით განმზადებულითა პატივითა ერისმთავრობისაჲთა, რომელი განაწესე მის ზედა — უმეტესობაჲ მოყუასთა მისთაჲ.

რათა საყუდელ ექმნეს მოხუცებულთა და ჭაბუკთა, მისთა მინდობილთა პატივისმცემელ და ყოველთა კეთილისმყოფელ, და მასწავლელ ერისა თვისისა ყოველსა სათნოებასა განკრძალულად ნებისაებრ შენისა.

და აწ შენ, ცხოველსმყოფელო და ყოვლისა კეთილისა ჩუენ-და მომცემელო, გულისგმა-უყავ ერსა შენსა ყოველი გზაჲ მეცნიერებისაჲ და ჭეშმარიტებისაჲ, რათა ვიდოდინ ალაგთა სიმართლისა შენისათა, გადიდებდენ შენ, მამასა ზეცათასა და ყოვლისა სათნოებისა მასწავლელსა, რათა კრძალულებით და შიშით ვიდოდინ წინაშე პირსა ცხებულისა შენისასა, რომელი დაადგინე ერისმთავრად მათ ზედა.

და ვითარცა ვიდოდა ისრაელი კრძალულებით წინაშე პირსა დავითისასა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა, ეგრეთვე გულისგმა-უყავ ერსა შენსა ყოველი გზაჲ ჭეშმარიტებისაჲ, რათა შიშით მსახურებდეს, დიდებასა და პატივსა აჩუენებდეს.

და შეაზავენ ჟამნი ცხოვრებისა მისისანი ნაყოფსავესედ ყოვლითა კეთილითა, უხუებითა და სიმართლითა.

ბრძანე ჩჩულთაჲ სიორძილე, ჭაბუკთაჲ სიმშვიდე, მოხუცებულთა ფუფუნებითა დაცვაჲ.

ეკლესიათა შენთაჲ ბრძანე შეურყეველად დაცვად ყოვლისაგან წვალეობისა, სიბორჯილისაგან უცხოესა ნათესავისა.

ბრძანე უბიწოდ და ჭეშმარიტებით მოქალაქობაჲ მღდელთათჳს, რომელნი წოდებულ არიან მწყემსად ერისა შენისა; ამათ ყოველთა ოხითა და ვედრებითა დაიცევ ერისმთავარი ესე ერისა შენისაჲ ყოვლისაგან განსაცდელისა.

რამეთუ შენდა შეუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანის-ცემაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუწითა უკუწისამდე. ამინ.

22. კურთხევაჲ ცოტაჲს მარსთავის დაღმევისასაჲ უფლისა  
მივართ ვილოცოთ

უფალო, ღმერთო ჩუენო, რომელსა ყოველთა მთავრობათა და ჳელმწიფებათა ზედა უფლებაჲ გაქუს, ცათაჲ და ქუეყანისაჲ, რომელმან მონაჲცა ესე შენი [სახელით] ჯერ-იჩინე სოფლისა ამის მპყრობელად, მრმადლე ამას დამორჩილებად ამის ქუემემყოფნი სიმართლითა და ქეშმარიტებითა, სათნოყოფედ შენდა ყოველი, რომელი ამის მიერ იქმნებოდის; [რათა] გლახაკთა და ნაკულუევანთჲ ყოველსა საქმესა მოწყალეებისასა აჩუენებდეს და სასჯელსა სიმართლისასა ჰყოფდეს უქრთამოდ; და ყოველნი მსახურნი ამისნი ყოვლითა მშუდობითა და ყოვლითა მორჩილებითა მოჰმადლე.

განუმრავლე ამას ნაყოფი ქუეყანისა ამის უხუებითა ყოვლისათჲს ერისა შენისა, რამეთუ შენი არს ჳელმწიფებაჲ და მეუფემაჲ და ძლიერებაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და ბარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

23. [შეწიკულების დაწვილი ვეჰუკაღმეთ-უხუცეს კახა თორაელისა  
აკონის მონასტრისადმი]

[1259 წ.]

[მადლითა და წყალობითა დიდებულ[ისა და ყოვლად ქებულისა ღმრთის მშობელისა]თა და უმეტეს]... დიდება [და] მეოხებ[ითა ყოველთა წმიდათაჲთა]... რომელთა აჩუენეს... დიდთა და განეკუთნნეს... [ყოვე]ლთა თაჲთა, რომელნი სა... და სათნო... ღმრთისა ჩუენისად... [ც]ათა და...

ესე დაწერილი [დაგიწერეთ და მოგაჰსენეთ] თქუენ, [რკონ]ისა ღმრთისმშობელსა, სას[ოსა და მფარველსა ჩუენსა, მე], კახა მან და [თანამეცხედრემან ჩემმან] ხ ა თ უ თ ა მ ა ნ .

შეილი არ გუეს[ვა<sup>1</sup> და ვიყიდეთ სოფელი ხოვლე თქუენ]თჲს, მემამულეთა ა ღ ბ უ ღ ა ა ს გ ა ნ და მისთ[ა შეილთაგან გასყიდულნი, ვითა] თუით დაწერილნი მათნი თქუენს წინაშე დაგ[უისხმან<sup>2</sup>, ორტაღთა] ზედა გასყიდულობისანი და მათგან ჩუენ ვიყიდეთ. მ[ათ ჟამთა დია] ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან. ოქროჲ ძუირ[ად იყვის და] სოფელი იეჟად.

პატრონმა მამამან ჩემმა ეზომი მამული დამი[იგდო, რომე თუმცა] სხუა რომელი მამულისა სოფელი შემომეწირა, ესეც ჳელ[მეწი-

<sup>1</sup> გუესუა] ეგეს B. <sup>2</sup> დაუისხმან] და გაყიდეს B.

ფებოდა], მაგრა თუ შვილი მომეცემის, მას არ ვემართლები. და [თუ შვილი არ მომეცე]მის, ჩემთა ძმათა არ უზმიდი, და ჩემგან ნასყიდი<sup>1</sup> უკეთე [დაგრჩებოდა].

[მას ჟამსა, ოდეს] ბაღდადი გატეხეს თათართა, პატრონ[მან აფხაზთა მეფემან ულაოს] წინაშე გამგზავნა მოციქულად. მაშინ ბაღ[დადური ა]ლაფი ყუელა იეფად იყო.

და მე არა მქონდა სასყიდელი, წავიდი, ორტალთაგან ლარი<sup>2</sup> და თეთრი ავიღი, ვიარებოდი<sup>3</sup> და ვიყიდდი<sup>4</sup> თულსა, მარგალიტსა და ზარქაშსა; ორტალთა მათი ჯელთავე მივსცი და მე შიგა ეზომი დამრჩა, შენითა წყალობითა, რომე ხოვლისა ფასი მითა მოვიგე. და ვიყიდე ხოვლე ხოჯა სალამის ცოლისა და შვილისგან ნახევარი, და ნახევარი ჰასან სუმბატი სძისა სომეხისაგან და იოსებ ბულბაფაისძისა ჰურიისაგან.

მათ სამოცდა ხუთი ათას თეთრად ეყიდა აღბულაჰსგან და მისთა შვილთაგან, ვითა დაწერილთა შიგა სწერია.

და აწ მე მივეც ფასი სრული. და ჰასრე მიმჭირდა<sup>5</sup> იმისსა სყიდასა შიგა, რომე ზოგი მათ მომსყიდელთა წამილიან იეფად: რაიც ხუთი ათას თეთრად ღირდის, ორ ათასად ძლივ დავაჭირვინი, და ზოგი სხუაგან დიდებულთა ზედა გავყიდი, რაიც ათიათას თეთრად ღირდის, ხუთი ათასად ძლივ გავყიდი, და ეგრე გარდავეც ყუელაი.

და არა ვისი წამიგია ამას შიგა, რომე ასი ცხუარი და ექუსასი თეთრი პატრონმა მამამა ჩემმა მიბოძა, და მისთვის მწირველი გამიჩენია—მისითა წყალობითა დია<sup>6</sup> მქონდა. მაგრა ამის მეტი არა წამიგია, და ჩემთვის სიკეთისათვის ხუთასი თეთრი ბიძამ ჩემმა მიბოძა<sup>7</sup> და ერთნი ჯუბაჩანი—საჰმადავლა<sup>8</sup>. სხუი არაი ვისი მომიჭმარებია ხოვლის ფასს შიგა, არც მამეულისა, არც დედულისა, არც [სხუა] რა გუარისაი, ამა ზემოწერილთა მადლმან და მან დღე-მა, რომლისათვის შემოგუიწირავს.

და<sup>9</sup> არ ამად შემოგუიწირავს, თუ შვილი არ გვესო<sup>10</sup>: თუ მოგუეცეს, ეგრეც თქუენდა მოგუიწესენებია. ჩემის სულისათჳს მიყიდა და არავის საქმე უც ხოვლეს გუერდით, [არცა] შვილსა და არც ძმასა.

და თუ შვილი მომეცეს და ერთიც სოფელი არლა ქონდეს, და გამოძებულიც სით მოვიდოდეს დასაჭირავად ანუ მოსაჭმარებლად, შიგაც ვერ გაიაროს.

<sup>1</sup> გასყიდი B. <sup>2</sup> ორტალთაგან ლარი] პატ[რონ]თაგან ლადარი B. <sup>3</sup> ვიურებდი B. <sup>4</sup> ვყიდდი B. <sup>5</sup> მჭირდა B. <sup>6</sup> დია] და B. <sup>7</sup> მამბოძა A. <sup>8</sup> სალა მადავლა B. <sup>9</sup> და—A. <sup>10</sup> გვესო A.

და თუ ტყუილად ვინ ჯდეს ჩემის გუარის კაცი, მითა ნუ იგსნების.

და თუ ღმერთი შეგურისხოდეს<sup>1</sup> და აფხაზთა მეფეთა რაი შეცოდებაი შემოუვიდეს: თუ მონასტერს და საფლავთაც დათხრას ემართლებოდეს, ხოვლეს ნურაი მაშინ ჯელი მიჰყოს, ღმერთმან მას აფხაზ[თა მეფეს] ჰკითხოზ<sup>2</sup> ამას ყოფასა და მას საუკუნეს.

და თუ მე რაი შემეცოდოს, თუ ცოცხალი ვიყო, ცოცხალს გარდამაჰდევინონ და თუ აღარ ცოცხალ ვიყო, ჩემნი ძუალნი ძაღლთა მიუყარნენ და სხუთა მამულითა გარდამაჰდევინონ, ხოვლესთან ნურცა რაი ეგრე საქმე უც.

და რა გინდა ვალი ანუ დაჰირება დაემართოს ჩემსა გუარის კაცსა, ვითა გიშელთა<sup>3</sup> და ფანასკერტელთა მამულსა თანა<sup>4</sup> არაი საქმე უც, ეგრევე ხოვლესთანა არაი საქმე ელვას<sup>5</sup>.

და თუ ბერთა არა სწადდეს, ვერცა-ვინ ერთი ღამე გაათენოს შიგა; და ნუც ვინ იკუეების<sup>6</sup> შიგა, რაიზომ გინდა ვინ შორჰმული და მძღავრი იყოს, ანუ ბედითი და დაეარდნით.

მოგუიგსენებია სოფელი ხოვლე ზურითა, ხოდაბუნითა, ტყითა, ვეღითა, წყლითა, წისქულითა და ყოვლითა სამართლიანითა ზღვრითა, საგმრითა და უტმრითა, და სოფელი სამსახურითა და ბეგრითა, ვითა მე გამიჩენია.

ორი მიწაი მეტეხთა ღმრთისმშობლისა იყო შეწირული: ბეყეურეთი და გორგათი, მათ კიდე გაეყიდა და მე ეგრეც მეტეხთა ღმრთისმშობელს მოვაჰსენე ჩემის სულისათჳს.

მორბედის ძის მიწაი ვარძიის ღმრთისმშობლისა იყო შეწირული<sup>7</sup> და მასვე მოვაჰსენე.

ხოხალისძე და აბესაძე კავთას შეწირულნი იყვნეს<sup>8</sup> და მასვე შეესწირენ; ესენი ბეგარს, რაითაც შეწირულნი არიან, მუნ მიიღებდენ; და სამართალი და მამითადი განაღამცა თქუენივე იყო.

შეწირული ნებიერი და სიგლოსანი ერთობ ყუელაი მიყიდია, ვითა მათთა დაწერილთა შიგა სწერია.

და გავაჩინე ესრე, რომე, სამას სამოცდახუთი ღლე არს წელიწადსა შიგა და ამისგან ოცდახუთი ღლე გამოვიღე მარხვათა შიგა, რომე ჟამი არ იწირვის მისთჳს და სამას ორმოცი თეთრი მოვიდოდეს წელიწადსა შიგა.

<sup>1</sup> შეგურისხოდეს B. <sup>2</sup> ეკითხოზ B. <sup>3</sup> გაშელთა B. <sup>4</sup> მამულსა თანა] გაგელის თანა B. <sup>5</sup> ეგვას B. <sup>6</sup> აკვეწვის B. <sup>7</sup> შეწეული B. <sup>8</sup> აყუნეს B.

ყოველთა დღეთა ჩემსა ეკუტერსა შიგა, ჩემს ბარძიშს და სიწმიდის სამსახურსა ზედა თვთოი მოლაზონი რიგ-მოღებით<sup>1</sup> ჟამსა წირვიდეს, ვისი გინდა<sup>2</sup> მწირველი იყოს. და თეთრი მიეცემოდეს...<sup>\*</sup> თეთრი მეეკუტრის ჩემისა ჯელსა ეკუტერსა შიგა, და ვისდა ვგრე მიეცემოდეს...<sup>\*</sup>

და თუ მონასტერსაც რადმე<sup>3</sup> არავინ ღირს იყოს წირვისა მას დღესა, . თუ გარეთცა შემოიყვანენ მწირველსა, ნუ დაგუაკლებენ წირვასა. და ვინც დაგუაკლოს ღმერთმან გამოაკლოს სასუფეველსა მისსა. და ამას ორს დღეს ჩემთჳს წირვიდენ და ერთსა — ჩემისა ცოლის ხათუთას თჳს.

მერმე, ვისი გინდა ალაპი იყოს, ყოველთავე დღეთა, რაიც ტრაპეზს დებოდეს<sup>4</sup> მოწილენ, თვთოი დიდროანი სეფისკუერი სამინდენ<sup>5</sup> და თვთოი დიდროანი მოხეული ჭიქაი ჩაივლებოდეს. ჩემი მწირველი და ხათუთაისი ჩაურიგებდენ სეფისკუერსა და ჭიქათა და ჩუენთჳს შენდობასა ატქუმევედენ; აღდგომი დღე არავისი იყო გაკვეთილი — ჩემთჳს იყოს, კარგი ალაპი გარდაიქმებოდეს, ოთხითა ფერითა საქამადითა და მძძრად პურითა და ღუინითა, და რაც კარზედა გლახაი იყოს, ყუელაი დაძლებოდეს; მწირნი და უილურნი<sup>6</sup> ვინცა ვერ მოვიდოდიან, ყუელასა შინად გაეგზავნებოდეს.

პატრონისა მწირველსა თხუთმეტი გრივი ხუარბალი ხოდაბუნთაგან მიეცემოდეს, ნახევარი წმიდაი და ნახევარი საეროი; და ვენაჭნი, ვითა გამიჩენიან<sup>7</sup> ესტატური და კოხური, და ღმრთის-მშობლის ეკლესიათა უკანით სასახლენ.

ჩემსა მწირველსა ხუთ-ხუთი<sup>8</sup> გრივი ხუარბალი მიეცემოდეს ხოდაბუნთაგანვე, სეფითა კაბიწითა, ნახევარი წმიდაი და ნახევარი საეროი და ვენაჭი გუერაისძისა განაყოფისა, ლომისეული.

ხათუთას მწირველსა ჰქონდეს ვენაჭნი შეუვალნი ხოვლეს.

კულუხი ძუელი თორმეტი კოკაი იყო ოცდაოთხ ლიტრი[ანი]-თა კოკითა, თვთო[სა] მიწასა ზედა. აწ, ექუს-ექუსი გამიშვია და მის ექუს-ექუსისათვის სამას<sup>9</sup> და ორმოცსა თეთრსა გამოიღებდენ ეკუტერს მისაღებელსა: თვითოი მიწაი რვა-რვასა თეთრსა გამოიღებდეს. კვირეულსა<sup>10</sup> შიგა ყოველნი დღენი სამუშაონი იყვნეს: შაბათი გამიშვია და ორშაბათით პარასკევამდის მუშაობდენ.

მერმე<sup>10</sup> თუ ვინ ამისი<sup>10a</sup> მომშლელი გამოვიდეს; ანუ შეილი, ანუ ძმა, ანუ მოყუასი<sup>11</sup>, ანუ ყუთუ ლარს ლან<sup>12</sup> ვითარ-ყო<sup>13</sup>

<sup>1</sup> რიგმოდებით B. <sup>2</sup> ვისი გინდა| ვისიგინმა B. <sup>3</sup> მონასტერს რადმე| მონასტერს კარამდე B. <sup>4</sup> ედებოდეს B. <sup>5</sup> სამინდეს A. სამინ B. <sup>6</sup> უძლურნი A. <sup>7</sup> გამიჩენიათ B. <sup>8</sup> ხუთი B. <sup>9</sup> სამასყე B. <sup>10</sup> კვირეულსა A. <sup>10a</sup> მერმეც B. <sup>10b</sup> იმისი A. <sup>11</sup> მეყვისი B. <sup>12</sup> ყუთულარსან B. <sup>13</sup> ვითარ-ყო — B.

\* აქ ტექსტი უნდა აკლდეს.

და ვითა ქირშიშ<sup>1</sup> ელარიონს უყო, თუ აბხაზთა მეფეთა წინაშე მოიღონ<sup>2</sup> ესე ჩემი დაწერილი და მათ არა მიასაბიონ, მათ ჰკითხნეს ღმერთმან ჩემნი ბრალნი აქა და მას საუკუნესა.

და თუ ვეზირთა და დარბაზის კარსა მოურავთა ჰნახონ და მათ არ მიასაბიონ, მათ ჰკითხოს ღმერთმან.

და ვინ ჩემის გუარისაი სხუაი იყოს, თუ მან არ<sup>3</sup> მიასაბიოს<sup>4</sup>, მასცა უგმია ღმერთი;

თუ ქათალიკოსმა<sup>5</sup> ჰნახოს და მან არა დაკრულოს, მას ჰკითხნეს ღმერთმან ჩემნი ბრალნი;

და ანუ მონასტერმან, — ერთიცაღა მოლოზონი იყოს, — თუ მათ არ გამოიყარნენ კარნი და წირვისა და ლოცვისაგან არ დაეყენნენ, — დამშლელი ამისი არ დაკრულონ, და სამარხაეისაგან არ გაიყენონ, მათ ჰკითხოს ღმერთმან.

და ესე ჩემგან გაჩენილი ვენაჲი, ანუ ყანა, ანუ სამსახური, ანუ კულუხი და ანუ რაი სხუაი ბეგარი, რაიცა წინამძღუარმა ანუ ვინ სხუამა მოურავმა შეცვალოს ქრთამისათჳს, ვითა სამსამართა უყვეს, იგიმც კრულია ღმრთისა პირითა; და თუ კრებულმან შეიცნოს, აუზოხორდენ<sup>6</sup> და გააბედითონ.

და მუნებური საქმე წინამძღუარმან, მოძღუარმა, დეკანოზმა და ერთობ კრებულმა და დაყუდებულთაცა, ქუაბთა შიგა მსხდომთა, ერთად იურვოს ყოველმა. ვითა გარესჯისა საქონებელნი არიან, ეგრე იურვებოდეს<sup>7</sup> ხოვლური საქმე; წინამძღუარი მეტად ნუ ჰპატრონობს.

მერმე ასრე იქნებოდეს, რომე რაც მოსავალი იყოს: ზუართაი, ხოდაბუნთაი და კულუხისაი, ყუელაისი ანგარიში ერთობ კრებულსა მოეკსენებოდეს, თუ წინამძღუარი ოდენ სცნობს და იმისგან, საზომი ლუინო და ფქუილი, ანუ სეფისკუერისა და ჭიქათა — კოკაი და კაბიწი, ყუელაი გამოწყული იყოს და ეგრე წაიგებოდეს.

და მოსავალი ხოვლესაი — პური და ლუინოი კიდევნად ერთსა სახლსა შიგა დაიგულებოდეს. მერმე, ოდესცა ზუარნი და ხოდაბუნნი კეთდენ და კარგა მოვიდეს, რაიცა მას წელიწადსა მოჰრჩეს, მეორის წელიწადისათჳს წააგებდენ: ნიადაგ არ სწორ გამოვა — ოდესცა დასეტყოს და არაი მოვიდეს, მისთჳს დაიგულებდენ. და ესე ნუ ოდეს იმიზეზების თუ: წელს არაი მოსრულაო, და ნუ მო-

<sup>1</sup> ქირქიშ B. <sup>2</sup> მოიღონ] წარიკითხონ A. <sup>3</sup> არ] + არ B. <sup>4</sup> მიასაბიოს] მიასაბიონ A. <sup>5</sup> ქათალიკოსმან B. ქათალიკოსმა A. <sup>6</sup> უზოხორდემან B. <sup>7</sup> იურვებოდეს A.

აკლდების ესე ჩემი გაჩენილი. და რაიცა ამასცა მორჩებოდეს<sup>1</sup>—  
გლახაკათვის<sup>2</sup> წაიგებოდეს და სტუმართათჳს მოიკმარებოდეს. და  
რაიცა სამართლად გამგებელისაგან იშობებოდეს, იგი წინამძღუარისა  
ველითა, ჩემსა აღაპსა შიგა, აღუსებასა<sup>3</sup> და დღესასწაულთა, სა-  
თევზედ მოიკმარებოდეს.

რომელმანცა<sup>4</sup> ბერმა: მესთულემა, ანუ მეღალემა, თავისი<sup>5</sup>  
ქრთამისათვის რაი დააკლოს—მონასტრისაგან გაიძოს; და მიზეზი-  
თა შეუცოდებელი გლეხი ნუ დაიტყუენვის. თუ მიწაი დაუჟაკრდებ-  
ოდეს, რაისგანცა ქრთამითა ნუ ვის გარდაერთვის—სამსახური  
და კულუხი ნუ წაჭდების: სხუაი გლეხი დაისუმოდეს ზედა.

თუ შვილი მოგუეცეს, საურავად მისი ველი შევიდოდეს, არ  
მისად მოსაჭმარებლად რაისამე—ჩუენის სულისათვის. და თუ შვი-  
ლი არ მოგუეცეს, რომელსაცა ჩემსა ძმასა შევავედრო, იგი იურგო-  
დეს. და თუ ვერცა ამას ვესწრა, რომელიც ჩემის გუარის კაცი  
მონასტრისათვის უკეთესი იყოს, მისგან იურგებოდეს.

და რკონისა ღმრთისმშობელო, მე, კარგად მყოფსა და ყმა-  
წვილსავე ამად მომიტყენებია: რა ვიცი ჩემსა უკანას ვინლა მო-  
გახსენებს ჩემსა ნაღუაწსა<sup>6</sup>? და ნუ თუ ერთსაცა წელიწადსა  
ცოცხალ ვიყო, რომე<sup>7</sup> ჩემითა თუალითა ვნახო, რაიცა გამოჩენია  
მისი ქნაი.

და სააქაოის დიდებისათვის არად მოგუიტყენებია: არცა ერ-  
თისა დღისა ცოდეთა ჩემთა შენდობასა ეფასების. მაგრა, სამუნოდ  
მოგუიტყენებია. და თქუ[ენ] იცით და თქუენის ძის მოწყალებითა,  
რაილა გინდა გვიყავით და ვითარცა ავაზაკი, ერთითა სიტყუითა  
მეც მომიტყენეთ<sup>7</sup> სასუფეველსა თქუენსა და გუიოხეთ წინაშე ძესა  
თქუენსა.

და რაი გინდა გუარი კაცი გამოჩნდეს ამის დამშლელად და  
მცვალებელად: ქართველი ანუ სპარსი ანუ სომეხი, რკონისა  
ღმრთისმშობელო, შენ შეჭრისხდი და გამოაჩინე სასწაული მას  
ზედა.

ვინც წინამძღუარი იყოთ, მუშაობასა ზედა<sup>8</sup> მოიჭირებდით  
და გლეხთათვის კარგნი იყუენით.

არა თუ თქუენ რაიმე გაკლდა პატრონთა გარდასრულთა ჩუ-  
ენტა...<sup>\*</sup> და შემოეწირა, და მადლად იყუენით, მაგრა ახლოი იყო  
[ხოვლე] და ამად უფრო ვიყიდეთ, და გამოგაჩნდამცა სად კარგია.

<sup>1</sup> მორჩებოდეს B. <sup>2</sup> გლახათათვის B. <sup>3</sup> აქუსებასა B. <sup>4</sup> რომელიც B.  
<sup>5</sup> ნაღუაწსა] ნაგუარსცა AB. <sup>6</sup> თავსა B. <sup>7</sup> სამე A. <sup>8</sup> შემოიტყენეთ AB. <sup>9</sup> ზე-  
და]+და B.

\* აქ ტექსტი უნდა აკლდეს.



მოაჭმარეთ სამცხორებელსა, ღორსა, ქათამსა, ფურებსა და გუთანსა, ყოველსა კარგადა აშენებდით და ბარაქიანად იყუენით. მე რა ვარ? მაგრა რომელთაგან აშენებულ არს, რომე მათი მონასტერი კარგა და საპატიოდ იყოს. და ამ გაჩენილისაგან რაც დააკლდებოდეს: ანუ ჭიქა დამცირდებოდეს<sup>1</sup> და ანუ სეფისკუერი გასაწყლდებოდეს, ერთობ კრებული შეიყრებოდით და ეგრე გაჰმართავდით და თავად გაჰქდიდით.

ვინ დააკლდებოდეს<sup>2</sup> ჩემი მწირველი და ანუ ხათუთასი, რომელიც ვარდაიცვალდებოდეს, თუ ვინ მათის გუარისა კარგი იყოს, იგი მოიყვანებოდეს. და თუ არა, თქვენ კრებული კარგსა მწირველსა დამისუმიდით<sup>3</sup>. და ერთსაცა წამსა უმწირველო ნუ არის ჩუენი სამწირველო.

და თუ ჩუენსა მწირველსა არ შეეძლოს და ჰავად იყოს<sup>4</sup>, რომელი იყოს მემზგეფსე და მეტრაპეზე, ჩაურიგებდეთ ჭიქათა და სეფისკუერსა.

და ვირე ცოცხალი ვიყო, მე დავდვა თავი და მოვიპირვო ხარჯისა<sup>5</sup> ცოტასა გამოღებისათვის ამა ჟამთა შიგა; და თუ მე აღარ ცოცხალ-ვიყო, ვინც ჩემისა გუარისა იყოს, მან იურვოს.

და თუ ღმერთმან შეიბრალოს ქრისტიანობაი და აღარ იყოს ხარჯობაი აწინდელისა დებისაი<sup>6</sup>, აღარავინ დასდვას და არცა რას ვინ სთხოვდეს საკრეფელსა ამის მეტსა, რაც არ გამიჩენია.

და თუ რაი ვის სხუასა სიგელი<sup>6a</sup> და ანუ დაწერილი ჰქონდეს, ყუელაი ცუდია: აფხაზთ მეფეთავე ვაჰრამისთვის<sup>7</sup> ბოძებულობითა გაუტეხია, ვითა დაწერილითა შეეტყუების, მათგან გასყიდულობისათა.

და სხუა რაილა გკადრო, რკონისა ღმრთისმშობელო, უმეცარმან და ენად ჰავმან და ცოდვათაგან შეშინებულმან და დაღონებულმან, მეტადრე შენ იცი და შენისა ცისა მოწყალეობითა! ზენაპარი, ზენაპარი! ნუ წამწყმედთ და მომეც ჟამი სინანულისაი თქუენსავე წინაშე.

და არ ვისგან შეგეცვალოს დაწერილი ესე—არ ჩემგან და არცა შემდგომითი შემდგომად მომავალთა ჩემთაგან.

და ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან: ანუ გუარისა ჩემისამან, ანუ სხუამან ვინ, დიდმან ანუ მცირემან, რაისაცა ჟამისა მოღებითა შეცვალოს, ანუ მძღაერობით, ანუ მოხუეჭით, ანუ ქრთა-

<sup>1</sup> დამცირდებოდეს B. <sup>2</sup> დააკლებდეს B. <sup>3</sup> დასუმიდით B. <sup>4</sup> იყოს—B. <sup>5</sup> ხარჯსა B. <sup>6</sup> დებისათვის B. <sup>6a</sup> +გაუჩენია B. <sup>7</sup> ვერა მისთვის B.

მისათვის, გადიდებისათვის<sup>1</sup> გინა დამცრობისათვის, ვინ ესე ჩემგან გაგებული შეცვალოს და აქციოს, შე-მცა-იცვლების სჯული-საგან ქრისტიანეთასა; რისხავსმცა მამაი, ძე და სული წმიდაი;

კრულმცა არს სიტყუითა ღმრთისაითაი მკუდარი და ცოცხალი, გაუქსნელად ორთავე შინა ცხორებათა; და ნაწილიმცა მისი ნესტორის<sup>2</sup> და ორიგენისთან დასჯილ არს; და-მცა-ინთქმის დათან და აბირონისებრ; შე-მცა-ედების ძრწოლა კენისი, კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი; სოდომელთა და გომორელთა ცეცხლითა და წუნწუბითამცა დ-იწვის;

მას ზედამცა განცხუნიან საქანელნი ღმრთის რისხვისანი; აქაბს, ელიას ურჩსა, სვიმონ მოგუსა, კუენობ გრძნეულსა და მაკედონოს სულისა წმიდისა მგმობარსაცა თანა არს საცსენებელი მისი;

მანინას შეჩუენებულსა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთა, მანენტოს, პავლე სამოსატელისა და არიოზ სამგზის დაწყეულსამცა თანა დაისჯების; მუნტანის, სატურნის, აკვილას<sup>3</sup>, ლოსკარს, პოკრატის, აკროლას და თეოდორე მომფესოეტელსა და პოლინრონოს ცოფსამცა თანა არს ნაწილი მისი; ასდა<sup>4</sup> მერევე ფსალმუნთა მას ზედა დაესრულებს;

კრულმცა არს ათორმეტთა მოციქულთა ჯუარითა, შუიდთა კრებათა ჯუარითა და ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა და მადლითა; და იგიმცა სიტყუაი მისგან იძიების<sup>5</sup>, რომელი ჰტურიათა თქუეს, ვითარმედ: «სისხლი<sup>6</sup> მაგისი ჩუენზედა და შვილთა ჩუენთა ზედა»<sup>7</sup>; და ამა ყოველთა ზემოწერილთა წმიდათა მადლითა და ჯუარი-თამცა კრულია<sup>8</sup> საცსენებელი მისი!

და უკეთუ ვინმე ესე ჩემგან გაგებული და შენსა სამკუიდრე-ბელსა შემოწირული შეცვალოს და<sup>9</sup> შლად გელყოს<sup>8</sup> და შენსა სამ-კუიდრებელსა გამოაჯუას: ანუ მემამულემან ვინ, ანუ მოსაკარ-გვემან, რამან გინდა გუარმან კაცმან—შენ. ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო რკონისაო, რისხვით აღიძარ მას ზედა შენ და ძე შენი, და ძისა შენისა ლახურისა შემცემელთა პატივი<sup>9</sup> მისგან იძიე.

და ვინ დაამტკიცოს, ღმერთმან აკურთხოს.

და ვინცა ესე ჩემგან ჩგაჩენილი რაი მოაკლოს: წინაძღლუარ-მან, ანუ მოძღლუარმან, მეტრაპეზემან ანუ კრებულმან, კრულმცა არს სიტყუითა ღმრთისათა და ამათცა ყოველთა მწვალებელთა თანა დაისჯების.

<sup>1</sup> გადიდებისათვის— A. <sup>2</sup> ნისტორის A. <sup>3</sup> სატურნის, აკვილას] პატ-რონს B. \* ასდა] ასდამცა B. <sup>5</sup> იძიების B. <sup>6</sup> სასჯელი AB. <sup>7</sup> კრულვა B. <sup>8</sup> და B. <sup>9</sup> გელი ყოს A. <sup>9</sup> პატივი B.

\* მათე 27, 25.

[1] ქ. რკონისა ღმრთისმშობელო! ესე ვითა ზემო მწიგნობრისა<sup>1</sup> ჭელითა მომიტყენებია, მე, კახოცა ჩემითა ჭელითაცა აზასვე მოგატყენებ და შემოგვედრებ ჩენსა სულსა შენსა წმიდასა ზრავალ-მოწყალეობასა და ჭსენებასა და გავედრებ სულ[სა]ვე ჩემ[სა] და ევედრე ძესა ჩემსა ჩემ ცოდვილისათვის და შეიწირე ხოვლე ჩემგან ნასყიდი და ყოვლისა ადამიანისაგან მოუდევარი და ერთისა ღლისა ჩემთა ცოდვითა არ ეყოფის.

ვინცალა ესე ჩემგან გაჩენილი შესცვალოს... ვინ დაამტკიცოს, ღმერთმან იგი დაამტკიცოს სააქაოდ და სამუნოდ<sup>2</sup>.

[2] ქ. ესე ვითა პატრონსა კახასა დაუწერია და მოუტყენებია ხოვლე რკონისა ღმრთისმშობელსა, მე ხათუთაი ჩემითა ჭელითაცა აზასვე მოგატყენებ, გვედრებ სულსა ჩუენსა შენ. შემინდვენ, ამინ.

[3] ქ. მე, დავით მეფესა დაძმტკიცებია.

[4] მე, ძესა მისსა, გიორგისცა დამიმტკიცებია.

[5] ჩუენ მელქისდეკსა დაგუმტკიცებია.

[6] ქ. მეჭურჭლეთ-უხუცესისა კახისა დაწერილსა მე, ავაგსარგისცა მოწაზე და დამამტკიცებელი ვარ.

[7] ამა მეჭურჭლეთ-უხუცეს[ის] კახისაგან დაწერილსა მე, გრიგოლ მსახურთ-უხუცეს[ი] სურამელ[ი] მამტკიცებელი და მოწამე ვარ.

[8] ამის მეჭურჭლეთ-უხუცესისა კახისაგან დაწერილსა მისისა ნასყიდისა სოფლისათვის, რომელი შეუწირავს მისის მონასტრისადა, ჩუენ სამისავე უდაბნოისა გარესჯისა :მ: :წ: (მოწესენი?) და ყოველნივე ერთსულობით დაუმტკიცებთ.

შემცვალებელნი ამისნი იყავნ წყეულ, კრულ და შეჩუნებულ და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხენეს. მე ანტონ ჩემითა ჭელითა დამიწერია. შემცვალებელნი ამისნი შეჩუნებულ იყენენ და წყეულ. დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხენეს.

[9] ესე ვითა ღმერთშენოსილსა<sup>3</sup> სისიქსა ჩემსა და დასა ჩემსა ხათუთასა დაუწერია და ხოვლე სასოებით რკონის ღმრთისმშობლისა და შეუწირავს, მეცა ბეგასა ქართლის ერისთავს დამიმტკიცებია და მოწამეცა ვარ.

<sup>1</sup> მწერისა A. <sup>2</sup> სამანდ. <sup>3</sup> ღთისა.

[10] ქ. ესე ვითა ღმერთმემოსილსა<sup>1</sup> სიძესა ჩემსა—კახოსა და ძმისწულსა ხათუთასა და სიძობისაგანცა უფროესთა და ხოვლე რკონისა ღმრთისმშობლისა[და] შეუწირავს, მე, ივანე-ცა დაპამტკიცებელი და მოწამე ვარ.

[11] ესე ვითარ ჩემსა ძმასა—პატრონსა კახოსა და ხათუთასა დაუწერია და ხოვლე მათგან ნასყიდი რკონის ღმრთისმშობლისადა მოუქსენებია და შეუწირავს მათისა სულისათვის, მე, ასიბა მოწამე და დამამტკიცებელი ვარ.

[12] ქ. კირიელისონ! ღმრთისა და მისთა სჯულთა მიერ ღმრთივ გონიერად შეყუარებულის, ღმრთივ-შუენიერად ზეგარდამოითა სიბრძნითა განბრწყინებულის] კახოის, ყოველთა ჯელმწიფეთაგან შეწყალებულის და... [მე]უღლის მათის ხათუთაის გაგებულსა...—რომელი საუკუნოდ სრულ იყავნ, იყავნ, იყავნ უკუნისამდე გებადმდე ეამთა—ჩუენცა, გლახაკი, ქრისტეს მიერ შემდგომად ხუთთა პატრიარქთა და უპირველეს მათსა ზეგარდამოსულთა უბიწოთა დედისა მისის ჯელითა შეთელილის კუართის საუფლოის მიერ და სუეტის ცხოველის მეექუსისა პატრიარქის და ქრისტეს მიერ ყოველისა საქართველოის კათალიკოზი ნიკოლოზ ვამტკიცებ და წარვსწერ.

შემცვალებელნი ამისნი იყავნ კრულ, წყეულ და შერუნებულ მადლითა კათალიკე ეკლესიისა და მუნ შინა ღმრთივ აღმართებულისა სვეტის ცხოველის და... მის ანტიოქიის და ღმერთ-მყოფელის მიპრონისა და კვართისა საუფლოისა მადლითა და ყოველთა პატრიარქთა, კათალიკოზთა<sup>2</sup> და ეპისკოპოზთა მართლმადიდებელთა მადლითა და სარწმუნოებითა და ჩუენ გლახაკისა ჯუარითა, ამინ.

[13] ქ. ესე ვითა ერისთავთ-ერისთავსა კახოის და ცოლსა მათსა დიოფალ-დიოფალსა ხათუთასა სამლოცველოდ სულისა მათისათვის სოფელი ხოვლე უყიდია და რკონისა ღმრთისმშობლისადა მოუქსენებია და შეუწირავს, მე, უნდოი. არსენი მანგლელ მთავარ ეპისკოპოსი მოწამე ვარ... შეიწირე რკონის ღმრთისმშობელს.

და შემცვალებელნი ამისნი... წყეულ და შერუნებულმცა არიან სიტყუითა ღმრთისათა... და ქრისტეს სამკუალისა მადლითა. და დამამტკიცებელნი... აკუროხნეს...

ხუტური წარწერით ამტკიცებს

[14] და ყუდებული იოსებ.

[15] ესე ვითა ერისთავთ-ერისთავს კახოს მიუცია სამკუიდრებელისათვის რკონისა ხოვლე... შეწირეს ნასყიდი მათი და სამ-

<sup>1</sup> ღმრთისა. <sup>2</sup> ქთკხთა.

ლოცველო, მე, ქრისტეს მიერ ქართლისა მთავარეპისკოპოსი გიორგი დავამტკიცებ. შემც[ვალე]ბელნი ამისნი შეცვალენ ღმერთო სჯულსა<sup>1</sup> შენსა...

[16] ესრე ვითა... მეცა, მდაბალი გრიგოლი ტფილელი დავამტკიცებ. შემცვალებელი...

[17] ჩუენ, მეფეთა მეფესა ალექსანდრეს და ჩემთა შეილთა ვახტანგს და დემეტრეს და ჩემთა ძმათა ბაგრატ და გიორგის ესე წიგნი ამა პირსა ზედან მოგვიტყენებია თქუენ, ყოვლად... კრკონის ღმრთისმშობლისათვის.

ვნახეთ თქუენის ხოვლის სიგელი და პირველი სხუათაგანცა შემოწირული იყო... ახლა ჩუენცა შემოგვიწირავს სამლოცველოდ სულის ჩუენისა... რათა ილუწიდენ მას შინა დამკუიდრებულნი იმანი და კრებულნი მოლაზონნი, მღრდელნი, დიაკონნი, დედაბერნი და ერისკაცნი.

ჩუენგან და ჩუენისა სიტყუისა მო[მ]სმინოთა კაცთაგან არა ეთხოვბოდეს და არა ეწერებოდეს არასთანა სათხოვარი და გამოსაღები, დიდის სათათროს ულუფისაგან მეტი... ყოველთა წელიწადთა ღმრთისმშობლობას დღესა კარლებული აღაპი ჩემთუის გარდიტებოდეს ყოვლითურთ... დაუკლებელი.

და ესე ზემო-დაწერილი სიგელიცა ამა სიგლით დამიმტკიცებია.

[18] ჩუენ, აფხაზეთისა და ქართლისა მეფეთა-მეფემან გიორგი ესე წიგნი ამისად მედგრად და ნიშნად მოგუიტყენებია თქუენ, რკონის ღმრთისმშობელსა...

ვნახეთ თქუენი ხოვლისა სიგელი... ჟამთა ვითარებისაგან ატენის ციხის სათხოვარი რაიმე შესულიყო... ახლა ჩუენა ახლად დაგიმტკიცეთ და გავაჩინეთ თქუენის მონასტრისაგან ხარების დღესა აღაპი...

არა მოიშალოს... ანუ დიდებულთა[გან], ანუ აზნაურთა, ანუ ატენის მოურავთა და ანუ ატენის ციხუანთა და ანუ რკონისა პატრონთა...

სათათროსა სათხოვარისა მეტი არა გეთხოვებოდეს.

ზედვე ზეულად:

[19] მე, მეფეთა მეფეს კოსტანტინეს დამიმტკიცებია\*.

### [შეწირულების მინაწერები]

[1] ქ. ნებიტა და შეწევნითა... შემოგწირე მე... პატრონმან ჯავახის შვილმან იესე შენ... რკონის ღმრთისმშობელსა... თქვენ დეკანოზისშვილნი პეტრე და მისნი ძმები მარკოზ, და იოა-

<sup>1</sup> სჯასა.

\* მე-17, 18 და 19 ხელრთვები საბუთის ბოლოდან აქ გადმოვიტანეთ.

ნე, ხახუტა და მისნი შვილნი და დაგდევით ყოველთა წელიწადთა თვითო ლიტრა სანთელი და ოროლი ლიტრა ზეთი. და ესე ამ-სახუროთ და არაოდეს არა მოიშალოს.

მერვე ვინცა... ამინ. ხეულაჲ: იესე.

[2] ესე... შესაწირავი შეეწირეთ ჩუენ, ჯავახისშვილმან პატრონმა როინ თქუენ, რკონის ღმრთისმშობელსა... ჩუენთვის სამლოცველოდ... სრულიად ჩუენი კირიმი რკონის რისაცა ყმის მქონებელნი ვყოფილ-ვიყუენეთ. და რაც ჩუენთა გუართაგან თქუენ-თა სასამსახურეთ სდებოდეს, ამ რიგად გემსახურონ და ვერა-რამან ჩუენნან ნათესავმან ვერ შეგიშალოს. ვინც ესე შეგიშალოს... ამის გამთავებელი აკურთხნეს ღმერთმან საუკუნესა ცხოვრებასა შინა. ხელ-ჩართულად: როინ.

[3] ნებითა ღმრთისათა... ესე წიგნი გკადრეთ... რკონისა ღმრთისმშობელსა ჩვენ, ჯავახისშვილმან პატრონმან ქაიხოსრო და შვილმა ჩუენმა ბატონმა ხახუტამა, ასე რომე: სვიმონ მღვდელს რაც ავგაროზული მამული ჰქონდა, ის მამული მს-ზედა მსახლობელის კაცით ჩუენ მამა-პაპათაგან შემოწირული იყო, ასრე და ამა წესითა, რომე ყოველს წელიწადს მოუკლებელად თითოს ლიტრას სანთელს და ოროლს ლიტრას ზეთს რკონისა ღმრთისმშობელს წინ მოიღებდეს და ენთებოდეს.

აგრეთვე ჩუენცა შემოგვიწირავს მღვდელი დავით, მისის ავგაროზულის მამულითა და ვითარ [გვინებ]ებია, რომე ჩუენი ბეგარა გამოსაღები არასფერისთანა არა ეთხოვბოდეს რა.

შეიწირე რკონის ღმრთისმშობელო და მეოხ გვექმენ ორსავე ცხოვრებასა. დაიწერა მეფეთ-მეფობასა შაჰნავახისასა ქორონიკონსა 658.

[4] ...რომელიც სამკუიდრო არის ჩუენ ამისთუის არმოვანსენებთ, თქუენთა უცილობელი... გაგოსი, ბოსელა, ხიარქე, ქავქავისი, მერია, გირმალი, ამის მიწისა ვინცა ჳლედენ (sic) თქვენ ყმანი, ლალა თქუენი და სანადიროსა ზეთი და სანთელი მაგ[ათია]. ესე დასაბამითგან თქუენი სამკუიდროა... ნუ ვინ იკადრებს ცილებად.

[5] ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა დიდმა მამათ-მთავარმან კათალიკოზ-პატრიარქმან შეფეთა შარავანდემან პატრონმა დომენტიმ ესე წყალობი წიგნი ვიბოძე თქვენ, ერთობით კრკონელთ ასე და ამა პირსა ზედა, რომ ყოველს წელიწადს ფერისცვალებას დღეს უნდა რომ რაც ჩუენ იმ დღეს გყოფნოდა, იმთონი კალმახი უნდა მოგეტანა.

ამისთვის დრამა ამოყვეთათ და ამ დრამას გარდაცა სამის წყლის სიგელებიცა გვექონდა, რომ სვეტისციხოველისა არის ხეეძნელა, სამაქეხველო და სარჩელა. ესენი ჩვენგან ყორული<sup>1</sup> იყო.

ამის გულისათვის მოხვედით წინაშე ჩუნსა და გვეაჯენით, რომ ბევრი თევზის გამოღება არ შეგიძლია. და ჩუნ ახლა ეს წყალობა გიყავით, რომ ყოველს წელიწადს ფერისცვალობას ასოცს კაი კალმახს მოგვართმევდეთ, მის დროს მოგვართმევდეთ.

ამ საქმეზედ სხვა და უსამართლო არა გიყონ; და არცა რა გამოგართვან დრამა. ეს ასე გაგითავდეს და არც მოგეშალოს. ქორონიკონს უიბ.

24 [შაფიჩულების დაწერილი ძაგან აბულეთის ძისა  
შიოგლვივისაღვი]  
[1260 წ.]

... წმიდისასა... შეწვენითა და თავს[მდებობითა] ყოვლად წმიდისა ქალწულისა მ[არიაზისათა... და წმიდათა მთავარ-ანგელოზთა მიქაელ და [გაბრიელი]სითა, შუამდგომელობ[ითა]... წინასწარმეტყუელთა, მო[ციქუ]ლთა, მღვდელთ-მოძღუართა, მოწამეთა, მამათა, ქალწულ[თა] და ყოველთა წმიდათაჲთა, რომელნი საუკუნიდგან სათნო ეყუნეს უ[ფა]ლსა ღმერთსა ჩუნსა.

თავსდებობითა სანატრელთა მამათა ჩუნთა ში[ო], იოანე და ევაგრესითა დაგიწერე და მოგაქსენე დაწერილი ესე თქუენ, ყოველთა მამათა თულსა და მნათობსა წმიდასა მამასა შიოს და მლიუმეს შინა დამკუიდრებულთა წმიდათა მამათა მე, აბულეთის ძემან ძაგანმან, ძემან ერისთავთ-ერისთვისა ივანესმან, ბრძანებითა და გამოზრახვითა სულიერისა მამისა და მოძღურისა ჩემისა, ქართლისა მთავარებისკოპოზისა გიორგისითა.

მას ჟამსა, ოდეს მივედ მლიუმეს და შევემთხუიე საფლავსა წმიდისა მამისა შიოსისა, და ვიხილენ წმიდანი მამანი მუნ შინა დამკუიდრებულნი, და მომაგონა ღმერთმან, რაითამცა ძალისა მსგავსი საწყალობელისა სულისა ჩემისა სალოცავი გავიჩინე წმიდასა ამას უდაბნოსა შინა.

ბრძანებითა სულიერისა მამისა და მოძღურისა ჩემისა გიორგი ქართლისა მთავარებისკოპოზისა ითა<sup>2</sup> მოვაქსენე და შევსწირე წმიდასა მამასა შიოს და მუნ შინა დამკუიდრებულთა ძმათა და

<sup>1</sup> ყორული. <sup>2</sup> ქს მჯხისაითა.

მამათა სოფელი ანგროინი, ჩემგან ნასყიდი, რომელი ჩემსა ბიძაის ძესა, გიორგის შვილსა ივანეს გაეყიდა, და მე ზეე უკ-მოვიყიდე ბაღდადს ნაშოებითა ოქროითა.

იცოდეს ღმერთმან, მუნ ჩემითა კრებითა ნაშოებისაგან კიდე არა ვისი ყოფილა ამის აღგილისა სყიდასა შიგა, არ მამული-საი და არ სოფელთაგან ანალები.

შევსწირე, მოუდევრად ყოვლისა კაცისაგან, მითთა, ბარითა, ტყითა და მზღვრითა და მიმდგომითა მისითა, საცმარითა და უჭმრითა, რაიცა მას სოფელსა ძუელიდგან ჰქონებია.

არაგის რაი საქმე უკ: არცა პატრონსა ღმრთისა სწორსა ამას აღგილსა თანა, არცა ჩემთა შვილთა და მომავალთა, არცა ჩემისა გუარისა კაცსა, არცა რაი სათათროი გამოსაღებელი ზედა-აკ ჩემისა სახლისაი ანგროენელთა და არცა რაი სხუაი გამოსავალი და ბეგარი.

თუ რას ვინ აწყენდეს, საურავისაგან კიდე, რაითა ლოცვისა იგინიცა მიიღებდენ წმიდათა მამათასა; და არცა რაი თეძამისა პატრონთა ჯელი შეუვიდოდეს მათ ზედა. და სასეთოი თეძამისა პატრონთაი არაი ზედა სდებია, არცა ჯელისუფალთა შესულაი და არცა-რაი სხუაი.

და თქუნენ გამიჩინეთ სამწირველოი და მწირველი სახლითა, მღუიმეს პურითა, ვენაჯითა, ფიჩხულითა, და მიუყენენით მიწანი ერთი გუთანი ვენაჯის ბოლოსა — თრიალული, ორი გუთანი ნაგენაჯები, თევდორული — თხოთის აგარას და ორი გუთანი — სარბიელთა და ანგროინს — ერთი გლეხი; და გამიჩინეთ ალაპი დღე თევდორობაი, რაითა მღდელნი წირვითა და მწირნი მუჭლთ-მოდრეკით ლოცვითა გარდაიჭდიდენ, ღამისთევითა და პანაშუიდიითა; და კარლებული ტრაპეზი გარდაიჭდებოდეს მოძღუროისა და მე-მღუიმისაგან, მოსაჯენებლად საწყალობელისა სულისა ჩემისა; და წირვასა და ყოველსა ტრაპეზსა ზედა იჯსენებოდეს სული ჩემი ყოველთაგან შენდობისა ბრძანებითა.

აწ, ვინცა ესე ჩემგან ნასყიდი სოფელი ანგროინი თქუნენ, წმიდასა მამასა შიოს და მღუიმეს შინა დამკუიდრებულთა მამათა შეგიცვალოს და გამოგახუას: ანუ პატრონმან მძღავერობით, და ანუ ჩემისა გუარისა კაცმან, ანუ გადიდებითა და ანუ გამრავლებითა, ანუ ტყუეობისა დამართებითა და რაისაცა მიზეზისათუის, ჰრისხავსმცა ღმერთი დაუსაბამოი, მამაი, ძე და წმიდაი სული; და იგიმცა ყოვლად წმიდაი ღმრთისმშობელი, და წმიდაი მამაი



შიო რისხვად აღიძრვიან მისთვის, წინაშე ღმრთისა, აქა და მერ-  
მესა საუკუნესა.

და მღუიმიისა მამათა წმიდათა და მოურავთა და ჩემთვის  
გაჩენილმან მწირველმან თუ ესე ჩემთვის გაჩენილი აღაპი და სა-  
ლოცავი დააკლონ და შეეცალონ, რაისა გინდა მიზეზისათვის,  
ჩემთამცა და ჩემისა გუარისა გარდაცვალებულთა და მომავლთა  
ცოდვითა პასუხსა იგი მისცემს ღმერთსა. და მემცა უბრალო  
ვარ წინაშე საყდართა ღმრთისათა, მეორედ მოსლვასა მისსა, ღი-  
ღებით.

და ანგროენისა საქმე და სამართალი რაიც შეჰქდეს მღუი-  
მეს, მოძღურისა და მოურავთაგან დაიურვებოდეს; მემღუიმიისაგან  
შიგ შედგომით და ჯელმიყოფით ნურაი ეწყინების, რომე მონასტ-  
რისათვის ზე არ ამოსწყდეს და ჩემისა სულისა სალოცავი ზე არ  
გარდაჰქდეს.

სიმტკიცისათვის სეფისა მწიგნობრისა იოანეს მახხოი-  
ტისძისა ჯელითა მომიჯსენებია.)

სხვა ხელით:

ქ: ესე ვითა ზემოთ მწიგნობრისა ჯელითა დამიწერია, თავი-  
სა ჯელითაც ვამტკიცებ მე, ც[ა]განი აბ[უ]ლეთისძეი. მან წმი-  
დამა შიო<sup>1</sup>, რომლისათვის შემიწირავს ანგროვანი. არაი რთავს ჩემის  
მამულისა, ჩემსა ნასისხლისა ბაღდადით მოგებულსა მეტი, არცა  
რაი ღმრთისა სწორსა საქმე უც და არცა ჩემთა შეილთა და მო-  
მავლთა, არც ვის სხუასა.

სოფლისა მოსავლისა საქმე ასრე გავაჩინეთ, რომე ყოლანი  
სწორად გაეყოფოდეს; და მემღუიმესა არაი საქმე უც ამას-თანა.  
აწ ჩემი მოძღუარი იურვოდეს, მერმე ვინც მოურავი იყოს, იგი  
მსახურებდეს მამათა წმიდათა.

და ვინც შეეცალოს, კრული [არს] ცათა შინა და ქუეყანასა  
ზედა, და მან გად-მცადღვას პატიეი აურაცხელთა ჩემთა ცოდვა-  
თა, დღესა მას განკითხვისასა, ამინ.

verso - ზე, სხვა ხელით:

ქ. ესე ვითა პატრონსა პაპასა ჩემსა შეუწირავს და გაუჩენია  
და პატრონსა მამასა ჩემსა მათითა ჯელითა დაუმტკიცებია, მე,  
მიწაი მათი შვილი ყარიბითა ჩემითა ჯელითაცა დამიმტკიცებია  
და გამთავებელი ვარ.

ხვეულად:

ქ. ამა პატრონისა ბრძანებულისა დამამტკიცებელი ვარ მე,  
ხათთაი.

კიდებე:

ქ. [ესე ვითა] პატრონისა მამისა ჩემისა ბრძანებისა მე, მათი  
ძე ივანეცა დამამტკიცებელი ვარ.

ესე ვითა პატრონს მამას ჩემს უბრძანებია, მე, მათი შვილი  
პატრონიც დამამტკიცებელი ვარ.

25. [შეშვალობის განახლების სიგელი დავით ნაინისა  
ხეფინისკველთა და წაძველთადმი]

[1261 წ.]

სახელითა ღმრთი[საითა დავითის] გან ბაგრა ტუნიან-  
ისა, რუსუდანიის ძისა, ნებითა ღმრთისაითა, აფხაზთა, ქართ-  
ველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა და შაჰანშა  
და ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა ფლობით მპყრო-  
ბელისა.

მოვიდეს ჩუენ წინაშე ხ[ეფინის კეე]ელნი და წაქუელ-  
ნი და მოიხუნეს სიგელი... სა მეფისა გიორგისნი, რომლითა შე-  
ეწყალნეს და შეუვალ ექნეს იგინი, და გვეპაჯნეს, რაითამცა შე-  
ვიწყალენით, და სიგლითა ამით ჩუენცა დაუმტკიცეთ, და შეუვალ  
ექნით, და გამოვიყვანეთ ყოვლისა მესავლისაგან: სატელმწიფოისა,  
საერისთავთ-ერისთავოისა და სატელისუფლოისა.

დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და [მოხსენება]ი  
ხეფინის-კველთაი და წაქუელთაი და შევიწყალნეთ იგი]ნი, და  
შვილნი, და ყოველნი მოძაგალნი მათნი და მიუბოძეთ სიგელი ესე  
და ავჭადეთ ყოველი შესავალი: სატელმწიფოი, საერისთავთ-ერის-  
თავოი, და სატელისუფლოი. და თუ რას ნადირობაი ჰქონებოდა,  
ჰაგრევე მიუბოძეთ. დაფლული და რასაც ნადირობაი გამოაჩნდეს-  
ყე და მოკლვაი ესე... მისი ნადირობაი არა ჰქონდესყე, მის ტყი-  
სა [მცველთა-უხ]უცესი და ტყის-მცველნი, ვითა წესია, [ისე გა-  
და]აქდევდენ გარეთ; შიგა ნუ ჩაუდგებიან. და იგი დაუურვებლო-  
ბასა ნუ იკადრებენ.

თუ კაცი მოკლან, ცეცხლისა შეუდებლობაი და მოურბელო-  
ბაი, ვითა გიორგი მეფისაგან ბოძებულსა სიგელსა შიგან უწერია-  
ყე, ჰაგრე იყოს. და იგინი დაუურველობასა ნუ იქმენ... ღვინისა  
მკრეფელნი და ჩამოაწუევიარნი საკლავსა... [ქა]თმისა მეტსა ნუ  
სთხოვენ.

ჰქონდეს ს[იგელი ესე] ხეფინის ჰველთა და წაქუელთა მკუიდრ[ად], მამულობით, მტკიცედ, შეუცე[ა]ლებლად და შეუვა-  
ლად ყოველისა შესავლისა და გამოსავლისაგან, მათ და შეილთა  
და... ყოველთა მომავალთა მათთა.

და არვინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ბრძანებუ-  
ლთა ამის ჩუენისაი; არც ვინ მეუნებლე, მაწყენელი და დამ[შლელი]  
მათი.

აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: [ერის-  
თავთ-ერისთა]ვთა, დიდებულთა, აზნაურთა, ოთხმაზურთა, ნი...  
ტყის-მცველთ-უხუცესთა, ტყის-მცველთა და [ყოველთა] საქმის  
მოქმედთა ჩუენთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ.

და ნუ ვინ უშალავთ ბრძანებასა და სიგელსა ამას ჩუენსა;  
და ნუცა რას-ვინ დააკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა, თუნიერ  
შეწუენისა და თანადგომისა.

დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მე-  
ფობისა ჩუენისასა ოცდა მეათორმეტესა, კელითა ზარდახანისა  
ჩუენისა [მწიგნობრი]სა მიქაელ ეზექიელის ძისათა.

ქ. [მეფეთ-მეფისა დავითი]სა ნებისათა ღმრთისაისითა\*.

## 26. [შეფირულების სიგელი დავით ნაჩინისა გელათისადმი]\*

[1271 წ.]

სახელითა ღმრთისათა, [ჩუენ], დავით ბაგრა<sup>ა</sup>ტოანმან,  
ძემან სულკურთხეულისა მეფეთ-მეფის რუსუდანი<sup>ა</sup>სამან, ნებითა  
ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, კახთა და სომეხთა მეფემან,  
შარვანშა და შანშა და ყოველისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა  
მპყრობელმან, სასოსა და მფარველსა ხახულისა ღმრთის-  
მშობელსა მოწყალებითა მინდობილმან, გულს-ვიდგინე მცირელი  
ესე სამსახურებელი მათი, სალოცველად და სავსრად სულისა ჩუე-  
ნისა საუკუნოდ, წარსამართებლად მეფობისა ჩუენისა და ძეთა ჩუ-  
ენთა დღეგრძელობისათჳს ვიყიდე სოფელი საბანელა, სულის  
მწირველთა კანონოხის განმზრდელთაგან ნასყიდი.

აწ მე, უნაკლულითა და სრულითა ფასითა, ყოველივე რაც  
მათ ჰქონებოდა მის სოფლისთანა, კანონოხესაგან ვიყიდე... მივეც  
ფასი და მუქათა სრული, რომლითა შესჯერდა; სათნო ვიჩინე

\* ასე კითხულობს ხელრთვას პროფ. ექ. თაყაიშვილი.

\* საბუთის გვიანდელი სათაური: „დავთარი საბანელასი“.

მოკსენებად დიდს მონასტერს ხახულის ღმრთისმშობელს, რომელმან აურაცხელნი წყალობანი ყენა ჩემზედა, რათა ყოველთა მარია-მობათა დღეთა კანდელაკის ჳელითა მიიღებდენ ბეგარსა ორმოცდაათ ლიტრა ცვილს, რომელ ყოველთა დღეთა და ღამეთა, წელიწდისათა დაუესებელად და მიუცილებელად, საუკუნოდ შეუცვალეებლად. ვიდრე ქუყყანა ყოფად იყოს, თხუთმეტი სანთელი ეკლესიასა შინა ენთებოდეს, ვითარ მოძღუარს ჩუენს ილარიონს გაუჩენია ხახულისა ღმრთისმშობელსა და სხუათა ხატთაჲცა წინაშე ნთებად ადგილთა, და მივათუალენ კანდელაკს, რათა მისითა ჳელითა მიიღებოდეს ცვლი ბეგარა.

და თუ რა სასაურო საქმე დაუეარდებოდეს მის სოფლის კაცთადა იქმნებოდეს, ანუ თუ შინა მათ ჳედა, და ანუ გარეგანთაგან, მასაც კანდელაკი იურვოდეს, ვითა დიდის მონასტრის საქონელთა მართებს, მით წესითა.

სხუად არა ვისი ჳელი შევიდოდეს მათ ჳედა და შულთა და მომავალთა მათთა ჳედა, არცა ვისგან რა ეწყინებოდეს; არცა მოძღუართ-მოძღუართა და წინამძღუართაგან და ძმათაგან, არც ჩუენთა ჳელისუფალთაგან და კარის გასულთა მომსახურეთაგან, არცა მექერეთაგან რა ეწყინებოდეს.

თუ რა გარეთ სასაურო საქმე იყოს, მასაც კანდელაკი იურვოდეს. თუ სოფელშიგან თუ რაჲ სასისხლო საქმე იყოს, მასაც კანდელაკი იურვოდეს...

ორმოცდაათს ლიტრას ცვლს სამებელასშვილი, საღირისშვილნი და მომავალნი მისნი მიიღებდენ... ქრისტეს შობას დღეს, ამითა ასითა ლიტრითა ცვლითა — ორმოცდაათითა საბანელაურითა და ორმოცდა ათითა სამებელასშვილისეულითა ესე გაჩენილნე სანთელნი დაუესებელად ენთებოდენ. და თუ რაჲ იოტი ცვლი მომატებულ იქმნებოდეს, საღამე-ყოვლო სანთელი ხახულის ღმრთისმშობელს წინაშე დაინთებოდეს, ვითარ სიგელშიგან სწერია.

სამებელასშვილის საქმესაც კანდელაკი იურვოდეს მონასტრისა წესითა. რომე ბეგარა ცვლი გაგაჩენია ხახულისა ღმრთისმშობლისთჳს, ორმოცდაათი ლიტრა, მას აქათ სათათროსა და სასვიანოსაგან კიდე არა წაეღებოდეს. და არც ქუთათისის მეგერგილეთა (sic) და ამირათაგან რა ეწყინებოდეს და არც ვის სხვსგან და კანდელაკისაგან კიდე. არც ვისი ჳელი შევიდოდეს სამებელის შულს და მის მამულზედა, რაც არის...

თქუენ, წმიდანო მღღელთ-მოძღუარნო, აფხაზეთის და ქართლისა კათალიკონო, უჯუარობით დაამტკიცეთ.

დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ორმოცდა მეორესა, ჳელითა საწოლისა და საპურქლის [მწიგნობრისა] ნიკოლოზისა[თა]...

27. [მწიგნობრის დაწერილი ღვთის ნაჩინის მუხლის თამარ დედოფლისა გელათისადმი]\*

[1260-1293 წწ.]

დაწერილი ესე დავსდევი დიდსა და წმიდასა მონასტერსა, დიდისა დავითის აღშენებულსა, ღმრთივ გვრგვინსანთა მეფეთ-მეფეთა სამკვდრებელსა გელათს, წმიდა ღმრთისმკობელსა ხახულისსა წინაშე. მას ჟამსა, ოდეს ინება ღმერთმან და ღირს მყო ძლიერისა და უძლეველისა მეფეთ-მეფისა, რუსუდანიისა ძემან დავით მეფეთ-მეფემან ემენელას ძისა ასული თამარ მათსა სახლსა შიგან მათად ცოლად და დედოფლად მომიყუანეს, და ვითა სატორციელოდ მათ წინაშე ყოფამან სახელოვან მყო, ეგრეთვე მათსა მონასტერსა შიგან საუკუნო სულისა ჩემისა საცსენებელი და საწმირველოსა გაჩენა გულსვიდგინე.

კითხვთა და ბრძანებითა ღმრთისა სწორისა მეფეთ-მეფისა დავითისითა და მათთა ვაზირთა კითხვთა და მოწმებითა, ვიყიდე სოფელი კვახჭირი მათისა ამირაჯიბის ქობულისძისა ბედესგან, სხვსა ყოვლისა მისაცემელისაგან კიდე თორმეტიათას თეთრად, პატრონთაგან მისთვს ესეთითა სიგლითა ბოძებული, რომელსა ესე სწერია: «თუ რაი ვის კვახჭირს სიგელი და დაწერილი ჰქონდეს, ამით სიგლითა იგი ყოველი გაგვტეხია და მტკიცე ესე ოდენი».

და თვთ იგი სიგელი და ბედესგან ჩემთვს მოცემული დაწერილი [დავსდევი დიდსა მონასტერსა შინა, კითხვთა, მოწმებით და მოწმებითა დიდისა მოძღუართ-მოძღურისა, დავითის მწიგნობრისა ანტონისითა, დიდისა მონასტრისა წინამძღურისა, პატრონთა მწიგნობრისა იოანესითა, პატრონთა გამზრდელისა, თამარის მწიგნობრისათა, ილარიონ ფავნელისათა, პე დეკანოზისა და ყოველთა დიდისა დავითის ძმათათა.

და ვაჩინე მწიგნობრად ჩემად ღირსი და პატიოსანი კანდელაკი იოანე. და გამიჩინეს აღაპად დღე მეორე მარხვათა, კურიაკე, სანთლიანი და ყოვლითურთ უნაკლულო. და გაუჩინეთ სახლ-

\* საბუთის გვიანდელი სათაური: «დავთარი კვახჭირისა».

ნი ჰაპოსეულნი (sic) და ტრაპეზ-საჯდომნი, ვითა წესია და მც-  
უთვალე სოფელი კვახჭირი და მესხეთს ერთი გლეხი, პატ-  
რონთაგან ბოცებული კვედუროს-ცე და საღვნედ ფარსმე-  
ნაყანევეს ციბალასძე, მწირველსა ჩემსა იოანე კანდელაკსა.

ვიდრემდისცა ცოცხალ იყოს, ამას აღაპსა ჩემსა უნაკულლოდ  
გარდაიჭდიდეს მღვდელთა, დიაკონთა და ყოვლისა საფსებისა ეკ-  
ლესიისასა ლოცვებითა, წირვითა, სანთლითა, ვითა წესია დიდისა  
მონასტრისა აღაპთა. და მერმე ტრაპეზს, მოძღუართ-მოძღუარსა,  
წინამძღუარსა, დეკანოზსა და ყოველთა ძათა კეთილად ნუგეში-  
ნისცემითა და განსუენებითა.

და შემდგომად მისა, თუ გაზრდილი იყოს მისი ღირსი, მო-  
ძღუართ-მოძღურისა, წინამძღურისა, დეკანოზისა და ყოველთა  
ძმათა კითხვთა, ბრძანებითა და გამორჩევითა იგი აჩინონ. და თუ  
მისი გაზრდილი ესეთი არვინ იყოს, ვინც სხუა ესეთი იყოს, რო-  
მე მონასტერს ემსახურებოდეს, ყოველთავე ძმათა გამორჩევითა და  
ბრძანებითა იგი იჩინებოდეს.

ესე ჩემგან სასოებით და დიდითა გულსმოდგინებითა მოგო-  
ნებული და ქმნილ წმიდასა დიდსა მონასტერსა გელათს შეწირუ-  
ლი და ჩემგან ჩემითა ოქროთა ნასყიდი, რისგან და ჟამისა შემო-  
ღებითა შემცივალოს დღე აღაპად გაჩენილი, და სამწირველო  
კვახჭირი, და მესხეთს გლეხი ერთი კვედუროს-ცე, და საღვნედ  
კუპრასძე, შენ, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო ხახულისაო,  
ძისა შენისა მგმობართა და მელახურესა თანა დასაჯე; და თუთ  
შენ, ყოვლად წმიდისა მგმობართა ნისტორის და ორიგენისთანა.  
და ყოველთამცა ბრალთა და ცოდვათა ჩემთათჳს იგი მისცემს  
სიტყუასა ღმერთსა, დღესა მას დიდსა განკითხვასა.

სეფისა ზარდახნისა<sup>1</sup> მწიგნობარსა დაბნედილისა (sic) ჳელითა  
დამიწერია.

### 23. [უაფირულები დაფიქრილი დავით ნაკინის ვაჟულის თამარ დედოფლისა გელათისაღმე]

[1260—1293 წწ.]

სახელითა... მე, თამარ დედოფალმან, სულკურთხეულისა და  
სანატრელისა მეფისა რუსუდანისა ძისა, ყოველთა მეფეთა მე-  
ფისა დავითის ცოლმან და ემენელას ძისა ასულმან,

<sup>1</sup> ოსეთისა ზარდახანისა.

\* საბუთის გვიანდელი სათაური: „დავთარი ჳიქეფონისა“.

ვიქიდე სოფელი ჯიქედონი ცოტნე გარეყანისწისაგან, მისგანაც ნასყიდი და ნასისხლი, ამა ქუეყანისა დიდებულთა და აზნაურთა და მისთა მესისხლეთა და მოსამართლეთა ყოვლისა დაჯდომითა, უსარჩლელი და ზოუდვეარი ყოვლისა ადამიანისაგან, და შევეწირე და მოვატსენე ყოვლად წმიდასა ღმრთისმშობელსა ხახულისასა, დიდსა მონასტერსა [გელათს], საუკუნოდ, სალოცველად და სააღაპოდ სულისა ჩემისად. ვიდრემდისცა წმიდა ესე მონასტერი ეგოს.

და გავაჩინე ალაპი სანთლიანი და დღე სეკდენებერსა ოცსა, ღმრთისმშობლისა შობი და ყოველთა დღეთა ტრაპეზსა ზედა სახელდებით მოვიქსენებოდეთ.

ესე ჩემთამარისაგან დედოფლისაგან ნასყიდი... ღმრთის სწორისა რუსუდანი ძისა მეფეთ-მეფისა ბრძანებითა და დაჯდომითა... ნასყიდი სოფელი ჯიქედონი, თორმეტი გლეხი, მისითა მიწა-წყლითა მიმდგომითა, მითთა, ბარითა... ზღურითა...

## 29. [დაწერილი მსახურთ-უხუცეს გევა სუკამღლისა ჯომარდის ძისადმი]

[XIII ს.]

სახელითა ღმრთისაითა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ყოვლად წმიდის ღმრთისმშობელისა და ზარადის ქალწულისა მარიამისათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა და პატრონისა ჯუარისა, ჩელისა ცხოვრებისაითა, მეოხებითა წმიდისა და წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა, ყოველთა ნაშობთა უმეტესისა, ნათლისა-მცემელისა იოვანესითა, შუამდგომელობითა და თავსდებობითა წმიდისა გიორგი კავთისათა;

ესე დაწერილი დაგიწერე მე, მს[ახ]ურთა უხუცესმან ბეგამან, ძემან გრიგოლა სულკურთხეულისამან, შენა ჯომარდის ძესა ქუათაქუასა და ძ[მა]სა შენსა ჯიბისა, შვილთა და ყოველთავე მომავალთა თქუენტა:

მომინდა თქუენი მკუიდრი მამული, პატარაი ადგილი, ჩემდა დასაჯდომად და მისა ადგილისა-თანაი პატარა ვენაჟი. და მოგეც<sup>1</sup> მისდა სანაცლოდა შენისა განაყოფისა ოქუროისა მამული ნასყიდი და უსყიდელი და მისი ს[ა]ჯდომი ს[ა]ხლითა.

გაქუნდეს მკუიდრად და საზამულოდ და მოუდევრად ესე ოქუროისა კერძი მამული შენა, ჯომარდის ძესა. და რაცა-რა ოქუ-

<sup>1</sup> მოკეც)მოგუა.

როისა ძმისწულისა ს[ა]ქ[მე] გ[ე]დვას...ოქ[უ]როისა კერძსა მამულ-  
სა თანა, თუ მისი ძ[მ]ისწული შინა მოვიდეს, რაიცა ძმისა მისისა  
კერძი მამული ჰმართებოდეს, განაღამუა ჯელთა ჰქონდა მასა ვაჟსა;  
და თუ არ მოვიდესა, მისი კერძი 'ზენტ[ვ]ისვე მიმიცემა.

ოქუროისა ქალნი დარჩეს<sup>1</sup>, ორნი გათხოვილნი და ერთი  
უთხოვარი, იგი კიდე გა[ა]თხოვე და ვითა გმართებდეს, მონახე-  
დი და ისტუმრებდი. წელიწადი უწირე ოქ[უ]როისა ცოლსა და  
შვილსა აღაპი.

გაქუნდეს მკუიდრად და სამამულოდ და არა შეგეცვალოს  
ჩემგან და არცა ჩემთა შვილთაგან. და ვერა და ხტობო (sic) ვერა-  
ვინ გითხრას მისა ოქუროისა მამულისა.

სხვა ხელით, ხვეულად:

მე, ბეგასა ჩემითა ხელითაცა დამიმტკიცებია. ჰქონდეს  
ჩუენსა ერდგულებასა შიგა.

### 30. [შეშვალოგის განახლების დაწერილი მიქელ სურამელის მეშულის ძაძანასი ძვათაჯვეისადმი]

[XIII ს.]

ქ. სახელითა არსებად ცნობილისა... მამისა, ძისა და სულისა  
წმიდისათა... და მეოხებითა წმიდისა და ლუაწლ-მრავლის, მენისა,  
ახოენისა მკედრისა გიორგი კავთისაითა, ესე დაწერილი დაგი-  
წერე და მოგატყუენე თქუენ, [ძლიერს ქვათაჯვეის ღმერთის]-  
მშობელსა მე, სურამელის ბეგაის შვილის მიქელის  
ცოლმან ქაქანამან, [სოფელი ნოსტე მილობლი(?) სიძეთა-  
გან შემოწირული და ვითა მათგან ჯელმოცნით შემოწირულ...  
უსაქმოი და საქმე უდებელი სურამელთა<sup>2</sup> და... უდები დასდებოდა,  
უსაქმოი სასაქმოდ შეაგ[დეს] მალთა ჯელოსანთაგან. და დავხედენ<sup>3</sup> ესე  
რომე, აღარ სა[სულიეროდ] და არცა საჯორციელოდ არა სდებო-  
და<sup>4</sup> სურამელთა... თის არცა მრთელთა და არცა მიცვალებულთა-  
[თუის].

და შევახვეწე(?) და მოვატყუენე ჩემს ქმარს მიქელს და  
გამოვიღე ჩემ... ნაქმარ საფასი<sup>5</sup> და მოვატყუენე იგი; და გამოვი-  
ღე ნოსტე სრული სრულად უსაქმოდ და შეუვალად სურ[ამელ]-  
თა და მათთა ჩამომავალთაგან, ვითარ არაი ვის-რაი საქმე სდე-  
ბია ქვათაჯვეის ღმერთისმშობლისაგან კიდე და მისთა ჯელოსანთა-

<sup>1</sup> ქალნი დარჩეს] ქალანი დარჩეს. <sup>2</sup> სერმელთა. <sup>3</sup> დავრედენ. <sup>4</sup> სძეობდა.  
<sup>5</sup> სთასი.



:გან; გამოვიღე ბარათის ყუელაისაგან, არაი ბარათი შევიდოდეს სურამელთა სახლისაგან და არცა მათთა ჳელოსანთაგან: არცა თეთრის ბარათი, არცა მათისა სახლის ულუფისა ბარათი, არცა გენდგა[უბა]ი, არცა ურმის ჳიდვაი, არაისთანაი არა, თუნიერ ამისაგან კიდე, რაი ჳეობაი გამოვიდოდეს და 'შეიყრებოდეს, საჯნავს და სამკალს გამოჰყვებოდეთ.

და ესე პატრონმან მიქელცა იპირიანა და ისმინა აჯაი ჩემი და ამას ჳედა შემიწყალეს ქვათაჯეველთა და გამიკუეთეს ტაძრად მიყვანებას დღეს აღაპი სამწიროით ს[ა]ხლით,

და რაიზომიცა ჳღრდელი არის, ჟამსა სწირვიდენ და აღაპი სამწიროით ს[ა]ხლით გარდაიქდებოდეს, სრული და უკლები, სურამელთა ცოცხალთა და მიცვალებულთა სალოცავად და ჩემ ცოდვილისა სულისა სალოცავად...

ხვეულად:

ქა... დამამტკიცებელ ვარ... ქმში (?) სურამელმცა დამამტკიცებელი ვარ ამ...

## [1. წელიწდის თავის დღესასწაული]

... მსახურთ-უხუცეს[ს]ა სალაროთ მოლარეთ-უხუცესი მოარ-  
 თომს და მოუფენს, მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანების. 1

მას წელიწდის თავს<sup>1</sup> დღეს მეფე არავის შემოსს<sup>2</sup>, ამინგან<sup>3</sup> კიდე,  
 რომე მონადირეთ-უხუცესი ყვთლით ყაბარჩით შეიმოსების<sup>4</sup>, საგელ-  
 მოკლით, ტყავიანითა, მოყვეთუსლითა, არა დია პრტყელად. თავსა  
 და საყელოსა კარგისა ყვინჯისა და მალლად ამვერილსა<sup>5</sup>, მჭლოდ  
 შეკერულსა ქუდსა დაარქვამს.

საღვინეთ წინ ქვე დასმენ [მეფესა]<sup>6</sup> მალლა-სკამითა, ტაბლას წინ  
 დაუდგმენ და ველურის ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგმენ.

ამას წინათ, საღვინეთაჲ, იპის კერცს შორს, აღრე მკერ-  
 ვალთ-უხუცესი და ტყისმცველი<sup>7</sup> დასხდებიან. და მგველადეთ-  
 უხუცესი<sup>8</sup> დგანან (sic). აღთვალვენ მათცა და დასხდებიან მასვე აღ-  
 გილსა, საცა დგებიან, და მონადირეთაჲცა. აქითგან წლის თავით  
 თვედორობამდის [კარხედ არიან]<sup>9</sup>.

[25] მონადირეთ-უხუცესი მწვადს მიიხვანს. უკანისლა მიდგე-  
 ბის, იკითხავს: «ხვალ სით ჰკვლევენ?»<sup>10</sup>. უბრძანებს მეფე, სითაც  
 ებრძანების, ჰიქას უბრძანებს და [მონადირეთ-უხუცესი]<sup>11</sup> მწვადს  
 შესჭამს<sup>12</sup> და შესვამს ღვინოსა, და მუნ[ვ]ე წავა და დაჯდების თა-  
 ვის ადგილსა.

## [2. განცხადების დღესასწაული]

აწ\* განცხადება ვსთქვათ—დიდი დღესასწაული.

და წესი არის, რომე მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი  
 არის ქრისტიანი, ყოველივე წავა. დიდი დროშა ააბან და მენო-  
 ბათენი წინათ, და დროშა განაღამცა წინა ამართული, და მერმე  
 ჯვარის-მტკრთველი შემოსილი და ძელი ცხოვრებისა გელთა<sup>13</sup>.

ეგრევე წამოვიდნენ ეკლესიას. მივა მეფე და მენობათენი  
 აღარა სცემენ ნობათსა და დროშა ეკლესიის კარსა დგას.

და რა წყალი აკურთხონ<sup>14</sup>, მეფე ეკლესიით გამოვიდეს, დრო-  
 შით წავა და მუნვე კარცს შესავ[ა]ლს ქვეშე დადგების.

1 თავის C. 2 არავიგან შეინოსს B, არავიგან შეიმოსების C. 3 შემოსს C.  
 4 ამვერილსა A. 5 მეფესა—BC. 6 ტყვის მცველი A, ტყისმცველი BC. 7 მეხე-  
 ლადეთ-უხუცესი BC. 8 +კარხედ არიან—BC. 9 მონადირეთ-უხუცესი—BC. 10 შე-  
 სწავს A. 11 +და წყალი აკურთხონ AB. 12 და წყალი აკურთხონ—AB.

დარბაზობა, ვითარცა მეფეს ეპრიანოს: [26] დიდის წესითა, და თუ უმცროსითა, ვითარცა ჯესი იყოს, იქნას.

ეს ზემოთ დამაკლდა: კმალი ამილახორსა არტყია დარბაზობასა ზედა; სადა ძელი ცხოვრებისა ასვენია, მართ ერთითა ტერფითა უკანარე დვას. რა მისისა დაჯდომისა ჟამი მოვიდეს, კმალი კარგს შეაბჯრეს მისცეს და იგი მკარს ჩამოიკიდებს.

და ერთსა სეფესა ჯაჭვი აცვია უთეთრესი; ზურგით დგანან.

გიორგი მეფეს, თამარის მამას, თვით ვერცხლისა შეუქნია სალამასურის\* სახესა ზედა და მას ჩაიციოდნენ\*\*.

ამილახორი თვის ადგილს დაჯდების.

და რა ჯვარის-მტკრთველმან ძელი ცხოვრებისა წაასვენოს, იგივე დვას და მაშინლა მისცემს, რა<sup>1</sup> ტაბაკი დადგან სეფე.

### [3. აღვსების დღესასწაული]

აღვსებისა საკითხავეი ჯვარის-მტკრთველისა და ხუცესთ-უხუცესისა<sup>2</sup>, მწიგნობართა, ვინცა კარგი მკითხველი იყოს.

სხეანი: ჭყონდიდელი—მეფესა და საწოლის მწიგნობარი--ზარდახნის\*\*\* მწიგნობარსა.

აღვსებასა ამირ-სპასალა[27]რი [საკითხავეია] ამილახორისა; ამილახორი—მებაჯრეთ-უხუცესისა; მებაჯრეთ-უხუცესი—მესაწოლეთ-უხუცესისა; მანდატურთ-უხუცესი\*\*\*\* —ამირეჯიბისა<sup>5</sup>; ამირეჯები—მესტუმრისა<sup>4</sup> და მერიგისა<sup>5</sup>; მეჭურჭლეთ-უხუცესი—საჭურჭლეთ ნაცვალ[ი]სა; საჭურჭლის ნაცვალი—მუქიფისა[ა]\*\*\*\*\*; მსახურთ-უხუცესი—მესაწოლეთ-უხუცესისა; მესაწოლეთ-უხუცესი—მოლარეთ-უხუცესისა; მოლარეთ-უხუცესი—სალაროთ მოლარეებ[ი]სა; პირის მელვინე, მელვინეთ-უხუცესი—სალვინის მუქაფისა[ა]; განმგეთა-უხუცესი—საგანმგეოსა მუქაფისა[ა]; საგანმგეოს-უხუცესი—მეჯამეთ-უხუცესისა; მეჯამეთ-უხუცესი—სარემოს ნაცვლისა.

### [4. ჭყონდიდლის საჯელო]

ჭყონდიდელი\*\*\*\*\* ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების, ობოლთა და ქვრივთა და მიმძღავრებულთა მოჩივართა განიკითხავს.

<sup>1</sup> რათა BC. <sup>2</sup> უხუცესისა A, უხუცესისა BC. <sup>3</sup> ამირეჯიბთ A, ამირეჯიბთ BC. <sup>4</sup> მესტუმრისა A. <sup>5</sup> მერიგისა A.

\* გადამწერის ხელით მარცხენა კიდებზე მიწერილია: „სალამასური“.

\*\* ამ შრიფტით ტექსტში ისტორიული ექსკურსიები გამოვყავით.

\*\*\* გადამწერის ხელით მარცხენა კიდებზე მიწერილია: „ზარდახნის“.

\*\*\*\* გადამწერის ხელით მარჯვენა კიდებზე მიწერილია: „მანდატური“.

\*\*\*\*\* გადამწერის ხელით მარჯვენა კიდებზე მიწერილია: „მუქიფი“.

\*\*\*\*\* აქ და შემდეგაც დედანშია „ჭყონდიდელი“.

და ყოველი<sup>1</sup>(?) საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის.

და ზარდახნის<sup>2\*</sup> მწიგნობარს გაგზავნის[28] და მისის პირით მოაჯენებს, რაც ვის რა სჭირს.

და რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს, ადგების [ჭყონდიდელი]<sup>3</sup> და, რა ჟამსცა ჟამი იყოს, თუთ მივა და მაშინ იურვის, რაც ვის უსამართლო სჭირს; არ მოეშვების, რომ არ დაიურვოს.

გელათისაგან კიდე საყდარ[ნი] და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და, რაც საეკლესიოანი დასნი არიან,—ყველა ჭყონდიდლის და საწოლის მწიგნობარის საჯელოსა<sup>4</sup>.

ჭყონდიდელსა ზედამდგომელი მეჭურჭლე მართებს და ეჯიბი, სხვა დარბაზით მართებს.

საჭურჭლესაც შვეა და, ვითა მამა არს მეფისა, აგრე ყველა საურავი უმისოდ არ იქნების.

საწოლის მწიგნობარსა ზედამდგომელი მეჭურჭლე მართებს.

ხუთი ფურცელი ქალაღი ყოველთა ღღეთა ჭყონდიდელსა, სამი ფურცელი საწოლი[ს] მწიგნობარსა, ორი ფურცელი ზარდახანის მწიგნობარსა და თუთო ფურცელი სხვათ<sup>5</sup> მწიგნობართა. რაჲ ეს დაწერონ და მეჭურჭლეს ჩახუთ ყელსა...\*\*

### [5]

...[29]ანგარიშს აიღებს<sup>6</sup>. არცა რა შეეც[ოდე]ბინოს\*\*\*. ერთ ხაბაზს მაშინც გაპარსე[ად]<sup>7</sup> გამართავს. და ზოგი<sup>8</sup> გაპარსვადაც დაუწერია შეუცოდებელისაცა; მაგრამე, თუ არ შეუცოდებია, ცემა რად არ ეყოფის? თუ არ ნაპარევი გამოაჩნდეს, განალამც გაპარსავს.

## [6. მანდატურთ-უხუცესის საჯელო]

### [ა. სამეფო ზვრები]

ზვარნი ამად არიან და—მანდატურთ-უხუცესისა კელისანი. სამეშაოსა ზედამდგომელად [მანდატურთ-უხუცესი]<sup>6a</sup> მანდატურს მისცემს ბრძანებასა და დააწერინებს გამოსაჩვენისა<sup>7</sup>. უჩვენებს მუშად, ვითა ესე ქვეყანა<sup>8</sup> მოასხითო.

მანდატური და ერთი მეღვინეთ-უხუცესისაგან ჩენილი მეღვინე წავლენ, მუშაობენ, და ღვინის მკრეფელნიცა. ერთი მანდატური იქნების.

<sup>1</sup> +საბჭოდ ჯდომის ჟამსა? C. <sup>2</sup> ზარდახანის ABC. <sup>3</sup> ჭყონდიდელი—BC.

<sup>4</sup> სხლისა A, საჯელოსა BC. <sup>5</sup> სხვათა BC. <sup>6</sup> C-ში აქ გადმოტანილია მომდევნო ტექსტიდან: „და ზოგი გაპარსვადაც დაუწერია შეუცოდებელისაცა“.

<sup>6a</sup> მანდატურთ-უხუცესი—BC. <sup>7</sup>—გამოსაჩვენისა დააწერინებს C. <sup>8</sup> ქყანა A.

\* მარჯვენა კიდებზე გადამწერის ხელით მიწერილია: „ზარდახნი“.

\*\* პროფ. ექ. თაყაი შვილის აზრით, აქ ხელნაწერს ხუთი ფურცელი აკლია.

\*\*\* ღვინის ზედა მარჯვენა კიდე მოხეულია.

ამირეჯიბი\* ყოველგან გზა აქვს საურავისა, სადა გინდ იყოს (ეფე: სალაროს, საწოლს, საჭურჭლეს, ყოველგან მივა და ყოველგან იურვის, ამისგან კიდევ რომე უქაზავი არ იყო[ს] მეფე. მსახურთ-უხუცესი და მისის [ჰმ][წე]ლისანი\*\* უფრო იურვიან, მაგრამ ამირეჯიბის დათხოვნა არც მაგათგან ეგების. და რა შეეკაზმოს<sup>1</sup> და გამოვიდეს, საურავი და ძღვნის შეწირვა ყოველი მათია სალამოს რეკამდის.

ზედამდგომელი ამირეჯიბს მანდატურივე მართებს.

[გ. მესტუმრე]

...ცოცხალი მუქიფის კელთ მიიბარონ; და რაჲ თავი მოკვეთონ საკლავსა<sup>2</sup>, რაზომიცა მრავალი დაიკლას, ერთი მჭარი, და თუ ერთი დაიკლას, ერთი მჭარი ზროხისა—მესტუმრისა, კვრას დღესა, და ერთი კაბიწი ფქვილი და ერთი საკლავი.

და რაზომიც ქვეითი მეძღვნე მოვა და მწიგნობარი, იგი აქმევს.

[დ. სიგლის ბოძება. მანდატურნი]

სიგელი ვისცა უბოძონ, ვისთესცა დაუწერია, რა ჰყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის ქრთამი გათავდეს, რომელსაც დაეწეროს, მასუჯან მან მისი აილოს, მაშინლა მესტუმრეს მისცეს<sup>3</sup>.

ქრთამი სიგლისა მანდატურთ-უხუცესსა და ამირ-სპასალარსა სწორი მართებს, მესტუმრეს—უმცროსი, და მეზიგეს. [31]. რაც მას დაუვარდეს, მანდატურს მართებს და მიხვდების, მისგან მართებს.

მანდატური საქ[ას]ი სახლი<sup>4</sup> არის ამიერ და იმიერ. ხოლო სამნი აზნაურნი არიან: იქუნიკელი ის ძე, შერაქის ძე და ჯარნას ძე. და სხვაჲ ყველა გლეხია.

გამგეთ-უხუცესისაგან მიღება ზემო[თ] დამიწერია.

[7. მეჯამეთ-უხუცესის საჯელო]

მეჯამეთ-უხუცესისა გელისა არის: ნიგოზი, ზეთი, საწებელი, მუზაზარი, წველა, მეკირე, კმელი თევზი, ტყემალი, მუხუდო, ყოველი მეჯამებრე დიასახლისა, კარავი სამზარეულოა და უვერცხლო ჭურჭელი, სპილენძისა და შეშისა.

[8. მსახურთ-უხუცესის საჯელო]

აწ ვთქვათ: მსახურთ-უხუცესი ვეზირია<sup>5</sup> და მისის გელისა არის: სალარო, საწოლი, მესაწოლეთ-უხუცესი, მოლარეთ-უხუცესი, ფარემთ-უხუცესი, ციცხეთ-უხუცესი, მეხილეთ-უხუცესი.

<sup>1</sup> შეეკაზოს AB. <sup>2</sup> ცოცხალი მუქიფის ხელთ მიიბარონ; და რაჲ თავი მოკვეთონ საკლავსა—AB. <sup>3</sup> +და რაჲ თავი მოკვეთონ საკლავსა. ცოცხალი მუქიფია ხელთ მიიბარონ AB. <sup>4</sup> სწვლია A. <sup>5</sup> ვეზირთა A.

\* გადაშწერის ხელთ მარჯვენა კიდებე მიწერილია: „ამირეჯიბი“.

\*\* დედნის ზედა მარცხენა კიდე ძობულთა.

საწოლისა და სალაროს, მეფის შეკაზმამდის<sup>1</sup>, ამათი<sup>2</sup> საურავი და ზღვენი — მსახურთ-უხუცესისა, მესაწოლეთ-უხუცესისა, [32] მოლარეთ-უხუცესისა.

რა ითაყვანოს [მსახურთ-უხუცესი]<sup>3</sup>, ბეჭედი მართებს, რომ უბოძოს მეფემან თვალედი.

და ზედამდგომელი<sup>4</sup> მესაწოლეთ-უხუცესსაც მართებს.

ბეჭედი ესრეთ სხენნ: დიდი ბეჭედი სასიგლე, საგასახსნითე რომ ბეჭედი არის, მით დაბეჭდულა; და მისი თასი ოქროსა გვერდსა უთქს, და ტუირითა დაბეჭდული მოლარეთ-უხუცესსა ჴელთ აცვია. რა დაბეჭდვენ<sup>5</sup>, მოლარეთ-უხუცესი გახსნის, მეგოდრეს სალაროს მოლარე აიხვამს და მოლარეთ-უხუცესი გახსნის, თასსა შიგან წყალს შთაასხამს. ჯორის ნალი უპვრეტელი ორნი აქ, უნდა რომ ქვე დასხნეს.

და სალაროს მოლარეს — დუკატი\* ორი, მეგოდრეს — დუკატი ერთი; ეს მისცეს, ვისიც სიგელი იყოს.

და დაბეჭდავს მწიგნობარი, თან გამოიტანს და წამოვა.

და მიცემა სიგლისა ზემოთ დამიწერია [იხ. მუხ. 6].

ცხოვარნი ყოველნი და მატყლნი მსახურთ-უხუცესისა ჴელთავე არს.

სიკისტროსანი\*\* ჯორი [33] ესრე მოკაზმული<sup>6</sup>: კეხი კეკლუცად მოკაზმული<sup>7</sup>, მოქედილი; და ჯორის ყელს-საბამი და ზანზალაკი ოქროთა შეღებილი; და სახურავი ხავედისა, ნაკერი; ლავამი ერთობ მოთვალული; დიდი მაფრაში, რომელსა შიგან იღვას ერთი მომცრო უკეთესი ორხოვა, ერთი ლაიბი, ერთი სუნდუზი და ერთი სასთაული, ეს ერთს თხელს ლარის ბუდესა შიგან და ეგეთი მაფრაშასა შიგან იღვას. და ერთი ტყავიცა, და ეგეთი ზედ გარდაფარონ<sup>8</sup>, მით სახურავითა ნაკერიითა დახურონ და წითლის ბანბის ქარშიკით დააკრან.

და შუდასი სახლი მესაწოლე არის; და გლეხი რვა სახლია, და სხვა ყოველივე — აზნაური.

და შუდასივე შუბოსანი ამა სიკისტრონსა ჯორისასა მისდვენ<sup>9</sup>, რა მეფე აიყაროს.

და სალაროსა წინათ იარების სიკისტრონი. და ერთი ყათარი სხვაჲ ჯორი სასაგებლე, ტურფადვე მოკაზმული<sup>6</sup>, მაგრამ იგიცა სალაროს წინათ [34] იარების.

სიკისტრონს უკანით ბარგის-უხუცესი წინ მიუძღვების, და სიკისტრონი<sup>9</sup> და მესაწოლენი წინ იარებიან.

<sup>1</sup> შეკაზმამდის AB. <sup>2</sup> ამათია BC. <sup>3</sup> მსახურთ-უხუცესი — BC. <sup>4</sup> ზედამდგომელი A. <sup>5</sup> რა დაბეჭდვენ C-ში გადატანლია „დასხნეს. და“-ს შემდეგ. <sup>6</sup> მოკაზმული AB. <sup>7</sup> გარდაფარონ A. <sup>8</sup> მისჯვენ AB. <sup>9</sup> მესიკისტრონი C.

\* გადამწერის ხელით მარცხენა კიდეზე მიწერილია: „დუკატი“.

\*\* გადამწერის ხელით მარცხენა კიდეზე მიწერილია: „სიკისტროსანი“.

სალამოს მეღვინე ფანჯას მომცროს მიიღებს, მყინვარიანითა კურკულითა, ანუ ტაბაკითა, ზედა მყინვარსა დაპყრის და გელთა მანდილი აქვს ბალდადუითა<sup>1</sup>. და თუ მეფესა ღამით მოეწყურო[ს], ბძანოს, რომელიცა უნდა. რაც დაჩეს, წინა-მწოლნი და კარის დარაჯა და საწოლის მეკრე წაიღებენ.

დილას, რაჲ მეფე საწოლით გავიდეს, ფარეშთ-უხუცესსა— გელის ნოხნი, სანთელი, ფანარი, მაშხალა. და რაჲ ტაბაკი აიღონ, სარმუზა\* აცვია, ანუ ჩაფლა მოგვსა ზედა. მას კედლის ძირსა ჩაფლთ<sup>2</sup> წახსნის, ანუ ფარეში გახსნის და შეუნახავს, და იგი ტახტსა ზედა გავა;

ანუ<sup>3</sup> აქვს ცოტა<sup>4</sup> [ცოცხი]<sup>4a</sup>, გარეჯით ნაძღნობი, ანუ, თუ იგი არა იყოს, მანდილი გრძელი, და მეფეს გარდამოუკაზმავს<sup>5</sup> [ფარეშთ-უხუცესი]<sup>6</sup> წინა; და სხვათა ნოხთა ფარეშნი გარდაჰკაზმენ.

ცხერის ტყავის ცოცხი აქვს ტარიანი.

და აგრევე<sup>7</sup> [მწ] ხილობას ტახტი ოდესცა<sup>8</sup> მოეკაზმოს<sup>9</sup>, მას შიგან იგი ახლავს; ვითაცა ასწავლიან, დაფენა, კარავი, ხარგაი, ჩადრი,—ესე და ამისი კაზმა მას ძართებს.

თუ პურობას ღამე შემოესწრას, სანთელი სასანთლითა და მისითა ნატიითა თავ-თავის საფარეშოთა არის, და ფარეშთა-უხუცესი მიიღებს, წამოაყენებს და თავ-თავის ადგილს ჩასდებს ვეზირთა წინა.

და სუფრასა ზედა მაშხალის ესანთები ალყა ქონითა, ანუ სელითა<sup>10</sup> იქნების; მეტყავენი და მეჭურჭლენი მიიღებენ ქონსა, სასაპოვნეთაცა იგინი მისცემენ და სამაშხალედაცა; და ქონი თუ არ იყოს, სელის ზეთ[ს] ქალაქით აიღებდენ და მით იქმონან<sup>11</sup> სამაშხალესა ალყასა.

და მაშხალა ექვსი, თუ ათამდისცა, უნდა ტარგძელი<sup>12</sup>; თუთოს მემაშხალეს აქვს და კალათით ალყა ძირსა უდგს და ბო[მწ]ძალი შეშა აქვს და თუთოს ჩასდებს, ვითარცა დაიწვას.

და რა<sup>13</sup> გაიყარნენ, ორი მაშხალა ჰყონდიდელს წაუძღვების და თვითო სამთა ვეზირთა, და სხვათა არავის. და იგინი ფარეშთ შექამადთა და ღვინოს მოსცემენ.

[გ. მეხილეთ-უხუცესი]

სახილესა [ტაბაკსა]<sup>14</sup> სათხილე უნდა იდვას, გაზნივითა<sup>15</sup> შექილნი თავნი<sup>16</sup> განმგულებით, რომე პირსა<sup>17</sup> მარწუხივით ერთგან

<sup>1</sup> ბალდადუის B, ბალდადისა C. <sup>2</sup> მაფლთ A. <sup>3</sup> ანუ C. <sup>4</sup> ძღვენი C, <sup>4a</sup> ცოცხი—BC. <sup>5</sup> გარდამოკაზმავს AB. <sup>6</sup> ფარეშთ-უხუცესი—BC. <sup>7</sup> და აგრევე და აგრევე A.—და აგოვე BC. <sup>8</sup> ოდესცა BC. <sup>9</sup> მოეკაზმოს AB. <sup>10</sup> წერითა A. <sup>11</sup> იქმონენ BC. <sup>12</sup> ტარგძელი BC. <sup>13</sup> არა A. <sup>14</sup> ტაბაკსა—B. <sup>15</sup> გაზნივითა AB. <sup>16</sup> შექილნი თავნი A. <sup>17</sup> პირისა A.

\* მარცხენა კიდებე გადამწერის ხელით მიწერილია: „სარმუზა“.

შეყრიდეს, ამოგუბვილი, და გარე თავთა ზედა თვთო თვალი იჯდეს, და განაღამცა ოქროსა. და უჟან კერძი არის ტარი მგრგვალი და სახილესა ტაბაკსა ზედა დადვას მეხილეთ-უხუცეს-მან ხისასა, არა თუ ვერცხლისასა.

და რა მსახურთ-უხუცესმან მანდილი საყელე [გაიკეთოს]<sup>1</sup>, მერმე იგი დადვას და მეხილე ანუ მოლარე თხილსა მით ლეწდენ, ტაბაკსა დაჰყრის, რომელსა ზედა იგი სათხილე იდვას.

#### [დ. ციცხეთ-უხუცესი]

ციცხეთა ზედა ჯელი: აბანოსა თბობა, სახლის გვა, შეშის კოდა, ცეცხლის ნთება, წყლის ზიდვა სალაროს, საგაზროსა<sup>2</sup>. [ჰ7] და რა<sup>3</sup> მეფე აბანოს იყოს, — ციცხეთა არის სახლისა საქურტლე<sup>4</sup>.

#### [9. მეჭურტლეთ-უხუცესის საჯელო]

დიდი არის მეჭურტლეთ-უხუცესი; ათაბაგობის დაწყებამდი მეოთხე ვეზირი [იყო, და მისისა ჯელისა]<sup>5</sup> არის:

ძველინი<sup>6</sup> ქალაქნი, ვაჭარნი, სავაჭრო, რაც მეფისა<sup>7</sup> სა-დაც წავა ანუ მოვა, და რაც სალაროს ოქროს ჭურტელი, ანუ ვერცხლისა, საგმარებლად სანიადავოდ არ უნდა და შეკრული სა-ლაროსა ძეს; სხვაა ლარი და ჭურტელი, ოქროსი და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური, უსადენო, ყოველი საქურტლესა ძეს და დვას.

საქურტლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრიბი, ქალაქის ამირანი, მეჭურტლენი ქალაქისანი და თვთ დარბაზს მყოფნი მეჭურტლენი მისისა<sup>8</sup> ჯელისა არიან.

[მეჭურტლეთ-უხუცესს]<sup>9</sup> ზედამდგომელი მართებს მეჭურტლე.

და ქრთამი და სასაურვო, უქალაქოთ, სხვაც მისია, და მსახურთ-უხუცესისა სწორია, ვით ამირ-სპასალარისა და მანდატურთ-უხუცესისა.

მუშრიბი, რაც ქალაქთა [ჰ8] საქურტლე შევა და ნავაჭრი რაც შევა, და სანელბელი, მასტაქი და სამარხო წამალი, საგმარი თუ-თუბო, — ესეცა მუშრიბმან იცის და უხუცესთა მიათვლის.

#### [10. ამირ-სპასალარის საჯელო]

ლაშქრობა და ლაშქრობის ვეზირობა ამირ-სპასალარის ჯელთ არის. მას წინათ არაეინ იტყვს<sup>10</sup>, რა ვეზირობა იყოს<sup>11</sup>.

ამილახორი ვეზირი არის ამირ-სპასალარისა და ამის ჯელის<sup>12</sup> მეაბჯრეთ-უხუცესიცა<sup>13</sup>.

მეაბჯრეთ-უხუცესი და მეაბჯრენი, და მესარტყლენი, და საჯინბოს შემავალნი ყოველნივე ამილახორის ჯელისანი არიან.

რა და მეფე ცხენსა ზედა ზის, [ამილახორი]<sup>14</sup> ვისცა უდარბაზებს, ვინგინდა იყოს, ათაყვანებს. თუ ვისი ძღვენი იყოს, შესძღვნის. თუ

<sup>1</sup> გაიკეთოს—BC. <sup>2</sup> სავაზიროსა B, სავაზიროსა და აბანოს? C. <sup>3</sup> არა A.

<sup>4</sup> „სახლისა საქურტლე“ C-ში გადატანილია ქვემოთ „წავა ანუ მოვა; და“ს შემდგ. <sup>5</sup> იყო, და ხისისა ჯელის—AB. <sup>6</sup> ძველი BC. <sup>7</sup> მეფისა A, მეფისა BC.

<sup>8</sup> მისისანი A. <sup>9</sup> მეჭურტლეთ-უხუცესს—BC. <sup>10</sup> და AB. <sup>11</sup> და C. <sup>12</sup> ჯელისა C.

<sup>13</sup> უხუცესისა A. <sup>14</sup> ამილახორი—BC.



ოდესკა არა იყოს, ესე ოდენივე<sup>1</sup>, ეგრევე უდარბაზებენ და ღღენ-საც შესდღენიან.

[ამილახორსა]<sup>2</sup> საქედარი ცხენი მართებს საურავად. რასაც ამირ-სპარსალარი იურეოდეს, მასვე გვერდით სალაშქროს საქმეს და იგიცა და მებაჯრეთ-უხუცესი და მათნი მუახლენი. აჩუხჩი და ამირ-ჩქ[ჰ]არი<sup>3</sup> და მერემეთ-უხუცესნი<sup>4</sup> წინათ დგანან, შორს, და სიარულადაც წინათ იარებიან.

და ჯდომა და სხვა წესი ზემოთ დაგვწერია.

ამილახორი, მებაჯრეთ-უხუცესი, ზარდახნის-უხუცესი და მწიგნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ ზარდახან[ს] შევლენ. და ზარდახანის მწიგნობარი დასწერს, ანგარიშს იქმენ, და საანგარიშოს გოდორსა შიგან ჩასდებს.

ერთის ტანსაცმელის აბჯრის მეტი, სხვაა ყველა აბჯარი, რა-ზომიცა თანა აქვს: ჯაჭვი, მუზარადი, ქმალი, ქათა, საპარკული, მშკლდ-კაპარტი, ლახტი, შუბი, სრულიად ყოველივე უნაგირი მოჭედილი და ხამი, აკაზმულობა<sup>5</sup>, რაც ზედ აბია, და რაც საცხენე ჯავშანი, მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელს-საბამი მოჭედილი, კანჯრის კუდი და ამისთანა ყველა, დიდი დროშა, დაბარჩამნი ორნი თევგარდაქედრლ[ნი], ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბი სეფე-ალმითა, ეს[ე] ყოველნი მნათობნი, მოჭედილნი ვერცხლითა<sup>6</sup> და სპ[40]ილენძიანი<sup>7</sup>, ყოველი რაჲ ასწეროს წლის თავსა, ერთი უნაგირი—ზარდახნის მწიგნობრისა, ერთი აკაზმულობა<sup>8</sup> აღუვსებად.

ცხენი რაჲ ითხოვოს მეფემან, ზარდახნის მოლარე აღვირთ მისცემს, მისრ[ა]ტული პირსა აუსხამს, ერთს ყურს გაუყოფს და მეორესა აღარა. მერმე ზარდახნის მეჯინიბე აუსხამს, საყბურს შეუსხამს, ზარდახნის მოლარე უნაგირს გარდასდგამს, საძუეთ აღარ ჩაუყრის, იგივე ზარდახნის მეჯინიბე შექაზმავს და წაიყვანს, მისრატულთ\*-უხუცესს მიუყენებს.

[მეფე]<sup>9</sup> შეჯდების, და მათრაჟი ზარდახნის-უხუცესმა მისცეს, და ორნივე უკანით იარებიან. ზარდახნის-უხუცესი და ამერიოთ-აჩუხჩი წინათ იარების, ჯუარის-მტკრთველსა და მეფეს შუა.

და სადაც მეფე მივა, ცხენისაგან ჩამოვა, აჩუხჩი<sup>10</sup> მანამდი ცხენით მივა და მერმე მობრუნდების და თავის ალაგს გარდა-ქდების.

ჯუარი წინათ მარქაფანი იმერთ ეზომსა...\*\*\*

<sup>1</sup> ოდენვე BC. <sup>2</sup> ამილახორსა—BC. <sup>3</sup> ამირ ჩქჩქარი A. <sup>4</sup> მერმე უხუცეს-ნი A. <sup>5</sup> აკაზმულობა ABC. <sup>6</sup> ვეცხლითა BC. <sup>7</sup> ზარდახანსა შიგან ძეს და დგას. და ზარდახნის მწიგნობარმან ესე C. <sup>8</sup> მეფე—BC.

<sup>9</sup> მარცხენა კიდუხე გადამწერის ხელით მიწერილია: „მისრატული“.

\*\* მარცხენა კიდუხე გადამწერის ხელით მიწერილია: „აჩუხჩი“.

\*\*\* პროფ. ე. ქ. თაყაიშვილის აზრით, აქ ხელნაწერს ექვსი ფურ-ელი აკლია.

## [11. მეღვინეთ-უხუცესის სახელო]

...[41] და ბოლოს სათიჯარი რკინისა არის, დაასობენ საღვი-  
ხესა შიგან, საღვინის მოლარე მას ზედა დაჰკიდებს, და ფანჯისა  
მისაღებელი ჯელმანდილიცა მასვე ზედა ჰკიდავს, მანდილი ულა-  
რო, საწუქლე და საფუქე; და რა დაჰტვერიანდეს, გარეცხა უნდა.  
საფარეშოს მიიღებს მეღვინე და ერთს მაშრაპას<sup>1</sup> ღვინოს მიაართმის,  
გარეცხენ და [სა]ღვინესვე მიიღებენ.

სამყინვარი ვერცხლისა უნდა ტაბაკი, ცულ-წერაქვი, პატარა  
კვერისაგან უმცნმესი, ტარის-ბოლო-მოჭედილი, ტარ-მოკლე, მოჭე-  
დილი მას ტაბაკსა ზედა ძეს. მყინვარს დასდებენ, წინ დასდგმენ<sup>2</sup>  
ერთი ვერცხლის კოვზი პირ-დიდი მასვე ტაბაკსა ზედა ძეს,  
წვერით გასტებს, კოვზით აიღებს, ჰიქასა შიგან ჩასდებს, იგიცა  
საღვინის მოლარეს ვედრია.

სხვაჲ საღვინე ჭურჭელი, სანიადაგო, უმეჯლიშო, საღვინეში  
დგას, და მეჯლიშისანი კიდევან დგანან.

და ბეჭედი მეჭურჭლეთ<sup>3</sup>-უხუცესისა.

[42] ანგარიში საანგარიშოთა გოდორთა შინა ძეს.

პირის მწდესა საღამოს ერთი მაშრაპი ღვინო ოქროს მაშრა-  
პითა, მეფე რომ სვამს მისთანა<sup>4</sup>, და ერთი მუქიფსა.

ზვართა, ზემოთაც დაგვწერია [იხ. მუხ. 6]: მანდატუ-  
რიცა აღდს ზედა, და სხვათ<sup>5</sup> მეღვინეთ-უხუცესი და მუქიფი იურ-  
ვიან სამუშაოს.

თუთო ჭური ღვინო ზვართაგან—მეღვინეთ-უხუცესისა და  
თუთო—უმცროსი მუქიფისა<sup>6</sup>; და საღვინის მოლარე<sup>6</sup> მეზვრეთაგან  
აიღებენ ღვინოსა, ვითარი ზვარი იყოს, ანუ მეზვრე; მეღვინენი  
საქრეფელისა და სოფლისაგან იშობებენ, და სადა მეფე დგას, და  
ღვინის ულუფა დაწერონ.

## [12. მონადირენი]

მონადირეთ-უხუცესისა ზემოთ დაგვწერია [იხ. მუხ. 1].

მონადირენი კახეთს და იმერეთს ყოველგან არიან. ორას  
სამოცი სახლი არის. ტყის მცველ[ნი] კიდე არიან. ესენი გიორ-  
გობას კარზედ მოვლენ და თევდორობამდის კარზედ არიან.  
რაზომიც დაიკლვის, ერთისაგან კიდე, ყველასა შიგან<sup>7</sup> მონადი  
[43]რეთ<sup>8</sup> არის ძალღთა სახარშოსა, ტყავი მათი.

გაშვებისა ეამსა სამ-სამი თეთრი მართებს, კორციელისა  
კვრიაკესა<sup>9</sup>—ექვსი ტყ[ა]ვი.

<sup>1</sup> მიშრაპას A. <sup>2</sup> წინ დასდგმენ AB-ში „პირ-დიდი“-ს შემდეგ არის, ზოლო C-ში გადატანილია „ტაბაკსა ზედა ძეს“ შემდეგ. <sup>3</sup> მისთანითა C. <sup>4</sup> სხვა-  
თა BC. <sup>5</sup> + შემარნე C. <sup>6</sup> + და მეღვინენი C. <sup>7</sup> შიგანი BC. <sup>8</sup> მონადირეთ] მონადი  
მონადირეთ. A. <sup>9</sup> კვრიაკესა ABC.

\* გადამწერს ჯერ „მეღვინეთ“ დაუწერია, რაც გადაუხაზავს და „მე-  
ჭურჭლეთ“ ჩაუწერია.

თვედროობის მეორეს დღეს ძალთ დასწერენ. და რომელიც მწიგნობარი დასწერს<sup>1</sup>, ოთხსა ანუ სამს ძალსა მეფისად<sup>2</sup> გარდა-აყენებს. მეგრე მწიგნობარი გამოირჩევს ერთს ძალსა, ბერძული უნდა თუ მწევარი. და თორმეტ-თორმეტი ძალლი, სამ-სამი მონადირე წავა საყვებად, და მონადირეთ გაუშვებენ.

ორშაბათს მეორეს ლამპარს<sup>3</sup> მონადირენი შეიქმენ, მეფეს წინაშე მიიღებენ, და ცოლსა მეფისასა<sup>4</sup> და შულთა, ვეზირთა<sup>5</sup> და მოლარეთა ყველას მიართმენ<sup>6</sup>.

მეფე უბრძანებს პურსა, ღვინოსა და ფურ-ბერწსა; ეგრეთვე დედოფალიცა უბრძანებს; ვეზირნი და მოურავნი ყოველნივე მისცემენ პურსა, ღვინოსა და საკლავსა. საგანმგებოს მუქიფსა და საღვინის მუქიფსა და [4+] გამცემარსა იაფებენ ყოველსა.

და თუ მისცემენ პურსა, ღვინოსა და საკლავსა, აღარას აწყენენ, მაგრამ იგინიცა კარგად დაიხიზენიან და ლამპარსა ანთებ-|ულსა მჭარსა შეიღებენ, ეგრე მგრგვალსა დააბმენ. ვისცა ავად მიუტემა, ანუ პურად ავადია, აგინებენ და რაც უარესია.

### [13. დიდი დარბაზობა]

საწოლის მეგრე დიდსა დარბაზობასა ზედა ქვე ვერ დაჯღების, ითვალვენ და საწოლსა წავა<sup>7</sup>; და წინმწოლსა<sup>8</sup>ცა მიუა სათვალავი და მუნ სჭამენ.

#### [ა. ხელქვეშეთ მეფე-მთავართა დაჯღომის წესი]

და ზოგთა ვი[ე]თმე ასრე უწერია, ვითა ტრაპიზონელი<sup>8</sup> და შარვან[შა], შანშე<sup>9</sup> და სომეხთა მეფე რა მოეიდნენ, საჯღომი ერთი [არ] არის ოთხთავე.

ამა არსენ იყალთოელი<sup>9a</sup>, ეგეთი კაცა, მტყუანი როგორ ეგების? ამა შაირსა არა იგი იტყუს: «ვინ<sup>10</sup> ნაპარმავეს მეფენი თორმეტნი პურად ჩაესხნეს».

მაშინ ორნი ოსთა მეფენი, და კახთა მეფე, და ალვანთა მეფე, წ[ა]ნართა მეფე, სამნი ტ[ა]ოლთა მეფენი, და სომეხთ მეფე, და გრაპიზო[45]ნელი, და შარვან-შაჰენი<sup>11</sup>, — ესენი ჩაესხნეს ნაპარმავეს და თორმეტნი დასხდეს, და ოთხნი რად ვერ დაეტოლდეს.

ამ ოთხთაგან ერთი საჯღომი მარჯვენით დაუწერია, მოძღვართ-მოძღვრისა და აფხაზეთის კათალიკოზისა ქვეშეთ და ჭყონდიდელისა ზემოთ. ეს თვთ მართალია მუნ მათი, მაგრამ მე ვიცი<sup>12</sup> პატრონისა ბრძანებად, რომე ოთხნივე დაისხმიან დიდროანითა სკამითა, მას ზედა ოქსინოებიითა და სასთაულითა, წინა ტაბლე-ბითა<sup>13</sup> და ზედა ტაბაკითა; და რაჲ ზედა სამი ჯამი მეფისა<sup>14</sup> წინა დაუდგან, ექვსი ჯამი მათ წინა დადგან.

<sup>1</sup> დასწერეს A. <sup>2</sup> მეფედ A. <sup>3</sup> ლამპარს ABC. <sup>4</sup> მეფისა BC. <sup>5</sup> ვეზირთა-რავთა? C. <sup>6</sup> მიართმევენ C. <sup>7</sup> და მასცა C. <sup>8</sup> ტრაპიზონელი BC. <sup>9</sup> შარვან-შანშე AB, შარვან-შანშე, ოვსთა მეფე C. <sup>9a</sup> უწულილი A. <sup>10</sup> ვინ ABC. <sup>11</sup> შარვან შალენი A. <sup>12</sup> კ'ცი A. <sup>13</sup> გაბლებითა A. <sup>14</sup> მეფისა C.

აქათ დარბაზსაც სდგმიდენ. მწდე განალამცა თვთო აღდა.

[ბ. მოძღვართ-მოძღვრის, კათალიკოზთა, ჰყონდიდლისა  
და სამთა ვეზირთა წვევა]

მწდე ჩვენთაცა დარბაზით ათქს ოთხთავე: მოძღვართ-მოძღვარსა<sup>1</sup>, კათალიკოზთა, ჰყონდიდელსა და სამთა ვეზირთა: ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა.

მოძღვართ-მოძღვარი დარბაზს აწვიონ, და შინაური დარბაზის ერი უნდა, [46] და ერთი ჯორი და სამი ცხენი მოძღვართ-მოძღვრისათჳს და ორნი მისთა მოწაფეთათჳს.

მოძღვართ-მოძღვრისა, კათალიკოზთა და ჰყონდიდლისა, რაჲ დარბაზს მოვიდნენ, წვევა—სამთა საბატითა დარბაისელთა.

საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია და პატრონისაგან არ მასმია, მისმან კეთილმანი და აღის ჰალას, ოდეს მათი შვილი მოვიდა, შეიყარნეს, კათალიკოზ[ი] თანა ჰყვა და აღს ეკლესიის კარს დგა. და რაჲ წვევის ჟამი მოვიდეს, საწოლის მწიგნობარი ინასარიძე პატრონს<sup>2</sup> წინაშე დგა და პატრონმან ბძანა: «ვინ უწყის კათალიკოზითა»<sup>3</sup>. და მიბძანეს მე ვაწვეო. ამის სიტყუსათჳს სოფრომისძე იტყუს: და მეორეს წელს ეგრე ჰბძანა: «ამირეჯიბს მართებსო ოთხთა მონაზონთა და სამთა ვეზირთა წვევაო». მაშინ ამირეჯიბი ქვაბლიძე უგემურად იყო, და არა<sup>4</sup> იყო მანდა.

აწ, ვინათგან დაუწერია, აწვიოს საწოლის მწიგნობარმან.

მოძღვართ-მოძღვარი შევიდეს და ეთაყვანოს მეფესა და [47] მერმე მეფეცა ეთაყვანოს. ჰელნი სრულად დასხნეს ნატაკსა ზედა და მომრგვალებით ეთაყვანოს, გინა დამრუდებით. მეფე ნოხთა პირსა მოეგებვის და მოესალმოს: «მოახსენე», ბრძანოსო. წავიდეს. [მოძღვართ-მოძღვარი]<sup>5</sup> და მარჯვენით გარდადგეს ახლო.

კათალიკოზი და ჰყონდიდელიცა მანვე აწვივნეს. ეგრეთვე კათალიკოზი, რომელიც მოვიდეს, ეგრეთვე ეთაყვანოს და მეფემანცა ეგრევე ჰელნი დაასხნეს დამრუდებითცა, გინა ნოხსა ზედა მესამედი წამოიაროს; და მითვე წესითა ჰყონდიდელსა და მათ სამთა ვეზირთა აწვიოს.

ეჯიბმან, რომელიც იყოს, შევიდეს, ეთაყვანოს მეფესა და მეფე ეთაყვანოს, და ნებნი ნახევრამდის დასხნეს დამრუდებით იგი მეორედ კვლავ ეთაყვანოს, სამი ბიჯი წამოი[ა]როს მეფემან. აკოცოს, და უკუდგეს [ეჯიბი]<sup>6</sup> და მარჯვენით ახლოს იყოს\*.

<sup>1</sup> მოძღვართ-მოძღვართა A. <sup>2</sup> პატრონის BC. <sup>3</sup> კ'ზო A. <sup>4</sup> რ'ა' A. <sup>5</sup> მოძღვართ-მოძღვარი — BC. <sup>6</sup> ეჯიბი — BC.

\* ABC-ში ამას მოსდევს „ძვენი საწელიწდისთა“, რაც თავის ადგილას „დიდი დარბაზობის“ ბოლოს გადავიტანეთ (იხ. მუხ. 13%).

მეჭურჭლეთ-უხუცესი საჭურჭლის ნაცვალმან აწვიოს, მსახურთ-უხუცესი—[48]მესაწოლეთ-უხუცესმან.

რა ეთაყვანოს, მეფემან თითნი ნოხსა ზედან დასხნეს და იგი მეორედ კვლავ ეთაყვანოს.

მეფემან მეორედ თაყვანებისათჳს ბამთა ვეზირთა უფრო, და ამ ვეზირთა ორთა უმდაბლეს ჳელნი აღუპყრას<sup>1</sup>. და ესე ორნი ვეზირნი სწორად, ვითა ის ჳემონი სამნი სწორად.

და ამილახორიცა ამ ორთა სწორად ნახოს მეფემან.

[დ. ეპისკოპოსთა წვევა]

რა სწორად ეპისკოპოზნი მოვიდენ იმიერით: იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევარი და გოლგოთელი, ჳათ რაჲ ეთაყვანენ, ჳელნი მეფემან ნოხთა ჳედა დასხნეს. იშხნელისათჳს უფრო მდაბლად და ორი ანუ სამი ბიჯი წამოიაროს და მოესალმოს; და ამ სხუათათჳს სწორად ნუ დაიძვრის.

ამიერი ბედიელი მოსაფლავეა [მეფისა]<sup>2</sup> და ქუთათელი [მაკურთხეველიცა და]<sup>3</sup> მოსაფლავეც არის.

დიდი გიორგი, რომელმან ბასილი ბერძენთა<sup>4</sup> მეფე გააქცია, მისსა [ბედიელის]<sup>4a</sup> საყდარსა შიგან არის. [ქუთათელის საყდარსა შინა]<sup>4b</sup> მეფენი და [ი]ლოციან, და [49] ოდეს პირველ ვახტანგ დალოცეს და მერმე კოხტანტინე, დაისარჩლნეს აფხაზეთის კათალიკოზნი და ქუთათელი იოვანე.

ქუთათელმან ასე თქუა, თუ: «აწ, ორჯელ-სამჯერ ჩემს საყდარსა შიგან ორნი მეფენი დალოცილან და არ<sup>5</sup> მემართლები, გვრჯენი ანუ სკიპტრა ჩემს საყდარსა შიგან არ დასდვა».

და მერმე ვეზირთ და ერთობილთ ლაშქართა თქვეს თუ «ქუთათელი უმართლეა». და სკიპტრა ქუთათელს გაუჩინეს. და მოანება აფხაზეთის კათალიკოზმა, და ქუთაისის ღმრთისმშობლის წინ სამსჳვალე მოჳედეს.

და მით<sup>6</sup> ერთობ საბატო არის [ქუთათელი]<sup>7</sup> და იშხნელის სწორი პატივი მართებს.

სხუათა ეპისკოპოსთა, კაცი ჩანს, ვითარი მონაზონი იყოს, ანუ ვითარი კაცი, და ზოგთა უფრო და ზოგთა უმცრო.

მტბევარსა ჳედა დარბაზს, მისსა საჯდომსა უკანით, მისსა მოლარეთ-უხუცესსა ფარი და ჳმალი აქვს უ[50]კანიტ, ამაღ რომე ერისთავიც არის შაეშეთისა.

<sup>1</sup> აღუპყრან A. <sup>2</sup> მეფისა—BC. <sup>3</sup> მაკურთხეველიცა და—AB. <sup>4</sup> ბერებთა A. <sup>4a</sup> ბედიელის—BC. <sup>4b</sup> ქუთათელის საყდარსა შინა—BC. <sup>5</sup> და არ] დარ A. მთი A. <sup>7</sup> ქუთათელი—BC.

რომელიცა განაჩინა [თანადგომითა]<sup>1</sup> და ერთნებითა<sup>2</sup> შუდსავე სამეფოსა დიდებულთა.

ბძანა დამტკიცებდა ჰყონდილად, [52]მწიგნობართ-უხუცესად და ვეზირად გაზრდილივე მამისა მათისა მეფეთ-მეფის—ანტონე გლონისთავასძე, კაცი ბრძენი და გონიერი, პატრონთათჳს სჯანი, ერთგული და შემცნებელი საურავთა.

და განაჩინა ამირ-სხასალარად სარგის მქარგარძელი, კაცი გვარიანი და აღზრდილი ღაშქრობასა შინა, და უბოძა ლორე, სათავადო და სამთავროს ომხისთა შინა.

და გააჩინა და უბოძა ჭიაბერს მანდატურთ-უხუცესობა და უბოძა არგანი ოქროსა კელთა მისთა.

და შთააცვეს საფრამანგი ტანსა მათსა და დასვეს სელებითა ოქრომჭედლითა რომელიმე მარჯვენით მისა და რომელიმე მარცხენით.

და კუალად უბოძა მეჭურჭლეთ-უხუცესობა დიდსა და გვარიანსა კაცსა კახაბერსა ვარდანისძესა, და მსახურთ-უხუცესობა — ვარდან დიანსა, და ჩუხჩარეზობაჲ — მარუშიანსა, ძესა ჩუხჩარეზისასა<sup>3</sup>.

და უბოძა ამილახრობა გამრეკელსა თორელს...\*

### [ვ. პურობა]

...[53] აქვს, ჯელთა ზედა იბრუნებს, ქვე ვერ დაიბიჯებს.

პირის მწ[ედ]ედ საჭურჭლის ნაცვალი, მეღვინეთ-უხუცესი.

ზარდახნის მწიგნობარი საწოლის მწიგნობრის გვერდით დგას. ვგრეთ საწერელი აქვს ღლიასა საგამგებოსა<sup>4</sup> მუქიფსა და საღვინის მუქიფსაცა. ესე ყოველნი პირის-პირ დგანან.

სხვანი მწიგნობარნი, ოცდაოთხნი, საწერლებით—ჰყონდიდელის მგარს [დგანან]<sup>5</sup>.

მერიგე და მანდატურნი ამირეჯიბსა და მესტუმრეს უკანით დგანან.

დიდი დროშა კარის შემოსავალსა დგას.

მერემეთ-უხუცესი მგარსა უთქს და მგარსა საგდებელი აცვია. და მერემენი უკან უდგანან.

<sup>1</sup> თანადგომითა—AB. <sup>2</sup> ერთნებაობითა C. <sup>3</sup> ჩახჩურეზისასა ABC. <sup>4</sup> საგან-მგებოსა BC. <sup>5</sup> დგანან—BC.

\* პროფ. ექ. თაყაიშვილის აზრით, აქ ხელნაწერს ექვსი ფურცელი აკლია.

ზარდახნის-უხუცესი და მსახურთ-უხუცესი მგარსა დგანან.

აწ ესე მოძღვართ-მოძღვარი, კათალიკოზნი და ჭყონდიდე-ლი, ათაბაგი, ამირ-სპასალარი ქვე დგანან თავის ადგილსა. ეგრეთვე მეჭურჭლეთ-უხუცესი, მსახურთ-უხუცესი, ამილახორი, ეგრეთვე მეაბჯრეთ-უხუცესი, ამირ-ჩქარი.

ამას ზედა [54] ეპისკოპოზნი ქართლისა კათალიკოზისავე. გელათელნი, ძმანი გარესჯელნი და თორმეტნი<sup>1</sup> უდაბნოთანი, ვითარცა მართებს, ქვემო სწერია [იხ. მუხ. 13\*], ესენი მარცხენის მგარს სუფრასა<sup>2</sup>.

აწ მეფე უბრძანებს მანდატურთ-უხუცესსა, იგი არგანსა და-აგდებს და ამირეჯიბი არგანს აიღებს. მანდატურთ-უხუცესი ტახტს<sup>3</sup> წინ მიდგების: «პური მოიღეო». მანდატურთ-უხუცესი მობრუნდების, არგანს[ი] გამოუღებს და პურ[ი]ს წინაობას იურევებს.

და რაჲ ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი გავიდნენ, კათალიკოზნი, მოძღვართ-მოძღვარი<sup>4</sup>, ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი<sup>5</sup> და, ვინც ქვე სხედან, ყოველნი ზე ადგებიან.

პატარა ხანი გამოვიდეს, მეფე აწვევს კათალიკოზთა, მოძღვართ-მოძღვარსა<sup>6</sup>, ჭყონდიდელსა, ათაბაგსა და, ვისცა არ უბრძანებს, ვერავინ დაჯდების, ვირემდი სეფეს ტაბაკს არ დასდგმენ.

ტაბაკს მანდატურთ-უხუცესი და ამირეჯიბი დასდგმენ. მაჰამადსა განმგეთ-უხუცესი მიიღებს კოზმანჩქითა<sup>7</sup>. უნდა ოქროს [55] ტაბაკი შუაზედ ურთუმელი იყოს. ზედ შექნილი თავი თვალმარგალიტიანი, შიგ მარილი იყოს. ზედ ერთი კოვზი ბროლისა, ტარი მოქედილი, ხალასის თვალი ზედ<sup>8</sup> იყოს და ერთი ატლასის ჩილანი ზედ ისხდენ.

მოლარეთ-უხუცესი ადგების, მიიღებს<sup>9</sup> მსახურთ-უხუცესი, და იგი მიიღებს<sup>9</sup>.

აწ მანდატურთ-უხუცესი მივა და თ[ა]ვის ადგილს ქვე დაჯდების.

ამირეჯიბი<sup>10</sup> — კათალიკოზთა, მოძღვართ-მოძღვარსა<sup>6</sup>, ჭყონდიდელსა, — ამათ წინ ტაბლას დასდგმენ, — და ზედ ტაბაკს იგი დაუდგამს. ეს ოთხნივე ადგებიან და თავმოდრეკით ჰვლთა ტაბ[ა]კზე დასხმენ, ამირეჯიბს ეთაყვანებიან.

ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა ტაბაკს ეჯიბი დაუდგამს, ადგებიან.

განმგეთ-უხუცესი მონაზონთ ოთხთავე სამ-სამის ჯამით, ეგრეთვე სამთა ვეზირთა ითვალავს, და მერმე ამირეჯიბი და განმგეთ-

<sup>1</sup> თორმეტთა C. <sup>2</sup> სუფრისასა C. <sup>3</sup> ტახტის BC. <sup>4</sup> მოძღვართ-მოძღვარნი ABC. <sup>5</sup> ამილსპასალარი A. <sup>6</sup> მოძღვართ-მოძღვართა ABC. <sup>7</sup> „ტაბაკს მანდატურთ-უხუცესი... კოზმანჩქითა“ C-ში გადატანილია „ჩილანი ზედ ისხდენ“-ის შემდეგ. <sup>8</sup> ზედა C. <sup>9</sup> მიიღებს C. <sup>10</sup> + და განმგეთ-უხუცესი C.

უხუცესი დასხდებიან. და მუქიფი ითვალავს სხვათა ვეზირთა ორ-  
[56]ოლითა ჯამითა.

პირის მწდეს<sup>1</sup>, რაჲ მეორეს ჭიქას გამოულებს მეფე, ანუ მე-  
სამესა, სათვალავსა მიატანინებს<sup>2</sup>, და დაჯდების ამირეჯიბსა  
და განმგეთ-უხუცეს[ს] თანა. და სამნივე ერთად დასხდებიან. საწო-  
ლის მწიგნობარი მსახურთ-უხუცესი[ს] გვერდით ზის.

და რაჲ სუფრა დაუფინონ, ჯელისუფალნი ესე, რომე ზემოთ  
დამიწვრია, ვინც სხედან. შეაბჯრეთ-უხუცესსა პირდაპირ — ხარდახ-  
ნის მწიგნობარი და მას ქვემოთ მწიგნობარნი დასხდებიან პი-  
რისპირ.

და იქით სხვანი ჯელისუფალნი და ჯელოსანნი, [სა]სახ-  
ლის დიდებულნი ჩასხდებიან; სუფრის ბოლოს მერემეთ-უხუცესი  
და ფარეშთ-უხუცესი სხედან, და მათ ქვემოთ — მეჯინიბენი.

მაგრამ სუფრაზედ ქაშნაგირი ზე დ[გ]ას ოქსინოსა ზედა ცალ-  
კესა; იგი და<sup>3</sup> წინამდგომი ტახტსა ზედა დგანან. ქაშნაგირს ჯელის  
მანდილით ცოტა ჩამჩა აქვს. რაჲ საჭამადი წამოაყენონ, ჩამჩით  
ამოიღებს და ჯელსა ზედა დაისხამს და შეხვრეტს, და ეგრეთვე  
ღვინოს...\*

#### [ზ]. ძღვენი საწელიწდისთაო

ერისთავთა, ქართლის ერისთვისა, სამცხის სპასალარისა...<sup>\*</sup>  
ჩანს. და დიანისა — სამი ცხენი: ორი უკეთესი და ერთი სატა-  
ლახე. ამირ-სპასალარის — ბურთი, ჩოგანი, ცხენი უკეთესი მოიღოს.

საგანმგებოსა და საღვინის ჯელისუფალნი ვერას მიიღებენ,  
ვერცა მანდატური არგანს დაიჭირაგს.

გელათური ძღვენი: საჭარმაგეო სეფისკვერი, სამი შეკანული  
ღვინო, ზუთხი და სატალახე ცხენი ფიცხლავ მოაგებონ საქრის-  
ტისშობოთ მომავალსა.

გარეჯული\*\* ძღვენი: კაპარი, კალამი და ცოტა ძღვენი, ცოც-  
ხი კარგად დაწყობილი. ამ ცოცხთ ფარეშთ-უხუცესი აიღებს, პუ-  
რობას უქანით ნოხსა გარდმოგვს მეფის წინაშე, ოდეს წესია.

და უდაბნოთა საწელიწდისთაო არ მართებს.

სანახავი ძღვენი: ლელვი კეოტსა ზედა დაცმული, ჩურჩხელი,  
ორთა კაცთა ქობ[51]დეს<sup>4</sup>, ნუში, ნაფვი, თუთუბო, ალარდენი და  
ბროწეული, თორმეტი თაფლას ქვევრი, სილალორი.

ორთა ძმათა ჯმა-კეთილთა და კარგთა მკობხველთა წინამდ-  
ღვარი გამოარჩევს, დარბაზს მივლენ ორშაბათსა პირმარხუსასა და  
სამხრის ლოცვასა ზედა ფსალმუნსა აიღებენ. ორსავე სამხროსა  
თუთო იქნებიან<sup>5</sup>.

<sup>1</sup> მწედ A, მწეს B. <sup>2</sup> ჟმეია C. <sup>3</sup> ~ და იგი AB. <sup>4</sup> ქონქონდეს A. <sup>5</sup> „ორსავე  
... იქნებიან“ C-ში გადმოტანილია აქ, ხოლო AB-ში „შესხდებიან და წაუღენ“-ის  
შემდეგ არის.

\* აქ ტექსტი უნდა აკლდეს.

\*\* მარცხნა კიდებუ მამდურულად მიწერიალია: „[ჯ]არეჯელთ ძღვენი“.



და რაჲ სამხრისასა გამოილოცვენ, არცაჲინ უდარბაზებს. თჳთ იგინი მეფეს კითხვენ, მეფე იჯრსა და სადგომსა გაუჩენს, ამოდ და საბატოდ ამყოფებს.

აღვსებისა ორშაბათსა რაჲ გამოილოცონ, არცა დაეთხოვებიან, არცა რას იტყვან, შესხდებიან და წაველენ. როცა [წაველენ]<sup>1</sup> ასსა თუარსა<sup>2</sup> ჩაველასა გაუგზავნის მეფე.

დასრულდა დარბაზის წესი.

[14]

... [57] [პირმყოფად მან მიიღო. და ოდეს აკურთხეს, არ მაგად აკურთხევენეს, არ მოელის კათალიკოსსა, რომე არაჲი<sup>3</sup> (sic) ქვეშეთ შექმოდესო. ვარქვე, და აცილნეს ორნივე კათალიკოსნი: «არა მე მმართვესო, არა თუო».

[15. მეფის შეკავშვა]

აწე ვიწყოთ შეკავშვა<sup>4</sup> მეფისა და ყთქვათ ვეზირობისა.

რაჲ მეფე<sup>5</sup> შეეკავშმოდეს<sup>6</sup>, ტაშტი მსახურთ-უხუცესმან დაიჭიროს, პირის მანდილი—მესაწოლეთ-უხუცესმა, წყალი მოლარეთ-უხუცესმან დაუსხას, ტანისსამოსი მსახურთ-უხუცესმან ჩააცვას, ღილი მესაწოლეთ-უხუცესმან შეუქრას. მუქლთ დაყრით ქუდი მოლარეთ-უხუცესმან მიიღოს.

[16. ვეზირობა]

და თუ ვეზირობა იყოს, მათ მოაქსენონ ჭყონდიდელსა და ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა<sup>6</sup>, მეჭურჭლეთ-უხუცესსა], მსახურთ-უხუცესსა] და ამილახორსა.

დაფინოს ორხოვა ფარშეთ-უხუცესმა მომკრო და ზედ სასთაული დადვას. დაჯდეს მეფე მას ზედა. მოიღონ სუფრის ნოხი და მომრგვალებით დაფინონ [58] პირისპირ. თავსა სუფრის ნოხისასა სეღნი დადვან.

მსახურ[თ]-უხუცესმან «ბძანეთ» თქვას. ჯალაბი გაიყაროს, ჭყონდიდელი ნოხთავე პირს მიბრუნდეს; ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა მოაქსენონ, მობრუნდენ, ეგრეთვე მეჭურჭლეთ-უხუცესი.

ჭყონდიდელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახ[ა]ლია. ჭყონდიდელისა მწიგნობრობა შემოსრულა, არ[ს] მწიგნობართ-უხუცესობა ჭყონდიდლისა; გასულა ათაბაგი ღიდი და საბატოდ და ძჳრად ოდესმე იქმნების.

ჭყონდიდელს ქვეშეთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირ-სპასალარი დასხდენ.

<sup>1</sup> წაველენ—B. <sup>2</sup> თეთრისა C. <sup>3</sup> არაჲიქი BC. <sup>4</sup> შეკავშვა AB. <sup>5</sup> შეეკავშოდეს AB. <sup>6</sup> +მანდატურთ-უხუცესსა C.

\* პ:ოფ. ექ. თაყაიშვილის აზრით, აქ ხელნაწერს ორი ფურცელი აკლია.

ამირ-სპასალარი საბატო ვეზირი არის და თავადი ლაშქარ-  
თა და უმისოდ ქვეყანა არ გაიციმის, არცა ვინ სამამულოდ შეი-  
წყალეობის; და პატივი მისი და მანდატურთ-უხუცესისა სწორი არის.

და ესეც იქნებინ, რომე ორივე ერთსა ქონდეს. და უფრო  
შანშეთ სახლისა არის, ესევე ორივე ჰელი ერთსა აქვს, და თუ  
ორთა.

[59] მექურჭლეთა-უხუცესი<sup>1</sup> ძველი ვეზირი არის საბატო.

და ვინ ამ[ა]ს იტყვს: მსახურთ-უხ[უ]ცესი მან აველი რუსუდან მეფეს  
შეუყვანია სავაზიროსა და ვაჩნაძე შეუყვანია.

აწე მსახურთ-უხუცესი მექურჭლეთ-უხუცესისა<sup>2</sup> გვერდით ზის  
ვეზირობასა ზედან.

ამილახორსა მათ უკანით ვითა ზესკამი უთქს და ვეზირობა  
ესმის, და იგი არას იტყვს, რასაც არა ჰკითხვენ. და რაჲ [ჰ]კით-  
ხონ, მაშინლა პასუხს იტყვის.

საწოლის მწიგნობარი ჰყონდიდლისაკენ დგას, კედლის ძირ-  
სა, საწერელი აქვს თავისი; ამირეჯიბი—შუაზედ; ამილახორი  
ცალკე დგას და ჰელთა არგანი აქვს.

მესაწოლეთ-უხუცესი სალაროს კარის გამოსავალსა დგას გა-  
რეთ, მეფის ზურგით; მოლარეთ-უხუცესი სალაროს კართა შიგან  
დგას გამოსავალსა.

და მერმე ვინც უნდა[თ]: მეაბჯრეთ-უხუცეს[ს]ა, განმგეთ-უხუ-  
ცესსა, საქურჭლის ნაცვალსა, მესტუმრესა, [60]ზარდახნის მწიგნო-  
ბარსა, და ვინცა ჰელისუფალნი სამოციქულოდ უნდათ, შეასხ-  
მენ და გაგზავნიან.

ეგრეთვე მწიგნობარს ჰყონდიდელი გარდასცემს და ასწერენ  
და იურვიან, რაც სასაურეო იყოს.

საწოლის მეკრე კარს გარეთ არის, ზურგი შემოუქცევია  
კარით, ან გამოუხშავს, ჰელთა არგ[ა]ნი აქვს, ქვე ზის, და ვისცა  
უბრძანებენ, შემოიყვანს.

მერივე შორსა დგას; და მანდატურნი გარეშემო შორს დგა-  
ნან. და ვისცა არ უბრძანებენ, არვის მიიყვანენ სიახლოეს.

აწ პირველ ხოლო ღმრთის გამს<sup>3</sup> პატივი: ვინათგან «უკვე  
არა თუ მან აღაშენოს სახლი, ცუდად შერებიან მაშენებელნი  
მისნა»\*.

<sup>1</sup> მექურჭლეთა-უხუცესი] მექურ მექურჭლეთა უხუცესი A. <sup>2</sup> უხუცესი AB.

<sup>3</sup> გამს A.

\* ფსალ., 126, 1.

საწოლისა ღმრთისმშობელი თვთ საწოლსა სვენებია და მის წინაშე მისთა მევედრებელთაგან ენთების სანიადაგო სანთელი და კანდელი. მცველი მისი მესაწოლე არის, იგივე, რომელი წინამწო-ლი არის მეფისა.

ძელი ცხოვრებისა ველსა კარვით დგას, და კარავი განალამ-ცა სეფე იყო. ეკლესია კარვია და სხვანი ხატნი პა...\*

### 32. [წყალმოვის სიგელი გიორგი ბრწყინვალისა ივანე თორაელ-ჯავახიშვილისადმი]

[1338 წ.]

... ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა] თუით ფლო-ბით ჯელმწიფედ მპყრობელმან... მოვიდეს წინაშე] ჩუენსა ჩუენი დიდად ერდგული თორელ[ი ივანე, და] გუეჯა და მოგუ[აჰსენ-ნა, რათამცა კოჟრ[ისა ძირისა მონასტერი ა]თენაგუენი მიგუებოდა.

დაგუაჯერა ღმერთმან და... ვინებეთ თორელისა ჯავახი-შვილისა ივანესი და კოჟრისა ძირისა მონასტერი ათენაგუენი სამკუიდროდ [მიუბოძეთ] და შეუცვალებლად.

და გქონდესა შენ, თორელ] ივანესა კოჟრისა ძირსა მონას-ტერი ათენაგუენი... [და] ყოველთავე მომავლითა მისითა, მიმდ-გომითა... ველითა, ვენაჭითა, ტყითა, წყლითა, წისქულითა... სანა-დროთა და ყოვლითა სამართლიანითა მ[ძღვრი]თა და თავისუფლად.

და არავინ გუიბრძანებია მშლელი ბძანებულისა ამის ჩუენი-სა, არცა მეუხებლენ, მავნებელი ამისი.

აწ ვინცა ნახოთ ბრძანებაი და სიგელი [შემდგომად] ჩუენსა: მეფეთა, ანუ დედოფალთა, ერისთავთა-ე[რისთავთა], ტფილისისა ამირათ-ამირათა, კოჟრისა დაბი[სა]... და მოურავთა, ყოველ-თავე დაუმტკიცეთ.

და... ბრძანებასა და სიგელსა ამას ჩუენსა, და ნუცა რასა ვინ დააკლ[ებთ, ნუც დიდსა და] ნუც მცირსა, თუინიერ შეწევნისა და თანადგომისა [კიდენ. და თქუენ. ქა]რთლისა კათოლიკოზო და ყოველნო მღრდელ[ნო, წყ]ალობით დაუმტკიცეთ.

დაიწერა ბრძანებაი და სიგელი [ესე ჩუენი ინდიკტიონსა] მეფობისა ჩუენისასა ლთ, ჯელითა კარისა მწიგ[ნობრისა აბ]რ ა-ჰამ ავგაროზის ძის[ა]თა.

ქ. ვამტკიცებ გიორგი.

\* შემდეგ ტექსტი აკლია.

33. [წყალთობის სიგაღი გიორგი ბრწყინვალისა (?) გაგვიკვლ  
ჯავახიშვილისადმი]

[1345 წ.]

...შენდა გუიბოდებია<sup>1</sup> ჯავახის შვილს გამრეკ[ელსა],  
წვილთა სარიჯნა<sup>2</sup> შენთ[უ]ისა გუიბოდებია<sup>1</sup>. გქონდეს და ვერა[ვი]-  
ნა გეცილებოდეს, ვითა შენს... [სიერთგუ]ლესა ჰმართებსა ერდგუ-  
ლად სამსახურსა შიგანა მეფობის ჩუენისასა, ურდოს ლაშქარსა შინა  
და გარე, და კაგიყოსო[ს] ორი გლეხი, მისი[თ] მ[ი]წ[ი]თ და საქო-  
ნებელითა, კომნაკომისძე და ბორტყოლა. შენსა ბიძას ძის შალვასა  
შვილსა ჰქონდესა, მისისა საქმის შეკაზმამდის, ნურასა ეცილები  
და სათათროსა და საელნოსა და ჩუენსა სამსახურსა თანა დაიყენებ-  
დი, და ვერავენ რა საქმე დაიგოს შენს მეტმა.

დაიწერა ქორონიკონს ლგ, ოკლომბერსა იბ, ბრძანებანიშნად  
გიბოდებ[ბ... პელით კარისა მა... ჩემისა მაცრიტის(?) ძისა და-  
ვითისაი და შალვას...

და თუ სხუასა, ვისა გინდა ჩუენი ბრძანება და ნიშანი ჰქონ-  
დეს, ყუელა ამით გაგიტარე და ესე დაგიმტკიცე ბრძანებაი.

ხელრთვა არ განირჩევა.

34. [წყალთობის სიგაღი ანდრონიკე მფვისა წითლოსან  
ძვენიშვილისადმი]

[1348 წ.]

ქ. სახელითა ღმრთისაითა, ანდრონიკესგან ბაგრატი-  
უნისანის, ნებითა ღმრთისითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა,  
კახთა და სომხეთ მეფისა, შარვანზე და შანზე და ყოვლის აღმო-  
სავლეთისა და დასავლეთისა პელმწიფედ მპყრობელისა;

მოვიდა ჩუენს წინაშე ქუენი ფნეველი, ლარგ[ე]ელისა  
შვილი წითლოსან და გუეაჯა და მოგ[უ]აგსენა, რაითამცა  
ქართლს<sup>3</sup> მუხუსძისა სალარისეულნი სოფელნი: კარბაი  
და გარეჯარ ბაკურიის უბანი მისთუისმცა მიგუებოდნეს.

დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ აჯაი ქუენი ფნ[ე]ვე-  
ლისაი წითლოსანისი, ვინადგან მათის ცოლის ძმის მუხუს-  
ძეს სალარესცა მისთუის და მისთა დისწულთათუის ეანდერ-  
და მისი მამული, ჩუენცა შევიწყალეთ და მიუბოდენით ქართლის

<sup>1</sup> გიბოდები. <sup>2</sup> + შენ. <sup>3</sup> ქართლის.

სოფელნი: კარბაი<sup>1</sup> და გარეჯარ ბაკურის უბანი, მისითა სამართლიანითა მძღვრითა მკ[უ]იდრად, სამამულოდ, შეუვ[ა]-  
ლად და შეუცვალებლად.

ჰქონდენ ქუენი ფნეველს წითლოსანსა, შეილთა და მამავალთა მისთა ყოველთავე ქართლის სოფელნი კარბაი<sup>1</sup> და გარეჯარ ბაკურის უბანი, მათითა სამართლიანითა მძღვრითა, მითითა, ბარითა, ტყითა, ველითა, ვენაჭითა, წყლითა, წისქვეილითა, გალითა (sic), სათიბითა, სანადიროთა, მკ[უ]იდრად, სამამულოდ, შეუვ[ა]ლად, მათითა საგმარითა, და უგმარითა, ერთობ ყოვლითა.

და თუ ვის რაი ამა ადგილთა სიგელი და ანუ ნიშანი ჰქონდეს, ყოველივე სიგლითა ამით გაგ[უ]იტხეხია და მტკიცე<sup>2</sup> ესეოდენ[ია]. და არავენ გვიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ბრძანებულის ამის ჩუენისაი და არცა მეუწებლე, მავნებელი და დამკლებელი მათი.

აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მამავალთა მეფეთა და დედოფალთა, კარის ჩუენის ვაზირთა და მოურავთა, ერისთავთა-ერისთავთა და ქართლის ერისთავთა, გორის და [ჩ]ვენთა ციხისთავთა და მეციხოვნეთა და გორის მოურავთა, მერემამეთა, მეჯინიბეთა, ბაზიართა, მონადირეთა, ხ[ვ]ეარბლის მკრეფელთა, მესაბანჯრეთა, მეკულუხეთა და ყოველთავე კართ ჩუენთ სასაქმოდ წარგზავნილთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ და ნუცა რას ვინ და[ა]-  
კლებთ, ნუ დიდს და ნუ მცირესა, თუ[ი]ნიერ შეწ[ე]ვნის და თანადგომისგან კიდე.

და თქუენ, წმიდაო მეუფეო ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოზო<sup>3</sup> და ყოველნო<sup>4</sup> მღრდელთ-მოძღ[უ]არნო, უჯ[უ]არობითა დაუმტკიცეთ.

დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონს მეფობის ჩუენის მეცხრესა, ქორონიკონს ლვ, ჯელითა კარის მწიგნობრის ჩუენის მანგლელის... ძისა ნიკო[ლო]ზისითა.

ხელრთვა მეფისა:

ქ. ვამტკიცებ და უქცეველი [არს] ნებითა ღმრთისათა.

<sup>1</sup> კარბაი. <sup>2</sup> მტკიცე დამტკიცე. <sup>3</sup> კათალიკოზი. <sup>4</sup> ყოველნო.

35. [წყალობის წიგნი ღვინოთ IX-ისა ეზოს ჩუხჩეაბო  
პიპოსადმი]  
[1365 წ.]

ქ. ჩუენ, მეფეთა მეფესა დავითს, ეგე ბრძანებაი, ამისად  
ნიზნად გუიბოდებია: ეზოს ჩუხჩეაბო პიპო, გორს ქისიყე-  
ლისეული მამული შენთ[უ]ის გუიბოდებია, სამართლიანი, გასყი-  
დული და დაწინდულიც, ყუელა შენ მოიკლე და გქონდეს, ერთგუ-  
ლად სამსახურსა<sup>1</sup> შიგა მეფობისა ჩუენისა, ურდოს ლაშქარს შინა  
და გარე ყუელგან.

დაიწერა ბრძანებაი ესე ქორონიკონსა 56, დეკემბერსა ლა,  
ტელითა კარის მწიგნობარისა ჩუენისა ჭურისძისათა.

ხეულად:

მეფე დავით.

36. [წყალობის სიგელი გიორგი VII-ისა გუგუნი მაყაშვილისადმი]  
[1377 წ.]

სახელითა ღმრთისათა გიორგისაგან დავითიან ბაგ-  
რატოვანისა, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართუელთა, რანთა,  
კახთა, და სომეხთა მეფისა, შარვანზე და შანზე და სრულსა საქართ-  
ველოსა— აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ტელმწიფედ ფლობით  
მპყრობელსა წინაშე მოვიდა ჩუენი დიდად ნამსახური და ერთგუ-  
ლი მაყაშვილი გუგუნი, თავადი, მეაბჯრეთ-უხუცესი ბოს-  
ტოლანა; გვეაჯა და მოგვახსენა, რათამცა შეგვეწყალა და ბო-  
ჭორმის პირთა ბიძისა მისისა ნაქონები ბოტკოი სამკვიდ-  
როდ, სამამულოდ სიგლითა მიგვებოძა.

დაგვაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ აჯაი და მოხსენებაი  
მისი და ბოჭორმის პირთა ბიძისა მისისა ნაქონები, რაგვარცა  
სამართლადცა დაჰმართებდა ბოტკოი, სამკვიდროდ, სამამულოდ  
სიგლითა ამით მიუბოდეთ, მისითა შესავლითა, მითთა, ბარითა,  
ველითა, ვენახითა, ჭალითა, წისკვილითა, მზღვრითა, მისისა სამ-  
ართლიანითა ყველათა. გვიბოდებია და გქონდეს შენ, მეაბჯრეთ-  
უხუცესს ბოსტოლანას მაყაშვილს გუგუნასა, შეილთა და მომავალთა  
შენთა ყოველთავე ბიძისა შენისა ნაქონები ბოტკოი, მისითა მიმ-  
დგომითა სამართლიანითა ყველითა.

რაგვარცა თქვენს მეტს არავის დაჰმართებდა, აგრე სამკვი-  
დრო[დ] და სამამულოდ გვიბოდებია ბოჭორმის პირთა ბიძისა

<sup>1</sup> სამსახურისა.

შენისა ნაქონები ბოტკოი. რაგვარცა ბიძასა შენსა ჰქონებია, აგრევე [უკლებლათ შენთჳს გვიბოძებია მკვდრად, შეუალად, უცილებლათ ყოვლის აღამიანისაგან.

გაგვიზადებია და გაგვითავისუფლებია ყოვლისა საჩვენოსა საქმისა შესავლისა და გამოსავლისაგან: ხვარბლის-მკრებელთა, მეკულუხეთა, მეჯინიბეთა, მერემეთა, მესაბანჯრეთა, ბაზიართა, მპაქრავთ-მეძებართა და ყოვლისა საჩვენოსა საქმისაგან.

და არავინ გვიბრძანებია მშლელი, მეუნებლე, მავნე, მავნებელი და დამაკლებული ბრძანებულისა ამისა ჩვენისაი, და ნუცარას ვინ დააკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა.

აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე: შემდგომად ჩვენსა მეფეთა, დედოფალთა, დიდებულთა, კარისა ჩვენისა ვეზირთა დიდთა და მცირეთა, ყველამან ასე დაუმტკიცეთ.

და ნუვინ უშლით ბრძანებასა და სიგელსა ამას, თვნიერ შეწვევისა და თანდგომისაგან კიდე.

და ვინც არ დაამტკიცოს...

თქვენ ქრისტეს მიერ კათოლიკოსნო და წმიდანო მღუდელთ-მოდღვარნო უჯუარობითა<sup>1</sup> დაუმტკიცეთ; და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს.

დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ით, ქორონიკონსა მე, ჳელითა ჩუენისა<sup>2</sup> კარისა მწიგნობრისა მახარობლისათა.

მე, დიდისა მონასტრისა მოძღვარი კათოლიკოსი ნიკოლოზი დამამტკიცებელი [ვარ] მეფეთ ბძანებისა ამის.

<sup>1</sup> უჯუარობითა] უპუარობითა.

ითა.

### 37. ქმელი მკისთავთა

[1348—1400 წწ.]

[1] [დასაფლავ]ებისათვის საფლავი მისცეს, ხოლო ერისთავობაჲ არავის[ი] [ი]ნებეს, არამედ ეძიებდეს კაცსა ესევეთარსა, რომელმანმცა პატივით იპყრნა და არა მძლავრობით და იგიმცა დაამკვდრეს შუა ქუეყანასა მათსა.

და მოსწრაფე იყუნეს ყოველნი შენებასა ლარგვისსა დღითი-დღე ყოველნი ჰევინი.

ამათ ჟ[ამთა] იქმნა ფრიადი შფოთი ქუეყანასა ოვეთისასა და იქმნა ფრიადი სისხლთა დათხევად მეფეთა შორის მათთა.

მაშინ მძლე ექმნნეს შვილნი უხუცესისა იმისანი და გარდამოიყვანნეს მათსა ზაჯისასა შვილნი უმრწემისისანი—როსტომ, ბიბილაჲ, წითლოსანი და ძენი მათნი სამეოცდაათითა მონითა კეთილითა და მოიყვანნეს ქუეყანასა დვალეთისასა.

მაშინ შეკრბეს ყოველნი დვალნი და თქუეს: არა გვნდა მეფე მჯდომარე ქუეყანასა ჩუენსა, რათამცა შემჰამდა ჩუენ. ხოლო მათ [თ]ქუეს ფიციტა მტკიცითა, ვითარმედ: არა გუერქუას მეფე, არამედ ქუეყანასა მას რომელ მომცეთ, სახელი მისი გუერქუას ჩუენ.

მაშინ მისცეს ქუეყანაჲ ბობალეთაჲ და უწოდნეს ბიბილურნი. და იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა, რომელ ეგვეითარი არა იყო ქუეყანასა დვალეთისასა.

მაშინ გულისგმა-ყვეს დვალთა, შეკრბეს და თქუეს ეხედავთ ვითარითა საქმითა იწყეს შენებად ოგსთა ამათ მეფეთა, დაღათუ სახელ-ესდევით ბიბილურად, არამედ სახელი ესე ვერ დაჰფარავს გუარ-ნათესაობასა მათსა; და შემდგომად მცირედისა ეუფლნენ ყოველსა ქუეყანასა ჩუენსა.

და მართუეთა სხმამდის და ბოლოჲთა დაბმამდის განვაძოთ ორთავი გუელი მუცლით ჩუენით.

ალიყვანეს და მოასხნეს ჯეგსა ისროლისასა, ნაკაფუანს როსტომ და ყოველნი ძმანი და მო[ქ]ნანი, მისნი. მას ჟამსა ცხრაზმის-ჰეველნი ჰრძოლილ იყუნეს ციხესა გრჯისისა ხუთ თუე. მაშინ როსტომ მივიდა შეულად მათდა და მას დღე სამ გზის მთამდის პო-



მითა გამოცხადებულნი დიდად მოუძღვრებულნი და დაკოდინნი ცხრა-  
ზმისკველნი.

მაშინ მივიდა როსტომ ძმითა და სამეოცდაათითა მონითა და  
წარუძღუა წინა, ვითარცა ლომი ზახილითა და ვითარცა ვეფხი  
სიმკნითა და ვითარცა ჯიქი სიფიცხითა. და მივიდა იგი და ყოვე-  
ლი ლაშქარი ციხესა მას და ბრძოლა-უყვეს ბრძოლითა სასტიკი-  
თა, რომელ არაოდეს ეხილვა ეგვევითარი. და მას დღე აიღეს  
ციხე ზემოა და გამაგრდეს გრუელნი ორსა მას ციხესა ქუემოსა და  
ყვეს ზავი. და მას ღამესა შევიდა როსტომ და წაუღო ორივე ცი-  
ხე. და ვითარცა განთენდა, დააქციენეს ციხენი იგი ყოვლით  
ზღუდით და ნაშენებითურთ მისით.

მაშინ თქუეს ყოველთა ცხრაზმისკველთა: არა განვიშორით  
ჩუენგან ამიერითგან კაცი ესე გოლიათი, არამედ უყოთ ყოველი,  
რაჲცა უნდეს მას.

მაშინ ჰრქუა მამასახლისმან ლარგუს[ის]ამან, ხუციან და-  
ბის ძემან: უკუეთუ გნებავს მკვლ[რ]ყოფაა ქუეყანასა ამასა, ით-  
ხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა  
და აზნაურთა საფლავი აქა არს და სოფელნი ესე, რომელნი  
ღმრთივ გვრგვინისა ისტჳნიან ე აღმაშენებელისაგან შემოწი-  
რულ არიან, იყო წინამძღვარ მათდა, თუ ღმერთსა უნდეს.

მაშინ ჰროსტომ: მე მოვითხოვე ყოვლისა ამის  
ერისაგან, გარნა შენ შემიქმენ მარჯუენით კერძო საკურობეელისა  
ადგილსა უმჯობესსა და იყოს ღმერთი შუა ჩემსა და შენსა და  
შუა ნათესავისა შენისა და ჩემისა, რომელ პატივი და ჳელი შენი,  
რომელი მეფეთაგან მოცემულ არს, არა შეეცვალოს ნათესა[ჳ]ქვსა  
შენსა უკუე და რომელი სჯობდეს საქმედ ჩემდა, მეტყოდი მე.

მაშინ ჰრქუა გუგაკ: მე თავი ჩემი დავდვა ერთგულებით  
მსახურებად შენდა და ღმერთმან წარგიმართოს უმჯობესი ყოველი.

მაშინ ჰრქუა ყოველმან ერმან როსტომს: რაჲ გნებავს,  
რაჲთა ვყოთ შენთჳს. ხოლო მან მოითხოვა საფლავი ლარგუს[ს]  
და საჯდომად სახლი შუასაყდრის შვილთა და ცხრაზმას ციხისთა-  
ვისა ნაქონები მამული. და მისცეს ესე ყოველი ცხრაზმისკველთა  
შუა ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუეყანანი,  
საფლავი ლარგუს[ს] და საჯდომი ქუენი ფნევეს და უწოდნეს  
ქუენი ფნეველნი, რამეთუ სხუად სახელი არა ინებეს.

მაშინ იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდები-  
სა. და უკუეთუ სადა იყვის ლაშქრობაჲ იგი, იყუნიან წინამძღვარ  
მბრძოლთა და არვინ იპოებოდა მარტოდ მბრძოლი როსტომისი,  
და შეიყუარნა ყოველმან ერმან ცხრაზმისკვეისმან.

და შემდგომად 'ცირედისა ჟამისა იქმნა დიდებულთა და აზნაურთაგან თხოვად ერისთავობისა ბირებითა ერისაჲთა, რამეთუ იტყოდეს: ვისიცა იყოს საფლავი, მას შეჰგავს ეკლესიაჲ და ყოველი მიმდგომი მისი.

მაშინ მეფემან ისტჯნიანე ბრძანა მოწოდებაჲ ყოველთა ცხრაზმისტვეელთაჲ წინაშე მათსა. და იხილნა მეფემან, რამეთუ ყოველთა მახლობელთა დიდებულთა და აზნაურთა შეექმნა საფლავი, ნუთუმცა მიუბოძნა ქუეყანანი შეწირულნი ეკლესიისათჳს.

მაშინ ბრძანა მეფემან: ვისისაცა საფლავსა შეჰგავს უბატოვოსნებაჲ, მისი არს ეკლესიაჲ და განსაგებელი ყოველი სამართლად. უკუეთუ ენებოს ერთა.

მაშინ იკადრა წინაშე მეფისა კლიტემპყრობელმან ეკლესიისამან, ვითარმედ მარჯუენი კერძო საკურთხეველისა წინაშე წმიდისა ტრაპეზისა არს საფლავი როსტომ ქუენი ფნეველისაჲ, მიცენული ყოველთა ცხრაზმისტვეელთაგან, და უკუეთუ ინებოს მეფობამან თქუენძან, მას შეჰგავს ყოველი [4] განსაგებელი ეკლესიისაჲ, მსახურებაჲ თქუენი და მთავრობაჲ შჯდთა მათ ჳევთაჲ.

მაშინ იკითხა მეფემან: ვითარ ჳნებავს ერთა? და ცნა, ვითარმედ ჳნებავს იგი ყოველთა ჳევთა შუა მკვდრობისათჳს. მაშინ მოუწოდა როსტომს წინაშე მისსა. და ვითარცა იხილა, ბრძანა, ვითარმედ კაცი ესე ღირს არს ყოველისა ბატოვსა.

მაშინ მიუბოძნა შჯდნი ესე ჳვენი, განსაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკვდრნი მას შინა და უწოდა ერისთავ ცხრაზმისტვეისა. და შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა, და შეაცუა ბეჳედი და საყური და სარტყელი თჳსი, საქურველი და ცხენი თორნოსანი, დროჲაჲ და შუბი.

ესე ყოველი მიუბოძა მეფემან ისტჯნიანე როსტომს და წამოგზავნა სიხარულით. მაშინ როსტომ აღაშენა ქალაქი ლარგუსს და განასრულა და შეამკო ყოველითურთ ეკლესია.

და მოკუდა როსტომ. დაჯდა ერისთავად ჳე მისი ლარგუელი. და შემდგომად ისტჯნიანესსა დაჯდა მეფედ დავით ბაგრატიონიანი; ამან ფრიად განადიდა ქუენიფნეველი ლარგუელი და სახელ-სდვა ერისთავთ-ერისთავად და მისცა მთავრობაჲ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთაჲ, რომელნი მკვდრ არიან შუა არაგუსა და ლიახუსა და ჳემოჲთ შარჳასა მინდორისასა. ამათ ყოველთა უბრძანა, რაჲთა შემდგომად მეფისა, იყუნენ მორჩილ და თანამოლაშჳკრე ერისთავთ-ერისთავისა ლარგუელისა.

და მოკუდა ლარგუელი და დაჯდა ძე მათი დიმიტრი.  
და გარდაიცვალნეს მეფენი კევნი და ერისთავნი კდ-ნი და წე-  
ლიწადნი არაპციოდნი.

მაშინ დაჯდა მეფედ ადარნასე და მოკუდა ერისთავი  
ვირშელი, დაშთა ძე მისი შალვა სამისა წლისაჲ და აღზარდა  
იგი მეფემან პატივითა მამათა მათთაჲთა. და მოკუდა მეფე, დაშთა  
ძე მისი ვახტანგ ექუსისა წლისაჲ. მაშინ მამის ძემან მისმან  
დავით დაიპყრა მეფობაჲ და არარაჲ მისცა ძმისწულსა თჳსსა  
ვახტანგს.

მაშინ შალვა, გაზრდილი მამისა მისისაჲ არა განეშორა, არა-  
მედ ზრდიდა ყრმასა მას. მაშინ დავით მრავლითა [ა] სიტკბოებითა  
და მრავლისა დიდებისა მინიჭებითა ევედრებოდა შალვას; ხოლო  
მან არა ისმინა, არამედ განამაგრნა ციხენი და შეჰვედრნა ერთ-  
გულთა მონათა და თუთ წარჰყვა ძესა მას მეფის[ა]სა ურდოს.

მაშინ მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი თჳსი  
და თათარნი შირვანელნი და ყოველნი მყოფნი კახეთს და მუხრანს,  
და მოადგა ცხრასავე კეესა შალვაჲს საერისთავოსა და ჩამოას-  
ხნა დვალნი და ჯადელ-ცხავატელნი და ყოველნი მთიულნი ქუე-  
მონი. და დაწუეს და მოაოჯრეს ყოველი ცხრაზმის კევი გარეშე  
ციხეთა; და ციხეთა ჰბრძოდეს ქუენიფნევეს, ქარჩოხს, ქოლოთს და  
ისროლს, არამედ ვერ აიხუნეს და შჯდ წელ განგრძელდა ჰომი  
მათი. ხოლო ციხიანთა ესეოდენ შესჭირდა და იწყეს ჰამად ლუე-  
ლისა; და ესევეითართა ზედა მოვიდა ვახტანგ და შალვა სპარსთა  
ლაშქრითა ურიცხვთა სპითა.

მაშინ დავით დგა ბაზალეთს. და ვითარცა ცნა მოსლვაჲ  
მათი, მიჰმართა ციხესა დარ[ი]ალისასა და მიუდგა უკანა სპაჲ  
ყოველი და შეიარეს არაგვ და განრდავლეს ჯუართა ყელი და  
ჩავიდეს დარიალს და მოადგეს დავითს ციხესა გუელეთისასა.

ხოლო შალვა დადგა ჯადას და ესოდენ ძლიერად ჰბრძოდა,  
რომელ ერთსა დღესა აიღო ცხრაჲ ციხე და დაარღვა და მას  
ერთსა კჳრიასა დაარღვა ციხე ოცდახუთი, თხუთმეტი იქით  
არაგვსა.

მაშინ მისცა ვახტანგ დავითს ჯავახეთი და ალასტანი  
და გამოიყვანა გუელეთით. ხოლო შალვა მიჰმართა კევთა დვალე-  
თისათა და მოაოჯრნა ყოველნი. და მოუტდეს შავდვალნი ღამესა  
ბნელსა, დაუხუდეს მომლოდენი, რამეთუ ესმა შალვას მოსლვაჲ  
მათი.

მაშინ მიაწყუდივნეს იგინი მთხრებლსა კლდისასა და ერთიცა  
მათგანი ვერლარა წავიდა, და მოსრეს სიმრავლე არაპციოდნი

დვალთა. მაშინ მოწუნეს და მოაოჯრნეს ყოველნი ჭევნი დვალეთი-  
სანი და შემუსრნეს და დაარღვენეს ყოველნი ციხენი თრუსუით  
[6] აჩაბეთამდის.

მაშინ წარვიდა ყოველი სპაჲ სპარსთაჲ. მაშინ მეფემან მიუბოძა  
შალვას თრუსუი, ლუდაჲ, გაგასძენი, მღეთე, არაჭუეთი, ჭანდოჲ,  
ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორნანი, დილუამი, გავაზი, ...  
აწერისტევი, ბეჭუშე, და ყოველთა დიდებულთა მისთა უმჯობეს  
ხედვიდა.

ხოლო შალვა მოიყვანა ცოლად ოვსთა მეფისა ასული, სახე-  
ლით შირდი, რომელმან განადიდა პატივი მონასტრისა ამის და  
შექმნა ყოველი სამსახური. ეკლესიისაჲ: ოქროსა და ვეცხლისაჲ  
ბარძიმი, ტაბაქნი, კანდელი და სხუაჲ ყოველი სამკაული, და მო-  
ჭედნა ხატნი და შეამკო ხატი თეთროსანი წმიდათა ნაწილებითა  
და ყოელითა სამკაულითა.

მაშინ მოკუდა დავით მეფე, და მასვე წელსა მოკუდა  
ვახტანგ მეფე. მაშინ დაიპყრა მეფობაჲ გიორგი, ძემან დავით-  
ისმან, ხოლო აბაზასძენა ვროზ წარვიდა სპარსეთად. მაშინ  
მეფემან უბრძანა შალვას მოდგომად ციხესა ლოწობნისასა. [მაშინ  
შალვა მოადგა ლოწობანს და ჰბრძოდა სასტიკად ოთხდღე და  
მეხუთესა დღესა აიღო იგი. მაშინ მოიყვანნა ორნი ხატნი ფრიად  
შუენიერნი.

ხოლო მეფე გიორგი განილაშქრა მალაროს, და დიდად  
ევნო მათგან ვიწროთა მათ ჭევთა სიმრავლითა საგორვისაჲთა და  
დიდად მწუხარე მოვიდა. და კულად მეორედ წარვიდა დღეთა  
ყველიერისათა; და იყო სიცივე დიდი, და შიშისაგან საგორავისა  
წარმოვიდეს გზასა მთისასა, რომელი იყო განყინებულ. მაშინ უმე-  
ტეს ევნო, რამეთუ ინქრეოდა ცხენები და კაცნი იგი მსგავსად  
მგეტთა, შესუარულნი სისხლითა მოსდევდეს მათ.

ხოლო შალვა ორსა ამას ლაშქრობასა არა იყო მუნ, არა-  
ბედ ძენი ხოლო მისნი იყუნეს, რამეთუ ესხნეს ძენი ცამეტნი ქველ-  
ნი და გონიერნი.

მაშინ შალვა წარვიდა ლაშქრითა თვისითა, მივიდა, დასხა  
უმჯობესი ლაშქარი მზირად ღამე და განთიად [მი?]ვიდა მცირე-  
დითა ლაშქრითა და მოწუა და მოაოჯრა ქუეყანაჲ მათი და არარაჲ  
აიღო ლაშქარმან ალაფი თუნიერაბაჯრისა, და წარმოვიდეს.

მაშინ მიუდგეს უკანა ლაშქარნი იგი მის ქუეყანისანი და  
წარჰდეს მზირთა და აღდგა ყოველი ლაშქარი დამ[ა]ლული, და  
მოუბრუნდა შალვა და შეიწყუდივნეს ადგილსა იწროსა, და მოკ-

ღეს შიე კაცი და მრავალი შეიპყრეს. მაშინ კუალად შთავიდეს და დადგეს და მოაოჯრეს და დაწუეს ყოველი ქუეყანაჲ მათი და წარმოვიდეს განმარჯუებულნი ალაფითა დიდითა.

მოკუდა შალვა და დაჯდა ძე მისი ლარგუელი ერისთავად. ამან აღ[ა]შენა უკანციხე თავსა ისროლის ჳევისასა, და ტფილურიტა წესითა დარბაზოვანი ქუენიფნევს. ამან შექმნა დიდი ესე ხატი მაცხოვრისა საზომითა ტანისა თვისისაჲთა და მოქედა იგი. ამანვე შეამკო დიდი ესე ხატი თედორესი და შექმნა ორი კანდელი და დაუქიდა წინა.

ამას ჟამსა აღიღდა ქსანი და წარილო ერთ კერძი ზღუდე აღმოსავლიტ კერძო და სამრეკლონი დიდნი და შეუნიერნი.

მოკუდა ლარგუელი. დ[ა] დაშთეს სამნი ძენი მისნი, და დაჯდა ერისთავად უხუცესი ძე ვირშელი, სრული ყოვლიტა კეთილიტა.

ამას ჟამსა მოვიდა ამბავი კლიტენი იერუსალშმისანი სპარსტა დაიპყრნესო და დიდად შეწუხნა. მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ, გზასა ჳმელტასა მრავლიტა ძღუენიტა წინაშე ნისრელისა და წარჳყვა თანა ბანდასძე დეკ[ა]ნოზი იოვანე და მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა.

ხოლო მან სიხარულიტ შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალშმისანი. მივიდა პიპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად.

და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრაზმისჳევისასა, რომელ მოძღუართ-მოძღურობაჲ ნუვის ჳელ-ეწიფების თვნიერ ამისსა, და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის მოძღუარი... [მოძღუართ-მოძღუარი].

[8] ხოლო პიპამან მოილოცნა წმიდანი ადგილნი, და შეკრიბნა ნაწილნი წმიდათანი და ხატნი შუენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა ჳმელიტ და მოვიდა წინაშე მეფისა და მოილო იერლაცი შეწყალებისაჲ და აღსრულებაჲ ყოვლისა სათხოვლისა მისისაჲ. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველტა.

მაშინ მოადგა ოვსტა, გორს მყოფტა, და ჳბრძოდა სამ წელ. ხოლო ვირშელი და ლაშქარი მისი უმჯობეს ჳბრძოდა სპისა ყოვლისაგან, და აქებდეს ქებითა დიდითა, რომელი ესე შეიშურვის მთიულტა არავჯსატა და თქუეს: უკუეთუ ჳომსა ამას გარე-

განსა უმჯობესს არიან, არამედ მივიდეთ მთასა ლომისისასა და მუნ შემებნენ ჩუენ და იხილოთ, რომელნი უმჯობესს ვართ.

მაშინ შექმნეს პაემანი და დაიმუქარნეს, და შემდგომად გორისა აღებისა აუწყეს ურთიერთსა და შევიდეს ვირშელი და ყოველი ლაშქარი მისი მთასა ლომისისასა, ხოლო არაგ[ჯ]სა მთიულ[ლ]ნი დადგეს ლოქსთავს და აწუევედეს ლომისას, ხოლო იგი ტყესა [მცირ]ესა ლოქსთავისასა და ქარაფსა კლდეთასა არა განეშორნეს.

მაშინ [მო]ვიდა დავით, ძე გიორგისი და [არა] ჩაუშუნა ჰომად, არამედ განყა[რნა ყოველნი] თავის-თავ და წამ[ო]ვ[ი]დეს ყოველნი აზნაურნი ქართველნი, და წარვიდეს ყოველნი თჳნიერსამთა მათ ჳევთა.

მაშინ წარმოვიდა ვირშელი და შთამოვიდა ვაკედ. ხოლო ლაშქარი წყაროთა მუხათა და წისქულთა თანა გუერდსა მას შთამოვიდოდა. და ვითარცა ესმა ესე მთიულთა [არ]აგჳსათა, წარმოვიდეს უკანა მათსა და გამოვიდეს ლომისას.

ხოლო დავით, ძე მეფისაჲ მუტლთა დაუყრიდა და ლომისას მყოფნი ხატთა დაუსუენებდეს და ევედრებოდეს, რაჲთა არა სდევდენ. ხოლო მათ არა იმინეს, არამედ მრავლითა გინებითა მოსზახდეს და საგორავისა სიმრავლესა ჩამოჰყრიდეს.

მაშინ ვირშელმან შეკრიბნა მცირედნი იგი ლაშქარნი სამისა ამის ჳევისანი და ჰრქუა მათ: აჲ არღარა იქნებვის ჰომი, რამეთუ გაიყარა ლაშქარი ჩუენი, არამედ კულა შეეკრიბოთ ლაშქარი ჩუენი და მაშინ ვებრძოლნეთ მათ.

არა ინებეს ესე მცირედთა მათ ლაშქართა, არამედ თქუეს: მამანი ჩუენი [9] მცირედნი მცლავრობდიან მამათა მათთა დიდთა და მრავალთა და უკუეთუ არა ვართ შვილნი მამათა ჩუენთანი, რაჲსათჳს გუაჰუს მამული მათი?

მაშინ განიშიშულეს ფერტები მათი და წარიძლუნეს დროშაჲ და აღემართნეს ორსა მას ქედსა მთასა ლომისისასა და ჩამოეგებნეს ერთსა მას ქედსა ცხავატელ-გარეთნი და ყოველნი მიმდგომი მათი, და ერთსა მას კადელ-მოჳევენი და მიმდგომნი მათნი.

მაშინ ჩამოყარეს საგორავი ურიცხჳ და აღვიდეს კულალცა, რამეთუ დაბურვილ იყუნეს ფართთა, ვითარცა სიპითა და დაახუნეს ქვაჲ და შუბი, მსგავსი წჳმისაჲ. მაშინ შეიქმნა სიმრავლე ისრისაჲ, ვითარცა სეტყუაჲ ჳშირი და ფუცვიდე[ს] ღმერთსა, რომელ ქუემოჲთ ნასროლმან ისარმან ფარი და ჯაჳჳანი კაცი გაიაროს და შიწასა ნახევრად დაენჳს.

ამოიწვადეს გრმლები და შეუტდეს და აიხუნეს და აღ[ე]მართნეს აღმა მთასა და გორვიდეს ჩამოღმა და იგი იყო უმჯობესი

მათ შორის, რომელმან დაყარის აბჯარი და ტანისამოსი და შიშუელი მირბოდის.

მაშინ ვირშელმან ერისთავმან იხილნა რაჲ ესრეთ ულო[ნო]ქმნილნი მებრძოლნი მისნი, უბრძანა არა ჯოცად მათდა, არამედ პყრობად და დევნად. და მიუდგეს უკანა და გაჰყვეს იქით არაგუსა. და მოვიდა ერისთავი ლომისას და გაუშუნა ყოველნი, რომელნი ჰელთა დაჰრჩომოდეს და შეწირა ლომისას არამცირედი. და ისტუმრა შინა დავით, ძე მეფისაჲ. და შემოწირა ეკლესიასა ამას სჯნაქსარი ესე კეთილი. და ერისთავობასა შინა მისსა იზრდებოდა ქუენიფნევეს შიე სახლი უძლურთა და დავრდომილთაჲ და სამარადისოდ ყოველი [10] პატრონისა ტაბლისაგან მიეცემოდა დღითი დღე.

და მოკუდა ერისთავი ვირშელი და მეუღლე მისი გუანცაჲ სამსა დღესა შინა, და დარჩეს სამნი ძენი მისნი ქუენიფნეველი, იოვანე და გიორგი, რამეთუ მცირე იყუნეს. მაშინ წინამძღვარ ექმნა ცხრაზმისწვევლთა წითლოსანი ბიძაჲ მისი ცხრა წელ.

მაშინ აღიზარდა ქუენიფნეველი და დაჯდა ერისთავად, იყო კაცი კეთილი, მშვიდი და გონიერი, განზრახი ქებული და მოშიში ღმრთისაჲ და მოყუარე მღვდელთაჲ და ფრიად წარჩინებულ წინაშე მეფეთა. ამან აღაშენა ქუენიფნევეს ეკლესიაჲ და დარბაზოვანი დიდ-დიდი და შეუენიერი. ამან იწყოა შენებად ზღუდეთა ამის მონასტრისათა და აღაშენა სამრეკლოთა და ყოვლითა სამკაულითა შეამკო ეკლესიაჲ; და შეკრიბნა მღვდელნი და მონაზონნი და პატივის-ცა უმეტეს ყოველთა ერისთავთა პირველთა და შემდგომთა; და აღაშენა საზეთე და განაჩინა იზ აღაპი და შემოიწირა ცხრაჲ ვენაჭი და გლეხნი მსახურად ეკლესიისა.

ამათ ჟამთა იყო შალვა ერისთავისა ნათესავი სამოცდათორმეტი შუბოსანი და ყოველნი მორჩილებასა ქუეშე ქუენიფნეველისა.

მაშინ ჩამოვიდეს ცხავატელნი ჟამურს. და მისცა ღმერთმან გამარჯუებაჲ გიორგის, ძმასა ერისთავისასა და გააქცივნეს აღმა მთისა სიმაღლესა. და ვითარცა აღვიდეს მთად, დაუდგეს წინა მასასახლისნი და აღარ სდევნეს, რამეთუ თქუეს: კმა არს ბრალი ესე, რამეთუ მომკუდარ იყო გარეშე წუჭრილისა ერისა იმ თავადი ჯევისბერი ცხავატელი.

და მეორესა წელსა მოუტდეს ყოველნი დვალნი. მაშინ ბრძოლა-უყვეს ჟამურელთა და იყუნეს ბეგრის მკრეფელნი ცხრაზმელნი

და მივიდეს იგიცა[11] და ვითარცა ესმა დვალთა მისლვაჲ ცხრაზმელთაჲ ზარი დაეცა და გაიქცეს და შეიხუეწნეს ციხეთა ქნოლოჲსათა. მაშინ სთხოვდეს ჟამურელნი, ხოლო მათ არლარა მისცნეს და წარმოვიდეს და შთათირივეს ყოველი იგი მკუდარი დვალი და მოვიდეს წინაშე ერისთავისადა და შეასმინნეს ქნოლოელნი.

მაშინ განრისხნა ქუენი ფნეველი და განილაშქრა ქნოლოს და დაარღვნა ციხენი მათნი და მოწუა ქუეყანაჲ მათი.

ამისსა შემდგომად დვალთა წაასხხეს ხუასდაგი ჟამურით. ესმა ერისთავსა და წარვიდა, მივიდა სოსხოს და ნახევარი ლაშქარი დასხა მალულად და ნახევართა მოადგა სამსა მას სოფელსა და ციხესა ზემოსა.

მაშინ შეიქნა ჳმაჲ და წარმოვიდეს ყოველნი მამანი ქუემოთა მათ მახლობელთა სოფელთანი და შემოვიდეს ზემოჲ მალულთა ლაშქართა და გამოუტდეს ზურგით და მიეტევენეს ზემონი და შეიწყუდივნეს შუა, და ერთიცა მათგანი არა განერა; და დაარღვნა ციხენი მათნი და მოწუა ქუეყანაჲ მათი, და აღივსნეს ყოველნი ლაშქარნი ალაფითა და წარმოვიდა დიდად განმარჯვებული, რომელ ერთიცა ლაშქართა მისთაგანი არა მოიწყლა.

ხოლო გიორგი, ძმაჲ ერისთავისაჲ, უმცროსი ლაშქრობდ[ი]ს იქით არაგვსა და ტყუენვიდის, რამეთუ იყო კაცი გონიერი და შემმართვეული.

ხოლო სამული იგი ძმაჲ იოვანე მარადის იყვის წინაშე მეფისა, რამეთუ იყო მტნე გოლ[ი]ათი, ბრძოლათა შინა უძლეველი, განმზრახი ქებული, უშიში ვითარცა უჯორკოჲ, რომლისათუსცა პატივ-სცემდეს მეფენი და საკუთრებაჲ და თანამზრახველობაჲ მისი, ვითარცა დიდი შესაძენელი შეერაცხა, რამეთუ მრავალგზის გამოიციადა იგი ჟამსა ბრძოლისასა, რამეთუ იყო ფრიად განთქმულ და სახელოვან და უმჯობეს ყოველთა მბრძოლთა.

ამათ ჟამთა მოვიდეს თურქნი წინაძლომითა ბაეღარის ძისა ხოსიაჲსითა და მოკლეს მეფე გიორგი და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართველნი. და მუნ[ვე] მოკუდა ერისთავი ქუენი ფნეველი [ქორონიკონი აჲ].

[12] ხოლო იოვანე სიმტნითა და სიქველითა თუსითა განერა მათგან, სასტიკად ბრძოლილი, მოვიდა და დაჯდა ერისთავად და ახოვანებასა სიმტნესა მისსა ზედა შესძინა სამართალი, რამეთუ იყო იგი მამა ობოლთა, შემწე უღონოთა, ჳელის ამპყრობელ დაღონებულთა და ფრიად საზარელ მტერთა და მრისხანე ბოროტის მოქმედთა ზედა, მოშიშ ღმრთისა, მოყუარე მღდელთა, პატივის-მცე-



მელ მონაზონთა, განძადიღებელ ეკლესიათა, შემამკობელ ხატთა და სათნო ღმრთისა, საყუარელ კაცთა, საქებელ მთავართა და უნაკლულო საღმრთოფთა ქველის საქმითა და ურცხვენელ საკაცობოფთა მოქმედებითა. და ნებითა ღმრთისაფთა იყო სახლი მისი სარწყო აღმომდინარედ კეთილთა და უღვენელ ვითარცა ზღუაფ.

მაშინ მოიყვანა მეუღლე ატივოსანი, კეთილი, ღმრთის-მოყუარე და სრული ყოვლითურთ. ამან შეჰმატა ღმრთისმსახურებასა და კეთილის ყოფასა დაღონებულთასა.

მაშინ ევედრებოდეს ღმერთსა ყოვლით ერთურთ მოცემად შვილისა, და შეისმინა ღმერთმან ვედრებისა მათისაფ და მიეცა მათ ყრმაჲ წული და განიხარეს სიხარულითა დიდითა ყოვლისა ერისაფთა და მრავლისა ღამის თევითა, ჟამის წირვითა გლახაკთა და მღდელთა მიცემითა შეჰვედრეს ღმერთსა.

და რა ჟამს სძესა განეყენა, სწავლად წმიდათა წერილითა მისცეს იგი და წარიყვანა მამიდამან მისმან, სრულმან ყოვლითა მეცნიერებითა, სიბრძნითა და გონიერებითა, და ზრდიდა მას შემსგავსებულად სიბრძნისა თჳსისა.

და მუცლად-ილო კუალად და შვა ქალი და მიიცვალა მანიაკი იგი ყოველთა მანდილოსანთაფ.

ხოლო შემდგომად რავდენათმე წელიწადთა მოიყვანა იოვანე ცოლად ასული ღმრთიფ-გვრგვონისისა და ვით მეფეთ-მეფისა გიორგის ძისა[ა], რომელსა ეწოდა გულშარ, რომლისა ქებასა, თუ შეკრბენ ყოველნი ბრძენნი სოფლისანნი, ვერ მისწუთებიან და არცა ენისაგან მიიხუდომვის. და არა ესეუა მას ძე, არამედ ორნი ასულნი უნათლესნი მნათობთა ცისათა[ნი].

[13] ამას ჟამსა იყო შფოთი და პოე[ს] ჟამი დვალთა დაქწაასხეს ღუღით ზროხაფ. ესმა ერისთავსა და განილაშქრა მათ და ზედა მივიდა ერემას, წუხლეთს და წუხენს და დაარღვენა ციხენი მათნი და დაწუა და აღაოტრა ქუეყანაფ მათი და წარმოვიდა განმარჯვებული.

მაშინ მთიულნი არავგსანი ყოველნი დაესხნეს გრემისკევს, ხოლო გრემისკველნი შეკრბეს. შეიბნე[ს] და სუემან პატრონისა მათისამან მისცა ძღვეაფ გრემისკველთა და გააქციენეს და დვენაუყვეს და კაცი არცა ერთი მოკლეს, არამედ ძარცვიდე[ს], და შიშუელი განუტევი[ან]; და მოიყვანეს თავადი ორმოცი კაცი წინაშე ერისთავისა. ხოლო მან დამოსნა და განუტევენა ყოველნი. გარნა ბოროტად მეტყუელსა ვისმე ანდრიას მოჰქუეთა ზელი მარჯუნაფ და ფერტი მარცხენაფ.

ამას ჟამსა იქმნა წყმე მძაფრი და აღიდნა ქსანი და მოჰმარ-  
თა მონასტერსა ამას და წარიხუნა ზღუდენი და სამრეკლონი და  
გამოთხარა ძირი ეკლესიისაჲ. მაშინ ერისთავმანი იოვანე მასვე  
კვრიასა შინა იწყო შენებად ზემოჲსა ამის ეკლესიისა, რომელი სამ  
წელ ალაშენა და მოაქმნა ბჭე და სამრეკლო და იწყო ზღუდეს  
ხატვად ეკლესიისა.

ამას ჟამსა ქუემო დვალთა წა[ს]ხეს ზროხაჲ აწ ერისტვეით  
ესმა ერისთავსა იოვანეს და განილაშქრა. ხოლო ყრმაჲ იგი ვირ-  
შელი წუთლა ჩჩულ იყო, არამედ წინამძღვარ ექმნა ლაშქართა  
თვსთა და გარდავლეს მთაჲ თუესა ოკლონბერსა, საესე თოვლითა  
და ჩავიდეს თლისისტვეს და მოაოვრეს თლე ბიბილურთაჲ  
და წერლუშ და აღ[ი]ვსნეს ლაშქარნი ყოვლითა ალაფითა და  
ნატყუენვითა და წარმოვიდეს განმარჯვებულნი.

მაშინ მოშლილიყო დიდი იგი საყდარი იკორთას, მთავარ-  
ანგელოზისა მიქელისი და იწყეს შენებად და კუალად ყანჩაეთს  
მეორედ აღმაშენებელ იქმნეს ტაძარსა დედისა ღმრთისასა.

ხოლო საქმე ერისთავისა იოვანესი ვითარ გაუწყო: მეფენი  
შემოხუეწილ სახლსა შინა მისსა მათგან ითხოვიდიან მეფობასა და  
მისცის, რომლისაცა ენების. და მოკუდა კეთილითა სიბერიითა და  
დაეუფლა მის მიერ აღშენებულსა მონასტერსა.

[14]და-დაჯდა ძემისი ვირშელი. იყო კაცი შუენიერი და სრუ-  
ლი ყოვლითა კეთილითა, ბრძენი, გონიერი, მშკდი, უშურველი, სა-  
მართლის მოქმედი, მოწყალე, საწადელ და საყუარელ მოყუარეთა  
და ერთგულთა და საზარელ და საშინელ ურჩთა და წინააღმდეგო-  
მთა. ხოლო იყო ქაბუჯი ასაკითა და უბრძენს მოხუცებულთა სათ-  
ნოებითა. ბრძოლათა შინა უძლეველი და გამომრჩევი ქებული. რა-  
მეთუ კარსა მისსა იყო გალობაჲ და ლოცვაჲ დაუცადებელი. და  
პირველსავე წელსა ერისთავობისა მისისასა ალაშენა ქვიტკირითა  
ეკლესიაჲ წმიდისა ნიკოლოზისი.

მაშინ შეკრიბა ყოველი ლაშქარი მისი და ჰრქუა თავადთა და  
ლაშქართა ყოველთა:

«ვინაჲთგან მამამან ჩემმან დვალთა ესეოდენი მოაწია, რო-  
მელთამე წვითა, კლვითა, დაფორიაქებითა, დაქცევითა ციხე-  
თაჲთა, ტყუეობითა, შიშითა და პატიჯებითა და კუალად სხუ-  
ათა სიყუარულითა, გამოსუენებითა, მიცემითა და შემოსითა ფე-  
რად-ფერადთა სამოსელთაჲთა და ყოველი დაივიწყიან და სამარა-  
დისოდ ჟამისა პოვნასა მოელოდიან. აწ ჩუენ მოვიცალოთ მათთვს,  
ანუ აუაოვროთ ქუეყანაჲ მათი და ანუ შევქმნეთ მსახურ და მო-  
ბეგრედ ჩუენდა. ნუ თუ მათ პოონ ჟამი ჩუენ ზედა, ოდეს ჩუენ

უცალო ვიყუნეთ სხვსა შფოთისაგან, მათ შური იგონ და დატყუ-  
ენონ ნაპირი, მათ კერძო სოფელი ჩუენი.

მაშინ მიემოწმნეს ყოველნი ლაშქარნი, წარემართნეს და შე-  
დგეს მთასა ბეხუშისასა. და ესმა ქუემო დვალთა კოშკელ იოსე-  
ბურთა, თლეველ-მულისველელთა, ზღუბერელ-როკაელთა. შეძრწუნ-  
დეს და მ[ო]უსხეს მიველები, ძლუენი და ბეგარი და ფიცით აღუთ-  
ქუეს ერთგულად მსახურებაჲ.

მაშინ შეიწყალა ქვეყანაჲ მათი და არაჲ ბოროტი უყო მათ.  
მობრუნდა და შედგა მთასა სოსხოხსასა; და ესმა მალრან-დვალთა  
და მოვიდეს ბრუტას შვილნი და კელეურ-კაბუშურნი და ყოველნი  
სოსხოელ-წუბენისკვეელნი, ხოჯაელ-წაელნი მძველთა, ბეგართა და  
ძლუენისა სიმრავლითა. [15] და მოიმტკიცნა ფიცითა და აღუთქუეს  
ერთგულებით მონებაჲ.

მაშინ ჩავიდა თ რ უ ს უ ს და მოგებნეს თრუსუელნი მრავლითა  
ძლუენითა და ერთგულობისა ჩუენებითა და ევედრნეს შუელად  
მტერთა მათთა ზედა მნას.

ხოლო ერთისთავმან უბრძანა მნაველთა მოსლვად წინაშე მის-  
სა, არამედ მათ არა ინებეს, რამეთუ თქუეს: არა მეშინის შენგან  
და ვერც რას შემძლებელ ხარ ვნებად ჩუენდა.

მაშინ განრისხნა ვირშელი და შეუზახა ლაშქარი თვისი,  
დასცეს საყვრსა და მიეტევნეს ვითარცა მვენი და მოადგეს შუა  
სამხრის ციხეთა მნისათა. და იყო ბრძოლაჲ სასტიკი, რამეთუ  
კაცნი იგი იყუნეს მარჯუედ მბრძოლნი, მკნენი და გოლიათნი და  
აბჯარსრულნი. და იყო სიმრავლე ისრისაჲ, ვითარცა წვმაჲ ჯშირი,  
და სიმრავლე ქვისაჲ, ვითარცა სეტყუაჲ და საგორავი აურაცხელი.  
მაშინ მოიკლნეს სიმრავლითა ისართაჲთა თავნი და გოლიათნი  
ქუეყანისა მათისანი: სუნლუ, ფარეჯან, ამსაჯან, ბალა-  
თარ და სხუანი მრავალნი.

და მას ყოველსა ზახილსა და კმობასა შინა იცნობებოდა კმაჲ  
ირშელისა ვითარცა კმაჲ ლომისაჲ.

მაშინ შესტეხეს კარები და შეიპყრეს ყოველი მბრძოლი და  
მოიყვანეს წინაშე ერისთავისა და დაწუ[ნ]ეს და დაარღვე[ნ]ეს ცი-  
ხენი და სოფელნი იმათნი.

ესმა მოკვეთა და მოვიდეს ბრძოლად. და ვითარცა იხილეს  
სიმრავლე ლაშქრისაჲ, შიშით დაიმაღნეს. უკ[უ]მოდგა ერისთავი  
კობს და მოიღეს მოკვეთა სიმრავლე ძლუენისაჲ, და შემდგომად  
განთენებისა წარმოვიდა.

ესმა ჯადელ-ცხავატელთა და შ[ე]იქმნა ჯმაჲ საყვრისაჲ და შვოთი და ენება ბრძოლის ყოფაჲ, და შეკრბეს და ვითარცა იხილეს სიმრავლე ლაშქრისაჲ, სიმრავლითა ძლუნისაჲთა მოეგებნეს, რამეთუ შეეშინა ფრიად.

ხოლო ვირშელმან დაიდვა ნადიმი ვაკესა ჯადისასა და ძლუენი ყოველი მიითულა. აღდგა, ლომისას გამოვიდა და გაუშვა ლაშქარი ყოველი, წმიდა გიორგის შეწირა არამცირედი, ტყუენი ყოველნი მოწამესა აპატივნა და განათავისუფლნა და განმარჯვებული მოვიდა.

[16]მაშინ გიორგი მეფე განილაშქრა ალინჯას ყოვლითა სპითა ქართველითა, იმერლითა, მესხითა და შირვანელითა. მივიდა ალინჯას და გამოიყვანა ძე სულტნისაჲ, შეყენებული ციხესა ალინჯისასა და დაჯოცა ლაშქარი თემურ ყანისაჲ და მოვიდა განმარჯვებული.

მაშინ ერისთავმან ვირშელმან მოიყვანა მეუღლე პატივოსანი ნათესავთაგან დიდ-ტომთა და სამეფუთათა, რომელსა ერქუა თამარ, რომლისა სიტურფე, სიკეთე-უკლებობაჲ უნახავთაგან სანატრელ იყო, და ნანახთაგან სატრფიალო, სანატრელ იქნებოდა.

მაშინ მოვიდა თემურ სამანგელი ყოვლითა სპითა ჩანელ-ქაშანელ-სიყალბელი-ნაპრომელ-ინდუსტანელითა და ყოვლითა სპარსეთისა და აღმოსავლისა ლაშქრითა, დიდითა რისხვითა და გულის წყრომითა.

ხოლო გიორგი მეფე წარვიდა ლიხთიმერით. მაშინ ერისთავი ვირშელი უკუდგა ციხესა ბეხუშისასა დედა-წულითა და ჯოგითა, და თანაჰყვა კათალიკოზი ელიაზ ყოვლით საყდრისშვილითურთ და ხიზნითა დიდითა და ჯოგითა და ცხურითა.

მოვიდა თემურ და წარმოუძღვა წინა ბურდიას-შვილი ვირშელი და შემუსრა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და დაფარ[ნ]ა ლაშქარმან მათმან ყოველნი მინდორნი, მთანი და ტყენი, კლდენი და ჰევნი, და ვითარცა ზღუამან დაფარა ყოველი ესე ქუეყანაჲ, და მიეწია ლაშქარი მათი ქუთათის[ს], ლეკეთს და დარიალსა და მოწუეს და მოაოჯრეს ყოველი საქართველოჲ, დაყარეს მძორი მკუდრისაჲ, ვითარცა მქელი თივისაჲ.

მაშინ ვირშელმან უკუაყენა ხიზანი და დედა-წულნი ქნოლოს და თვთ დადგა ბეხუშეს გარეშე ციხესა.

და მოვიდა მარბეველი ლაშქარი და მიაგება წინა მშულდოსანნი და იწყეს სროლად და გამოასხნეს... [17]სასა და მოირთეს ძალი

და კუალად შემოვიდეს უმრავლესნი და მოვიდეს ციხეს, და ჩამო-  
ეგებნეს აზნაურიშვილები და იწყეს სროლად ისრითა და დაუქო-  
ცეს ცხენები და დაკოდეს მრავალი ისრითა და გამოასხნეს ჰო-  
მითა და კუალად გამოვიდეს და ჰკრეს ქოსსა და შეკრბეს სიმრავ-  
ლითა დიდითა და წარმოემართნეს ჰევთა, ტყვთა, კლდეთა და მო-  
ჰმართეს ციხესა ბეხუშისასა.

მაშინ დადგა ერისთავი ზემოთ ციხესა, მოვიდა ლაშქარი ვი-  
თარ დაიტევდა სივიწრე ჰევისაჲ, დაქუეითდეს და ჩამოეგებნეს  
წინა ვირშელი და მოახლენი მისნი და იწყეს სროლად, მერმე ამო-  
იწუადეს ტრმლები და ვერ მოეტეოდა ლაშქარი მრავალი და მი-  
ბრუნდეს წინანი მბრძოლნი, რამეთუ მრავალი მოკუდა მათგანი  
და წამოვიდა ყოველი სპაჲ.

მაშინ ერისთავი განმარჯვებული მოვიდა ქნოლოს ხილვად  
დელა-წულთა.

ხოლო კაცმან ქნოლოელმან, რომელსა ერქუა ხარება, აუწყა  
ყოველთა დვალთა, ვითარმედ მტერი თქუენი ყოველთაჲ სახლსა  
შინა ჩემსა არს; აწ მოვიდით და მოვკლათ ესე, რამეთუ ჰელთა  
შინა ჩუენთა არს. მაშინ შეკრბეს ყოველნი დვალნი სიხარულითა  
და წარმოვიდეს.

ხოლო უფალმან არა მისცა მონაჲ თჳსი სიკუდილად ჰელთა  
მათ, არამედ აუწყა კაცმან კეთილმან განზრახვაჲ მათი და წარ-  
მოვიდა ვირშელი ყოველითურთ.

ხოლო ხარება დიდად იხარკა არა წასლვაჲ მათი, არამედ  
ერისთავმან შეჰმოსა სამოსლითა თჳსითა და დადგომაჲ არა უს-  
მინა, წარმოვიდეს. მაშინ მოეწივა ხარება და ზოგი რაჲმე სა-  
ლარო წარულო.

ხოლო ვირშელი წარმოვიდა და მას ლამესა მოვიდა ყოველი  
ლაშქარი დვალთაჲ, ხოლო ხარება დიდად მწუხარე აბრალებდა  
გამოშუებასა მათსა.

მაშინ თემურ ვითარცა მოაოტრა ყოველი და ტყუენა],  
წარვიდა შამს, ხოლო ტყუჲ და ალაფი ყოველი გაგზავნა სამარ-  
ყანს.

და დარჩეს ერისთავსა ზემოთ თავადი ციხე ქუენიფნენეს და  
სახლები ი და ციხე ქოლოთისაჲ, ციხენი ისროლისა-  
ნი, ციხე ბეხუშისაჲ, ციხენი უქანუბნისანი, სახლი  
ნაკაფოვნისაჲ და სახლი წინუბნისაჲ], და სხუაჲ ყო-  
ველი ალაოტრეს [18]\*.

\* ხელნაწერის ეს გვერდი ვირშელის სურათს უჭირავს.

[19] მაშინ დააქცივეს ეკლესიაჲ ესე აღშენებული ერისთავისა იოვანესგან.

ხოლო ვირშელმან შეკრიბა ლაშქარი, რომელი დაჰჩომოდა, მივიდა ქნოლოს. ხოლო ხარება და მიმდგომნი მისნი შეაწყუდივნა ციხესა შინა და დაჯოცნა ყოველნივე და დააქცივნა ციხენი მათნი, დაწუა ქუეყანაჲ მათი და აღაესნა ლაშქარნი აღაფითა და განუტევეა შვილი ხარებაჲსი სამისა წლისა ყრმაჲ და მისცა დედასა მისსა და ერთი ძმაჲ ხარებაჲსი და დიდად შური იგო მათ ზედა.

მოუტდეს დვალნი ბრძოლად, არამედ ვერ შეუძლეს. ხოლო ვირშელმან უბრძანა: უკუეთუ გნებავს ხილვაჲ ჩემი, მე მოვალ ქუეყანად თქუენდა და თქუენ რაჲცა გნებავს იგი მიყავთ; და უკუეთუ უფალმან ყოს სამართალი, ესრეთვე შური ვიგო თქუენ ზედაცა. და წარმოვიდა შინა უვნებლად.

ამას ჟამსა მიეცა მათ ყრმაჲ წული და განიხარეს სიხარულითა დიდითა, რამეთუ შემდგომად ესეოდენთა ბოროტთა ესრეთ წყალობით მოხედვა-ყო ღმერთმან. და ნათელ-სცა მას წმიდამან მღვდელმთავარმან ქართლისამან და უწოდეს ქუენი ფნეველი.

ამას ჟამსა ინება წმიდამან გიორგი ქაშოეთისმან მოსლვაჲ მკვდრობად სახლსა ვირშელისასა, რომლისა სასწაულნი, რომელთა იქმოდა, აურაცხელ არიან, ვითარცა ვარსკულაენი ცისანი და ქვზაჲ ზღვსაჲ. ამას ზედა ფრიად განიხარა ერისთავმან და შეამკო ჯური და კუბოჲ მისი და მოქედა ვეცხლითა და ოქროთა და იწყო შენებად ეკლესიისა სახელსა ზედა მოწამისასა, საზღვარსა ვარნისასა, ადგილსა შუენიერსა ყოვლით კერძო.

მაშინ მოვიდა მეფე გიორგი ლიხთიმერით და ესმა დვალთავან ლალატი ერისთავისაჲ. განრისხნა და განილაშქრა მათ ზედა და შემოვიდა გზასა აჩაბეთისასა და იწყო ტყუენვაჲ და ოკრებაჲ მათი.

ხოლო ვირშელი განილაშქრა ზემოსა მჭარსა და ჩავიდა სოსხოს და აიღო მას დღესა რვაჲ ციხე და სოფელი და ყოველი მოწუა და მოაოჭრა თზნიერ კაცთა მათ, რომელთა აუწყეს ლალატი დვალთავან, მათი ყოველი უვნებლად დაიცვა. და მეორესა დღესა მივიდეს ყარას და დაწუეს ციხე და სოფელი ხუთი, და ხიზანი მათი შეეყენა დღელსა მთისასა, ადგილსა მაღალსა, ნაპრალსა კლდეთასა შეუუვალსა ყოველითურთ. შეუტდა ლაშქარი სიტყვთ დაუჟმრებელსა მას სიმაგრესა და აიღეს ყოველი [20] ალაფი მათი.

მაშინ მთიულნი არაგვსა ზედაზნით დარიალამდისნი ყოველნი [ე]რთად შეკრებით იყუნე[ს] და უძლოდა მათ ერისთავი მათი ს უ რ ა მ ე ლ ი. ესე ყოველნი ბრძოლილ იყუნეს კ ლ დ ე ს ა ხ ო ჯ ი ს ა ს ა ო რ დ ლ ე და დაჰკლებოდა ხუთი კაცი საჩინოა და მოეკლა გაჰზრდელი ერისთავისა მათისაჲ და ვერა ევნო მის სოფლისა დვალთათჳს.

მაშინ მიეგზავნა მოციქული, ვითარმედ დიდი კეთილი იქმნა მოსლვაჲ ჩუენი თქუენთჳს, რამეთუ უკუეთუმცა აქა არა ყოფილ-ვიყვენით, მოვიდოდა ვ ი რ შ ე ლ ი და ყოველი ლაშქარი მისი და ცუდ იქმნებოდა სიმაგრე თქუენი, ვითარცა-იგი ცუდ ქმნილ არს უმჯობესი სხუათაჲ სიმაგრე წინაშე მათსა, დააქცევდეს ციხეთა თქუ-ენთა, დასწვიდეს სოფელსა თქუენსა, წაგიღებდეს ყოველსა მონა-გებსა თქუენსა, დაგოცდეს მამათა ყოველთა და ცოლთა და შვილთა თქუენთა ტყუედ წარიყვანებდეს, არამედ მოსლვითა ჩუ-ენითა ესე გარე-აგკდა.

აწ დავივიწყოთ სისხლი კაცთა, რომელნი მოჰკლენით და მო-მეციოთ რაჲმე პირუტყვ, რაჲთა იხილონ ლაშქართა მათთა, რამეთუ მრცხუენის მათგან დაუქცევა (sic) ციხეები და აქუს ყოველი პირ... ვის უტკივნებია მათთჳს ა...ხოლო [ჩუენ] არარაჲ გუაქუს, გარნა კაცი ესე, რომელ მოჰკლენით, და დაკოდილი ფრიად.

მაშინ დვალთა მოსცნეს კაცი, მას ჰომსა შიგან შეპყრობილ-ნი და ზროხანი ოთხნი.

აიყარნეს ორნივე ერისთავნი და ჩაიარეს მალრან-დვალეთი. მივიდა ვ ი რ შ ე ლ ი და დადგა როკას. რამეთუ ვერ ეძლო სლვად ლაშქარსა სიმძიმისაგან ალაფისა და ქუემოთა მთიულთა მიჰმარ-თეს კარად მეფისა.

ხოლო ადგილსა მას ლაშქართა ვირშელისათა შეიპყრეს კაცი ივ და მათ ასწავლეს დაფლული მრავალი განძი, რომელი ლაშ-ქართა მეფისათა ვერა ეპოვნა.

და მეორესა დღესა მივიდა ვირშელი წინაშე მეფისა, ხოლო მეფემან განიხარა და მიუგზავნა ალაფისაგან ვ საკიდი ქურქე-ლი ვერცხლისა და ოქროჲსაჲ, 500 საკიდი ლარი, ს ზროხაჲ, ლ ცხენი, ფ ცხუარი, კივ ქუაბი დიდ-დიდი.

ხოლო მეფემან მრავალი მადლი წარმოთქუა და უბოძა ორი... პირუტყვსაჲ და ვეცხლი, ოქროჲ სხუაჲ...

38. [წყალობის სიგელი აღმასანდრესგან  
ზერდგინისძისადმი]

[1425 წ.]

ქ. ჩუენ, მეფეთა მეფისა აღექსანდრესგან, დავითიან ბაგრატიონიანისა, და თანამეცხედრისა ჩუენისა დედოფლისა თამარისგან, და ძეთა ჩუენთა კათალიკოზისა დავითისაგან, ვახტანგ, დიმიტრი და გიორგისაგან, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა შაჰან-შაჰისა და ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა და ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, აღმოსავლეთ-დასავლეთამდის თუით-ფლობით მტკიცედ მპყრობელისა.

მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი ზერდგინისძენი, გორის მოურავი და ეზოს ჩუხჩარები ავთანდილ, ზერდგინ და თაყა, გუეაჯნეს, რათამცა სიგლითა ამით შეგუეწყალნეს.

და ვისმინეთ აჯა მათი და მიუბოძეთ ქარუმის ძე ქავთარ და მისი შვილი და მომავალნი სახლისა მათისანი. მათითა მამულითა, საჯდომითა, სახლითა, ყანითა, ვენაქითა, წყლითა და ბართა, საჭმრითა და უჭმრითა, მისითა სამართლიანითა ერთობ ყუელაითა, სამკუიდროდ, სამამულოდ და უცილებლად, ყოვლისა დაბადებულისაგან.

მოგვიცემია ქარუმისძე ქავთარ და მისნი შვილნი თქუენ, ზერდგინისძეთათვის: ავთანდილისათუის ზერდგინისათუის და თაყასათუის. ვერაჲინ დაგეცილოს ქარუმისძესა ქავთარს, მისთა შვილთა და მომავალთა და რასცა დღეს მქონებელი არის, ვერას ჟამისა შემოსრულობისათუის, ვერასა ჟამსა შეიგანვერა.

და თუ ვის რა ამა ჩუენგან ბოძებულისა წიგნი და ნიშანი აქუს, ყუელა ამა სიგლითა გაგვიცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არის.

ველმოხსნით და ყოვლისა დაბადებულისაგან უსარჩლელად მოგიუხსენებიათ თქუენ, ზერდგენისძეთა: ავთანდილისათუის, ზერდგენისათუის და თაყასათუის ქარუმისძე ქავთარ და მისნი შვილნი, მათითა მამულითა და საქონებელითა ყუალათა; და არაჲინ გვიბრძანებია მშლელ და მქცეველი მტკიცედ ბოძებულისა ამის ჩუენისა, არცა მეუნებლე, მავნე და დამაკლებელი.

აწ, ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა [მეფეთა] და დედოფალთა, ერისთავთ-ერისთავთა და კარისა ჩუენისა ვაზირთა, მოსაქმეთა, მეჯინიბეთა, მერემიეთა, მეულუფეთა, პურისა და საკლავისა მკრებელთა, ტყუისა მპარავთა, მეულაყეთა, შემცდებრეთა, მესაბანჯარეთა და ყოველთავე კარით ჩუენით წარვლენილთა მსახურთა, დიდთა და მცირეთა, და-



უმტკიცეთ და ნუ ეინ უშალავთ მტკიცედ ბოძებულსა ამას ჩუენსა; და ნურცა-რას ეინ დააკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა, თუნიერ შეწეენისა და თანადგომისაგან კიდე.

დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა იგ, კელითა კარის მწიგნობრისა ჩუენისა კლიმი კაკლახასძისათა.

რაცა მისის ძმისა ჩხუტელასაგან მამული [ჰქონებია] მითა მამულითა მოგვიცემია, მკვიდრად და სამამულოდ.

[ხვეული ხელრთვა ალექსანდრე მეფისა]

მე, ვახტანგს დამიმტკიცებია.

მე, დემეტრეს დამიმტკიცებია.

### 39. [წყალოგის სიგელი ალექსანდრე მეფისა ავთანდილ ზევედგინისძისადმი]

[1429 წ.]

... ისგანა<sup>1</sup> და კასპი და იგო[ეთი]... იგი... [მოგ]ეცით ციხითა, მონასტრითა, ეკლესი[ითა], გლეხებითა, ყანითა, ვენაჯი- [თა], წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მზღვრითა, ყოვლითა საკმარითა და უჭმარითა და მისითა სამართ- ლიანითა, რაცა იგოეთისა ზღვარნი და შესავალნი არიან, [მის]- ითა ყულათა უკლებრად ... იგომნი, ნადარბაზევი იაჯნეს.

და როგორცა არ დაეწყალ... ჩუენთა დიდად ერდგულთა და თავ- დადებით ნამსახურთა ჩუენ[თა] ზედგინისძეთა: ეზოს ჩუხ- ჩარეხსა და გორის მოურავსა ავთანდილს, ჩუენთა თანა შეზრდილ-გაზრდილთა, მოლარეთ-უხუცესსა თაყას და ზე- ვდგინს, აგრე არ დაუწყალობეთ და ვაჯეთ და მივეცი [დიდისა სასა]ხლოთა, გლეხებითა, მზღვრითა, მთითა [და] ბარითა მისითა, უკლებლად ერთობ ყულათა მიუბოძეთ და მივეცი თა... და სამა- მულოდ და მოუდევრად და უცილებლად ყოვლისა [და]დებულისაგან.

გუიბოძებია და მოგუიციემია თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და თავდადებით ნამსახურთა ზევედგინისძეთა: ეზოს [ჩუხჩარეხსა] და გორის მოურავსა ავთანდილს და ჩუენთა თანა შეზრდილ- [გაზრ- დი]ლთა, მოლარეთ-უხუცესსა თაყას და ზევედგინს და შვილთა და მომავალთა ყოველთათუისევე სახლისა თქუენისათა კასპი და იგო- ეთი... ქალისა ნასისხლად, ციხითა, მონასტრითა, აზნაურითა, გლე- ხებითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყი- თა, სანადიროთა, მზღვრითა, მთითა და ბარითა, საკმარითა და უჭმრითა, მისა მიმდგამითა და შესავლითა, ერთობ ყუელათა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ისგანანა. <sup>2</sup> ყულათა.

ამას აქათი ნა[დარბაზევი], გომნი იაჯეთ და იგი მოგიმატეთ და გიბოძეთ ნადარბაზევი, სასახლითა, გლეხებითა, ყანითა, ვენაქითა, წყლითა, წისქვილითა, ქალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მზღვრითა, მთითა და ბარითა, საჯმრითა და უჯმრითა, მისითა შესავლითა, ერთობ უკლებლად ყუელათა<sup>1</sup>.

ქონდეს თქუენ, ზევდგინისძეთა: ეზოს ჩუხჩარეხსა და გორის მოურავსა ავთანდილს და ჩუენთა თანა შეზრდილ-დაზრდილთა, მოლარეთ-უხუცესსა თაყასა, და ზევდგინს კასპი და იგოეთი ნასისხლად, ციხითა, მონასტრითა, აზნაურითა, გლეხებითა, ყანითა, ვენაქითა, წყლითა, წისქვილითა, ქალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მზღვრითა, მთითა, ბარითა, საჯმრითა და უჯმრითა, მისითა შესავლითა ყუელათა<sup>1</sup> ერთობ უკლებლად.

ამას აქათ ნადარბაზევი იაჯეთ და გ[იბოძეთ] ნადარბაზევი და მოგეცით სასახლოთა, გლეხებითა, ყანითა, მისითა ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ქალითა, მთითა, ბარითა, ტყითა, სანადიროთა, მზღვრითა, მისითა მიდგამითა და შესავლითა ერთობ ყუელათა<sup>1</sup>.

ვერავენ დაგეცილოს] ვერა დაბადებული კაცი, ვერასა ჟამისა შემოსრულობისა და გამოცვლისათუის ვერა, ვითა თქუენსა ნასისხლსა და ჩუენგან წყალობა-[დამართ]ებულსა მართებს, აგრე და თუ ვინ დაგეცილოს, პირნი და პასუხის გამცემნი ჩუენ ვართ.

და თუ ვის რა ამა ნასისხლისა კასპი-იგოეთ[ისა] და ანუ ჩუენგან წყალობად ბოძებულისა გომთა და ნადარბაზევისა სიგელი [ჰქონ]დეს, იგი ყუალა ამა დაწერილითა გაგვიცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არის.

ვინეთგან მოგუბერა ნიავ-სურნელმან ღმრთისა [წყალობისამან და ძალითა და შეწეენითა მის მ[ი]ერითა და ორისავე [ჩუენ]ისა სამეფოსა სკიპტრაპორფირისა და გუირგუინისა მპყრობელ ვიქმენით, ჩუენგანცა ესე სათანადო იყო და ვინებეთ ჩუენთა დიდად და თავდადებით ერთგულთა კაცთა სათნოებიანთა, განსაგებთა საკელმწიფოთა ძნიად მიმთხრობთა, რომელ ჩუენისა გაზედაებისა და მორჰმისა და [აღმა]ტებისა მიმღემად მეცდე-დამჰირნენი არიან ზევდგინისძენი: ეზოს ჩუხჩარეხი და გორის მოურავი ავთანდილ და ჩუენთა თანა შეზრდილ-გაზრდილნი მოლარეთ-უხუცესი თაყა და ზევდგინ... [გ]უეზედავენეს და მივეციით და მიუბოძეთ სასისხლოდ კასპი და [იგოეთი], სრულად მისითა მზღვრითა და შესავლითა.

<sup>1</sup> ყუალათა.

და ამას აქათ ნადარბაზევი, სრულად მისითა შესავლითა, ესრეთ სამკუიდროდ, სამამულოდ, რომე ზევდგინ[ისძ]ეთა გუარისა ქალი იყოს, არცა ოდეს მას წაეღოს, ვითა ჩუენსა და ჩუენგან წყალობად ბოძებულსა მართებს, აგრე არას ჟამის მოცვალებისათუის არ მოეშალოს.

არავინ გუებრძანებია მაქცეველი მტკიცედ ბოძებულისა ამის ჩუენისა და არცა მეუენებლებელი და დაჴაკლებელი.

და ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, და ერისთავთა, კარისა ჩუენისა ვაზირთა და მოქუირავთა, გორისა და ატენის მოურავთა და ციხიანთა, მეჯინიბეთა, მერემაეთა, ბაზიართა, მეულუფეთა, პურისა და საკლავისა მკრებელთა, ტყუისა მპარავთა, მეცებართა, მებანჯრეთა და ყოველთავე კარით ჩუენით წარვლენილთა მოსამსახურეთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ უშალავთ მტკიცედ ბოძებულსა ამას ჩუენსა და ნუცა-ვინ რას დააკლებთ, ნუ დიდსა, ნუ მცირესა, თუნიიერ თანა-დადგომისა და შემატებისაგან კიდე.

დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ქორონიკონსა რიზ, ინდიკიონსა<sup>1</sup> მეფობისა ჩუენისასა... [ჴელითა ფრიად ცოდვილისა და ყოველთა უნარჩევვისა კარის მწიგნობრისა კლიმი კაკლაჩასძისათა

ხვეული ხელრთვები აღექსანდრე მეფისა და მისთა ძეთა.

ქ: დ ე მ ე ტ რ ე ს დამიმტკიცებია, ნებითა ღმრთისათა.

#### 40. [წყალობის სიგელი აღმესანდრე მეფისა ავთანდილ ჴევდგინისძისადმი]

[1430 წ.]

ქ. ჩუენ, მეფეთა მეფისა აღექსანდრესგან და თანამეცხედრისა ჩუენისა, პატრონისა დედოფალთა დედოფლისა და ძეთა ჩუენთა: ვახტანგ, დიმიტრი და ზალისგან, დავითიან ბაგრატიონიანისა, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა, შანშა და ყოვლისა აღმოსავლეთით დასავლეთამდის თუით-ფლობით მფლობელ-მპყრობელისა.

მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ძუელითა გუარით გამო და ვიდრე მოაქამომდის ერდგულნი და თავდადებით ნამსახურნი ჴევდგინისძენი: ეზოს ჩუხჩარეხი ავთანდილ და მათნი ძმის-წულნი, ჩუენთა თანაშეზრდილ-გაზრდილი და ჩუენისა მორაქუმისა და ამოდყოფისათუის დღივ და ღამე თავდადებით მექმე და მეცდე-

<sup>1</sup> ინდიკიონსა.

დამჭირნე კაცი, მა მა დ-კაცი და ჩუენისა სახლისა განზრახვათა კეთილად-მგებელი და მეცნავ-მიმთხრობი და ყოვლითურთ სათნოებიანი მოლარეთ-უხუცესი თაყა და ბიძის-წული ზევდგინ და გუეაჯნეს, რათამცა ისდენთა ვალთა და სამსახურთა სანაცვლოდ სიგლითა ამით შეგუეწყალნეს და გორის მოურაობა მიგუებოდა.

და მოჰბერა ნიავმან ღმრთისა წყალობათამან და, ვითარ მიცსაზღვრების ესრეთ დიდად სურვილით და სატრფოდ ერდგულობასა მათსა, ეგრეთ არ დავიშურევთ და მივეციით და მიუბოძეთ გორის მოურაობა. რათაცა წესითა ძუელითგან გორის მოურაეთა გორის ბაჟი ჰქონებია და ანუ გორს და გორისა გარეშემოთა შიგან უსაქმებია, მითავე წესითა ბაჟი თქუენ გქონდეს და მითავე წესითა გორს და გორისა გარეშემოთა შიგან თქუენ საქმობდით.

გუიბოძებია გორისა მოურავობა სამკუიდროდ თქუენ, ჩუენთა დიდად ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა ეზოს ჩუხჩარებსა ავთანდილისთუის, და თქუენთა ძმის-წულთა, ჩუენთა თანა შეზრდილ-გაზრდილთა მოლარეთ-უხუცესისა თაყასათუის და ზევდგინისთუის და თქუენთა შვილთა და მომავალთათუის.

და არასა ჟამისა შემოსრულობისა და გამოცვალებისათუის, არასა ჟამსა შიგან არა მოგეშალოს. გქონდეს თქუენ, ჩუენთა დიდად ერდგულთა და თავდადებით ნამსახურთა ეზოს ჩუხჩარებსა ავთანდილს და თქუენთა ძმის-წულთა მოლარეთ-უხუცესსა თაყასა და ზევდგინს და არა წაგელოს.

და თუ რამე ასეთი რამე საქმე შეგუეცოდოსთ, რომე მოურავობისა წალება გუმართებდეს, სხვითა სამამულოთა გარდაგაქდევინოთ და მოურაობა არცა მაშინ წაგილოთ.

აწ, ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, ერისთავთა-ერისთავთა და კარისა ჩუენისა ვაზირთა და მოსაქმეთა, მეჯინიბეთა, მერემავეთა, მეულუფეთა, პურისა და საქლავისა მკრებელთა, ბაზირთა, მეულაყეთა, მპარვთმეძებართა, ტყისა მცველთა, მესაბანჯრეთა და ყოველთავე ჩუენით კარითა წარვლენილთა მოსამსახურეთ, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ მტკიცედ და სამკუიდროდ ბოძებულსა ამას ჩუენსა.

და ნუცა-ვინ რას დააკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა. და ნუმცა ვისგან მოიგონების ქცევა და მოშლა ამისი, როგორცა ამა ჩუენგან შეწყალებულთა და სამკუიდროდ ჰელისა მქონებელთა ზევდგინისძეთა: ეზოს ჩუხჩარებსა ავთანდილისი და მოლარეთ-უხუცესისა თაყასი და ზევდგინისი გმართებს.

დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი ქორონიკონს რიქ, ინდიკდიონსა მეფობისა ჩუენისასა ით, ჳელითა ყოველთა უნარჩევე- სისა კარის მწიგნობრისა ჩუენისა კლიმი კაკლანჩასძისათა.

ხეულად:

მე, ალექსანდრე ვამტკიცებ

არახეულად:

ქ. მე, ვახტანგსა დამიმტკიცებია.

ქ. მე, დემეტრესა დამიმტკიცებია.

ქ. მე, გიორგისა დამიმტკიცებია.

ქ. ჩუენ, მეფეთ-მეფე პატრონი როსტომ ვამტკიცებთ სი- გელსა და ბრძანებასა ამას.

ხეულად:

როსტომ

41. [წყალოზის წიგნი აღმასანდრე მფჳისა სვეტიცხოველისადმი]

[1435 წ.]

[შეწევნითა] ღმრთისათა [ლორეს ციხე მი]ტაცებული აგარი- ანთაგან ჩუენ... და მისი შესავალნი ერთობილნი ჩუენ ვიშოენით და დავიჭირენით და როგორცა-ვის ქართველთა დარბაზის-ერთა ზემოთა და ანუ ქუემოთა... ჰქონებოდა, ანუ ნიშანი ვისმელა და- რჩომოდა, და ანუ [ჩამო]მავლობით პაპათა და მამათაგან არა თუ მაქსოვრობი მათი მომავალთაგან სმენით სმენოდა. და იაჯეს მათი მა...ჯე...ღეთ... და ვიეთთამე არა ჰქონებოდა, არცა ჰქონდა.

როგორაც ვინ გუელირსებოდა, ეგრეთ განუყავით და უბო- ძეთ და ჩუენისა სულისა მოძღუარმან და ჩეობმან კათალიკოზ- მან თეოდორე ამუჭი სოფელი და მისნი შესავალნი.

იაჯნეს... რომე ამა ლორისა ციხისა შოვნასა ში- გან და მისთა... [შეს]ავალთა შოვნასა შიგან დიდადა და უსაზო- მოდ მოიჭირვეს, პირველად ვედრებითა ღმრთისათა და კუალად ლაშქართა მიმცნებითა ესრეთ, ვითარმედ: «ამა უსჯულოთა ა[გა- რის] ნათესავთა ანდრონიკეს შვილთა ალასტანელი გიორგი მოუქ- ლავს, და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან და და- უტყუეებიან, და ტახტი მეფეთა განურყვნია, და საპატ[რი]ონი და- ცამდის მალალნი საყდარნი შეურაცხ უქმნიან, სახლ-სალოცველი ქუაბ ავაზაკთა უქმნია და უნეთა მათათუჳს საყოფად განუჩენია. აწ ბრძოლეთ ძლიერად და დაღათუ ვინმე ომსა შიგან აღსასრუ- ლი მიიღოთ, ქრისტესთუის წამებულთა გუერდის მი[ი]თუ- ალვით; და დაღათუ ვინმე დაკოდითა ანუ დაშავებითა და რათაცა ტკივილით იტანჯებით, ყოველსავე ქრისტე მისად ნებისყოფელად მი[ით]უალავს».

და შეწვევითა ღმრთისათა და ლოცვითა მათითა იქმნა და ვიშოვეთ არა თუ ამუჭი სოფელი, და მისნი შესავალნი ეთხონენს, არ დაწყალობება და მისიცა მოკსენება გუმართებდა.

აწ მოგუიკსენებია და მოგუიციემია... და კათალიკოზს თეოდორეს ამუჭი სოფელი, ეკლესიითა, სასახლითა, გლეხებითა, ყანითა...

არა ეთხოვბოდეს რა, არა ულუფა, არა გუთნის თავი, არ ყანისა სამუშაო, არ ვენაჯისა სამუშაო, არ სამეფჯინიბო, არ სახორსარლო...

დაიწერა... (ქორონიკონსა რკგ, ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა კა, ჳელითა... კლიმი კაკლახასძისათა.

ხვეულად:

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე

#### 42. [წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ურდოელისადმი]

[1438 წ.]

ქ. ჩუენ, მეფეთა მეფისა ალექსანდრესაგან, დავითიან ბაგრატიონიანისა და თანამეცხედრისა ჩუენისა პატრონისა დედოფლისა თამარისგან, და ეტთა ჩუენთა: ვახტანგ, დიმიტრი და გიორგისაგან, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა, შანშა და ყოვლისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თუით ფლობით მქონებელ-მპყრობელისა.

მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერდგულნი და რაცა ჩუენსა მეფობასა და მორჭუმასა უკეთუ მოუტდების, მისნი დღე და ღამე მეცდე-მომჭირნენი ურდოელი და მათი შვილი სუმბატ და გუეაჯნეს და მოგუაკსენეს, რათამცა მათთა ერდგულობა-ნამსახურთა სანაცვლოდ, სიგლითა ამით შეგუეწყალნეს:

და რაცა შენ, ურდოელსა სიყრბით მოაქამომდის მოგიგია, და ანუ ჩუენთა მომავალთა მეფეთაგან წყალობად ბოძებული გაქუ, და ანუ ნასყიდი და ნაქრთამევი გაქუ: ძ ა გ ნ ა კ ო რ ნ ა თ ა — ღ ა ფ ი რ ი ს ძ ი ს ე უ ლ ი და ბ ა დ დ ა უ რ ი, და ქ ა ლ ა ქ ს რ ა ს ა ც ა მ ქ ო ნ ე ბ ე ლ ი ხ ა რ, შ ე ნ ს ა მ კ უ ი დ რ ს ა ს ა ხ ლ კ ა რ ს ა და ნ ა ს ყ ი დ ს ა ვ ე ნ ა ქ ს ა და კ ა ც თ ა და მ ა მ უ ლ ს ა, რ ი ს ა ც ა დ ღ ე ს მ ქ ო ნ ე ბ ე ლ ნ ი ხ ა რ თ, რ ო გ ო რ ა ც ა დ ღ ე ს მ ო უ შ ლ ე ლ ა დ თ ქ უ ე ნ, უ რ დ ო ე ლ ს ა გ ქ ო ნ ე ბ ი ა, ა გ რ ე ვ ე თ ქ უ ე ნ ს ა შ ვ ი ლ ს ა ს უ მ ბ ა ტ ს და შ ვ ი ლ თ ა და მ ო მ [ა] ვ ა ლ თ ა თ ქ უ ე ნ თ ა ჰ ქ ო ნ დ ე ს და ვ ა ქ ო ნ ო თ და არასა ეამისა შემოსრულობისა და გამოცვალებისათვის არ მოუშალოთ.

და ვინგინდანმე თქუენისა გუარისა კაცმან და ანუ სხუისა გუ-  
არისამან იურვოს, არა ვაურვოთ და არაოდეს გაგიცეთ, ვინეთ-  
გან სიყრმით ვიდრე მოაქამომდის ესრეთ დიდნი ნამსახურნი და  
ფრთგულობანი დასხენ, შენ, ურდოელმან და მერმე სულისა საქმე-  
მოიკლე და ჩოჯანი ჩაიცუენ, და თქუენი შვილი სუმბატ შემოგუ-  
ვედრე.

ჩუენცა ესე გუმართებს თქუენისა შვილისა სუმბატისთვის და.  
თქუენთა შვილთა და მომავალთათვის კარგნი ვიყუნეთ. და ამისი-  
მტკიცე იმედი გიბოძეთ, რომე, თუ ამა უხანოვანმან სოფელმან მისი-  
ბეგარი ითხო[ო]ს, და ამიერ სოფლით მიფარულ იქმნე, შემდგო-  
მად შენსა უკანით, რასაცა დღეს ჩუენგან და ჩუენთა მომ[ა]ვალ-  
თაგან წყალობად ბოძებული მამული გაქუ, ანუ ნასყიდი და ნა-  
ქრთამევი გაქუ, იგი უკლებლად შენსა შვილსა სუმბატს და მისთა  
შვილთა ვაქონოთ და არა დაბადებული კაცი არ დავაცილოთ.

თქუენ, ურდოელმან თქუენი შვილი, თქუენითა ნასყიდითა, ჩუ-  
ენთა მომ[ა]ვალთა და ჩუენგან ბოძებულითა და ნაქრთამევითა მა-  
მულითა, რაცა ძაგნაკორნათა გაქუ, და ანუ ქალაქს გაქუ: სასახ-  
ლე, გლეხნი, მამული, ქულბაგი, და რასცა მქონებელნი ხართ, მი-  
თა ყუალათა თქუენი შვილი სუმბატ პატრონსა დედოფალსა უან-  
დერძეთ და შევედრეთ. და როგორცა მათისა შემოვედრებულსა  
და ანდერძსა მართებს, აგრე სამკუიდროდ ჰქონდეს თქუენსა შვილ-  
სა სუმბატს და მისთა შვილთა და არა მოეშალოს არ ჩუენგან და  
არ ჩუენთა მომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან.

ესე, რაცა დღეს ჩუენსა დიდად ერ[დ]გულსა ურდოელსა მა-  
თისა შვილისა სუმბატისთვის მკუიდრნი, მისნი ნასყიდნი და მე-  
ფეთაგან სამკუიდროდ ბოძებულნი და ნაქრთამევი მამულნი დაუ-  
გდია: ძაგნაკორნათა—ლაფირისძეული, და ბაღდაური, და ქალაქს  
მისგან აშენებული სასახლე, კაცნი, ქულბაგნი და ვენაჯი დაუგდია,  
მისითა მიმდგამითა ყანითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქულითა, ჭა-  
ლითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მზღვრითა, მთითა და ბა-  
რითა, საჭმრითა და უჭმრითა, ყუელათა<sup>1</sup> უკლებლად გქონდეს შენ,  
სუმბატს, შვილთა და მომავალთა ყოველთავე სახლისა შენისათა.

აწ, ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად  
ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, ერისთავთა-ერისთავ-  
თა, და კარისა ჩუენისა ვაზირთა, და მოურავთა, ქალაქისა ამი-  
რათ-ამირათა და კელოსანთა, მეჯინიბეთა, მერემეთა, ბაზირთა,

<sup>1</sup> ყუალათა.

მეულუფეთა, პურისა და საკლავისა მკრებელთა<sup>1</sup>, მეულაყეთა, მესაბანჯრეთა და ყოველთავე კარით ჩუენით წარვლენილთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუეენ უშალავთ მკუიღრად და შეუცვალებლად ბოძებულსა ამას ჩუენსა. და ნუცა ვინ რასა დააკლებთ, თუინიერ თანა-დადგომისა და შემატებისაგან კიდე.

დაიწერა სიგელი და ბრძანება, ესე ქორონიკონსა რკვ, ინ-დიკდიონსა მეფობისა ჩუენისასა კვ, ჳელითა მესტუმრისა და კარის მწიგნობრისა ჩუენისა კლიმიკაკლახასძისათა.

ხვეულად:

ალექსანდრე ვამტკიცებ.

#### 43. [მალის ამოკვეთის სიგელი ალექსანდრე მეფისა]

[1440 წ.]

... და ქორონიკონსა რა მეფედ დავჯე და საქართველო უსჯულოსა თემურისაგან [დარბეუ]ლი და უნუგეშინისცემო და გასრული დავხუდა, ესრეთ რომელ უსჯულო... საქართველოს ქორონიკონსა პქ და ვიდრე ჩუენდა მეფობისა დაჭირვადმდე, ესრეთ [რომელ] ტფილისით ციხითა მეფე ბაგრატ და ანნა დედოფალი გამოასხნეს ტყუშდ და მრავალი სული მოესრა. და თავად დედაქალაქი მცხეთა და რაოდენნი საქართველოს საყდარნი და ეკლესიანი და ციხენი იყუნეს, ყოველნივე საფუძველითგან დაექცივნეს და სრულიად საქართველო ტყუე ექმნა.

და ჩუენისა მეფობისა დაჭირვადმდე მუდამი ტყუენვა და რბევა იყო საქართველოსა. და მოოხრდა და იავარ-იქმნა და ყოვლადვე ძალი და ნუგეშინისცემა არსით ეპოებოდა. და თქუენმიერთა შეწევნითა და წინამძღრობითა ჯუარისა პატიოსნისათა ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და განვსხენ ზღვართაგან ჩუენთა. და ქრისტიანენი ფრიადს მშუიღობასა და მყუდროებასა მიეცნეს. და ვითარ ჩუენგან სათანადო იყო, ეგრეთ ვინებე და ვიგულსმოდგინე ყოველთავე საქართველოსა ციხეთა და საყდართა აღშენებად.

მას ჟამსა შემოსავალი ჩუენისა სახლისა არსით-რა იყო და ამად საქართველოს კუამლსა ზედან ორმოცი თეთრი მალად განვაჩინე და ასოცდარვად ქორონიკონადმდე, რაოდენნი საქართველოს ციხენი, საყდარნი და მონასტერნი არიან, ყოველნივე სრულიად ახლად აღვაშენენ და შევაშენენ.

<sup>1</sup> + მეულუფეთა.



და აწ, ჩუენსავე ჟამსა შიგან, ამოგვიკუეთია ესრეთ: დღი-სითგან წაღმა, რამანცა ჩუენთა მომავალთაგანმან მეფეთა და ანუ დედოფალთა და ანუ სხვისა გუარისა კაცმან, ადამის ნათესავმან, საქართველოს მალი ითხოოს, მოკრიფოს და წაულოს, ეწიენ ღმერთო ულხინებელი რისხვა თქუენი, და ჩუენთა ცოდვათა და ბრალთათუის იგი გაკითხულ ქმენ მას მეორედ მოსლგასა წინაშე თქუენსა.

და კუალად გევედრები და გვედრებ თქუენ, ძეთა ჩუენთა: ვახტანგს, დიმიტრის და გიორგის და შემდგომთა მეფეთა და დედოფალთა, რომელ ჩუენი ათქმული სრულყოთ და დღესითგან წაღმა მალისა ღება არავინ ინებოთ.

და კუალადვე ამას გევედრები, რომელ საყდარნი, ვითარ ახლად აგუიშენებიან და რაოდენნი ქვეყანანი და შესავალნი შეგუიწირვან და მოგუიქსენებიან, იგინი უნაკლულოდ ჰქონდენ.

და რაოდენნი ზეთი და ცუილი გაგვიჩენია და ჩუენისა სულისათუის მწირველი, ანუ სამამულოთა ანუ სხუითა სახარჯოთა გაგუიჩენია და ჩუენათ მწირველად დაგუიყენებიან, მათ მათი გაჩენილი ნუვისგან მოაკლდების და ჩუენ ნურაისა ჟამისა გამოცვალებისა და შემოსრულობისათუის ნუ მოგვეშლების და ყოველთავე სრულ ქმენით, რათა ღმერთმან თქუენი ვედრება და გაგებულიცა სრულ ყოს.

დაიწერა სიგელი ესე ქორონიკონსა რკმ, ინდიკდიონსა მეფობისა ჩუენისასა კმ, ჳელითა ფრიად საწყალობელისა და ყოველთა ადამის ნაშვთა უცოდვილესისა მესტუმოისა და კარის მწიგნობრისა ჩუენისა კ ლ ი მ ი კ ა კ ლ ა ჩ ა ს ძ ი ს ა თ ა .

ვინცა შემდგომად ჩუენსა, ვინცა მეფენი და პატრონნი იყუნენ, მათთუის მალი არავინ აილოს.

და თუ ულუსი მოვიდეს და თათართაგან ძალი დაემართოს, რაცა ციხეთა და საყდართა დაუქვეველობისა და თემთა ქუეყანათა ამოუწყვედლობისა<sup>1</sup> და დაუტყუებლობისათუის არ მოკრიფონ მათთუის, სხუად მოსაჯმარებლად მალი არავინ აილოს\*.

verso-ზე:

\*\*ქ. კირიელეისონ! ამა მეფეთა ბრძანებასა ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი შ ი ო კანონითა ვამტკიცებთ. ამისნი

<sup>1</sup> — და თემთა და ქუეყანათა ამოუწყვედლობისა.

\* ამას მოსდევს ზვეულად ნაწერი სამი სტრიქონი, რაც ძნელად ირჩევა.

\*\* ამის წინ ერთი სტრიქონი ზვეულად ნაწერია, ძნელად ირჩევა.

შემცულებელნი იყუნენ კრულ, წყეულ და შეჩუნებულ; და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს და წმიდამან დედა-ქალაქმან მცხეთამან.

ქ. კირიელისონ! ამა მეფეთა ბრძანებასა ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერი ამბა: ალავერდელი აბრაამ კანონითა ვამტკიცებ; ამისნი შემცულებელნი იყუნენ კრულ, წყეულ და შეჩუნებულ.

ქ. კირიელისონ! ამა მეფეთ-მეფისა ალექსანდრეს<sup>1</sup> ბრძანება მოგუვიდა. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ წილკნელ მთავარებისკობოსი იოანე კანონითა ვამტკიცებთ. ამისნი შემცულებელნი კრულ, წყეულ, შეჩუნებულმცა არიან.

ქ. ამისნი დამამტკიცებელ ღმერთმა აკურთხნეს. მტკიცე იყოს მეფობა მათი\*.

[ქ.] მე, თბილელი იოვანე კანონითა ვამტკიცებ. ამისნი გამთავებელნი ღმერთმან აკურთხნეს].

#### 44. [თარხნობის სიგელი ალექსანდრე მეფისა თბილელ-განგლელ იოვანესადმი]

[1441 წ.]

...ფარვათა თქუენთაგან, თქუენითა შეწვევითა და ძალმწეობითა დავითიან ბაგრატიონიანმან, აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მ[ეფემან] გურიგუინოსანმან, მეფეთა მეფემან ალექსანდრე ვიგულვე და ვიგულსმოდგინე და მენება, რათამცა თქუენი სოფელნი ყოვლისა სათხოვრისაგან გამეთავისუფლნეს.

მოვიდა და ისაჯა თქუენისა საყდრისა მპყრობელი, ჩუენი მოძღუარი თბილელ-მანგლელი იოვანე და პირველ ძუელთაგან გაშუებულობისა და თარხნობისა სიგელნი მოგუართუნა.

და აწ, ჩუენ ახლად განვა[ა]ხლეთ და დავამტკიცეთ, რომელ რანიცა თქუენისა საყდრისა შესავალნი სოფელნი, გლეხნი და მამულნი არიან, გაგუითარხნებიან და გაგუითავისუფლებიან ყოვლისა სათხოვრისა და გამოსაღებლისაგან სრულიად: არ ეთხოვბოდეს არ ულუფა, არ გუთნისთავი, არ სამეჯინიბეო და არ საახორსარლო<sup>2</sup>, არ სამუშაო, არ ზროხა, საკლავი, არ გოქი, ქათამი და არ საყველიერო და არა სათხოვარი, არ დიდი და არ მცირე, არასთანა არა.

და ჩუენი მოსამსახურე ვერასა სათხოვრისა და გამოსაღებლისათვის, რანიცა თქუენნი შემოსავალნი მამულნი არიან, ვერასა

<sup>1</sup> ალექსა. <sup>2</sup> სახოლსარლო.

\* ეს მინაწერი ანმეტურია.

სათხოვრისა და გამოსაღებლისათვის, ვერ მივიდნენ. სადაცა რა სა-  
თბილელი არის, არასთანა სათხოვარი არ ეთხოვებოდეს.

ესრეთ, რომელ ჩუენისა სულისა საოხმან, ჩუენმან მოძღუარ-  
მან თბილელ-მანგლელმან იოვანე ორდ დღე აღაპი გაგვიჩინა: ერთი  
დღე მთავარანგელოზობა და ერთი დღე საბაობა. ამას ყოველთა  
წელიწადთა, წარსამართებელად მეფობისა ჩუენისათვის და შესან-  
დობელად სულისა ჩუენისათვის, წლითი-წლად აღაპსა გარდაიჭდი-  
დეს თქუენისა საყდრისა მპყრობელი თბილელ-მანგლელი იოვანე.

და შემდგომად მისსა, ვინცა თქუენისა საყდრისა მპყრობელ  
იქმნას და თბილელი იყოს, ივინი ნუ დამაკლებს. და ვინცა დამაკ-  
ლოს, თქუენ გაკითხულ ქმენ ჩუენთა ცოდვითა და ბრალათათვის,  
წინაშე ძისა თქუენისა და ღმრთისა ჩუენისა.

და კუ[ა]ლად ვინცა, ესე თქუენი შემოსავალნი სოფელნი,  
გლეხნი და მამულნი, პირველ გათარხნებულნი და აწ ჩუენგან და-  
მტკიცებით გათარხნებულნი. მოშალოს და რაცა და რასთანაცა  
ანუ დიდი და ანუ მცირე სთხოოს: ანუ შემდგომად ჩუენსა მომა-  
ვალთა მეფეთა და დედოფალთა და ანუ სხვისა გუარისამან, ზემო-  
მან და ანუ ქვემომან, აღამის ნათესავმან, რასაცა ჟამისა შემოსრუ-  
ლობისა და გამოცვალებისათვის ესე ჩუენგან მტკიცედ გათავი-  
სუფლებული თარხნობა მოშალოს, მისი ყოველი გაგებული, სასუ-  
ლიერო და საჯორციელო კეთილი, მოუშაღე და ჩემთა ცოდვითა  
და ბრა[ლ]ათათვის მებასუხე და გარდაჰდელ იგი ქმენ, დღესა მას  
ზარის საჭდელსა განკითხვისასა.

დაიწერა სიგელი ესე ქორონიკონსა რკთ, ინდიკდიონ[ნ]სა მე-  
ფობისა ჩუენისასა კთ, ჴელითა მესტუმრისა და კარის მწიგნობ-  
რისა ჩუენისა კლიმი კაკლახანისათა.

ხელრთვა.

#### 45. [წუალოზის სიგელი გიორგი VIII-ისა პირველ

წულუკისძინადმი]

[1451 წ.]

ქ. სახელითა ღმრთისათა გიორგი მეფეთა მეფისაგან,  
იესიან, დავითიან, სოლომონიან ბაგრატიონიანისა, ნებითა ღმრთისა-  
თა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შან-  
შა და შარვანშა, და ყოელისა აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა  
ვიდრე დასავლეთამდის ფლობით მტკიცედ თვთ ჴელმწიფედ მფლო-  
ბელ-მპყრობელთასა.

მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერდგულნი და თავ-  
დადებით ნამსახურნი და ჩუენისა და ტახტისა უზედაე ყოფისთვს

დიდად ჰირ-ნანახნი წულუკისძე ვირშელი და მისნი შვილნი: ვალადემურ, სალუყაზან, ბევროზ, ბეჟან და სიაოშ; გუეაჯნეს და მოგუაქსენეს, რათამცა მრავალთა ერთგულობა-ნაშახურთა მათთასა შეგუეწყალნეს, სიგლითა ამით დაგუემტკიცა და მათოჯს, მათისავე მკუიდრისა და ნასისხლისა და გუარეულად მათგახვე ნაქონებისა მამულისა წყალობა გუეყო.

დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ აჯა და მოქსენება თქუენი და მოგიბოძეთ თქუენი მკუიდრი და ნასისხლი მამული და ყოვლისა ადამის ტომისა მონათესავისა კაცისაგან მოუდევარ-მოუსარჩელი სოფელი იწა, მისითა მიმდგომითა და გასათულაფითა, მზლურითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაწითა, საყანოთა, ტყითა, სანადიროთა, ჰალითა, სათიბითა, სასაძოვროთა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, საჭმრითა და უჭმრითა მათითა, და ჰურ-მარნითა, სასახლითა და მისითა სამართლიანითა, ერთობ სრულად და უკლებლად გქონდეს, ვითა თქუენსა მკუიდრსა და ნასისხლსა მართებს.

აგრე ვერა ადამის ტომი კაცი, ვერ თავადნი და დიდებულნი, და ვერ აზნაურნი, და მათ უქუედაესნი ვერას ჟამისა გამოცუალე-ბისათჯს ვერაოდეს ვინ მოგერჩოდეს, და ვერც ვინ გეცილებოდეს. და თუ ვინ მოგერჩოდეს, პირნი და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ.

და თუ ვინმე ამა ადგილისა და სოფლისა გაცემულობისა წიგნი და ნიშანი ვინმე მოილოს, ამა მტკიცითა სიგლითა გაგუი-ცულებია, და მტკიცე ესე ოდენ არის, ამად რომე მკუიდრი და ნასისხლი თქუენი და თქუენისა სახლისა ყოფილა, და თქუენგან მეტსა სხუასა კაცსა არავის მართებს.

პაპანი და მამა თქუენნი ჩუენსა დიდსა სამსახურსა და ერთ-გულობასა შიგან დაჯოცილან, და ჩუენთა გუართათჯს მრავალი უმსახურებია, და თქუენ ობოლნი და წურილნი დარჩომილხართ. მას დროსა და ჟამსა შიგან მექმეობით თუ ვისმე ესე თქუენი მკუ-იდრი და ნასისხლი მამული სოფელი ი-წა გამოეურვოს და ეშოვნოს მეფეთაგან, მაშინცა დიდი ძალი და უსამართლო გქირაგები, არა თუ აწ თქუენსა მკუიდრსა და ნასისხლსა ამა მამულსა სო-ფელსა იწასა მოგასარჩლოთ. და ძალად და უსამართლოდ ნაქონე-ბისათჯს ვისმე სხუასა კაცსა სიგელი აელოს, ტყუვილია, ცუდი და უსამართლობა არის, და ამა ჩუენმან მტკიცემან სიგელმან გატე-ხოს იგი.

და არავინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ამის ბრძა-ნებულისა ჩუენისა, არცავინ მეუნებლე, მავნებელ და მაკლებელი, თუნიერ შეწევნისა და თანადგომის მეტი.

გკონდეს თქვენ, ჩუენთა დიდად ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა წულუკისძესა ვირშელსა და თქუენტა შვილთა: ვალადემურს, სალუყაზანს, ბევროზს, ბეჟანს და სიაოზს და თქუენტა მომავალთა ყოველთავე სოფელი იწა, თქუენი მკუიდრი და ნასისხლი, მისითა მზღვრითა, ველითა, ვენატითა, წყლითა, წისქულითა, ტყითა, სანადიროთა, ქალითა, სათიბითა, საყანოთა, შესავლითა და გამოსავლითა, საგმრითა და უგმრითა, საძებრითა და უძებრითა, ყუელათა მისითა სამართლიანითა; ბრძანება ნიშნად გუიბოდებია.

აწ ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე: შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, ერისთავთ-ერისთავთა, კარისა ჩუენისა ვაზირთა, მოურავთა, გელისუფალთა, დივანთა და მოსაქმეთა, მეკ[უ]ლუხეთა, პურისა და საკლავისა მკრეფელთა, ტყუისა და მპარავთ-მეძებართა, ციხისთავთა და ციხიანთა, მეჯინიბეთა, მერემეთა, ახორსალართა, ბაზიართა, მესაბანჯრეთა და ყოველთავე კარით ჩუენის წარვლენილთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ უშალავთ მტკიცედ ბრძანებულსა ამას ჩუენსა.

და თქუენ, წმიდანო მეუფენო ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნო, უჯუარობით დაუმტკიცეთ ბრძანებული ესე ჩუენი.

დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ინდიკდიონსა მეფობისა ჩუენისასა ე, ქორონიკონსა რლთ, ივლისსა ა, გელითა წირქუა-ლელისძისა რატისათა.

ხელჩართულად:

ბრძანება ესე გიორგის დაგუიმტკიცებია.

#### 46. [წმუჰვალოზის სიგელი გიორგი VIII-ისა ფილიპე

ეკამაძისადმი]

[1453 წ.]

ჩუენ, წყალობითა ღმრთისათა ორისავე ტახტისა და სამეფონისა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, შანშე და შარვანშე და ყოვლისა დასავლეთისა და [ა]ღმოს[ა]ვლეთისა და ჩრდილოეთისა თუით-ფლობით მტკიცედ მქონებელ-მპყრობელმან, პატრონმან მეფეთ-მეფემან გიორგი და თანამეცხედრემან ჩუენმან, პატრონმან დედოფალთა-დედოფალმან თამარ ესე წყალობისა და შეწყალებისა მტკიცე და შეუცვალებელი სიგელი გიბოძეთ თქუენ, ერქმაძესა ფილიპეს მღრღელსა, დავითს... და გიორგის და... შვილთა და მომავალთა სახლისა შენისა ყოველთავე.

შეგიწყალეთ და განგათავისუფლეთ ყოვლისა ფერისა და სა-  
თხოვარისაგან, ასრე და ამა პირთა ზედა, რომ დღეს და [დ]ღე-  
სითგან წალმა არა გეთხოვებოდეს, ერთისა ლაშქრობის მეტი არა  
გეთხოვებოდეს. და თორმეტთა საუფლოთა დღეთა ჩუენის[ა] სული-  
სათუის და მეფობისა ჩუენისა წარსამართებელად გუიწირევდით  
და ჩუენგან არა გეთხოვებოდეს: არა მა[ლი], არა ლუინო, არა  
ზროხა-საკლავი, არა გოჭქათამი, არა მუშაობა, არა ულუფა, არა სა-  
ჯინიბო, არა სახორსალალო, არა საბალახო და სათესავი, და სამ-  
კალი და სალენწავი, და მამითნადი<sup>1</sup>, არა საყველიარო, ერთისა ლა-  
შქრობისგან მეტი არა გეთხოვებოდეს.

იყვენით საყდრისშვილნი და დეკანოზნი, საუფლოთა დღეთა  
გუიწირევდით; სხუა ამას გარეთ არა გეთხოვებოდეს, არა ჩუენგან  
და [ა]რა შემდგომად ჩუენსა უკანის მომავალთა მეფეთა და დე-  
დოფალთაგან და [ა]რცა შეგეცვალოს; და არც ვინ გუიბძანებია  
მშლელ და მქცევარი ბრძანებულისა ამის ჩუენისა, და [ა]რცა ულა-  
ყი გეთხოვებოდეს.

დაიწერა წიგნი და ბრძანებაი ესე ქორონიკონს რმა, აგუ-  
ისტოსა ვ. ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მე[ე]ქუსესა, ჯელი-  
თა კარის ხუცისა ჩუენისა [მოძღურ]ისა გაბრიელისათა.

და, ჯამათა დღეთა საუფლოსა წირვასა თუ დაგუ[ა]კლებდეთ  
და [ა]რა გუიწირევდეთ, ჩუენთუისმცა განიკითხვით მას მეორედ  
მოსლ[ვ]ასა.

მეფის ხელრთვა გადასულია.

იქვე მეორე სიგელის ნაწყვეტი:

[ქ. ჩუენ, პატრონმან მეფეთა] მეფემან გიორგი ესე წყა-  
ლობისა და შეწყალებისა წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბო-  
ძეთ თქუენ, [ერემაძესა ფილიპეს] მღღელსა, დავითს და  
გიორგის... და მომავალთა ყოველთავე შვილთა თქუენტა და გიბო-  
ძეთ ცხოვრება შვილის... ჯევეწურილსა უკანით, მანგე-  
ლელაურის ხევისა წინათ, რაცა საგმარი იყოს აღმ... გქონდეს  
სამკუიდროდ და სამამულოდ, რაც ჩუენგნით ნაბოძებსა ჰპართებს...

#### 47. [წყალობის სიგელი გიორგი VIII-ისა ჯევედვინისკეპებისადმი].

[1453 წ.]

ქ. ჩუენ, ღმრთივ-გუირგუინოსანმა<sup>2</sup> მეფეთა მეფემან<sup>3</sup> გი-  
ორგი სოლომონიან-ბაგრატიონმან, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა,  
კახთა და სომეხთა<sup>4</sup>, შანშა და შარვანშა და ყოვლისა აღმოსავლე-  
თისა დასავლეთამდის თუით ჯელმწიფედ მტკიცედ მფლობელ-  
მპყრობელთასა.

<sup>1</sup> მამითნადი] მიითანადი. <sup>2</sup> გუირგუინოსნისა. <sup>3</sup> მეფისა. <sup>4</sup> + მეფისა.

მოვიდნენ დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი, ჩუენის მორკმისა და ყოფისათუის დღე და ლამე მომჭირნენი, ჩუენი თავადი ყმა ზევედგინ იყო ეზოს ჩუხჩარები და გორისა მოურავი, ზევედგინ და ამირინდო და აეთანდილ, გვეაჯნეს და მოგვახსენეს, რათამცა ერთგულობისა სიგლითა ამით შეგვეწყალნეს და მათუის წყალობა გვეყო.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი: ქარომის ძენი პატრონისა მეფისა ალექსანდრესაგანცა] თქუენთუის მკუიდრადსაყმოდ [ნაბოძები იყო]. ნაბოძაემან კაცმან თქუენი თავი შემოგვაბეზლა და ცოტასაოდენ განსა [ჩამოგართეთ?].

კიდე მოკითხული ვქენით და ყოველსა საქმესა ზედან მართალნი და უბრალონი იყავით და ჩუენა არაფერსა სამღურავსა არას გემართლებოდით. და ქარუმძე მკუიდრიოთა მამულითა თქვენვე გიბოძეთ, მათითა მითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, ტყითა, სანადიროთა, ქალითა, სათიბითა, მზღურითა, სამართლიანითა ყუელათა ერთობ, სრულიად და უკლებლად.

არავინ იყოს მოსარჩლე თქუენი, არცა მეუნებლე-მავნებელ-დამაკლებელი, თუინიერ თანადგომისაგან კიდე. ესე ბრძანება და ნიშანი გვიბოძებია.

დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა ო ქორონიკონსა რმა, ნოემბერს იბ, ტელითა წირქულელის ძისა მუშრიბისა რატიისითა.

48. [წყალობის სიგელი გიორგი VIII-ისა ჯავახიშვილავისადმი]

[1463 წ.];

ქ. ნებითა ღმრთისათა ჩუენ, მეფეთა მეფემან გიორგი და ძემან ჩუენმან პირმომან მეფემან ალექსანდრე, აფხა[ზ]თა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შანშა და შარვანშა და ყოელისა აღმოსავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის თუით-ფლობით პელმწიფედ მტკიცედ მპყრობელთასა, მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენი დიდად [ერდ]გულნი და ძალისა[ე]ბრ თავდადებით ნამსახურნი ჯავახისშვილნი ზაქარია, კახა და ზაზა, გუიაჯნეს რათამცა ნამსახურთა მათ[ა] მუქათა-გუეყო.

ვისმინეთ აჯა და მოჰსენება მათი და მიუბოძეთ [მათი]ვე მკუიდრი სოფელი ავკეთი და იისციხე, მათითა მზღურითა,

მთითა, ბარითა, წყლითა, წისქულითა, ველითა, ვენატითა, საძებ-  
რითა და უძებრითა, მისითა სამართლიანით ყოვლითურთ უნაკლუ-  
ლოდ, სოფელი ავკეთი და იისციხე. მოკითხული ვქენით და  
ძუელითგანცა თქუენი მკუიდრი იყო, და ახლად სიგლითა ამით  
ჩუენცა კიდევე დაგიმტკიცეთ სოფელი ავკეთი და იისციხე.

[გ]ქონდეს თქუენ, ჯავახისშვილთა ზაქარიას, კახასა  
და ზაზასა, შვილთა და მომავალთა სახლისა თუქენისათა ყოველ-  
თავე და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა  
შიგან და არა მოგეშალოს არასა ჟამისა გამოცვალებისათვის.

და ასრე ჰელშეუვლად გუიბოძებია, რომე ჩუენგან არა ეთ-  
ხოვებოდეს საჯინიბო, არა ახორსალართა, არა ბაზიერთა, [არა]  
საელნო, არა ციხისა მუშაობა და ზუართა მუშაობა, არასთანა  
შემოსაწერი და სათხოვარი არა ეთხოვბოდეს, არა გორული და  
ატენური, ყოვლისა სათხოვრისაგან ჰელმოჰსნილი გუიბოძებია.

დაიწერა პიტაკი ესე ქორონიკონსა რნა, თუესა სეკდენბერსა  
ბ, ინდიგტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეაჩუიღმეტესა, ჰელითა კა-  
რისა ჩუენისა მწიგნობრისა იათორიძისა ვარსიმესითა.

ხელჩართულად:

მეფე გიორგი.

#### 49. [წყალობის სიგელი კონსტანტინე მეფისა ჯავახიშვილებისადმი.]

[1466 წ.]

... მეფემან კონსტანტინემან ძემან ჩვენმან გულაშარ,  
ესე წყალობის და საბოლოდ გასათავებელი [სიგელი] დაგიწერეთ  
და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და ჩუენსა ზედა მრავალ  
ფერად ჰირნახულთა. ჯავახისშვილთა ზაქარიასა, კახასა  
და ზაზას და შვილთა, თქუენთა—ჯავახს, ხოლოსა თქუენსა  
შვილსა.

მას ჟამს, ოდის ღმრთისა გარეგანმან ყუარყუარე პატ-  
რონსა ბიძასა ჩუენსა მეფესა გიორგის უღალატა და ჩუენსაცა  
ღალატსა და აესა აპირებდა, ღმერთმან მოგუარჩინა, წამოუყვლო  
და თქუენ დიდი ვალი და ნამსახური დაგუდევით: გორისციხეს  
შემოგუყვივით და დაგუამაგრეთ და ისრე დაჰირებულს ქუთათის  
ციხეს შეგუიღმევით და იქიცა დიდი გუმსახურეთ.



ჩვენ შეგიწყალეთ და თქვენისა დიდისა ვალდებულობისა მუქათად გიბოძეთ ცხირეთის გუერდი სრულად და გაერთებით, ხანდაკი და რაცა ცხირეთის შესავალი არის სრულად და უკლებლად. და ამას გარეთ ქალაქის პირთა სოფელი თხილოვნა, მისითა შესავლითა.

ესე მამულნი გაბაშვილთა მკუიდრი იყო და თქვენ გაბაშვილთაგან ნაშვილებნი იყუნით, სამართლადცა თქვენ ხუდებოდა და თქვენცა თქვენითა ნება-წადილითა, გულ-განწმენდით და ალაღად თქვენთუის გუიბოძებია და დაგუიმტკიცებია ცხირეთის გუერდი და ხანდიკი, მისითა შესავლითა, გაერთებით და სრულად, და თხილოვნა, მისითა მონასტრითა, ეკლესიითა, ციხითა, სასახლითა, ჭურჭ-მარნითა, გლეხებითა, ველითა, ვენაჭითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, შესავალ-გამოსავლითა, სამზღურითა და მისითა სამართლიანითა ყუელათა უკლებლად, თარხნად და ჭელშეუელად.

როგუარაცა სხუათა თქვენთა მკუიდრთა მამულთა მეფის ჯელი და შესაწერი არ შევა, აგრე ცხირეთისა გუერდსა, ხანდაკთა და თხილოვანს ჩუენი შესაწერი და სათხოვარი არა შევიდეს და არა ეთხოვოს: არა დიდი ულუფა, არა რიგის-პური და კალოსკაბიწი, არა საჯინიბო და სახორსალარო, არა ზროხა-საკლავი და გოქ-ქათამი, არა საბაზიერო და სამებანჯრეო, არა ულაყი და საელნო, არა ციხისა და სხუა სამუშაო. რასაც სათხოვარი და გამოსაღები ჰქუიან, მისგან ყოვლისგანვე გუიაზატებია და გუითარხნებია.

გქონდეს და არას ეამის გამოცულილობისათუის არ მოგეშალოს.

ამისისა გათავების თავსდებათ ღმერთი და მისნი წმიდანი მოგუიცემია, და ჩუენსა ერთგულობასა შივა გავმაროს ღმერთჰან.

დაიწერა მტკიცე პიტაკი ესე-ქორონიკონს რნდ, კელითა მდივან-მწიგნობრის თუმანის შვილის ზაქარიასითა.

სხვა ხელით:

ზურაბასა და ქუციას გარეთი მათისთვინ შიხნბასა მა... საბაზის ამათით მამულთ გარეთი...

50. [მალის ამოკვეთის სიგელი გიორგი მეფისა  
სვატიცხოველისადმი]

[1468 წ.]

ქ. ჩუენ, ღმრთივ... მეფეთა მეფისა გ[იორ]გისგან და საყუ-  
არლისა ძისა ჩუენისა ალექსანდრესგან, იესიან დავითიან სოლომო-  
ნიანობით აღმკულმან, ნებითა და შეწევნითა ღმრთისითა აფხაზთა,  
ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა<sup>1</sup> მეფისა, შაჰ[ან]შა და შა-  
რვანშა<sup>2</sup> და ყოვლისა ჩრდილოეთისა, აღმოსავლეთით ვიდრე და-  
სავლეთამდის თუით კელმწიფედ მტკიცედ მფლობელ-მპყრობელ-  
მან ესე სიმტკიცისა წიგნი და სიგელი ამისად ნიშნად გიბოძეთ და  
მოგეცით თქუენ, ერთობილთა დიდისა და ცათა მობაძავისა მცხე-  
თისა სოფელთა, გლეხთა და ყოველთავე, რომელნი თქუენითა მა-  
მულითურთ მუნ შეწირულ ხართ.

ვიგულვე და ვიგულისმოდგინე, რათამცა, ჩუენისა საყუარ-  
ლისა ძისა ალექსანდრესთუის სადღეგრძელოდ და ყოველთა ჭირთა  
განრინებისათუის, თქვენთუის მალი ამოგუეკუეთა და გაგუეშუა.

აწ გულისქმა-ყყავთ, რამეთუ უმჯობეს იყო ჩემდა, საყდარსა  
შინა მცხეთისასა, თქუენ, ყოველნივე სუეტისა ცხოველისა გლეხნი  
და ერნი ავედრებდეთ დღეთა განგრძობისათუის საყვარელსა ძესა  
ჩუენსა ალექსანდრეს, ვიდრეღა სათათროსა მალისა აღებად.

აწ, ნებითა ღმრთისათა ამოგიკუეთეთ სრულად სათათრო  
მალი ასრე და ამა პირსა ზედა, რომე არ ჩუენგან და არ ძისა ჩუენისა  
ალექსანდრესგან არაოდეს და არას ეამისა გამოცვალებისათუის  
აღარაოდეს გეთხოვბოდეს სათათრო მალი; და შემდგომად ჩუენსა,  
ვერცა სხვათა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა გთხოონ.

და ესე ბრძანება და სიგელი ასრე გაგითავდეს და ველარა-  
ვინ შეგიცუალონ და აღარაოდეს გეთხოვბოდეს სათათრო მალი.  
ბრძანება ნიშნად გუიბოძებია.

დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ქორონიკონსა რწვ, მარტსა კბ,  
კელითა წირქულელ გლონისთავა [ს]ქისა რატიისითა.

აწ, ვინცა ესე შეგიცვალოს, ჰრისხავსმცა მამა, ძე და სული  
წმიდა და ნურათამცა სინანულითა იქსნების სული მისი ჯოჯო-  
ხეთისაგან.

დამამტკიცებელი ღმერთმან აკურთხნეს.

... მეფეთ-მეფესა<sup>3</sup> გიორგის დამიმტკიცებია, ნებითა ღმრთი-  
სათა.

მინაწერი:

„ქ. სამცხეთოს მალის ამოკვეთისა“.

1. - და. 2 შარვანშაჰ. 3 მეფეთ-მეფემან.

წ. [წყალმოსხის სიგელი ბაგრატ და კოსტანტინე მუხეზიისა  
ჯავახისუმილანისადმი]

[1468 წ.]

ჩვენ, ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა ღმრთივ-გვირგვინოსანმან, მეფეთ-მეფემან ბაგრატ და ემამან ჩვენმან პატრონმან კოსტანტინე, ნებითა ღმრთისითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფის, შანშა და შარვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დასავლეთამდის თვით-ფლობით ჯელმწიფეთ მპყრობელისა. მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენნი დიდათ ერთგულნი და ჩვენისა მოქმედისა და გადიდებისათვის დღე და ღამე მომჭირნე-მოცადენი ჯავახის-შვილნი ზაქარია, კახა და ზაზა და გვიანეს და მოგახსენეს, რათამცა ერთგულობისა მათისა სამუქუოდ სიგელითა ამითა შევიწყალე.

და ძუენი სიგელნიცა უნახენით თამარ მეფისაგან და სხვათა ჩვენთა გვართა და ჩამამავალთაგან სამკვიდროდ მათთვის ბოძებული, და ახლადვე დიდი ფასი და საქონელი გამოიღეს და მათივე მკვიდრი მამული, მათივე ალალითა საქონლითა მათვე მიჰყვიდეთ და დაუმტკიცეთ სომხითს ქვეში, ციხითა, ბაჟითა და მისითა მიდგომითა, და სოფელი რატევეანი, მისითა სამართლიანითა და შესავალ-გასავლითა, ყოველითურთ უნაკლულოდ: წყლითა, წისქვილითა, სანადიროთა, ველითა, ვენახითა, სათიბითა და მისითა მიმდგომითა და სამართლიანითა, სომხითს ქვეში, მისითა ციხითა, ბაჟითა და სოფელი რატევეანი, სრულიად და უნაკლულად.

როგორცა თქვენნი<sup>1</sup>სა მკვიდრისა და ახლადვე თქვენგანვე ნასყიდისა დაცილება არავის მართებს, აგრე ვერას ჟამისა გამოცვლილობისათვის ვერ აღამიანისა გვარისა კაცი ვერავინ დაგეცილოს; გქონდეს მოუღევრად<sup>1</sup>, უსარჩლელად თქვენ, ჯავახის-შვილთა: ზაქარიას, კახას და ზაზასა და თქვენთა შვილთა, შვილის-შვილთა და მამავალთა ყოველთავე სახლისა თქუენისათა.

და თუ ვისიმე ამა მამულისა გაცემულობისა ნიშანი და სიგელი ჰქონდეს, ყოველივე სიგლითა ამითა გაგვიცუდებია; და მტკიცე ესოდენ არის; პირისა და პასუხისა გამცემნი ჩვენ ვართ.

ნებითა და შეწყვენითა ღმრთისითა დაიწერა სიგელი და პიტაკი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა მესამესა, ქორონიკონს რწ, ნოემბერსა კ, ჯელითა კარისა ჩვენისა მდივანისა თუმანი-შვილასა მურადისათა.

<sup>1</sup> მოუღვრაკი.

52. [ხაფიკულები წიხნი ზალვა ძვენიწნაველ ეკისთვისა  
ლაკვიისისადმი]

[1470წწ.]

ეჰა არსებით დაუბადებელისა და ხატოვნებით განუზომელისა, გონება მიუწდომელისა, ძალ-უზუავეისა, უხილავისა, სიტყვა-მიუგებელისა, უტყუელისა, უსაზღვაროესა, ყოველთა არსთა მზადისა, ნიშებ-შემოსილისა, ყოველთა მისთა დაბადებულთა წყალობისა თვალითა მხედველისა, მისთა მცნობელთა აღმამაღლებელისა და ვერა-მცნობელთა მიწყევ ჯოჯოხეთად შთამთხვევლისა და კუალად ჩვენისა ცხორებისათჳს ზეცით ქუეყანად გარდამოსრულისა, ჯუარცმულისა, დაფლულისა და მესამესა დღესა აღდგომილისა, ჯოჯოხეთისა დამარღუველისა და შემმუსრველისა, ქუეყანით ზეცად აღმაღლებულისა და მარჯუენით ღმრთისა მამისა მჯდომარისა, დაუსაბამოესა ღმრთისა სიტყუსა მქადაგებელისა, დასაბამსა სოფლისა სიხარულისსა, მთიებსა მას მაუწყებელსა მზისა სიმართლისასა, ნაყოფსა მადლისასა, წყაროსა უკუდავებისასა, უფსკრულსა მას პირველ წინა მომდინარესა;

შენ, ქუეყანისა ანგელოზსა და ზეცისა კაცსა სრულსა, სულითა და ძალითა ელიაჲსითა ქრისტეს მოსლვისა ქადაგსა, მეფეთა მამხილებელსა, უდაბნოესა მოყუარესა, წინამორბედსა სიბერისა, სჯულთა დამკსნელსა, მთიებსა პირმეტყუელსა, მამისა უტყუეებსა, საკვრველად აღმატყუებელსა, მოწამესა სარწმუნოსა სამებისა წმიდისსა, ქადაგსა მეუფისსა, წინასწარმეტყუელთა ბეჭედსა, ხარებით მუცლად დებულსა, სანთელსა ნათლისა მის დაუვალისა წინა-აღნთებულსა, მიწისაგან ბუნებისა უსხეულოეთა წესითა გამოჩენილსა, სიხარულსა ცხოველთასა, ქუესკნელად შთასრულთა სულთა ნათლისა უსხეულოესა მახარებელსა, ყოველთა დედათა ნაშობთა უაღრეს წარჩინებით წოდებულსა, სულისა წმიდისა მხილველსა და თვთ ერთისა სამებისაგანისა, ჭეშმარიტისა ქრისტეს ღმრთისა მკსნელისა ჩვენისა და მაცხოვრისა, ნათლის მიუაჩრდილებელისა მომფენელისა, წარმართთა მოსალოდებელისა, წინასწარმეტყუელთა მიერ მოსწავებულისა, უფლისა და ღმრთისა ჩუენისა ძრწოლით შეხებით თავისა ხელისა დამდებელისა და ნათლისმცემელისა, ურწმუნოებით დადუმებულისა ზაქარიაჲს აღმატყუებელსა ძისა მობისა, და აღვსებულმან სულითა წმიდითა და დედისაგან მოხუცებულისა შობილსა, მთავარ-ანგელოზისა გაბრიელისგან ხარებულსა, მხოლო ზაქარიას არა ჰრწმენა შობისათჳს წინამორბედისა, არამედ უტყუ იქმნა, ვიდრე შობადმდე და ჟამსა შობისასა აღწერა, ვითარმედ ეწოდენ მაგას იოანე, ვითარცა მაუწყა მე ანგელოზმა უფლისამან;

შენ, ნათლისმცემელსა ქრისტესა, რომლისა მიერ იძლია ბრძენთ მეტყუელებად და მოუძღურდა სიბრძნე კაცთაჲ და რიტორობაჲ ღრ[ა]მატიკოსთა და ყოველთა განუცხადა სიტყუაჲ მადლისაჲ და განუხუნა სოფელსა ბქენი სინანულისნი, და აღმოუბრწყინდა სოფელსა ნათელი დაუშრეტელი და ყუავილი დაუქნობელი, წყაროჲ უკუდავებისაჲ აღმოცენებული, წინასწარმეტყუელთა ყოველთა უაღრეს წოდებულსა მოწამესა, სარწმუნოსა ჭეშმარიტისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა, ბერწისა საშოახსაგან შობილსა, პირველ მზისა ცისკარსა მოვლინებულსა, საადუმლოჲსა დაფარულისა გამომეტყუელსა და ბუნებისა სენთა მკურნალსა, წინასწარმეტყუელებისა დამბეჭდველსა და მტერთა სირცხლისა შემოსელსა და მორწმუნეთა ნათლისა მიმფენელსა, დიდებულსა ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა ქრისტეს ნათლის-მცემელსა, გურიტსა უდაბნოჲსა და იადონსა ხმა-ტკბილად მკმობარესა იოანეს!

და შენ, დიდსა ღუაწლისა მძლესა და საღმრთოჲსა სარგისა მკნედ აღმასრულებელსა, ძლევისა გკრგვისა დამდგმელსა, სარწმუნოებისა ჭურსა, მახვლსა მადლისასა, ჯუარისა ძლიერებ[ი]სა შემოსელსა, წინააღმდეგომთა ძალთა დამცემელსა, ანგელოზთა-თანა მოხარულსა, ეშმაკთა გუნდისა დამცემელსა, სიკუდილისა ნეტსით თავს-მდებელსა, უკეთურისა და სულ-მყარალისა ვეშაბისა შემმუსვრელსა, ძოწეულისა ბრწყინვალისა შემოსელსა სისხლითა ღუაწლთაჲთა, მენავეთა თანამოგზაურსა, მძინარეთა მღვდარებსა, ლელვაგუემულთა ნავთ-სადგურსა, ჭირვეულთა შემწესა, დიდისა მეფისა მკნესა მჭედარსა, სათნო-მყოფელსა ღმრთისასა, კერპთა მსახურებისა აღმომხებურელსა და საცდურისა საეშმაკოჲსა დამკნელსა, საკერპოთა ბომონთა შემმუსრველსა, ღუაწლითა წამებისაჲთა ცად აღწევნულსა, ანგელოზთა მხიარულებასა<sup>1</sup>, ეშმაკთა მწუხარებ[ა]სა, გლახაკთა ზედა სიმდიდრისა განმამბნეველსა და დიდებისა საუკუნოჲსა სასოებით ღუაწლითა წამებისაჲთა შემბმელსა, ქრისტეს ვნებათა მობაძავსა და თანამკვდრსა მეფისასა, სათნოებათა ნაყოფისა განმამრავლებელსა და შემდგომთ წამებისა ბილწად ნაზორეეთა შეგნებისაგან ჩუენებით გამომკნენელსა, წარჩინებულსა მოწამესა თეოდორეს!

მე, მინდობილმან ცვა-ფარვათა თქუენთამან და გულსმოდგინედ მსასოებელმან, ქუენი ფნეველმან ერისთავმან შალვა, ვიგულისმოდგინე შემდგომად ჩემთა ჩამომავალთა ერისთავთა

<sup>1</sup> მხერულება.

და ხელ-ფეხე მათგან სასოებით აღშენებულსა, საუკუნოსა სამკვდრე-ბელსა, საძულესა ჩუენსა, მონასტერსა ლარგუსსა, რომელი სულ-კურთხეულთა პაპ[ა]თა, მამათა და ჩამომავალთა ჩუენთა აღეშენა და ყოვლითურთ უნაკლულად შეემკო ხატითა, წიგნითა ხატითა და ყოვლითა მოწყობილობითა.

და შემდგომად მათისა მეუწყა საღმრთოთა განგებულებითა და ვიწყე შენობად, პირველად დავახატეინე კამარათა უქანითი წმი-დისა თეოდორესი თავი ეკლესია და აღმართე ჯუარი საკურთხე-ველისა კართა, სავსე ნაწილიანითა ხატებითა; დავაწერიე ახალი საულ-დავითი და საწინასწარმეტყუელოჲ ერთ წიგნად; ერთი დიდი თეფში ვერცხლისა; დავაკაზმინე წიგნები მეტაფრასი<sup>1</sup>, დავღვე შესამოსელი მოწყობილი; აღვაშენე ეკლესიაჲ ნათლისმცემელისაჲ, დავახატეინე და შევაძკვე ხატითა, წიგნითა და შესამოსლითა სრუ-ლიად უკლებად; შემოვაღვენ ზღუდენი და აღვაშენენ ტრაპეზნი და მოვაწყვენ ზედა ჩარდახნი და შევხურენ სიპითა; აღვაშენენ მა-რანნი, ჩარდახთა წინაჲთ და მო[ც]აწყუენ კურებითა; მოვჭედენ კარნი კოშკისანი და ზღუდისანი; აღვაშენე ზღუდისა კართა ზედა სამრეკლოჲ, დავახურე სიპითა და დავასუენე ზედა ჯუარი სპილენ-ძისაჲ, დავდგენ ბელენნი და ჩავდგი მათ ქუეშე ჭური, ბიყრით მი-ვიტანე.

და სხუაჲ, რაჲცა ეკლესიისა შემკობილებაჲ უნდოდა, შევაძკვე მონასტერი ესე ჩუენი საძულე და საუკუნო სამკვიდრებელი, სუ-ლისა ჩუენისა მეოხი და ნუგეშინის-მცემელი, პირველითგან სულ-კურთხეულისა ისტუნიანი ესაგან ბერძენთა მეფისა და თუთ-მპყრობელისა აღშენებული და ჩუენთა ჩამომავალთა ერის-თავთა ნათესავთათჳს საძვალედ ბოძებული და წინაჲს ჩუენსა ყო-ველთა ჩუენთა ჩამომავალთაგან სურვილით პატივ-ცემული და შე-მკობილი.

აწ კუალად მალირსა ღმერთმან და ყოვლითურთ უნაკლუ-ლოდ აღვაშენე და შევაძკვე ქორონიკონსა მეთოთხმეტედ მოქცე-ულსა რწმ, სრულ ვყავით მეფობასა ღმრთივ-გვრგვანოსნისა მეფეთ მეფისა ბაგრატისსა, სამლოცველოდ სულისა ჩუენისა და წარ-სამართებლად ერისთავობისა ჩუენისა და ძისა ჩუენისა.

აღვაშენენ სოფელნი მეჯუდის ქევს: სოფელი ახალ-უბანი, ასეთსა ადგილსა, რომე ადამისითგან იქი კაცი არ სახ-ლებულ-იყო. შემოუკრიბენ მამულნი და უჩინე მზღვარი, ყოვლისა კაცისა განუსარჩლედი; აღვაშენე ზუარი და გაუჩინენ სავენაპენნი; აღ-ვაშენე სოფელი ივრეთი, რომელ მურვანის ჟამსა უქანით კაცი არ სახლებულ-იყო; აგრევე ქსანზედა სოფელი ჰერედაჲ, ოპერი

<sup>1</sup> ნატაფრასი.

აღვაშენე და ზუარი; ქუერთაჲ და სხუაჲ; ვინცა ლარგვსა მონასტრისათჳს შეწირული იყო ჩუენთა პაპ[ა]თა და ჩამომავალთაგან, ვგრეთვე უცვალებელად იყოს.

ღა ამას გარეთ ესე ჩემგან მონაღუაწებნი და უკაცურნი სოფელნი, სამნი აგარაკნი აღმიშენებიან მეფეთა, ერისთავ[თ]ა, ქართლისა. ერისთავთა და ყოველთა პატრონთა<sup>1</sup> და ხელისუფალთაგან შეუვალი და თავისუფალი და მოუსარჩლელ-მოუდევარი.

და შემოგწირენ ამას საქმითა და წესითა, რომე, მეორედ ქრისტეს მოსვლამდე და ვიდრე გებადმდე ჟამთა, ვერავინ ჳელ-ყოს შლად და ქცევა, ჩუენგან სასოებით და სურვილით გულს-მოდგინებით, ჩუენისა სულისა სამლოცველოდ, სააღაპედ და საჳსენებლად სულისა ჩუენისა შემოწირულთა ამათ სოფელთა; და არცა-რა ვის საქმე უც ამათთანა, არცა სულიერსა კაცსა არა.

და თუ ვინმე ჳელ-ყოს შეცვალებად, შლად და ქცევად, თზნი-ერ შეწევნისა და თანადგომისა, ანუ მძლავრობით, ანუ პატრონობით<sup>2</sup>, ანუ მიტაცებითა რაჲთამე, ღმერთმან ჩემთა ცოდვათათჳს იგი გაიკითხოს.

ამისთჳს აღვაშენე და განვადიდე მონასტერი ესე ჩუენი. საუკუნოჲ სამკვდრებელი და საძუალე ჩუენი და საჳსენებელი სულისა. ჩუენისაჲ, რათა სხუათა მიერცა იდიდებოდეს და პატივ-იცემებოდეს, შეემატებოდეს და არაჲ დააკლდებოდეს. ვისცა აჳა საფლავი უნდა და ანუ სალოცავი, რაიც ოდენ ძალ ჳქონდეს, ძალ-მიცემით შეუმატებდეს და არას აკლებდეს.

და ვინც ამას ჩუენსა მონასტერსა შემოსავლსა მიმულსა აკლებდეს და არა უმატებდეს, ღმერთმან და ნათლის-მცემელმან ქრისტემან და წმინდამან ქრისტეს მოწამემან თეოდორემ მას დააკლოს და ამათ ყოველთა წმიდათა ნაწილთა მადლმან და ხატთა-მან, რომელნი მონასტერსა ამას შინა მკვდრ არიან.

და ვინცა შემდგომად ჩუენსა ერისთავნი იყვნეთ, მუქალთა თქუენ უყავით და შუდ ნაწილად თქუენ გარდააქდევინეთ, და პატივი ეცით სავედრებელსა ამათ ჩუენსა და საძუ[ა]ლესა, საუკუნო-ღსა აღდგომისა მოსალოდებელსა.

და განუჩინეთ ესე რომე:

1\*. ნუმცა ვინ იკადრებს შუღლსა, ანუ სიძვასა, ანუ პარვასა, ანუ ლალატისა მოგონებასა, ანუ მღდელთა, მონაზონთა, დედაბერთა და ენკრატისტთა უპატიობ[ა]სა.

<sup>1</sup> პატრონთა. <sup>2</sup> პატრონობით.

\* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

2. და თუ შუღლი ვინმე იკადროს და მახული იკადოს მონასტერსა შინა, ანუ კაცი დაჭრას, ანუ კიდე სისხლი აღინოს, მისი აბჯარი ეკლესიას შეიღებოდეს და თუ იგი კაცი ცემით და ჯლეჯით განიძებოდეს; და რაა-გინდა უმართლე იყოს, მისი სამართალი წაქდეს.

3. აგრევე თუ მესისხლე მესისხლესა შეეყაროს, შორს უსაუბროდ აღხდებოდეს.

4. და თუ არა და, საკლავად გამოამატოს და ველარ მოკლას, სისხლისა ნახევარი გაუცუდდეს; და ჯარითა და ერთითა საპალნითა პურ-ღვინითა ეკლესიას შემოახუეწებოდეს და მაშინლა გააბრკობოდენ.

5. და ეკლესიისა უპატიობისა საქმე ბჭობითცა ითქუმოდეს, ამად რომე აქა ჯრმლისა ამოღებაა არ იკადრებოდა.

6. და თუ მოკლას, მისი სისხლი გაცუდდეს და მოკლულსა სრული სისხლი დაუურგოს. ესე მანდამდის არის, სადამდისცა სარეკლისა და ზარისა ჯმაჲ ისმოდეს.

7. თუ ვინმე მონასტერსა შინა სიძვაჲ ქნას, თრევით და უპატიობით გაიძებოდეს და მისი კანონი მოძღურისგან დაედებოდეს.

8. და თუ ვინ იპაროს, შუღ ნაწილად ეზღვიოს; და მონასტრისაჲ უპატიობაჲ დაებრკობოდეს.

9. და თუ ვინმე მღდელი უსამართლოდ უპატიოდ გაქადოს, ანუ საცემელი შესდვას, მისსა სამართალსა დიდითა შეხუეწითა ნახევარი სხუჲჲ ემატოს.

10. დედაბერთა და მონაზონთა უპატიობაჲ და ენკრატისთაჲ, პატრონისა ბრძანებითა წინამძღურისაგან და ძმათაგან მოაკითხვოდეს და გაეღინებოდეს; ავისა მქმნელსა პატიჲსა უყოფდენ და კარგისა მქმნელსა პატიჲსა.

ესე ასრე გვაჩინეთ. შევესწირეთ და დავამტკიცეთ კითხულობითა და ბრძანებითა ღმრთივ-გვრგვინისა მეფეთა მეფისა ბაგრატიისითა, სამლოცველოდ, სააღაპოდ და საცსენებლად სულისა ჩემისა.

და რათა ვიქსნე საუკუნეთა სატანჯველთაგან და ღირს-მყოს ნაწილსა მართალთასა და ხილვად ნათლისა პირისა მისისასა ღმერთმან უტყუელმან, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ.

და რათა გუესმეს სანატრელი იგი ჯმაჲ, მიმწოდებელი ნათელსა მას დაუღამებელსა, დაუსრულებელისა საუკუნოჲსასა, ტკბილსა მას და წარუვალსა და გვქსნენეს ბნელისა მისგან გარესკნელისა, ცეცხლისა



უმრეტელისა და ბნელისა წყუდიადისა, ღრჳენისაგან კბილთაჲსა და მატლისა უძლისა, რომლისაგან გჳჳსნენ ჩუენ, უფალო!

და შემდგომად ჩუენსა, რომელნიცა იყვნეთ ერისთავნი, ერისთავთა-ერისთავთანი და ყოველნივე სახლისა ჩუენისა ძმანი და მოურავნი, ყოველთავე დაუმტკიცეთ მონასტერსა ამას ჩუენსა, საუკუნესა სამკჳდრებელსა, საძუალესა ჩუენსა.

ესეთნი სოფელნი მომიჳსენებიან და მინიჳებიან მონასტრისა ჩუენისათჳს და მიჩენია წინამძღუარი ეჳრულის შვილი გიორგი და შვილნი მისნი და გამირიგებია. და ჩუენისა მამულისათჳს ერთი გლეხი არ დამიკლია, ყუელაჲ კაცები სხუაგნით მომისხამს და ოჳერნი სოფელნი ამით აღმიშენებიან.

და ამით ჩემი და ჩემთა გუართა საფლავი, ღმრთივ-გჳრგჳნოსნისა ბერძენთა მეფისა ისტჳნიანესაგან საღმრთოჲთა გამოცხადებითა აღშენებული ეკლესიაჲ და ჩუენთა პაპათათჳს საძუალედ ბოძებული, აღმიშენებია, შემიმჳკვია და გამიდიდებია.

და ამას გარეთ აღმიშენებია და შემიმატებია უკაცური სოფელი ჩემისა მამულისათჳს; და აღშენებულა ჩემსა მამულსა შინა, ჩემითა ძალ-მიცემითა, და პირველ ნებითა ღმრთისაჲთა, და შეწევნითა, ზოგი ჩემგან და ზოგი ჩემთა ყმათაგან, ჩემსა ერისთავობასა შინა ეკლესიაჲ.

და აწ, ვინცა და რამანცა კაცმან ამას ჩემგან სასოებით და სურვილითა აღშენებულსა, შემკობილსა და გადიდებულსა ეკლესიასა მტრობაჲ და კლებაჲ დაუწყოს, თჳნიერ შემატებისა და გადიდებისა, ღმერთმან და ამით ყოველთა წმიდათა მადლმან ჩემნი ცოდვანი და ბრალნი უსაჳსროდ მას ჳკითხნეს.

ყოველთაჲ წინა დაიხედნით, რამეთუ მიწად მიჳცევაჲ წინა გჳც ცოდვილთა და მართალთა. ესე საწუთოჲ უხანო და წარმავალი არს და აღდგომაჲ მკუდართა და განახლებაჲ საუკუნოჲსა ცხოვრებისა დაუსრულებელი და წარუვალ არს. ამისთჳს გჳღირს, რათა ყოველნი საუკუნოჲსა ცხოვრებისათჳს ვიზრუნვიდეთ.

“53. [473]\* დაჳნებულთა და უჯიროთა და განგდებულთა მოღწენება-მჳახრობათათჳს

[XVI ს. დასაწყ.]

ნათჳსაობაჲ სახელი არს მშობლობითი, ხოლო განიყოფების სამად: აღმართთა, შთამართთა და მგურდალთა მიმართ.

და აღმართნი არიან იგი, რომელთა გუშენეს ჩუენ, ესე იგი არიან: მამა, დედა, პაპი და ჳანი, და მერმე ამათსა უზემოენნი.

\* სათაურს ზემოთ სწერია: „ტიტლოსი ზ“.

ხოლო შთამართნი ჩუენგან შობილნი, ესე იგი არს: ძე და ასული, ძის-წული, ასულის-წული და მერმე ამათსა უქუშმოენსნი.

ხოლო მგურდალნი, რომელთა არცა ჩუენ გუშენეს, არცა ჩუენგან იშენეს, გარნა ერთისა და მისეე საშოჲსა მიერ და ძირისა ჩუენდა ზიარ იქმნეს, ვითარ იგი არს: ძმაჲ, დაჲ, მამის ძმაჲ, დაჲ, დედის ძმაჲ, დაჲ, ძმის-წული, დის-წული, მამის ძმის დის-წული, დედის ძმის დის-წული და ამათგან შთამომავალნი.

ხოლო თუთეულსა ამას რიგსა ნათესაეობისასა პირად-პირად-ნი და განყოფილნი ხარისხნი ჰქონან, არამედ აღმართთა ზედა და შთამართთა ვიდრემე უსადაგეს რაჲმე და უადვილეს არს მიწდომჲ ხარისხთა, რამეთუ თუთეული პირთა მათთაგანი ხარისხსა შეასრულებს და მარტივად ითქვნ: რაოდენნი შობანი არიან, ეგოდენივე ხარისხნი; ხოლო უცნელესნი და ვერ ადვილ-საპოვნელნი არიან მგურდალთა ხარისხნი, რამეთუ ჯერ-არს ჩუენდა არა მყის თანად მის რბაჲ პირსა ზედა მგუარდლისასა, არამედ უწინარეს აღმართთა ზედა ყოფაჲ, ვიდრეცა მივიდეთ მიზეზსა ზედა მგუარდლითსა მის შობისასა. მერმე იგი რაჲ ეპოოთ შთასლვა მას ძიებულსა პირსა ზედა მგუარდლითისასა.

და ესრეთით აღრიცხუვაჲ ყოველთა მათ შეკრებულთა შობათა. ესრეთ, ვიდრემე აღმართისასა ზედა თუთეულისა შობისა განთუხებულად ხარისხად დამაწესებელი ყოფად<sup>1</sup> რიცხუსა და შთამართთა ზედა, ვიდრემე ადვილ არს ესე.

ესე იგი არს, ძე ჩემი არს მერაოდენმე ხარისხი, მე ვშეე იგი. აჰა ერთმან შობამან ერთი ხარისხი შეასრულა, ვინა უქუე არს იგი პირველი ჩემი ხარისხი, ნაშობი ჩემი ძე, რომელიმე ვშეე და ძე ნაშობისა ჩემისა.

აჰა ორთა შობათა ორნი ხარისხნი შეასრულნეს აწუქუე ძის-წული არს მეორე ხარისხი, ესრეთვე არს შემდგომითი-შედგომად, ძის-წულის შვილსა, [V] და კულა მისგან შობილსა ზედა, ეგრეთვე აღმართთაცა ზედა.

მამა არს რომელიმე ხარისხი, მე მშობა მამამან, აჰა ერთმან შობამან ერთი ხარისხი შეასრულა, ვინა უქუე პირველი ჩემი ხარისხი არს იგი პაპი, რომლისა მიერ მამამან მშეა, მამაჲ ჩემი შვა

---

<sup>1</sup> ჰყვდ.

პაპმან ჩემმან, აჰა ამანცა ორმან შობამან ორი ხარისხი შეასრულა, ვინა უკუე პაპი მეორე ხარისხი არს.

ესრეთევე არს დედასაცა და ჰანსა ზედა და ყოველთა აღმართთა წელთა გინა თუ ქალთა.

ხოლო ვითარცა თქმულ არს მგუარდლთა ზედა, ჯერ არს აღსლვაჲ ნათესაობისა მიზეზსა პირსა ზედა შობათა მრიცხელისაგან, და კუალად მოსლვა შობათა მაჰმრავისაგან, ვიდრეცა მოვიდეთ პირსა მას თანა, რომლისათჳს იყოს ძიებაჲ იგჲ, ვინაჲ ვინცა გკითხოს შენ, თუ ძმაჲ მერაოდენე ხარისხი არს შენი, არქუ მეორე. აღვედ მამისა მიმართ და აჰა ერთი შობაჲ მამისაგანი ერთ ხარისხად შესრულდა.

ამისა შემდგომად, ვინაჲთგან ჰპოვე მიზეზი იგი შობისა პირი შთავედ ძმისა მიმართ, შესძინე აჰა შინა სხუაჲცა შობაჲ და აჰა ორთა შობათა ორნი ხარისხნი შეასრულნეს, ვინაჲ კეთილად თქმულ არს, ვითარმედ ძმაჲ მეორე ხარისხი არს.

კუალად უკუთუ ვინ გკითხვიდეს შენ, თუ ბიძა მერაოდენე ხარისხი შენი არს, არქუ მესამე, რამეთუ საპირო არს შენდა მამისა შენისა მიმართ აღსლვაჲ და თქუმა, ვითარმედ მე მშვა ჰამან, მამა ჩემი პაპმან, აჰა ორნი შობანი და მანვე პაპმან ჩემი ბიძა, აჰა სამთა შობათა სამნი ხარისხნი შეასრულნეს, ვინაჲ ბიძა მესამე ხარისხი არს ჩემდა, ესრეთევე შემდგომთა ზედა ამით კანონითა მძებნელი შეუძლებს ხარისხთა მართლად პოვნესა.

ხოლო დაყენებულთა და უწესოთა ქორწინებათა ესრეთ განვასაზღვრებ:

აღმართთა და შთამართთა და მგურდალთაცა ზედა ვიდრემე განწესებულთა რიცხუთა კიდედ მიწევნამდე ქორწინებაჲ დაყენებულ და უჯერო არს, დაღათუ არა სჯულიერთა ქორწინებათაგან იყვნენ<sup>1</sup> ნათესავობისა რიცხუსა მას შინა.

რამეთუ ვერვინ შეუძლებს თჳსისა მესამისა ჰანისა შერთვასა ვერცა მისისა ნაშობისასა გინა ბუნებითნი იყვნენ, გინა გერობით და მონათლვით და შვილებით, დაღათუ უფროსლა ეგევითარი შვილებულემა<sup>1</sup> და იგნანას განშორებისა [474] სახითა, რამეთუ არცხუნეს უპირატესი პაპისა სახელის-დემა.

და საშუალცა მგურდალთა პირთასა არს დაყენება უწესოთა პირთა, რამეთუ ძმისა ჩემისა გინა თუ დისა ასულისა ქორწინებად მიყვანებაჲ ვერვე ეგების და ვერცა მათთა ნაშობთა, დაღათუ მეო-

<sup>1</sup> შვილებულემა | შვილებაჲ ლ<sup>ბ</sup>ჲ.

თხენი ხარისხნი იყენენ, რომელთა ხარისხთაგან ვერ შეუძლებ  
ქორწინებად მიყვანებასა.

ეგრეთვე ვერცა ასულსა მამის ძმისა ანუ დედის ძმისასა, ესე  
იგი არს დედ-მამის ძმის დის-წულსა ჩემსა, გარნა ვერცა ძე ჩემი  
ნაშობთა მათთაგანსა, რომელნიცა იწოდებიან მრჩობლ მამა-დედის  
ძმად დისწულობ[ა]დ, არამედ ვერცა მამისა გინა დედისა მიერ მამა-  
დედის დაძსა და მისსა ნაშობსა, დაღათუ გერი და სულითა შეი-  
ლებული იყოს, რამეთუ დედისა ადგილი აქუს მას და ვითარ იქმ-  
ნებისა შეილებულისა მამა-დედისა დაჲ ყოუჲჲ, პაპმან ჩემმან მამისა  
მიერ ძედ მამისა ჩემისა მქონემან მოიყვანა ქალი ვინმე შეილებუ-  
ლად და ჩემი მამა ხადოდა მას მამისაგან შეილებულად დად და მე  
მამის დად.

ეგრეთვე ვერცა დედის მამის დისასა უძლებ შერთვასა, ესე  
იგი არს პაპის დისასა, დაღათუ შეილობილი იყოს, ვინაჲთგან პა-  
ნისა ადგილი აქუს.

ხოლო არიან სხუანიცა არა ნათესავობისა წესისა, არამედ  
შეთესებისათჳს ვერ შესაყრელნი, ხოლო თჳსება იგი არს ქორწინე-  
ბათაგან შემოსაკრებელთა<sup>1</sup> პირთა ჩუენდა შეთჳსებაჲ გარეშე ნათესა-  
ვობისა, ვითარ-იგი ვერ უძლებ შერთვასა ჩემისა გერისა ანუ სძლი-  
სასა, და გერ ვიდრეჲ არს სხჳსაგანი ასული და ასულის წული  
მისი და ასულის წულის შეილი ცოლისა ჩემისა.

ხოლო სძალი ძისა და ძის წულისა და ძის წულის შეილის  
ცოლი.

ვერც სიდედრსა ჩემსა გინა მამის წულსა ჩემსა, ვინაჲთგან  
შშობელთა წესი აქუს ამათ და სამართალ არს ესევეითართა ქორ-  
წინებათა დაყოვნებაჲ ეგევეითარისა კრებულებისა<sup>2</sup> მიერ, რომელი  
ღმრთისა შუამდგომელობითა სულთა მათთა შეიხებოდის.

საცნაურ იყავნ, ვითარმედ რომელთა მიერ ღმერთი შეერთე-  
ბის აქუმულთა, ესე იგი არს წმიდისა ნათლისღებისაგან წულთა  
ანუ ქალთა უფროსად, მათნი სულნი შეერთებიან ღმერთსა წმიდი-  
სა ნათლისღებისა მიერ.

ამისთვის არცა ჯერ-არს ქორწინებად მიყვანებაჲ[<sup>v</sup>]ნათ-  
ლულსა, ესე იგი არს სულიერსა ძესა გინა ასულსა არცა ძისათჳს  
არც ძის წულისათჳს, არამედ არცა კჳალად ასულისა არც ასულის  
წულისა თჳსისა წმიდისა ნათლისღებისაგან შენ მიერ აქუმულსა,  
რამეთუ უჯერო არს ესე.

რამეთუ რომელიცა პაპმან აღმოიქჳას, მას ძმის წული მამის  
ძმად სულიერად სახელ-სდებს, დაღათუ შეილებული არს, რამეთუ

<sup>1</sup> შემსკრბლთა. <sup>2</sup> კრბლბისა.

თუცო ჴამისა მისისა ძმაჲ არს, რომლისათუცა დაყენებულ არს ქორწინებაჲ ესევეითართა.

რამეთუ მამისა ვიდრემე აღმოქმული წმიდისა ნათლისღები-საგან სულიერი ასული არს, ხოლო ძისა დაჲ, ხოლო ძის-წულისა მამის დაჲ და მამის ძმაჲ, ვინაჲ უკუე ჯერ-არს განკრძალვაჲ ესე-ვეითართა მზახობათა მიმართ, რაჲთა არა განუკრძალელობითა ბოროტად განმგებელნი საშინელთა სასჯელთა შთაევცვენთ; და ერისკაცნი ვიდრემე ძნელთა კრულობათა შინა საუკუნოდ ეგნენ, ხოლო სამღვდელონი და მღდელთ-მთავარნი ღმრთისაგან და მღდე-ლობისა განკუეთილებასა.

რამეთუ მათ თუსთაებრ, რომელ ზემო ვთქუენით, ვერცა სუ-ლიერი ძე სულიერისა მამისა დედასა გინა დასა მისსა, ანუ ასულსა ძისა მისისასა ქორწინებად უძლებს მიყვანებასა, რაჲთა არა იქმნენ საუკუნეთა კრულობათა და განკუეთთა ქუეშე.

### ამისვე პირისათუხ ხარისხთათუხ ნათესავობისათუხ მესამისაგან წიგნისა ინსტიტუტონთასა

ნათესავობაჲ მშობლობითი სახლი არს, ხოლო განიყოფების სამ დასად: აღმართთამი, ესე იგი არს ჩუენთა შემქმნელთამი; შთა-მართთამი, ესე იგი არს ჩუენთა შობილთამი; ელმობის განთამი, ესე იგი არს მგურდალის განთამი, რომელ არიან მამისა და დედი-საგანთა ძმათა ჩუენთა და მამა-დედისა ძმა-დათამი, და შემდგომი-თი შემდგომად მათგან შობილთამი.

პირველისა ხარისხისა არს: აღმართთა ზედა, ვიდრემე მამა და დედა, ხოლო შთამართთა ზედა ძე და ასული.

ხოლო მეორისა ხარისხისა: აღმართთა ზედა, ვიდრე პაპი და ჰანი; ხოლო შთამართთა ზედა ძის-წული, ასულის წული; ხოლო მგურდალთა ზედა ძმა და დაჲ მამისა და დედისაგან.

მესამისა ხარისხისა არს: აღმართთა ზედა უკუე [წინა] პაპის, წინა ჰანის [475] პირველი; ხოლო შთამართთა ზედა ძის წულის შვილი, ასულის წულის შვილი; ხოლო მგურდალთა ზედა ძმისა და დისა ძე და ასული და შემდგომობით მამა-დედისა მიერი მამა-დედისა ძმაჲ და დაჲ.

მეოთხისა ხარისხისა არს: აღმართთა ზედა, ვიდრე-მე პაპის პაპი, ჰანის ჰანი, ხოლო შთამართთა ზედა ძის წულის

შვილის შვილი, ასულის წული. შვილის შვილი; ხოლო მგურდალთა ზედა ძმისა და დისა თუთეულისა ბუნებისა ძის-წული, ასულის წული და შემდგომობით პაპ-ჰანისა დიდი ძმაჲ, დაჲ მამისა და დედისა მიერი, ესე იგი არს პაპ-ჰანისა ძმისწულ-დისწული, რომელიცა და რომელაჲ<sup>1</sup> ორთა ძმათა თუთეულისა ბუნებისაგან იშვებიან.

მეხუთისა ხარისხისა არს: აღმართთა ზედა, ვიდრემე მრჩობლ პაპი, მრჩობლ ჰანი; ხოლო შთამართთა ზედა მრჩობლ ძის წულის შვილი, მრჩობლ დის-წულის შვილი; ხოლო მგურდალთა ზედა ძმისა და დისა ძისწულობანი და შემდგომობით პაპ-ჰანთა ძმა-დანი მამა-დედისა მისნი, ესე იგი არს წინა პაპისა და წინა ჰანისა ძმანი და დანი, მამისა მიერ გინა დედისა, პაპ-ჰანთა ძმისა გინა დისა ძმაჲ და დაჲ, ესე იგი არს დედისა, დედის ძმისა ანუ დედის მამის ძმისა და დისაჲ ძე და ასული და მამა-დედისა მიერისა დედისა მამა-დედის ძმის წულის შვილნი და დედისა დის-წულის შვილნი.

მეექუსისა ხარისხისა არს: აღმართთა ზედა ვიდრემე მესამე პაპი, მესამე ჰანი; ხოლო შთამართთა ზედა მესამედ ძის წული და მესამე ასულის წულაჲ; ხოლო მგურდალთა ზედა მამისა და დედისა მიერისა ძმისა და დისა ძის წული და ასულის წული და შემდგომობით უდიდესი მამისა და დედისა მიერი ბიძა, ესე იგი არს მესამე პაპისა და მესამე ჰანისა ძმაჲ, გინა დაჲ; ამისვე ხარისხნი არიან მეორეთაცა პაპის ძმათაგან ნაშობნი, რომელნი და რომელაანი<sup>1</sup> არიან, ესე იგი არს პაპისა დიდისა ძმაჲ, დისა და ჰანისა დიდის ძმაჲ, დისაჲ ძე და ასული და ჰან-პაპთა დიდთა ძმაჲ დათა, ძის-წულ ასულის წულნი, და მამისა და დედისა მიერნი ჰან-პაპთა ძმაჲ, დისა ძის წულის შვილი, ასულის წულის შვილი.

არამედ ვინაჲთგან სახედველისა [v] სმენელისა უფროს დასტური არს, შემდგომად მოთხრობისა ამათ ხარისხთასა თუთ თქსაგან ხარისხნიცა იგი აღვწერენით აწსა ამას წიგნსა, რაჲთა, რომელნიცა მიემთხუნენ ამათ სასმენელითაცა და სახედველითა ყოველად სრულსა და უცთომელსა ხარისხთა და საწვეთსა შეემთხუნენ, და ცთომისაგანისა სასჯელისაგან კიდე იყუნენ.

ხოლო ესე არს ხარისხთა ამათ ქცეულებაჲ და დაწერაჲ.

სამნი რიგნი არიან, ვითარცა ვთქუთ, ნათესავობისანი განყოფილნი: აღმართთამი, შთამართთამი, ელმობისა, ესე იგი არს მგურდლისათამი. და უზენაესი ნათესავობაჲ უკუე არს მშობელთა, ხოლო უქუენაესი შვილთა და მგურდლისა ძმათა თუთეულისა ბუნე-

<sup>1</sup> „რლ“აჲ—მდებრობითი სქესის აღსანიშნავად წარმოებული ფორმა.

ზისა და ამათგანისა რომლისაჲცა და რომელაჲსა და შემდგომითი შემდგომად მამისა და დედისა მიმართ მამებისა და დედებისა ძმათა და დათა და მათგან შობადთა ამით შთაწერილისა სახისაებრ ყოვლისავე ძალსა ცხად მყოფლისა.

შეისწავე, თუ ვიეთ უწესნ განწესებანი მოყუსად.

ხოლო მეორე განწესებაჲ პირველისა ნაწილისა ნეარონთასა მოყუსად ეკლესიისა იტყუს ხუცესთა, დიაკონთა, კერძო დიაკონთა, წიგნის მკითხველთა, მგალობელთა; გარნა მეექუსე განწესებაჲ მესამისა ნაწილისა პირველისა წიგნისა კოდიკოჲსთა მათუცებელთაჲცა მოიკსენებს და მეკარეთა.

დუმენინ ყოველ კორცი კაცობრივი და დადგინ შიშით და კრძალულებით და ნურა რასა მსოფლიოსა შურსა იგონებთ, რამეთუ აჰა ესერა შემოვალს მეფე-მეფეთა და უფალი უფლებათა\* ამას წინა უძღვან გუნდნი ანგელოზთანი, მრავალთანი ქერაბინნი და ექუს-ექუს ფრთენი სერაბინნი პირთა თჳსთა მფრინველნი და მლადადებელნი გალობასა ანგელოზებიგსა: «ალილუია», «ალილუია», «ალილუია».

სერობასა მას საშინელსა საიდუმლოჲსა შენისასა დღეს, ძეო ღმრთისაო, ზიარებად შემიწყალე, რაჲთა არა მტერთა შენთა უთხრან საიდუმლოჲ შენი. და არცა ამბორს გიყო ვითარცა იუდა, არამედ მორწმუნე ავაზაკი აღგიარებ და გილაღადებ. მომიკსენე, მკსნელო, სასუფეველსა შენსა.

---

<sup>1</sup> რლ<sup>ა</sup>აჲსა.

\* ქვემო კიდებე სხვა ხელით მიწერილია: „დაკლვად და მიცემად და საქმლად მორწმუნეთა“.





## 54. [172] ძორწინებისა თაჳთათჳს

### თავი 291<sup>1</sup>

ხარისხნი ქორწინებისანი ამაღ ვიდრემე იწოდებიან ხარისხად, რამეთუ ვითარ-იგი კიბეთა ზედა აღვლენ ხარისხად და შთამოვლენ, ეგრეთვე არს ნათესაუობაჲცა ხარისხად.

განიყოფების უკუე ნათესაუობაჲ ხუთ წესად და აღირიციხვის ხუთს ნაწილად.

რომელნიცა ერთისა და მისვე მამისა და ერთისა და მისვე დედისაგან იშვეებიან ორნი ძენი, იქმნებიან ძმა. და ანუ ერთისა მამისა და ორისა დედისაგან იშვეებიან, ესენიცა იწოდებიან ძმად: და ვერ ვინ შემძლებელ არს თქმად, ერთ კერძოჲსა მის ძმისა თვისისა, ვითარმედ ესე არა არს ძმა ჩემი, ვინათგან სხვისა დედისაგან იშუა.

[v] უკუეთუ ორისა მამისა და ერთისა დედისაგან იშვეებიან, ვერცალა მათ ძალუცს თქმად, ვითარმედ არა ვართო ძმა, ვინათგან სხვისა მამისაგან ვართ; არამედ სრულიად ძმანი არიან იგინი, ერთისა და მისვე ანუ მამისა გინა დედისაგან შობილებითა.

ესე უკუე ძმანი არიან თავნი ორნი, და შვილთა ამათთა ეწოდების პროტო-ექსადელფია, ესე იგი პირველნი ბიძაშვილნი, და იქმნებიან თავნი ორნი: ერთი შვილი, მეორე ჩემი ძმა, მესამე ჩემი შვილი და მეოთხე ძმისწული იგი ჩემი. პირველთა ბიძაშვილთაგან იშვეებიან რა ძენი, იწოდებიან დევტერა ექსადელფია, ესე იგი მეორე ბიძაშვილნი, და იქმნებიან თავი ძეექსენი.

ხოლო მეორეთა ამათ ბიძაშვილთაგან, რომელნიცა იშვეებიან, ეწოდების მათ [173] ტრიტა ექსადელფია, ესე იგი მესამე ბიძაშვილნი, და იქმნებიან თავად მერვედ.

### თავი 292

#### განიყოფილება ნათესაობისა

განიყოფების ნათესაობაჲ ხუთად: 1. პირველი არს სისხლისა, 2. მეორე მძახლობისა, 3. მესამე სამ-ნათესაობისა; ესეცა მძახლობითე არს, მაგრა სამ-ნათესაობისაგან იქმნების, [4]. მეოთხე წმიდისა ნათლის-ღებისა და [5]. მეხუთე შვილად ჰელდებულებისა: ესე იგი, რომელიცა სამლოთოთა წერილითა შვილს აღიყვანს და იქმნების შვილი იგი, ვითარცა შობილი მისგან და დაიმკვიდრებს საცხოვრებელსაცა შვილად აღმყვანებელისა თვისისასა.

### თავი 293

#### სისხლისა ნათესაუობისათვის

სისხლისა უკუე ნათესაუობაჲ განიყოფე[v]ების სამად: 1. აღმავალად, 2. შთამომავალად და 3. გვერდ-განმავალად.

<sup>1</sup> +მატესი.

1. აღმავალი არიან: მამა ჩემი, პაპა ჩემი და წინაპარნი ჩემნი, დედა ჩემი, ბებია ჩემი და ბები[ი]ს დედა ჩემი.

2. ხოლო შთამომავალნი: შვილი ჩემი, შვილის-შვილი და სხუანი.

3. და გვერდ-განმავალ არიან, რომელთაგან არცა მე ვარ შვილმათგან და არცა იგინი ჩემგან, გარნა ერთისა ნათესავისაგან ვართ: ესე იგი არს ძმა ჩემი, დაე ჩემი, ბიძაშვილი და ბიძაე ჩემი და სხუანი.

#### თავი 294

### სისხლის ნათესავობისათვის, რომელსა შინა მეშვიდე თავი დაყენებულ არს და არ იქორწინების

სისხლისა ნათესავობისა მეშვიდე [თავი] დაყენებულ[174]ლი არს ყოვლითურთ და არა იქორწინების; და არცალა წერს სჯული შერთუად ვისგანმე თვისისა მეორისა ბიძაშვილისა ასულისა ცოლად. ძუელსა დროსა შინა უკუეთუ იკითხვიდეს ვინ, არა მისცემდენ ქორწინებისა ნებასა.

და უკეთუ ვინ დაფარვით იმოქმედის და შემდგომად სცნობდიან, კანონსა მისცემდიან და დაუტევებდიან.

ხოლო სხუა დაყენებაე არა რაჲმე აქუნდა მაშინ ეკლესიისაგან.

იტყვის სჯული: ვერ ვის ჰელ-ეწიფების შერთუად ცოლად მეორისა ბიძაშვილისა ასულისა და არცა მეორისა ბიძისა ასულისასულისა.

და ვინაჲთგან ფარულად მოქმედებდენ ქორწინებასა ესევეითარსა, კაცთა რომელთამე მოახსენეს კრებასა ყოვლად უწმიდესისა იკუმენიკოს პატრიარხისა უფლისა [v]ლუკასსა, და მაშინ უკუე ბრძანა ყოვლად უწმიდესობამან მისმან კრებითურთ, რათა არღარა იქმნას უსჯულო ესე ქორწინებაე.

და უკეთუ იკადროს ვინ ქმნად ფარულად და ცნან, შემდგომად განაპარონ შეერთებულნი იგი.

და ქორწინებისა მის საიღუმლოესა აღმასრულებელი მღუღელიცა განაყენონ ყოვლისა სამღუდელისა წესისაგან.

ხოლო უკეთუ არა უწყოდა მღღელმან მან და შეაცთუნეს, ნუ განაყენებენ მას მღღუდლობისაგან, გარნა კანონი დასდევანვე.

და რომელთაცა უწყოდენ ქორწინებულთა მათ მეშვიდე თავობაჲ, ვითარმედ არა ჯერ-იყო შერთუად იგინი და მათითა შუამდგომელობითა იქმნა ქორწინებაე იგი, შეაჩვენენ იგინი, ვინაჲთგან სჯულისა გარდამავალ არიან.

დადუა სჯული ესე მისმან ყოვლად უწმიდესობა[175]მან ბრძანებითა და დამტკიცებითა მეფისა უფლისა მან უილ პორფიროვან\* შობილისათა და განემტკიცა სჯული ესე, რათა არავინ მიიყვანოს ცოლად თვისისა მეორისა ბიძიშვილისა ასული, ვითარცა ვთქუთ ზემორე.

ეგრეთვე პატრიარხმან უფალმან ალექსიოს ბრძანა კრებითურთ, რათა არა იქმნას ესე და დაწერა სჯული წელსა ექვსი ათას ხუთას ორმოც და შეექუსესა, 6546.

ვითარმედ ვითარცა აღვირნი არიან ცხენათვის, ეგრეთვე სჯული ჩუენ მართლმადიდებელთა და ქრისტიანეთა. და თანამდებ ვართ, რათა ვყოთ, ვითარცა გვიბრძანებს და განგვიცხადებს.

### თავი 295

**სისხლითისა ნათესავობისათვის, თუ ვითარ შერვე თავი განხსნილ არს ქორწინებისათვის და რაოდენსა თავსა შინა დაიყენების**

[v] სისხლითისა ნათესავობისა შერვე თავი იქმნების ესრეთ: მამამან რაოდენნიცა შენეს შვილნი, ყოველნივე ორს თავად აღირაცხვიან, დალათუ მრავალცა იყვენენ.

ესრეთ ვითარმედ მამამან ჩემმან მშუა მე და არს ერთი ნათესავობა და ერთი თავი.

და შუა ძმაცა ჩემი და იქმნა ორი ნათესაობა და ორი თავი. და რაოდენნიცა შთამომავალ არიან ნათესავობაჲ, ეგოდენად თავად აღირაცხვიან.

[1] 1. ხოლო იხილე ესრეთ, მამამან ჩემმან მშუა მე; და არს ნათესავობა ერთი და თავი ერთი. 2. და ვშევ მე ძე ერთი; და იქმნა ნათესავობა ორი და თავი ორი მამისა ჩემისა თანა. 3. და შვილმანცა ჩემმან შუა ძე; და იქმნა ნათესავობა სამი და თავი სამი. 4. და შვილის-შვილმან ჩემმან შუა კუალად ძე [176], რომელიცა იქმნა ნათესავობა ოთხი და თავი ოთხი.

2. კუალად მამამან ჩემმან შუა ძმა ჩემი, რომელიცა იქმნა ორი ნათესავობა; და მამისა ჩემისა თანა არს თავი ერთი, და ჩემ თანა, რომელიცა ძმა ვარ მისი, იქმნა თავი ორი.

3. ძმამან ჩემმან შუა ძე, რომელ არს ძმისწული ჩემი, რომელი-იგი მამისა თანა თვისისა არს თავი ერთი.

ხოლო ჩემ თანა ვინაჲთგან ბიძა ვარ მისი, იქმნა თავი სამი, ესრეთ ვითარმედ შობა ჩემი ერთი და ძმისა ჩემისა ორი და ძმისწულისა ჩემისა სამი.

\* კიდევჲ გადამწერის ხელით სწერია: „პორფიროვან აზად უკუპ უწოდა ბანუილს, რამეთუ მამაჲან მისმან შობას მისსა პორფიროვან ჰყო ქალაქი, მ. ი. მეწამულითა მოაკრა“.

4. ვშევ მეცა ძე, და არს ძმის-წულისა ჩემისა და შვილისა ჩემისა შობა მეოთხე და თავიცა მეოთხე.

5. კუალად ძმის-წულმან ჩემმან შუა ძე და იქმნა ნათესავობა სამი მამისა თანა მისისა და თავიცა სამი.

ხოლო ჩემ თანა, ბიძისა მისისა, იქმნა ნათესავობა ოთხი და თავიცა ოთხი [v] და შვილისა ჩემისა თანა თავი მეხუთე; და შვილის-შვილისა ჩემისა თანა, რომელიცა მეორე ბიძაშვილი არს მისი, იქმნა თავი მეექვსე.

6. კუალად ძმის-წულისა ჩემისა შვილმან შუა ასული, რომელიცა არს ძმისა ჩემისა თანა თავი მეოთხე და ჩემ თანა მეხუთე და შვილისა ჩემისა თანა მეექვსე.

7. და შვილის-შვილისა ჩუენისა თანა მეშვიდე.

8. ხოლო ჩემის შვილის შვილის-შვილისა თანა, რომელიცა იქმნების მისდა მესამე ბიძაშვილი, იქმნა თავი მერუე.

და ესრეთ იქმნების ქორწინება დაუბრკოლებლად მერვესა თავსა ზედა<sup>1</sup>.

სისხლითი ვიდრემე ნათესავობაჲ მერვედ თავადმდე ჯერ-არს წმიდად დაცუად ყოველთაგან; და რა გარდახდეს მერვესა თავსა გან[177]სხნილ არს და დაუბკოლებელ.

შევირთავ მე ცოლად მესამისა ბიძისა ჩემისა ასულსა თვინიერ ყოვლისა საკანონოჲსა\*, ვითარ-იგი ჩემი ვთქუთ. ეგრეთვე შევირთავ მეორისა ბიძისა ჩემისა ასულის ასულის-ასულსა.

ხოლო მძახლობითი ნათესავობა განხსნილი არს მეშვიდესა თავთა შინა და მეექვსესაცა.

გარნა შვილად სახელდებულებისა და ნათლის-ღებისა, მერვეს თავსა შინა განიხსენების, ვითარცა სისხლითისა ნათესავობისა.

ხოლო ტრიდენია, ესე იგი გერობითი, იქმნების მეხუთესა შინა და მეოთხესაცა.

#### თავი 296

#### ექსანტიისათვის, ესე იგი არს მძახლობითისა ნათესავობისა

სისხლითი უკუე ნათესავობაჲ ადვილ [v] განსარჩეველ არს და ნებითა ღმრთისათა დაიღუა იგი ზემორე.

ხოლო თავნი მძახლობითისანი არიან ძნიად განსარჩევე, და ამისთვის თანამღებ ვართ უფროსად განკრძალვით გამოძიებად,

<sup>1</sup> + იხილენ შეერთებათათვის.

\* კიდებე გადამწერის ხელით სწერია: „იხილე“.

რათა არა მივიღოთ შეცთომილებამ რაიმე, და უსჯულოსა საქმესა ვეზიარნეთ, და საუკუნესა სატანჯველსა მივეცნეთ.

ამისთვის უკუე ვყოთ გამოძიებამ ნამდვილ და რაოდენსაცა შეუნდობდეს სჯული, ვყოთ იგი.

და რომელნიცა ნებსით ყოფენ წინააღმდეგომსა სჯულისასა ქრთამითა, ანუ ნიჭითა, გინა კაცთ მოთნებისათვის, იგინიცა და ცოლ-ქმარნიცა იგი, რომელთაცა სისხლისა აღრევაჲ ქმნეს, შეერთებულნიცა და შუამდგომელნიცა მაკურთხეველისა თანა მათისა ერთბამად მიეცნენ სატანჯველსა, [178] რამეთუ უმეტესად ღრმასა შინა დანახეთქსა შთასცვივიან ნწყემსნი, ამად ვითარმედ უცთომელთ თუალი ღმრთისა ყოველსავე ჰხედავს და ყოველივე უწყის.

ძუელნი მამანი და მოძღვარნი განხსნიდენ მეშვიდესა თავსა, მაგრა ახალთა მეშვიდე დააყენეს და განხსნეს\* მეექვსე, ამად ვითარმედ მეექუსესა თავსა არა აქეს ესოდენ აღრეულება, რაოდენიცაღა აქეს თავსა მეშვიდესა.

1. სჯული დააყენებს კაცსა მას, რომელიცა შეირთავს დედასა და ასულსა\*\*. 2. ანუ ბებიასა და ასულის-ასულსა, 3. ანუ ბებიის დედასა და ასულის ასულის-ასულსა, 4. ანუ კუალად ბებიის ბებიასა და ასულის ასულის-ასულის ასულსა, გინა [v] ცოლის დისა ანუ ცოლის ძმისა ასულსა, გინა ცოლისა მეორისა ბიძისა ასულსა; ამად ვითარმედ არა არს თავი მეშვიდე, ვითარცა აღრიცხვენ ვიეთნიმე.

ცოლი\*\* და ქმარი ერთ ჯორც არიან და ერთსა თავად აღრიცხვიან.

ჰკითხა ვინმე ესე პატრიარქსა ნიკოლოსს და სამღუდელოსა კრებასა მისსა, და არა ინებეს მიცემაჲ შენდობისა და წარსცეს ბრძანებაცა სამეფოჲ და საპატრიარქოჲ, რათა ესევეთარი ქორწინებაჲ არაოდეს იქმნას.

ხოლო მძახლობისა მეშვიდესა შინა თავსა ქორწინებანი და შეერთებანი ჯერ არიან ქმნად, ამად ვითარმედ ერთი ბუნება არს დადება იგი.

ბუნება\*\* არს კაცი ერთი და დადება არს, ვითარცა ქნარცოლნი შეერთებულ არიან [179] ერთ ჯორცობით. ვითარ-იგი

---

\* ხელნაწერის სქოლიოში შენიშვნა: „მრავალს ადგილსა მეექუსე განიხსნების და მეშვიდე დაეყენების და მრავალს ადგილსა მეექვსე დაეყენების და მეშვიდე განიხსნების და მიზეზ ამისა არს აღრევა თათა და აღურეველობა“.

\*\* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: „იხილეთ“.

იტყვის წერილი: შეირთავს ცოლად კაცი ვინმე ცოლისა თვისისა მეორისა ბიძისა ასულსა.

### თავი 297

ბიძისა სახელისათვის, რომელიცა სამათ ითქმის და სამათ განი-  
ყოფების და რომელნიცა იქორწინებიან და რომელნიცა არა

1. ბიძად იწოდების ძმა მამისა ჩემისა და დაჲ მისი; 2. ბიძა დიდი იწოდების პაპისა ჩემისა ძმასა ანუ ბებუისა ჩემისა ძმასა; 3. ხოლო ბიძა მცირე იწოდების მამისა ჩემისა პირველსა ბიძა-შვილსა ანუ დედისა ჩემისა ბიძაშვილსა.

ხოლო მამისა ჩემისა ძმა აღირიცხვის ჩემთან მესამედ თავად. და პაპისა ჩემისა ძმა ანუ ბებუისა ჩემისა აღირიცხვის ჩემთან მეოთხედ თავად.

ხოლო პირველი ბიძაშვილი მამისა ჩემისა არს ჩემ თანა [v] აღრიცხულ მეხუთედ თავად.

1. მამა და ძე ვერ შეირთვენ ცოლად დედასა და ასულსა.

2. მამა ჩემი ვერ შეირთავს ცოლისა ჩემისა ბებუისა.

3. მამა ჩემი ვერ შეირთავს ცოლისა ჩემისა ბებუისა დასა.

4. მამა ჩემი ვერ შეირთავს ცოლისა ჩემისა დასა.

5. მამა ჩემი ვერ შეირთავს ცოლისა ჩემისა მამისა დასა.

6. მამა ჩემი შეირთავს ცოლად ცოლისა ჩემისა დედის ბიძა-შვილსა, და ესევეთარი ქორწინება შენდობილი არს.

7. მამა ჩემი ვერ შეირთავს ცოლისა ჩემისა მეორისა ბიძისა ასულსა.

და ამისთვის უკუე მივეცი თ შენდობა. ბრძანებს ს[180]ჯული, რათა შეირთოს ძემან ქალი ერთი და მამამან მისმან შეირთოს თვისისა მის ძისა სიდედრისა ბიძაშვილი, ამად ვითარმედ აქვსთ მათ კუალად მამა-შვილობისა ადგილი.

და ოდესცა მამამან და შვილმან ორნი ბიძაშვილნი შეირთონ, ნაცულად მამა-შვილობისა თანა სიძე იქმნებიან, და ამისთვის დაა-ყენებს სჯული.

მამისა და შვილისა სახელნი არა აღირევიან, ოდესცა შვილი შეირთავს ქალსა ვისმე და მამა შეირთავს თვისისა მის ძისა სი-დედრისა ბიძაშვილსა. მაგრა უკეთუ შეირთვენ ორსა ბიძაშვილსა აღირევიან, ვითარ იგი ვთქუთ ზემორე, ნაცულად მამა-შვილობისა თანა სიძე იქმნებიან და ამისთვის არა ჯერ-არს.

და რომელსაცა ზედა თავსა სახელები აღირეო[v]დენ, მა-შინ უკვე დაეყენების ქორწინება იგი.

და უკეთუ ვინმე ფარულად იქმენ, განდგომილ იქმნებიან სჯულისაგან.

ესეცა ესრეთ ჯერ-არს\* ყოფად: უკეთუ მამამან შვილის სი-  
დედრისა ბიძაშვილი შეირთოს და შეილმან ასული, ჯერ-არს.

და უკეთუ შეილმან თვისისა მამისა სიდედრისა ბიძაშვილი  
შეირთოს, ესე არა ჯერ-არს, ამისთვის ვითარმედ შორის ამათსა  
აღირევიან სახელნი, მამა შეილად იქმნების და შვილი მამად.

მამა და შვილი ვერ შეირთვენ ცოლად ძმის წულსა და მამის  
დასა.

### პაპისა და შვილის-შვილთათვის

1. ვერცალა პაპა შეირთავს შვილის-შვილისა თვისისა სი-  
დედრსა.

2. კულად პაპა ვერ შეირთავს შვილის-შვილისა თვისი[181]-  
სა სიდედრისა დედასა.

3. ვერცალა შეირთავს პაპა შვილის-შვილისა თვისისა სიდედ-  
რისა ბებისა.

4. პაპა ვერ შეირთავს შვილის-შვილისა თვისისა ცოლის  
დასა.

5. პაპა ვერ შეირთავს შვილის-შვილისა თვისისა ცოლის პა-  
პის დასა.

6. ხოლო პაპა და შვილის-შვილი შეირთვენ მამის დასა და  
ძმის წულსა.

7. პაპა და შვილის-შვილი ვერ შეირთვენ ორთა პირველთა  
ბიძაშვილთა.

8. და ვერცა პაპის მამა და შვილის-შვილის შვილი შეირთ-  
ვენ ორთა პირველთა ბიძაშვილთა.

9. ხოლო პაპის მამა და შვილის შვილის-შვილი შეირთვენ ბე-  
ბის დედასა და შვილის შვილის-შვილსა.

მე შევირთავ ქალსა ვისმე და პაპისა ჩემისა მამა შეირთავს  
ცოლისა მის ჩემისა ბებისა დედასა\*.

[v] 10. პაპისა ჩემისა მამა შეირთავს ცოლისა ჩემისა მა-  
მის დასა.

### ორთა ძმათათხ

1. ორნი ძმანი ვერ შეირთვენ ორთა დათა.

2. ორნი ძმანი ვერ შეირთვენ ძმის ასულსა და წამის დასა.

\* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: „იხილე“.

3. ორნი ძმანი ვერ შეირთვენ ორთა პირველთა ბიძაშვილთა.
4. ორნი ძმანი შეირთვენ ასულსა და სიდედრის ბიძაშვილსა.
5. ორნი ძმანი შეირთვენ ორთა მეორეთა ბიძაშვილთა.
6. ორნი ძმანი ვერ შეირთვენ დედასა და ასულსა.
7. ორნი ძმანი ვერ შეირთვენ ასულის ასულსა და ბებიასა.
8. ორნი ძმანი ვერ შეირთვენ ასულის ასულ[182]ის-ასულსა და ბებუის დედასა.
9. ორნი ძმანი ვერ შეირთვენ პაპის დასა და ძმისწულის ასულსა.

### ბიძისა და ძმისწულისათვის

1. ბიძა და ძმისწული შეირთვენ მამის დასა და ძმის ასულსა. მაგრა უკეთუ ბიძამან მამის და შეირთოს, და ძმისწულმან ძმის ასული, ჯერ არს.

ხოლო უკეთუ ბიძამან ძმის ასული შეირთოს და ძმისწულმან მამიდა, არა ჯერ-არს, ამად ვითარმედ აღირევიან სახელნი: ბიძა ძმისწულად შეირაცხება და ძმისწული ბიძად.

ბრძანებს დიდი ვასილი: რომელსაცა შინა ხარისხსა სახელნი აღირევიან, ქორწინება იგი უჯერო-არს და არა ჯერ-არს.

2. ბიძა და ძმისწული შეირთვენ ორთა [v] პირველთა ბიძაშვილთა დაუბრკოლებლად.

3. ორნი პირველნი ბიძაშვილნი შეირთვენ ორთა პირველთა ბიძაშვილთა.

### თავი 298

#### სამ-ნათესაობისათვის

ვთქუათ\* აწ უკვე სამ-ნათესაობისათვის. სამ-ნათესაობაჲ მძახლობითვე არს, მაგრა სამისა ნათესავისაგან იქმნების: 1. ერთი ნათესავი მე ვარ, 2. სხუა ნათესავი არს ცოლი ჩემი, 3. და სხუა ნათესავი არს ცოლის ძმისა ჩემისა ცოლი.

1. უკეთუ მოკუდების ცოლი ჩემი, შევირთავ მე ცოლის ძმისა ჩემისა ცოლის დასა დაუბრკოლებლად.

2. ხოლო უკეთუ მოკუდეს ცოლისძმა ჩემი, ვერ შევირთავ მე ცოლსა მისსა, გარნა ძმა [183] ჩემი შეირთავს.

3. უკეთუ მყვანდეს მე გერი ქალი და მოკუდეს, შევირთავ მე ძმისა ჩემისა გერის ცოლსა.

\* კიდებუ გადამწერის ხელით სწერია: „იხილეთ“.



4. დედის ნაცვალსა ვისსამე ოდეს მოუკუდეს ქმარი, და დედის ნაცვალსა მას ჰყუეს გერად ქალი, და მოკუდეს გერი იგი, ვერ შეირთავს ქმრად თვისისა მის მომკუდრისა გერისა ქმარსა.

5. უკეთუ მოკუდების ცოლი ჩემი, შევირთავ მე ცოლად მომკუდრისა მის ცოლისა ჩემისა ბიძის ცოლსა.

6. კუალად შევირთავ ცოლის ძმისა ჩემისა გერსა.

7. მე მივეც და ჩემი კაცსა ვისმე ცოლად, სიძისა მის ჩემისა ძმის ცოლი მერგების მე ცოლად.

8. კუალად მივეც ასული ჩემი კაცსა ვისმე ცოლად, და სიძემან მან ჩემმან ძმისათვის [v] თვისისა ითხოვა ქალი ცოლად. ოდესცა მოკუდეს სიძისა ძმა ჩემი და მომკუდეს მეცა ცოლი, არა მერგების მე სიძის ძმისა ჩემისა ცოლი.

9. არამედ და სიძის ძმისა ჩემისა ცოლისა ძომეცემის მე დაუბრკოლებელად.

10. და ესეცა ჯერ-არს: უკეთუ ორთა ძმათა\* ერთსა ჰყვანდეს ცოლის ძმა და მეორესა ცოლის და, მიეცემიან იგინი ერთი ერთსა ცოლ-ქმრად.

იტყვის ბრძანება პატრიარხისა ლეონისა და პატრიარხისა არსენისა, რათა შეირთევდენ ორნი ძმანი დაუბრკოლებელად სძალ-მულსა.

ჰყავს ძმისა ჩემისა ასულსა ქმარი. უკეთუ მოკუდეს ასული იგი ძმისა ჩემისა, ქმარი მისი და მე შევირთავთ ორთა დათა.

[184] ხოლო ბრძანება პატრიარხისა მიხაილისა იტყვის: ასული ჩემი, პირველისა ცოლისაგან შობილი, და მეორისა ცოლისა ჩემისა ძმის ასული შეირთვენ ორთა ძმათა.

სიძე და ცოლისძმა შეირთვენ ორთა პირველთა ბიძაშვილთა.

11. ხოლო განჩინება პატრიარხისა სტიპისა აღმოჩინებს შერთვასა სიძისა და ცოლის ძმისაგან ორთა დათასა.

#### თავი 299

შვილად სახელის-დებისათვის ნათესავობისა, რომელიც არსა ესრეთ: რამეთუ აღიყვანენ შვილსა სხვისასა და შვილად თვისად დააწესებენ ეკლესიურითა ლოცვითა და განგებითა. ამისი უკუე ბრძანება სჯულისაგან, თუ რაოდენსა თავსა შინა ჯერ-არს მეთულეობა და რაოდენსა შინა დაიყენების

[v] შვილად სახელისდებასა ჰყოფენ ვიეთნიმე, რომელთაცა არა ჰყავსთ შვილი, ზოგნი ვიეთნიმე უშვილო არიან და ბერწ, და ზოგთა ვიეთთამე ეშვისთ, მაგრა მოუკუდებისთ და დაშთებიან უშვილოდ. და საწყალობელნი იგი ესევეთარნი მშობელნი აღიყვანენ

\* კიდევ გადამწერის ხელით სწერია: „იბილჷ“.

შვილსა სხუათასა, და შვილად თვისად დააწესებენ. და იქმნებიან ესევეთარნი შვილნი, ვითარცა ჯორციელად შობილნი შვილ ამათ-და. ნათესაობათაჲცა შორის და თაობათა შინა ეგრეთ აღირაცხვიან და მემკვიდროებასაცა მსგავსადვე მიიღებენ ყოვლითურთ.

ბრძანებს სჯული: ვერ შევირთავ მე ცოლად პაპისაგან ჩემისა აღყვანილსა სულიერსა ასულსა, ამად ვითარმედ მამისა ჩემისა სულიერი და არს იგი.

[185] ვერ შევირთავ ცოლად ჩემგან აღყვანილსა შვილისა ასულსა. და ვერცაღა ჩემგან აღყვანილი იგი შვილი შეირთავს ცოლსა ჩემსა, რამეთუ სულიერი დედა არს მისი.

ბრძანებს მეოცე ნებარა მეფისა ლეონ ბრძენისა, ვითარმედ ვერ ვინ შემძლებელ არს, რათა მისცეს ასული თვისი ცოლად აღყვანილსა შვილსა თვისსა, ამად ვითარმედ არიან იგინი და-ძმანი სულიერნი.

ესე უწყოდეთ, რამეთუ სხვათა შინა დროთა, რომელთაცა ენების აღყვანება შვილად, თვინიერ ლოცვისა და საღმრთოჲსა ექლესიურისა განგებისა აღიყვანდიან მხოლოდ სიტყვით ოდენ.

ხოლო აწ, რომელთაცა ენებოსთ აღყვანაჲ სულიერისა შვილისაჲ, ჯერ-არს მათდა, რათა საღმრთოთა ლიტურღითა და განგებითა და წმიდითა წერ[ვ]ილთა აღიყუანონ. და იქმნებიან აღმყვანებულნი ყრმისა მის ნამდვილ მშობელნი, ხოლო ყრმაჲცა იგი იქმნების ნამდვილ შვილ მათდა.

და ესრეთ, უკეთუ შვნენ მათ ჯორციელნიცა შვილნი, სულიერსა მას შვილსა ვერ მისცემენ მათ ცოლად ვიდრე მერვედ თავადმდე.

ნათესავობაჲ შვილად სახელდებულისა აღირიცხვის ვიდრე მერვედ თავადმდე, ვითარცა ნათლის-ღებისა აღმავალთა მხოლოდ და შთამომავალთა\*.

ხოლო გვერდ-განმავალთა თანა არა აქვს ნათესავობაჲ რაჲმე, რომელ არიან ძმანი, დანი და სხუანი.

აღყვანილი ჩემგან სულიერი შვილი და შვილი ძმისა ჩემისა მიეცემიან ერთერთსა ცოლ-ქმრად.

უწყოდეთ უკუე ესეცა, რამეთუ მონაზონნიცა [186] და ქალწულნი აღიყვანენ სულიერსა შვილსა; და ესენიცა იქმნებიან სული-

---

\* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: „იხილუ“.

ერთა დედათა მათთა, გინა მამათა მემკვიდრენი, თვინიერ ყოვლისა ცილობისა და მსჯავრისა ბრძანებისაებრ მეოცისა ნეარისა<sup>1</sup> მეფისა ლეონ ბრძენისა.

### თავი 300

#### ნათლის-ღებისა ნათესავობისათვის

წმიდა ნათლის-ღება არს შობა საღმრთო და სულისა განახლება; და რომელნიცა აღმოშვას ჩჩვილი წმიდისაგან ემბაზისა, იქმნების ჩჩვილისა მის სულიერი მამა და ჩჩვილისა მის აღმოქმეული უფროსლა ნათესავი არს ჯორციელისაგან მამისა მისისა; და შუამდგომელობითა ყოვლად წმიდისა სულისათა აღმოქმეული იგი მისი იქმნების ძმა აღმოქმეულისა თვისისა მამისა ჯორციელისა;

[v] და აღირიცხებებიან ჯორციელი იგი მამა და სულიერი მამა თავად ორად, ვინაჲთგან ცმა არს მისი.

ხოლო ჩჩვილისა თანა აღირიცხების სულიერი მამა ჩჩვილისა ერთად თავად. და რაოდენნიცა ჩჩვილნი აღმოექუას, ანუ კუალად აღმოქუას, იგინიცა ერთს თავად აღირიცხვიან მის თანა.

ხოლო აღმოქმეულისა მის ძმანი აღირიცხვიან მის თანა სამად თავად, ვითარცა იმისწულნი მისნი, ვინაჲთგან ნათლის მამა იგი ცმა არს სულიერი მამისა მათისა, და მომნათლავისა მის შვილნი მისთა ნათლულთა თანა აღირიცხვიან ორს თავად.

მე ვარ მამა შვილთა ჩემთა, რომელნიმე ვშეენ\* ჯორციელად კაცობრივ და რომელნიმე სულიერად წმიდისაგან ემბაზისა; და ჩემნი ესე სულიერნი შვილნი და ჯორციელნი [187] აღირიცხვიან ორს თავად.

ხოლო სხუანი იგი შვილნი ნათლის მამისა ჩემისანი, რომელნიცა მე არა მომინათლავენ, აღირიცხვიან ჯორციელად შობილთა შვილთა ჩემთა თანა მეოთხედ თავად, ვითარცა ორთა ძმათა შვილნი, რომელთაცა ეწოდების პროტა ექსადელფია; ესე იგი არს: პირველი ბიძაშვილი.

და მისგან შთამოსრულნი აღირიცხვიან, ვითარცა სისხლისათისა ნათესავობისანი ვიდრე მერვედ თავადმდე. და დაყენებულ არს ჯორწინება ამათი ვიდრე არა გარდაჰხდეს მერვესა თავსა.

რამეთუ იტყვის ოც და მეთასამეტე (33) კანონი მეექვსისა კრებისა, ვითარმედ: უდიდეს არს ნათლიობითი ნათესავობა სისხლისათისაგან ნათესავობისა.

<sup>1</sup> ნეარისა.

\* კიდევზე გადამწერის ხელით სწერია: „იხილეთ“.

და ვინათგან კანონისაგან და სჯულისა ესრეთ გვებრძანების, მაშასადაჲ, თანამდებ ვართ [v], რათა უფროსლა ქმრად დავი-  
მარხოთ და განვექაცრნეთ, რათა მერვედ თავადმდე არა ვყოთ  
შეერთებაჲ.

და ოდესცა განსრულდეს მერვე თავი, განხსნილ იქმნების  
ესეცა ვითარცა სისხლითი ნათესაეობაჲ და შვილად სახელდებისა.  
რამეთუ ესეცა ერთსა პირსა ზედა აღირიცხვის აღმავალთა და  
შთაპომავალთა ოდენ.

ხოლო გვერდ-განმავალთათვის არა აღირიცხვის და დაუბრ-  
კოლებელად შემოვლენ ქორწინებასა შინა.

ძმისწული\* ჩემი ჩემგან აღმოქმულსა ნათლულსა ქალსა შე-  
ერთავს ცოლად, ეგრეთვე მეცა შევიერთავ ცოლად ნათლის მამისა  
ჩემისა დასა.

ხოლო რომელმანცა შვილი თვისი მონათლოს, თანა-აძს მას  
დატევებაჲ ცოლისა თვისისაჲ, ამაღ ვითარმედ და იქმნა მისდა  
სულიერი ცოლი [188] მისი აღმოშობითა შვილისა თვისისათა; და  
ესრეთ არღარა ჯერ-არს ცოლ-ქმრობა მათი.

### თავი 301

#### უმათათვის, რომელნიცა აღმოქუმენ წმიდისაგან ემბაზისა სვიმეონ თესალონიკელისა

არიან ორნი ვინმე კაცნი, რომელთაცა შორის არა არს ნა-  
თესაეობაჲ რაჲმე, უკეთუ შვილნი მათნი ერთმან და მანვე კაცმან  
მონათლოს, არღარა მიეცემიან იგინი ცოლ-ქმრად ერთიერთსა.

ესრეთ, ვითარმედ შვილი ჩემი მონათლა კაცმან ვინმე, და  
შვილისა მის ჩემისა მომნათლველსა კაცსა სხვისაცა ვისიმე კაცისა  
მოუნათლავს შვილი ორნი ესე, ვინათგან ერთისა კაცისა მონათ-  
ლულ არიან, არღარა ეგების ცოლ-ქმრობა მათი, რამეთუ ერთისა  
სულიერისაგან მამისა აღმოშობილ არიან წმიდისა ემბაზისაგან.

### [v] თავი 302

ნათელ-ღებულისათვის, ვითარმედ არა აღირაცხების და ვერცაღა  
დაიმკვიდრებს თვისისა ემბაზით აღმომშობელისა სამკვიდრებელ-  
სა, უკეთუ არა აღყვანილ იქმნა მის მიერ შვილად

ნათესაეობა წმიდისა ნათლის-ღებისა არა შემოვალს მემკვიდ-  
რეობით, ვითარცა სისხლითისა ნათესაეობისა და შვილად სახელ-

\* კიდევუ გადაწყერის ხელით სწერია: „იზილუ“.

დებულებითისა არს შემოსრულ, არამედ მხოლოდ თავებად აღი-  
რიცხვის ქორწინებისათვის ოდენ. ესრეთ ვიდრემდის მერვესა თავ-  
სა არა გარდაჰხდეს, ვერ შემოვლენ ქორწინებად, და ესეცა მხო-  
ლოდ შთამომავალთათვის და აღმავალთა.

### თავი 303

**განთავისუფლებულისა მონისათვის, ვითარმედ ვერ შეირთავს  
ცოლად დედოფალსა თვისსა**

განთავისუფლებული მონა ვერ შემძლე[189]ბელ არს შერთვად  
ცოლად ცოლსა უფლისა თვისისასა შემდგომად სიკუდულისა უფ-  
ლისა თვისისა, დაღაცათუ ენებოს-ცა დედოფალსა მისსა, აზად რო-  
მელ სხუათა კაცთა იჰვი არა შეუხდესთ დროსა უფლისა მისისასა  
კაცისა მის და დედოფლისა მისისა მეძაფობისა.

### თავი 304

**თვის ვითარ არა ჯერ-არს შერთვა ცოლად ვეკილისაგან ქალი,  
უფალი მონაგებთა**

დაშთების რა უჰასაკო ვინმე ობლად, და ანუ იგი და გინა  
შონათესავე ვინმე მისი იქმს დადგინებასა კაცისა ვისსამე ზედა-  
მხედველად და ნაქონებისაცა მისსა მიანდობს მას, რომელსაცა  
ეწოდების ეპიტროპოს. ესე ეპიტროპოსი ვერ შეირთავს თვით, და  
ვერცალა შვილსა თვისსა შეჰრთავს ობოლსა მას უფალსა მონაგებ-  
თასა, ვიდრე არა განთავისუფლდეს ეპიტროპოსობისაგან მი-  
სისა.

რამეთუ აღსრულდების რა ოც და ხუთი წელი, მოვალს უჰა-  
საკო იგი უფალი მონაგებთა ჰასაკად, და შემდგომად ოც და ხუ-  
თისა წლისა შემძლებელ იქმნების მოკითხვად საქონლისა თვისისა  
ოთხთა შინა წელთა, რომლისა შორის შეიქმნებიან წელნი ოცდა  
ცხრანი, და ოცდა მეათესა წელსა განთავისუფლების ეპიტროპოსი  
იგი. და შემდგომად-ღა ოცდა ათისა წლისა უკეთუ ჰნებავსთ, ორ-  
თავე შეირთავს ცოლად ქალსა მას საეპიტროპოსოსა თვისისასა.

ხოლო დედასა მის ქალისასა აქვს უკუე უფლება, რათა შე-  
ირთოს ქმრად თვისისა ასულისა ეპიტროპოსი პირველ ოც და  
ათისა-ცა წლისა..

**სასყიდლისა დადგინებულთათვის, თუ ვითარ [190] ვერ  
შეირთვენ დედოფალსა თვისსა**

სასყიდლით დადგინებულთა არა აქუსთ ჯელმწიფება, რათა შეირთონ ცოლად დედოფალნი თვისნი, რათა არა იკენეულ იქმნენ მათ ზედა, ვითარმედ შეძავობდენო პირველ ესენი, და აწ იქორწინეს.

**მროკველთათვის და მომღერალთა**

მროკველთა და მომღერალთა არა აქუნ ჯელმწიფება, რათა შეირთონ ცოლად სილკლიტიკოსთა კაცთა ცოლნი, გინა ასულნი. და არღაცა შეილნი მომღერალთა და მროკველთანი მიიყვანონ მათ მათდა ცოლად, რამეთუ უბატოება არს მათი, და ბრძანებს სჯული, არა თუ ნხოლოდ ეკლესიურთა სჯულთათვის ოდენ ღვწისა, არამედ საეროთათვისცა.

**კაცმან ვინმე, უკეთუ იმრუშოს რომლისამე დედაკაცისა თანა,  
თუ ვითარ ვერ შეირთავს დედის ნაცვალსა მისსა**

კაცმან რომელმანმე უკეთუ იმრუშოს დედაკაცისა ვისთანანმე, ვერღარა შეირთავს მემრუშისა მის დედაკაცისა დედის ნაცვალსა, არამედ შეირთავს მეორესა ბიძაშვილსა მისსა.

**55. [მაგალითნი ძორწინებისანი]**

[191] აჰა მაგალითნიცა ქორწინებისანი, რომელნიცა დასახნა უბრძნესმან და უსიტყვიერესმან დიდმან ხარტოფილაქსმან, ესე იგი წიგნთა მცუელმან, უწმიდესისა ქრისტეს დიდისა ეკლესიისა კოსტანტინუპოლისმან იერო დიაკონთა შორის უპირველესმან მან უილქსანთინოს.

1. ვერვინ შემძლებელ არს შერთუად ცოლად დისა თვისისა.

პეტრე მამა არს

და-მმანი

გიორგი

მარია.

თავი 2. არა ჯერ-არს.

3. ვერვინ შემძლებელ არს შერთვად ძმის წულისა გინა დის წულისა თვისისა

პეტრე მამა არს  
და-ძმანი

გიორგი მარია  
ირინე

თავი 3. არა ჯერ-არს.

[V.] 4. ვერვინ შემძლებელ არს შერთვად პირველისა ბიძაშვილისა თვისისა

პეტრე მამა არს

გიორგი ძმანი იოანე  
თომა 1 ბიძაშვილნი მარია

თავი 4. არა ჯერ-არს.

5. ვერვინ შემძლებელ არს შერთვად პირველისა ბიძაშვილისა თვისისა ასულისა

გიორგი ძმანი იოანე  
თომა 1 ბიძაშვილნი ემმანუილ  
ირინე

თავი 5. არა ჯერ-არს.

6. ვერვინ შემძლებელ არს შერთვად მეორისა ბიძაშვილისა თვისისა

პეტრე მამა არს

გიორგი ძმანი იოანე  
თომა 1 ბიძაშვილნი ემმანუილ  
დიმიტრი 2 ბიძაშვილნი ანნა<sup>1</sup>

თავი 6. არა ჯერ-არს.

[192] 7. ვერვინ შემძლებელ არს შერთვად მეორისა ბიძაშვილისა თვისისა ასულისა

პეტრე მამა არს

გიორგი ძმანი იოანე  
თომა 1 ბიძაშვილნი თეოდორე  
დიმიტრი 2 ბიძაშვილნი მარია  
ირინე

თავი 7. არა ჯერ-არს.

<sup>1</sup> აანნა.

8. ყოველნივე შეირთვენ მესამესა ბიძაშვილსა თვისსა

პეტრე მამა არს

გიორგი	ძმანი	იოანე
თომა	1 ბიძაშვილნი	ემმანუილ
დიმიტრი	2 ბიძაშვილნი	თეოდორე
ალექსი	3 ბიძაშვილნი	ირინე

თავი 8. ჯერ-არს.

ვიდრე აქამომდე არს სისხლით ნათესავობა შეკრულ.

ორნათესაობისა მაგალითნი

1. ვერვინ შემძლებელ არს, რათა შეირთოს დედა და ასული

პეტრე	მარია
	ირინე

თავი 2. არა ჯერ-არს.

[v] 2. ვერვინ შემძლებელ არს, რათა შე[ე]ირთოს ბებია და ასულის ასული

პეტრე	მარია
	ირინე
	ანნა

თავი 3. არა ჯერ-არს

3. ვერვინ შემძლებელ არს, რათა შეირთოს ბები[ი]ს დედა და ასულის ასულის ასული

პეტრე	მარია
	ირინე
	ანნა
	თეოდორა

თავი 4. არა ჯერ-არს

4. ვერვინ შემძლებელ არს, რათა შეირთოს ბები[ი]ს ბებია და ასულის ასულის ასულის ასული

პეტრე	მარია
	ირინე
	ანნა
	თეოდორა
	ელენე

თავი 5. არა ჯერ-არს.



ვერვინ შემძლებელ არს, რათა შეირთონ ორნი დანი

პეტრე მარია დანი თეოდორა

თავი 2. არა ჯერ-არს

ვერვინ შემძლებელ არს, რათა შეირთოს ბებიის დედა და დის წულის ასული

პეტრე მარია დანი თეოდორა

ირინე  
ანა

თავი 4. არა ჯერ-არს.

[193] ვერვინ შემძლებელ არს, რათა შეირთოს ორნი ძმათა შეილნი გინა დათა შეილნი

პეტრე მარია დანი თეოდორა

თავი 4. არა ჯერ-არს.

ვერვინ შემძლებელ არს, რათა შეირთოს ბიძაშვილი და ბიძაშვილის ასული

პეტრე მარია თეოდორა

თავი 5. არა ჯერ-არს.

ვერვინ შემძლებელ არს, რათა შეირთოს ორნი მეორენი ბიძაშვილნი

პეტრე მარია თეოდორა

თავი 6. არა ჯერ-არს.

შემძლებელ არიან, რათა შეირთონ ცოლისა თვისისა მეორისა ბიძაშვილისა ასული

პეტრე მარია თეოდორა

თავი 7. ჯერ-არს.

[v] მამა-ძისათვის

1. მამა და ძე ვერ შეირთვენ დედასა და ასულსა

პეტრე მარია  
იოანე თეოდორა

თავი 2. არა ჯერ-არს.

2. მამა და ძე ვერ შეირთვენ ბეზიასა და ასულის ასულსა

პეტრე მარია  
იოანე თეოდორა  
ანნა

თავი 3. არა ჯერ-არს.

3. მამა და ძე ვერ შეირთვენ ბიძის დედასა და ასულის ასულისა ასულსა

პეტრე მარია  
იოანე თეოდორა  
ანნა  
ირინე

თავი 4. არა ჯერ-არს.

მამა და ძე ვერ შეირთვენ ბეზიის ბეზიასა და ასულის ასულის ასულისა ასულსა

პეტრე მარია  
იოანე თეოდორა  
ანნა  
ირინე  
ელენე

თავი 5. არა ჯერ-არს.

[194] 4. მამა და ძე ვერ შეირთვენ ორთა დათა

პეტრე მარ [ი] ა დანი თეოდორა  
იოანე

თავი 3. არა ჯერ-არს.

5. მამა და ძე ვერ შეირთვენ მამის დასა და ძმის ასულსა

პეტრე მარია დანი თეოდორა  
იოანე ირინე

თავი 4. არა ჯერ-არს.

მამა და ძე ვერ შეირთვენ ორთა პირველთა ბიძაშვილთა

1 ბიძაშვილნი  
პეტრე მარია ანნა  
იოანე

თავი 5. არა ჯერ-არს.

6. მამა და ძე ვერ შეირთვენ ბიძაშვილსა და ბიძაშვილის შვილსა

1 ბიძაშვილნი  
პეტრე მარია ანნა  
იოანე ირინე

თავი 6. არა ჯერ-არს.

მამა და ძე ვერ შეირთვენ ბებიადასა და დისწულის ასულსა

პეტრე	მარია	დანი	თეოდორა
იოანე			ირინე
			ანნა

თავი 5. არა ჯერ-არს.

[V] პაპისა და შვილის შვილთათვის

1. პაპა და შვილისშვილი ვერ შეირთვენ დედასა და ასულსა

პეტრე	მარია
იოანე	ირინე
გიორგი	

თავი 3. არა ჯერ-არს.

2. პაპა და შვილისშვილი ვერ შეირთვენ ბებიადასა და ასულის ასულსა

პეტრე	მარია
იოანე	ირინე
გიორგი	ანნა

თავი 4. არა ჯერ-არს.

3. პაპა და შვილისშვილი ვერ შეირთვენ ბებიის დედასა და ასულის ასულის ასულსა

პეტრე	მარია
იოანე	ირინე
იორგი	ანნა
	თეოდორა

თავი 5. არა ჯერ-არს.

4. პაპა და შვილისშვილი ვერ შეირთვენ ორთა დათა

პეტრე	მარია	დანი	თეოდორა
იოანე			
გიორგი			

თავი 4. არა ჯერ-არს.

[195] პაპა და შვილისშვილი ვერ შეირთვენ ორთა პირველთა ბიძაშვილთა

1 ბიძაშვილნი

პეტრე	მარია	თეოდორა
იოანე		
გიორგი		

თავი 6. არა ჯერ-არს.

5. პაპა და შვილისშვილი ვერ შეირთვენ დედის დასა და დის ასულსა.

პეტრე	მარია	დანი	ელენე
იოანე			ანნა
გიორგი			

თავი 5. არა ჯერ-არს.

6. პაპა და შვილისშვილი. შეირთვენ მამის დასა და ძმის ასულსა.

პეტრე	მარია	დანი	ელენე
იოანე			ანნა
გიორგი			

თავი 6. ჯერ-არს, გარნა რიღობით.

პაპა და შვილისშვილი შეირთვენ ბიძას-შვილის შვილთა და დედის ბიძაშვილთა

1 ბიძაშვილნი

პეტრე	მარია	თეოდორა
იოანე		ანნა
გიორგი		

თავი 6. ჯერ-არს

[V] 7. პაპა და შვილისშვილი ვერ შეირთვენ პირველთა ბიძაშვილთა.

1 ბიძაშვილნი

პეტრე	მარია	ელენე
იოანე		
გიორგი		

თავი 7. არა ჯერ-არს.

8. პაპის მამა და შვილის შვილის შვილი ვერ შეირთვენ ორთა პირველთა ბიძაშვილთა

1 ბიძაშვილნი

პეტრე	მარია	ანნა
იოანე		
გიორგი		
თეოდორე		

თავი 7. არა ჯერ-არს.

9. პაპის მამა და შვილის შვილის შვილი შეირთვენ ბიძის-დედასა და შვილის შვილის შვილსა

პეტრე	მარია
იოანე	ირინე
გიორგი	თეოდორა
თეოდორე	ანნა

თავი 6. ჯერ-არს.

პაპის მამა და შვილის შვილის შვილი ვერ შეირთვენ ორთა დათა

პეტრე თეოდორა დანი ირინე  
იოანე  
გიორგი  
თეოდორე

თავი 5. არა ჯერ-არს.

[196] 10. პაპის მამა და შვილის შვილის შვილი შეირთვენ დედის დასა და დის ასულსა

პეტრე მარია დანი ირინე  
იოანე ანნა  
გიორგი  
თეოდორე

თავი 6. ჯერ-არს

ორთა ძმათათვის

1. ორნი ძმანი ვერ შეირთვენ ორთა დათა

ძმანი დანი  
პეტრე პავლე მარია თეოდორა  
თავი 4. არა ჯერ-არს.

2. ორნი ძმანი ვერ შეირთვენ მამის დასა და ძმის ასულსა, გინა დედის დასა და დის ასულსა

ძმანი დანი  
პეტრე პავლე მარია თეოდორა  
ირინე

თავი 5. არა ჯერ-არს.

3. ორნი ძმანი ვერ შეირთვენ ორთა პარველთა ბიძაშვილთა

ძმანი დანი  
პეტრე პავლე მარია თეოდორა  
თავი 6. არა ჯერ-არს.

[V] 4. ორნი ძმანი შეირთვენ დედის ბიძაშვილსა და ბიძაშვილის ასულსა

ძმანი 1 ბიძაშვილნი  
პეტრე პავლე მარია თეოდორა  
თავი 7. ჯერ-არს.

5. ორნი ძმანი შეირთვენ ორთა მეორეთა ბიძაშვილთა

ძმანი 2 ბიძაშვილნი  
პეტრე პავლე მარია თეოდორა  
თავი 8. ჯერ-არს

6. ორნი ძმანი ვერ შეირთვენ დედასა და ასულსა

ძმანი  
პეტრე პავლე თეოდორა  
ირინე

თავი 3. არა ჯერ-არს

7. ორნი ძმანი ვერ შეირთვენ ბებიასა და ასულის ასულსა

ძმანი  
პეტრე პავლე თეოდორა  
ირინე  
ანნა

თავი 4. არა ჯერ-არს.

8. ორნი ძმანი ვერ შეირთვენ ბებიის დედასა და ასულის ასულის ასულსა

ძმანი  
პეტრე პავლე თეოდორა  
ირინე  
ანნა  
მარია

თავი 5. არა ჯერ-არს.

ორნი ძმანი ვერ შეირთვენ დედის დასა და დის ასულსა

ძმანი დანი  
პეტრე პავლე მარია თეოდორა  
ირინე

თავი 5. არა ჯერ-არს.

### [197] ბიძისა და ძმისწულისათვის

1\*. ბიძა და ძმისწული შეირთვენ დედის დასა და დის ასულსა

ძმანი დანი  
პავლე პეტრე მარია თეოდორა  
იოანე ირინე

თავი 6. ჯერ-არს.

\* უკეთუ ბიძამან დედის და შეირთოს და ძმისწულმან დის ასული, ჯერ-  
არს. ხოლო უკეთუ ბიძამან დის ასული შეირთოს და ძმისწულმან დედის და,  
არა ჯერ-არს, მით რომე აღირევიან სახელნი.

2. ბიძა და ძმისწული შეირთვენ ორთა პირველთა ბიძაშვილთა

ძმანი 1 ბიძაშვილნი  
პეტრე პავლე მარია თეოდორა  
იოანე

თავი 7. ჯერ-არს.

3. ორნი პირველნი ბიძაშვილნი შეირთვენ ორთა პირველთა ბიძაშვილთა.

1 ბიძაშვილი 1 ბიძაშვილი  
პეტრე იოანე ელენე მარია

თავი 8. ჯერ-არს.

აქა სრულ იქმნა ორნათესაეობაჲ.

### სამნათესაეისა მაგალითნი

1. შემძლებელ არს კაცი შერთვად ცოლის ძმისა თვისისა ცოლისა დისა.  
ოდეს მოუკუდეს ცოლი

ცოლ-ქმარნი და-ძმანი ცოლ-ქმარნი დანი  
პეტრე მარია გიორგი თეოდორა ანნა

თავი 4. ჯერ-არს.

[v] 2. არა ჯერ-არს ჩემლა შერთვად ცოლის ძმისა ჩემისა ცოლისა, გარნა-  
ძმა ჩემი შეირთავს

ძმანი სძალ-ძახლნი და-ძმანი ცოლ-ქმარნი  
პეტრე პავლე მარია გიორგი ანნა

თავი 4. ჯერ-არს.

ვერ კელმეწიფეების შერთვად ცოლსა გერისა ჩემისასა

პეტრე მარიამ  
ცოლ-ქმარნი  
იოანე ანნა

თავი 3. არა ჯერ-არს.

3. შევირთავ მე ძმისა ჩემისა გერისა ცოლსა

ძმანი ცოლ-ქმარნი  
პეტრე პავლე მარიამ  
ცოლ-ქმარნი  
იოანე ანნა

თავი 4. ჯერ-არს.

4. ვერვინ შემძლებელ არს დედის ნაცვალი გერისა თვისისა  
ქმრისა შერთვად

ცოლ-ქმარნი  
ირინე გიორგი  
ცოლ-ქმარნი  
ირინეს გერი თეოდორა იონე  
თავი 3. არა ჯერ-არს.

5. შემდგომად სიკუდილისა ცოლისა ჩემისა ქელმეწიფების  
[198] შერთვად ბძის ცოლისა მისისა

ცოლ-ქმარნი ბიძა მარიამისა იონე ცოლ-ქმარნი  
პეტრე მარია იონე ანნა  
თავი 4. ჯერ-არს.

6. შევირთავ მე ცოლად ცოლის ძმისა ჩემისა გერსა

ცოლ-ქმარნი და-ძმანი ცოლ-ქმარნი  
პეტრე მარიამ გიორგი ანნა  
ირინე  
თავი (?) ჯერ-არს.

7. შევირთავ მე დისა ჩემისა ქმრისა ძმის ცოლსა

და-ძმანი ცოლ-ქმარნი ძმანი ცოლ-ქმარნი  
პეტრე ირინე გიორგი იონე მარია  
თავი 4. ჯერ-არს.

8. ვერ შემძლებელ ვარ ასულისა ჩემისა ქმრისა ძმის ცოლისა შერთვად

პეტრე  
ცოლ-ქმარნი ძმანი ცოლ-ქმარნი  
ირინე გიორგი იონე მარია  
თავი 3. არა ჯერ-არს.

[V] 9. ზოლო დასა მარიამისასა შევირთავ დაუბრკოლებელად

პეტრე  
ცოლ-ქმარნი ძმანი ცოლ-ქმარნი დანი  
ირინე გიორგი იონე მარიამ ანნა  
თავი 4. ჯერ-არს.

10. ცოლის ძმა ჩემი შევირთავ ძმისა ჩემისა ცოლის დასა

ცოლ-ქმარნი და-ძმანი გიორგის ძმა ცოლ-ქმარნი დანი  
გიორგი მარია პეტრე პაულე ანნა თეოდორა  
თავი 5. ჯერ-არს.



11. სიძე და ცოლის ძმა შეერთვენ ორთა დათა

ცოლ-ქმარნი და-ძმანი დანი  
პეტრე მარია მ გიორგი ირინე ანნა

თავი (?) ჯერ-არს.

მოკუდა მარია მ, შეერთა პეტრემ ირინე; და პეტრეს ცოლის—მარიაჰის ძმამან გიორგი შეერთო ირინეს და ანნა.

[199] ცოლისა ჩემისა პირველის ქმრისა ძმამან შეერთო ცოლი; ოდესცა მოკუდეს კაცი იგი, ვერ შევირთავ მე ცოლსა მისსა, ხოლო შევირთავ დასა ცოლისა მისისასა.

პეტრე მარია პავლე თეოდორა ირინე  
იოანე მარია მ

თავი 5. ჯერ-არს.\*

---

\* ერთეის გადამწერის ანდერძი: განსრულდა, დიდება ღმერთსა.

[V] ითარგმნა ესე წიგნი წინამდებარე ოდენ ბერძულით ნათესავით ბერძენისაგან. ამასთანავე შრომითა და თანღუწითა ნათხზად ქართულებრ ოსესეს ძის მღუდლისგან, ხოლო ერთნი კიდურთა შეგასწავონ სახელნი.

უღირსი ხუცესი ბერძენი იოანე მიხილის ძე  
იოანე ოსეს ძე პაპუწის შვილი ქსიტილი ოს

ოცდომბერსა თუშა დღესა 17, წელსა 1785  
ტფილისს.

ეჭა, ასულს შუენიერო, იოვაკიმის ნაყოფო, სიტკობებითა აღსავსეო, ანნას მორჩო, რტოვო გარდაფენილო, სოლომონის ვენახო, [რ]ქაო მეწამულო, დავითის ყუაგილო, დაბადებულთა სურნელმყოფელო, იესეს კუერთხო, დიდებითა აღყუავებულო, იუდას შროშანო, ყოველთა დაბადებულთა სამკაულო, იაკობის კიბეო ზეცად მიმართ აღმართებულო, ისაკის ვარდო უბიწოებით აღყუავებულო, აბრაჰამის კვრტო დიდებით აღმოფრქუნილო, სემის დასაბამო, ნათესაეთა მშვდობაო, ნოეს სულისა სამოსელო და ულბოლველო ევას ნათელო და მწუხარებისა უჩინო მყოფელო, ადამის დიდებაო, სამოთხეო, პირმეტყუელო ღმრთისა მამისა მხოლო[ა]სა წინაშე გამოჩეულო და ძისა მხოლო[ა]სა პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილისა დედად ქალწულობით უთესლოდ მშობელად განწესებულო, და სულისა წმიდისა ტაძარო, სამებისა წმიდისა ცნობისა მომატყუებულო, რომელმან ერთისა სამებისაგანი შეიწყინარე და უაღრეს ყოველთა ბუნებათა ჰშევე ძე, მხოლოდ შობილი, ულბობელად და უხრწნელად.

შენ გარდამოიყუანე ქუეყანად ღმერთი და აღიყუანე ადამ ზეცად, შენ აღამაღლე ბუნებაჲ ესე დაცემული და დასუ საყდართა ღმრთაებისათა, რაჟამს ავასხენ ღმერთსა ბუნებაჲ ადამისი და შევ ღმერთი და კაცი ორითა ბუნებითა; ამისთჳსცა მიიღო რომლისა იგი მიღებად გული უთქ[უ]მიდა ადამს.

შენ მშვდობაჲ ჰყავ შორის ქუეყანისა და ცათა, სისხლითა ძისა შენისაჲთა.

შენ დაჰქსენ მტერობაჲ იგი პირველი, რომელი იყო შორის ანგელოზთა და კაცთა, რაჟამს იქმენ ცაჲ ქუეყანასა ზედა და მიწისა ზეცათა შინა.

შენ, ღრუბელო ნათლისაო, რომელმან ცუარი სიხარულისა და ცუარი ცხოვრებისა და ცუარი სიტკობებისა აცურაჲ და აღაჲსე ქუეყანაჲ ურწყული ნაყოფითა მრავალფერითა, რომლისაგან განუძლომელად სურის ყოველთა დაბადებულთა მიღებად ტკბილთა მათ ნაყოფთა ღმრთის მეცნიერებისათა.

შენ ხარ წმიდაჲ სულისა ბრწყინვალეებისა, რომელსა ზედა გამობრწყინდა ვარსკულავი იაკობისი და სიბნელე ღამისა მის უმეცრებისა დაჰქსნა და ნათელი დიდებისა მისისა გუახილვა, შორის ალაგთა და ეზოთა უკუანაჲსკენლთა.

შენ, საყდარო ცეცხლის ფერო, ქუეყანით მაღალთა შინა და ქუეყანაო განუძღველო მაღლით ქუეყანასა ზედა.

შენ, ვარსკვლავო ევა[ჟ]სო, სულისა ცისა<sup>1</sup> აღმობრწყინებულო და ეტლო მეუფისაო, ნივთისაგან მიწისა ბუნებითა მოდგამობითა ბრწყინვალედ შემზადებულო.

შენ ხარ ტაკუკი იგი დიდებული, რომელმან ღმრთისა იგი მანანა დაიტყე და ყოველნი ხილულნი და უხილავნი სიტკაობით აღავსენ უფროჲს ბუნებათა მხედველთა.

შენ ხარ სასანთლე იგი ოქროჲსა, რომელსა ზედა ვიხილეთ ნათელი იგი დაუსრულებელი, რომელი განამართლებს ყოველთა კაცთა, მომავალთა სოფლად და თვთ იგი მხოლო ჰგიეს მოუკლებლად და შეუცვალეზებლად ტაძარსა მავას სიწმიდისასა. რომელი პირველადვე შეგმზადა სოლომონ დამტეენელი დაუტეენელისა არსთა-შობადისა სიტყუსა ღმრთისა და ძუელ ოდესმე მოსესგან მოგასწავა კარვად სამეუფოდ.

ყოვლად წმიდაო, ცათა-დაუტეენელისა დამტეენელო ბიჭუნტისა ღმრთისმშობელო, კაცობრივსა ვინაცა სიღრმისაგან სიმდაბლისა ვიჯერჩინებე აღმოუთქუმად რასამე ძალისაებრსა უფროჲს დუმილისა, რომელი ხარ სკიპ[ტ]რა-გვრგვნი მეფეთა დიდებაჲ, პორფირთა მზებელი, სუე ინდალმათა დაცემულთა აღმამართებელი და ლალთა დამამკობელი, მცველი ურულო შენდამი მსასობელთა.

მე, მოწყინელთა მათ ცვა-ფარვა, შეწვენა-წარმართებათა თქუენთა მიერ, სკიპ[ტ]რა-პორფირისა და გვრგვნისა მპყრობელმან აფხაზთა და ქართველთა მეფობისამან, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეთა, შანშა და შარვანშა<sup>2</sup> და ყოვლისა აღმოსავლეთისა<sup>3</sup> და ჩრდილოეთისა ორისავე ტახტისა და სამეფოსა ჩუენისა შეწვენითა თქუენითა მტკიცედ-ფლობით მპყრობელმან მეფეთა მეფემან, მეფემან დიდმან ბაგრატ, რათამცა ღირსი და სამართალი მსახურებაჲ ჰყვით აურაცხელისა წყალობისა თქუენისა ჩუენდამო, რომლისა სიმრავლე უფროჲს სიმრავლესა ვარსკვლავთასა და სიერცესა ზღუათასა:

გარნა, ზღუსაგან მკადრე წუეთსა უნდოსა ამას და მცირესა ძღუენსა, გულს-მოდგინებით შევსწირავთ და სიღრმით სულისათ ვგმობთ დედოფალო, ნუ საზომისად, არამედ ვითარცა მცირისაგან დიდი აბრაჰამისგან ისაკი, ვინათგან განგებაჲ შეუცვალეზლობითა ძისა შენისათა არსებად მოსრული კვალად ქცევად არს და განმრავლებაჲცა მოკლებად შეუთქს, ამის დანარსისა წესისაგან და არს საჯერო ყოფად ვიჩინეთ წმიდისა ტაძრისა თქუენისა და სამკვდრებელისა და საძვალისა ჩუენისა დიდისა და ცათა მობაძავისა ზესთა არსისა საყდრისა დიდისა ემბაზისა ბიჭუნტისა მცირისა და კნინისა შევწირაობ.

<sup>1</sup> ცაჲსა. <sup>2</sup> შანშე და შარვანშა. <sup>3</sup> ამოსვალიეთისა.

ჭ ყოვლად წმიდაო და თვალებისაგანცა ანგელოზთასა მიხედვად შესაძრწუნებელი და მიურულებელი მცველ-მფარველი წარმქართველი მეფობისა ჩუენისაო ბიჭვანტისა ღმრთისმშობელი!

გადრეთ და დავდეით და მოგაქსენეთ ესე საკრძალავი და შესაძრწუნებელი იადგარი, ვითა საშინელსა და ცათა მობაძავსა დიდსა საყდარსა ბიჭვანტისასა გეკადრებოდა.

ვითა არავინ ღირს არს თქუენისა საყდრისა მამულთა, ძმათა, დეკანოზთა და მეტრაპეზეთა, კანდელაკთა, ჯუარის-მტკრთელთა და სხუათა საყდრის-შვილთა და შემოსამზღუერთ თქუენთა მამულთა და სოფელთა, გლეხთა და ქალაქთა შიგან შემოწირულთა არა ჯელი შევიდოდეს, არცა-რა ეთხოვებოდეს, არცა ბაჟი და არცა-რა გამოსაღები არას შეცოდებისთჳს არა გარდაეჭდეოდეს, კიდეგან კათალიკოზისა.

ესე რაცა გვძძანებია როგორცა, არავინ ღირს ვართ ამათსა შეცვალებასა: არცა მეფენი, არცა დადიან-გურიელი, არცა ათაბაგ-ამი[რ]სპასალარი, არცა ერისთავნი და დიდებულნი, არცა თავადნი და აზნაურნი და არცა გლეხნი.

და აწ ამას მოგახსენებთ ყოველთავე დიდთა და მცირეთა: ნუმცა ვისგან კადრებულა დიდისა და ზესთა აღმატებულისა საყდრისა ბიჭვანტისა ძმათა და საყდრის-შვილთა\*, წინამძღუარ-დეკანოზთა, კანდელაკ-ჯუარისმტკრთველთა, მეტრაპეზეთა, ომფორის მოლარეთა და სხუათა საყდრის-შვილთა, მამასახლისთა, მესტუმრეთა და ჯევისთავთა, ნაცვალ-ჯელიუფალთა და სხუათა მოქელეთა [მტერობაჲ და შეცოდებაჲ].

აგრევე გადრეთ ჩუენ, მეფემან მეფეთამან, მეფე [მა]ნ დიდმან ბაგრატი თქუენ, საშინელსა საყდარსა ბიჭვანტისა ღმრთისმშობლისასა, გადრეთ და შემოგწირეთ მცირე ესე და კინი შესაწირავი საძვალე ჩუენი საჯსრად სულისა ჩუენისა დღესა მას განკითხვასა:

გელათს საყდარი სადედოფლო წმიდის გიორგისი, ასის კუამლის კაცითა; რაჭას სოფელი ბარი, სასახლე და მონასტერი, ერთის აზნაურის-შვილთა ჩიკუტიძითა და ოცდაათით კუამლის კაცითა, ტყითა, ველითა, მითთა, წყლითა, საძებართა და უძებართა; აგრევე მონასტერი ციხისა, ლეჩხუმის საჩხეური, წუგნა, კუებლევით ოცდახუთის კუამლის კაცითა; ოფჩას ბურჯანაძენი რვა კუამლი კაცი; ნავენანჯევის სასახლე ოცდაათით კუამლის კაცითა\*\*;

\* ეს წინადადება განმეორებულია მე-2 მუხლში.

\*\* შემდეგ ოთხი სიტყვა წაშლილია.

გამოდმა ქალასთავი სოფელი, ქუთათის სოფია წმიდის საყდარი ექუსის კუამლის კაციოთა; ჯიმასტაროს სასახლე თორმეტის კუამლის კაციოთა ევდემონ კათალიკოზისა ნასყიდი და ბიჭვრტისა ღმრთისმშობლისა შეწირული.

კულადცა გკადრეთ და მოგაქსენეთ ჩუენ, მეფეთ-მეფემან გიორგი შენ, საშინელსა ბიჭვრტისა ღმრთისმშობელსა, შემოგწირეთ ჩუენი ნასისხარი ხოშტიბელა სასახლე თორმეტის კუამლის კაციოთა, ჩუენეშ ათი კუამლი კაცი და მივეციოთ ლალიძეს გიორგის და შეეკენით საყდრის-შვილად და შემოგწირეთ შენ, საშინელსა ბიჭვრტისა ღმრთისმშობელსა.

აგრევენ ჩუენ, მეფეთ-მეფისა ძემან თაიმურაზ შემოგწირეთ ხონს და კუხს ოცი კუამლი კაცი.

კულადცა გკადრეთ და მოგაქსენეთ ჩუენ დადიანმან პატრონმან მამიამან და ძემან ჩუენმან პატრონმან ლეონ დადიანმან და ძეთა ჩუენთა დადიანმან პატრონმან გიორგი და დადიანმან პატრონმან მამია თქუენ, საშინელსა ბიჭვრტისა ღმრთისმშობელსა:

მანთხოჯის სასახლე და მონასტერი, ორმოცის კუამლის კაციოთა და ერთის აზნაურის-შვილითა რატიანითა, წყლითა, ველითა, სანადიროთა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებარითა და უძებარითა; ჯიქთუბანი მთავარანგელოზის მონასტერი, თორმეტის კუამლის კაციოთა; ეგურისპირს ნაქანეო, სამოცის კუამლის კაციოთა; ხორის წმიდის გიორგის ეკლესია, ოცდახუთის კუამლის კაციოთა, წამხარს გამკერვალია; სასახლე სუბეში; სოფელი მუხური, აზნაურის-შვილებითა, ოცდაათის კუამლის კაციოთა; ტყაურუს მეთევზე და მენავტე შამიგია ქუქურია და დათია; მარმარისკარს ეგვბტია და ჩხუნბურია; აგრევე აფხაზეთს ბიჭვრტას გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთის ხილოვანი.

აგრევენ გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ, გურიელმან ბატონმან როსტომ და ძემან ჩუენმან გურიელმან ბატონმან გიორგი თქუენ, საშინელსა ბიჭვრტისა ღმრთისმშობელსა ხიბულა მონასტერი მთავარანგელოზისა, სასახლე ორმოცი კუამლის კაციოთა, ტყითა, წყლითა, ველითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებარითა და უძებარითა; და გურიას ოცის კუამლის კაციოთა ოცხანა და ხეჩს ერთი კუამლი კაცი სალუქანე თემიროზი.

1\*. ამას გარეთ, სამეფოსა და სადადიანოსა და საგურიოსა შინა, ვინცა ვინ თავადი კაცი მოკუდებოდეს, თავი ნიშანი კათა-

\* ხელნაწერში ტექსტი მუზღებავ დაყოფილი არ არის.

ლიკოზს მიეცემოდეს; და ბატონების ეკლესია კათალიკოზის სა-  
კურთხი არის, სამწყსო — ლიხსა და კაფას შუა და რუსეთის  
სამზღვარსა და ჭანეთს შუა.

2. და აწ ამას მოგატყუებთ ყოველთავე დიდთა და მცირეთა:  
ნუმცა ვისგან კადრებულ არს დიდისა და ზემთა-აღმატებულისა  
საყდრისა ბიჭვინტისა ძმათა და საყდრის-შვილთა, თემთა  
და ქუეყანათა და აგარათა მტერობაჲ და შეცოდებაჲ.

3. და ვინცა ამა საშინელსა საყდარსა შესცოდოს და უვარ-  
ყოს ღმერთი და წარიწყმიდოს სული თვისი, და გატეხოს და შიგნით  
საყდრიდამა რამე გაიტანოს, თუ ისი კაცი მეფისა იყოს სახასო  
კაცი და მამული, რასდენიცა განაყოფი იყოს, მათითა მამულითა  
საყდარსა მიაბაროს. სხუასა მეფისასა ვერას ვიტყუთ რას, ამისთვის  
საყდარი მათი არის.

4. და თუ დიდებულთა, ანუ თავადისა, ანუ აზნაურთა ყმაძან  
გატეხოს და მოიპაროს, წამოდგეს იმა მეკობრისაჲ ბატონი თორ-  
მეტითა მისითა სწორითა კაცითა; და ოცდაოთხითა მისითა სწო-  
რითა — ის მეკობრე. ექუსმან აზნაურმან და თორმეტმან გლებმან  
ნაბნითა ფიცოს, ექუსმან აზნაურმან და თორმეტმან გლებმან უნაბ-  
ნოდ ფიცოს უცოდინელობაჲ მეკობრის ბატონისა.

თუ ფიცოს, მეკობრისა ბატონსა არას ემართლების და გამ-  
ტეხი მისითა მამულითა და განაყოფითა საყდარსა მოაჭენოს.

და თუ ვერ დაიფიცოს, რასაცა მამულისა მქონებელი იყოს,  
იგი საყდარსა მოაჭენონ; და მეკობრე და მეკობრისა ბატონი ძელს  
მისცენ.

5. და თუ გარეთ ზღუდეს შიგნით რამე გაიტანოს, სამისა  
თავადისა სისხლი, მისითა წინწასაძღუანითა, საუბატივოდ საყდარსა  
დაეურვოს.

6. და თუ ზღუდეს გარეთ ახლოსითგან ზარისა ჯმაჲ ისმო-  
დეს, რამე წაიღოს, გინა პირუტყვ ანუ სხუაჲ რამე წაიღოს, ორისა  
თავადისა სისხლი საყდარსა დაეურვოს, მეკობრობით ქნას, გინა  
მძღაგრობით ანუ ნატაცეობით.

7. და აწ ვინცა გინა დიდებულმან, ანუ თავადმან, ანუ აზნა-  
ურმან კათალიკოზსა აგინოს ანუ საცემრად წაიზიდოს, ორმოცდა-  
ათი გლები საყდარსა დაეურვოს და კათალიკოზსა ორი სისხლი  
დაეურვოს, დიდითა შეხუეწითა.

8. ვინცა რომელსა გინდა ძმათაგანსა სცეს, ანუ შინა ჩაუხდეს,  
ანუ ჰელთა შეიპყრას, ანუ პირდარ აგინოს, ექუსი გლები  
საყდარსა დაეურვოს და ორასი ათასი თეთრი იმას დაეურვოს.

9. და თუ ვინმე ძმათაგანი ანუ საყდრის-შვილი მოკლას, ოცი  
გლები საყდარსა დაეურვოს და ორი სისხლი იმას დაეურვოს.

10. ვინცა კათალიკოზისა ჯოგი გატეხოს, ექუსასი ათასი ძუელი თეთრი საყდარსა დაეურვოს.

11. ვინცა ამას ზემოთ საყდრის-შვილნი და მოკელენი სწერიან, მათი ჯოგი გატეხოს, ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი იმას დაეურვოს, დიდითა შეზუეწითა; და ნაძარცვ უკლებელად შემოექციოს.

12. ვინცა კათალიკოზის გამოგზავნილი კაცი გაძარცუოს, ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, ოთხი ათასი იმას დაეურვოს:

13. ვინცა ზურგით მზიდავი ჯარი და ან სეფე ჯარი წაიყუანოს, თორმეტი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს.

14. ვინცა მოკელეთა გაგზავნილი კაცი გაძარცუოს, ოთხი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი იმას დაეურვოს.

15. ვინცა ქორეპისკოპოსსა<sup>1</sup> სცეს, ანუ კელითა შეიპყრას, ანუ ავად ავინოს, ანუ უპატიობა რამე ჰკადროს, თორმეტი გლეხი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი თეთრი იმას დაეურვოს.

თუ გლეხი იყოს რომელმან ჰკადრა, მისითა მამულითა საყდარსა დაეურვოს.

16. ვინცა კათალიკოზისა ყმა-მსახური მოკლას, ექუსასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს; და სამასი ათასი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშიროდ იმათ დაეურვოს. და რანიცა საყდრისა მოკელენი არიან, ვითარცა საყდრის-შვილთა სწერია, იმავე წესითა იმათ დაეურვოს.

17. ვინცა საყდრის (მოინალე) კაცი მოკლას, შუდასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, ოთხასი ათასი სისხლად და თხუთმეტი ათასი<sup>2</sup> სანახშირედ იმათ დაეურვოს.

18. და ვინცა ბიჭვანტისა გარეშამო სოფელი და გლეხნი, სითგან ზარისა ჯმაჲ ისმოდეს, გატეხოს, ანუ დაარბიოს, ანუ ნახირი გაუტეხოს, ექუსასი ათასი ძველი კირმანაული თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამი ათასი იმას დაეურვოს.

19. სხუანი რანიცა აგარანი და სოფელნი, მეტოქი მონასტერი და ქალაქი სწერია, იმათ შინა მსახლობელნი გლეხნი, მსახურნი და მოინალე ვინცა მოკლას, ექუსასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი თეთრი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშირედ იმათ დაეურვოს.

20. ვინცა სოფელი და სოფლის კაცი დაარბიოს, ორასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, და ორი ათას ორი ათასი, რასდე-

<sup>1</sup> ქორეპისკოპოსსა] ქუშრა ეპისკოპოსსა. <sup>2</sup> ათასი] ასი.

ნიცა გლებნი იყუნენ, იმათ დაეურნენ; და ალაფი უკლებელად შე-  
აქციონ. და რასაცა მიზეზისათჳს მივლომოდენ, ისი გაუცუდდეს.

და თუ მომვლომი მოკლან, სისხლი და სანახშირე გაუცუდდეს.

21. და ვინცა ჯოგი და ნახირი გაუტეხოს, ოცდაათი ათასი  
თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი იმათ დაეურვოს.

22. ვინცა ეკლესია გაუტეხოს, ოთხი სისხლი დაეურვოს.

23. ვინცა ცოლი წაუღოს ბიჭუნტის საყდრის ყმასა, თუ ხუ-  
ცესი იყოს, ორი სისხლი დაეურვოს, და თუ ერისკაცი იყოს, ერთი  
სისხლი სრული დაეურვოს.

24. ვინცა ქალი დაუგდოს, სრული სისხლი დაეურვოს.

25. ვინცა ვენაჯი დაუკაფოს საყდარსა და საყდრის ყმასა,  
ოცდაათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ათასი ვისიცა  
ვენაჯი იყოს იმას; და რისათჳს უყო, ისი გაუცუდდეს.

აგრევენ ვინცა წისქული გაუტეხოს.

26. ვინცა ბიჭუნტის საყდრის ყმის მეჯინიბე, ანუ მეხადილე<sup>1</sup>,  
ანუ მწყემსი სცეს, ანუ გაძარცუოს, ათი ათასი თეთრი საყდარსა  
დაეურვოს, ათასი ვისიცა იყოს იმას.

27. და თუ ვინმე მეკობრობით შორის რამე მოიპაროს, ოცი  
ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს.

28. ვინცა კათალიკოზის უკითხავად ბიჭუნტის წყალი ინადი-  
როს მოსადებლითა, ოცი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს.

29. ვინცა საყდრის ყმა დაკოდოს უდალოს ადგილსა, სამი  
გე[რ]ში დაეურვოს. თუ დალი დაასუას, მეთორმეტე სისხლისა და-  
ეურვოს.

აწ დავამტკიცებთ, მეოხებითა ბიჭუნტისა ღმრთისმშობელი-  
სათა საკრძალავი და შესაძრწუნებელი ყოვლისა ადამის ტომისა-  
გან იადგარი დავდევით. ვითარცა სხუათა საყდართა უწარჩინე-  
ბულესი არის ბიჭუნტისა საყდა[რი], ეგრეთვე უმეტესი  
ია დ'გარი დავდევით; და დავამტკიცეთ მტკიცე ბრძანებაჲ ესე-

არა ვისთჳს გზბრძანებია შლა და ქცევა მტკიცისა და შეუც-  
ვალეზელისა ყოვლისა ადამის ტომის კაცისაგან, თჳნიერ თანადგო-  
მისა და შე[მწე]ობისაგან კიდე, არა სხუათა შემდგომთა ჩუენთა  
მეფეთა და დედოფალთა.

და თქუნენ, წმიდანო მე[უ]ფენო, მღღელშთავართ-მთავარნო,  
აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო, თქუნეცა  
ასრე დაუმტკიცეთ. და დიან-გურიელო, ათაბაგ-ამირ[ა]-  
სპასალარნო თქუნეცა ასრე დაუმტკიცეთ და მწე ეყენით  
ბრძანებულსა ამას ჩუენსა.

<sup>1</sup> მეხადილე] მესადილე.



რამანც გუარმან კაცმან: ანუ მეფემან, ანუ დადიან-გურიელ-  
მან ანუ კათალიკოზმან, ანუ ეპისკოპოზმან, ანუ თავადთა და დი-  
დებულთა ანუ აზნაურისშვილთა ჴელყოს შლად და შეცვალებად  
და გამოკუჲმად, ჩუენ, მეფეთა და დადიან-გურიელთა შეწირულსა  
მამულსა ბიჭვანტისა ღმრთისმშობელსა, მასმცა რისხაეს თავად  
ღმერთი და საშინელი ყოვლად წმიდაჲ ღმრთისმშობელი და ძე  
მისი იესუ ქრისტე და ცხოველს-მყოფელი პატიოსანი ჯუარი, წმი-  
დანი ზეცისა ძალნი, ჴორციელნი და უჴორციონი, და რანიცა წმი-  
დანი სუნაქსარსა შინა აღწერილ არიან და აღიწერებიან;

რაცა ამა ჩუენგან დამტკიცებულსა იადგარსა შინა სწერიან  
ან დაიწერებიან, ამისდა შლად და ქცევად ჴელყოს, შეჩუენებულმც  
არის თორმეტ მოციქულთ მადლითა, შუდთ კრებათ მადლითა და  
ოთხთ პატრიაქთ მადლითა; ნურამც ეშ[უ]ელების მის სულსა და  
ჴორცსა ნუცა ლოცვითა, ნუცა მარხუთა, ნუცა გლახაკთ მიცემითა.  
ნუცა ილრუსალიმისა და მთაწმიდის მიცემითა.

დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხენეს ღმერთმან.

კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი მალაქია  
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი ევდემონ  
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი ეფთჳმი  
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი მალაქია  
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი მაქსიმე  
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი ზაქარია  
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი სჳმეონ  
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი დავით

## 57. [შეწირულების სიგელი ბაგრატ მეფისა გელათისადმი]

[1545 წ.]

... ბელსა და შვიდწილ უძლეველსა, მოწამეთა შორის მხნესა  
წმიდასა გიორგის და საყდარსა შენსა სამარხოსა და საძვალესა ჩვენ-  
სა, ჰ, [ყოვლად წმიდაო დედოფალო, ხახულისა საკურთხევე-  
ლისა და გაენათისა ღმრთისმშობელო, და მოწამეთა მთა-  
ვარო წმიდაო გიორგი, შეიწირე მცირე და უნდო ესე ძღვენი და შესა-  
წირავე ჩვენი, ვითარცა შეიწირა ქრისტემან მწველილნი იგი ქვრი-  
ვისანი, და მეოხ და მფარველ გვექმენ წინაშე ძისა შენისა და  
ღმრთისა ჩვენისა, რათა გვიხსნას ხილულთა და უხილავთა მტერ-  
თაგან, და გვიქსნას ჩვენ, ცოდვილნი და უღირსნი ესე მონანი  
თქვენნი, მეფეთ-მეფეთ ბაგრატ და თანამეცხედრე ჩვე-  
ნი, დედოფალთა დედოფალი ელენე, და ძენი ჩვენნი.

და აწ ვიგულებთ და ვიგულისმოდგინეთ და ჯელ[ე]ყავთ საყდ-  
რისა და მონასტრისა წმიდისა გიორგისა მეორედ აღ-  
შენებად. პირველად ოდესმე სადედოფლო ყოფილიყო, აღარაინ  
ესაფულავებოდა<sup>1</sup> და მოშლილიყო, და აწ ჩვენდა სამარხოდ და სა-  
[ძ]ვალედ შევქმენით, აღვაშენეთ და შევამკვეით ხატითა, წიგნითა,  
კანდლითა, კელაპტრითა, სანთლითა, საკმევლითა და მამულითა.

მივიღეთ პატივი მასზედა და დავადგინეთ სასოდ და შეს[ა-  
ვედრებელ]ად სულისა ჩვენისა მოძღვარი, და დავდევით ენქერი,  
და გა[ვაჩ]ინეთ მწირველად ჩვენთვის.

და დავსდევით წირვა წელიწადთ[ა შ]ინა თორმეტთა საუფლო-  
თა დღეთა, და იწყოს მეზვერისა და ფ[არ]ისეველისა შაბათ-კვი-  
რიაკითგან ვიდრე აღდგომამდის. წირო[ნ] დიდნი მარხვანი სრუ-  
ლად და უცვალებლად; და ქრისტეს შობისა [მა]რხვათა სწიროს  
ოცი დღე უკლებლად; და სულის მარხვათა [ში]ნა წიროს თორ-  
მეტი დღე უკლებლად; და მარიაშობისა მარხვათა შიგან წიროს  
ათი დღე უკლებლად.

და ამა ჩვენგან გა[ნაჩენ]-განწესებულსა წირვასა ენქეროსანი  
ჩვენი მოძღვარი ნურ[აო]დეს მოგვაკლებს ჩვენ, მეფეთ-მეფესა ბაგ-  
რატს და თანამეცხედრესა ჩვენსა, დედოფალთა დედოფალსა  
ელენეს.

და განვაწესეთ საუკუნონი ალაპნი წელიწადსა შინა ოთხნი:

და გარდ[აიხ]დებოდეს ერთი ალაპი ყველიერისა ხუთშა-  
ბათსა<sup>2</sup>. და სწირევდეს თ[ვითონ], და პატრონი გენათელი, და თეი-  
თონ ჩვენი მოძღვარი, და [სრ]ულად გენათის ჯელის-მქონებელ-  
ნი ძმანი. და მიერთმეოდეს ამა[თ] საწირავად, მოძღვრის ჯელითა,  
ჩვენგან შეწირულის სოფლების მოსავლისაგან: პატრონს გენათელ-  
სა თეთრი ოცდა[ა]თი. პა[ტრონის] გენათლის საწირავი ასი თეთ-  
რი არის, მაგრა[მ] მოძღვრისა და ძმათ გულისათვის დაგვეჯერდა.  
თვით[ან] მოძღვარსა თეთ[რი] ექვსი; სეფეთ ჯვარის-მტვირთველ-  
სა, კანდელაკსა, აღმაშენებლის [მწირველსა], მეფის ბაგრატის მწირ-  
ველსა, ვახტანგის მეკედრესა—ამა [ხ]უთთა სამ-სამი თეთრი მი-  
ეცემოდეს.

მეფის ვახტანგის მწირველსა [და] მეფის ალექსანდრეს მწირ-  
ველსა, პატრონის გიორგის მწირველსა, გ[ენათის] ჯვარის-მტვირ-  
თველსა და ომფორის მოლარესა, კელარსა და ერისთვის მწირველ-  
სა—ამათ ოროლი თეთრი მიეცემ[ოდ]ეს საწირავად.

<sup>1</sup> ესაფულავებოდა. <sup>2</sup> ხუჩაბათსა.

ამავე ალაპშიგა წაიგებოდეს ორმოცის თეთ[რი]სა [თე]ვზი და ყველი და კვერცხი, წმიდა პური კოდი სამი, ღომი კოდი სამი, ღვინო კოკა ოცი—ათიანითა, სანთ[ელი, სა]კმეველი, რაც მოუნდებოდეს, გაჩენილისაგან იხმარებოდეს.

მეორე ალაპი [გარ]დაიხდებოდეს [საჯო]რცითა [სუ]ლის წმინდის მოსლვასა ...შაბათსა და წაიგებოდეს ზროხა ორი,...ორ]-მოცდ[ათორმეტი, რა რიგადცა ეპირიანებოდეს], მოძღვარი მოიწმარებდეს; და ამა ათას ორას სამოცდაო[თხის კოკის] ღვინისაგან ოთხმოც კოკასა ღვინოსა ჩვენს ალაპშიგან წა[ი]გებოდეს და ორმოცდა ორის კოდის წმიდის პურისაგან და სამას და ექვს[ი]ს კოდის ღომისაგან თორმეტი კოდი წმიდა პური და თორმეტი კოდი ღომი ჩვენს ალაპშიგან წაიგებოდეს.

და სხვა რაც იყოს ...[პური], ღომი, ქერი, სამოცდათექუსმეტი ძღვენი და ყუალ[ა] მოძღვრისათვის მიგვიბარებია, და რარიგადცა მოძღვარსა ეპირიანებოდეს, სასმლად, საჭმლად, სახარჯოთ საყდრის მუშაობაზედა, რითაც ფერად [ეპირიანებოდეს], ისრე იწმაროს.

რაცა ნიჭარაძისეულნი გლეხნი არის და ან მკეციძისეულნი გლეხნი სამოქალაქოს, რაცა სამეფო ჰელი შევა, არა მოგვიშლია რა; და სხვა რაცა სააზნაურშილო ბეგარი და სამსახური ძართებს, ისი ჩვენგან ნასყიდი არის და [სა]ყდრისათვის შეგვიწირავს. აგრევე უყურეშლიძე და მამრიკ[ის] შვილები შეგვიწირავს, ცხისთვისეული გლეხნი ჰელშეუვა[ლად]; და აგრევე ნავენახევი შეგვიწირავს ჰელშეუვალად და გ[ა]ნთავისუფლებით, თვინიერ ნადირობისაგან კიდე; და ნადირ[ი]ს ჯერგად ნუ დაგვაკლდებიან. ამა ჩვენგან შეწირულსა ს[ოფელსა] და გლეხთა სხვა ჩვენის კარიდალმა გამოსული სათხოვარი არა [ე]თხოვებოდეს-რა, არასთანა არა.

აწ, განგვითავისუფლებია ყოვლისა სათხოვრისაგან. არა ეთხოვებოდეს რა: არა სამეფო, არა სა[დ]ელოფლო, არა პური, არა ღვინო, არა საჯორცე, არა ზროხა-საკლავი, არა საციხისთვო, არა საჯინბო, არა საბაზიარო, არა ლაშქრობა, არა ულაყი, არა გოქქათამი, არა საყველი[ერო], არათერი არა ეთხოვებოდეს რა.

ვინცა-ვინ ამა ჩვენგან დადგინებულსა მოძღვარსა უჯერო და ურიგო ჰკადროს, ანუ სიკვდილითა, ანუ დაკოლითა, ანუ ჰელთ დაჭირვითა, ანუ გატურკუითა, ანუ მეკობრობითა, ანუ საკლად ჩახლომ[ითა], ანუ ჯოგის გატეხითა, ანუ გინებითა, [ამას]ცა და [რა-ცა] ჩვენ გლეხნი შეგვიწირავს, რარიგადცა გენათის საყდრის

ძვე]ლს იადგარსა და გუჯარშიგან<sup>1</sup> სწერია, ისრე დაეურ-  
ვებოდეს[ს].

აგრევე ვქენით მოკითხული და წმიდის გიორგის საყ-  
დარს[ა ძველად შეწირული მამული ჯამთა ვითარებისაგან მოწლი-  
ლიყო და [და]კარგულიყო, და რასაცა ოდენ მოვესწრენით და შევიტყ-  
ვენ[ი]თა, ისიცა შემოუკრიბეთ და მოძღვრისათვის მიგვიბარებ[ია],  
და რარიაგადცა მეფეთა და<sup>2</sup> დედოფალთა შეეწიროს, და მ[ა]თგან  
დადებულსა ძველსა სიგელშიგან ეწეროს, რაცა მათგან დაწესებუ-  
ლი აღაპნი და წირვა იყოს, ისი მათ ნუ მოეშლების, და მოძღვ-  
რი გარდახდიდეს, ნურას და[ა]კლებს.

არის გლ[ეხ]ი ზღუდეს გარეთ, საბას მოძღვრისეული სენ[ა]-  
კი, მისითა ჭურ[ა-მარნითა], ვენ[ა]ხითა, სახარდნითა, საბოსტნითა;  
კიდევ მას ქვეშეთ ე[რთი] [მე]ახორე, მისითა სახლ-კართა, ჭურ-  
მარნითა, ვენახითა, მისითა [დანარ]ჩომითა.

ოხოშირას გლეხნი ვირისალაძენი—ოთხნი, იბრ[იალაძე-  
ნი]—კვამლი ორი და პარტახტი ორი, ჯონიას მემნაძე —კვამლ[ი]  
[ა]თი.

არის ნაბოსლევს კოზოლაძე—კვამლი ორი.

კ[ურ] [სე]ბს)... [სამარხო] თეთრი ორი. იმ ორის პარტა-  
ხტისა ასრე იქნას: სანამდის [კაცი] დაესახლებოდეს, ვინც იხმარე-  
ბდეს, ან მინდორსა და ან ტყესა, [ლ]ალასა გამოიღებდეს, და რო-  
გორაც კაცი დაესახლოს, რაც იმა [ა]ლაგსა ბეგარა მართებოდეს,  
იმას გამოიღებდეს.

კვლადცა გაკ[დ]რეთ, მოგაგსენეთ და შემოგწირეთ ჩვენგან  
ნასყიდი იმავე ნიჟ[არაძი]სეული მაღლაკს გლეხნი—ოთხი კვამლი.

და მართებს ბეგარა ეს: [დემე]ტრასა თეთრი ოცი, ლეინო  
კოკა ორმოცი, ბატკი ერთი, ლომი ნაოთხალი ათი.

მართებს ლექვე[ნი]ნაძესა გიორგასა თეთრი [ა]თი, ლეინო კოკა  
ოცი, ბატკი ერთი, სამაჭრობო საკლავი [ე]რთი, ქათამი ორი,  
ლომი ნაოთხალი ორი, სამარხო თეთრი [ო]რი.

მართებს მეზუნისეილსა თევდორასა თეთრი ათი, [ლ]ეინო  
[კო]კა ო[რ]მოცი, ბატკი ერთი, ლომი გვერდი ორი.

მართებს [ყამ]აზაშვილსა აბესალამასა თეთრი ოცი, ლეინო  
დიდით კოკითა [ასო]ცდა[ა]თი, ლომი ნაოთხალი ორი, და ლომი  
ურემი ერთი, სამაჭ[რ]ობო საკლავი ერთი, ქათამი ორი, ლეინო  
კოკა სამი, ბატკი [ე]რთი, სამარხო თეთრი ორი.

<sup>1</sup> გვიჯარშიგან. <sup>2</sup> - და.

იმავე ნიჟარაძისეული ჩემგან ნასუ[იდი] ნამაშევეს კოლა-  
ძე მამუაი—მარტებს თეთრი ოცი, ღვინო [კო]კა ორმოცი, ღომი  
ნაოთხალი ოცი, სამაჭრობო საკლავი [ო]რი, ქათამი ოთხი, ღვინო  
კოკა ექვსი, ბატკი ორი.

ესე [ცხრა] კვამლი კაცი და ორი პარტახტი ნიჟარაძესა ეს-  
ტატეს ლაშხიშვილისთვის] ნასისხლად მიეცა, და ლაშხიშვილისა-  
გან ჩვენ ვიყ[იდეთ], ჩვენით თეთრითა, ესე ნიჟარაძისეული ნასუ-  
იდი გლვხნი: ფარსმანაყანევეს, ქუტირს და ნამაშევეს ვი-  
ყიდეთ, მათითა მამულითა, ეკლ[ესიითა], სასაფლაოთა, წყლითა,  
წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ყანი[თა], სათიბითა, ტყითა, სა-  
ნადიროთა, ჭალითა, სათევზითა, მითა, ბა[რითა], შესაველითა და  
გამოსაველითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა მ[ზლ]ვრითა, და  
მისითა სამართლიანითა, ყოვლითურთ უცილებლად.

[კვ]ალადცა გკადრეთ, მოგახსენეთ და შემოგწირეთ ფარს-  
მანაყანევეს მ[არდ]ალაშვილები, ფუხეთ ერთი და კვამლათ რვა.  
მარტებს ესტატ[ე] მ[არდ]ალაშვილსა ღვინო კოკა ორმოცი,  
თეთრი ორი.

\*მ[ართე]ბს მარდალაშვილსა მამისთვალსა ღვინო კოკა ორ-  
მოცი [და თეთ]რი ორი.

მარტებს მარდალაშვილსა ნავროზასა ღვინო კოკა ორმოცი,  
თეთრი ორი.

მარტებს მარდალაშვილსა გოგილასა [ღვი]ნო კოკა ორმოცი,  
თეთრი ორი.

მარტებს მარდალაშვილსა... ღვინო კოკა ორმოცი, თეთრი  
ორი.

მარტებს მ[არდ]ალაშვილსა გიორგასა ღვინო კოკა ორმოცი  
და თეთრი ორი.

მარტებს მ[არდ]ალაშვილსა ესაიას ღვინო კოკა ორმოცი,  
თეთრი ორი.

მ[ართ]ებს მარდალაშვილსა მიქელასა ღვინო კოკა ორმოცი,  
თეთრი ორი, პარტახტი ერთი.

ვინც აშენებდეს, ოცს კოკას ღვინო[სა გ]ამოიღებდეს და,  
როგორაც კაცი დაესახლოს, როგორაც [თვ]ითოს სხვასა ბეგარა-  
ემართოს, აგრევე ის გამოიღებდეს, [ო]რი პარტახტი სხვა. და  
ვინც ჭამდეს ან მინდორსა და ან ტყე[სა], ლა[ლას] გაშოიღებდეს.  
და თუ კაცი დაესახლოს, მართალი [ბე]გარა ქნას.

---

\* აქედან გრაგნილის კეფების არევის გამო ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამო-  
ცემაში ტექსტი გადაადგილებულია შეუსაბამოდ.

ესე გლეხნი მარდალაშვილები ჭილაძესა ზითე[ად მართებს] მხე-  
ციძის ცოლისათვის და ჩვენ მისგან ვიყიდეთ [ა]თით თეთრითა.

ამას გარეთ იმავე მხეციძისაგან ვიყიდე [მე] სამკვიდრო მა-  
მული: მე სხეთს გლეხნი კვამლი სამი და [პ]არტახტი ერთი.

მართებს ლანდურძისა ვარსიმეს თეთრი ოცდა[ა]თი, ღვინო  
კოკა სამოცი, ღომი ნაოთხალი ექვსი.

მართებს ლანდურძისა ივანასა თეთრი ათი, ღვინო კოკა  
ოცი, ღომი ნაოთხალი ორი; ეს ასრე ჩვენგან ნასყიდი არის.

მხეციძის ჯანგაშის-შვილსა მისის ბიძისა სასისხარი საქმე  
შეხდა და იმაშიგან დასჭირდა, და რითაც გული შეუჯერდებოდა,  
[ს]რული ფასი მივეც.

და ვიყიდე ფარსმანაყანევეს მარდალაშვილები, კვამლი  
რვა და პარტახტი სამი, და მე სხეთს ლანდურძენი, კვამლი სამი  
და პარტახტი ნახევარი, მათითა მამულითა, ეკლესი[ი]თა, სასაფლა-  
ოთა, [წ]ყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ყანითა, სათიბი-  
თა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათევზითა, მითითა, ბარითა,  
შესავლითა და გამოს[ა]ელ[ი]თა, საძებრითა და უძებრითა, მისითა  
მზღვრითა და მისითა სამართლიანითა ყოვლითურთ უცილებლად.

ქოლევეს უყურშელიძე, [კ]ვამლი ერთი. რიონს [მა]მრიკის-  
შვილი ნაცვალი და მისნი განაყოფნი, კვამლი სამი, და ზემო  
ქუტირს ფეტუშნელიძე, კვამლი [ორი].

ესე გლეხნი ლოლაბერიძის ციხისთვის მკვიდრი მამული იყო  
და უშვილოდ გარდახდა და ჩვენ ნაშვილეობით მოგვეცა, და ჩვენ  
[ჩ]ვენის სულისათვის შევსწირეთ.

ნავენახვეი პირველადცა საყდრისა [ყო]ფილიყო და ჟამთა ვი-  
თარებისაგან გამოხვმოდა და ლოლაბერიძესა დაეჭირა, და სააზნა-  
ურიშვილოდ შექმნილიყო.

და ამას უკანის ჟამთა აშლილობისაგან მხეციძესა ეშონა; და  
მერმე მხეციძესა მრავალი ჩვენი საქმე და უპატიობა შევარდა და  
ჩვენ [ს]აუპატიოდ გამოვართვით, და ჩვენ ჩვენის სულისათვის შე-  
მოვსწირეთ; ამისთვის გამოხუებასა და მოშლასა არავინ გვემა[რთ-  
ლ]ების.

ნავენახვეი ძველად ორი ფუზე ყოფილიყო, და ცოტ[ა] ადგი-  
ლი ჭკონდა, და სასვიმანეთოს შარას აქად ვერ გარდმო[ვიდ]ო-  
დეს. აწე აშენდა, ისინიცა დამრავლდეს, სხვა გვარნი კაცნი[ცა]  
ბევრნი დავასახლეთ, და სამჭმელო არ ეყოფოდა და ჩვენ... [სა-  
საზღუროსა სასახლეთაგან დაგვიყენებია შუვას სახლ]შიგა დარ-  
ბაზშიგა, მისით ზედა-ქვედათ სახლითა.

რაცა ამა სიგლითა მამულნი და გლეხნი, სოფელი და დაბანი, შეგვიწირავს და მიგვიბარებია ჩვენის მოძღვრისათვის, და საუკუნონი წირვა და აღაპი გაგვიჩენია, ესე ნუშაოდეს მოგვეშლები ჩვენ, მეფეთ-მეფესა ბაგრატს და თანამეცხედრესა ჩვენსა, დედოფალთა დედოფალსა ელენეს, რათა ღირს გუყვნეს წინაშე უფლისა, იესოს ქრისტეს, ღმრთისა ჩვენისა.

აწ, ესე ჩვენგან ბრძანებული სიგელი და იადგარი მტკიცე და უქცეველი და შეუცვალადელი ყოველისა ადამის ტომისა კაცისაგან და შემდგომთა ჩვენთა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, და თქვენ, წმიდანო მეუფენო აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკონო, და ყოველნო მღვდელთ-მთავარნო, დაჯერებით დაუმტკიცეთ.

და დიდსა და ზესთა-აღმატებულსა, ახლისა იერუსალიმისა, გენათისა საყდრისა მამათმთავარ-ეფისკოპოზო და წმიდანო საღმრთონო მამანო და ძმანო და სრულობით კრებულნო და ერთბამად ლავრანო და ყოველნო კარისა ჩვენისა ვაზირნო, ერის. თავთ-ერისთავნო, ათაბაგ-ამირსპასალარო, დადიან-გურიელო, სვანთ ერისთავო, მანდატურთ-უხუცესო და ყოველნო ერისთავნო, ქუთათისისა ციხისთავთ-ციხისთავნო, და ლიხთ-ამერისა და ლიხთ-იმერისა ციხისთავნო, მოლარეთ-უხუცესო და მოლარენო, მებაჯრეთ-უხუცესო და მებაჯრენო, მეჯინიბეთ-უხუცესო და მეჯინიბენო, მესტუმრეთ-უხუცესო, მესტუმრენო და მზარეულნო, ბაზიართ-უხუცესო და ბაზიარნო, ფარაშთ-უხუცესო და ფარაშნო, ახოსალართ-უხუცესო და ახოსალანო, მეღვინეთ-უხუცესო და მეღვინენო, მუქიფთ-უხუცესო და მუქიფნო, ყოველნო კარისა ჩვენისა წარველენო, მალისა, ხარაჯისა და ზოხა-საკლავისა მკრეფელნო, და ყოველნო კარისა ჩვენისა მოსაქმენო, და ხელისა მქონებელნო, არავისთვის გვიბრძანებია ამა ჩვენგან ბრძანებულის სიგლისა შლად და ქცევად, თვინიერ შეწვენისა და თანადგომისა კიდე.

აწ, ვინცა და ვინც, რამანცა ადამისა და ევას ნათესავმან კაცმან ესე ჩვენგან შეწირული გლეხნი და სოფელნი, და აგარანი, და ესე ჩვენგან გაჩენილი წირვა და აღაპი მოგვიშალოს და გენათსა გამოახეას, და ველყოს შლად და ქცევად ამისადა, [და] ესე<sup>2</sup> ჩვენი ბრძანება უგულვებელს-ყოს და შესცვალოს: [გინა] მეფეთა, გინა დედოფალთა, გინა მამაცმან, გინა დელაქაცმან, გინა თავად-

<sup>1</sup> + და. <sup>2</sup> ესე სესე.

მან, გინა აზნაურმან, გინა უზე[დაე]სთა, გინა უქვედაესთა, ანუ სა-  
მოციქულოდ შემოვიდე[ს], [ანუ გამო]საჭუებად და შესაცვლეალ—  
შე-მცა-იცვალეების სჯულის[ა ქრ]ისტიანეთასა; რისხავსმცა დაუსა-  
ბამო ქრისტე ღმერთი [ჩვე]ნი, მამა, ძე და სული წმიდა; და-მცა-იწ-  
ყველების სული [და] ჯორცი მისი შევიდთა კრებათაგან და ოთხთა  
პატრიაქ[თაგ]ან და ათორმეტთა მოციქულთაგან; შე-მცა-ედების  
ძრწ[ოლა კაე]ნისი, კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, დანთქმა  
და[თან და აბი]რონისი; მასზედამცა ღახედების ჯმა იგი ჯვარ[მ]ც-  
[მელთა], რომელთა თქვეს: «სისხლი მაგისი ჩვენზედა და შეილ[თა]  
ჩვენთა ზედა»\*; მას ზედამცა დასრულდების მესაღარვისა ფს[ალ]მუნთა  
წყევა; ნესტორს და ოროგინესთანამცა არის ნაწ[ილი] და სამკვიდ-  
რებელი სულისა მისისა; კრულმცა არის ცათა შინ[ა] და ქუეყანა-  
სა ზედა; ნურარათამცა სინანულითა ნუ იქმნ[ებ]ის ჯსნა სულისა  
მისისა, ნუ წირვითა, ლოცვითა, ნუ გ[ლახაკ]თა მიცემითა, ნურცა  
იელუსარემს წასვლითა, ნურცა სინ[ას] და მთაწმიდას წასვლითა,  
ნურცა საყდართა და ეკლესიათა [შ]ენებითა.

მშლელი და მქცვეელი ამისი კრულ, წყეულ და შეჩვენებულ  
იყავნ, უკუნითი უკუნისამდის.

და დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხენს და  
წმიდამან და ღიღმან საყდარმან და მონასტერმან გენათისამან.

დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე [ჩვენი ინდიკტიონსა მე-  
ფობისა ჩვენისასა მეოთხესა, ქორონიკონსა სლგ, [თ]ვესა ივნის-  
სა იბ, ჯელითა ფრიად ცოდვილისა გ ი ო რ გ ი ა ბ [ა შ] ი ძ ი ს ა თ ა .

თქვენ, წმიდანო მღღელთ-მოძღვარნო და საღმრთონო კრე-  
ბულნო, გვედრებთ, რათა შენდობა ბ[რძა]ნოთ ცოდვილისა სული-  
სა ჩემისათვის<sup>1</sup>.

დაიწერა სიგელი [ესე შეიღ ათას ორმოც და ცამეტსა].

ჩვენ, ქრისტეს მიერ ქ ა რ თ ლ ი ს ა პ ა ტ რ ი ა ქ ი კ ა ნ ო ნ ი თ ა  
[ვა]მტკიცებთ.

58. [მცხეთის სასაჩღლოს განწესების წიგნი ალექსანდრე მეფისა]

[1562 წ.].

ქ. ჩვენ, ჯელმწიფემ მეფემ ალექსანდრემ ესე წიგნი მო-  
გუართუით თქუნენ<sup>2</sup>, ჩუნეს სას[ო]ებას და სიქადულს სვეტს ცხო-  
ველსა და კვართსა საუფლოსა და მირონსა წმიდასა და სულისა

<sup>1</sup> ჩემისათვის] ჩემუსათვის. <sup>2</sup> თქუნეს.

\* მათე 27, 25.



ჩვენისა მეოხსა კათალიკოზს ბასილს, ასე და ამა პირსა ზედა, რომე: რაც თქუენი ყმა იყოს ქართლსა, კახეთსა, საათაბაგოს, სომხეთს თუ საბარათიანოს, თრიალეთ-ზედა, თუ იმერეთს, ლაშქარსა და ნადირობას თქუენი ყმა თქუენ ნუ გაგეყრების, თქუენ ბრძანდებოდეთ, თქუენ გაახლოსთ; და თუ თქუენ არ ბრძანდებოდეთ, თქუენი სარდალი და დარბაისელნი იყუნენ, მათ იახლნენ; სხვასს სარდლებსა და ამირ-სპასალარს კელი ნუ აქუს თქუენს ყმასთან.

ნურცა-ვინ გაგყრის თქუენს აზნაურიშვილსა და გლახსა, ყუალა ჩვენს დროშაზედ უნდა იქნებოდენ, ქორონიკონს [ხ]ში.

ხელჩართულად:

მეფე ალექსანდრე ვამტკიცებ.

კიდებე:

ქ. ჩვენ, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე, მეორე ირაკლი, მეფე საქართველოსი, ვამტკიცებთ. აგვისტოს 6, ქორონიკონს უნწ.

ერეკლე

ქ. ჩვენ, საქართველოს და კახეთის დედოფალთ-დედოფალი, დადიანის ასული, ბატონი დარეჯან, ვამტკიცებთ სიგელსა ამას აპრილის 13, ქორონიკონს უნწ.

ქ. ჩვენ, ბატონისშვილი ლეონ ბატონის მამის ჩვენის დამტკიცების [თანა მო]წამე ვართ. აპრილის 13, ქორონიკონს უნწ[1].

საბუთის ზემო კიდებე შებრუნებით, ორ სტრიქონად, გვიანდელი სათაური:

ქ. მეფის ალექსანდრეს სარდლობის წიგნი და ახლა დამტკიცებული მეფის ირაკლისაგან.

### 59. [წყალობის წიგნი გიორგი მეფისა კლიაშვილ-შალიკასშვილისადმი]

[1563—1564 წწ.]

[ქ. ჩვენ, ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა—ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა—თვით-ფლობით მტკიცეთ მპყრობელმან, ღმრთივ-აღმატებულმან და ღმრთივ-დამყარებულმან, ძლიერმან და უძლეველმან და ჩვენ, ღმრთივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან გიორგი და თანამეცხედრე[მან დედოფალ]თ-დედოფალმან რუსუდან ესე წყალობის საიმედო წიგნი და სიგელი გიბოძე შენ, კლიაშვილთ-შალიკაშვილს და შენს შვილს გოგიჩას და შალიკას და ზაქარიას და ბენიამენს, სხვათა თქვენთა შვილთა და

მომავალთა ყოველთავე, ასე და ამ პირსა ზედან, რომ [ს ა ა თ ა]-  
ბ ა გ ო დ გ ა ნ რ ო მ წ ა მ ო ვ ე დ ი თ, შ ე ნ თ ა ნ წ ა მ ო გ ე ყ ე ვ ი თ, შ ე ნ ი ს  
კ ო ლ ი თ ა და შ ე ვ ი ლ ი თ, შ ე ვ ი ლ ი ს გ ლ ე ხ ი თ, ც ხ ე ნ ი ს ჯ ო გ ი თ, ხ ა რ ი ს ა და  
ძ რ ო ხ ი ს ჯ ო გ ი თ, ც ხ ე რ ი ს ა და თ ხ ი ს ჯ ო გ ი თ.

ს ხ ე ა გ ა ნ ბ ე ვ რ გ ა ნ გაძლიეთ სარჩო, მაგრამ არსად ინდომეთ,—  
ს ვ ი მ ო ნ ე თ ს მ ო ი ნ დ ო მ ე თ მ ო ს ა ხ ლ ო ბ ა; გ ი ბ ო ძ ე თ წ ი ნ ა მ ძ ლ ვ რ ი ს  
გ ო ხ ბ ა ძ ი ს ო უ ლ ი ა ლ ა გ ი, მ ი ს ი ს ყ ო ვ ლ ი ს ფ ე რ ი თ: ს ა ხ ლ - კ ა რ ი თ, ჭ შ ო რ -  
მ ა რ ნ ი თ, ტ ყ ი თ ა და ვ ე ლ ი თ.

ს ა ს ა თ ლ ა ო ე რ თ ი ტ ა ნ ი გ ე ლ ა თ ს ჩ ე მ ს საფერხეს გაძლიე, მაგ-  
რამ არ მკადრე; გ ი ბ ო ძ ე ს ვ ი მ ო ნ ე თ ს საყდარი და სასათფლავო.  
შ ე ვ ი ლ ი ს წ ლ ი ს ყ მ ა რ წ ვ ი ლ ს<sup>1</sup> ა ქ ე თ ი კ ა ც ი რ ო მ მ ო კ ე დ ე ბ ო ლ ა, მ ა ნ დ ს ვ ი -  
მ ო ნ ე თ ი ს საყდარს მივიღებდით, და იხვე ჩვენი სასათფლო გიბო-  
ძეთ, და იმ საყდარის დეკანოზათ დაგაყენე. და თემის უმფროსობა  
გიბოძეთ და ერისგანს-მოხელობა.

ო თ ხ ი პ ა ტ რ ი ა ქ ი გ ა რ დ მ ო გ ე ყ ე ვ ა და მიჩრჩიეს, რატომ ერთი  
ეფესკოპოზი შენს სასაფლ[ა]ოზედ არ ზისო: ა ბ ა შ ი ძ ე გ ე ნ ა თ ლ ა თ  
დავსვი. შენ გენათელს მიგაბარე და ჩემათ საჯეროთ ჯვარწითე-  
ლათ (?) დაგაყენე.

ა ნ ა ზ დ ა რ რ ო მ შ ე ნ ი ს ა ხ ლ ი ს - კ ა ც ი დაიჩაგროს, ჩვენათამც ცოდ-  
ვის ნუქმად, მას მეორეთ მოსვლას გაიკითხვის, ვინც შენს სახლის-  
კაცს ჯვარისწმითლობა (?) მოუშალოს. თუ ვინმე სხვა გენათელმა  
დასაჩაგრავათ მოგინდომოს და ან ჯვარწილობას (?) შემოგეცილოს,  
ეს წიგნი, ვინც ჩვენი სახლის-კაცი ბატონათ იჯდეს, მეფეს და დე-  
დოფალს მიაართვი და ის არ გაგიტეხს.

ე ს წ ყ ა ლ ო ბ ა ა მ დ ო ნ ი ა მ ი ს თ ვ ი ს გ ი ქ ე ნ ი, რ ო მ ჩ ე ვ ნ ი თ ა ნ გ ა რ დ -  
მ ო ყ ო ლ ი ლ ი ი ყ ა ვ ი და სადაც რომ დაგსაქმე -- ან ყ[ა]ენთან და ან  
ხვანთქართან—ყოვლგან კარგის საქმობით მომიხვედი.

ა წ მ ო ი ხ ს ე ნ ე თ, ე რ ი ს თ ა ვ თ - ე რ ი ს თ ა ვ ო, ბ ა ტ ო ნ ო ქ ე თ ა -  
თ ე ლ ო, ბ ა ტ ო ნ ო ს ა ხ ლ თ - უ ხ უ ც ე ს ო და ბ ა ტ ო ნ ო ა ბ ა შ ი ძ ე ვ,  
და ბ ა ტ ო ნ ო მ ხ ე ი ძ ე ვ, და ბ ა ტ ო ნ ო მ ი ქ ე ლ ა ძ ე ვ და კ ი ლ ა ძ ე ვ,  
ბ ა ტ ო ნ ო ჩ ი ჭ ა ვ ა ძ ე ვ—იმერელთ დარბაისელ[ნ]ო! ეს პასუხი ყვე-  
ლამ მოიხსენეთ, ბ ა ტ ო ნ ო გ ე ნ ა თ ე ლ ო! ამ კაცის საქმე ყველასგან  
უმფრო შენი საკითხავი არის.

ა მ ა ს რ ო მ ს ა ხ ლ ი ს - კ ა ც ი მოუკვდეს, ან ბიძა, ან ძმა, ამას სა-  
ქრთამოთ საქმე გაუხადოს და ან წა[ა]რთვას, ან იქითგან მოყოლი-  
ლი ყმა რაც ჰყავს და ან რაც აქ იშოვნოს, ის მოუღლოს და ან წა-  
გართვას, ან გენათელმა და ან ჩვენმან სხვამ სახლის-კაცმა, და ან

<sup>1</sup> +. ყმარწვილს.

ვინც მეფის ერთგული იყოს, და ამისი საქმე ავით ურჩიოს, ჩვენ-  
თამც ცოდვის ნუქმით გაიკითხვის მას მქეორეთ მოსვლას.

და ვინც ამას გ[ა]ეპქოს, ჩვენზედ ძველთაგან დიად ნამსა-  
ხური არის, მისი საძროხედგან ძროხა მოაყვანიოს, მისი საწებ-  
ეოდგან ნებეირი მოაყვანიოს, ვინც ჩვენი სახლის-კაცი ბატონათ  
იჯდეს, მის მაგიორათ ხარჯიც დახარჯოს და პასუხიც იმან გა-  
სცეს, ვინც ბატონათ იჯდეს.

თუ უფლისწული იყოს და ამ კაცის გულისთვის წამოიჩოქოს,  
თვარამ თუ არ იყოს უფლისწული, ვინც ამაშიდ საპატიო კაცი  
ეწეროს, იმან დაუჩოქოს.

ვინც ქუთაისის ტახტზედ ბატონათ იჯდეს, როგორც საპა-  
ტიო კაცის სისხლს გამოეკიდოს, ისე აზისი სისხლი და სანახშირე  
მოიკითხოს. ღმრთის მადლს, ვინც რომ ბატონათ ბრძანდებოდეთ,  
ამ ჩვენს<sup>1</sup>...

60. [შაფიჩულების სიგელი ქახთა მეფის ლეონისა  
სვეტიცხოველისადმი]  
[1569 წ.]

ქ... ჩვენ ღმრთიე-გუირგუი ნოსანზან მე დ ე მ ა ნ, ბ ა ტ რ ო ნ მ ა ნ  
ლ ე ო ნ ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი სიმტკიცისა სიგელი  
გკადრეთ და მოგაწყენეთ თქვენ, ცათა მობაძევსა საყდარსა და მას  
შინა სუეტსა ღმრთიე-აღმართებულსა კუართსა ს[ა]უფლოსა და მი-  
რონსა ღმერთ-მყოფელსა და თქვენსა საქეთმყპრობელსა ქ ა რ თ-  
ლ ი ს ა კ ა თ ო ლ ი კ ო ზ - პ ა ტ რ ი ა რ ქ ს ა ნ ი კ ო ლ ო ზ ს ზ .

მას ჟამსა, ოდეს სოფელი ჯიმითი ცუელითგან სუეტის-  
ც ხ ო ვ ლ ი ს ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო და ჟამთა ვითარებისაგან ჯიმითი გაცე-  
მულიყო.

და მისად სანუქყოდ ვიგულვეთ და ვიგულსმოდგინეთ<sup>2</sup> კითხ-  
ვითა და თანადგომითა და ნებადართვითა ქართლისა კათალიკოზ-  
პატრიარქისა ნიკოლოზისითა მოგახსენეთ და შემოგწირეთ ზ ე მ ო -  
ლ ა ნ უ ქ ი თ თ ე ქ ს უ მ ე ტ ი კ უ ა მ ლ ი კ ა ც ი: ქ ე ვ ხ ა ს უ ლ თ ა ნ ა, ზ ე გ ი ა, მ ო ლ ა,  
მ ა ნ ა ვ ე ლ ა, ე ს ა ი ა, ქ ე მ ა, მ ე რ ა ბ ა, ი მ ა რ ი ნ დ ო, ს ა ნ ჯ ა, ჯ ა ნ ა, ს ო მ დ ლ უ ლ ა,  
ნ ა დ ი რ ა, ნ ა ს ყ ი დ ა, ხ უ ლ ი ა, ბ ა ლ ა, ც უ რ ა და ა ს რ ე და ა მ ა წ ე ს ი თ ა,  
რომე რაც მათი გამოსავალი იყოს, ანუ საბატონო, ანუ სამოუ-  
რაო, ანუ ქარის სამოქელეო, ყველა უკლებლად და უნაკლულოდ  
სუეტისცხოველის საყდარსა და მაზედან მჯდომსა ქართლისა კა-  
თოლიკოზ-პატრიარქსა მიებარებოდეს.

<sup>1</sup> აკლია ტექსტი. <sup>2</sup> ნიკულაოზს. <sup>3</sup> ვიგულსმოდგინეთ.

და ლაშქარ-ნადირობისა, ბეგრისა და საურდოვოს მეტი ჩუ-  
ენგან და შემდგომად ჩუენსა სხუათა მეპატრონეთაგან არაფერი  
სათხოვარი და გამოსავალი არა ეთხოვებოდეს.

და, რარიგადცა სხვა ცათა მობაძევისა კათოლიკე ეკლესიისა  
სოფელი და ყმა გამთავისუფლებით და მკუიღრად შეწირული იყოს,  
ისრევე მკუიღრად და სამამულელდ შეგუიწირავს და სასოებით მო-  
გუიგსენებია, სულისა ჩუენისა სახსრად და სალხინებლად და მეფო-  
ბისა ჩუენისა წარსამართებლად.

აწ, ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან, ანუ დედაკაცმან, მე-  
ფემან, ანუ დედოფალმან ჳელყოს ამისად შლად და გამოტუებად,  
რისხა[ვს]მცა მავა, ძე და სული წმიდა...

ამისნი დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს.

დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ინდიგტიონსა მეფობისა ჩუენი-  
სას ნგ, ქორონიკონსა სნჴ.

ლეონ, ნებითა ღმრთისათა.

61. [წყალღობის წიგნი სვიმონ 1-ი სა გმდემონ ელიოზისძისადმი]

[1573 წ.]

ქ. სახელითა არსება დაუბადებელისა ღმრთისა, მამისა, ძისა  
და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ყოველად წმიდისა ღმრთისმშო-  
ბელისა მარიამისითა და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა, ჴეცისა და  
ქუეყანისათა, ჳორციელთა და უჳორცოთასა, მინდობითა, და შუამდ-  
გომელობითა ჩუენ, ღმრთივ-გუ ირგუინოსანმან მეფეთ-მეფემან,  
პატრონმან სვიმონ და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედო-  
ფალთ-დედოფალმან, პატრონმან ნესტან დარეჯან, და ძეთა ჩუ-  
ენთა: პატრონმან გიორგი, პატრონმან ლუარსაბ, პატრონმან  
ალექსანდრე, და ძმათა ჩუენთა: პატრონმან ვახტანგ და პატ-  
რონმან ალექსანდრე ესე უკუნისამდე ჟამთა-გასათავებელი წყა-  
ლობისა წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულად  
ნამსახურს ელიოზის ძესა გულბადის შვილსა გედემონს:  
შას ჟამსა, როდესაც თქუენის კერძის მამულის წიგნსა გვეაჯენით,  
ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და, რაცა მამული გრგე-  
ბოდა, მოწმენი გყუანდეს კათალიკოზი დომენტი, სახლის-უხუ-  
ცესი ჴაზაი, როსაბ ბარათა შვილი და იესე მიწობ-  
ლი ძე, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ამისი წიგნი და ნიშანი. გრგებოდა  
საუფროსოდ და წილად: ჟირიული მამული, რასაცა დღეს მქონე-  
ბელი არის, იმითურთ; პატატუნაური მამული, რასაცა დღეს მქო-

ნებელი არის, იმითურთ; ბაბუცაშვილი მისი მამულითა; ქრისტესაი და ბაია, მათით მამულითა; მირიანას ნახევარი მამული, კენელური ნადირა და მალუტა, მათით მამულითა; ლორისწველაშვილი, მისით მამულითა;

მიქელაური მამული და სხვა რაც სასახლო მამული იყო, ანუ სახლები, ანუ მთა, ანუ ბარი, ანუ შზერები, ანუ ხოდაბუნები, ანუ საწყლისპირო, ანუ სატმარი, რაც ყოფილა. როდესაც თქვენ და ელიოზ გაყრილხართ, ამისი ნახევარი თქვენ, გულბათს და შენსა შვილსა გედევანს რგებოდა, და ბაღნაურის მამულის ნახევარი.

და ამისი წიგნი და სიგელი გუიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან თქვენ, ელიოზის ძესა, ჯვარის-მტვირთველს გედევანს, ჩუენსა და სვეტის ცხოვლის სამსახურსა და ერდგულობასა შინა.

და თუ ვისმე სხვასა წიგნი და ნიშანი ჰქონდეს, ყოველივე სიგლით ამით გაგვიცუდებია.

დაიწერა ბძანება ესე ჰელითა ფრიად ცოდვილისა ხერხეულის ძისა ნიკოლოზისითა, ქორონიკონსა სნია.

ხელწართულად:

ნესტანდარეჯან. გიორგი. ვახტანგ.

62. [მალის ამოკვეთის წიგნი აღმსანდღე მფხისა ღვთისა დაჰით  
ჯორჯაპისაღმი]

[1577 წ.]

ქ. ნებითა ღმრთისათა ჩუენ, იესიან-[დავითიან]-სოლომონიან-ბაგრატიონიან აფხაზთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანშა და ყოვლისა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისა თუით ჯელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან ღმრთივ-გუიერგუნოსანმან და ღმრთივ-დამყარებულმან და ღმრთისა მიერ წარმართებულმან, ძლიერმან და უძლეველმან მეფეთ-მეფეთმან პატრონმან ალექსანდრე და თანამეცხედრემან [ჩუენმან] დედოფალთა-დედოფალმან პატრონმან თინათინ, ძე[თა ჩუენთა] საყუარელთა და პირმშოთა: პატრონმან ერეკლე, პატრონმან დავით, პატრონმან გიორგი, კოსტანტინე და როსტომ ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი, შეუშლელი და შეუცვალელებელი, სამკუიდრო და საბოლოო წიგნი და მტკიცე სიგელი ესე ამისად ნიშნად გიბოძეთ თქვენ, ჩუენთა ერდგულთა, ერდგულად და თავდადებით ნამსახურთა ყმათა, თაუადთა... [ჯ]ორჯასძეთა ენისელთ მოურავს და-

ვითს, ბაზიერ-თ-უბუცეს[ს] ბებურს, სანჯარს და ნოზ-  
რეგანს<sup>1</sup>, ერთობილთა თქუენთა გუართა და ნათესავთა, შვილთა  
და მამავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

მან ჟამსა ოდეს იქნა და ბედნიერი ჯელმწიფე მამა ჩუენი პატ-  
რონი ლეონ ამიერ სოფლით გარდაჰდა და ჩუენსა და ძმისწულთა  
ჩუენთა შუა მეფობისა და პატრონობისა საქმეზედა საცილობელი  
საქმე ჩამოგუივარდა, ომი და ბრძოლა მოჰჰდა. იპირიანა მოწყა-  
ლემა და მოსამართლემა ღმერთმან, ჩუენ გაგუემარჯვა, მეფობა და  
პატრონობა დაგუორჩა.

მაშინ ჩუენცა შეგიწყალეთ და სამსახურისა და გუერც-მო-  
დგომისა მუქჲად ვინცა ჩუენ გუიახლა მას და, ვინცა ძმისწულთა  
ჩუენთა იახლა, მასცა, მით რომე მათი ყმა და მამული ყუელა უკ-  
ლებლად ჩუენ გუიახლა და ერთგულად ჩუენს გაბატონებასა მო-  
იჭირვეს, რარიგაცა მართებდა, ისრე გუერცსაცა მოგუიდეგეს. ჩუ-  
ენის გულისათუის რომელიმე მაკუდა და რომელიმე დაიკოდა და  
მათის გულისათუის და გუერც-მოდგომისათუის ჩუენ მისად სა-  
მუქჲოდ წყალობა დაგმართეთ.

ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და ერთობილთა თქუენთა  
ყმათა მკუიდრთა და ახლად-მსახლობელთა, მსახურთა და მოყალ-  
ნეთა ყოველთავე მალი ამოუკუეთეთ, ჩუენად სადღეგრძელოდ, მეფო-  
ბისა ჩუენისა წარსამართებლად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობე-  
ლად, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე:

დღეს და დღეისის წალმა ჩუენსა საბატონოში საცა თქუენი  
ყმა ესახლოს; ქართუელი, ანუ სომეხი, ანუ ურია, გლახა თუ მდი-  
დარი, მამულიანი ანუ უმამულო, მალი აღარსადა აღარა ეთხოვე-  
ბოდეს და მალის გამოსაღებსა და სათხოვარზედა აღარაფერი მი-  
ზეზი გამოსაღები და სათხოვარი არა დაედებოდეს-რა, არც ჩუენ-  
გან და არცა შემდგომად ჩუენსა კულად სხუათა მეფე-მეპატრო-  
ნეთა და დედოფალთაგან.

არა მოგეშალოსთ არცა ჟამთა და ხანთა გამოსულისა და შე-  
უცუელილობისათუის და არცა მეფისა ანუ დედოფლისა გამოცული-  
ლობისათუის, არას საქმისა და მიზეზისათუის არა.

აწე, ვინცა და რამანც გუარმან კაცმა ჯელყოს და იკადროს  
ჩუენ მიერ ბრძანებულისა და დამტკიცებულისა ამისა შლად და  
არდამტკიცებად, რისხავსცა დაუსაბამო-დაუსრულებელი ღმერთი...

<sup>1</sup> როშნევანს.

უკეთუ მეფემან შეცვალოს მეფობისა და კელმწიფობისა მისი-  
სათუის, მეუფეო ყოველთა მეფეთა ქრისტე, შენ იგი შექსცვალე  
მეფობისა და პატრონობისა მისისაგან; გინათუ დედოფალმან შე-  
ქსცვალოს დედოფლობისა და პატიოსნობისა მისისათუის, დედო-  
ფალო ყოველთა დაბადებულთა მარამ ქრისტეს დედაო, შენ იგი  
შექსცვალე დედოფლობისა და პატიოსნობისა მისისაგან; ანუ თუ  
უფლისწულმან უღონობისათუის, გინათუ მთავარმან მთავრობისა-  
თუის, ანუ თუ თავადმან თავადობისათუის, გინათუ აზნაურმან  
აზნაურობისათუის, ანუ თუ სამლუდელოთა დასთაგანმან, მსოფლი-  
ონმან, ანუ თუ მდაბიორმან, გინათუ მდიდარმან მდიდრობისათუ-  
ის, ანუ თუ გლახაკმან კაცმან დაერდომილობისათუის, დიდმან ანუ  
მცირემან, ვინცა ადამის მონათესავემან ზელყოს და შექსცვალოს,  
შემცა-იცულეების სჯულისაგან ჩუენ ქრისტიანეთასა... ხოლო ამისნი  
დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხენს...

აწუ გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან ჩუენსა ერთგუ-  
ლად სამსახურსა შინა. ბრძანება ნიშნად გუიბოძებია.

დაიწერა წიგნი და მტკიცე სიგელი ესე თუესა იანვარსა<sup>1</sup> ე,  
ქორონიკონსა სჲე, კელითა კარისა მდივნისა ჩუენისა მათარსი-  
სითა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

63. [მამულეგის მფლოგალოგის განახლეგის წიგნი ალექსანდრე  
II-ისა სვეტიცხოველისადმი]

[1579 წ.]

სიქადულო და სკიპტრაო მეფობისა ჩვენისაო, ასულო დავი-  
თისო და ქალწულად ევმანოელისა, რომელი ეგე სამწლისა მიყვა-  
ნებულ იქმენ ტაძრად, ტაძარო სულისა წმიდისაო, მახარებელო,  
ევას ნაშობთა გარეულთაო, ბნელისაგან ნათლად მომყვანებელო,  
ნათლად მოცემისა და ჩუენად ზღუდედ გამორჩეულო, წარმმართვე-  
ბელო მეფობისა ჩვენისა, დიდებაო და სიმტკიცეო სკიპტრა-პორ-  
ფირისა ჩუენისა და გვრგვზო... და ხახულისა ღმრთისმშო-  
ბელისა[ა]თა, და შუამდგომელობითა თქუენითა, მსასოებელმან  
ძისა თქუენისამან და მონდობილმან ცვა-ფარვათა თქუენთამან, მე-  
ფეთ-მეფისა სულკურთხეულისა პატრონის ლეონის ძემან, მე-  
ფეთ-მეფემან პატრონმან ალექსანდრე, და თანამეცხე-  
დრემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან პატრონმან თინათინ,

<sup>1</sup> იენვარსა.

და ძეთა ჩუენთა; პატრონმან ე რ ა კ ლ ე, პატრონმან დ ა ე ი თ, პატრონმან გ ი ო რ გ ი, პატრონმან კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე და პატრონმან რ ო ს ტ ო მ, ვითა სამართლად გუმართებდა, ეგრედ ჯერ-ვიჩინეთ და ვიძიეთ სამსახურებელად სუეტისა ღმრთივ-აღმართებულისა, კუართისა საუფლოსა, და მირონისა ღმერთ-მყოფელისა, და ზუნ მყოფისა ელიას ხალენისა.

მას ჟამსა, ოდეს ჩუენს საბატონოში მცხეთის მამულებისა შესავლისა და სოფლების მზლუარნი და სარგონნი მექემობით მესამზლურეთა მამულნი და აგარაკნი მიეტაცუნეს, მექემობითა და ღმრთის უშიშობითა, მობძანდა წინაშე ჩუენსა ჩუენის სულის მეოხი და შესავედრებელი, ჩუენი ძმა პატრონი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ნ ი კ ო ლ ო ზ, და სრულად ერთობილნი მცხეთისშვილნი, მცხეთის ცუელნი გუჯარნი და სიგელნი მოიხუნეს.

გავსინჯეთ და ვქენით მოკითხულნი, რომელიც პირველთ ძუელთ კელმწიფეთ, ჩუენთ მამათა და პაპათა, დედათა და ბებიათა ჩუენთა სულკურთხეულთ გეერიგებინნეს, გეესაზღურნეს და შეეწირნეს, ეგრეთვე ჯერ-ვიჩინეთ, შეესწირეთ და მოვახსენეთ უღაბნონი, მონასტერნი, ეკლესიანი, სოფელნი და აგარაკნი, აზნაური და გლეხნი.

მოვახსენეთ: [ხ ო ] რ ა უ გ ს სა წ ი ნ ა მ ძ რ ო მ ო ნ ა ს ტ ე რ ი; ყ უ ა ვ ი ს თ ა ვ ი; კ ი ლ მ ა ტ ი; და ა ს კ ი ლ ო ვ ა ნ ი; კ ი ლ მ ა ტ ი ს ც ი ხ ე, მ თ ი თ ა და ბ ა რ ი თ ა; ვ ე რ ე ნ ა, ც ი ხ ი თ ა, გ ა რ დ ა ღ მ ა ს ა ფ ი ს ტ ე ს ც ი ხ ე მ დ ი; გ ა რ დ მ ო ღ მ ა ფ ა დ ლ ა შ ე ნ ი; ტ ა ზ რ ე ბ ი, კ ე ხ თ ა; ს ა ბ ა წ მ ი დ ა, კ ა წ ა რ ე თ ს, ძ მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს ს ა ხ ლ ს ა ქ ა თ ა რ ო მ ღ რ მ ა ლ ე ლ ე ჩ ა მ ო ვ ა, ჩ ა მ ო ს წ ო რ ჩ ა მ ო ვ ე ლ ი თ, ი ო რ ს გ ა ღ მ ა, რ ა ჟ ი ა ნ თ ე კ ლ ე ს ი ა ს ქ ე უ მ ო თ, ს ა მ გ ო რ შ ი, თ ა მ ა რ მ ე ფ ე ს ა გ ა ნ ა ღ ე ბ უ ლ ს რ უ ს შ ი გ ნ ი თ, ჩ ა ვ ლ ი თ ბ ო ს ტ ა ნ ქ ა ლ ა ქ ი ს მ ზ ლ უ რ ა მ ღ ი, ჩ ა ვ ლ ი თ ს ა ჯ ე რ ნ ე ს ტ ბ ა მ დ ი, მიღგმით გ რ ძ ე ლ ს ტ ბ ა მ დ ი, ჩ ა ვ ლ ი თ ა მ ა რ თ უ ლ ს ქ უ ა მ დ ი, ჩ ა ვ ლ ი თ შ უ რ თ ხ ა ა ნ თ კ ლ დ ე მ დ ი, ჩ ა ვ ლ ი თ ლ უ რ ჯ ს ფ ლ ა ტ ო მ დ ი, ჩ ა ვ ლ ი თ მ ა მ ა დ ი ს გ ო რ ა მ დ ი, მიღგმით ს ა ქ ა ლ ა ქ ო ს შ ა რ ა მ დ ი, ა მ ო ვ ე ლ ი თ დ ა მ პ ა ლ ი ს კ ე რ ძ ო ი ო რ თ ა კ ე ნ; მ ა რ ტ ვ ი ლ თ მ ო ნ ა ს ტ ე რ თ წ ა მ ო ვ ე ლ ი თ, წ ი ნ გ ა მ ო ვ ე ლ ი თ, ი ო რ ი ს პ ი რ ს, ს ა ყ დ რ ი ს ჩ ა მ ო ს წ ო რ ს ა მ ნ ი გ ო რ ა ნ ი ს ხ ე ნ ა ნ, დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ი ს ქ ე ი ლ თ ა თ ა ვ ს, ი ო რ ს ა გ ა მ ო ღ მ ა, ხ შ ი რ ს მ უ ხ ე ბ თ ა ნ, ი ს პ ი ა ნ თ ბ ო ლ ო ს რ ო მ დ ი დ ი ლ ი ა ა, ა მ ო ს წ ვ რ ი გ მ ც ხ ე თ ი ს გ ო რ ა კ ი, თ ა რ ა ქ თ ბ ო ლ ო ს ა, ა მ ო ვ ე ლ ი თ ბ რ მ ა წ ყ ა რ ო, ა მ ო ვ ე ლ ი თ შ ა ვ ქ ე თ თ ლ ე ლ ე, ა მ ო ვ ე ლ ი თ დ ა ვ ა ლ თ ი ს ა ს ა, ი ქ ი თ რ ო მ ც ო ტ ა ლ ე ლ ე ა, რ ო მ ე ლ ს ა ე წ ო დ ე ბ ი ს მ ა რ ი ა მ - ჯ ვ ა რ ი, შ ი გ ნ ი თ გ ა რ დ ა ე ლ ი თ, შ ი გ ნ ი თ კ ე რ ძ ო და ს ტ ა ფ ი ს თ ა ვ ს ძ ვ ე ლ ი ე კ ლ ე ს ი ა, ჩ ა ვ ლ ი თ ვ ე ლ ტ ყ ი ა ნ ი, ჩ ა ვ ლ ი თ შ ა ვ წ ყ ა რ ო ს ლ ე ლ ე, ჩ ა ვ ლ ი თ



წინანდლის თავს ქედ-ქედნი მიადგებიან, ხოდა შენსა და  
 წინანდალს შუაოლე ჩავლის, დაბლა ბაღთ-კარნი, ამოვლით  
 განთა მონასტერი; ბუშატი, მთითა და ბართა და მონა-  
 სტრიოთა; შაშიანთ თავს მთავარანგელოზი საყდარი,  
 მარმაროვა[ნთ] სამზღურამდის, მოდამნახის ციხემდი,  
 წავლით გოგას წყარომდი და დევთ-ნასახლარამდი,  
 და წავლით ომანის სასაქლომდი, მიდგმით გომთ-წყლამ-  
 დი, სადაც გომის-წყალი ქერემის ქვეს შეერთვის, იქილდი  
 ნაბირნი; რაჯახს წმიდის გიორგის საყდარნი და  
 შესავალნი; ვარცა და დუმას-უბანი და შენოანთ-  
 უბანი; ახალშენი სოფელი და თოლაანი, მათითა მზღუ-  
 რითა; კახის-უბანი, თავისის მითა და წყლითა; შალვა-  
 შვილნი თავისის მამულითა; ჯვარა-ნასოფლარი; ახ-  
 შანს ხუთი კუამლი გლეხი და ერთი ზვარი; ალაზანს ვაღმა,  
 ფიჩხოვანს თორმეტი მთელი მამული საგლეხო; ორი  
 კომლი გლეხი პანკისა; და თორმეტი კომლი ვაქარნი სომეხი  
 და ურია გრემს; ორნი გლეხნი გვერდის ძირს; ვეძისქვეს  
 მონასტერი ვარცანისა და სოფელი ვეძისხევი; გიორგი-  
 წმიდა; გოგანი; დელის-უბანი, ქორეთი; სეფორის  
 დელე და ბაწკინტელის დელე, ორნივე მითა და ბართა;  
 ჩელტს ვამოღმა, გ'რემისა კერძად, დაბლა თეთრს კლდემდი,  
 სოფელი ფაშაანი; გავას საკუამლო შვიდი და ზვარი ერთი;  
 ბარაუნთ, რაც მცხეთის სოფელნი მონასტერნი, საკონე, საფიჩ-  
 ხულე, სათევზითა; ლაგოდეხი, დანუქი, რაც მცხეთისა არის;  
 ვარდიანში შვიდი მთელი საკუამლო; ჭარანს ხუთი მთელი  
 საკუამლო; ელისნელში ლერწანი და სოფელი კულენანი;  
 ბაზარს სასახლე, საყდარი და თვრამეტი კომლი ურია და  
 სომეხი; ერწოს მონასტერი ბოქორმისა, წმიდის გი-  
 ორგისა, მისის შესავლითა; ერწოს მონასტერი კიდევე წმი-  
 დის არჩილის სამარხო; სოფელი კვერნაშენი; ტოხაძე, თა-  
 ვისის მამულითა; ერწოს თხილნარას ორს გლეხს, სადაც  
 რომ მამული დღეს ჯელთა აქს, მითა და ბართა, საწნა-  
 ვითა და უტნავითა, შესავლითა და გასავლითა, ჩრდილოთ აცუ-  
 ძამდე, დასავლით თეძმის-ქვეამდე — ეცილებოდა ომან და  
 ტოხაძეს დარჩა რამინოქს; სოფელი ნოდკოტრა და ასა-  
 დურნი; სოფელნი ჩეკურნნი, მითა და ბართა, აღმოსავლით  
 ნეთის-წყარომდე და ზემოთ გოგის ფლატემდე, დასავლით  
 ძღვევის-ჯვარს აქეთ, გასწურივ დამპალი წყალი, მიდგმით  
 გრძელი დელე, ტოხაძეს და ნოდკოტრელთ მთის მზღუარში სამანი უსხენ-

ნა: უღელტეხილთა გორასთანა; ძაგნაკორნას, რაც მცხეთისა  
 არის, თორმეტი მთელი მამული; ანუ შს მონასტერი ყოვლად წმიდი-  
 სა და სოფელი ანუ ში და ოდიშელიძენი: ზარბე, მამის-იმედი და მისი  
 განაყოფი; სოფელი წირდალი; ხალის-წობენა; ნოჯა და  
 ნოჯიკეთი; პიტლოანი; ევექტი; აბანო; გორანა; თო-  
 რეჯნი; სოფელი ილი; ხარჭაშნს, თიანეთის თავს, სოფელი  
 ჯიჯეთი, და ეკლესია სვეტის ცხოველისა და გლეხნი ბამანძურძენი;  
 და ხანდაკს კირაულნი, მათითა მამულითა; სოფელი ბაგა; და  
 ცოცხადის მამული, სულა ერთპირად, მისი სოფელი ჭოპარტი;  
 სოფელი ბიწმენი და გიჯიყრელნი ორნი სახლნი; ახატანს  
 ხუთი მთელი გლეხი და საგლეხო მამული; მეორე ბიწმენი; სო-  
 ფელი ბოკოწინი; სოფელი არჯაკალი; და მიწობელნი, ნავ-  
 ნიოს და გიორგი, მისი განაყოფი და პატა, მისი განაყოფი, მათი-  
 თა მამულითა; სოფელი იპტისი; სოფელი ზაქარიანი; სო-  
 ფელი ახვი; საგურამოს ზედაძნელაშვილნი, თავისის მამული-  
 თა; გორის-უბანს წყალს სთველასშვილი, თავისის მამულითა;  
 მონასტერი ჯვარისა, თავისის მამულითა; სოფელი ფოსვი;  
 სოფელი ჯაქვი; და გარაყანიძე ზავრად, თავისის მამულითა; ნა-  
 სოფლარი ავჭალა; სოფელი ოროტა, თავისის მზღურითა, მო-  
 ლამურთ თავს რომ ჯვარი ასვენია, იქით მოლაშურთ ჩატანე-  
 ბასა, მუხრათულთა პირპირ, გოგიას ჭევეამდი, უნაგირას  
 ქვას ქუეით. გარდაკუეთილამდი, იქით წამოღმა ჩრდილთა  
 წუერწუერ წამოვლით, სადა უფროს მაღალი ქედი არის, იქით კუ-  
 რინჩხთაქენ რომე თელანი დგანან, იმას ჩავლით, სადა გრდნუ-  
 ლი შარა გარდაუქცევს, შარა-შარა წავლით, სადა დიდნი სხალნი  
 დგანან, იქიმდინ ნიჰარძეულის ნასახლარამდე, დელე-შემოტანებასა,  
 სამნიასშვილის მიწის თავს რომ იფნი დგანან, სამნის კომლის  
 ნასახლარნი ოროტისათვის დარჩნეს, ესე იქით, ახალ-უბანს  
 ჩატანებით, ქაცუთა თავს ქუანი სხენან, იქით ქაცუთ ჩატანებით  
 ჭევეამდი, სადა სანაჯირო შარა გავალს, ამას ამოვლით ნასახლარა-  
 მდე, თხაკას იქით ქედის ბოლომდე, ამათ შუა რაც არის, ყულა  
 ოროტისა არის; გლდანს ლაჭიანძე გიორგი და გულბათ,  
 თავისის მამულითა; ნასოფლარი კუტალა; ლილოს გუერდის  
 სოფელი ახალდაბა; სოფელი ჯიმითი, მისითა მითითა და  
 ბარითა, დასავლით საყარაულოს კოშკთაქენ თუთუბოს  
 დელე, ნასოფლარი ნაკუერცხალა, ჩავლით ღრჴმა დელე,  
 მიდგმით საგუელე ქუა, გაღმით და ვით აღმაშენებელის  
 აღშენებული ჭიაბერთ ეკლესია, ფხოელთაყუნ წამო-  
 ვლით, ლაკუათ პირს ჩავლაჲ წურილი დელე, მიდგმით

დიდი გორა, გარდავლით ჩუმლაცთაქენ კულენანნი, ჩავლით ძამაურა, ჩავლით წურილი ტევი, ჩავლით გაწყუ-  
ეტილა, წნორის მიდგომამდე, ზემოთ ნაპირთ სამღძურამდე  
რაჯაკი და მისი მიდგმა და ნასოფლარი, გაღმა შავწყალის  
პირს სოფელი წითელანი.

ამათ მამულთა, მათა და ბართა, მინდორთა, თუ ტყეთა, რაც  
რომე საძვრათ პირუტყუი დადგებოდეს, ზამთარ თუ ზაფხულ,  
ამათ საწოვრის სარგოს თქუენ აიღებდეთ, ცხვარი იყოს თუ ძროხა,  
თუ ღორი, უდაბნოებს მის წილს ნურას დააკლებთ, და თქუენი  
თქუენვე მოიკსენეთ.

ჩუენის ბრძანებით წარვლენილნი და ამა სამანთა და სი-  
რონთ დამსხმელნი და მოწამენი: ბატონი ალავერდელი კი-  
რილე, ჭერემელ ეფისკოპოზი ბასილ, ჩოლაყაშვილი  
რევაზ, ციციშვილი მერაბ, დიდი საგინაა, მაყა-  
შვილი ზაალ, ზუბელი რუსიშვილი ინდო, ჩოლოყა-  
შვილი თამაზ, ვაჩნაძე გიორგი, ბულალაშვილი და  
სეფედავლე ობლისძე.

ვერცა ალავერდელმან დავერც სხვათ ჩუენის საბატონოს ეფის-  
კოპოზთ თქუენი ურჩობა და წინააღმდეგობა ვერა ქნან რა.

და თუ რამ დააშაონ და რჯულიერის საქმით გაუწყრეთ, არ  
დაგიშალოთ, და ვერცა-რა თქუენის საყდრის ნიშანი და საბარ-  
თალი და ბაჟი დაგაკლონ.

ესე ასე გაგვითავებია და მოგვხსენებია თარხნად და ჯელმე-  
შაულად და ყოველის ნიეთისაგან რომ არაფერი არა ეთხოვბოდეს-  
რა, და არცა-რა ეწერებოდეს: არა მალი, არა სათათრო დიდი  
საურავი, არა სამასპინძლო, არა საჯინიბო, არა საახორსარლო<sup>1</sup>,  
არა შეშისა და წყლის ზიდვა, არა მუახლე, არა ძიძა, არა ქორწი-  
ლის ხარჯი და არც მიცვალებულისა, არაფერი, რაც მოიგონების  
და ან რაც მწერლისაგან დაიწერების, არც ბაზიერთა და არც მე-  
ურმეთა, თვინიერ ლაშქარ-ნადირობისა და მტრის დარაჯობა. და  
თუ მცხეთისა და უდაბნოსაგან მოკლით იყუნენ, ციხე გვიმუშაონ  
და სასახლეც უმიზებოდ იმუ[შაონ], არც თქუენი უნდომო მოკვლე  
და ჩვენგან გაგებული [დავაყენოთ უამებელი].

ესე ასე დაგიმტკიცეთ და მოგახსენეთ ძმასა ჩუენსა, პატრონს  
კათალიკოზს, წმიდის ბასილის და იოვანე ოქროპირისა და გრიგო-  
ლის მიმსგავსებულსა და მათის წესის მიმბაძვესა კათალიკოზს  
ნიკოლოზს, ასე მოგახსენეთ და დაგიმტკიცეთ წმიდასა კა-  
თოლიკე ეკლესიასა, და სუეტსა ცხოველსა, და კუართსა სა-  
უფლოსა და შირონსა წმიდასა.

<sup>1</sup> საახორსალლო.

აწე, ვინცა და რამანცა ამის დაწლად და ქცევად ჰელყოს და გამოჯუებად და დაქინებად, ჯერემც რისხავს დამბადებელი ღმერთი, მამა, [ძე და] სული წმიდა და მისი უბიწოდ მშობელი წმიდა ქალწული მარიამ და წმიდანი ზეცისა ძალნი, ანგელოზნი და მთავარ-ანგელოზნი, წმიდა ცხოველს-მყოფელი ძელი ჯვარისა, ქრისტიანეთა შესავედრებელი, წმიდანი წინასწარმეტყუელნი, მოციქულნი, მოწამენი და ნეტარნი მამანი, წმიდანი ქალწულნი, მეუღაბნონი, მესუეტენი, რომელთა დაჯერეს ღმერთი ღუაწლითა მათითა.

მშლელი და მაქცეველი ამისი კრულმცა არის ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ნურათამც სინანულით ნუ იქნების ცსნა სინანულისა მისისა, მაზედამცა დაესრულების ლალადება შეასდარვისა ფსალმუნისა, იყავნ ცოლი მისი ქურივ და შვილნი მისნი ობოლ, მასზედამცა მოიწევის ჳმა იგი: «წარვედით დაწყუელნო ცეცხლსა საუკუნესა, განმზადებულსა ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისათვის»\*. მაზედამცა მოიწევის მეხი, მსგავსად დიოსკორესა. ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისა, და შიშთვილი უფლის მიმცემელისა იუდასი, და წყევა ნისტორ და ოროგინესი.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხენს და წმიდამან უბიწოდ მშობელმან მარიამ და სუეტმან ცხოველმან, სამოციქულომან საყდარმან და მას შინა მკუთიდრმან კუართმან უფლისამან, და წმიდამან მირონმან.

დაიწერა ინდიკტიონსა მეფობასა ჩუენისასა თხუთმეტსა, ქორონიკონსა სნიჴ, ჳელითა წინამძღურის ვაჩნაძის იოსებისათა და მოწმეცა ვართ.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ნ ე ბ ი თ ა ღ მ რ თ ი ს ა თ ა .

#### 64. [წყალოზის სიგელი აღმასანდრე მფვისა როსაზ ჯანდიმარიშვილისადმი]

[1584 წ.]

[ქ. ნებითა ღმრთისათა ჩ]უენ, ღმრთივ-გუირგუინოსანმან მეფეთ-მეფემან, ჳელმწიფემან, პატრონმან [ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე და თ ა ნ ა] მ ე - ც ხ ე დ რ ე მ ა ნ ჩ უ ე ნ მ ა ნ , დ ე დ ო თ ა ღ თ - დ ე დ ო თ ა ღ მ ა ნ , პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ თ ი ნ ა - თ ი ნ და საყუარელთა ძეთა ჩუენთა პატრონმან ერეკლე, პატრონ-მან დავით, პატრონმან გიორგი და პატრონმან კოსტანტინე, ესე უკუნისამდის ეამთა გასათავებელი, უქცეველი, მტკიცე წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და თავგანწირვით ნამსახურთა ჯენდიერიშვილს როსაზს და თქუენთა შვილთა: იოვანეს, გურგენს, ბეენს და მომავალთა თქუენთა ყოველთავე მას

\* მათე 25,41.

ჟამსა, როდესაც მოხუდით კარსა ზედან დარბაზისა ჩუენისათა და სამამულესა საქმესა გუეაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, ვიგულეთ და ვიგულის-მოდგინეთ ეგრეთ, არა დავიწყალობეთ, ვითარცა ერდგულად ნამსახურსა თქუენსა ვემართლებოდით და გიბოძეთ ფიფანეთით კაცი, კუამლი თერთმეტი, ბარაუნთათ კუამლი კაცი ოცდაცხრა და ნასყიდი კაცი კუამლი ერთი.

ესე ჰელშეუვალად, სამკუიდროდ და სამამულედ თქუენთუის გუიბოძებია, მათისა სამართლიანითა სასახლითა, ქვეერ-მარნითა, წყალ-წისქულითა, ვენაჭითა, საცნავითა და უცნავითა, სათიბითა და უთიბითა, ტყითა და მინდუროითა, სანადიროთა და უნადიროთა, საჭმრითა და უჭმრითა, ყოვლითურთ უნაკლულოდ, სამკუიდროდ თქუენთუის ყმად გუიბოძებთან, ყოვლისა კაცისაგან დაუცილებლად და მოუსარჩლელად, ასრე რომე ვერცა თქუენმან გუარის კაცმან და ვერცა სხუა გუარმან კაცმან თქუენთან ჰელი ვერავინ დაიდვას და ამა ჩუენგან ნაბოძებსა წყალობასა ვერავინ მოგესარჩლოსთ; საბოლოოდ და სამკუიდროდ თქუენთუის დაგვიმტკიცებია.

და თუ ვინმე თქუენთან ჰელი დაიდვას და ამა ჩუენგან ნაბოძებსა წყალობასა მოგესარჩლოსთ, მისი სარჩელი წიგნითა ამით გაგუიციუდებია; და არავინ გუიბოძანებია მშლელ და მაქცეველ ბრძანებულისა ამის ჩუენისა და მტკიცე ესე არს.

და არას დროსა და ჟამსა ესე ჩუენგან ნაბოძები ყმა და სამართლიანი მათი მამული არაოდეს არა მოგეშალოსთ, არა ჩუენგან და არა ჩუენსა შემდგომად სხუათა მეპატრონეთა და ჰელმწიფეთაგან.

და არცა ზემო და არცა ქუემო ამა თქუენსა მამულსა ბეგარი და მეკობრის-სამძებნელო არა ეთხოვებოდეს.

აწე, გქონდეს და გიბედნიეროსთ ღმერთმან ჩუენსა ერთდგულად სამსახურსა შიგან; ბრძანება ესე ნიშნად გუიბოძებია.

დაიწერა წიგნი და მტკიცე სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა წელსა მეათესა, თუესა ოკდომბერსა თექუსმეტსა, ქორონიკონსა სოზ.

ჩართულად:

ჰელმწიფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა, ამინ.  
გიორგი, ერეკლე, დავით.

[1590 წ.]

[ჩუენ], მეფეთ-მეფემან ს უ ი მ ე ო ნ უ ზ ე დ ა ე ს თ ა მოგახსენებთ და უქუედაესთა გიბრძანებთ: ერთობილნო დილომსა ზედათნო, მტკუარ-გამოდმართნო, ვიდრე ჭევა მ დ ე ე ბ ის კ ო ბ ო ზ ნ ო, თავადნო, აზნაურნო და გლეხნო, დიდნო და მცირენო, ვინგინდავინ ბძანებისა ჩუენისა მორჩილნი იყუნეთ!

მერმე, თქუენდა მეკობრის-მცებნელად ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი გ ო - შ ფ ა რ და ლ ა რ ა ს ძ ე ყ ა რ ა ი გ თ გამოგუიზავენია, ასრე რომე ესე ჩუენგან ნაბრძანები და დანაწესები ყოველივე ასრე ათავონ.

და სხვა, რაც ჩუენი ნაბძანები არ იყოს, მის მეტი ძალი და უსამართლო არავის უყონ, თვარემ ჩუენად შეცოდებად მოვჭკითხავთ.

იცოდენ აგრევე, რაც კაცი ჩუენს ნაბძანებზედ უარს ეტყუის მეკობრეთ-მძებნელსა<sup>1</sup> და ანუ დაუმაღავს რასმე, მასცა ჩუენად შეცოდებად მოვჭკითხავთ.

1\*. ვისცა სამრუმო საქმე ჰქონდეს, თავ-თავის ებისკოპოზთან მივიდენ და მათ გარდაუწყუიტონ.

2. ვისცა სასისხარი საქმე ჰქონდეს, ჩუენს კარზედ მოვიდეს და რარიგადცა კარისა ჩუენისა სამართალი იყოს, ისრე გარდასწყუიტონ.

3. ვისცა ჩუენის ორდუსა რამ მოეპაროს, ის ქურდი ჩუენს კარზედ მოიყუანონ.

4. ვისცა გორის ციხის აღებას წინათ რამ მოეპაროს, ის სამეულად აზღვევინონ: ერთი პატრონსა, ერთი და ნახევარი ჩუენ და ნახევარი მეკობრეთ-მძებნელსა.

5. ვისცა სხუის უმტეროს თემისა რამ მოეპაროს, ის ხუთეულად აზღვევინოს: ორი პატრონსა, ორი ჩუენ და ერთი მეკობრეთ-მძებნელსა.

6. ვისცა ჩუენის საბატონოსა რამ მოეპაროს, ის შვიდეულად აზღვევინონ: ორი პატრონსა, ოთხი ჩუენ და ერთი მეკობრეთ-მძებნელსა.

7. ვინც კბილი ჩა[ა]გდებინოს, იმას უკეთეს სამასი შაური, საშუალს ორასი და უქუედაეს[ს] ასი შაური აზღვევინონ.

<sup>1</sup> მეკობრეთმძებნელსა.

\* ბელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

8. ვინც ვის თავი გაუტეხოს, უკეთეს[ს] ასი შაური, საშუალს: სამოცი და უქუედაეს[ს] ორმოცი შაური აზღვევინონ.

9. ეს ყოველივე ამრიგად ისაქმონ; და სადაცა რამ აიღონ, ნუსხად უნდა ქნან. და იმ ნუსხით კარისა ჩუენისა მოსაქმეთ ანგარიში უნდა მოსცენ.

ქორონიკონსა სომ, ლუინობისთვის იმ.

ჩართულად:

ს ე ი მ ო ნ .

66. [სისხლის განჩინების სიგელი სიგონ I-ისა.  
მაღალაქმებისადმი]

[1592 წ.]

ქ. ჩუენ, ღმრთივ-გუირგუინოსნისა მეფეთ-მეფისა სუიმეონის-გან ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, კახთა. რანთა, სომეხთა მეფისა, შანშა და მარგანშა და ყოვლისა აღმოსავლისა და ვიდრე დასავლამდე თვით მტკიცედ ფლობით მქონებელისა.

მოვიდეს წ[ინა]შე ჩუენსა ჩუენნი ერთგულნი და ძალისაებრ მათისა დიდად და თავდადებით ნამსახურენი, დიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესიისა შვილნი მაღალას ძე ქადაგი გედეონ და ძე მათი რომანოზ, გუეაჯნეს და მოგუაჯსენეს, რათამცა მოკითხული გუექმნა საქმე სახლისა მათისა და, სანაცულოდ სამსახურისა მათისა, სიგლითა ამით შეგუეწყალნეს.

ვისმინეთ აჯა და მოგსენება მათი, ვქენით მოკითხული და ძუელითგან ძუელთა მეფეთა ჩუენთა გუართაგან შეწყალებულნი იყუნეს და ესევეთარნი სიგელნი ქქონებოდეს და ქამთა სიგრძისაგან დაძუელებულიყუნეს.

და აწე ჩუენცა შევიწყალეთ და განუახლეთ და ვითარისა ჯელისა მქონებელი იყო, ეგეთივე სიგელი მიუბოძეთ ძალად, პატივად და სიმაგრედ თავისა და სახლისა მათისა ერთბამად, კითხულობითა ეპისკოპოსთა, თავადთა, დარბაზის ერთა და ვაზირთა ჩუენთათა, სამართლად და ჯერჩინებითა საქმისათა, ვითარცა შეგუანდა თუ ვითარ მოეგმარებოდა სახლსა ჩუენსა ცოცხალი და ანუ ვითარ დააკლდებოდა მომკუდარი.

და განუჩინეთ სამართალი სისხლისა:

1°. უკეთუ ვინმე იკადროს მძლავრებითა ეშმაკისათა, ჯელ-ყოს და მოკლას, სამასიათასი კირმანაული თეთრი დაუურვოს.

2. თუ მონაზონი იყოს ანუ ხუცესი ამა გუარისა, ანუ დიდებულმან ანუ აზნაურმან ანუ სხუამან კაცმან მძლავრობით და უსამართლოდ ჯელთა შეიპყრას, სრული სისხლი ეზღოს.

\* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

თუ ერისგანი შეიპყრას, ნახევარი სისხლი დაეუროს.

3. თუ ხუცესსა ცოლი მოუტყუოს, სრულსა სისხლსა ორმოციათასი სხუა ემატოს. თუ ერისგანსა მოუტყუოს, ნახევარი სისხლისა უზღოს.

4. თუ ლაღათა მოკლას, სამოციათასი სისხლსა უმატოს.

5. თუ ცოლი წაუღოს, სამოციათასი დაეუროს.

6. თუ ნაბრძობი ვინმე დაუჭიროს, ოციათასი თეთრი სხუა ეზღოს და ნაბრძობიცა შეექცეს.

7. თუ აგინოს ვინმე პირდაპირ, ხუთიათასი დაეუროს. თუ დიაცი აგინოს, ათიათასი დაეუროს საუბატიოდ.

8. თუ უსამართლოდ მუქარა სთხოოს, თორმეტიათასი დაეუროს.

9. ნაკრავითა თუალისა წაყრა, ჯელ-ფერჯისა დაშავება, პირსა დაღი, წინასა კბილ[ი]სა ჩაგდებინება — ნახევარისა სისხლისა არის.

10. თუ უჩინარსა ადგილსა დაღი დასუას, ორი გერში დაეუროს. თუ გერში გამოართუას, ოთხიათასი დაეუროს.

11. თუ ცხენი მოსტაცოს, ხუთიათასი საუბატიოდ დაეუროს.

12. თუ ჯოგი ჰყუეს და მოსტაცოს ვინმე, რაზომისაცა სულისა იყოს, თუის-თუისად გაძარცული და ორკეცი საუბატიოდ დედათა დაეუროს და ერთი მამაციისა; და ცხენებიცა უკლებლად შეექცეს.

13. თუ ზედა დაესხას და დაიფორაქოს და საქონელი წაუღოს, სრული სისხლი ეზღოს; და დედათა და მამათა მათითა წესითა საუბატიოდ დაეუროს, და ალაფიცა უკლებლად შეექცეს.

14. თუ ცეცხლი ვინმე შეუდვას ანუ საბზელსა, ანუ ეზოსა, ანუ სიახლოესა რამე დაუწუას, ნახევარი სისხლისა ეზღოს.

15. თუ სასახლესა შეუდვას, სრული სისხლი არის. და რაზონიცა სული დაეწყუდიოს, მისგან ყულა დამწუარი იქნების და მართლითა სამართლისა გაუჩნდეს.

16. თუ ვინმე საღალატოდ წავიდეს და თავადვე დაშალოს, ანუ სხვათა დააშლევინონ, არა ზედა-აც.

17. თუ გაპმართოს და სიკუდილსა ეცადოს და ესევეთარი კაცი ღმერთმან მოარჩინოს, მისგან მკუდარი იქნების და ნახევარი სისხლი დაეუროს სიკუდილისა ცდისათუის.

18. თუ პატრონს წინა უსამართლოდ შეასმინოს, ოციათასი თეთრი დაეუროს.



19. თუ გასცეს ვინმე, ნახევარი გამცემი და ნახევარი წამლები გარდაიჭადოს, რაცა შეჰქდეს. სასიკუდილოდ გამცემი ნახევარი სისხლი უზღოს და სამეკობროდ გამცემი ხუთთათასი თეთრი დაუშრვოს, ამაღ რომე რაცა უარესი მოჰქდების, გაჰცემი-საგან იქნების.

20. ბოსტანში თუ ჩაუქდეს, მოჰპაროს და აუ[ო]ტროს, დე-დათა საუბატიო დაეურვოს.

21. თუ კუდიანობა და მწამელლობა დასწამოს, სისხლისა ნახევარი არის.

22. თუ მეკობრე, დამსხმელი და გამწე მოკლას; მისი სისხლი არ ეთხოვს.

მტკიცე და უცვალეგელი ბრძანება ესე და სიგელი გიბედ-ნიეროს ღმერთიან დიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესიისა შვილთა მალასძესა ქადაგსა გედონს და ძესა შენსა რომანოზს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

როგორაცა ჩუენგან მოცემულსა მართებს, ვგრე ვერვინ შეგიცუალოს; არავინ გუიბძანებია მშლელი და მქცეველი მტკიცე ბრძანებულისა ამის ჩუენისა, თუნიერ სიმტკიცისა და თანადგომისაგან კიდე.

დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ქორანიკონს სპ, ჴელითა მღღელ-მონაზონისა ბესარიონისითა.

სვიმეონ.

## 67. [ჰიაურის ულუფის წიგნი აღმძხანდომ II-ისა]

[1593 წ.]

ქ. ჴიაურთ მოურავის გოშფარისაგან ერთ[ობილნი] ჴიაურელნი ბევრსა რასმე ძალსა და უსამართლოსა ჩიოდეს,—უფრო ულუფის საქმეზედან და ჩუენ, მეფემა ჴელმწიფემა პატრონმა ალექსანდრე [ას]რე გაუჩინეთ, რომე:

ასმა კუამლმან შემძლე[ემ] მოურავს ერჩიოს, შინ ჩაიყენოს, და ერჩიოს, მთელი ულუფა მისცეს; ამას ჴუედამა ასმა კუამლმან კაცმან ექუს-ექუსი შაური მისცეს და ამან კაცმან კიდევ სამ-სამი შაური მისცეს; და სხუამ ამას გარეთ რაცა კაცი გარდარჩეს, ბეზმისქინი კაცი იქნების, ამას ჩამოეხსნას, არა ჴედა-აცს.

ამას გარეთ დაგუიდგამს ბაკანი ორლიტრიანი მთელის ულუფისათვის. შემძლე კაცი გავაზურს ჩუენს დიდს სპილენძის თუნგს სამსა მისცემდენ, სამი ერთი ცალი იქნების. ვისცა ტკბილი არ მოუვიდეს, მის სამუქეფოს ნულარასა სთხოვს, ღმრთის ბრძანება არის და არა ჴედა-აცს.

მანჯანიკისა ასრე გაგუიჩენია, რომე, თუ სხუის თემის კაცი მოვიდეს და ჭიაურელს კაცისასა დაჯდეს, მისგან ერთი ჩარეკი აბრეშუმში მოურავსა ერგების; და ჭიაურელი კაცი რომელ ჭიაურ-შიგან დაჯდეს და მანჯანიკი ახუივოს, იმასა ქურჩულული არა ზედან-აცს.

აგრევე სამოურაო აიღებოდეს: მეულუფემ მთელისა ულუფისა და ექუსშაურიანისა ერთი შაური აიღოს და სამშაურიანსა ნურასა სთხოვს.

საყდრის ყმაზედან ლაშქარ-ნადირობისაგან კიდე ჯელს ნურას დაიდებს სხუას საქმეზედან, და ნურცა მანჯანიკის ყორჩულულსა ნუ აიღებს.

ყმიანის კაცისას რომე მემანჯანიკე იჯდეს, ყორჩულულის აბრეშუმში ამას ზედან არა აცს, და ნურცა მისასა მჯდომს მემანჯანიკესა სთხოვს, და ნურცა მისის ყმასასა.

და ქათამი, ასის დიდის ულუფის გამამალეები კაცი რომელიცა არის, კუამლად, როდესცა ულუფა აიღოს, ოროლი ქათამი მისცეს; და მსახურს არცა ამას წინათ გამოროთმია ქათამი და ნურცა აწცა სთხოვს.

და ქარავანს, რომელსაც ეკიდოს ულაყს, ულაყისთავს ერთის შაურის მეტს და ნუ სთხოვს.

და ჭიაურთათ რვა კაცი მსახურად გუიახლებია, ოთხი მსახური და ოთხი მოყალნე. ქორონიკონს სჰა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე .

## 68. [გაგულეგის გვლოგელოგის განახლეგის სიგელი ლეჰან დალიანისა სოგის საჰდრისადში]

[1611—1657 წწ.]

\*... გკადრეთ და მოგახსენეთ დაწერილი ესე სიგელი, იადგარი უმიზეზო და უქუნისამდე წელთა და ჟამთა შეუცვალეებელი და მარადის განთავებით განსრულებული, თქუნენ, ჩუნენსა მცველსა და მფარველს და ცხოვრებისა ჩუნენისა წარმმართველსა და განმარჯვებითა მძღველსა მტერთა და მბრძოთა ჩუნენთასა ქალწულსა, უბიწოსა, მარადის ბიწმეუხებელსა, დედასა ნათლისასა და მშობელსა მეუფისასა, უთროსნისა ღმრთისმშობელსა, და ძელსა ცხოველსა, ხოფს ტაძარსა შინა განსუენებულთა, მისაძინელთა და საძუალთა პირველ კურთხეულთა და საუქუნოდ განსუენებულთა პატი-

\* გრძელი ღმრთისმეტყველური შესავლის შემდეგ.

ოსანთა და სახელოვანთა ძუელთა ჩუენთა პაპ[ა]თა და პაპის-პა-  
პ[ა]თა ყოვლად სანატრელთა: გიორგი, ვამეყ, შერგილ  
და სამადავლე — ამათ ოთხთა ღმრთივ-პატივცემულთა და  
გზრგუნოსან[ნ]თა საფლავსა, და ჩუენსა სასოებით შესავედრებელს  
ხოფს განსუენებულსა სახესა და ხატს წმიდისა ღმრთისმშობელი-  
სასა და ჯუარის ყოველთა განმაცხოველებელსა.

მოგახსენეთ და გკადრეთ იადგარი და სიგელი მტკიცე, ჟამ-  
თა საუკუნეთა გასათავებელი, ჩუენ, თქვენ-მიერითა და მადლითა  
და ცვა-ფარვითა მძლედ და ძლიერად ამაღლებითა განძლიერებულ-  
მან, და ოხითა თქუენითა ზესთა აღმატებულმან, და მტკიცედ მპურო-  
ბელ-მქონებელმან, თუთ განმგებელმან, თქუენ მიერ სახელ-აღმატე-  
ბულმან და ფრიად მსასოებელმან, და მადლთა და წყალობათა  
თქუენთა მინდობითა სარწმუნოდ მოსავემან, და სურვილით მოქენე-  
მან, ქელმწიფემან, პატრონმან და დიანმან ლევან,  
შიშით და კრძალვით განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ მტკიცე ესე  
უკუნისამდე კაცთა ნათესავისაგან შეუცილებელ-შეუსარჩლეი წიგ-  
ნი და ნიშანი; ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჟამთა ვითარებისა,  
და წელთა გარდასულისა, და ეტლთა მოქცევისა, და დღეთა ცვა-  
ლებისაგან მოშლილიყო სოფელი და ტყე და ველი.

ვნახეთ და მოკითხული ვქენით, და ძუელთა ჩუენთა მამა-პა-  
პათა საფლავი ყოფილიყო, კურთხეულთა და სახელდებულთა: და  
მათ მიერ დადებული და გარიგებული იადგარი და სიგელი ვნა-  
ხეთ, და ჩუენცა გულსმოდგინებით ესრეთ დაუმტკიცეთ.

ესე, ვითარცა დადიან-გურიელისა, სულ-კურთხეულისა სამა-  
დავლასაგან გარიგებული სიგელი ვნახეთ, ესრეთ ეწერა და გაერი-  
გა: «ძუელითგანი იადგარი გ[ა]რყუნილიყო და დაკარგულიყო ხო-  
ფისა ღმრთისმშობელისაო, მას ჟამსა უღმრთოდ და უსჯულოებად  
მი[ი]ქცეს აფხაზნიო, და აღვიყვანეთ იოვაკიმ, კაცი ღირსი ნეტა-  
რებისა, დავსეთ. კათალიკოზადო, რომელი აფხაზთა გარყუენს  
სჯული და კათალიკოზობა, ხოლო ჩუენ, მარჯუენითა ქრისტეს სა-  
ფლავისათაო და იერუსალემისა და ანტი[ო]ქის პატრიარქისა მიხ-  
ილის ნება-დართვითა, გავარიგეთო ჯუარითა და ონფორითაო»\*.

აწე, ჩუენც მათი გარიგებული და დადებული იადგარი ვნა-  
ხეთ, განვიცადეთ და ჩუენცა მსგავსად მათებრ დავამტკიცეთ, და  
გავარიგეთ: თავს მსხულების წმიდა გიორგი, მის[ი] შესაველითა  
და გასავლითა, წყლითა, ტყითა, სანადიროთა, სათევზაოთა, საყა-  
ნითა, უძებრითა და საძებრითა, იმა რიგითა გლეხებითა, ჯუარის-  
მტვირთლითა; ბერი ზოსიმე; ქემხელს გეგებერია, ვაქრის შვი-

\* იხ. „მცნებაჲ სასჯულოჲ“ (1470—1474 წწ.).

ლები: ბაბადიში და მისნი იმანი კახაი და ვაჭიბედაი; მასთანა ორნი მაშის ცენი დეის მამაი; და ორნი ლადარია: მიქაილ და მამის-თუალი; წუწუნარი მამული და მარანი, მისითა ტყითა, წყლითა და ეკლესი[ი]ს კართა, და სათევზოთა; კვრია მასხულია, მისითა შვილებითა; თათარაი წუწუნავა, მისის მამულითა; ბერია, მისის მამულითა; წყლის პირს ბონია ქრისტეშია, მისით მამულითა.

წყლის პირს რიონზედა ქალადი და ნახევარი ბაგი ხოფისა ღმრთისმშობელისა არის; არის ქართას და კემხელს მესამედი ნაგი და ბაგი ყოვლად წმიდისა; არის ნახუდენს ოთხი კუამლი კაცი: ყურუა და სხეიტავა, ანდალაის შვილი და შონია, მათით მამულითა, წყლითა, ტყითა, სათევზოთა და ეკლესი[ი]ს კართა.

აგრევე დადიანის სახლის თავი ნიშანი და სხუათა თავადთა და აზნაურის შვილთა ნიშანი კათალიკოზისა არის; სხუათა ეფისკოპოზთა [აფერჯავი] მართებს; და ამას არა ეთხოვებოდეს რა.

აგრევე ცუს გამოღმა და ჭვირას გამოღმა ვინც ნადირი მოკლას, სეფესა ყოვლად წმინდასა. წინ მოიღებდენ, ნურავინ დააკლებთ.

აგრევე ჩუენ, პატრონმან დადიან-გურიელმა შამადავლამ, იადგარი ძუელითგნი ვნახეთ და ასრე ყოფილიყო ძუელითგან და ესრეთ ეწერა:

«ვინცა ხოფისა საყდარსა გარეშემო უპატიობა იკადროს, ანუ გლეხი დაურბიოს, ანუ ჯოგი წაუსხას, ანუ ქურდობა ქნას, ან სასახლეს მოუხდეს და გატეხოს, ათი გლეხი დაუურვოს საყდარსა.

ვინცა სახოფოსა ზედან მოუხდეს, და [ა]რბიოს და დაწუას, მეხადილე გლეხი დაუურვოს საყდარსა.

ბოდ (sic), ანუ ლალატითა კაცი მოუკლან, ორი ზომა სისხლი დაეურვოს.

ვინცა ცმათავანსა უპატიობა ჰკადროს, ანუ აგინოს, ათასი პოტინატი დაეურვოს.

აგრევე ჭვირისა და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა ხოფისა ღმრთისმშობელისა არის უცილებელი».

ესრეთ ეწერა ძუელსა სიგელსა და იადგარ შიგან, ამა წყევითა და კრულვითა.

აწე, ჟამთა ვითარებისაგან სიგელი გარყუნილიყო და კურთხეულსა დადიან-გურიელს შამადავლსა გაერიგებინა, როგორც ძუელად ყოფილიყო, ისრევე გაერიგებინა.

<sup>1</sup> + დგომ.

აწე მელია და საყდრის კაცები იცილებოდეს, და დაესხედით ჩვენ, კელმწიფე პატრონი და დიანი ლეონ და ქათალიკოზი პატრონი მაქსიმე მაქუტაძე და ვნახეთ ძუელი იადგარი, და სრულად ჩუენი დარბაისელნი დაესხით და გავსინჯეთ, და ასრე ეწერა წყევით, რომე ჰვირის და ცუს\* [შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა ხოფისა ღმრთისმშობლისა არის უცილებელი].

ლეონ და დიანი:

verso-ზე ხელჩართულად: კზი მაქსიმე.

69. [საქანონი გუჯარი თეიმურაზ I-ისა ალავერდისადმი]

[1612 წ. ?]

ქ. ნებითა და შეწევნითა დაუსაბამოსა ღმრთისა ზამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, თანადგომითა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოვლს-მყოფელისა ჯვარისათა და წმიდათა შვიდთა კრებათა მსოფლიოთათა და მას შინა შეკრებულთა ღმერთშემოსილთა წმიდათა მამათა, ჩვენ, შედგომილმან ბრძანებისა მათამან, ღმრთივ-გვირგვინოსანმან მეფემან პატრონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩემმან, ღმრთის-მოყვარისა ქართველთა მეფისა ასულმან, დედოფალმან პატრონმან ხვარაშან და პირმომან ჩემან ჩვენმან პატრონმან დავით ესე მტკიცე და საქმით სრულქმნილი ქელით წერილი მოგახსენეთ თქვენ, ორ-კერძოსა ბესავედრებელსა ჩვენსა ცათა მობაძავსა საყდარსა ალავერდს და მას შინა დიდებით აღმართებულსა წმიდასა გიორგის და თქვენსა საჭედმპყრობელსა ამბა ალავერდელ მთავარეპისკოპოსსა, სულიერსა მოძღვარსა ჩვენსა ზებედეს, ასე რომე:

1\*\*. რომელსაცა თქვენს სამწყსოს კაცსა, დიდსა გინა მცირესა, სჯულიერად და სამართლად წმიდის სჯულის კანონით გამოენახნეთ, მოკითხული ექნათ და თუ ემართლებოდეთ, ჩვენ თქვენ მოგიდგეთ, ვითარ იგი ჯერ-არს მართალ მორწმუნეთა მეფეთაგან: სანამდის თქვენ შენდობა არ უბოძოთ, არც ვინახვინოთ, რასაც ემართლებოდეთ, იმ გვარად მოგაკითხვინოთ, თანა-შემწე გეყოთ.

2. ნაბიჭვრის საქმეზე მოკითხული ქენით და როგორაც სამართალი იყოს, იმ გვარად მოიკითხეთ. აზნაურიშვილისა ასრე ყო-

1 ბ'ბა.

\* ამის შემდეგ ტექსტი აკლია.

\*\* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

ფილა, ეფისკოპოსს შეუდობლობის წიგნი შეუგდია, აზნაური-  
შვილს თავი მოუდრეკია ებისკოპოზისათვის, გარდაუწყვეტია და  
გათავებულა.

3. თემის კაცისა ნაბიჭვარი და დედა ეფისკოპოზის ჰელთ  
არის; სჯულიერად განაშორებენ მეძავეს კაცსა და დედაკაცსა.

4. სოფელში [თუ]... მოიპაროს და თავი ვინმე გაუტეხოს,  
ებისკოპოზმა სამართლიანად, ვითა სჯულის კანონში ეწეროს, ისრე  
განაკანონოს და სხვა წესი, [რომელიც წმიდათა მამა]თაგან და-  
მტკიცებულ იყოს.

5. და [თუ ვინმე ამაშიგა] წინა აღგიდგეს, მასმცა<sup>1</sup> წმიდა ს[ა-  
მოციქულოსა და] სჯულის კანონი შეაჩვენებს, ამინ.

70. [წაღობის წიგნი სვიმონ II-ისა მანგლელ მთავარეპისკოპოსს  
ათანასე ტატიშვილისადმი]  
[1619 წ.]

ქ. ნებითა და შეწყენითა ღმრთისათა ჩუენ, ღმრთივ-გუიერგუი-  
ნოსანმან მეფეთ-მეფეთმან პატრონმან სვიმონ, ესე წყალო-  
ბისა წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა  
და თავდადებით ნაშსახურს ყმასა ტატიშვილს მანგლელ  
მთავარეპისკოპოზს ათანასეს და ძმასა თქუენსა თამაზს  
და შვილსა შენსა ოთარსა, ბეჟანს, ელიზბარს და იოთამს და  
მომავალთა თქუენთა ყოველთავე.

ასრე რომე აწყურის ციხის იარიშში შალიკაშვილის მასტა-  
ნას შვილი თამაზ მოკლეს და თქუენს მეტი პატრონი აღარა დარ-  
ჩა რა და, ვითაც იმ მასტანას ქალი შენ, ტატიშვილს თამაზს, გედგა,  
მისი საბრალოოდ ოკერი მამა და დედაც თქუენ მოგაბარეთ.

და, სხლითს რაც იმათ ბოგანოები იყო ფალავანდიშვილის  
ვარდანის მამულში, ავჰყარეთ და თქუენ გიბოძეთ სამკუიდროდ და  
საბოლოოდ, რომე ამასთან ჰელი არაგვის ჰქონდეს, არც ფალა-  
ვანდიშვილსა, არც მესხსა, არცაგვის ქართველსა და არას კაცს არა.

ვინემდისი საწყალი მისი მამა და დედა ცოცხალ იყოს, ამსა-  
ხურე და სამკუიდროდ და საბოლოოდ თქუენი არის და ვერაგინ  
გეცილების, ამად, ვითაც მოკითხული ვჰქენით და თქუენს მეტს  
არაგვის ეტელყოდათ იმისი ბოგანოები და არცაგინ პატრონი ჰყუ-  
ანდათ. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერდგულად  
სამსახურ[ისა შიგან]...

<sup>1</sup> ისიმც.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა ტზ, ჰელითა კარისა ჩუენისა მდიონმწიგნობარისა ოქროუაშვილის შერმაზანისითა. სვიმონ.

ქ. რაც ამაში სწერია, ჩუენც ასრე გაგუითავებია. ქორონიკონსა ტლ.  
როსტომ. მარიამ.

71. [თბილელოზის წალოზის წიგნი სვიმონ II-ისა  
ელისმსაღმი]

[1628 წ.]

ქ. ნებითა ღმრთისათა ჩუენ, მეფემან პატრონმან სვიმონ ესე წყალობისა წიგნი მოგახსენეთ თქუენ, ეპისკოპოზს პატრონს ელისეს მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თბილელობასა დაგვეაჯენით. ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და მოგახსენეთ თბილელობა, ასრე რომე: რაც სიონთა ღმრთისმმობელს ქალაქს ან ვაჰარი ჰყოლებოდეს შეწირული, და ან ქულბაქი, ან საბარათოშვილოში და ან ქართლში, ჩუენც შეგვიწირამს უკლებად და თბილელობა თქუენთჳ გვიბოძებია. და რა რიგადცა ან მოქალაქესა, ან თემის კაცს სხვის თბილელისათჳ ემსახუროს, ისრევე თქუენ უნდა გემსახუროს. და რაც სათქვენო ქულბაქი იყოს, თქუენი არის, ვისცა გეპრიანებოდეს ათხოვთ და აქირაეთ, ვისცა თქუენ არ გეპრიანებოდეს, რა რიგადცა თქუენ გეპრიანებოდეს, ისრე ჰქენით. არას ჩუენს მოხელეს თქუენს ვაჰართან ხელი არა აქუა; თქუენის ყმის სარგო და გამოსაღები სათქუენოდ უნდა ააღებინებდეთ.

აწე, უზემთესთ მოგახსენებთ და უქვედესთა გიბრძანებთ, კარისა ჩუენისა ვეკილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინ გინდა ვინ იყვნეთ, ანუ ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ, რა რიგადცა ამა ჩუენგან ნაწყალობევს ფარვანაშია ეწეროს; და ნურაოდეს ნუ შეუშლით და შეეცილებით, თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქორონიკონსა ტივ, მარტს იე, ხელითა კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობარისა ოქროუაშვილის შერმაზანისითა.

72. [მამულის სითარხნის წიგნი როსტომ მეფისა

მეაბაჳ ყოღანაუზილისაღმი]

[1634 წ.]

ქ... ჩუენ, მეფემან პატრონმან როსტომ, ესე ამიერთ უჯნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალებელი, სამეუდირო და საბოლო[ო]დ გასათავებელი წყალობისა და სითარხნისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა და ყოველთა სახლისა ჩუენისა ჩამომავალთა მეფეთა ერთ-

გულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურთა ყმათა ყორღანაშვილთა, კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობარსა მერაბს და ძმათა თქუენტა და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და ნაოჯრის ნასოფლარის ზემოშავთ თარხნობის წყალობას გუიჯენით.

და ჩუენცა ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ დავისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და მოკითხული ვქენით და არას კაცს არც შენად ენახა და არც გაგონებოდ[ა] იმა ალაგის შენობა. ნაოჯარი, გატყუებული ზემოშავნი ბარათაშვილის გოსტაშაბისაგან გეყიდა და მონასყიდობის სიგელი გქონდათ და ჩვენს ძმის-წულს მეფეს, პატრონს სუიმონსაც წყალობა ექნა და შავთა, ფიცხისისა და მოქრისის წიგნი და სიგელი, რარიგადაც არ დაზიანდის ჰქონებოდა, თქუენტუინაც იმრიგად მთით-ბარამდი ებოძებინათ.

და ჩუენცა სიგლები გინახეთ ნაწყალობევისა და ნასყიდობისა და სიგლითა ამითა დაგიმკუიდრეთ და დაგიმტკიცეთ ყოვლის კაცისაგა[ნ] მოუღვერად და შემოუსარჩლელად, სამკუიდროდ და საბოლოოდ თარხნობისა წიგნი გიბოძეთ, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე:

რაზდენი ერთიცა გლები ზემოშავთ მერაბ ყორღანაშვილმან დაასახლოს; არასფერისთანა საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოებოდეს რა: არა კოდის-პური, არა საბალახე, არა საჯინიბო, არა საბაზიერო ქათამი, არა საური, არა მკა და თიბვა, არა ციხისა და ქალაქის მუშაობა და შეშის ზიდვა, თუნიერ ერთის ლაშქარ-ნადირობისა და წელიწადში ერთხელ დიდ-გორზე სამას-ბინძლოა მორთმევისაგან კიდე; რისაც შემძლებელნი იქნებოდენ, იმ წესით სამასბინძლო უნდა რომე მოგუართონ.

სხუა ამის მეტი საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოებოდეს რა ზემოშავთ მსახლობელთ გლებსა.

აწე, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემგომად სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

და თუ სხუა ამისთანა წიგნი და ნიშანი, ან ნაწყალობევი და ან მონასყიდობისა გამოჩნდეს, იგი ყოველივე სიგლითა ამითა გაგუიციუდებია და მტკიცე ესე ოდენი არის.



აწე გიბ[ძანე]ბთ კარისა ჩუენისა ვეჟილ-ვეზირო, მდივანო და სხუანო მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ, მერმე ესე ჩუენგან ნაწყალობევი მტკიცე და უცვალე-ბელი სიგელი ასრე გაუთავეთ და ნურას მოუშლით და შე[ქ]ცი-ლებით, თუნიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე.

დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქორონიკონსა ტკბ, თინა-თუეს კჳ, ჳელითა კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობრის თუ მ ა ნ ი ს-შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ უ ე ლ ი ს ა თ ა.

ქ. ეს სიგელი, ნასყიდობა და თარხნობა ჩუენცა ასრე ვამტკი-ცეთ. ქორონიკონსა ტნივ, მარტის კთ.

გ ი ო რ გ ი . ლ ე ვ ა ნ . ს უ ლ ე ი მ ა ნ

ქ. ესე ბძანება ასრე უნდა გათავდეს.

სახლის ხუცესი ციცი

ქ. ესე ბძანება ასრე უნდა გათავდეს.

ქ ა ი ხ ო ს რ ო

**73. [მოკლლის საკგოს წყალობის წიგნი კოსტოგ ვიჟისა  
მანუჩარ თუშანიშვილისადმი]**

[1638 წ.]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩუენ, ქართლისა და კა-ხეთის ორისავე ტახტის მპყრობელმან მეფეთ-მეფე მან პატ-რონ მან როსტომ, ესე უკუნისამღი ჟამთა და ხანთა გასათავე-ბელი, ყოვლის კაცისაგან მოუსარჩლელი და მოუდევარი წყალობისა და სარგოს წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთგულთა და მრავალფერად წესისაებრ თავდადებით ერთგულად გულით მი-სანდოსა და ხუაშიადის შემნახავს ყმასა თუ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ს, ჩუე-ნის ბეჟდის შემნახავს მურდარს პატრონს მანუჩარს, მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და საბეჟდავის სარ-გოს წყალობას დაგუიჯენით.

ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, მოკითხული ვქე-ნით და შეგიწყალეთ და გიბოძეთ საბეჟდავის სარგო:

თუ სოფელს გავსცემდეთ, კუამლის თავს თუითოს მარჩილს აიღებდე; გლეხის სითარხნეხედ ორი მარჩილი; სამოურაოხედ, ათს კუამლხედ სამი მარჩილი; მსახურის ჯამაგირხედ თუშნის თავს ერთი შაური; ინამხედ თუშნის თავს თუითო აბაზი; ჰამასალახედ თუშნის თავს ორი შაური; თათრის საბალახეხედ ოცი მარჩილი; თათრის პირის-თავხედ ათი ცხუარი; კოდის-პურის წიგნხედ კაცის-თავს თითო მარჩილი; ფუშტუქუს სამოურაოხედ ოცი მარჩილი; სა-

ბალახეზედ კიდევ თასილდარის თავს თუითო მარჩილი; ზარაბხანის წიგნზედ ოცი მარჩილი. ვინც იჯარაღარი იყოს, თუმნის თავს ერთ ძაურს აიღებდეს; გილანის თასილდარიდამე ხუთი მარჩილი; ვისაც ანგარიში გამოართვან და მუფასა დაუწერონ, თუმნის თავს თუითო ფული; საურის თასილდარზედ, რაც მესაურეს ერგოს, თუმნის თავს თუითო აბაზი.

ეს ამგუარად გაგუიჩენია და გაგუირიგებია და წყალობად გუიბოდებია, უნაკლულად აიღებდეთ.

უზედაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა გიბრძანებთ, კარისა ჩუენისა ვეკილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს სიგელშიგან ეწეროს; ნურაოდეს ნუ შეუშლით და ნუ შეეცილებით, თუნიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდევ.

უზედაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა გიბრძანებთ, ვისაც ჩუენგან წყალობა დაგემართოს, რარიგადაც ამ ჩუენს ნაბრძანებში ეწეროს, ნურაკაცი სარგოს ნუ დაუჭერთ და ნურც დააკლებთ.

დაიწერა ბძანება, წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონსა ტკვ, მკათათვესა ბ, ჳელითა ჩუენისა სალაროს მუშორიფის გორელის ფირალისითა.

#### 74. [ქანუნლამა როსტომ მეფისა თგილისის ციხის კარზე ბაჟის შესახებ]

[1639 წ.]

ქ. ნებითა ღმრთისათა ჩუენ, მეფეთ-მეფემან ჳელმწიფემან პატრონმან როსტომ, ესე ყანუნლამა და ციხის კარის ფული[ს] საქმე ასრე გავარიგეთ და გავაჩინეთ, ბედნიერის ყენის რაყმის საქმითა:

ვითაც შაჰ-მირ მინბაშის ღროს ცუდი-მადი კაცი ვინც მოხუდებოდა ყაფი[ს] ფულზედ, უდიერს საქმეს იქმოდეს და ნიადაგ მოქალაქე და უცხო მგზავრი კაცი ირჯებოდა.

აწი ამისი ჳელმწიფის ბძანებით ასრე გავარიგეთ: უნდა აიღებოდეს ყაფი[ს] ფულად აბრეშუმის საპალნეზედა შაური ერთი; ფართლის საპალნეზედ ნახევარშაური; ბამბის საპალნეზედ ბისტი ერთი; საყათის საპალნეზედ ფული ორი; თუთუნის საპალნეზედ ნახევარშაური; მარილის საპალნეზედ ფული ერთი; ბრინჯის საპალნეზედ ფული ერთი; ერბოსა და თაფლის საპალნეზედ ოროლი ფული; ნალ-ლუსმრისა და რკინის საპალნეზედ ორი ფული; მატყლის საპალნეზედ ერთი ფული; თევზის საპალნეზედ ერთი ბისტი.

ვინც გასასყიდლად ცხუარი გამოატაროს, ასზედ შაური ორი; თუ დიდმა პირმა ცხუარმან გაიაროს საძოვარზედა, ერთი ცხუარი აიყუანონ და თუ ცოტამ პირმან გაიაროს, ერთი ბატკანი აიყუანონ; და ყუელის საპალნეზედ აიღონ ფული ერთი.

ეს ასრე გარიგდა და რაც მინბაში ან დღეს იჯდეს ციხეშია და ან ამასუქან სხუა მოვიდოდეს, ამ საქმეს ნურავინ გარდავა და ნურც მოშლიან.

ქორონიკონსა ტკზ, ჳელითა კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობრის თუ მანიშვილის ბირთველისითა.

როსტომ.

/5. [შეწიკაულების წიგნი როსტომ მეფისა სეპტიცხოველისადმი]  
[1645 წ.]

ქ. ნებითა და შეწეენითა ღმრთისათა ჩუენ, მეფეთ-მეფემან, ჳელმწიფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარია მ და ძეთა ჩუენთა პატრონმან; ლუარსაბ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ, [გ]კადრეთ და მოგახსენეთ თქუენ, ცათა-მობაძავსა საყდარსა სუეტსა ცხოველსა, კუართსა საუფლოსა, მირონსა ღმერთ-მყოფელსა:

მას ჟამსა, ოდეს ჟამთა ვითარებისაგან სამცხიდამე აწყურისა ღმრთისმშობლის საყმო აზნაურწვილი და გლეხი ჩუენს საბატონოში ჩამოსულიყუნეს და ღოდეთს დაესახლებინათ და, რაც ხატი და ჯვარი ყოფილიყო, თქუენს ტაზარში დაესვენებინათ, და სამაწყუერლოს კაცს თქუენთუის ემსახურათ და სხუას კაცს, არც ამირეჯიბის ნათესავსა და არც აგრე რიგს ვისმე, ღალის მეტს საქმეზედ ღოდეთს ჳელი ჰქონოდეს და ამ წესით ემსახუროს.

ვინ იცის, და სოფლის საქმე ასრე მოჳდეს, რომე სა[ა]თაბაგიშვილოს ქრისტიანე მეპატრონე გაუჩნდეს, და აწყურისა ღმრთისმშობლის ჯუარი და ხატი თავის სამკვიდროზედ მიასვენონ დამათი ყმა ასაყრელად მოინდომონ, ვერავინ დაუჭიროს; თუ არადა სხუას კაცს ჳელი არა ჰქონდეს. რუსიშვილი რუსი, სხუანი აზნაურიშვილნი და გლეხნი თქუენთუის სასამსახუროდ მოგუიხსენებია.

ამას გარდაისად, რაც აგრე რიგი საყდრის ყმას გარეთ ანუ აზნაურიშვილი და გლეხი ესახლოს, ისინიც ისრევე მოუშლელად იყუნენ და ნურცა სად დაიჟანტვიან. ვითაც თქუენთუის ბეითაღმნად დადებული იყო და სხუას ერისკაცს არას ეხგლყოდა, ისრევე თქუენ [გ]კადრეთ და მოგახსენეთ მოუშლელად.

ვინცა და რამანცა კაცმან, ანუ ღიღმა და ანუ მცირედმან, თუ არ ჩუენის ნებამყოფლობითა მათსავე სამკვიდროზედ გაუშოთ, მასდა გარეთ ვინც ეს სიგელი მოშალოს, მასცა რისხავს დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისა და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორცონი.

დაიწერა ნიშანი და ბრძანება ესე ქორონიკონსა ტღგ, კელითა კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობრის თუ მ ა ნ ი შ უ ი ლ ი ს ბ ი რ - თ უ ე ლ ი ს ი თ ა .

ხვეულად:

როს ტომ, მარიამ.

76. [სითარხნის წყალობის წიგნი თეიფურაჲ I-ისა ხოსროსადგი]

[1645 წ.]

ქ... ჩუენ, ღმრთივ-გუირგუინოსანმან კელმწიფემან მეფემან პატრონმან თეიფურაჲ და თანამეცხედრემან ჩუენმან ღმრთივ-გუირგუინოსანთა ქართველთა მეფისა ასულმან დედოფალმან პატრონმან ხვარაშან და პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან პატრონმან დავით და ძისა ჩუენისა ძეთა პატრონმან ლუარსაბ დანიკოლოზ და გიორგიმ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ესე საბოლოო ჟამთა გასათავებელი, საქმითა სრული და ბძანება გათავებული წყალობისა, სითარხნისა და აზადობის წიგნი და სიგელი და ფიცი და პირი თქუენ, ჩუენთა ერდგულთა ყმათა ხოსროს და მამის-ნაცვალსა შენსა დარჩას და შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ყოველთავე ასე და ამა პირსა ზედან მას ჟამსა, ოდეს მოგვიდგით კარსა დარბაზისა ჩუენისასა და აზადობის წიგნის გაახლებასა და მამულის სიგელს გვეაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და მოკითხული ვქენით და ვითაც ძველითაგანაც აზადნი ყოფილიყუენით და ჩუენც წიგნითა ამით დაგიმტკიცეთ და ასრე გათარხნეთ და გააზადეთ, რომე არა საჩუენო სათხოვარი არა გეთხოვებოდეს-რა; არა პური, არა ღვინო, არა საკლავი ძროხა, არა ცხვარი და ღორი, არა სამას-პინძლო, არა მდგმური და არა სამდგმური, არა გოჭი, არა ქათამი, არა ტიკი, არა ტომარა, არა საური, არა სამოურავო ულუფა, არა საყუელიარო მოსაკრეფი ყუელი და კუერცხი, ერბო და ბრინჯი, არა სამარხო ლობიო და ნიგოზი, არა საბაზიარო ქათამი, არა სამეჯინიბო-სახორსალარო, არა სამუქლემო ჯრა (sic) და ულუფა და თივა და ბზე, არა ულაყი, არა ჯარმარკილი, არა მუშაობა, არა ბეგარი და სეფაობა.

ასრე გაგვიტავისუფლებიხართ. ერთის ლაშქარ-ნადირობისა-  
გან და სხვა რიგის სამსახურისაგან კიდე არას იქმოდე და არცა-რა  
გეთხოვებოდეს.

და გვიბოძებია თქუენივე სამკუიდრო მამული, რაზედაც დღეს  
სახლობხარ და კოდელაანში სასაფლაო და რისაც მამულის  
მქონებელი იყო, დემურაანში ნატროს ნაქონი მამული და  
თასმალურში მურადა და სახლი, მისი შვილებითურთ და მისის  
მამულითა.

ეს მამულები ყოვლითურთ უკლებლად მათის სამძღვრითა და  
გასადევრითა, სახლ-კართა, ქუევრ-მარნითა, სასაფლაოთა, საბ-  
ძელ-კალოთა, სატანავითა, სათესითა, ველითა, ვენაქითა, წყლითა,  
საწისქუილოთა, ბახჩითა, საძოვრითა, სათიბითა, თავითა და  
ბოლოთა, მთითა და ბარითა, შესაელითა და გამოსაელითა, რი-  
საც მქონებელი ყოფილან.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, ჩუენსა ერთგულად სა-  
მსახურსა შიგან, მკუიდრად და სამამულედ, ყოვლის კაცისაგან უცი-  
ლებლად მოუდევარად. ეს ასე გაგითავდეს და აროდეს არ მოგე-  
შალოს, არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენთა მომავალთა სხვა-  
თა მეფე-მეპატრონეთაგან.

აწე, გ[ი]ბ[ძან]ებთ კარისა ჩუენისა გამრიგენო, ვექილ-ვეზირნო  
და ენისელთ მოურაო და სხვანო მოგვლენო და კართა ჩუენისა  
წარვლენილნო<sup>1</sup> მოსაქმენო, ესე ჩუენი წყალობა თქუენცა ასე და-  
უმტკიცეთ და ნუ მოუშლით თვინიერ თანადგომისა და რემწეობი-  
საგან კიდე...

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონსა ტლგ, თვესა  
ავგისტოსა დ.

თეიმურაზ. ხვარაშან. დავით.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის თეიმურაზის ძე მეფე ჭე-  
რაკლე ვამტკიცებთ სიგელსა ამას; რაგვარადაც ჩვენს პაპა-ბიძათ  
წყალობები უქნია და უზადებიხართ, ჩვენც ამ-რიგად წყალობა  
გვიქნია და გვიზადებიხართ.

მარიანობისთვის ა, ქორონიკონს უმგ.

ბეკელი.

ქ. ჩვენ, ბატონი შვილი იულონ ვამტკიცებთ [წიგნსა]  
ამას ქორონიკონს...

ბეკელი.

ქ. ჩვენ, მეფის ძე ვახტანგ ვამტკიცებთ სიგელსა ამას.  
ფებერვლის აღ, ქორონიკონს უჰთ.

ბეკელი.

<sup>1</sup> წარვლენილნო.

[1651 წ.]

ქ. ჩუენ, ღმრთივ-გუირგუინოსამან მეფეთ-მეფემან ჰელმწიფე-  
მან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედო-  
ფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიაჲ, პირმშომან და სასუფე-  
ველმან ძემან ჩუენმან პატრონმან ლუარსაბ ესე მტკიცე და უცვა-  
ლებელი საბოლოოდ გასათავებელი წიგნი და სიგელი გიბოცეთ  
თქუენ, ჩუენთა ერთგულთა და წესისებრივ ნამსახურთა რუსთუ-  
ელს პატრონს ზაქარიას მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით  
კარსა, და ერთღმრთაებისა, ერთუფლებისა, ღმრთისა დიდებულისა  
და წმიდისა სამების მამულის წიგნის გა[ა]ხლებას დაგუეაჯენით.

ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული გი-  
ყავით და ძუელნი გუჯარიც გინახეთ, რარიგადაც ამას წინად ძუ-  
ელითგან ხელმწიფეთ გაერიგებინათ საყდრისა მამულის საქმე,  
ჩუენცა იმავე წესითა, ჩუენდა სადღეგრძელოდ ასრე გაგითარხ-  
ნეთ, რომე არაფერი საჩუენო სათხოვარი და გამოსალები თქუენის  
საყდრის ყმას არ ეთხოვბოდეს რა, ერთის ლაშქარ-ნადირობის  
მეტრი, და საურისაგანაც არ გეთხო[ო]ს; და ვერც ქურდის-მძებ-  
ნელმან ჰელი დაიდვას. რა რიგადაც ძუელს გუჯარში ეწეროს,  
ჩუენც იმ რიგად გაგუითავებია.

აწუ<sup>1</sup> გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო  
მოსაქმენო, ვინცა ვინ იყუნეთ, და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ,  
თქუენცა ასრე დაუმკვიდრეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შე-  
[ე]ცილებით, თუნიერ შეწუენისა და თანადგომისაგან კიდე.

ვინცა და რამანცა კაცმან ადამის მონათესავემან ამის შლად  
და ქცევად ჰელყოს, მასმცა რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი,  
ყოველნი მისნი წმიდანნი: ზეცისანი და ქვეყნისანი, ჰორციელნი და  
უხორცილნი.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქორონიკონსა ტლთ, ჰე-  
ლითა კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობრის თუ მანი მუილის  
ბირთუელისითა.

აგრევე, რა რიგადაც ამას წინათ ჰელმწიფეთაგან სახელისა  
ღმრთისმშობლის მამულისაც ნამეკობრევი შესჩნეოდეს ვისმე, და  
მისი ჯურუმი საყდარს შესწიროდეს, ჩუენც იმავე წესით დაგუი-  
მტკიცებია.

<sup>1</sup> ააწუ.

სამეკობრო რაც წესი იყოს, პატრონს უნდა რომე მიეცეს; და თუ სხუის კაცის ნამეკობრევი საყდრის ყმათხედ გამოჩნდეს, ერთისათუის ორი პატრონს უნდა რომე მისცენ.

და სხუა რაც სახლაური გამოვიდეს, ისიც საყდარს უნდა რომე მიართონ. და ამ საქმით გარიგდეს; და არც ტყუე ეთხოვბოდეს საყდრის მამულსა.

ხვეულად:

რ ო ს ტ ო მ.

78. [სადროშოს საკლდოგის წალოგის წიგნი როსტომ ვეფისა  
ანდუჟავარ ამილახორისადმი]

[1656 წ.]

ქ. ნებითა და შეწეწენითა ღმრთისითა, ჩუენ, ღმრთიე-აღმართე-ბულმან, ღმრთიე-დაძყარებულმან და ღმრთიე-გვირგვინოსანმან, ორისავე საბატონოსა მპყრობელმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან, პატრონმან მარიამ ესე ამიერიოთ უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალბელ-მოუშლელი წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენტა ერთგულთა იმედთა და მოსანდოთა და მრავალგუარად თავდადებით ერთგულად ნამსახურთა ყმათ ამილახორს, ანდუჟავარს, ძმასა თქუენსა გივსა და დემეტრეს, და შუილთა და მამავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე:

მას ჟამსა, ოდეს ამილახორნი სულკურთხეული მამა-ბიძანი თქვენი წესისაებრ ამიერ სოფლით გარჯდეს, თქუენ ჩუენგან და მამა-პაპათა ნათესაეთაგან ნაბოძები დროშა და ჳმალი მოგუართუი და აზნაურშვილები მოგვისხით.

ჩუენ შეგიწყალეთ და გიბოძეთ მკვიდრი, ნათესავთა თქუენთა ნაქონი დროშა ამილახორობისა, სა[ა]მილახოროს მამულიან, აზნაურიშვილიან, გლეხიანად; და შემოგარტყით ჳმალი მებრძოლთა ჩუენტა დასაჩაგრავათ, და გაგიახლეთ სიგელი სამოთხეშიგან მსხდომარისა მამა-პაპა-ძმა-ნათესავთა ჩუენისა ნაბოძები, გიბოძეთ და დაგიმტკიცეთ მოგრაობა გორისა.

და სამართალი მათი არა იკითხოოდეს უთქვენოდ: ვერცვის გაპყრიდეს თქუენად შეუკითხავად მამასახლისი და ვერცვის შეპყროდეს; ვერცვის მამულს მისცემდეს და ვერცავის გამოართუემდეს; არც ჰქონდეს მამასახლის[ს] ქალის გათხოვების საჩექმესთან ჳელი

და არცა თევზის ბაჟთანა — სათქუნოდ იყოს, როგორცა ძველს სიგელში გეწეროს.

ჯურუმისაცა და ყოვლის ფერის იქიურის მოსავლის ათის-თავის სათო და რაც სამოურაო წესი ყოფილიყოს, უკლებლად გვიბოძებია.

აგრევე ზემო ქართლის თქუნენის დროშის სარდრობა: ლაშქრობა, ნადირობა, კაცის დაყენება, სამართალი და ან გარიგება ძველის სიგლით გაგვერიგებინოს, იმავე წესით დაგვიმკვიდრებია და დაგვიმტკიცებია თქუნენ, ანდუყაფარ ამილახორისათუინ, შვილისა თქუნენისა იოთამისა და ავთანდილისათუინ, ძმისა თქუნენისა გივისა, დემეტრესა, ბარძიმისა და პაატასათუინ, შვილთა და შვილიშვილთა მამავალთა სახლისა თქუნენისათუინ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ორგულთა და მებრძოლთა ჩუენთა, ჩუენსა ფეკთა ქუეშე მოსაქცევრად და ჩუენსა ერთგულობასა და სამსახურსა შიგან. არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

აგრეთვე, თქუნენად უკითხავად ვერც დადგან კოკა, ვერც ლიტრა და ვერ აღლი.

დაიწერა მტკიცე და მოუშლელი ბრძანება ესე ჩუენი ქორონიკონსა ტმდ, პელითა კარისა ჩუენისა ვაყა ფეშქაშნივისის მდივნი შვილის სულხანი სითა.

ვერცაგინ მებაჟე და[ა]ყენონ უთქუნოდ.

და სომხის ყმებმა რომ დააშაოს რამე, იმისი ჯურუმით თქუნენ გამოართვით.

სანამდის გივის უფროსი ემა ანდუყაფარ მი[ი]ცულებოდა, ეს სიგელი მანამდის გვებოძებინა მისთუის, ანდუყაფარ უფროსად თავთ დაესწერეთ. და სანამდის გათავების ბეჭედს სიმტკიცისას დაგსუემდით, სულკურთხეული ანდუყაფარ ამიერ სოფლით მიიცივალა.

და ამგვარად დავბეჭდეთ სიგელი საბოლო[ო]დ გასათავებელი ესე, რომე უფროსად ამილახორად, დროშისა მქონებლად და ჯარის გამძღოლად გივი გვიბრძანებია.

და გაუთაოს ღმერთმან ჩუენსა ერდგულობასა და სამსახურსა შიგან.

ბეჭედი:

როსტომ. მარიაშ.



[1661 წ.]

...ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო, ჩვენ ცვაფარვათა შენთა მონ-  
ღობილმან და მსასოებელმან ძისა და მეუფისა შენისამა ჩვენ, ჴელ-  
მწითემან მეფეთ-მეფემან და დიანმან პატრონმან ვამეყ და  
თანამეულლემან ჩვენმან გურიელისა ასულმან დედოფალთ-დედოფალ-  
მან პატრონმან ელენე და ძეთა ჩვენთა გიორგი და ბაგრატ [გ]კად-  
რეთ და მოგახსენეთ, მოგართვით და დაგიდევით სიგელი ესე  
თქვენ, ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა და  
მას შინა დადგ[ი]ნებულსა ქუთათელ კათალიკოსსა ჩხე-  
ტიძესა პატრონსა სვიმეონს.

ასრე რომე, საკათალიკოზო მამულები სადაც იყო, ყოვლგან ვინ-  
გინდა-ვის სახელოთ ქონდა საბატოს კაცებსა. და აწ ბატონ[ო]  
კათალიკოზო, თქვენ მოინდომეთ და დაგვეაჯენით. და ჩვენ ვისმი-  
ნეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გარდაგვიგდია საკათალიკოზოს  
მამულზედა და ალაგებზედ ყოვლგან მოურავი ჩვენს საბატ[ონო]ში.

ასრე რომე, ვერამ ჩვენმა შემდგომა ბატონმა და დედოფალმა  
და კათალიკოზმან<sup>1</sup> ბიჭვინტისა ღმრთისმშობლის მამულსა და ალა-  
გებზე, თუ არ იმავჴატის ყმა, სხვა კაცი მოურავად არ დავსვით და  
არცა ვის სახელოდ მივსცეთ; და [ა]რცა ვის ბიჭვინტისა ღმრთის-  
მშობლის მამული და ყმები ჩვენ საძალოდ და საავკაცოდ<sup>2</sup> არავის  
დავანებოთ.

და ამას გარეთ სამართალიც ასრეა და ძველათგანც ასრე  
ყოფილა, რომ: კათალიკოზის უკითხავათ და უნებურად ეფისკოპ[ო]-  
სობა არ გაცემულა; და არც ჩვენ დღეს ამას იქით თქვენად უკით-  
ხავად და უნებლად ჩვენ ეფისკოპ[ო]სი არ დავსვით და არცა ეპის-  
კ[ო]პ[ო]სობა გავსცეთ.

და ვინცა ვინ სარჯულსო საქმეზედა თქვენ წინ აღგიდგეს და  
გაუწყრ[ე]თ, ჩვენ სამართლიანის საქმით თქვენ მოგიდგეთ; და  
სადამდის თქვენ შენდობა არ უბოძოთ და არ შევირიგოთ, მანამ-  
დის არც ჩვენ შევირიგოთ.

და როგორაცა მის დღემიგა ამ ჩვენს სახლსა და საბატონოში  
სხვათ კათალიკოზებს ჩვენგან და<sup>3</sup> ამ სახლის ბატონებისაგან პა-  
ტივი სდებოდეს, არც ის მოგიშალოთ და ჩვენც მწყალობელნი და  
კარგნი ვიყ[ვ]ნეთ თქვენთვის.

<sup>1</sup> კათალიკოზმან. <sup>2</sup> საუკაცოთ. <sup>3</sup> -- და.

და აწე, ეინცა და რამანცა ძემან კაცისამან, დიდმან ანუ მკი-  
რემან, ანუ მეფემან, ანუ<sup>1</sup> დადიანმან, ანუ დედოფალმან და ანუ კა-  
თალიკოზმან და ანუ ვინმე სხვამ ბატონმან ეს ჩვენგან დადებული  
სიგელი და გარ[ი]გებული საქმე მოუშალოს ბიჭვინტისა ღმრთის-  
მშობელსა და ამისად შლად და გამომხად ჯელჰყოს, მასამც რის-  
ხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და მხოლოდ-შობილი უფალი იესო  
ქრისტე, ძე ღმრთისა და სული წმიდა ცხოველს-მყოფელი, მამისა-  
გან გამოსრული; შე-მცა-ედების ძრწოლა კაენისი, შიშთვილი იუდა-  
სი, მეხ-დატეხა დიოსკორესი, სირცხვილი კარისკენტი და საბა-  
ნესი, დანთქმა დათან და [ა]ბირონისი; და მაზედამც მოიწევის წყევა  
მეასდარვისა ფსალმუნისა; და იუდასთანამც დაისაჯების სული  
და ჯორცი მისი; და ნურა-რაათა სინანულითა არის<sup>2</sup> ჯსნა სულისა  
მისისა.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს და ბიჭვინ-  
ტისა ღმრთისმშობელმან. და მომშლელნი ამისნი წყეულ, კრულ და  
შეჩვენებულ იყოს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა.

დაიწერა წიგნი, ბრძანება და სიგელი ესე ქორონიკონსა სა-  
მას მთ ორმოცდაცხრასა.

ხვეულად:

მეფე ვამეყ. ელენე.

80. [შეწირულების წიგნი შაჰნავაზისა სვეტიცხოველისადმი]

[1662 წ.]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩუენ, მეფეთ-მეფემან  
პატრონმან შაჰნავაზ, თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-  
დედოფალმა პატრონმან მარიამ, პირმშომა და სასურველმა ძემა  
ჩუენმა პატრონმან არჩილ, პატრონმან გიორგიმ და პატრონმან  
ლევან სუეტის ცხოვლის ბატონის კათალიკოზის საქმე ამ რიგად გა-  
ურვიგეთ:

ძუელითგან ხელმწიფეთაგან ამ რიგად შესწიროდა: რაც ქა-  
ლაქიდამე; გინა სომხით-საბარათიანოდამე, ანუ თრიალეთიდამე  
და ან კახეთიდამე, ქართლით ვალმა-გამოლმა მგზავრმან შეიაროს  
და ანუ მზოვრეთსა და მას ქუეშეთ თრიალეთიდამე ჩამოიაროს,  
რაც გორის მებაჟემ ბაჟი აილოს, მესამედს ბატონის კათალიკოზის  
მებაჟეს ნუ დააკლებს; მებაჟენი გორისა და ბატონის კათალიკოზისა  
ერთად უნდა იარონ.

<sup>1</sup> ანუ და. <sup>2</sup> არისი.

ვინც ან სამცხიდაზე და იმერეთიდამე მგზავრი ჩამოვიდეს და გორს მოვიდეს და გორს ივაქროს, იქიდამე გაბრუნდეს, იმასთან კათალიკოზის მებაჟეს ჯელი არა აქუს; და რომელმანც გორი-დამე ჩაიაროს, იმისიც აიღონ.

რომელმანც მგზავრმა თრიალეთიდამე მხოვრეთსა ზედა და ან ქუეშეთ ჩამოიაროს, იმისიც ბაჟის მესამედი კათალიკოზისა არის.

ესე ამ გუარად სუეტი-ცხოვლისათჳს შეგვიწირაჲს ჩუენად სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად.

გიბრძანებთ გორის მუშრობო და მებაჟენო, რა რიგადაც ამ წიგნით შეგუეწიროს, თქუენც მესამედს ნუ დააკლებთ.

ქორონიკონსა ტნ, მაისის კდ.

დაიწერა ესე მტკიცე და უცვალებელი ინდიკლ[ი]ონსა მეფობისა ჩუენისა მეოთხესა, ჯელითა კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობრისა გორელის ფირალისითა.

მ]. [შეშვალოგის წიგნი გიორგი გუჩიელისა აფხაზეთის კათალიკოს სვიმონ ჩხეტიძისადმი]

[1664 წ.]

... ბიჭვინტისა ღმრთისმშობ[ე]ლო, ჩვენ, ცვაფარვათა შენთა მონდობილმან და მსასოებელმან ძისა და მეუფისა შენისაჲ, ჩვენ, გურიელმან ბატონმან გიორგიმ და დედა-ჩვენმან დედოფალმან ბატონმან ხვარამზემუდა ბატონისშვილებმან მალაქიამ და ოტიაჲმ! გკადრეთ და მოგართვით და დაგიდევით სიგელი ესე თქვენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა და მას შინა დადგინებულსა ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოზ ქუთათელსა ჩხეტიძესა ბატონს სვიმეონს.

ასრე რომე ძველადგან ამ სამს საბატონოშიგა სამართალიც ასრე ყოფილა და დღესაც ასრე არის: კათალიკოზის უკითხავად და ნებადაურთავად ეფისკოპოზობა არც გაცემულა და არცა ვის გამორთმეენია.

და არც ჩვენ დღეს ამას იქით ამ ჩვენს საბატონოშიდ თქვენად უკითხავად და უნებლად ჩვენ ეფისკოპოზი არ დავსვათ, და არც ეფისკოპოზობა გავსცეთ, და არცა-ვინ გარდავაყენოთ, და არცა-ვის საწინამძღროები მივსცეთ თქვენად უკითხავად.

და ვინცა-ვინ სარჯულს საქმეზედან თქვენ წინააღვიდგეს და გაუწყრეთ და შეაჩვენოთ, ჩვენ სამართლიანის საქმით თქვენ მო-

გიდგეთ; და სადამდის თქვენ შენდობა არ უბოძოთ და არ შეირიგოთ, მადამდის არც ჩვენ შევირიგოთ.

და როგორაცა მის დღეშიგა ამ ჩვენს სახლსა და საბატონოშიგა სხვათ კათალიკოზებს ამ სახლის ბატონებისაგან პატივი სდებოდეს, არც ის მოგიშალოთ; და ჩვენც გულმართლად თქვენთვის მწყალობელნი, კარგნი და მოპატივენი ვიყოთ.

და რაც ბიჭვინტისა ღმრთისმშობლის მამული იყოს ჩვენს საბატონოშიგა, არცა-ვის საძალოდ და სა[ა]კვაცოდ ის დაეანებოთ; და არცა-რა ძალი და უსამართლობა დავატანოთ...

დაიწერა წიგნი, ბრძანება და სიგელი ესე ქორონიკონსა ტმიზ სამას ორმოცდათორმეტსა.

ხეულად:

გიორგი. ხვარამზე.

## 82. [მღვიანავთხურობის წყალობის წიგნი შაჰნავაზისა ვახტანგ ორბელაშვილისადმი]

[1676 წ.]

ქ. ნებითა<sup>1</sup> ღმრთისაითა ჩუენ, ღმრთივ-აღმართებულმან, ღმრთივ-დამყარებულმან და ღმრთივ-გუირგუინოსანმან, იესეიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონმან, მეფეთ-მეფეთმან, პელმწიფემან, პატრონმან შაჰნავაზ, თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთა დედოფალმან, პატრონმან მარია მ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან, პატრონმა გიორგი მ, პატრონმან ლევან და პატრონმა სულეიმან ესე ამიერ უკუნისამდის ეამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი, შეგიწყალებ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ვრდგულთა და წესისებრ მრავალ-ფერად თავდადებით ნამსახურსა ყმათა ბარათა შეიღს ორბელი შვილს ვახტანგს, ასრე რომე ვითაც მამა თქუენსაც ჰქონებოდა ჩუენის საბატონოს ქართლის მდივანბეგობა და სამართლის ქნა, ახლა თქუენცა დავუთავებთ.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალებ და გიბოძეთ მდივანბეგობა ქართლისა, ქალაქისა, საბარათა-შვილოსა, სომხითისა და თათრისა.

ვინცა-ვინ ჩუენსა სატელმწიფოსა და საბრძანებელსა ქუეშ მო-რჩილი იყოს, ან სისხლისა და ან სხვისა<sup>2</sup> რისაც საჩივრისა, ყუელა თქუენგნით გ[ა]ისამართლებოდეს, და გარდასწყდებოდეს.

<sup>1</sup> +და <sup>2</sup> სხვისა]-სახვის.

და ვინცა თქუენს გარიგებულს სამართალსა გარდაჰქედბოდეს, ჩუენ დიდად გაუწყებოდეთ და გარდავაჰქედვიებდეთ. თქუენცა წესისებრ სამართალს გულს მიაპყრობდეთ, რომელიც დიდი სისხლი და გასამართლებელი იყოს, ჩუენც შეგვატყობინებდეთ და ისრე გარდასწყუეტდეთ.

ეს საველო და სამსახური არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად ძეთა ჩუენთაგან. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერდგულად სამსახურს შინა.

დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ინდიკტიონსა კ მეფობისა ჩუენისასა, ქორონიკონსა ტნიდ, ჳელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თუ მან ი შვილი ს გიორგისითა.

ხვეულად:

შ ა ჰ ნ ა ე ა ზ . მ ა რ ი ა მ .

მარცხენა კიდებე გიორგი XI-ის ხელით:

ქ. რა რიგადაც სულკურთხეულს მამა ჩუენს მდივანბეგობა ებოძა, ჩუენც ისე გვიბოძებია.

ხვეულად:

გ ი ო რ გ ი .

### 83. წყალუგის წიგნი გიორგი XI-ისა ბავთაბავ შანშავან მარტყოზისშვილისადმი

[1685 წ.]

წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, ღმრთივ-აღმართებულმან, და ღმრთივ-დამყარებულმან, და ღმრთივ-გვრგვინოსანმან, იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონმან, ჳელმწიფემან და მეფეთა ზედა მეფემან, პატრონმან გიორგიმ, და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან ხვარაშან, და პირ-მშობან და სასურუელმან ძემან ჩვენმან, პატრონმან ბაგრატი, ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და მოვიხსენეთ ხვეწნა და აჯა-მუ-დარეთა თქვენ, ჩვენისა დიდად ერდგულისა და წესისებრ მონებისა თავდადებით ნამსახურსა, კარისა ჩვენისა მდივნისა შანშავან — მარტყოზის შვილის ბეგთაბეგისა, შვილთა თქვენთა ავთანდილისა და ბეჟანისა და მომავალთა თქვენთა.

მას ჟამსა, ოდეს სულკურთხეული პატრონი მამა ჩუენი ყვენთან წაბძანდა და თქვენცა თან გაახელით, და აღესრულა განგება ღმრთისა და გზასა შინა ამიერ სოფლით მიიტყალა, და ვინცა-ვინ დარბაისელნი და კარის ჩვენისა მოხელენი თან ახლდით,

ყაენთან ჩახვედით და ოდეს მოგვესმა, აღარა ხანი ვჰყავით და ჩვენც  
ყაენთან ჩამოვბრძანდით.

იმა ჩვენთა დარბაისელთა ჯსნად და წესისაებრ ყოველთა ნა-  
თესაეთა ჩვენთა უზეშთაეს და უდიდებულეს დაგზუდა, პატიე-გუ-  
ცა და განიხარა შეყრა და ხილვა ჩვენი, და დიდითა ალერს-ლხინ-  
სობათითა განვისვენეთ; რაერთსაცა ხანსა წადიერ ვიყავით.

და ოდესცა ვინებეთ წარმოვევლინებით დიდისა მრავლისა და  
უცხოთა საგანძურითა ტახტსა და საველმწიფოსა ჩვენსა. გზასა  
შინა მოგვეხსენა თქვენი უჯეროდ მსახურება ჩვენზედა და არ ჯერ-  
ვიქმენით, და არცა იყო ჩვეულება ჩვენი რომე სიტყუანი დამასმე-  
ნელთა წარმდგარიყო წინაშე ჩვენსა. მაგრა ფარულითა შურითა  
მრავალგზის გამოაქანდაკეს ენოანება და მცირეთ განაწყრომეს  
გული ჩვენი თქვენზედა, და თქვენი მკვდრი და ნასყიდი სოფელი-  
ნაბახტევი წაგართვით და გაგიციოთ.

და ვითაც არა იყვის გულსა ჩვენსა შინა განზრახვა უსამართ-  
ლოებისა, თქუენ მოგიბოძეთ წიგნი საიმედოსი, რათა განგვეკით-  
ხვე მართლა და წამოგვეყენეს დამასმენელნი თქვენნი, და თუცა  
მართალნი გამოსულიყუნით, აღარც თქვენი მამული მოგვეშალა.  
და სხვა წყალობაც გვექნეს.

შეწვენითა და ძლიერებითა ღმრთისათა მშვიდობით მოვბძან-  
დით ტახტსა და სახელმწიფოს ჩვენსა, განვალეთ სამართლად კარი-  
დარბაზისა ჩვენისა და განგიკითხეთ.

წარმოსდევ ქედ-დადრეკილ წინაშე ჩვენსა, დაიწყევ მოხსე-  
ნება სიტყუათა შენთა და აღახნე ცხოველს-მყოფი ხატი საქადა-  
გოსი და ფიც-გვექმენ გულწმინდად და მრავალ-გზის.

და დააჯერა ღმერთმან გული ჩვენი ერდგულებასა და სი-  
მართლესა თქვენსა.

წარმოდგა ამირეჯიბი რევაზ და იგივე შემოსმენილი  
სიტყვა წარმოთქვა და ჳრმალსა შინა გაგიტხოვა.

წამსავე შინა აღიჭურე და წარვედ და შეიჭურვე საქურვე-  
ლითა შენითა და მოხვედ წინაშე ჩვენსა, ახსენე სახელი ღმრთისა,  
თაყვანის გვეც და შეჯეგ, და უწოდე, ჟამია ომთაო.

ხილვასა ამასა შინა რევაზ უარყო ომი და აღარ ჩამოგყვა-  
ამასაცა შინა განგამართლა ღმერთმან.

აწე შეგიწყალეთ და მოგიბოძეთ ისრევე თქვენი მკვდრი და  
ნასყიდი სოფელი ნაბახტევი, ნორაშნითა, კვეორცხოებითა,  
კლდის წყაროთა, მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წის-  
ქვილითა, სათიბითა, უთიბითა, კალითა, სასაფლაოთა, ეკლესიითა.

სასახლითა, ჭურ-მარნითა, შენითა და ოხერითა და ყოვლისა მისის სამართლიანის მზღურითა.

ამასდა გარდა მაშინ ბრძანებულ ვიქმენით, თუ განიმართლო თავი, სხვა წყალობაც გიყოთო; და აღვასრულეთ სიტყუა ჩვენი და რადგან განიმართლეთ თავი, შეგიწყალეთ და მოგიბოძეთ დედოფლის მუვრდრობა და ჯელის-ჩამრთმე[ც]ნელობა, ყოვლის კაცის უცილებლად, თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა ყმათა, შან შეან მარტიროზის შვილს, კარისა ჩვენისა მდივანს ბეგთაბეგს და შვილთა თქვენთა: აეთანდილს და ბეჟანს და მომავალთა თქვენთა.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერდგულობასა და სამსახურსა შიგან თქვენი მკვდრი და ნასყიდი სოფელი ნაბახტევი, ნორაშნითა, კვეორცხოვითა, კლდის წყაროთა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისკვილითა, ეკლესიითა, სასახლითა, ჭურ-მარნითა, შენითა და ოხერითა, და ყოვლის მისის სამართლიანის მზღურითა.

კიდევ ამის გარდა დედოფლის მუვრდრობა და ჯელის-ჩამრთმეწელობა თქვენთა და თქვენთა შვილთათა გვიბოძებია.

ესე ასრე გაგითავდეს და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა ჩვენთა ჩამომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან. თუ ვინმემ ამ მამულის სიგელი გამოაჩინოს, სიგლითა ამით გაგვიცუდებია, მტკიცე ესე ოდენ არს.

აწე გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვეჟილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ბრძანება და ნიშანი ჩვენი თქვენცა ასე გაუთავეთ, რა რიგათაც ამა ჩვენგან ნაწყალობევს სიგელსა შიგან ეწეროს, ნურცარას თქვენ მოუშლით და შეეცილებით, თჯნიერ თანადგომისა და შეწვენისაგან კიდევ.

დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ჩვენი ქორონიკონს ტოგ, ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა, ჯელითა სამეფოსა და ტახტის ჩვენისა ტფილელ მთავარეპისკოპოსის იოსებ სააკაძისათა.

ჩართულად:

გიორგი. მარია. ბატონი შვილი ბაგრატი.

84. [წალოგის წიგნი გიორგი XI-ისა ჯაალ დოღენჯიშვილისადმი]

[1686 წ.]

ქ. ნებითა ღმრთისითა ჩუენ, ღმრთივ-გუირგუინოსანმა, მეფეთ-მეფემან, ჯელმწიფემან, პატრონმან გიორგიმ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან პატრონმა ბაგრატი ესე ამიერით ჟამთა-გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ, გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა მრავალფერათ ნამსახურსა ყმათა ჩუენთა

დოლენჯიშვილსა ზალსა, შვილთა თქუენთა ლუარსა ბს: მას ჟამსა, ოდეს მოგუიდექით კარსა და სრულ ერთობილ ყაიყულუს მებალახობას დაგუიაჯენით.

ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალებთ და გიბოძეთ ამასალათ ყაიყულუს საბალახის მკრეფელობა ამ წესით: საჩუენოთ ორმოცდაათ სულზედ ცხუარზედ ერთს ცხუარს საბალახეთ აიყვანდე და ორას სულზედ ერთს ცხუარს შიშლიკათ გამოართმევდე; და სხუა რიგათ გლებს ძალს არ უზემდე.

ამ წესით ყაიყულუს მებალახობა ამასალათ თქუენთვის გუიბოძებია; გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან.

აწე გიბძანებთ კარისა ჩუენის ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინ-გინდა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წადმა იქნებოდეთ, თქუენცა ასე გაუთავეთ და ნურაოდეს მოუშლით, თეინიერ [თანადგომისა კიდე].

დაიწერა ბრძანება—ნიშანი ესე ქორონიკონსა ტოდ, ჳელითა კარისა ჩუენის მდივანმწიგნობარის მანდენაშვილის როსტევიანითა.

ჩართულად:

გ ი ო რ გ ი.

## 85. [სითარხნის განახლების წიგნი ვრემელე I-ისა

ღავით-გარემჯინადვი]

[1692 წ.]

ქ. ჩუენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან მეფეთ-მეფემან და თვით ჳელმწიფემან პატრონმან ჳერეკლემ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ანამ, პირშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან პატრონმან იმამ-ყულიმ და პატრონმან კონსტანტინემ მას ჟამსა, ოდეს მოიწიენენ უღმრთონი ლეკნი საფლავსა და მონასტერსა წმიდისა დავითისასა, წმიდანი მღდელთ-მონაზონნი და კრებულნი მოსრეს და ყოველნი სახმარნი და ჳურჳელნი და სიგელნი მონასტრისნი იავარყუეს.

ძველათგან მამა-პაპა ჩუენთაგან და ბედნიერთ ჳელმწიფეთაგან დადებულნი სითარხნის და საურისა და ლაშქარ-ნადირობისა



და ყოვლისა საჩვენოს გამოსაღებისა და სამსახურისაგან და სამო-  
ურაოსაგანცა წმიდის დავითის ყმანი და მამული თარხანი და  
აზატნი იყუნენ და ყოფილიყუნენ.

რადგან სიგლები უღთოთა და ქრისტიანთ მტერთა ლეკთაგან  
წახდებოდა, წინამძღვარი მიაქუტაძე ონოფრე მოდგა კარსა  
დარბაზისა ჩვენისასა და დაგვეაჯა სიგლისა ამის გაახლებასა.

ჩუნცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება მისი და გაუახლეთ სი-  
გელი ესე და დაუმტკიცეთ საფლავსა და მონასტერსა წმინდისა და-  
ვითისასა, როგორათაცა ძველად თარხანი და აზატნი ყოფილიყუ-  
ნენ მამულნი და ყმანი წმიდისა დავითისანი, არა საჩვენო გამოსა-  
ღები და ბეგარი, არა საური, არა ლაშქარ-ნადირობა, არა; სამო-  
ურაეო და სამოხელო არას ნივთისა სათხოვრისა და გამოსაღები-  
საგან წმინდის დავითის მამულსა, ყმასა არა ეთხოვებოდეს რა;  
თვინიერ თავის მონასტრის და წინამძღვრის სამსახურის მეტი  
გელი არავის ქონდეს.

ჩუნცა ძველად ბედნიერთა ჯელმწიფეთა პატრონთა მამა-პაპა  
ჩუნთაგან გარიგებული სითარხნე და აზატობა ასრე დაუმტკიცეთ  
და განვაახლეთ სიგლითა ამით ჩვენდა და ძეთა და ასულთა ჩუ-  
ენტა სადღეგრძელოდ და კეთილად-წარსამართებლად და ცოდვათა  
ჩუნთა შესანდობლათ.

და ერთი სიგელი კიდევ სრულ ერთობილთ კახთა დარბაზი-  
სერთა და ებისკოპოსთა დაედვათ და დაემტკიცებინათ, ჩუნცა  
დაუმტკიცეთ სიგლითა ამით.

დაიწერა სიგელი ესე ქორონიკონსა ტპ.

ორი ბეჟედი.

ქ. ჩვენ, მეფეთ-მეფემან და თვით ჯელმწიფემან პატრონ-  
მან იმამყულიხან ეს ბძანება ჩვენც ამ რიგათ დაგვიმტკიცებია;  
და არავინ გვიბრძანებია მშლელად ამისად. მთიბათვის გ დამდევს,  
ქორონიკონს ტფგ.

ორი ბეჟედი.

ქ. ჩვენ, კახეთის მპყრობელმან, ერეენის ბეგლარ-ბეგმან და  
შამშადილ-ყაზახის მქონებელმან მეფემან კონსტანტინემ  
წიგნი და სიგელი ასე დავამტკიცეთ. რავგარათაც უწინდელი კურ-  
თხეულის ხელმწიფების გარიგებული საფიცარი და სიგელი ესე  
იყო, ამავე წესით და რიგით ჩვენც ასე გავვითავებია და დავგი-  
მტკიცებია. ქორონიკონს უია.

ორი ბეჟედი.

[1696 წ.]

... ესე უკუნისამდე ხანთა და ჟამთა-გასათავებელი და მო-  
უშლელი გუჯარი მოგახსენეთ ერთობილთ კახთ ეპისკოპოზთა და  
ერთობილთ დარბაისელთა: ასრე რომე, ჩუენ, ჩოლოყაშვილი სახლთ-  
უხუცესი დურმიშხან და მდივანი ზურაბ ხანის ბძანებით საურის  
ასაღებად გამოვედით. და ხანის ბძანება ეს იყო: ვისაც არ გამო-  
რთმეოდეს ნუ გამოართმეეთო.

მოკითხული ვქენით და მახსოვრები შევყარეთ და წმიდის და-  
ვითის ყმასა არაფერი საბატონო ბეგარი და გამოსაღები არ სდე-  
ბოდათ რა: არც საური და არცა-რა სხუა რამე საბეგრო საქმე,  
თქუენის წმიდის საფლავის სამსახურის მეტი.

ძველნი გუჯარნი და სიგელნი მტერთა ქრისტიანეთასა ლექთა  
წარეხუნა, მას ჟამსა ოდეს წმიდა მონასტერი დავითისა წარტყუე-  
ნეს ლექთა და წმიდანი მონაზონნი მოსრეს და სხუა ყოველივე  
სახპარი ეკლესიისა და ჭურჭელნი და სიგელნი მათ იავარ-ექმნა.

მაგრამ ჩუენ ჭეშმარიტებით უწყოდით და მახსოვრებიც ამ-  
ბობდეს, რომე არას ნივთის გამოსაღებისა, საურისა და საბეგრო-  
სა არა სთხოვბოდათ რა, არცა-რა გამოართმეოდათ და არც ჩუენ  
ავიღვეით საური.

ჩამოვედით ხანის კარზედა, შევიყარენით ერთობით კახნი  
ეპისკოპოზნი: ამბა აღავერდელი ნიკოლოზ, სახლთ-  
უხუცესი დურმიშხან, ხისიყის მოურავი რევაზ და  
სხუანი ყოველნი კახნი ეპისკოპოზნი და დარბაისელნი.

ბედნიერის ხანის ბძანებაც ეს არის და ჩუენც ასე დავგემტვი-  
ცებია: წმიდის დავითის ყმასა არაფერი არა ეთხოვბოდეს რა: არც  
საური და არცა-რა სხუა ბეგარი, თუნიერ წმიდის დავითის სამსა-  
ხურის მეტი.

აწე, ვინცა ესე ასე არ დაუმტვიცოს და ან ეს მოუშალოს,  
ან საური სთხოვოს, რისხავამცა ღმერთი დაუსაბამო მამა, ძე და  
სული ყოვლად წმიდა, და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი, ზეცისანი  
და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორციონი, და თუთ ეს წმიდა სა-  
კვირველთ-მოქმედი მამა ჩუენი დავით; და ნურამცა ნუ იქმნების  
ხსნა სულისა მისისა, და აღიუხურას ძირითურთ ნაწილი და სა-  
მკვიდრებელი მისი, და ქრისტეს ჯუარის-მცემელთა თანამც შეირაც-  
ხების.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისი აკურთხნეს ღმერთმან.

დაიწერა სიგელი ესე ხელითა მდივანმწიგნობართ-უხუცესის  
შვილის სამებელ ეპისკოპოზისა ნიკოლოზისითა და  
თუთა ამტკიცებს წიგნსა ამას. ქორონიკონს ტჰდ.  
რუა ბეჰედი.

კიდებუ:

ქ. ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან ნაზარალიხან  
ეს სატიცარი გავსინჯეთ და დავით-გარეჯის წინამძღვარმა  
ონოფრემ მოგვახსენა და როგორც ამ დარბაისელ-ეფისკოპოზთ  
დაუმტკიცებია, ჩუენც ამ რიგათ დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია.  
მაისინ ით, ქორონიკონს ტჰჰ.

### 87. [ბრძანება მფუისა საკათალიკოსო მამულეზის შუშვალოგის შესახებ]

[XVII ს. დასასრ.]

ქ. ჩუენი ბრძანება არის:

სადაც საკათალიკოზო სოფლები და საყმო არიან, ხელ-ერთობ-  
ლივ რაც საკათალიკო[ზო]ში სახლობთ, და სადაც მისი საყმო  
არიან, რა ეს ჩუენი ბრძანება დაინახოთ, რაც საკათალიკოზო სოფ-  
ლები და ან მამული საყმო იყოს, ისევე მისთვის დაგვიწებებია და  
წყალობა გვიქნია.

აწ რაც საკათალიკოზო სოფლების საქმე იყოს, უიმისოდ ნუ-  
რა იქმნას და მისის წელითა და მარიფათით გარიგდეს, და უიმი-  
სოდ საკათალიკოზო სოფლებში, მანამდისინ ჭელში ჩუენი ბუი-  
რულთი არა ჰქონდეს, უბრალოდ ნურავინ მაგისტანა მოშილთახე  
ნუ გაიელის და მოძალობას ნუ მაინდომებენ და არავის უსამართ-  
ლობას ნუ უზმენ და ძალას ნუ იქმონენ.

რაც იასაული საკათალიკოზო მამულში მივიდეს, თუ არ ჩუ-  
ენი და კათალიკოზის ბძანება არა ჰქონდეს, სხვის იასაული ვერ  
შავიდეს; და ნურავის ამის მამულში საქმე არა ჰქონდეს. და ვინცა  
ვინ ამის მამულში იდგეს, გამოეცალონ.

### 88. [ბრძანება მკამლე I-ისა სამართლის ძმის შესახებ]

[1688—1703 წწ.]

ქ. ჩუენ, მეფის პატრონის ერეკლეს ბრძანება ეს  
არის:

ვინც სამართალში კაცი მიეფეროს და მართალი არა თქოს,  
ან ჩემის ყმობით, ან დიდის კაცის ყმობით, ან შიშითა და ქრთა-  
მითა, ან მოყურობითა<sup>1</sup>, სულიც წაუწყმდეს.

<sup>1</sup> + და.

მეორე ესე რომა: ერთმა კაცმა რომ ტყუილი მოუგონოს კაცსა და დააფიცოს, გასაჯოს და დაახარჯვინოს, ბერი უბრალოდ გასაჯოს, და თავი იმართლოს იმ კაცმა და გამართლდეს ფიცითა და მოწმითა, რაც ხარჯი დაემართოს იმ მართალს კაცსა, ტყუილის მომგონებელმა გარდაუჭადოს.

მესამე ესე: ვინ დააფიცოს მოფიცარი, ნახევარი დამფიცებელმა გარდაიჭადოს და ნახევარი ვინც დაიფიცოს იმან.

ეს ასრე გაგვირიგებია. და ვინც გადაეა, ჩუენად შეცოდებად მოვიკითხავთ, ვინც არ დაიჯერებს და ან ჩუენს ბრძანებასა<sup>1</sup> ასრე არ გაათავებთ.





[ 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 15<sup>1</sup> 15<sup>2</sup> 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 ]

- [1]\* 1 კარი: ყოვლის ჯელჯოხიანისა და მათისა თაბუნისა [გვ. 240—242]  
 2 კარი: ყოვლისა ყორჩისა, ალამდრისა და ჯილავის მეთოფისა [გვ. 242—244]  
 3 კარი: ბახიერათუხუცის და ბახიერებისა [გვ. 244—245]  
 4 კარი: სალაროს ნახირისა და მისის ასნაფებისა [გვ. 245—248]  
 5 კარი: ქარხნის ნაჯირისა და მისის ასნაფებისა [გვ. 248—250]  
 6 კარი: სახინდროსა და მისის თავილდრისა [გვ. 250—251]  
 7 კარი: სახლების დგომის<sup>1</sup> რიგისა და საკმელებისა [გვ. 251—256]  
 8 კარი: კოდის პურისა, სთელისა, საბალახისა, პირისთავისა, სახასო-პურისა [გვ. 256—259]  
 9 კარი: სადიასახლისო ძროხისა, ბატისა და ქათმისა, ერბოსა და ბრინჯისა [გვ. 259—260]  
 10 კარი: ხვნისა და სამეჯროს<sup>2</sup> გარიგებისა [გვ. 260—261]  
 11 კარი: ყველისა, მწვანილისა, ზილისა, ხმელის თევზისა, დიდბადისა, ნავტივისა [გვ. 261—262]  
 12 კარი: საშარბათოს რიგებისა [გვ. 262—263]  
 13 კარი: ბოშლაბისა და სასმელ-საკმლის რიგისა [გვ. 263—264]  
 14 კარი: თარხნებისა [გვ. 264—265]  
 15 კარი: ყაბებისა, თუ რა უნდა მისცეს გასაკეთებლად [გვ. 265—267]  
 [15<sup>1</sup> კარი: მდივანბეგის გარიგებისა [გვ. 267—269]  
 [15<sup>2</sup> კარი: ბოქოულთ-ხუცებისა და დავთარხანის იასაულების სარგო [გვ. 270—271]  
 16 კარი: კახეთისა და ქართლის სამძღვრისა [გვ. 271—272]  
 17 კარი: ქართლის აწერისა თუ როგორ აიწერების\*\* [გვ. 272—273]  
 [2] 18 კარი: საურისა თუ როგორ აიღების [გვ. 273]  
 19 კარი: ჭრბნისის რუს მუშისა [გვ. 274]  
 20 კარი: საბალახე, ნახირისთავი, კოდისპური, პირისთავი, სამასპინძლო-თუ სად როგორ შე[ე]წერების [გვ. 274—277]  
 21 კარი: გხების შენახვისა [გვ. 278]  
 22 კარი: შავარდნის ბუდებისა [გვ. 279—280]  
 23 კარი: აჯილღის მიბარების და ქერისა [გვ. 280]  
 24 კარი: ზარაფხანისა და ყოველის გამოსაღებისა ქალაქისა [გვ. 280—286]  
 25 კარი: გორის გამოსაღების რიგისა [გვ. 287—288]

<sup>1</sup> დგომისა. <sup>2</sup> სამეხრაოს.

\* ხელნაწერი იწყება ასე: „პირველი: ფარდი: ა: რეველი: ა: მლთით ვშიკალას ბაშისა“. რიცხვის აღმნიშვნელი ასოები ჩვენს გამოცემაში ყველგან შეცვლილია ციფრებით.

\*\* თავფურცლის ბოლოში ხელრთვით მიწერილია: „გიორგი“.

- 26 კარი: ელის გამოსაღების რიგისა [გვ. 288—297]  
 27 კარი: გატეხილის ხიდის დებულობისა [გვ. 297]  
 28 კარი: შულავრის დებულობისა და მოჭელებისა [გვ. 297—300]  
 29 კარი: ბოლნისისა და მისის მოჭელებისა [გვ. 300—301]  
 30 კარი: ალექისა და მისი მოჭელებისა [გვ. 301—302]  
 31 კარი: ეკლესიისა და მისის მოჭელებისა [გვ. 302—303]  
 32 კარი: დურნუქისა და მისის მოჭელებისა [გვ. 303]  
 33 კარი: დიღმისა და მისის მოჭელებისა [გვ. 303—304]  
 34 კარი: კვეთისხევის გამოსაღებისა და მისის მოჭელებისა [გვ. 305—306]  
 35 კარი: ქვიტკირის ლილოს დებულობისა და მისის მოჭელებისა [გვ. 306]  
 [3]\* 36 კარი: ავღაბრისა და მისის მოჭელებისა [გვ. 306]  
 37 კარი: ატენის ზვრებისა, ხარჯისა და მისის მოჭელებისა [გვ. 306—308]  
 38 კარი: სომხითის სოფლებ[ი]სა, ჯვარის დამბლუტისა [გვ. 308]  
 39 კარი: ყაიყულის გამოსაღებისა და მათის მოჭელებისა [გვ. 308—312]  
 40 კარი: თრიალეთის რიგისა და მათის მოჭელებისა [გვ. 312—314]  
 41 კარი: აიდარბეგის<sup>1</sup> ქვობისა და მათის მოჭელებისა [გვ. 314—315]  
 42 კარი: კაქორზედ ტკბილის მიტანისა [გვ. 315]  
 43 კარი: სახასოს ბზისა, თავლისა და შიგამდგეგებისა [გვ. 315—316]  
 44 კარი: თავლის ქეშიკისა [გვ. 316—317]  
 45 კარი: სამეშაო სასმელ-საჭმელისა [გვ. 317]  
 46 კარი: ერთმან გუთანმან რაერთი ხნას, და ან რა მოიყუანოს [გვ. 317]  
 47 კარი: სალთუხუცის სარგოს რიგისა [გვ. 317—318]  
 48 კარი: მდივნების სარგო [გვ. 318—319]  
 49 კარი: ვეზირის სარგო [გვ. 319]  
 50 კარი: მუშის სარგო [გვ. 319]  
 51 კარი: მუსტოფის სარგო [გვ. 319]  
 52 კარი: სალაროს ნაზირის სარგო [გვ. 319—320]  
 53 კარი: მოლარეთხუცისა და მათის სალაროს მოჭელებთ სარგო [გვ. 320]  
 [4] 54 კარი: მეითრისა ფეშქაშნივისისა და მერტიფებისა [გვ. 320—321]  
 55 კარი: ქარხნის ნაზირისა და ჩანფა ნაზირისა, ქარხნის მუშრობისა და მეჯოგეთხუცისა\*\* [გვ. 321—322]  
 56 კარი: სარქარბაშისა\*\*\*  
 57 კარი: მურდლის სარგო [გვ. 322]  
 58 კარი: სომხითის ტარულისა [გვ. 322]  
 59 კარი: სომხითის მელიქისა [გვ. 323]  
 60 კარი: ბაზიერთუხუცისა და ყარაიის<sup>2</sup> მეყორულისა [გვ. 323]  
 61 კარი: გევისთავებისა [გვ. 323]  
 62 კარი: თრიალეთის სამძღვრებისა [გვ. 324—327]

<sup>1</sup> აიდარბეგისა. <sup>2</sup> ყარაიისა.

\* ხელნაწერის მე-3 გვერდის ზემო აწიხზე სხვა გაკრული ხელით მიწერილია: „წიგნთაჲან ახნაურის ალექსანდრე გარსევანოვისათა ჩემე წელსა, აპრილის ოთხსა დღესა“.

\*\* ტექსტში მეჯოგეთხუცის სახელი შეტანილია 56-ე კარში.

\*\*\* სარქარბაშის შესახებ ტექსტში არაფერია ნათქვამი.



## [შესავალი]

[6]\* ეჭა, დიდება ჴშენდა მბადო ყოველთაო, რომელმან ყოველნი არსნი და არა-არსნი არსებად მოიყვანენ, იყავ, ხარ და ეგები უკუნისამდე, ეამთა და წელთა დაუბერაობითა.

და შენ გადიდებენ ყოველნი ქმნილნი ჯელთა შენთანი. დიდება გამოუთქმელსა და მიუწდომელსა ძალასა ღმრთაებისა<sup>1</sup> შენისასა, და აღურაცხელსა კაცთ მოყუარებასა შენსა!

ჩვენ, შენ მიერ პირველთაგანვე ჴეცით საქართველოს მეფედ განკუთვნილისა და აწ სასუფეველი ცათა შინა სულბრწყინელად მნათობელისა, პირველ ეახტანგ ჯმობილისა, და შემდგომად სპარსთა ენითა შაჰნავაზ<sup>2</sup> წოდებულის; ძისა მისის ქართველთა მეფისა და სრულიად ერანელთა სპასალარისა და სპასპეტად დადგინებულისა, ყანდარისა და ქირმანისა ბეგლარ-ბეგისა, გირიშკისა და ჰაილათის<sup>3</sup> მჭირავისა, პირველ გიორგი ჯმობილისა, და შემდგომად მეორე<sup>4</sup> შაჰნავაზ<sup>2</sup> წოდებულის მაგიერად მყოფმან, ძმის-წულმან მისმან, და ძემან ერანის მდივან-ბეგის შაჰყულიხანისა<sup>4</sup>, საქართველოს ჯანიშინმან ბატონის შეილმან პატრონმან ეახტანგ, ოდეს<sup>5</sup> ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა და განუჩინეთ და განუწეს[ეთ] წიგნითა ამით, რათა ყოველნი ჯელისუფალნი და მოქმედნი დარბაზი[6]სა რიგისანი ესრეთ იქცეოდნენ, და განაგებდენ თავის თვისნი მოჯელენი საქელოთა თვისთა. და წესითა და შემსგზავსებითა იქცეოდენ.

და ნურავიმცა მკადრე იქმნებიან ბრძანებულისა და განჩინებულისა რიგისა ამის შეცვალებით სლვასა, არამედ კეთილად და ესრეთ ჰყონ, ვითარცა გვემცნეს. რა უეჭველად და დაუცადებელად არს მივლინება ბოროტი უწესოდ მქცეველთა ჴედან, ხოლო პატივი და დიდება არა მედგარსა მონასა, არამედ მორჩილად განმგესა და მართებით მქციევსა.

<sup>1</sup> მღთებისა. <sup>2</sup> შაჰნავაზ. <sup>3</sup> ჰაილათისა. <sup>4</sup> შაჰყულიხანისამა. <sup>5</sup> ოდენს.

\* მე-5 გვერდის ჴემო აშიაზე სხვა ხელით მიწერილია: „წესი და განგება სამეფო დარბაზისა-კარისა მეფის ეახტანგ მეექვსისა“.

აწ ვიწყით, და ამით ყოველთა სცნან და დაიმარხონ წესი და რიგი ესე, თუ რომელი სამსახურის მოქმედი და მოკვლენი დაგვიდგენია საჯელოთა თავისთა ზედან. ესრეთ თვითეულად აღწერილის წიგნითა ამით იცნობენ და ეგნენ.

და ნუმცა-ვინ დაკლებულ იქმნების ნახევარი ერთხან და ნახევარი მეორეხანს ცვალებითა და რიგითა სამსახურსა ჩვენსა; რაჟამს რომლისა რიგი აღესრულოს, კუალად სხვა კარისაგან განუყრელად იქნებოდენ თვისთა უხუცესთა დასტურითა და შეკითხვითა.

პირველ ჯერ-არს ხსენება და აღწერა, რა ამათ მიერ არს იგი პურობისა, წყალობისა და რისხვისა.

[7] კარი 1  
ყოვლისა ვალჯობისა და მათი სარგოსი

დაგვიყენებია ემიკალაბაშად: არაგვის ერისთვის შვილი ზურაბ, ამილახერის შვილი რევაზ. ეს ორნი ამ საჯელოში იყუნენ.

იქნა [ჯამი] 2\*

ბოქოულთ-უხუცესად: ორბელიშვილი გორჯასპი, არაგვის ერისთვის შვილი ნუგზარ, ამილახერის შვილი ბეჟან, ავალიშვილი ზაზა, ციციშვილი სეხნია, ფალაგანდიშვილი შიოშ, ჩხეიძე თეიმურაზ, იარალიშვილი ვახტანგ, ციციშვილი ლევან, შალიკაშვილი იბაშერ, სამიშვილი ქაიხოსრო, გურჯი-რევაზიშვილი რევაზ, ციციშვილი ლიპარიტ, შალიკაშვილი ზურაბ, [8] ნარიმანა, ზურაბიშვილი ბეჟან, აბაშიშვილი დავით.

იქნა [ჯამი] 17\*

არის სობათიასაული

იოთამიშვილი ორბელ, თარხნიშვილი ზა[ა]ლ, შანშიაშვილი ბეჟან, საგინაშვილი ბესპაზ, შალიკაშვილი ედიშერ, სუფრაჯიშვილი ბახუტა, თოფჩიბაშიშვილი ალა, მულუმა, ედიგარაშვილი ხალილა, ჩაფარ-აჰმადას<sup>2</sup> ძმა.

იქნა ჯამი 11\*

ყორიასაული

საგინაშვილი ბეჟან, კიდევ საგინაშვილი ბეჟან, [9] სა[ა]კაძე მერაბ, გლურჯიძე ტარიელ.

იქნა [ჯამი] 4\*

1 კარი 1 ყოვლის] კარი ა. კ. კარი პირველი ყოვლის. 2 ჩაფარაჰმადასა\* მიწერილია სწვა ხელით.

## მეკმადარები

მეკმანდარბაში ბახუტა, მეკმანდარბაში ალიხანა, მეკმანდარი სოზია, არეშიშვილი როინა, ხოჯის ძმისწული ავთანდილა, პარუნ სარქისაშვილი უთრუთა, არეშიშვილი გასპარა.

იქნა [ჯამი] 7\*

## კარის ყაფიჩი

ედიშერას-შვილი პაპუნა, ამისი თაბუნი თათარი ბაინდურა, ჰუსეინა.

იქნა [ჯამი] 3\*

## ჯარჩების

ჯარჩების სარგო, როგორც სარხათი აქუს[თ], ისრე ჯამაგირი აილონ. ბატონის მეჯლისიდან საქმელს მისცემდნენ გარ[ე]ობაში, პური და თვითო ცხენის ქერი. და იქნების სამსახურზედ დააყენონ.

[10] იმათი სამსახური ეს არის: დილას მოვიდნენ, კარზედ დადგნენ, როგორც ჯელჯოხიანი, ისრე. გარედამ კაცს დაითხოვდნენ; მეჯლისთან შესასვლელად ჯელი არა აქუს[თ]. ბატონის ცხენს შეჯდომაზედ უმალ შეჯდებოდნენ, და ჯარს შეჯდომას დაუძახებდნენ<sup>1</sup>. ცხენს შეჯდომაზედ გაიყოფიდნენ: ნახევარი აქეთ, ნახევარი იქით დადგებოდნენ, ჯარს სწორედ ატარებდნენ, თავს სწორედ სიარულს დაუძახებდნენ. სანადიროში ჯელგას დაუძახებდნენ, გამოაგროვებდნენ, გა[ა]რიგებდნენ.

აგრევე, რომელი რომლის დროშისა იყოს, იმის სარდალს იახლებოდნენ და მის საქმეში დაუჯერებდნენ. ბატონის ცხენს შეჯდომაზე<sup>2</sup> ყუელანი ბატონთან მოვიდოდნენ. მერმე თავთავის დროშაზედ წავიდოდნენ. ქეშიკის დროს ქეშიკს დაუძახებდნენ.

## ყაფიჩები

ყაფიჩბაში თურქისტან. ყაფიჩი: გილაქი პაპუნა, ბაგრატა, თუმანიშვილი ფირან, გლურჯიძე ზა[ა]ლ, მირიანაშვილი ფარსადანა, [11] თუმანიშვილი ავთანდილა, თურქისტანიშვილი ბეჟან,

<sup>1</sup> დაუძახებდეს. <sup>2</sup> შეჯდომაზე.

\* მიწერილია სხვა ხელით.

შაჰნაზარაშვილი გიორგი, ყორღანაშვილი შერმაზან, ზაერაშვილი ბახუტა, შაყულაშვილი ალავერდა, თულაშვილი იასე, დალალაშვილი ენუქა, ოქრომჭედლიშვილი დათუნა, ზაერაშვილი იოთამ, ედიშერაშვილი თაყა, თულაშვილი ზურაბ, ყორღანაშვილი ფრიდონა, ყორღანაშვილი ასლამაზა, ყორღანაშვილი ასიტა, ზემბადაშვილი პა[ა]ტა, მათარსიშვილი რევაზ.

იქნა ჯამი 23\*

### იასაულეები

ყორღანაშვილი ჯიმშიტა, [12] როინაშვილი გიორგი, ყორღანაშვილი იაგანა, ყორღანაშვილი ბეჟან, არეშიშვილი რამაზა, ყაჯარაშვილი ედიშერა, გოგიბაშვილი დავრიშა, ვახუშტის ძმა პაპუა, შანშიაშვილი ნაზარა, გლურჯიძე იონათამ, შანაზარაშვილი ხარემუზა, ყორღანაშვილი ფირალა, მარიამული რამაზა, მარიამული გრიგოლაშვილი, მარიამული ბერი, მარიამული ბერუა, საჩინოშვილი ფარემუზა, შალიკაშვილი, თულაშვილი ლომკაცი, [13] აკანათელი ედიშერა, თულაშვილი გიგიტა, დალალაშვილი თამაზა, ყორღანაშვილი ავთანდილა.

იქნა ჯამი 23\*

მუშის ათისთავს იასაულეები აიღებდენ, არც ყოფილა და ნურც აიღებენ.

ბატონი რომ გაუწყრეს ვისმე და ჯარიმა სთხოოს, თუ ბატონმა აპატიოს, იასაული საიასაულოს მთლათ ნუ გამოართმევს, მესამედი გამოართვას.

### პარი 2

[ყულინა, ყორღინა, ალავერდისა და ჯილაჰის მეთოფინა]

### [ყულეები]

ყულარალასი ამირეჯიბი ქაიხოსრო. ყულეები: მზეჯაბუქ\*, ერისთვიშვილი რევაზა, გორგასალ, დიასამიძე ვარამ, ზა[ა]ლ ციციშვილის ყმაწვილი პაპუნა, პატარკაცი, ეშიკალაბაშის შვილი, გივის მდივნის შვილი, ციციშვილი იასე.

იქნა [ჯამი] 9\*

\* მიწერილია სხვა ხელით.

\*\* თვითეული ყულის სახელსა თუ გვარს ბელნაწერში უხის ციფრი

[14]\* ყულარაღას თორმეტი თუმანი ჯამაგირი. ბატონს თავს და[ა]დგებოდეს. ვინცა-ვინ საბატიოს კაცის შვილი ყული იყოს, ბატონს თავს და[ა]ყენოს, რიგზედ მართებით ამსახუროს. იქნება ასეთი ყულიც, რომ დიდ მეჯლი[ს]ში არ დაიყენებოდეს.

### [ყორჩები]

ყორჩიბაში ამილახვარის შვილი ბარძიმ. ყორჩი: ბეგა-შვილი ბარათა, საგინაშვილი ქაიხოსროს შვილი, საგინაშვილი ფარემუზიშვილი, საგინაშვილი ს[ა]ამის შვილი, სა[ა]კაძე ზურაბ, სა[ა]-კაძე იორამის შვილი, გლურჯიძე შალვაშვილი, რევიშვილი გიორგი, საგინაშვილი გორჯასპიშვილი, ყარაბუღახის იესეს შვილი, გიორგი ყორჩიშვილი ბეგან, გლურჯიძე გლურჯის ძმის წული, ელის უზბაშის ძმა, ჯვანშირი დარგაპყულა, ვარლაოლი უსუფა, ხალიფოლი აბდულა.

იქნა [ჯამი] 16\*\*

### ალანდრები

სა[ა]კაძე ქაიხოსრო, ალანდარი ქარიმა, ელის ალანდარი, კიდევ ელის ალანდარი.

იქნა [ჯამი] 4\*\*

### [15]\*\*\* ჯილავის მეთოფეები

უზბაში თურქისტანიშვილი ქაიხოსრო. მეთოფე: შალი-კაშვილი ვახტანგ, სოლალაშვილი შიოშის შვილი, ოქრომქედ-ლიშვილი ზურაბ, გლურჯიძე შიოშ, თულაშვილი იასე, თულაშვილი გიორგი, რევიშვილი გიორგი, მამასახლისიშვილი აბაზა, თაყასშვილი ქაიხოსრო, აბაშის შვილი, აბულაშვილი ბარათა, ზავრა-შვილი გივი, აღნიაშვილი, ჩააკასშვილი როსტომ, ურდევანძე, თი-ლასონ, გვერდწითელი ზაქარია, გედიაშვილი ავთანდილ, ალექსიძე

---

\* ხელნაწერის მე-14 გვერდი იწყება ასე: „ქ. კარი პირველი ყოელის ქელჯოხიანისა და მათის სარგოსი“, რაც პირველი კარის სათაურია და აქ სრულიად უადგილოა.

\*\* მიწერილია სხვა ხელით.

\*\*\* მე-15 გვერდის ხეშე ამიაზე გადამწერის ხელით სწერია: „მეორე: ფარდი: ბ: რვეული: ბ:“

ხოსია, ომანაშვილი ფრიდონ, ალექსიძე აეთანდილ, წინამძღვრის-  
შვილი ზა[ა]ლ, ბულუტაური ბერუკა, დიღმელი კაკნაშვილი, დიღ-  
მელი თეთრაძე, დიღმელი ხეჩუმაშვილი, კრწანელი დეკანოსა-  
შვილი, მაჩეთელი ლაზარა, ქრციხინვენილი პაპანაშვილი პა[ა]ტა,  
პაპელიშვილი აღდგომელი, მელანაშვილი ივანა, ზანგალაძე, გრი-  
გოლის შვილი, მეკრავიშვილი ხოსია, მკედლიძე ბერი, [16] ზაზუ-  
ნაშვილი გიორგი, ციცაშვილი თამაზა, მამასახლისიშვილი ბეჟან,  
ბაბუციძე გიორგი, მელანასშვილი პა[ა]ტა, კახისშვილი ბერია,  
საღირაშვილი ბეჟან, საბარელი ოთარი, ოტიაშვილი მაჩაბელი, გო-  
გორისშვილი, კავთისხევის მამასახლისის შვილი.

იქნა ჯამი 46\*

პარი 8

[ბაჟიერთ-ხუცის და ბაჟიერებისა]

**ბაჟიერთ-ხუცის, შიგამდეგი, ქარის ბაჟიერი**

ბურღიაშვილი იასეს შვილი, სოლალაშვილი დათუნა, ურდუ-  
ბეგაშვილი აეთანდილ, შიხაიდარიშვილი ასლამაზ, ოთოთაშვილი  
გიორგი, არეშიშვილი ბეჟან, არეშიშვილი გიორგი, არეშიშვილი  
ამზა, სამშვილდელი დეონოსაშვილი, ხავარაძორელი მანთაშაშვილი,  
სერგეში ნინიაშვილი, თურქისტანიშვილი გოდერძი, დურნუქელი  
ზა[ა]ლა, დურნუქელი თამაზა, ბოლნელი ბახუტა.

იქნა [ჯამი] 15\*

[17] შავარდნის ბაჟიერი<sup>1</sup>

ნასიბლოელი მაჰდას შვილი, ველიოლლი ისმეილა, ფიროლლი  
აფუზა, მურადოლლი მუსა, მახსუთოლლი ისმეილა, ამირველიოლლი  
ასანა, ალიოლლი ელიაზა, ახიჯანოლლი ბაირამა, ამადოლლი მუს-  
ტაფა, ველიოლლი აშურა, აჰსანოლლი მაჰდა, შამანდოლლი ყუზანა,  
ალავერდოლლი შავერდა, ალიხანოლლი სარიველი, ჰ[ა]სანოლლი ჰა-  
სანა, ბაირამოლლი ყურბანალა, ალიოლლი ყურბანალა.

იქნა [ჯამი] 17\*

**გავაზის ბაჟიერი**

დომელა, აღნიაშვილი შერმაზანა, აღნიაშვილი ფარემუზა,  
არეშისშვილი დუშია, არეშისშვილი ესტატე, არეშისშვილი შამ-

<sup>1</sup> + შავარდნის ბაჟიერი.

\* მიწერილია სხვა ხელით.

შია, პარუნსარქისას შვილი სალმახანა, მისი განაყოფი საქია, მისი განაყოფი ნასყიდა, არეშისშვილი დათუნა, ბოლნელი ოზბე-გაშვილი ოთარა, დიღმელი ბასილა.

იქნა [ჯამი] 12\*

### [18] მეზადური ქორისა

სარკინელი ნანაშვილი, შულავრელი ალიხანას განაყოფი, ქვე-მო ბოლნელი ქარასაშვილი, შუა ბოლნელი შარუას განაყოფი, კუ-რატას სოფელში ალავერდა, ტალავერს.

იქნა [ჯამი] 6\*

### საზანდრები

საზანდარბაში გიორგი. მისი თაბუნი: მირზახანაშვილი, ალე-ლი თამაზა, დალალაშვილი; სხვა მოქალაქე საზანდრები ყველა მისი თაბუნი არის.

იქნა [ჯამი] 6\*

### პარი 4

[სალაროს ნაზირისა და მისის ასნაფიზისა]

სალაროს ნაზირის თაბუნი, მოლარენი

სალაროს ნაზირის საკელო და თაბუნი ქარხნის კაცი რომე, ეს იმას უნდა ებაროს.

სალაროს თავილდარი თუშმლიშვილი<sup>1</sup> ბეჟან, სალაროს მუ-შრიბი ნასყიდა, გერაქ იარალი ბირთველა.

მოლარე: ედიშერაშვილი სუნბატა, თუმანიშვილი სალმახან, ყორღანაშვილი ბეროა, ყორღანაშვილი ზა[ა]ლ, მერაბასშვილი დოლ-მაზა, ბოლნელი ლეჟა, გრიგოლისშვილი გიორგი, ყორღანაშვილი ფარემუზ, არღუთასშვილი ოღუზა, ყორღანაშვილი ედიშერა, [19] იეგულაშვილი გიჟა, მირზალაშვილი რევაზა, შანშიაშვილი ალა-ვერდა, როსტეგვანასშვილი, შაიკაშვილი ბერუა, იეგულასშვილი თამაზა.

იქნა [ჯამი] 19\*

### მკერვლები

მკერვალი ბაბადიში, სულხანაშვილი გიორგი, პენტელა ასლა-მაზა, ჭონი ფარსადანა.

იქნა [ჯამი] 4\*

<sup>1</sup> თუშმლიშვილი.

\* მიწერილია სხვა ხელით.

## მერიქიფე

მერიქიფე დალაქი მელქუა, შანშიაშვილი ქაიხოსრო, თუმანი-  
შვილი თამაზ, სეხნიაშვილი ჯაჯანა, მუსხელაშვილი ზა[ა]ლის შვი-  
ლი, ადამა ნაბიქვარი, მგალობელი, დოხოლია, სიამარადის შვილი  
ოტია.

იქნა [ჯამი] 9\*

## აბღრები

აბღარბაში ქაიხოსრო. თავილდარი ზა[ა]ლ. აბღარი სულუა,  
კახაბერი, ეშაქაშვილი ავთანდილა, ჯანდიერის შვილი, ჯირაშვილი  
ლუა, არემისშვილი გურგენა.

იქნა [ჯამი] 8\*

## ყალიონყორჩები

ყალიონყორჩის თავილდარი, ყალიონყორჩი<sup>1</sup> ბიძინა, გაბრი-  
ელა, ინდო.

იქნა [ჯამი] 4\*

## [20] ყავაჩები

ყავაჩი სეფიყულა, ყავაჩი დოლა, ყავაჩი რევაზის შვილი.  
იქნა [ჯამი] 3\*

## ფეშქაშის მოკელენი

ფეშქაშის ქარხანა. ფეშქაშნივისი ქაიხოსრო, ფეშქაშის თა-  
ვილდარი ლორელი ფარსადანა.

იქნა [ჯამი] 2\*

## საჯაბღაროს მოკელე

ჯაბღადარი შერმაზანაშვილი ზურაბ, კაკალიაშვილი ფირან,  
შაჰნაზარა, ელიარაშვილი, ასლანაშვილი.

იქნა [ჯამი] 5\*

## საფარეშოს მოკელე

ფარეშო-ხუცესი ზა[ა]ლ, რატიშვილი ლუარსაბ, თავილდარი  
ასლანა, შიგამდგომელი პეტროზა.

<sup>1</sup>+ ყალიონყორჩი.

\* მიწერილია სხვა ხელით.



ფარეში: დიღმელი გეგელაშვილი გიორგი, მანველაშვილი შავერდა, როსტიაშვილი იასე, დემეტრეს შვილი შალვა, დათუნაშვილი იესე, გოგიტაშვილი ბეჟან, შოშიტასშვილი ბერუა\*, სიზანაშვილი ივანა\*, გილაური ასლამაზა\*, ბოლნელი ყანდინაშვილი ზალუა\*, მისი განაყოფი ნიაზა, სამშვილდელი გარსევანა\*, მისი განაყოფი ოთარა, ეძნელი ლაშქარა, [21] იქივ გოჩაშვილი ხოსიტა, იქივ ანდენაშვილი შერმაზანა\*, საბატელი ფარეში გ[ი]ორგი\*, იქივ სარქისაშვილი ბეჟა\*, იქივ ხარატიშვილი სიხარულა\*, ზემო ანდრაპს<sup>1</sup> ჰეჯუბა, იქივ მამასახლისიშვილი ფასუა, მაჩუთას ღვინია, სახუნდრელი თამაზა, კირაკოზას სოფლისა შანაზარა, ეშაკაშვილი პაპუა, შანშიაშვილის პაპუას ძმის-წული, კავთისხევს ზურაბაშვილი, მისი ძმა ბეთიაშვილი დათუნა, რუსი ფარეში ორი, ალელი ფარეში თამაზა, ნაზარაშვილი ავთანდილა, იმერელი გოჩა, სარუოლლი უსენა, მისი ძმის-წული უსუფა.

იქნა ჯამი 38\*\*

### მეკარვე

ბერუაშვილი ზურაბ.

იქნა [ჯამი] 1\*\*

### ნალარა ხანის მოკვლენი

დაგვიყენებია მექანარე არუთინა, ფოლადაშვილი ოსინა, იმისი შვილი ფოლადა, მექანარე პაპა, მექანარე როსტომა, მექანარე ალიყულა, მექანარე მოსესა, მექანარე ივანე, [22] მექანარე პაპა, მენაფირე ოპ[ა]ნა, მენაფირე ნაზარა, მენაფირე გასპარა.

მეზურნე ჰასანა, მეზურნე ბუჟინა; შაგირდი გიორგი; მენალარე ზალინა<sup>2</sup>, მენალარე ფასუა, ჰახვერდა ერთი; მენალარეს შაგირდი ოთხი; მეზინჯე გოგინა, მეზინჯე არუთინა.

იქნა [ჯამი] 22\*\*

### სარქარბაში და სარქრები

სარქარბაში იმავერდა. სასახლის თავილდარი<sup>3</sup> ელიზბარა, იასაული ალავერდა, ყორღანაშვილი მანუჩარა, შემაზაშვილი.

იქნა [ჯამი] 5\*\*

<sup>1</sup> ჰნდრაპს. <sup>2</sup> + მენალარე ზალინა. <sup>3</sup> თაპვილდარი.

\* ამ გვარებს უხის ნიშანი 0 (1/2?).

\*\* მიწერილია სხვა ხელით.

**ქუემო ქარხნის ნაზირის თაბუნი, ქარხნის იასაულები**

არის ქუემო ქარხნის ნაზირის საკელო და თაბუნი: ქარხნის იასაული არეშიშვილი როსაბა, არეშიშვილი შერმაზანა, დალალა-შვილი ალავერდა, ხოჯაშვილი აღიბეგა, ყორღანაშვილი ნასყიდა, ყორღანაშვილი პაპა, ყორღანაშვილი კახაბერი, ყორღანაშვილი ჯიმშიტა, ყორღანაშვილი პაპა, [შპ] კიდეც ყორღანაშვილი პაპა, ყორღანაშვილი კაცია, დურნუკელი ფარემუზა, ჯიმშურელი ელია-რაშვილი პაპუა, ხავარაძორელი მირზა, შანშიაშვილი საფარა, თეგა იასაული, ფასუასშვილი ბერუა, ნასრიასშვილი ალავერდა.

იქნა ჯამი 18\*

**სახაბაზოს მოკელენი**

მეგოდრეთ-ხუცესი შანშიაშვილი ნასყიდა, მეგოდრეთ-ხუცესი თულაშვილი ზურაბ, მანდენაშვილი გოდერძა, ჯანდიერ; შიგამდგომელი თრიალელი ზურაბა, ენაგელი ბერუა; ხაბაზი დიღმელი გიგოლაშვილი გიორგი, ოთიაშვილი, ოქუხაშვილი, ზაზიაშვილი, თბილაშვილი, მარიაშვილი დათუნა, მოქალაქე გოჩიაშვილი, სამეგრეოელი ბახტარიძე, ანტრაფელი ზადა, იქივ ხოსიტა, ზემო ანდრაპელი მექუაბიშვილი ბერუა, მოქალაქე გოგიაშვილი, ეძნელი აღუა.

იქნა ჯამი 20\*.

**სუფრაქეში**

სუფრაქეში მეითრიშვილი ავთანდილ, შანშიაშვილი გიორგი, ზავრაშვილი ტარიელ, მამუკა შათირი, შანშიაშვილი პაპა, საჩინო-შვილი ოთარი.

იქნა [ჯამი] 6\*

**[24] სამზარეულოს<sup>1</sup> მოკელენი**

არის თუშმალი მანუჩარაშვილი, თუშმლიშვილი<sup>2</sup> ზალია, მამა შარითა, საყა წყლის მზიდავი, ყასაბი.

<sup>1</sup> სამზარეულოს. <sup>2</sup> თუშმლიშვილი.

\* მიწერილია სხვა ხელით.

მზარეული: დიდმელი ბერუა, იორყულა, მარიამული გოგია, ზევადე გოსტამა, მარიამული პაპუა, გრძელაშვილი ბერი, მუმლია, თეთრადე შავერდა, მარიამული ლომკაცი, ქუემო ბოლნელი ელიზბარა, ჯიმშიტაშვილი ზურაბა, კრწანელი მამუკა, კრწანელი დათუნა, ეძნელი მახარა, ავლადელი ძამა, ოსტატი თარადა, თავილდარი გოგია, კოჩრელი ზურაბა, მზარეული ნინიაშვილი, მკედლის შვილი.

იქნა ჯამი 25\*

### სალვინის მოკვლენი

მელვინეთ-ხუცესი გაბელ; შიგამდეგი ოსიყმეშვილი; თავილდარი ზავერაშვილი თარსადანა.

მელვინე: ყორღანაშვილი ბერუა, პაპა, სოლოლაშვილი იოთამა, ბაირამაშვილი როსტომა, სოზიაშვილი შიუა, ზავერაშვილი ზურაბა, დათუნაშვილი შაველა, გურიელი პა[ა]ტა, მირიანაშვილი ალავერდა, [25] შულავერის მამასახლისის შვილი პაპა, გლურჯიძე გლურჯი, კალატოზისშვილი არდაშელ.

იქნა ჯამი 15\*.

### სატკისპიროსი

დაგვიყენებია მეტიკისპირეთ: გეგელაშვილი თამაზა, ქიტიაშვილი ბერუკა, კურტყულაშვილი მახარა, დიდმელი ჩაჩაშვილი რამაზა, ავლაბრელი თამაზა, შულავერელი მუსურანელი თანდლა<sup>1</sup>, იქივ ზურაბა.

იქნა ჯამი 7.

### საშარბათოს მოკვლენი

დაგვიყენებია მეშარბათე თავილდრათ: ბოლნელი ნაზარა, თათარი რამაზა, ქუემო ბოლნელი მამასახლისის განაყოფი გიუა, იქივ ასლანა, იქივ ბაიაშვილი, იქივ ხატის ყმა თამაზა, იქივ მამუა, აღნიაშვილი თამაზა, ეშაკაშვილი ვერმიშა.

იქნა ჯამი 10

### სააუშტროსი

დაგვიყენებია აუშთარის თავილდრად არუთინა და ბაირამა. ამათი თაბუნნი: დიდმელი გოდერძა, იქივ თანდილაშვილი ბეჩიტა,

<sup>1</sup> + იქნა ვ.

\* მიწერილია სხვა ხელით.

იქვე მარიამული ბერუა, ბოენელი ბეეუა, ბოენელი მარქარა, ბოენელი ხუგაზა, ბოენელი საქუა, ბოენელი დურია, ოლთისელი აუშტარი თამაზა, [26] ავლაბრელი ზურაბა, შულაგრელი ალიხანაშვილი, იქვე ყალთახჩიშვილი ფიჩალა.

იქნა ჯამი 14

### სათეფშოსი

დაგვიყენებია მეთეფშეთ: თავილდარი თუშმლისშვილი<sup>1</sup> გიორგი, მოქალაქე ხეჩუა, ბოლნელი ხეჩუა, იქვე გზირიშვილი მეთეფშე, სამეგრეოელი ძამა, ეკლესიელი ლეუა; სამი კიდევ იშოვნონ სხვა.

იქნა ჯამი 3

### მესაკლავე

დაგვიყენებია მესაკლავეთ: გილაური რამაზა, იმისი ამხანაგი ტატია, მეცხვარე გ[ი]ორგი, იმედა.

იქნა ჯამი 4

### სამზარდნოსი

ამზარდანი თუმანა. მუჯირი: ბოლნელი ასლანა, იქვე მურადა, იქვე დარდარაშვილი დათუნა, მოქალაქე ზურაბა, მოქალაქე ნასყიდა.

იქნა ჯამი 6

### ჰარი 6

[საზინდროსა და მისი თავილდარისა]

### საზინდროსი

დაგვიყენებია ზინდარი თავილდარი პაპუა; შიგამდეგი გარსევანა, ვახუშტის შვილი დურმიშხანა, თულაშვილი ნავროზა, გორელი ესტატე.

იქნა ჯამი 5

### [27] მეჯინ[ი]ბენი

მეჯინიბე დიღმელი ნიჭელაშვილი პაპუა, იქვე ნიჭელაშვილი რამაზა, იქვე ხიზანაშვილი ბასილა, იქვე ჯანავარაშვილი, იქვე გიუაშვილი, იქვე გულუაშვილი, იქვე ჩაჩაშვილი ზუბიტა, იქვე სოზაშვილი იასე, ეძნელი გოჩოლაშვილი შოშიტა, დოსტიაშვილი ასლუა, იქვე ყალანდარა, იქვე მენაბდიშვილი ქიტია, იქვე აღენაშვილი ბერი, იქვე გიგოლაშვილი ადია, ქუემო ანდრაპს მახარა-

<sup>1</sup> თუშმლისშვილი.

შვილი, ავლადელი ბერია, ცრიცელი ივანა, არწევნელი პაატა, კავთისხევს ხატუაშვილი, იქივ თევდორა.

ქნა ჯამი 21

### შათირები

დაგვიყენებია შათირი ასკარა, კიდევ შათირი მისი ძმა, შათირი ხადანგა, გიორგი, გურიელი გიორგი, კავთისხეველი შათირი, სურამელი შათირი, მოქალაქე თამაზა.

ქნა ჯამი 8

ჩვენის საჯინიბოს გარდაღესა მოქალაქეებს აძეს. შათირები ქარხნის ნაზირის თაბუნი არ არის.

### [28] მეჯოგენი

დაგვიყენებია მეჯოგის თავილდრად ბოლნელი მღებრის შვილი თამაზა, იქივ მეჯოგე ვართანა, იქივ ბიძუა, იქივ შირიაშვილი ვართანა, იქივ პაპა, ეძნელი მირველაშვილი პაატა.

სამეგრეოელი პაპიაშვილი გიუა, ავლაბრელი ბერუჯა, ენაგელი ასლანა.

ქნა ჯამი 9

ქნა მოჭელეთ ჯამი 482\*.

### [29] კარი 7

კარი სასახლეეუგის რიგისა

რაცამს ინებოს მეფემან თუ ანუ მფლობელმან სამეფოსა ტახტისამან, შეამზადოს სერი დიდი და დაიდვას ნადიმი, ბრძანოს ქორსა სარასა შინა დაგება ტაბლისა და მეჯლისისა ესრეთ:

როდესაც<sup>1</sup> ბატონი დიდს სახლში დაბრძანდეს, ის სახლი რუს აწეული და სულ მოფენილი რომ იყოს; ბატონი რომ ტახტზე ბ[რ]ძანდებოდეს, იმის პირდაპირ წინ რომ ბოძი არის, ეშკიკალას-ბაშები იმ ბოძიდან ორს ბოძს ქუეით რანიც კელჯოხიანები ან სოიბათიას[ა]ულები იყუნენ იქ, ნახევარი იქით და ნახევარი აქეთ რიგზე დადგებოდენ.

დარბაისელნი რომ შემობრძანდებოდენ, დიდრუანს კაცებს აქათამან ეშკიკალაბაშმან აქათ უჩვენოს ალაგი, და იქითამან იქით უჩვენოს თავ-თავისი ალაგი, როგორც შეეფერებოდეს.

<sup>1</sup> როდენსაც.

\* მიწერილია სხვა ხელით

მერზე სხვა დარბაისელ[ნ] რომ მოვიდნენ, ბოქოულთ-ხუცესმან იქითმან იქით მისული და[ა]წვევინოს, აქათმა აქათ მოსული და- [ა]წვევინოს.

ბატონს უკან ყორჩიბაში და ყულარადასი ზეზე დადგებოდენ, ბატონის ბრძანებამდინ ნუ დასხდებიან, ყული და ყორჩი რიგზე დააყენონ, ყორიასა[შ0]ულიც იქ დააყენონ და იმათი დგომა გა[ა]- რიგონ.

სუფრა რომ ითხოონ, აბდარაბაშმა ბატონის ტაშტი წუმწუმა მოიტანოს. სხვა რვა აბდარი შემოვიდეს მისის ტაშტ-წუმწუმები- თა და ოთხმან იქით ჩაურიგოს და ოთხმან აქათ.

ბატონის სუფრა ფარეშხანის ტარულას ეჭიროს. ორი ფა- რეშთ-ხუცესი მიჰყუდეს, სუფრაჯმან გაშალოს აქეთ-იქით, ფარეშთ- ხუცესმან ბატონის სუფრის წვერი გაშალონ.

ყაბები შემოიტანონ. ჯერ მეგოდრეთ-ხუცესმან ოთხმან იქით- აქათ პური ჩაურიგონ, მეგოდრეც იშველიონ.

მერმე მეშარბათემ ოთხმა იქით და ოთხმა აქეთ თავის ხონჩა ჩაურიგონ.

ოთხი თუშმალე შემოვიდეს და სუფრაქეში ყუელა შემოვიდეს; საკმელი და[ა]სხან და აქეთმან სოიბათიასაულმან აქეთ მიართმევი- ნოს და [იქითმან] იქით მიართმევინოს.

ბატონის სამეღვინოს მეღვინეთ-ხუცესი მოუძღვეს. შიგამდგეს სურა და თასი ეჭიროს, ზირანდაზი გაშალოს; პირის მეღვინემ ღვი- ნო მიართვას. მეღვინეთ-ხუცესი და შიგამდგეიც იდგნენ. სხვა ცხრა მეღვინე შემოვიდეს, ოთხმან იქით მიართვას და ოთხმან აქეთ, ერთმან პირდაპირ მიართვას.

პირველზე ყავა [შ1]\* და ჩაი მისმან მოჯელემ მის დროს მო- იტანოს, ცალკე აქათ-იქით ჩაურიგონ.

ბატონის ყალიონი რიგისად სეფიყულამ და სა[ა]კაძემ მოი- ტანონ თვითო და თვითო პირდაპირ, ნუ მოსცდებიან.

სხვა ორი ყალიონყორჩი, ერთი იქით და ერთი აქეთ, იმსახუ- რებოდენ. ვისიც საბატოს კაცის შვილის ყალიონი იქნებოდეს, შემოუტანდენ.

თუ რუსი ჩამოსშვებული იყოს, და ან იქით აივანში, და ან აქეთ შუა სახლში მეჯლისი<sup>1</sup> ბრძანოს, ერთი ეშოკალასი დადგეს და

<sup>1</sup> მეჯლისი.

\* 31-ე გვერდის ზემო აშიაზე გადამწერის ხელით სწერია: „მესამე: ფარ- დი: გ: რვეული: შ“.

ორი ბოქოულთხუცესი აქეთ და იქით, ამ წესით გა[ა]რიგონ: ერთი სუფრაჯი, ორი ფარეშთ-ხუცესი, ოთხი თუშმალი, ექვსი სუფრაქემი, ოთხი მეგოდრეთ-ხუცესი, ოთხი მეშარბათე, ექვსი აბდარი, ერთი მელვინეთ-ხუცესი, ერთი პირის მელვინე, ერთი შიგამდეგი, ექვსი მელვინე. ესენი იმავე ზემოთის წესით იმსახურებოდენ. სახლთ-ხუცესი [და] ნაზირი გა[ა]რიგებდენ და დადგებოდენ. ერთი მდივანიც ამათთან<sup>1</sup> იქნებოდეს.

[32] როდესაც<sup>2</sup> დიდის სახლის მეჯ[ლ]ისი ბრძანოს, რომე ერთპირ მოფენილი იყოს, და რუსები აწეული ჰქონდეს, იმ სახლისათვის უნდა გაკეთდებოდეს ბრინჯი ყაბი სამოცი: ამისგან ხუთი ყაბი ბატონ[ი]ს წინ დაიდგმოდეს და ორმოცდათხუთმეტი ყაბი სხვა ფლავი იქნებოდეს.

მაგრამ თუ დარბაისელნი ივნივთონ, რომ არ იქნებოდენ და არ აივსებოდეს, ორმოცდაათი ყაბი გააკეთონ.

ამავე სახლისათვის ძროხა შვიდი, მისის აშითა<sup>3</sup> და ბორნითა. თუ სმას ბრძანებს, მოსამატი სხვა იქნების.

ეშიკალაბაში ორი, ბოქოულთ-ხუცესი ოთხი, სოიბათიასაული აქეთ და იქით, ერთი სუფრაჯი, ორი ფარეშთ-ხუცესი, ოთხი თუშმალი, ექვსი სუფრაქემი, ოთხი მეგოდრეთ-ხუცესი, ოთხი მეშარბათე, ექვსი აბდარი, ერთი მელვინეთ-ხუცესი, ერთი პირის მელვინე, ერთი შიგამდეგი, ექვსი მელვინე—ესენი იმსახურებოდენ; სა[ხ]ლთ-ხუცესი და ნაზირი დადგებოდენ.

რუს ჩამოშვებულნი რომ იყოს, იქით დაბრძანდეს თუ აქეთ. თუ ისივე სახლი რუსი ჩამოშვებულნი იყოს, და ან აქათ ბრძანოს მეჯლისი<sup>4</sup> და ან იქით აივანში<sup>5</sup>, იმ სახლისათვის [33] გააკეთონ ბრინჯი ყაბი ოცდაათი: სამი ყაბი ბატონის წინ დასადგმელი და ოცდაშვიდი ყაბი სხვა ფლავი გააკეთონ.

ამ სახლშია, რომელშია ც ბ[რ]ძანდებოდეს, ძროხა სამი მისის აშითა და ბორნითა. თუ სმას ბრძანებს, მოსამატი სხვა იქნების.

### მუშაბის სახლის რიგი

თუ ბატონმან მუშაბის სახლში ბრინჯიანი ჰამა ბრძანოს, ერთი ეშიკალასი დადგეს და ერთი ბოქოულთ-ხუცესი, ერთი სოიბათიასაული, ერთი აბდარბაში, ორი სხვა აბდარი, ერთი ფარეშთ-ხუცესი, ორი თუშმალი, ოთხი სუფრაქემი, ორი მეშარბათე, ერთი მელვინეთ-ხუცესი, ერთი პირის მელვინე, ერთი შიგამდეგი,

<sup>1</sup> ამათთან. <sup>2</sup> როდესაც. <sup>3</sup> ავშილითა. <sup>4</sup> მეჯლისი. <sup>5</sup> ეივანში.

ორი მეღვინე, ერთი ბატონის ყალიონყორჩი, ერთი სხვა ყალიონყორჩი, —ესენი იმავე ზემოთის წესით იმსახურებოდნენ [იხ. ამავე კარში].

თუ მუშამბის სახლში ფლავიანი სადილი ბრძანოს, ცხრა ყაბი ფლავი გააკეთონ: სამი ყაბი ბატონის წინ დასადგმელი და ექვსი ყაბი საჯვღოთ, ძროხა ერთი მისის აშითა და ბორნითა.

### [34] ტოგუნის<sup>1</sup> რიგი

თუ ბატონმა ან ტოგუნში და ან მეიდნის აივანში მეჯლისი<sup>2</sup> ბრძანოს, ერთი ეშიკალასი, ოთხი ბოქოულთ-უხუცესი, ორი სოიბათიასაული აქეთ-იქით დადგებოდნენ. ერთი აბღარბაში, ხუთი აბღარი, ორი სუფრაჯი, ორი ფარეშთ-ხუცესი, ორი თუშმალი, ექვსი სუფრაქეში, მეგოდრეთ-ხუცესი, ოთხი მეშარბათე, ერთი მეღვინეთ-ხუცესი, ერთი პირის მეღვინე, ერთი შიგამდეგი, ექვსი სხვა მეღვინე, ერთი ბატონის ყალიონყორჩი, ორი სხვა ყალიონყორჩი, —ესენი იმავე ზემოთის წერილის წესით იმსახურებოდნენ [იხ. ამავე კარში].

თუ ბატონმა ტოგუნში მეჯლისი ბრძანოს, უნდა გაკეთდეს<sup>3</sup> ფლავი ყაბი ორმოცი: ამისგან ხუთი ბატონის წინ დასადგმელი და ოცდათხუთმეტი ყაბი საჯაროთ, მისის აშითა და ბორნითა ძროხა ორი.

თუ ალაყაფის აივანში ბატონმა მეჯლისი ბრძანოს, ოცი ყაბი ფლავი გააკეთონ: სამი ბატონის წინ დასადგმელი და ჩვიდმეტი საჯაროთ, მისის აშითა და ბორნით ძროხა ორი\*.

### [35] ალაყაფის შუა სახლის რიგი

თუ ბატონმა ალაყაფის შუა სახლში მეჯლისი<sup>2</sup> ბრძანოს, ერთი ეშიკალასი, ორი ბოქოულთ-ხუცესი, ორი სოიბათიასაული დადგებოდნენ. ოთხი აბღარი, ერთი სუფრაჯი, ოთხი სუფრაქეში, ორი თუშმალი, ორი მეშარბათე, ერთი მეღვინეთ-უხუცესი, ერთი პირის მეღვინე, ერთი შიგამდეგი, ოთხი მეღვინე, ერთი ბატონის ყალიონყორჩი, ერთი სხვა ყალიონყორჩი, —ამათ იმავე ზემოთის წესით იმსახურონ [იხ. ამავე კარში].

### ალაყაფის აივნისა<sup>4</sup>

თუ ბატონმა ალაყაფის აივნის შუა სახლში მეჯლისი ბრძანოს, იმ სახლისათვის გააკეთონ ფლავი ყაბი ოცი: ამისგან სამი

<sup>1</sup> ტოგუნის. <sup>2</sup> მეჯლისი. <sup>3</sup> გააკეთდეს <sup>4</sup> ეივნისა.

\* შღრ. ალაყაფის აივნის რიგს.



ყაბი ბატონის წინ დასადგმელად და სხვა საჯაროთ, მისის აშითა და ბორნითა ძროხა ორი.

### ახალის სასახლის რიგი

თუ ბატონმა ახალს შანიშინში მეჯლისი ბრძანოს, ერთი ეშიკალასი, ოთხი ბოქოულთ-ხუცესი, ორი სოიბათიასაული აქეთ-იქით დადგნენ. ერთი აბდარბაში, ხუთი აბდარი, ორი სუფრაჯი, ორი ფარეშთ-ხუცესი, [შნ] ორი თუშმალი, ექვსი სუფრაქეში, ოთხი მეგოლრეთ-ხუცესი, ოთხი მეშარბათე, ერთი მეღვინეთ-ხუცესი, ერთი პირის მეღვინე, ერთი შიგამდეგი, ექვსი სხვა მეღვინე, ერთი ბატონის ყალიონყორჩი, ორი სხვა ყალიონყორჩი, — ესენი იმაღ ზემოთის წერილის წესით იმსახურებოდენ [იხ. ამავე კარში].

თუ ახალს შანიშინში ბატონმა მეჯლისი ბრძანოს, იმისთვის უნდა გაკეთდეს<sup>1</sup> ფლავი ყაბი ორმოცი: ამისგან ხუთი ბატონის წინ დასადგმელი [და] ოცდათხუთმეტი [ყაბი] საჯაროთ, მისის აშითა და ბორნითა, ძროხა ოთხი.

### შანიშინის დივანხანის რიგი

თუ ბატონმა შანიშინის დივანხანაში მეჯლისი ბრძანოს, ერთი ეშიკალაბაში, ორი ბოქოულთ-ხუცესი, ორი სოიბათიასაული, ერთი სუფრაჯი, ორი ფარეშთ-უხუცესი, ოთხი სუფრაქეში, ორი თუშმალი, ერთი აბდარბაში, ოთხი აბდარი, სამი მეგოლრეთ-უხუცესი, ერთი მეღვინეთ-ხუცესი, ერთი პირის მეღვინე, ერთი შიგამდეგი, ხუთი სხვა მეღვინე, ერთი ბატ[შ7]ონის ყალიონყორჩი, ორი სხვა ყალიონყორჩი, როგორც ამას ზევით ეწეროს, ისრე იმსახურებოდენ [იხ. ამავე კარში].

თუ ბატონმა შანიშინის დივანხანაში მეჯლისი ბრძანოს, იმისთვის უნდა გაკეთდებოდეს ფლავი ყაბი თექვსმეტი: ამისგან სამი ბატონის წინდასადგმელი და ცამეტი ყაბი საჯაროთ, მისის აშითა და ბორნითა, ძროხა ორი.

### მოკვლენი როგორ უნდა მოიქცეოდენ, იმისი რიგი

რომელმანც ჭამის მოკვლემან და მოსამსახურებმა თავის სამსახური გა[ა]თაოს და იქ დგომის ნისპათი აღარ ჰქონდეს, კარში გავიდეს და იქ იღებოდეს.

<sup>1</sup> გააკეთდეს.

ნურც ეშკაღაბაში, ნურც სახლთ-ხუცესი, ნურც ბოქოულთ-ხუცესი და სოიბათიასაული თავთავისთვის ხონჩას ნუ დაადგმევი-ნებენ; რაც ყაბი მორჩეს, გარეთ გაიტანდენ.

ნაზირი და სოიბათიასაული დაადგებოდეს, და ზეზედ მღვეს ჯელჯობიანებს ყულს, ყორჩს, მეთოფეთ ყაფიჩს და იასაულს რა-საც ასნაფს მოკვლეს, ზოგს ყაბით, ზოგს ბოშყაბით<sup>1</sup>, როგორც გახედეს, იმგვარად გა[მნ]უყოფდენ.

როდესაც<sup>2</sup> ეშკაღაბაში და სა[ხ]ლთ-ხუცესი დაჯდებოდეს, ბატონის წინადამ სუფრაჯმან საჭმელი მიართვას. სუფრის აღებამდინ საჭმელს ნურაგინ აიღებს. რახან სუფრის აღება ბრძანოს, ყოველს მოსამსახურეს ყულუხჩის ხონჩით, და ხონჩით ყოველს ასნაფს სოიბათიასაულმან მისცეს.

ყაფიჩისა ასრე იქნას: რომელსაც სახლში ბატონი ბრძანდებოდეს, ორი ყაფიჩი იმ სახლის კარზედ დადგებოდენ. რაც ამაში ყულუხჩი არ დაგვიწერია, მის მეტს მოსამსახურეს ნუ შემოუშვებს. ამ სახლის კარს გარეთ ყაფიჩის მოკიდებით სხვანი ყაფიჩები და მეთოფენი წარიგებით იქით და აქათ დადგებოდენ. მემაშიეთ რომ დარბაისელთ მაშია აიღონ, ქუევით დააყენონ და ნუ წამოახვევენ.

ჯარჩები, თალიშები და იასაულები გარეთ დიდს კარის ყაფიჩთან დადგებოდენ და რომელიც სამსახური უბრძანონ, ათა-ვებდენ. ამათაც საჭმელს<sup>3</sup> მისცემდენ.

სა[ხ]ლთ-ხუცესი და ნაზირი სუფრის გარიგებამდინ იქ იდგებოდენ, კარ[გ]გვარად მიაღებინებდენ, კარში საჭმელს ნურვის გა[ა]-ტანინებენ.

[მშ] აგრევე სუფრის მიღებამდინ ერთი მდივანიც იდგებოდეს: ან წიგნის დაწერა ითქმის, ან სამართალი რამ ჩამოუყარდების, ეგება ბატონმან ბრძანოს რამე.

საჭმელი ოცი ყაბი გაკეთდეს თუ სამოცი, ერთს ყაბს ფარეშებს მისცემდენ. თუ ოცს ნაკლები გაკეთდეს, ყაბს ნუ მისცემენ\*.

#### [41] პარი 8

[ კოღის-პურისა, სოვლისა, საგალახისა, პირისთავისა, სახასო პურისა]

#### მეკოღის-პურისა

ჩვენი ბრძანება ასრე არის, და ქუემო ქარხნის ნაზირის და-ვთარში და ქარხანაში შემოსასეღელი ჩვენის მოსავლის შემამტანის, წასულის მოსაქმის რიგი და წესი ასრე გვიბრძანებია, მოსაქმემ ასრე ისაქმოს, და ამკვალად სა[ხ]ლთ-ხუცეს[ს]სა და ჩვენის კარის გამრიგეთ და ქარხნის ნაზირს ასრე ანგარიშს მოსცემდენ:

<sup>1</sup> ბოშაბით. <sup>2</sup> როდესაც. <sup>3</sup> საჭმელს.

\* ხელნაწერში ფურცლის მეორე ნახევარი, რომელზეც ტექსტი არ ყოფილა, მოხუელია. მე-40 გვერდიც ეარიელია.

ვინცავენი მეკოდისპურენი, ამასალად მქონებელი, თუ ისრე ერთის წლითა მჭირავი, რომლისაც მკრისანი იყუნენ და ან დღეის წალმა იქნებოდენ, კოდის-პურის გამოსაგზავნად რომ წავიდოდენ, მკათათვეს, მარიამობისთვეს, ენკენისთვეს, ღვინობისთვეს, გიორგობისთვეს, ასეთი ბეჯითი მოსაქმენი იყუნენ, რომ სხვას საქმეს ნურაფერს გამოეყიდებიან.

ვისაც ჩვენი კოდის-პური ეღვას და დავთარი ჯელთ ექიროს, იმ კაცთ ამ ხუთს თვეში თავეთი კოდის-პური, მისის ქათმით გორს მიმტანთ გორის ამბარდანთან მიატანინოს<sup>1</sup> და ქალაქს ჩამამტანთ ქალაქის ამბარდ[42]ანთან ჩამოატანინოს, როგორც გაჩენილი არის იმ კოდით და იმ სწაყეთი. კოდის-პური ერთი საკომლო ოთხი კოდი პური არის, ამიტომ რომ ქერი რვა ლიტრა ჩავა კოდში, პური ათი ლიტრა.

✓/ამბარდანმა ესე ქნას: რომელსაც სოფელში კაი პური მოვა და იმ ალაგს გვარობს, იმ რიგის სოფლის კაცს კაი პური და კაი ქათამი გამოართვას. ნურც გლახს უზამს ძალასა, ნურც ჩვენს სამსახურს წა[ა]ხდენს.

მეკოდისპურემ გლახი კაცი უწინვე დაარიგოს, რომ ავს პურს არ დაგიქრთქო, რომ გლახი კაცი არ დაისარჯონ, შეტყობინებული იქნების, და როგორც იმათ ალაგი იქნების, იმგვარს პურს ჩაიტანს.

თუ ამათმა მეკოდისპურემ ამ ხუთს თვეში ეს კოდის-პური მის ალაგს არ მიაბარეს და ქრისტეს<sup>2</sup> შობის თვეში ანგარიში არ მოგვეცეს, მეკოდისპურემ იმ საჯელოზედ ჯელი აიღოს და ორმოცო მარჩილიც მოგვართვას.

თუ გლახმან კაცმან არ დაუჯეროს, ჩვენ მოგვახსენოს, ჩვენ ვიცით და იმ კაცმან.

[43] თერთმეტისთავს მყოთხედი სა[ხ]ლთ-ხუცისა და მდიენებს და სამი წილი მეჯინიბეთ-უხუცესს, მისის ქათმითა.

### ღვინის მოსავლის რიგი

ღვინის მოსავლისა ასრე იქნებოდეს: სთველზედ რასაც ჩვენს სახასოსა და სთვლის მოსავლის ალაგს ჩვენი მესთველ წავიდოდეს,

<sup>1</sup> მიატანიოს. <sup>2</sup> ქრისტის.

იმ სახასოებში ყველგან ჩვენი მოტყელენი ასეთს მემარნეს და[ა]ყენებ-  
დენ წლითი-წლად რიგით, რომე ქეთხუდა და ღვინის შესანახის  
მცოდნე იქნებოდეს.

ჯერ ზერისას დაწურედენ და კოჟორზედ გამოგზავნიდენ;  
მერმე მესთულე [და] მემარნე ამას იქმოდენ: რაც იმ სოფელში ან  
კულუხი ან თარხნის სათხოვარი, თუ სხვა შენაწერი ღვინო რაც  
სოფელს შევარდეს, თოჯი რომ ქნან, სადაც კაი ვენახი იყოს და  
კაი ღვინო გვარობდეს, რომ ჩვენმა მემარნემ ირჩიოს და მონდო-  
მოს<sup>1</sup>, ის ჩვენთვის დაწურონ და ჩვენთვის წაიღონ.

თუ რამ მოტყელისა და ან სასოფლო ტკბილის ხარჯი შევარდ-  
ნილი იყოს, მერმე იმათ მისცემდენ.

ჩვენი მემარნე ქუევერს კარგად გა[ა]რეცხინებდეს, შეაფერვი-  
ნებდეს. რახან ჩვენს ქარხ[44]ანაში ითხოონ, მეღვინეს მემარნე  
მოაბარებდეს, ნახოს თუ ან წყალნარევი<sup>2</sup> ან ქუევერის გემუანი ან  
უტელობით წამხდარი იყოს, ის ღვინოც გამოართვან და ერთი იმ-  
დონი მემარნეს სხვა წა[ა]რთვან თავისი.

თუ მესთულემ ან მოტყელემ ეს ჩვენი ბრძანება მემარნეს არ  
გაუგონა, მაშინვე მოგვახსენოს. თუ მეღვინემ წა[ა]ხდინოს, იმან  
ზლოს; თუ მემარნეს წაეხდინოს, იმან ზლოს.

### ცხვრის მოსავლისა, რომელი არს საბალახე

ცხვრის შემოსავლისა ასრე იქნებოდეს: რასაც მჭარეს მობა-  
ლახენი გარიგებულნი იყუნენ და მის ღროს წავიდოდენ, ჩვენს ნა-  
ზირს მეცხვარეს თხოვდენ და თან წაიტანდენ; საბალახეს დაუთვ-  
ლიდენ, რაც გვერგებოდეს ცხვარი, თხა, ბატკანი, თუ თიკანი, მე-  
ცხუარეს და[ა]ჭერინებდენ. მეცხვარემ დადალოს და იმასვე ება-  
როს. დალი სახლთ-ხუცის კაცს ებაროს.

რახან მეცხვარემ მოიყვანოს, მესაკლავეს თუ ავი მოაბაროს,  
მეცხუარეს კარგი აწოვნიოს. თუ მესაკლავემ მოწონებული მიიბა-  
როს და მერმე ან ქარხანაში ან მეუღლუფეს ავი საკლავე მისცენ,  
ისრე მესაკლავეს უყონ.

მობალახე და მოტყელენი თავეთს ათის[45]თავს მეცხვარიდამ  
ნუ აიღებენ, იანგარიზონ და თავეთი წესი ერთის მჭრიდამ აიღონ.  
ბატონის საბალახეს გარდა ასზედ ერთი შიშლივი, ერთი საკლავე

<sup>1</sup> მონდომონ. <sup>2</sup> წყალი ნარევი.

აიღონ. საკლავი მობალახისა, სუფრაჯისა, სა[ხ]ლთ-ხუცისა და მდივნების კაცებისა არის. შიშლიგი მობალახისა და სუფრაჯისა არის.

საკლავი ბატონის ცხვრიდამ არცერთი არ უნდა დაიკლას. საკლავიდან და შიშლიგიდან უნდა ჭამონ.

მობალახემ მაისსა, თიბათვესა და მკათათვეს თავისი ანგარიში უნდა მოსცენ, თვარა მობალახობა დაგვიდებინებია. ვინც უსამართლოდ აიღოს, ჯარიმაც არის.

### პირისთავისა

აგრევე პირის თავზე იქნებოდეს. ყოველს მკარეს მობალახეცა და მოპირისთავეცა დაეთარს დაიქერდეს, რასაც კომლს რამთონი ბატკნიანი, რამთონი მშრალი, ან თხა ეყოლებოდეს, დასწერდეს და რასაც აიღებდეს, იმასაც დასწერდეს.

ნახირისთავის მკრეფელი რომ წაგიდო[დ]ეს, სად როგორ ჩჩომა ეწეროს, ისრე იმგვარად აიღოს.

### [46] სახასოს პურის მოხადვისა

ჩვენის სახასოს სოფლების ხასადრებმან, თუ პურისამან, თუ ქერისამან ყუელამ ენკენისთვის გასულამდის ანგარიში მოსცენ, რომ შევიტყოთ რა მოსულა, რომ იმისი ფიქრი ვქნათ; თორემ თუ ამ დროს ანგარიშს გასცილდა, ხასადრობაც დადვას და იმ წლის თავისი სარგოცა.

### შპეტის გარიგებისა

შპეტობა ცხვრისა, ძროხისა და ჯოგისა ყაიბულაშეილის იმავერდისათვის გვიბოძებია, უიმისოდ ანგარიშს ნუ იქმონენ. შემოდგომაზე და გაზაფხულზე ჩვენის კარის მოკვლეთ ანგარიშს მოსცემდენ. ყველისა, მატყლისა ოკისთავი იმისია; ჯოგიდან ყო[ვ]ელს წელს თვითო კვიცი.

პარი #

[სადიასახლისო ძროხისა, ბანისა და ქათმისა, ეზოსა და ბრინჯისა]

### სადიასახლისო ძროხისა<sup>1</sup>

რაც ჩვენი სადიასახლისოს ძროხა მოგროვდეს, რამდენიც დადგეს, როგორც შეხვდეს სოფელსა და სოფელს, თრი-ალეთზედ მიაბარონ ამ წესით: ფური უკუდავი იყოს, გბო ვისაც ებაროს, ნიადაგ წელიწადს იმისი იყოს; წელიწადზე ფურის თავს სამს ლიტრას [47]\* ებოს ჩვენს ქარხანაში მოაბარებდენ.

<sup>1</sup> სადიასახლისო ძროხისა] სადიასახლისოსი.

\* 47-ე გვერდის ზემო აშიაზე გადამწერის ხელით სწერია: „მეთხე: ფარდი: დ: რვეული: დ:“

## ბატისა და ქათმისა

სადაც ჩვენს სახასოში, თრიალეთზე თუ სხვაგან, ბატი ჰყუნდეს ვისმე, ყველგან ასი ბატი შეაწერონ. თრიალეთს და კავთი-ტევს სოფლად გაუყონ და მიაბარონ. თვითოს ბატზე წელიწადში სამ-სამი ჭუჭული ჩვენს ქარხანაში მოაბარონ.

სადაც ჩვენი სახასო სოფელი იყოს, დაეთრის პირზე, თრიალეთსა და კავთიტევს გარდაისად, კომლზედ თვითო ქათამი მიაბარონ წელიწადში; და წელიწადში სამ-სამს [ქათამს] და სამ-სამს კვერცხს ჩვენს ქარხანაში მოაბარებდენ.

მემანდარი სტუმრის საკლავს ნახევედს და; ავს ნუ გამოართმევს მესაკლავესა.

### [48]\* ერბოს გარიგებისა

თრიალეთზე, ყაიყულზე და ტაშირზე ჩვენი ერბოსმკრეფელნი კარგის ერბოსაგან ჩამოიტანდენ.

თუ გლებმან ავი ერბო მოიტანოს, აუშტარი ნუ დაუჭერს. თუ იასაულს ექნას და გამოეცვალოს, იმას გარდახდეს. თუ აუშტარს გამოეცვალოს. და ავი ერბო ჭამაზედ მივიდეს, იმ დღის ერბოსა და ბრინჯის აეად დარჩეულის ხარჯს აუშტარს ნუ ჩაუგდებენ.

### ბრინჯისა

აუშტრები ლანჩფრებს, წესი არს და, ავს ბრინჯს ნუ გამოართმევენ; ნაზირი წითელს ბრინჯს კიდევ გა[ა]თეთრებინებდეს. მეჯლისი რომ იქნებოდეს, აუშტრები წინადლით ბრინჯს კარგა გარჩევდენ.

### პარი 10

#### ტვინისა და სამეგრეოს რიბი

დიღმელთ გვნა რომ აძეთ, ნაგებში ტვინ, იმათვე მოიმუშაონ. ამას გარდა ერთი სამეგრეო გორს, ერთი კავთიტევს, ერთი ორსავ სამეფოს ლილოზე, ორი დურნუქს, ორი ეკლესიას, ერთი ავლაბარში, ერთი ქუემო ბოლნის[ს]; ეს, დიღმელთ გარდაის, შეიქნა ცხრა.

\* 48-ე გვერდი იწყება ასე: „პარი თ, ერბოს გარიგებისა“, რაც შეცდომაა, რადგან ხანდუკის მიხედვით თ (9) კარით იწყება სადიასახლისოს გარიგება

[49] ამათი ხასადარი მის წესითა და რიგით მოიქცენ, ნურას წააკლენენ; მოკლენი მის დროს მის მუშასა და წესს გაურიგებდენ, რაც ღმრთით მოვიდეს ენკენისთვის გასვლამდი, ჩვენის კარით მოკლეთ ანგარიშს მოსცემდენ.

ამ გუთნების მოკლელ[ე]ბმან ეს ქნან: თუ კარი ავად გახდეს, რომე აღარ დარჩებოდეს, მამასახლისს სოფლის კაცს აჩვენოს.

თუ ქარხანაში ველარ ჩამოაწვედეს, დაკლან და ტყავი რუნბათ გახადონ, კორცი მეგრემ თავ-თავისთვის შეინახოს და გუთანზედ დახარჯონ.

თუ ქარხანაში ჩამოაწვედეს, ნაზირთან მოიყუანონ; თუ არ დარჩებოდეს, ქარხანაში დახარჯონ; თუ დარჩებოდეს, თრიალეთზე გაგზავნონ, გაასუქონ; მის დროს ტყავი რუმბათ გახადონ და ხორცი შაშხათ მოიხმარონ.

#### პარი 11

[ყუელინა, მწვანილინა, ხილინა, ხველი თევზისა, ღიღ-გაღისა. ნაპტიისა]

#### ყუელინა

რაც ჩვენს აუშხანაში ყუელი დაიხარჯებოდეს, და ან საშარბათოში ყუელი და მაწონი<sup>1</sup> მოუნდებოდეს, ჩვენის ცხერის მოსავლიდამ ნაზირმან გაურიგოს და იქილამ ხარჯონ.

#### [50] მწვანილინა

მწვანილისა საქმე როგორც გარიგებული არის, ისრე იქმოდენ.

#### ხილინა

ხილის საქმე რაც საზამთრო იყოს, საზამთროდ შეინახევდენ. საზაფხულოს ზაფხულში ხარჯევდენ. აგრევე გორის ბაღისა მოვიდოდეს; ქალაქის ბაღში კიტრს დასთესევდენ; ნესვი და საზამთრო ბაჟილამ მოვა, ის ხარჯონ.

#### კმელი თევზისა

კმელი თევზი ისრე ბაეზედ რვა თუმნისა როგორც მართებულია, მეთევზემ აუშხანაში მოაბაროს.

<sup>1</sup> მაწონი.

ახლის ზუთხისა და გელაქნურისათვის რვა თუმანი ვეჭილ ხარჯს ბარათი მისცენ; და თუ მორჩება, სხვარიგად მოიხმარს. თუ დააკლდება, კიდევ გაურიგებენ.

### [51] დიდი ბადისა

დიდი ბადე თრიალეთზედ ვისაც ჰქონდეს, ან საბატონო ან კათალიკოზისა ან საბატონიშვილო, გარდა[ა]ბან, შეამხანაგდენ<sup>1</sup>; სანამდინ ტბის ყურმან ისაქმოს, იქაურს თევზს, სანამდის ფარავანმან ისაქმოს, იქაურს თევზსა კვირაში ერთს საპალნეს ლარაძე ნუ დაგვაკლებს.

მებაღური თუ ჩვენს სახასოში არ იყოს, ჯამაგირით დაიჭირონ და ლარაძემ უთაოს. იმის დროს ულაცი თრიალეთიდამ რიგით გაურიგონ. ლარაძე აღარ დაგვიყენებია; ნაზირმა ქარხნის<sup>2</sup> იასაული მაისსა და თიბათვეს თვითო უჩინოს<sup>3</sup> და იმან გზავნოს; უიმისოდ წალკელს ებაროს.

### ნავტიკისა

ნავტიკი [ასრე] არის: ნაზირმან თვითო კვირას ქარხნის იასაული რიგისად გაატანოს, რაც დაიჭირონ, მოიტანონ. თუ მარხვა იქნებოდეს, ჯმელად და მჟავეთ შეინახევდენ.

აგრევე მის დროს დიდი ბადით ყურეს ინადირებდენ; ინდომ ანადიროს და ნაზირმა იასაული გაატანოს.

### [52] ორაგულისა<sup>4</sup>

ორაგულის ჯუფთს<sup>5</sup> და მჟავესაც შეინახევდენ. ზუთხ[ი]სა და სხვას თევზის მჟავესაც შეინახევდენ და თუშმალს მიიბარებდენ.

### პარი 12

[საშარბათოს რიგებისა]

### შაქრისა

საშარბათოში ქარხანაში რაც შაქარი, ნულლი, საჭმელის მასალის იარაღი, ხონჩა და შაქრის იარაღი მოუნდებოდეს, სალაროს ნაზირმა გილანის გერაქიარალს და[ა]ბარებდეს, თავრიზიდამ დაიბარებდეს, რაც გვინდოდეს.

<sup>1</sup> შეამხანავდენ. <sup>2</sup> ქარხნის. <sup>3</sup> ურჩიოს. <sup>4</sup> ორაგულისა] კ. ორაგ ორაგულისა. <sup>5</sup> ჯუფთის.



## ვარდის წყლისა

ვარდის წყალი ბედმუშკი, ლილიფარი, იის შარბათი, სხვა არაყები სოფლიდამ გა[ა]რიგონ და გამოხდიდენ.

### ძმრისა

ძმარი ბოლნის[ს] დააყენონ კოკა 15; შულავერს—კოკა 15, დიღვამს—კოკა 10.

### [53] ისრიმისა<sup>1</sup>

ისრიმის გარიგებულთა\*

### მურაბისა

მურაბის მწნილებს ნაზირი მეშარბათებს გაურიგებდეს. ერბოში ფასს ნუ გაიღებენ; ყაიყულული, ტაშირული და თრი-ალული მოვა, ის ხარჯონ, რახან დაილიოს, შეგვატყობინებდენ.

### პარი 18

[გოშახისა და სასმელ-საფშლის რივისა]

### ბოშყაბისა

საჭმლის ბოშყაბისა უწინ ასრე ყოფილა: სამი თუშმალი, ორი სომეხი და ერთი თათარი. სომეხ[ს] ბოშყაბი 1, თათარს ბოშყაბი 1, ოსტატს თასი, საყას თასი, აუშტარს თასი, მეშემეს თასი, მუშრებს ბოშყაბი. სხვა არა ყოფილა დავთარხანაში.

### [54] სუფრის პურისა

ბატონის სუფრის პური—ლიტრაზე ლავაში ორი; მურასა—ლიტრაზე ერთი, საგარეჯო ლიტრისა.

მეჯლისი რომ იყოს, ექუს ლავაშს ჩასდებდენ<sup>2</sup>; უმეჯლისოდ სამს ლავაშს ჩასდებდენ.

მოწველ[ე]ებს როგორც მისცემოდეს, ისე იმგვარად მისცემდენ პურსა; ლიტრაზე ოთხი გამოიყუანონ და წმინდათ გა[უ]მტკიცონ. სამეჯლისო ლავაში—ლიტრაზე 4; საულუფე ლავაში—ლიტრაზე 8; მადაური—ლიტრაზე 10.

სტუმრისა ამებში არ არის, იმასაც ცალკე დასწერდენ.

### ქამის ღვინისა

ღვინისა ასრე იქნას: რომელიც მეულუფეს მიეცეს<sup>3</sup>, იმას ნაზირი შეიტყობს; და მეჯლისისა და სუბაობისა შ[55]იგნით თუ

<sup>1</sup> ისრიმისა] კ: ისმ ისრიმისა. <sup>2</sup> ჩასდებდენ. <sup>3</sup> მისცეს.

\* ისრიმის გარიგების ტექსტი ხელნაწერში არ არის.

გარეთ, ჩვენს სუფრაზე რაც ღვინო დაიხარჯოს, იმის დახარჯვა საღვინის თავილდრისათვის გვიბრძანებია; სურები გამოწყული იქონიოს, რამთენი სურა დაიხარჯოს, სურაში რამთონი ლიტრა ჩავიდეს, შეიტყონ; და რასაც სახლში რამთენი კოკა დაიხარჯოს, იმას თავილდარი ნაზირს შეატყობინებდეს, ისრე მუშრებს და[ა]წერი-ნებდენ.

### თუშმლები<sup>1</sup> ყაღალა

რასაც ღღეს თუშმლებმან<sup>2</sup> რაც-რამ ფერი აუშტარს გამო-ართან: ბრინჯი, თევზი, ერბო, თუ რაც მასალა, თუშმალი აუშ-ტარს ყაბზს მისცემდეს.

და თუ ქარხანაში ურიგოდ დაიხარჯა რამე, თუშმლებს გარდა-ვახდევინებთ.

### პარი 14

#### თარხნების რიგი

რაც ან ქართველი ან თათარი ჩვენგან თარხანი არის, იმის გამოსაღებს ჩვენი მოწველენი ჩვენზე ნუ იანგარიშებენ და ისრე რუსუმს ნუ აიღებენ; იმათი გამოსაღები როგორც ჩვენ დაგვაკლდე- [ნც]ბა, ისრე იმათაც უნდა დაიკლონ.

რალაც ჩვენთვის უთარხნოს კაციდამ თუ ქვეყნიდამ შემოსა-ვალი შემოვიდეს, ათს უკლებლივ ჩვენთვის დასდებდენ, მეთერთმე-ტეს მოწველენი თავისთვის აიღებდენ; როგორც რიგი და წესი არის, მოწველენი ისრე გაიყოფდენ.

#### ქოღავის რიგი

როდესაც<sup>3</sup> ქოღავი დაითვლებოდეს, გაღადარს რაც ცხვარი ჰყუნდეს, ისიც ცალკე დასწერონ, და ვისიც<sup>4</sup> იმასთან ერიოს, ისიც ცალკე დასწერონ, ვის რამთენი ჰყუნდეს.

თუ ვინ იცის, გაღადარი წავიდეს საღმე, რაც იმისი ნახევარი ცხვარი ღარჩეს, იმის ქოღავს მუთაჯირი ნუ დაგვიკარგვენ, აიღებდეს.

და თუ იმ გაღადარის ნახევრის ცხვრის პატრონი და ცხვარი წავიდეს საღმე, იმას არ ვიყაბულებთ, იმის ქოღავს უკლებლივ გაღადარს გამოართმევდენ.

#### [57] ხასა-თავლის ბზის რიგი და ცხენებისა

ბზისა ხასა-თავლისა და მაში მღვეთ რიგი და წესი ასრე არის და ამ რიგათ უნდა იქცეოდნენ: ხუთი მეჯინიბეთ-უხუტესი არის:

<sup>1</sup> თუშმლების. <sup>2</sup> თუშმლებმან. <sup>3</sup> როდესაც. <sup>4</sup> ვისაც.

შოურავიშვილი ავთანდილ, ამირეჯიბი ქაიხოსრო, იარალაშვილი როსებ, გერმანოზიშვილი გუგუშა, რატიშვილი ბეჟან.

სხვა რაც ზინდარი, შიგამდევნი და მეჯინიბე არის, ყუელა სახელდობრივ ზემორ დაგვიწერია [იხ.კარო 6].

### [ყარაიის] კონისა

ყარაიის კონის საქმე ასრე გარიგებულია როსტომ მეფისაგან: რაც კონს თევეზი მოხვდებოდეს, თორმეტისაგან ათი საბატონოდ უნდა გარდიდვას და ორი სათაოთ უნდა აიღონ. ამ ორისაგან ერთი სუფრაჯმან და სარქარმან უნდა გაიყონ და ერთი მეკონეთა ერგებოდეს, ამ წესითა რომე, რომელიც უკეთესი თევეზი იყოს, ჩვენთვის უნდა გარდადვან.

რაც ჩვენთვის თევეზი ავიდოდეს, იმისაგან მესამედს ჩვენს სასაფლავს და ბატონს კათალიკოზს გარდაუდებდენ ამ წესითა; და ყარარს ნურა კაცი გარდავლენ. ეს კონი გაბაშვი[ნა]ლებს უნდა ებაროს; ერთი კათალიკოზის აზნაურშიელი თაზიშიელი უნდა იდგეს.

### კარი 16

### შაჰავის რიჟი

ბატონის წინ დასადგმელი ყაბისათვის უნდა მიეცემოდეს: ერთის ყაბისათვის ბრინჯი ლიტრა 2; ხორცი ლიტრა  $1\frac{1}{2}$ \*; ერბო თუ ხალასი იყოს, ლიტრა ბრინჯზე—ჩარეკი 1; თუ ხალასი არ იყოს—ჩარეკნახევარი.

ჩილავის ყაბისათვის ბრინჯი ლიტრა 2; შესაწვავი ქათამი 5; შესტრანგისათვის კვერცხი 25; ხახვი ჩარეკი 1; ერბო ჩარეკი 1; შამქაბაბს ერბო ჩარეკი 1.

ქათმის ყაბს ბრინჯი და ერბო აგრევე. თუ ვარიობა არის, რვა ვარია. თუ ვარიობა არ იყოს, ქათამი 5.

მუთანჯის ყაბს ბრინჯი და ერბო აგრევე. ხორცი ლიტრა  $1\frac{1}{2}$ ; ზაფრანა მისხალი 2; ქიშმიში ნახევარჩარეკი; ნუში ნახევარჩარეკი; თათლი ნახევარჩარეკი; მმარი ერთი ჩარეკი.

ბატკნის ყაბზე ბრინჯი და ერბო აგრევე, და ერთი მთელი ბატკანი. ამაების მასალა როგორც მართებული იყოს, [ნა] ნაზირი შეიტყობდეს და ისრე გაურიგებდეს.

იახინის ყაბი სავსე და მართებულად მოვიდოდეს, აგრევე ბორნისა და მისი აში, როგორც მართებული იყოს.

\* ხელნაწერშია აი: ა=1, ხოლო ი= $\frac{1}{2}$ , ე. ი.  $1\frac{1}{2}$ .

საჯელგო ყაბზე ლიტრანახევარი ბრინჯი; ხორცი ლიტრა 1; ერბო აგრევე; ყაბზე მარილი ჩარეკი 1.

მარხვა თუ იყოს, ერთს ყაბზე ბრინჯი ლიტრა 2; ნიგოზი ნახევარლიტრა; ქიშმიში ნახევარჩარეკი, ჩილავს ბრინჯი. აგრევე ხიზილალა შესაწვავათ ნახევარჩარეკი; მოხარშული ხიზილალა ყაბზე ჩარეკი 3; ცერცვი და მუხუდო თვითოს ყაბს ლიტრა  $1\frac{1}{2}$ ; შექამადად ბადიაზე ლიტრა  $1\frac{1}{2}$ , ნიგოზი ლიტრაზედ თვითო ჩარეკი, მარილი ნახევარჩარეკი, ხახვი ლიტრაზე ერთი ჩარეკი. ერთს ყაბზე დოში წყვილი 4; ერთს ყაბზე სათალი წყვილი 5; ერთს ყაბზე მოხარშული თუ უმი ზურგიელი 2; ბოლო ერთს ყაბზე 3; ბოლლამისათვის ერთს ბადიას იანი ლიტრა  $1\frac{1}{2}$ ; ლავაში ჩარეკი 2.

[60] ამ საკმლიდამ უნდა დაუსხან თუშმლებს<sup>1</sup>, რომლისაგანაც უნდოდეს, თვითოს თუშმალს თვითო ბოშყაბი; დავთარხანაში ერთი ბოშყაბი ოსტატს; თასი საყას [ერთი თეფში], თასი აუშტარს ერთი თეფში, მეშემეს ერთი თეფში, სახლთხუცის კაცს ერთი თეფში.

### უმიხა და მოხარშულის ძროხის საწესოს მიცემა

ძროხა რამთონიც დაიკლას, თავები მეჯინიბისა, კისერი მეჯორისა, მკერდი თუშმლისა<sup>2</sup>, საბარავი მზარეულებისა, თირკმელი აუშტარისა, გულ-ღვიძლი მესაკლავის მეცხვარისა.

მოხარშული ძროხიდან ერთი საკაჭკაჭე სუფრაჯს; ერთი ნაჭერი დავთარხანაში, თითო ნაჭერი თუშმლებს<sup>1</sup>, ერთი ნაჭერი ძროხის მზარეულს, ერთი ნაჭერი იასაულებს, თვითო კანჭი ქვაბის ამწევეს მუშას.

### დაკლულის ცხვრის

ცხვარი რომ დაიკლოდეს, მკერდი თუშმალს, კისერი მზარეულს, გულ-ღვიძლი მეთეფშეს, თ[ი]რკმელი აუშტარს, თავები შათირებსა და მეძაღლეს, ტყირბი და ფილტვი მესაკლავეს.

[61] ერთი მთელი ცხვარი ექუსი ფარჩა არის: ორი ფარჩა— ორი მჭარი, გვერდები; ორი ფარჩა<sup>3</sup>— ორი ბარკლები, ერთი ფარჩა ზურგის ძვალი, ერთ ფარჩათ მკერდ-კისერი.

### ტყავისა

შაფათს რამთონიც ძროხა დაიკლას, ტყავეები ხაბაზებს. კვირას რაც ძროხა დაიკლას, ტყავეები თუშმლებს<sup>1</sup>. აღდგომიდან ამაღლებამდინ ბატენის ტყავი თუშმლებს<sup>1</sup> და მზარეულებს.

<sup>1</sup> თუშმლებს. <sup>2</sup> თუშმლისა. <sup>3</sup> † ორფარჩად: ქ. ერთი: მთელი: ცხვარი: ექუსი: ფარჩა: არის: ორი: ფარჩა: ორი: მჭარი: გვერდები: ორი: ფარჩა.

ამას გარდა, ან რაც ძროხის ტყავი ან ცხვრისა თუ თხისა<sup>1</sup> ტყავი იქნებოდეს, მისის დუმით და ქონით: ლეშის ტყავიც და ქონიც ზედ აძეს. იჯარად აიღებინ, ხან ოცთუმნათ, ხან მეტ-ნაკლებათ. სხვა რა[62]ც ან ლეშის ტყავი მოვიდოდეს, სამეჭრეოსი ან ცხვრის ლეშისა მოვიდოდეს, იმასაც ამ იჯარაზე დაუდებდენ. მუშრბის კელი არა აქუს<sup>1ა</sup>.

[პარი 16]\*

[63]\*\* მდივანბეგის გარიგებისა

ნებითა და შეწყვენითა ღმრთისათა<sup>2</sup>, და წყალობითა დიდის კელმწიფისათა, ჩვენ ქართველთ მეფისა, სრულიად ერანის სპასალარის ყანდა[ა]რის და ქირმანის ბეგლარბეგისა, გირიშქისა<sup>3</sup> და ჰაილათის<sup>4</sup> მჭირავის, ჩვენის ძმის, მეფის პატრონის შა[ჰ]ნავაზ ხანის მაგეერად მყოფმან, ერანის მდივანბეგმან, საქართველოს ჯანიშინმან პატრონმან შაჰყულიხან, და ძემან ჩვენმან პატრონმან ქაიხოსრომ, პატრონმან ვახტანგ, იესემ, სვიმონ და თეიმურაზ, ესე მტკიცე და მოუშლელი მდივანბეგობის წესი და რიგი, დასტურლამა გიბოძეთ, თქვენ ჩვენთა ერდგულთა და წესისებრივ თავდადებით ნამსახურთ ორბელიშვილს მდივანბეგის ვახტანგის შვილს<sup>5</sup> ერასტის.

მას ჟამს, ოდეს<sup>6</sup> ვიგულებთ და ვიგულისმოდვინეთ და მდივანბეგობის წესი და რიგი მოკითხული ვქენით, და ამ წესით ყოფილიყო გარიგებული, და ახლაც ამ წესით გვიბოძებია, ასრე რომე:

1.\*\*\* თუ ელში ეს ოთ[64]ხი საქმე მოხდეს,—კაცის სიკუდილი, ბიჭრი, თვალისა და კბილის გაგდებინება,—ეს კარზედ უნდა მოვიდეს, მდივანბეგმან გა[ა]რიგოს; ამის სამართალს ელიალასი ნუ იქს; ჯარიმა ბატონთან მოვიდოდეს.

2. აგრევე თუ გარეშე კაცი ელის კაცსა და ან ელის კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს, მდივანბეგმან უნდა გა[ა]რიგოს.

3. თუ ელის კაცი ერთმანერთს უჩიოდეს და თავისის ნებით მდივანბეგთან მოვიდეს და შემოსჩივლოს, იმისი სამართალი მდივანბეგმან უყოს.

1 თხისა] თხისა. 1<sup>ა</sup> აქუთ. 2 მღთისთა. 3 ხირიშქისა. 4 ჰაილაათის. 5 შვილისი. 6 ოდენს.

\* ხელნაწერში მდივანბეგის გარიგება შეტანილია მე-15 კარში, სადაც იგი სრულიად უადგილო ჩანს; ამიტომ ცალკე 15<sup>1</sup> კარად გამოყვავით.

\*\* 63-ე გვერდის ზემო აშიაზე გადაშვრის ხელით სწერია: „მეზუთე: ფარდი: ე: რვეული: ე:“.

\*\*\* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

4. თუ ელიადასი ან მთასა და ან ბარს ელში იყოს, იქ გარეშემო კაცმან ელის კაცისაგან შემოსჩიელოს, იმისი სამართალი ელიადასმან უყოს.

5. აგრევე მოქალაქისა ასრე უნდა იქნას: თუ ქალაქში კაცის სიკუდილი მოხდეს, ან მოქალაქისაგან ან სხვისაგან, იმისი სამართალი კარზე მდივანბეგმან უყოს.

6. თუ მოქალაქე კაცი გარეშეს კაცს უჩიოდეს, და ან გარეშე კაცი მოქალაქეს კაცს უჩიოდეს, ან ორნივე მოქალაქე კაცი თავის ნებით მივიდნენ და მდივანბეგს შემოსჩიელონ, სამართალი მდივანბეგმან უყოს.

7. [6ჰ] თუ მდივანბეგი აქ არ იყოს, მოქალაქის კაცისაგან სოფელმან კაცმან ქალაქის მოურავს შემოსჩიელოს, მოურავმან გაურიგოს.

8. სხვა მოქალაქის ერთმანეთის საჩივარი მოურავმან გაურიგოს; და ჯარიმა ბატონისა არის.

9. სადედოფლო თავადი, თუ აზნაური, თუ მათი ყმანი ერთმანეთს უჩიოდნენ, და ან სადედოფლოს სახასოში კაცის სიკუდილი მოხდეს, მდივანბეგმა გა[ა]რიგოს. ან სახასოს სადედოფლო კაცი თავის ნებით მდივანბეგთან მოვიდეს და შემოსჩიელოს, სამართალი მდივანბეგმან უყოს.

10. აგრევე თუ სადედოფლო სახასო გარეშეს კაცს ან გარეშე კაცი სადედოფლოს სახასოს კაცს უჩიოდეს, სამართალი მდივანბეგმან უნდა უყოს.

11. სადედოფლოს თავადსა და ან აზნაურიშვილის გაყრაში დედოფლის სახლთ-ხუცესი მდივანბეგთან უნდა დაესწრას; კომლზედ მარჩილი მოვიდეს: ერთი აბაზი სარდალს, ერთი აბაზი მდივანბეგს, ერთი აბაზი დედოფლის მდივანებისა არის.

12. დედოფლის სახასოს კაცის საჩივრებს დედოფლის სა[ხ]ლთ-ხუცესი უნდა გ[66]ა[ა]რიგებდეს<sup>1</sup>.

13. თუ ბატონი ან ქართლს ან საბარათაშვილოში ბ[რ]ძანდებოდეს და მდივანბეგი თან ახლდეს და დედოფლის სახლთ-ხუცესი იქ არ იყოს, სადედოფლოს კაცის საჩივრები მდივანბეგმან გა[ა]რიგოს.

14. როდესაც<sup>2</sup> დედოფალი ქალაქს ბრძანდებოდეს, დედოფლის სახლთ-ხუცესი იქ ახლდეს, ბატონი და მდივანბეგი იქ არ ბრძანდებოდენ, სადედოფლოს სახასომ, ან სადედოფლოს სახასო-

<sup>1</sup> გარიგოს. <sup>2</sup> როდენსაც.

საგან საბატოს კაცის შვილმან, ან აზნაურიშვილმან, ან მათმან ყმამ, ან სამეფოსა ან სადედოფლოს კაცისაგან დედოფლის სახლთ-ხუცესს შემოსჩივლოს, იმისი სამართალი დედოფლის სახლთ-ხუცეს-მან უყოს.

15. აგრევე გორელი კაცი თუ გარეშეს კაცსა და გარეშე კაცი გორელს კაცს უჩიოდეს, სამეფოსა თუ სადედოფლოს უჩი-ოდეს, მდივანბეგთან იჩივლონ და გაურიგოს.

16. თუ გორელი კაცი ერთმანერთს უჩიოდეს და თავისის ნებით მდივანბეგს შემოსჩივლონ, სამართალი მდივანბეგმან უყოს.

17. რაც ამ გორელის მოჩივრებისა გარიგდეს, ექუსისთავი სამდივანბეგო აიღებოდეს. თუ გორელს კაცს მიეცემოდეს, ნახე-ვარი სამდივანბეგო მდი[67]ვანბეგსა, ნახევარი სამდივანბეგო ამი-ლახვარსა, საიასაულო სულ მეფის იასაულს.

და [თუ] გორელის კაცისაგან გარეშეს კაცს მიეცემოდეს, სა-მდივანბეგო მთლივ მდივანბეგს<sup>1</sup> და მეფის მდივნებს მიეცემოდეს; გორული საიასაულო ნახევარი—მეფის იასაულს, ნახევარი—ამილა-ხვარსა.

18. ბატონის უბრძანებლათ არას სარდალს სასამართლოთ-გელი არა აქუთ.

19. რომლისაც<sup>2</sup> დროშის კაცი გაიყრებოდეს და ან დიდი ბჭობა და სამართალი იქნებოდეს, თავისი სარდალი უნდა დაესწ-რობოდეს.

20. გასამყრელო კომლზე მარჩილი რომ მოვა, მისგან ერთი აბაზი სარდალსა, ერთი აბაზი მდივანბ[ე]გს, ერთი აბაზი მეფის მდივნებსა, და სადედოფლო დედოფლის მდივანსა.

21. რაც ან ბატონის ბეჭდით და ან მდივანბეგის ბეჭდით გა-რიგდეს, მესამედი სამეფოს კაცისა—მეფის მდივანსა, და სადედოფ-ლოსი—დედოფლის მდივანსა. აგრევე ჯარიმა ბატონისა არის. ათის-თავი მდივანბეგისა, წართმეულისა მდივანბეგმან და მდივნებმან, როგორც სამდივანბეგო, ისრე ის გაიყონ.

22. [თუ] მეფე და მდივანბე[68]გი იქ არ ბრძანდებოდეს, დე-დოფლის სახლთ-ხუცესმან სამეფოს კაცში სამართალი ქნას, და მდივანბეგს თავის სარგოს მოსცემდეს.

ბრძანებისა ჩვენისა მორჩილნო, ესე ჩვენგან გარიგებული ბრძანება ასრე უნდა დამტკიცდეს, ნურავინ ურჩ იქნებით. ქო-რონიკონს<sup>3</sup> ტუბ, ენკენისთვის კე, დაიწერა ბრძანება ესე.

<sup>1</sup> მდივანბეგისა. <sup>2</sup> რომელსაც. <sup>3</sup> ქვეს.

## [69] ბოქოულთ-ხუცების სარგო

ჩვენ, სრულიად ერანის მდივანბეგმან და საქართველოს ჯანი-შინმან, პატრონმან შ[ა]კყულიხან, ჩვენის კარის ეშიკალაბაშისა, ბოქოულთ-ხუცისა, და ყაფიჩისა, იასაულის სარგო და გაყოფა ამგვარათ გა[ვა]რიგეთ, ასრე გეიბრძანებია:

რომელსაც კელჯოხიანს დიდსა თუ ცოტას ანუ უტელჯოხიანოს ჩვენ დანისტრად სამსახური უბრძანეთ, იმასთან არც ბოქოულთ-ხუცესსა და არც ყაფიჩებსა, არც იასაულებს კელი არა აქუთ. მაგრამე რაც იმ დანისტრად წასულმან კაცმან საიასაულო იშოვნოს, იმისიც მეოთხედი ეშიკალაბაშს მოუტანონ, სხვა ხელჯოხიანს კელი არა აქუს.

სხვა უდანისტროდ<sup>1</sup> ან ჩვენგან ან მდივანბეგისაგან, რაც გარიგდებოდეს ან განაჩენი დაიწერებოდეს, იმისი წიგნები ყაფიჩ[ის] მიებარებოდეს და ის გაგზავნიდეს.

ექუსი შაური რომ მოვიდეს, იმისი ნახევარი სამი შაური იქნების; ეს ეშიკალაბაშმან და ბოქოულთ-ხუცებმან ასრე გაიყონ რომე, შაურნახევარი [70] ეშიკალაბაშებსა, და ნახევარი, რაც ბოქოულთ-ხუცესი იყოს, ყუელამ გაიყოს.

იმ ექუსი შაურისაგან სამი შაური რომ დარჩა, ის სამი შაური ასრე გაიყონ: ორი შაური, რაც ყაფიჩია, იმათია და გაყონ; და ერთი შაური [რომ] დარჩა, რაც იასაულებია, იმათია და გაიყოფენ.

ბეგრი მოვიდეს, თუ ცოტა, ამ წესით გაიყოფდენ. მდივანბეგი დანისტრად სამსახურს ნურავის ეტყვის.

სხვას კვეყანას რომ ყაფიჩი და იასაული წავიდოდეს, ეშიკალაბაშებს და ბოქოულთ-ხუცებს ამასთან კელი არა აქუს.

ბოქოულთ-ხუცესი, თუ რაც კელჯოხიანი, უდანისტროდ საიასაულოზედ დადგებოდეს, ნურც ეშიკალაბაშს, ნურც ბოქოულთ-ხუცებს, ნურც ყაფიჩებს და იასაულებს თავის სარგოს წილს ნუ და[ა]კლებენ.

<sup>1</sup> უდანისტროდ.

\* ხელნაწერში ბოქოულთხუცებისა და ღვთარხანის იასაულების სარგოს გარიგებაც უმართებულად შეტანილია მე-15 კარში, რომელიც ყაბების რიგს ეხება. ჩვენ იგი ცალკე 15<sup>1</sup> კარად გამოვეყავით.



ეს განაჩენები თავილდარს და ყაფიჩს მიებარებოდეს.

ყაფიჩბაში მართებულს ყაფიჩს გაგზავნიდეს; რაც ამისი ან საიასაულო და სამდივანბეგო მოვიდეს, ყუეღა თავილდარს მი-  
ებარებოდეს. თავილდარი გაუყოფდეს ეშიკალაბაშებსაც, ბოქოულთ-  
ხუცებსაც, ყაფიჩებსაც, იასაულებსაც<sup>1</sup>.

უ[71]თავილდროთ რაც იასაულმან და მოსაქმემ ეშიკალაბაშს  
და ან ბოქოულთ მოუტანონ, იმ იასაულს მდივანბეგმან შეიღეულად  
აზღვევინოს და ჩვენთვის მიაბაროს.

აგრევე სა[მ]დივანბეგო თავილდარს მიებარებოდეს და თავილ-  
დარი მდივანბეგს თავისას მიაართმევდეს: მეფისას თავისას მისცემ-  
დეს და სადედოფლოსას თავისას მისცემდეს.

რომელსაც სადედოფლოს კარზე სამეფო<sup>2</sup> იასაული და ან სა-  
დედოფლო იასაული წავიდოდეს, [თუ] ყაფიჩი ვინგინდავინ, ნა-  
ხეარს საიასაულოს რაც მოვიდოდეს, დედოფლის იასაულებს და  
ყაფიჩებს ნუ და[ა]კლებენ, მოუტანდენ.

### [72] დავთარხანის იასაულებისა

დავთარხანის იასაულისა და ყაფიჩის სარგო ასრე გვიბრძანე-  
ბია: რომელიც ქარხნის ნაზირის ასნაფი ან თავილდარი ან ხასა-  
დარი, ან მემარნე, თუ მეზერე, ან მეტრე, მეღალე, ამბარდანი, მუ-  
ჯირი, ხაბაზი, მზარეული, თუ მეზარბათე, რაც მისი ქარხნის კაცი  
დანაშაულზედ დაიჭირებოდეს, თუ ბატონი დასჯარიმეუდეს და ან  
სახასო სოფლებს დასჯარიმებდეს, ამაებია იასაულობა იმათი არის,  
ვერაინ შეეცილების.

და თუ ეს ნაზირის საჯელო კაცი ან მოკლან ან დაქრან, ამა-  
ზედაც ისინი დადგებოდენ; საყაფიჩო და საიასაულო და სამდივან-  
ბეგოს და საეშიკალასოს, საბოქოულთხუცოს კი მოიტანდენ.

სხვარიგათ სამასპინძლოზე, აღამათზე, შეშაზე, ძღვენზე, რომ  
მოსაგროებლად წავიდოდნენ, იმის<sup>3</sup> ათისთავთან ჯელი არა აქუთ;  
უკლებლად სახლთ-ხუცეს[ს] და მდივნებს უნდა მოუტანდენ. თავეთი  
ყულული თუმანზე თვითო აბაზი უნდა გამოართვან.

### [73] პარი . 16

#### პახეთისა და პართლის სამმღვარი

ჩვენ და კახეთის სამმღვარი ჯეემმარის ყვითელი ფლატე, ქვიტ-  
კირს გაღმა სერის გზა რომ შესდევს, ავა მაღალს ლილოზედ, დიდი  
მუხა[ა]; აშქავეთის თავი; ქვაბთ კლდისთავი; იმისი ღელე რომ ჩა-  
იტანს, ლოჭინს გაღმა სამანაო გზა; ვაზიანის თავის გორაები,  
სულყულიანის თავს ამართული; იმას გაღმა მაყვალთ წყარო; ფა-

<sup>1</sup> + თავილდარი გაუყოფდეს. <sup>2</sup> სანეფო. <sup>3</sup> იმისი.

ნაქლუს თავს დიდი წვერი; დემურლუს დალი; მეჯუნუნ ყალა; იერ ქორფი და ყულუდალი; ახარ-ბახარი; ყატყატდალი; ყარაბულახი; ჯარაულდალი; ბაიდიგორის ახარ-ბახარი<sup>1</sup>; ჩათმა; თიქმატაში ემი-ნალა; ადამურან იერი.

[74]\* პარი 17<sup>2</sup>

ჰართლის აწერისა\*

როდესაც<sup>3</sup> ქართლი აწერილა და ან აიწერების, ამ წესით უნდა აიწერებოდეს: ყაიყულიდამ შემოყოლებით თათარსა და მე-ლიქის სულლარს გარდა, სომხითს, ტაშირს, ყაიყულს<sup>4</sup>, თრიალეთს და საბარათაშვილოში. ამაზედ საბარათაშვილოს სარდალი წავა<sup>5</sup>, ერთი მდივანი წავა, ასწერს და დავთარს დაიჭერს; მეფის მდი-ვანი წავიდოდეს.

ზემო ქართლში ჯეობას აქათ, ნეძვი<sup>6</sup>, კორტანეთი და ტაშის-კარიც დავთარში ჩავარდების; იმას<sup>7</sup> აქათაც საამილახვრომდი<sup>8</sup>. ამილახვარის მამულსაც ზემო ქართლის სარდალი და ერთი მდი-ვანი წავა, მდივანი<sup>9</sup> ასწერს და დავთარს დაიჭერს; დედოფლის მდივანი ასწერდეს.

საურთან<sup>10</sup> დედოფლის სახლთ-ხუცესს<sup>11</sup> და მდივანს<sup>12</sup> ჯელი არ აქუს<sup>13</sup>, მეფის საქლთ-ხუცისა და მდივნებისა არი[75]. ორი შაური რომ მესაურისა აიღების, იმისაგან ნახევარშაური<sup>14</sup>.

საციციანოს მჯარეს, სადგერს აქეთ, ბატონის დროშისა არის. ვისაც ბატონი უბრძანებს<sup>15</sup>, წავა და ერთი<sup>16</sup> მდივანი წაჰყუება. მდივანი<sup>17</sup> ასწერს, და დავთარს დაიჭერს მეფის მდივანი<sup>18</sup>.

მუხრანისა და ორის<sup>19</sup> ერისთვის მამულს, რომელიც კულავ დავთარში ჩავარდნილა, იმაზედ მუხრანის ბატონი და ერთი მდი-

---

<sup>1</sup> აჯარ; ბაჯარი. <sup>2</sup> კარი 17—ხ. <sup>3</sup> როდენსაც მხ. <sup>4</sup> ყაიყულის ხ. <sup>5</sup> +და ხ. <sup>6</sup> + და ხ. <sup>7</sup> იმათ ხ. <sup>8</sup> სამილახვრომდი მ. <sup>9</sup> მდივანი—ხ. <sup>10</sup> საურთან[საურის სარგოში ხ. <sup>11</sup> სალთხუცეს მ, სალთხუცესა ხ. <sup>12</sup> მდივნებს ხ. <sup>13</sup> აქუთ ხ. <sup>14</sup> მე-ფის სახლთხუცისა და.. ნახევარშაური] მესაურისაგან რომ მეოთხედი ნაქვე-შაური აიღების, მეფის სახლთხუცისა და მდივნებისა არის ხ. <sup>15</sup> +ის ხ. <sup>16</sup> +მე-ფის ხ. <sup>17</sup> მდივანი—ხ. <sup>18</sup> მეფის მდივანი—ხ. <sup>19</sup> ორისაგ ხ.

\* გადამწერს 74—84 გვერდების შემცველი ტექსტი შეცდომით ხელნე-რედ გადაუწერია 95—105 გვერდებზე. აქვე მოგვეყვას სხვაობა ძირითად ტექსტ-სა და ხელახლა გადაწერილ ტექსტს შორის. პირველი აღნიშნულია მ-თი, ხოლო მეორე ხ-თი.

ვანი წავლენ; მდივანი ასწერს, და დავთარს დაიჭერს მეფის მდივანი.

ეს სარღლები და მდივნები რომ წავლენ, ამათი რიგი და წესი ასრე არის:

1 რომელსაც სოფელში რომ ჩადგებოდენ, იმ სოფელმან საკომლომ ორი შაური და ბოგანომ ერთი შაური ასამწერლოდ უნდა გამოიღოს; და ეს სარდალმან და მდივანმა შუა უნდა გაიყოს<sup>1</sup>. დახლომითაც ის სო[ფელ]ი უნდა დაუხედეს<sup>2</sup>.

2 და რომელსაც<sup>3</sup> არ ჩაუდგებიან და ისრე ასწერენ, იმ სოფლის საკომლომ აბაზი და ბოგანომ ორი შაური უნდა გამოიღოს<sup>4</sup>; ერთის<sup>5</sup> ბოგანოსი და ერთის საკომლოსი იქნების ექუსი შაური; ამისგან სამი შაური სარდალმან და მდივანმა შუა უნდა გაიყოს<sup>6</sup>, რომე<sup>7</sup> ასამწერო არის<sup>8</sup>; დარჩების სამი შაური, რომე ეს ულუფისა არის; ამისგან ორი შაური სარდალსა<sup>9</sup>, რომ ბეური კაცი ახლდების<sup>10</sup>, და ერთი შაური მდივანსა.

მაგრამე მდივანსა და<sup>11</sup> მის კაცებს სარდალმან უნდა ასვას, აკამოს.

თუ სხვა მეულუფე ან სასაჩუქრე კაცი გაჩნდეს, ხარჯი სარდალმან უნდა გასწიოს და მდივანმან აღარ დახარჯოს, ამიტომ რომე ულუფისა ორი წილი მიაქუს.

[77] კარი 16<sup>12</sup>

საურისა [თუ როგორ აიღავის]

საურისა ასრე არის: როდესაც<sup>13</sup> ქუეყანაზე საური შევარდების, მესაურობას ვისაც ბატონი<sup>14</sup> უბოძებს, ინისი არის; კომლზედ თოთხმეტი შაური გამოერთმევის, ბოგანოს გარდაისად. ამისგან ჰარჩილი ბატონისა არის; დარჩების ორი შაური. ამისგან შაურნახევარი მესაურისა არის და ნახევარშაური<sup>15</sup> სა[ხ]ლთ-ხუცისა და მეფის<sup>16</sup> მდივნებისა არის, შუა უნდა გაიყოს: ორფულნახევარი სახლთ-ხუცეს[ს]ა და ორფულნახევარი მეფის მდივნებსა გასაყოფი ამაში; არც<sup>17</sup> დედოფლის სახლთ-ხუცეს[ს]ა და არც მის<sup>18</sup> მდივნებსა ამაში ჰელი არა აქვთ.

ბოგანოზე ძეს საური კომლზე ორი შაური<sup>19</sup>, ეს ბატონისა არის.

<sup>1</sup> გაიყოს და ბ. <sup>2</sup> დახედეს ბ. <sup>3</sup> + სოფელში ბ. <sup>4</sup> განიღონ ბ. <sup>5</sup> ერთი ა. <sup>6</sup> გაიყოს ა. <sup>7</sup> რომ ბ. <sup>8</sup> + და ბ. <sup>9</sup> სარდალს ბ. <sup>10</sup> ახლდება ბ. <sup>11</sup> და—ბ. <sup>12</sup> კარი 18—ბ. <sup>13</sup> როდესაც ბ. <sup>14</sup> მესაურობას ვისაც ბატონი ვისაც ბატონი მესაურობას ბ. <sup>15</sup> + მეფის ბ. <sup>16</sup> მეფის—ბ. <sup>17</sup> ორფულნახევარი სახლთხუცესსა... არც ნახევარი სახლთხუცესსა და ნახევარი მდივნებს ბ. <sup>18</sup> მის—ბ. <sup>19</sup> ბოგანოზე... შაური ბოგანოზედ ორი შაური საური რომ სძეს ბ.

[85] ურბნისის რუს გამოღვაძისა

ურბნისის რუ საქაშეთამდი შინდელთ გამოიღონ; იქიღამ საქაშენელთ და თვალათუბნელთ შირშაბნის საყდრამდი; იმას აქათ ვარიანელთ; სასირელთ და არაშენდელთ რუისის თავამდინ გამოიღონ; იმას აქეთ გორის გზა რომ მლაშის წყალს შეეყრების იქამდინ; იმას აქათ ურბნელთ უნდა გამოიღონ.

[78] პარი 20'

[კოლის-პური საბალახე, პირისთავი, ნახირისთავი, საგასიჩქლო თუ სად როგორ შეაწირავის]

კოლის-პურისა<sup>2</sup>. თუ აწერამდი<sup>3</sup> სად რამდენი გამოვა

არის ზემო ქართლი, ბოგანოს გარდაისად, თარხანი და გამამღები საკომლო ექუსას ერთი: ამისგან თარხანი არის ორმოცდათექუსმეტი, გამამღები ხუთას ორმოცდა ხუთი. ამ გამამღებს სძეს საკომლო პური ათლიტრიანითა კოდი ორი. ქერი სძეს რვალიტრიანითა კოდი ორნახევარი, იქნების ერთი საკომლო ლიტრა ორმოცი, კომლზე სძეს<sup>4</sup> ქათამი ერთი, ბზე საკომლოზე<sup>5</sup> ზარი 1, სამეჯინიბო ქათამი ერთი, სამეჯინიბო სოფელზე<sup>6</sup> ბატკანი 1; ეს კოლის-პური და<sup>7</sup> ბზე გორს უნდა ჩამოიტანონ სამეჯინიბოთ<sup>8</sup>.

კოლის-პურის ათისთავი რაც დადგების, სამი წილი მეკოლის-პურისა არის და მეოთხედი სახლთ-ხუცისა და მდივნებისა არის ქათმითა.

[79]\*\* საბალახეს თუ როგორ აიღებენ<sup>9</sup>

საბალახე სძესთ<sup>10</sup>: ასზე ბატკნიანი ცხვარი სამი; მშრალი ცხვარი ორი; მობალახეს<sup>11</sup> შიშლიგი ერთი. რაც ბატონის<sup>12</sup> საბალახის ათისთავი დადგების, ამისი მეოთხედი სახლთ-ხუცისა<sup>13</sup> და

<sup>1</sup> კარი 20]—ბ. <sup>2</sup> პურებისა ა. <sup>3</sup> აწერამდის ბ. <sup>4</sup> სძეს—ბ. <sup>5</sup> კომლზე ბ. <sup>6</sup> სოფელზე ბ. <sup>7</sup> ÷ სამეჯინიბო ბ. <sup>8</sup> სამეჯინიბოთ—ბ. <sup>9</sup> საბალახეს... აიღებენ—ბ. <sup>10</sup> სძეს ბ. <sup>11</sup> მობალახისა ბ. <sup>12</sup> ბატკნის ა. <sup>13</sup> სახლთხუცისა ა.

\* ხელნაწერში აქ ტექსტისათვის გადამწერს დაუტოვებია ცარიელი ადგილი, რაც შემდეგ მოუხვეიათ. მე-19 კარის ტექსტი კი, ალბათ დედნის ფურცლების დაშლილობის გამო, შეცდომით, 85-ე გვერდზე გადაუტანია. ჩვენ აღვადგინეთ კარბისა და ტექსტის თანამიმდევრობა.

\*\* 79-ე გვერდის ზემო აშიაზე გადამწერის ხელით სწერია: „მეექუსე: ფარდი: ვ: რვეული: ვ:“.

მდივნებისა არის. და დარჩების სამი წილი: ამისგან ორი წილი მობალახესა და მესამედი სუფრაჯსა.

საბალახის ჯარიმა ორი წილი ბატონსა, მესამედი მობალახესა.

### პირისთავს თუ როგორ აიღებენ

პირისთავი ასზე ერთი საბატონოდ აიღება. რაც ამისი ათისთავი დადგება, სამი წილი მეპირისთავისა<sup>1</sup>, მეოთხედი სა[ხ]ლთ-ხუცისა და მდივნებისა არის.

### ნახირისთავს თუ როგორ აიღებენ

ნახირისთავი სძესთ: დიდს სოფელს—ჯარი, შუათანას—ძროხა, ბატარას—გამოზამთრული; ამის უმცროსს<sup>12</sup>—ცხვარი. თუ ერთი კომლია—ორი შაური.

### [50] სამასპინძლოს შეწერისა

თუ ბატონი ზემო ქართლში წაბძანდა, ვინც არ დაპატიყვებს და ან სამასპინძლოს არ მოართმევს, მოკვლენი სამასპინძლოს შეაწერენ<sup>2</sup>.

### სა[ა]მილახვაროს კოდის-პურისა

სა[ა]მილახვაროს არის ბოგანოს გარდაისაღ<sup>3</sup> თარხანი და გამამლები კომლი 349: ამისი თარხანი 145; გამამლები ქათმით 204; ესენი საბალახის თარხანი არიან.

სხვა გამოსალები როგორც ზეით სწერია [იხ. ამავე, კარში]. ისრე<sup>4</sup> ყოველი ფერი<sup>5</sup> უნდა გამოიღონ. კოდის-პურის ჩამოტანა ზოგსა გორსა სძეს და ზოგს ქალაქს.

### ქსნის ერისთვის მამულისა

ქსნის ერისთვის ყმა—გამამლები და თაოხანი 148: ამისი თარხანი 54, გამამლები 94 ქათმით. სხვა გამოსალები, საბალახე თუ რაც რამფერი<sup>6</sup> როგორც ზემო ქართლსა სძეს, ისრე ამას. [იხ. ამავე, კარში].

სა[ა]მილახვროსა და საერისთოს კოდის-პურის გამამლების კომლის ჯუშალი 296: ამისგან ქალაქს უნ[51]და ჩამოიტანონ საკომლო 151; გორს უნდა მიიტანონ საკომლო 85; კიდევ გორს

<sup>1</sup> +არის ხ. <sup>12</sup> ამის უმცროსს იმის დაბალას ა. <sup>2</sup> შეაწერდენ ა. <sup>3</sup> გარდაის ხ. <sup>4</sup> ისე ხ. <sup>5</sup> ყოველი ფერი ყველა ხ. <sup>6</sup> რაც რამჟერი რაცუფერი ხ.

უნდა მიიტანონ გორის ზვრის<sup>1</sup> სარით<sup>2</sup> საკომლო 60; საკომლოზე სარი კონა.

### მუხრანის კოდის-პურის[ა]

მუხრანს<sup>3</sup> არის საკომლო 180; ამისი თარხანი 74; გამამლები ქათმით 106.

სხვა გამოსალები<sup>4</sup> როგორც ზემო ქართლზე სწერია [იხ. ამავე კარში]. ისრე ამათ გამოიღონ. ჩამოტანა ქალაქს სძესთ<sup>5</sup>.

### საციციანოს კოდის-პურისა<sup>6</sup>

საციციანოს გამამლები 727; ამისი თარხანი 6; ბატონიშვილისა კომლი<sup>7</sup> 126; დარჩა გამამლები<sup>8</sup> ქათმითა 601; ამისგან გორს უნდა მოიტანონ<sup>9</sup> საკომლო 140, ქალაქს უნდა ჩამოიტანონ ქათმით საკომლო 361.

სხვა გამოსალები როგორც ზემო სწერია [იხ. ამავე კარში], ისრე აძესთ.

### [82] საბარათაშვილოს კოდის-პურისა

საბარათაშვილოს არის საკომლო 910; ყაფლანისშვილისა საკომლო 300, იქნა 1210; ამისი თარხანი და აყრილი 230; გამამლები 980; აგრევე ქათამი.

სხვა გამოსალები როგორც ზემო<sup>10</sup> დაგვიწერია [იხ. ამავე კარში], ისრე ამის რიგი არის, სასახლის მუშაობა, ყარაი[ი]ს ჯერგა.

ამის გარდაის ზოგს<sup>11</sup> სოფელს სახასოს სოფლებში ხენა, მკა და ლეწვა<sup>12</sup> სძეს, საკომლოზე ბზე საჯედრითა.

### სომხითის კოდის-პურისა

სომხითის კომლი<sup>13</sup> 573; ამისი თარხანი 115; გამამლები საკომლო ქათმით 458; ამათ საკომლო ბზე და ღორის საბალახე არა სძესთ.

სხვა როგორც საბარათაშვილოს რიგი არის, ისრე მათ<sup>14</sup> აძესთ. ჯარიმა და ჭევისთავი ბატონისა არის<sup>15</sup>.

1 ზვრით ხ. 2 ÷ მიიტანონ ა. 3 მუხრანი ა. 4 გამამლები ხ. 5 აძეს ს. 6 საციციანოს კოდის-პურისა—ხ. 7 კომლი—ა. 8 გამამლები—ა. 9 მოიიტანონ ა-10 ზემო] სხვა ა. 11 ოგს ხ. 12 ლეწვა ა. 13 საკომლო ხ. 14 ამათ ხ. 15 არის] უნდა ა.

სომხეთს აძეს ოლქა ტარულისა სოფელზე ბატკანი, თავისგა-სატეხი ძროხა, ბატონის კოდის-პურიდამ ერგების ისრე<sup>1</sup> სხვათ მოკვლეთ გარეთად<sup>2</sup> საკომლო 50; ბატონის ოთხას ორმოცდა თვრა-მეტს გარდაის, იმას გამოვსულვართ<sup>3</sup>.

**ჭევისთავეების რიგი**

ჭევისთავეების რიგი ასრე არის\*: [104] წელიწადში ერთხელ შემოივლიდენ, თვითოს ბატონის მუშრობს თან წაიყუანდენ, ათის კაციისა და ათის ცხენის მეტს ნუ წაიყუანენ.

სოფელში რომ მივიდნენ, იმ ღამეს კომლად ძღვენი თვითო საღვინე ღვინო, თვითო ქათამი, თვითო ლიტრა ქერი, სამი პური ნიუტანონ.

მეორეს დღეს თუ ქურდი იპოვნონ, ქურდს ჩაუდგენენ, თორემ გაეცალონ, საზღაური რომ აზღვევიონ.

თუ საბატონოს კაციშვილისა იყოს ან აზნაურიშვილისა, ექუსი ბატონს და ერთი ჭევისთავსა.

თუ გლეხისა იყოს, ერთი ორად გლეხსა, ერთი ჭევისთავსა, ოთხი ბატონსა.

რაც საბატონოს ათისთავი დადგების, სა[ხ]ლთ-ხუცისა და მდივნებისა არის, ჭევისთავს ჭელი არა აქუს.

მუ შ რ ი ბ ი ს ს ა რ გ ო : ქურდს რამდენი ძროხა გაუა, იმთენი აბაზი მუშრობისა არის. თუ ქურდი იფიცავს, ძროხაზე აბაზი გამოუა, ნახევარი მუშრობსა, ნახევარი ჭევისთავს.

მუშრობმან ჭევისთავთან სევს და ჭამოს; და ძღვნის ათისთავი მუშ[105]რობისა არის.

**[83,9] ფუტკარის რიგი**

აბულაშვილისათვის<sup>4</sup> რამდენი სკა თაფლად<sup>5</sup> აწერია და მი-გვიბარებია<sup>6</sup>, იმდენი<sup>7</sup> სკაზედ ჩარექნახევარი სანთელი ჩვენს ქარხანაში<sup>8</sup> მოაბაროს. და<sup>9</sup> სხვა ნაყარი თაფლი<sup>10</sup>, ზიანი და სარგე-ბელი მისი<sup>11</sup> [84] არის. ჩვენი თავნი ფუტკარი კი ნუ მოიშლება<sup>12\*\*</sup>.

1 ისრე—ხ. 2 გარდაისად ხ. 3 თვრაპეტს გარდაის იმას გამოვსულვართ| თხუთმეტს გამოვსულვართ იმას გარდა ხ. 4 აბულაშვილებს ხ. 5 + როგორ ხ. 6 და მიგვიბარებია] რამთენი სკა ფუტკარი მიგვიბარებია ხ. 7 იმთონი ხ. 8 + უნდა ხ. 9 + ჩვენი მიბარებულნი ფუტკარი ალ წახდებდა ხ. 10 თაფლი—ხ. 11 იმისი ხ. 12 ჩვენი თავნი ფუტკარი კი ნუ მოიშლება—ხ.

\* გადამწერს აქ ტექსტისათვის ცარიელი ადგილი დაუტოვებია; ტექსტი კი, ალბათ, დედნის ფურცლების დაშლილობის გამო, 104-ე გვერდზე გადაუტა-ნია. ჩვენ აღვადგინეთ ტექსტის თანამიმდევრობა.

\*\* ხელნაწერის 84-ე გვერდის დანარჩენი ნაწილი ცარიელია. 85-ე გვერდი კი, გადამწერის შეცდომით, თუ დედნის ფურცლების დაშლილობის გამო, იწყება მე-19 კართ „ურბნისის რუა გამოლების“ შესახებ, რომლის ტექსტი გა-დავიტანეთ თავის ადგილას (იხ. კარი 19).

თავისგასამტეხლო ხუთი აბაზი მოურავისა; კბილის ჩაგდები-სათვის ოცდა[ა]თი შაური. ვინც ბოზობა ქნას—ხუთი მინალთუნი. ფურზე ერთი სტილი ერბო.

ქურდობა თუ საქართველოს მამულისა შეაჩნდეს, შეიდეულად აზღვევინოს მოურავმან; და ერთიორად პატრონს მისცეს; სხვა საბატონოდ მოვიდეს.

თუ სხვის ქუეყნის ქურდობა შეაჩნდეს<sup>1</sup> ერთიორად აზღვევინონ; ერთი პატრონს მისცენ და ერთი საბატონოდ მოვიდეს.

მოურავმან ძროხაზე აბაზი აილოს საიასაულო; და რაც ბატონისათვის მოვიდეს, იმის ხუთისთავიც მოურავმან აილოს. საქ-

<sup>1</sup> შიანდეს.

დელზე თვითო შეგდებაზე თვითო ჩარეკს ზეთს მოსცემენ. მოურავი ორას ცხვარზე თვითოს შიშლივს აიყუანდეს.

საქურიო—ძროხა ბატონისა არის, ცხვარი—მოურავისა. ჩვენს სამსახურზედ მოურავს ულავს ათხოვებდენ.

### [ბატონიშვილმან ვახტანგ ასრე ზრძანა და გაარიგა]

[173] ახლა რომ საქართველოს ჯანიშინმან ბატონიშვილმან ვახტანგ<sup>1</sup> ყაიყულის გამოსაღები, საბატონო და სამოურავოსი ასრე ზრძანა და გა[ა]რიგა.

დასტურად მეფის პატრონის გ[ი]ორგის გარიგების წიგნისხვა იყო საბატონოსა და სამოურავოსი. მაგრამ მაშინ ყაიყული თავად ახალი მოშენე ყოფილა და მაშინდელი რიგი მართალი არის, ისრე იქნებოდა.

მაგრამე რა ქუეყანა მომრავლდების, ერთმანეთში ბევრი რამ ძალი და ურიგო მოკდების. ამისთვის თვითონ ყაიყულელნი<sup>2</sup> მოვიდნენ და ბატონიშვილს ჯანიშინს შემოეხვეწნენ და ასრე გაარიგებინეს; უფროსივე ერთი უწინდელივე გარიგებებივე არის ამაში, მაგრამე ასრე უნდა იქნებოდეს:

არის ბატონისათვის თავზე მალი ექუსი შაური. ამას გარდა, კიდევ თავზე ერთი შაური: ამისგან ნახევარშაური მოურავისა არის, ნახევარშაური სა[ხ]ლთ-ხუცისა და მდივნებისა.

ერბო ფურზე ხუთი სტილი ვამოიღონ, ამ წესით: ერთი ეთიბრიანი<sup>3</sup> [174] კაცი წავიდოდეს, ფურს დასთვლიდენ, სოფელსა და სოფელს რაც ფური დადგეს, თავთავის სოფლის მამასახლისებს დაწერდენ. მამასახლისები ამ ერბოს სოფლის ულავებით ჩამოიტანდენ და აუშტარს მიაბარებდენ<sup>4</sup>. ვინც ამ საქმეზე ასამწერლოდ წავიდოდეს, ასმევდენ, აჭმევდენ; სხვა სარგო არა აქუს რა.

ახალი მოსული კაცი ერთს წლამდინ თარხანი იყოს, ნურას თხოვენ; საბატონო ულავი არ სდებია, ნურც სთხოვენ.

თევზის ფასი გარდაკუთით ოთხი თუმანი არის ერთობით ყაიყულზე, და მის დროს იასაულით შეაგდებენ.

საქვრიო: ჯარი ბატონსა, სამი აბაზი მოურავსა, აბაზი ნაცლსა, აბაზი მამასახლის[ს]ა.

1 + რომ. 2 ყაიყულელნი. 3 ერთიბრიანი. 4 მიაბარეულდენ.



საბალახე საბატონოთ ასზე ორი ცხვარი, ერთი ბატკანი. ორასზედ ერთი შიშლიგი მობალახეს; საჩვენოს ცხვარს მობალახე მეცხვარეს და[ა]ქვრინებდეს, ცხვარზე ცხვრის საბალახეს აიღებდენ და თხაზე თხისას აიღებდენ. მართებულად დახვდებოდენ და ძალას ნუ იქმონენ. ბატონის მოსაქმე საიასაულო[ს] ნურას აიღებს.

აყრილის კაცის სახლში[175]ი\* [რომ] სხვა მოსული გლეხი შევიდეს, იმის ნახნავ-ნათესს ნუ წა[ა]რთმევენ, და ბატონის სამსახურიც იმავე წელიწადს უნდა ქნას.

ერთი კაცი რომ დაბერებულიყოს და იმისი შვილები მალს იღებდენ, იმ ბერს კაცს დაეთარში ნუ ჩა[ა]გდებენ და ნულარც მალსა სთხოვენ.

იქ რომ ერთმანერთში ქურდობა იქნას, შვიდეულად აზღვევინონ; ერთიორად პატრონს, ოთხი ბატონს, ერთი მოურავს.

თუ უცხოს ქუეყნის მოპარული შეაჩნდეს, თავნი პატრონს, ერთი ბატონს, ორი აბაზი მოურავს.

საქდელის ერთს შეგდებაზე სამი ჩარეკი ბატონს, ერთი ჩარეკი მოურავს. თუ სხვას ქუეყანას ზეთი გამოხადეს, ექუს მინალთუნს ჯარიმას ჩვენთვის წაართმევენ.

თუ ვინმე ახალის მოუგონარის სოფლის აშენება მოინდომოს, ჩვენ მოგვახსენოს. მამასახლისის სოფლიდამ ჩვენ მივსცემთ.

იმას გარდა სხვა რაც გლეხი აყრილიყოს და ერთი-მეორის სოფელში მისულიყოს, აუყარონ და იქივ თავის ალაგს და[ა]სახლონ.

[176] მოურავს თავისგასამტეხლო ხუთი აბაზი, ნაცვალს ორი შაური; ჯელის მოტეხისათვის ოცდაათი შაური, ნაცვალს სამი შაური; აგრევე კბილის ჩაგდებინებისათვის; ბოზობის მქნელმა ხუთი მინალთუნი მოურავს, ნაცვალს ათი შაური.

გასამყრელო მოურავს ჯარი, ნაცვალს აბაზი, მამასახლის[ს] აბაზი, ქერი მოურავს კომლზე კოდი სამი, ნაცვალს ერთი; ფურზე ერბო სტილი ერთი.

საჩექმე, თუ იმ ქუეყანას გათხოვდეს, მოურავს შაური ექუსი, ნაცვალს შაური ორი, მამასახლის[ს] აბაზი ერთი.

თუ სხვას ქუეყანას წაიყუანონ, მოურავს ხუთი აბაზი, ნაცვალს ერთი აბაზი, მამასახლის[ს] ერთი აბაზი.

\* 175-ე გვერდის ზემო აშიაზე გადამწერის ხელით სწერია: „მეთორმეტე: ფარდი: იბ. რვეული: იბ:“.

მოურავი უბრალოდ ნუ მივა. თუ როდესაც<sup>1</sup> მივიდეს, მართებულად ძღვენი მიუტანონ. ღვინოს, თუ ნებით, თვარა ძალათ ნუ სთხოვენ.

მოურავი ნურც ქართველი, ნურც სომეხი, ნურც თათარი ქაქსა და კოეორზე<sup>2</sup> ულაცს ნუ სთხოვს. როდესაც<sup>1</sup> ნაცვალი იქნებოდეს რიგისად პურს აქმევდნენ.

ღალის ათასთავი რაც ავიდეს, სამი წილი მოურავისა და ხასადრა<sup>3</sup>ა და მეოთხედი სახლ-ხუცეს[სს]ა და მ[177]დივინებსა.

ნურა მოსაქმე ღვინოს ნუ ასყიდვინებს.

თუ სოკლის ქალი<sup>4</sup> ან მოურავისაგან ან სხვისაგან მამასახლისმა<sup>5</sup> არ შეგვატყობინა, ექუს თუმანს წავართმევთ. მამასახლისები ღვინის თოჯს ნუ იკმონენ.

რომელიც სოკლის კაცი ერთი-მეორეს უჩიოდეს, იმისი სამართალი მოურავებთან ქნას. და რომელიც სოფელი და სოფელი ერთპანე<sup>6</sup>რთას უჩიოდეს, იმისი სამართალი ბატონის მოსაქმემ ქნას. იქნების ასეთი საჩივარი—ან კაცის სიკუდილი, ან დიდი რამ საქმე, ამისი სამართალი კარზედ უნდა იქნას.

ხასადრის რიგი და სარგო წიგნში უწერიათ...\*

[178] პარი 40

#### თრიალური რიგი და გამოსაღები

საბატონო და სამოკელიო სძეს:

კოდის-პური საკომლო 40; ამისი თვითო კოდის-პური არის წმიდა ლიტრა 24; ქერი ლიტრა 10.

ღალისა ერთი გუთანი არის ვარი უღელი 10; ვარზედ სძეს კოდი სამი. ასე უნდა: როდესაც<sup>1</sup> გუთანი აიწეროს, მარილის მამტანს ვარს გამოვიდნენ და გუთანი ისრე გაიმართოს. სხვა რაც ვარი დარჩეს, ვარზედ სამი კოდი ღალად უნდა მოსცენ. მამასახლისისა დ[ა] მსახურის ვარსაც უნდა გამოვიდნენ, ამათ სძეს თავის ღალისა; და კოდის-პურის ჩამოტანა ერთობით სძესთ.

საშობაო და სააღდგომო, მამასახლისიანად, თარხნიანათ: ძროხა 5, ცხვარი 40, ერბო ლიტრა 32, ბატის ბარება, კოეორზე ტკბილის ასატანად ულაცი 50, თოვლის ზიდვა, ყარაი[ი]ს ჯერვა, კომლზედ ცხენკეთილი კაცი, ფარავნულისა, ტბისყურულისა და თრიალურის თევზის ულაცი.

<sup>1</sup> როდესაც.

\* ხელნაწერში დატოვებულია ადგილი სამი სტრიქონისათვის.

როდესაც<sup>1</sup> ბატონი თრიალეთზე მიბრძანდების, მამასახლის-  
[ს]ა, მსახურსა და გლეხს შეძლებით—სამასპინძლო; ფურის ბარე-  
ბა და უკვდავთ შენახვა: ებო შემნახავს, და ყოველს წელიწადს  
ფურზე ს[179]ამი ლიტრა ერბო ბატონს. მიბარებულს ბატზე ორი  
ქუჭული; საბალახე, პირისთავი, ნახირისთავი—დიდს დიდობით  
და დაბალს დაბლობით; საური—როგორც სხვაგან არის. საქვეის-  
თაო—პატრონს ორი, ბატონს ოთხი, ჯევისთავს ერთი; საქურიო—  
ცხენი.

თრიალური ბაეი ასე აიღება: აბრეშუმისა და ლანდრის აა-  
პალნეზედა თვითო აბაზი; სხვა რაც საპალნე იქნების, ოროლი  
შაური. ამის აღებაზედ თვითო წალკელის კაცი გაუყრელად იქნე-  
ბოდეს. რაც ბაეი დაგროვდებოდეს, ორს წილს საბატონოდ წამო-  
იღებენ და მესამედსა წალკელი წაიღებდეს.

[180] თ რ ი ა ლ ე თ ი ს მ ო უ რ ა ვ ი ს ა და ნ ა ც ვ ლ ი ს ა: მო-  
ურავს კომლზე ორი კოდი ქერი, შაური აღდგომისა, შაური შო-  
ბისა, თავისგასამტეხლო—ჭარი, საჩექმე—მარჩილი, გასამყრელო—  
ჭარი, ფურზე ერთი ქსანი ერბო; დალიდამ გუთანზე ექუს[ი] კოდი  
სამოცს; და კოდს გარდა ამისი სამი წილი მოურავს და მეოთხედი  
სახლათხუცეს[ს] და მდივნებს. საქურიო—ცხვარი.

ნ ა ც ვ ლ ი ს ა: კომლზე კოდი ქერი; გასამყრელო — ცხეა-  
რი; თავისგასამტეხლო—აბაზი.

თ რ ი ა ლ ე თ ზ ე ხ ა ს ა დ რ ი ს ა: კომლზე კოდი ქერი; კომლზე  
ქათამი.

თ რ ი ა ლ ე თ ი ს მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი ს ა: გასამყრელო—მარჩილი;  
კომლზე კოდი ქერი; საქურიო—აბაზი; საჩექმე—შაური ორი.

### [181] [თრიალეთზე სახასო სოფლები]

არის თრიალეთზე სახასო სოფელი: კარწახი სამოურაოდ გი-  
ლაქიშვილ[ი]სა; ეძანი რატიშვილისა; ქუემო ანდრაპი მდივნის გი-  
ვისა; ზემო ანდრაპი სარდლისა; თეთრი წყარო ზურაბ თარხნი-  
შვილისა; ზემო ოლთისიც ზურაბისა; ქუემო ოლთისი ფალავანდი-  
შვილისა; ლოშხი; ბოჯანოსი მდივანბეგი; ავლადისაც მდივანბეგი;  
მაჩუთასი სარდალი; ცრისისა სააკაძე ბახუტა; სამეგრეოსი მდივანი  
ოთარ; არწვენისა მდივანი ოთარ; საბატისა მუსხელაშვილი; ხუ-  
ცის ტამალისა რატიშვილი; ვარდის-უბნისა მდივანი გივი;

<sup>1</sup> როდენსაც.

[162] იქნა სახასო სოფელი 17.

ნასოფლარი: ერჯევანი 1, ერანი 1, თურანი 1, ზაულს-ტანი 1.

#### პარი 41

##### ტაშირში აილარაგვის კეობის რიგი

ამათ აძეს: ბატონის ღალა წ[ვ]ილისაგან ერთი საბატონოდ; უნდა ხნან გუთანზე სამი ღლე, მომკონ, გალწონ ჩამოიტანონ; ბაშმალი აბაზი ორი, მოკვლე[ვ]ებს შაური ორი; ფურზე ერბო სტილი ექუსი; საშობაო [და] სააღდგომო ძროხა 4; ცხვარი 9; ერბო ლიტრა 11; საქურიო—გარი; იქაური კოდი თორმეტიანი არის. იავა ბატონისა.

[163] ტაშირის მოურავისა: ფურზე ერბო სტილი ორი; თავისგასამტეხლო—გარი; კაის გლახის<sup>1</sup> გასამყრელო—ძროხა. დაბალზე ცხვარი; კომლზე პური და ქერი კოდი 3. ნაცვალს კომლზე კოდი ერთი; ბატონის მოსავლის ათისთავი მალის ორი შაურიდამ.

ტაშირის მალი თავზე ათი შაური აიღება: ორი აბაზი ბატონისა არის; ორი შაურისაგან ნახევარშაური სახლთ-ხუცისა და მდივნებისა; შაურნახევარი მოურავისა და მემალისა.

ტაშირის ხასადრისა: კომლზედ პური კოდნახევარი; ქერი კოდი ერთი. ბატონის თეთრმეტის თავისა რაც დადგეს, ოთხისაგან ერთი სახლთ-ხუცეს[ს]ა და მდივნებს, სამი მოურავმან და ხასადარმან გაიყონ.

##### არის აილარბეგის კეობაში აშენებული სოფელი, სამოურაოთ აქუს

[164] ურუტის მუშას პ[უ]რი კოდი 10; ყათირლუს მუშას პური კოდი 15; ყიზილ ზიარათის მუშას პური კოდი 10; ბოდორი; აილარბეგის<sup>1</sup> პაპუას აქუს მუშას პური კოდი 18.

იეზი, ლაქვარდლუ მდივანს გივს; აუშენებელი სურე-ყალა; ყირაბულახი ოთარ მდივანს; ზარიქანოიცი ოთარ მდივანს; ბარქადარა გივ მდივანს; ბუზურ ბულახი; ოთურბულახი დარგაჰყულისა; ოთურბულახს ქუეით სუთოქულანი ჯვანშირს ხიდირას; ქურთ-ყალა აზიზოლი მაჰმადაშვილს; ყარა-ყალა ქუეითი იასეს; თელუს მუშას პური კოდი 13; აღტააშას მუშას პური კოდი 10; ბალუყაყის მუშას პური კოდი 10.

<sup>1</sup> აჰილარბეგი.

[185] ნიადაგ სწორად არ იქნების, ზვრის დაბარვაზე მეტი მოუნდების.

[კარი 12]

კოჟორზე ტავილის ზიჯვის ულაყი ასრა აწერია

დურნუკს ულაყი ათი; ეკლესიას ულაყი რვა; ქუემო ბოლ-  
[6]ის[ს] ულაყი ორმოცდაათი; შულავერს ულაყი სამოცი; შულა-  
ვერმა თავის მალიდამ უნდა იქირაონ ორმოცდა[ა]თი; თრიალეთი-  
დამ ულაყი ორმოცდა[ა]თი; ტაშირიდამ ულაყი ორმოცი; ჯურო-  
რიდამ ულაყი ერთი; დამბლუტიდამ ულაყი ერთი; ხინძორკუტი-  
დამ ულაყი ერთი\*.

კოჟორზე მარნის რეცხის ნუსხა აქუს მემარნე[ე]ბს, და სოფ-  
ლები ისე საველდობ დაწერონ.

სალორის ყინულის ჩაყრისა ც ნუსხა აქეთ აზღარსა, და ისრე  
საველდობ დაწერონ.

[186] კარი 13

[სახასოს გვისა, თავლისა და შიგამდეგვისა]

ხასა თავლისა, ბზისა და მაში მდევთ გარიგებისა ასრე იქნე-  
ბოდეს:

ხუთი მეჯინიბეთ-უხუცესი არის: მოურავიშვილი ავთანდილ,  
ამირეჯიბი ქაიხოსრო, იარალიშვილი როსებ, გერმანოზიშვილი გუ-  
გუნა, რატიშვილი ზურაბ.

სხვა რაც ზინდარი, თავილდარი, შიგამდეგი და მეჯინიბე [და]  
მეჯოგე არის, ყუელა სახელდობ ზემორ დაგვიწერია [ახ. კარი 6],  
ჩვენად უბრძანებლად სხვას ნურავინ გამოიყუანს, ნურც გაუშვებს.

ამ თავლის ცხენის და ჯორის ზინხანის ბზისა თუ რასაც ფე-  
რის, ამ ქარხნის თავილდრად ურქმაზაშვილი პაპუა დაგვიყენებია;  
ამას ეკითხოდეს, რომელიც ჩვენი თავლა იქნებოდეს ბედაურისა ც,  
ულაყისა, ჯორისა და სეისხანისა.

ცალ-ცალკე დავთარი დაიჭირონ; შემომატებულსაც დასწერ-  
დენ და გაცემულსაც; აგრევე ახალის დაჭერილის კვიცისა და  
აჯილდისა დავთარი დაიჭირონ.

მეჯინიბეთ-უხუცესი თავის მაგიერ უბატონოდ ნურც გასცემს  
და ნურც გააბარებს, თუ არ კარზე და მოედანზე, [187] საველდე-  
ლად სხვაგან ნუ წაიყუანს.

\* ამის შემდეგ ხელნაწერშია: „კარი მბ“, მაგრამ ეს გადაწერის შეცდომაა,  
რადგან ხანდუკი მბ (42) კარის სათაურია: „კოჟორზედ ტავილის მოტანისა“.

ცხენები რაც იქნებოდეს, მეჯინიბესა და ზინდარს დაჩემებით მიაბარებდენ; უკეთესი ცხენი ორს მეჯინიბეს სამი, შედეგი ორს ოთხი, მას ქუეითი ორს მეჯინიბეს ხუთი—ასრე ამ წესით დააჩემონ; რომელიც მეჯინიბისაგან ავად ნაყურები იყოს, იმ მეჯინიბეს ჯარიმით და ცემით გარდა[ა]ხდევინონ.

სამეჯინიბო ბატკანიც თავილდარს ებაროს; ვინც უნდა გაგზავნოს, სამართლიანის საქმით მოკრიფონ; რაც მოვილოდეს, ნახევარი ხუთს მეჯინიბეთ-ხუცეს[ს]ა, და ნახევარი ზინდარს, შიგამდეგს მეჯინიბეთ საქმელად ჰქონდეს.

✓საკომლო ბზეც თავილდარმან მოაგროვებინოს თავის ქათმით; თუ რამ ბზისა ჩენს თავლას მორჩეს, ამ მონარჩომსაც ასრე გაიყოფდენ. და თუ და[ა]კლდებოდეს, ამათვე იშოვნონ.

ამასდა გარდაის, ხუთი ულაცი იშოვნონ ჩენის კარის გამრიგეთ და ამ თავილდარს ებაროს. ბარდანი და იარაღი სალაროს ნაზირმა გაურთავოს. რაც სახასოებში სამეჭრეოს ბზე არ მოუნდეს, იმის გარდა [188] სახასოს ბზესაც ზიდევდენ.

სხვარიგათ ქვეყანაზე და სოფელზე პელი არა აქუთ. ნაგების ბზეს იქ ყარაი[ი]ს სანადიროდ შეინახევდენ.

✓ნურა მეჯინიბეთ-ხუცესი თავის ძამულის ბზესა და ბატკანს ნუ დახარჯავს, თავილდარს ჰკითხონ, რაც ერგოს, ის დაიჭიროს თავეთს წილში.

ცხენის საქმე ქარხნის ნაზირსაც უნდა ეკითხოოდეს და კეთება—ღუშალიკს; ასრე გაიყოფდენ.

### [მეჯინიბეთ ულუფისათვის]

მეჯინიბესქ აქუს: ქარხანაში რაც ძროხა დაიკლოდეს, იმისი თავი; კაცის თავს დღიურ სამ-სამი პური, დღიურ სამი თუნგი ღვინო. მთის მეჯინიბეს საკლავიც აქუს.

### [მეჯინიბეთ-უხუცესთ განწესებისათვის]

მეჯინიბეთ-ხუცეს[ს] თვითო ხელი ცხენის მუქამალი, იარაღი, წელიწადში თვითო ცხენის ქერი.

ბატონის უნაგ[ი]რის იარაღში გამონატვალში წილი მეჯინიბეთ-ხუცეს[ს]აც აქუს; სხვა თავილდარისა არის.

[189] პარი 44

ზაფხულ თავლის მუხიკი

უნდა უქეშიკონ ბატონის თავლას: დიდმელთ ღამე ოცი; ვეძისმა ღამე ათი; თურქისტანიშვილის მამულმა ღამე ათი; წყნეთმა

ღამე ათი; თხილოვნამ ღამე ათი; თულაშვილის მამულმა კუირა ერთი; ასანბეგის მამულმა თვე ერთი; გოშტაშაბიშვილის მამულმა თვე ერთი; დაღეთმა კუირა ორი; ბეგაშვილის მამულმა კუირა ერთი; დოლენჯიშვილის მამულმა კუირა ერთი; ყარაბუღახის მამულმა ღამე ოცი.

კარი 45

[საგუზაო სსხელ-საფშელისა]

გუთნის ხარჯი სწერია და მკისა მოსაველზე ჰკიდია.

კარი 46

[190] გუთნისა ასრე არის

თუ უხელობით ხასადარმა და მოველემ არ მოიყუნოს, თან-ბა უნდა; თორემ რაც ღმერთმან მოგვეცეს, ის უნდა ვსთხო[ო]თ.

ეშეკაბაშისა და სხვის ჯელჯოხიანებისა სარგო ზემოთ სწერია [იხ. კარი 1]; აგრევე მდივანბეგის სარგო იქივე ზემოთ დავეიწერია [იხ. კარები 15<sup>1</sup>, 48].

კარი 47

სახლთ-გუთნის სარგო

ყოველს წელიწადს არის ზარათხანიდამ გარდაკუეთით, ბევრი მოვა თუ ცოტა, თუმანი ოცდახუთი ჩილიეჭიდამ; თუმანი სამი ტყვის ბაყიდამ; თერთმეტის თავს ნახევარი როგორც იჯარა იქნების; თუმანი<sup>1</sup> მოვა აგრევე ყაფნიდამ, აგრევე არაყხანიდამ, აგრევე კარის აბანოს იჯარიდამ, აგრევე თამბაქოს იჯარიდამ.

[191] ელის ეთაზის თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრევე ქოდავიდამ; ქალაქის მალზე თავზე ნახევარშაური; ყაიყულის მალზე თავზე ნახევარშაური; აგრევე ბოლნისის მალზე; აგრევე შულავერისა და თეთრი სოფლის მალზე; აგრევე ტაშირზე; აგრევე გორზე; დიდვამს თავზე სამთულნახევარი.

ქოლის-პურისა; ყუელგან თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრევე საბალახეებისა; აგრევე პირისთავებიდამ; აგრევე ნახირისთავებიდამ; აგრევე ზვრების<sup>2</sup> კულუხისა; აგრევე სახასო პურისა და ღალისა.

სადიასახლისოს ერბოს გარდა, რაც საბატონო ერბოს მოსავალი არის, თერთმეტის თავის ნახევარი; ოღუნახის თერთმეტის თავის ნახევარი; აგრევე სამასპინძლოებისა და სააღდგომო, საშო-

<sup>1</sup> თუ: ამანი. <sup>2</sup> ზვრებისა.

ბაოსი. ტუთხუს თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრეე იალლუჯის საყორულოსი.

[192] ბრინჯისა ასრე არის: თუ რუების ხასადარი აღგია, იმისის მოსავლის თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი არის.

და თუ ხასადარი არ აღგია და იჯარით და ან ამანათად მი-  
ბარებული არის, იმისი თერთმეტის თავის ნახევარი არის; აგრეე  
აბრეშუმისა, ბანბისა, თუ რასაც ფერის რუებზე მოსავლისა, ფუშ-  
თუქუნის ბარხანის წილი აქუს.

დარბაისელნი, ევისკობოზნი, თუ სახასო აზნაურიშვილი, თუ  
გლეხი, თუ მოქალაქე რომ ამოვარდეს, იმათის ბეთალმანის ათის-  
თავი ნახევარი სახლთ-ხუცისა არის, ნახევარი მდივანებისა; სხვას  
კელი არავის აქუს.

#### პარი 48

#### [მდივანების სარგო]

არის მდივანბეგის სარგო: ყოველს წელიწადს გარდაკუეთით,  
ბევრი მოვა თუ ცოტა. ზარაფხანიდამ თუმანი თორმეტნახევარი;  
ჩილიეჟიდამ თხუთმეტი მინალთუნი; ტყვის ბაჟიდამ, რაც დადგე-  
ბის, თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრეე ყაფ[ა]ნიდამ;  
აგრეე არაყხანიდამ.

ყასაფხანის მაგიერ ქარხნიდამ ქონი ლიტრა 144; [193] ელის  
ეთაზიდამ თერთმეტისთავის მეოთხედის ნახევარი; აგრეე ქოდა-  
ვიდამ; ქალაქის ბაშმალზე თავზე ნახევარშაური; ყაიყულის მალი-  
დამ თავზე ნახევარშაური; აგრეე ბოლნისის მალიდამ, აგრეე შუ-  
ლაგრისა და თეთრის სოფლიდამ და ტაშირიდამ; დიღმიდამ თავზე  
სამფულნახევარი; გორიდამ თავზე[ე] ნახევარშაური.

კოდის-პურისა თერთმეტისთავის მეოთხედის ნახევარი; აგ-  
რეე საბალახიდამ; აგრეე პირისთავიდამ და ნახირისთავიდამ; აგრეე  
ზერისა და კულუხისაგან, სახასოს პურისა და ლალისაგან.

სადისახლისოს ერბოებზს გარდაისად, სხვა სახასოს ერბოს  
თერთმეტისთავის ნახევარი; აგრეე აღამათისა; ტუთხუს თერთმე-  
ტისთავის მეოთხედის ნახევარი; აგრეე იალლუჯის საყორულოსი,  
ბრინჯისა და აბრეშუმის როგორც სახლთ-ხუცისათვის და-  
გეიწერია [მ. პარი 47]. ისრე იმრიგათ იმთონი მდივანბეგს ერგების.

გლეხის გაცემაზე კომლზე მარჩილი, გათარხნებაზე კომლზე  
მარჩილი; მდივანბეგთან სამდივანბეგოს მესამედი; იჯარებზე სა-  
წიგნე ოქმისა; გილანისა, ფუშთუქუნისა, ხუინისა, ზარაფობისა.  
ელიალას[194]ობისა,—ამათს ოქმზე საწიგნე.



საკომლო ბზისა თერთმეტისთავის მეოთხედის ნახევარი ჯამაგირის წიგნის სარხათზე თუმანზე აბაზი; ფუშტუქუნის ბარხნის წილი.

პარი 49

[ვეზირის სარგო]

არის ვეზირის სარგო: ყოველს წელიწადს ჩილიეჭიდან თხუთმეტი მინალთუნი; ტყვის ბაეიდან თერთმეტისთავის მეოთხედი; აგრევე ყაფნის იჯარიდამ; აგრევე აბანოდამ; აგრევე თანბაქოს იჯარიდამ; ყასაფხანის იჯარიდამ. ქონი ლიტრა ასი, ქოდავიდამ.

ბატონის თეთრიდამ გარდაკუეთით თუმანი თორმეტი; ქალაქის ბაშმალიდამ მელიქ-მამასახლისის სარგოსთან თორმეტი მინალთუნი; ფუშტუქუნიდამ რვა თუმანი, სამი მინალთუნი და ხუთი შაური.

რაც ჯამაგირი გაიცემის, თუმანზე სამი შაური, სარხათზე დასაბეჭდავით თუმანზე აბაზი.

პარი 50

მუზის რუსუმი\*

[195] პარი 51

მუსტოფის რუსუმი ასრე არის

მუსტოფეს ჯამაგირი ზოგს ჰქონია და ზოგს არა. ახლა ოცი თუმანი არის. ვინც ჯამაგირის სარხათს აიღებს, თუმანზე ერთი აბაზი არის. ვისაც ჯამაგირი აქუს, თუმანზე ყოველს წელიწადს ორი შაური მუსტოფისა არის; გერაქიარადის დაჰნიმზე თუმანზე ორი შაური; დაბახანაზე ორი თუმანი; ტყვის ბაეზე ორი თუმანი.

ციხის მეთოფეს რომ ასწერს, ფუშტუქუნიდამ ორი თუმანი, ხუთი აბაზი და თორმეტი შაური [და] შვიდი ფული; ხუნიდამ რუსუმი ორი თუმანი.

პარი 52

სალაროს ნაზირისა

უწინ ყოფილა ჯამაგირი თუმანი ოცი, ის ამოუკვეთიათ. ახლა ეძლევის ჯამაგირი თუმანი სამი; და[ჰ]ნიმზე თუმანზე შაური, ორი ნაეროზანა; იჯარის თავს თვითო ფული; დიდ ბაეზე რაც შეუძლია ფეშქაში.

\* ხელნაწერში მხოლოდ სათაურია.

რაც ელიდამ სანაეროზო ფლური მოვა, მომტანისაგან ფლურზე ორი შაური; ელ[ი]ალასი ვინც დაჯდების — თორმეტი მინალთუნი.

[100] კარი 53

[მოლარეთ-ხუცისა და მათის სალაროს მოკვალთ სარგო]

მოლარეთ-ხუცის ჯამაგირი რომ გაიცემის, თუმანზე ორი შაური რუსუმი აქუს. რაც დუშალიკი მოვა, ნახევარი მოლარეთ-ხუცისა არის და ნახევარი მოლარე[ე]ბისა. ამ ნახევრისა ნახევარი თავილდრისა და მუშრიბისა არის და ნახევარი მოლარე[ე]ბისა.

სალაროს მუშრიბის ჯამაგირი თუმანი ოთხი. დაჰნიმზე შაური ერთი. დუშალიკის მერვედი; რაც ჯამაგირი გავა, თუმანზე ორფულნახევარი; ულუფა დღეში პური ოთხი, ღვინო თუნგი ერთი, ქერი ლიტრა ორი, თვეში ცხვარი ერთი.

სალაროს თავილდრის ჯამაგირი თუმანი ოთხი; დუშალიკის მერვედი ჯამაგირის რუსუმი თუმანზე ორფულნახევარი; გერაქიარალს წელიწადში ერთი ჯელი<sup>1</sup> თავისი საკადრისი ტანისამოსი ცამეტის მინალთუნისა ან მეტ-ნაკლები.

რასაც დახარჯავს, თუმანზე ათი შაური დაჰნიმი თავის თომრისა; ხუთი შაური გერაქიარალსა; ორი შაური ნაზირსა; ორი შაური მუსტო[197]ფსა; ერთი შაური მუშრიბისა არის.

მოლარე[ე]ბისა\*

კარი 54

[მეითირისა, ფაშაფნივისისა და მარიჰიფაზისა]

✓ მეითარი ბატონს თავს და[ა]დგებოდეს, კელსახოცს მართმევდეს, მერიჰიფე[ს] ამსახურებდეს; [ტანისამოსი] მის ჯელთ არის. დუშალიკის ნახევარი მეითრისა არის; შიგნით, გარეთ ბატონთან შინაყმობა.

თავილდარს დუშალიკის ნახევარი, როგორც სხვანი გაიყოფდენ, ისრე ესე.

ფეშქაშნივისისა: რაც ფეშქაში მოვა, ის დასწერს; რაც სარხათი ჰქონდეს, ის ჯამაგირი. ულუფა ერთი ლიტრა ქერი, ერთი ფარჩა; ზორცი, რასაც ქარხანაში ხარჯს დასწერს, იმის განაცემისა, რაც იმის თავილდარს ერგების, იმის მონახევრე არის.

<sup>1</sup> ქერი.

\* დატოვებულია ცარიელი ადგილი ორი სტრიქონისათვის.

მერიქი ფეთ-ხუცისა. ქილიფთრისა და მერიქი-  
ფეეებისა ასრე არს...\*

[196] კარი 55

ქარხნის ნაზირის სარგო

წელიწადში ჯამაგირი თორმეტი თუმანი; დღიურ წმიდა პუ-  
რი ორი; ატენური ღვინო ლიტრა ერთი; საჯელგო ლიტრა ერთი;  
კვირაში ცხვარი ერთი; ბატონის საჭმლიდამ<sup>1</sup> ბოშხაბი ერთი; წე-  
ლიწადში ჯოგიდამ კვიცი ერთი; მუქაძალი ცხენის იარალი ერთი;  
ნახევარი საბარათაშვილოს კოდის-პურის მკრეფლობა.

ჩართა ნაზირისა წელიწადში ჯოგიდამ კვიცი ერთი; ბატონის  
სატამაზლუხეს ცხვრის ჰასილის ოცისთავი.

ქარხნის მუშობებს რაც სარხათი აქუს, ის ჯამაგირი; თითო  
თეთრი პური და საერო შვიდი, ღვინო ლიტრა ერთი; თათარს  
ბრინჯი ნახევარლიტრა; ერბო ქსანი ერთი; კუირაში საკლავი თვი-  
თო; მარილი თვეში ლიტრა ოროლი; ქერი დღეში ლიტრა ორო-  
ლი; ქონი თვითო ქსანი.

კარი 56\*\*

[199] მეჯოგეთ-ხუცისა და მეჯოგეებისა და ჯოგის საჰამ ასრე არის

მეჯოგეთ-ხუცესი ავთანდილ არის და მეჯოგენი ან ძეგლნი და ან  
ახალნი ვინცა-ვინ არიან, სახელდობ სწერიან [იხ. კარი 6]. აჯილ-  
ლა ვისაც აბარია, დაწერილია [იხ. კარი 23]; ჯოგი რაც არის თავი-  
ლად, ჯოგის თავილდარს აწერია [იხ. კარი 6]; მის დროს აჯილ-  
ლას გაურევენ.

თუ ავი ზამთარი იყოს, და კვიცი მთლად არ გამოვიდეს, მო-  
ტელეთ გასინჯონ; თვარა ან მოუვლელობით, ან სენს გარდა, კვი-  
ცის ანგარიში მთლად არ მოსცეს, არ იქნება.

მეჯოგისათვის ორ-ორი ძუამოჭრილი ცხენი, თვითოს მეჯოგეს  
მისცენ. სხვა ცხენზე ნუ შეჯდებიან. თუ ჯოგის ცხენი სხვა და-  
ტენილი იყოს, მეჯოგეს ჯარიმა უნდა წაართვან. მეჯოგეთ-ხუცესი  
ჯოგის ცხენზე ნუ შეჯდება.

<sup>1</sup> საკლმიდამ.

\* აკლია ტექსტი.

\*\* ხელნაწერში დატოვებულია ადგილი სამი სტრიქონისათვის. ზანდუკის  
56 კარი ეხება სარქარბაშს, რომლის შესახებ ტექსტში არაფერია ნათქვამი.

რახან კვიცი დასაქვრად მოიყვანონ, უწინ ერთი რომელიც იყოს, წმიდის გ[ი]ორგისათვის დაიჭირონ და მერმე რამდენიც ბატონმა ბრძანოს, იმდენი ბატონისათვის დაიჭირონ. მერმე მოკვლეთ ვისაც უბრძანოს, იმათ დაუჭირონ. ერთი კვიცი მეჯოგეთ-<sup>[200]</sup>-უცესს<sup>1</sup> დაუჭირონ.

ღუშალიკი ნახევარი მეჯოგეთ-ხუცეს[ს], ნახევარი—მეჯოგეთ-გაზაფხულ ჩავიდოდენ; წლისას გააზზე, ნახევარ წლისას მჭარზე დადაღევდენ. მეჯოგეთ-ხუცესი, ნაზირი, მუსტოფი<sup>2</sup> და ჩართა ნაზირი ჩავიდოდენ, დადაღევდენ და ანგარიშს გამოართმევდენ, ძუასა და დაღს ნახევდენ; ერთი კვიცი ნაზირს, ერთი მუსტოფს და ერთი ჩართა ნაზირს.

ბატონის ცხენი რომ დაიკარგოს, მეჯოგემ ზღოს თავნი; და თუ სხვაკან შეაწინოს, შვიდეულად თავისთვის აზღვევინოს, ამის სახლაური მეჯოგისა და მეჯოგეთ-ხუცისა არის.

პარი 57

[მურდრის სარგო]

მურდრისა: გლეხის გაცემაზე კომლზე მარჩილი; სამოურაოთ რომ გაიცეს, კომლზე აბაზი და ორი ფული; გათარხნებაზე კომლზე ექუსი შაური; კოდის-პურის გაცემაზე ხუთი აბაზი, თვითოს მჭარის გაცემაზე; აგრევე საბალახისა; აგრევე ნახირისთავეზე; პირისთავეზე თვითო მარჩილი; გილანს წამსვლელზე სამი მინალთუნი; მუფასაზე ექუსი მინალთუნი; [201] თათრის ჯამაგირზე თუმანზე შაური; ინამზე თუმანზე აბაზი; ქალაქის ბაჟის ოქმზე თორმეტი მინალთუნი; თანბაქოს იჯარაზე, რამდენ[ს] თუმნათაც აიღებენ, თუმანზე შაური; ზარაფზე თორმეტი მინალთუნი; დაბახანაზე თუმანზე შაური; აგრევე ყაფნისაზე.

ბატონის განაჩენზე თუმანზე აბაზი; არაყხანაზე თუმანზე შაური; ცარიელს საკომლ[ო]ს მიცემაზე ექუსი შაური; ფუშთუქუნის ბარხანიდამ საპონი ლიტრა ერთი; ბროწეული ხუთი; ზეთისხილი ჩარეჟი ერთი; ხახვი [ლიტრა] სამი.

პარი 58

[სომხითის მოურავის სარგო]

სომხითის მოურავისა: ქალაქის ბაჟიდამ თუმანი ორი. ზარაფხანიდამ თუმანი ოლი.

<sup>1</sup> მეჯოგეთხუცესი. <sup>2</sup> მუსტოფი.

[სომხითის მელიქის სარგო]

სომხითის მელიქის სარგო: საწნახელზე ტკბილი ჩაფი ოთხი; გუთანზე პური კაპიწი ერთი; თავზე ნახევარშაური.

[202] პარი 60

[გაზიართ-ხუცისა და შარაიის მემორაულის სარგო]

ბ ა ზ ი ე რ თ - ხ უ ც ი ს ს ა რ გ ო: ყარ|ა|იაში რაც მოვა, იმისი ნახევარი, და ბატონი რომ შევარდენს აზღვევინებს, იმისი საია-საულოს ნახევარი ბაზიერთ-ხუცეს[ს]ა, ნახევარი იასაულსა.

ისპა|ა|ნს რამდენიც ბაზიერი წავა, იმთონი მარჩილი; რამთონიც დუშალიკი მოვა, იმისი ნახევარი.

ყარაი[ი]ს მეყორულისა: როგორც წიგნი აქუთ გაბაშვილებს, იმაში სწერია და ისრე ქნან.

პარი 61

[ჯევისთავებისა]

• ჯევისთავებისა ასრე გაგვირიგებია: წელიწადში ერთხელ შე-შოვილიდენ, თვითოს ბატონ[ი]ს კაცს მუშრიბ[ა]თ წაიყუანდენ; ათის კაცისა და ათის ცხენის მეტს ნუ წაიყუანენ.

სოფელში რომ მივიდეს, იმ დღეს კომლათ ყუელამ ძღვენი მოუტანოს: თვითო საღვინე ღვინო, სამასი პური, თვითო ქათანი, თვითო ლიტრა ქერი.

მეორეს დღეს, თუ ქურდი იპოვნონ, ქურდს ჩაუდგენ; თორემ გაეცალონ, საზღაური რომ აზღვევინონ.

საქონელი[203] თუ საბატოს კაციშვილისა იყოს, ან აზნაურიშვილისა—ექუსი პატრონს, ერთი ჯევისთავს; თუ გლეხისა იყოს, ერთიორად გლეხს, ერთი ჯევისთავს, ოთხი ბატონს.

რაც ბატონისათვის დადგებოდეს, ათისთავს სახლთ-ხუცესი და მდივნები გაიყოფდეს, ჯევისთავს ჯელი არა აქუს. ჯევისთავმან როგორც უნდა ისამართლოს, იმის წიგნს მივსცემთ, და ისრე მოიქცეს.

მუ შ რ ი ბ ი ს ს ა რ გ ო: ქურდს რამდენი ძროხა გამოუვიდეს, იმთონი აბაზი მუშრიბისა არის. თუ ქურდმა დაიფიცოს, ძროხაზე აბაზი გამოუა; ამისი ნახევარი ჯევისთავისა არის, ნახევარი მუშ-რიბისა, იმასთან სხვა კაცს ჯელი არა აქუს. მუშრიბს<sup>1</sup> ჯევისთავმან ასვას და [ა]ჭამოს. ძღვნის ათისთავი მუშრიბს უნდა მისცენ\*.

<sup>1</sup> მუშრიბმა.

\* ხელნაწერში ამ ფურცლის ცარიელი ბოლო წაკრილია; 204-ე გვერდზე ტექსტი არ არის.

[205]\* არის ქორების ბუდე სომხითს

ჯონჯლის ბუდე; ფეთხანის ბუდე; ჯიმშირის ბუდე; თიფი-  
ჯანის ბუდე; ატუტის ბუდე; სოსნის ბუდე; ჩორთნოს ბუდე; კა-  
რასორის ბუდე; საბის ბუდე; დელცნუტის ბუდე; ორთაშუის ბუდე;  
ნადვალეთის ბუდე; ხუჯაბის ბუდე; ხინცოვარის ბუდე.

[206] ძარი იჲ

თრიალეთის სოფლების სამქვრავი

საბექდავისა და ბარეთის საცილობელი ასრე გავა-  
რიგეთ: წყალს გაღმა რომ დაქეუული კლდე არის, გამოღმა  
ქუიანი მალლობი არის; იმას გამოსწორ ქუაყრილი მოსდევს და ის  
ქუაყრილი კუთხეთ შეუბრუნდება გზამდისი; იმას ზეით ბარეთს  
დარჩა. ის გზა ჩამობრუნდება და კლენთის ბოლოს სათიბში სამანი  
ზის; იმას ქუევით საბექდავს დარჩა. წისქული საბექდავის მტრისა-  
კენ იყო და საბექდავს დარჩა.

ბარეთელნი ტბისკენ ეცილებოდენ და დიდი გორა რომ შე-  
სდევს<sup>1</sup>, იმას გარდმოღმა ბარეთელთ სამამულედ ჯელი არა აქუს  
და საძოვართ ნუ დაუქერენ. პატარას ნასოფლარზე ცილობდენ,  
ჯელმწიფემ უნდა გა[ა]რიგოს.

სამადლო[ვ]ელნი და ქუემო ბეშკენაშე [ლ]ნი ცი-  
ლობდენ: ტახტის გორა და გზამდისინ სწორეთ გარდმოუქერით და  
ქუა ჩაუსვით; იმის შესწორ მალლა რომ სამი ქუა კაცი ზის, პირზე  
იქიმდი. გზას ზეით სამ[207]ადლოველთა და გზას ქუევით ბეშკე-  
ნაშნელთა, ქუა კაცს ზეით მეთრევანას სამძღვრამდინ, გორას გარ-  
დაღმა ქუა კაცს ჩასწორ ჯევის პირამდი, ეცნის გზა მისდევს<sup>2</sup>. კი-  
დევ სამადლოველი ვაკე და სათიბი ბეშკენაშნელთა<sup>3</sup>.

ორსავ ბეშკენაშნელთ შუა ზეით გორაზე მეფეს სამძღვარი  
ებრძანა, და იმის ქუემო ზეით ბეშკენაშნელთ დავებიც ერთად  
ფიცი იყო და ერთად ჯელმწიფის ბრძანება, უჯელმწიფოდ ჩვენგან  
არ გარიგდებოდა.

ორსავ ჭიტებს შუა მთიდან კარკნალი ჩამოსდევს, იმას  
ქუევით ცოტა გორაა, იმას ქუევით წყარო გამოდის, იმის პირდა-  
პირ გამოღმა მთის ძირში კიდევ წყარო გამოდის, წყაროების  
სწორად შუაზე სათიბში სამანი ჩავვისვამს.

<sup>1</sup> შეზდევს. <sup>2</sup> მიზდევს. <sup>3</sup> ბეშკენაშნელთა.

\* 205-ე გვერდის ზემო აშიაზე გადამწერის ხელით სწერია: „მეთორმეტე  
ფარდი: იღ: რვეული იღ:“

ქიტებსა და უწყალოს შუა მთილამ თხრილი ჩამოსდევს, და ბოლოს დიდი ჯვარიანი ქუა ზის საბატრის თავისაკენ; გ[ი]ორგი მეფის ჟამში ჩასმული ქუა მოეგლიჯათ, ისრეე ჩავსვით. იმ სამნიდამ მელას ტამალიას [208] სწორად დიდი გობია, იმის სწორათ გამოგვისაპძღვრავს.

უწყალოსა და საბატრეს შუა, საბატელნი ჯვარიანს ქუას, და ტბის პირს ამბობდენ სამძღვრათა უწყალოველნი; და ქვებიც ისხდა, გორა იყო, გელაზის ქუა რომ ძეს, იმის გასწორ კუკიას და სამეჭრეოს შუა დიდი სამძღვარის ქუა ძეს.

და ცრიცს შუა სამძღვარი მთილამ ცოტა წყლიანი ჰევი ჩამოვარდება გზამდისი. გზას ქუეით წყლის პირს სამანი ზის, წყალს გაღმა თხრილი ჩამოვარდება, ბოლოს ქუა ჩავვისვამს, თავსაც ქუა ჩავვისვამს; იმ ქვის გადასწორ ფარებას სამძღვრამდი კობაჯელთა ერან-თურანისაკენ თივასა და სამოვარს ნუ დაუქერენ.

[209] თეზს შუა მთილამ ჰევია გზამდისი, გზის პირს მგრგვალი ქუა ზის. იმის სისწორ<sup>1</sup> მინდორში გორა არის. იმ გორის გამოსწორ ცრიცისაკენ ქუა ჩავვისვამს, ქუემო სათიბში თეხელეგმა ორი ჯვარიანი გვიჩვენეს და დავიჯერეთ.

ზემო ხორიეთს შუა ფიცი იყო და განაჩენიც იყო; გარეშე კაცები შეეგდოთ; შეგდებული მოფიცარი ჩვენ ვაპატივეთ და ცოტა საცილებელი ქონდათ. თეხელთი რაც სწერია, იმათ უნდა იფიცონ; ეს ფიცი თეხელეგმა დაიფიცეს და გარდასწყუიტეს.

და ავლადს შუა ფიცით გარდაწყუეტილა და დად ქუაც ზის, იმას ზეით მთისაკენ გობია.

ბოლოს პატარა საბატრისაკენ ქუიას გაღმა ორი საქცევი მიწა დაგვიდებია, და ფარებისაკენ რომ ლომოს სამძღვარი არის, იმ სიგანეთა [210] ფარეკას შუა ბოლოს თეხელთ ქუეები გვიჩვენეს, და ფარეველთ გზა და გორა გვიჩვენეს, მეფისაგან მისცემოდა. ამავე ორს სამძღვარს შუა ოთხი დარგი მიწა იყო; მოგვარებით გავარიგეთ: ორი საქცევი თეხელთ, ორი საქცევი ფარეველთ, ქუეები ჩავვისხამს.

მერეკენელნი უჩიოდნენ და სამართალში არ მოყუნენ.

ანდრაპს<sup>2</sup> შუა ნიკოლოზს გზის პირს ქუა ჩავსვა, სათიბის<sup>3</sup> პირს გორაზე კიდევ ქუა ჩავსვა; იმას იქით სათიბში აკუთას ეძახიან, იმას გაღმა ლომოსაკენ დიდი სამანი ქუა ზის, ზემო ანდრაპსა<sup>4</sup> და ზემო ფარეხას შუა ეს არი[ს].

სისწორს. <sup>2</sup> ანტრაფს. <sup>3</sup> სათისის. <sup>4</sup> ანტრაფსა.

[211] პატარას საბატეს ქციის გაღმა სამანი ვიპოვეთ, წყლის-პირსაც იმის სწორად ქუა ჩავსვით, ფარეხასკენ მალლობი შესდევს, იმაზედ გაუსამძღვრეთ; სათიბისაკენ გზის პირს სახნავს ქუა ზის, იმ ქუის საქვევადამ მალლობის სამძღვარს შეეყრება სათიბი. ამ სამძღვრად გაღმა ამართული ქუა არის იმის გასწორ.

გველფარეხას იმავე ანდრაპის პირთან რომ ჰვევი ჩამოვარდება, იმის გამოსწორ ქციის პირს ქუა ჩავვისვამს, მის სწორად კიდევ ქუა ჩავვისვამს, გზის პირს ჩავვისვამს. გზას ზეით გველფარეხელთ სანამდის სამანი აქუს, ანდრაპელთ ჰელი არა აქუთ.

არწევანს შუა ოთარ მდივანს და ნიკოლოზ მალალაშვილს გაესამძღვრა, იმაზედ ქუები ჩავვისვამს. ქუების შუა ჰვევი ზემო გარდასავედავზე, ერთი შუაზე ჩავვისვამს.

[212] მელას<sup>1</sup> ტამალიას შუა ქციის პირს ნაწისქვილარი<sup>2</sup>, იმის შესწორ მინდორში გორა იყო, ის არის, იმ გორის გამოსწორ ტამალიისავე კუთხეთ ქუა ჩავვისვამს, იმ ქუის შესწორ მინდორში დიდი ქვასამანი არის, იმ ქუის შესწორ ქიტების სამძღვრამდის არის.

ხუცის ტამალიისა ფიცით სათიბი გამოერთმია და გლესს კაცებს წაებრიყუებინათ, ცოტა სათიბი ჩაუქერ და ხუცის ტამალიას დაეანებეთ<sup>2</sup>.

ტამალიელთ სათიბს უჩიოდენ და გავშინჯეთ: სამენახირგს საყდარსა და დიდი შარა რომ ჩამოსდევს, იმას იქითი ერთმანეთთან ჰელი არა აქუთ.

მეორეს წელიწადს კიდევ ბატონმა თრიალეთზე დამაგდო გასარიგებლად; ახლა გავარიგეთ:

ვარდისუბნის [213] ნასოფლარი, სოფელს გაღმა ქუემო წყარო არის, იმის ასწორ რუმდის, რუს აღმა ზეიდამ ქუა ჩავვისვამს, იმ ქუის გასწორ ტბა არის, იმას შუა ორი ქუა ჩავვისვამს, ტბის იქით პირს ბეშქენაშენის სამძღვარი ზის; იმის გასწორ ზემო დიდი ფლატე არის, ფლატის გამოღმა, სათიბის პირს, მალლობი მოსდევს, მალლობს აქათ წყარო გამოდის, — ამას ქუეით დარჩავარდისუბნელთ.

ტამალიას შუა გზის პირს სამძღვარი ქუა ზის, იმას ქუეით ლელი ჩასდევს, სათიბს შეეყრება, გზის სამანს ზეით მალლა გორაზე აწართული ქუა ზის, კიდევ იმას ზეით მგრგვალი გორა არის,

<sup>1</sup> — შუა ქციის მელას. <sup>2</sup> — ტ.



იმას ზეით სამენახირო საყდარი. ეძინისაკენ ცოტა ღელე არის, იმ ღელეს შესწორ დიდი მთის ცხვირი წამოსდევს,—ასრე გაგვიჩენია:

[214] ჯეველრმას შუა ქუემო ლოშისაკენ გორა არის, იქ ქუა ჩაგვისვამს, იმას ზეით ხარაზიანი შესდევს; ყველგან ქუა აგვიმართავს, ზემო გორაზედაც ქუა აგვიმართავს; იმას ზემო თურავნის გზა შესდევს, იმას შეეყრება, მალლა მთაში გზის პირს დიდი ქუა არის სამძლუარათ გაგვიჩენია.

ქარწახს შუა ქუემო გორაზე ქუაყრილი<sup>1</sup> არის, იმას ზეით სათიბში სამანი ვიპოვეთ, იმას ზეით გორაზე ქუა ჩაგვისვამს, იმას შეყოლებით მთამდისინ.

[215]\* უზნარიანს შუა, საჯოგის კევეს გაღმა ხრამის პირს მალლობი არის, იმის შეყოლებით კევეს პირს მალლობი არის, იმას ზეით წყარო არის, იმ წყაროს კარწახისაკენ დიდი ლოდი არის, და იმას კარგა ზეით მალლობი გორა არის,—ეს გორა გაგვიჩენია სამძღვარათ. წყალსა და ბალახს ერთმანერთს<sup>2</sup> ნუ დაუქერენ.

მეთრევეანას შუა გაღმა მთის ძირში დიდროვანი ლოდები; იმის ჩამოსწორ კევეს პირს ქუა ჩაგვისვამს, იმის გამოსწორ გვერდში ქუა ზის, იმის ასწორ მალლა გზის პირს პატარა ქუიანი გორა არის; ეს ქალაქის გზა შეეყრება და წაიელის სამადლოსაკენ. გზას იქით კიდევ გორა არის, იმ გორის გასწორ გაღმა გორაზე დიდი ქუა ძეს, იმ ქუის გასწორ ტბის პირს ქუიანი გორა არის, და ტბამდისინ ესეები სამძღვრად გაგვიჩენია\*\*.

<sup>1</sup> ქუაყრილია. <sup>2</sup> ერთმანერთს.

\* ამ ფურცლის (გვ. 215—216) ზემო აწია მოხეულია. ...

\*\* აქ მთავრდება ხელნაწერი. მომდევნო 216 გვერზე გადამწერის ხელით მიწერილია: „განსრულდა წიგნი ესე თვესა მკათათვის ი გასულს, ჭკს უიზ, კრისტეს აქათ ჩღკთ, ჯელითა თ უ მ ა ნ ი შ ე ი ლ ი ს ა მ ი რ ვ ე ლ“.

90. [ბრძანება ვახტანგ VI-ისა ოსმალეთის სახლში

საუფროსოს აუღებლობაზე]

[1703—1724 წწ.]

ქ. დიანბეგო ერასტი და სარდლის შვილო მამუქავ, თქვენ რომ შემოგუებუწენით, ჩვენს სახლში ჩვენმა უფროსმა ბიძამ პაპუნამ თავისი საუფროსო და თავისი წილი საყოველთაოთ ძმებს დაგვირიგა, ჩვენს სახლში საუფროსო აღარ აღებულყო და თქვენს ძმას იესეს და თქვენც წიგნი გიბოძებიათ.

მე ასე გითხარით: როგორც თქვენს ბიძას, კურთხეულს პაპუნას გაურიგებია თქვენში საუფროსოს აუღებლობა, მეც იმის გარიგებას არ მოვშლი; მე იმისი გარიგებული და თქვენი პირობა აღარ მახსოვდა. რადგან თქვენ ერთმანერთში პირობა გქონიათ, ისევ ის თქვენი პირობა უნდა დამტკიცდეს.

თავად ღმერთმან ნუ ქნას თქვენის სახლის გაყრა. და თუ როდისმე მოხდეს, ან თქვენ და ან თქვენი შვილები გაიყარნენ, როგორც ერთმანერთში პირობა გაქვსთ დადებული და წერილები, ისე უნდა გაიყარნეთ.

თქვენში საუფროსოს და საუმცროსოს აღება არავისგან იქნება, არც ჩვენს დროში და არც შემდგომათ ჩვენსა.

ვახტანგ.

91. [წყალობის წიგნი ვახტანგ VI-ისა ავთანდილ

მოუკავიშვილისადმი]

[1710 წ.]

ქ. ნებიტა და შეწვენითა ღმრთისათა და წყალობითა დიდის კელმწიფისათა, ჩვენ, პირველთგანვე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთვნილისა და აწ სასუფეველ ცათა შინა სულბრწყინვლად მანათობელისა, — კურთხეულმცა არს, — იასიან-დავითიანისა და სოლომონ[ნი]იან-ბაგრატიონისა, ღმრთივ-აღმატებით-დამყარებულისა და ღმრთივ-ზეცით-გვირგვინოსანისა, პირველ ვახტანგ ქმობილისა და შემდგომად მეჰეთ-მეფისა და სპარსთა ენითა შაჰნავაზ ქმობილისა;

ძისა მისისა მეფეთ-მეფისა, ძლიერისა და ჳმაგანფენილისა, სრულიად ერანის სპასალარისა, ყანდაარისა და ქირმანის ბეგლარ-ბეგისა, გირიშქისა და ჰაიალათის მქირავისა, პირველ გიორგი მეფობით ჳმაგასულისა და შემდგომად იგიცა სპარსთა ენითა მეორე შაჰნავაზობით სახელგაწეულისა;

აწ ძმის-წულისა მისისა, ძისა ერანის მდივანბეგისა შაჰყულიხანისა, მეფეთ-მეფისა და სრულიად ერანის სპასალარისა, თავრიზისა და აღრიბეჯანის მქონებელის ხოსროვ ხანის მაგიერად მყოფმან, ძმამან მისმან, საქართველოს განმგებელმან ბატონი შვილმან პატრონმან ვახტანგ ესე ამიერით უკუნისამდინ ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადეგი მამულის წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალებთ და გიბოძეთ თქვენ, ჩამომავლობითა და თვით აწცა ჩვენთა დიდად ერთგულთა და მრავალფერად და უცხო სახედ ერთგულად და თავდადებით ნაძსახურსა, ჩვენის მოქმა-გაძალიანებისათჳინ დიდად მცდელთა და მომჭირნეთა და ყოველს ჩვენს სამჯობინარში კარგად მქცევსა ყმასა, დიდის მოურავი შვილის გიორგი შვილს, მოურავს ავთანდილს, შვილსა შენსა პაატას, ბაადურს და მამუკას, შვილიშვილსა შენსა ომანსა.

მაშინ, ოდეს შენის ერთგულობისა და ბევრ-გარჯილობის სანაცვლოდ, ვითაც კულავეც გქონებოდა, სულბრწყინვალემან ბიძამან ჩვენმან, მეფემან, პატრონმან გიორგიმ ქალაქის მოურაობა გიბოძა და გქონდა. მოკდა საქმე და არაგვის ერისთვისათჳინ მისაცემლად მოვინდომეთ. რისგან იქნებოდა თქვენდა უნებურად და უნაცვლოდ გამოგვერთმევიანა. დაგიწყეთ ლაპარაკი და მოურაობის დადება შემოგოკუეთეთ. შენ, ვი[თ]ა გჳამდა და წესი იყო ერთგულის ყმისაგან, ისრე ჰქენი და დაგვიდევო ქალაქის მოურაობა.

აწე, ჩვენცა ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და მისად სანაცვლოდ გიბოძეთ კავთისწვეს სასახლე რომ მდგარა, ის აღგილი, ზვარი და ხოდაბუნები; გლენხნი: კოშორიძე დათუნა, ტატაშვილი გოდერძა, ტატაშვილი ესტატე, ტატაშვილი ბერი, ტატაშვილი მახარა, ბერაძე ბერა, ჳანაშვილი შიო, ჳანაშვილი რამაზა, პაატიშვილი ბერი, პაატიშვილი დათუნა, პაატიშვილი გოგია, პაატიშვილი შოშია, პაატიშვილი პაპუა, ხატუაშვილი თევდორე, მისი განაყოფი ბერი, ვიადაშვილი ივანე, მისი განაყოფი ხოსიტა, ჯავახი ხოსიტა, გზირი ზურაბა, გიორგა ჯავახი, ბოგანო.

ესენი დღეს რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ, თავეთის მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვროთა თქვენთვინ და შვილთა თქვენთათვინ გვიბოძებთა.

აგრევე კავთისგევეში, რომელიც აზნაურ[ი]შვილი და მსახური ჩვენთვინ სახასოდ დარჩა, იმისი მოურაობა როგორც გქონებიათ, ისრევე მოურავი იყუნით და თუ რამე სამოურაო სდებოდეს, ისრევე იმსახურებდეთ.

გქონდესთ და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულათ სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არცა სხვათა მეპატრონეთაგან.

აწე გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვეჟილ-ვეზირნო, ბძანება ესე ჩვენი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და თვინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე ნურავინ შეეცილებით.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქორონიკონსა ტფშ, მკათათვის კჲ, პელითა კარისა ჩვენის მდივან-წიგნობრის თუ მანი-შვილის გივისითა.

## 92. წიგნი ივანეშვილისა ალავერდელ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილისადმი რუსთველისათვის ბისონის წყალობის შესახებ

[1711 წ.]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩვენ, ღმრთივ-აღმატებულმან, და ღმრთივ-დამყარებულმან, და ღმრთივ-ზეციით გვირგვინოსანმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან, მეფეთა მეფემან და თვით კელმწიფემან, პატრონმან იმამყულიხან, და დედამან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან ანამ და სასურველმან და საყუარელმან ძმამან ჩვენმან, ერევის ბეგლარბეგმან, პატრონმან მამადყულიხან და კახეთის გამგემ პატრონმან თეიმურაზ ესე მტკიცე და უცვალებელი საბოლოოდ გასათავებელი წიგნი და სიგელი გკადრეთ და მოგართვით თქუნენ, ჩვენს სულ-კურთხეულს მამა-პაპათ კელმწიფეთ სასაფლაოს წმინდის გიორგის მონასტერს და საქეთმპყრობელს, ამბა ალავერდელს ჩოლოყაშვილს ნიკოლოზს.

ასე რომე, რადგან რუსთველი დროშის პატრონი და სარდალი იყო და ბისონი არ ეცვა, ჩვენის ბრძანებით სარდლობის გულისათვინ რუსთველს ნიკოლოზს ბისონი ჩავაცვით.

და ამასდა გარდა თუ ან რუსთველმა, ან ბოდბელმა ან ნიტრადან ან გვირგვინის დახურვა მოინდომოს მაგ ქვეყანას, რომლისაც სხვა

ეფისკოპოზისა და ან ბერისა პატრივის მომატება მოინდომოს სხვამ, ჩვენმან ჩამომავალმან, სახლის-კაცმან, მეფემან, ანუ დედოფალმან, ანუ ბატონიშვილმან, ანუ გარეშე ხანმა, თუ ჯანიშინმან, ან ბისონის ჩაცმა ან მიტრისა და ან გვირგვინის დახურვა მოინდომოს და თქუენი გამსუბუქება, თავადამც რისხავს დაუსაბამო, დაუსრულებელი ღმერთი და ყოველნი მისი წმინდანი, ზეცისანი და ქვეყნისანი, გორციელი და უგორციონი, და აზრათი მურთუხალი და იმისი ოჯახი, და ბედნიერის ყენის ნასრფი და ნაყაზი იყოს. ამისი დამამტკიცებელი ღმერთმან დაამტკიცოს ორსავე სოფელს, ამინ.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქრისტიშობისთვის ია გასულს, ქორონიკონსა ტჟთ, ჰელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუ მანის შვილის შიოშისათა.

ნებითა ღმრთისითა, ჰელმწიფე, მეფეთ-მეფე იმამყულიხანი ვამტკიცებ.

ბეჭდები:

1. ვარ ჰელმწიფისა გაზრდილი დავით, მეფედ ვზი დავით იმამყულიხანი.

2. დედოფალი ანა.

3. მონა ღვთისა, ძე დავითისა, გამგე კახეთისა თეიმურაზ.

ქ. შეწევნითა და ბრძანებითა ღმრთისითა, ჩვენ, მეფემან პატრონმან იმამყულიხან, ვითარცა ამა სიგელ-საფიცარსა შიგან სწერია, ჰელად ამავე პირისა დასამტკიცებლად, ჰელ[ი]თა ჩვენითა ვსწერეთ, ქორონიკონსა ტჟთ.

დავით იმამყულიხანი.

ბეჭდი:

მონა ღვთისა დავით იმამყულიხან.

ქ. ვინცა და რამანცა პატრიარქმან, გინა კათალიკოზმან, ანუ ეფისკოპოზმან ჰელყოს შლად ამა საფიცრისა და პირისად, მასამც რისხავს ღმერთი და იგიმცა გარდაიცვლების რჯულისა თვისისაგან, ამინ.

დავით მეფე.

ბეჭედი:

მეფე იმამყულიხან.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისითა, ესე ამიერთ უკუნისამდე გასათავებელი წიგნი მოგართვით ჩვენ, ენდრონიკა-შვილმან ბოდბელმან მთავარეფისკოპოზმან, ზაქარია და ჩერქეზისშვილმან რუსთველმან მთავარ-

ეპისკოპოსზმან ნიკოლოზ, თქუენ, ჩენს გელმწიფეთ სასაფ-  
ლაოს წმინდის გიორგის მონასტერს და მის საქეთ მპყრობელს, ამბა  
ალავერდელს ჩოლოყაშვილს ნიკოლოზს. ასე რომე, მე-  
ფის დავითის ბრძანებით რუსთველმან პატივი მოიმატა და რუს-  
თველს ბისონი ჩაეცვა.

ამასდა გარდა თუ ან ნიტრა, ან გვირგვინის დახურვა, მო-  
ვინდომოთ, ან სხვა რჯულიერის საქმის წინაღმდგომი შევიქნათ,  
თქუენი ქრისტეს უარისმყოფელი ვიყვნეთ და წირვისაგან დაყ-  
ნებული.

თუ ან ჩვენ და ან ჩვენსა უკან ბოდბელმან, ანუ რუსთველმან  
ეს წიგნი გატეხოს და ამ საქმეზე ალავერდელის წინაღმდგომი  
შეიქნას, ღმრთის მგმობელად ეკითხოს და ტე[ლ]მწიფეთ სასაფლაოს  
შეცოდებად.

ქრისტიშობისთვის იჲ გასულს, ქორონიკონსა ტჳთ.

ბოდბელი ზაქარია. რუსთველი ნიკოლოზ.

93. წმიანი რუსუდან დედოფლისა კათალიკოზ დომენტიანადმი

ტავის-სხილვის აკრძალვაჲმ]

[1712 წ.]

ქ. ნებითა და შეწუენითა ღმრთისათა, ესე წიგნი და პირი მო-  
გართვით ჩუენ. დედოფალთ-დედოფალმან პატრონმა რუ-  
სუდან და ძემან ჩუენმან სასურველმან ბატონიშვილმან, პატრონ-  
მა ბაქარ თქუენ, კათალიკოზს პატრიარქს ბატონს დომენ-  
ტის, ასე და ამა პირსა ზედა რომე: ზოგს-ერთს ალაგას ტყვის  
სყიდვა გამოჩნდა და თქუენ ვითაც მართებული იყო, ეგრეთ იწ-  
ყინეთ და გამოეკიდენით.

ახლა ეს აღთქმა დაგვიდვია თქუენს წინაშე: სადაც ან სადე-  
დოფლოში და ან საუფლისწულოში, ან საცა ჩუენს საბატონოსა და  
მამულში ან ტყვის-გამსყიდველი გამოჩნდეს და ან გაყიდოს ვინმე  
და ან საყუენოს გარდა ჩუენს საბატონოში ტყვე მოიყუანოს გა-  
სასყიდელი და ჰყუანდეს ვისმე და წაართვათ და თქუენ გაუწყრეთ  
და გამოენახნეთ, მოიკითხოთ, არცა-ვის ამისთანა საქმე აქნევი-  
ნოთ, არც ვიწყინოთ და დიდათაც პელი მოგიმართოთ.

და თუ ვინმე წინ აღვიდგეთ და თქუენი ნება არა ქნას, დი-  
დათაც გამოვენახოთ და უწყინოთ.

ეს ასრე მოგვიხსენებია და დაგვიმტკიცებია, ნებითა ღმრთი-  
სათა ქეშმარიტ-არს უკუნისამდე, ამინ.

ქორონიკონს უ, მარიამობისთვის ბ.

თუ იმერელმან კაცმან მოიყუანოს ტყუე, საქართველოს კაც-  
ნან სამოსამსახუროთ შესანახავათ დაიხსნას, თვარა გასასყიდათ  
ნუ იყიდის და ნურც გაყიდის.

94. [ძარვასლის შუუვალობის წიგნი ბაჰარ მუჟისა ჯჰრის  
მონასტრისადმი]

[1719 წ.]

ამას წინათ სულბრწყინვალეს ბიძა ჩვენს, მეფეს, პატ-  
რონს გიორგის ტფილისის ქალაქს ჯვარის მონასტ-  
რის ქარვასლისათენ ასეთი წიგნი ებოძებინა, რომე ვერა მოძა-  
ლე და უნებური მდგმური ვერ დადგებოდა, ვერცაჲინ იქიდამ  
ვერას დაჰირებისათენ ცხენს ვერაჲინ გამოიყვანდა.

ახლა პაპა სერგიმ<sup>1</sup> მოგვახსენა, ის წიგნი ჯვარის მამას პარ-  
თენის გაჰყვაო და ერთი იმ რიგი წიგნი თქვენ გვიბოძეთო.

ჩვენც ეს წიგნი ხელახალავ უბოძეთ, ბატონის ბიძის ჩვენის  
ბძანებაც გავაახლეთ, ჩვენად სადღეგრძელოდ ასრე იქნებოდეს.

ქალაქის მოურაო, კარის ჩვენის გამრიგენო, შელიქ-მამასახ-  
ლისო, ნაცვალო და გზირო, ბრძანებისა ჩვენისა მორჩილნო! ჯვარ-  
ის მონასტრის ქარვასლაში ნურც თავადი, ნურც აზნაურნი,  
ნურც სტუმარი და გლეხნი ძალად ნურავის დაუყენებთ, ნურას  
დაჰირებისათის; ნურც ჩათარი, ნურც სასწაფო გაგზავნილნი  
ცხენს ნუ გამოიყვანებენ, თორემ ჩვენად შეცოდებათ მოვიკითხავთ,  
იყოღეთ.

ქორონიკონს უზ, აპრილის ბ.

ბეჰედი მეფე ბაქარისა.

95. [მცხეთის სასარდლოს განწმენების წიგნი პახტაფ VI-ისა

[1720 წ.]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩვენ, ღმრთივ-ალმატებულ-  
მან და ღმრთივ-დამყარებულმან, ღმრთივ-ცხებით-გვირგვინოსანმან,  
იესიან-დაფი[თი]ან-სოლომონიან-პანკრატონიანმან, ღმრთის მიერ  
სრულიად საქართველოს მტკიცეთ მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-  
მეფემან და თვით ქელმწიფემან პატრონმან ვახტანგ და თანა-  
მეცხედრემა ჩვენმან, ჩ[ერქე]ზის ბატონისა ასულმან, დედოფალთ-  
დედოფალმან პატრონმან რუ[ს]უდან, ღმრთივ-ალმატებულმან,  
ღმრთივ-დამყარებულმან, ღმრთივ-ცხებ[ი]თ-გვირგვინოსანმან პირმ-

<sup>1</sup> სერგის.

შომა და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმა ბაქარ და პატრონმან გიორგიმ ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და მიზეზ შემოუ[ვ]ლებელი ლაშქრ[ო]ბის პირი და სიგელი დავსდევით და განვაწესეთ, და მოგართვით თქვენ, ჩვენსა სასოსა და სიქადულსა სვეტსა ცხოველსა და კვართსა საუფლოსა, მირონ-ღმერთ-მყოფელსა, და მაზედა მჯდომარესა წმიდასა და ყოვლად სანატრელსა ძმასა ჩვენსა კათალიკოზ პატრი[ა]ქსა ბატონს დომენტის, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ძველთ ჴელმწიფეთაგანც წიგნი გქ[ონ]დათ და გარიგებულთ ასრე ყოფილიყო და აწ კუალად ჩვენცა აგრევე გავარიგეთ და დავამტკიცეთ: რასაც ალაგს სვეტის ცხოველის ყმა არის: ზემო ქართლს, თუ ქვემო ქართლს, გაღმა, გინა გამოღმა, მუხრანს, სომხითს, თუ საბარათიანოს, გინა თრიალეთს, ქალაქს, გორს, ქრციხილოვანს, მთას თუ ბარსა, რასაც ალაგს სვეტის ცხოველის ყმა ესახლოს, არას სარდალს ჴელი არ[ა] აქვს. თავისი დარბაისელ-აზნაურიშვილ[ლ]-მსახურ-გლეხნი, დიდნი და მცირენი, ყოვლის აღ[ა]ვიდამ ბატონს კათალიკოზს უნდა შემოეყრებოდენ, ლაშქრობას თუ ნადირობას ჩვენს დროშაზედ უნდა იქნებოდენ.

ესე ასრე დავამტკიცებთ და გავგირიგებთ. ნუმცა-ვინ არს მკადრე შლად დი ქვევად წიგნისა ამისა.

დაიწერა ინდიკტიონსა მეფობის ჩვენისათა, ქორონიკონს უშ, აგუსტოსა ლ, ჴელითა კარისა ჩვენის მდივან-მწიგნობრის გიორგისათა.

ხელჩართულად:

ვახტანგ. რუსუდანი.

ქ. რა რიგათ ვახტანგ მეფეთ-მეფეს<sup>1</sup> პატრონს, მამა-ჩვენს, ძველთ ჴელმწიფეთ გარიგება ჴელახლა გაურიგებია<sup>2</sup> და დაუმტკიცებია, ჩვენც აგრევე მეფეთ-მეფემან, პატრონმა ბაქარ მათი გარიგება და ბძანება ჩვენც მოუშლელათ დავამტკიცეთ და გაურიგეთ.

თუ ვინც იცის, ბატონი კათალიკოზი ლაშქარ-ნადირობას ჩვენთან არ ბრძანდებოდეს, იმის სარდალსა და მსახურ-აზნაური-შვილთა სამცხეთო ჯვარი ჩვენს დროშაზედ იქნებოდეს; სხვას სარდალსა და მოსაქმეს ჴელი ნუ აქუს.

ხელჩართულად:

ბაქარ.

<sup>1</sup> მეფეთ მეფე] მეფეს ფეფეთ. <sup>2</sup> გარიგებულთა.



ქ. ნებითა ღმრთისათა და შეწევნითა ყოველთა წმინდ[ა]თა-მის-  
თათა, ჩვენ, ღმრთისა მიერ მალლით გვირგვინოსანმან, იესიან-დავით-  
იან-სოლომონიან-პანკრატოვანმან, დიდის ირანის მალლის ტელმწი-  
ფისაგან შეილად აღზრდილმან, ქართლის უფლისწულმან და კახეთის  
მპყრობელმან, მეფეთ-მეფემან და ტელმწიფემან დავით იმამ-  
ყულიხან და თანამეცხედრემან ჩვენმან, ერანის ეთიმადავლეს დამან  
და ერევნის ბეგლარბეგის ასულმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატ-  
რონმან ხახრიჯანბეგუმ დასასურველმან ძმამან ჩვენმან ბატონის-შვილ-  
მან თეიმურაზ, და პიროშომან ძემან ჩვენმან ალექსანდრე მაჰმად მირ-  
ზამან, და ლევან ალიმირზამ ესე უკუნითი-უკუნისამდე ჟამთა და  
ხანთა გასათავებელი, მტკიცე შეურყეველი და უცვალებელი სი-  
გელი და საფიცარი გკადრეთ<sup>1</sup> და მოგახსენეთ თქუენ, დიდსა შე-  
სავედრებელსა და მთარველსა ჩვენსა, დიდებულსა მთავარმოწამეს  
წმინდას გიორგის თვალის ხარჭაშოს და მას-ზედა მჯდომარესა  
ჩოლოყასშვილს, ხარჭაშნელ ეპისკოპოსს ბატონს ნიკო-  
ლოზს, ასე და ამა პირსა ზედან, რომე:

თქვენს სამწყსოში გარიგებული ასრე ყოფილიყო ჩვენთა  
მამა-პაპათაგან, რომე: მსახურს კაცს ცხენი სდებოდა. საწირავი; და  
მოყალნეს კაცს, და ვინც ცოლიანი კაცი<sup>2</sup> მოკუდებოდა თიანე-  
თში, თუ სადაც, თქუენი სამწყსო, ჯარი საწირავად მოერთმევეინა.

აწე, ჩვენ შეწირულობა და ჩვენთა მამა-პაპათაგან გარიგებული  
არა მოგვიშლია რა, არცა-რა გამოგვიჭუია, თვინიერ ამის მეტი,  
რომე თიანელნიც შემოგეხევენენ ამას, და ჩვენც ეს გაუგონეთ  
ასე და ამრიგად, რომე:

დიდს ომში ჩვენს წინ, თუ ჩვენს ძმასთან ამ-რიგად მტრისა-  
გან თქუენი სამწყსო თიანელი კაცი მოკუდეს, თვითანც დაიკარ-  
გოს, და ცხენი თუ იარაღიც დაეკარგოს, მსახური თუ მოყალნე,  
იმისთანა კაცს ჩვენც შეუალეთ საწირავი და ნულარც ბატონ ხა-  
რჭაშნელები საწირავს ნუ სთხოვენ, ნურცა რას გამოეკიდებიან.

ამას გარდა, ან მგზავრად მავალი მტერმან მოკლას, ან თავის  
სახლში თავს-დასხმით, ან ახმეტას მოკუდეს და ულაცობაში, ამ-  
გვარის მკუდრისა საწირავი არც შეგვიალეგია და ნურც-ვინ თია-  
ნელი კაცი ამაზედ ხარჭაშნელებს ალაპარაკებს. და როგორც კუ-

<sup>1</sup> გკადრათ. <sup>2</sup> რმ.

ლავ ემსახუროსთ, ისევე მსახურონ და საწირავი მიაართონ მსახურ-  
მაც [და] მოყალნეთაც.

და ამა ჩვენის ბძანების მომშლელად არავინ გვიბრძანებია.  
ჩვენ თიანელთათვისცა ამ რიგად წიგნი გვიბოძებია.

ამ რიგს და ჩვენს ბძანებას ნურც ხარჭაშნელნი გარდაელენ  
და ნურც თიანელნი.

აწე, მოგახსენებთ სახლისა ჩვენისა უფლისწულნო, ვინცა  
დღეს მპყრობელ იყუნეთ, ანუ დღეის წალმართ თიანეთს დაიპყრობ-  
დეთ, და გიბძანებთ თიანეთის მოურავნო და სხვანო წვრილნო  
მოხელენო, ნაცვალნო და ერთობილნო თიანელნო: ესე ჩვენგან  
გარიგებული რიგი და გარჩევა თქვენცა ასე გაიგონეთ და გაუ-  
რიგეთ. და მიზეზობით უსაქმოს ლაპარაკით ნურავინ მოუშლით  
ჩვენგან ნაბოძებსა სიგელსა ამას.

გიბრძანებთ თქვენცა, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და  
სხვანო მოსაქმენო: ვითა ფარვანსა ამას ჩვენსა შიგან გაგვერჩიოს,  
თქვენც ასე დაუმტკიცეთ და გაურიგეთ.

და თუ ვინმე და რომელმან ვინმე წინა-აღდგომით სიტყუა  
რამე თქვას: ხარჭაშნელთ ანუ თიანელთ, ნდომით და ანგარე-  
ბით, ესე სიგელი აღმოიკითხეთ და ამისსა პირსა ზედა გაურიგეთ  
და გა[ა]თავეთ.

ჩვენ არც თიანელთ წყალობა მოგვიშლია და არც ამას მო-  
ვშლით.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქორონიკონს უთ, ოკდონ-  
ბერს ოცს გასულს, ჯელითა რუსთველ მიტროპოლიტის  
ჩერქეზის ძის ნიკოლოზისათა.

მრავალმცა არიან წელნი და ქამნი ცხოვრებისა და მეფობი]-  
სა ჩვენისანი სიმრავლესა შინა ქამთასა, აწდა უ[კ]უხითი უკუნი-  
სამდე, ამინ.

მინაწერი მარცხენა კიდებზე:

ჩვენ, საქართველოს მეფეთ-ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე,  
მეფე ერეკლე და თანამეცხედრე ჩვენი დედოფალთ-დედოფალი  
ანა, სასურველი ძე ჩვენი, უფლისწული სრულიად საქართველოსი,  
ბატონის-შვილი პატრონი ვახტანგ და საყვარელი ბიძის-ძე ჩვენი  
ასან-მირზა ვამტკიცებთ წიგნსა ამას. რაგვარადაც ბატონს ბიძას  
ჩვენს გაურიგებია, ჩვენც ამრიგათ გვიბძანებია და ხელახლა და-  
გვიმტკიცებია, ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა წელსა მეშვიდესა,  
თვესა თიბათვესა 8, ჯელითა მდივნის ოთარისათა, ქორო-  
ნიკონს ულჴ (?).

## 97. ღმრთაების გუჯარი

[1722 წ.]

ღმერთო!

კარი პირველი!

მურასად-მეტყუელებისა, ღმრთაებისა გუჰარად წოდებულისა  
წიგნისა შესავალი

სახელითა ღმრთისა<sup>2</sup> მოწყალე-შემბრალელებისათა, სახელითა  
ღმრთისათა ნათლისათა, სახელითა ღმრთისათა ნათელთა-ნათლი-  
სათა, სახელითა ღმრთისათა ნათელთა ზესთა-ნათლისათა, სახე-  
ლითა ღმრთისათა, რომელმან დაჰბადა ნათელი ნათლისა მიერ,  
ხოლო<sup>3</sup> მოაგლინა ნათელი მთასა სინასასა, სახელითა ღმრთისათა  
უზეშთეეს ყოველთა, სახელთა მისთა შევეელი ბქესა გულისა ჩემისა  
მონახაზობისასა და შთავჰკდები მისსა განზრახვისა შინა, მე, ათორ-  
მეტთა ღმრთისა ღირსთა მოციქულთა მ[ო]ნათა მონისა უმცირეს-  
ულირსი მონა და ამად ემამყულად კმობილი, ცოდვილი მონა  
ვინმე;

ხოლო კჳალად ყოველთა კეთილმორწმუნეთა და მართმადი-  
ლებელთა და ღმრთისა მონათა მონა დავით წოდებული, უბირი  
მონა ვინმე აღვძრავ კლიტესა ჩემსა ენისასა და აღვახუამ ბავეთა  
ჩემთა—კარსა გონებისა ჩემისა საუნჯისასა, და აღმოვიხუნი მის  
მიერ კმისა ჩემისა კელითა გუჰართა სიტყუისათა, და იავუნდათა  
ღმრთისა დიდებისათა, და აღმასთა მისავე სუფევისათა, და ლალ-  
თა მეუფისა პატივისათა, და ზურმუხტთა მისავე მადლობისათა,  
და მარგალიტთა სწორეთა უფლისა ქებისათა, და ფირუზთა მისავე  
ხოტებისათა.

ხოლო აღვრიცხუავ რიტორებითა, კნინთა აღურიცხველისა  
რიცხვისა მათისასა, პირველად ან-ბანისა ასოთა რიგისა აღრი-  
ცხვითა, და მერმედ ეგრევე ან-ბანისა ასოთა შეთხზულისა კე-  
თილთა სიტყუათა თქმითა:

<sup>1</sup> ღმერთო კარი პირველი) კარი პირველი ღმრთო B. <sup>2</sup> წიგნისა შესავალი  
სახელითა ღმრთისა) წიგნსახელითა ღმრთი ნისა შესავალი სა B. <sup>3</sup> + დიდება ღმრთი-  
სა მიმართ, რომელმან დაჰბადა ნათელი ნათლის მიერ ხოლო B.

ხოლო შთავსებამ იმ ფასდაუდებელთა სიტყუარებისა ლითონითა<sup>1</sup> აღმოცენებულთა პატროსანთა თვალთა, კეთილ-მორწმუნობისა ოქროსა და ღმრთისა სიშისა მინაქართა გულთა ბუდეთა შიგან; და აღმოუყენ ფუათა ბრწყინვალეთა მართმადიდებლობისა ნათლისათა; და ვიქმ ღმრთისა ერთ-უფლად ცნობათა მთავრობისა გვირგვინთა ჯილად და შთაურჭუამ მას კალმისა წვერითა ანაკრეფთა<sup>2</sup> და მარჯვენისა ჩემისა მიერ შთეკრულთა, მიუწოდომელთა ღმრთისა სიმალლეთა შინა ფრიად სწრაფად და მიუწდომლად მფრინველისა, ბრძენთა ჭკუათა ომაიანის<sup>3</sup> ფრენად მუშკ-ანბარისა მელნისა ფერთა წერილთა მწვერვალო ფრთისა თელთა; და შთაეხუევ ვერცხლისა ფურცელთა ქარტათა შიგან; აღმოვფხური გუჯართა სახელითა ჯანსა ჯოჯოხეთისასა; და დავრთავ ჰაერსა საშოთხისა ჰაეროვნებისა.

და უწოდებ ამა წიგნსა გუჰარსა ღმრთაებისასა და დაესდებ სასოებისა ნათელთა ტაბაკთა ზედა; და აღვიხუნი ღმრთისა სა[ა]ჯოდ აღპყობილის კელითა ჩემითა და შევზღუნი ცათა და ქვეყანათა და ყოველთა მათ შუა მყოფთა დამბადებელსა უფალსა ღმერთსა ჩვენსა.

და ვჰქადრებ: აჰა არსო, ბუნებაო ბრძენთა, გამოძიებითაცა გამოუცნობელო, დაუსაბამო, დაუსრულებელო; ეჰა, ებრობითა ვითარებულად ვედრებულთა ზენათა ზესთაო; ოჲ ოჲზეკიებითა თავთა თაყუანებულთა, იაგუნდოსანთა, იანაჯიანთა<sup>4</sup>, კიმილოსანთა, კიბე-ლალიანთა მეუფეთა მეუფეო<sup>5</sup>; ნანდვილო ნათელო, ოხა ოფაზო პირველო, პირველთა ეამთა რაინდო, რონინებელო საუკუნოთა სამეუფოთაო ტვიფრულ ტახტოსანთა, უამრავად უმალღესო, ფილასოფოსთა ფრიად ქველ ქადაგებათა, ღრმათა ღუპვათა ყოყმანისათა ყმუნებათა შთამწყუდო, შეენიერებაო ჩვენთა ჩინებულთა ცნებულთა ცნებათაო, ძრწიან ძლიერნი წინაშე წყრომათა ჭირთა ჭეშმარიტებისათა, ხოლო ხოირთა კელმწიფეთ კელმწიფობისათა ჯავარად ჯილაო ჰაეროვნებისაო, ჰარსებისათვისი ჭი ჭოხ, მეოხო ღირსთა და ჩემებრ ცოდვილთა მონათა შენთაო!

[გ]ქადრებ და გვედრებ, მუნ ლექსითა ჩემითა ქებათა და დიდებათა შენთა მეტყუელებისა ღირს-ქმნილებასა, რომლითა მითქვამს:

---

<sup>1</sup> რითონითა B. <sup>2</sup> ინაკრეფთა B. <sup>3</sup> ომაიანის B. <sup>4</sup> იანჯიანთა B. <sup>5</sup> მეუფეთა მეუფეო A.

ჭი შენ, უფალო, თვით შეუცვალო,  
ბაგენი ჩემნი აღმოხუენ შენად  
მონას უღირსსა, ქვეყნად უღირსა,  
ღირსა თუ ღირსა მან გიხუნას ენად.  
იგ გადიდებდეს, სრულად გაქებდეს,  
მას ქადაგებდეს ყოველთა სმენად.  
და კადროს ხოტბანი, ცოდვისა ტბანი,  
ვით შაენი ზღვანი დაუშრევ თმენად.

ღირს მყუენ ჩვენ, მეუფეო კადნიერებით დაუსჯელად კადრე-  
ბად და ხადად შენდა, ზეცათა ღმრთისა მოწყალისა, და თქმად  
ქებათა და დიდებათა შენთა, ამინ!

#### პარი მარია

**ღმრთისა ქებათა და დიდებათა მეტყუელებისა, ღმრთაებისა  
გუჰარად კმობილისა წიგნისა დასაწყისი**

აწე უკუე ვითარ კელ-ვყო ქებად და დიდებად და სუფევად  
და პატივად შენდა, რამეთუ შენი არს სუფევა ყოვლად პატივი  
და თაყუანის-ცემა აწ და მარადის, უკუნითი-უკუნისამდე!

ღმერთო წმინდაო, რომელი ანგელოზთა მიერ იგალობები,  
და ყოველთგანვე ზეცისა ძალთაგან დიდებას იმეტყუელები, და მა-  
რადის თაყუანის იცემები, რომელმან არა-არსისაგან არსებად მოგვი-  
ყუანენ ჩვენ, და დაჰბადე კაცი თაყუანის-მცემლად შენდა, და შე-  
ამკევ ყოვლითავე მადლითა შენითა, და მისცემ მედრებელთა შენ-  
თა სიბრძნესა და გულისკმის-ყოფასა, და არა შეურაცხყოფ ცოდ-  
ვილთა, არამედ განუწყესებ სინანულსა!

ჭი შენ, მიწდომად მიუწდომელო და მიხდომად მიუხდომელო,  
გონებისა მიერ მოუგონებელო და ენათგან გამოუთქმელო, გამოძი-  
ებულობისა მიერ გამოუძიებელო, გამოურკუეველო, გამოუბრკუევე-  
ლო, უსაზღროვო, გარე-შემოუწერელო, პირველითგანობისა და მა-  
რადის მყოფადობისა დაუსაბამო<sup>1</sup>. დაუსაწყისო, უქმნელო-უნივთო,  
გონება-შემოუღებელო, ანგელოზთაცა უხილავო და განუცდელი!

<sup>1</sup> დაუსაბამო B.

ანუ ვითარ ვიწყო პატივი და სუფევა, ქება და დიდება შენი, რამეთუ წმინდა ხარ შენ, ღმერთო და შენდა დიდებასა აყუავილებ<sup>1</sup> აწ და მარადის, უკუნითი-უკუნისამდე. ღირს არს და მართალ შენდა ქება, შენდა დიდება, შენდა სუფევა, შენდა პატივი, შენდა თაყუანის-ცემად ყოველსა ადგილსა მეუფებისა შენისასა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი გამოუთარგმანებელი<sup>2</sup>, მოუგონებელი, უხილავი, მიუწლომელი. მარადის ხარ, ვითარცა იგი ხარ და იგივე უკუნისამდე!

ჭი შენ, ღმერთო დიდებისაო საუკუნითგან ვიდრე უკუნისამდე, დიდთა და მიუწლომელთა საკუთრველ-მოკმედეებათა<sup>3</sup> ყოველთა, თუით შექმნულთა ბრძანებით დამბადებელ-გამომჩენელო და ყოველთა შემოკმედო, ერთ-უფლებაო, ერთ-არსებაო, ერთ-მეუფებაო, ერთ-ბუნებაო, განუყოფელო პატრონო ყოვლისა მოწყალეებისაო, და უფალო ყოვლისა კეთილისაო!

ხოლო მეუფეო ყოვლისა დიდებისაო, ძლიერო, უძლეველო, მეცნიერო ყოველთა მეცნიერებათაო უკუნითი-უკუნისამდე, არსო დაუსაბაძო-დაუსრულებელო, მსმენელო, მხილველო უნებურთა შენთა არა მოკმედო!

იყავ ძლიერი, ოდეს არ იყუნეს ძლიერაბანი; ხოლო იყავ მეცნიერი ყოვლისა მეცნიერებათანი, ოდეს არ იყუნეს მეცნიერებანი; იყო მარადის მეუფება შენი, ოდეს არ იყუნეს სამეუფონი; ხოლო სიწმინდე შენი, ოდეს არ იყუნეს ჭამნი და დრონი ხანთანი; იყო არსება შენი წინათა წინათასა; ხოლო არს მყოფადობა შენი უბოლოოთა ბოლოთა ბოლოთასა.

არა სახვენ ბრძენნი ჭკუითა<sup>4</sup> თვისითა ებრსა შენსა; ვერცა იხილვენ ფილასოფოსნი, გულისა სარკეთა შიგან შთახედულობითა, მებრსა შენსა; ვერცა მხილობენ მეცნიერნი მზგავსსა<sup>5</sup> შენსა; ხოლო ვერცა ზრახვენ უგუნურნიცა მსგავსებსა შენსა, ვინ არს მფსონი შენი, მეუფებასა შენსა თანა.

ხოლო რა არს საზოგადო საუფლოსა შენსა შინა? ვფიცავ არავინ<sup>6</sup> არს!

ხოლო არც რა არს, მადლმან წმინდისა ბუნებისა შენისამან, ზენა ზენარო, ზესთა ზეშთაო, რომელ არიან ზომანი ჭკუათა ჭკუთანი, უმოკლე მოკლეთა შენთა სიმალლეთა ზომისანი!

გესავ ბუნებასა არვისად გუანებასა, გზრახავ გონებასა, მტკიცედ ვყოფ რწმუნებასა, რომელ ვერა გაგიგებენ ჭკუანი, ვერცა გცნობენ ცნებანი, ხოლო ვერცა გამოგსახვენ სარკენი გულისანი,

<sup>1</sup> აყუავლებ B. <sup>2</sup> გამოთარგმანებელი B. <sup>3</sup> საკურველ მოკმედეებათა B.

<sup>4</sup> ჭკუათა B. <sup>5</sup> მზგავს A, მზავსა B. <sup>6</sup> არავინა B.

ვერცა გიხ[ი]ლვენ თვალნი, ვერცა გამოგიტყუიან ენანი, ვერა ბრძენთანი და ვერცა ფილასოფოსთანი, ვეიცავ მადლმან წმინდისა სახელისა შენისამან!

ხოლო ხარ უფალი, მარადის საუკუნოსა ჴელმწიფობისანი. ხოლო ხარ ძლიერებითა მძლევე სპა-მვედართა და შემწეთა არა შეწვენითა. ხოლო ხარ პატრონი ძლიერებისა დამყარებულისა, წარმავალთა დღეთა და დროთა და ხანთანი. ხოლო წელთა და დღეთა წარსულთა ზედან ძლიერ არს მეუფება შენი ძლიერებითა, რომელ არა არს<sup>1</sup> საზღვარი პირველობისა.

ხოლო არცა დასასრული ბოლოსა მისისათვის აღემაღლა ჴელმწიფობა შენი, რომელ დაერდენ ყოველნი მიუწოდომლობითა დაუსრულებელისა დასასრულისა მისისათა. ვერა მისწულებიან უმდაბლესსა კიბესა კიბეთასა, რომელსა ხარ მხოლოდ დაუსრულებელისა სიმაღლისათა აღსასრულნი, ქებანი მქებელთანი და დანიკარგენს შენშიგან ხოტბანი ყოველთა შემსხმელთა შენთანი.

ხოლო განქიჲდეს კეთილოვნებათა შენთა თანა კეთილ-მეტყუელება კეთილთა შენთა წარმომთქმელთანი და განცუვიფრდეს დიდებულობისა შენისა წინა სიღრმენი ყოვლისა ჴკუისანი.

ხარ ჴეშმარიტად ღმერთი პირველი, პირველობასა შენსა შინა. ხოლო კულად ეგრევე ხარ ჴეშმარიტად ესრეთ უკუნითი უკუნისამდე, რომელ ათა არს დასასრული<sup>2</sup> მეუფებისა შენისათვის.

ჴე, რომელთა ანსთ ყოველთა ჴელმწიფეთა კისერთა ზედან უღელნი მცირისა მონებისა შენისანი. ხოლო არიან ყოველნივე მოსიშნი მძლავრისა რისხვისა შენისანი.

ჴე შემოქმედო ყოველთა შემოქმედთაო და ჴელმწიფეო ყოველთა ჴელმწიფეთაო! ხოლო დიდებულო ყოველთა დიდებულთაო და ჴესთა ყოველთა ჴესთაო! ხოლო მეუფეო ყოველთა მეუფეთაო!

#### პარი მხამე

ამა წიგნისა, ცათა და ჴვეყანათა ღმრთისა მიერ დაბადებისა და კულად მის მიერ მათთა ჴცეულებათა-მეტყუელება, არა წმინდათა რჯულიერთა სჯულისა მთავართა სიბრძნითა ნაბრძანები, არამედ ფილასოფოსთა ჴკუისა მიერ გამოცნობითა თქმული და მუნ ღმრთისა ქებად და დიდებად წარეტყუილი

ჴე, რომელმან დაჰბადე სფერო მიწისა, გარე-მოცული ჴღვისა სფეროსა მიერ, ხოლო ჴღვა მიწითვე გარე-შეცული ჰაერისა სფეროს მიერ, ხოლო სფერო ჰაერისა გარე-შეცული ეთერისა სფეროსა მიერ.

<sup>1</sup> მეუფება... არა არს—B. <sup>2</sup> დასსრული A.

ხოლო სფერო ეთერისა გარე-შეცული პირველისა ცისა სფეროსა მიერ, რომელ არს ცა იგი მთოვარისა<sup>1</sup>. რომელ არს მაშვიგან მთოვარე ვარსკულავი ტუიფრული, არა განმანათლებელი ნათლითა თვისითა, არამედ ნათელი მისი არს თინათინი მზისანი, და უხილველობა და განესება-განლევა მისი არს კულად მზისა ქვე სი-ახლოვე-სიშორესა მიერ, და ვერ-ლა-რა ხილვა მისი არს ვგრევე მზისა ქუე-შედგომითა, რათა ვცნათ და აღუვრიცხუოთ დღენი არაბულთა დღეთა და წელთანი. და უკუნი მისი მიწისა სფეროსა ჩრდილისა მიერ ეგების. ხოლო არს მთოვარე ვარსკულავი, გამო-მზრდელი მიწათა და მიწიერთა, ხოლო ზღვათა და ზღვიერთა.

ხოლო სფერო ცისა პირველისა, გარე-შეცული მეორესა ცისა სფეროსა მიერ, რომელ არს მაშვიგან ვარსკულავი ერმისა. ხოლო არს ერმი მნათობი, გამომზრდელი ყოველთა მწიგნობართა და მწერალთა და მოანგარიშეთა. ხოლო მკურნალთა და რიტორ-მოშაირეთა და ყოველთა ვაჭართა, არა კეთილ და არცა ბოროტებით მოქმედი ქვეყნისა, არამედ კეთილ-ბოროტებითა მოქმედობა მისი კეთილისა და ბოროტისა მოქმედთა ვარსკულავთა შეწყობისა მიერ ეგების.

ხოლო სფერო ცისა მეორისა, გარე-შეცული მესამესა ცისა სფეროსა მიერ, რომელ არს მაშვიგან ვარსკულავი აფრიდოტისი. ხოლო არს აფრიდოტი მნათობი, გამომზრდელი ყოველთა დედათა, და<sup>2</sup> ბანონათა, და მუტრიბთა, და მკურელთა, და მოშაითთა, მსახურთა, მწვევლთა, და კაცთა საჭურისთა, და ლხინ-სიხარულთა მოქმედი ქუეყნისათვის.

ხოლო სფერო ცისა მესამისა, გარე-შეცული მეოთხესა ცისა სფეროსა მიერ, რომელ<sup>3</sup> არს მაშვიგან ვარსკულავი მზისა. ხოლო არს მზე მნათობი, გამომზრდელი ყოველთა ჯელმწიფეთა და მეფეთ-მეფეთა და ყოველთა მიწისა მიერ აღმოცენებულთა. და უკუნი მისი მთოვარისა<sup>4</sup> მის ქვე-შედგომისა დაფარვითა ეგების.

ხოლო სფერო მეოთხისა ცისა, გარე-შეცული მესამესა ცისა სფეროსა მიერ, რომელ არს მაშვიგან ვარსკულავი არიასი; ხოლო არია—მნ[ა]ობი, გამომზრდელი ყოველთა მეპატრონეთა, და მკვ-დართ-მთავართა, და სპათსპეტთა, და ყოველთა მებრძოლთა, და მაენებელი ქვეყანისა.

ხოლო სფერო მეხუთის ცისა, გარე-შეცული მეექვსესა ცისა სფეროსა მიერ, რომელ არს მაშვიგან ვარსკულავი დიასი; ხოლო არს დია მნათობი, გამომზრდელი ვეზირთა, და სჯულისა<sup>4</sup> თავთა, და ყოველთა დიდებულთა, და მოქმედი ყოველისა კეთილისა ქვეყნისათვის.

<sup>1</sup> მთავარისა B. <sup>2</sup> და—B. <sup>3</sup> რომელთა A. <sup>4</sup> სჯულის B.



ხოლო სფერო მე[ე]ქუსისა ცისა, გარე-შეცული მე შვი დე ს ა ცისა სფეროსა მიერ, რომელ არს მაშიგან ვარსკულავე კრონოსი<sup>1</sup>; ხოლო არს კრონოსი მნათობი, გამომზრდელი ყოველთა ციხოვანთა, და მათა<sup>2</sup> და ბართა მსახლობელთა, ხოლო ბერთა და განდგომილთა, და კაცთა და დედათა მოხუცებულთა, და ყოველთა მუშაკთა, და მგრძნობელი ქვეყანისა.

ხოლო სფერო მეშვიდისა ცისა, გარე-შეცული მე რ ე ვ ს ა ცისა სფეროსა მიერ, რომელ არიან მაშიგან ათორმეტნი ზოდნიანი, ხოლო სხვა მრავალი უთვალავი ვარსკულაენიცა. და ათორმეტთა ზოდნიათა, რომელთა ამა სახელითა ვცნობთ და ეგრევე სახითაცა: ვერძი, კურო, მარჩიბვი, კირჩხიბი, ლომი, ქალწული, სასწორი, ღრიანკელი, მშვილდი, თხის რქა, მერწყული, თევზი. რომელ არიან ესე ზოდნიანი მნათობნი მთოვარისა მათ სისწორ-მყოფადობას შინა ნიშანნი კეთილისა და ბოროტისა ჟამთანი, და რიცხუი არაბულთა წელთა და თვეთა დღეთანი. და მზისა მათ სისწორ-მყოფადობასა შინა აღვრიცხუავთ დღეთა, კუირათა და თვეთა წელთასა, და ვცნობთ დროთა ოთხთა ნაირთასა, ვითარმედ: გაზაფხულ-შ[ე]ქმო-დგომისა და ზაფხულ-ზამთრისასა.

ხოლო სფერო მერვისა ცისა, გარე-შეცული მე ც ხ რ ე ს ა ცისა სფეროსა მიერ, რომელ არს ცა იგი უვარსკულავო, კმობილი ცათა ცად, ხოლო წოდებული ატლასად.

თუით ხარ მეუფე[ე]ო უფალო ღმერთო ჩვენო მხოლოდ ოდენ გარე-შე[ე]საზულდრებელი, და გარე-შემცველი, და აღმვსებელი შენ მიერ დაბადებულთა ცათა და ქუეყანათა, და ყოველთა მათ-შიგან მყოფადთა, ვფიცავ მადლმან წმინდისა ერთობისა შენისამან, ვითარ-ცა გაქებს კულად ეგრევე ლექსი ჩემი, რომელი მითქუამს:

არა არს ძალი არ ჰქონდეს სიტკბო შენისა ჯმისანი.

ზღვა მიწით. ჰაერ-ეთერი, სფერონი ცხრისა ცისანი<sup>3</sup>

შენით აღვსილა, ვერ ვპოვეთ ნიშანიც ალაგისანი.

და ჩვენ არსთა კარის გლახაკთა ვერ გაგვიგია სრისანი.

დიდ ხარ შენ, უფალო, და საკუირველ არიან საქმენი შენნი, რომელი ავლენ დასავლეთით აღმოსავლეთად სფეროსა მთოვარისა ცისასა, ძლიერებითა შენითა, სხვათა ვარსკულაკთა უადრესად, რამეთუ მოვლის: ოცდაშვიდსა და მესამედსა დღესა სიგრგულესა ცისასა; ხოლო ავლენ დასავლეთით აღმოსავლეთსა მიმართ სფეროსა ერმისა ცისასა, ბრძანებითა შენითა, რამეთუ ნოვლის იგი წელიწადსა შინა ერთსა სიგრგულესა ცისასა; ხოლო ავლენ დასავლეთით აღმოსავლეთად სფეროსა აფრიდოტცისა ცისასა, ნებითა შენითა, რამეთუ მოვლის იგიცა წელიწადსა შინა ერთსა სიგრგულესა ცისასა; ხოლო ავლენ დასავლეთით აღმოსავლეთსა მიმართ სფეროსა მზისა ცისასა, რამეთუ მოვლის

<sup>1</sup> კრონოსი B. <sup>2</sup> მნათთა B. <sup>3</sup> ცისა B.

იგიცა წელიწადსა შინა ერთსა სიგრჯულესა ცისასა; ხოლო ავ-  
ლენ, წადიერებითა შენითა, დასაველეთით აღმოსაველეთად სფე-  
როსა არეასა ცისასა, რამეთუ მოვლის იგი ორსა წელიწადსა  
ერთ თვე ნახევარ ნაკლებსა შინა სიგრჯულესა ცისასა; ხოლო ავ-  
ლენ ძლიერებითა შენითა დას[ა]ველეთით აღმოსაველეთსა მიმართ  
სფეროსა დიასა ცისასა, რამეთუ მოვლის იგი ათორმეტთა წელი-  
წადთა შინა სიგრჯულესა ცისასა; ხოლო ავლენ დასაველეთით აღ-  
მოსაველეთად, ბრძანებითა შენითა, სფეროსა კრონოსისა ცისასა,  
რამეთუ მოვლის იგი ოცდაათსა წელიწადსა შინა სიგრჯულესა  
ცისასა; ხოლო ავლენ დასაველეთით აღმოსაველეთსა მიმართ სფე-  
როსა ათორმეტთა ზოდიათა და სხვათა მრავალთა მაშიგან მყოფ-  
თა ვარსკულავთა ცის[ა]სა<sup>1</sup>, რამეთუ მოვლიან იგინიცა ოცდაათ  
ათას წელიწადთა შინა სიგრჯულესა ცისასა; ხოლო ავლენ ძლიე-  
რებითა შენითა აღმოსაველეთით დასაველეთსა მიმართ უვარსკულა-  
ვოსა სფეროსა ცათა ცისასა, კომბილსა ატლასად, რომელი ავლენს  
კულად . ეგრევე აღმოსაველეთით დასაველეთსა მიმართ რვასავე სფე-  
როთა ცათასა, რამეთუ თუით მოვლის და მოავლენს მათ ერთ  
დღისა და ღამისა ოცდაოთხთა<sup>2</sup> ჟამთა შინა სიგრჯულესა ცისასა.

ჲე, რომელმან მიეც მთოვარესა სიგრილე და სისოველე, და  
ბუნება მდებარული, და ჰყავ იგი მოციქულებათა, და მიწისა მე-  
შე ი დ ე ს ა კერძოსა ვარსკულავად.

ხოლო მიუტევე ერმისა ორტაბახება, და ბუნებითა მამრულე-  
ბათა ბუნებათა თანა ახლოება, და ჰყავ მექუსესა მიწისა კერძოსა  
ვარსკულავად.

ხოლო მიუბოძე აფრიდოტსა სიგრილე, და სისოველე, ბუნება  
მდებარული, და ჰყავ იგი მეხუთესა მიწისა კერძოსა ვარსკულავად.

ხოლო მიანიჭე მზესა სივმელე, და სიმჭურვალე, და ბუნება  
მამრული, და ჰყავ იგი მეოთხესა მიწისა კერძოსა ვარსკულავად.

ხოლო მიუტევე არეასა სივმელე, და სიმჭურვალე, და ბუნება  
მამრული, და ჰყავ იგი მიწისა მესამესა კერძოსა ვარსკულავად.

ხოლო მიანიჭე დიასა სისოველე, და სიმჭურვალე, და ბუნება  
მამრული, და ჰყავ იგი მიწისა მეორესა კერძოსა ვარსკულავად.

ხოლო მი[უ]ტევე კრონოსსა სიგრილე და სივმელე, და სიჭმახე,  
და ბუნება მამრული, და ჰყავ მიწისა პირველისა კერძოსა ვარს-  
კულავად.

ხოლო მიუბოძე ათორმეტთა ზოდიათა თვითოთა ბუნება თვი-  
თოსა ნივთისანი: ვერსა ცეცხლისა, და კუროსა მიწისა, მარ-  
ჩიბესა ჰაერისა, კირჩხიბსა წყლისა, ხოლო ლომსა ცეცხლისა, ქალ-

<sup>1</sup> ცისა B. <sup>2</sup> ოთხთა B.

წულსა მიწისა, სასწორსა ჰაერისა, ღრიანკელსა წყლისა, ხოლო მშვიდლოსანსა ცეცხლისა, თხის რქასა მიწისა, გერწყულსა ჰაერისა, თევზსა წყლისა.

კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელმან შთარივნე დღე ღამესა მიგან. რაზომცა დაბნელდეს ღამე და გარე მიიციავს ჰაერი მიწისა პირისანი, ეგრევე მიწისა ჩრდილისა<sup>1</sup> უკუნისა მიერ.

ხოლო კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რაზომცა გაბრწყინდეს ვარსკულაენი და შთაგიდნეს შთასავალსა დასავლეთისასა, რომელმან განაგე ღამე პირველი მისთა ჟამთანი ძილად<sup>2</sup> და განსვენებად, ხოლო შუა და ბოლო მისთა ჟამთანი ლოცვად და შენდა თაყუანებად, და კულად ცოდვათა ჩვენთა სინანულად.

კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელმან აღძარ ღამესა შინა ენა დილისანი, მეტყუელი განნათლებისა თუისისად, განტყუებად ჟამთა ღამისა უკუნისათა; ხოლო განაგე ბრუნვა ბორბალთა მბრუნავთა, ჩინებად კიმილთა მაგალითთა შინა და განანათლენ შარავანდენი მზისანი, სხივთა მისთა ბრწყინვალეებისა მკრთოლვარებისათა.

შე, რომელმან ჰყავ კოლაუზობა ბუნებისა შენისა ბუნებითავე შენითა და განიწმინდე დაბადებულთა შენთა ნივთობითა და აღემაღლე მათთა ებრობისა ვითარებითა.

შე, რომელი ხარ ახლოდ გულისა ზრახუათა და საგონებელთა თანა, ხოლო ხარ შორის სახილველად თვალთა წინა. იყავ მეცნიერი წინათანი წინათა არსებისა მათისათა.

შე, რომელმან გუყავ მდებარე ცხედართა მშვიდობისა მშვიდობათა შენისათა, ხოლო აღგვადგინე წინაშე კეთილად მონიჭებულთა მოწყალებისა შენისათა, და დაგუფარნე ჩვენ მიერ შენისა ურჩებისა ბოროტისაგან.

**ბუნება ქართა, ღმრთისა<sup>3</sup> ქებად და დიდებად წართქმული**

შე, რომელმან დაჰბადე ქარნი მრავალგვარნი<sup>4</sup>, რომელ:

პირველნი მათგანი არს, ოდეს აღტეხ ძლიერებითა შენითა მიწისა და ზღვისა პირისა მიერ ომზივართა კამკამეულთა, ცათა მიმართ, და შეამთხუე<sup>5</sup> მას სიციხესა მზისასა, და ანუ რაჲცრა ფერიისასა, და შესცული მის მიერ იჩქითად იმა ომზივართა კამკამეულთა ჰაერად, და განჰფანტაჲ ჰაერთა შიგან. და ამად ინებებს ახალ ჰაერი იგი ალაგსა თუის ახლოდ მყოფთა ჰაერთასა, და განტყუებს მას ჰაერსა უფალთა იმა ალაგთასა, და ამად შესძრავს ჰაერთა და ალაქროლებს ქარად.

<sup>1</sup> ჩრდილისავე B. <sup>2</sup> ძალად B. <sup>3</sup> ღმრთისა—B. <sup>4</sup> მრავალგვარნი A. <sup>5</sup> შემთხუე A.

ხოლო მეორე მათგანი არს, რომელ ვიეთთა ჟამთა შეაგუამებ, ბრძანებითა შენითა, მეტი საცივისა მიერ ვიეთთა ჰაერთასა; და შეჰკრებს გვამოვნება იგი იმ ჰაერთა, ვითარცა ყინუა წყალთა; და ამად ინებებს ჰაერი იგი შეგვამებული ალაგსა, უიწროესსა<sup>1</sup> ალაგისა თვისისა; და დარჩების ცარიელი ალაგი იგი ჰაერისა შეგვამებულისა; და ინებებს მის ახლოდ მყოფი ჰაერი შეუგვამებელი იმა შეგვამებითა დაკლილისა ჰაერისა ალაგისა აღვსებასა. და კულად ამად დაიკლებს ალაგი იმა შეუგვამებელისა ჰაერისა და ინებებს მის ახლოდ მყოფი ჰაერი, ეგრეთვე შეუგვამებელი, იმა შეუგვამებელისა ჰაერისა ალაგისა აღვსებასა. ხოლო მის ახლოდ მყოფი ჰაერი მის ცარიელ ალაგისა აღვსებასა<sup>2</sup>; და ეგრეთვე მის ახლოდ მყოფი ჰაერიცა; და ამად შეიძურის სრულად ჰაერი და იქროლებს ქარად.

ხოლო მესამე მათგანი არს, რომელ აღტებს, წადიერებითა შენითა, კუამლთა მიწისა პირისა მიერ, და აღიხვამს კუამლი იგი წინწალთა ფრიად წულილთა ცეცხლისათა, და ამად კუამლი იგი ცეცხლოსანი, მიმავსაქლი ეთერისა სფეროსა მიმართ, განაპობს ჰაერსა ძალად, და შეიძურის ჰაერი და იქროლებს ქარად.

ხოლო მეოთხე მათგანი არს, რომელ კულად ეგრევე აღტებს ბრძანებითა შენითა მიწისა პირისა მიერ კუამლსა ცეცხლოსანსა, და აღიქვამს კუამლი აგი ცეცხლისანი, მიმავალი ეთერისა სფეროსა მიმართ, ნაცართა ნივთსა მიწისასა, და განიფანტუის კუამლი იგი ჰაერთა შიგან, და იწყებს მასთანა ზე-აღყოლილი ნაკარი, ნივთი მიწისა, ქვევე მიწისა სფეროსა მომართ. ცუვიენსა, და ამად დასძრავს ჰაერსა და იქროლებს ქარად.

ხოლო მეხუთე მათგანი არს, რომელ კულად ეგრევე აღტებს, ნებითა შენითა, მიწისა პირისა მიერ კუამლსა, და წავალს კუამლი იგი ზე, ეთერისა სფეროსა მიმართ, და განაპობს ღრუბელთა, და დასძრავს ღრუბელი იგი, განპობითა თუისითა, ჰაერსა და აღქროლებს ქარად.

ხოლო მეექვსე მათგანი არს, ოდეს აღტებს, ძლიერებითა შენითა, მიწისა პირისა მიერ ოშხივართა, და აღიხმენ იგი ოშხივარნი ცვართა ფრიად წვლილთა მიწისა პირისა ნოტიოსათა, და შეამთხუვევ მათ სიცივისა, და შავვამებს სიცივე იგი მას წყლიანსა ოშხივართა<sup>3</sup>, და შესწურავს და ზევს გვამოვნება იგი ქვევე მიწისა სფეროსა მომართ, და ჩამოადენს იმა ნოტიოთა ცვართა ისხარად, და ამად დასძრავს ჰაერსა და აღქროლებს ქარად.

**ბუნება თოვლისა, ხეტყუისა და წვიმისა, და ცის სარტყელისა, ღმრთისა ქებად და დიდებად წართქმული**

ჲე, რომელი აღტებს მზისა სიციხეთა მიერ მიწათა, და წყალთა, და ჰაერთა. ორთქლთა, და მიაწუდენ, სადა<sup>4</sup> ვერა მისწუდებიან

<sup>1</sup> უწიროესსა B. <sup>2</sup> და კულად... ალაგისა აღვსებასა—A. <sup>3</sup> და აღიხმენ... ოშხივართა—B. <sup>4</sup> სადა—B.

სიცხენი, ქვეყნისა პირისა მიერ გარე-შექცეულისა მზისა შარავან-დედისანი; და შეამგვამნებ მას ჰაერისა სიცივისა და იქმ ღრუბლად, რომელ არიან იმა ღრუბელსა შიგან ცვარნი ფრიად წულიღნი წყლისანი.

და ზამთარ იმა ცვართა, გუამოვნებისა მიერ ჯერეთ ურთიერთს თანა-შეუკრებელთა, შეამთხუევ სიცივესა ყინვისასა, რომელსა შეჰყინავს სიცივე იგი ანაზდ და იქმს თოვლად.

ხოლო ზაფხულ იმა ცვართა, გვამოვნებისა მიერ ურთიერთს თანა-შეკრებულთა, შეამთხუევ მძლავრსა სიცივესა, მიწისა პირისა მიერ გარე-შექცეულისა მზისა შარავანდედისა სიცხე-მიუწოდომელისა ჰაერისასა, რომელ შეჰყინავს მძლავრი სიცივე იგი იმა ცვართა და იქმ[ს] სეტყუა, ჩინებად ძლიერებათა შენთა ღირსთა მონათა შენთათუის, და რისხვად და წარწყმენდად ვიეთთა საზრდელთა ჩვენთა, ჩემებრ ცოდვილთა კუალად მონათა შენთათვის.

ხოლო თუცა იყოს ღრუბელი იგი მოწყალებისა შენისანი, შესწურავ გვამოვნებისა მიერ იმა ღრუბელთა, და აღინებ ცათაგან, იმა მოწყალებისა ღრუბელთა<sup>1</sup> მიერ, წვიმად ცვართა წყალთასა ქვეყანათა ზედან, განმაცხოვრებელად მკუდართა მიწათათუის, აღმოცენებად ყოველთა ნაყოფიერებათა.

ხოლო ვიეთთა ჭამთა მიწისა პირისა მიერ<sup>2</sup>, ძლიერებათა შენთა აღტეხილთა ოშხივართა მრავალცვაროსანთა, მზისა შარავანდედისა მიერ შეამკობ და მის მიერ ფერად-ფერადად სახილველ იქმ, ვითარცა კუთხე კუთხედ თლილისა ბროლისა, მზისა მიერ შექ-შეყენებულისა, და მათ მიერ თინათინად გამოცემულისა შექთებრივი, მშვილდად<sup>3</sup> შენდა ძლიერებისად და ჩვენდა ჩვენებად კეთილმოქმედებათა შენთა შემკობილებისად და მშვენიერობად შენდა შეძლებისად, რომელსა უკმობენ მეცნიერნი მშვილდად შენდა, და უცებნი ცის მშვილდად, და უგნურნი ცის სარტყელად.

ხოლო აღქროლებ ქართა მრავალგვართა: რომელ არიან ვიეთნი მათგანი რისხვისა შენისანი, შეშინებად ჩემებრ ცოდვილთა მონათა შენთათვის; და ზოგადნი მათგანი<sup>4</sup> დანთქმევად ნავთა და მაშიგან მსხდომთა, ზღვათა ზედან მსულელთა; და სხვანი მათგანი საზარდთა სისველეთა განკმობად, და კუალად მრავალთა შენ მიერ გარისხებულთა მგრძნობელად; ხოლო რომელ არიან ვიეთნი მათგანი, მოწყალებებისა შენისანი, დაკამკამებად მანებელისა ჰაერისად და მის სენთა, და ბოროტისა სულთა მიერ დაცლად და განწყმენდად; და ზოგადნი მათგანი ნავთა წალძაროდ ზღვათა ზედან მარებლად; და კუალად მრავალთა წყალობათა შენთა მონიჭებად;

<sup>1</sup> ღრუბლითა A. <sup>2</sup> მიერ—A. <sup>3</sup> მშვილად B. <sup>4</sup> ზოგადნი მათგანი] სახოგადნი B.

და სხვანი მათგანი საზრდელთა ჩვენთა მიწათა და ხეთა შიგან ჩა-  
მსახებელად.

ხოლო ადინე წყალნი წვიმისანი, მიწისა მიერ დანთქმულნი  
და შეკრებულნი, ეგრევე მიწათა და სიბათა და მაგართა ქვათა  
მიერ, წყაროდ მაცხორებელად ყოველთა აღნაგთა შენტა<sup>1</sup>, რო-  
მელსა შესმენ მიწანი და გამოსცემენ მის მიერნი<sup>2</sup> ნაყოფთა კეთილთა:  
მწვანე მოლთა, და მდელითა, და მტილთა, და ხე-ხევენარ-ხილნარ-  
თა, და ლელწამ-სულათა, გამომცემელთა სიტკბოებისათა. რომელსა  
სწოვენ მას წყალთა, მიწითა შეზავებულსა, ძირ-ფესვითა თვისითა,  
და გამოსცემენ მის მიერ ყუთვილთა ფერადთა, კუიკუირ-ფრჩხნილ-  
თა, და ფურცელთა მშვენიერთა, და ხილთა გემრიელთა, და მჟავე-  
ტკბილთა, და ვიეთთა მწარეთა ზოგადთა საზრდელად, და ვიეთთა  
წამლად, მკურნებელად სენთა მიერ, და სხვათა თვალთა შემაქცე-  
ველად და გულთა მალხინებელად ჩვენდა, მონათა შენთათუის. რო-  
მელ არიან ყოველნივე იგი ნაყოფიერებანი მქებელ-მსუფეველ მა-  
დიდებელნი შენნი, ვითარცა გაქებს კულად ეგრევე ლექსი ჩემი,  
რომელი მითქუამს ქებად შენდა:

კოკორთა უბეს რვეული უძსთ შენდა დიდებისანი,  
ეკალთა ენა წაწუდილი აქვთ მეტად მათ ქებისანი,  
თვით რა მიცს მუჭ შავ მიწასა სანაცლოდ კადრებისანი,  
და მას განაცვალე, სული მიდგს შენივე წყალობისანი.  
დიდ ხარ შენ, უფალო და საკუირველი არიან საქმენი შენნი!

**ბუნება მოწმენდილისა და მოღრუბლვილისა<sup>3</sup> ცისა მიერ  
შთამოჭრილისა მეხისა, და მიწისა ძვრისა, ღმრთისა  
ქებად და დიდებად თქმული**

ჲე, რომელი აღიღებ ქვეყნითა მზისა და ცეცხლთა სიცხისა  
მიერ კუამლთა ცხიმოსან-ცეცხლოსანთა, რომელთა მიიზიდვენ ბუ-  
ნებითა თუისითა შერთვად სფეროსა ეთერისად, და მიაწუდენ მათ  
ეთერისა სფეროსადმდე, და ალატყინებ<sup>4</sup> მათ ეთერისა სფეროსა  
ცეცხლისა მიერ.

ხოლო თუცა იყუნეს იგი კუამლნი ზრქელნი და ფრიად ცხი-  
მოსანნი, დაზიან ეთერისა სფეროსა შინა ხანთა მცირეთა ანუ  
მრავალთა, გინა დღესა ანუ დღეთა, გინა ღამესა ანუ ღამეთა, გი-  
ნა კუირასა ანუ კუირათა, გინა თუესა ანუ თუეთა, გინა წელსა  
ანუ წელთა, და წუისა სიზრქისა<sup>5</sup> გუამოვენებისა თუისისათა, რომელთა  
ვიხილავთ მონანი შენნი მათ, ვიეთთა მზგავსად სვეტისად, და  
ზოგდთა მებრად შუბისად, და სხუათა მსგავსად კულთა უფლები-  
სად მნათობთა, რომელთა უკმობთ უმეტარნი კულოსან ვარსკუ-  
ლავად.

<sup>1</sup> შენთა—B. <sup>2</sup> მიერ A. <sup>3</sup> მღრუბლვილისა A, მოღრუბლვისა B. <sup>4</sup> მილა-  
ტანებ A. <sup>5</sup> ზრქისა B.

ხოლო თუცა არა იყონ იგი კუამლნი ზრქელ და არა დია ცხიმო-  
სანნი, წარიწვიან სწრაფ და ყოფ, ვიეთთა მათგანთა მეხად და შთა-  
მოჭრებ ეთერისა სფეროთით, ჰაერისა სფეროსა შიგან, მიწისა  
სფეროსა მომართ<sup>1</sup>.

ხოლო თუცა იყუნეს კუამლნი იგინი მოზრქედ, ვერა განა-  
ქარვებს ცეცხლი იგი წარდებული ეთერისა მიერ იჩქითად, და ამაღ  
მოიწვევის მიწადმდე.

ხოლო თუცა იყუნეს კუამლნი იგინი მოთხედ, განაქარვებს  
მათ ანაზდ ცეცხლი იგი წარდებული ეთერისა მიერ, და ვერლარა  
მოიწვევის მიწადმდე და განიფანტუის ჰაერთა შიგან.

ხოლო კულად ეგრევე, ოდეს აღიხუამ ქვეყანითა კუამლთა  
ცხიმოსან-ცეცხლოსანთა მძლეობითა<sup>2</sup> შენითა და მიაწუდენ, სადა  
ვერა მისწუდებიან სიცხენი მიწისა პირისა მიერ, გარე-შექცეულთა  
მზისა შუქთანნი, და შეამთხუევე მათ მძლავრსა სიცივესა ჰაერისასა,  
და შეაგუამნებ, და შერთავე ღრუბელთა შინა, რათა განაპნენ ღრუ-  
ბელნი ზე-აღუსულად, და გამოჰქდეს ღრუბელთა განპობითა. და  
იმა კუამლთა მეტისა სისწრაფითა ცეცხლნი, ვითარცა კუესითა კა-  
ჩისა მიერ, რომელ წარედვას უზრქელესთა იმა კუმლთასა, რომელ  
ვიხილოთ მონათა შენთა ცეცხლი იგი და უჭმოთ ელვად. და გვეს-  
მას კმა საშინელი მათ ღრუბელთა განპობისა და უწოდოთ ქუხი-  
ლად; ხოლო თუცა მოაწვინოს იმა ცეცხლმან მიწისა პირადმდე,  
სახელ ესცუათ ჭეხად.

ხოლო ვიეთთა ჟამთა შეჰკრებ, ძლიერებითა შენითა, ომხი-  
ვართა მიწისათა, ეგრევე მიწათა შიგან, და ინებებენ იგი ომხი-  
ვარნი, ნებითა შენითა, ვიეთსა ალაგსა მიწისა სფეროსასა განპო-  
ბად და აღმოჯდომად მის მიერ, ბრძანებითა შენითა, და ამაღ შე-  
სწორენ ზოგადთა ალაგთა მიწისა სფეროსათა. ჰყავ ესე ყოველნი  
ცნობად ძლიერებისა შენისად, ჩვენდა ღირსთა და უღირსთა მო-  
ნათა შენთათუის და კულად სიშად ჩვენდა ცოდვილთა, და ცოდ-  
ვათა ჩვენდა შენანებად.

ხოლო ესე ცათა და ვარსკულავთა და ქვეყანათა ბუნება, და  
მათთა ქცეულებთა ანა წიგნსა შიგან შენდა ქებად და ღიდებად  
წართქმულება არს ყოველნივე ფილასოფოსთა მოკლეთა ქყუათა მიერ  
შუცებად ცნობითა თქმულება. უკეთუ არა ვინა არს აღნაგთა შენთა  
ბუნებათა და მათთა ქცეულებათა მეცნიერ, არამედ შენ, ღმერთი  
ღამბადებელი მათი, ჰეშმარიტად.

<sup>1</sup> ხოლო თუცა არა... მომართ—B. <sup>2</sup> მძლეობიანთა B.

შექმნა მიწისაგან კაცად ადამისა და მისგანვე ევასა, ღმრთისა მიერ და მათთა ძეთა და ნაყოფთა ურთიერთს მიერ შობილება და აღზრდა, ვითარცა რჯულოერი წმინდა წიგნი ბრძანებს, და ფილასოფოსთა სიტყუაცა, არა მიწისა მიერ კაცად ადამისა და ევასა შექმნილებასა, არამედ ძეთა და ნაყოფთა მათთა ურთიერთს მიერ შექმნა-შობა და გაზრდილებსა ემოწმების, ღმრთისა ქებად და დიდებად წართქმული

ჟი, რომელჲან შექმენ მიწისა მიერ ადამ, პირველი მამა ჩვენი, და შთაბერე სული დაბადებული შენი ტანსა მასსა თივისასა, და აღადგინე იგი. და კულად განაჩინე მის მიერ ევა, პირველი დედა ჩვენი.

ხოლო შთამოგვაველინე მათ მიერ ურთიერთს, მამათა ჩვენთაგან, წყალნი მწუირენი დედათა ჩვენთა საშოსა შინა. რომელ ვიქმენით პირველად ნაკუეთად სისხლისად. ხოლო ვიქმენით ნაკუეთად კორცისად, ხოლო ვიქმენით ძვალნი და შთაგუმოსე ძვალთა კორცნი. ხოლო დაგუბადნე კაინანი, ვითარცა იყო ნება შენი.

ხოლო ოდეს ვიქმენით სამარნი საზრდელისა შენისანი, ყვე საზრდელად ჩვენდა განრინებული სასვამ-საზრდელისა მკვეველისა შენისა, ბილწნი მწვირენი წიდოვანებისანი.

ხოლო ოდეს იქმნა განგებულება შენი, ვიშუენით დედათა ჩვენთა მიერ. აღინე ძუწუთა მათისაგან, მისავე წიდოვანებისა ბილწთა მწვირეთაგან, წყარონი სძისანი და აღუგუხარდენ წოვინთა მისითა.

და მოგვიბოძენ ჰქუანი ცნობისა შენისა, და ენა სიტყუერე-ბისა სუფევეად, და დიდებად და ქებად შენდა, რათა განვიდეთ პირუტყუთა სულიერებათა მსგავსებისა მიერ, და ვიქმნათ უზემთეეს-უმჯობესნი მათნი, ხოლო მფლობელი ვიეთთა მათთა.

ხოლო განაგე ჩვენსა შინა კელმწიფება, და გუცხე ზოგადთა მეფობანი, და ვიეთთა მეფეთა-მეუფებანი. და მოგვანიჭე სხუ[ა]თა დიდებულება.

და მოგვიბოძე ზოგადთა სიმდიდრე, ხოლო გუყავე ვიეთნი მონა-მოსაენი ნიჭისა მათისანი. ხოლო გუამყოფე სხვანი გლახაკნი კარისა მათისანი.

რომელნი ვართ ყოველნივე წინაშე შენსა სწორ, და უზემთეეს ურთიერთს, ხოლო ყოველნივე—გლახაკნი მოწყალებისა უხილავისა კარისა შენისანი, ვითარცა გაქებს კულად ვგრევე ლექსი ჩემი, რომელი მითქუამს:

ლადო და<sup>1</sup> ბუმტი სამეფო სარტყლის და გვირგვინისანი  
ჰყრია, ვერ ავსეს ნაპირი შენი სიუხუის ზღვისანი.  
რაზომ აწუდინე კალთანი მიწათა სინაღლისანი,

<sup>1</sup> და—B.



და არ მისწლონიან მკლავ-გრძელი სიბრძნისა ჯელი ჭკუისანი.

დიდ ხარ შენ, უფალო, და საკურველ არიან საქმენი შენნი!  
ღე, ჯელმწიფ[ე]ო, ყოველთა ჯელმწიფეთა უზეშთეეს აღმატებულო,  
რომელ არა არს სიდიდისა შენისა დასასრული, არცა სიმაღლე  
ზენასა ცათა ცათასა, არცა თუ ხოლო სიღრმედ ქუესკენელთა  
ქუესკენელთასა, არამედ ყოველგნით კიდე მიუწლომელო.

ჰი, მეუფეო ყოველთა მეუფეთაო, არა არს მძლავრება ბრძა-  
ნებულთა შენთა თანა, ხოლო სუნა ქრთამთა საუფლოსა შენსა  
შინა, და არცა ჯსნა მეფობისა შენისა მიერ, ხოლო არცა მფარ-  
ველი რისხვისა შენისაგან. წინასწრობს მოწყალება შენი რისხვასა  
შენსა. შენ გნაცვლებიან ყოველთა მეფეთა უზეშთეეს აღმატებულნი  
წმინდანი, ღირსნი მონანი შენნი, რამეთუ დანანთხიეეს უსჯულოთა  
წამებითა შენდა წმინდანი სისხლნი თუისნი, ვითარცა გაქებს კუ-  
ლად ეგრევე ლექსი ჩემი, რომელი მითქუამს:

შენ სამეფოში მეტი რა არს ვარდომა<sup>1</sup>-ვედრებისანი,  
ვაი რა აქუ ბლუჯ<sup>2</sup> შავ მიწასა საკადრი კადრებისანი,  
ნეტარ არს დავით რა ცახე, რა ძალუძს ნაცვლებისანი,  
ჰაი განცულებია ას ათას, ჰი, სულნი წმინდანისანი.

დიდი ხარ შენ, უფალო, და საკურველ არიან საქმენი შენნი,  
რომელმან მოგვივლინნე სილოე მოციქულ-წინასწარმეტყუელნი,  
რამეთუ განგვიცხადნე მოსამართლეობა შენი\*. ხოლო დაგვისხენ  
საღმრთო მთავარნი სჯულისანი, რათა გვაცნობე ნიჰნი წყალობისა  
შენისანი, რომელ დასდევ კისერთა ჩვენთა, ბრძანებითა შე-  
ნითა და ქადაგებითა მათითა, უღელნი მონებისა შენისანი. რო-  
მელ ვკუთვით და განვასწორნოთ განი ჰემმარტისა ცნობისა-  
შენისანი, რათა გმსახურნეთ შენ, თავითა ჩვენითა, მიწათა ზე-  
დან მეტანია-თაყუანებითა, დიდებად შენდა და დამცრობად თავ-  
თა ჩვენთა, რამეთუ არა დააძრო თავი ჩვენი წაწყმენდითა, ოდეს  
ვიყუნეთ მდიდარნი ცოდვისა ჩუენისანი, და კულად ეგრევე განა-  
მდიდრო დაუსრულებელისა მადლითა და ცხოვრებითა.

ხოლო შევიწყნარეთ გლახაკნი, და მიუტევოთ მთხოვართა  
მცირე მცირეთა წილი კნინთა ქონებათა ჩუენთანი, რამეთუ შე-  
გვიწყნარო ჩვენ, ოდეს ვერლარა შეგვიწყნარონ მამათა და დედათა,  
ძმათა და დათა, ძეთა და ყოველთა ნათესავთა და მოყუასთა ჩუ-  
ენტა.

ხოლო რათა ვიმარხნეთ საზრდელთა ჩუენთა<sup>3</sup> და ბოროტისა  
მოქმედობათა მიერ, რამეთუ ვცნათ გემონი იმა საშინელთა დღეთა  
შიმშილისანი.

<sup>1</sup> ვირდობა B. <sup>2</sup> ბლუჯა A. <sup>3</sup> ხოლო... ჩვენთა—B.

\* B-ში აქ მარცხენა კიდებე აღნიშნულია სამი ბეჭდის ადგილი.

ხოლო რათა აღვაშენოთ ვანა და ალაგნი, თაყუანებითა კეთილ-მსახურებისა შენისანი და შევსწირნეთ კნიინი კნინთა უმცირეს, მცირეთა ქონებათა ჩვენთანი, რამეთუ შენცა აღუშენო სულთა ჩვენთა ვანანი სასუფეველისა შენისანი, და შესწირნო ფრიალნი ქონებანი დაუსრულებელისა კეთილ-ცხოვრ[ე]ბისანი, ოდეს ვერლარა გვარგებდეს კნიინი ქონებათა ჩვენთანი.

#### ჰარი მართხა

დიდისა და მალლის კელმწიფისა, და შვიდთავე საქართველოთა მპყრობელისა, და გვარად ხოსროვანისა, მეფე ვახტანგ გორგასლანისა მიერ მარტყოფს ღმრთაების საყდრისა აღგებათა მიზეზისა, და მისთა აღშენებათა და შეწირულებათა ვითარებისა, და სამიტრაპოლიტოდ გაგებისა, და მისავე ეპისკოპოზისა რუსთველად წოდებისა ამა წიგნსა შიგან მბოზა, ღმრთისა ქებად და დიდებად წარეტყუილი

ვითარცა ენება და გულს-მოდგინებისაებრ თუისისა, და აღეშენა უმცირესთა უმცირესსა, მცირესა, გლახაკსა მოწყალეებისა უხილავისა კარისა შენისასა, დიდსა და ძლიერსა, დიდებულსა და მალისა საქმისა შემრთავსა, გვართა და ტომთაგან განშეგნებულსა, მგნესა და ახოვანსა, და ხოსროვიანთა ნათესავთა მიერ აღმოცუნებულსა, თუით ხოსროვიანსა გორგასლანს, ვითარმედ მგელსა თუისთა მტერთა რემაკისასა, და ლომსა მებრძოლთა თვისთა მგელთასა, მეფეთ-მეფესა და თუით კელმწიფესა, მონასა შენსა მეფესა ვახტანგს ეწყო შემკობად ტაძრისა ღმრთეებისა, და აღეშენა და განეშენებინა ყოველთავე საქებელისა და ქცეულებითა ზედან თავსა მარტყოფისასა, და განეჩინა საეპისკოპოზოდ, და მის ხარისხსა ზედან მჯდომარ ექმნა ეპისკოპოზად ბერი ერთი.

ამა პირსა ზედან, რომელ ოდეს ათორმეტნი მამანი შუამდინარით ქართლად მოწვევულ იყუნეს, და ერთსა მათგანსა, რომელსა ეწოდა ანტონი იგი, მას ალაგსა იმა საყდრისასა, მის აღგებისა მრავალთა ხანთა და დროთა უწინარეს, მყუდროვან ქმნილიყო. და ამად საყდარი იგი მაზედან აღმართებულ არს, და მის მამისა ანტონისა გვამიცა მუნ მდებარე არს.

და ამად მეფეს ვახტანგ გორგასლანს ეპისკოპოზი იგი განედიდა<sup>1</sup> და რუსთველადც ამად სახელ ედგა, რომელ ქალაქიცა, რომელი იგი აღშენებულ და ბოსტან-ქალაქად სახელ-დებულ და რუსთავად ნაწოდები ყოფილ არს<sup>2</sup>, და თუით ქალაქი იგი და<sup>3</sup>

<sup>1</sup> განედიად B. <sup>2</sup> ყოფილა რას B. <sup>3</sup> და—B.

მარტყოფიცა სამწყსოდ, და ზრავალნი დაბანი და აგარაკნი და სხვათ მრავალთა, ველთა და მინდორთაგან, იმა საყდრისათვის შენაწირნი, მისისა ეპისკოპოზისა რუსთელისათვის მიებოინეს.

აწუ, მას ეამთაგან, ოდეს ბრძანებითა შენისათა გარდაცულა-ლებად იწყო ტომბან ხოსროვიანთამან, და ინება ზენათგან ბრძანებისა შენისამან წადიერება კეთილებისანი, და აღსრულდა წინასწარმეტყუელსა დავით მეფესა წყალობა შენი, ვითარცა იტყუიან<sup>1</sup> ქრისტიანენი, რომელ უბოძანა ლმერთმან წმინდასა დავითსა, ვითარმედ ნაყოფისაგან იუსტლისა შენისა დავსვა საყდართა ზედან ამათ<sup>2</sup> პირთათვის.

თქვეს შენ მიერ განჩინება პატრონად და დამყარებად<sup>3</sup> მეფობათა ქართლისათა, ტომი მონისა შენისა, წინასწარმეტყუელისა წმინდისა დავით მეფისანი, ძირად იასესით აღმოცენებულნი, ძენი სოლომონისანი, ნაწოდნი გვართა პანკრატოინად<sup>4</sup>. განცლიერდენებითა და ბრძანებითა შენითა, დიდებითა, და ჯელმწიფობითა, და მეფობითა, და დანიბყრნეს საპატრონოდ ტახტი შვიდთავე საქართველოთანი.

და აღმოფუხრნეს ქრისტიანეთა სჯულიერისა წესითა ყოველივე საქმე უფერი, და დანერგნეს თუისთა<sup>5</sup> სარწმუნოებთა მსავსად ყოველნი საქმენი შენდა მსახურებისანი, და შეემკუნეს და განედიდნეს ეკლესიანი რომელთამე მეფეთა სანკაულთაგან, სხვათა მეფეთა აგარაკთა შეწირვითა, და კულად სხვათა დაბათა და სოფელთა და სამწყსოთა შთამატებითა. და თვით მამათა-პაპათა ჩვენთა და სახლისა ჩვენისა გამოსრულთა, მკირეთა შენთა მონათა და დიდთა მეფეთა, მპყრობელთა რანთა და კახთა საქართველოსათა დიდსა აღექსანდრეს, ანუ თუ ლეონს, ძეთა და ძის ძეთა და მომავალთა მათთა, ვიდრე ყოვლად ძლიერისა და ქებისა უმეტესად გამოჩენილისა, პატიოსანისა და მეფეთა შორის წარჩინებულისა, თვით ძლიერისა და წინაშე შენსა უძღურისა, და ღირსთა მონათა შენთა<sup>6</sup> მონისა, მეფეთ-მეფისა თეიმურაზამდისი.

ხოლო ოდეს მას მეფესა პატრონს თეიმურაზს დაეპყრა საქართველო ქელითა მტკიცითა, უნამეტნავესად და უმეტესად სხვათა მპყრობელთასა<sup>7</sup>, დაემატნეს ეკლესიათა, ქრისტიანეთა წესითა შენდა მსახურებისათვის<sup>8</sup>, მადლობად შენდა.

ხოლო უმეტეს მათთვის, უწინარეს გარდაცვალებულთა მეფეთა, შექმკუნეს და განედიდნეს მარტყოფს საყდარი ლმრთეებისა, და შეეწირნეს სოფელნი, აგარაკნი სეფენი, და ზეარნი, და

<sup>1</sup> იტყიან B. <sup>2</sup> მათ B. <sup>3</sup> და დამყარებად] და მყარებად B. <sup>4</sup> პანკრატოინითა B. <sup>5</sup> თუისათ B. <sup>6</sup> + შენთა B. <sup>7</sup> მპყრობეთასა B. <sup>8</sup> მსახურებათათვის B.

ყოველნივე საქმე, რაც ოდენ შეენოდა შეზავებითა საქმესა მისისა სარწმუნოებისა<sup>1</sup>, ესრეთ შე[ე]ზავებინა. ხოლო მას საყდარსა შინა სამიტროპოლიტოსა ხარისხსა ზედან მჯდომარე რუსთველ-ეპისკოპოზი, სპათა თუისთა სპათსპეტად განეჩინა, და მიებოდა ბაგრაყი, დროშად მეორედად, და თანა-სახლებად<sup>2</sup> თუისად განეგო და ყოველთავე პატივითა განეპატიოსნებინა, და ეგრეთ განდიდებულიყო, ვიდრე ჩვენდა მეფობისა წილ-ხდომამდე.

#### პარი მხუთი

გვარისა და აღზრდილობისა ჩვენისათვის. ბედნიერისა, დიდისა და მაღლისა მეფეთ-მეფეთა, და ჯელმწიფეთ-ჯელმწიფეთა, და ყოველ სულტანთა-სულტანისა, სრულიად ერანისა მპყრობელ-მქონებელისა, ერანისა ჯელმწიფისა, და სრულიად ერანელთა საუფლოთა ზედან მფლობელისა, გამზრდელისა ჩვენისა, და დიდებულიისა, და ყოველად ქებულისა მონისა მისისა, და ყოველთა შვიდთავე საქარაველოთა მეფეთა და მეპატრონეთა, — მადლმან ღმრთისამან, უმეტესად უმჯობესისა, და უზეშთეესად წარჩინებულისა, — მეფეთ-მეფისა, ქართლისა და კახეთისა უფლისა, და ერანის ყულარაღასისა, ჯელმწიფისა მამისა ჩვენისა ქებათა და დიდებათა თქმულება, ჩვენდა მეფობისა და სახელისა ქებითა და<sup>3</sup> დიდებითა ჯსენებად, ღმრთისა ქებად და დიდებად წართქმული.

ხოლო ოდეს ინებე ყოველთა მეფეთა მეუფემან ღმერთმან, განზრახვითა დიდისა და მზეებრ ბრწყინვალისა ერანის ჯელმწიფის წადიერებითა, მომებოცნეს მე, უბადოსა მონასა მამა-პაპათა ტახტი სამეფო და ჯელმწიფება, ვიხილენ რაოდენნი ექმნეს ჩემთა უწინარეთსა, სახლისა ჩემისა ჯელმწიფეთა მამისა-მამათაგან ამა ქვეყანათათუის, ანუ თუ ერთა და ეპისკოპოზთა და ეკლესიათათუის.

და ამაღ ჩვენ, უღირსმან და ცოდვილმან ღირსთა მონათა შენტა მონისა უმცირესმან მონამან, დიდისა და ცამდინ ამაღლებულისა ამა ჟამთა სულტანისა, და ამა დროთა ჯელმწიფებთა-ჯელმწიფისა<sup>4</sup>, და ამა ჟამთა მეფეთა-მეფისა, და სრულად ქვეყანათა მპყრობელისა, და ვარსკულავთა რიცხუთა უთვალათა სპათა პატრონისა, და ცხრათა ცათა მზგავსთა საუფლოთა ვანათა უფალისა, და მოსამართლეობათა პატრონისა, და ზღვათა მსგავსისა გულითა მოწყალეობათა საუნჯისა, რომელ მისთა სიმალლისა ქებათა მიწუდენად ჰყრის მგართა სწრაფად აღმა-მფრინავი არწივნი სიტყუიარებისანი.

ხოლო მისთა დიდებათა გზისა მსულელთა თვითო ბიჯისა<sup>5</sup> ალაგთა ჰყრიან ფრიადნი ლუნბანი კალმისანი. ხოლო ბერნი

<sup>1</sup> სარწმუნოებისასა B. <sup>2</sup> სახლებლად B. <sup>3</sup> დიდებათა თქმულება... ქებითა და — B. <sup>4</sup> და... ჯელმწიფისა — B. <sup>5</sup> ბიჯისა B.

და მოხუცებულნი ქვეუანი, რომელ არიან მზომელნი სიტყუიერება-  
თა ქვეყანათანი, მისთა სიმაღლეთა აღწერის უცლურებითა<sup>1</sup> მიხე-  
ზად, ყავარჯენთა მაგიერ უპყრი[ან] კალამნი ფოლადისანი.

ხოლო ბერნი და მოხუცებულნი რიტორებანი, მცურავენი  
ლექს-ანბავთა ზღვათანი, მისისა სიდიდისა ზღვისა რტოთათვრს  
შეთუქრავთ<sup>2</sup> კიდობანი ნავთანი, ვითარცა აქებს კულად ეგრევე  
ლექსნი ჩემნი, რომელნი მითქვამს:

მეფე-მეფეთა, უფალი სამყარო დალიქისაო,  
ქვეყნისა წამხმელი, მიმტევი ბედნიერისა ჭმისაო.

და იცვა საუფლო ბექედი ნექს ცათა ფირუზისაო,  
მომწობილ პირი მიწისა, ქვე საბეჭდავის თელისაო.

ცა განცვიფრებულ მისისა გვირგვინის კიმილისანი.  
სპათ სიმრავლესა გაჰკუირდეს დღე იგი განკითხვისანი<sup>3</sup>.

და მის კართა მტვერზე დავრდომა, დამკობა, სმა შუბლისანი,  
თავთა მეტისა სიმაღლით არს ზე-აღწუდენა მხისანი.  
ვისცა უყრია მისისა მონობის ოღი ყურისა,

ეგრე საუფლოდ მორთულ-არს, რომელ მეფეთა სურისა,  
შეშენის მთვარეს სამონოდ ლუმბთა ყორა<sup>4</sup> საყურისა,

და ვის ძალუძს შესხმა საკადრი ხოტბისა ჯელმწიფურისა.

მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა და სუფევეთმცა არიან  
დღენი მეფობისა მისისანი, რომლისა ოდეს შეკრნეს კამარნი მისთა  
ს[ა]უფლოთა კასრთანი, კულად მეორედ შემუსრნეს ცა ქესრისა  
დარბაზისანი.

ხოლო ოდენობა მისისა სიმაღლისანი და სიმძიმე მისავე სათ-  
ნობისანი უკეთუ არა შესწორებულ იყუნეს, დანინთქმოდა წყალთა  
შინა მიწანი და ხაშენი ყოველი მიწისა პირისანი.

ხოლო თუცა ცხოვრებისა წყალნი მისსა მოწყალეებისანი და  
ცეცხლნი მისსა<sup>5</sup> რისხვისანი არა შეზავებულ იყუნეს, უცილოდ გარ-  
დიწვოდა ყოველი პირი ქვეყნისანი.

ხოლო თუცა ზღვამან მიპისა სიუხვისამან თეთრი ჰამიანუ-  
რითა გლახაკთა წინა დასდვას, ოდეს მათ სიყუითლემა პირისმან  
შეჰმართოს, თევზისა ფერითა განიქარვონ.

ხოლო თუცა ღრუბელმან მისისა წყალობისამან გუჰართა  
მრავალ-წყლიანთა<sup>6</sup> ცვარნი მთხოვართა თავ-პირთა აფრქუიონ,  
უთუოდ<sup>7</sup> ცვარნი მათთა სირცხვილთა ოფლთანი მათ შიგან მათად  
მზგავსად შენიცვალნენ.

ხოლო თუცა წყლიანმან ჯმალმან მისმან აღინოს მდინარენი  
სისხლთანი, დაჰფარცხონ წამსავე მტერთა მისთა მარცვალნი თავთა  
თუისთანი.

<sup>1</sup> უძღრებითა A. <sup>2</sup> შეთუქრავთ A. <sup>3</sup> სპათ... განკითხვისანი—B. <sup>4</sup> ყრა B.

<sup>5</sup> ა-ძმწყალეებისანი და ცეცხლნი მისსა B. <sup>6</sup> წლიანთა B. <sup>7</sup> ცვარნი უთუოდ—B.

ხოლო თუცა ცეცხლთა მფრქუეველმან მახვილმან მისმან შეაყაროს ცეცხლნი რისხვისა მისისანი, გარდასწვას სრულად მტერთა მისთა კალონი, თავითურთ ტანთანი.

მას, რომელსა აქებს კულად ეგრევე ლექსი ჩემი, რომელი მოქვამს:

მის შუბლის შეკეცილობა გზა არს სწორ სამართლისანი, ამაღ სძოვს ცხოვართა ფარაში ხრონი ლომთა და მგლისანი, იყო აჩრდილი ნუშირვან მისისა მსაჯულისანი,

და მის მიერ გაზრდილ მონათა ეპოეთ გზა ჩვენ სჯულისანი.

მრავალ ჰყავ უფალო წელნი ცხოვრებისა მისისა და სუფე- ვითა ჰყუნენ დღენი მეფობისა მისისანი, ამინ!

რომლისა ბედნიერი სიქა მისი თუცა ვარდისა ფურცელთა ჰკრან ბაზარი ფლურთა გატყუთეს<sup>1</sup>. ხოლო თუცა ლალაბასისა ყვა- ვილთა ფურცელთა ჰკრან, აბასისა სახელი სრულად განქარდეს.

ხოლო მისისა მეომრობისა დროთა შინა მისთა დალიქთა ქუემდაბლად მდგომარეთა წინაშე ჰიანურნი<sup>2</sup> მეფენი მ[ა]თისა მონობისა არა ღირსებასა ჰგონებენ. და ჯამი ჯემშიდისა და სარკე მაკიდოვნელისა მისთა სატელმწიფოთა ყოველთა ჯელმწიფურთა ჰურქელთა მცირედ შედარებასაცა ვერა ღირს-ჰმნილობენ.

ხოლო კულად ეგრევე მისისა მეომრობისა ჟამთა შიგან, თუცა მართუილთა მწოვართა სძესათა ნაჯახნი პილოთა თავსა ჰკრან, ჰფერობს და კულად ეგრევე თუცა ყმა-წვლილთა ლომთა ბრჭალ- ნი შემუსრნენ.

ხოლო ჳრმალმან მისმან მზისა სხივისამან შუქნი თუისნი ვის- ცა შეაყენა, უკუნი მისისა ცხოვრებისა ლამისანი არლარა ამხილნა. და ორბმან მისისა ისრისამან ვისცა მიმართ ფრენა იწყო, მფრინ- ველნი სულისა გვამისა მისისა<sup>3</sup> გალიითა განუფრინდა.

ხოლო მახვილი მისი წამხმელი სულისანი ვისცა მიელირნა, ჯავმან-ხითანმან ვერლარა დანუდგნა.

მას, რომელსა აქებს კულად ეგრევე ლექსნი ჩემნი, რომელნი თუით მეთქუნეს:

მისის ლახტისა შიშითა იგ უბადრუქი მტერია,

ძლარბივით მკერდის ზარად ჰმნად ზურგსა უშვერდეს ჯერია, როსტომც თუ ბრძოლა შეჰკადროს, ვინ მოსრა თურანს ერია,

და ეზომი ხანი ვერ დაზმას<sup>4</sup>, რომელ განუკრთეს ფერია.

ტანსა რკინითა მოსილსა იმა დღის მეზრძოლისასა იგ ჳრმლით აქცევს ორ გვამად, ვით გვამსა ფარგლისასა, ქვეყნის მპყრობლობის<sup>5</sup> საუფლო ნათელსა მას თვალისასა,

<sup>1</sup> გატყუთეს A. <sup>2</sup> ჰიანურნი B. <sup>3</sup> ცხოვრებისა... მისისა—B. <sup>4</sup> დაზმას—B. <sup>5</sup> მპყრობლობის B.

და ვაქებ ათორთა მოსავეთა დამდებსა მე ვალისასა,  
სულნელი იგი ნიავე სამართლის სავარდნისანი,  
ალი საკმილთა მომდები, მძლავრობათ იგ ჩალისანი,  
წყალობა მოწყალებისა, სიმტკიცე თვით-წესისანი,  
და თვალი ფას-დაუდებელი მეფეთა გვირგვინისანი.  
ამრავლე უფალო წელნი ცხოვრებისა და სუფევეთა ყუენ დღე-  
ნი მეფობისა მისისანი, ამინ!

რომლისა არს იგი ჩამსახებელი ნაყოფიერებათა კეთილისა  
და ბედნიერობისა წალკოტთა ხილნარისანი, და ძე კეთილად  
შობილი სამეუფოთა ვანისანი, და მთავრად მჯდომარე შენისა  
მოწყალებისა პალატისანი, და მსმელი ღვინოთა ეგრევე შენთა მო-  
ნებათა ნადიმისანი, და თავად აღწერილი ბედნიერობითა ბედ-  
თა მწერელთანი<sup>1</sup>, გუარად სეიდად წოდებულნი, ბადიში შენთა  
ღირსთა მონათა, შენ მიერ უხეშთეესად წარჩინებულისა და ყო-  
ველთა სილო მოციქული წინასწარმეტყუელთა<sup>2</sup>, დიდებულისა და  
ყოველთა მოწამეთა მთავარისა, და კულად ყოველთა შენთა კე-  
თილ-მორწმუნეთა<sup>3</sup> კელმწიფისა და პირველისა ემამისა, დიდისა  
მთავარ-მოწამისა აბუტალეებისა ძისა წმინდისა...<sup>4</sup> მშვიდობა  
შენი მას, და<sup>5</sup> ათერთმეტთა ძეთა და ძის-ძეთა მისთა.

სულტანი ძე სულტანისა, და ხაყანი ძე ხაყანისა, მონა, მიწა,  
მტუერი მოწყალებისა უხილავისა კარისა შენისა, შაჰ-სულტან-  
ქოსაინ — მეფეთ-მეფე და კელმწიფეთ-კელმწიფე, მპყრობელი<sup>6</sup> ერ-  
ანისა.

მისმან მონამან და მის მიერ მე, ბანდამან მისმან, ცისაებრ  
აღზრდილმან და პატიოსნობისა სადაფთა გუჰარისა და თუით  
ბედნიერისა და ბედნიერსა ეტლსა ზედან შობილისა, ხოლო და ვი-  
თიანობისა ხისა რტოთა ყუავილთა ვარდისა, და ვარა იესესა  
ნაყოფისა, და და ვითისა უხეშთეეს ბადიშისა, და სოლომა-  
ნისა უსწოროსა ძისა, ხოლო კულად ყოველთა იესიანთა უფ-  
ლისწულთა შიგან ვარსკულავისა, და მეცნიერობათა აღსავისისა,  
და ყოველთა სიბრძნეთა საუნჯისა, ხოლო საკელმწიფოთა<sup>6</sup> კეთილ-  
ბოროტთა ბრჭისა, და ცნება-თადბირთა ნათლისა ბადრისა, და  
ყოველთა სამეფოთა ზნეთა და ქცევათა აკუმისა, ხოლო სამთა  
დიდთა და მალალთა კელმწიფეთა ვეთრათისა, და მათ მიერ ძისა  
და ძმისა და მამისაებრ მიჩნეულისა, ხოლო ყოველთა თუისთა ამხა-  
ნავთა თანა ზე-აღმაღლებულისა, და მეუფისა ღმრთისა თუისისა

<sup>1</sup> მწერელთაგანი B. <sup>2</sup> სილო... წინასწარმეტყუელთა—B. <sup>3</sup> მორთოხა-  
ლისა B. <sup>4</sup> და—B. <sup>5</sup> მპყრობელი B. <sup>6</sup> კელმწიფოთა B.

\* აქ. ალბათ, ირანის შაჰის სახელი უნდა ყოფილიყო.

წინაშე თუის მიერ დამდაბლებულსა, ხოლო კულად ყოველთა სეფე-დიდებულთა თანა ზე-ალუწევენულისა, და მცირეთა და დავრო-მილთა თანა გუნებითა თუისითა დამდაბლებულსა, ხოლო ყოველთა და ვით თიანთა სეფე-დიდებულთა შიგან მთავარისა, და კულად ყოველთა სოლომანიანთა მეფეთა<sup>1</sup> შიგან მზისა, და ყოველთა მოწყალე ჯელმწიფეთა ღმრთისა მიერ ზე-ალმართულსა მოწყალე-ბისა ალაშისა, და ყოველთა უხე უშურველთა მეფეთა ეგრევე ღმრთის მიერ ზე აღმალლებულსა დროშისა.

ხოლო კულად ყოველთა ქვეყნიერთა მოსამართლეთა უფალ-თა, ღმრთის მიერ კაინან მოსამართლეობათა მაგალითისა, და ყოველთა ღმრთისა მოსამართლეობათა განჩინებისა მუჟიდრი პატრონი, სკიპტროსან\*-გვირგვინოსან-პორფიროსნობისა და ქართლისა სამეფოსა დალიქსა ზედან დამყარებულისა, და კახეთისა საუფლოსა ინაჟსა ზედან დამკვიდრებულისა, და შენისა წადიერებათა და ჯელმწიფისა თვისისა ბრანები თა და მკლავისავე თვისისა სიმაგრითა ორთავე სამეფოთა მრავ-ლად განარჯვებულსა, ჯრმლითა თვისითა მპყრობელისა, და ყოველ-თა მებრძოლთა თვისთა მიძლევისა, და თვით უძლეველისა, ხოლო ერანისა სეფე-დიდებულსა, და ხარისხსა ზედან დამტკიცებულსა, ორთავე საუფლოთა უფლისწულის წულისა ქართლისა მეფისა და კახეთისა მპყრობელისა, და ერანის ყულარალასისა, მეუფისა მალ-ლისა, შენ მიერ კურთხეულსა, მეფე ერეკლე ნახარალიხა-ნისა ძემან და ყოველთა მართმადიდებელთა ღირსთა მონათა შენტა მონობისა არა ღირს-ქმნილმან, არამედ მიწამან და<sup>2</sup> ფერქისა მათისამან მცირემან მონამან, თვით მეფობა და პატრონობა და სიდიდე-საფარვლიანმა, სიმრავლეთა და სიმაღლეთა უფალმან, პა-ტიოსნობითა და სახელოვნობითა ჩინებულმან, ზე-მჯდომარემან, და დიდთა მეფეთა ბადიშმან, ბედნიერისა და ბედნიერს ეტლზედან შო-ბილისა, ცამდის აღმალლებულსა და სრულიად ქვეყნისა პირისა მპყრობელთა ჯელმწიფეთა-ჯელმწიფისა მიერ თვისად განკუთვნილ მონის-ძედ და განსაკუთრებით გაზრდილ-ჯმობილმან, სახელ-შემკო-ბილმან მეფობისა პატრონობითა სიდიდითა, სიმაღლითა, სიმრავლი-თა და ბედნიერობითა იმამყულიხან, პატრონმან კახეთი-სამან, თვით იესიან-დავითიან-სოლომონიან<sup>3</sup> - პანკ-რატიონიანმა, ქართლის უფლისწულმან, მეფეთ-მეფემან და თვით ჯელმწიფემან და თვით მეფემან, მფლობელმან და მპყრობელმან რანთა და კახთამან;

<sup>1</sup> მეფეთა B. <sup>2</sup> და—B. <sup>3</sup> სოლომონიან—B.

\* აქ დედნის აშიაზე ასეთი მინაწერი ყოფილა: „ქ. აკამდის ნაწერი ნე-ფის დავითის ჯელით“. მეორე გვერდზე: „ქ. აქა მე, დად მათდა წოდებად არა-ღირსი, მარიამ ვწერ ნახთანებსა მათსა ჯელითა ჩემითა, რომე ბატონი სენმა მიიმემა შეიპყრა, თვის დანუსხვილი ნუსხა დაგვიდვა და კაიხელად ვეღარ დაწერა, იმ სენით კიდევ მიცვალა, ეს რომე გავარულებთ“. B ნუსხაში ეს მი-ნაწერი ტექსტშია შეტანილი „სკიპტროსან“-ის შემდეგ.



და თანამემცხედრემან ჩვენმან, დ ე დ ო თ ა ლ თ-დ ე დ ო თ ა ლ-  
მ ა ნ, ს რ უ ლ ი ა დ და ლ ის ტ ა ნ ის ა და ლ ე კ ე თ ის ა შ ა მ ხ ლ ის ა ბ ა დ ი შ მ ა ნ<sup>1</sup>,  
და დ ი დ ის ა და დ ი დ ა დ პ ა ტ ი ო ს ა ნ ის ე რ ე ვ ა ნ-ჩ უ ხ უ რ ის ა დ ის ბ ე გ-  
ლ ა რ ბ ე გ ის ა ს უ ლ მ ა, და კ ვ ა ლ ა დ დ ი დ ის ა და მ ა ლ ლ ის ი რ ა ნ ის ა და  
ი რ ა ნ ე ლ თ ა მ ფ ლ ო ბ ე ლ ის, ყ ო ვ ლ ა დ პ ა ტ ი ო ს ნ ის ა ი რ ა ნ ის ე თ მ ა დ ო ვ ლ ა-  
თ ის ფ ა თ შ ა ლ ი ხ ა ნ ის დ ა მ ა ნ პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ ა ხ ხ რ ი ჯ ა ჰ ა ნ ბ ე გ უ მ :

და ზესთა-დიდებულისა და ქვე-ქვეყანისა მპყრობელ-მმართველისა, და ჩვენ ორთავე ერთბამად აღმზრდელისა მალლის ჯელ-მწიფისა მიერ შვილურად გაზრდილმან, და უხუცესობითა მისითა სწორაღვე მისსა პატივცემულმან და ირანის ტახტის გამგებლად დგენილმან, ბრძენ-ფილასოფოსმან, მკნემ, ახოვანმან, ირანის მდივანბებმან, და<sup>2</sup> თვალუხუცავად მსაჯულმან, უხუცესმან ძმამან ჩვენმან<sup>3</sup> კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე შ ა ჰ შ ა დ ყ უ ლ ი ხ ა ნ :

და კვალად უმრწამესმა ძმამან ჩვენმან, სიკეთისა საუნჯემან, და საღმრთო ვიდრე საერო ზნე-სრულმან, კახეთის უფლისწულმან, ბატონისშვილმან თ ე ი მ უ რ ა ზ ;

და შედეგთა ძმათა ჩვენთა, კეთილ-ჰ[ა]საკ-სრულთა: რ ი ზ ა ყ უ ლ ი შ ი რ ზ ა მ და მ უ ს ტ ა ფ ა შ ი რ ზ ა მ ;

და პირმშოთა და სასურველთა ძეთა ჩემთა, სიკეთისა შესატყვისთა, ლ ე ო ნ შ ა ჰ შ ა დ-შ ი რ ზ ა მ<sup>4</sup> და ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ა ლ ი-შ ი რ-ზ ა მ განვაგეთ და ეგრეთვე განვაწესე და შევაძვეთ ყოველითავე წყალობითა, და კეთილისა ყოფითა, და წყალობათა შემატებითა. ხოლო ჩვენცა, მას ადგილთა, შესამსგზავსებად ჩვენისავე ერდგულობისა და თანა-ხლებულობით ცნობისათვის კეთილოვნებისა, ვიძიეთ კეთილისა და დიდებულისა, ძირთა-მიერ აღმოსრული და შობილი, და ადგილსა უდაბნოთა შინა სიყრმითვე აღზრდილი, ბრძენი და<sup>5</sup> ტრფიალი საფილასოფოსოთა მეცნიერებისა, და საუნჯე რიტორებისა, და ამბორებული ქრისტიანეთა მიერ ყოვლისა სიწმინდე-წოდებულისა, და ლითონი ყოვლისა მღვდელთა რიგისა, და მწვისე<sup>6</sup> სრულად მონოზონთა წესისა, და მაგალითი ყოველთა განგებულისა, ხოლო კვალად საუნჯე ყოველთა მთავართა ზნისა, და მუშაკი ქრისტესა ვედრება-თაყვანებისა, და მწყემსი კეთილი ყოვლისა ქრისტეს მოსავისა, და მრევლი ქველი თვისთა მოწაფეთა<sup>7</sup>, და მოურნე<sup>8</sup> თვისთა სამწყსოსა ერის, და ზარა მესიანთა მიერ კეთილსარწმუნოებისა ნათლად ჯმობილთა ქადაგებათა ვარსკვლავისა, და აღმოსავლეთი ჯვარის მოსავთა მიერ სიტყვიერებისა მთოვარე, სახელდებულისა ყოველთა ქადაგთა მეტყველებათა მზისა. ხოლო ლამაზი სამებისა მორწმუნეთა, სამებისა იგავთა სანათისა, და კანდელი მნათე აპეროვნებისა ხატოვანებითა ცნობათა ეკლესი[ი]სა, და, შარავანდი ყოვლისა საქრისტიანოთა საღმრთო

<sup>1</sup> ბადიშმან—B. <sup>2</sup> და—B. <sup>3</sup> ჩვენმან—B. <sup>4</sup> და მუსტაფა... შირზამ—B. <sup>5</sup> და—B. <sup>6</sup> მწოვისე B. <sup>7</sup> ყოველთა B. <sup>8</sup> მოწამეთა B. <sup>9</sup> ურნე B.

ექსპედიტისა, და სხიოსანი სამდღლო ხორისა, გაბრწყინებული სა-  
ეპისკოპოზო დიადიმა<sup>1</sup>-ომფორისა, და ნათელ-შემოსილ სამთაეროსა  
პორფირ-ბისონისა და მპყრობელი სამწყსოსა ხვიროსან-კვერთხისა,  
და რაინდი 'ამიტრაპოლიტოსა მენაკის, და უფალი კახთა მეფეთა  
სპათა ბავრაყისა, და სპათსპეტი მისავე უამრავთა ლაშქრისა, და  
შეენიერება საუფლო პალატისა დიდი მამამთავარი რუსთ-  
ველ მიტრაპოლიტი ნიკოლოზ, ძე ჩერქეზის შვი-  
ლის ალადალისა:

მიუბოძეთ და დაესვით რუსთვლად და დაუდგინეთ საყდარსა  
მას ღმრთაებთასა, გარნა პირველთაგან არა ყოფილიყო და არცა  
საქართველოთა მეფეთა და ძეპატრონეთაგან წეს-ქმნილიყო წინა  
რუსთველთა ძიერ შემოსა ბისონთა.

არამედ, ვინადგან იყო რუსთველი უკალი სპათა ჩვენთა ბე-  
რაყისა, და პატრონი მწედართა უამრავთა ლაშქართა ჩვენთა მთავ-  
რობისა, ამად შევამკეთ და მიუბოძეთ საუფლო კახა ჩვენი პორ-  
ფირ-ბისონი და შთავაცივით კვართი სამთაერო და შეემოსეთ მე-  
ფეთა სამოსელითა და მითრაპოლიტად განვაწესეთ.

რომელ დღეის წაღმართ ყოველნი რუსთველნი ესრეთ ბისო-  
ნითა კურთხევასა მი[ი]ღებდენ და სხვათა უცილებელსა საუფლოსა  
კახასა ჩვენსა პორფირ-ბისონთა დიდად წყალობად მიხედვიდენ.

და ყოველნივე კათალიკოზნი, მეფენი, და ეპისკოპოზნი და-  
მამტიციებელად ამა ჩვენსა წყალობასა მოუდგებოდენ, და ყოველ-  
თავე მას საყდართა მჯდომარეთა რუსთველთა ესრეთ კურთხევასა  
მიააიქვბდენ, რომელი ჩვენ გვბრძანებია.

და დიდებად და პატივად ღმრთაებისა საყდრისათვის დაგვი-  
წესებია, და მასზედა მჯდომარე რუსთველი გაგვიპატიოსნებია, და  
ყოვლად და<sup>2</sup> ყოველთა პატივთა შინა სახელ-განთქმულთა მეფეთა,  
დიდებულთა, მთავართა, ერისთავთა და სპასალართა, მდაბიონთა  
და უდაბნოთა, პატრიარქთა და ყოველთა ეკლესი[ი]სა საღმრთო  
სამღვდელთა მემწყობრეთა ყოველთა წინაშე თითის საჩვენებლად  
და თვალთაგან სახმედველოდ დაგვისხამნ და მცნებითა ამით, კე-  
ლისაგან ჩვენისა ნაწერითა და გულისაგან ჩვენისა აღმოთქმულთა  
გუჯრითა<sup>3</sup> საყდრისა<sup>4</sup> ამის დიდება და<sup>5</sup> პატივი და მჯდომარისა და  
მპყრობლისა ამას ზედა მთავარეპისკოპოზისა რუსთველისა ამაღ-  
ლება და განწესება საღმრთოდ გინა საეროდ განცდად ყოველთა-  
გან დაგვიარსებია და განგვიწესია. რათა, რომელი იხილვიდენ და  
სრულიად გამოძიებით გულისკმას-ყოფდენ, უწინარეს ჩვენსა აღი-  
დონ ყოველთა ზედან მხედველი დაუსაბამო ღმერთი და უფალი

<sup>1</sup> ხორისა... დიადიმა—B. <sup>2</sup> და—B. <sup>3</sup> გუქრითა B. <sup>4</sup> საყრისა B. <sup>5</sup> დი-  
დება და] დიდებად B.

და მოწიწებით თაყვანი სცენ უხილავად და უარსოდ გამოხატულსა ხატსა ამას არსებისასა. და მიერიდგან განადიდონ ყოვლად ღირსებისა საუნჯე, წმინდა მამა ანტონი მარტო-მყოფელი.

ხოლო ამისა შემდგომად დიდნი იგი და ძლიერნი მეფენი საქართველოსანი, ჩვენსა უწინარესობით მსხდომარენი ჯელმწიფენი და სულითა ბრწყინვალენი, სულითა წმიდითა სათარვლიან ყონ, ვინადგან მათ მიერ აღშენებითა, დიდებითა და პატივითა, სიმრავლითა დაბითა, აგარაკითა, სამრევლოთა, ყმითა და სპათა ზედან თავადობით და დროშათა ბავრაცთა მინიჭებითა განუგიათ სახლი ესე ღმრთისა, დაუშყარებითა და აღუმაღლებითა.

გარნა მეცა, ამათსა შემდგომად მათისა ტომისა მეტომე და ძირით მათითგან აღმოშობით მოარსებებ და მათთა დიდებულთა ტახტთა დამპყრობელი ჯელმწიფე დავით, მეუღლით, ცით და ასულით კეთილ-ხსენებულ მყავთ ამისთვის, ვინადგან ჩვენსა უწინარესთა მეფეთა ბრძანებანი დავამტკიცენ და კჳალად დიდითა განდიდებით პატივ-ვეც ხატსა ამას წმიდასა საღმრთოსა და საუფლოსა და ყოვლად წმიდასა მამათა მამასა ანტონის შევრდომით თაყვანს ვეცით და უაღმატებულესად და უმეტეს დაუმტკიცენ და უმრავლეს აღვარძინენ მათ მეფეთაგან შევრდომითნი შემწირველობანი.

და არცა ერთი რამე ჯვებულყავ მათნი ძღვნისა მიპროთმელობანი, არამედ მათი ნაკულუევანება ჩვენ აღვავსეთ და რომელ ბისონისა შემოსითა რუსთველი პატიოსან ვყავთ, ვინადგან ჩვენ მივანიჭეთ ესე პატივნი და ადგილნიცა უმაღლესნი პალატთა ჩვენთა, რათა მარცხენით ჩვენსა რუსთველთა ყოველთა თავს დასმიდენ ჯელ-არგანოსან[ნი] ჩვენ[ნი] ამათ პირთათვის, ვინადგან მეფეთა თანამზრახობა და სპათა ქცეულებისა საქმე და მოთხრობა პირითა ამისით მოხსენებნიან მეფეთა, აგრევე ბისონთა შთაცმითა და სპათა თავადობითა არ ეგებოდა უქვედაესთა საინაჟეთა მჯდომარეობა.

გარნა ჯერ არს, რათა ვითარცა ჩვენ აღვასრულეთ მეფეთა ჩვენსა უწინარესთა ბრძანებანი და უმეტესადცა წარვმატეთ პატივი და დიდება ხატისა ამის, ეგრეთცა თქვენცა: შემდგომთა ჩვენთა მეფეთა, მთავართა, ერისთავთა, ქრისტეანეთა, მოჰმედიანთა, საღმრთოთა და საეროთა, დასთა და კრებულთა განადიდეთ, განავრცეთ და განაძლიერეთ პატივი ხატისა ამის საუფლოსა და დი-

დება საყდრისა ღმრთაებისა და ერდგულებით მსახურება ღირსისა მამისა ანტონისა.

ნუმცა-რა-ვინ ჯელყოფთ მცირედსაცა გამოტეებასა და<sup>1</sup> დაკინებასა ამა ეკლესიისასა, ნუმცა ერთი ვინ შთავარდების რისხვასა ღმრთაებისასა და შეჩვენებით წყევასა მას, რომელი ბოლოდ გუჯრისა დაგვიწერიან.

ხოლო აგარაკათავის და ვენანტა, გინა სოფელთა და მათა, ანუ წყალთა და ველთა, სამწყსოთა და სამრევლოთა ამათ ყოველთათვის ესე ვბრძანეთ:

ვინათგან ღიდთა მეფეთაგან შეწირულნი ზოგი რომელიმე სამძღვრით-სამძღვრად და ადგილითი-ადგილად ზედა-მიწვენულობით არლარავინ მეცნიერ იყო და გუჯარნიცა ღიდნი ჟამთა სიგრძესა განერყვნა, ამათ პირთათვის გამოძიებით, გამოკვლევით, განთვისებით ძიება ვყავთ და ვაგრძენით კაცთაგან მათ ადგილითასა მოხუცებულთა და ეკლესი[ი]სა მონათაგან. ზოგი რომელიმე წვრილნი, მეფეთა შენაწირნი წიგნნიცა იყვნეს ამას საყდარსა, იგიცა მოიხვნეს წინაშე ჩვენსა. აღმო[ვ]იკითხეთ და ვნახეთ რაოდენიცა შეწირულობა იყვნეს მარტყოფსა შინა, რომელი:

სრულიად მარტყოფის მოურაობა რუსთელისა ყოფილა სამკვიდროდ და დროშაც მისთვის მიუციათ, რომე ვითა ქიზიჯის მოურავს აქვს დროშა ქიზიჯის. მოურაობით, აგრევე რუსთველთათვის განუწესებია მარტყოფის მოურაობა და არცა მოეშლებიან, ვითა ჩვენცა არარა მოუშალეთ და დაუმტკიცეთ. ეგრეთვე მარტყოფის გამოსავალთა ბაჟათათვის<sup>2</sup>, ანუ მათათა და ბართა საბალახეთათვის, გინა ბელბაშთა და სამთოთათვის.

ესე ყოველნი ვისწავეთ, ვითა ძველთა მეფეთა განეჩინა, ვახტანგ გორგასლითგან ვიდრე ბატონს თეიმურაზამდენ და მიერიდგან მეფობად ჩვენდამდე, ჩვენცა ესრეთ განვაჩინეთ და ვბრძანეთ.

წარვიდოღენ მათათა მებალახენი, მარტყოფის მათათა შინა, ჩვენნი და რუსთველთა მებალახენი წავიდენ, რაოდენ რიგი იყოს ეგრეთ აილებდენ და ნახევარს ჩვენს კარის მოტეულთ მიაბარებდენ და ნახევარს საყდარს და რუსთველს მიართმიდენ.

აგრევე სამთო დასამოტელოცა შუა გაუყონ ჩვენთა მებალახეთა საყდრისათა.

<sup>1</sup> და—იქ. <sup>2</sup> ბალთათვის B.

ეგრეთვე სამინდროთა ცხვართა ზედან ოდეს აიღებდენ<sup>1</sup>, ამავე წესითა და რიგითა, ვითა მათა შინა არს, ეგრეთვე მინდორთაცა ბაჟიცა<sup>2</sup>.

აგრეთვე განსყიდულისა და აღებულისა ჩვენთა მარტყოფთა შინა აიღებდენ მებაჟენი<sup>3</sup> და ნახევარს ჩვენსა მოკვლეთა მიაბარებდენ, ნახევარს ხატსა ღმრთაებისასა.

აგრევე ბელბაშნი და საენდრონი, ვითა ბაჟენი სამღებრონი, ვაქარნი სრულიად საყდრისა არიან, რაოდენითაცა იჯართა დასხდენ, იმათნი იჯარნი და ბელბაშნი, ჩვენთა მოკვლეთა ჯელი არა აქვსთ.

სალაშქრონი ჯურუმნი დაკლებულისა კაცისა რუსთვლისა არის, რომე ლაშქართათვის შესამატად გვიბოძებია, ვითა სხვათა მეფეთაცა ესრეთ ებრძანა.

ნატყვენავისა და ნაშოებისა ფანჯიეჟი ხუთის თავი საყდრისა და რუსთვლისა არის, ყოველთავე მის მისთა სპათა შინა ყოველსავე ნაშოებისა ცხოველისა ანუ ჯმელისა, ამათ პირთათვის, ვინათგან\* სპათა უფროსად დაგვიდგენია. და დროშისათვის ღმრთეებისა პატივად სხვათ მეფეთაცა შეეწირა და ჩვენც ესრეთ განვაჩინეთ, რათა ჩვენნი ყმანი, თავადნი, ეპისკოპოზნი, აზნაურნი და გლეხნი ღმრთეებისა დროშისანი ყოველისაგან ნაშოებისა ხუთის თავს უზრუნველად ღმრთეების დროშას საძაღლობელად მიართმოდენ, რომელ მისისა საფარველითა წარმოუტყვენავთ მტერნი თვისნი და დაუმორჩილებიათ.

აგრევე სხვათა საყდართა სოფლებთა, რომელნიცა მეფეთა ღმრთეებისა საყდრისათვის შეეწირათ, მათნი წიგნნიცა აღმოვიკითხეთ და ჩვენც ჰემმარტად ვაგრძენით, რომე ჩვენთა მოკვლეთა სარუსთლოთა სოფელთა შინა ჯელი ნუ აქვსთ, ნურც ვაქართანანა და მღებართა და ნუცა ბაჟთა და მეკობრეთა ნაქურდალთა საშვიდეულოთა საზღაურთა<sup>4</sup>. ამათი გამოსაღები და გამონართმი საყდრისა და რუსთვლისა არის; ყოველთა ჩვენთა მოკვლეთათვის მეფეთაც ჯელი აეღებინათ და ჩვენც აგრევე უბძანეთ, რათა სოფლებთა ამათ ჯელს ნუ შეიღებენ.

ხოლო სამწყსოთათვის და სამრევლოთათვის, რაოდენიცა ქონან, ესე არიან: მარტყოფნი, და ბოსტან-ქალაქელნი, ნასომხარნი, ვანკოდა, და ლილონი. გლდანი, და ჯაქენი, და ლელუბანნი, და გარდაღმა კახეთთა შინა: უტონი, ბულანი, ჩოფჩაური და ხოვა<sup>5</sup>. ესენი, ზოგი რომელიმე ყმა და<sup>6</sup> ზოგი რომელიმე სამწყსონი, გარჩევით ქვემოვე დაგვიწერია.

<sup>1</sup> აიღებოდეს B. <sup>2</sup> ბაღიცა B. <sup>3</sup> მებაღენი B. <sup>4</sup> ნაქურდალთა... საზღაურთა—B. <sup>5</sup> და ხოვა] და სხვა B. <sup>6</sup> ყმა და] ყმად B.

\* B ნუსხაში აქედან ტექსტი გადაწერილია სხვა ხელით.

ამა სამწყსოთა შინა მესამეთა წელთა მარტყოფთა და ნასომხართა დრამი ერგებინ; კომლთა უმსახუროთა ზედა—ლიტრანი პურნი ათორმეტნი; მსახურთა ზედა მომკვდართა—ცხენი აკაზმული და მასპინძლობა შინა—შეწოდებით რუსთველთა და კრებულთა.

ხოლო კობორტელთა<sup>1</sup>, ვანკოდთა, ლელუბანთა დრამა არ აიღებინ, არამედ მკედართა გლებთა ზედა ჯარი საწირავად უნდა რუსთველთა მოართვან და სხვა არა-რა; მსახურთა—აკაზმული ცხენი და შინ-შეწოდება რუსთველთა კრებულთა და, რაოდენიცა ძალუც, სანოვავისა წარგება.

უტოთა, ჩოფჩაურთა, ხოვათა და ბულანთა ორნივე აძენ: საწირავიცა ჯარი და მესამედ წელთა დრამნი, სამნი საწყაულნი ღვინონი და მსახურთა—აკაზმული ცხენი, ხოლო ხუცესთა—ჯარნი და მარჩილნი.

მარტყოფის ხუცესთა და ვანკოდოისათა<sup>2</sup> ყოველთა აღესებათა სამნი აბაზნი აძენ და სხვა არა-რა.

ლილონი, გლდანი და ჯაჭვნი ანგარებით და მძლავრობით მიეტაცათ ქარ[თ]ლისა კათალიკოზთა და თბილელთა, ვითარმედ ესე იუწყეთ: რაოდენ ესე ეკლესია აღუმართებიათ მეფეთა, მასვე ჟამსა ესე სამწყსონი ღმრთაებისა საყდრისა არს და, ვისცა შიში ღმრთისა გქონან<sup>3</sup>, კჟულად ამასვე აგენით თვისნი სამწყსონი. ბოსტან-ქალაქი ოჯერ არიან და ოდესცა ნებიათ ღმრთისათა შენობად იწყოს, სამწყსონი რუსთველისანი არიან.

ვანკოდა სრულიად რუსთველისა და საყდრისა არის ყოვლის საქმით, რომელ ჩვენთა მოსაქმეთა შეუალ არს.

უკეთუ ვინმე ბართა ანუ მათათა შემოეცილებოდენ მეზობელნი, მივიდენ ჩვენი არგანთა მპყრობელნი და რუსთველის ყმათ ვანკოდელთ თავისი მამული იფიცონ. ამისთვის რომე ხატი ღმრთაებისათ უტვირთავენ და სამონოდ ამის ხატისანი არიან.

აგრევე სოფელი მძორეთი პირველადვე სამკვიდროდ მეფეთაგან შენაწირნი არიან საყმოდ, მთიან-მინდვრიანად, წყლიან-ტყვიანად, რომელ ჩვენი კარის მოსაქმენი არად არას მოსაქმე არიან მას მძორეთსა. ესე მძორეთისა წინანი ჩასდგამს არაგვამდე. წინათ ბიწმენთა თანა აქვს სამძღვარი<sup>4</sup> მინდვრისა, და უგამომართ საგურამოთა ზეით ზაქარამდე, და უკანით არძვამდის<sup>5</sup> მთანი ლელუბანთა, და მათათა მათთა ერთ არიან, ვიდრე აძვის შესწორებად. ამათნი სამთონი და ბარის საბალახენი, ბაჟნი, სამღებრონი,

<sup>1</sup> კობორტელთა A. <sup>2</sup> მანკოდისათა B. <sup>3</sup> მგონან B. <sup>4</sup> წინათ... სამძღვარი—B. <sup>5</sup> მუკანით არძვამდის] მუკანით არაგვამდის B.

სამეკობრო საშვიდეულო, ყოველნივე საყდრისა და რუსთვლისანი არიან. ჩვენთა მოკელეთა არა-რა საქმენი უძესთ| მუნით. და უკეთუ ვინმე მესარჩლენი დაიცილონ მძორელთა მათათანუ ბართა, მიახხნენ ჩვენნი მწიგნობარნი და ფიცნი მძორელთა უბძანეთ, თვისნი ალაგნი იფიცო[ნ] ხატსა თვისსა ზედა, რომელმათი არს ხატი საუფლო პირი ღმრთისა.

ხოლო ამისა შემდგომად არიან ქევენი ხერგისანი<sup>1</sup> გრძელნი, ტყიანი, მთიანი და წყლიანი; მრავალნი ნასოფლარნი და სოფელნიცა თეზმანი, ნაწილებნი ჩრდილოანი: ბაკუტაძენი და ერთგულანი და სხვანი; შემდგომნი ნაოჯარნი ჩაირს, ვიდრე იორადმდე; ხოლო მთანი იკულივნი ერწოდმდე; ბოლო სახნავენი მინდორნი მარტყოფთა შინა, ყარაის თავად შთასჭრის.

ამა თეზამისა ქევენი, ესრეთ განთვითებულნი, საყდრისა ღმრთაებისა შეწირულნი იყვნეს პირველითაგან მეფეთა, ძნელისა წყევითა და ჩვენცა არავე განვდრიკეთ რიგი მათი, არამედ ესრეთ ებძანეთ, რათა ამათ ხერგის ქევთათვის ათავისუფლებდენ ჩვენნი მოსაქმენი და ყოვლისაგან ნიეთთაგანისა<sup>2</sup> გამოსაღებისა ათავისუფლონ, რაოდენიცა რა არს შესავალთაგანი მთისა, გინა ბარისა, ბაჟისა ანუ სამეკობროსა. ყოველნივე ხატისა ღმრთაებისა არს და რუსთვლისა, გორგასლიანთაგანცა და ჩვენგან და ჩვენთა მამა-პაპათაგან.

გარნა საჩვენოდ დასხმულ-არს საბუღარი ერთი საქორე; უნდა რომე, ორთა ქორთა -- ერთსა მთავარსა და მეორესა გეზელსა, ჩვენთა მფრინველთა<sup>3</sup>-უხუცესსა მოაბარებდენ თეზმის მოკვლენი.

და უკეთუ ვინმე მათათანუ ბართა ეცილნენ, ებრძანებთ, რათა თეზამისა კაცთა იფიცონ ხატითა თვისითა, ამისთვის რომე ხატისა ღმრთაებისა მოლარენი არიან ყოველნი საყდრისა მოყმენი და მონანი.

აგრევე ერწოთა შინა მიმერთმევენეს აგარაკნი, სოფელნი და შენნი და უშენნი, მიერთმევენეს ძველათ ხვასროიანთა არჩილს და ძეთა მათთა. და ჩვენთაცა ტომთა თამარს და აღმაშენებელსა დავითს; და ყოველთავე ჩვენცა განუახლეთ და დაუმტკიცეთ გუჯართა ამით და არა დავაკნინეთ პატივი ხატისა ამის.

ხოლო ერწოსა განგება ესრეთ ყოფილიყვენენ, რომე ვაგრანეთი, სამთაეროთა ყმათა გარდა, ფილიანთ და იმერლიანთ მამულთ გარეწარად, ესე ვაგრძენით: თვისით შესავალ-გამოსავალით, მთით, ბარით, წისქვილ-საქნავით ღმრთაებისა არს შეწირული და განკუთვნილი.

<sup>1</sup> ხერგისანი B. <sup>2</sup> მოსაქმენი... ნიეთთაგანისა—B. <sup>3</sup> მფრინველთა B.

აგრევე ჯიღაურნი ყოვლით მისით განწესებით, ვითა ვაგრანეთი, ეგრეთვე ესე ჯიღაური არს, მთით ანუ ბარით, შესავლით ანუ გამოსავლით, იქით ამ ტ ნამდი და აქათ თ რ[ან]ამდი.

აგრევე ერწოთა შინა დევნაანთ კარი, მეკვამლენი დევნა-შვილნი, თავიანთ სამძღვრით: იქით—ნადირაანთ კართა თანა მიაწევს სამძღვარი, მთიან ბარიანად; აქათ—გამოყვება, ბერაკანთ კარი ეწოდებიან, გამოიარს ესე, მეკომლენი და მაკუჭაძენი<sup>1</sup> ქისტაურნი სახლობენ და მაკუჭაძეთ კარი ეწოდებიან; იქით—საერთონი მთანი და ბარნი აქვთ დევნაანთ კარით, ვიდრე ჯოთენურამდე. ამათი ბარნი ერთნი არიან.

აგრევე ონეთის ქედი საკუთრად საყდრისანი არიან, ბოლოდ წიაბეთამდის მიაწევს, აგრევე ახალ კალოთა შიგან ათორმეტი საკომლონი არიან ხატისა ღმრთაებისანი, ჭავჭავაძეს მამულს გარეთ სარუსთ[ვ]ლონი არიან, ვიდრე იორამდე. და ამათ მთათა შინა ოდეს საბალახენი აიღებოდენ, ნახევარს ჭავჭავაძენი წაიღებდენ და ნახევარს რუსთველი.

აგრევე თილთუბანი არს საკვამლონი ბევრნი, უცილებელად ხატისა ღმრთაებისა არს, ბოლო მიაწევს საყდრამდე წმინდის ნიკოლოზისა ძუძამდე<sup>2</sup>, ხოლო მთანი ვიდრე ბათქამდენ.

კუალად ჩეკურთაცა შინა სამნი საკვამლონი ბზიკაურნი, თავისის მთითა და ბარითა აღსავსენი, აგრევე ძველადვე მარანნი და ჭურნი და ადგილნი საკუვამლონი<sup>3</sup> ათორმეტნი ქონოდენ.

წობენას მარქანი მესამძღვრენი ხიმშიანი უსხენან და აქეთ სვიმონელნი ყვანან. აწცა მარანნი და ქვევრნი თვალითა იხილვებიან; ამისნი ზვარნი შიგან წობენთასა ყოფილან.

აწე, რაოდენნიცა ესე სოფელნი ერწოთა შინა<sup>4</sup> შესწირვიან ღმრთაებისა ხატსა, ამა სოფელთა შინა არავის ძალუც რაოდენისაცა ნიფთისა აღება, ანუ ბაჟისა, ანუ საბალახეთა, გინა სამეკობრეთა საშვიდეულოთა, ანუ სამასპინძლოთა და კოდის-პურთა, გინა კულუხთ.

ამათ ყოველთაგან უწინარეს ჩვენსაცა გელმწიფეთა თვითცა გელისა აღებითა გე[ვ]თავისუფლათ და აწ ჩვენცა ამის ყოვლისაგან ვათავისუფლეთ, რომე არც დიდთა, არცა მცირეთა კარისა ჩვენისა მოჭვლეთა ამა სარუსთ[ვ]ლოთა ერწოთა შინა გელი ნუ აქვთ. ამის<sup>5</sup> ყოვლისავე საერწოოსა გამოსავალნი ყოველფერნი ხატსა ღმრთაებისასა მიერთმოდენ და რუსთველნი მიიღებდენ მოსახსენებლად ჩვენდა.

<sup>1</sup> მაკუჭაძენი A. <sup>2</sup> აძუძამდე B. <sup>3</sup> საკუვლამლონი B. <sup>4</sup> აწე... შინა—B. <sup>5</sup> ანის B.



აწე, ამათ ერწოთა წელ ყოველ<sup>1</sup> აძენ ახმეტისა ზვრისა მუშაობა.

და უკეთუ ვინმე ესარჩლოს<sup>2</sup> მამულთა, მათათა ანუ ბართა, მიიწიენეს ჩვენნი კარისა არგან-მპყრობელნი და მოიყვანონ წმიდა ხატი ღმრთაებისა და თავისი მამული ერწოთა იფიცონ, მთაცა და ბარნიცა, ამისთვის რომე ღმრთაების ხატნი და საყდარნი იმათ უტვირთავნ.

ხოლო ამათ სოფელთა, დაბათა და აგარაკთა, რომელნი ნაპირთა ალაგთა უპყრიან და ხატისათვის ღმრთაებისა შეწირულან, და სხვანი შინაგან კახეთისა ქონან ადგილნი სამწყსონი და სოფელნი, ამათ ესე მიზეზნი ქონან: ვინადგან ესე წმინდა და ყოველად ქებული ღირსი მამა ანტონი ოდესცა ცოცხლებით ყოფილიყვენ და სადაცა უკაცურნი ალაგნი ეპოვა, მუნ მდგომარე ექმნათავი თვისი და სადაც კეთილ ცხოვრება ექმნა და განეშვენა, იგი ადგილი მიერიდგან პელმწიფეთა და მპყრობელთა აგარაკითა სოფლითა და შეწირულობითა განეგოთ. და შევნიერი ეკლესია აღემართა, რომელი<sup>3</sup> ამიერიდგან ჩვენცა მცირედ რამე ვსთქვენთ საკვირველებანი ამის სანატრელისა მამისანი.

გარნა ესე ყოველთავე უწყით, ვითარ და ანუ რომლითა სახითა მოიწიენეს შუამდინარით ათორმეტნი ესე წმინდანი მამანი, სანახებთა საქართველოსათა, და თვის-თვისად დაიპყრნეს საღვწელად ალაგნი და სენაკნი და რომელთა ყავთ წინამძღვრად და მსწავლელად და მოძღვრად წმიდა იოვანე ზედა-ზადნელი.

ხოლო ოდესცა განეშორა წმიდა ესე მამა ანტონი საკუირველსა იოვანეს, მიერიდგან განუშორებლად თანა-ყვენეს წმიდა იგი საუფლო და არსება-უცვალელებელი ხატი ყოველად დიდებული უფლისა და მაცხოვრისა იესოს ქრისტესი. გამოვლო ესე ქვეყანა, მთანი და მალნარნი, გარდავლნა იალნო და შთავ[ი]და შინა კახეთად, სადა იყოფოდა არსენი იყალთოდ<sup>4</sup> და წმიდა დანეტარი შიო არტოზნად, სადა აწ ეკლესიაცა მისი შენ არს და ქვაბნი არიან მრავლად გამოკვეთილნი. იყოფოდა ჟამ რავედენმე, ხოლო მუნიტუცა წარვიდა, და ჩავლნა ალავერდად, და მიიწია, სადაც მრავალ ღვაწლ-მრავლობით განენათლა ალაგი იგი ყოველად და ნეტარსა იოსებს, მივიდა მისთანა და განაძლიერნეს ურთიერთსა ცხოვრება თვისი.

გარნა ყოვლითურთ წმიდა ესე დაყუდების მოყვარე, და მარტოდ-მოყოფობისა მოწადე, და სურვიელ იყო, განეშორა მათგან და ჩავლნა ალაზანნი და შევლნა ქვენი ლოპოტასნი და მუნ პოვნა

<sup>1</sup> წელ ყოველ—B. <sup>2</sup> ქარჩლოს B. <sup>3</sup> თოროელნი B. <sup>4</sup> იყალთოელთოჲ B.

ადგილნი უკაცურნი. და<sup>1</sup> დაადგრა ეამ რაედენმე მარტოებით და მხოლოსა ღმერთსა მხოლოდ ზრახვიდა.

ხოლო ვინადგან ღმერთი, რომლისა სახელი კურთხეულ არს, არა დაფარა საფასე იგი დიდძალი და სასანთლე მრავალ მნათობიერი, შემოუჭრბეს ძმანი მრავალნი სოფლისა დამტევენელნი და იყოფოდეს სწავლასა მისსა შინა.

ვინადგან ამას ნეტარსა ეძვინებოდა<sup>2</sup> კრებულთა შინა ყოფა, იჯმნა მადგან და აგრეთვე კჳალად გამოვლნა ალაზნნი და შემოვიდა უვალთა ტყეთა და უკაცურთა ალაგთა ანმეტასათა<sup>3</sup>. და პოვა ადგილნი გონებისა თვისისაებრი<sup>4</sup> და მარადის ილოცაენ ხატსა მასთანა წმიდასა და საუფლოსა, რომლითა იქმოდა ნიშთა და სასწაულთა მრავალთა. ამისა შემდგომად ვითარცა ქალაქი ძნელ-არს იდუმალ ყოფასა მთასა ზედა დაშენებული, ანუ სანთელი ხვიმირსა ქვეშე, ღმერთმან, რომელი ესრეთ ბრძანებს: «სადაცა იყვნენ შეკრებულ ვინმე სახელისათვის ჩემისა, მუნ ვარ შორის მათსა».\*.

აწ. ესეცა წმიდა განბრწყინდა სასწაულითა, ვითა მზე და განითქვა სახელი მისი ყოველთა მათ ადგილთა. არცაღა ინება ქება კაცთა მიერ და არცაღა დადგრა მუნ<sup>5</sup>, არამედ მათ კრებულთა მშვიდობა მისცა და განეშორა. და წარმოავლო და აღმოქდა მათათა მათ, რომელიცა პირველ გარდევლლენეს და მიიწია კჳალად მახლობელად იოვანესა, მოძღვრისა თვისისა, მტვირთველი მჳართა ხატისა მის ყოვლად წმიდისა და დაადგრა მთასა ამას, რომელსა ცხოვრება ამის ნეტარისა მთად აკარიანად უწოდს.

და იყოფოდა ვიდრე აღსრულებამდე ცხოვრებისა თვისისა ამას ალაგსა ფიცხელითა და ძნელითა<sup>6</sup> მოღვაწეებითა, რომელ მრავლისათვის მარხვისა და საზრდელთა უნდოებასა ულონობითა მოეცნეს ირემნი ხუთნი მდედრნი და ნუკროვანნი წველათათვის. ვითარცა შინაურნი, მალლისა ღმრთისა მიერ, და ყვანდენ ვიდრე სიკვდილამდე.

ამის ყოვლისათვის საკვირველებისა საქმენი ვრცელად ცხოვრებასა მისსა იუწყეთ. ანუ ვითარ წარდგა წინაშე მთავრისა და ახოვნად სახელი ქრისტესი აღიარა, და იქმნა სრულ მოწამე ქრისტესსა, და წარდგა წამებად. გარნა, ვითარცა ქვიშა ზღვისა აღურაცხელ არს, ეგრეთვე სასწაულნი ამისნი. ვინადგან ჩვენ მცირედ რამე ამის პირისათვის<sup>7</sup> ვახსენეთ ქცეულება მისი, რათა საცნაურ იქმნეთ, რომელთა ადგილთა, ანუ რათა მიზეზთათვის ჳელმწიფეთა შეუწირაენ ესე ალაგნი იმიერნი და ამიერნი.

<sup>1</sup> და — A. <sup>2</sup> ეძვინებოდა B. <sup>3</sup> ანმეტატასათა B. <sup>4</sup> თვისისაებრსაებრ B.

<sup>5</sup> მუნად B. <sup>6</sup> ძნელითა — B. <sup>7</sup> ძირისათვის B.

\* მათე 18, 20.

ხოლო ესე წმიდა დადგრა სრულიად მთასა ამას აკრიანად  
კმელსა და აქავე შევედრა ყოვლად წმინდა სული თვისი ხატსა  
მას საუფლოსა. და დაისხნეს წმინდანი ნაწილნი ღისნი ჭეცასა  
ამას დიდსა ეკლესიასა ღმრთაებისასა, წინარე აღსავლისა, რომელ  
მას წმიდასა ანტონი მარტომყოფელი ეწოდნენ მარტოდ  
ცხოვრებისათვის, ვინაცა სახელად ამის წმიდისა მარტო ყოფასა  
მარტყოფი ქვიან, ამის ნეტარისა სახელსა ძლით, გარნა აწ სოფ-  
ლიოთა კაცთა ენითა მარტყოფი უბეგიათ.

ხოლო, ვინადგან ამას წმიდასა მსახურებად და შესაძინელად  
სულისა ჩვენისათვის ვრცილად ვშრებით გუჯარსა ანას, ესეცა საც-  
ნაურ გიყოთ რომელ, სადაცა წერილნი არა აუწყებენ, კაცთა ყო-  
ველივე საქმე ცუდად წარჯდებიან, კეთილი გინა ბოროტი. ვინად-  
გან ამათ ნეტართა ათორმეტთა ზამათა, სადაცა საჯანგ<sup>1</sup> ექმნათ  
და ეღვაწთ მარტოებით, ანუ ზოგნი ვინმე ეპისკოპოზ-ქმნილ-იყე-  
ნეს, ანუ კრებულთა შინა ეცხოვრებათ, ვისაცა-ვის ეუწყა ცხოვრე-  
ბა მათი: მეფეთა, მთავართა, გინა თავადთა, ყოვლითა ძალითა  
თვისითა, შექცეკოთ საფლავი მათი\*, ანუ ეკლესიათა აღმართებითა,  
ანუ სოფელთა და აგარაკთა შემატებითა, გინა ხატთა განკვლით,  
რომელ საუნჯენი მათნი წარმოეცალათ. უმეტესად ამის ღირსისა  
ეკლესიისა განედიდათ და შეემკოთ: ყოვლითა კრძალულებითა  
ყოველთა კელმწიფეთა.

ამისთვის ვინაცა წმიდა საუფლო ესე ხატი აქა არს ადგილსა  
ამას და სადა და რომელსაცა ალაგსა ესე წმიდა დამკვიდრებულა,  
იგი ალაგი ყოველნი ეკლესიათა<sup>2</sup> აღმართებითა და დაბათა სიმრავ-  
ლითა განუდიდებიან, ვითარცა იგი ახმეტათა<sup>3</sup> შინა მართიან ეკ-  
ლესიანი ღმრთაებისანი, და შეუქმვიათ<sup>4</sup> ყოვლითა სამკაულთა  
მრავალფერთა, და შეუწირავენ იგი გარეშემონი ალაგნი.

ვინადგან ესრეთცა იტყვიან მახსოვარნი და ძველნი კაცნი,  
ვითარმედ ერთი ვინმე ძლიერი ქაბუკი ძლიერად მომრთხმელი  
მშვილდისა აკდეს ზედან ფრთესა მის ტაძრისასა და ოთხთავე ყუ-  
რეთა გასტყორცოს ისარი იგი. და სადაცა მიიწივნენ მიერი გა-  
რემო შემომართებით, რაოდენნიცა ალაგნი ახმეტას დახყებინან,  
იგი ალაგნი მის ღმრთეებისა საყდრისა არს. რომელ იგი საყდარნი  
მეტოქად და საწინამძღროდ ამა ღმრთაებისა ეკლესიისათვის გა-  
ნუწესებიათ\*, მარნითა, ჭურითა და ყოვლითა რიგითა. სხვათა მო-  
ცილეთა კელი არა ქონან.

და ჩვენცა ახლად ასე ვბრძანეთ: უკეთუ ვინმე ღმრთის-უშიშ-  
მან: თავადმან ანუ გლეხმან მოხევეკა რამე მოიწადოს, შერისხდენ გე-

<sup>1</sup> საევანგე B. <sup>2</sup> ეკლესიათა—B. <sup>3</sup> არამედათა B. <sup>4</sup> და შეუქმიათ—B.

\* B-ში აქ აღნიშნულია ბეჭდის ადგილი.

მწიფენი და ღმრთაებისა კრებულნი, ყმანი ჯვართა პატიოსნითა მოასხნენ და ვითარ ზემორე სწერიან, ეგრეთ ისარი გასტყორცონ და შემოსაზღვრებით შემოიფიცონ ძალითა და შეწვევითა მეფეთათა.

აგრევე სრულიად უტო სრულიად განეწესათ ~~ჩუსთვლისა-~~ თვის და ათორმეტნი კომლნი კაცნი შეეწირნეს; ზვარნი და ხოდაბუნნი საღალღეთა შინა და სამნი სოფელნი, რომელნი აწ რვერ არიან. ბულაანი და ჩოფჩაური და ხოეა<sup>1</sup> ესენიც შეწირულნი არიან ღმრთაებისა და ღირსისა მამისა ანტონისა, რომელ ამა სამთა სოფელთა შინა კახთა თავადთა, არცა მცირეთა, არცა ჩვენთა მოკელეთა, ჯელი არად<sup>2</sup> შეუა, არა საბურედ, არცა საღვინედ, გინა საშვიდეულოდ, არცა სამთოდ და არცა საბაროდ. ესე ყოველი ძველად ხოსროიანთა შეეწირნეს და ჩვენთა ტომთა ბაგრატიონთა. და აწ ჩვენცა ეგრეთვე განვაჩინეთ, ვითარცა<sup>3</sup> მათ განეწესნეს.

ხოლო არიან სხვანიცა მრავალ და ურიცხვი შენაწირნი და მსახურებანი მეფეთანი: ენისელთა შინა გოგამნი<sup>4</sup> სოფელი, კვამლი სამოცი, თვისის სამართლიანის რიგით გარიგებული, მუნით აბრეშუმნი მრავალნი, ვითა ენისელთა შინა აძენ, ეგრეთ პურნი, ქერნი და ბრინჯნი, ბაენი, ფანჯიექნი და ყოველი გამოსავალი სარუსთველო და საღმრთაებო არის, რომელ არც მოურავთა, არცა კარისა ჩვენისა მოკელეთა საქმე არა უცან; ამისად გარდა, ძველნიცა გუჯარნი აქვან.

ამისა შემდგომად ზემოთა კახეთთა, ახალშენსა და გურჯაანთა შუა, სოფელი დიდი და კეთილმარგებელი, სრულიად ჩუმლაყნი იყვნეს შეწირულნი. დიდისა სათასითა და ახთქმითა ძველთა მეფეთაგან, რომელ მესამძღვრენი ახალშენნი არიან—ზემოთ, და აქათ—საენდრონიკონი, ბოლოდ—ალაზანნი, რომელ პირნი ალაზნისანი საკონედ და სათევზედ სარუსთველოდ სხენან.

ამა ჩუმლაყთა შინა არაგის ჯელ უძესთ, არა ჩვენ და არცა სხვათა თავადთა. ყოველთავე გამოსავალთა ეთავისუფლათ და ჩვენცა ესრეთ ვათავისუფლეთ. კაცთა საცმარნი ჩვენთა მოკელეთა არა აილონ-რან, თვინიერ ორთა ქორთა, რომელ ორნი ქორნი მოიყვანენ და ჩვენთა მფრინველთა-უხუცესსა მიაბარონ.

სხვანი: ბაენი, ბელაბაშნი და საშვიდეულონი ყოველნი ხატისა ღმრთაებისა არიან. აგრეთვე სამთონი, საბალახენი და სამინდვრენი და საჭალონი გამოსავალნი ყოველნი რუსთველთა მიერთმიდენ.

<sup>1</sup> და ხოვა] და სხვა A, და სოვა B. <sup>2</sup> არდა B. <sup>3</sup> ვითარძი A. <sup>4</sup> მოგმანი B.

ამის ჩუმლაცის მთანი ჯიშითა მოსამძღვრედ არიან და ბრძანება ესე ჩვენი ესრეთ არს: უკეთუ ვინმე შემოეცილონ ალაგთა რათამე სამთოთა ანუ სამინდროთა, მათ ერთობილთა ჩუმლაცელთა იფიცონ თვისსა არსებისა ხატსა ზედან.

აგრევე ამოვლონ იორთა გამოღმართ, უჯარმოთ გარდმო-მართ და მუნცა არს სოფელი ერთი, რომელსა საცხენედ უწოდენ; ესე საცხენე, ყოვლითურთ შემოსავლით, გარე მითთ და დაბლა მინდვრით, წყლით, უწყლოდ და ყოვლისა სამართლიანის სამძღვრით ღმრთაების შეწირულნი არიან, ვითაც ძველად ვახტანგ გორგასალს შეეწირნეს, მიერიდგან ჩვენადმდე აქენდენ ხატსა ღმრთაებისასა, რომელ ამა საცხენეთა შინა ოცნი საკუანლონი სარუსთ[ვ]ლონი არიან; და ამისად გარდა სხვა სხვისა თავადთა და აზნაურთა უძენ წილნი.

ხოლო<sup>1</sup> რაოდენიცა ღმრთაებისა იყენენ, ყოველივე გამოსაღები: ბაჟნი, კოდის-პურნი, საშვიდეულონი საზლაურნი, ყოველივე საბალახენი, მთისა ანუ ბარისა, ღმრთაებისა ხატისა არის, ჩვენთა მოჭვლეთა კელი არა ქონან.

სამგორთა თავსაც საწალმენი<sup>2</sup> ალაგნი საღალოდ რუსთველისა და ღმრთაებისა საყდრისანი არიან უცილებლად.

აგრევე ნასომხარნი, შენნი და უშენნი, იალონთა ჩამოღმართ არიან საკუამლონი არა მცირენი, ამას ნასომხართა მთანი ნახევარი იალონსა და ხორაუეთა<sup>3</sup> მესამძღვრედ ქონან, მთანი და ბოლო ჭოტორთა წინ აქენ მიწეულნი.

ამა ნასომხართათვის ესრეთ თავისუფლება მიუციათ ჯემწიფეთა, რათა საყდრისა და რუსთველისაგან კიდე სხვათა არა-რას მსახურებდენ. სამთო, საბარო, საბაჟო და საზღვევინებელი ყოველნი ღმრთაებისა ყოფილან და აწცა არიან.

ხოლო სახასოთა ჩვენთა მარტყოფთა შიგან საკვამლონი მრავალნი და კომლნი კაცნი ბევრ არიან შეწირულნი ამის საყდრისა და ხატისა ღმრთაებისა: მეფეთა ზვარნი, აქეთ ჯერველანთ შიგან, რომე ეს ზვარნი სრულიად მარტყოფთა უნდა შემუშაონ და რუსთველნი პურით და ღვინით ჯეროვნად ემასპინძლებოდენ.

აგრევე ზვარნი ნორიისა ქევზე, იგიცა ჩვენი ნორიელთ შემუშაონ, ყოვლის სამუშაოს წესითა; და რუსთველნი ღვინით და პურით ჯეროვნად უმასპინძლებდენ.

აგრევე ღმრთაებისა მარანში ღვინით ქვევრის რეცხა აძესთ სოფელსა და სოფელსა. უნდა მოვიდენ და ქვევრი რეცხონ მარტყოფელთ.

<sup>1</sup> ხოლო—B. <sup>2</sup> საწალმენი B. <sup>3</sup> ხორაუთაძეს B.

აგრეთვე ორთავე ქვეთა შინა ხოდაბუნნი სეფენი და საჯ-  
ნაენი არიან მრავალნი, ჩვენთა მამა-პაპათაგან შეწირულნი, და  
ჩვენცა აგრევე დაუმტკიცეთ.

ჩვენთა სახასოთა მარტყოფთა შიგან მეკომლეთა დადებით  
ფქვა სძეთ, რომე წლითი-წლად მოსაველნი უნდა დაუფქვან. რო-  
ნელსაცა მეკომლეს ერგებიან, იგი კაცნი ყოვლისა საჯემწითოსა გა-  
მოსაველისაგან ათავისუფლონ წელსა ერთსა.

აგრევე ქიჭინაძეთა და ამორჩევით სხვათა მეკომლეთა, მოსა-  
ხსენებლად მეფეთა, მცირედი რამე პური აძეთ, სასებისკროდ უჯ-  
მობენ. ესე პური უნდა მოილონ და საყდარსა ამას სეფედ გამო-  
აჭურონ და წმიდასა ამას წმიდათასა პურწმიდად უფალსა შესწი-  
რონ, მოსახსენებლად ჩვენთა მამა-პაპათა.

აგრევე სრულიად სამარტყოფოთა მთათა შინა, ანუ ბართა,  
საბალახენი აისხმოდენ, წაყიდენ ჩვენი მობალახენი და რუსთვლისა  
მობალახენი მთათა ანუ ჰართა შინა და ჯეროვანი საბალახე აილონ,  
ნახევარი ჩვენთა მოკვლეთა წაასხან და ნახევარი რუსთველთა და  
საყდარს მიართვან. სამთო, საჯოხე<sup>1</sup> აილონ და ჩვენთა ყმათა და  
რუსთვლის მოკვლეთ გაიყონ.

აგრევე ბელბაშნი, ბაენი ყოვლის სავაჭროსი იყვენენ, ჩვენნი  
კაცნი და რუსთვლისა აილებდენ და აგრევე ამისსა ნახევარსა  
ღმრთაებისა ხატსა და რუსთველსა მიართმიდენ.

სამღებროთა<sup>2</sup> თანა ქელი ნუ აქვთ ჩვენთა მოკვლეთა, ნურცა  
ბელბაშთა, ნუცა მებაჟეთა: სასანთლეთ, საზეთოდ ღმრთაებისათვის  
შეწირულნი არიან.

ხოლო ნებითა ღმრთისათა ოდესცა მარტყოფით მეკომლე  
კაცი ამოსწყდეს, და მისი ძე, ძმა და სამკვიდრო და მათი ნაწილი  
ყოველივე განქარდეს, რაოდენი რამე ღარჩეს, პური ანუ ღვინო,  
ძროხა, ცხენი, თუ ნედლად, ანუ კმელად, მარანსა, მამულსა და  
მიწასა გარდა, ესე მოილონ ჩვენთა მოკვლეთა. რუსთვლისა მოკვლე  
თან იყოლონ და გაყონ შუაზედ, და ნახევარს ღმრთაებას მიართ-  
მიდენ<sup>3</sup> და ნახევარს ჩვენნი მოკვლენი დარბაზად მოილებდენ. გუ-  
ჯარნიცა ასე ქონდათ მეფეთა მეფის თემურაზისა, და  
ჩვენცა არა მოუშალეთ.

აგრევე ლილო სრულიად სამწყსოდ რუსთვლისა ყოფილა,  
და ერთი სოფელი ქვიტკირისა ლილო ძველად ჩვენთა ტომთა-  
განცა და აწცა მეფეს თემურაზს მოერთვა ყმად, და მიერიდგან,  
ოდეს მეფეს როსტომს კახეთი დაეჭირათ, არცა მათ მოეშა-  
ლათ ესე სოფელი, და თვითცა გუჯრითა დაემტკიცებინა და რი-

<sup>1</sup> სატორე B. <sup>2</sup> სამღებროთა—B. <sup>3</sup> და... მიართმიდენ—B.

სხვით შემოეწირა და არა გამოეცვა. მერმე სულ ბრწყინვალეს მამასა ჩვენსა შეეფესა ერაკლეს დიდის ფიცით და გუჯრით შემოეწირა, და არცა ამას გამოეცვა.

და ყოველთა ამათ მეფეთა გუჯარნი რა ვიხილეთ, ჩვენცა აქა ამა დიდთა გუჯართაცა შინა დაუმტკიცეთ, რათა ყოველნი მეფენი რისხეასა ღმრთაებისასა ერიდნენ და მეფეთა გუჯარნი დაამტკიცენ და გასრულნენ.

ხოლო ჩვენცა ვაქეთ, ვადიდეთ და ვაკურთხეთ სულითა და ჯოცითა კურთხეულნი იგი სანატრელნი პირველნი მეფენი ხოსროვიანი<sup>1</sup> და ტომნი ბაგრატიონთანი, ესევეთართა<sup>2</sup> კეთილთა გულსმოდგინებათათვის. და ჩვენცა მცირიდ რამე მივბაძეთ მათთა ძღვნისა მიმრთმელობათა; და, გულს მოდგინებისა ჩვენისაებრ, აღვიღეთ და რაოდენნი ყმანი, მთისა ანუ ბარისა მეკომლენი, ღმრთაებისა ხატსა შესწირვიან, მათი კომლისა საურნი შეესწირეთ ამას ეკლესიასა და არსებისა ხატსა და ღმერთშემოსილსა მამასა ანტონის.

რათა ამისდა შლად და გამოწირვად არავინ გამოჩდენ, არცა ჩვენსა შემდგომნი მეფენი, არცა ძმანი და ძენი, არცა კარისა ჩვენისა მოტელენი, არამედ ეგრეთ აიღებოდენ, ვითა წმიდის გიორგის ყმათა შინა, ანუ წმიდის ნინოსა საკომლოთა შინა, და ხატსა ღმრთაებისასა შესწირვიდენ რუსთველნი ჩვენთა მეფობისა წარსამართებლად და ძეთა ჩვენთა აღსაზრდელად.

ნუცა ვინ მიიღებს სახლთა შინა თვისთა ძეთა ზედა და მეუღლეთა, რომელი წყევა გუჯართა ამათ შინა დაგვიწერიან.

სხვაცა გუჯარი დაგვიწერია მცირედი ამის საურისა შეწირულობისა, რომე ყოველნი ქვეყანისა ამის მპყრობელნი ტელმწიფენი, ჩვენ ტომნი, გინა ნართაულნი მეფენი, ესრეთვე დაუმტკიცებდენ, ვითა ჩვენ შეგვიწირავს და მოგვიხსენებია.

ამიერიდგან მახლობელად ღმრთაებისა საყდრისა პირისპირ არიან სოფელნი ჳოპოტა<sup>3</sup>, ზოგნი მსახლობელნი და უმეტესად უშენნი, ნაოჭარნი. ესე ჳოპოტა არს სამძღვრით ვანკოდამდე და აქეთ ნორიის თავადმდე; მთისა, ბარისა მქონებელობით, რაოდენნიცა ნაწილისა პატრონ იყოს, ეგოდენი ყოველივე ღმრთაებისა საყდრისა არს შეწირული ძველთა მეფეთაგანცა, და ჩვენცა ვითაც<sup>4</sup> მათგან განწესება ვიხილეთ, ეგრეთვე დაუმტკიცეთ.

ხოლო ვანკოდის საზღვრებნი და რიგნი ზემოცა დაგვიწერიან და აქაცა ამის ვანკოდისა გარიგება იუწყეთ, თუ მთანი ანუ ბარნი, ვითარ და რაოდენ აქვსთ: ბოლო ვანკოდისა და მინდორი

<sup>1</sup> ხოვასროვიანი A, ხოვასროთნი B. <sup>2</sup> ესე ვითარცა B. <sup>3</sup> კოპატა A.

<sup>4</sup> ვითარცა B.

არს ვიდრე მტკვრამდენ, ავქალის ჩამოღმა ლედვთყელამდე<sup>1</sup> ამოიღოს ლელენი და მოვა საყდრამდინ, რომელ ლილოზედ დგანან და გამოიარს სერსა ნორიის საენავამდე, ვიდრე ქოპორტას თავადმდე. ესე მინდორნი ამა საზღვართა შუა ვანკოდისანი არიან და წყლის სანაპირო სათევზეთ ბადეთა<sup>2</sup> სასმელად და ოჩხთა<sup>3</sup> სათხრელად. ხოლო ამისნი მთანი შეიარს ვეჭენელა, დაიდებს წილსა და მცირედ<sup>4</sup> გლდანი ესე მთა იქით მძორეთ სამძღვრამდი გარდიარს. და მათი სამძღვარი გაყოფს ლელუბანის თავამდი.

ამა მთათა შინა, ოდეს საბალახე აიღებინ, ჩვენ მეფეთა არა-რა წილი გვიძენ, არცა ჩვენთა მოწველეთა, გარნა ორნი წილნი ღმრთაებისა არიან და ერთი წილი ჯანდიერიანთ, რომე გლდანი და ჯაქენი<sup>5</sup> მათნი არიან.

აგრევე ბარისა საბალახენი, საიათალენი სრულიად ღმრთაებისა საყდრისა არის, ლალანი და ყოველივე საენდროვე ბელბაში. არცა ჩვენ და არცა სხვათა თავადთა კელი არ უსხენ, და ნურცა-რა-ვინ ისარჩლის.

ვინადგან ბოსტან-ქალაქნი, ოდესცა აშენებულნი ყოფილან და ქალაქნი შენებულან, იგი ბოსტან-ქალაქი სამწყსოდ და სამრევლოდ ღმრთაებისა საყდრისა ყოფილან შეწირული, დიდისა და ღმრთივ-ბრწყინვალისა მეფის თამარისა მიერ, რომე რუსთველად ამის მიზეზისათვის უწოდებინ რუსთელისათვის, რომე რუსთავე ამას ალაგს უკმობენ.

ამა ბოსტან-ქალაქსა შინა მამულნი და საყდარნი მეტოქნი ღმრთაებისა სახელსა ზედა აღშენებული ქონიან, გლეხნი სამოცდა-შვიდნი და აბრეშუმნი კემჭიფით შესავალით, თორმეტნი ბათმანი, ხოლო ხუთი მის ქალაქით, ორმოცი ლიტრიანი ცვილნი, ორასი<sup>6</sup> ლიტრა ჩამოსხმულნი.

ესრეთ ვიუწყეთ ძველთა მონახულთა მოწველეთაგან და მეფეთა გუჯართაგანცა, და ჩვენცა, ვითა ვიუწყეთ, აგრევე დაწვრთთ ამა გუჯართავე შინა, რათა არა უწერლად ყოფამა დაავიწყოს შვილთა ეკლესიისათა, ვითა მეფესა თეიმურაზს და მეფესა როსტომს და მეფესა შანაგაზს განეწყესათ გუჯართა მათითა, მტკვართა შინა დიდისა ბადისა სმა, რათა რუსთელისა მებადენი თევზსა იპყრობდენ და მონასტრის კრებულსა მოართმიდენ და მეფენიცა კონით ერთსა შვიდეულსა შინა ორაგულსა ერთსა ღმრთაებისა მონასტერსა შინა თვისად მოსახსენებლად კრებულსა მიუბოძებდენ. ჩვენცა ესე ვიხილეთ მეფეთა წიგნნი და აქაცა ამის

<sup>1</sup> ლედვთხევამდე B. <sup>2</sup> სამელად B. <sup>3</sup> ოჩხართა B. <sup>4</sup> მცირებთ B. <sup>5</sup> და ჯაქენი—B. <sup>6</sup> ორასი—B.



პირსა ზედან დაეწერეთ, არცა შეგმატეთ და არცა დავაენინეთ, არამედ ყოველნივე შეუცვალებლად ჩვენცა აგრევე აქა განვაწესეთ.

აწე, ვინათგან<sup>1</sup> მეფეთა და მპყრობელთა, მთავართა და თავადთა, ერისთავთა და განმაწესებელთა კათალიკოზთა და ყოველთავე საეკლესიოთა კრებულთა ურთიერთს შეთქმით კრებითა და თანა-მიმოწმებითა საყდარი ესე ღმრთაებისა ესრეთ განევრცოთ და: განედიდათ სიმალლითა, სიდიდითა და აგარაკთა და ალაგთა განმრავლებითა და მას ზედა მჯდომარეცა რუსთველი ყოველთა პატიოსნობისა პატივითა განევრცოთ და სახელოვან ექმნათ, კურთხეულმცა არიან სულით საუკუნოდ პატიოსანნი იგი დიდნი მეფენი, ვითარცა დავით, ანუ მოსე და ისუ, ანუ სხვანი ღმრთის-მოყვარენი ჯელმწიფენი, ღმრთის-სათნონი, პატივისათვის და შეწყყნარებისათვის წმიდისა ამის საუფლოსა ხატისა და ყოვლად ნეტარისა წმიდისა მამისა ანტონისა.

ჩვენცა, ვითარცა ძემან მათმან და ტომმან ძირთა მათთამან და მათსავე ტახტსა<sup>2</sup> ზედა მჯდომარემან, მეფემან დავით, მათვე მეფეთა მცირედ რამ<sup>3</sup> აჩრდილებრივად მიმბაძველმან, მათნივე პენაწირნი დავამტკიცენ.

და აწ ესე გუჯარნი ჯელითა ჩვენითა დაეწერენ და გულისჯმის ყოფითა ჩვენითა აღმოვთქვით თავითგან ბოლომდენ და გულს-მოდგინედ მათ მეფეთაგან ნაღვაწნი განვასრულეთ.

ამისთვის ნეტარ ვართ, რომელ ჩვენცა მეფეთა შორის. ვინათგან მათნი ნამუშაქენი ჩვენცა მოვიმქენით და მკელეულები საღმრთოთა ნაყოფთანი ჩვენცა მივართვით მუშაკთ-მთავარსა მას მეუფესა, უფალსა და მაცხოვარსა ყოველთასა და მონასა მისსა ღვაწლ-მრავალსა წმიდასა მამასა ანტონის, რათა ძღვნის შემწირველთა მათ მეფეთა თანა ინაჯვიდგა.

და ჩემნი ნაკლულევანი საინაჯენი აღვაგსნე, რათა აქაცა მიწად და მტვერად, მატლად და წუთხად კაცთა ბუნებისა შემცვალელებისა საწუთოსა, რომელი მცირედ მეფეთა აშვებს, ახარებს და ამდიდრებს და ავრცებს, ხოლო მცირედ-ჟამ უგლახაკეს ყოველთა გლახაკთასა ყოფს, ვიდრე ძვალთაც განუშიშვლებს<sup>4</sup>, ამა მიუნდოსა საწუთოსამცა წარემართებიან სუფევანი ჩვენნი სიგრძეთა დღეთათა, მეუღლით, ცით და ასულით. აწ და სამარადისოდ სიმრავლისა შინა წელთასა უკუნისამდე, ამინ.

ხოლო რომელნიცა მეფენი და ძენი მეფეთანი, დედოფალნი ანუ ასულნი დედოფალთანი, ერისთავნი ანუ დარბაზის ერნი, გინა მთავარნი ანუ მოსაქმენი, და მოურნე-გამგენი პალატისა ჩვენისანი

<sup>1</sup> აწვეთნათგან B. <sup>2</sup> ტახტსა—B. <sup>3</sup> მცირედამ B. <sup>4</sup> ანუშიშვლებს B.

თანა-განმზრახნი, გინა საქმისა ჩვენისა<sup>1</sup> ჳელ-მყოფელნი საღმრთონი კრებულნი, კათალიკოზნი, ანუ ალავერდელნი, მთავარეფისკოპოზნი<sup>2</sup> გინა ბოდბელნი, თბილელნი ანუ ნინოწმინდელნი, მროველნი ანუ სამებელნი, გინა ქართლისა ანუ კახეთისა ეპისკოპოზნი, მოძღვართ-მოძღვარნი და წინამძღვარნი, აზნაურნი, გლეხნი<sup>3</sup> და მღბდიონნი, ესე ყოველნი ერნი და კრებულნი საღმრთო და სამეფუო სამთავრონი დასნი ზედა დაადგონ, დამტკიცებულ იყვნენ ამა მეფეთაგან ზრომით და გულის-მოდგენით ნაღვაწთა შემწირველობათა და მათსა ბრძანებასა და ჩიენ მიერ დამტკიცებასა ამტკიცებდენ.

და არა ყოველნი წინა უკანა შლად და განცუდებად ჳელით ჩვენით ნაწერისა და გულით ჩვენით<sup>4</sup> აღმოთქმულისა სიბრძინისა სიტყვისა განცრუება არვინ ინებოს.

და მტკიცედ სიტყვით საქმამდე წინაშე მეფეთა და მთავართა თანა შემწეობითა ზე-დაადგენ, მათსაცა თავსა თვისა, სახლსა და მეუღლესა, ცესა და ასულსამცა ზედ ადგრების მფარველად წყალობა, შეწყხარება და ფარვა ღმრთისა მალლისა. და მეფეთა წყალობითა და პატივითამცა განძლიერდებიან; მათცა მიხედებიან ქცევა და შვევა აბრაამიანი, სასუფეველი და ცხოვრება საუკუნო.

ხოლო საღმრთონი დასნი ემსგავსებიან და იქმნებიან არონიანად<sup>5</sup>, ფინეზიანად და სამოველიანად. და მათნიმცა სასანთლენი ნუმცა<sup>6</sup> აღითხვირიან წინაშე კრავისა და ძისა ღმრთისა.

ხოლო მეფენი და ჳელმწიფენი პატივითამცა იქმნებიან დავითიანად, სოლომონიანად, იესიანად და მოსეიანად<sup>7</sup> გვირგვინოსნებითა სიმდიდრითა და განმეება-განდიდებითა.

ხოლო დედოფალნი დამამტკიცებელნი ამისნი, დამტკიცებიანმცა<sup>8</sup> ვითარცა ელენე, ანუ რაქაელ, გინა სალომე და ელისაბედ სიწმინდითა და ღმრთის მსახურებითა და ასულნი მათნი, მნებებელნი ერდგულობისა ამა ეკლესიისანი, ემსგავსებიან ასულსა დავითისსა წმიდასა და დედასა იესოსა<sup>9</sup> და მახლობელადმცა მისსა, რაოდენ ძალუც, ისაყანებს ინაჯის დგომითა.

ხოლო ძენი მეფეთანი, განმასრულებელნი ამა წიგნისანი, შემცა-ეწყნარებიან ძესა ღმრთისასა, მხოლოდ-შობილსა იესოს ქრისტესა, რათა მარადის საფარველითა მისითა დაითავროდეს სულით და ჳორციით.

გარნა ვინადგან დამამტკიცებელთა წიგნისა ამისთა ესრეთ ვლოცაფთ და მადლიერ ვართ, რომელმანცა ქმნა ნებანი ჩვენნი და ჩვენგან განვრცელებული<sup>10</sup> საყდარნი ესა აღიდა, და არა-რა ყოვნება და დაკლება, გამოჳკება და განკრება<sup>11</sup>, მასმცა აღიდებს დი-

<sup>1</sup> თან-განმზრახნი... ჩვენისა—B. <sup>2</sup> გლეხნი<sup>3</sup> მხნელნი და მთესველნი (გლეხნი) B. <sup>4</sup> ნაწერისა... ჩვენით—B. <sup>5</sup> მრონიანად B. <sup>6</sup> თუმცა B. <sup>7</sup> მოსეთიანად B. <sup>8</sup> დამტკიცებიან B. <sup>9</sup> იესოსა—B. <sup>10</sup> განკარცებული B. <sup>11</sup> განკრება B.

დებული და საშინელი პირი ღმრთაებისა და ყოვლად წმიდაი მამა-ანტონი და განამრავლებს ყოვლითა საქმითა კეთილითა, სულით და ჯორკით.

ხოლო მშლელნი და მცელელნი და მიმო-განმაბნეველნი, ანუ მცირედისადა გამოძვეებულნი ამის რიგისანი, რომელნი ღმრთივ-გვირგვინოსანთა მეფეთა [ქმნა და] ენება, ანუ ჩვენ შეუკრებეთ<sup>1</sup> და განუწესეთ საყდრისა ამისთვის, ანუ რუსთველთა რაოდენითაცა პატივითა პატივ-ვეციოთ, ანუ ჯდომითა ანუ სპითა მთავრობითა, გინა ბისონთა შთაცემითა, ანუ თანა-მზრახველობითა ამათსა, ანუ აგარაკსა<sup>2</sup>, გინა სხვათა რაოდენობათა შემოსავალთა და შეწირულობათა შლად და ზე-ქუედ იჩინენ მეფენი, დედოფალნი, მთავარნი, ერისთავნი, დიდნი ანუ\* მცირენი, კათალიკოზნი, ანუ საღმრთონი დასნი, მდაბიონნი, ანუ სხვანი, მზვაობრითა<sup>3</sup> სიტყვითა მორუდუნენი, ეშურნენ და შურით და ჯდომით მცირედ-მცირედ იწყონ მოკლებად წმიდისა ამის ეკლესიისა სოფლებისა, გინა სამთოსა და საბაროსა, ანუ საშვიდეულოსა და საენდროვოსა და საზვეროსა, ანუ ჩვენგან შეწირულისა საურისა, ტელი ვინმე ყოს მოშლად მეფემან, მას<sup>4</sup>, მეფესაცა მეუფე\*\* იგი დამბადებელი, შე-მცა-რისხვიდეს, ვითარცა იგი შერისხვით შთამოყარან დიდნი მთავარნი ზეცისანი სატანა და სამოველ, რომელთა<sup>5</sup> თქვეს: ვითარმედ ვემსგავსოთ მაღალსა მას და ეგრეთ წინა-აღმდგომებისათვის ღმრთისა, ეგრეთ-მცა საყდრისაგანმცა სამეუფოსა სიღრმედმცა შთაცვივიან ჯოჯოხეთისა, სადა იგი სხენან შეკრულნი ჯაჭვითა მით განუხსნელითა ტარტაროზსა მას წყვიდადისასა.

ხოლო უკეთუ დედოფალთა<sup>6</sup> ინებონ ესე ვითარისა რასამე ნაწილისა განკვებად და განკრებად განზრახვითა თანა-მზრახველთათა, მასმცა შერისხდების არსება იგი უნიეთო ღმერთი დაუსაბამო, რომელსა თავით თვისით აქვს არსება, ვითარ იგი შერისხდა<sup>7</sup> პირველად დედოფალსა ყოვლისა ქვეყანისასა დედასა ევას, დასაჯა კენესით და კირით შობა შეიღთა და ოფლით და შრომით პურისა ჭამა, ესემცა დედოფალი დაისაჯების დედოფლისა იეზაბელისთანა, სადაცა მკვიდრობს ეროდიასთანა, მოყვსად და თანამკვიდრად ადგილსა სატარტაროზსა.

და უკუეთუმცა ძემან მეფეთამან იკადროს შლად და ზე-ქუე<sup>8</sup>-ქცევად, გამოკვებად და დაკნინებად ამა ეკლესიათა და ძვირისა შეკადრებად, მასმცა შეკადრებს დაკნინებასა ძე იგი მეუფისა და კრავი მამისა, მხოლოდ-შობილი ძე ღმრთისა მეხის-ტეხასა და სრულიად მოსპოლვასა, ვითარ იგი მოსპოლა და და[ა]მკო ბილწი

<sup>1</sup> შეუბრძლით B. <sup>2</sup> აგარაკოათასა. <sup>3</sup> მზაკვრობითა B. <sup>4</sup> მან A <sup>5</sup> რომელთა B. <sup>6</sup> დედოფალნი B. <sup>7</sup> შერის ხდა B. <sup>8</sup> ქუე—B.

\* ამის შემდეგ B ტექსტი გადაწერილია სხვა ხელით.

\*\* B-ში აქ აღნიშნულია ბექდის ადგილი.

არიოზ, რომელმანცა ვნება ინება ძისა ღმრთისა და განყო ძე მამისა პატივისაგან, ამასცა ძესა მეფისასა ძეთაებრ ელისთა შე[ე]-მთხვევის<sup>1</sup> გარდაცვალება შეუწყალბელად.

უკეთუ ერისთავმან გულსა შინა თვისსა შეიღოს საენებელი ეკლესი[ი]სა ამის წმიდისა და დიდთა გელმწიფეთა რიგსა და ჩვენსა ბრძანებასა უკულმართ-ქცეულება აქმნიოს, ერისთავნი იგი<sup>2</sup> ზეცისა ძალთან დიდი მიქაელ და გაბრიელ შე-მცა-რისხდებიან, ვითარცა შერისხვით მოსრა<sup>3</sup> სენაქერემის-ზე ასოთხმოცი ათასი მკედართავანი, წამსა შინა თვალთასა, ეგრეთემცა მოსრვად მიეცემიან ერისთავნი იგი, მეუღლით, ძით და ასულით.

ეგრეთვე, თუცა მთავარნი გარდაცდენ სიტყვასა წინასწარმეტყველთასა და შეახლონ სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა, რათა ეკლესიისა რამე მოიხვეკონ, დაბა ანუ აგარაკი და განკრიხოს მათათგან ანუ ბართავან, მასმცა განკრებს იგი მხოლო-უფალი, რომელმანცა მთავარი იგი ამის სოფლისა დამიმონნა, გარდასავლითა მცნებათა მისთათა, მასვე მთავარსა თანა დაისაჯების ჯვართა წმინდითა და სისხლითა<sup>4</sup> კრავისა მის ღმრთისათა.

ხოლო უკეთუ კათალიკოზთა, ანუ მთავარებისკოპოზთა, გინა საღმრთოთა კრებულთავანმა ვინმე, წინამძღვართა, ხუცესთა ანუ დიაკვანთავანმან აღაღონ პირი და მოიღონ უკეთურებისა სიტყვა, და აღებასა პირისა მათისასა აღმოთქვან სიტყვა საგმობელი ხატისათვის არსებისა, რომელი საშინელ არს და საზარელ კაცთა მიერ, და ვნებად და ჰვებად ძიება ყოს სამწყსოთათვის, ანუ სამრეელოთა, გინა შეწირულობათა, რომელი ჩვენ განვაჩინეთ, მათმცა მიემთხვევის შემთხვევა იგი პირველისა მღდელისა ელისა<sup>5</sup>, რომელი უკუნიჭრა უკანა კერძო საჯდომთავან და სულნი წარცდეს, გინა ანანი და საპფირასებრ შერისხულ იქმნენ პეტრეს მიერ; ხოლო სასანთელიმცა მათი აღიფხვრებიან წინაშე კრავისა მის ჭეშმარიტისა, ვითარცა მწყემსნი იგი ლავდიკისა<sup>6</sup> ეკლესიისა მწყემსთანი, გინათუ ხატისა მბრძოლი იგი თეოფილი, რომელსა განემორა სასათავან ენა თვისი, რომლითა აღმოთქუა უკეთურება ხატისათვის საუფლოთა, ნუმცა<sup>7</sup> ესმიან მესიტისებრ მადლიერობა ხატისა ამის საუფლოსაგან, არამედ გან-მცა-ითხევიან მას აღაგსა, სადაცა მჯდომარე არს<sup>8</sup> სატანა და სამოელ წინა-აღმდგომისათვის ღმრთისა.

უკეთუ თავადთა, აზნაურთა, გინა გლეხთა, ანუ მდაბალთა ქმნან ბოროტი ქუე-განხედვით, და ერთ-ერთისა შენაპირებით<sup>9</sup> საენებელი ეკლესიისა ამის აღმოთქვან და ქმნადცა ტელყონ დასაკლებთა მათათა, ბართა, გინა წყალთა და შეწირულობისა გამოკვებად, მათ-

<sup>1</sup> მთხვევის B. <sup>2</sup> იგი—B. <sup>3</sup> მოზრა B. <sup>4</sup> სახლითა B. <sup>5</sup> ელისა—B. <sup>6</sup> ელავდის B. <sup>7</sup> მუმცა B. <sup>8</sup> არს—B. <sup>9</sup> შედაპირებით B.

მცა მიემთხვევის წყევა იგი მოციქულისა იაკობისი, ვითარმედ: «თქუნენმცა, მდიდარნო, ტიროდეთ და გოდებდეთ უბადრუკებათა თქუნთა ზედა. ოქრო თქუენი და ვერცხლი დაგესლებულ-არს და გესლი იგი მათი საწამებელად თქუნენდა იყოს და შესქამდეს ჯორცთა თქუნთა ვითარცა ცეცხლი. დაიუნჯეთ დღეთა მათ უკანასკნელთა»\*. იყვენ დღენი მათნი მცირე, და განსაგებელი მათი სხვამან მიიღენ, იყვენ შვილნიცა მათნი ობოლ და ცოლნი მათნი ქვრივ და შერყუულნი; იცვალეიედ და განვარდენ იგინი ნატამალისაგან მათისა: და შვილნი მათნი დაითხიედ; ნუმცა ეპოებნ მათ შემწე, გინა შემწყნარებელი ობოლთა მათთა; და იყვენ ნაშობნი მათნი მოსასვრელად, და ნათესავთა შინა ერთასა აიკოცნენ სახსენებელი მათი, ამისთვის რამეთუ არა ინებეს კურთხევა და შეიყვარეს წყევა და მივედინ მათანა აწდა უკუნისამდე.

ხოლო დიდნი ჯელმწიფენი და მეფენი პირველად ხვასროიანნი, უფროსლა ღმრთიე-გვირგვინოსანი ვახტანგ გორგასლან, განმამდიდრობელი და სამთავარეფისკაოზად განმწესებელი საყდრისა ამის, და მიერიდგან ღმრთისაგან პოენიერი დავით წინასწარმეტყველით გამო ძედ მათად ნაწოდნი ბაგრატოვანნი, თავიდგან ვიდრე ჩვენდმდე, გვადიდნეს, დაგვიფარნეს და განგვაძლიერნეს ღმერთმან მხოლომან დიდებულმან ეგრეთ, ვითარცა რქვა დავითს მამასა ჩვენსა ვითარმედ: «ეზოვე დავით, ძე იესესი, კაცი გულითადი ჩემი; და საცხებელი ჩემი წმიდა ვცხე მას და ჯელი ჩემი შეეწოდის მას, და მკლავმან ჩემმან განაძლიეროს იგი»\*\*. აგრევე ჩვენცა, ძეთა მათათვის ინებოს ხატმან ამან წმიდამან ჯელით უქმნელმან და ღირსმან და ყოვლად წმიდამა მამამან ანტონი შემწირველობისათვის ძღვენთასა და პატივისათვის ამის წმიდისა ეკლესიისა, და გუცეს ესევე პატივი დავით პირველისა, რათა არა ირგოს მტერმან ჩვენმან, და შვილთა უკეთურებისათა ვერ შეუძლონ ვნებად ჩვენდა: მოსრნეს პირისაგან ჩვენისა მტერნი ჩვენნი, და მოძულენნი ჩვენნი დაამჯვენს.

და წყალობითა და ჭეშმარიტებითა ღმრთისათა ამალდდეს რქა მეფობისა ჩვენისა, რათა დავდოთ ზღვათა ზედა ჯელი ჩვენი და მდინარეთა ზედა მარჯვენა ჩვენი, და ვიქმნეთ<sup>1</sup> შვილ მამისა მის ზეცათასა, რათა ვხადოთ მამა ჩვენი ხარი შენდა შემწყნარებელი ცხოვრებისა ჩვენისა; ხოლო მან პირმშოდ თვისად დამადგინნეს ჩვენ და უმაღლეს-უფროს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა; და უკუნისამდე დაგვიმარხნეს წყალობა თვისი და აღთქმა თვისი გვარწმუნნეს ჩვენ; და ვეგნეთ სიმალლესა შინა, ვითარცა დღენი ცისანი.

<sup>1</sup> ექმნეთ A.

\* იაკობი 5,1—3.

\*\* ფს. 88,21—22.

ვინადგან ვინმე ურჩებისათვის ღმრთისა და წინა-აღმდგომობისათვის ამის ხატისა საუფლოსა ამა კეთილად განმგეთა მეფეთა განგებულებანი საქმენი არ დაამტკიცოთ, და წყალობანი მათნი მიმოაქციოთ, და განრყვნათ და შლად ინებოთ, და ჩვენი ესე ნაშრომნი და ჯელთა ჩვენთა ნაწერნი და სიღრმით გულისა ჩვენისა აღმოთქმულნი გუჯარნი ესე მოშალნეს, ანუ მცირედისაცა რამე განგებება და განცალკება ინებოს ძეთა ჩვენთა და შემდგომთა მომავალთა მეფეთა, ვამცნებ მათ მცნებითა მამა-ძებრივითა, რათა არა განარისხონ არსება უხილავისა ხატისა, რათა არა განიხილნეს კვერთხითა ჯემწიფობანი თქუენნი და დაარღვივნეს ზღუდენი სიმტკიცისა თქუენისანი და მიმოგიტაცებდენ ყოველნი თანა-წარმავალნი გზისანი და იქმნეთ საყვედრელ გარემოსთა თქუენთა.

ორ შაბათს თუ ვინმე იზრახოს ზრახვა ბოროტი საენებელად ეკლესიისა ამის, ორ შაბათი ვინადგან კრება ანგელოზთა და ხსენება მათი აღესრულების, მთავარ-ანგელოზნო ღმრთისანო, მსახურნო საღმრთოსა მის დიდებისანო, მათსა უმჯობესსა ნურას იოხებთ წინაშე სამებისა წმიდისა, არამედ შერისხდით ჯორკთა და სულთა მათთა და განსვლასა სულისა მათისა ნუ იქსნით ბნელთა ჰაერის მცველთაგან.

სამ შაბათსა რაოდენმა და ეგეოდენმა შეკრიბენ დიდნი ანუ მცირენი, ყოველთა უწყიან, ვითარმედ ყოველთა ნაშობთა უმეტესისა და წინასწარმეტყველთა უწინასწარმეტყველესისა ნათლის მცემელისა იოანეს კსენება არს სამ შაბათი, გი, შენ, წმიდაო ნათლის-მცემელო, მოუსპენ იგი წინა-აღმდგომნი კაცნი იესოსნი შენ მიერ ნათელ ღებულისანი, ვითარცა მოსპე<sup>1</sup> ეროდე იროდიადასთანა და მატლთა მიერ შესაქმელ იქმნა, რომელმან ვერ დაადუმა პირი შენი თავის წარკვეთითა, ნუმცა აწ ამათთა შესასმენელად ნუ დაქაღუმებ<sup>2</sup> პირსა მაგას სანატრელსა.

ოთხ შაბათი დიდებულ არს და ორკედითა დიდებითა ბრწყინავს, ერთ-კერძ განზრახვისა ქმნითა ჯვარცმისათვის ურიათაგან და მიერიდგან ხსენებისათვის ყოვლად უბიწოსა ღმრთისმშობელისა მარიამისათა. აწ უკვე ამა ოთხ შაბათსა ვინმე ჯელყოს ჩვენგან ნაღვაწისა ამის გუჯარისა განრყვნად, მასმცა შეკადრებს განრისხვასა ჯერეთ ყოვლად უბიწოდ მშობელი მეუფისა ღმრთისა წმიდა მარიამ, რომელსა ნატრიან ყოველნი ნათესაენი, და ნუმცა-რას ეოხოს წინაშე ძისა თვისისა; და მიერიდგან დასჯის კსენება ჯვარისა, ვითარცა დაისაჯებიან ჯვარს-მცმელნი იესოს, ძისა ღმრთისანი.

<sup>1</sup> მოსაე B. <sup>2</sup> დადუნებ B.

ხუთშაბათი კრება არს მოციქულთა და თავთა\* მათ მოწაფეთა პეტრესი და პავლესი<sup>1</sup> და სხვათა სამეოცდაათთა მოციქულთა. ამა ხუთშაბათსა დღესა დაღათუ ურჩ ვინმე ექმნეს ხატსა მას საუფლოსა, და გუჯარნი ესე მცირედ-მცირედ გარყვნით რაოდენი რამე გამოაჯვ[ა]ს, მათმცა გამოაჯვებს ცხოვრებისაგან წმიდა მოციქული პეტრე, ვითარცა ანანია და საბუთირა განაჯვა ორისაგანვე ცხოვრებისა, აგრევე დიდმანცა ქადაგმან ეკლესიისამან პავლე შერისხოს და შეაჩვენოს ვითარცა აღექსანდრე მქედელი მცირედისა მისდა უნდოსა წიგნისა ტყავებისათვის, აგრევე მოციქულიცა თადეოზ შესამსმენელ<sup>2</sup> ექმნების ხატსა ამას არსებისა წინაშე, რომელ ესე ხატი არსებისა მის მიერ მიიძღვნა ქრისტესაგან ავგაროზ მთავრისა.

პარასკევი წმიდისა და ცხოველს-ყოფელისა ჯვარისა არს, ოდეს იგი საღმრთონი და ცხოველს-ყოფელნი მკლავნი თვისნი განიპყრნა ჯვარსა ზედა, დღე<sup>3</sup> ესე იყო პარასკევი, რომელ ჯვართა ამით იდიდა ესე დღე. ამას პარასკევსა უკეთუ გრძნობით ანუ ქვეშე-განხედულობით გუჯარისა ამის ბრძნობა იწყოს და თქუას: ესე და ესე ვითარი სამეფონი არიან, უკეთუ ჩვენსა უწინარესთაცა და ჩვენცა მივანიჭეთ ჩვენნი მოსართვამნი, ვისდარა სასიტყველ არს. ვევედრები ჯვარსა, რათა განრისხებით დასაჯოს და შეადრწუნოს მეუღლით, ძით<sup>4</sup> და ასულით, რომელმანცა შეადრწუნა ეშმაკი და ჯოჯოხეთი.

შაბათი არს წმიდა, და კაცთათვის დაბადებულ არს, რომელ ამას შაბათსა აღესრულებიან კრებანი წმიდათა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მღვდელთ-მოდღვართა და მოწამეთა. ამას დღესა შაბათსა დაღათუ მთავარმან ვინმე, ანუ განგებელთა და მწიგნობართა ჩვენთა ჯელყონ რასაცა რასმე გამოკვებად, მასმცა შეკადრებენ რისხვასა საშინელსა წმიდანი ესე ზეცისა და ქვეყანისანი, ვითარცა რისხვით მიიწივენს ქალაქები იგი სოდომელთა და გომორელთა.

კვირიაკე წმიდა და უბიწო და ყოველთაგან ტომთა დაენათა თავყანის საცემელ, პირველად დასაწყისი ქვეყანის შესაქმნის დღე, ესე პირველი და უკანასკნელ უმეტეს დიდებული აღდგომისათვის ქრისტესისა, რომელ სამ-დღის მკვდარი ამას დღესა წმიდასა აღდგა საფლავისაგან. ამას წმიდასა კვირიაკესა მეფემან, ანუ დედოფალმან, საღმრთომან დასმან, გინა საეროთა დასთამან შეწირულობა ესე ჩვენგან და გუჯარისა ამის შეწყობილობა მოშლად იწყონ, მათმცა ატოცს იგი მხოლო-მეუფე, რომელი აღდგა მკვდრეთით და აღადგინა დაცემულება ჩვენი, მათმცა დანთქამს სიღრმედ

<sup>1</sup> პავლესი B. <sup>2</sup> შესამენელ B. <sup>3</sup> რით B.

\* B-ში აქ აღნიშნულია ბექდის ადგილი.

ჯოჯობეისა, ვითარცა დათან და აბირონ, ანუ ოზან, რომელ შეხებისათვის კიდობნისა იმხილა, ვაი მათდა უფლისა მიერ, რომელნი გზასა მას კაენისასა ვლენან და ცილობითა მით კორესითა წარწყმდენ; ესენიმცა იქმნებიან ღრუბელნი ურწყულნი, ქართაგან მიმოტაცებულნი, ხენი ზამთრისანი უნაყოფონი, ძირითურთ აღმოფხვრილნი, დელვანი ზღვისანი განძვინებულნი<sup>1</sup>, რომელნი პერად ალაფრქვევენ თავისა თვისისა სირცხვილისა, ვარსკვლავნი ცთომილნი, რომელთათვის წყვდიადი იგი ბნელისა დამარხულ არს; ესრეთ იყვნენ მოქმედნი და მნებებელნი განდრეკილობისათვის ამის წიგნისა, და გამოგვებისათვის შეწირულობისა ამის ეკლესიისა, რომელი დაგვიწერიან გუჯართა ამათ.

ხოლო, აწ თქვენცა სანატრელნო მეფენო, სახიერნო და უსახურნო, შემდგომნო მეფობისა ჩვენისანო, ძენო და ასულნო და მეუღლენო ჩვენო, ერისთავნო, მთავარნო, დარბაზის ერნო და კართა ჩვენთა გამგენო, კათალიკოზნო, მთავარებისკობოზნო და საღმრთონო კრებულნო, ყურად იღეთ და ისმენდით თქმასა ჩემსა, რამეთუ მეცა შვილი ვიყავ მამისა ჩემისა და მათთავე სვე-დიდებათა ვიპრობდი და მათთა დიდებულთა ტახტზედა მჯდომარეობითა ქვეყანათა განვაგებდი, რაოდენნიცა სიბრძნითა და ღმრთისა მინდობითა კეთილნი ექმნეს და კრებით და თანა-განზრახულობით კეთილთა კაცთათანა განეჩინათ ხოსროიანთა, ანუ ბაგრატიოვანთა, ჩვენცა მათსა ბრძანებასა არა წინა აღუდგეთ, და ვითარცა მათ დაემტკიცათ, ჩვენც უმეტეს დავამტკიცეთ: არცა რქა, არცა იოტა ავჯოცეთ, ვითარცა მხედველ ხართ გუჯარისა ამის რიგსა, ესრეთ სხვანიცა, რომელნი მე არა-რა აღგვიჯოცია.

აწ უკვე შვილნო ჩემნო, ვინადგან ხატისა ამას საუფლოსაგან მრავალნი კეთილნი უნახავნ სახლთა ჩვენთა მშვიდობანი, განმრავლებანი ლოცვისა შესმენანი და ბრძოლასა შინა უძლეველობანი, ამისთვის თქვენც ბრძანებული ესე აღასრულეთ და წყევლისა ქვეშე თავთა თქვენთა ნუ შეაწყვდევთ, არამედ თანა-ყუყვენით, თანად იზრუნეთ, თანად განამტკიცეთ გუჯარი ესე. ამისთვის ნეტარ იყვნეთ და კეთილ გეყოსთ თქვენ; ცოლნი თქვენნი, ვითარცა ვენაჰი მსმო კიდეთა სახლისა თქვენისათა; შვილნი თქვენნი ახალნერგნი, ვითარცა ზეთისხილნი გარემოს ტაბლისა თქვენისა; აჰა ესერა, ესრეთ იკურთხოთ, რომელთა გეშინის ღმრთისა, და იხილნეთ შვილნი შვილთა თქვენთანი, და განძღვთ დღითა კეთილითა მეუღლით; ძით და ასულით, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა მამისა და ძისა და ასულისა წმიდისათა აწ და მარადის და უკუნიითი-უკუნისამდე, ამინ.

<sup>1</sup> განრვინებული B.



აჰა, ესე-რა განსრულდა ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა და მპყრობელობასა ათ-შვიდმეტსა, აღვწერე ქელითავე ჩვენითა, ფილასოფოსურითა შეწყობილისა სიტყვითა შესავალნი და ცათა სფეროთა სახენი და ქართა განგებანი, ხოლო მიერიდგან დიდისა და მალლის ჯელმწიფის ერანის ტახტის მპყრობელის ყვენის ქებანი წარმოსთქვიოთ, და ზედა გორგასლიანი შესხმა აღვწერეთ, მიერიდგან ჩვენთა პაპათა და მამის-მამათა დიდებანი მოვიქსენეთ, ესე ყოველნივე ქელით ჩვენით დავწერეთ ჩვენნივე აღმოთქმულნი.

ხოლო ვინადგან ბუნებისა წესისაებრ გვამი ჩვენი სენმა<sup>1</sup> შეიპყრა ძნელმან და გრძელმან, ვიდრე ორ წლამდე სარეცელად მივრდომილმან, დასა ჩვენსა საყვარულსა, მარიამ-ნაწოდს, მონაზონს მაკრინას შემოუწოდე, და ჩვენთანა მახლობელად დავიახლე და ვარქკვი:

ვინადგან ყოველივე მსახურება წმიდისა ამის ხატისა ღმრთაებისა აღვასრულე და გუჯარი ესე აღმოვთქუე, და კუალადცა დავწერენ, აწ მე არღარა ძალმიც წერად ამის, ხოლო შენ, დარ ჩემო, შეეწიე უძღურებასა ჩემსა, ვითარცა ჯელოვან ხარ ჩემსა უმეტეს ხელითა წერასასა, ნუსხა ესე ჩვენ მიერ ნაქმარნი, წინა დაისხენ<sup>2</sup> და ვიდრედა ცოცხალ ვიყო, გუჯარნი ესე აღვწერენ.

ხოლო ესე მეფეთა ქებასა ქვემოთ ყოველივე დასა ჩვენსა აღვაწერინე, ბრძანებითა ჩვენითა, უმეტესად დასამტკიცებლად წიგნისა ამის მამულნი შეწირულობანი, ქებანი რუსთველთანი და სიდიდე მათი, ვინადგან მიერით ჟამითვე დაუტევე ცხოვრება ესე და შევეძინე მამათა ჩვენთა თანა, და არა თანა განმყვა დიდება ჩემი მეფობა და შარავანდელობა, არამედ დიდებულთა პალატთა წილ მცირესა ეკვდერსა შევეწყვიდე, და ბისონისა და პორფირისა წილ სამეუფოსა ტილოთათა წარვიგრაგნე, და ესრეთ განვედ საწუთოთ, წლისა ვიდრე ოცდაათობმეტისა.

აწე, მეფენო, ვიქმენ, ვითარცა აწ თქვენ და აწ თქვენცა ესევე შეგემთხვევათ, ვითარცა მე წარვედ მიწა-მიწად. რა არს მეფობა ანუ დიდება მისი? თივა და ყვავილი ველისა საჩინო და მსწრათლ უქმარ და უჩინო.

ამისთვის ნუ ღმრთის მბრძოლ იქმნებით, ნუცა სულისა მავნებელ, ნუცა ეკლესიისთა მკრეხელ და მაკნინებელ, არამედ აღიდეთ შემოქმედი ღმერთი დიდებული, გძულდინ<sup>3</sup> ჯორცთაგანცა შეგინებული სამოსელი, ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდასა, რომლითაცა აღიბეკდენით<sup>4</sup>, რათა გარდამოიხილოს თქვენზედა და მადიდებელი თვისი გადიდნეს აქასა ამას საწუთოსა და მერმესაცა<sup>5</sup> მას საუკუნესა, დიდებისა თვისისა თაყვანის-მცემელნი მამისა და ძისა

<sup>1</sup> სემა B. <sup>2</sup> დაისძენ B. <sup>3</sup> გძულდით B. <sup>4</sup> აღიბეკენით B. <sup>5</sup> მერმესაცა A.

და სულისა წმინდისა, აღმასრულებელნი აწ და საუკუნოდ და უკუნისამდე, ამინ.

განსრულდა ქორონიკონსა უი, თვესა აგვისტოსა ოთხსა.

5 ბეჭედი, 3 სპარსული, 2 ქართული: მეფე იმამყულიხანისა და დედოფალი ანასი.

ხეულად:

იმამყულიხან ვამბტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

## 98. [განწმენება საჩუხთველო დროშისა]

[1722 წ.]

ქ. აქათგან აღწეროთ<sup>1</sup> დროშისა<sup>2</sup> სპათათვის, რომელი<sup>3</sup> განუწესებიათ პირველთა მეფეთა უწინარეს ჩვენსა და აწ კუალად ჩვენცა. ესრეთ დავამტკიცეთ, რომელ ესე აღგვიწერია.

ამიერითგან ვიწყოთ ძირთა და მოდგმობათა<sup>4</sup> თავადთა, აზნაურთა, ეპისკოპოზთა, წინამძღვართა და გლეხთათვის, თუ რაედენნი ფუძენი და თავადთა ძენი მიუბოძებიან დროშისა ქვეშე და ანუ სპანი თვისნი დაუმორჩილებიან რუსთველთათვის ესე-ვითარად.

უკეთუ ამისისა დროშისა დიდი, ანუ მცირე, საღმრთო, გინასაერო, თავადი<sup>5</sup>, ანუ მოურავი და ერისთავი სხვასა დროშისა ზედა მიეზიროს, ანუ ბატონსა, ანუ ქიზიჯის<sup>6</sup> ჯარსა შინა ღვებოდეს, რაოდენ ძალ-ედვას, ბატონთან შეასმინოს და ბატონებმა მამულისა წართმით განპატიჟოს და რუსთველთაცა ძლიერად სპათა თვისთა საგვემელად მისარჩლოს ამათგანი ყმანი და საჯელონი ყოველნივე.

ოდეს დროშისა ამართვა, ანუ რუსთველისა გალაშქრება მეფეთა ბრძანონ, კარისა ჩვენისა მდივანნი და მოკელენი ჯართა ანაწერსა და რაოდენობისა რიცხვსა რუსთველთა მისცემდენ და რა გამგზავრდებოდენ რუსთველნი, უფლება აქვენ და ბრძანება ძველთაგანცა მეფეთა, და ჩვენცა აგრევე ვბრძანეთ:

შვიდეულსა შინა ერთგზის ჯარსა განთვლიდეს და ვისცავინ დააკლდეს, ჯარსა საჩუხთველოდ<sup>7</sup> წაართმიდენ<sup>8</sup> რუსთველის მეჯობენი და მარჩილსა მისი იასაულნი გამოართმიდენ<sup>9</sup>, ნაკლებსა თავადსა ბატონს შეასმენდენ<sup>10</sup> და მეფეთა აგვემინოს, ანუ მამულითა, ანუ კვერთხითა.

<sup>1</sup> აქათგან აღწეროთ— B. <sup>2</sup> + და B. <sup>3</sup> რომელი B. <sup>4</sup> მოდგმობათა A. <sup>5</sup> თავადი A. <sup>6</sup> ქიზიჯის B. <sup>7</sup> საჩუხთველოდ A. <sup>8</sup> წაართმიდენ A. <sup>9</sup> გამართნიდენ B. <sup>10</sup> შეასმენდეს A.

ამისნი დროშის მტვირთველნი ნორიას ქიქინაძენი ყოფი-  
ლიყვნენ და ჩვენცა მათვე მივანდევით, ეგრეთ რომე, ოდეს დროშა  
წაასვენონ, ერთს ძლიერსა და უმჯობესსა კეთილ-ცხენოსანსა კაცსა  
ჯელთა მიათვალევდენ და სხვანი ქიქინაძენი გარე შეზოგებულდენ  
ომსა შინა, გინა მმეიდობასა და, ოდეს ადგილსა დაისაევანონ, ქე-  
შიკი და მცველობა ამათ მიანდონ დროშისა.

ოდესცა ნებითა ღმრთისათა მტერთა სძლონ<sup>1</sup> და ნატყვენნი  
ქვეყანანი ყოველივე ღმრთაების დროშის ჯარის შოგებულისაგან,  
ფანჯიეტი საჩვენოდ და სარუსთვლოდ<sup>2</sup> ასწერდენ ჩვენნი მოტყელ-  
ნი და რუსთვლის მედროშენი. და ერთად შეკრებდენ ცხოვარსა,  
ძროხასა, ცხენსა, გინა რვალთა, ანუ ვერცხლთა და ოქროთა. ყო-  
ველსავე ორად განყოფდენ, ნახევარს<sup>3</sup> ღმრთაებისა დროშასა  
და რუსთველს მიაართმიდენ, ნახევარსა ჩვენნი მოტყელნი წამოი-  
ღებდენ.

ვითა გვესმა რიგნი ძველთა მეფეთანი, ესრეთ ყოფილიყვნენ  
და სახელოვანსა და მრავალჯერ ომ-გამაძჯეებულს ბატონს თეი-  
მურაზსაც ეგრეთ დაემტკიცა და ჩვენცა აგრევე დავამტკიცეთ, და  
არა-რა მოვშალეთ, არამედ უმეტეს დაუმტკიცეთ. და რისხუა  
ღმრთისა მშლელთა დავდევით<sup>4</sup>; და წყალობა და შეწვენა ხა-  
ტისა ღმრთაებისა და პირისა საუფლოსა დამამტკიცებელთა<sup>5</sup> და-  
უმტკიცეთ.

აწე, დროშისა სარუსთვლოსა<sup>6</sup> შინაწერნი თავადნი ესე არიან,  
თავადნი, ერისთავნი, ეპისკოპოზნი და გლეხნი:

პირველად აღდგეს რუსთველი და აღილოს დროშა, ბრძანე-  
ბითა ჩვენითა და, სადაცა ვბრძანოთ, ყმითა თვისითა და სამოუ-  
რაოთა თვისითა მარტყოფითა ჩვენის სახასოთა და ერთს  
აღგილს დაიყოვნოს.

ამას შემოეყაროს სამეხელი უჯარმო და ავალისცე-  
ნი, აქადგანვე, იორთა ზედა და სამგორთა შინა, ნაპირნის  
სახლნი, არაგვის პირნი, ძაგნაკორანი და გურამის-  
შვილნი და ხერგის ქვენი; მიერთვან გარდაღმა კახეთ-  
ნი, თიანეთნი, ფშავნი და ქვესურნი, ერწონი, ქალელ-  
ნი და მათ შინა მოსახლენი აზნაურნი და თავადნი.

ჩამოიარონ ჩოლაყაშვილნი, გილდაშვილნი, სამა-  
ყანონი, მაყაშვილნი, ჯანდიერიშვილნი, ზემონი თე-  
ლავენი და გამოღმა რუსისშვილნი, შაშიან-კალაურნი,  
კახის უბნის და ჯიმითის მოურავნი, საჯელოთ ოხიაყო-  
რჩის ძენი, მდივანბეგისა და თარხნის სახლნი<sup>7</sup>, ყმით

<sup>1</sup> სძლონ B. <sup>2</sup> სარუსთლოდ A. <sup>3</sup> ნახევარი A. <sup>4</sup> დავდევით B. <sup>5</sup> დამამტკი-  
ცებელთა A. <sup>6</sup> სარუსთლოსა A. <sup>7</sup> სახლნი A.

და საწელოთ, გაღმართ საგინაშვილნი, ქუმსისშვილნი, პანკისის ქეობა; ფშაველი და ძირობის კაცნი, ართანა, იულთანი და გვერდის ძირნი, საბუჟე, ვეძისქევი, ენისელთ მოურავის სახლნი, ჯორჯაძენი, ენისელით და ყმით, ნოდარიშვილნი, ყმით და საწელოთ დიდოთ, ნეკრესელი, ნეკრესის ყმით, კონსტანტინეს-შვილნი<sup>1</sup>, მისის სახლით, გავაზი და ყვარელი, საწინამძღვრო, ჭიაურთ მოურავი, საწელოთ და ყმით.

ესრეთ შემოეყარნენ ღმრთაე ბისა<sup>2</sup> დროშასა და, ვითა ძველთა მეფეთა ებრძანა, ახუ ჩვენ განვაგეთ, იმ-რიგად<sup>3</sup> რუსთველთ მორჩილებდენ და სიტყვას გაუგონებდენ და მათსა რჩევასა და სამჯობინარს<sup>4</sup>; და ჩვენის ჯარის რიგს, თავადების რჩევით, რუსთველნი უძღვებოდენ<sup>5</sup> ამა სპათა და ჯართა, რომელნი აწ დაგვიწერიოა.

ესენი არიან თავადნი, აზნაურნი, ეპისკოპოზნი, გლეხნი და წინამძღვარნი: ენისელთ მოურავი, ენისლით, ყმით და სახლის-კაცი; ნოდარიშვილი, საწელოთ დიდოთ, ყმით და სახლის-კაცი; ნეკრესელი ეპისკოპოზი, ყმით, სამწყსოთ; კონსტანტინეს-შვილი<sup>6</sup>, ყმით, საწელოთ, სახლის-კაცი; პატისისშვილები, სახლის-კაცი, განაყოფით და ყმით, საწელოთ; სვიმონლისშვილები, განაყოფით, ყმით, საწელოთ; ჭავჭავაძენი<sup>7</sup>, განაყოფებით, მთისა და ბარის ყმით, საწელოთ, სახლის-კაცი; რუსისშებლები, სახლის-კაცი, ყმით და საწელოთ; კარის წინამძღვარი, ყვარელით; ყარალაშვილი, ყმით, საწელოთ, სახლის-კაცი, ბაბადიშისშვილი<sup>8</sup>, ყმით, საწელოთ; სახლთ-ხუცესი საზვერელი, ყმით, საწელოთ თუშით, სახლის-კაცი; ბებურისშვილნი, ყმით, საწელოთ; პეტრიაშვილნი ძმით, ყმით და განაყოფით; ნათანლისშვილები, ყმით, განაყოფით და სახლის-კაცი; ყოღალაშვილნი, განაყოფით, ყმით და სახლის-კაცი; ჩოლაყაშვილნი, ერთობილად; სახლთ-ხუცესშვილები<sup>9</sup>; რომაქისშვილები; თიანეთის მოურავი, თიანეთით, ფშავით, ქვესურით<sup>10</sup>, სახლის-კაცი, ყმით და საწელოთ; გილდაშვილები, ერთობით, განაყოფით, ყმით, და საწელოთ; ხაღაშნელი ეპისკოპოზი, ყმით, სამწყსოთ; ქტარიელის-შვილნი, განაყოფით, ყმით, სახლის-კაცი; აზნაურისშვილი<sup>11</sup> სვიმონელი, ყმით, სახლის-კაცი; ერწონი სრულიად კომლნი<sup>12</sup> და სახლისა შემძლე მეომარნი; ხიმშიაშვილნი, ერთობილნი, განაყოფით

<sup>1</sup> კონსტანტინე შვილნი B. <sup>2</sup> ღმრთაების B, მღმრთებისა A. <sup>3</sup> ამ რიგად B. <sup>4</sup> სამჯობინაროს A. <sup>5</sup> უძღვებდენ A. <sup>6</sup> კონსტანტინე შვილი B. <sup>7</sup> ჭავჭავაძები B. <sup>8</sup> ბადიშისშვილი A. <sup>9</sup> სალთ ხუცეს შვილები A. <sup>10</sup> ქვესურით B. <sup>11</sup> აზნაურის შვილნი B. <sup>12</sup> - კომლნი სრულიად B.

ფით, ყმით და საწელოთ, სახლის-კაცით; ტუსისზვილნი, ყმით, ძმით, განაყოფით და საწელოთ; გიჯიყრელნი, ერთობით, ყმით<sup>1</sup>, საწელოთ და განაყოფით; მიწობლიძენი, საწელოთ, სახლის-კაცით და განაყოფით; გარაყანიძენი, განაყოფით, ყმით და საწელოთ; გურამიშვილნი ერთობილნი, ყმიან, თავიან განაყოფიანად; ჯვარის წინამძღვარი; ზედაძნის წინამძღვარი; დაუქამიასშვილი; ავალი-შვილნი, სახლის-კაცით, საყმით, საწელოთ; სამებელი ეპისკოპოსი, სამებით, საყმით, სამწყსოთ; ჯანდიერისშვილნი, ქისტაურით, ერწოთ, სამთავროთ; საგინაშვილნი, განაყოფით, ყმით და სახლის-კაცით; მოძღვართ-მოძღვარი, ყმით, სამწყსოთ; ხოდაშნის წინამძღვარი, ხოდაშნის ყმითა; მაყაშვილნი, ერთობით, ყმით, საწელოთ; რუსისშვილნი, თელავით; ყორჩიბაშის შვილნი, სახლის-კაცით; კისისტევის წინამძღვარი, ყმით, თავით; თაყაშვილნი და ბახუტაშვილი; აზნაურნი ოხიაცორჩის შვილნი, სახლის-კაცით, ყმით, შაშინ-კალაურით და გაღმა მამულით; თარხანიშვილი, სახლის-კაცით, ყმით, გაღმართით და გამოღმართით; ბარამიშვილნი<sup>2</sup> ყმით, საწელოთ, კახის-უბნით, ჯიმიით; ჩუმლაყი სარუსთვლო<sup>3</sup>.

აწე სახასონი ჩვენნი ესე არიან: სახასო<sup>4</sup> ენისელა, სახასო ჭი-აური, სახასო პანკისი, სახასო ფშაველი, სახასო მალრანი, სახასო თუშეთი, სახასო ხოდაშენი, კახასო თიანეთი, სახასო ერწო, სამთავრო<sup>5</sup>, სახასო ჩეკური, სახასო ნდოკორა, სახასო ბოროტაძე, სახასო ოდიშელიძენი, სახასო ლაფანაშვილნი, სახასო ბიწმენი, სახასო ჭიაურნი<sup>6</sup>, სახასო მარტყოფნი, სახასო შაშინ-კალაურნი და ხოდაშენი, სახასო კახის-უბანი, სახასო ახალ-შენი, სახასო ჯიმიითი.

ესე სახასონი და თავადნი ესრეთ განუჩენიათ რუსთელისადა დროშისათვის და ღმრთაებისა<sup>7</sup> საფარველისა ქვეშე შეუვედრებიათ ძველთა მეფეთა და უფროსლა ბატონს თეიმურაზს დაემტკიცებინა, და ჩვენცა ესრეთ.

ვინცა მეფემან, ანუ უფლისწულთ ერთი რომელიმე სახასოთა სრფელთაგანი, ანუ თავადნი, გინა აზნაურნი, გამოაგვან, ანუ თავ-თავისთვის, ანუ სხუათა დროშათა მიუბოძონ<sup>8</sup>, თვინიერ თხოებისათვის, ესე ზემონი წყევანი ყოველნივე თავსა მათსა ზედა დაუხდების.

და უკეთუ მეფემან სახლობით ინებოს, ნუ გამოაგვებს, რომელიცა ენებოს რუსთელისა ნება-დართვითა იგი გლეხნი, ანუ თავ-

<sup>1</sup> + და A. <sup>2</sup> ბარამაშვილნი B. <sup>3</sup> სარუსთლო A. <sup>4</sup> სახასონი B. <sup>5</sup> სამთავრო—B. <sup>6</sup> ჭიაურნი B. <sup>7</sup> ღმრთაებისა B. <sup>8</sup> მიუბოძოს A.

ვადი, გინა სხვა<sup>1</sup> რომელიმე, იახლნეს<sup>2</sup> და გამოსაჯვებლად<sup>3</sup> ნუ მოიწადებს და სანიადაგოდ.

ესე ესრეთ დავმტკიცენ<sup>4</sup> ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა<sup>5</sup> და მეოხებითა მამისა წმიდისა ანტონისათა.

აწ და უკუნისამდე დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან დამტკიცენს და განაძლიეროს, ამინ. ქორონიკონს უი.

- ბეკლები: 1. იმამყულიხანის.  
2. დედოფალ ფაბრიჯან ბეგუმის.  
3. ბატონიშვილ თეიმურაზის.  
ორი სპარსული ბეკედი.

### 99. [წყალოზის წიგნი ვახტანგ VI-ისა ტფილისის მოსახლეობისადმი]

[1722 წ.]

ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩვენ, ღმრთივ-აღმატებულმან, ღმრთივ-დამყარებულმან, ღმრთივ-ცხებით-გვირგვინოსანმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პაკრატონიანმან, მეფეთ-მეფემან პატრონმა ვახტანგ და თანამეცხედრემა ჩვენმან, ჩერქესთა მეფის ასულმა, დედოფალთ-დედოფალმა პატრონმან რუსუდანი, ღმრთივ-აღმატებულმან, ღმრთივ-დამყარებულმან პირწმომი და სასურველმან ძემან ჩვენმა, მეფე პატრონმა ბაქარ და პატრონმა გიორგი ესე წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და თავდადებით ნამსახურსა მკვიდრსა ტფილისისა მსახლობელთა მოქალაქეთა, ხელ ერთპირ დიდებულთა ვაჟართა, ქეთხუდთა, სომეხთა და ქართველთა, უფროსთა და მცირეთა ასრე და ამ პირს ზედან რომე.

ვამთა ვითარებისაგან და სოფლისა ამისა ჩარხთა უკულმა მოქცეულობითა, ხანთა და წამთა დაუნდობელთა ყიზილბაშთაგან ჩვენსა და კახეთის შუა ჩხუბი-მტრობა მოახდინეს, ქალაქსა და ქვეყანასა ჩვენსა დაუწყეს ქცევა-ოხრება.

მაშინ თქვენ შეირტყით მახვილი თქვენი წელთა თქვენთა და აღსდევით მოსრად მტერთა ჩვენთათვის, დასდევით სასიკუდინეთ თაენი და ძმანი და შვილნი თქვენი, იარიყენით საქონელნი და საჭურჭლენი თქვენი, ყოველნი სიმდიდრე და სიკეთე განაბნივეთ.

<sup>1</sup> სხუა—A. <sup>2</sup> იხილნეს A. <sup>3</sup> გამოსაჯვებლად A. <sup>4</sup> დავამტკიცენ B. <sup>5</sup> ღვთისათა B.

ესე ყოველივე აღასრულეთ და თქვენი სამსახური ვითარცა ლამპარი<sup>1</sup> აღანთეთ და ვითარც თვალი პატიოსანი წინაშე ჩვენსა განათლეთ.

აწ თქვენისა მოდგმისა და ერთგულობისა და გარჯილობისა სამუქაფოდ ესე წყალობა გიყავით, რომელი პირველთაგან გედვათ და აწ აღმომიკვეთია:

თუ ქალაქში კაცნი ამოვარდეს და თუ არ დარჩეს და, არცა ასული, იმისი საქონელი, სახლი, კარი და აგარაკი, მამული და მიწა-წყალი, ვინც იმისი ვარასი გამოჩნდეს, იმისთვის გვიბოძებია; ჩვენ ჰელი არა გვაქვს და ვერც ვინ ჩვენი მოსაქმე მიედევების; არც სათათრო, სამტყუგო გამოგვრთმევოდეს.

ესე ჩვენგან ბოძებული და წყალობა ასრე გაგიტავედეს და აროდის არ მოგეშალოს არ ჩვენგან და არა შემდეგთა ჩვენთა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

აწე, გიბრძანებთ კარისა წარვლენილნო ვეკილ-ვეზირნო და მდივანნო და სხვანო მოსაქმენო, ჩვენო ქალაქის მოურაო და მელიქ-მამასახლისო! ბრძანება და ნიშანი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და რა-რიგათაც ამ ჩვენი ნაბოძებსა თურვანსა შიგან ეწეროს, თვინიერ თანამოდგმობისა და შეწვევისაგან კიდე, ნურავინ შლად ხელყოფთ.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ინდიკტიონს მეფობის ჩვენისათა ქორონიკონს უი, ენკენისთვის ფ, ჰელითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობრის გიორგისათა, ამინ.

ვახტანგ. რუსუდან.

100. [მოურავობის წყალობის წიგნი კონსტანტინე მეფისა საწვემკელ ჩოლოყაშვილისადმი]  
[1724 წ.]

სახელითა არსება-დაუსაბამოსა ყოვლისა მპყრობელისა და ყოვლისა შემოქმედისა ღმრთისათა და ყოველთა მისთა წმიდათა ანგელოსთა, მოციქულთა და წინასწარმეტყუელთათა, ხორციელთა და უხორცილთა ზეცისათა და ქუეყანისათა, თავდებობითა და შუამდგომლობითა, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მიზნულად უდებელი, უცუალებელი, მოუშლელი, მტკიცე და საბოლოოდ გამოსადეგი წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ, ღმრთივ-აღმატებულმან, ღმრთივ-დამყარებულმან და ღმრთივ-ზეციტ-გვირგვინოსანმან - იასიან - დავითიან-სოლომონიან - პანკრატონმან, დიდისა და ცათა სწოროსა კელმწიფისაგან შეილებრ აღზრდილმან და მათგანვე გატელმწიფებულმან, ქართლისა და კახეთის მპყრო-

<sup>1</sup> ლამპარი] ლაპარაკით.

ბელმან, ყარაბაღის ბეგლარბეგმან, შამშადილუსა და ყაზახის ხანმა, მეფეთ-მეფემან და თვთველმწიფემან პატრონმან კონსტანტინე და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ფერიჯან-ბეგუმ, პირმშომან და სასურველმან წმამან ჩუენმან, ბატონისშვილმან პატრონმან თეიმურაზ და ძმისწულმან ჩუენმან, ბატონისშვილმა პატრონმან მაჰმადმირზამ, ალიმირზამ და ერეკლემ და დავით, თქუენ, ძუელთაგანვე სახლისა ჩუენისა და ჩუენთსაც მრავალ-ფერად თავდადებით დიდად ნამსახურს ჩოლოყაშვილს, კახეთის სახლთ-ხუცესს და თუშთ მოურავს საზვერელს, ძმისწულსა შენსა დურმიშხანს და შვილსა შენსა ზურაბს, შვილთა და მომავალთა ყოველთავე სახლისა თქუენისათა, ასე და ამა პირსა ზედან:

ვითაც თქუენი მამ-პაპანი ჩუენს ოჯახზედ ნამსახური იყუნენ და თქუენც ჩუენის გულისათჳს მრავალი ჳირი და სამსახური გარდავიხდით, აწე მოხველ კარსა დარბაზისა ჩუენისასა და პირუელ კელმწიფეთაგან რაც რომ წყალობა გჳირვებოდათ, სიგლების დამტკიცებას გვიაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და ვითაც კელთ გჳონდათ და არცა-ვინ მაცილებელი გყუანდათ და ჩუენც სიგლითა ამით კაკაბეთის მოურაობა დაგიმტკიცეთ, ასე რომე კურთხეულს მეფეს პატრონს მამა ჩუენს კაკაბეთის მოურაობა ასე გაეროგებინა და სიგელი ებოძა.

ძველთაგან კაკაბეთი შაჰ-აბაზ ყეენის დროს მოოხრებულ, უდაბ და უშენ ყოფილიყო, მეფეს არჩილს და მამიდა-ჩუენს დედოფალს ჳეთევენ კახაბრისშვილის გორჯასპისთჳს ებოძა, ძველად მოოხრებული იმას ეშენებინა.

მეფის არჩილის გარდაცუალების უკან მამა ჩუენი ისპაანს ყეენის კარზედ ყოფილიყო; მამის ჩუენის ისპაანს ყოფნაში გორჯასპის ეს თავისგან აშენებული კაკაბეთი ჩუენის სასაფლაოს წმინდის გიორგისათჳს მამის ჩუენისათჳს შეეწირვნა და თვთონაც შესწირა.

მამის ჩუენის ყეენთან ყოფნაში კახეთი აბაზ-ყული-ხანს მისცემოდა და გორჯასპის ისევე გამოეწირა, თვთონ დაეწირა, სიცრუვე მისი თხემსა მისსა ზედან ახლომოდა და ანაზდად სიკუდილით მომკუდარიყო, შვილი არ დარჩომოდა, ამოვარდნილიყო.

მასუკან ერისთავის-შვილს დათუნას მისცემოდა, გორჯასპის მსგავსად მასცა ანაზდი სიკუდილი სწეოდა და აბაზ-ყული-ხანს მამის თქუენის დურმიშხან სალთ-ხუცისათჳს ებოძა; მამა ჩუენი რომ საქართუელოში მობრძანებულიყო საბატონოთ და სიგლით თქუენთჳს დაემტკიცებინა საყმოდ.



ასე, ნებითა თქუენითა, ვითაც პირველად მამის ჩუენისაგან შეწირული იყო, ისრგვ კიდევ მეორედ მამის ჩუენისათჳს შეგეწირვინათ და თქუენც შეგეწირათ, დაგემარხათ შიში ღმრთისა, საყმოდ ხელი აგელოთ და სამოურაოდ დაგეჭირათ; რადგან თქუენის ნებით ეს გექმნათ, მამა-ჩუენს მტკიცე და უტუალებელი მოურაობის საფიცარი ებოძა, ვითაც ჴელთ გეჭირათ და მოცილე არავინ გყუანდათ, ჩუენც სიგლითა ამით ხელახლა დაგიმტკიცეთ საბოლოოდ და სამკვიდროდ.

არას ჴელმწიფისაგან, არც დედოფალთაგან, არც უფლისწულთაგან, არც ალავერდელთაგან, არც კაცისაგან, არას მიზეზით, არც სიმდიდრით, არც სიგლახაკისაგან, არც ქრთამის მიღებისაგან, არც სხვის რისამე დანაშაულისა და მიზეზისაგან, თქუენ და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა კაკაბეთის მოურაობა არ მოეშალოს, თავისის სამძღურით სამძღურამდის: აქეთ ჩაილურის სამძღურამდის, იქით შიბლიანის სამძღურამდის, ბოლო რისაც მქონებელი არის კაკაბეთი, ქართუელი, თათარი თუ სომეხი, აგრევე თავისის წყლითა სამოურაოთი თქუენ არ მოგეშალოს.

1\*. ვითაც საგარესჯოს მოურავს აქვს სამოურაო, ულუფის გარეშე, ჯურუმისა ორი წილი ალავერდელს მიერთმეოდეს და მესამედი თქუენ მოგეცემოდეს.

2. კომლად, რომელიც კოდი იქ იყის, მოყალნეს კაცხედ თითო კოდი პური თქუენ მოგეცემოდეს.

3. სხუა მთისა თუ ბარისა გამოსაღები ღალა, ანუ ქართველისა, თუ თათრისა, თუ სომხისა, ყოვლის ფერისაგან, რაც სარგო გამოვიდეს, ორი წილი ალავერდელს და მესამედი თქუენ მოგეცემოდეს.

4. თავის გასამტეხელოზე და საქვრიოზედ ალავერდელს ჴელი არა აქვს.

5. მეკობრის-მძებნელი ჴელმწიფისა ვერ შემოვიდეს თქუენს მეტი, მეკობრის-მძებნელი ვერც ალავერდელმა დააყენოს.

6. ნაქურდალის საზღაური ორი წილი ალავერდელს და მესამედი თქუენ სამოურაოდ მოგეცემოდეს.

7. მსახური აზნაურის-შვილი ორი წილი ალავერდელმან იახლოს და მესამედი თქუენ გახლდესთ.

8. ვერც ალავერდელმა კაცი გააზატოს და ვერც გამოაყენოს, ვერც თქუენ ულავერდელთ.

ესრედ სახედ სიგლითა ამით დაგვიმტკიცებია კაკაბეთის მოურაობა; გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა; კურთხეულის ბატონის მამის ჩუ-

\* ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

ენის გარიგებული ჩუენც ასრე დაგვიმტკიცებია, როგორც ამ წიგნში სწერია.

აწე ესრეთ გარიგებულა მამის ჩუენისაგან და დამტკიცებული ჩუენგანაც კაკაბეთის მოურაობა.

თუ ვინმე გამოსართმეველად ანუ მოსაშლელად მოინდომოს და იკადროს. რისხავსმცა ღმერთი ყოვლისა შემოქმედი, დაუსაბამო და დაუსრულებელი, ზეცისანი და ქუეყანისანი, ხორციელნი და უხორციონი; ნურამცა სინანულითა ნუ იქმნების ხსნა სულისა და ხორცისა მისისა; სოფელსა ამას დღემც აღუმცირებდის; საუკუნოსა მას მეორესა სამოველს და სატანას მიითუალვის სული მისი; ღმრთის პირით წყევით ცეცხლსა საუკუნოსა წარიგზავნების, ვინც ეს მოგიშალოსთ.

დამმტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს აწ და უკუნისამდე, ამინ.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე აპრილის 4, ქორონიკონს უიბ, ხელითა კარისა ჩუენისა მდივნის და ვით ისათა.

## 101. ძალაჲსი ბაჲის, ყაფნისა და ციხის კარის შართლაჲა

[1736 წ.]

ქ. ფარჩის ჩელიეჲი, სახელი ჩელიეჲია, მაგრამ თუმანზედ ერთი აბაზია ბაჲი.

ქ. ბაგრასტზედ აღლზედ მ (ორი ბისტი).

ქ. ლანდარა ფისტაზედ უ (ორი აბაზი).

ქ. მაუღზედ ფასტი ფ (ათი შაური).

ქ. შალი და ფარფათიანი ფისტაზედ ს (ერთი აბაზი).

ქ. ბეწვეულის საპალნეზედ ც (ორი მინალთუნი).

ქ. აბრეშუმის მიზანი, გამსყიდველები მისცემს (sic) სნ (ხუთი შაური); და ვინც იყიდის მისცემს რნ (სამი შაური).

ქ. ბანბა ცხენის საპალნე, აქლემის, ჯორისა და კარის ფ (ათი შაური), ვირისაზედ სნ (ხუთი შაური).

ქ. კმლის თევზისა, ურემზედ შ (თერამეტი შაური), საპალნეზედ ტ (ექვსი შაური).

ქ. გელაქნური, საპალნეზედ იბ (12).

ქ. ორაგული და ზუთხი, საპალნეზედ აი (1<sup>1/2</sup>).

ქ. ბრინჯის კარის საპალნეზედ რნ (სამი შაური), ვირისაზედ ნკე (შაური, ერთი ბისტი და ერთი ფული).

ქ. ხამ[ხა]ლათი ცხენისა და ჯორისაზედ ცს (თერთმეტი აბაზი), აქლემის საპალნეზედ ცყ (თოთხმეტი აბაზი), ვირისა ჩრ (მინალთუნი და ორი შაური).

ქ. ერბო, თაფლი, ქონი, შაბი, რკინა—ცხენისა, ჯორისა, გარისა საპალნეზედ რნ (სამი შაური).

ქ. ნალი, ცხენისა და ჯორის საპალნეზედ სნ (ხუთი შაური), ვირისაზე რკე (ორი შაური, ერთი ბისტი და ერთი ფული).

ქ. რაც მოქალაქემ განჯილამ აბრეშუმი მოიტანო[ს] და აზრუმისაკენ წაიღოს, აქლემისა თუ ცხენისა თუ ჯორისა საპალნეზედ ც (ორი მინალთუნი).

ქ. საყათი წვრილმანი თუ სახტიანი, ცხენის, ჯორისა და გარის საპალნეზედ ჩტნ (ოცდაშვიდი შაური), აქლემზედ ცკე (ორი მინალთუნი, ერთი ბისტი და ერთი ფული).

ქ. ხუშკაბარი და ზეითუნის საპალნე ცხენისა, ჯორისა და გარისა, საპალნეზედ ა (1) ლიტრა, ვირისაზედ ი ( $1/2$ ) ლიტრა.

ქ. ალვანს (sic) აბრეშუმზედ დასტაზედ ლეი (შვიდფულნახევარი).

ქ. ლილა თაგრეზის ლიტრაზედ ნ (ერთი შაური).

ქ. გუნდა და სპილენძი, ცხენისა, ჯორისა, გარისა საპალნეზედ ფ (ათი შაური), ვირისაზედ სნ (ხუთი შაური).

ქ. ენდრო და მატყლი, ცხენისა, ჯორისა, გარისა საპალნეზედ სნ (ხუთი შაური), ვირისაზედ რკე (ორი შაური, ერთი ბისტი და ერთი ფული).

ქ. მარილი საპალნეზედ ნ (ერთი შაური), გორისა ნ (ერთი შაური).

ქ. ზეთი ცხენისა, გარისა საპალნეზედ ტ (ექვსი შაური).

ქ. ნესვი და საზამთრო საპალნეზედ გ (3).

ქ. კიტრი ცხენისა, ჯორისა, გარისა საპალნეზედ იბ (12). ვირისაზედ ვ (6).

ქ. ბაზირგინის აბრეშუმი აქლემისაზედ უ (ორი აბაზი), ცხენისაზედ ს (ერთი აბაზი).

ქ. თამბაქო აქლემისა, თუ ცხენისა საპალნეზედ ა (1) ლიტრა.

ქ. არყის (sic) საპონი ცხენის საპალნეზედ ფ (ათი შაური).

ქ. ჯმელი ტყავი ცხენისა, ჯორისა, გარისა საპალნეზედ სნ (ხუთი შაური), ვირისაზე რკე (ორი შაური, ერთი ბისტი და ერთი ფული).

## ქ. ყაფანდარმა უნდა აილოს:

ქ. ხორბალი თუ ფქვილი, თუ ქერი, თუ ფეტვი, წიმიმე თავზედ კ (ერთი ბისტი), მსუბუქ თავზედ ი (ორი ფული).

ქ. ბანბა საპალნეზედ რ (ორი შაური); ბრინჯზედ და შაბზედ, საპალნეზედ კ (ერთი ბისტი); მატყლის საპალნეზედ ნ (ერთი პაური).

ქ. ცხენი და ჯორი რომ გაისყიდოს ს (ერთი აბაზი), აქლემზედ ლ (თოთხმეტი შაური), ვირზე და ძროხაზე ნ (ერთი შაური).

ქ. რკინა და სპილენძი კ (ერთი ბისტი).

ქ. ენდროს საპალნეზედ კე (ბისტი და ერთი ფული).

ქ. ზეითუნზედ ნ (ერთი შაური).

ქ. გმლის ტყავის საპალნეზედ კე (ბისტი და ერთი ფული).

ქ. ერბო, თაფლი, ქონი ას ლიტრაზედ რ (ორი შაური).

ქ. ხუშკაბარზედ ცხენის, ჯორისა საპალნე ნ (ერთი შაური).

## ქ. ციხის კარზედ:

ქ. თუ შემოსულისა, თუ გასულისა ბაზირგნის საქონელი თუ თამბალითი, თუ საპალნე კე (ბისტი და ერთი ფული).

ქ. აბრეშუმზედ ნ (ერთი შაური).

ქ. მარილი და ბრინჯი, საპალნეზედ ი (ორი ფული).

ქ. ნესვი და საზამთრო, საპალნეზედ ი (ორი ფული).

ქ. ერბო, თაფლი, ქონი, ტყავი, ხუშკაბარი, საპალნეზედ კე (ბისტი და ერთი ფული).

ქ. შაბი საპალნეზედ ი (ორი ფული).

ქ. გმელი თევზი, ურემზედ ნ (ერთი შაური), საპალნეზედ კ (ერთი ბისტი).

ქ. გელაქნური საპალნეზედ ლ (4).

ქ. ორაგული და ზუთხი, საპალნეზედ კ (ერთი ბისტი).

ქ. კიტრი საპალნეზედ ლ (4).

ქ. ხილი ურემზედ ნ (ერთი შაური), საპალნეზედ კ (ერთი ბისტი).

ქ. ქალაქის ბაეისა, ქ. ყაფნისა და ქ. ციხის კარის შართლა-მა ქორონიკონს უკად.

ქ. დასაბამად საქმისა პირველად ღმერთი იდიდებოდინ, ერთ-  
 არსებით ცნობილი და სამგვამოვნებით თაყვანისცემული, მამა, ყო-  
 ველთა დასაბამი და მიზეზი არავისგან შობილი, არამედ მხოლოდ,  
 უმიზეზოდ და უშობელი ყოველთა, ვიდრემე შემოქმედი და ერთისა  
 მხოლოდ, ბუნებით თანაარსისა, მხოლოდ-მშობელი ძისა, უფლისა  
 და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესოს ქრისტესსა, და გამო-  
 მავლინებელი ყოვლად წმიდისა სულისა, ერთ-არსი მეუფებითა და  
 ჰელ[ლ]მწიფებითა, რომლისა მიერ არს ყოვლისავე საცესება და სიმტ-  
 კიცე და ჰეშმარიტება, და მის მიერ განვაგებთ ყოვლისავე, და და-  
 ვამტკიცებთ სიტყვასა და საქმესა ჩვენ მიერ განგებულსა, და თანა-  
 მდგომელად მივიღებთ წმიდასა და ყოვლად უბრწინელსა დედო-  
 ფალსა ცათა და ქუეყანისასა, ღმრთისმშობელსა მარიამს, და თა-  
 ნაშემწედ ვყოფთ ცხოველს-მყოფელსა ჯვარსა და ყოველთა წმიდა-  
 თა ღმრთისათა, და დიდებულსა მთავარ მოწამეს გიორგის.

ამათ მიერთთა შემწეობითა ჩვენ, ღმრთისა მიერ ამაღლებულ-  
 მა, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონ, და ღმრთივ-გვირ-  
 გინოსანთა მეფეთა რტომან და ტომმან, მეფეთ-მეფეთმან, კახ-  
 თა მფლობელმა თეიმურაზ და თანამეცხედრებან ჩვენმა,  
 ქართველთ მეფის ვახტანგის ასულმან, დედოფალმან თამარ და  
 პირშომან და სასურველმან და მალალის ჰელ[ლ]მწიფეთ-ჰელ[ლ]მწი-  
 ფისა მიერ აღზრდილმა და კეთილსარწმუნოებით განმტკიცებულ-  
 მან, ბატონისშვილმან ერეკლე, და ამისწულმან ჩვენმა ასან-მირზამ  
 ესე მტკიცე და უცვალებელი წიგნი და საფიცარი დავდევით და  
 განვაწესეთ ჩვენს სასოს და მეოხსა, და მფარველსა ჩვენსა, და სა-  
 საფლაოსა ჩვენსა, დიდებულის, წმიდის გიორგის ტაძარსა აღა-  
 ვერდს.

ასე რომე, ნეკრესელმა იოანემ ბისონით კურთხევა მოინდომა,  
 ჩვენ არ ვიცოდით ესე რომე, თუ სხვანი ნეკრესელნი როგორ ნა-  
 კურთხნი ყოფილიყვენ: ბისონით, თუ ომფორით, ამიტომ რომ  
 უწინ ჩვენ ხსოვნასა და მოსწრებაში უკურთხი ნეკრესელი იჯდა;  
 და მახსოვარი არავინ იყო, და ქვეყნის არეულობისაგან უკურთხი-  
 დარჩომილიყო.

ეს ვიცოდით: ნეკრესი ქალაქიც ყოფილიყო, და ათორმეტი-  
 მამათაგანი წმიდა აბიბოს მის ქალაქის ეფისკოპოზი ყოფილიყო და  
 მისი მოსაყდრე უნდა ბისონიანი ყოფილიყო. ჩვენც ამის მიზეზით.

ნება დავრთვეით, რომ ნეკრესელი ბისონის ღირსი იყო ამ წმინდის აბიბოს მოსაყდრეობისათვის.

და რადგან წმიდის გიორგის მონასტერი ალავერდი ჩვენს მამა-პაპათ ავმაღლებინათ, და უმეტეს ყოველთ კახთ ეფისკოპოზთაგან განედიდა და გვირგვინოსან ექმნა ალავერდელი, მისი წინააღმდეგი და უნდომი და დაუშოწმებელი კახთ ეფისკოპოზების კურთხევა არ იქნებოდა; ალავერდელმაც ნება დართო ნეკრესელის ბისონით კურთხევისა.

თუ ამას იქით სხვამ ეფისკოპოზმან ან ბისონი, ან მიტრა ალავერდელის შეუნდობლად ჩაიცივას და დაიხუროს, წყეული იყოს ქრისტესგან და ჩვენც შერისხვით გარდავადგინოთ საყდრისაგან თვისისა.

თუ მეფემან, ანუ დედოფალმან, ანუ უფლისწულმან ალავერდელის შეუქითხავად და შეუნდობლად და დაუშოწმებლად მონდომოს და აკურთხებინოს, მასამცა რისხავს ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი და თვით დიდებული წმიდა გიორგი და წმიდა მამა აბბა.

და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხეს.

დაიწერა წიგნი ესე კელითა დისა ჩემისა მონოზონისა მაკრინასითა, თვესა დეკემბერს ი, ქორონიკონსა უკთ, ქრისტეს აქათ ჩღმ. ბეჭდები:.

თ ე ი მ უ რ ა ზ . დ ე დ ო ფ ა ლ ი თ ა მ ა რ .

verso-ზე: „მეტ[ი]ს თეიმურაზისაგან ნეკრესლის ბისონზედ მიწერილი“.

103. [სამწყსოს განახლების სიგელი ვიკიკლემ II-ისა წილკნელ ქრისტეფორესადმი]

[1746 წ.]

[ქ. ნებითა ღმრთისაითა ჩუენ, ღმრთივ]-აღმატებულმან, ღმრთივ-დამყარებულმან იესი[ან]-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან, ძემან ცხებულის საქართველოს მეფის თეიმურაზისამან და კახეთის არაგვის მპყრობელ-მქონებელმან მეფეთ-მეფემან და თვით კელმწიფემან პატრონმან ერეკლემ, თანამეცხედრემან ჩვენმან ქრისტეს მოყვარემან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ანნამ და პირშომან სასურველმან ძემან ჩვენმან უფლისწულმან ვახტანგ და საყვარელმან ბიძაშვილმან ჩვენმან ბატონიშვილმა ასან-მირზამ [ესე სამწყსოს წყალობის სიგელი გიბოძეთ] ასე და

ამა პირსა ზედან, რომე ეამთა ვითარებისაგან ანანურს ზევით არაგვის ერისთავს მთის ადგილებში აღარ შეეშვათ წირკნელი და რჯულზედაც მიდრეკილ იყუნენ.

და მობრძანდით თქვენ, მუხრანის ბატონის შვილი ყოველად სამღვდელო წირკნელ-მიტროპოლიტი ქრისტეფორე და გვეაჯენით სამწყსოსა თქვენსა, ვითარცა ძველათგან თქვენი ყოფილიყო და გუჯარშიაც ძველათგან მთა და ბარი თქვენი სამწყსო ყოფილიყო.

და ჩვენც პელახლა წყალობა გიყავით თქვენი სამწყსო: მთიულეთი, ქვევი, გუდამაყარი, ჯანდო, ქართალი. ამათ სახუცოს ერისთავები სადმე იღებდენ. დია[ლ] დიდი უწყესო და უმართებულო იყო და რჯულის ურიგობა.

ჩვენ ახლა თქვენის მონასტრის წილკნისა ღმრთისმშობლისა დიდისა ეკლესი[ი]სა მჯდომარეს წილკნელს შეგვიწირავს, რაც რომე მთის ალაგებიდამ სახუცო ედვას და გამოვიდოდეს, თქვენს მამათ-მთავარს<sup>1</sup> მიეზარებოდეს, და მამათ-მთავარი თქვენ მოგართმევდეს. არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა მეპატრონეთაგან.

აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვეკილ-ვეზირნო და ყოველნო მესაქმენო ჩვენნო, არა[გ]ვის სახლთ-ხუცესო და მოჯელენო, თქვენც ასე დაუშტკიცეთ და ნუ მოუშლით.

დაიწერა სიგელი ესე პელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობართ-უხუცესის ოთარისითა თვესსა ივნისსა ლ, ქორონიკონს [უ]ლდ.

მარცხენა კიდებუ:

ქ. ჩვენ, ქართლისა, კახეთისა და სრულიად საქართველოჲსა კათალიკოს-პატრიარხი და ალავერდელ მიტროპოლიტი, ძე სანატრელისა ჯგელმწიფე მეფისა ირაკლი მეორისა ანტონი ვამტკიცებთ მიტროპოლიტობისა ამის წერილსა აპრილს ვ, წელთა ჩუა.

ხვეულად:

კათალიკოზი ანტონი.

104. [მცხეთის სასაარდლოს განწმენის წიგნი თეიმურაზ II-ისა]

[1749 წ.]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ღმრთივ-აღმატებულმან და ღმრთივ-დამყარებულმა, ღმრთივ-ცხებით-გვირგვინოსანმან, იასიან-[დავი]თიან-სოლომონიან-ბაგრატიონმან, ქართლისა და ყაზახ-ბორჩა[ლ]ოს ფლობით მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან, ჯელმწიფემან, პატრონმან თეიმურაზ და თანამემცხედრემან

<sup>1</sup> მამათმავარს.

ჩვენი მან, დედოფალთ-დედოფალმა პატრონმა ანახანუმ, [პირ-  
მშობმა და სასურველმა ძის-ძემან ჩვენმან პატრონმან ბ[ა]ტრო-  
ნიშვილმა ვახტანგ ესე ამიერიით უკუნისამდე ჟამთა და ხა[ნ]თა გა-  
სათავებელი, მტკიცე და მიზეზ-შემოუღებელი, ლაშქრობისა და ნა-  
ღირობის პირი და სიგელი დავდევიით და განვიწესეთ [და] მოგართ-  
ვით თქვენ, ჩვენ სასოსა და სიქადულსა, ცათა მოკამარეს, წმინ-  
დას კათოლიკე ეკლესიას, სვეტსა-ცხოველსა და კვართსა სა-  
უფლოსა, მირ[ონ]-ღმრთივ-მყოფელსა, და თქვენსა საჭეთა-მპყრო-  
ბელსა და მეურ[ნ]ესა, წმინდასა და ყოვლად სანატრელს, მეფის  
ძეს, ბატონს ჩვენს დის-წულს, კათოლიკოზ-პატრიარქს ან-  
ტონის.

ასე, რომ ძველთ ჳელმწიფებთაგანაც წიგნები გქონოდათ ლა-  
შქრობის გარიგებისა, [და] პატრონს მეფეს ვახტანგსაც ძველადამ  
გარიგების წიგნებ[ი] ენახათ და იმავ რიგის დამტკიცებისა და გა-  
ნახლების წიგნი დაედვა.

და კვლად ჩვენც აგრევე ეს გარიგებისა და ლაშქრობის  
წიგნი და დამტკიცება მოგართვით, რომ რასაც ალა[გს] სვეტის  
ცხოველის ყმა არის: ზემო ქართლს, თუ ქვემო ქართლს,  
საეციციანოს მხარეს, მუხრანს, სომხითს, საბარა-  
თიანოს, თრიალეთს, [ქ]ალაქს, თუ გორს, ქციხილ-  
ვანს, მთასა თუ ბარს, რასაც ალაგს, სვეტის-ცხოველის ყმა იყოს  
და ესახლოს, არას სხვას სარ[დ]რებს ჳელი არ[ა] აქვსთ, თავისი  
დარბა[ა]ისელი, აზნაურშიელი, მსახური და გლ[ე]ხნი, დიდნი და  
მცირენი, ყოვლის თავისის ადგილიდამ ბატონს ყოვლად სანატ-  
რელს კათალიკოზს იახლებოდნენ და შემოეყრებოდნენ, ლაშქრო-  
ბა[ს]ა და ნაღირობაში ჩვენს დროშაზედ იქნებოდნენ.

ეს ასრე დაგვიმტკიცებია.

ვინ იცის, ბატონი კათალიკოზი ლაშქარს არა ბძანდებო-  
დეს [თავ]ის სარდრითა და მსახურ-აზნაურიშიელით სამცხეთო  
ჯარი ჩვენს დ[როშა]ზე იქნებოდენ; სხვას სარდრებს საქმე ნუ აქვსთ.  
ნუმც ვინ იქნები[თ] მკადრებელ შლად და ქცევად გარიგები-  
სა ამისად.

დაიწერა ინდიკ[ტ]იონსა მეფობისა ჩვენისათა<sup>1</sup>, ქორონიკონს  
ულ<sup>წ</sup>, მარამობისთვის კ<sup>წ</sup>, ჳელითა კარისა ჩვენის მღვიანმწიგ-  
ნობარის თუმანიშვილის გორჯასპისათა.

ბეჳელი:

თეიმურაზ. ანახანუმ.

<sup>1</sup> ჩვენთისათა.



მარცხენა კიდეზე:

ქ. ღმრთივ-ცხებით-გვირგვინოსანს ბატონს მამა-ჩვენს მეფეს თ[ე]იმურაზს რა რიგათაც გაუროგებია, ჩვენ, ძე მათი, პატრონი მეფე ირაკლი ამ-რიგათ ვამტკიცებთ წიგნსა და ნიშანსა ამას. იან-ვრის კა, ქორონიკონს უშგ.

(105) [გუჯარაჲი მრეკლე II-ისა და ანტონ I-ისა ნინოწმინდელის პატივისა და აღგაღის შესახებ დაკრახობის ღრუს]  
[1749 წ.]

ქ. ვინაჲთგან ყოველთათვის სახმართა ეკლესიისა, საეპისკოპოსოსა წმიდის მოციქულთა სწორისა ნინას ეკლესიისათა, რომელ არს-საგარეჯოსა შინა, ვკმენით გამოძიებაჲ, [ე]პოვენით და მივართვით ჩვენ, ირაკლი მეორემა [ნ], მეფემან ყოვლისა ზემოჲსა საქართუელოსამან, აღსავლისათჳსცა, ესე იგი საეპისკოპოზოჲსა საყდრისა ზრუნვაჲ ვყავთ, ეს სახედ გამოვიძინით ჩვენ და ძმამან ჩვენმან ყოვლისა ზემოჲსა საქართუელოსა [მამათ-მთავარ-მან ანტონი და განვიხილენით განწესებანი წინაპართა ყოვლისა საქართუელოსა] მეფეთა და მამათ-მთავართანი და განჩინებათა შინა მათთა ვპოვენით საყდარნი ყოვლად სამღვდლოჲსა ნინო-წმინდელ მღუდელთ-მთავრისა არხიმანდრიტისა<sup>1</sup> ესე-გუარ: რაჲამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა<sup>2</sup>, ეპისკოპოზნი ამა წესითა დაჰსხდნენ.

1\*. ბრძანოს ქართლი<sup>3</sup>სა კათალიკოზმან და დაჯდეს მარჯვენით მეფისა, ტახტსა ზედა მოკიდებით, ნატიითა და ბალიშითა.

2. შემოვიდეს ჭყონდიდელი და დაჯდეს მარცხენით მეფისა, ნატიითა და ბალიშითა.

3. შემოვიდეს დიდის სომხითისა მიტროპოლიტი და დაჯდეს კათალიკოზსა ქვემოთ, ნატიითა და ბალიშითა.

4. შემოვიდეს მთავარეპისკოპოზი და დაჯდეს მიტროპოლიტს ქვემოთ, ნატიითა და ბალიშითა.

5. შემოვიდეს მაწყუერელი და დაჯდეს მთავარეპისკოპოზს ქვემოთ, ნატიითა და ბალიშითა.

6. შემოვიდეს აბბა ალავერდელი და დაჯდეს ჭყონდიდელს ქვემოთ, ნატიითა, უბალიშოდ<sup>3</sup>.

7. შემოვიდეს ქისიყელი და დაჯდეს აბბა ალავერდელს ქვემოთ, უნატოთ.

<sup>1</sup> არხიმანდრიტელისა. <sup>2</sup> + და. <sup>3</sup> უბალიშოდ] და ბალიშითა.

\* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

8. შემოვიდეს კუმურდოელი და დაჯდეს ქისიყელს ქვემოთ.

9. ქ. შემოვიდეს ნინოწმინდელი არხიმანდრიტი<sup>1</sup> და დაჯდეს ქისიყელს ქვემოთ.

განწესება ესე სასაყდრო აღსავალითა განწესებული არს ძველთა მეფეთა და მამათ-მთავართაგან ყოვლისა საქართუელოჲსათა და ამით სახითა წერილ არს განჩინებათა შინა მეფეთა გვირგვინოსან<sup>2</sup>-ყოფისა დარბაზობისათა.

ხოლო ოდეს იგი ღირსად სანატრელ-ქსენებული მამა ჩენი ცხებულ იქმნა და გვირგვინოსან მეფობისა საყდარსა ზედა საქართუელოისასა, წელიწადსა 1745, თთუესა ოკდონბერსა 1, მაშინ, პალატსა შინა სამეფოსა დას[ხ]დეს, შემდგომად მილოცვის სამეფოჲსა, ეპისკოპოზნი ესრეთ:

დაჯდა ყოვლისა ზემოჲსა საქართუელოჲსა მამამთავარი ანტონი მარჯვენით მეფისა დიდებითა შესაბამითა.

ხოლო ვინაჲთგან არცა სამეგრელოჲსა და იმერეთისა ეპისკოპოზნი და არცაღა მესხნი იყუნეს მუნ, სხვადა სხვათა მიერ მიზეზთა, და საყდარიცა სომხითისა მიტროპოლიტი<sup>3</sup>სა მოშლილ-იყო ძველადვე, და განეჩინათ ყოველი პატივი სომხითის მიტროპოლიტი<sup>3</sup>სა აბბა ალავერდელისად, დაჯდა მარცხენით მეფისა აბბა ალავერდელი, ყოვლად სამლუდლო ნიკოლოზ ენდრონიკასშვილი, სომხითისა მიტროპოლიტი<sup>3</sup>სა პატივსა ღირსქმნილი მეფისა ლეონ პირველის მიერ, ადგილსა ჭყონდიდელისასა<sup>4</sup>, მარცხენით მეფისა.

შემოვიდა და დაჯდა ქისიყელნი, ყოვლად სამლუდლო მიტროპოლიტი ონოფრე ენდრონიკასშვილი, და დაჯდა აბბა ალავერდელის ქუემოთ.

შემოვიდა და დაჯდა თვთ ყოვლად სამლუდლო ესე ნინოწმინდელი საბა, ქისიყელს ქვემოთ.

აწ სადმე ჩვენ, ირაკლი მეორემან, ყოვლისა საქართველოჲსა მეფემან და ყოვლისა ზემოჲსა საქართველოჲსა მამამთავარმან ანტონი ძველი უკვე განწესებაჲ ვიპყარით უცვალებელად და მივეცით ნინოწმინდელსა მლუდელმთავარსა ადგილი კრებასა შინა დგომისა ანუ ჯდომისა, უზემოეს მანგლელისა, რუხთველისა, [და] წალკელისა.

და თუ სადმე იქმნეს განახლებაჲ კაწარელისა საეფის[კ]ოპოზოჲსა საყდრის, და ურბნელისა, და მროველისა, ნეკრესელისა, სამთავენელისა, ნიქოზელისა, და თუ სადმე იქმნეს განახლებაჲ ბოლნელისა<sup>4</sup> საეპისკოპოზოჲსა საყდრისა; და კვალად ეგ-სახედ

<sup>1</sup> არხიმანდრიტელი. <sup>2</sup> გვირგვინოსან. <sup>3</sup> კყოლინდელისასა. <sup>4</sup> ბოვნელისა.

ხარკაშენელისა ც[ა], რომელ მოშლილ არს დღეს; ეგ-სახედ წალკელისა ც[ა] და დმანელისა საყდართა, რომელ[ნი]ცა მოშლილ არიან დღეს; და გიშენელისათა, რომელი აღრითგან მოშლილ არს. მით, რამეთუ ამათ ყოველთა ზემოქსენებულთა ეპისკოპოზთა და თვთ ტფილელისა ც[ა] უზემოეს აქუნდა ადგილი კრებასა შინა ყოვლად სამღუდელოსა ნინოწმინდელსა, ვითარ იგი წერილ არს განჩინებასა შინა მეფეთა გვირგვინოსან-ყოფითა და დარბაზობისათა.

ტფილელი უკუე განჩინებასა მას შინა სამეფოსა ფრიად ქვემო რე დგებოდის, ანუ ჯდებოდის კრებასა შინა, ამისთჳს რომელ სამეფო ქალაქი არა იყო ტფილისი დროთა მას შინა, არამედ ნისანი და ქუთათისი.

ხოლო ვინაჲთგან მოშლილ იქმნა ნისანი და სხვა სამეფო იქმნა ქუთათისი, ტფილისი უკვე ქმნეს მეფეთა ქალაქად სამეფოდ ქართლისა, რომლისათვის პაპამა[ნ] ჩვენმან ირაქლი პირველმან ყოვლად სამღუდელო დომენტი ორბელიანი, ტფილელი ეპისკოპოზი, თანა-დასწრებითა უწმიდესისა იოანე დიასამიძისა, ყოვლისა ზემოჲსა საქართველოჲსა მამათ-მთავრისათა და შემოკრებითა ეპისკოპოზთათა, მიტროპოლიტ ჰყო<sup>1</sup> და შემდგომნი მისნი ყოველნი ყოვლად-სამღუდელონი ტფილენი.

ესევე საყდარი სამიტროპოლიტო ტფილელისა ღირსად-სანატრელ-ქსენებულმან მამამან ჩვენმან მეფემან საქართველოჲსამან თეიმურაზ მეორემან, ოდეს იგი ჩვენ მეფედ კახეთისად ვიყვენით, თანხმობითა ჩვენითა და ყოვლისა ზემოჲსა საქართველოჲსა მამათ-მთავრისა ანტონისათა, წელიწადსა 1749, ქვემო ქისიყელის მიტროპოლიტისა საყდრისა, ექმენით არა უგანგებოდ.

ამისთვის, შემდგომად ქისიყელისა და ტფილელისა მიტროპოლიტთა აქენდეს ადგილი მიტროპოლიტობით მიერთაგან ყოველთა ყოვლად-სამღუდელთა ნინოწმინდელთა, ხოლო მიტროპოლიტობისა აღსაეალიცა, პატივი და ჰქსენებაჲ ამიერითგან. ამისთვის რომელ, ვინაჲთგან ძველად მეფეთაგან კარისა ჩვენისა ეპისკოპოზად განწესებულ იყო ყოვლად სამღუდელო ნინოწმინდელი, ჩვენ არა უშესაბამოდ<sup>2</sup> ეს[ა]ჯეთ მიტროპოლიტ-ყოფაჲცა ყოვლად სამღუდელთა ნინოწმინდელთა, რომელიცა დაამტკიცა ნეტარ-ქსენებულმანცა მამამან ჩვენმან თეიმურაზ მეორემან.

ყოველი რაოდენიცა ჰ[რ]ოართაგ გუჯარსა ამას შინა წერილ არს, დამტკიცებით: სამწყ[ს]ოჲსათვის, ან პატივისათვის, ანუ

<sup>1</sup> იყო. <sup>2</sup> უშესაბამოდ.

მამულთათვის, ესე იგი სოფელთა, საზღვართა, მათათა, მდინარეთა, მდინარის კიდეთა, ქალათა, წისქვილთა, ვენახთა, აგარაკთა, სახნავთა, სათიბთა და ყოველთათვის, რაოდენიცა განახლებით მივართოთ საგარეჯოსა შინა საეპისკოპოზოს ეკლესიასა წმიდისა მოციქულთა სწორსა ნინასა.

ნუ ვინმე იკადრებთ შლად და წინაუქმო ქცევად, მით რომელ ჩვენ, შიშითა ღმრთისათა, დიდითა სიმკაცრით და შემდგომითა წმიდათა კანონთა ვქმენით.

ხოლო ვინათგან ჩვენ წმიდათა კანონთა შედგომითა ვქენით და წმიდათა კანონთა შედგომითა დამკსნელნი ღირს არიან წყევისა, მაშასადამე, განჩინებისა ამის ჩვენისა დამკსნელნი ღირს არიან წყევისა.

106. [ქალაქის მოურავოვობის წყალობის წიგნი თეიმურაზ II-ისა გივი ამილახორისადმი]

[1752 წ.]

ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, ღმრთივ-ცხებით-გვირგვინოსანმან, ღმრთივ-აღმატებულმან ღმრთივ-დამყარებულმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან, საქართველოსა და ყაზახ-ბორჩაღუს ფლობით მპყრობელმან და მქონებელმან, არაყისა (sic) და აღრიბეყანის სპასალარმან, მეფეთ-მეფემან, პატრონმან თეიმურაზ და თანამემცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან ანახანუშ, პირმშომან და სასურველმან ძის-ძემან ჩვენმან უფლისწულმან ეახტანგ და გიორგიმ ესე, ამიერითგან ჟამთა და ხანთა გასათავებელი, წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და მრავალგვარად თავადადებით ნამსახურს თავადსა, პირველად მემარჯვენე სარდალს ამილახორს გივს და აწერანის ჯემწითის ყულარაღასს შაჰყულიხანს.

ასე რომე თქვენის მრავალნამსახურობის მაგიერად ქალაქის მოურავობის წყალობა გიყავით, ამ წესით, როგორც ძველთაგან ქართლის მეპატრონეების დროს სხვათ მოურავობა უქნიათ, იმ წესით. რაც რომ ჩვენი სამსახური და ქალაქის საქმე იყოს, ყველა შენის შექითხულობით და მასლათით იქნებოდეს და გარიგდებოდეს. გიბძანებთ ქალაქის მელიქ-მამასახლისო და ნაცვალო და ქუთხუდებო და ერთობით ქალაქის რაიათნო, დიდნო და მცირენო! როგორც ამ წიგნში გვიბრძანებია, იმ რიგად მორჩილობა უყავით და ნურაფერს ქალაქის საქმეს, ანუ ჩვენს სამსახურს და გინახვას, უმაგისოდ ნუ იქთ, თვარემ ჩვენც დიდათ ვიწყენთ და მაგისთიხნაც გვიბძანებია, როგორც ძველად მოურავის დასტურია, იგეც

ისრე გარდაგახდევინებთ, არ მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არცა ჩვენთა შემდგომთა მებატრონეთაგან.

გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო! ბძანება ესე ჩვენი თქვენც ასე დაუმტკიცეთ. [და ნუვინ მოშლით] თანამდგომობისა და შეწვევისაგან კიდე.

ღაღწერა ბძანება და ნიშანი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა ქრისტეს აქეთ ჩლნა, ხელითა კარისა ჩვენისა მღვიან-მწიგნობრის შ ა ნ შ ი ა ნ მ ა რ ტ ი რ ო ზ ი შ ვ ი ლ ი ს ზ ა ა ლ ი ს ა თ ა, იანვრის ო გასულს, ქორონიკონს უშა.

კიდეზე:

ქ. ამ პატრონის მამის ჩვენის ნაბობებს სიგელს ჩვენ, მეფე ერეკლე ვამტკიცებთ.

### 107. [წიგნი ვაათა აბაშიძისა ბეჟან ნახუცვაკისშვილისადმი

ტაშის-კარის ბაჟის მიბარების შესახებ]

[1753 წ.]

ქ. აბაშიძის პა[ა]ტას და აბაშიძის ნიკოლოზის ღმრთის წყალობავ და მამის მსგავსად პატივცემულო ჩვენგან, ბატონო ბეჟან ნახუცვრისშვილო!

მერმე, როგორც კურთხეულის ბატონის მამი-ჩვენისაგან გე-ბარა ტაშის-კარის კოშკი და ბაჟი, ისე ჩვენ მოგვიბარებია. ნუს-ხაც იმის ბრძანებაზე მოგვიცია, რომ ასრე აილდე ბაჟი, ხათრს ნუ-რავის შეუნახავ; ღმრთის წინაშე ამ განწესებულზე მეტს ნუ აილდებ. ათისთავი, რაც მოგვივიდეს, შენთვის წყალობა გევიქნია. ეს ორი კაცი ჩვენი დააყენე. ამათ ანგარიშს შენ გამოართმევდე, ჩვენსას ჩვენ მოგვართმევდე და შენს სათაოს შენ აილდებდე და ჩვენ ანგა-რიშს შენ მოგვცემდე.

სალამათი, რაც სამართალი იყოს, ისე აიღონ ამ ბიჭებმა; მეტს ნუ აილდებენ.

აღიწერა მარტის დამდეგს, ქორონიკონს უშა.

ბეჟანო: ა ბ ა შ ი ძ ე პ ა ა ტ ა

### 108. [ნუსხა ტაშის-კარის ბაჟისა]

[1753 წ.]

ქ. ქრისტეს აქეთ ქორონიკონს ჩლნგ, მარტის დამდეგსა.

ქ. ტაშის-კარის ბაჟს ამ რიგით აილდებდეთ, განაჩენი მეფეთა და ჩვენდა წყალობა ასრე არის:

ქ. ფარჩის საპალნეზედ, ერთზედ აბაზი ხუთი.

ქ. აბრეშუმის საპალნეზედ, ერთზედ აბაზი ექვსი.

ქ. ბანბის საპალნეზედ შაური ათი.

ქ. საპალნე საყათზე რომ საწვრილმანო არის, აბაზი ხუთი;  
ქალაღლიც იქნება.

ქ. საიასა მუდსა და ლანდრაზე, საპალნეზე აბაზი ექვსი.

ქ. ბრინჯზედ, საპალნეზე ერთი ლიტრა.

ქ. ზეთის ხილზე, საპალნეზე ერთი ლიტრა.

ქ. საპალნე მარილზედ ნახევარი ლიტრა.

ქ. ზურგზე მარილზედ ნახევარი ჩარექი.

ქ. ზურგით ბანბა ვისაც მოქონდეს, ერთი აბაზი.

ქ. ზურგით ფარჩა ვისაც მოქონდეს, ორი აბაზი.

ქ. ზურგით სამოსელი ვისაც მოქონდეს, ერთი აბაზი.

ძმაო ბეჟან! ამ ჩვენს კაცსა და შენს კაცს ამ რიგით ააღე-  
ბინე ეს ჩვენი ბაგი.

მარტის დამდეგს, ქორონიკონს უშა.

ბეჟედი: აბაზი ძე პაატა.

109. [ჯამო ძაბთლის მოკიგე ლაშქრის წუსხა თეიფუკაჲ II-ისა,  
ოჰმით იასაულისადმი]

[1756 წ.]

ქ. ჩვენი [ბრძანება არის] იასაულო ნიკოლოზ [უზბა]შო და  
ზურაბ ნახუცრიშვილო:

წადით და რაც ამ სიით მუდამ სახლებლათ მონაცვლე  
ლაშქარს კაცი შეგვიწერია შარშანდელს დაეთარზე, ეს ასე ცხე-  
ნოსანი ცხენით და ქვეითი ქვეითათ უზბაშებს მიაბარეთ, ყველას  
გამოართვით უკლებლათ.

[თუ] ცხენი და ან კაცი აკლია ვისმე, თქვენც გარდავახდევო-  
ნებ და იმათაც დიდათ გარდავახდევინებთ.

მაისის ოთხ დღეს გასულს უნდა შემოგვყაროთ ერთის თვის  
ნუზლით.

აპრილის ი ქორონიკონს უმდ.

ბეჟედი.

ქ. ზემო ქართლს რომ მუდამ ბატონის სახლებლათ გაუყრე-  
ლათ ჯარის კაცი აწერია, მორიგე კაცი, რომ ოროლსა და  
ოროლს თვეზედ უნდა გამოიცვლებოდეს, ადგილს დადგებოდეს სამ-  
სახურში და უწინდელი მოსული ისე მურახასი შეიქნებოდეს.

როგორც შარშან შესწერია, ის თავთავის უზბაშს შემოეყარნენ  
და უზბაშმა მთლათ უკლებლათ ცხენოსანი და ქვეითი ბატონს  
შემოყაროს ერთის თვის ნუზლით.

ზ. ქ. ავალისშვილის პეტრესი: ცხენოსანი დ, ქვეითი გ, იქ-  
ნა ზ.

ე. ქ. ავალისშვილის ავალისა და ზაზასი: ცხენოსანი გ, ქვე-  
ითი ბ, იქნა [ე].

გ. ქ. თაქთაქისშვილის ელიზბარისა: ცხენოსანი ბ, ქვეითი ა,  
ხუცით იქნა [გ].

ბ. ქ. ამის ძის-წულის იოვანესი: ცხენოსანი ა, ქვეითი ა,  
იქნა [ბ].

იე. ქ. აბაშიძის პა[ა]ტასი: ცხენოსანი თ, ქვეითი ექვსი ვ, იქ-  
ნა [იე].

ე. ქ. დავით ჩხეიძისა: ცხენოსანი გ, ქვეითი ორი, იქნა [ე].

დ. ქ. დიასამიძეებისა: ცხენოსანი ბ, ქვეითი ბ, იქნა [დ].

თ. ქ. სურამიძამ აზნაურიშვილებით ცხენოსანი ე, ქვეითი დ,  
იქნა [თ].

ა. ქ. ოსიაურიდან ცხენოსანი ა.

გ. ქ. ატოცის დეკანოზისშვილები: საყდრის ყმით, ცხენო-  
სანი ა, ქვეითი ბ, იქნა [გ].

გ. ქ. ალიდამ ცხენოსანი ა, ქვეითი ბ, იქნა [დ].

დ. ქ. ოტია ამირეჯიბმა, ცხენოსანი ბ, ქვეითი ბ, იქნა [დ].

ა. ქ. ამირეჯიბმა სვიმონ და ასპან, ქვეითი ა.

გ. ქ. ბეგთაბეგიშვილებისა: ცხენოსანი ა, ქვეითი ბ, იქნა [გ].  
ნიკოლოზ უზბაშის თაბუნათ არიან ესენი.

ა. ქ. რამაზისშვილმა, სიამარადისშვილით: ქვეითი ა.

გ. ქ. ფალავანდისშვილის ზა[ა]ლისა და ერეკლესი: ცხენოსანი  
ბ, ქვეითი ა, იქნა [გ].

ა. ქ. ფეშინაგისშვილის ზა[ა]ლისა: ქვეითი ა.

ა. ქ. ამისის ძმის რევაზისა და ტეტიასი: ცხენოსანი ა.

ბ. ქ. ვახტანგისშვილი ჭაბუა: ცხენოსანი ა, ქვეითი ა, იქ-  
ნა [ბ].

ა. ქ. თეიმურაზ ფალავანდისშვილისა: ქვეითი ა.

ა. ქ. ფალავანდისშვილი დავით თვითონ: ცხენოსანი ა.

ა. ქ. ფალავანდისშვილი იესე: ცხენოსანი ა.

ა. ქ. ფალავანდისშვილის გიორგისა: ცხენოსანი ა.

ა. ქ. ფალავანდი: ცხენოსანი ა, თავის ბიძაშვილებით. ქ. ამას  
ზეით ამირეჯიბის თაბუნ[ი]ა, ქვეითი ნიკოლოზებისა (?), ბექთაბე-  
გიანიც ნიკოლოზზედ არის.

ქ. ხერხეულიძე ჯამასპისშვილი: ცხენოსანი ა,  
ავთანდილით: ქვეითი ა, იქნა [ბ].

ა. ქ. ხერხეულიძის ბეჟანისა, თეიმურაზის ყმანი: ცხენოსანი ა.

ა. ქ. ფრიდო... ცხენოსანი ერთი.

ა. ქ. პატარა ზალისშვილისა... ქვეითი ერთი ა.

ბ. ქ. დავითისშვილის გიორგისა: ცხენოსანი ა, ქვეითი ა.

ა. ქ. ბერის წილი კაცისა: ქვეითი ა.

ბ. ქ. დავითისშვილის დავითისა: ცხენოსანი ა, ქვეითი ა, იქნა [ბ].

ა. ქ. ტატისშვილი ბალათარ: ქვეითი ა.

დ. ქ. დირბიდამ: ცხენოსანი ბ, ქვეითი ბ; ამირეჯიბის თაბუნ[ი] არის ეს დირბი.

ა. ქ. კალატოზისშვილები: ცხენოსანი ა.

ა. ქ. შალიკასშვილი: ოქრომჭედლისშვილით: ცხენოსანი ერთი.

იბ. ქ. იესე მაჩაბლისა: ცხენოსანი წ, ქვეითი ხუთი ე, იქნა [იბ].

ა. ქ. ძალღუა მაჩაბელი: ცხენოსანი ა.

ა. ქ. ბეღელაშვილისა: ქვეითი ა.

ა. ქ. ალხაზისშვილის კაცი: ცხენოსანი ა.

ე. ქ. ქცხილვანიდამ: სახასო კაცი გ, ქვეითი ბ, იქნა [ე].  
იქნა...

გ. ქ. ფაენელისშვილის ავთანდილისა: ცხენოსანი ბ, ქვეითი ა, იქნა [გ].

გ. ქ. იორამისშვილის პაპუნასი: ცხენოსანი ბ, ქვეითი ა, იქნა [გ].

ა. ქ. ფალავანდისშვილის შიოშისა: ცხენოსანი ა.

ა. ქ. ფაენელისა და ამის ძმისწულებისა: ცხენოსანი ა.

გ. ქ. სამროვლო: ცხენოსანი ბ, ქვეითი ა, იქნა [გ].

ა. ქ. ნიქოზელის ყმა: ქვეითი ა.

გ. ქ. სამთავარეფისკობოზოდამ: ცხენოსანი ბ, ქვეითი ა, იქნა [გ].

კ. ქ. საამილახოროდამ: ცხენოსანი ია, ქვეითი თ, იქნა [კ].

ვ. ქ. გორიდამ ერთობით: ცხენოსანი დ, ქვეითი ბ, იქნა [ვ].

ა. ქ. სველნეთიდან შატბერასშვილი: ცხენოსანი ა.

ა. ქ. ტინისხიდის სახასოდამ: ქვეითი ა.

ა. ქ. ერკნეთიდან: ცხენოსანი ა.

ა. ქ. გარსევანისშვილებისა: ქვეითი კაცი ა.

ა. ქ. რუის ფანიასშვილებმა, შედანიისშვილმა საბატონისშვილო სახასონი: ცხენოსანი ა.



ა. ქ. აქავ სამეფო სახასომ: ქვეითი ა, დედოფლის სახასოც ამას უდგია.

დ. ქ. სათუმანისშვილოდამ: ცხენოსანი ბ, ქვეითი ბ, იქ-ნა [დ].

110. [გრძანება თეიმურაზ II-ისა ალავერდელის პატივისა და რიგის საქმეში]

[1757 წ.]

ქ. ამას წინათ ბატონების დროსაც კათალიკოზსა და ალავერდელს პატივის ნიციემისა და რიგის საქმეზედ ლაპარაკი ჰქონებოდათ.

და ახლა ბატონისშვილს კათალიკოზს ანტონის ერთი წიგნი მივეციტ ალავერდელის საქმეზედ. იმ წიგნს ალავერდელი არ დასჯერდა.

მას უკან ჩვენ ის წიგნი მოვიკითხეთ და მცხეთელებმა დამალეს, აღარ გამოაჩინეს. ის ჩვენგან მიცეპული წიგნი უხმარი და გაცუდებული არის.

ღმრთით ბატონი ალავერდელი ამ ცოტას ხანში რომ ქალაქს ჩამოვა, ჩვენ, პატრონი მეფეთ-მეფეთეიმურაზ და იგი ჩვენი პატრონი მეფე ირაკლი ერთათ დავსხდებით და ეფისკოპოზ დარბაისელს გვერდ[თ] ვიახლებთ, და ბატონის კათალიკოზის იოსებისას და ბატონის ალავერდელის ნიკოლოზის რიგსა და პატივის-დების საქმეს როგორც მართებელი არის, იმ რიგათ გავარიგებთ და სამართალს უზამთ.

რომელიც უმფროს-უმცროსობის პატივი და რიგი არის, ისე იქცეოდეს ალავერდელი, და არც თავისი პატივი მოეშალოს<sup>1</sup>.

იანვრის იზ, ქორონიკონს უმე.

ორი ბეკელი.

111. [განწესება თეიმურაზ II-ისა საჯარო საფუძვლის მიზანების შესახებ]

[1757 წ.]

ქ. იდიდებოდენ ყოვლად ყოველსა ერთობასა შინა სამობაჲ და ყოვლად ყოველსა სამობასა შინა ერთობაჲ, თვისისა ერთობისა მიერ მრავალთა განყოფაჲ და სამობისა მიერ ყოველთა ერთობაჲ, მრავალთა ქმნულთა ზედა და ყოველთა აგებულთა ზედა, რო-

<sup>1</sup> და არც თავისი პატივი მოეშალოს. იანვრის იზ. ქორონიკონს უმე] იანვრის იზ, ქორონიკონს უმე და არც თავისი პატივი მოეშალოს.

მელიცა ყოველთა ღმერთთა-ზესთა ღმერთ არს, ყოველთა ერთთა-ზესთა ერთ არს და რომლისადმი ყოველთა ზოგადთა და კერძოთა შინა და უქმთა, უშვთა სხეულთა შინა, არსთა ძრვათა და გრძნობათა შინა და მსიტყუთა სულთა და გონებათა შინა თვისისა საწყურისა ერთობაჲ და მექმობაჲ ილაღადება, მყოფობისა და ცხოვლობისა წადილი აღსაქმილდება, და ელვა-სურვილისა ზესთ-ეთერისა და ზესთ-სამყაროჲსა და თვიო მათ ძალთა და საყდართადმი მიეფინება მის საუკუნოჲსა და ზესთ-საუკუნოჲსა ძალისაჲთა, რომლისა ხედვაჲ ქმნულთა პირველ-ქმნისა და ვიდრე აღსასრულადმი არსთა განზომდა და განზრახვაჲ უმჯობესსა ჩვენსა წინაჲთ განაგებდა; და რომლისა მიმართ დასაბამობით და საკუთრებით და ტომობით ვიდრემე ჩვენი და ჩვენთანავე დაუმდაბლებელითა და გლახაკებითა თანად ჩვენთანა ღმრთისაჲთა მამაჲ მომახსენეო, ილოცვიდა სიტყუაჲ შენო, რომელ არს მასწავე ნებაჲ შენო, მან ჩვენიცა მოგუახსენა მონათა თანადგომითა დედისა და ქალწულისა და ჩვენისა, ვიტყვი მომკუდრისა ბუნებისა შორის ძალად უკუდავებისასა, მოქმედებად-მომყუანებელისა მარიამ საუკუნოჲსა სძლისათა.

ხოლო შეწვევნითა ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა საძლეველისა ჯუარისათა, ესე აღრჩევა და კეთილად განაჩევა განვაგეთ და განვაწესეთ ჩვენ, ღმრთივ-ცხებულმან მეფემან ქართველთამან თეიმურაზ და ძემან ჩვენმან მეფემან კახთამან ირაკლიმ და ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ პატრიარხმან იოსებ.

ოდეს, მოკლებითა კეთილისაჲთა და განმრავლებითა სიბოროტისაჲთა ცოდვათა ჩვენთა მიერ, მოაკლდეს და შემცირდეს და რომელნიმე სრულიად აღოვრდეს წმიდანი ეკლესიანი და განმრავლდეს უსშავლოთა მიერნი ჩვენზე და ოვრება და ტყვეობაჲ მწარე, მას ჟამსა ქუეყანასა კახთასა ფრიად მოკლებული საეპისკოპოსო და უშენი ეკლესია ჭერემლისა სრულიად ოვრ და შენებულება ტაძრისა დაქცეულ და ყოვლად უკაცრულად იმყოფებოდა, რამეთუ მრავლით ჟამითგანვე, პირველ ჩვენსა წარტყვენილ და მოოვრებულ იყო. და ჩვენ მას ეკლესიასა შინა ეპისკოპოსი მისი თვისსა საყდარსა ზედა მჯდომარე არა გვეხილვა.

ხოლო შემოსავალნი და რაჲცა სარგო მის ეკლესიისა თვისსა ადგილსა და სამწყსოთა შინა აღიღებოდა, სრულიად ცუდათ წარეგებოდა, არცა მის ეკლესიისა წარსამატებელად და აღსაშენებელად წარეგებოდა, არცა მისთვის დაიმარხებოდა.

და ვინაჲთგან ესე ესრეთ იყო, აღშენებასა და განახლებასა მისსა, ფრიალი ქირი უკმდა და სახმარი და ესე არა ძალ-გვედვა. და უმჯულოთა მტერთა მარადის ზედა მოსლვისა და ბრძოლისა-გან მას შინა სამლუდელოთა ანუ საეროთა მკვიდრობა არა იქმნებოდა.

ამისთვის ესე ესრეთ განვიზრახეთ და განვაწესეთ, რათა ეკლესიისა შემოსავალნი ეგრეთვე ეკლესიათა შეეძინებოდეს და ცუდად არა წარეგებოდეს.

და ამის მიზეზისათვის სამთა ეპისკოპოსთა, თვისსა ეკლესიასა შინა მყოფთა და შენთა და განკარგულთა, განუნაწილეთ და ყოველივე საქერემლოჲ, რაიცა შემოსავალი იყო, სამად განუყავით, ვითარცა აქა აღგვიწერიეს. და მის საეპისკოპოსოსა სოფლისა და სამწყსოთა გამოსაღებთა და დრამათა და ყოველთავე საქერემლოსა გამოსავალთა ესე ეპისკოპოსნი აღიღებდენ, და თვისსა ეკლესიასა აკმარებდენ და მათ ზედა წარაგებდენ.

გარნა ესეცა განჩინება და ბრძანებაჲ დაგვიძს, რათა ეამი თუცა მოიწიოს და ოდესცა ინებოს მეუფემან ჩვენმან ქრისტემან და მოწყალებით მოხედვა ყოს და მშვიდობა მოჰფინოს, რომელ მას ეკლესიასა შინა თვისსა ეპისკოპოსსა დადგრომა და მას შინა მკვიდრობაჲ ძალ-ედვას, თვინიერ ყოვლისა სიტყვისა და ყოვლისა ცილობისა, თვისი მამული და სამწყსო და რაჲცა მისი სარგო და შემოსავალი იყოს, ყოველივე მის ეკლესიისა ეპისკოპოსსა მიეცეს უკლებად და უცილებელად და უსიტყველად.

ხოლო სამთა ამათ ეპისკოპოსთა: ამა ალავერდელსა, ბოდბელ მიტროპოლიტსა და ნინოწმიდელსა მიეცა სამწყსო საქერემლოსა ესენი.

უფალს ამა ალავერდელს ენდრონიკაშვილს ნიკოლოზს ერგო სამწყსო საქერემლოსი: სოფელი კონდოლი სრულიად, სოფელი კისის ჯევი სრულიად, სოფელი წინანდალი სრულიად, და სამწყსოდ თავადის შვილი მამუჩის შვილები; და ამას გარდა კიდევ—სოფელი ველის ციხე.

უფალს ბოდბელ მიტროპოლიტს ენისელთ მოურავის ძეს იოანეს ერგო ჳერემლის სამწყსო: სოფელი ვეჯინი სრულიად, თავადის-შვილის ერასტის შვილებითა; და სოფელი ფხოველი სრულიად, თავადის-შვილის მოურავის შვილებითა; და სოფელი ზიარი სრულიად, თავადის-შვილის ზურაბის შვილებითა; და ამას გარდა ქოდალა და მელაანი.

უფალს ნინოწმიდელს ტუისისშვილს საბას ერგო ჰერემლის სამწყსო: კალაურში თავადის-შვილები ვაჩნაძეები, თავეთის ყმითა და სახასო ძველთაგანვე ნინოწმიდლისა არის; და ამას გარდა სოფელი ურიათ-უბანი სრულიად, სოფელი ჩუმლაყი სრულიად, და სოფელი ზეგანი, თავადის-შვილის ჯანდიერთა; გურჯანში მარტო თავადის-შვილების ყმა და სახასო ძველთაგანვე ნინოწმიდლისა არის; ამას გარდა სოფელი კოშკი, და სოფელი დარჩიეთი, და სოფელი ჯალაბაური, და სოფელი შიბლიანი.

წელთა ჩლწ, ქორონიკონს უმე, თვესა აპრილსა, იე რიცხესა,

ოთხი ბეჟედი.

მარცხენა კიდებე:

ჩვენ, კახთა მეფემან პატრონმან ირაკლი ვიგულსმოდგინეთ და განვაჩინეთ და უშენი ჰერემის ქალაქ ეკლესია და საჰერემლო მთა და მალნარი ყოვლად სამღუდელოს ნინოწმიდელ მიტროპოლიტს საბას მიუწყალობეთ, ვიდრე ჟამადმდე აღშენებისა მისისა; რათა შემოსავალსა მას მთისასა მხოლოდ ნინოწმიდელი აღილებდეს და თვისსა ეკლესიასა აკმარებდეს.

და სხვანი ეპისკოპოსნი არაეინ იყვნენ მაცილობელ მისსა. ესრეთ დაგვიტკიცებდეს წელთა ჩლწ, თვესა თებერვალსა ივ, ქორონიკონსა უმე.

ბეჟედი ირაკლისა.

112. [ბანჩინება ვრემალე II-ისა ძიჯიჟში საგვიფო და საგოუკავო  
საკაროს უმსახეზ.]  
[1744—1762 წწ.]

ქ. ჩვენ, მეფემან კაცეთისამან ირაკლიმ, ძემან ღმრთიეცხებულის საქართველოს მეფის თეიმურაზისამან ესე განაჩენი გავარიგეთ: ოდეს ვიგულსჰმეთ, რაც ძველთგან დავთრები ან წიგნები იყო კახეთისა, ყველა გავსინჯეთ, რაც ჩვენი სამეფო, სახასო, ან სადედოფლო სოფლები იყო, და ან ელებისა, ასე გავაჩინეთ და გავარიგეთ, რომ რაც ზოგისა მოსაკლებელი იყო, მოუკელით, და ზოგი, რ[ო]გორც ძველთგან ყოფილიყო, აგრევე გავარიგეთ:

1\*. ქ. ქისიყის გამოსავლისა საბატონოსი, თუ სამოურავოსი და ან სხვა მოხელისა ძველადგანც ასე განწესებული ყოფილა და ახლა ჩვენც ასე გვიბძანებია და გავგვიახლებია, რომ საქორწილო და საალამო ყველას შეძლებით შეეწერება.

\* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

## აძეს კოდის-პური

2. ქ. მოყალნეს კაცს საბატონო ყველას შეძლებით შეეწერება.

3. ქ. აძეს მოყალნეს საბატონო ორს წელიწადში ერთხელ ორის წლის ძროხა.

### ბაფი

4. ქ. ქისიყში რაც ბაფი ავა, ორი წილი ბატონისაა და მესამედი მოურავისაა; იჯარადარმა უნდა აილოს და მოურავს თავისი წილი არ დააკლოს.

5. ქ. გაღმის ბაფი რაც გამოვა, ან ჭარისა, ან ენისლისა, ან შირვანისა, სულ ბატონისა არის; მოურავს ჯელი არა აქვს, გამსვლელი თუ გამომსვლელი.

### ქურდისა

6. ქ. ნაქურდალი ასე არის: შვიდი გამოვა, ორი ბატონისა არის, ხუთი დარჩება, ერთი ჯევისთავისა არის, ოთხი დარჩება, ამ ოთხისაგან ორი წილი ბატონისა არის და მესამედი მოურავისა.

რაც ქურდი იქნება, კაცის თავს მარჩილი ავა. აქედამ ორი წილი ბატონის ნაცვლისა არის და მესამედი მოურავის ნაცვლისა.

### თავის გასამტებლო

7. ქ. თავის გასამტებლო ერთი ჯარი მოურავისა არის. მჯიღვით რომ ან ლოყა გაუტყდეს, ან ცხვირში სისხლი წაეარდეს, ჯარიმა ნუ წაერთმევა.

8. ჩხუბში რომ მეშველმა თავი გაუტებოს, გასამტებლო არ გამოერთმევა. მეშველს რომ გაუტყდეს, ვინც მეშველს გაუტებოს, გასამტებლო იმას გამოერთმევა.

9. მჯიღვს გარეთად, ყელს ზეით ჯელის გაფხაჰვას გარეთად, რითაც გაუტებოს, გასამტებლო გამოერთმევა და მარჩილიც გამოერთმევა, რომ ბატონის ნაცვალმა და მოურავის ნაცვალმა შუა გაიყონ.

10. ქ. თუ მჯიღვით ან თვალი გამოსთხაროს, ან კბილი ჩა-  
[ა]გდებინოს, ან ქვეით სხვარეგად დააშაოს, ან შემოაკუდეს, იმის სამართალი ბატონმა უყოს.

11. ქ. თავის ყმას, ან თავის ნასყიდს თავი გაუტეხოს, გასამტეხლო არ გამოერთმევა. და თუ მოჯამაგირეს გაუტეხოს, იმაზედ გამოერთოს\*.

12. ჭუტეხს რომ თავი გაუტეხოს ვინმე, ან გალაჯოს, იმის სამართალი ბატონისა არის. თუ ჯურუმში გამოვა რამე, ორი წილი ბატონისა არის და მესამედი მოურავისა. თუ ბატონმა იმ კაცს სხვა რიგათ გარდა[ახლევიანა, აღარცა რა ბატონს ერგება და აღარც მოურავს.

13. თუ ჭუტეხმა გალახოს ვინმე და ან გაუტეხოს, იმის სამართალი ბოდბელმა უყოს; ბატონს საქმე არა აქვს, არც მოურავს.

14. თორმეტს წელიწადს ზევით ვინც გაუტეხოს, თავის გასამტეხლო გამოერთვას. თორმეტის წლისა რომ ვერ იყოს, არ გამოერთმევა; სიღებით გალახონ და გაუშონ.

15. ქ. ბატონი თუ ქიზიყში არ ბძანდებოდეს და ან მოურავი არ იყოს და მდევარში კაცი დააკლდეს, იმისი ნარბევი სოფელმა გაიყოს. თუ ან ბატონი ბძანდებოდეს და ან მოურავი იყოს, იმ მდევრისა ნარბევი ერთი წილი ბატონისა არის, ერთი წილი მოურავისა და ერთი სოფლისაა.

16. ქ. ბატონმა რომ ლაშქარს დაუძახოს, კაცი დააკლდეს, იმის ნარბევი ორი წილი ბატონისა არის და მესამედი მოურავისა.

17. ქ. ბატონმა თუ ჯარი გაგზავნოს, იმაზედ ფანჯიეკი აღება; ორი წილი ბატონისა არის და მესამედი მოურავისაა, და ან თუ ბატონმა გაილაშქროს და ან მოურავი გაგზავნოს, იმისიც ასე გაგვიწესებია.

18. ქ. ცხენიანმა ყაზახმა თუ საქონელი მოიტანოს, ბატონისა და მოურავის ნაცვალმა ათისთავი აიღონ საბატონოდ. და რაც ბატონისათვის შემოვიდეს, იქიდან ამ ნაცვლებმა ათისთავი აიღონ; ორი წილი ბატონის ნაცვალს და მესამედი მოურავის ნაცვალს. რაც საბატონო დარჩეს, ორი წილი ბატონისა არის და ერთი წილი მოურავისა.

19. ქ. მეჯურუმე ბატონისა უნდა იყოს. ნარბევი ან ჯარიმა რაც გამოვა, ორი წილი ბატონისა არის და მესამედი მოურავისა.

20. ქ. კაცი რომ ამოსწყდეს, არც ვაჯი დარჩეს, არც ქალი და არც ქვრივი, იმისი თუ რამ საქონელი დარჩება, ნახევარი მკვდრისაა და ნახევარი ბატონისაა.

---

\* მე-10 და მე-11 მუხლების შემცველი ტექსტი, რომელიც თავის გასამტეხლოს უება, ხელნაწერში გადამწერს შეცდომით სხვა ადგილას გადაუტანია.

21. ქ. თუ ქვრივი დარჩეს, ორი წილი მკუდარს, ერთი წილი ქვრივსა და ერთი წილი ბატონს. ქვრივმა თუ იმ მამულზედ ქმარი შეერთოს, არც მამული გამოერთვას და არც საბატონოდ საქონლის მეოთხედი.

22. ქ. თუ ქალი დარჩეს, მამულიც იმისია და საქონელიც, თუ სხვაგან არ გათხოვდა. და თუ სხვაგან გათხოვდა, საქონელი იმისია და მამული ბატონისა არის.

23. ქ. ვაჟი რომ იყოს, არა მოეშლება რა.

24. ქ. რაც ბეთალმალი საქონელი გამოვა, ორი წილი ბატონისა არის და მესამედი მოურავისა.

25. ქ. იაო ბატონისა არის; მპოენელს ხუთისთავი მიეცეს.

26. ქ. ქვეითმა ყაზახმა თუ საქონელი მოიტანოს, იქილამ არცა-რა ბატონს ერგება და არცა-რა მოურავს, არცა-რა სხვას მოხელე[ე]ებს.

27. ქ. მოურავის ულუფა მოყალნეს აძეს და შაურიც მეულუფისა არის.

28. ქ. პირველ რომ კუამლი აიწერება, ოთხი აბაზი ავა: მარჩილი ბატონისა არის, ნახევარ-შაური მოურავისა არის, შაური, ვისაც ბატონი წყალობას უზამს, იმისია, და ორ-შაურ-ნახევარი სალთ-ხუცისა და მდივნისა არის.

29. ქ. ბაზიარები აძესთ, რამდონიც ბატონს ეპრიანება; და მოყალნეს აძეს ერთი ქათამი, ან ერთი შაური\*.

30. ქ. მესამეს წელიწადს რომ აიწერება, მარჩილ-უზალთუნი ავა, მარჩილი ბატონისაა, ორი შაურიდამ ნახევარ-შაური მოურავისაა, ნახევარ-შაური ბატონის კაცისაა, ერთი შაური სა[ხ]ლთ-ხუცისა და მდივნისა არის.

31. ქ. სა[ხ]ლთ-ხუცესი რომ წყალობის სიგელს დაუბეჭდავს, საბეჭდავი უნდა მიეცეს, ისე მდივანს და ისე მორდალს, შეძლებით.

32. როცა ნაცვალი ქიზიყში იყოს, მოურავმა უნდა აჭამოს — ერთს თითონ და ერთს მსახურს. ქერის დროთი ცხენს ქერიც უჭმიოს. როცა მოურავი არ იყოს, არაფერი: თითონ უნდა ჭამოს.

33. ქ. მეულუფე კაცი თითო ქემხებს და თითო ასისთავს უნდა მიეცეს სოფლიდამ. მეულუფე მოურავისა უნდა იყოს, ბატონისა ნუ არის.

34. ქ. ნიხრი ვაჭრისა ნაცვლის მართებული დაგვიდვია, იმან გაუჭრას.

---

\* აქ გადამწერს 'შეცდომით გადმოუტანია მე-10 და მე-11 მუხლების შემცველი ტექსტი, რომელიც თავის გასამტებლს ითვალისწინებს.

## გასამყრელო

35. ქ. კაცი რომ გაიყრება, ერთი წარი მოურავისა არის, თუ წარი ჰყავს; თუ არა ყავს, ოთხი მარჩილი არის.

36. ქ. ერთის წლის მოზვერი ასისთავისა არის; თუ ილაჯი არა აქვს, ექვსი აბაზი არის.

37. ქ. ერთი ცხვარი ქემხისა არის; თუ ცხვარი არა ყავს, სამი აბაზი არის. სხვას მოხელე[ე]ებს ჯელი არა აქვს.

38. ქ. ქიზიყს<sup>1</sup> შესამყრელო და საქვრიო არ აძეს.

39. ქ. დიდს მანჯანიკზე სამი სტილი აბრეშუმში მოურავისა არის, ქალაქური სტილი, რომელიც ოცდაცამეტი მისხლნანი არის; ბატონს საქმე არა აქვს.

40. ქ. მეკოდე რომ კოდის-პურს იღებს, სამი ლიტრაჲ კოდის-პურს გარდა აილოს<sup>2</sup> კუამლზედ; მოყალნებედ ორი ლიტრა მეკოდე[ე]ებისა არის და ერთი ლიტრა სუფრაჯისა არის; სხვათ ჯელი არა აქვს.

41. ქ. მეულუფე კაცი თუ გა[ა]ზატდება, ბატონისაგან უნდა; მოურავი ვერ გაა[ა]ზატებს.

42. ქ. საცა სხვას სახასოს სოფელში ქიზიყური ღორი შვეა, ბატონის საბალახე აძეს.

43. ქ. ქემხას სულ ბოლოს შეუძლებელი გლახა კაცი უნდა ახლდეს.

44. ქ. სახლთ-უხუცესმა და მდივანმა, რადგან ეს დრო არის, სამ-სამი მსახური იახლონ: სამი სახლთ-უხუცესმა და სამი მდივანმა.

აზატი კაცნი რომელსაც სოფელში სახლთ-უხუცესმა იახლოს, იმ სოფელში მდივანი ნუ იახლებს; და რომელსაც სოფელში მდივანმა იახლოს, სახლთ-უხუცესი ნუ იახლებს.

45. ქ. ნაცვალმა და ასისთავმა ორ-ორი მსახური იახლონ, აზატი კაცი: ორი წინა მხარში და ორი უკანა მხარში. რომელსაც სოფელში ნაცვალმა იახლოს, იქილამ ასისთავი ნუ იახლებს. და რომელსაც სოფელში ასისთავმა იახლოს, იქილამ ნაცვალი ნუ იახლებს.

46. ქ. ოცი მსახური მოურავმა იახლოს, აზატ[ი] კაცნი.

---

<sup>1</sup> ქიზიყს. <sup>2</sup> აიღებს.



[1761 წ.]

ქ. ჩუენ, საქართველოს ცხებულის მეფის თეიმურაზის ძემან, შეფეჲმან ირაკლიმ მოკითხული ვქენით ქიზიყის მოხელეების რიგისა; ასე ვპოეთ და ბოდბლის გუჯარშიაც ასე ეწერა და ჩუენც კიდევ ასე გავვიჩენია ბოდბლის მოხელეების რიგი:

1\*. კაცი რომ გაიყაროს, ასისთავს ან უნდა ექვსი აბაზი ერგოს და ან ერთის წლის მოზვერი; ბოდბელს — ხარი; ქევხას ან სამი აბაზი და ან სამის აბაზის ცხვარი; თავის გასამტეხლოთ ხარი ბოდბლისა, მარჩილი ნაცელისა.

2. ბატონი რომ ბოდბლის ყმას დაარბევს, ბატონის მეჯურუმე და ბოდბლისა ორნი ერთათ დაარბევენ: სამი აბაზი საჯურუმოთ მეჯურუმისათჳნ გამოვა, ის სამი აბაზი ბოდბლისა და მეფის მეჯურუმემ უნდა გაიყონ.

3. მებეთალმეს ბეთალმისა ოცისთავი ერგება, ბეთალმანი თუ გაიცა, მთელს მამულზე ხუთი-ექვსი აბაზი ერგება; ნაკლებს მამულზე კიდემ სამი აბაზი ერგება.

4. მეულუფეს კვამლზე შაური ერგება.

5. სალმათი ვისაც რომ ბოდბელს ენებოს, ნება აქვს ვისთენი როგორ ნებადდეს, ისე უბოძოს.

6. როგორაც მეფის მოხელეების მეფის სხუას განაჩენში ეწეროს რიგი, იმავე ბატონის მოხელეების რიგზე უნდა ერგოს სარგო ბოდბლის ასისთავს, ნაცვალს, ქევხას, მეჯურუმეს, მებეთალმეს, მეულუფეს და მესალამათეს; იმ ჩუენს მოხელეების რიგზე უნდა იდგენ და სარგოც ისე უნდა ერგოთ.

მარტის დ, ქორონიკონს უმთ.

114. [განაჩენი მრავალე II-ისა ალავერდელის პატივის შმსახეზ]

[1764 წ.]

ქ. ჩუენ, სრულიად საქართველოს შეფეჲმ ირაკლიმ ესე განაჩენი დავდევეთ ამ რიგათ:

ძველადგანვე ჩუენთა ჩამომავლობათა მიერ მათი ყოვლად სამღდელოობა არხიებისკოპოზი ალავერდი[სა] დიდათ გაპატიოსნებული არის სხვათა საქართველოთა ყოვლად სამღდელოთა ზედა და უმეტესი პატივი მისცემიეს.

ახლაც წინა საქმეთაებრ განგვიახლებია: ვინცა-ვინ ეპისკოპოზნი და სამღდელოთა დასნი და ერისაგანნი თავადნი და აზნაურ-

\* ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

შვილნი ბძანდებით და იმყოფებით, ნურაკაცი ამ ეკლესიის ყმასა და სამწყსოში სამღვდელსა საქმეს ნუ კელყოფთ, და ნურკარა რას საქმის შლად გაერევით.

ეგრეთვე ამ ეკლესიის ყმაში ნურა საერო და საღმრთოცა, ნურა რომელსამე საქმეში ნუ გაერევით, თვინიერ ჩვენის ბძანებისა კიდე, რომელსაც ჩვენ სახელდობრივ არ უბძანოთ, ანუ ყოვლად სამღვდელმ ალავერდელმა სასაქმოდ არ დაპატიჯოს ვისმე.

რომელიც ამ ჩვენს ბძანებას უარყოფს, ეს ყოველმა სამღვდელმ და საერომ იცოდეს, დიად დიდათ გვეწყინება და პატიესაც მიიღებენ: სამღვდელონი კანონისაებრ და საერონი სამართლისაებრ. ამაზე ყოველი კაცი ფთხილად იყავით.

აღიწერა აპრილს იღ, ქორონიკონს უნბ.

ბეჭედი ვრეკლე მეფისა.

115. [წიგნი მკაქლე II-ისა ყულარაღას გიორგისადმი მოკრიგისთვის თავის აპრილმამლთა ღაჯავისი შესახებ]

[1766 წ.]

ქ. ჩვენ მაგიერად დარბაზ-ბატონს ყულარაღას გიორგის ასე მოეხსენოს: მერმე, ამ ორ თვეში მოკრიგის სარქარდრათ თქვენ რომ განწესებული ხართ, ვინცა-ვინ თავადიშვილი, აზნაურშვილი და გლეხი თქვენთან სამყოფი არის, ვერაფერ დაგაკლდებათ.

და თუ დაგაკლდეს ვინმე არაგვსა, ქსნისა, სამილახვროსი თუ ჩვენის დროშისა, თქვენ კაცს გაუგზავნიდეთ, რამდენიც კაცი გაკლდებათ, იმთენს ხარს ისინი გამოართმევენ, [გამოგიგზავნიან]. ხარზე რომ მარჩილი საიასაულო აიღება, ექვსი შაური თქვენს კაცს და ექვსი შაური—იმათს გატანებულს კაცს.

ბატონო სარქარდრებო, ეს თქვენც ასე იცოდეთ: ამ ორს წყალზე, ზემო ქართლში და ჩვენის დროშის სასარდლოზე დაკლებული კაცი ამ წესით უნდა დაირბეოდეს, როგორც ზემოთ დაგვიწერია.

აღიწერა ნოემბრის ე, ქორონიკონს უნდ.

ბეჭედი: ე რ ე კ ლ ე.

116. [ბრძანება მკაქლე II-ისა სარდალ შიოზ გვამონისძინსადმი მცხეთის გლეხთა თარახნოგის შესახებ]

[1767 წ.]

ქ. ესე განწესება გიბძანეთ და ამას ზედ დაგაყენეთ თქვენ, რომელნიც ჩვენის ძმის, მისის უწმიდესობის კ ა თ ა ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი -

არქის ანტონისგან მცხეთას დადგინებულნი ხართ, დღეს რომელნიც გლებნი დაგვიყენებია, იმათზედ მოურავად და თავად და უფროსად სარდალი შიოშ, ასე გიბძანებთ, რომ დღეიდან მოკიდებული ოთხს წელიწადს თარხანნი არიან ყოვლის გამოსაღებისაგან: რანიც მანდ მცხეთას კაცნი იდგებიან, არც ლაშქარი და არც-რა სხვა გამოსაღები არ ეთხოებათ რა.

თუ ვინმე თავი გაუტეხოს ერთმანერთსა, ან ჩხუბი მოუვიდეს, ან სხვა რამ ამგვარი წერილი საქმე მოჰქვდეს, იმისი თარხნობა არ გეიბრძანებია.

რომელიც იქიური საქმე იყოს, ყარაულობისა, სიფრთხილისა, მოვლისა, გარჯისა, ყველაზე ასე ბეჯითი უნდა იყენეთ, კარგი იქნება, ქვეყნის შესამატი, თქვენ მოგვეცემათ ჩვენი წყალობა.

და თუ რომ წაგდა რამე, იცოდეთ ასე გარდაგვლებათ, რომ ისე არცა ვის[მ]ე გარდაჰქლომოდეს.

ყარაულს ყოველთვის დააყენებდეთ, ხალხს გააფრთხილებდეთ, ან მტრისაგან არა წააქდენინოთ რა, ან მოუველელობით და დაზარებით არ წაგდეს რა, თორემ თქვენ გეკითხებათ. იცოდეთ ეს ჩვენი ბრძანება ასე აღსრულდება; და თქვენ იცით, რასაც ბეჯითი შეიქმნებით.

გიორგობის კთ, ქორონიკონს უნე.

ქ. და თუ თქვენ ამ საქმის შემძლებელნი ვერ შეიქმენით და ერთი რამ ნაკლებობა შეგიტყვეით, ამ საქმეს და მანდაურს თაობას და მოურაობას იცოდეთ მაშინვე სხვას უბოძებთ და მივცემთ.

ერეკლე.

აშიაზე:

გედეონის ძევი შიოშ სარდალო, ეს ოქმი თქვენთვის მოგვიწერია, თქვენ უნდა ამ საქმეს განაგებდეთ, ავიც თქვენ გეკითხვის და კარგსაც თქვენ დაგიმადლებთ.

ერეკლე.

117. [წიგნი მამაკლე II-ისა ნეკრესელისა და იასე მოურავისადმი გაღმა მხარის საქმეებზე]

[1769 წ.]

ქ. ჩვენ მაგიერ<sup>1</sup> ყოვლად სამღვდელოს, წმიდას ბატონს ნეკრესელს მოკითხვა<sup>2</sup> და მარჯვენას ხელს ამ[ბ]ოროება მოეხსენოს.

<sup>1</sup> მაგიარ. <sup>2</sup> მოკითხვადა.

და ენისელთ მოურავს იასეს, ნოდარისშვილებს, რუსიშვილებს, ჭავჭავაძეს, მელქისაღეგს და სულერთობილთ გაღმა მზრის მოხელეთ, დიდსა და პატარას, ასე ეუწყოსთ:

მერმე, ჩვენ ვალი გვაქვს, რომ ამგვარს საქმეს გამცნებდეთ და შეგატყობინებდეთ:

პირველი ეს: რომ, ნურც თქვენ და ნურც თქვენი კაცი სხვაზე მძღაგრებას ნუ მოინდომებთ და ნურც სხვანი თქვენს კაცზე. რომელსაც ერთმანეთთან სალაპარაკო ჰქონდეს; ჩვენ მოგვახსენოს და სამართალი გაიტანოს.

მეორე ეს: რაცა ჯარი დავიბაროთ, უნაკლოთ უნდა გამოიყვანოთ.

მესამე ეს: ჩვენი წიგნი და ოქმი მოგივიდესთ, რომელიც მუნასიბი იყოს, იმგვარად მი[ი]ღვეით და პატივი ეცით.

ეს აზრები ჩვენის ძმის კათალიკოზის პირით რომ შეყრილთ ქართველთ და კახთ შემოგითვალეთ და თქვენცა მისი აღსრულება თავს გედვათ, ეს ასე იცოდეთ, რომელიც ამაზე გადახდება, ჩვენგან დიდათ ზოიკითხვის და გა[რ]დახდება.

ბატონო ნეკრესელო და მოურაო იასე, გრემიდამ მოკიდებულნი, ჩავლით გავაზამდის სოფლის მოხელეთ, დიდსა და პატარას, სულ აცოდინეთ ეს აზრები და შეატყობინეთ ახლავე.

იანვრის კე, ქორონიკონს უნზ.

ბეჰედი: ერეკლე.

118. [მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნი ერეკლე II-ისა]

[1769 წ.]

ქ. რადგან ძველათ ნეტარ-ხსენებულის ჩვენის ჩამომავლობისაგან სვეტის ცხოვლის ყმისა ასე განწესება ყოფილა, რომ რაც სვეტის ცხოვლის ყმა ქართლს, იმერეთს, კახეთს, საათაბაგოს, სომხითს, თუ საცა იყოს, მის უწმინდესობას კათალიკოზს უნდა ახლდეს და თავის ყმით ჩვენს დროშა[ზე] ბძანდებოდეს, ჩვენც ასე განგვიწესებია:

რაც კახეთში საკუთარი სოფელი, სვეტის ცხოვლის ყმარის, იმათი ჯარი მისს უწმინდესობას ჩვენს ძმას, კათალიკოზს, უფალს ანტონის, იახლებოდნენ და თავისის ჯარით ჩვენს დროშაზე ბძანდებოდეს.

და თუ მათი უწმინდესობა იმ ჯარში არ ბძანდებოდეს, რომელიც მათი სარდალი არის, მათი ყმა ყოველივე იმას ებაროს, ჩვენს დროშაზე იმყოფებოდნენ და ჩვენის ბძანებით ყოველსავე მათს საქმეს შიომა სარდალი არიგებდეს; სხვას კელი ნურავისა აქეს.

აგრევე, რაც ფანჯიეჟი აიღებოდეს, თავეთის საკუთარის ყმის ფანჯიეჟი მათს უწმინდესობას მიერამეოდეს; და რაც ჩვენი და მათის უწმინდესობისა საერთო ყმა არის, იმათი ფანჯიეჟი რაც იქნებოდეს, როგორც იმათი დებულობა ბეგარა გაიყოფოდეს, აგრევე იმათი ფანჯიეჟი გაიყოს, და მათი წილი მათ უწმინდესობას მიერთვას.

ალიწერა აგვისტოს ია, ქორონიკონს უნჯ.

ბეჰელი: ი რ ა კ ლ ი.

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი კურთხეულის ბატონის მამის ჩვენის ბძანებას ვამტკიცებთ; როგორც უბოძებია, ჩვენც ისე გვიბოძებია სამცხეთოს სარდლობა, შოშია გედეონის შვილო, მარტის კგ, ქორონიკოს უმჰ.

ბეჰელი: გ ი ო რ გ ი.

ქ. ჩვენ სრულიად საქართველოს მეფის ძე მემკვიდრე, რუსეთის ლენერალ-ლეიტენანტი და კავალერი დავით ამას ვამტკიცებ, მარტის კჯ, ქორონიკოს უმჰ.

ბეჰელი: დ ა ვ ი თ.

ქ. მეფის ძე იოანე ამ წიგნს ვამტკიცებთ, აპრილის ივ, ქორონიკოს უმჰ.

ბეჰელი: ი ო ა ნ ე.

||9. [წიგნი მრეკლე II-ისა ჩავაჯ აგილახორისაღვი მორიგეში  
გღმვკრულად გამოსვლის შესახებ]

[1769 წ.]

ქ. ბატონო რევაზ ამილახარო, წიგნი მოგვიწერია და მორიგეში ჩამოდი. მღვერულად წამოდი, ნულარ იყოენებ, წამოდი, დადეგ განწესებულს ადგილს, დადეგ საჩქაროდ. კელხედ მოგწერეთ ეს წიგნი.

ივლისის კ, ქორონიკონს უნჯ.

ქ. ზოგი თან მოიყოლიე, ზოგი კაცი დაგდეგ და მოგადევნონ, ნულარ იყოენებ.

ბეჰელი: ე რ ე კ ლ ე.

ქრისტეს აქეთ ჩლო, აპრილის ე  
[მცხოვრებთა რაოდენობა]

არს ქალაქი თფილისი და ამასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი, ფრანგი და თათარი, კომლი ოთხი ათასი.

არს ქალაქი გორი და ამასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, ფრანგნი და სომეხნი, კომლი ხუთასი.

არს ქალაქი წილქანი და ამასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი და ურიანი, ხიზნით, 700 კომლი.

არს ქალაქი სურამი და ამასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი და ურიანი, 200 კომლი.

კახეთს არს ქალაქი თელავი და მასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი და სომეხნი, ხიზნით და თელავის ბოლო სოფლით, 740 კომლი.

ქიზიყს არს ქალაქი სიღნაღი და მასა შინა მკვიდრობენ სომეხნი, 100 კომლი.

არაგვზე არს მცირე ქალაქი ანანური და მასა შინა მკვიდრობენ ქართველნი და სომეხნი, 100 კომლი.

ქსანზე მცირე ქალაქი ახალგორი და მასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი და სომეხნი, 140 კომლი.

არაგვის ოსი: ზახას, თრუსოს, ჭვრივს, ხადას და ლუდეს, 1200 კომლი.

არაგვის ქრისტიანენი მართლმადიდებელნი, მთას და ბარს, კომლი 2000.

ქსნის ოსი კომლი 2000;

ქსნის საერისთაოს ქრისტ[იანენი] მართლმადიდებელნი, კომლი 1600.

მაჩაბლის ოსი 860, ურია არის 40 კომლი.

არს ქართლს მართლმადიდებელნი ქრისტიანენი ქართველი, ხიზანს გარდა, სახასო, ეკლესიების ყმა, თავადების ყმა და აზნაურ-შვილებისა, [კომლი] 4000.

ქართლში სომეხი არს კომლი 500;

არს თათარი დემურჩი არანლუ ერთი რასულთა და ამისი ოიმალები, კომლი 1000. ამისი მრავალი დაფანტულა, სხვა ქვეყანაში მისულან და ხიზნათ დგანან;

არს მუაიდარი ერთი რასულთან, მრავალი დაფანტული სხვის ქვეყნებში და ახლა რომ არის, კომლი ორასი.

არს ბორჩალო და ფამბაკას ხეობა ერთი მთელი სახანო. ამისი კაცი მრავალი დაფანტულა სხვის თემში და ახლა არის 2560, სომხით.

არს ყაზახი ერთი მთელი სახანო და მრავალი ამისი კაცი სხვის ქვეყნებში არის დაფანტული და დღეს არის თათარი 3000 და სომეხიც არის ყაზახის 1200.

არის შამშადილუ ერთი მთელი სახანო; ამაში მკვიდრობს თათარი 2200. სომეხიც არის 1200. ესენი ზოგჯერ განჯისთვისაც დაგვინებებია, რადგანაც იმაზე ახლოს არის, მაგრამ იმის ყმა არ ყოფილა.

არს ხევსურეთი კერძო ქრისტიანენი, ჩვენის მოუცლელობით და ჟამთა ვითარებით სჯულზედ წამხდარნი, კომლი 1200.

არს ფშავი, მართლმადიდებელნი ქრისტიანენი, კომლი 1000.

არს თუშეთი, მართლმადიდებელნი ქრისტიანენი, კომლი 1400.

არს დიდოეთი, ლეკისაგან წართმეული ამ ასს წელიწადში, 4000.

კახეთის ქრისტ[იანენი] მართლმადიდებელნი, ხიზნით, 7000 კომლი.

კახეთის სომეხი, 450 კომლი.

კახეთის თათარი, კომლი 1000.

არს კახეთის მამული ხარაბუბის გარდა, რომელნიც ჩვენს ჟამში კიდევ ხარჯს გვაცლევდენ და ამ მცირესა ჟამში ველარ დაგანებეთ, ენისელი ფადარს და სხვანი, რომელნიც ესენი ერთი საპროვინციო იქნება, ქრისტეს მართლმადიდებელნი, სომეხნი და თათარი, კომლი 10.000.

არს აოხრებული და უმკვიდრო ქმნილი თრიალეთი, ადგილი ვრცელი და ფრიად კეთილი და დიდი და სოფელ-მრავალი.

არს აოხრებული ყაიყული, უმკვიდრო ქვეყანა, ფრიად კეთილი და მრავალი სოფელი.

არს აოხრებული ტაშირი, გუჯარეთი და სომხეთი, ქვეყანა დიდი და მრავალი და ამისი აყრილი კაცი ორმოცისაგან ერთი დარჩენილა. ერთმანეთში არიან ხიზნათ.

არს საბარათის შვილო ქვეყანა დიდი, ასისგან ერთი დარჩენილა. ხიზნათ არიან. ეს სომხითი და საბარათიანო არის ქვემო ქართლი.

აოხრებული ქვეყანა ივრისპირი, ადგილი დიდი. თათარი  
ელნი 12.000. აბრეშუმის, ბანბის და ბრინჯისა მუშაკნი მრავლისა.

### [მეფის წლიური შემოსავალი]

დღეს შემოსავალი მეფე ერეკლესი წელიწადში 10.000 თუ-  
მანი, თუ ჯამი კეთილი იქნება 12.000 შესრულდება. შემოსავალს  
ძვედრობა აქვს.

### [მოლაშქრეთა რიცხვი]

თათრის გამოყვანა შეიძლება ჯარში 5 ათასი, ქართველი და  
სომეხი 18 ათასი, ერთად 23 ათასი.

### 12. [მართაშლემის პირობის წიგნი მაია გურიელისა სოლომონ I-სადმი]

[1771 წ.]

ქ. თავად დაუსაბამოსა ღმრთისა და ყოველთა სათნოთა ღმრთი-  
სათა თავდებობითა ესე უხერხო, უტყუელი, შეუცვალეზელი წიგნი,  
ფიცი და საფიცარი მოგართვით თქვენ, ჩვენს ჯელმწიფეს, ბა-  
ტონს მეფეს სოლომონს ჩვენ, გურიელმან მამიამ და  
შემომქმედელ მიტროპოლიტმან ნიკოლოზ, ერის-  
თავმან დავით, თავდგირიძემ მამუკამ, მაჭუტაძემ  
იოანემ, ნაკაშიძემ გიორგიმ, თანდარუხ საყვარელ-  
მა, გუგუნავამ ჩითან, შალიკაშვილმა როსტომ და  
კიდეგ როსტომ, და ერთობით ჟორდანიამ, და ჭყონიამ,  
ერთობით ჯაყელმა ზაალ, და ერთობით ლეხეურლებმა,  
ერთობით ასკანელებმა, ერთობით ჩახათლებმა, და ერთო-  
ბით გურულებმა, — ასე და ამა პირსა ზედა:

დიდებულის ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჯარზედ უსჯუ-  
ლონი აგარიანნი საბრძოლად წამოვიდნენ, თქვენც ჩვენ ქვეყანაშიდ  
აგარიანთ საომრათ ჯართთა მობრძანდით და ჩვენი ქვეყანა დიად  
უთავდარიგოთ ნახეთ, ამაზედ გაგვიწყერით და დაგვიმძეველეთ, და  
ყველანი დიდებულის ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ერთგულებაზედ  
ნეგვიფიცეთ.

ასე პირობა მოგვირთმევია: თუ წმინდის გულით თქვენი ერთ-  
გული არ ვიქნეთ, უსჯულოს მტერზედაც რაც შეგვეძლოს არ ვემ-  
ტროთ, თუ ვერ შევიძლოთ, თქვენ არ მოგახსენოთ, ყოვლად მო-  
წყალის ჯელმწიფის და მისის ჯარის რაც შეგვეძლოს, არ ვქნათ, შე-



ჩვენებული ვიყოთ წმიდის სამებისაგან, შვიდის კრებისაგან, ოთხის პატრიარხისაგან და თორმეტ მოციქულთაგან; ჯერ ყოვლად მოწყალის კელმწიფის ღალატად მან კელმწიფემ მოგვეკითხოს და მერმეთ თქვენად სიკვდილად თქვენის რისხვით გავვეკითხეთ.

გ უ რ ი ე ლ ი მ ა მ ი ა .

ათი ჯვარი.

122. [წყალობის ვედრებისა და სამსახურის აღთქმის წიგნი ეპიკლე II-ისა ეპატერინი II-სადმი]

[1771 წ.]

ყოვლად უგანათლებულესსა, უმპყრობელესსა, დიდსა კელმწიფესა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიევნას, თუმპყრობელსა სრულიად რუსეთისასა, ყოვლად უმოწყალესსა კელმწიფესა.

რომელიც არის უკანებისა 'ყოვლად მოწყალითა კელმწიფობისა თქვენისა ბრძანებული მოწყალებით თქუენი დიდებულების მფარველობასა შინა და ჩვენად განსაძლიერებელად ჯარის ბოძება საქართველოებში — ამ ზემოხსენებულის მოწყალების სიმდაბლით მმადლობელნი ამასაც მთხოველ ვართ, რომ აწვე გამოვეყვანოს მოწყალებამან დიდებულებამან თქუენმან წარმართთაგან:

1\*. და გვებოდოს ჯარი, რიცხვით ოთხი ათასი, განსწავლებული და, თუ სულ განსწავლებული არ იყოს, ნახევარი გაუსწავლებელი იყოს და ნახევარი განსწავლებული, საკუთრად ჩვენს მხარეს, რათამცა საერთოდ ვებრძოლოთ ოსმალთა, რადგანაც უწინდელს ჯარს ჩვენ-კერძო არა აქუს მოცალება, და ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის.

2. კუალად, ვითარცა ძველად ყოფილა ჩვენის ჩამომავლობის მეფობა, ვითხოვთ თქუენი დიდებულების მოწყალებისა გამო ეგრეთვე საუკუნოდ უცვალებელად ეგოს მორჩილებასა ქუეშე დიდებულებასა თქვენსა იმ მსახურებითა, რომელიცა ქვემოთ აღიწერება.

3. მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად.

4. ვინაჟთგან ღვთითა და ბედნიერებითა თქუენმა დიდებულებამ ყირიმიდამ ეგოდენნი ჩუენის ქვეყნის კაცნი გამოიხსნენ, წყალობას ვითხოვთ ყოვლად დიდებულებისა თქუენისა, რათამცა იმათ თავისუფლება მიეცესთ თავიანთ ქვეყანაში მოსულისა.

5. და როდესაც თქუენი იმპერატორობის დიდებულებინ ჯარი ამ ქვეყანაში მოვა, და ჩვენ და ისინი საერთოდ მტერს წარ-

\* ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

თმეულს ქვეყნებს რომ წავართმევთ, — რაც კორპუსზედ ხაზინა და-  
იხარჯება, ამ დაქერილს ქვეყნებიდამ რამდენსამე წელიწადში ისევ  
უნდა ხაზინაში მოგართვათ.

დალათუ ამაზედ თავის წყენისათვის მოვერიდებით ყოვლად  
დიდებულებასა კელმწიფებასა თქვენსა, მაგრამ რადგან ამ საქმეზედ  
რამდენჯერმე ჯარების შეყრა მოგვიხდა, ჩვენთვის კმა-საყოფელი  
ხარჯები დაგვემართა, და კიდევ გზებზედ ჯარისა და ბარგის გარდ-  
მოტანისთვის ბევრი დაიხარჯა, და თუ რამ დაგუჭირდეს, რაერ-  
თიცი ვითხოვოთ ვედრებით, რომ ხაზინიდან სრისხად ჩვენის ჯარისა-  
თვისაც თეთრი გვებოდოს, და ისევე მიირთვას ყოვლად დიდებულე-  
ბამან თქუენმან.

6. და ამ წყალობაებისათვის, რომელიც ზემორე აღიწერა,  
მივართმევთ ძესა ჩვენსა რომელსამე და ეგრეთვე რაოდენსამე კნიაზ-  
სა ყოვლად დიდებულს კელმწიფეს, და აზნაურთაცა შეძლებისა-  
მებრ ჩვენისა.

7. დღეს ჩვენს ქვეყანაში რომლისაც ნივთის მადანი არის,  
და ან გამოჩნდება, იქილამ სარგებელი მოიპოება — ნახევარი თქუ-  
ენი დიდებულების ხაზინას მიერთმეოდეს.

8. და კიდევ რაც ჩვენს მორჩილების ქვეშ კაცნი არიან, ყო-  
ველწლიე ამათგან კვამლზედ თოთხმეტი შაური საკელმწიფოთ  
აიღებოდეს და მოგერთმეოდესთ.

9. რაც ამ ქვეყანაში რჩეული ცხენი იშოება, თოთხმეტი ცხე-  
ნი ნიადაგ წელიწადს ყოვლად დიდებულებასა თქუენსა მიერთმე-  
ოდეს.

10. როდესაც სპარსთ რომ ვეჭირენით მცლავრებით, და ხან  
ოსმალსა, სპარსნი ჩვენს სამეფოს ორს წელიწადში ერთხელ წაართ-  
მევდნენ ცხრას ტყვეს და კვამლზედ თოთხმეტს შაურს, და ამა-  
საც იმ ტყვეების მოსახმარებელის ხარჯისათვის; და კიდემ ორ-  
მოცდაათს საპალნეს რჩეულს ღვინოს თავისის ხარჯით თვით  
წაიღებდნენ საკელმწიფოთა.

და ახლა ჩვენ ამ ღვინოს, რიცხვით ორი ათას ვედრას, რო-  
მელიც ჩვენ ქვეყანაში რჩეული ღვინო იშოება, ყიზლარს ჩვენის  
ხარჯით მივიტანთ საკელმწიფოთა.

11. როდესაც დიდებული კელმწიფის ჯარი მოვა ჩვენს ქვე-  
ყანაში, იმათის შემწეობით სხვის ქვეყნების დაპყრობამდის ჩვენის  
ქვეყნებიდამ, რომელიც ქვეყანა დღეს გვიჭირავს, ეს ზემოხსენე-  
ბულნი ალთქმულნი (?) მივართვამთ უდიდებულესსა კელმწიფებასა  
თქვენსა.

და როდესაც სხვებს ქვეყნებს დაეიპყრობთ თქუენი დიდებულების ძალით, მაშინ იმ ადგილებიდან, როგორც ქვემოთ მოიხსენება, იმ სახით ვამსახურებთ.

12. როდესაც ძალითა და შეწვენითა თქუენისა დიდებულებისა კორპუსისათა რაც ოსმალთგან წართმეულს ადგილებს დავიჭერთ, ბედნიერებითა თქუენისა დიდებულებისათა ამასაც, როგორც ზემორე დავგიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში, და იმავე ადგილებიდან წელიწადში აბრეშუმს ორას ფუთსა იმ ქვეყნებიდან; და თუ ჩეტი შევიძელით, მეტს მოვართმევთ დიდებულებასა თქუენსა.

13. კუალად ვედრებით მოვახსენებ თქვენს ყოვლად მოწყალებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა.

და უკეთუ შერიგება მოხდეს თქუენი დიდებულების სულთანისა, მაშინც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაჲდგან საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქუსთ, და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიც ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ.

14. როდესაც დიდებული ჯელმწიფე ბედნიერობით წარმართთაგან განთავისუფლდება და დამშვიდდება ჩვენი ქვეყანა, მაშინ ჩვენის ძველად ქონებულის სამეფოდამაც და ახლად დაქერილის ქვეყნებიდანაც მოვართმევთ თქვენს იმპერატორობის დიდებულებას, რაც რუსეთის იმპერიაში სულზედ სალდათი აძევს—ჩვენ იმდენს კვამლზედ მივართმევთ სალდათს თქუენს დიდებულებას.

15. უკეთუ ღმრთითა და ბედნიერობითა თქვენითა—რომელიც სხვა მტერის ქვეყანა თქუენი დიდებულების კორპუსის ძალით დავიჭიროთ, იმისი სრულიადი ნება თქუენი დიდებულებისა არის.

ჩვენ რაც რამ საძსახურის აღთქმა შეგვეცლო და წყალობის ვედრება გვეჭირობოდა—ის მოვახსენეთ თქვენს იმპერატორობის დიდებულებას და როგორც თქვენ ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ნება იყოს, ეგრეთ დედობრივითა მოწყალებითა განაგოს ყოვლად მოწყალებამან დიდებულებამან თქუენმან.

დაიწერა ქალაქს ტფილისს, დეკემბერს 30 დღესა, წელსა 1771.

123. [ჯარის დაბარების წიგნი მრავალ II-ისა ჩვეაჲ  
ამილახორისადმი]  
[1772 წ.]

ქ. ჩვენ მაგიერად ბატონს ამილახორს რევაზს და ყულარა-  
ლასს გიორგის ასე მოაქსენეთ: ამ ხანად ჯარის გამოყვანა გვიბრ-  
ძანებია, თქვენ სარქარლად განგვიწესებინხართ, დავთრები გამო-  
გვიგზავნია, ამ დავთრით კაცი გამოიყვანეთ, შეიყარენით ახლავ,  
მესამეს დღეს და ასეთს ადგილს დადევით, რომ მტერს პასუხი  
გასცეთ.

თუ ან ჩვენი ერთგულნი ხართ, ან სიამონე და სამსახური  
გინდათ, ამ საქმეზედ ბეჯითნი იყავით, მტერს პასუხი გასცეთ. ამ  
ცოტას ხანში არაგვის მოურავს, არაგვის ჯარით მოგაშველებთ.  
თუ კიდევ მოიწერებით და ამჯობინებთ, ჩვენს წამოსვლას არჩევთ  
თუ ჯარის გამოგზავნას, იცოდეთ, ყოვლის ძალით მოგვეშველებით.

და სანამდის დიდი რამე საქმე მოჰქნებოდეს, თქვენ ასე გა-  
ისარჯენით, როგორც იმედი მქონდეს თქვენის ერთგულობისაგან.

თქვენ რომ ამ ჯარს გაბარებთ და ამ საქმეს ჴელში გიგდებთ,  
ყოველი ჩვენი გულითადობა არის, რასაც გაირჯებით, რომ მტერს  
პასუხს გასცემთ. თქვენ იცით, თუ კაცი დაგაკლდესთ, ავით მოეპ-  
ყართ, გამოიყვანეთ. იანვრის კ, ქორონიკონს უა.

ბეჰალი: გ რ ე კ ლ ე.

124. [წიგნი ძარბილის მღვდლისგან განწმენვა მრავალ II-ისაჲ  
ავვისტოს კჲ, ქორონიკონს უა.  
[1772 წ.]

1. როდესაც, რომ მუხრანნიდამ ყარაული მოვიდეს, ცხენი-  
ანი ჯარი წამოვიდაო, ყველანი გაფთხილდეს, თუ მჭურვალეთში  
შევიდეს ლეკის ჯარი, როგორც გაჩენილი არის, მღვეარი შე-  
იყაროს, თავი და ბოლო მოუჩხრიკონ, ყარაულები გაგზავნონ,  
თავს დააყენონ; მღვეარს დაუძახონ, მეჯვრისხევეს შეიყარნენ.

თუ თავს დასხმა ამჯობინონ, თავს დაესხან; თუ გზის შეკვრა  
ამჯობინონ, გზა შეუკრან. თუ წინ დახვედრა ამჯობინონ, წინ და-  
უხვდნენ; რომელიც ამჯობინონ იმ გზით ეცადნენ, მტრის პასუხის  
გაცემასა და გაყრასა.

2. თუ ცხენიანი ლეკის ჯარი იყოს, ერთმანეთს ნუ მოუც-  
დიან, ყველანი სირბილით გამოიქცენ. თუ ქვეითი ჯარი იყოს, სო-  
ფელი და სოფელი ერთად შეიყარნენ, დამრგვალდენ და ისე მი-  
ვიდნენ, სადაც სარქარლებმა დაუძახონ.

3. ბელოთი დამ მოკიდებული, — საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, კორდი, დიცი და პატარა ლიახეს გამოღმართი. გვერდის ძირი და ვაკე გორით, ბერშოეთამდის, — რაც ამათ შუა სოფლებია, ესენი ერთს სამდეგროდ უნდა იყვნენ შეპირებულნი.

4. თუ რომ დიდის ჯარის ამბავი მოვიდეს, სარქარდებმა და უნახონ; ორისავე მკრის მღევარი უნდა საჩქაროდ სირბილით წამოვიდნენ: ცხენიანი სულ კენებით გამოიქცნენ და ქვეითნი სოფელი და სოფელი შეიყარნენ, დამრგვალდენ და სადაც სარქარდებმა ამჯობინონ და დაუძახონ, იქ მიცვივდენ.

5. თუ სამაჩაბლოსაკენ გაჩნდეს ლეკის ჯარი. ან დიდის ლიახვის გაღმა საღმე, ამ დიდის ლიახვის მღევარი, და პატარა ლიახვის გაღმართი მღევარი, რომელიც მეორე მღევრად მიგვიჩნევია, საჩქაროდ გაცივდნენ და როგორც სარქარდებმა ამჯობინონ, ისე შეებნენ.

თუ რომ კიდევ მოუნდეს მღევარი და სარქარდებმა დაუძახონ, გამოღმა მკრის მღევარიც წავიდეს და ღმრთით პასუხი გასცენ.

6. თუ ქარელი დამ მღევარი დაიძახონ, მაშინვე ქცხილვანის ქვეითი კაცი, დიდის ლიახვისა, პატარა ლიახვისა გაღმართი კაცი, და დირბის წყლის სოფლები ყველანი შეიყარნენ და გაცივდენ. ცხენიანი და ქვეითი ნურავინ დაქალდება.

7. ვინც დააკლდეს მღევარს ასე გარდაჰდეს: თუ თავადის შვილი დააკლდეს, საქაკოდ წაართვან შემძლებელს ხუთი მინალთუნი, ღარიბს სამი მინალთუნი.

8. თუ აზნაურ შვილი დააკლდეს, საქაკოდ წაართვან ერთი საკლავი, ერთი კოკა ღვინო და ოცი ჯოხი დაჰკრან ბეჭებში.

9. თუ შემძლებელი გლეხი კაცი დააკლდეს, ამავე აზნაურ შვილისაგით გარდაჰხდეს. და თუ ღარიბი იყოს, ერთი კოკა ღვინო წაართვან და ორმოცი ჯოხი დაჰკრან.

10. თუ ამილახორი და ერისთავი ზემო ქართლში იყვნენ, იმათ უნდა შეიყარონ მღევარი და ისე იმღევრონ.

11. თუ ესენი არ იყვნენ, ყულარალასმა გიორგიმ და მდივანბეგმა იასემ ქმნან.

12. თუ არც ესენი იყვნენ, ალაბაბამ და ან შალვამ, ბეეან და ან ომანმა ქმნან და იმღევრონ.

13. რომელიც ერისთავის შვილი და ამილახორის შვილი დაესწრას, მღევრობა გვიბოძებია: ამათ შემოიყარნენ და როგორც ამჯობინონ, ისე მიიყვანონ. დიდად ბეჯითად იყვნენ ერისთავის შვილები და ამილახორის შვილები მღევრობისა, რომ ეს მღევრობა ამათ აქვთ.

14. ეს მდევრობა, რეკულას წყლიდამ მოკიდებული ალის წყლამდის და გორიდამ სანამდისაც მიჰყვებოდენ, და ქარელიდამ, სადამდისაც მიჰყვებოდენ, უნდა იმდევრონ.

15. გაღმა მჭრის გარიგებულია, ოქმი გვიბოძებია და კარგადაც მდევრობენ, მადრიელიც ვართ და წყალობასაც დავმართებთ.

16. ეს იცოდეთ: თავადის შვილებმაც, აზნაური შვილებმაც, გლებმა კაცმაც, ამის უკეთესს ვერცა-რას ღმერთს აამებთ, ვერცა-რას ჩვენ გვაამებთ და ვერცა-რას ქვეყანას შეემატებით, რომ ქრისტეს მტერი თქვენის ცოლისა და შვილის დასატყვევებლად დარბიან, ამათ პასუხი მისცეთ. და ღმრთის მოწყალებით დაჰყოცოთ და სირცხვილელუნნი დააბრუნოთ.

მარიამობისთვის კმ, ქორონიკონს უჟ.

ეს იცოდეთ: რომელიც ჩვენგან საქმნელი საქმეა პატრონ-ყმობისა, მოვლისა, გარჯისა, წყალობისა და ჩემის ქვეყნისათვის თავის დადებისა ღმრთით არ დაგზოვავთ.

თქვენ ასე ეცადებით და ჩვენ კიდევ უფრო ძლიერსა და მტკიცეს საქართველოს შეწივნას ვცდილობთ.

ბეჰადი: ერეკლე

125. [შეწიკულაგის წიგნი სოლომონ 1-ისა, ჭუთაისის ღმრთის-  
მოგლისადმი]

[1773 წ.]

[1r] შენ, მარიამ დედისა ღმრთისანი ღმერთსა მოხევეოდეს. შენ ხარ ღურბელ-ცვარისა მშობელ და ცვართა საუკუნოსა მამისა კაცთა ზედა რისხვის ცეცხლისა დამშრეტელ.

ჰოი, ქუთათისის ღმრთისმშობელო<sup>1</sup>, შენ მიერ ეკლესიისა შილნი მადლით ღმერთი და იესო ბუნებით ღმერთი, ორივე ძმა იქმნეს და ურთიერთარს ამბორს უყვეს, ძემან განხორციელებული გვამი თვისი წარუდგინა მშობელსა მამასა და შეაერთა ბუნება კაცთა ღმრთი[ვ] ხორცთა შინა და ხორცი სიტყვისა ღმრთისა<sup>2</sup> გვამსა შინა, მაცხოვარ გვექმნეს ტომ-ნათესაეთა შენთა.

და აწ მეცა, სურვილით მსასოსა შენსა და სულით, გულით და გონებით თაყვანის-მცემელსა შენსა, აფხაზ-იმერთა ყოვლობისა მფლობელსა, მეფეთ-მეფესა სოლომონს პანკრატიან-დავითიანსა მრავლით ეამითგან მენება გამოხსნა შენისა ცის სფეროს უმ[ა]ლღესის ეკლესიისა, ვინაიდგან ცოდვათა ჩვენთა ძლით, მიშვებითა ღმრთისათა, თათარ-ოსმანთა მტკიცედ ეპყრად ქუთათისისა

<sup>1</sup> მღვთისმშობელო. <sup>2</sup> მღვთისა.

ციხე-ქალაქნი, და ახალ სამოთხედ წოდებულნი შეენიერ-ჰაეროანი-  
ეკლესია შენი უწყალოდ დაერღვიათ და ლამოდენ<sup>1</sup> ძირითთურთ აღ-  
მოთხრასა და ქრისტიანეთა ერთ-შენთა მიმოდატაცებასა და გან-  
ბნევასა.

მას ჟამსა, შეწევნითა შენითა, დედაო ღმრთისაო, შთამეჭრა გულ-  
სა ცეცხლი შურისგებისა უცხო თესლთა მათ ზედა და ვიძიე საქლთო  
შური ელია დიდისა, და დღე და ღამე მხურვალედ ვმეცადინობდი  
ღონითა რათამე აღფხვრასა ბილწთა ოსმანთასა.

ვხადე სახელსა ზენასა და მყისთანად წარვაგლინე ქუთა-  
თელ-მიტროპოლიტი აბაშიძის ძე მაქსიმე ევროპიად. და  
ხვაშენითა ღმრთის მტვირთველისა მარჯვენისა შენისათა, მომცა  
შეწევნა ლაშქრითურთ<sup>2</sup> [v]უყოვლად დიდებულესმან იმპერა-  
ტორმან ეკატერინამან, მფლობელმან რუსეთისამან.

ხოლო ოდეს მოიწია ქუთათელი თანა ღრატ-სპასალარ-მხედ-  
რებითურთ, მუნთქვესვე მალიად-მალიად შეეკრიბენ<sup>3</sup>, ახოანნი, ბუმ-  
ბერაზნი ჩემნი ყრმა-ჰაბუქნი იმერნი, მხედრობაჲ ქრისტეს მოსახ-  
ლე, რომელთაცა სასვამად, ვითარცა ღვინო, სწყუროდათ სისხლი  
ოსმანთა.

და ესრეთ ერთობით აღვლესნეთ გულნი დათხვეად სისხლი-  
სა, ტაძრისა შენისა გამოხსნისათვის. ვთქუთ ყოველთა მარიაჲ და-  
ბადებულთა დედოფალო, გვიძლოდე ერთა შენთა და ზედა-მივეტე-  
ვენით კისკასად ბილწთა ოსმანთა, ვითარცა რა არწივი გუნდსა კა-  
კაბთასა, ვითარ ლომი ზვარაკსა, ვითარ მარტორქაჲ სპილოსა და  
ვითარცა მგელი ცხოვართა.

და არა ძალითა ჩუენითა, არამედ შეწევნითა შენითა, დედაო  
ღმრთისა<sup>4</sup>, მყის შევმუსრენით ქალაქ-ციხე-სიმაგრენი მათნი, დავათ-  
რეთ ხრმალი<sup>5</sup> ჩუენი სისხლთა შინა სათართასა, აღუდევით  
ცეცხლი შურისგებისა სახლთა მათთა, შუეა უბან-ფალოც-ქულბაქ-  
თა მათთა, მუყრნი და მღვდელნი მათნი დაეკლენით, მახვილოსანი  
მოვსწყვიდენით, ბომონ-ბაგინნი მიძვიდითურთ დავარღვიენით.

ხოლო იავარ დედა-წულნი მათნი რომელნიმე რუსეთის იმპე-  
რატორს მიუძღევანენით და უმრავლესნი კავკასიის მათთა შინა მი-  
მოდათესვიით დავაბნინენით ოვსთა, სვანთა და ქისტ[თ]ა შორის.  
ხოლო ვიეთნი, რომელთაცა ინებეს, ქრისტიანე ვყვენით.

არამედ ძლიერი ძლევა მათი განფხვრა საყოფელთაგან შენი-  
თა შეწევნითა და თანაბრძოლებითა იქმნა, ქუთათისის ღმრთის-  
მშობელო და არა ძალითა ჩუენითა.

<sup>1</sup> რამოდენ. <sup>2</sup> ლაშქრითურთ. <sup>3</sup> შეეკრიბენ. <sup>4</sup> მღთისა. <sup>5</sup> რხმალი.

და ამასა ზედა აღნთებულთ გონებითა მრავალგზის გნადლობ მონა შენი თანა[2]მემცხედრე ჩემი, კხინი, მდაბალი მხევალი შენი, დედოფალთ-დედოფალი, დადიანის ასული მარიამ, მხოლოდ-შობილი ძე ჩემი, უფლისწული ალექსანდრე და მრჩობლნი ასულნი ჩემნი: დარეჯან და მარიამ. ერთობით მიწასა ზედა და-მმრდომნი, ცრემლით აღმსებულნი, თაყვანის გცემთ, გმადლობთ, გიგალობთ და გაკურთხევთ, სულთა და ხორცთა ჩუენთა, წულეებრ დათხეულთა, შევსწირავთ შენდა.

გარნა ვინაიდგან ამა ესოდენისა ძლევისა მონიკებისათვის თანამდებ ვიყავი მხურვალედ მსახურებად წმიდისა ტაძრისა შენისა, ამისთვის მოსწრაფებით ძიება-ვყავ პირველ დიდებულთა მეფეთა, მამა-პაპათა ჩუენთა მიერ შემოწირულისა მამულისა, მოსახლე გლეხისა და აგარაკისა შენისა, რომელნიცა ბილწთა ოსმალ-თათართა მიერ მძლავრებულ იყვნეს წარტყვევებითა და რომელნიმე მათ ეპყრნეს და რომელნიმე ოხერ და უშენ ქმნილ-იყვნეს წარტყვევებითა და მიმოდატაცებითა მახმადიანთა, ყოვლითურთ საცვებით ყოველნივე გამოენახეთ, გამოვიძიეთ და გამოვიწვლილეთ და ერთობით განგიახლეთ. დავამტკიცე პირმშო ძითთურთ ჩემით და დაებეჭდე სამეფოთა ბეჭდითა, რათა საუკუნოდ შეურყეველად ეგოს მომავალთა მეფეთა ტომთა ჩვენთაგან, რომელსაცა ქუემორე ანაწერი საცნაურ ჰყოფს.

პირველად ქუთათისის მიწა და მამული და მოსახლე გლეხნი, თავისის სამართლიანის სამზღვრითა, ვითარცა [v] ძველს დავთარში თითოეულად წერილს არს.

ახალსოფელს, თვით სოფელი, მთლად თავისის სამართლიანის სამზღვრითა, ვითარცა ძველს დავთარში ვრცელად წერილ არს;

ზემო ქუთირს მოსახლე კაცნი და ეკლესიის მამული, ვითარ აცხადებს ძველი დავთარი;

ქვემო ქუთირს ეგრეთვე ტაძრის მამული და მოსახლე გლეხნი, ვითარცა ცხადყოფს ძველი ნაწერი;

კვალად ორი შიშს ტაძრის მამული, თვისითა საზღვრითა, ვითარ-იგი განუჩინებს ძველი დავთარი;

მალაკს ტაძრის აგარაკი და ზედ მოსახლე გლეხნი, ვითარ თვის-თვის განაცხადებს ძველი მატთანე;

ფარცხანაყანეგს მიცვალების ტაძრის მამული და მოსახლე გლეხნი, ვითარ განკარგულ არს ძველს გუჯარსა შინა;



ჩ უ ნ ე შ ს ე გ რ ე თ ვ ე მ ო ს ა ხ ლ ე გ ლ ე ხ ნ ი, თ ვ ი ს ი ს მ ა მ უ ლ - ს ა მ ზ ლ ე -  
რ ი თ ა;

ო ფ ი ს კ ვ ი თ ს ტ ა ძ რ ი ს ა გ ა რ ა კ ი, თ ვ ი ს ი ს ს ა კ უ თ ა რ ი ს ს ა ზ ლ ე -  
რ ი თ ა, ვ ი თ ა რ მ ო უ თ ხ რ ო ბ ს მ ა ტ ი ა ნ ე უ ძ ვ ე ლ ს ი;

პ ა ტ რ ი კ ე თ ს ტ ა ძ რ ი ს მ ა მ უ ლ ი და ზ ე დ მ ო ს ა ხ ლ ე გ ლ ე ხ ნ ი,  
რ ო მ ე ლ ს ა გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ს ძ ვ ე ლ ი გ რ ა გ ნ ი ლ ი;

ვ ა კ ი ს უ ბ ა ნ ს მ ო ს ა ხ ლ ე გ ლ ე ხ ნ ი და ტ ა ძ რ ი ს მ ა მ უ ლ ი, ვ ი -  
თ ა რ ც ა მ ო ი ხ ს ე ნ ე ბ ს ძ ვ ე ლ ი ნ ა წ ე რ ი;

გ ე გ უ თ ს ტ ა ძ რ ი ს მ ა მ უ ლ ი, თ ა ვ ი ს ი ს უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ს ს ა ზ ლ ე რ ი -  
თ ა, ვ ი თ ა რ ც ა ა ღ მ ო ა ჩ ე ნ ს მ ა ტ ი ა ნ ე ძ ვ ე ლ ი;

ბ ა ე ს მ ო ს ა ხ ლ ე გ ლ ე ხ ნ ი, თ ვ ი ს ი ს ს ა ზ ლ ე რ ი თ ა, ვ ი თ ა რ ც ა - ი გ ი წ ა -  
მ ე ბ ს ძ ვ ე ლ ი გ რ ა გ ნ ი ლ ი;

მ ე ს ხ ე თ ს ე კ ლ ე ს ი ი ს ა გ ა რ ა კ ი თ ვ ი ს ი ს უ ზ ა დ ო ს ს ა ზ ლ ე რ ი თ,  
ვ ი თ ა რ ც ა გ ა ნ ჩ ე ნ ი ლ ა რ ს ძ ვ ე ლ ს ა შ ი ნ ა გ უ ჯ ა რ ს ა;

[ჰ] წ ყ ა ლ თ ა შ უ ა ს მ ო ს ა ხ ლ ე გ ლ ე ხ ნ ი, ვ ი თ ა რ ც ა გ ა ნ უ ჩ ი ნ ე ბ ს  
ი გ ი ვ ე მ ა ტ ი ა ნ ე;

ქ ო ლ ე ვ ს მ ო ს ა ხ ლ ე გ ლ ე ხ ნ ი, თ ვ ი ს ი ს მ ა რ თ ე ბ უ ლ ი ს ს ა ზ ლ ე რ ი -  
თ ა, ვ ი თ ა რ - ი გ ი მ ა ს ც ა მ ო ი ხ ს ე ნ ე ბ ს მ ა ტ ი ა ნ ე წ ი ნ ა ე;

რ ო კ ი თ ი, მ თ ლ ა დ ს ო ფ ე ლ ი, თ ვ ი ს ი ს მ ი უ ხ ვ ე კ ე ლ ს ს ა ზ ლ ე რ ი -  
თ ა, ც ხ ა დ ს ა ჩ ი ნ ო ბ ს წ ი ნ ა მ ა ტ ი ა ნ ე;

შ უ ბ ა ნ ი, მ თ ლ ა დ ს ო ფ ე ლ ი, თ ვ ი ს ი ს ს ა რ წ მ უ ნ ო ს ს ა მ ზ ლ ე რ ი თ ა,  
ვ ი თ ა რ ც ა გ ა ნ ა გ ე ბ ს დ ა ვ თ ა რ ი წ ი ნ ა ა ღ წ ე რ ი ლ ი;

ფ ე რ ს ა თ ი, მ თ ლ ა დ ს ო ფ ე ლ ი, მ ო ს ა ხ ლ ე გ ლ ე ხ ი თ ა და თ ვ ი ს ი ს  
ს ა ზ ლ ე რ ი თ ა;

ქ ო რ თ ხ ა ს, მ თ ლ ა დ ს ო ფ ე ლ ი, თ ვ ი ს ი თ ა ს ა ზ ლ ე ა რ - წ ე ს დ ა დ ე -  
ბ ი თ ა, ვ ი თ ა რ ა ღ მ ო ს კ ვ რ ი ს მ ა ტ ი ა ნ ე ს ა ძ ვ ე ლ ს ა;

და ა ნ ტ ყ ა ს, მ თ ლ ა დ ს ო ფ ე ლ ი, თ ვ ი ს ი თ ა გ ა რ ე მ ო ზ ლ უ დ ი თ ა;

ღ ვ ი ნ ი ს ხ ე ვ ს, მ თ ლ ა დ ს ო ფ ე ლ ი, მ ი ს ი თ ა გ ა რ ე მ ი დ ა მ ო თ ა;

ხ ო ლ ა ს კ უ რ ს, მ თ ლ ა დ ს ო ფ ე ლ ი, მ კ ვ ი დ რ ა დ მ ო ს ა ხ ლ ე და  
გ ლ ე ხ ი თ ა;

ა ლ ი ს ი მ ე რ ე თ ს, მ თ ლ ა დ ს ო ფ ე ლ ი, თ ვ ი ს ი თ ა გ ა ღ მ ა რ თ - გ ა მ ო -  
ღ მ ა რ თ ზ ე დ მ ო ს ა ხ ლ ი თ ა გ ლ ე ხ ი თ ა;

ხ ო ნ ს ტ ა ძ რ ი ს მ ა მ უ ლ ი და კ ა ც ნ ი ზ ე დ დ ა დ გ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი;

ჯ ვ ა რ ი ს ა ს, ტ ა ძ რ ი ს ა გ ა რ ა კ ი თ უ რ თ, გ ლ ე ხ ნ ი ც ა მ ო ს ა ხ ლ ე ნ ი;

ა ლ ი ს უ ბ ა ნ ს ს ა ყ დ რ ი ს მ ა მ უ ლ ი, თ ა ნ ა მ ო ს ა ხ ლ ე გ ლ ე ხ ი თ თ უ რ თ;

მ უ ჯ ი რ [ე] თ ს ტ ა ძ რ ი ს მ ა მ უ ლ ი, მ ო ს ა ხ ლ ე გ ლ ე ხ ი თ თ უ რ თ;

ბერეთისას ტაძრის მამული\*, მთლად სოფელი, მამულ-მოსახლე გლეხითთურთ.

ქყუ შს კუალად საყდრის მამული, გლეხებითთურთ;

გურიას ღმრთისმშობლის მამული, სოფელი ბახვი, ერთობილად თვისითა საზღვრითა და ზედ მოსახლე გლეხებითა:

[v] ზეგანს — სამეფო სოფელსა შინა — თავედს ნაყიდხედ სახლობენ კოხოდე და გორგონე, გლეხნი, მკვიდრად, ეკლესიის ყმანი არიან და ადგილ-მამულიც ხოლასკურს აქესთ, მაგრამ აწ ზეგანს, თავიანთ ნაყიდს ადგილზედ სახლობენ;

რაქას, ფუტიეთს ტაძრის შამული, ოთხის გვარის მოსახლე გლეხებითა.

ესე ყოველნივე, შეწევნითა შენითა, დედუფალო, შემომიკრები, განმიახლებია და შემომიწირავს.

და მუხლთ დადგმით გევედრებით: შეიწირე, ჰოი, ახალო ცაო და ახალო ქვეყანაო, ქუთათისის ღმრთისმშობელო, კინი ესე ძღვენი და მცირე მსხვერპლი, ვითარცა შენგან შობილმან სიბრძნემან ღმერთმან, შეიწირნა აბელის ძღვენი, ნოეს მსხვერპლი და ორი მწვლილნი ქვრივისანი, ეგრეთვე ესენი შეწირულ იქმნენ შენს წინაშე და, ღმრთის ამღებელითა მარჯვენითა შენითა, სახიერებით დაგვიფარენ გრძნობადთა და საცნაურთა მტერთაგან მე, ყოვლად უღირსი მონა შენი, მეფე სოლომონ და თანაცხედრეული ჩემი, დედუფალი მარიამ, პირმშო ძე ჩემი ალექსანდრე, მრჩობლთა ასულთა თანაერთობილად, დაგვიცვენენ ურცხვენელად აქა და მუნა.

აწითგან წამართ რომელმანცა კაცთაგანმან: ანუ მეფემან, ტომთა ჩვენთაგანმან, ანუ დედუფალმან, [4] ანუ უფლისწულმან, ანუ მთავართაგანმან, ვინცა-ვინ იკადროს რაიმე, ანუ შეეცილოს აგარაკსა ღმრთისმშობლისასა, ანუ ხელ-ჰყოს შლად და ქცევად მტკიცედ შეწირულობისა ამის დანმტკიცებულისა სიგლისა, მყის-თანად საშინელითა რისხვითა განურისხდი ქუთათისის ღმრთისმშობელო, და გულისწყრომითა დაჰკარ კვერთხი თხემსა დედოფლობისა შენისა, წარმოაგდებინე ორნივე თვალთა გუგანი და, ვითარცა ფარაოს და მეგვიპტელთა, ცხრა წყლულემა დასდევ ხორცთა ზედა; ალუდეე ცეცხლი მძვინვარე საცხოვართა მისთა და შეაჰამენ მკალსა ვენახნი მისნი და ყანობანი; დასდევ ბნელი უჟუნი ვერ-მხედველობისა დედა-წულითურთ თანა, ყრმა მეუღლისა და მკერდსა მისსა სარეცელითურთ დაახვიენენ მყვარნი მწვანენი; ხოლო შინაგანთა ნაწლეგთა შეუსიენ მუმლნი და ძაღლის მწერნი

\* „ტაძრის მამული“ ხელნაწერში ფრჩხილებშია.

მწრეტელ-მკბენელად, ენასა ზედა გამოაბუტკე ფაქლი და შეუცვა-  
ლეთ ღვინო და წყალი სისხლად გძლარბისა, რათა ფურულით გან-  
ხმეს სასა მისი ხარხითთუროთ; მოუკლენ პირმომონი და მოუწყვიდნენ  
გულისა საყვარელნი რისხვითა შენითა.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნენ, განამტკიცნენ  
და განადიდდნენ სახელი მათი მრჩობლთა სოფელთა, ამინ!

ალიწერა თვესა იანვარსა, რიცხვსა თ-ს, ქრისტეს აქათით  
ჩლოგ-ს, ჯელითა ზაქარია [v] ხუცეს-მოძღვრისა გა-  
ბაონელისთა.

ასომთავრულად:

მ ე ფ ე ს ო ლ ო მ ო ნ დავითიანი.

დასმული ყოფილა ორი ბეჭედი:

1. დავითის ნორჩი ჯვრით მტერს მოვრჩი, მეფე სოლო-  
მონ.

2. ქრისტეს ძალო, შენთვის ვხმობ, ტახტს მათი ვპყრობ,  
დედოფალი მარია მ\*.

ხელრთვა მხედრულად:

მ ე ფ ი ს ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ .

დასმული ყოფილა ბეჭედი:

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ე ი ლ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე \*\* .

126. [მეგობრობის დადგინებულობა ირაქლელ II-სა და  
სოლომონ I-ს შორის]

[1773 წ.]

ვითარცა გვაქვს უმეტესი მორჩილება და უჯულსმოდგინესი  
სრულიად ყმობისა მოცემულობა სრულიად უგანათლებულესის დი-  
დის ჯელმწიფისა ჩვენის იმპერატორცა ეკატერინა ალექსის ასუ-  
ლის და თვითმპყრობელის სრულიად რუსეთისას, ჩვენ, საქართ-  
ველოსა და ქახეთის მეფე ირაქლი და სრულიად იმერე-  
თის მეფე სოლომონ, სრულიად უგანათლებულესის მათის

\* მინაწერი: „აქა პირველის მეფის სოლომონის და პირველი დედოფლის  
მარიამის ბეჭდები არის“.

\*\* მინაწერი: „აქა მეფე პირველის სოლომონის შეილის ალექსანდრეს  
ხელმოწერილი და ბეჭედი არის“.

ბოლოს მინაწერი: „ეს პირი ნამდვილისაგან მისისა გარდმოწერილ არს  
სიტყვიდან-სიტყვამდინ, რომელზედაც ემოწმობ მდივანბეგი თავადი დავით  
ჩხვიძე“.

იმპერატორობის დიდებულების დედობრივის ბრძანებით ამ ვალდებულობისა ჩვენის ჯელწერილობით ურთიერთა შორის მეგობრობისა პირდაუფერებლობით და დგინებულობას ვაწესებთ. საერთოსა შურის-მეძიებელის ქრისტიანეთა მტერთა ზედა მოქმედებად და ვალდებულებისამებრ ურთიერთა შორის გულს-მოდგინებით შესაწევნელად, როგორც ამ ქვემოთ პუნქტებში ვრცელად აცხადებს:

1. ყოველნი, რომელნი ამას წინათ ურთიერთა შორის გულ-ნაკულუღვანება ერთმანეთში გვქონდა, საუკუნოდ დაუტევებთ.

2. პირ-და-პირ შურის მეძიებელის სრულიად რუსეთის იმპერიის და სრულიად ქრისტიანეთა მტერთა ზედა, რომელ არს ურუმისა და ყოველთა, რომელნიც იმათნი შემწენი არიან, რაც უნდა ხალხი იყოს, რომელსაც ჩვენ მოვსწუდებოდეთ და შეიძლებოდეს ყოველისფრით ჩვენის შეძლებით და ძალით სწორესა ჩვენის სიმაართლით,—იმათზედ მტერობით ვიმოქმედოთ.

3. ვინიცობა არის, რასაც დროს ჩვენს ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანერთს მსწრაფლად ჯარით მივეშველნეთ და ყოველისფრით, რაც კი შეიძლებოდეს, გავისარჯნეთ.

4. როდესაც ჯარი ვისმე ჩვენში ერთმანეთს სჭირდეს და რომელმანც მეპატრონემ ჯარი შესაწევნელად ერთმანერთს სთხოვოს, იმ დროს ვისიც ქვეყანა იყოს, იმ ქვეყნის მეპატრონემ იმ ჯარს სურსათი მისცეს და გააძლებინოს.

და ვინიცობა არის, ჩვენ ორნივე მეპატრონენი ჯარებით მტრის ქვეყანაში შევიდეთ, იმ ჟამს ყოველმან მეპატრონემან თავ-თავის ჯარს სურსათით, თუ სხვით რითმე, თვითონ ჩვენ ჩვენის შეძლებით გააძლებინოთ.

5. დღეის იქით დამნაშავე ჩვენზედა, რაც უნდა რიგი კაცო იყოს, ჩვენნი ყმანი, თავადნი, თუ აზნაურნი, ერთი-ერთმანერთს, თვინიერ ნებით გარდასახლებულნი ორსავე მჭრიდამ გლეხი, თუ სხვა, დაუყოვნებლივ მივსცეთ.

6. ვინიცობა არის, რომლისაგან მარადის ღმერთმან დაგვიცვას სწორედ, ჩვენსავე ქვეყანაში ერთი-ერთმანერთისაგან შფოთი აღძრას, ვისგანც უნდა იყოს, მაშინვე ერთმანერთს მივეშველნეთ, და რითაც კი შეიძლებოდეს, ისე დავაწყნაროთ, თუ გინდა ჩვენი ძმაცა და შვილიც იყოს, თუ უსამართლოთ იყოს, ისინიც დავაწყნაროთ და ავად მოგვეყრათ, ამისთვის, რომ ის უბედურებობა იმ ქვეყნისგან ამოიგდოს და აღარ მოძრაობდეს.

7. დასასრულსა ამისისა, ვინათგან ყოველივე საქმენი დროსა და სწორესა ჟამსა წინაშე საერთოსა მტრის ვალდებულობისამებრ

შემწევობით უნდა წინუძღვეთ, ამისთვის რომ იმ დროს რიცხვით ჯარის განწესება ჯერ არ შეგვიძლიან, და ამა ყოველსა დაუტევებთ მომთავალსა მშვიდობისა და კეთილის დრომდის. და უნდა ვეცადნეთ, რათა ჟამითა-ჟამად ერთი-ერთმანერთს სიყვარულობით და ერთობით, სწორისა და პირდაუფერობლობისა, კაის რიგით აღვასრულოთ და მივსცეთ კეთილი რიგი.

[8]. და სრულიად ესე ზემოხსენებულნი პუნქტები სწორესა ჩვენის ქვეყნის მშვიდობისათვის, არათუ ჩვენს ამ ქვეყნის მოვლისა და მეპატრონებისა ჟამსა შინა იმოქმედოს, არამედ ვამტკიცებთ, რათა ჩამომავლობამანცა ჩვენმან უთუოდ და უცვალებელად ეს პუნქტები კეთილად აღასრულონ; და არც უნდა ერთმანერთს ასე საქმე გაუჭიროთ, რომ იმის მიზეზით ის პუნქტები დაირღვას, რომელსა შინა შეგვეწევის ჩვენ ღმერთი უფალიც.

და რათა ძალნი ესე მოქმედებანი, რომელნი დაგვიდგინებთან ურთიერთთა მეგობრობის და სიყვარულობისა შესაწევნელნი პუნქტები, ჩვენ ყოველმან და ჩამომავლობამანცა ჩვენმან უნდა უკეთესისა და სწორის საქმითა ყოველს შინა დაურღვეველად დაიცვან, და ამ განწესებულობისა რიგითა გულსმოდგინებით იქცეოდენ და ირჯებოდენ.

[9]. ყოვლად უმდაბლესად ვითხოვთ ჩვენ, თქვენის მალის ღრაფობის ბრწყინვალებავ, რომ ეს პუნქტები მის დროს მათს იმპერატორობის დიდებულეებას და ჩვენს დიდებულს მფარველს სრულიად უმალღესის გასასინჯავად უმდაბლესის მირთმევით ღირს გვყოთ, რომელი ჩვენ ეს ჟამსა აქ ჩვენთან ვეჭილი მათის იმპერატორობის დიდებულეების საქმესა შინა ლეიბ-ღვარდიის უფლის კაპიტანის ლვოვის ყოფნასა შინა ჩვენის ბეჭდით დაებეჭდეთ და სწორედ ჩვენი პელი მოვაწერეთ, და წარმოსაგზავნელად თქვენის მალის ღრაფობის ბრწყინვალეების წინაშე ამას მივართვით.

ივლისის დღესა კჳ, ჩლოვ წელსა. სანგარსა შინა, სიახლოესა სოფლისა მავდარასა.

მეფე ქართლისა და კახეთისა

სრულიად იმერეთის მეფე

ერეკლე.

სოლომონ.

ქ. ღმრთით, ეს მორიგის ლაშქრობის<sup>1</sup> განაჩენი დაიწერა ჩვენ, მეორე ერეკლე<sup>2</sup> მეფისაგან, თანდასწრებითა ძისა ჩვენისა უფლისწულისა გიორგისათა, და ნებითა<sup>3</sup> ყოვლად<sup>4</sup> სამღვდელთა საქართველოს<sup>5</sup> ეპისკოპოსთა<sup>6</sup>, და ბრწყინვალეთა<sup>7</sup> თავადთა, და ეგრეთვე ყოველთა კარისა ჩვენისა მოკვლეთაგან, და შემდგომთა<sup>8</sup> დარბაზის ერთა, და ყოველთა სამღვდელთა დასთაგან, და ეგრეთვე ყოველთა<sup>9</sup> ჩინებულთაგან.

რადგან<sup>10</sup> საქართველოს ქვეყანა ლეკთაგან ამდენს ხანს ამისთანას მოუსვენებლის<sup>11</sup> მტერობით შეიწრა და მოუთმენელს<sup>12</sup> კირს მიეცა, ჩვენც მრავალ-გზის<sup>13</sup> ბევრ-რიგის<sup>14</sup> გარჯილობით ვეცადენით, მაგრამ არ იქნა, რომ ასეთი წამალი და საქმე გვეპოვნა, რომ ჩვენის ქვეყნისათვის გვერგო რამე.

და ამხანად ღმრთით ყოველისგან<sup>15</sup> უმჯობესად და უკეთესად ეს გამოვარჩიეთ და საერთოდ ყველამ ვამჯობინეთ, რომელიც ამას<sup>16</sup> ქვემოთ დაგვიწერია\*:

1. ქ. პირველი ეს არის, რომ თუ დიდი მტერი—ორი და სამი ათასი კაცი და კიდევ მეტი არ შეიყაროს და ამისთანას ძალით ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა არ მოინდომოს<sup>17</sup>, ათასის კაცისათვის და მეტ-ნაკლებისათვის და კიდევ ასისა და მეტ-ნაკლებისათვის ეს გაგვირიგებია, რომ რაც თავადი<sup>18</sup> მოკვლე, ან არ მოკვლე, ან აზნაური მოკვლე, ან<sup>19</sup> არ მოკვლე, გლეხნი მოკვლენი, თუ მსახურნი, თუ მოყალნენი, თუ ხიზანნი, რამდენნიც<sup>20</sup> რომ იყვნენ ერთს სახლსა და ოჯახში, თითოს თვის მორიგობაში ჩაგვიგდია და დაგვიწერია, და სხვას დავთარში გაგვირჩევია.

სარდლებსა<sup>21</sup>, მინბაშებსა<sup>22</sup> და უზბაშებს გარდა, ყოველი<sup>23</sup> კაცი თორმეტს თვეზედ<sup>24</sup> გაგვიყვია<sup>25</sup>. და როგორადაც გაგვიყვია, ერთი დიდი საერთო დავთარი ჩვენის მოკვლევებისათვის მიგვიბა-

<sup>1</sup> ლაშქრობის C. <sup>2</sup> + საქართველოს A. <sup>3</sup> ნებითა—BC. <sup>4</sup> ყოველთა C. <sup>5</sup> საქართველოთა BC. <sup>6</sup> ეპისკოპოსთათა AC. <sup>7</sup> ბრწყინვარე C. <sup>8</sup> შემდგომთა A. <sup>9</sup> + საქართველოს A, ყოველთა—C. <sup>10</sup> რადგან C. <sup>11</sup> მოუსვენებელის AB. <sup>12</sup> მოუთმენელის B, მოუთმენელებს C. <sup>13</sup> მრავალგზით A. <sup>14</sup> ბევრი გის AC, ბევრის გან B. <sup>15</sup> ყველასგან AB. <sup>16</sup> ამათს B. <sup>17</sup> მოინდომეს C. <sup>18</sup> თავადნი AC, + და ან AB. <sup>19</sup> ან—B. <sup>20</sup> რამდენიც C. <sup>21</sup> სარდლებსა AC, + და A. <sup>22</sup> მიმბაშებსა C. <sup>23</sup> ყოვლი B. <sup>24</sup> თვეზე C. <sup>25</sup> გაგვიყვია] გაგვირჩევია B.

\* A ხელნაწერში ეს შესავალი პირველ (ა) მუხლად არის გამოყოფილი.



რებია, და თვითო დავთარი უზბაშებისათვის მიგვიცია, და სხვა სოფელ და სოფელ მებატონეებისათვის და მოკლევებისათვის მიგვიცია; და ასე გაგვირჩევია ყველასთან, როგორც ამაში დაგვიწერია\*.

2. ქ. რომელიც აქამდის ჩვენგან გლახს კაცს კოდის-პურის<sup>1</sup> მაგიერი სურსათი და ღვინო ჯარისათვის ეთხოვებოდათ, ის აგვიღია<sup>2</sup>, აღარა<sup>3</sup> ესთხოვთ<sup>4</sup>, რომ ეს თავიანთ<sup>5</sup> მორიგობის ლაშქრობაში თვითონ<sup>6</sup> მოიგმარონ და მეტი და ნაკლები ამ ლაშქრობაში<sup>7</sup> თვითან შეასრულონ, ღმრთით ჩვენ ამისი მთხოვნელი აღარა ვართ.

და ჩვენ სახასოს ყმას<sup>8</sup> კოდის-პურსა და კულუხს გარდა<sup>\*\*</sup> ჯარისათვის სურათს რომ ესთხოვდით, იმ სურსათს აღარ გამოვართმევთ.

3. ქ. როგორც თვე და თვე დაგვიწერია კაცნი, და<sup>8a</sup> თვეცა და კაციცა სახელდობ სწერია, იმ თვის პირველის წინა დღეს მოვიდეს, სადაც ჩვენგან დაბარებული იქნება სწორედ, თავადია, აზნაური თუ გლახი; თორემ თუ არ მოვიდა, თავისის ერთის თვის სურსათის თადარიგით<sup>9</sup>, რომელიც ამას ქვემოთ გარდავლევინება დაგვიწერია, სწორედ ის<sup>10</sup> დაემართება.

4. ქ. ღმრთით<sup>11</sup>, როდესაც ეს ჯარი იმ ვადახედ აქ ქალაქში<sup>12</sup> შემოგვეყვრება, რასაც სურსათს ჩამოიტანენ, ვინ იცის, რომ ჩვენ ქართლსა და კახეთში, თუ ყაზახსა და ბორჩალოში<sup>13</sup>, ან არაგვზედ მიშველება და მღვერობა მოგვიტდა, თუ თავისის<sup>14</sup> სურსათისათვის იმ კაცს თეთრი წამოუღია, ხომ ის თავის სურსათს როგორც უნდა, ისეთს<sup>15</sup> თადარიგს<sup>16</sup> იქს; და რომელსაც პური, ღვინო და<sup>17</sup> ქერი ექნება, თავადისშვილსა<sup>18</sup> და აზნაურშვილს გარდა, გლახს კაცს ჩვენ უნდა გზა მივსცეთ წაღებისა<sup>19</sup>.

ქ. მაგრამ, იმ ერთის თვის სურსათი—საქსნილო, თუ<sup>20</sup> სამარხო, პური, ღვინო და<sup>21</sup> ქერი, როგორც შეუძლიან თავადსაც, აზნაურსაც<sup>22</sup> და გლახსაცა სრულებით უნდა ჰქონდეს<sup>23</sup>, თორემ რადგანც ჩვენ სურსათს აღარასფრისას აღარას გამოვართმევთ, ჩვენ რომ

1 პური B. 2 + და A. 3 აღარასა C. 4 ვითხოვთ B, ვთხოვთ C. 5 თავიანთს B. 6 თვითან B, თითონ C. 7 ლაშქრობაში A; ლაშქრობაებში C. 8 ყმის C. 8a და რომ C. 9 თადარიგით A, თადარიგით C. 10 ისე AB. 11 ღმრთით—C. 12 ქალაქს C. 13 ყაზახ-ბორჩალოში C. 14 თავის C. 15 ისე C. 16 თადარიგს A, თადარიგსა C. 17 და—A. 18 თავადისშვილს გარდა C. 19 ~ წაღების გზა მივცეთ C. 20 თუ და C. 21 პური, ქერი და ღვინო C. 22 აზნაურსაცა C. 23 ჰქონდესთ C.  
\* A ნუსხის პირველი მუხლის გასწვრივ მარცხენა კიდეზე ვადაშვირის ხელით მიწერილია: „ქ. სოლომონ მდივნისაგან პრობა ქმნილი და აღწერილი“.  
\*\* აქედან მე-15 მუხლამდის B-ს აკლია.

ჯარს<sup>1</sup> სურსათს დაუწყეთ ძლევა, დიად ბევრი იქნება და ჩვენს სარქარს სურსათის მიცემის<sup>2</sup> ბინა არ ექნება.

ა ხალავ ყველამ იცოდეს: იმ ერთის თვის სურსათს რომ წამოიღებს, მაშინც თავის სახლშიაც ჰქამა და სმა მოუნდება<sup>3</sup> და ბარემლაც თავისის წმიდის სარწმუნოებისა და სჯულისათვის, და თავისის მტრის შეშინებისათვის, და ქვეყნის დამშვიდებისათვის, და ღმრთისა და ჩვენის სამსახურისათვის, ამ ერთს თვეს აქავ დახარჯოს თავის თავზედ<sup>4</sup>.

ა. კ. ღმერთმან აშოროსთ, თუ ვინმე ავად გავდეს, და ან სასიკვდილოდ<sup>5</sup> ძნელად ავადმყოფი<sup>6</sup> ან მამა ჰყვანდეს, ან ღელა, პნ ცოლი, ან შვილი, ან ძმა და ან და, რომელსაც თვეში წამოსასვლელი<sup>7</sup> იყოს, ღმერთმან კიდევ აშოროს<sup>8</sup>, ან მოუქვდესთ რამე, იმისი ამბავი იმისმა მებატონემ და მოკვლემ და იმისმა სოფლის ჯარისკაცმა უნდა მოგვიტანოს და დაგვაჯერებინოს<sup>9</sup>, იმას ვერას უსაყვედურებთ. მაგრამ თუ ტყუილად მოიგონა ავადმყოფობა<sup>9</sup>, რაც გარდაქვეყნებ<sup>10</sup> აარის განწესებული, ერთი ორად მიაღებება.

თუ კიდევ სოფლის ჩვეულებრივ<sup>10</sup> მემკვიდრე, თუ ხიზანი კაცი აიყაროს და სხვაგან წავიდეს, იმ სოფლიდამ უნდა შეგვატყობინონ მებატონემ და მოკვლემ და იმ სოფლის ჯარისკაცმა, რომ: «ესე და ეს აყრილი კაცი ამა და ამ სოფელში წავიდაო», რომ იქილამ ვითხოვოთ ის კაცი; თვარემ რომელსაც სოფელზედ სწერია, იმასვე დაუწყებთ თხოვნას და იმათ უნდა გვიპოვნონ.

6. კ. ღმრთით<sup>11</sup>, სადაც სოფელში მივიდნენ ეს ჯარისკაცი, თუ იმ სოფელში წააქვინეს რამე: პური, ქერი, ღვინო, იროხა, ცხვარი, ბატი, ქათამი, ღორი<sup>12</sup>, ბალი<sup>13</sup>, ვენაჭი, ღობე, ჭიგო, თუ<sup>14</sup> რაც ჭირნახული არის<sup>15</sup>, ამისთვის თავისი სარქარდა<sup>16</sup>, მინბაში<sup>17</sup> და უზბაში ავად უნდა მოეპყრას და გარდაახდევინოს. და თუ ღმრთით ჩვენ იქ ვიქნებით<sup>18</sup>, ჩვენ გარდავაქვდევინებთ<sup>19</sup>.

მაგრამ სოფლის კაცი ბზესა, შეშას და თივას კი<sup>20</sup> ვერ დაუშლის, და თუ სახლის ხე<sup>21</sup>, გამოსაყენებელი<sup>22</sup> ხის იარაღი და ან საიარაღე ხე<sup>23</sup> იყოს რამე<sup>24</sup>, არც ის უნდა დააწვევიინოს<sup>25</sup>.

<sup>1</sup> ჯარს—B. <sup>2</sup> მიცემით C. <sup>3</sup> მოუნდებათ A. <sup>4</sup> თავზე C. <sup>5</sup> სასიკვდილოს C. <sup>6</sup> ავანტყუი C. <sup>7</sup> წამომსვლელი A. <sup>8</sup> აშოროსთ A. <sup>9</sup> + და A. <sup>10</sup> ავანტყუი C. <sup>11</sup> ჩვეულობრივ C. <sup>12</sup> ღორი—A. <sup>13</sup> + ან სხვა რამ საკლავი C. <sup>14</sup> + თუ C. <sup>15</sup> + მოსავალი C. <sup>16</sup> ჭირნახულია C. <sup>17</sup> სარქარდა] სარქარი C. <sup>18</sup> მიმბაში C. <sup>19</sup> ~ ვიქნებით იქა C. <sup>20</sup> გარდავაქვდევინებთ] უნდა გარდავაქვდევინებთ A. <sup>21</sup> კი—C. <sup>22</sup> სახლის ხე—C] და A. <sup>23</sup> + გუთნისა სახლისა და C. <sup>24</sup> და ან საიარაღე ხე—C. <sup>25</sup> რამ C. <sup>26</sup> დააწვევიინონ C.



7. ქ. ღმრთით, როდესაც ჯარი შემოგვეყრება, პირველს დღესაც და გასტუმრების დღესაც ჩვენ უნახავთ სანს, ამას გარდა ყოველ კვირას თავისი სარქარდა<sup>1</sup> და მინბაში უნახვედეს სანსა.

იმ მორიგეში მოსულს კაცს იმ ერთის თვის სამყოფი ტყვია და<sup>2</sup> წამალი სრულად უნდა ჰქონდეს, რომელსაც კაცს რომ<sup>3</sup> სამყოფი არ ექნება, სანს რომ ნახავთ, იარაღებს დაუსინჯავთ და<sup>4</sup>. ავად მოვეპყრობით.

8. ქ. ღმრთით<sup>5</sup>, რომელიც ამ ჯარს ეპირება, ყველა გაგვირიგებია, რომ იქნება: აქიმი<sup>6</sup>, ჯარა და ურდო-ბაზარი.

9. ქ. რომელიც ქართლისა და კახეთის აღებ-მიცემის კაცნი არიან, დუქნის პატრონი, ქართველი, სომეხი, ფრანგი, თათარი<sup>7</sup>, ჰურია, თუ რაც მიღეთის კაცი იყოს, ამათს<sup>8</sup> ბადალს ვიყაბულებთ.

მწყემსისა, მებალისა, ხაბაზისა, მზარეულისა, გუთნის დედისა და რომელიც შემძლებელი<sup>9</sup> მეწისქვილეა<sup>10</sup>, ამათს<sup>11</sup> ბადალსაც ვიყაბულებთ. მაგრამ ამათი ბადალი რომ არ მოვიდეს, არ იქნება, და<sup>12</sup> კიდევ გარდავლებათ.

რომელიც ვაქარი გზას წავა, რომ ქართლისა და კახეთის მამულში არ იქნება, იმისთანა კაცს თავისის თავისას ამ მორიგის ლაშქრობაში ვერას უსაყვედურებთ. ჩვენს საბრძანებელში კი არ მიგვიცია მურახასი თავისის<sup>13</sup> მორიგობისათვისა.

10. ქ. რადგანც მართებულია, რომ<sup>14</sup> ხუთისთავი უნდა მივართვათ ღმერთს, გინა ათისთავი, და ჩვენ ყოველმა კაცმა ჩვენის ქვეყნისა და ჩვენის თავის სასარგებლოდ წელიწადში ერთი თვე მივართვათ ღმერთსა და ვმსახუროთ.

11. ქ. ამ საქმეში თუ პირველმა თავადმა დააშაოს რაზე, რომოდაათი თუმანი წაერთვის<sup>15</sup>, თუ თეთრი არა<sup>16</sup> ჰქონდეს, ჯინში გამოერთვას, და ჩვენის ბძანებით სხვას<sup>17</sup> სასარდლოს ჯარს<sup>18</sup> მიეცეს.

12. ქ. ამას გარდა, რომელიც და რომელნაც წინააღმდეგი თავადმან, თუ იკადროს რაზე: ან ლაშქარს<sup>19</sup> აკლდეს, ან კაცი დააკლოს, და ან სხვა რიგი რამ საქმე დაიჭიროს წინააღმდეგი ამ ლაშქრობისა<sup>20</sup>, ამას ოცი თუმანი წაერთვას. რომელსაც თეთრი

1 სარქარდარი C. 2 და—C. 3 რომ—C. 4 და—C. 5 ღმრთით—A. 6 + და C. 7 თათარი—A. 8 იმათს C. 9 და რომელიც შემძლებელი—C. 10 მეწისქვილის C. 11 ამათს—C. 12 და] რომ C. 13 თავის C. 14 + ღმრთს A. 15 წაერთოს C. 16 არ C. 17 სხვა C. 18 ჯარს—C. 19 ლაშქარს C. 20 წინააღმდეგი ამ ლაშქრობისა C.

არა ჰქონდეს, მამული გაეყიდოს, და ამისი<sup>1</sup> გამონართმევი ჯარიმა ჩვენის ბრძანებით სხვას სასარდლოს<sup>2</sup> ჯარს გაეყოს.

13. ქ. აზნაურშვილი თუ თავის რიგზედ დააკლდეს, და<sup>3</sup> ამ ლაშქრობაზედ ერთი რამ დააშაოს, ათი თუმანი ჯარიმა<sup>4</sup> წაერთვას. ეგრეთვე მისი გამონართმევი<sup>5</sup> ჩვენის ბრძანებით სხვას სასარდლოს ჯარს უნდა<sup>6</sup> გაქეყოს.

14. ქ. სოფლის მოხელემ<sup>7</sup>, ნაცვალმა, ქეცხამ, თუ მამასახლისმა, წინააღმდეგი ამ ლაშქრობისა<sup>8</sup> თუ დააშაოს რამე, ექვსი თუმანი ჯარიმა წაერთვას, და<sup>9</sup> ჩვენის ბრძანებით სხვას სასარდლოს ჯარს<sup>10</sup> მიეცეს. თუ თეთრი არა ჰქონდეს<sup>11</sup>, მამული გაეყიდოს<sup>12</sup>.

15. ქ. თუ თავადი და<sup>12a</sup> ან აზნაური, ახალი თვე რომ დადგებოდეს, იმ თვის პირველის წინა დღეს<sup>13</sup>, რომელიც წინას თვის გასული დღე იქნება, მზას ჩვენთან არ გამოაცხადდება და მზას არ გვეჩვენება<sup>14</sup>, რაც ჯარიმა და გარდახდევინება დაგვიწერია, ის გარდახდება<sup>15</sup>.

თუ იმ ერთ დღეს დააკლდა<sup>16</sup>, ერთი ჯარიმა იქნება, თუ ორს დღეს დააკლდა, ორი ჯარიმა იქნება, და რამდენსაც<sup>17</sup> დღეს<sup>18</sup> დააკლდება, იმდენი ჯარიმა გამოერთმევა.

და თუ გაიპარა, და ან კაცი გააპარა, და ან<sup>19</sup> ამ ლაშქრობის წინააღმდეგი რამ ქნა, იმას<sup>20</sup> სამად და ოთხად გარდახდეს<sup>21</sup>, თავადისშვილს, აზნაურშვილს<sup>22</sup> და მოკვლეს.

16. ქ. და თუ გლეხის კაცისა, კიდევ ამ<sup>23</sup> რიგად: ერთი თვე რომ გავა, იმ გასულის თვის დღეს თუ ჩვენთან მზას<sup>24</sup> არ იქნება, და თავისის მორიგობის თვისა<sup>25</sup> ერთი დღე გაიყვანა, ერთხელ გავატაროთ რუსულად წყებლში; თუ ორი დღე გაიყვანოს<sup>26</sup>, ორჯერ გავატაროთ; და რამდენიც დღე დაიგვიანოს იმდენჯერ გავატაროთ<sup>27</sup>. და თუ გაგვეპაროს, ოთხჯერ გავატაროთ წყებლში.

თუ<sup>28</sup> უარშობით შინადამ იმ თვეში, რომელიც იმისი<sup>29</sup> რიგი იქნება, არ წამოვიდეს, და არც მოხელეს შეეპაროს<sup>30</sup> და<sup>31</sup> არც მებატონეს, და<sup>32</sup> მალვა დაიწყოს აქა და იქ<sup>33</sup> ტყეებში<sup>34</sup> და სოფელში, ამისთანა კაცი იმავე სოფელმა ან იპოოს<sup>35</sup> მოგვეცეს<sup>36</sup>, და ან ექვსი თუმანი ჯარიმა წაერთვას<sup>37</sup>. და<sup>38</sup> ის გაქცეული კაცი,

<sup>1</sup> ამის C. <sup>2</sup> სხვა სასარდლო C. <sup>3</sup> და—C. <sup>4</sup> ჯარიმა—A. <sup>5</sup> გამონართმევი BC. <sup>6</sup> უნდა—A. <sup>7</sup> მოხელე A. <sup>8</sup> წინააღმდეგი ამ ლაშქრობისა C. <sup>9</sup> და—C. <sup>10</sup> ჯარს—A. <sup>11</sup> ჰქონდეს A. <sup>12</sup> გაეყიდოს A. <sup>12a</sup> და—A. <sup>13</sup> დღის წინ B. <sup>14</sup> და მზას არ გვეჩვენება—C. <sup>15</sup> გარდახდება A. <sup>16</sup> დააკლო C. <sup>17</sup> რამდენს B. <sup>18</sup> დღესაც B. <sup>19</sup> და ან—B. <sup>20</sup> ამას AB. <sup>21</sup> გარდახდება C. <sup>22</sup> აზნაურისშვილს B. <sup>23</sup> ამავე A. <sup>24</sup> მზათ C. <sup>25</sup> მორიგობისათვის B. <sup>26</sup> გაიყვანა C. <sup>27</sup> + წყებლში C. <sup>28</sup> თუ და თუ B. <sup>29</sup> იმის C. <sup>30</sup> შეეპაროს C. <sup>31</sup> და—B. <sup>32</sup> და—A. <sup>33</sup> აქა-იქ C. <sup>34</sup> ტყეში C. <sup>35</sup> იპოვნონ B. <sup>36</sup> მოგვეცენ B. <sup>37</sup> წაერთვას AC. <sup>38</sup> და—A.

რომლისაც<sup>1</sup> დასტისა არ იყოს, ჩვენის ბძანებით ის ჯარიმა სხვას დასტებს გაეყოს<sup>2</sup>.

თუ<sup>3</sup> იმ გაქცეულმა კაცმა სხვას სოფელში ბუნაგობა დაიწყოს და დამალვა<sup>4</sup>, და<sup>5</sup> ან კიდევ ერთს კომლს კაცთან ნათესავეთან, თუ მოყვარესთან იმალებოდეს, და<sup>6</sup> ან თუ სოფელი მალევედეს, იმათ<sup>6</sup> ან ის კაცი გვიპოონ, მოგვეცენ, და ან ის ექვსი თუმანი ჯარიმა გასწიონ.

და<sup>7</sup> ეგრეთვე თუ ერთი კომლი კაცი<sup>8</sup> მალევედეს, იმანაც ექვსი თუმანი ჯარიმა გასწიოს და ის ჯარიმა, როგორც ზევით დაგვიწერია, იმ რიგად იმ<sup>9</sup> ჯარებზედ გაიყოფოდეს, ჩვენის ბძანებით. თუ ის გაქცეული კაცი ცოლ-შვილით იმ სოფელს გაეპარა<sup>10</sup>, ეს ჯარიმა კიდევ იმაე<sup>11</sup> სოფელს გამოერთვის.

თუ რომელმაც კაცმა იმისი გაპარვა იცოდეს და<sup>12</sup> არ გაამხილოს<sup>13</sup>, ეს ექვსი თუმანი იმას გამოერთვის, თუ არ შეეძლოს, სახლი, კარი<sup>14</sup>, მამული და დედული გაეყიდოს<sup>15</sup> და ჯარიმაში მიეცეს. ესეც<sup>16</sup>, განწესებისაებრ, ჩვენის ბძანებით, სხვას სასარდლოს ჯარს გაეყოს.

და<sup>17</sup> თუ ის გაქცეული კაცი სოფელმა, თუ ერთმა თავისმა<sup>18</sup> მეზობელმა, ან ნათესავემა<sup>19</sup> და მოყვარემ<sup>20</sup> მოგვეგვაროს<sup>21</sup>, მაშინ ამ წინას სამართლების მიხედულობით გავსინჯოთ<sup>22</sup> და<sup>23</sup> იმისი<sup>24</sup> სასჯელი მივაგოთ<sup>25</sup>.

ბ (17). ქ. ეს ყველამ<sup>26</sup> დიდმა<sup>27</sup> და მცირემ<sup>28</sup> შეიტყვევით: როგორათაც სჯულის კანონის შეცვლა არ იქნება, ისე ამისი<sup>29</sup> შეცვლა არ შეგვიძლიან<sup>30</sup>, და არც ამ ლაშქრობისა და<sup>31</sup> განწესებისა ცოტას რისამე<sup>32</sup> დახსნა და დაკლება არ შეგვიძლიან<sup>30</sup>; ვერც ჩვენ მოვინდომოთ<sup>33</sup>, ვერც ჩვენმა შვილებმა, არც დიდისა ვისგანმე<sup>34</sup> მუამავლობით ამისი მცირისა რისამე შეცვალება იქნება, რომელიც ამაში დაგვიწერია.

<sup>1</sup> რომლის B. <sup>2</sup> ~ ის ჯარიმა სხვას დასტებს გაეყოს ჩვენის ბძანებით A; გაეყოს B. <sup>3</sup> თუ და თუ B. <sup>4</sup> მალვა C. <sup>5</sup> და—AB. <sup>6</sup> იმათ—A. <sup>7</sup> — თუ B. <sup>8</sup> + თუ C. <sup>9</sup> იმ—C. <sup>10</sup> გაეპარათ A. <sup>11</sup> იმ C. <sup>12</sup> და—A. <sup>13</sup> გაამხილა BC. <sup>14</sup> სახლ-კარი AC. <sup>15</sup> გაეყიდნოს B. <sup>16</sup> ესეც და ესეც AB. <sup>17</sup> და—C. <sup>18</sup> თავისმან B. <sup>19</sup> ან ნათესავემა—A. <sup>20</sup> ~ მოყვარემ თუ მეზობელმა A. <sup>21</sup> მოგვეგვაროს B. <sup>22</sup> გავსინჯავთ A. <sup>23</sup> და—C. <sup>24</sup> ამის C. <sup>25</sup> მივიღოთ A. <sup>26</sup> ყველაყამ AB. <sup>27</sup> დიდმან B. <sup>28</sup> მცირემან B. <sup>29</sup> ამის C. <sup>30</sup> შეგვიძლია C. <sup>31</sup> და—B. <sup>32</sup> ცოტა რანისნე A. <sup>33</sup> + და A. <sup>34</sup> ვისმე C.

და თუ ან სამღვდლო კაცი გაერიოს, ან დიდებული თავადი, ან აზნაური, ან გლეხი-კაცი, თუ დედაკაცი, ვინც უნდა პატიოსანი ბძანდებოდეს და იმყოფებოდეს<sup>1</sup>, კანონსა და ბრალსა<sup>2</sup> ქვეშე<sup>3</sup> იქნების და<sup>4</sup> სიტყვის მიცემა ჰმართებს ღმერთთან<sup>5</sup>, სულითაც და ჯორციითაც.

18. ქ. რომელსაც თავადის შვილს მამულისა და საქონლის ილაჯი არა ჰქონდეს, ის სატუსალოში ერთი თვე დაეხას ბორკილით და ცარიელის პურისა, წყლისა და ღვინის<sup>6</sup> მეტს ნურას მიალეგინებ ჰამითა და სმითა, ზედამდგომელინი.

და<sup>7</sup> თუ იმ ზედამდგომელთ შეუტყვევით, რომ ამის მეტი, რაც არ დაგვიწერია სასმლისა და საკმლისაგან<sup>8</sup>, მიუტანიებიათ რამე, იმის გარდასაქდევინებელს ზედამდგომელს<sup>9</sup> გარდავაჯდევინებთ.

19. ქ. ეგრეთვე აზნაურ შვილი, რომელიც ჯარიმის უილაჯო იყოს, ასი გამორჩეული ფარეშის ჯოხი დაჰკრან, და ერთი თვე იმავ დასტურით, რომელიც თავადის შვილებისა დაგვიწერია, იმისთანა ტუსალობა გასწიოს<sup>10</sup> საპყრობილეში; მაგრამ მნახავი ნურც ერთთან ნუ მივა, თავიანთის<sup>11</sup> მოსამსახურისა, პურისა და წყლის და ღვინის<sup>12</sup> მიმტანის მეტი. იმ ერთს თვეს პურიც თავისი ჰამოს და ღვინოც თავისი<sup>13</sup> დალიოს.

და<sup>14</sup> თუ ის ტუსალი ავად გავდეს, ჩვენის ბძანებით აქიმმა ნახოს და ფიცით დაგვიმტკიცოს იმისი ავადყოფობა<sup>15</sup>, და გაუშვათ.

თუ<sup>16</sup> ტყუილად მოიგონოს, ათი დღე კიდევ მოემატოს ტუსალობა, მაგრამ ეს დამნაშავენი ქალაქს უნდა დატუსაღდენ<sup>17</sup> და აქ აღასრულონ თავეთი გარდასაჯადი<sup>18</sup> სასჯელი.

20. ქ. ამის პირზედ გარდანაწერი დავთრები სოფელში, რომელიც პირველი მღვდელი არის, იმას უნდა ებაროს და კარგად შეინახოს. თუ წააქდინა და კარგად არ შეინახა, ორს წარსწავართმევთ<sup>19</sup>.

თუ იმ სოფელში კარგად წიგნი არავინ იცოდეს, არც მღვდელმა და არც სხვამ კაცმა<sup>20</sup>, რომელსაც ახლო სოფელში კარგი მწიგნობარი იყოს, იქ მიიტანონ, წაიკითხონ და შეიტყონ.

<sup>1</sup> ~ იმყოფებოდეს და ბძანდებოდეს B. <sup>2</sup> ბრალს A, ბრალ B. <sup>3</sup> ქვეშ AC.

<sup>4</sup> და—A. <sup>5</sup> ღმერთთან] ღმრთ წინაშე C. <sup>6</sup> ~ პურისა და ღვინის და წყლის C.

<sup>7</sup> და—A. <sup>8</sup> ~ საკმლისა და სასმლისაგან C. <sup>9</sup> ზედამდგომელთ AC, <sup>10</sup> გასწიონ A.

<sup>11</sup> თავიანთ B, თავისის A. <sup>12</sup> ~ ღვინისა და წყლის C. <sup>13</sup> + უნდა A. <sup>14</sup> და—A.

<sup>15</sup> ავათყოფა C, ავადყოფა B. <sup>16</sup> თუ] და თუ B. <sup>17</sup> დატუსაღდენ BC. <sup>18</sup> გარდასახდელი B. <sup>19</sup> წავართმევ A. <sup>20</sup> სხუა კაცმა C.

21. ქ. თუ ერთ სოფელში ორისა და სამის კაცის ყმა იყოს, თვითონ მებატონემ კაცმა ამ დავთრის პირი ამოსწეროს<sup>1</sup>, თავ-თავის ყმისა შეინახონ<sup>2</sup>.

და<sup>3</sup> მუდამ იკითხვედნენ და აწსოვდესთ<sup>4</sup>, რომ ამ განჩინებას არავინ გარდაცდეს, თორემ, რაც დაწერილია<sup>5</sup>, ჩვენ ამას ვერას მოვაკლებთ დამნაშავე<sup>6</sup> კაცზედ, ყველამ დაჯერებით იცოდნენ.

ეგრეთვე სახასოს მოტელებმა და ეკლესიის მოტელეეებმა გარდასწერონ და შეინახონ.

22. ქ. რომელიც კაცი. რომელსაც<sup>7</sup> მინბაშს<sup>8</sup> და რომელსაც უხბაშს<sup>9</sup> აბარია, იმისი წინააღმდეგი რამ ქმნას, უნდა გარდაცდეს<sup>10</sup>. დანაშაულობის მსგავსად: გალახონ, დააბან ბორკილით და ეგრეთვე კუნდით. თუ<sup>11</sup> ასეთი დანაშაული ჰქონდეს, ჩვენი გასასინჯავი იყოს, ჩვენთან მოიყვანონ.

(23) ქ. ამ სარიშტისა და საქმისათვის წელს ქართლი და კახეთი რომ აეწერეთ და იმ აწერაში რომელსაც ჩვენის მწერლებისათვის კაცი დაუშალავს და არ დაუწერვინებია<sup>12</sup>, თავისმა ბატონმა და მოტელემ ამ აღდგომამდის<sup>13</sup> თუ არ გამოაჩინა, და მასუკან სხვისაგან ვიპოეთ, ის კაცი იმას წაერთმევა, ან სახასოდ დაიდება და ან სხვას კაცს მიეცემა.

24. ქ. რომელიც გლეხი-კაცი სახასოში, თუ ეკლესიის ყმაში, თუ სათავადოსა თუ<sup>14</sup> საზნაურში ილოში, მემკვიდრე თუ ჯიზანი იყოს ასეთი, რომ ერთს თვეში უქონლობით და სიღარიბით ლაშქრობა არ შეეძლოს, იმ<sup>15</sup> კაცს იმისნა მებატონემ, რომლისაც იყოს, თვეში ხუთი თუნგი ღვინო და ერთი კოდი პური მისცეს და საყოფი<sup>16</sup> მარილი ერთის თვისა და ისე გამოგზავნოს შეუძლებელი, თავისი მემკვიდრეცა და ჯიზანიცა<sup>17</sup>. ჩვენ ბრალი აგვიჭდია და შეგვიტყობინებია იმის<sup>18</sup> მებატონისათვის, და სამართლიანის საქმით გაარიგონ ხოლმე თავის ყმიდამ და სახელოდამ<sup>19</sup>.

25. ქ. საცა რომ ღვინო და ვენაქი არ იყოს, იმისთანა<sup>20</sup> სოფლის მებატონემ და მოტელემ და გლეხმა კაცმა, სადაურიც ის

<sup>1</sup> ამოსწერონ A; და C. <sup>2</sup> შეინახოს A. <sup>3</sup> და—A. <sup>4</sup> აწსოვდეს B. <sup>5</sup> დაწერილი არის A. <sup>6</sup> დამნაშავეს A. <sup>7</sup> რომლისაც A. <sup>8</sup> მინბაშისა A. <sup>9</sup> უხბაშსაც AC, + რომ A. <sup>10</sup> + და C. <sup>11</sup> თუ+ერთი A. <sup>12</sup> დაუწერვინებიათ AC. <sup>13</sup> აღდგომამდინ A. <sup>14</sup> თუ] და B. <sup>15</sup> ამ B. <sup>16</sup> სამყოფი AC. <sup>17</sup> თავისის ხიზანისაცა და მემკვიდრისაც A. <sup>18</sup> იმისი AC. <sup>19</sup> და სახელოდამ—B. <sup>20</sup> ამისთანა B.

კაცი იყოს, იმ სოფლიდამ ღვინის ფასად ჯინშით<sup>1</sup> შეიჯერონ იმ კაცის გული, თავთავის მებატონემ და მოკელემ.

26. აქამდის რომ სოფლებს სამასპინძლოს შეევაწერდით ხოლმე საჩვენოდ, და ან ვინც ჩვენ გვიახლებოდნენ<sup>2</sup> ხოლმე, უცხოს სტუმრის სამასპინძლოს გარდა, ის სამასპინძლოც ამოგვიკვეთია, ამ მიზეზით, როდესაც ქართლსა და კახეთს წავეიდოდით ხოლმე, სხვა მრავალი მეუღლეთე კაცი გამოგვეყვებოდა და ამ გზით სოფლის კაცნი შეწუხდებოდნენ ხოლმე; და<sup>3</sup> რადგანაც ეს ლაშქრობა ასე განწყესდა, ეს ხარჯიც<sup>4</sup> მორიგეთ<sup>5</sup> კაცთა თვითანვე<sup>6</sup> მოიქმარონ.

27. ქ. ვინ იცის<sup>7</sup>, ასეთი<sup>8</sup> საქმე გამოჩნდეს<sup>9</sup>, რომ<sup>10</sup> ერთს მკარეს ჩვენს ქვეყანაში ჩვენ წასვლა დაგვჭირდეს, მტრის საქმეს გარდა, მაშინ ამ განწყესებულის ჯარის-კაცისაგან, რა ერთიც გვინდოდეს, და<sup>11</sup> ჩვენის ამალისაგან, ვინც ჩვენ გვინდოდეს და რამდენიც გვეწადოს, თან ვიახლოთ, და ეგრეთვე ჩვენის კარის მოკელენი: მდივანბეგნი, სახლთ-ხუცესნი, ქეშიკიბაშნი<sup>12</sup>, ბაზიერთ-ხუცებნი<sup>13</sup>, ნაზირები<sup>14</sup>, მდივნები, ეგრეთვე ეშიკალასბაშნი<sup>15</sup>, ყორიასაულბაშნი<sup>16</sup>, მოლარეთ-ხუცესნი<sup>17</sup> და<sup>18</sup> მუშრიბნი<sup>19</sup>, ეგრეთვე ჯელჯოხიანები და იასაულები, რამდენიც და რომელიც<sup>20</sup> ვამჯობინოთ, ისინი წავიყვანოთ მცირის კაცით, ამისთვის რომ, კულანდელსავეთ ჩვენ რომ მრავალნი ვიახლოთ, არც ჩვენს სარქარს და<sup>21</sup> არც სოფლებს<sup>22</sup> შეეძლებათ ამათი ხარჯი, ლაშქრობის მიზეზით.

ვისაც უწინ ოცი და კიდევ მეტი კაცი ჰყოლოდეს, დასჯერდეს ექვსსა, და ვისაც ათი ჰყოლოდეს, დასჯერდეს სამსა, ორსა, გინა ერთსა. ამათის<sup>23</sup> საქმისა და გაძლებისა, სანამდის ღმრთით ჩვენ მოვბრუნდეთ და შინ მოვიდეთ, რითაც<sup>24</sup> იქნება, ღმრთით ჩვენ რიგი უნდა მივსცეთ; მაგრამ რომელსაც სოფელში მივიდეთ, იმ სოფელმა ძღვენი ღვინითა და ჯსნილში შეძლებით საჯსნილოდ<sup>25</sup> და მარხვაში<sup>26</sup> შეძლებით სამარხოლ<sup>27</sup>.

<sup>1</sup> ჯინით B. <sup>2</sup> გვიახლებოდა A. <sup>3</sup> და—BC. <sup>4</sup> ჯარჯის B. <sup>5</sup> მორიგე B. <sup>6</sup> თვითონ A, თავიანვე B. <sup>7</sup> + რომ C. <sup>8</sup> ასეთი ერთი A. <sup>9</sup> გაჩნდეს C. <sup>10</sup> რომ—AC. <sup>11</sup> და—B. <sup>12</sup> ქეშიკიბაში BC. <sup>13</sup> ბაზიართხუცეს BC, ხუცებნი A. <sup>14</sup> ნაზირები—AC. <sup>15</sup> ეშიკალასბაშები B, ეშიკალათბაშები C. <sup>16</sup> ყორიასაულბაში B, ყორიასაულბაში C. <sup>17</sup> ხუცებნი BC. <sup>18</sup> და—B. <sup>19</sup> მუშრიბები BC. <sup>20</sup> რომელიც A. <sup>21</sup> და—B. <sup>22</sup> სოფელს C. <sup>23</sup> ამათი B. <sup>24</sup> ვითაც B. <sup>25</sup> საჯსნილოთი A, საჯსნილოთ C. <sup>26</sup> მარხვათი A, მარხოში C. <sup>27</sup> სამარხოთი A.

და ცხენის ქერისათვის ასე განგვიწესებია<sup>1</sup>: აპრილიდამ ნახევარს ენკენისთვემდინ ქერს ძღვენად ვერ გამოვართმევთ, სტუმარს<sup>2</sup> გარდა. და ნახევარს ენკენისთვიდამ მოკიდებულ, გასულს მარტამდის ორს-სამის ლიტრით ქერით ძღვენი მოგვართვან, შეძლებით. თუ ორი ლამე დავრჩეთ, კიდევ ამავე<sup>3</sup> რიგით<sup>4</sup> ძღვენი მოირიგონ. და მორიგის ჯარი<sup>5</sup> რომელიც გვახლდება<sup>6</sup>, იმან თავისის<sup>7</sup> განწესებისაებრ გასძლოს: მაშინც ხომ<sup>8</sup> იმას<sup>9</sup> ერთის თვისა თან ახლდება, არც იქნება, რომ არა ჰქონდეს.

28. ქ. რომელსამე<sup>10</sup> კუთხეს ან ჩვენ და ან რომელისამე<sup>11</sup> ჩვენის შეილებისაგან მტრის მიზეზით მიშველება მოგვიტდეს, რაერთითაც კაცით მივეშველნეთ, მაშინ იმ ახლო-მახლო სოფლებმა<sup>12</sup>, როგორაც მართებულია და შეძლება იყოს, რომელიც მაშინ მორიგე კაცნი<sup>13</sup> იქნებიან, იმათს<sup>14</sup> გარდა, ჩვენთვის და სხვას ჩვენის ჯარისათვის სურსათი უნდა მოგვცენ<sup>15</sup>; კომლის კაცით მივალთ, თუ ნაკლების კომლის კაცით.

29. ქ. როდესაც მორიგე კაცი მომსვლელი იყოს, ვინ იცის, ასეთი ავი დარი იყოს, ქარი და თოვლი დაუდგეს, და ან წყლების<sup>16</sup> სიდიდის დრო იყოს, რომ წყალმა დაიჭიროს, იმას ვერას უსაყვედურებთ, რომ ვადაზედ ვერ მოვიდეს; მაგრამ სადაც გაუადარდეს, იქვე ახლოს სოფელში უნდა მოიციადოს, და იმ<sup>17</sup> სოფლის კაცნიც მოწმად უნდა იყოლიოს, რასაც დღეს მოსული<sup>18</sup> იყოს იმ სოფელში. იქიდან შინ ნულარ გამობრუნდება; როდესაც<sup>19</sup> რომ გზა ვერ დაუჭიროს ვერც ჰაერმა და ვერც წყალმა, მაშინვე ჩვენთან წამოვიდეს. თუ იმ სოფელს ლეკი მოუტდეს და მღვერობაში დაესწრას, თავის სოფლის მოწმობით იმასაც ჩაუგდებთ.

30. ქ. რადგანც ეს განაჩენი ასე მტკიცედ დაგვიწერია და საქართველოში ჩვენ, ყოველთა დიდთა და მცირეთა დაგვიმტკიცებია, რომ ამ საქმეზედ დამნაშავეთ უნდა გარდატდესთ, ესეც დიდის გაფრთხილებისათვის გაგვიჩენია, რომ დაუნაშავებელი<sup>20</sup> კაცი არ წაგდეს.

თუ ზემო ქართლში ვიმყოფებოდეთ და ან არაგვზედ, ან ფამბაქში<sup>21</sup>, ან ყაზახში, და<sup>22</sup> კახეთის მორიგე თავის ვადაზედ ქალაქს<sup>23</sup>.

<sup>1</sup> განვირჩიებთ B. <sup>2</sup> სტუმრის B. <sup>3</sup> ამ BC. <sup>4</sup> რიგად BC. <sup>5</sup> ჯარით B. <sup>6</sup> გვახლდეს C. <sup>7</sup> თავის BC. <sup>8</sup> რომ B. <sup>9</sup> იმას—A. <sup>10</sup> რომელისმე B. <sup>11</sup> რომელსამე C. <sup>12</sup> სოფელმა C. <sup>13</sup> კაცი B. <sup>14</sup> იმას A. <sup>15</sup> მოგვცეს A. <sup>16</sup> წყლის C. <sup>17</sup> იმ—B. <sup>18</sup> მომსვლელი C. <sup>19</sup> როდესაც—B. <sup>20</sup> დაუნაშავებლად C. <sup>21</sup> ფამბაქში AC. <sup>22</sup> და—A. <sup>23</sup> ქალაქში A.

ჩამოვიდეს<sup>1</sup>, თავისის<sup>2</sup> რიგის აღსრულებისათვის, და რადგან<sup>3</sup> ჩვენ ქალაქს არ დავხედებით<sup>4</sup>, რომელსაც მჭარეს ვიქნებით, იმ ქალაქიდან მაშინვე წამოვიდეს ის მორიგე კაცი; და რაქდენისა<sup>5</sup> დღის სავალია<sup>6</sup> ჩვენამდე, იმას ჩვენ ჩაუგდებთ და არას უსაყვედურებთ.

31. ქ. ეგრეთვე ქართველთაც ასე უანგარიშებთ, კახეთსა ვართ<sup>7</sup>, ყაზახ-ბორჩალოში<sup>8</sup>, თუ ფამბაკში<sup>9</sup>. ეგების ჩვენ უფრო მარჯვეს გზაზედ დავიბაროთ, ქალაქს ნულარ მოვა, რასაც გზაზედ დავიბაროთ მორიგე, იმ გზაზედ წამოვიდეს ყოველგნადამ.

32. ქ. თუ ერთს სოფელში ერთის მღვდლის მეტი არ იყოს, იმისი წამოსვლა არ იქნება. ბადალი დაიჭიროს და<sup>10</sup> ის გამოგზავნოს. თუ ორი იყოს, თავ-თავის<sup>11</sup> რიგზედ წამოვიდნენ<sup>12</sup>.

33. ქ. გუთნის დედისა რომ დაგვიწერია, რომ ბადალი უნდა წამოვიდეს, როდესაც<sup>13</sup> გენის დრო არ არის<sup>14</sup>, მაშინ თვითონ უნდა წამოვიდეს, ბადალს არ ვჯერვათ.

34. ქ. არიან ყოვლად სამღვდელონი ეპისკოპოზნი, არქიმანდრიტნი, წინამძღვარნი და მათის ყმის მოჭელენი და თავადნი, და ეგრეთვე სახასოს სოფლის მოჭელენი და მოურავნი<sup>15</sup>, რომელნიც<sup>16</sup> ამათგანნი შემძლებელნი არიან<sup>17</sup> თავისის<sup>18</sup> ყმისა და სახელოს გამოყვანის<sup>19</sup> ზოგისას, და ზოგისას კი ვერა.

მაგრამ ამ ლაშქრობაზედ ის დამნაშავე კაცნი ჯელში რომ ვერ ჩაიგდონ, იმისის სახლის კაცისასა და მამულისასა, და დედულისასა, და საქონლისასა შემძლებელნი არიან, რომ ჯელში მოგვეცენ.

და არც იქნება<sup>20</sup>, ორში ერთი არ მოგვეცენ, რომლისაც რომ შემძლებელნი არიან მოცემისა. და არც რომელიც<sup>21</sup> იმის<sup>22</sup> სოფელზედ და<sup>23</sup> ან ერთს იმ დამნაშავეს კაცის დამშალველს კაცზედ დავაკლებთ რასმე გარდატდევიებას, რომელიც ზევით დაგვიწერია, თუ ის კაცი ჯელში ვერ ჩავიგდევით<sup>24</sup>.

35. ქ. და რომელთაც ყოვლად სამღვდელთა ეპისკოპოზთა, ან არქიმანდრიტთა<sup>25</sup>, წინამძღვართა და<sup>26</sup> მათ მოჭელეთ, და<sup>27</sup> კიდევ თავადთა და აზნაურთა, და ეგრეთვე ამათ მოჭელეთ, და კი-

<sup>1</sup> წამოვიდეს B. <sup>2</sup> თავის B. <sup>3</sup> რადგანც A. <sup>4</sup> დაუქდებით B. <sup>5</sup> რამდენ-საც BC. <sup>6</sup> სავალი არის A. <sup>7</sup> + თუ A. <sup>8</sup> ყაზახსა ბორჩალო B. <sup>9</sup> ფანბაკში AC. <sup>10</sup> და—A. <sup>11</sup> თავთავეთის C. <sup>12</sup> წამოვიდეს AC. <sup>13</sup> + რომ A. <sup>14</sup> არის| იყოს A. <sup>15</sup> მოვრავნი B. <sup>16</sup> რომელიც A. <sup>17</sup> არიან—B. <sup>18</sup> თავიეთის B, თავადის C. <sup>19</sup> გამოყვანას C. <sup>20</sup> + რომ A. <sup>21</sup> რომელნიც A,—C. <sup>22</sup> იმისის A. <sup>23</sup> და—B. <sup>24</sup> ჩავიგდეთ A. <sup>25</sup> + და A. <sup>26</sup> და—A. <sup>27</sup> და—A.



დევ ჩვენის სახასოს ყმათ<sup>1</sup>, მოკლეთ,—ყველას ვიცნობთ შემძლე-  
ბელთა ამ საქმეში, და ეგრეთვე შეუძლებელთაცა,—რომელსაც იმ  
ჟარშიოს და<sup>2</sup> დამალულის კაცის მოყვანა ძალით არ შეუძლიან,  
იმას არას უსაყვედურებთ.

და ამ<sup>3</sup> დამნაშავის კაცის სოფელს<sup>4</sup>, როგორც ზევით დაგვი-  
წერია, ისე გარდავატყვევებთ<sup>5</sup>, და ეგრეთვე კიდევ იმის<sup>6</sup> დამნა-  
ალველს კაცს<sup>7</sup>, თუ ის კაცი არ მოგვეცეს ვაღამდის.

36. ქ. და რომელსაც მებატონეს, სამღვდელს, თუ საეროს,  
და<sup>8</sup> მოკლეთ, და ეგრეთვე სოფელს, თუ ერთს კაცს, შეუძლიან  
იმ დამნაშავის კაცის მოყვანა, და არ მოიყვანა, ამ<sup>9</sup> ზემოწერილის  
განჩინებისაებრ გარდავატყვევებთ<sup>10</sup>, იცოდნენ.

37. ქ. ვინ იცის, სამისა და ოთხის დღის ავადყოფა<sup>11</sup> გამო-  
იაროს ერთმა კაცმა და მალე მორჩეს და წამოსვლა შეეძლოს,  
მორჩომის შემდგომად კარგი მგზავრი იშოოს<sup>12</sup> და წამოვიდეს თა-  
ვისთავის რიგში, თორემ რაც გარდასატყვევებელი<sup>13</sup> დაგვიწერია,  
ნახევარი<sup>14</sup> უსათუოდ გარდატყვება და<sup>15</sup> გარდატყვება, იცოდეს.

აღიწერა სიტყვისა ღმრთისა განჯორციელებითგან წელსა ჩლოდ,  
ქორონიკონს უჯბ., იანერის ერთს<sup>16</sup>.

საბუთის ზურგზე: ათი ბეკედი ერეკლე II-ისა.

აშიახვ:

„იოანე ოსეს ძის მიერ პრობა-ქმნილი“.

128. [ბრძანება გიორგი ბატონიშვილისა გომჯალთ-უსუცას  
ჯუარბისადმი ლარგვისის მონასტრის შემუვალოზის შესახებ]

[1778 წ.]

ქ. ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი გ ი ბ ძ ა ნ ე ბ ბ ო ქ ა უ ლ თ -  
უ ხ უ ც ე ს ო ზ უ რ ა ბ !

მერმე, რაც ქსანზედ ლარგვის წმიდის ავედორის მონასტერს  
შეწირული აქვს რამე, ან ყმა და ან მამული, იმას ჩვენ ხომ არ  
გამოვწირამთ, თუ არა მოუმატეთ რა, ხატს ვერას გამოვწირამთ.  
რაც დებულება იყოს მონასტრისა, სულყველანი ისე უნდა ემსახურ-  
ნენ და აძლიონ მაგ წმინდანს მონასტერსა.

<sup>1</sup> ყმის A. <sup>2</sup> და—AC. <sup>3</sup> იმ ქA. <sup>4</sup> და ამ დამნაშავის კაცის სოფელს—C.

<sup>5</sup> გარდახდებთ C. <sup>6</sup> იმისის A. <sup>7</sup> კაცს—B. <sup>8</sup> და—C. <sup>9</sup> იმ A. <sup>10</sup> გარდატყვებს BC.

<sup>11</sup> ავადყოფა B. <sup>12</sup> იშოვნოს BC. <sup>13</sup> გარდასატყვევებელი BC. <sup>14</sup> ნახევარს B.

<sup>15</sup> და—BC. <sup>16</sup> აღიწერა... ერთი] დაიწერა წელსა განჯორციელებითგან სიტყვისა  
ღმრთისა ჩლოდ თვესა იანვარსა ა ქართულსა ქორანიკონსა უჯბ.

და მეორე ეს, რომე: ორაგულიდამ ხუთზედ ერთი ორაგული უნდა მაგ ეკლესიას მისცეთ, რადგანაც განწესებული ასე ყოფილა. და რომელიც მაგ ეკლესიას მოსამსახურე ჰყვანდეს, და თუ იმათ ჩვენი სამსახური არა სდებია-რა, ნურც ახლა სთხოვს ვინმე რასმე, ნურა ჩვენი მოსაქმე ნუ შეაწუხებს, თუ სათხოვარი არა სდებია-რა.

მთიბათვის ით, ქორონიკონს უაგ.

და როგორც აქამდისინ მაგ ქვეყანაში განწესებული და გარიგებული ყოფილა, თუ ეკლესიის სამსახური, თუ ჩვენი ვინცა-ვინ სახასონი და თუ უხასონი არიან და უმსახურნიათ, ჩვენ იმას არც მოუკლებთ და არც მოუმატებთ,—ყველანი ისე უნდა მოიქცნენ და იმსახურონ.

მეფის ძე გიორგი.

129. [განწესება ეპიკლე II-ისა და ანტონ I-ისა დოდოს მონასტრის უმა მაგულის დავით-გარეჯის არქიმანდრიტისათვის მიგარების შესახებ]  
[1779 წ.]

ქ. ჩვენ, ყოვლისა ზემოესა საქართველოესა მეფემან, უფლისა მიერ ცხებულის მეფის თეიმურაზისა ძემან, ირაქლი მეორემან და ძმამან ჩვენმან, ყოვლისა ზემოესა საქართველოესა მამათ-მთავარმან მეფის ძემან ანტონი ვბრძანეთ და განვაწესეთ და დავსწერეთ ბრძანება ესე შენდა მომართ, ყოვლად სამღუდელოო ნინოწმინდელ მიტროპოლიტო უფალო საბა:

ვინათგან ძუელთა გუჯარებთა შინა ეკლესიისა შენისათა მეფეთა წინაპართა ჩვენთა მიერ ბოძებულთა ესრეთ წერილ იყო, ვითარმედ დოდოს რქის მონასტერი ყოვლად სამღუდელოს ნინოწმინდლისათვის მიგვიბარებიაო, სხვას ჯელი არაეისა აქვსო, გარდა იმისა, ვინცა-ვინ ნინოწმინდელი იყოს.

და ოდეს ცოდვათა ჩვენთათვის უმკვიდრო იქმნა და დიაცალა მონასტერი დოდოსი, მისი მამული, და ყმა, და სამკაული ყოველივე თქვენ მოგებარათ. ხოლო ჩვენცა განვაწესეთ და დავამტკიცეთ ესე დიდსა გუჯარსა შინა, ჩვენ მიერ შენდამი ბოძებულსა.

და ვინათგან არა მცირედი ზოღუნვა გაქვენდა მონასტერთათვის უდაბნოსათა, ვითარცა მწყემსსა და მკურთხეველსა და მოურნედ ზედა-მდგომარესა მათსა, მოხველ აწ და ვედრება ჰყავ ჩვენდა მომართ, რომელ დავით-გარეჯის მონასტერი იწრო-ყოფასა შინა არსო, სახმართა ნივთთა საჭიროებისაგან და ჩემდა მო-

ბარებული დოდოს მონასტრის ყმა და მამული მათ მიაბარეთო, აშენებადმდე მონასტრისა მის.

ჩვენც მოხსენებაჲ შენი კეთილად ვრაცხეთ და მივაბარეთ, მოხსენებითა შენითა, დავით-გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტს გერმანეს და კრებულსა მის მონასტრისასა დოდოს მონასტრის ყმა და მამული.

გარნა, ბრძანებითა და განწესებითა ამით, ვითარმედ, ოდეს ინებოს ღმერთმან და მადლითა მისითა კჳალად აღემართოს და აღშენდეს მონასტერი დოდოსი, ჩვენ მიერ, ანუ სხვათა მიერ, და ყოველივე რაც იყოს მონასტრისა მის ყმა და მამული მყის თანად გამოებაროს ბრძანებითა ჩვენითა შენ მიერ, განა შემდგომთა მოსაყდრეთა შენთა მიერ დავით-გარეჯის არქიმანდრიტს და კრებულთა; და ყოველივე მიეზლოს დოდოს მონასტერს დაუკლებელად.

გარნა აწცა ნუ მოაკლებ ზედაზღედუელობასა მონასტრისა მის მამულსა და ყმასა, რათა ძალდატანებით და უსამართლოდ მსახურებით არავინ შეაწუხოსთ.

ხოლო აწ, მაღალ-ღირსო დავით-გარეჯის არქიმანდრიტო გერმანე, ვინაჲთგან შენდა რწმუნებულ არს, თანამდებობისაგებრ, დოდოს მონასტრის ყმისა და მამულის მოურნეობას ნუ დააცადებ.

ხოლო ბრძანებანი ესე ჩვენნი ეგენ მტკიცედ, უმერყად და პიროუქცევლად; სანამდის წმინდის დოდოს მონასტერი აღშენდებოდეს, ესრეთ უნდა ეგოს.

დაიწერა ბრძანება ესე და განწესება ჯელითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობრის თუ მანი შვილის სულხანისათა, მთიბათვის კე, ქორონიკონსა უაჲ.

ბეჰედი ვრეკლესი.

[30. [ბრძანება მრევლად გეფისა გეგანდრების სარგოს შესახებ]

[1779 წ.]

ჩვენი ბრძანება არის მოლარეთ-ხუცესო შიომ და მდივანო იოსებ!

მერე, ბილან რომ გემანდრებთან განგვიწესებია, რაც იმათი სამემა[ნ]დრო წილი აღგებოდეს, ხუთი წილიდამ ერთი ნახევარი წილი თომას უნდა მიეცეს, ერთი წილი ბილანს და ორწილნახევარი ოთხს გემანდარს—ოსეფას, დიმიტრის, იოანეს და ლთისიას; და რომელიც ამ ოთხის გემანდრის წილი იყოს, იმისი თუთხმეტზე ერთს წილის მეტს დიმიტრის უნდა მისცემდეთ.

ეს ასე უნდა აღასრულოთ და რაც ახლა ალიხანთან გაყო-  
ლილს კაცებიდან და ან ფრანგულადთან(?) გაყოლილის კაცებიდან სა-  
თაო ამდგარიყოს, მემანდრების წილი ამ ბილანისა, როგორც გვე-  
ბრძანებინოს, რაც ამ რიგით წილი ერგებოდეს, იმისი წილიც უნ-  
და მიაცემინოთ.

ახლაც და მას იქითაც ამ განწესებით უნდა ამყოფოთ.  
თიბათვის კჳ, ქორონიკოს უჳჳ.

ბეჭედი.

### ქი. განჩინება ბაჩისა და მთიურთა აღვილთა

[1782 წ.]

[განჩინება მთიურთა]

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ირაკლი მეორის ძემან, სრუ-  
ლიად არაგვის საერისთაოს მპყრობელმან ვახტანგ, სანატრელის  
ჩვენის ძმის ბატონისშვილის ლეონისაგან მთებში დადებული გან-  
ჩინება ხელმეორედ განვაახლეთ და რამდენიმე ჩვენ მიერ განწესე-  
ბულიც თან ჩაურთვეით.

ყოველთა მთიურთა ასე გიბრძანებთ: რომელიც ამას ქვეით  
დაიწერება, დღეის იქით ასე უნდა აღსრულდეს.

### ჩვენის ძმის განჩინება

1. ქ. ღმერთმან ნუ ქნას, თუ ვისმე კაცი შემოაკვდეს, იმ  
მკვდრის პატრონი თავისთავად ლაშქარს ნუ შეიყრის და მკვლელს  
ნუ დალაშქრავს, და ნურც თვითან ეცდება იმისს სიკვდილსა, ჩვენს  
სამართალში მოვიდეს და სამართალი მიეცემა.

თუ ჯარით დალაშქრავს და ან სხვარიგად მოინდომებს რას-  
მე იმის გარდაცდევინებას, იმ მკვდრის სისხლსაც ჩაუტარებთ, და,  
რომელიც კაცი იმას ლაშქრად მიჰყვება, იმასაც ჯარიმას წავართ-  
მევთ.

და უჩვენოდ იმასთან საქმის გასარიგებლად ბჭეებიც ნუ და-  
უსხდებიან, თორემ ბჭეებსაც დიდად ავად მოვეპყრობით.

2. ქ. თუ ვისმე უქორწილოდ ქალი ჰყვანდეს მიყვანილი ცო-  
ლად, ან ახლავ ჯვარი უნდა დაიწეროს იმ ქალზედ და ან ახლავ  
ტელი უნდა აიღოს.

თუ შეუტყვევით, რომ რომელსაც ქალი შინ მიყვანილი ცო-  
ლად ჰყოლია და იმაზედ ჯვარდაუწერელი ყოფილა, იმას ჩვენად  
შეცოდებად მოვიკითხავთ.

და ქალის პატრონი, რომელიც თავისს ქალს ჯვარდაუწერელს მისცემს, იმასაც ავად მოვეპყრობით.

ჯვარდაუწერელად ქალის შინ მიყვანა არ იქნება არას გზით.

ჰ. ქ. თუ რომელიმე ქრისტიანე კაცი ოსს ქალს მისცემს და დამოყვრდება, იმას ჩვენს მუხანათსავით მოვიკითხავთ და დიდათაც გარდავაჭდევენებთ.

და თუ ოსმა ქალი მოგცესთ, ის კი ითხოვეთ; მაგრამ უნდა კი მონათლოთ, მოუნათლაობა არ იქნება.

4. ქ. თუ რომელიც ქვრივს დაძახებს კაცი ვინმე, იმასაც ჩვენს მუხანათად მოვიკითხავთ. დღეის იქით დაძახებით ქვრივის შერთვა აღარ იქნება არას კაცისაგან.

რომლისაც კაცის შერთვა ქვრივის ნება იყოს, ის უნდა შეირთოს.

ჟ. ქ. თუ ჩვენის ბძანების წინააღმდეგი შეიქნას კაცი ვინმე, ის კაცი, რომლისაც სოფლისა იყოს, იმ თავისმა სოფლის კაცმა და იმისმა მოჭელემ უნდა დაიჭიროს და დაჭერილი ჩვენთან უნდა მოიყვანონ.

თუ არ დაიჭერენ და დაჭერილს არ მოგვევრიან, რისაც გარდაჭდევენების ღირსი ის კაცი იქნება, იმის მაგიერად იმ სოფელსა და იმისს მოჭელეს გარდავაჭდევენებთ.

8. ქ. თუ რომელიმე კაცი, ჩვენის ბძანების წინააღმდეგი, იმ თავისს სოფელში აღარ იყოს და სხვას სოფელში მივიდეს, ის თუ იმ სოფლის კაცთ და მოჭელემ არ დაგვიჭიროს, იმ კაცის მაგიერ იმათ გარდავაჭდევენებთ.

### ჩვენი განჩინება

7. ქ. რომელიც რომ ამ ქვეყნისათვის ებისკოპოსად დადგინებული წილქნელი ბძანდებოდეს და იმ ეპისკოპოსმა სულიერი კანონი გიბძანოსთ და მართლას ქრისტიანობის წესი და რიგი გამცნოსთ და დაგარიგოსთ და თქვენ იმაზედ არ დაემორჩილნეთ და არ დაუჯეროთ და ეს ჩვენ შეგიტყვევით, ამას დიდად მოგკითხავთ და ჩვენად შეტოდებად და მუხანათად გარდავაჭდევენებთ.

8. ქ. დღეის იქით ტყუილად საჩივარი და ტყუილად წადავება ვისიმე აღარ იქნება სამართალში გამტყუნიბულისაგან.

და თუ რომელსამე სამართალში გაუფლიათ და იქ ერთი რამ ნაკლები სამართალი მისცემიათ, და საბუთები ექნება იმ თავისის საჩივარისა, მაშინ ჩვენ აღარ დაუშლით სამართალში მოსვლას.

მაგრამ თუ ის საბუთები ქეშმარიტი არ არის და ტყუილად წაედგება და სამართალში გაივლის, დიდად გარდავატღეინებთ.

9. ქ. ღმერთმან ნუ ქნას, თუ რომელსამე სოფელში კაცი ამოსწყდეს, ან შვილი, ან ძმა არ დარჩეს, იმისს მამულს ნურვინ დაიქერს, თუ უნდა გაყრილი ძმაც რომ ჰყვანდეს.

მანამდისინ ჩვენ არ მოგვახსენოს, მანამდის ის მამული ისევე ბეითალმანად უნდა იდვას. მოტელე მოვიდეს, მოგვახსენოს, და როგორც ჩვენ უბძანოთ, იმ მამულის საქმე ისე უნდა აღსრულდეს.

10. ქ. ნურცავენ ჩვენი ყმა საყდრის მამულს იყიდის და ნურც საყდრის ყმა ჩვენის ყმის მამულს.

ღლეის იქით თუ იყიდის ვინმე, იმ მამულზედაც ტელს ავალე-ბინებთ და თავისს მამულსაც წაუარამევთ.

11. ქ. ვინიცობა არის, თავისის სოფლიდამ მამულის მქონე კაცი აიყაროს და სხვა სოფელში დასახლდეს და იქიდან მამულის გასყიდვა მოინდომოს, თუ ჩვენს უბძანებლივ იყიდის ვინმე. დიდად ავად მოვეპყრობით.

და რასაც იმ მამულში ფასს გაიღებს, ერთს კიდევ იმდენს ჩვენ წაუარამევთ, და არც იმ მამულს ვასყიდვინებთ.

12. ქ. მსახური თავის მამულს ვერ გაჰყიდის, ამიტომ რომ ის მამული, ჩვენის სამსახურის სანუქტოთა აქვს მიცემული.

თუ ან გაჰყიდის და ან იყიდის ვინმე, გამსყიდველსაც და მსყიდველსაც დიდად ავად მოვეპყრობით: იმ მამულსაც წაუარამევთ და თავისს სამკვიდროს მამულზედაც ტელს ავალებინებთ, რადგან მსახურთ მამული, ვინც ჩვენნი მსახურნი იქნებიან, იმათვის არის განწესებული, სხვათ არ მიეცემა.

13. ქ. თუ სახასოს კაცის მამულს აზნაურიშვილი, თუ სხვა მოტელე ვინმე იყიდის ჩვენს შეუტყობლად, იმ აზნაურიშვილს დიდად უწყენთ.

თუ სყიდვის მოწადე იქნება, მოვიდეს, იმ აზნაურიშვილმა ჩვენ მოგვახსენოს. თუ მუნასიბი იქნება, ჩვენ გავსინჯავთ, და ჩვენის დასტურით იყიდოს ის მამული.

14. ქ. თუ სამართალში კაცი დავიბაროთ და ის კაცი ჩვენს იასაულს არ გამოჰყვეს, რომლისაც სოფლისა იყოს, იმ სოფლის კაცთ დაგვიქირონ და მოგვეგვარონ.

და თუ იმ სოფლიდამ გაეპაროსთ სადმე, სადაც წავიდეს ჩვენს საბრძანებელში, ყველგან უნდა სდიონ და ეცადნენ იმისს ტელში ჩაგდებას. თუ ამაზედ ბეჯითად არ გაისარჯნენ, დიდად გარდავატღეინებთ.

და თუ სხვას სოფელში მივიდა სადმე და სწორედ იმ სოფლის კაცთ არ დაგვიჭირეს, ჩვენს მუხანათსავით მოვიკითხავთ.

#### ბანჩინება ბარისა

ყოველთა არაგვის საერისთოს ბარში მყოფთა კაცთა ასე გიბძანებთ:

ქ. მართალია, ბევრი მთის განჩინებაც ურევია, მაგრამ აქ ესეც საჭმარია, რომ უნდა იყოს.

15. ქ. რომელიც რომ ფასის ყარაული არის განწესებული, ის ყარაული დრომდის სულ მოუკლებლად უნდა იყოს, და იმ ყარაულებს თავ-თავისი ფასის მძლეველი სოფლები განწესებულ ფასს დაუკლებლად უნდა მისცემდენ ხოლმე.

და თუ იმ ყარაულებმა ყარაულობის რიგს დააკლეს რამ, და ან ბეჯითად არ მოიქცნენ, დიდად გარდავაჭდევიანებთ.

და თუ იმ ფასის მძლეველმა სოფელმა თავისის განწესებულის ფასის მიცემა დააკლეს, იმათაც დიდად გარდაჰქვამებთ.

16. ქ. ღმერთმან ნუ ქნას, თუ ან ტყვე დაიკარგოს და ან საქონელი, და ან ყაზახი გაჩნდეს სადმე, იმაზედ დიდად ბეჯითად უნდა გაისარჯნენ მდევრობით თუ გზის შეკვრით, და იმის მდევრობაზედ კაცი არ უნდა დააკლდეს, თუ არ შეუძლებელი.

და თუ იმის მდევრობაზედ დააკლდება ვინმე და დიდად ბეჯითად არ მოიქცევიან, და არ გაირჯებიან, და სადამდისაც მდევრობის ყავლი დასრულდება, რომ იმას იქით აღარას გზით აღარ შეიძლებოდეს, იქამდის არა სდევნენ და დვენას დააკლებენ, სწორედ ჩვენის მუხანათის მსგავსად გარდავაჭდევიანებთ.

17. ქ. რომელსაც სოფელში ტყვე დაიკარგოს, იმ სოფელმა ყოველს თავისს მახლობელს სოფლებს უნდა შეატყობინოს და მაშინვე მდევარი უნდა გამოუდგეს.

რომელიც სოფელი იმის მდევრობაში დააკლდება, დიდად გარდავაჭდევიანებთ და იმ ტყვესაც იმ სოფელს დაეახსენევიანებთ.

და თუ რომლისამე სოფლიდამ იმ მდევრობაში კაცი დააკლდეს, იმ კაცს ორი ზროხა გამოართვან და იმ მდევრის კაცთ გაიყონ.

ქ. ასე ამ წესით უნდა მოიქცეთ.

თვითო ამისთანა წიგნი ყველგან ჩვენს საბრძანებელში ძვეს და თქვენშიაც გამოვგზავნეთ ეს წიგნი, რომ მანდ უნდა იდვას.

რომელიც კაცი დღეის იქით ამ ზემო ბრძანებას გარდავდება, იმ კაცმა ასე იცოდეს: როგორც კაცის მკულელს სიკვდილით, მამულიდამ და თავის ალაგიდამ აყრიოთ, აკლებით და დაკარგვით გარდავადდევინებთ, ისე ამ ბრძანების წინააღმდეგომს.

აღიწერა ოკდონბერს იდ, წელსა ჩლჰჰ, ქორონიკონსა უო.

132. [სათხოვრის წიგნი მრავალე II-ისა ეკატერინე II-სადვი]

[1782 წ.]

### სათხოვრის პუნქტები

1\*. ქ. ყოვლად მოწყალის დიდებულის გელმწიფისაგან ჩუენ და ჩუენი ქუეყანა მათის საფარველით დაფარულნი ვიყუნეთ, რომ არც თურქის სულტანს და არც სპარსეთის გელმწიფეს ჩუენთან სამტროთ ველი არა ჰქონდესთ, თუ რომ ისინი რუსეთის დიდებულის გელმწიფის აშლილნი არ იყუნენ.

და როდესაც აშლილნი [იყუნენ], ჩუენ მათის დიდებულების მონანი ვიქნებით და მშველელიც ის იქნება ჩუენი.

2. რომელიც რუსეთის ყოვლად მოწყალის გელმწიფისაგან აქეთ მხარეს სამსახური გეგბძანება, ჩუენის თავით, ჩუენის შვილებათ, ჩემის ქვეყნით, ყოვლის ჩემის ძალით და შეძლებით მათს სამსახურზე მზა ვარ და არც ჩემს თავს, ჩემს შვილებს და ჩემს ქვეყანას დავზოვავ.

3. ქართლი ძველადაც ჩემის პაპების სამკე[ი]დრო იყო და მასუკან ნადირშიმ მამაჩემს უბოძა. იმ უამად მტრისაგან გაობრებული და გახარაბებული იყო. მამა ჩემი და მე დიდის ღვაწლის დადებით ამ ქვეყნის აშენებას ვეცადენით.

მრავალჯერ ამ ქუეყანაზედ წასახდენათ მოსრულნი სპარსეთის დიდ-დიდი ჯარები დავამარცხეთ; და აგრეთვე თურქის სულტანის ჯარს წასახდენათ არ დავანებეთ და იმის ჯარები დავამარცხეთ, და რამდენჯერ დალისტნის შეყრილი დიდროანი ჯარები დავამარცხეთ.

და ეს ქუეყნები ღმრთის მოწყალებით და მათის იმპერატორობის დიდებულების ბედნიერობით და ჩუენის გარჯით ავაშენეთ; და ამ ქუეყნებს გარდა სპარსეთის სახელმწიფოს ალაგები: ერევანი და განჯა ჩუენს ქუეყანას შევამატეთ და დავადევით.

წარსულს წელიწადებში ბაქარიშვილი ალექსანდრე იმერეთს მოვიდა და ცდილობდა რომ ჩუენი ქვეყნები აერია. მე დალისტნიდამ და სხვა ალაგებიდან ჯარები მოვიყვანე, ბევრი დავხარჯე; იმ ალექსანდრე ბაქარის შვილმა ჩემი წინააღმდეგობა ველარ

\* ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.



შეიძლო; იმერეთიდან წავიდა, კაკის უფროსებს დალისტანში და თ ა თ ა ლ ი ხ ა ნ ს შეეხვეწა და ახლაც იქ არის.

მე ჩემის ყოვლად მოწყალის ჯელმწიფისაგან ამ წყალობას ვითხოვ: ჩემი ძველადგან პაპების სამკვიდრო და ჩემგან ამდენის გარჯით და ღვაწლის დადებით აშენებული ქუეყანა ჩემს შვილებს და ჩამომავლობას არ დაეკარგოს და არ მოეშალოს და საბოლოოთ ისე დაუმტკიცდეს; და ყოველნი ჩემნი ჩამომავალნი რუსეთის მონარხის ერთგულნი მონანი და მოსამსახურენი იყუნენ.

და ეს მათის დიდებულების ჩვენზე და ჩუენს ჩამომავლობაზედ მოწყალება გამოცხადებული იყოს, რომ უქკუოს ბაქარის შვილს ალექსანდრესავეთ გამოჩნდეს ვინმე, უმეცარი ხალხი არ აპყუეს.

4. ვინ რუსეთის ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის შერიგებულნი არის, იმისი ჩვენც უთუოდ მეგობარი ვიქმნებით.

მაგრამ თუ როდესმე რუსეთის დიდებულის ჯელმწიფისაგან თურქის სულტანზედ საფარი ებრძანება და იმპერატორობის დიდებულების ჯარი ჩვენ შეგვიერთდება, ჩვენ და ჩვენს ქვეყანას რაც შეძლება გვაქვს, სამსახურზე მზანი ვიქმნებით და არც ჩუენს თავს დაეზოგავთ.

და მაშინ ამ მოწყალებას ვითხოვთ, რომელიც ჩვენი სამკვიდრო ქვეყნები არის: ახალციხე, ყარსი და იმის ალაგები, ჩვენ არ დაგვეკარგოს.

5. და თუ როდესმე მათის დიდებულების რუსეთის ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის საფარი სპარსეთის მჯარეს მოხდეს, რაც სამსახური მათის დიდებულებისაგან გვებრძანება, ჩვენ ჩვენის ძალით და შეძლებით მზანი ვართ და სამსახურზე თავს არ დაეზოგავთ.

მაშინაც ამ მოწყალებას ვითხოვთ, რომელიც ჩვენი მამულები ამ მჯარეს ლეკებს უჭირავსთ, იმისი დაჭერა შეგვაძლებინონ.

6. თუ ახლა აქეთ მჯარეს საფარი არ იყოს, ეს მოწყალება გვიყონ, ორი პოლკი გასწავლებული ჯარი გვიბოძონ. ჯამაგირის წყალობა მანდემად დაემართოსთ და იმათს პრავიანტს აქედამ ჩვენ მივსცემთ.

რადგან დალისტინელები აქ ჩვენ ჯარათა გვეყვანან, იმათს ჯამაგირსა და მიცემაზე ბევრი გვეხარჯება; მაგ ჯარის ჯამაგირის მიცემაზე ამიტომ თავი ვაწყინეთ.

ე რ ე კ ლ ე

დეკემბრის 21 წელთა 1782.

[1783 წ.]

ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანმან მეფემან ქართველთამან და მეფემან კახთამან, განჯისა, ერევნისა, ყაზახისა, ბორჩალისა და შამშადილისა ფლობით მპყრობელ-მქონებელმან მეორემან ირაკლიმ და თანამეცხედრემან ჩვენმან, ბატონის დადიანის ასულმან, დედუფალმან დარეჯან, პირშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, საქართველოს უფლისწულმან, ბატონმან გიორგიმ, ბატონმან იულონ, ბატონმან ვახტანგ, ბატონმან მირიან, ალექსანდრემ და ფარნავაზ, ძის ძეთა ჩვენთა დავით, იოანემ, ბაგრატ და თეიმურაზ, ესე წყალობის წიგნი და ფარმანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს დიდად ერთგულს და წესისამებრ მრავალრიგად თავდადებით ნამსახურს ყმასა, საამის შვილს ზაალს, ასე რომელ, მოგვიდევ კარსა დარბაზისა ჩვენისასა და მამის შენის საჯელოს, ყორიასაულბაშის, წყალობას დაგვეაჯე.

ვისმინეთ აჯა და მოქსენება შენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენის კარის ყორიასაულბაშობა მისის სამართლიანის სარგოთი. ამ წესით, რომ რიგიანად უნდა კარხედ იმსახურებდე.

გაგიჩინეთ ჯამაგირად წელიწადში თვრამეტი თუმანი, რომ ეს უკლებლად ყოველს წელიწადს ჩვენის სარქრიდამ უკლებლად უნდა მოგეცემოდეს.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა. არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა მეპატრონეთაგან.

აწუ გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვეჟილ-ვაზირხო და მდივანო, თქვენც ასე დაუმტკიცეთ წყალობა ესე ჩვენგან ქმნილი და ნურავინ შლად ჰელჰყოფთ თვინიერ თანადგომისა და შეწეენისაგან კიდე.

აღიწერა ჰელითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობრის თუმანი შვილის სულხანისათა.

მთიბათვის ი, ქორონიკონს უოა.

[1783 წ.]

[1] ყოვლად უგანათლებულესი, უთვთმპყრობელესი, დიდი ტელმწიფე იმპერატრიცა ეკატერინა ალექსანდრენა, მპყრობელი\* ყოვლისა რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვოროდისა; მეფა ყაზანისა, მეფა ასტრახნისა, მეფა სიბირისა; ტელმწიფა პსკოვისა, და დიდი მთავრინა სმოლენსკისა, მთავრინა ესტლანდიისა, ლიფლანდიისა, კორელისა, თვერისა, იულორსკისა, პერმსკისა, ვიატსკისა, ბოლღარისა, და სხუათა ტელმწიფა, და დიდი მთავრინა ნოვოროდის ნიჟოვის ქუეყანათა, ჩერნიგოვისა, რეზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელაოზერისა, უდორისა, ობდორისა, კონდისა და ყოვლისა ჩრდილოეთის კერძოთა მბრძანებელი, და ტელმწიფა ივერისა ქუეყანისა ქართლისა, და საქართუელოსა თავადთა და ყაბართოს ქუეყნისა, ჩერქეზთა, და მთიურთა თავადთა, და სხუათა მემკვდრე, ტელმწიფე და მფლობელი;

ირაკლი მეორე, წყალობითა ღმრთისათა და თქუენის იმპერატორების დიდებულებისა კეთილნებობითა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვდრე-მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადლისა, მთავარი კაკისა, მთავარი შამაქისა, და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა.

თქუენმა იმპერატორებისა დიდებულებამან მიიღო ყოვლად უმოწყალესობით თხოვა ჩუენი, უსამღუდელოესისადმი საყდრისა თქუენისა ნორთმეული, მიღებისათჳს ჩუენისა, და მონაცუალეთა ჩუენთასა ყოვლითა სამეფოთა, და სამფლობელოთა ჩუენითა, ყოვლად უმაღლესსა მფარუელობასა შინა თქუენისა, და მენაცულებთა საყდრისა თქუენის იმპერატორებისათა, აღსარებითა კერძოთ ჩუენით უზენაესისა ტელმწიფებისა, ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართლისათა და ყოველთა ზედა სამფლობელოთა მათთა, მონარხოობითთა თქუენითა ჩუენდამო, თქუენითა ჩუენდამო წყალობითა და მოწყალებითა ინებეთ დამტკიცება ახლითა წინდითა, რომელიცა დამტკიცდა თქუენის იმპერატორების დიდებულებისა სრულის ძალის მქონებელისაგან და ჩუენ მიერთა სრულის ძალის მქონებელთაგან დღესასწაულობითთა პირობითა, რომელნიცა არიან აქა შემოხმულ ლექსითი-ლექსად.

\* დაყოფით დაბეჭდილი სიტყვები დედანში დაწერილია ასომთავრულით.

[v] სახელითა ღმრთისა ყოვლისა  
შემძლებელისა ერთისა სამწმი-  
ლაობასა შინა დიდებულისათა.

ადრითგან ერთმორწმუნეობა-  
მან ყოვლისა რუსეთისა იმპერი-  
ისა თანა ქართულთამან ჰმსა-  
ხურა მთარუელობითა, შემწეო-  
ბითა, და შესავედრებელობითა  
მათ ერთათა, და უგანათლებუ-  
ლესთა მათთა მფლობელთათა  
წინ აღმდგომად მაჰირუებელთა,  
რომელთაცა ქუეშე შემვრდომ  
იყუნეს იგინი მეზობელთაგან  
თუსთა.

მთარუელობამან ყოვლისა რუ-  
სეთისა თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ თ ა-  
მან მეფეთა მიმართ საქართუე-  
ლოდსათა, ნათესავთა, და ყმათა  
მათლამი მინიჭებულმან, გამო-  
იყუნან მოკიდულებდა იგი უკანა-  
სკნელთა ამათ, პირუელთა ამათ-  
გან, რომელიცა უფროსლა იჩუე-  
ნების რუსეთისა სა ი მ პ ე რ ა-  
ტ ო რ ო დ ს ა ტ ი ტ ლ ო დ ს ა გ ა ნ .

აწ ბედნიერად მმეფობამან ი მ პ ე-  
რ ა ტ ო რ ო ბ ი ს ა მ ის ის ა დ ი დ ე-  
ბ უ ლ ე ბ ა მ ა ნ ც ხ ა დ უ ყ ო ერთა,  
ამათ ნამდვლითა სახითა მონარ-  
ხობითი თუსი კეთილ-ნებობაჲ,  
და დიდსულობით მზრუნუელო-  
ბაჲ კეთილობისათუს მათისა  
თუსითა ძლიერითა მეცადინე-  
ობისა დართუთა განთავისუფლე-  
ბისათუს მათისა ულლისაგან მო-  
ნებისა, და საყუედრელისაგან  
ტყუედ მიწდისა ჯაეთა და ქალ-  
თასა, რომლისაცა რომელნიმე

[9] Во имя бога всемогущаго,  
единого в трице святей  
славимаго.

Отъ давняго времени Всерос-  
сийская Имперія\* по едн-  
новерию съ Грузинскими на-  
родами служила защитою, по-  
мощию и убежищемъ темъ на-  
родамъ и Светлейшимъ Владе-  
телямъ ихъ противъ угнетен-  
ній, коимъ они отъ соседей  
своихъ подвержены были.

Покровительство Всероссий-  
скими Самодержцами Царямъ  
Грузинскимъ, роду и поддани-  
мъ ихъ даруемое произвело ту за-  
висимость послѣднихъ отъ пер-  
выхъ, которая наипаче оказы-  
вается изъ самаго Россійско-Им-  
ператорскаго титула.

Ея Императорское Ве-  
личество, ныне благополуч-  
но Царствующая, достаточ-  
нымъ образомъ изъявила Мо-  
наршее Своекъ симъ народамъ  
благоволение и великодушный  
о благе ихъ промыслъ сильными  
Своими стараниями, приложе-  
нными о избавлении ихъ отъ  
ига, рабства и отъ непос-  
ной дани отроками и отроко-  
вицами, которую некоторые изъ  
сихъ народовъ давать обязаны

\* В подлиннике — заглавными  
буквами.

ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყუნეს, და განაგრძელებს თვისსა მონარხოებითა მოხედუასა მფლობელთა მათთადმი.

ჰაზრითა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, რომელიცა მოღებულ იქმნა ტახტისადმი მისისა დიდებულებისა მიღებისათვის ყოვლითა მემკვიდრითა, და მენაცუალითა თვისითა და ყოვლითა სამეფოთა, და სამფლობელოთა თვისითა მონარხოებითა მფლობელობასა ქუეშე მისისა დიდებულებისასა, და მალალთა მემკვიდრეთა მისითა, და მოსაყდრეთა უზენაეს კელმწიფედ აღსარებითა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისათა, ყოვლად უმოწყალოსობით ინება აღდგინება და დამტკიცებაჲ მეგობრობითისა პირობისა ჰესენბულისადმი უგანათლებულესისა მეფისა, რომლისაცა ღონედ ერთ კერძო უგანათლებულესობა მისი სახელითა თვისითა და თვისთა მენაცულებათა აღიარებს უზენაესსა კელმწიფეებასა და მფარველობასა მისისა იმპერატორობის დიდებულებისასა და მალალთა მოსაყდრეთა [2] მისთა მფლობელთა ზედა, და ერთა სამეფოჲსა ქართლისა და კახეთისათა და სხუათა სა-

ბიჲ, и продолженнемъ Своего Монаршаго призрениа ко Владетелямъ оныхъ.

Въ семь самомъ расположении, снисходя на прошения ко Престолу Ея принесенныя отъ Светлейшаго Царя Карталинскаго и Кахетинскаго Ираклия Теммуразовича, о принятии его со всеми его наследниками и преемниками, со всеми его Царствами и Областями въ Монаршее покровительство Ея величества и Ея Высокихъ Наследниковъ и Преемниковъ, съ признаниемъ Верховной власти Всероссийскихъ Императоровъ надъ Царями Карталинскими и Кахетинскими, Всемилостивейше восхотела постановить и заключить съ помянутымъ Светлейшимъ Царемъ дружественный договоръ, посредствомъ коего, съ одной стороны Его Светлость именемъ своимъ и своихъ преемниковъ, признавая Верховную власть и покровительство Ея Императорскаго Величества и Высокихъ Ея Преемниковъ надъ Владетельми и народами Царствъ Карталинскаго и Кахетинскаго и прочихъ Областей, къ нимъ принадлежащихъ, ознаменилъ бы торжественнымъ и точнымъ образомъ обязательства свои въ разсужде-

მფლობელოთა შესაბამთა მათ-  
თადმი, რათა დანიშნულ ჰყოს  
(სამეუფოთა) დღესასწაულობი-  
თა და ნამდვლითა ხატითა შე-  
კრულებაჲ თჳსი, განსჯითა ყოვ-  
ლისა რუსეთისა იმპერიისა თანა.

ხოლო მეორით კერძო დიდე-  
ბულებაჲ იმპერატორები-  
სა მისისა ესრეთვე შემძლე-  
ბელ არს, რათა დანიშნულ ჰყოს  
დღესასწაულობით, თუ ვითარი  
აღმატებულებაჲ და სარგებელი  
მიენიჭების, მოწყალისა და ძლი-  
ერისა მარჯუენისაგან მისისა  
ჰქსენებულთა ერთა და უგანთ-  
ლებულესთა მფლობელთა მათთა.

დასამტკიცებელად ესევეთა-  
რისა პირობისა, ინება დიდე-  
ბულებამან იმპერატორე-  
ბისა მისისამან სრულისა  
ძალისა ქონებად უგანთლებუ-  
ლესი კნიაზი იმპერიისა ჰრომა-  
ულისა გრიგორი ალექსანდრო-  
ვიჩი პოტემკინი, მკედართა თჳს-  
თა ლენერალ-ანშეფი, მბრძანე-  
ბელი სუბუჟისა ცხენოსნისა, გან-  
ჰსწავლულისა და განუსწავლუ-  
ლისა და სხუთთა მრავალთა სა-  
მკედროთა ძალთა, სენატორი  
სახელმწიფოჲსა, სამკედროჲსა  
კოლლეგიის ვიცე-პრეზიდენტი,  
ისტრაზნისა და სარათოვისა,  
აზოვისა და ნოვაროსიისა, მო-  
იდგილე პელმწიფისა, ლენერალ-  
ადუტანტი თჳსი და დეისტვი-  
ტელნი კამერლერი, კავალერ-ლე-  
არდიისა კორპუსისა პორუთჩი-  
კი, ლეიბვარდიისა პრეობრაჟე-

ნიი Всероссийской Импе-  
рии.

А съ другой Ея Импера-  
торское Величество та-  
кожде могла бы ознаменить  
торжественно, каковыя пре-  
имущества и выгоды отъ шед-  
рой и сильной Ея десницы  
даруются помянутым народамъ  
и Светлейшимъ ихъ Владете-  
лямъ.

Къ заключенню такового до-  
говора Ея Императорское  
Величество уполномочить  
изволила [v] Светлейшаго  
Князя Римския Империи  
Григорья Александровича По-  
темкина, войскъ Своихъ  
Генерала-Аншефа, повелеваю-  
щаго легкою конницею регуляр-  
ною и нерегулярною и многими  
другими военными силами; Сена-  
тора, Государственной Военной  
Коллегии Вице-Президента, Ас-  
раханскаго, Саратовскаго, Азо-  
вскаго и Новороссійскаго Госу-  
дарева Наместника; Своего Ге-  
нерала-Адьютанта и Действи-  
тельнаго Каммергера; Кавалер-  
гардскаго корпуса поручика,  
Лейбъ-Гвардии Преображен-  
скаго полку Подполковника;  
Главнаго Начальника мастеровой  
Оружейной палаты, кавалера

ნის პოლკისა პოდპოლკოვნიკი, უპირუელესი მთავარი პალატისა სასაქურუელოესა გელოვნებისა, კავალერი ორდენტა წმიდისა მოციქულისა ანდრეასი, ალექსანდრე ნევესკისა, სამჯედროსა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მოციქულთა სწორისა ვლადიმირისა დიდთა ჯუარათა, კოროლთა პრუსიისა შავისა, და პოლშისა თეთრისა არწივისა, და წმიდისა სტანისლავისა, შუეციისა სერაფიმთა, დატსკისა სპილოესა, და პოლსტინისა, წმიდისა ანნასი, ესევეთართთა გელმწიფეებითა, რათა არყოფასა მუნ თჳსსა აღირჩიოსმცანებითა თჳსითა სრულისა ძალისა მქონებელად, ვისიცა კეთილად განჰსაჯოს მან, რომელმან რომლისათჳს აღირჩია, და სრულისა ძალისა მქონებელ ჰყო, მალალმსუღელი უფალი მისის დიდებულების იმპერატორობისა არმიის ლენერალ-პორუდჩიკი, ასტრახნის ლუბერნიის მჯედრობისა მოკამანდე, მისის იმპერატორების დიდებულებისა დეისტვიტელნი კამერლერი, და ორდენტა რუსეთისათა წმიდათა ალექსანდრე ნევესკისა, თავადის ვლადიმირისა პირველისა ხარისხისა, სამჯედროს დიდის [v] მოწამისა და ძღვევა-შემოსილისა გიორგისა, და ლოლშტინისა წმიდისა ანნას კავალერი პავლე პოტემკინი.

орденовъ Святыхъ Апостола Андрея, Александра Невскаго, Военнаго Святаго Великомученика Георгія и Святаго Равноапостольнаго Князя Владимира большихъ крестовъ; Королевскихъ Прускаго чернаго и Польскихъ (sic) белаго Орловъ, и Святаго Станислава, Шведскаго Серафимовъ, Датскаго слона и Голстинскаго Святыя Анны; со властью, за отсутствиемъ Своимъ избрать и снабдить полною мочью отъ себя, кого оны заблагоразсудить; который по тому избралъ, и уполномочилъ Превосходительнаго Господина отъ арміи Ея Императорскаго Величества, Генераль-Порутчика, войсками въ Астраханской Губерніи Командующаго, Ея Императорскаго Величества Действительнаго Каммергера и орденовъ Россійскихъ, Святыхъ Александра Невскаго, военнаго Великомученика и Победоносца Георгія и Голстинскаго Святыя Анны кавалера Павла Потемкина.

ხოლო უგანათლებულესობა-  
მან, ქართლისა და კახეთისა მე-  
ფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩი-  
სამან, აღირჩია და სრულისა ძა-  
ლისა მქონებელ ჰყუნა ეკრძოათ  
თუსით ბრწყინვალენი თავადნი:  
მგვდრობისა თუსისა მეპარცხნე  
სარდარი და უმთავრესი თანა-  
გამძრაბი, ერეენისა საქმეთა თა-  
ვადი იოანე კოსტანტინოვიჩი  
ბაგრატიონი, და მისისავე უგა-  
ნათლებულესობისა მანდატურთ-  
უხუცესი, და ზედამხედული ყა-  
ზახისა კნიაზ გარსევან რევაზო-  
ვიჩი ჰავეჭავაძე.

ჰქსენებულთა მათ სრულისა ძა-  
ლისა მქონებელთა, და შეწევნი-  
თა ღმრთისათა საქმისა მიმართ  
მიწევნულთა, ურთიერთარს ნა-  
ცულის-მგებელთა სრულისა ძა-  
ლისა მქონებლობისა მიერ, მებრ  
ძალისა მათისა, დაადგინეს და  
დაამტკიცეს და მოაწერეს შე-  
მდგომთა არტიკულთა, ან წევრ-  
თა:

### არტიკული პირუელი

უგანათლებულესობაჲ მისი მე-  
ფე ქართლისა და კახეთისა. სა-  
ხელითა თუსითა, მემკვდრეთა და  
მენაცულებთა თუსთა, დღესასწა-  
ულობით უკუჰსტქუამს ყოველსა  
ვა[სა]ლობასა, ანუ ვითარსამე  
ტიტლოსა, ყოვლისაგან მოკიდუ-  
ლებისა სპარსთასა, ანუ სხუათა  
მპყრობელთასა.

და ამით ცხადჰყოფს წინაშე  
პირსა ყოვლისა სოფლისასა, ვი-

А Его Светлость Карталин-  
ский и Кахетинский Царь Ира-  
клий Темуразовичъ избралъи  
уполномочилъ съ своей сторо-  
ны Ихъ Снятельство своего Ге-  
нерала отъ левой руки, Князя  
Ивана Константиновича Багра-  
тиона, и Его Светлости Гене-  
рала Адыютанта Князя Гарсе-  
вана Чавчавадзева.

Помянутые Полномочные,  
приступивъ съ помощию Божи-  
ею къ делу и разменявъ взаим-  
ные полномочия, по силе ихъ  
постановили, заключили и под-  
писали следующие артикулы.

### Артикулъ Первый

Его Светлость, Царь Карта-  
линский и Кахетинский именовъ  
своимъ, наследниковъ и пре-  
емниковъ своихъ, торжественно  
на всегда отрицается отъ всяка-  
го васальства, или подь какъмъ  
бы то титуломъ не было, отъ  
всякой зависимости отъ Пер-  
сии, или иной Державы;

и симъ объявляетъ предъ ли-  
цемъ всего Света, что оны[10]и



თარმე არა შერაცხს იგი თვსზედა და მენაცულებთა თვსთა ზედა სხუასა თვთმპყრობელსა, თვინიერ უზენაესისა კელმწიფებისა და მფარულეობისა მისისა იმპერატორების დიდებულებისა და მალალთა მისთა შემკვდრეთა და მენაცულებთა სამბერატოროასა ტახტისა ყოვლისა რუსეთისათა, აღმთქმელი ტახტისა მის ერთგულებისა, და შხაყოფისა შეწვევისათვს სარგებელისა სახელმწიფოასა (რუსეთისა), ყოველსა შინა შემთხუევასა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი.

### არტიკული მეორე

დიდებულება იმპერატორებისა მისისა, მიმღებელი უგანათლებულესობისაგან მისისა ესოდენისა უზაკუელისა აღთქმისა, აღმსთქუამს თანასწორადუე და იმედუელ ჰყოფს იმპერატორებრითა სიტყუათა თვსითა, თავისა თვისი [ჰ]სათვს, და მოსაყდრეთა თვსთათვს, ვითარმედ მოწყალება და მფარულეობა თვსი უგანათლებულესთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა არაოდეს მიელების.

რომლისაც დასამტკიცებლად დიდებულება მისი აძლეფს იმპერატორებრსა თავსმდებობასა თვსსა მრთლად (და დაუკლებლად) დაცუასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მი-

признаеть надъ собою и преемникамъ нншаго Самодержавия, кроме Верховной власти и покровительства Ея Императорскаго Величества и Ея Высокихъ Наследниковъ и Преемниковъ Престола Всероссийскаго Императорскаго, обещая тому Престолуверность и готовность поспособствовать пользе Государства во всякомъ случае, где отъ него то требовано будетъ.

### Артикуль второй

Ея Императорское Величество, приемля со стороны Его Светлости толь чистосердечное обещание, равномерно обещаетъ и обнадеживаетъ Императорскимъ Своимъ словомъ за Себя и Преемниковъ Своихъ, что милость и покровительство ихъ отъ Светлейшихъ Царей Карталинскихъ и Кахетинскихъ никогда отъемлемы не будутъ.

Въ доказательство чего, Ея Величество даетъ Императорское Свое ручательство на сохрѣненне целости настоящихъ владений Его Светлости Царя Ираклия Тейму-

სისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა; და წინადაჰსდებს განვრცელებასა ესევეთარისა თავსმდებობისასა ესგუარსა ზედა სამფლობლოსა, რათა, რომელნიცა, წარმდინარეობასა შინა დროთასა. გარემოებითა და გარჩევეითითა ხატითა, შესაბამად სამფლობელოასა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოასა მისისა მიზართ დაიმტკიცებიან.

### არტიკული მესამე

განცხადებასა შინა ამის უხაკუელობისასა, ვითართაცა ხატითა უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა აღიარებს უზენაესსა კელმწიფეებასა და მფარუელობასა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორათასა, განიწესების, ვითარმედ ჰესენებულნი იგი მეფენი, ოდეს იგი მიიწევიან მემკვდრეობით სამეფოსა ზედა მათსა, მჰსწრაფლ აუწყებდენ ამისთჳს კარსა სამიპერატოროსა რუსეთისასა და ითხოვდენ დესპანთა თჳსთა მიერ სამეფოსა ზედა თჳსსა იმპერატორებრსა დამტკიცებასა ინესტიტურისა წერილითა, (ესე იგი არს) ბოვრაყი, ანუ დროშა, ყოვლისა რუსეთისა ღერბითა, მქონებელი საშუალ თჳსსა, ჰესენებულთა სამეფოთა ღერბისა, კრმალი, კუერთხი საბრძანებელი, მანტია, ანუ წარმოსასხმელი ყარყუმისა.

разовича, предполагая распространить таковое ручательство и на такия владения, кои въ течение времени по обстоятельствамъ приобретены и прочнымъ образомъ за нимъ утверждены будутъ.

### Артикуль третій

<sup>1</sup> ღრუელი B. <sup>2</sup> კარგარეთელი B. <sup>3</sup> ბეჟიტასშვილი B. <sup>4</sup> შერეშასშვილი.  
<sup>5</sup>—A. <sup>6</sup> იენისის კმ-სა ჩღკგ-სა წელსა—A. <sup>7</sup> ლაპინასშვილი B. <sup>8</sup>—B. <sup>9</sup> ედიშე-  
რისშვილი B. <sup>10</sup> ჩღკგ-სა წელსა B. <sup>11</sup> აზნაურშვილის B. <sup>12</sup> პეტრეასშვილი B.  
<sup>13</sup> გიჟიყრელი B. <sup>14</sup> ენდრონიკასშვილი B.

303. აზნაური აბელაშვილი<sup>1</sup>  
 304. აზნაური თანიაშვილი  
 305. აზნაური იორამისშვილი  
 306. აზნაური უგანაძეს-  
 შვილი<sup>2</sup>  
 307. აზნაური ჯათარიძე  
 308. აზნაური ნაცულის-  
 შვილი  
 309. აზნაური ზალდასტა-  
 ნასშვილი  
 310. აზნაური ხირსელა-  
 შვილი<sup>3\*</sup>

311. აზნაური ბოსტაშვი-  
 ლი  
 312. აზნაური პოპიასშვი-  
 ლი  
 313. აზნაური გომელაური  
 314. აზნაური ესიტასშვი-  
 ლი  
 315. აზნაური ოზასშვილი  
 316. აზნაური ახაზაშვილი  
 317. აზნაური ყავარისშვი-  
 ლი  
 318. აზნაური მიქელისშვი-  
 ლი  
 319. აზნაური ტრიელას-  
 შვილი

### ერეკლე

136. [თეიმის ხმოვის მღვდართა უფროსობის წაპალოვის წიგნი  
 მარეკლე II-ისა თეიმურაზ ჯავახიშვილისა და ნინია  
 გლუჯაძისაღვინ]

[1784 წ.]

ქ. ჩვენი ბძანება არის ჯავახიშვილო თეიმურაზ.

მერმე თეზამს გაღმა რაც სოფლებია ხიდის თავამდინ, იმათი მღვერის უფროსობა შენ და გლურჯიძე-ნინიასათვის გვიბოძებია. რომელიც ლეკის ჩამოსასვლელი გზები არის, იმაზე ყარაულები უნდა გყუანდესთ დაყენებული; და ყარაულიცა რომ ამბავი მოგი-ტანოსთ, მაშინვე მღვეარს უნდა დაუძახებდეთ, ქუდზე გამოიყუან-დეთ და ღმრთით მტრის დამარცხებას ეცადნეთ.

რომელნიც მთის გზები არის, იმ გზებზე ყარაულს ნუ გამო-სწყვეტთ მაგ სოფლებიდან.

და რომელიც კაცი მღვეარს დაგაკლდესთ, ის უნდა დაარ-ბიოთ და ბეჯითნი უნდა იყენეთ.

თიბათვის ივ, ქორონიკონს უოზ.

ქ. როცა თქვენ ჩვენთან წამოხვიდოდეთ ხოლმე, მანდ თქვენს ნაიბებს უნდა დააგდებდეთ.

თიბათვის ით, ქორონიკონს უოზ.

ქ. თუ მიზეზი არ ჰქონდეს რა დაკლებულს კაცსა, მარჯვე და დიდი მიზეზი, უნდა დაარბიოთ. მაშინ დაირბევა, როდესაც მიზე-ზი არ ექნება რა და დაგვაკლდება.

ბეჰდი: ერეკლე.

<sup>1</sup> აბელისშვილი B. <sup>2</sup> უგანაძე B. <sup>3</sup> ხირსელასშვილი B.

\* აქ წყდება A ნუაა. დანარჩენი ტექსტი მოგვყავს B ნუსხის მიხედვით.

ქ. სახელითა [ღმრთისათა და ყოველ]ისა წმიდისათა, ამინ.

ქ. ქალაქის მოურავობის სარგო ეს არის, რომელიც ამას ქვე-  
მოთ სწერია:

1\*. ქ. ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა სამართლობდეს და სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე თან ახლდეს სამართლის ბჭობაში, და მოურავი თუნდა მელიქ-მამასახლისს და ნაცვალს სამართალში დაისწრებს და, თუ უნდა, არ დაისწრებს, ქედხუდები ახლდებიან. ამაში აქვს სარგო თუმანზედ სამდივანბეგო ხუთი აბაზი მოურავს, და ამ სამდივანბეგოში კელი არა აქვსთ მელიქ-მამასახლისს, ნაცვალს და ქედხუდებს, ისრე უნდა ახლდენ.

2. ქ. მოურავთან რომ მოჩივარი მოვა, თუ თითონ არ ინებებს სამართალს, თავის იასაულს გაატანს, ორი უნდათ, თუ სამი მოქალაქე, იმათ დასმენ და სამართალს მოქალაქენი იქმონენ. მაგრამ იქიღამააც თუმანზე ხუთი აბაზი მოურავისა არის, რადგანაც მოურავი გაგზავნის, ამისთვის.

3. ქ. ბატონის ბძანებით ქალაქის მოურავი და მდივანბეგები რომ სამართალში დასხდებიან, რაც სამდივანბეგო შემოვა, როგორც რიგი არის, მოურავი და მდივანბეგები ისრე გაიყოფენ.

4. ქ. ნაეროზზედ ზარბაზნები რომ გაცვივდება, სამი დღე ქალაქის მოურავისა არის ბაჟი, ქალაქის ექვსის კარისავე შემოსავალი.

5. ქ. აბანოს კარზედ და განჯის კარზედ, თუ სხვას კარზედ, თუმანზედ ხუთი შაური ბაჟი რომ ყოფილა, ოთხი შაური ბატონისა არის და ერთი შაური მოურავისა, მაგრამ ახლა მოურავს ოთხმოც თუმანს აძლევენ.

6. ქ. ქალაქში რაც ღვინო შემოვა, ურემზედ ორი თუნგი მოურავისა არის და საპალნეზედ ნახევარი თუნგი. ამას ჰქვიან ქაშქინი.

7. ქ. ზეით, დიდმის კარზედ, კოჯრის კარზედ და წყლის კარზედ რაც შეშა შემოვა, ურემზედ ორსა და სამს შეშას გამოართმევენ მოურავისთვის, აგრევე ნახშირზედ, აგრევე ფიჩხზედ, აგრევე საპალნე შეშასა და ნახშირზედ გამოართმევენ მოურავისათვის.

ამ შეშისა და ნახშირისა ექვსი დღე და ყოველს კვირას მოურავისა არის და შაბათი დღე ქალაქის ნაცვლისა არის, იმისთვის უნდა გამოერთვას.

8. ქ. ნაეროზს უკან ქალაქის მოურავისათვის უნდა 'მოიკრიფოს კომლზედ, ვისიც უნდა ყმა იყოს, ექვსი შაური და სომხის

\* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

ყმაზედ ერთი შაური. რომელიც სახლში დგას, იმან უნდა მისცეს, ეს ექვსი შაური სახლსა სცევს. ამას ეძახიან სატარულოს.

9. ქ. მოქალაქე რომ უცხოს ქვეყნიდამ მოვიდეს, პირველად მოურავეი უნდა ნახოს, ფეშქაში უნდა მიართვას მოურავს, რომ ეს დებულება არის.

10. ქ. წმიდას აღდგომას მესანთლეებმა ორი ლიტრა სანთელი უნდა მიართვან მოურავს, ჩამოსხმული, როგორც ებრინებოდეს, რომ ეს დებულება არის; და ასნაფმა სამი, ორი და ერთი ბატკანი უნდა მიართვან; და ქეთხულებ[მა], ან ექვსი და ან ხუთი ბატკანი უნდა მიართვან; და ყასპებმა ორი ჭედლილი უნდა მიართვან, კარგი და გამორჩეული.

11. ქ. ნათლისლებას კიდევ მესანთლეებმა ორი ლიტრა ჩამოსხმული სანთელი უნდა მიართვან, როგორც მოურავს ებრინებოდეს; და ყასპებმა ორი გამორჩეული ჭედლილი; და ბაჰყალეებმა ბრინჯი ერთი ცალი, თავის ერბოთი, რამდენიც ლიტრა იქნება, ლიტრაზედ ჩარეკი ერბო.

12. ქ. ახალ წელიწადს, რაც ასნაფი არის ყოველმა ასნაფმა ორი და სამი შაქარი უნდა მოართვან. მაგრამ, ბაზაზებმა ექვსი შაური უნდა მოართვან მოურავს, ქედხულებ[მა], ან სამის ხონჩით და ან ორის ხონჩით ნუღლი და შაქარი უნდა მოართვან.

13. ქ. ყველიერში ბაჰყალეებმა კიდევ ერთი ცალი ბრინჯი მოურავს უნდა მიართვან, თავისის ერბოთი.

14. ქ. დიდმარხვა რომ დადგეს, ბაჰყალეებმა მოურავს ორმოცდაათი ლიტრა სამარხო უნდა მიართვან, თავისის ნიგეზით.

15. ქ. ყასპებმა, რაც დუქანი არის; დუქანზედ მოურავს სამსამი ლიტრა ქონი უნდა მიართვან, კარგი და გამორჩეული თხის ქონი.

16. ქ. ღორის ქონი, ერთს დაზგაზედ რამდენიც ამხანაგნი არიან, კაცის თავს სამსამი ლიტრა ქონი უნდა გამოერთვას მოურავისთვის, რომ ამით საპონი უნდა გაკეთდეს მოურავისათვის. ის ქონი კაცის თავზედ აიღება და არა დაზგაზედ.

17. ქ. დაზგაზედ ღორისა, როდისაც ქონი მოიკრიფება აღუბაში, მოურავისათვის ერთი მხარი და ერთი ბარკალი უნდა მოიკრიფოს, რომ მძებვი უნდა გაკეთდეს.

18. ქ. წელიწადში რამდენჯერაც ნიხრი მიეცემა მოურავისაგან ყასპებს და მოემატება, თითოს მომატებაზედ ყასპებმა საერთოდ ნიხრანა ორმოცდაათი ლიტრა ცხვრის ჯორცი მოურავს უნდა მოართვან, რომ ეს დებულება არის.

19. ქ. წელიწადში ერთხელ საერთოდ სირაჯებმა მოურავს უნდა მოართვან დებულებისაებრ ნიხრანასი თოთხმეტი მინალთუნი. აქედამ ორი მინალთუნი მოურავის ნაცვლისა არის და სხვა მოურავისა. ეს ღვინის ნიხრის თოთხმეტი მინალთუნი წელიწადში



ერთხელ აიღება, თუნდა მარიამობისთვის და თუნდა სხვას თვე-ებში.

20. ქ. მოურავმა სხვაგან ერთი და ორი თვე რომ დაიგვიანოს და ქალაქში მოვიდეს, სირაჯბაში სირაჯებს უნდა მოუძღვეს და მოურავს ტიკით ღვინო უნდა მოართვან, აგრევე ბაჰყალბაშმა ხილი უნდა მოართვან, რომ ეს დებულება არის.

21. ქ. ქალაქში რომ გელაქნური შემოვიდეს, საპალნეზედ ორი გელაქნური მოურავს უნდა მიართვან. და ამ გელაქნურის მომტანმა მოურავი უნდა ნახოს, ნიხრი მისცეს, და ამისთვის ნიხრანად ოცი და ან თხუთმეტი გელაქნური უნდა მიართვას, რომ ეს დებულება არის.

22. ქ. ორაგული რამდენი საპალნეც შემოვა, საპალნეზედ ნახევარ[ი] ორაგული მოურავისა არის. ამისთვისაც მომტანთ მოურავი უნდა ნახონ, ნიხრი მისცეს, და ნიხრანად არც დიდი და არც პატარა, საშუალი ორაგული უნდა მიერთვას.

და თუ ცოტა შემოტანილა ორაგული, იმისთვისაც ნიხრანასთვის ორი-სამი ლიტრა ორაგული უნდა მიერთვას. ეს ორაგული განჯიღამ რომ მოვა, იმისი არის, რომ ეს დებულება არის.

23. ქ. აგრევე ზუთხი რომ შემოვიდეს, საპალნეზედ ერთი ზუთხი მოურავისა არის. და მომტანთ მოურავი უნდა ნახონ, ნიხრანა მისცეს და ნიხრანასათვის კიდევ მთელი ზუთხი უნდა მოართვან.

და თუ ცოტა შემოტანილა, ორსა და სამს ლიტრას ზუთხს მიართმევენ, რომ ეს დებულება არის.

24. ქ. რამდენიც საპალნე ხრამული, ფიჩხული შემოვა, საპალნეზედ ერთი ჩარეკი ხრამული-ფიჩხული მოურავს უნდა მიერთვას. და მომტანთ კიდევ მოურავი უნდა ნახონ და ნიხრი მისცეს და ნიხრანად ერთის ლანგრით ფიჩხული უნდა მიართვან, რომ ეს დებულება არის.

და მოურავი ყოველს ნიხრზედ, თუ ბატონის ნაცვალს აო დაისწრებს, ქედხუდებს დაისწრებს ორსა და სამს.

25. ქ. აგრეთვე ბორჩალიღამ, და თარფებიღამ, და ბაიდრი-ღამ.

26. ქ. განჯიღამ რამდენიც საპალნე ყურძენი შემოვა, ნახევ[არი] ლიტრა საპალნეზედ მოურავს უნდა მიერთვას, და ნიხრიც მოურავმა უნდა მისცეს. ამას გარდა არა გამოერთმევა რა.

27. ქ. ქანდიღამ ხმელი თევზი რომ მოვა, ურემზედ სამი შაური და ერთი გამორჩეული ან ზურგიელი და ან ერთი წყვილი დოში მოურავისა არის.

28. ქ. რამდენიც საპალნე ზეთისხილი შემოვა, საპალნეზედ ერთი ჩარეჭი მოურავისა არის. და ნიხრისათვის ერთი ლანგარი ზეთისხალი უნდა მოერთვას.

29. ქ. ზეთი რომ შემოვიდეს, საპალნეზედ ორი შაური მოურავისა არის.

30. ქ. ახალციხიდან და აწყერიდან ხილი რაც საპალნე შემოვიდეს, ამისთვის ლანგრით უნდა მიერთვას მოურავს ნიხრის მიცემისათვის.

31. ქ. საპალნე ნესვზედ ნახევარი ნესვი მოურავისა არის, და ურემზედ ორი გამორჩეული ნესვი უნდა მოერთვას.

32. ქ. ქალაქის მოურავს ქალაქის ბაღებმა უნდა მოართვან: მოურავის კაცი უნდა წავიდეს და საპალნეებით ხილი უნდა მოეკრიფოს და მოერთვას; ერთი ახალ-ბალობას, რაც იმ დროს ხილი იქნება, ყოველივე უნდა მოერთვას; ერთი ახლობას, და რაც იმ დროს ხილი იქნება, ყოველივე დაუკლებლად უნდა მოერთვას საბა[ლქნეებით; და ერთი ყურძნობას უნდა მოიკრიფოს საპალნებით, რაც იმ დროს არის, ყოვლის ნივთისაგან დაუკლებლად უნდა მოერთვას ყოვლის ბაღებიდან: დირისჭალიდან, ორთაჭალიდან, კრწანისიდან, სეიდაბათიდან, გარეთუბნის ბაღებიდან და ვერიდან და და სხვა ყოვლის ბაღებიდან.

33. ქ. წელიწადში ნავრუზზედ სამი დღე რომ მოურავისა არის, იმ სამს დღეს, რაც ტივი ჩამოვა, სალბაში მოურავისა არის.

34. ქ. ქურჭლის ქურახანიდან, რამდენიც ქურა გამოვიდეს, იმდენჯერ ორი ნაჭერი, ერთი კოკა და ერთი ლიტრა მოურავისა არის, დებულეა არის.

35. ქ. აგრევე ქაშანურის ქურიდან, რამდენჯერაც ქურა გამოვიდეს, ქურაზედ ორი ნაჭერი მოურავისა არის, რომელიც უნდა.

36. ქ. ბატონი რომ მოქალაქეს გაუწყრეს და ჯარიმა წაართვას, ათისთავი მოურავისა არის.

37. ქ. ბატონის ნაცვალი და მოურავის ნაცვალს ყოველთვის უნდა სინჯედედს ლიტრას, ადლს, საწყაოს და ყოველსავე საწონს და გასაზომს და თუნგს. და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეაჩნდეს ჯარიმა უნდა წაერთვას; იმ ჯარიმის ათისთავი მოურავისა არის და მოურავის ათისთავი ბატონის ნაცვლისა არის.

38. ქ. ქურდსა და ბოზს როდესაც მოურავი დაიჭერს, ამის ჯარიმას მოურავი რომ გამოართმევს, ათისთავი მოურავისა არის და ამ ათისთავის ათისთავი ბატონის ნაცვლისა არის.

39. ქ. თავი რომ გაუტეხოს კაცმა კაცს, ამის ჯარიმა მოურავისა არის; ბატონისა არ არის ის, თუნდ ღიდი იყოს, თუნდა პატარა.

40. ქ. გაზაფხულზედ რომ ცხენები დაიბმის, მაზნებებს სძევს ხუთი ტოილო-დუშაყი, მქედლებს ორი კარგი სათიბელი და ერთი კარგი სამურველი, რომ ეს დებულება არის, მოურავს უნდა მოერთვას.

41. ქ. მოურავი რამდენჯერაც ქალაქიღამ სხვაგან წაბჯანდება, რამდენიც ტიკი მოუნდება, უნდა თხოვებით მიართვან და ეს ტიკები მას უკან ისევ პატრონებს უკანვე უნდა მიეცეს, ეს დებულება არის.

42. ქ. აგრეთვე მკუპრავებმა, რამდენჯერაც მოურავს ტიკები მოუნდეს, უნდა მოართვან და ხმარების უკან ისევ მკუპრავებსვე უნდა მიეცეს, ეს დებულება არის.

43. ქ. მოურავს რომ მეწვრილმანე უნდა ჰყვანდეს, მეწვრილმანეებში ის თარხანი უნდა იყოს, გათარხნებული უსტაბაშისა და მეწვრილმანეებისაგან. აგრევე სირაჯი, აგრევე ბაჰყალი, აგრევე ბაზახი და აგრევე მეპურე, აგრევე ყასაბი; და კიდევ სხვა რომელიმე ასნაჯი ემსახურება მოურავს, ისი იმ ასნაფებისაგან შალავათ-ნაქნარი და განთავისუფლებულ უნდა იყოს, ეს დებულება არის.

44. ქ. ამას გარდა, რაც ბატონმა ქალაქს ან სთხოოს, ან შეაწეროს, ან სხვა რამ საქმე იყოს, ქალაქის სამოქალაქოსი ყოველივე მოურავს უნდა ეკითხოს; და მოურავი ქალაქისა და მოქალაქის მოვლას დიდად უნდა ცდილობდეს, ყოვლის თავის გარჯით და თავდადებით.

45. ქ. ასასბაში და ასასები მოურავს უნდა ახლდენ და იმის კარზედ უნდა იყვნენ, რომ ასასები მოურავის იასაულები არიან.

### 138. [ქალაქის მოურავის ხარკი]

[XVIII საუკ. ბოლო]

1. ქ. კიდევ ნათლისღებას ბაყალები ერთობით ბრინჯს გა[ა]კეთებენ და ერბოს, თორმეტი ლიტრა იქნება თუ ათი, და მოურავს მოართმევენ[ენ], მოურავის ნაცვალსაც ემსახურებიან.

2. ქ. კიდევ ნათლისღებას ორი ცხვარი გამორჩეული ყასბებმა მოურავს უნდა მიართვან, ერთი მოურავის ნაცვალს.

3. ქ. კიდევ ნათლისღების უკან, ხორცს ნიხრი მიეცემა და მოურავს ორმოცი ლიტრა ხორცი უნდა მოართვან ყასბებმა, ათიც მოურავის ნაცვალს.

4. ქ. დიდმარხვა რომ დადგება, ორმოცდაათი ლიტრა სა-  
მარხო თავისის ნივზით და მარილით ბაყლებმა უნდა მოართვან  
მოურავს, მოურავის ნაცვალსაც ემსახურებიან.

5. ქ. წმინდას აღდგომას კიდევ მესამთლეები ორს ლიტრას  
წმინდა სამთელს მოართმევენ მოურავს.

6. ქ. კიდევ წმინდას აღდგომას ყოველი ასნაფი თითო ბატ-  
კანს მოართმევენ მოურავს, და ბაზაზები ან სამს, ან ორს, ყასბები  
ორს გამორჩეულს ცხვარს, და მოურავის ნაცვალს ბატკანზე თითო  
აბაზი; და ქეთხულებმაც უნდა მოართვან ბატკნები, ერთიანათ ხუ-  
თი იქნება, თუ ექ[უ]სი.

7. ქ. სირაჯების ნიხრანა—თორმეტი მინალთუნი<sup>1</sup>; წელიწადში  
ერთხელ, როცა მოურავი[ს] ნება[ა], უნდა მიართვან სირაჯებმა;  
ერთი ოქრო მოურავის ნაცვალს უნდა მისცენ.

8. ქ. ყასბებს რამთენჯერ ნიხრი მიეცემათ, მოურავს უნდა  
ემსახურნენ.

9. ქ. ყასბებმა უნდა მიართვან მოურავს წელიწადში ერთ-  
ხელ დუქანზე სამი ლიტრა კარგი ქონი.

10. ქ. აგრევე ღორის ქონი, სადაც ღორი იხოცება, რამდენ-  
ნიც ამხანაგნი არიან, კაცის თავს სამი ლიტრა ქონი მოურავს უნდა  
მოართვან და დაზგაზე მხარი და ბარკალი მოურავის ნაცვლისა.

11. ქ. ჯონჯოლი რომ შემოვა, საპალნეზე ერთ<sup>2</sup> ჩარექს მო-  
ურავისათვი[ნ] აიღებენ.

12. ქ. რაც ჯარიმა აიღება ქალაქში, ათისთავი მოურავისა  
არის. და ჯარიმა ბატონისა არის.

13. ქ. მოურავი მუდამ ქურდს და ბოზს უნდა ეძებდეს, და  
იქიდამ ირგებს, და ავს კაცს.

14. ქ. მოურავის ნაცვალი მუდამ ბაზარში უნდა დავიდოდეს  
და იჯდეს, და ადლს, ლიტრას და თუნგს უნდა შინჯევდეს; და  
რომელსაც ნაკლები ან ლიტრა, ან ადლი, ან თუნგი აქვ[ს], ჯა-  
რიმა უნდა წაართვას. ათისთავს მოურავისთვინ აიღებს და სხვას  
მეთის სარქარში მიაბარებს.

15. ქ. მოქალაქე[ე]ები მოურავთან უნდა ჩიოდნენ, მოურავმა  
ქეთხულები უნდა დაისწრას და სამართალი ისე უნდა ქნას. თუ-  
მანზე ხუთი აბაზი მოურავისა[ა]—სადივანბეგო. ვინც იას[ა]უღია,  
საიას[ა]ულოს აიღებს; ნახევარი საიას[ა]ულო—ნაცვლისა.

<sup>1</sup> მინათული. <sup>2</sup> ერთი.

16. ქ. მოურავი რომ მობძანდეს სხვა ადგილიდამ ქალაქში, სირაჯებმა ლეინო უნდა გა[ა]კეთონ და მოართვან ძღვენი, აგრევე ბაყლებმა ხილი.

17. ქ. გაზაფხულზე ცხენები რომ გაეგმის, რაც ტოილო-დუ-შაყი მოუნდება, მაზმნებ[მ]ა უნდა მიართვან მოურავს.

18. ქ. ქალაქში რამდენიც ქურა გამოვა ქურჭლისა, ქურაზე ერთი კოკა და ერთი ლიტრა მოურავს უნდა მოართვან. ქაშანუ-რისა რომ გამოვა, ყოველს ნაქერზე თითოს ნაქერს აიღებენ მო-ურავისათვის.

19. ქ. გარედამ რომ მოქალაქე მოვა, გზას რომ იყოს, მოუ-რავი უნდა ნახოს და ფეშქაში უნდა მოართვას.

20. ქ. მოურავი რომ ქალაქში იყოს, მეღიქი, მამასახლისი, თუ ნაცვალი კაცს ვერ დაიჭერენ, მოურავმა უნდა დაიჭიროს, ჯა-რიმა ბატონისა, ათისთავი მოურავისა.

თუ მოურავი ქალაქში არ იყოს, ამ სამმა მოხელემ და მოურავის ნაცვალმა უნდა დაიჭირონ, ჯარიმა ბატონს მიართვან<sup>1</sup> და ათისთავი მოურავის ნაცვალს მიაბარონ მოურავისათვის.

21. ქ. ბაღებიდამ ზაფხულში, როდესაც მოურავი კაცს გაგ-ზავნის და ხილს ითხოვს, უნდა მოართვან შებაღე[ე]ბმა.

22. ქ. ასასები მოურავს უნდა ახლდნენ, ორი და სამი ასასი მაინც გამოუღვევლათ უნდა ახლდნენ. ქურდსა და ბოზს უნდა მო-ახსენებდნენ ასასები მოურავს და მოურავი უნდა გარდა[ა]ხ[დე]ვი-ნებდეს.

23. ქ. კოჭრის კარიდამ, დიღმის კარიდამ, წყლის კარიდამ შეშა რომ შემოვა, იქილამ შეშის ბაყი მოურავს ერგება.

24. ქ. ქალაქ[ის] მოურავმა სამს თვეში ერთხელ უნდა ნიხ-რი<sup>2</sup> მისცეს ქალაქს; მეღიქი, მამასახლისი, ნაცვალი და ქეთხუდები უნდა დაისწრას და ისე უნდა მისცეს ნიხრი. ნიხრის მიცემას უკან, რომელმა(ც) ასნაფმა და[ა]შაოს, მოურავმა უნდა გარდა[ა]ხლდევინოს.

25. ქ. მოურავი რომ სხვაგან წაბძანდეს სადმე, ტიკი სი-რაჯმა უნდა იშო[ვო]ს და ტიკტორა მკუპრავმა; მაგრამ არ უნდა დაეკარგოს და ისევე თავთავის პატრონებს უნდა მიბარდეს.

<sup>1</sup> + და ათისთ. <sup>2</sup> + უნდა.

[1786 წ.]

მისის სიმაღლისაგან სულეიმან ფაშასთან მიცემული პირობა

ამას ქვემოთ დაიწერება:

1. მისის დიდებულების და ათამანის პორტის საშუალ მანამ-  
დინ მშვიდობა არის, ჩვენის მგრილად ხონთქარის რაიათს არაფერი  
მტერობა და ზიანი არა მიეცემა რა.

2. რუსეთის დიდებულს ჯელმწიფეს სამი ათასი კაცი რომ ჩე-  
ენის მტრის პასუხის მისაცემად უბოძებია, საბოლოოდ ამ რიცხვით  
უნაკლულოდ უნდა გვეყვანდეს. და ამ სამი ათასზე მეტი რუსის ჯარი  
არ მოვიყვანოთ.

3. ვინც ჩვენს საფარველს ქვეშე მყოფს ქვეყნებზედ მონღო-  
მოს მტერობა, ამ სამი ათასის რუსის ჯარით და ჩვენის ჯარით  
პასუხი გაეცეთ.

სულეიმან ფაშასაგან მის სიმაღლესთან მიცემული პირობა

1. დალისტინის ჯარი თავის ქვეყანაში არ დააყენოს და არც  
თავისის ჯარით საქართველოს უმტეროს, არც ცხადად და არც  
დაფარულად; და არც იმ მხარეს საქართველოს ტყვე არც ასყიდ-  
ვინოს და არც დაასყიდვინოს.

2. სულეიმან ფაშამ, სიტყვით და საქმით, ცხადად და დაფა-  
რულად, ჩვენს მეზობლებთან და მტრებთან არა გვიმტეროს რა.

3. ხონთქარის ჯარი ჩვენს სამზღვრებზედ არსად დააყენოს.  
პოლნომოჩნ მინისტრ თავადი გარსევან ქავკავაძე.

სეკლემბრის იე, წელს ჩლპვ.

140. [ბრძანება ღარეჯან დედოფლისა ურბნელ იუსტინესადმი  
ღმრთისმშობლის ეკლესიის მიზარების შესახებ]

[1786 წ.]

ქ. ყოვლად სამღვდლოვ უფალო ურბნელო იუსტინე!

თავადების სა (sic) ღმრთისმშობლის ეკლესიის<sup>1</sup> მო[უ]რნეობა,  
როგორც მისის სიმაღლისაგან და მისის უწმიდესობისაგან თქვენ  
გაქვსთ ბოძებული, ამავე რიგათ ამათს ბძანებას ჩვენც გიმტკიცებთ,  
რომ ყოველსავე ამ ეკლესი[ი]ს საქმეს, ყმისას თუ მამულისას, თქვენ  
განაგებდეთ სამართლიანის საქმით, რომ ამის მამულზედ და ყმა-

<sup>1</sup> ეკლისის.

ზედ თუ უსამართლო მოინდომოს ვინმე, რომელსაც თქვენ ვერ შეიძლებდეთ, ჩვენ შეგვატყობინებდეთ, ჩვენის ოქმით და იასაუ-  
ლით გა[ა]რ[ი]გებდეთ.

ეკლესი[ი]ს შესამატს ეცდებოდეთ, რომ იმის შემოსავალს გაუფრთხილდებოდეთ, რომ არა დაიკარგოს რა; ჩვენც უნდა შეგ-  
ვატყობინებდეთ, წლისა და წლის თავს ან რაც შემოვიდოდეს, ან  
როგორც დაიხარჯებოდეს.

ამ მონასტრის დეკანოზიც და გლეხი-კაცნიც თქვენი მორ-  
ჩილნი და სიტყვის გამგონი უნდა იყვნენ. ვინც ამისი მორჩილნი  
არ იქნებით რიგიანის საქმით, ჩვენი საწყყენი იქნება.

თიბათვის ე, ქორონიკონს უოღ.

ქ. კიდევ ამას გაფთხილებთ, რომ ყოველსავე მაგ ეკლესი[ი]ს  
შემოსავალს უნდა ჩვენ შეგვატყობინებდეთ, რომ, როგორც რიგი  
არ[ი]ს, მაგ ეკლესიას ჩვენ და თქვენ ისე უნდა მოეხმარათ.

ბეკელი:

დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ .

#### 14]. [მართლის ტრაქტატი ივერიელთა მფუთა და მთავართა]

[1790 წ.]

[2] ტრაქტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკი-  
ცებული, საზოგადოსათვის შეერთებისა<sup>1</sup> ქართლისა, კახეთისა,  
იმერეთა, ოდიშისა და გურიისა<sup>2</sup>, აღწერილი სამეფუფოსა ქალაქსა  
ტფილისს 1790 წელსა<sup>3</sup>.

ვინაიდგან<sup>4</sup> ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა  
შინა ქართლისა, კახეთისა, იმერეთა, ოდიშისა და გურიისათა,  
აქვსთ ერთმორწმუნება<sup>5</sup>, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისა-  
გან მობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ<sup>6</sup> მავასხებლო-  
ბითიცა<sup>7</sup> სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავეთა და მოყვრო-  
ბით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენე-  
ბულთა<sup>8</sup> ქვეყანათა ივერიისათა<sup>9</sup> მეფენი და მთავარნი, დამამტკი-  
ცებელნი<sup>10</sup> საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოველად ძლიერისა  
ღმრთისათა, აღუვსტქვამთ<sup>10</sup> მტკიცესა ამას [v] ერთობასა, რომე-  
ლიცა თითოეულად შემდგომთა შინა ჰაზრთა ცხად იქმნების.

<sup>1</sup> საზოგადოსათვის შეერთებისა—B. <sup>2</sup> გურიისათა A. <sup>3</sup> 1790 წელსა] წელ-  
თა 1790 A. <sup>4</sup> ვინათგან A. <sup>5</sup> ერთმორწმუნება A. <sup>6</sup> აქვს A. <sup>7</sup> მავასხებლობი-  
თიცა B. <sup>8</sup> ზემოხსენებულად B. <sup>9</sup> ივერიისათა] ივერიისა და B. <sup>10</sup> აღვსტქვამთ A.

უფლისა იესო ქრისტეს მონა მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე ქრისტეანებრითა თანამდებობითა გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოსა მეფესა შვილისშვილსა ჩემსა სოლომონს და მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთა<sup>1</sup> დადიანს გრიგოლს და მთავარსა გურიისასა სიმეონს და ერთობით თავადთა, აზნაურთა და ერთა ქვემოდასა ივერიისათა<sup>2</sup> ესრეთ:

### მუხლი პირველი

შეგრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოვლისა სამეფოასა ჩემისა, და ვიყო მტერი მტერისა<sup>3</sup> თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

### მუხლი მეორე

მაქვნიდეს ზრუნვა დამშვიდებისათვის ქვეყანისა თქვენისა, და ყოვლისა შენძლებისა ჩემისაებრ ვიყო შემწე თქვენდა [ჰ] წინააღმდეგომად<sup>4</sup> მტერთა თქვენთა.

### მუხლი მესამე

ვიყო მწადნელ ბედნიერობისა თქვენისათვის და დაცვად მათა იმერეთისათა, ვითარცა მამა საზოგადო მათი.

### მუხლი მეოთხე

უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვით და საქმით, შეძლებისა ჩემისაებრ, მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

### მუხლი მეხუთე

უზნაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი ვითარცა მაქვნიდეს შეკრულება, ვიყო მწადნელ თქვენდაცა უბედნიერესსა შინა მდგომარეობასა მოყვანებად მფარველობითა ერთბამად ერთისა უავლუსტესისა კარისათა.

---

<sup>1</sup> სამთავროთასა A. <sup>2</sup> ივერიისა B. <sup>3</sup> მტრისა A. <sup>4</sup> წინააღმდეგომად B.



## [v] მუხლი მეექვსე

აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შვიკვირი თა-  
ნამდებობითა თვით ძეთა ჩემთა, თავადთა საქართველოსათა, კე-  
თილშობილთა<sup>1</sup> და საზოგადოთა ერთა, სჯულუდებ საუკუნოდ  
ერთგვამად შეერთებასა ამას ქვემოთსა ივერიისა თანა და ვამცნებ  
ყოველთავე, რათა მტკიცედ ეგნენ<sup>2</sup> ზემოაღწერილთა აღთქმათა  
შინა, ვითარცა სჯულთა ზედა ეკლესიურთა. იყავნ ესრეთ!

ვიცი ვითარია<sup>3</sup> თანამდებობა ჩემი და ვპვიე მტკიცედ ხელ-  
მოწერისა ამის ჩემისაებრ.

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერ ეკლე<sup>4</sup>.

დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა დარეჯან<sup>5</sup>.

საქართველოს კათოლიკოსი ანტონი<sup>6</sup>.

ვიცე-კანცლერი სოლომონ ლიონიძე<sup>7\*</sup>.

## [5] ბრახტატი მეორე ნაცვალად პირველისა

უფლისა იესო ქრისტეს მონა მეფე ყოვლისა საიმერეთოთსა  
შვილისშვილი თქვენი სოლომონ ქრისტიანებრითა აღთქმითა  
გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათა<sup>8</sup>  
მეორესა ირაკლის, უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თა-  
ვადთა, კეთილშობილთა ერთა ზემოთსა ივერიისათა ესრეთ:

## მუხლი პირველი

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოვლი-  
სა სამეფოთსა ჩემისა და ვიყო<sup>9</sup> მტერი მტერისა თქვენისა და მო-  
ყვარე მოყვრისა.

## მუხლი მეორე

მაქნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად დამშვიდები-  
სათვის ქვეყანისა თქვენისა და ვიყო მზა ნიადაგ წინააღმდეგობად  
მტერთა თქვენთა.

<sup>1</sup> კეთილშობილთა—B. <sup>2</sup> ეკმენ B. <sup>3</sup> ვითარ A. <sup>4</sup> ერეკლე] სახელით A.

<sup>5</sup> დარეჯან] სახელით A. + უწმინდესი A. <sup>6</sup> ანტონი] სახელით A. <sup>7</sup> ლიონიძე A.

<sup>8</sup> სხვათასა A. <sup>9</sup> ვიყო] ყოველი B.

\* ზელნაწერში ერთი ფურცელი ცარიელია. შემდეგ ტექსტი გადაწერი-  
ლია სხვა ხელით და ორთოგრაფიაც განსხვავებულია.

## მუხლი მესამე

ვიყო მწადნელ ბედნიერობისა თქვენისათვის და უგანა-  
ლებულესთა ძეთა თქვენთა, ვითარცა თანამდები მეფე დის-წული  
მათი.

### [v] მუხლი მეოთხე

უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე,  
მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვით და საქმიან, შე-  
ძლებისა ჩემისაებრ, მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

### მუხლი მეხუთე

უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღ-  
ლესისა კარისადმი ვითარცა აქენდეს უმაღლესობასა თქვენსა შე-  
კრულება, ვიყო თქვენთანა მქონებელი თანხმობისა<sup>1</sup> უბედნიერე-  
სისა მდგომარეობისა ჩვენისათვის მფარველობითა ერთბამად ერ-  
თისა უავლუსტესისა კარისათა.

### მუხლი შეექვსე

აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანა-  
მდებობითა თვით თავადთა ყოვლისა იმერეთისათა, კეთილშობილ-  
თა და საზოგადოთა ერთა, სჯულუდებ, საუკუნოდ ერთგულებად  
შეერთებასა ამას ზემოასა ივერიისა თანა და ვამცნებ, რათა მტკი-  
ცედ ეგნენ ზემოაღწერილთა აღთქმათა შინა ვითარცა სჯულთა  
ზედა ეკლესიურთა. იყავნ ესრეთ!

ვიცი ვითარია<sup>2</sup> თანამდებობა ჩემი და ვჰგეე მტკიცედ ხელ-  
მოწერისა ამის ჩემისაებრ.

მეფე ყოვლისა საიმერეთოასა სოლომონ.

დედოფალი ყოვლისა საიმერეთოასა მარიამ.

ვიცე-კანცლერი სოლომონ ლიონიძე\*.

### [7] ტრახტატი მესამე ნაცვალად პირველისა

უფლისა იესო ქრისტეს მონა, მე, მთავარი ოდიშისა და სხუ-  
ათა სამთავროთა და დიანი გრიგოლ, ქრისტიანებრითა  
აღთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა  
და სხვათასა მეორესა ირაკლის, უგანათლებულესთა ძეთა  
თქვენთა, თავადთა, კეთილშობილთა და ერთა ზემოასა ივერიისათა  
ესრეთ:

<sup>1</sup> თანხმობისა B. <sup>2</sup> ვითარ A. <sup>3</sup> ლიონოვი A.

\* შემდეგ ხელნაწერში ერთი ფურცელი ცარიელია.

## მუხლი პირველი

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოველ-  
სა სამთაფროსა ჩემისა და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და  
მოყვარე მოყვრისა.

## მუხლი მეორე

მაქუნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად დამშვიდები-  
სათვის ქვეყანისა თქვენისა და ვიყო ნიადაგ მზა წინააღმდეგობად  
მტერთა თქვენთა.

## მუხლი მესამე

ვიყო ამწადნელ ბედნიერობისა თქვენისათვის და ცეთა თქვენ-  
თა, ვითარ ნათესაობით თანამდები უგანათლებულესობათა მათთა.

## მუხლი მეოთხე

უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე,  
მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვით და საქმით,  
შეც[ვ]ლებისა ჩემისაებრ, მზა ვიყო<sup>1</sup> შემწვილ<sup>2</sup> თქვენდა.

## მუხლი მეხუთე

უხენაესისა მიმართ მფარველობისა უმაღლესისა საიმპერატო-  
როსა კარისადმი ვითარცა აქენდეს შეკრულება უმაღლესობასა  
თქვენსა, ვიყო თქვენთანა მქონებელი თანხმობისა<sup>3</sup> მფარველობი-  
თა<sup>4</sup> თქვენთანა ერთბამად ერთისა უავლუსტესისა კარისათა.

## მუხლი მეექვსე

აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანა-  
მდებობითა თვით სახლის-წულთა ჩემთა და თავადთა სამთაფრო-  
სა ჩემისათა, კეთილშობილთა და ერთა, სჯულუდებ საუკუნოდ  
ერთგვამად შეერთებასა ამას<sup>5</sup> ზემოდა ივერიისა თანა და ვამც-  
ნებ, რათა მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვი-  
თარცა სჯულთა ზედა ეკლესიურთა. იყავნ ესრეთ!

ვიცი ვითარია<sup>6</sup> თანამდებობა ჩემი და ვჭგიე მტკიცედ ხელ-  
მოწერისა ამის ჩემისაებრ\*.

<sup>1</sup> ვიყო] ვარ B. <sup>2</sup> + ჩემდ A. <sup>3</sup> თანხმობისა B. <sup>4</sup> მფარველობათა B.  
<sup>5</sup> ამას] მას B. <sup>6</sup> ვითარ A.

\* ამის შემდეგ ერთი ფურცელი ცარიელია.

მე, მთავარი გურიისა სიმეონ, ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხუათასა, მეორესა ირაკლის, უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კეთილშობილთა და ერთა ზენოასა ივერიისათა ესრეთ:

### მუხლი პირველი

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ქვეყანისა ჩემისა და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

### მუხლი მეორე

მაქვდნეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად სახმარყოფისათვის სამეფოასა თქვენისა და ვიყო ნიადაგ მზა წინააღმდეგომად მტერთა თქვენთა.

### მუხლი მესამე

ვიყო მწადნელ ბედნიერებისა თქვენისათვის და ძეთა თქვენთა, ვითარ ნათესაობით თანამდები უგანათლებულესობათა მათთა.

### მუხლი მეოთხე

უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვით და საქმით, შეძლებისა ჩემისაებრ, მზა ვიყო სახმარად თქვენდა.

### მუხლი მეხუთე

[v] უზენაესისა მიმართ მფარველობისა<sup>1</sup> უმაღლესისა საიმპერატოროსა კარისადმი სადაცა და ვითარიცა აქვდნეს შეკრულება უმაღლესობასა თქვენსა, ვიყო თქვენთანა მქონებელი თანხმობისა<sup>2</sup> უბედნიერესისა მდგომარეობისა ჩემისათვის მფარველობითა თქვენთანა ერთბაშად ერთისა უავლუსტესისა კარისათა.

### მუხლი მეექვსე

აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი<sup>3</sup> თანამდებობითა თვით სახლის<sup>4</sup>. წულთა ჩემთა, თავადთა, აზნაურთა

<sup>1</sup> მფარუძლებოსა A. <sup>2</sup> თანახმობისა B. <sup>3</sup> შევიკვრი B. <sup>4</sup> სახლის| ხალხის B.

და ერთა სამთავროდსა ჩემისათა, სჯულუდებ საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამას\* ზემოდა ივერიისა თანა და ვამცნებ, რათა მტკიცედ ეგნენ ზემოაღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა სჯულთა ზედა ეკლესიურთა. იყავნ ესრეთ!

ვიცი ვითარია<sup>1</sup> თანამდებობა ჩემი და ვჰვიე მტკიცედ ხელმოწერისა ამის ჩემისაებრ.

142. ბანჴხსებანი საქართულოს მფვის ირაკლისნი ძეთა.  
თჴსთადმი სამფოქსათჴს საქართულოჴსა  
[1791 წ.]

პირი განწესებათა

[1] განწესებანი საქართველოს მეფის ოჯახისათვის და ქვეყნისა ამის, დადებული საუკუნოდ ნეტარ-სახსოვარისა საქართველოს მეფის ირაკლი მეორისაგან, რომელნიცა ბრძანებითავე მისითა გამოცხადდა სახალხოთ ქართულსა ქორონიკონს უოთ, რომ იქნება საეკლესიოთა აღრიცხვითა ჩლჴა წელი, და დაიბეჭდა იგი საქართველოსა შინა მყოფთა ჩინებულთა სამლუდელოთა და საეროთაგან და შენახულ იყო სამეფოსა პალატსა შინა ქალაქსა ტფილისს.

ხოლო დროსა აღა-მამად-ხანისაგან ქალაქისა ამის დაქცევისასა სარწმუნო არს, რომელ განწესებაცა იგი მუნ დაკარგულ იყოს, რამეთუ მიერ ჟამიდგან აღარსად იხილვება.

გარნა აწ ეპოეთ სარწმუნო პირი მისი, რომელსაცა შინა მრავალსა ალაგსა თვით ზემოხსენებულის სანატრელის მეფის ჴელითაც არს ჩაწერილნი, რომელნიცა თითო-თითოდ მუნ დაინიშენიან ესრედ: საცა ჯვარი იხსდეს, იქ დაიწყება სანატრელის მეფის ჴელი და საცა ნოლი იხსდეს, იქ კი დასრულდება.

ხოლო პირი ესე თვით იმ სარწმუნოს პირისაგან გარდმოიწერა და რუსულად ითარგმნა, რომელნიცა ნიშნენ ამის ქვენო.

[2] 1. სახელითა ერთ-არსისა და სამგვამოვანისა ღმრთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა ესწერ მე, მეორე ირაკლი პანგრატოვანი, ცე ცხებულისა მეფისა თეიმურაზ მეორისა და დედოფლის თამარისა, და ვხმარობ სიმკაცრესა ყოვლის მარტოობით და უმანკოებით, რათა არა საჭირო საქმე რამე, ანუ სიბრყვილე იპოებოდეს ამაში, არამედ მინდობითა ყოვლად წმიდისა სულისათა ვე-

<sup>1</sup> ვითარ A.

\* აქედან ტექსტი გადაწერილია პირველი გადამწერის ხელით.

ძიებ, რათა სიმართლით გამოვაცხადო, ქეშმარიტის ძალის მქონებლობით აღვსწერო ჩემთვის და შვილთა ჩემთათვის და შვილიშვილთათვის, და კვალადცა შვილთა მათთათვის და კიდევ შთასრულთა მათთათვისცა, და ეგრეთვე შემდგომთა მათთათვის და რტოთა მათთა, და ქვეყანისა ჩვენისა და მას შინა მყოფთა სამღვდელთა და თავადთა, და აზნაურთა, და ყოველთა, რომელნიცა დღეს ქელთა ჩვენთა შინა არიან და ანუ წალმართ ღმრთით იქნებიან.

+ რაც საქმეში წილი ამაში ჩემის ჩამომავლობის არის, ისიც გარჩევით დამიწერია და ან, რაც ქვეყნისა იყო, ისიც გარჩევით დამიწერია 0.

[3] 2. აწ სჯულად უდებ სახლსა ჩემსა და შთასრულთა ჩემთა ნათესაობითთა გვარეულობასა და საქართველოსა ქართველთა და კახთა, და სამღვდელთა და საეროთა, ბრწყინვალეთა თავადთა, აზნაურთა და ეგრეთვე მოხელეთა, კეთილშობილთა და სხვათა მოხელეთა სოფლისათა, და სხვათა ერთა მოქალაქეთა, და სხვათა ბარისა და მთისა ალაგებთა შინა მყოფთა და მცხოვრებელთა გაუწყებ და გიბრძანებ და კიდევ გვედრები, რომელსაც ამ განწესებას დავსწერ, თუ მე ჩემსა სახლსა და ოჯახზედ გარჯილობა და ჭირნახულობა მქონდეს და ან ქვეყანაზე ერთგულობით ვყოფილიყო და მემსახუროს, რაც ამაში დამიწერია, ის მიიღოთ.

რახანც<sup>1</sup> მიიღებთ იმას ღმრთით, მასუკან არაოდეს შფოთისა და სისხლის დაღვრისა და ერთმანერთის მტერობისა საფიქრებელი აღარა გექნებათ რა, ამ ჩემის აღწერილის აზრის მიზეზით ამ ჩემის შვილების საქმეში სრულათ თქვენში შფოთს ველარ შემოიყვანენ და, თუ სხვაგინდამ ვინმე შფოთს შემოგიგდებენ, ღმრთით ამ ერთობით, რომელიც მე დამიწერია, კიდევ განზღვევით და ღმერთიც შეგვეწვეათ სიყვარულსა და ამისთანას ერთობაში + ჩემს შვილებსაცა და ქვეყანასაცა 0.

[4] 3. ეს განზრახვა, გასინჯულობა და დამტკიცება არაფრის სხვის საქმისა და მოგონებისა არა არის რა. ამისი მხედველი თვით უფალი არის, რომ სახლეულობისა ჩემისა და შთასრულისა ნათესაობისა ჩემისა და შვილთა მათთათვის აღვწერე, რომ არ გაიყარნენ, ერთ სამეფო იყოს და სიყვარულით იყვნენ და არ მტერობდნენ, ეგრეთვე ქართველთა და კახთათვის, რომ ამ საქმით იყვნენ სიყვარულით დამტკიცებულნი ყოველნი ბატონ-ყმანი და ამხანაგნი, რომ თქვენში ღმრთის წინააღმდეგი შური და შერყვნა არა მოხდეს რა.

<sup>1</sup> ნახანც.

და ის განწყობები, რომელნიც ქვეით დაიწერება ჩემის სახლისა და საქართველოს დიდთა და მცირეთათვის, ისინი სრულებით უნდა მიიღოთ და ჩემ[მა] შვილებმაც და შვილიშვილებმაც და საქართველოსა და კახეთისა ერთა იმ აზრებს არა მოაკლოთ რა, თორემ ქეშმარიტად, უცილოთ მაშინვე გამოჩნდება შური და მრისხანება და ამასთან ხმალი დაიწყებს სისხლის ღვრასა და ნათესავნი, მახლობელნი და მოყვარენი საგულისგულონი შეირევინ, ზოგნი ერთის კერძოსაკენ დარჩება და ზოგი მეორეს კერძოს, და რაც ცალი ექნებათ მტრისათვის, ის მოყვარეზედ დაიხარჯება და ნათესავზე, და მოაკლდება ცალი ქართველთა და კახთა, და მტერი წინ წამოდგება და ზედაც შემოჯდება საქართველოებს.

და მასუკან გარყენიან წმიდასა სარწმუნოებასა, დასჩაგვრენ უსჯულონი საქართველოთა. გალარიბდებიან, დამცირდებიან და ზოგნი დაიფანტებიან და [ა] ასრე წახდებიან.

და ეს ამით დაგემართებათ, ქართველნო და კახნო, რომ ჩემი შვილებისა, რაც დამიწერია, თუ იმაზე არ დაზდექით და ისინიც არ დააყენეთ, უიქოდ იცოდეთ, ღმერთმან გაშროსთ, მრავალი ავიდაგემართებათ.

მოგეხსენებათ სამღვდელოთაც და საეროთაც და ნახამთ, წაიკითხამთ ამას სრულათ, ცხადად სცნობთ ამ წერილიდამ, რომელიც დაიწერება და ან ზემოთ დაიწერა.

4. სამობითსა და ერთობითსა ღმერთსა ვფიცავ, რომ რაც ეს განწყობება დამიწერია, არავის შეეტყოს, არცა ვისთვის მეკითხოს და არცა ვისმე ერჩიოს და არა ვისიმე მეტობის მონდომობით, არცა ვისიმე დაკლებით მე ეს არ დამეწეროს და არც ჩემის გონების მეტი კაცი, ამისი მთქმელი და განმრჩეველი სხვა ამის დაწერადმდე არა მყოლოდეს.

და ამაზედ [ზ] ცილი ან მე არავინ დამწამოს და ან სხვათ, რომ დიდი ცოდვა იქნება, და ეს ასე დამიჯერეთ შვილმაცა და ქვეყანამაც.

5. საყვარელნო შვილნო ჩემნო და სხვანო სამღვდელნო და საერონო მამანო და ძმანო, და შვილნო, და მეგობარნო ჩემნო!

ჩვენ საქართველოს კაცნი ვართ და ჩ[ვე]ენის ქვეყნის სამართალს ჩვენ ვერ გადავაგდებთ და არც შეიძლება, და ბევრმაც რომ: მონდომოს, ძალიან გარჯა მოუხდება და წელიწადებიც ბევრი გაივლის, რომ სხვა რიგი სამართლის ჩვეულება ჩამოაგდოს ვინმე, თუ არ დიდმა ჰელმწიფემ, მაგრამ ამასაც ხანგრძელი გარჯა მოუხდება.

რომელიც საქართველოს სამართლები გაურიგებიათ, რაერთიც გვაქვს, ის გვეყოფა და დიდად მოსაწონი და პატიოსანი არის.

და ახლა, საყვარელნო ჩემნო, ერთობით ზემოხსენებულნო, თუ მე ასე არ გამე[ს]ინჯა და ასე არ გამერიგებინა ჩემის შვილებისათვის და თქვენთვის ეს საბოლოო სიმტკიცე მშვიდობისა, სიყვარულისა და ერთობისა არ განმეწესებინა და თავთავისი წილი და რიგი ახლავ არ მიმეცა და არ გამეჩინა, ან ერთმანერთის სისხლის ჩამოვარდნის მიზეზი შევიქნებოდი და ან დაკარგვისა სულით და ხორციით მიზეზად მე დავიდებოდი.

მას უკან რაღა სიტ[?]ყვის გებალა შემეძლო წინაშე ღმრთისა და ან წინაშე კაცთა? ეს წინაშე კაცთა დაიწეროს, მარჯულ და მარცხულ არ მიმიხედავს და არც ერთისათვის არ მიმიკრძავს.

არას შეტყობით და არას ჩემის გასინჯულობით ამის მეტი განზრახვა არა მქონია, რომ საღმრთოსა<sup>1</sup> და ცხოელ-მყოფელისა სულისათვის, რაც ძალ-მედვა, იმისის თხოვით და ვედრებით დამიწერია ჩემის შვილების გზების ჩვენება და ეს განწესება, რომ თავთავისი წილი მიმიცია და გამირჩევია წილები გაყრისათვის და გაუყრელობისათვის, მიზეზები ჭეშმარიტნი და ნიშნები განცხადებულნი მათის ყოვლის სულიერისა და ხორციელის ქცეულებისა და მოქმედებისა.

რომელიც საერთოს ძმობისა და სახლობის რიგი, რჩომა და გაძლება და უფროს-უმცროსობა და ბატონობა და უფლისწულობა, სამართალნი და მათნი სამჯობინარი საბოლოო დამინახავს, ის საფუძველი დამიდვია, დამიწერია.

თუ ეს ვისთვისმე მეკითხა, მე ამას ველარ შევძლებდი და ველარც გავაკეთებდი და, თუ ხმა გამოსულიყო, ეგება დიდი შერყენაც მომხდარიყო და სულ მამეშლებოდა ეს დაწყობილება.

[8] 6. ახლა შეილთა ჩემთა და ერთა სამღვდელთათა და საეროთაც ერთობით და ერთხმობით ღმრთისათვის ეს ჩემი აღწერილი განწესება ჭეშმარიტებით ისმინეთ და კიდევ მიიღეთ.

7. შეწვევითა ღმრთისათა აწ იწყება ჩემის შვილების ერთობისა და თავად კერძის გარჩევა, თუ როგორი ერთობა დაიწერებ და ან რომელსა და რომელთა რა აქვთ თავიანთი საკუთარი წილი, რომელიც ის იმათი საკუთარი ნარგები მამული ყველას მისცემა და აქვსთ; და ეს წილი და კერძი მათი ყველა აღმოჩენილი არის, რომ როგორ უნდა ერთად ძმობდნენ და ან თავისი წილი საკუთარი რა აქვთ გაჩენილი.

<sup>1</sup> სამხთოსა.



8. პირველად საერთოდ უნდა ჰქონდესთ, როგორც ჩვეულება არის, კარის ეკლესია ერთი ტფილისს, ერთი თელავს და ერთი ცხორის ციხეში, რომ ეს ეკლესიანი ყველა ძმებისა საერთოდ არის და რომელიც მამისა და პაპისა ჯვარნი, ხატნი და სიწმიდის იარაღნი აქვენდეს ყველა, რომელიც რომელსაც ეკლესია[9]ში ყოფილიყოს, იქავ უნდა იყოს.

9. იქნება რომ დროს მიხედვით ეს წმინდანი ეკლესიების ჯვარნი და ხატნი დროს მიხედვით და სიწმიდის იარაღნი თუნდა თავისთან შეინახონ და, თუ უნდათ, რომელსაც ეკლესიაში ენებოთ, იქ შეინახონ ერთმანერთის თანხმობით.

და სამღვდელოს კაცის რიგის მიცემისა, და ეკლესიის საკითხებისა თავთავისის წილის სიბევრით და სიცოტავით მებატონე და ძმები უნდა რიგს მისცემდნენ.

10. უნდა დაიმარხონ ეს ჩემი განზრახვა ჩემ[მა] შვილებმა, რომ ყოველს საუფლოს დღეს, ღმერთმან აშოროს, თუ ერთი რამ მიზეზი მიძიე არა ჰქონდესთ რა, ერთად იდღესასწაულებდნენ, რაოდენ შეეძლოსთ.

თუ, ვინ იცის, ზოგნი გარედ საქმეზედ წარსრულნი იყვნენ, იმათ იქ იდღესასწაულონ.

[10] 11. და აქვენდეს სახლიცა ერთი მოდიდო, რომ იმ დღესასწაულობის შემდგომად იმ სახლში შეიყრებოდნენ თავისის სახლეულით და, თუ ყველას ნება იყოს, ვისიმე იქ დაპატიჟება და მიწვევა თავიანთ ნათესავისა ან სხვისა, მი[ი]წვევდნენ და სადილობას იქა ჰყოფდნენ.

და, რაც იმ დღეს იქ დაიხარჯება, საერთოდ ხარჯი უნდა იყოს წილის ბევრობით და სიმცირით, რაც დაიხარჯებოდეს სასმელი და საჭმელი გინა სამღთოსი, გინა მგალობლისა, ანუ თამაშისა ყველა საერთოდ ხარჯი უნდა იყოს, ძმებისა და მებატონისა, როგორადაც წილი აქვსთ.

როგორც ლხინი ნებამდესთ და შექცევა კეთილად, ისე შეექცეოდნენ, რომ ნიშანი გაუყრელობის არის და, რაც ერთი სახლობისა და ერთობისა ოჯახის ხარჯი იქნება, ისიც წილობაზე უნდა გაიყოს. ბევრის წილის მქონებელმა ბევრი გაილოს<sup>1</sup> და მცირე წილის პატრონმან მცირე უნდა დახარჯოს. ასე სამართლით უნდა ეგნენ.

12. ღმრთის მოწყალებით თუ რომელმანმე ძმამ საერთოს ეკლესიებს გარდა თავთავისთვის ეკლესია ა[ა]შენოს, სადიდებელად

<sup>1</sup> გაიყოს.

ღმრთისა თავისის კარისა, თუ სხვაგან სადმე, ესეც ძმების და-  
კითხვით [11] უნდა იქნას. და ამ კეთილ საქმეს ვერც ძმები და-  
უშლიან.

მაგრამ, რომელიც საერთო ეკლესიები აქვსთ, იმ ეკლესიიდან  
ვერას გამოიტანენ ახლის აშენებულის ეკლესიისათვის: ვერც ხატსა,  
ვერც ჯვარსა, ვერც შესამოსელსა, ვერც წიგნსა და ვერც სიწმი-  
დის იარაღსა.

თავისის წილიდამ უნდა შეამკოს ის თავისი ახალი აშენებუ-  
ლი ეკლესია იმ აღმაშენებელმა ძმამ. სხვას ჯელი არ ექნება არც  
ხარჯში და არც იმ საყდარში.

+ თუ დასაშლელი არ იყოს, უწმიდესი ნუ დაუშლის 0.

13. ციხე[ე]ბისაც ასე დაგვიწერია: ქალაქის ტფილისის ცი-  
ხეები, გორის ციხე, სურამის ციხე, წირაქოლის ციხე, ანანურის  
ციხე, ბოჭორმის ციხე და გრემის ციხე; რომ ამ ციხეებს ნარიყა-  
ლის ციხეებიც აქვს და ნარიყალაები ცოტას კაცით შეინახება. ამ  
შვიდს ალაგს ნარიყალაებში საერთოდ კაცი უნდა ეყენოსთ, რა-  
ერთიც მოუხდესთ მცველათ.

და სხვა ციხეები და გალავნები, რომ დიდრონი არიან,  
ქართლში, თუ კახეთში, ისინი ცოტას კაცით ხომ არ შეინახება,  
ის სათემო არის. ღმერთმან [12] ნუ ქნას, მძლავრის მტრის ში-  
შობა რომ იქნება, დასახიზნავად ახლო სოფლების ხიზანი და ხალხი  
შევა; როგორც დაჩემებული არის და განწესებული, ისე უნდა შევი-  
დნენ და დაიხიზნონ.

თუ სახასოს დიდს გალავანსა და ციხეში ღმრთის მოწყალე-  
ბით ახალი ნარიყალა ა[ა]შენონ, ერთმანერთის შეკითხვით უნდა  
ა[ა]შენონ მეფემ და ძმებმა და, როგორც ნარიყალაებში საერთო  
კაცის დაყენება დაგვიწერია, ახალს აშენებულს ნარიყალაშიაც სა-  
ერთო კაცი უნდა დააყენონ თავთავისი წილის შეხედულობით, სა-  
მართლით და გულ-დაჯერებულობით.

14. რაც ამ ჩემს შვილებს თავთავისთვის წილი აქვსთ მიცე-  
მული, ის ხომ თავიანთი კერძი არის. იმაში ვისაც უნდა, აჩუქე-  
ბენ და ვისაც უნდა, ასესხებენ და ვისაც უნდა, დაპატიჟებენ.

სხვა ძმები არაფერის ვალის მქონებელნი არ არიან, მაგრამ  
ამისთანა საქმეში ძმები რომ ერთმანერთს შეეწივნენ, დასაშლელი  
არ არის; მაგრამ კანონად მე დამიდვია ასე და თითონ იციან.

[13] 15. სახასოებიდამ, სათავადოდამ და, თუ ეკლესიების  
ღებულებაც არის რამე, რაც შემოსავალი იქნება, საქვეყნოს შე-  
ნაწერს გარდა რა, + სამად გაიყოფდეს, ორი წილი მეფესა და  
მესამედი, რამდენი ძმანიც იყვნენ, იმათ 0.

კიდევ ამავე ძმებში ესეც განიწესა, რომ, რაც და საიდამაც მეფეს ჯარშია ერგებოდეს, იქიდანაც მეფეს ორი წილი, მესამედი ხუთმა ძმამ გაიყონ, როგორც ზემოთ დაგვიწერია იმ წესით.

16. ამავე ექვსი ძმისშვილებმა, რომელმაც სქესმა თავისმა მოწილემ ძმამ და იმავე სქესის სახლის-კაცებმა გაყრა მოინდომონ, დაუშალონ ყველამ.

თუ არ დაიშალონ, გაიყარნენ და თავიანთში საუფროსო, საშუალო და საუმცროსოც აიღონ ისე, როგორც თავადები ბარათებით გაი[14]ყრებიან.

+ და ეს იმათი გაყრილობა, რადგანც მამული ცოტა ექნებათ, აღვიღათ და უშფოთრად შეიძლება და გაიყარნენ 0.

17. მეფეს თუ უფლისწულთ რომ უცხოს ქვეყნიდამ საერთო სტუმარი მოუვიდესთ და ეწვიენენ, თუ ის სტუმარი საქვეყნოსა და ძმათ საერთოს საქმეზედ არის მოსული, იმ სტუმარს ძმები საერთოდ უნდა დახვდ[ნ]ენ სმით, ჭამით, საჩუქრის მიცემით. ნახევარი ხარჯი მეფისა იყოს და ნახევარი ხარჯი სხვა ძმებისა.

მაგრამ უფროს ძმას რომ აქვს საუფროსო და საუფლისწულო ძმებზე აღებული, იმან ისე მეტი გაიღოს.

18. თუ ამისთანა კაცი იყოს, არ ამჯობინონ იმისი დახვედრა, თითონ იციან; მაგრამ მებატონე თუ ამჯობინებს, იმას დაუჯგრონ იმისი ჩუქება და არ-ჩუქება; და თავთავის საკუთარს სტუმარს საკუთრად დაუხვედებოდნენ + ყოვლისფრით 0.

19. როდესაც საქართველოს მეფეს თავისი შვილები გაუყრია, ის კი კარგის აზრის მქონებული იქნებოდა, მაგრამ იმისთანას გაყრას იმისთანა საქმეებიც მოაქვს, როგორც მოხდომიათ, რომ ქართველთა და კახთ ერთმანერთში სისხლი დაუღვრიათ; ხან კიდევ ქართველთ ერთმანერთში, ხან კიდევ კახთ ბატონობისა და უფროსობისათვის ხრლმები ჩამოვარდნიათ და ერთმანერთის სისხლი უღვრიათ. და მე ამისთვის ჩემი შვილები ესრეთ შევაერთე საუკუნოთ და ასე გავჰყარე თავთავეთის წილით.

20. შვილების მეცნიერებისათვის, რომ ისწავლიდენ ღრამატიკასა და რიტორებასა, და ფილასოფიასა, და ლოლიკასა და წერილსა, რომ მწიგნობრად დასარწმუნებელნი იყვნენ და, თუ ამაზე მეტს მეცნიერებაში შევლენ და ისწავლიან, ის უმჯობესი იქნება, მაგრამ უამისობა კი არ იქნება. მე ჩემი მოვალეობა კი მომისხლეთია და თითონ იციან. თავადებს ის მეცნიერება უფრო გამოადგებათ, სხვისაგან + რომ ისწავლონ 0.

21. კიდევ ეს განიწესა ამ იმებში, [16] რომ ამათ სახლში მოწყალეებითა ზეგარდამოთა, როდესაც რომლისაც ძმის სახლში ქორწილი იყოს, მებატონემ ძმებსა უბძანოს და განზრახვა ჰყოს, რაც იმ დანიშვნასა და ქორწილში ხარჯი დასჭირდეთ, ნახევარი მებატონისა უნდა იყოს და ნახევარი სხვა ძმებმა გაიღონ. და, ვისაც შეწყვეა სხვა ქორწილში უნდოდესთ, ის შეაწიონ.

22. მაგრამ ყოველთვის ერთი განწესება დადვან, რომ ერთი ხარჯი იყოს ქორწილზე ვაჟებისაზე, მეტ-ნაკლებობა ნუ იქნება. ეგრეთვე ქალებისაზე დაქორწილება, რასაც ხარჯის შანას დახდებენ ყოველთვის, იმ ქალების ქორწილზე, იმავე ხარჯს დახარჯევდნენ, რაც განწესებული ექნებათ. + ვაჟისა და 0 ქალის ქორწილის ხარჯი ერთს დროსა და ეამზედ არის მიგდებული და შეძლებაზე, რაც შეეძლოსთ.

23. ღმერთმან აშოროსთ, მაგრამ ბოლოს უამისობა არ იქნება: რომლისაც ძმის სახლში მწუხარება შეიქნას, მებატონემ და ძმებმა, რაც ამყოფინონ, ის ხარჯი გასწიონ. მებატონემ, როგორც ამ[17]ჯობინოს თავთავისის წილის ხარჯით დახარჯონ. იმ ხარჯის გამორჩევაში იმ შეწუხებულს ძმას ჯელი არა აქვს.

ძმები, რასაც მოუმზადებენ და მისცემენ შესაწევარს, იმას უნდა დასჯერდეს და, თუ ის შეწუხებული ძმა თავისის მიცვალებულისათვის მეტს რასმე დახარჯამს, ის თავისის წილიდამ უნდა დახარჯოს, ძმები ჯელს ვერ დაუჭერენ.

24. ვისი<sup>1</sup> წასახურავი და შეწევნა უნდოდესთ, მებატონემ და ძმებმა თავიანთ წილის მზგავსად შეწევნა მისცენ. რომელსამე ძმას, თუ მეტი შეწევნა უნდოდეს, თავისის წილიდამ შეაწიოს იმ შეწუხებულს, - ვინც იქნება 0.

[18] 25. ქალი რომ გა[ა]თხოონ, იმ ქალის მამა[მა] და დედამა, რაც შეეძლოსთ, მზითევი მისცენ; და მეფემ და სხვა ძმებმა უნდა შეაწიონ მართებულათ თავთავის წილის მეტობით და მცირობით. და მზითვის ყულულჩი და მოახლე თავისის წილის მამულიდამ უნდა გაატანონ მამამ და დედამ და ძმებმა. სახასოსთან საქმე არა აქვსთ. სახასოსთან არც მეფესა აქვს ხელი. მოახლის გამორთმევაში, თუ გამოართვას, თავის საკუთარს წილს უნდა გამოართვას.

26. ამ ძმებთა და ამათგან შთამოსრულთა შვილთა სასაფლაოები გაყოფილი არა აქვსთ. ყოველგან, საცა აქვსთ საბატონო მონა-

<sup>1</sup> ვეისი.

სტრები და ეკლესიები, ეგრეთვე საუფლისწულოებში ანუ საუფროსოში მონასტრები და ეკლესიები, ერთმანერთს ნუ დაუქვერენ, სადაც უნდოდეს, თავისი მიცვალებული იქ მიიღონ. ნურც მებატონე დაუქვერს და ნურც უფლისწულები.

მაგრამ გვამსა და ალაგზე ჰკიდია. მებატონემ და ძმებმა გა[ა]რიგონ უწმიდესის შეკითხვით და ერთმანერთის ნებით, რომელიც გვამი უფრო უპატიოსნესი იყოს, უფრო პატიოსანს ალაგს უნდა მიიღონ და, რომელიც საშუალო იმისთანას ალაგს უნდა, და უმცროსისაც კიდევ იმისთანა[ა]ს ალაგს; და სადაპოს ნურას გზით ნუ აიღებენ, რომ [19] მე დამიყენებია. + ზემოთ რომ უფროსი, საშუალო და უმცროსი მიხსენებია, ასაკისათვის დაგვიწერია, სხვას ნურას იფიქრებთ 0.

27. ნურც მებატონე, ნურც უფლისწული უერთმანერთოდ კაცს ნუ გააზატებენ, ნურც სახასოს, ნურც საუფროსოს, ნურც + საუფლისწულოს 0. ამისათვის რომ გაყრილნი არ არიან და ერთსახლობა აქვსთ.

28. სახასო კაცს უფლისწულები და ძმები და სახლის-კაცები ნუ დაარბევენ უბატონოთ, ამისთვის რომ ერთსახლობა აქვსთ და ერთნი არიან, საუფროსოსა [20] + და საუფლისწულოსი 0. თითონ იციან თავისის ყმისა, მაგრამ, თუ უსამართლოთ ირბეოდეს, მებატონე და ძმებმა რომ დაუშალონ, მართებული იქნება და იმანაც დაუჯეროს და სახლის-კაცებს სათნო იყოს, უმჯობესი იქნება და თავისი ნებაა, თუ არა იქს.

+ მაგრამ, თუ არ დაიშალა, ცოდვაში ჩავარდება 0.

29. თუ რომელმაც ძმებში ერთმანეთში ძალა მოინდომონ და შეორეს როგორმე ძალი დაემართოს წილსა და პატივში, ჯერ ძმები მშვიდობას ეცადნენ, გა[ა]რიგონ მათი საქმე, განწმინდონ.

თუ არ იქნას, სამღვდელოთი და სარღლებით ეცადნენ და გაარიგონ და განწმინდონ, თუ არც იმითი დასცხრნენ, რაც სახასო ყმანი არიან ჩვენნი, + ქალაქი 0, მთისა, თუ ბარისა ისინიც მოიხმარონ, ძალა და ნება ორივე იხმარონ და გაურიგებელს ნუ გაუშვებენ, ძალით გაარიგონ.

[21] 30. რომელსაც ძმას თავის წილათხდომილს მამულში ან ბალი არა აქვს, ან ვენახი, ან წისკვილი, ახლათ თავისთვის გაიკეთოს, მაგრამ რომელსამე უფრო აქვს და რომელსამე ცოტა, მაგრამ ნუ გამოეკიდებიან ერთმანერთს და ნაკლებმან ახლა გაიკეთოს და მებატონემ სახასოდამ ნახევარზე მუშა უშველოს.

რაც მუშაობა მოუნდეს ამ პირველს გაკეთებაში, ნახევარი ხომ იმისმა მებატონემ უნდა იმუშაოს, რომლისაც მამული არის,

და ნახევარი მეტონემ; პირველზე მუშა მოახმაროს და მას უკან აღარ უნდა მოახმაროს, თითონ უნდა გააკეთოს.

+ რომელსაც ძმას მამული გაკეთებული დახვედრია, იმ ახალ მოშენეს ძმას პირველზე გაკეთებაში სახასოსავით შეძლებით ისიც მოეხმაროს 0.

[22] 31. ნუმც იქმნება ესე, რომელიმე სახლის-კაცი უშვილო იყოს, იმისი კერძი ყმა და მამული სხვას სახასოს მზგავსად უნდა დაიდვას: შემოსავალი ორი წილი პატ[რ]ონისა იქნება, მესამედი სახლის-კაცებისა..

+ თუ იმ კერძიდან და მამულიდან მეფესა და უფლისწულებს საქმემ შეახვედროს, იმ მამულიდან ცოტ-ცოტა ბევრობით გაცემა მოინდომონ, ნება აქვსთ; თუ გამორთმევა იქნება, გაცემაც უნდა იყოს 0.

32. რომლისაც ძმის რიგზე იყოს იმისთანა, რომ ვერ წარმართებდეს მეფობასა, თუ იმავე რიგში შემდგომი შვილი ან შვილიშვილი იყოს, რომ შეეძლოს და არა სჭირდეს-რა ნაკლულევა-ნება და არ იყოს სნეული, იმან მიიღოს და დაადგინონ მეფედ.

თუ იმავე სქესში არც ერთი არ იპოვებოდეს, იმის შემდგომ ძმის სქესში და[ა]დგინონ მეფედ და, თუ ამაზედ საღმრთოსა<sup>1</sup> და საეროსა ერთა შინა შერევნა შეიქნას საქართველოში და სხვასა და სხვას არჩევდნენ, ნუ იყოფინ, თუ არ ისე, როგორც დამიწერია [23] და როგორც გამიჩივია.

თუ იმ სქეს[ს]ში არ იპოვებოდეს, იმის შემდგომმა სქესმა მიიღოს ზემოწერილისამებრ.

ამას გარდა საქართველოების დიდნი და მცირენი, თუ რომლისამე საქმით გაერივნენ და შეშალონ რიგი, მეორედ მოსელას უფალსა ჩემის ცოდვის პასუხი იმან მისცეს და ნურა კეთილი დაემართოს ღმრთისაგან იმ გვამს, რომელიც მიზეზი შეიქნას.

თუნდა სხვანი დიდად სჯობდნენ, მაშინც ზემოთ დამიწერია, ისე უნდა აღასრულონ და ის დასვან მეფედ, რომლისაც რიგი იყოს.

33. კვალად გავამეორებ ამ ჩემის შვილე[24]ბის განწესებისას, რომ ჩვენის ქვეყნის სამართალს ვერ წაუვალთ, როგორც სამართლები არის გაყრისა და გაუყრელობისა შეწვენითა ღმრთისათა არც ერთი არ დამიგდია, ყველა აღმოჩენით არის დაწერილი თავთავისის საკუთარის წილებისაც და საერთოს წილებისაც.

და, თუ ეს ასე არ გამერიგებინა, როგორც სხვას თავადებთ მამანი და ძმანი გაყრილა, მაგრამ დღესაც კიდევ ლაპარაკი და შფოთი აქვსთ და ბევრს კიდევ ერთმანერთის სისხლი დაუღვრიათ,

<sup>1</sup> სამხთოსა.

ამისთვის რომ მებატონეს და მოსამართლეს ამ დროს მიზეზით და ან გაურჯელობით რიგიანად და კარგის დაწყობით ვერ გაუყრიათ.

და, რომელნიც კიდეც გაუყრელნი ყოფილა ურიგოდ და უწყესოდ და ერთმანერთის სისხლი უღვრიათ; ზოგთ შურის და სახლის-კაცის შფოთსა და სიმძულვარეში შემთხვევია სიკვდილი და ისე გარდაუვლიათ ეს სოფელი და ამისთანა სიბოროტეში დახოცილან.

და მე ამ ფიქრებისათვის ასე განვაწყესე, როგორც დამიწერია.

მ<sup>4</sup>. აბა, ვთქვათ, როგორ უნდა ამელო ან საუფროსო, ან საუფლისწულო, თუ ამ ქვეყანაში, ქალაქში, ქისიყ[შა]ში, თუშეთში, ქსანსა, არაგვსა და ლიახვში, პირაქეთ და პირიქით ოსებში, ხევსურეთში, ყაზახში, ბორჩალოში, შამშადილოში და კიდეც სხვას თათრებ[ში], ეს შეუძლებელი იყო, ამისთვის რომ ესენი ასე არც გაიყოფოდენ, არც შეიძლებოდა და მრავალი ხანიც გამოვიდოდა და, რომ კიდეც შეგვძლებოდა, მასუკან კომლეულადაც უნდა. გაბარათულიყო. უამისობა აღარ იქნებოდა და სანამდის ეს იქნებოდა, ეგების ხმალიც გაშიშვლდებოდა, სისხლიც დაიღვრებოდა და არცავეს გამართვა შეეძლებოდა და ამ სიდიდეს ქვეყანაში არც მომხდარა.

აბა, მითხარ გონებაო ჩემო, როგორ სისწორით დაგვეთვალა, არას გზით არ იქნებოდა და ახლა, როგორც საერთოდ დაგვიდგია ეს ხსენებულნი ქართველი, სომეხი: თათარი ქართლისა და კახეთისა ქვეყნებში და სხვანი ქვემოსხსენებულნი, ესენი ყველანი საუფროსოს და საუფლისწულოებს გარდა საზოგადო ყმანი არიან და მებატონე მეფე არის ამათი მბრძანებელი და მოქმედი.

და, რაც სახასოს შემოსავალი იქნება, თუ იმ შემოსავლიდამ შეწირულობა რამ იქნება, და ან; რასაც მოხელენი აიღებენ, და ან იქიდან ჯამაგირის განწესება ექნება ვისმე სახასოს შემოსავლიდამ, ჯერ ესეები უნდა გარდაიდვას და, რაც დარჩეს, სამათ გაიყოს; ორი წილი მეფეს და მესამედი უფლისწულთ.

[26] მ<sup>5</sup>. ტფილისი, გორი, ქისიყი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, არაგვი, ქსანი, ლიახვი, ქართლისა და კახეთის თათარი, ბორჩალ-ყაზახი, ბაიდარ-შამშადილი, შამქორი და, რაც ოსები გყავს, ამათში, როგორც ზეით დაგვიწერია, არც საუფროსო შეიძლებოდა და არც საუფლისწულო დადგებოდა ვინმე და არც გამოერჩეოდნენ და გაეყრებოდნენ ერთმანერთსა, ამისთვის ამაში არა მოხერხდებოდა რა.

და, რაც ამ ზემოს წერილის წილების მაგიერები გამიჩენია და გამირიგებია და მიმიცია ჩემის შვილებისათვის თავთავისი წილი და ეს რომელიც ქალაქებისა და ბარისა და მთისა სახასოების დამიწერია, რომელიც სამეფოდ დადებული არის, ხომ ის არის.

ეგრეთვე სადედოფლო და, რომელიც საუფროსოდ და საუფლისწულოდ აღმოჩენილი არის, [27] ხომ ის არის. და, რომელიც ჩემგან ახლა საკუთარის წერილები[თ] გარჩეგებული არის, იმ გარჩეგებას დამიჯერებია და უნდა დასჯერდნენ.

და რომელიც მიცემული არ არის, ის სამეფო არის, და იმ გაუცემელმა სახასომ, თათარმა, თუ სომეხმა, თუ ქართველმა მებატონეს მსახუროს და, რაც იმათგან გამოვიდეს, სამათ გაიყოს; ორი წილი მებატონეს და მესამედი უფლისწულთ.

რომელიც ჩემგან მიცემული არა აქვსთ ჩემს შვილებს, ჩემგან მიუცემელი ყმა და მამული სახასო არის. თუ თითონ სხვას ქვეყნიდამ მოუყვანიათ და გარჯილან, ის იმათი იქნება და სხვას ძმებს ჯელი არ ექნებათ.

36. სახასო და საუფლისწულო კაცი რომ გაქცეული იყოს, ეცადნენ, რომ საერთოდ მოიყვანონ, ასე ს[28]ჯობს. თუ ის კაცი სხვათ კი არ ენებოსთ და არ მოვიდეს საერთოდ, და ის ერთი სახლის-კაცი მოინდომოს საბატონყმით, თუ ქვეყანას და სარწმუნოებას უჯობდეს, მოიყვანოს იმან, რომლისაც ბატონყმობა მოინდომოს, და მოვიდეს იმასთან და ეყმოს.

და, თუ იმ კაცს არ შეეძლოს რა, არც ქვეყნის შემატება და არც დაკლება, თუ ქრისტიანი არ იყოს, ნუ მოიყვანენ.

37. რომელმაც ჩემ[მა] შვილმა, ან შვილიშვილმა, ან ჩემ[მა] შთასრულმა ნათესაგმა ერთმა, მეორემ, ღმერთმა ნუ ქნას, თუ მოკლას თავისის ჯელით ან სხვას მოაკვლევინოს რითაცდრით და ან მოწამლით, ან დაშავებით, ან კუდიანები რომ იქნებიან და თავიანთ ეშმაკის შემოღებულის წამლით, როგორადაც ძველთაგან კერპმსახურთაგან ყოფილა ჩვეულება, რომ კაცს წა[ა]ხდნენ, იმისთანას საქმით მოუხერხონ რაბე, და ან მოკლან, და ან წა[ა]ხდინონ, და და[ა]შაონ თავიანთ ნებით და ან სხვის ნების მიცემით.

და იმ ჩემის შთამოსულის გვარისაგან, რომელიც ზემო დაწერილის ბრალების მოქმედი იყოს, იმასაც და იმის ამყოლსაც შერისხდეს ერთი ღმერთი სამგვამოვანი, წმიდა სამება, მამა, ძე და სული წმიდა, და იყოს შეჩ[ვე]ნებული და დასჯილი აქაცა და მერმესაცა საუკუნესა; და ნუ მისცეს [29]მას ნაყოფი თავის თავის.



გამოსადეგი და ყოველივე, რომელიც იმის ნება არ იყოს, ის და-  
მართოს ყოვლად ძლიერმან ღმერთმან.

და, თუ მე დამიჯერებენ, ქვეყანამ ერთხმობით გა[ა]გღონ ამ  
ქვეყნიდამ შეჩვენებული საუკუნოდ. იმ ბოროტის მოქმედის სხვა-  
გან გაგდებას ესე სჯობს, თუ მოკლამთ, თქვენ იცით, ღმერთმან  
უცოდო გამყოფოსთ და, თუ არ მოკლამთ, ისიც თქვენ იცით,  
მაგრამ ასე კი უნდა წა[ა]ხდინოთ, რომ გაგექცესთ და სხვაგან მი-  
ვიდეს ვისთანმე, გამოსაყენებელი აღარა იყოს რა არც. თავისთა-  
ვისა და არც სხვისა თავისა.

და, თუ იმას შვილი დარჩეს ვაჟი და კეთილ შრომაში იყოს,  
იმას თავისი ზამის წილი არ დაეკარგოს. და ბატონობა კი აღარ  
ერგება იმის შთამომავლობას, + და არც სახასოს შემოსავლის  
წილი 0. და ნურც მისცემთ, რაგინდ კარგი იყოს.

ამაებს სულ ჩემის შვილებისათვის და შვილის შვილებისათ-  
ვის და ქვეყნის სისხლის უდენლობისათვის ვწერ, ჩემს თავს ვუი-  
ცავ, სხვას არავის, ზევითაც ბევრჯელ დამიწერია.

+ და იმ დამნაშავეს კაცის შვილს, თუ შეამცნოთ, რომ  
ორგულობასა და სიბოროტეში შესული იყოს და მეფისა და ქვეყ-  
ნისა საზიანოში, როგორის საქმე ღირდეს სისხლით, მეფემაც და  
სახლის-კაცებმაც და ქვეყანამაც ასე გარდაახდევინეთ, რომ სხვა-  
გან გათრევა არ შეიძლოს 0.

[30] 38. რომელმაც ჩემ[მ]ა შვილმა, ანუ შვილიშვილმა, ან ჩემ[მ]ა  
შთამოსრულმა ნათესავმა ეს ჩემი წერილი არ დაიჯეროს და სხვა  
სარწმუნოების შემძლებელს კაცს მიეკედლოს და წინააღმდეგად გა-  
მოჩნდეს და იმ საქმით თავის სახლის არეულობისა და აისხლის  
დაღვრის მიზეზი შეიქნას, შერისხდეს მამა, ძე და სული წმიდა  
ღმერთი და, როგორც ძმის მკვლელისა და სახლის-კაცის მკვლელი-  
სა დაგვიწერია, ესეც ისე უნდა იქმნას, იმ წესიდ დასაჯონ.

თუ ასეთი მომშველებელი არა ჰყვანდეს და მორევა შეიძლოს,  
როგორც დამიწერია, სწორეთ ისე დამართონ.

39. + მეფობა 0 პირველად უფროს მმას, მეორეთ მეორეს,  
მე[31]სამედ მესამეს, მეოთხედ მეოთხეს, მეხუთედ მეხუთეს, მე[ც]-  
ქვსედ მე[ც]ქვსეს და მასუჟან კიდევ მეორედ უნდა მოუბრუნდეს  
პირველის ძმიდამ და კიდევ ისე უნდა ჩავიდეს მე[ც]ქვსეს ძმამდის,  
ყველამ, ძმის შთამომავლობამ ასე უნდა ჩაირიგონ + მეფობა 0.

და, თუ ის ერთი ჩამომავლობისა არ ვარგოდეს ან სნეულო-  
ბითა, ან სხვა რიგად შეუძლებელი იყოს, თუ იმასვე სახლს-კაცი  
ჰყვანდეს თავის წილში, იმას დაანებონ ქვეყნის დამტკიცებით.

და, თუ არ ჰყვანდეს თავისი უმცროსი ძმა და ნათესავი იმ [მე]ორეს სქეს[ს] იმის უქვემოეს მისცენ და ის ზეფობდეს, სანამღის იცოცხლებდეს.

და კიდევ, თუ გაუჩნდეს რამე ბოლოს და გაეზარდოს იმ დაწუნებულს თავის კერძს ოჯახში, ის გაამეფონ.

მასუკან იმ დაწუნებულის მაგიერად რომ იჯდა მეფედ, იმის სქესს აღარ ერგება მეფობა, რადგან იმ დაწუნებულის მაგიერად იჯდა მეფედ; სხვას სქესს უნდა მისცენ, იმას უკან, რომელიც იჯდა მეფედ, იმ სქესს, შემდგომად, რომელსაც ერგება რიგით, იმან მიიღოს მეფობა და ქვეყნის სამართლით და განსჯით და ძმების შემწეობით მიეცეს.

და როგორც დამიწერია, კიდევ ისე ქნან, თუ უჩნდეს სახლში ხეირიანი, რომ ავი არ იყოს და სათაკილო ქყეყნისა, იმ დაწუნებულის კერძს სახლსა შინა ნურას დროს რიგს ნუ მოუშლიან. ისევ იმ ზემო წერილისაებრ გაარიგონ, რიგს ნუ მოუშ[ვჰ]ლიან.

ჩემის ცოდვითამც განიკითხვის, თუ ეს მოშალოს ვინმე; ღმერთმან ის მოშალოს ყოვლის კეთილისაგან.

40. რომელმაც ჩემ[მ]ა შვილებმა და შვილიშვილებმა მეფობა მიიღოს თავიანთ რიგზე ღმრთისა და კაცის სამართლით სულ, როგორც ყოველს ქრისტიანობაში არის განწესებული, უნდა რომ ერდგულებაზე შეჰფიცონ ყოველმა თავისმა საბატონომ უწმიდესმაც და უფლისწულთაც, უნდა იფიცონ და ყოველთა სამღვდელთა და ყოველთა თავადთა და აზნაურთა და გლეხთა.

მაგრამ ფიცში ეს უნდა ჩაიტანონ: «რომელიც შენს მამას ერეკლეს და შენს პაპას ერეკლეს შენის ოჯახის, შენის ძმებისა და სახლისა, ეკლესიისა და ან თავადთა, ან აზნაურთა და ან მოხელეთა და ან სხვას გლეხის კაცისა მთისა, თუ ბარისა, შენის ოჯახისათვის ის რიგი და განწესება, რომელიც დაუწერია, თუ იმასი დამჯერებელი და იმაზედ დამდგარი და მოქმედი იქნები, [ვჰ] სრული შენი, როგორც მართებული არის, და ჭეშმარიტი ერდგულიც ვიყო და, რაც შემძღლიან, კიდევ შენის ოჯახისა და შენის ორგულისა და მტრისაც მტერი ვიყო და მოყვრისაც მოყვარე, და შენის ერდგულისაც ერდგული ვიყო და ჩემის შეძლებით კიდევ ვეკადო, რომ მოვალეობისაებრ ჩემისა გემსახურო და არც ორგული დავმალო. და, თუ შენ მამის შენისა და პაპის შენისა იმ განწესების განაჩენზედ არც დაზღვე და წინააღმდეგად გამოჩნდე, როგორც ამაში განჩინება გვიწერია, როგორც ქართლისა, კახეთისა უფლისწულნი და უწმიდესნი და თავადნი და ყოველად სამღვდელონი და სხვანი

ერნი იქნებიან და იმოქმედებენ, ზეც იმათთან ამხანაგი და მოქმედი ვიყო ჩემის შეძლებით».

და, თუ არ დადგნენ ამ კანონებზედ ჩემნი შთასრულნი შვილნი და შვილიშვილნი, ნურც ძმები დაანებებთ თავსა და ნურც სამღვდელონი და ნურც ერნი, და ესევე განწყება აყაბულებინეთ.

[34] 41. და როდესაც მეფედ დაჯდებოდ[ეს] და ბატონობას მიიღებდეს, კურთხევით, თუ უკურთხებლად, ეს ჩემნი შვილნი და შთასრულნი ნათესაობანი ჩემნი, მაინც უნდა შეჰჭვიცონ ყოველმან კაცმა, როგორც ზემოთ დამიწერია.

და თვით იმ მეფემაც უნდა შეჰჭვიცოს თავის სახლის-კაცებს და სამღვდელთ, თავადთ, აზნაურთა და გლეხთ ყოველთა, როგორც შეეძლოს და, რაოდენ შეძლოს, შეიყვაროს და უსამართლობით არ მოექცეს სიყვარულით მოექცეს, ყველას სწყალობდეს.

და, ვინც დამნაშავე იყოს, იმაზედ შეძლებით გაშინჯოს და ქნას სამართალი და იქნებაც შეწყალებაც ზოგში მოხდეს; და ეს თავიანთზედ არის მივარდნილი, სად და რომელზედ იქნება მისაღებელ, რაც იქნება და, სად შეწყალება იქნება, თვით ყოველად ძლიერმან ღმერთმან მისცეს თავისად სათნოდ მოქმედება.

[35] 42. მებატონემ, ვინც ქართველნი და კახნი არიან სამღვდელონი და თავადნი, და აზნაურნი, და გლეხნი, თუ ჩემი მამა-შვილობა გწამსთ, ისინი შეიყვარეთ, როგორც მამამან ტკბილმან და მოწყალემან, როგორც პატივის ღირსნი იყვნენ, შეძლებით, ნუ მოაქლებთ პატივსა და სიყვარულს; თუ ორგულება სარწმუნოებისა თავის ქვეყნისა და შეფის ოჯახისა არ შეამცნოთ, ნუ შეიბეზლებთ.

და ვინც დააშაოს რამე თავის რიგზე, სამართლით რაც ღირდეს, უნდა მიაგოთ, თვარემ ქვეყნის წახდენა იმას შეუძლიან.

და კიდევ, ვინც სარწმუნოებას და მებატონობის ერდგულობაზე იდგეს, რაოდენ შეიძლებოდეს, ნუგეში და წყალობა ნუ მოაქლებთ მებატონისაგან და, რომელიც არ შეეძლოს მებატონეს, ეს დასანდურებელი არ არის და ნურც ის დაენდურება. ეს კიდევ სხვას მეფისთვისთანაც დამიწერია.

+ რომელიც ქვეყანაზედ თუ მარტო მეფეზედ, თუ ერთს კაცზე ასეთი დამნაშავე იყოს, ის კაცი რომ არ დაეთმოზოდეს, ნუ დაუთმოზენ; როგორც გადაახდევინებენ, თითონ იციან მეფემ და მოსამარ თლემ 0.

[36] 43. იმათაც ისე მართებსთ თავისის მებატონისა და ჩამოშობავლობისა, როგორც წმიდა პეტრე და წმიდა პავლე მოციქულნი და სადიდებელნი სამღთონი კაცნი და სოფლის განმანათლე-

ბელნი ბრძანებენ თავის მებატონის პატივსა და ერთგულებასა, და ეგრეთვე მებატონისაგან იმათს სიყვარულსა და მსჯავრსა.

ეს წმიდათ მოციქულთ სიტყვა ორისავე კერძოს დიდად დ[ა]-საჯერებელი და მტკიცედ დასაცველია და მეც ასე კანონად უდებ; და შენახვა და დაცვა იმათი ვალი არის.

44. ჩემი შვილები და შვილიშვილები რომ ასე გამიშველებია, რომ რაც საუფროსო, საუფლისწულო მიმიცია, იმაში ერთმანერთთან საქმე აღარა აქვსთ რა; ამაში ერთმანერთს არცარას წილს შემოსავალში მისცემენ და ვერცავის იახლებენ, თუ არ თავისი წილისა და ყმისაგან კიდევ.

გაყრით ამითი გამიყრია, რომ შფოთის მიზეზი სულ დამიხსნია; საუფლისწულოსა, საუფროსოსა და სხვა, რომელიც ქალაქი, თუ მთა არის, ანუ ბარი სამეფო, იმ სამეფოში კი უნ[37] და, როგორც ამაში განწესება არის თავადებისა, აზნაურისა და გლეხისა, ისე იმსახურონ + და იახლონ, როგორათაც და საიდამაც თავთავისი წილი გამიკეთებია იქილამ 0.

45. საქართველოებში მეფედ სახლებშიაც და თავადების სახლებშიაც ასე ყოფილა: რომელნიც და რამდონიც ძმანიც ყოფილან, ხან ერთის ძმის სახლში ყოფილა უფროსობა და ბატონობა, ხან მეორეში; და რამდენიც ძმანი ყოფილან, ისე რიგით ყოფილან, რომელნიც გაუყრელნი ყოფილან, როგორადაც ჩემს მამეულთ და დედეულთში ყოფილან და იყვნენ, რომელიც მრავალთ ახსოვსთ ეს საქმე და საქართველოს მოთხრობის წიგნებშიაც გვიწერია, და თვით მეც მახსოვს ჩემს დროებში ჩემის მამეულნი და დედეულნი როგორც იყვნენ, და ბატონობდნენ, და მეფობდნენ, და გაუყრელნიც იყვნენ.

ხან ერთმა ძმამ მიიღოს მეფობა და უფროსობა და ხან მეორემ.

და ეგრეთვე, რომელნიც პირველნი თავადნი იყვნენ და არიან და კიდევ მათგანაც უმცირესნი არიან, იმათ სახლებშიაც ჩვეულება და რიგია, რომ რამდენიც უნდა ძმანი იყვნენ, ხან ერთი იქნება უფროსი და ბატონი თავის ოჯახისა და ყმისა [38] და ხან მეორე, და ხან მესამე ძმა, სანამდის გაიყრებიან.

ეს არის რიგი და წესი, თვარემ, თუ ასე არ იყოს და სულ ერთის ძმის სახლში იყოს უფროსობა და ბატონობა, გინა მეფობა, ის სხვანი მასუკან იმია ყმანი შეიქნებიან, და ეს დიდი უსამართლობა არის. თვით თუნდა პირმშო იყოს, თუნდა შემდგომი, თუნ-

და კიდევ შემდგომი, ყველანი თავის წილს დაჯერებულნი უნდა იყვნენ.

და მე ჩემის შვილებისა თავთავისის წილების მიცემა და გარჩევა გაუყრელობისა და შეყრის ნიშნები ამ მიზეზებისათვის გავაჩინე, რომ არ აირივნენ და არ გაიყარნენ, რომ გაყრით არ წაიკიდნენ და სისხლი არ ჩამოუარდესთ, და ქვეყანა ერთმანერთს არ შეახოცონ; და კიდევ მეორე მიზეზი: გაყრით ბატონობა, მეფობა და თავადობა არ დამდაბლდეს და არ დასუსტდეს, და ამ სახლშიაც მშობის შთამომავლობა ერთის ძმისა მეორე ძმის ყმად არ გახდეს და არ გაგლახავდეს.

და მე ეს წესდებულება კიდევ ამისთვის დავდევი, რომლისათვის კიდევ სხვას მუხლებშიაც დამიწერია ისივე მიზეზები.

[39] 46. რადგანც ეს განჩინების წერილი მხოლოდ ჩემის შვილებისათვის და შთასრულთა ნათესავთა ჩემთათვის დაიწერა ამათის ერთობისა და გაუყრელობისათვის და თავთავისის წილის გარჩევისათვის, რომ ამ ჩემ შვილთა და შთასრულთა ჩემთა ნათესავთა უშფოთველობისათვის, რომ სხვ[ა] აზრი არ ყოფილა რა. რაც რამ ამ აზრებმა აზრი არ მოითხოვა, იმას გარდა სხვა რამ რიგები და ან აზრები რამ არც ამ ჩემი შვილებისა და არც საქვეყნო არა შემომიტანია რა.

და რომელიც შემოვიტანე და დავსწერე, ისინი კი ეპირებოდა ამ განწესებაებს, და უამისობა არ იქნებოდა და იმიტომ დავსწერე, თვარემ სხვაც მრავალი განოსაყენებელი არის ჩ[ე]ენი და ჩ[ე]ენის ქვეყნისა და იმისი დაწერა და განწესება, რომელსაც მეფეებს ღმერთმან შეაძლებინოს და ან ნება ღმერთისა იყოს, იმას განაჩენინოს და და[ა]წერინოს.

47. ბეითალმანი თავადისა და აზნაურისა მამულისათვის, თუ როგორ უნდა ქნან ძმებმა, ეს უნდა რომ პირველად სახასოდ დაიდვას, როგორც საქართველოებში რიგი არის; და მასუკან ბატონმა და იმებმა, თუ ამჯობინონ გაცემა, გასცეს მებატონემ; და თუ იქიდამ ფეშქაში შემოვიდეს რამე, ორი წილი მეფეს და ერთი იმებს.

და თუ იმ მამულზე ქვრივი და ობოლი ქალი დარჩეს, ქვრივმა რაც იმ მამულს შეძლება ჰქონდეს[40], თავისი სარჩო მართებულად სამართლით უნდა მიიღოს მებატონისაგან, როგორც მამის ჩემისაგან განწესებულია და ჩემგან საქართველოს სამართალში, ობოლისაცა და ქვრივისაც, ისი უნდა არჩინონ იმ წესით, როგორც არის განწესებული.

თავადისა და აზნაურშვილისა სხვა რიგად არის და გლიხია სხვა რიგად არის.

48. ეგრედვე თავიანთ საკუთარი ყმა, რომ მოინდომონ, ისიც ერთმანერთსა ჰკითხონ, ისე გააზატონ. + თავიანთ სამსახურში და საქვეყნოს გამოსაღებში კი ვერ გააზატებენ 0.

ეგრეთვე მამულის მიცემაშიაც კიდევ უმტკიცებ: სამეფოსაც და სათავისთაოსაც ყმასა და მამულს ნუ გასცემენ უერთმანერთოდ. ამაში უფრო სიყვარული დამტკიცდება და უერთმანერთოთაც გაცემა არ იქნება; თუ ერთსაც არის იმას არ უნდოდეს, ნუ გასცემენ, თორემ ჩხუბი მოაქვს ამისთანას უთანხმობას.

თუ ქვეყნის სამჯობინარი საქმე იქნება და მეფე მოინდომებს და ცოდვა არ იყოს, სხვამ ძმამაც მოინდომოს, მეფემ უბოძოს რადგან სამჯობინარია.

[41] 49. მებატონემ რომ უფლისწულს რაც სამსახური საქვეყნო თავის ძმას და სახლის-კაცს უბძანოს, უნდა, რომ ვითარცა მეფესა და თავის ბატონს ეგრე დაუჯეროს სიმართლით და ერდგულებით თავისის პირობისა და ფიცისაებრ.

50. თუ ვინმე დიდი მძლავრი აღდგეს და საქართველოსა და კახეთის სამეფოებზე, ქართველზე, სომეხზე და თათარზე მტერობით მოვიდეს, დაიჭიროს და დაიმორჩილოს, იმასთან, თუ შეიძლოს, ამ თავიანთ რიგის მოუშლელობას ეცადნენ დახარჯვით და სამსახურით, ეგების იმისი გული მოიმადრიელონ და იმანაც ეს წერილი დაამტკიცოს, ან თავისგანი სხვა ამისი დასამტკიცებელი წიგნი მოსცეს.

თუ არ იქნას, თქვენ კი ამ წიგნის დამრღვევი ნუ შეიქნებით, მიზეზი რომ ღმერთმან არ მოიკითხოს; და მძლავრი, რასაც თავადა იქს, ღონე თუ იყოს და არ აქნევინოთ, დიად კარგი იქნება; თუ ღონე არ გექნებათ, რაც თითონ ენდომება; იმასა იქს და, თუ წინააღმდეგი შეიძლოთ, ის თქვენ იცით.

[42] 51. რაც საერთო ყმიდამ, რომელიც სამეფო არიან ქრისტიანენი, თუ თათრები, ამათი შემოსავლიდამაც და ბაყბიდამაც და ნაქურდალიდამაც, თუ სათავისთავოს ყმიდამ ნაქურდალი და ნა[ა]კვაცარი შემოუვიდეს ჯარი[მა] მებატონეს, სამათ უნდა გაიყოს: ორი წილი მებატონეს და მესამედი ძმებს, სამეფოსის, საუფროსოსი + და საუფლისწულოებისა 0.

ბაყებიც სამათ გაიყოფოდეს: ორი წილი მეფეს და მესამედი უფლისწულთ.

მ2. საიდამაც ყმიდამ რაც რამ შემოვიდეს და, თუ ძველად-  
განვე მეფეთაგან ეკლესიის შეწირულია, ნურავინ იკადრებს იმის  
მოშლას, რომ ანანია და საპფირა უნდა მოიგონონ და და[ა]ყენონ  
ის საშიშარი და უგზო ანგარება.

და თუ რომელსამე ეკლესიას იმაში შეწირულობა არა ჰქონ-  
დეს რა, იმისმა ყმამ რომ დააშაოს რამე, გარდაახდევინოს მეფემ  
და მასუკან მებატონემ და უფლისწულებმან იციან, თუნდა მხარ-  
მევედნენ, ნება იმათი არის, [43] უსამართლო ნურაოდენ ნუ იყოს  
და ნურც იქმონენ.

სათავადოსი თუ რამ არის და ან რაც შემოსავალი იქნებო-  
დეს საქვეყნოს გარდა, ისიც სამად გაიყოფოდეს: ორი წილი მე-  
ფესა, მესამედი უფლისწულთ.

მ3. თავადები რომ არის საქართველოებში სამეფო, სადე-  
ლოფლო, საუფლისწულო, ეს მე დამიყენებია, ურიგო საქმე არის  
და, რასაც ამისთვის მე დავსწერ, ეს უმჯობესი არის.

ასე სცანით, რომ ეს თავადები სულ სამეფო არის და მეფემ  
ნახევარი იახლოს და, რაც უფროსი უნდოდეს სახლიდამ და ან  
რამდენიც უმცროსი უნდოდეს, იახლოს იმავ სამეფოს ნახევრიდამ.  
დედოფალმაც იქიდამ, რამდენიც ეპრიანებოდეს, იახლოს და იმისი  
ნახევრიდამ სახლის-კაცებმაც თავიანთ ნახევრის წილიდამ, რაც  
ეპრიანებოდესთ, იახლონ.

და, რაც თავადები არიან, ეგების იმდენს ხლება, რომელსაც  
ერგება თავის წილში, რომ ცოტას ხლება უნდოდეს, ცოტა იახ-  
ლოს თავისის წილიდამ, ეს არა იქნება რა; მაგრამ, რაც თავის წი-  
ლიდამ მეტი დარჩეს უხლებელი, თუ ნებადეს, სხვას სახლის-კაცს  
ახლოს, თუ არ ნებადეს, თავისთვის იყოს ის თავადი.

+ სულ ყველას ხლება არც კი შეიძლება არც მეფისაგან, დე-  
ლოფლისაგან, [44] და არც უფლისწულებისაგან, და არც იმ თავა-  
დებს უჯობსთ, რაც რომ შეიძლონ, ის იახლონ 0.

მ4. ეგრეთვე ტფილისის სამეფოს ყმისა გამოსაღები, თუ მსა-  
ხურების ხლება ამავე რიგითვე დაგვიღვია და განგვიწესებია, მაგ-  
რამ ტფილისის ქალაქში ბევრის მსახურის გამოყვანა არ იქნება,  
ეგების ათი ან თხუთმეტი, ისინიც, ვინც აზატობენ, ისინი უნდა  
იყვნენ.

სხვას მეტს ნუ შემოიყვანენ, ამიტომ ხარჯისაც დასაკლისია  
და თითონ იმისი ოჯახი ავ ჩვეულებასა და დიდგულობასა დაეჩვე-  
ვა, და თავის აღებ-მიცემაზე აღარ იქნება, და წახდება, და არ  
უჯობს იმ საბრალოს.

ნმ. რომელიც საქვეყნო და მტრისა, თუ მეზობლის ხარჯი იქნებოდეს, ყველას უნდა შესწერდეს, სამეფოსაც, საუფლისწულოსაც, საუფროსოსაც, [4ა] სადედოფლოსაც, საეკლესიოსაც, სათავადოსაც და სააზნაუროსაც.

და იქნება რომ ვაჭარსა და მოხელე კაცსაც ჰყვანდეს ყმა, ის ყმებიც უნდა საქვეყნო გამოსაღებში გარიონ. თუ საერთოდ ქვეყნის ხიზანი გარიონ, ის ვაჭრისა და ან გლეხის კაციც უნდა გარიონ, და იმისი ბატონიც იმ საქვეყნოს ხარჯს ვერ გაექცევა.

და სხვა, რაც თავის მებატონისა იმ ვაჭარსა და იმ გლეხს აძევს, იმას ხომ თავის მებატონეს ემსახურება, მაგრამ ამათს ყმასთან ბატონს სასამსახუროდ საქმე არა აქვს; თუ საქვეყნოს გამოსაღებში ხიზანს არ გარევენ, არც ეს გლეხისა და ვაჭრის ყმანი უნდა გარიონ, უსამართლო იქნება.

თუ იმ ვაჭრებისა და გლეხებით ყმებს მამული აქვსთ, ხანდახან ცოტათი სოფელს უნდა შეეწეოდნენ, თუ დიდად შეუძლებელნი არიან და ჩანს იმათი შეუძლებლობა, არა ეთხოვებათ რა. იქნება, ცოტა რამ შეეძლოსთ და საეკლესიოს კაცის, როცა თავაზის ილაჯი იყოს და ან ძველადგან ამ გვარებში თავაზა შეენახოსთ საქვეყნოში, კიდევ თავაზა შეუენახონ.

ეს ეჭირებოდა საქმეს, რომ დავსწერე. ამ საქმის ლაპარაკს ბევრჯერ შეუწუხებდითარ და ამისთვის დავზღვე აქა ამ ეკლესიებისა: სადა და საიღამ ეს საქვეყნო ხარჯი აღგებოდეს მეფის ბრძანებით, იმაე მებატონის სარქრიღამ და იმის ბრძანების ნებით უნდა დაიხარჯებოდეს, რისთვისაც ამდგარა.

ამაში მეფის მეტს ჯელი არაეისა აქვს. იმან უნდა დახარჯოს და მოიხმაროს იმ საქმეზედ, რომლისათვისაც შეეწერა. ამ საქვეყნოს გამოსაღებიღამ სარგებელი იქნება, მეფის არის; ხარჯი, ზიანი [4ბ] იქნება, მეფისა არის. არც დედოფალსა აქვს ჯელი, არც უფლისწულებს და არც სახლის-კაცებს.

ნმ. თუ ნება ღმრთისა იყოს და ამ სქესებიღამ შთასულთ არა მოაკლდეს რა და გამრავლდენ, კიდევ იმ რიგზედ იყვნენ, რამდენიც ძმების ნათესაობასაც შთასრულიყოს ამ ექვსი იმებისა, ისევ ექვსზე იყოს რიგით მეფობა და ბატონობა.

ღმერთმან ნუ ქნას, თუ დაკლება მოხდეს, რამდენიც სქესნი იყვნენ, ისევ იმ რიგზედ იყვნენ, მე ამას ვამტკიცებ და დამიმტკიცებია, რაოდენათ მოწყალებითა ღმრთისათა განმრავლდენ, მაინც ასე სჯობს და ასე ქნან.



თუ ველარ შეიძლონ ვერც თითონ იმ ჩემ[მა] შთამომავალმან და ვერც ქვეყანამ, მასუკან ღმერთმან კეთილად განაგებინოს, ნება აქვსთ.

მაგრამ ჩემილამ შვიდ თაობა[47]მდინ კი როგორც ზემოთ დამიწერია, ისე უნდა დამტკიცდეს, რომ ფიცით და წყევით დამიმტკიცებია, რომელმაც მოშალოს, ის ფიცი იმისი იყოს.

57. თუ ასე არ გამეერთებინა, ის მეორე ძმები გაყრას მონდომებდნენ, მასუკან სულ გაყრასი ერთი მეორეზე აღზდგებოდნენ, და შეუხსდებოდნენ ჯარნი და თავს გაუსვლელი და შეუძლებელი იქნებოდა, რომ მშვიდობა ჩამოგდო ვისმე, და მუდამ შფოთი და სისხლის დაღვრა და სიკვდილი იქნებოდა; და მე ასე ამისთვის შვიდ თაობამდის, სადამდის ყველასი შვიდი თაობა არ შესრულდეს, ამავე წესზე უნდა იყვნენ. იმავე ფიცით და იმავე წესით და იმავე კანონით შემიკრავს, და დამიმტკიცებია.

და მასუკანაც ამას რჩევით დავესწერე; თუ დამიჯერებენ, სადამდის ღმერთის ნებით ეს ჩვენი გვარი და შთამომავლობა იყოს, რამდენიც ღმერთით რომ გამრავლდენ, ასევე სჯობს, რომ იყვნენ.

და თუ ვერ [48] შეიძლონ და არ დამიჯერონ, თითონ იციან და ქვეყანამ, როგორც უჯობდესთ, ისე ქნან და ისე განაგონ; მაგრამ შვიდ თაობამდისინ კი განწესების მოშლა არ იქნება, და არ იქნება იმ ფიცით და იმ წყევით, როგორც ზემორე დამიწერია.

58. საერთოს სახასოებისათვის ასე გაფრთხილებულნი უნდა იყვნენ, რომ იმათ უსამართლო არა დაემართოსთ რა, თორემ თავთავის წილს უფროსმა და საშუალმა ძმებმა და უმცროსმა რომ ესე ქნან, თავთავის წილს და კერძ[ს] კი გაუფრთხილდენ და დაიცვან და საერთო სახასოებს ძალი დაატანონ, ეს ღმერთის განმარისხებელი საქმე იქნება.

და ყვე[49]ლამ მეფემა და უფლისწულებმა რომ უსამართლოთ გაგლიჯონ, აღარც ძმებში მშვიდობა იქნება და გლეხი-კაციც დაუფანტებათ.

ამაზე დიდად გაფრთხილდენ, რომ ამ განწესების წინააღმდეგი არ შეიქნენ. რომელნიც ძმები ამისთანანი გამოჩნდნენ, ისევე მეფემ და ძმებმა და ქვეყანამ მოაშლევინონ. როგორც მართებულია, ისე დააყენონ.

იმავე ხელით:

ქართულიდან რუსულად ითარგმნა საქართველოს მეფის ძის შირიანისაგან ნოემბრის იე, ქორონიკონს უბჟ, რომ იქნება საეკლესიოს რიცხვისამებრ ჩღუთ წელი.

ქალაქს ტფილისს, სადედოფლოს ავლაბრის სასახლეში.

[1792 წ.]

ქ. ესე უტყუელი და ცხოვრებასა ჩემსა მტკიცედ შეუცვალე-  
ბელი წიგნი მოგართვით თქუნენ, ბატონს ჩემ სიძეს, სრულიად  
იმერთა მეფეს, ძესა არჩილისასა სოლომონს დავითიანს,  
მე, დადიანმა გრიგოლ, ესევეთარად, რომ თქუნენმა შეფობის  
უმაღლესობამ სამეფოს და სადადიანოს შუა ქურდების და ავი,  
უსამართლო კაცის მოკითხვა ინება და ერთმანეთის სამართლის  
მიცემა და ნაქურდლის გარდახდევინება.

და ჩუენ დასტურობის თანხმა გექმენით; თქუნენს ყმებს უჩი-  
ნეთ ჩუენის მამულის მომკითხველათ და სამართლის მიმცემად ჩუ-  
ენი სახლთ-უხუცესი ჩიქოვანი გიორგი, ფალავა ზაალ.

ესეც უნდა განაგონ: ღმრთის მოწყალებით ჩუენ რომ მათხოჯს  
გავიმარჯვეთ, იმ დღეს აქეთი ნაქურდალი იმერელის კაცის ჩემს  
საბძანებელშიდ თუ გამოჩნდეს, თუ გააგდოს შანთი, თორემ სა-  
მთხრობლო და ხუთეული! გარდაახდევინონ. თუ გლახი ვისმე  
ყავდეს წანართმევი, სამართლით მიაცემინონ; თუ სხვა ნატაყები  
რამ ქონდეს ვისმეს, ისეც სამართლით მიაცემინონ.

თუ ამ ჩემმა ყმებმა ამაშიდ უსამართლო და ურიგო გამო-  
იყვანონ და ბეჯრთათ არ შევიქმნენ, ჩემდა ორგულეების მოქმედათ  
მოვკითხო და ჩემის ყმობისაგან ხელი ავალეზინო.

თუ მე მტყუანი შევიქმნე და მათ მოუდგე და ამ წერილის  
დამარღვეველი შევიქმნე, ამ უსამართლობის ბრალი ყოველივე  
ღმრთისაგან მე მომეკითხოს და თქუნენს სიყვარულზედაც ხელაღე-  
ბული შევიქმნე.

ამისი მოწამე და დამამტკიცებელი მათი ყოვლად სამღვდე-  
ლოობა ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს, გენათელ მიტ-  
როპოლიტი ეფთვიმი, მთავარეფისკოპოსი ანტონი, ჩემი ძმა  
ბატონის-შვილი გიორგი, ლეჩხუმის სარდალ-მოურავი გელოვანი  
ქაიხოსრო, ჩიჩუა გიორგი და სხვანი, ერთობით კარისა ჩემისა ღი-  
დებულნი.

აღიწერა ხელითა ქიჭინაძის ნიკოლოსისათა, წელ-  
თა უფლისათა ჩღუბ, მაისის თ.

144. [ჯარის დაბარების წიგნი ვრეკლე II-ისა იოსანო  
ამილახორიშვილისადმი]

[1792 წ.]

ქ. ჩვენი ბძანება არის ამილახორიშვილო იოსანე.

მერე, ჯარის ამბავი მოგვივიდა და ჯარი დაგვიპირდა. თქვენს უნდა წახვიდეთ ზემო ქართლში, რაც ამილახვარის სასარდლო არის. ამილახვარის კაცებიც იქნებიან თქვენთანა და ყველას უნდა შეატყობინოთ: კომლის კაცი უნდა გამოიყვანოთ, თორმეტის დღის ნუზლით და ამ სამს დღეზე ლილოზე უნდა შემოგვეყარნეთ.

იცოდეთ, ვინც დაგვაკლდება: თავადი, აზნაური თუ გლეხი და კომლად არ წამოვლენ, გარდაუხდევინებელს არ გაუშვებთ და თქვენც ავად მოგეპყრობით.

ჩვენ დალისტანილამ ახლა ამბავი მოგვივიდა: ოთხი ათასამდინ კაცი ჩამოსასვლელი არის, ჩვენ ახლა ჯარები უნდა შეშო-  
[ვი]ყაროთ და ერთს ალაგს დაუდგეთ ჯარებითა.

ჩვენ ამ საქმეზედ ერეგნის ხანსაც წიგნი მივწერეთ, რომ იმანაც ჯარი შემოიყაროს და მზად დაუდგეს თავის სამზღვარზედა; და აგრევე იმერელ მეფესაც მივწერეთ და ჯარით დავიბარეთ. ამ თადარიგში ვართ. ღმრთით, იმ ჩამომსვლელს ლეკის ჯარს პასუხი მივცეთ.

თქვენ ეს არ გეგონოსთ, ამ ჯარს ივრის არხის სამუშაოდ ვიბარებდეთ. არა; ქემმარიტათ ღმრთით, ივრის არხის წყალი მინდორში გამოსული არის, იმ მინდორში რაც სამუშაო არის დარჩენილი, იმას თავის დროზე ყველას ადლობით გაუყოფთ და ისე გავაკეთებთ. ახლა, ეს ჯარი ასე სრულად უნდა შემოგვეყარნენ.

სეკდემბერს ზ, ქორონიკონს უპ.

ერეკლე.

ბეჭედი:

ერეკლე.

145. [გვითალვანი ვაჟულის წყალობის სიგელი ვრეკლე II-ისა  
იოსებ შოკლანაშვილისადმი]

[1793 წ.]

ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, იესიან, დავითიან, სოლო-  
მონიან, ბაგრატოვანმან, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძემან;  
ირაკლი მეორემან, პატრონმან [ქართლისა და კახეთისა და  
სხვათა და სხვათამან, და თანამეცხედრემან ჩვენმან, დადიანის  
ასულმან, დედოფალმან, პატრონმან დარეჯან, და ძეთა ჩვენ;

თა, საქართველოს უფლისწულთა: გიორგიმ, იულონ, ვახტანგ, მირქიან, ალექსანდრე და ფარნავაზ, და ძის ძეთა ჩვენთა: დავით, იოანე, [ბ]აგრატ, თეიმურაზ, მიხაილ, ჯიბრაილ, ილია, ლეონ და ლუარსაბ, ესე წყალობის სიგელი შეგიწყალებთ და გიბოძებთ შენ, ჩვენს ერთგულს და მრავალგვარად თავდადებით ნამსახურს ყორღანაშვილს, მილახვარს იოსებს, ძმისწულსა შენსა სტეფანეს, შვილსა შენსა იოანეს და თომას, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა.

ასე რომ შენ, მილახვეარი იოსებ, ყოვლის შენის შეძლებით, ჩვენის შემატებისა და სამსახურის მცდელი იყავ, და ჩვენის სახასოს სოფლებისა, მამულებისა და ციხის [შენე]ბაზე დიდი გარჯილობა გქონდა. და ამგვარი ჩვენზე შენი ერთგული ნამსახურობა მრავალი იყო და ჩვენც, შენგან თავდადებით, ერთგულად ზემოხსენებულის ნამსახურობის სანუქეოდ, შეგიწყალებთ და გიბოძებთ გამრეკელიძის თუშმლის შვილების, ალავერდასა და ამირანის ყმა და მამული, რომელიც ამ ალავერდასშვილს, იოსებ მუშრიბს, ეჭირა.

რადგან ამ თუშმლისშვილების ოჯახში იოსებ მუშრიბის მეტი არავინ იყო და ამ იოსებსაც ვაჭიშვილი არ ღარჩა და ხუთი ქალი ღარჩა გასათხოვარი და ქვრივი შესანახავი, ამ იოსებ მუშრიბის სიკუდილს უკან იპისი ქვრივი შემოგვეხვეწა ხუთი ობოლი ქალი მყავს შესანახავი და გასათხოვარიო. ჩვენ ქვრივსა და ობლებს ერთი სარჩო და ბინა გვიბოძებთო.

რადგან საქართველოს განწესება ასე არის, რომ რომელიც თავადიშვილი, თუ აზნაურიშვილი მოკუდება და ვაჭიშვილი არ ღარჩება, იმისი ყმა და მამული სახასო ბეითალმნად დაიდება, ჩვენც სამართლით ასე ვინებეთ, რომ ამ ქვრივისა და ობლების საზრდო, სამარხი და მზითვეი ბატონმა დედოფალმა უბოდა და ამათი ყმა და მამული დღევანდლამდის ბატონს დედოფალს ეჭირა, როგორც იმ ქვრივისა და ობლების მოცემულს წიგნში აცხადებს, რომ ის წიგნიც შენ გიბოძებთ და ეს ზემოხსენებული იოსებ მუშრიბის ნაქონი ყმა და მამული საბოლოოდ სიგლითა ამით დაგიმკვიდრებთ.

და სადაც ამ თუშმლისშვილების ყმა და მამული გამოჩნდეს, სრულებით შენთვის და შენის ძმისწულისა და თქვენის ჩამომავლობისათვის გვიბოძებია, მთითა, ბარითა, ველითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქვილითა, ნასყიდითა, უსყიდითა, შესავლითა, გასავლითა და ყოვლის თავისის სამართლიანის სამზღვრით.

კონდეს და ვიბენდინეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა. არ მოგეშალოს არა ჩვენგან, არცა შემდგომად ჩვენსა მყოფთა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ვიბძანებთ კარისა ჩვენისა ვეჟილ-ვეზირნო და სხვათა საქმეთა<sup>1</sup> განმგედ დადგინებულნო, წყალობის სიგელი ესე თქვენც ასე დაუმტკიცეთ და შლად ნუ ვინ გელ-ჰყოფთ.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი აკურთხოს ღმერთმან.

აღიწერა კელითა კარისა ჩვენისა მდიენის სოლომონის ღიონოვისათა, იანერის კე, ქორონიკონს უპა, წელთა განხორციელებითგან სიტყვისა ღმერთისა ჩღუგ.

ბეჭდები:

ერეკლე, დარეჯან, გიორგი, იულონ, ვახტანგ, ალექსანდრე, ფარნაეაზ, დავით, იოანე, სარდალსახლთ-უხუცესი დავით.

კიდებუ:

ქ. ჩუენ, ყოვლისა საქართუელოხსა კათალიკოზპატრიარხი, მეფის ირაკლის ძე ანტონი თანვმა [ვარ მისის უმაღლესობისაგან [ბოძებულის]ა ამის სიგლისა. წელსა ჩღუგ.

ჩართულად:

კათალიკოზი ანტონი.

ბეჭედი.

146. [ჯამაგირის წიგნი მამაკლე II-ისა მდივანებზე

ჩოლოჯაშვილისადმი]

[1795 წ.]

ქ. ჩუენ მეფემ ირაკლი მეორემან გაგიჩინეთ ჯამაგირად შენ თავადს ჩოლაყოვს მდივანბეგს დავითს წელიწადშიათი თუმანი, იქნება ამის ნახევარი ე, ამდენი. ეს ნახევარი ნაღდათ და ნახევარი ჯინშათ ყოველს წელიწადს უკლებრად ჩვენის პატარა ბეჭდით სარქრიდამ მოგეცემა.

აპრილის იგ, ქორონიკონს უპგ.

ბეჭედი.

მარტაენა კიდებუ:

ქ. ჩუენ სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი ამ ჯამაგირის წიგნს ვამტკიცებთ და ხუთი თუმანიც კიდევ მოგვიმატებია, რომ იქნება თხუთმეტი თუმანი. ამ თხუთმეტს თუმანს ყოველ წელიწადს ჩუენი მოხელენი ჩვენის სარქრიდამ უნდა მოგცემდნენ.

მაისის კწ, ქორონიკონს უპგ.

ბეჭედი.

<sup>1</sup>+ საქმეთა.

147. [ჯარის დაბარების წიგნი მკეკლე II-ისა ოთარ  
ამილახვრისადმი]

[1796 წ.]

ჩვენ მაგიერად ბატონს ამილახვარს ოთარს მრავალი მო-  
კითხვა ეუწყოს.

მერმე, ამასწინათ მოგწერეთ: შენის სასარდლოსათვის უნდა  
შეგეტყობინებინა ჯარში წამოსვლა. ახლა, იმათ შეტყობინებული  
ექნებათ. როგორის თადარიგითაც დაგვებარებინოს, საჩქაროდ  
შენი სასარდლო, მემკვიდრე და ხიზანი, კომლზედ კაცი უნდა შემო-  
იყარო და ორმოცის დღის ნუზლით საგარეჯოს და ან მანაქს ბო-  
ლოს არჩილის სასახლესთან ჩვენ და რუსებს უნდა შემოგვეყარნეთ:  
დაკლება არავისი იქნება და არც ბადლის გამოგზავნა: თავადნი,  
აზნაურნი, მოხელენი და გლეხნი თვითონ უნდა წამოვიდნენ.

იანვრის 8, ქორონიკონს უბღ.

დაკლება არავისგან იქნება კვლავინდებურად: არც თავადის-  
გან, არც აზნაურისგან, არც მოხელისაგან, არც მემკვიდრისა და  
ხიზნისაგან.

თქვენ იცით, რომ ჩვენ სურსათის მოცემა არ შეგვიძლიან,  
როგორც მოგვიწერია თავეთის სურსათით, ისე უნდა წამოვიდ-  
ნენ; კაცი არ დააგდო ამილახვარო, არც მემკვიდრე და არც ხი-  
ზანი.

ბეჰედი:

ერეკლე.

148. [პირობის წიგნი გიორგი ბატონიშვილისა იულონ და ალმას-  
ხან ბატონიშვილებისადმი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ]

[1797 წ.]

ქ. ღმრთით ჩვენ, ბატონისშვილი გიორგი თქვენ, ჩვენს იმას  
ბატონისშვილს იულონს და ალმასხანს ამ პირობაებს გაძღვეთ,  
რომელნიც ამას ქვეით სწერიან:

1. პირველი ესე: ჩვენი ჯელმწიფე მამა ღმერთმან მრავალს  
წელს გვიტოცხლოს, ყოვლითურთ მისის ბრძანების მორჩილნი და  
დამამტკიცებელნი ვიყვნეთ და ყოვლის ჩვენის შეძლებით სამსახუ-  
რის მცდელნი.

\* სათაური სხვა ხელით: „[50]პირობაები, რომელიცა მიუცია აწინდელსა  
მეფესა საქართველოსასა გიორგის ძმებისათჳს თჳსისა, მეფის ძეთა იულონისა  
და ალმასხანისათვის“.

2. მეორე ესე: ღმერთმან დიდხანს აცოცხლოს ჩვენი ჯელ-  
მწიფე დედა, დედოფალი დარეჯან. მანამდის ცოცხალი ბრძანდებ-  
ა, რაც დღეს მდგომარეობა აქუს, ამ პატივით და ამ ოქმათით  
და ამ საქმეებით მოუშლელად ბრძანდებოდეს.

3. მესამე ესე: რომელიც დღეს ჩვენი მამულები გვიჭირავს,  
მეტის ერეკლეს ბრძანებით, ეს საუკუნ[ს1]ოდ და საშვილისშვილოდ  
მოუშლელად გუქონდეს.

4. მეოთხე: ღმერთმან დიდხანს აცოცხლოს ყუელანი, მაგრამ  
საქართველოს მეფობა უფროს-უმცროსობით ჩამორიგებით იყოს  
ძმებზედ.

5. მეხუთე ეს: ჩვენი უმცროსი ძმები ჩვენთან მოვიყვანოთ,  
შემოვიერთოთ და, თუ რამ აკლდესთ, სამართლიანის საქმით და  
შეძლებით შეუსრულოთ.

6. მეექვსე ეს: რომელიც ჩემნი შვილები არიან, იმათგანაც  
ხათრიჯამნი იყავით, რომ ამ ჩვენს პირობაებს არ ეწინააღმდეგო-  
ნენ და ყოვლისფრით თანმოკიდებულნი და დამამტკიცებელნი  
იყუნენ.

7. მეშვიდე ეს: რომელიც ჩვენი ოჯახის საზოგადო საქმე  
იყოს და ან საქვეყნო და ან ვისიმე და მოგერება ჩვენი ოჯახისა  
და ან ჯელმწიფეებთან, და ან ჩვენს მეზობლებთან ლაპარაკი, ერთ-  
მანერთ[ს2]ის შეკითხვით მოხდებოდეს.

8. მერვე: რომელმაც ჩვენი ოჯახის შვილმაც ამ პირობის  
დახსნა მოინდომოს, ჯერ დიდად ვეცადნეთ, რომ ისევე ამაზედ მო-  
ვიყვანოთ. თუ რომ არ იქნას და არ იქნას, მასუკან, რაც შე-  
გვეძლოს, ჩვენი ძალი იმაზედ უნდა მოვიხმაროთ ბატონმა დედო-  
ფალმა დედა ჩვენმა და ჩვენ, სამთავრებათ.

და თუ რომელმანმე ჩვენმა ძმამ მეორის ძმის მამულის მიმ-  
ძლავრება მოინდომოს, ყუელანი ამას მივსდგეთ და ნურას დავანე-  
ბებთ და ის საქმე კიდევ შევიანანოთ.

ეს რომელიც პირობაები თქვენ, ჩემა ემებმა მთხოვეთ, ამ პი-  
რობაებს, ყოვლად ძლიერის ღმრთის სახელით, გაძლევ, რომ თუ  
თქვენ ჩემზედ არა იმტყუენოთ რა, არცარა მე თქვენზედ ვიმტყუე-  
ნო და არც ეს პირობაები გაგიტეხო.

დეკემბრის 6, ქორონიკონს უბე, რომ იქნება ეკლესიურის  
რიცხვისამებრ ჩლუჴ.

გ ი ო რ გ ი.

## [19] ცერემონია წარღებასა ზედა ცხედრისასა

1. წელსა განჯორციელებითგან სიტყუსა ღმრთისა ჩღჴ, თთუ-  
ესა იანუარსა, რიცხუსა ია, დღესა ორშაბათსა, ეამსა განთიადისასა  
მიტუალეა სანატრელისა, დიდებულისა და მემკვდრისა სრულიად  
საქართულოასა და სხუათა და სხუათა მპყრობელისა მეფისა  
ირაკლი მეორისა, ძისა ცხებულის მეფის თეიმურაზისა, კახე-  
თის სამეფოსა შინა ქალაქსა თელავს სამეფოსა პალატსა შინა,  
რომლისა საუკუნო იყავნ სუფევით ნეტარება, ქართულსა ქორონი-  
კონსა ზედა უჰვ.

2. მისის უმაღლესობის სრულიად ზემოასა საქართულოს  
მპყრობელის მეფის ირაკლი მეორის ცხედარს ამ კანონით და  
ცერემონიით უნდა შეუდგნენ სამეფო სამკვდრო ხარისხი და საწ-  
დუდლო დასი.

3. ეს უკუე ცერემონია ქმნილი, დაწერილი, მოგო-  
ნილი და გაკეთებული არს მისის მაღალ-კეთილ-შობილების  
ალექსის ძის, სიბრძნის მოყუარის და სრულიად კახეთის სამე-  
ფოს თელავის ქალაქის სემინარიის რექტორის დავითის  
მიერ:

ბოლოდამ დაიწყების ტირილი და გლოვა პირუელად:

4. წინ თოფხანა, ზარბაზნები, თავისის ყუთებით,  
თავის დროშით და თავისის ამალით გაწყობილნი, აგრევე  
ბალაბანჩიკები და სალამურთა დამ [v] კურელნი, წესდგომით:  
წინ აფიცრები უფროსნი თავს და უმცროსნი ბოლოს, ჳმალაშოდე-  
ბულნი და ქვე ჳმალდაშვებულნი. ბალაბანჩიკები და სალამურთა  
მგმობელნი უნდა უკრევედენ საგოდებელისა და სალამობიერის ჳნი-  
თა და ამათ ერთი თოფხანის დროშა წინ უძლოდეს. პირველად მო-  
ვიდეს თოფხანის განმგებელი თოფხიბაში სამეფოს ცხედართან,  
შესაკრავენი მოჰყუნენ, ბალაბანდი მდაბლად დაჰკრან, უჳანასკნელი  
პატივი მისცენ, ცრემლით იტირონ, გაბრუნდნენ და თავის განწე-  
სებულს ადგილს დადგნენ. მოზარენი მოსვლასა ზედა ორ-ხოროდ  
წინ უძლოდენ და მათ წინ მოუძლოდეს შავით მოსილი ცერემონ-  
მეისტარი ალექსის ძე დავით.

5. შემდგომად ამისა მოვიდნენ მეწინავე სარდრები:  
ორბელიანი და ქისიყის მოურავი, ორნივე სწორად, თავი-  
სის სამკვდროთი. თჳსნი დროშანი მოუძლოდესთ წინ, დროშასთან



ორ-ხორად უძლოდენ მოზარენი და მათს წინ ცერემონმეისტარი-მეფის ცხედართან იტირონ, თავი მოუდრიკონ დროშათა, და თვით-ცა სარდართა თავი მოიხარონ თავშიშველთა, გაბრუნდნენ და თვისსა განწესებულსა ადგილსა დადგნენ.

6. შემდგომად ამისა მოვიდენ ქართლისა და კახეთისა მე-მარჯუნე სარდრები, ორნივე თანასწორად, თავისის სამკედროს დასით, წინ თუსნი დროშანი მოუძლოდენ; ამათ წინ ორ-ხორად მოზარენი მგალობელნი და ამათს წინ ცერემონმეისტარი წინა უძლოდეს. მოვიდენ ცხე[20]დართან, მდაბლისა ჳმითა ცრემლით იტირონ, თუთცა და თუსთა დროშათაცა ცხედარს თავი მოუხარონ, წარვიდნენ და თუსსა განწესებულსა ადგილსა დადგნენ, თუსთა გუნდთა და სამკედროთა თანა.

7. შემდგომად ამისა ქართლისა და კახეთისა მე-მარცხენე სარდრები მოვიდენ, ორნივე თანაჰსწორად, თვისთა სამკედროსა გუნდითა, წინ თუსნი დროშანი მოუძლოდენ; მათ წინ ორნი ხორონი მოზარენი და ამათს წინ ცერემონმეისტარი. სამეფოს ცხედართან მოვიდენ, მდაბლის ჳმით ცრემლით იტირონ, თავშიშველთა თუთცა თავი მოუხარონ ცხედარსა და დროშათაცა, საუკუნო ამბორი მისცენ, წარვიდენ და თუსსა განწესებულსა ადგილსა მდგომარე იყუნეს, თვისის სამკედროს გუნდით.

8. შემდგომად ამასთან ცხენი ორი, სწორედ შეკაზმული, ორს ჯილავდარს ეჭიროს, მხარზედ ზიმფუშები დაკეციტ ეკიდოსთ, ორნი მილახორნი მიუძლოდესთ წინ, თავშიშველნი და საყელოშეხსნილი; ცხენნი შეკაზმულნი: ერთს ტახტაზედ ეკიდოს სამამაცო საჭურველნი, სამკლავები და მეორეს ცხენის ტახტას-მუზარადნი და სხუანი იარაღნი.

9. შემდგომად მოვიდენ მე-ბაზრენი, ესე იგი ჯაბადარნი, ჳელთა აქ[v]უნდესთ მშვილდისარნი და კაპარჳნი და ეგრეთვე შუბნი; იყუნენ თავშიშველნი, საყელო-ჩამოხვევით და გოდებით მტირალნი.

10. ამასთან ჳელჯოხისანები წესდგომით, თავშიშველნი, საყელოჩამოხსნილნი და ჳელთა შემუსრჯლისა ჳოხისა მქონებელნი.

11. ამასთან ბოქოულთ-ხუცესნი წესდგომით, თავშიშველნი, საყელოჩამოხსნილნი და ჳელთა შემუსრჯლისა ჳოხისა მქონენი.

12. ამასთან ნაზირნი: პირველნი მარჯუენით და მეორენი მარცხენით, თავშიშველნი, საყელო-ჩამოხსნით.

13. ამასთან ლაშქარნიკსანი. პირუელნი მარჯუენით და მეორენი მარცხენით, თავშიშუელნი საყელო-ჩამოხსნით.

14. ამასთან მოლარეთ-უხუცესნი და მოლარენი, სალაროს მწერალნი და ფეშქაშნივისნი, მარჯუნივ და მარცხნივ განყოფილნი. მოლარეთ-უხუცესთა ჯელთა. აქვნდესთ ფადნოსნი და ფადნოსთა ზედა მდებარნი კლიტენის ალაროთანი; ესენიცა თავშიმველ-მკერდლიანი.

15. ამასთან მდივნები, მარჯვენით პირუელნი, ხოლო მარცხენით [21] მეორენი, ჯელთა საწერლისა მქონებელნი და კალამ-შემუსრულნი, თავშიშუელნი და საყელოჩამოქსნილნი, ცრემლდენით.

16. შემდგომად მდივანბეგნი და მქსაჯულნი ქართლისა და კახეთისანი, პირუელნი მარჯუენით და მეორენი მარცხენით; ამასთა წინა ახლოს უძლოდესთ მდივანბეგთა მწერალ პირუელი, ეპყრას ვეცხლის ფადნოსი, ფადნოსსა ზედა ბალიში ფარხისა, და მას ზედა მდებარე იყოს წიგნი სამართლისა.

17. შემდგომად მანდატურთ-უხუცესნი, რამელ არიან ეშიკაღასბაშნი, ესენი მარჯვენით, ხოლო მარცხენით ხალვათხანის ეშიკაღასბაში; ეპყრასთ ჯელთა კვერთხნი შემუსრულნი და იყუნენ ცრემლითა მგოდებელნი.

18. შემდგომად ორ-ხოროდ მგალობელნი: მარჯუენით მისის უმაღლესობის მეფის მგალობელნი, ხოლო მარცხენით მისის უწმიდესობის პატრიარხის მგალობელნი. და იტყოდენ გალობათა ლმობიერისა ჳმითა წყნარად «წმიდაო ღმერთოსა». და უკეთუ ჳნებაეს მისსა უწმიდესობასა, მგალობელნი ჳგალობენ «კონდაქსა» და «იკოსსაცა» მიცულებულთასა, «ჳეშმარიტად ამაო არს» და შემდგომი. ხოლო მგალობელთა მარჯუენით წინა უძლოდეს კანანარხი, და ეგრეთვე მარცხენეთა ხორო[v]თა მეორე კანანარხი.

### სამღუდელო დასთათჳს განწესება და დაწყობილება

19. უწმიდესი კათოლიკოს-პატრიარხი, პირუელნი მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი, ეპისკოპოსნი, პირველნი არხიმანდრიტნი: მარჯუენით ქვაბთა ხევისა, ხოლო მარცხენით შუამთის არხიმანდრიტი, მოძლუართ-მოძლუარი, პროტოპაპნი: მარჯუენით მეფისა, მარცხენით კათალიკოსისა, მარჯუენით მცხეთისა, ხოლო მარცხენით ალავერდისა, კანდელაკნი მარჯუენით და მარცხენით, მეფის კარის ეკლესიის მღუდელნი მარჯუენით, მარცხენით კათალიკოსისანი.

ხოლო შემდგომად სხვანი მღუდელნი, ვითა მათნი მღუდელ-მთავარნი იყუნენ მდგომარენი, ეგრეთ მათნი დეკანოსნი, კანდე-ლაკნი და კრებულნი იყუნენ მდგომნი თჳსთა ხარისხთა შინა. ეგ-რეთ ჰსდგენ, ვითა იგი განწყებულ არს წერილთა შინა სამღუდე-ლოთა დასთათჳს.

სხვანი წერილნი იხილე კუ რ თ ხ ე ვ ა ს ა შ ი ნ ა მ ე თ ე ი-ს ა ს ა, ძუელი ხარისხად ქმნილი სქიმა.

და ახალი მეფემან, კათოლიკოსმან და კრებამან უწყოდეს, ამისთჳს, რომელ ზევით და ქვემოთ დგომა[22]ხედ მრავალი ცი-ლება და განხეთქილება არს მღუდელმთავართა, არხიმანდრიტთა, პროტოპაპთა და სამღუდელთა დასთა შორის.

ამის უკუე მიზეზისათჳს, ოდეს საქართველო იყო სრულიად ერთსამეფო, მაშინ სამღუდელთა დასთა წყობილება და ხარისხნი იყუნენ სრულიად მის-მისსა ხარისხსა შინა წესდგომით, ვითა იხილ-ვების ქ ა რ თ ლ ი ს ა ა ლ წ ე რ ი ს ა მ ა ტ ი ა ნ ე ს ა შ ი ნ ა და ეგრე-თე მ ც ხ ე თ ი ს ა წ ე რ ი ლ ს ა შ ი ნ ა ხ უ ც უ რ ს ა.

ხოლო ოდეს საქართველო განიყო და სამ სამეფოდ განსქ-და: ქართლად, კახეთად და იმერეთად და აგრეთვე ხუთ სამთავ-როდ, ესე იგი: საათაბაგოდ, სადადიანოდ, საგურიალოდ და საათ-ხაზოდ და სასვანეთოდ, მაშინ ყოველთავე მეფეთაჲ და მთავარ-თაჲ თჳს-თჳსად სარდრები განიწყესეს—მეწინავეცა, მემარჯვენეცა და მემარცხენეცა; ეგრეთვე დიდების მოყუარებისათვის რომელ-თამე ახალნი ეპისკოპოსნი დასხეს, რომელიმე საეპისკოპოსო ავის დროსაგან მოიშალა, რომელიმე დამდაბლდა, რომელიმე ამაღლდა და არღარა არს აღრინდელი წესდება და გარიგება. სიგრძისათჳს დავიდუმით, აქ მოხსენებად საჭირო არა არს.

20. ამასთან ლ ე რ ბ ი ს ა ჯ ე ლ მ წ ი თ ო. ეს უნდა მდებარე იყოს ვეცხლის ფადნოსზედ, რომელზედაც გარდაფარებულ იყოს ფარ-ჩის საფარებელი და მასზედა მდებარე იყოს ლერბი. ეს უნდა ეპყ-რასთ ჯელთა შინა მ ო რ დ ა რ თ: დიასამიძეს იესეს და მორდარს თავადს გურგენ[v]ისძეს იოანეს; მარჯულ და მარცხულ უდგენ ამათ გერმანოზისშვილი გიორგი და ყორჩიბაშისშული ქაიხოსრო; უნდა მოეგებნენ მისის უწმიდესობის არხილიაკონი დომენტი და მეორე დიაკონი ქობულოვი თავადი გერმანე, შემოსილნი, ჯელთა საცეცხლურისა მქონებელნი და უკმიონ ამას ლერბსა გუნდრუკითა, სანთლითა და საკმეველითა. ხოლო შემოსილი არხიმანდრიტი ასხუ-რებდეს აიაზმასა უსუბითა, და ეტკრთოს დიაკონსა შემოსულსა

აიაზმა; ხოლო მსხურებელსა არხიმანდრიტსა მარცხენითა ჴელითა ეტჯრთოს ცხოველსმყოფელი ჴუარი დაფარნითა, ბოლომობევეული.

21. ამასთან მოაქუნდეს ჴმალნი აბაშისშვილს დავითს, რომელიცა იყოს მდებარე ბალიშზედ და ბალიში მდებარე იყოს ვეცხლის ფაღნოსზედ. ამას მარჯვენით მოუდგეს იოანე გაბასშვილი და მარცხენით ჴაქარია მაყასშვილი; ამასაც მოეგებნენ ორნი იგი ჴემოჰსენებულნი დიაკონნი და კანონისაებრ თავმოდრეკით უქმიონ.

22. ამასთან უნდა ეპყრას ანდრია პირუელწოდებულის მოციქულისა ლურჯი კავალერია და ვარსკულაფი ვეცხლის ფაღნოსსა და ბალიშსა ჴედა-დებით ამილახორისშულს გიორგის; მოეგებნენ ჴემოჰსენებულნი იგი დიაკონნი და უქმიონ ვითა ჴერ არს; ამას შეუდგეს მარჯვენით ჴანდიერისშული პაატა და მარცხენით ყორჩიბაშისშული ბარამ.

[23] 23. ამასთან სკიპტრა საჯელმწიფო უნდა მოაქუნდესთ ენისელთ მოურავის შულს ქეშიკშიბაშის ნაიბსთა მახს, რომელიც მდებარე იყოს ვეცხლის ფაღნოსზედ, ბალიშზედ დებულთ; ამას შეუდგეს მარჯვენით ჴანდიერისშული რევაზ და მარცხენით გურამისშული დავით; ეგრეთვე ამასცა მოეგებნენ ჴემოჰსენებულნი დიაკონნი, თავი მოუდრიკონ და უქმიონ კანონისამებრ.

24. ამასთან უნდა ეპყრას სამეფოს სფერა ქუეყანისა ვეცხლის ფაღნოსზედ, ბალიშდებულსა ჴედა, ჩოლაყასშულს ქაიხოსროსა [ხ]ლთ-ხუცის ძეს გრიგოლს; ამას შეუდგეს მარჯვენით ფავლენისშული<sup>1</sup> ფარეშთ-უხუცესი ჴაქარია და მარცხენით ბეჟან მდივანბეგის შული იოსებ; ამას სამეფოსა სფერასა მოეგებნენ ორნი იგი შემოსილნი არხილიაკონნი — დომენტი და გერმანე, თავი მოუდრიკონ და უქმიონ საკმეველითა, ვითა ჴემო გარდაცემულ არს, კანონისამებრ.

25. ამისსა სამეფოთა ნიშანთა უპირატესად მოაქუნდეს: სამეფო გჯრგჯნი მისსა ბრწყინვალეებასა იოანე მუხრანბატონის ძეს კოსტანტინეს, იყოს ფაღნოსი ვეცხლისა და ფაღნოსსა ჴედა ბალიში და მას ჴედა მდებარე გჯრგჯნი; ამას შეუდგენ მარჯვენით თავადი გურგენის-ძე დავით და მარცხენით ყორჩიბაშისშვილი დავით; მოეგებნენ ორნი იგი ჴემოჰსენებულნი არხი დიაკონნი და მეორე [v] დიაკონნი, თავი მოუდრიკონ გჯრგჯნსა სამეფოსა და უქმიონ საკმეველითა, ვითა იგი ჴერ-არს, კანონისამებრ.

<sup>1</sup> ფალენისშვილი.

26. ამისა შემდგომად მოვიდეს მისი ღირსება, სიმაღლისა მეფისა კარისა და სუეტისა ცხოველისა დეკანოზ ნიკოლაოს, ჯელთა უსუბისა მქონებელი, ხოლო ჯელთა აქუნდეს შემოსულსა დიაკონსა წყალი კურთხეული აიაზმისა; ამისა ღირსებასა თანა ჰყვებოდეს მისი ღირსება ალავერდის დეკანოსი აბრაჰამ, ჯელთა მტკრთველი ხატისა, ანუ ჯუარისა მის, რომელსა უძღვს კურთხევასა ანუ ცხებასა მეფისასა ანუ ქორწინებასა ზედა; და უძლოდესთ წინარე ორი ბავრაცი და ეპურასთ ორთა სტიხარცმულთა კერძო დიაკონთა; ამას უკუე მოეგებნენ ორნი იგი დიაკონნი, თავი მოუდრიკონ და უკმიონ, კანონისამებრ განწყესებისა.

27. ამასთან მისმა ღირსებამ, მისის სიმაღლის მეფის მოძღუარმან, მეტეხის დეკანოზმან იესემ გამოასვენოს ხატი ყოვლად წმიდისა მინაქრისა კარისა ღმრთისმშობელი და მეორე კარისავე ღმრთისმშობელი ეტკრთოს მეფის გიორგის მოძღვარს, მისს ღირსებას იოსებს და მარცხენით ჰსდგეს; მიეგებნენ ორნი იგი ზემოთქმულნი დიაკონნი კმევითა; და წინა უძლოდეს ყოველსა სამკაულისა წარმოდებასა ზედა ცერემონმეისტარი, მისი მაღალკეთილმობილე [24] ბა ალექსოვი ალექსის ძე რეკტორი და ვით.

და სადაცა დასვენებულ იყოს ცხედარი მეფისა, კუბოთი, ძკრფასითა ფარჩებითა მოკრული, და ოთხსა კერძოსა ოთხნი ორთაიანი არწივნი ფარჩისანი, მიკრულნი და კუბოსა ზედა მდებარე; სამეფოსა გკრგკრსა გარდა სხუა გკრგკრნი, შემოსილი ძკრფასითა სტოფითა.

ხოლო კუბოსა ზემორე მდგომარე ბალდახინი, ესე იგი ქოლგა, ზედან გარდაფარებული ძკრფასი სტოფი, და ბალდახინსა ოთხსავე კუთხესა ოქრომკედლისა მსხვლნი თოკნი და ათორმეტნი ფუნჯნი ოქრომკედლისანი, ოთხსავე მჭარესა ბალდახინისასა დაკიდებულნი, თითოსა მხარესა სამნი ფუნჯნი; ხოლო ბალდახინისა ოთხნი სვეტნი ფიგურად ქმნილნი და შემოკრულნი ფარჩანი მძიმედ, სვეტისა ფიგურათა ზედა, ზემო და ქვემო ერთ ფერნი სტოფნი, ხოლო საშუალნი ბალდახინისა სვეტისანი იყუნენ სხუა ფერნი სტოფნი, ფიგურთაგან განჰჩრჩეულნი.

ორნი ესე მოძღუარნი შემოსულნი და ღმრთისმშობლისა ხატთა მტკრთველნი მოვიდენ და დადგნენ, ცხედარსა მეფისასა წინა უძლოდენ, და ორნი კერძო დიაკონნი სტიხარცმულნი, ლამპრებისა მტკრთველნი, ხატთა წინა უძლოდენ და სხვანი ორნი დიაკონნი შემოსულნი ამათ უკუე ხატთა გუნდრუქსა და სანდალთა უკმევედენ.

28. ამასთან გამოვიდეს ო რ ი ს ა მ ე ფ ო დ რ ო შ ა, ერთიეპყრას მარჯ[v]ვენით ა ლ ა მ დ ა რ ბ ა შ ს ქ ა ი ხ ო ს რ ო ჯ ო მ ა რ დ ი ი ე ს და მარცხენით ძესა მისსა მიხაილს; მიეგებნენ ორნივე იგი ზემოქსენებულნი დიაკონნი, თავი მოუღრიკონ და უკვიონ წესისამებრ; და სადაცა ჰსდგეს ცხედარი მეფისა მაშინ, ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით დადგეს დროშანი. ხოლო ამათთან მივიდენ სამეფო სადროშო სამტედრო გუნდი მწყობრობისა.

29. ამასთან სანატრელის მეფის ირაკლის გუამი უნდაეპყრას ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე თ ა თ ა ვ ა დ თ ა ქ ა რ თ ლ ი ს ა და კ ა ხ ე თ ი ს ა თ ა. ამას ცხედარსა მოჰსდევდენ ორნი სხვანნი დი[ა]კონნი, სტიხარცმულნი და ვეცხლისა ლამპრებით აღნთებულნი, თეთრი სანთლები ეპყრასთ, ერთი თავით ცხედრისა და მეორე ფერხითთ, და დანაშთომნი ყულუხჩინი მოჰსდევდენ; ხოლო ცხედრისა თავით სხუა ორი დიაკონი შემოსული და მკმეველნი.

30. ცხედრისა მტვრთველნი ესენი არიან:

ენდრონიკასშვილი იოსებ, ციციისშული სუმონ, ბეჟან მდივანბეგისშვილი, რაფაელ ბარათაშული, იოსებ მინბაში, ბეჟან ყორჩიბაშისშული, დიმიტრი დიასამიძე, ციციისშვილი გიორგი, ჭავჭავაძე ნაზირი, იოსებ ციციისშვილი, იოანე ამირეჯიბი, დავით ჯანდიერისშვილი, ომან კალაურის მოურავი, დიმიტრი ყორჩიბაშისშვილი, სოლომონ ჩერქეზისშვილი, შაშიანის მოურავი [25] ჯანდიერისშვილი ფრიდონ, ჯიმიტის მოურავის როსების ძმა ჯანდიერისშვილი იოანე, ჭავჭავაძე პაატა. და ათნი სხუანი გაღმამტრის თავადნი: ნოდარისშვილნი, ჯორჯაძენი და რუსისშვილნი და სხუანი.

31. ხოლო ბალდახინისა ოთხთა სუეტთა ოთხნი ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ნ ი თავადნი ესენი არიან: ამილახორისშული ბეჟან, აბაშიძე ევგენ, ენდრონიკასშვილი დიმიტრი, ჩოლოყასშული ნიკოლაოს. ამათ ოთხთა თითოთა თითო სუეტო ეპყრასთ.

32. წარვიდეს მისი სიმაღლისა კარისა და სუეტისცხოვლისა მისი ჩინებული ღ[ი]რსება დეკანოსი ნიკოლაოს, იმ განწესებით და განწყობილებით, ვითა იგი დაგვიწერიეს მუხლსა შინა ოცდამეექვსესა; წინ უძლოდენ მოზარენი და ცერემონმეისტარი და საცა სახლსა და პალატსა შინა ჰბრძანდებოდეს მისი სიმაღლე დედოფალი დარეჯან, ზარით წამოუძღვენენ და მას-

თან დარბაისელთა ცოლნი თავშიშველნი მოვიდენ ცხედარსა-  
თანა მეფისასა; და იყოს გოდება, ტირილი და საღმობა გამოუთქ-  
მელი და უკანასკნელი გამოსალმება და დათხევა ცრემლთა.

33. ამას შეუდგენ ძენი მეფისანი ცხედარსა თანა მეფისასა  
მისასეულელ[უ]ნი, ამათ შეუდგენ პირველნი თავადნი. ამა პირ-  
ველთა თავადთა შემდგომად მეორენი თავადნი, ხოლო ამა  
მეორეთა თავადთა შემდგომად მესამენი თავადნი და შემდგო-  
მად აზნაურნი და ყოველნივე თავშიშველნი.

34. ამისსა შემდგომად სძალნი მეფისანი და ასულნი მარცხე-  
ნით ცხედრისა. ამათ უნდა შეუდგენ პირუელთა თავადთა მეუღლენი,  
ხოლო ამათ შემდგომად მეორეთა თავადთა მეუღლენი, და ამა მე-  
ორეთა თავადთა მეუღლეთა შემდგომად მესამენი, და შემდგომად  
აზნაურთა მეუღლენი, ესე ყოველნივე თავშიშველნი და მღუმრიად-  
საღმობითა ცრემლთა დამნოხეველნი.

35. ამათ უკან შეუდგენ რაოდენნიმე ეშქაღასბაშნი, ბო-  
ქოულთ-უხუცესნი და იასაულნი, რომელ დაბალნი  
ხალხნი, მამაკაცნი ანუ დედაკაცნი, ჩინებულთა გვამთა შემაწუ-  
ხებელ არა ექმნენ.

36. ამას ჟამსა ქართველთა და სომეხთა ეკლესიათა შინა ზარ-  
თა და სარეკელთა ცემა უნდა იყოს, სანამდის სანატრელი ცხედარი  
მეფისა ირაკლისა წარიღებოდეს; ხოლო ეს ცერემონია სრულ რა  
იქმნეს და აღიღონ ცხედარი მეფისა, მაშინ იქმნეს ზარბაზანთა  
ცემა, რაოდენიცა შესაძლებელ იყოს.

[26] 37. ამის უკუე ცერემონიებისტარსა და წესთა დამწყობსა  
ალექსოვს ალექსის ძეს რექტორს და ვითს უნდა ჰყუ-  
ანდეს თუსსა ჯელისქვეშედ ქისიყის სამთავროდამ მოსახმა-  
რად კაცნი ძლიერნი და საქმის შემძლებელნი რიცხვთ ოცდაათნი,  
და ცერემონიებისტარმან რააცა უბრძანოს, ყოველივე მპსახურება  
მპსწრაფლად აღასრულონ მორჩილებით.

38. ხოლო რომელნიცა ზემორე მოხსენებულ არიან სარდარნი  
მეწინავენი, მემარჯუნენი და მემარცხენი ყოველნივე  
თუს-თუსთა საკუთართა სპათა წინა უეიდოდენ, თუსთადროშებითა,  
თუს-თუსთა განწე[ს]ებულთა ადგილთა და ხარისხთა, ყოველნივე  
დაწყობით ვიდოდენ, და სარანგნი თუს-თუსთად მიჩენილნი ცერე-  
მონიებისტარისაგან მართდენ, რათა მწყობრნი არა აღირივნენ და  
დაწყობით აქუნდეს სლვანი.

გე. ამის უკუე წესთა ცერემონმეისტრად დაიდგინა, ჩვენ მიერ-  
რისა ბრძანებითა, მისი მაღალკეთილშობილება ალექსოვი  
ალექსისძე რექტორი დავით.

თთუესა იანვარსა, რიცხუსა ია, წელსა ჩლჟმ, ქორონიკონს  
უბჟ.

წელმოწერილი და ბეჟედი: სრულიად საქართველოს დედო-  
ფალი დარეჯან.

წელმოწერილი და ბეჟედი: მისი უწმიდესობა კათალიკოს-  
პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი.

150. [ბრძანება გიორგი XII-ისა სამკლესიო შიშის გააზატების  
შესახებ]  
[1798 წ.]

ქ. ჩუენი ბრძანება არის, ემიკალბაშო ალექსანდრეე და მდი-  
ვანო იოვანე!

მერმე, მოძღუართ-მოძღუარი ბიქტორ, გულგულელთა და  
არტოზნელთ აზატს კაცებზედ რომ ლაპარაკობს, რომელიც ძველ-  
თაგან და ანუ ახლა ჩუენის მამა-პაპათაგან გათარხნებულნი არიან  
და იმათი წყალობის წიგნები აქვსთ ვისმე, იმას ვერც ჩუენ მო-  
უშლით და ველარც მოძღუართ-მოძღუარილა ილაპარაკებს.

და რომელსაც კაცს მოძღუართ-მოძღურების წერილები აქვსთ,  
იმ წერილებით იმათი გააზატება არც იქმნება და არც გავაზა-  
ტებთ, თუნდა რომ კურთხეულის ბატონის მამის ჩუენისაგა-  
ნაც იყოს დამტკიცებული, ამიტომ რომ ისევე თითონვე ოქ-  
მით დაუყენებია. ვისაც ამისთანა მოძღუართ-მოძღუარების წიგნები  
ჰქონდესთ, ყველას უნდა ჩამაართუა და ჩუენ მოგუართუა.

რომელიც მოძღუართ-მოძღუარი არის და ანუ შემდგომად  
იქმნება, იმათ ასე უნდა იცოდნენ, რომ მეფის შეუკითხავათ კაცს  
ვერ გააზატებენ მოძღუართ-მოძღურები, ამისთჳს რომ სანატრე-  
ლის ბებუის ჩუენის დედოფლის თინათინისაგან ხახულისა ღმრთის-  
მშობლის ეკლესიის მამული პირველად ნასყიდი არის და მასუკან  
შეწირული; ეს ამისთჳს არის შეწირული, რომ სანატრელი დე-  
დოფალი თინათინ სამარადისოდ იხსენებოდეს და ჩუენნი გუარის  
მეფენი იხსენებოდნენ და ჩუენის ოჯახისა ყოველნივე.

თუ მოძღუართ-მოძღუარი გააზატებს, ანანიას და საფერას  
ემსგავსება, ამისთჳს რომ ეკლესიას რომ აღარა შეუვა რა, გამო-  
წირული შეიქნება.



მეფეს გარდა არავის შეუძლიან ეკლესიის ყმის გააზატება. მოძღუართ-მოძღუარმაც ასე უნდა იცოდეს და იმ ეკლესიის ყმებ-მაც, რომ ეკლესიის ყმისა და მამულის გააზატება არ იქნება.

მტკიცედ ჩუენი ბძანება ეს არის, რომ ნურავინ ეცდება ეკლესიის ყმისა და მამულის გააზატებას.

ივლისს კბ, ქორონიკონს უპვ.

151. [თხოვნა გიორგი მეფისა იმპერატორ პავლე I-სადმი ძართლ-კახეთის მეფედ მისი დამტკიცების შესახებ]

[1798 წ.]

ითხოვეს აღსრული სჯულიერსა<sup>1</sup> თვისსა სამეფოსა ტახტსა ზედა, შემდგომად აღსასრულისა მამისა თვისისა მეფისა ირაკ-ლი მეორისა, მეფე ქართლისა და კახეთისა გიორგი მეათსამეტე\*, რომელსაცა შეუდგებიან:

### პუნქტი

ა.

წელსა ჩღვ გუაქუნდა ჩვენ აღთქმა, რომ საქართველოსა ტახტსა ზედა აღსრულმან მოვახსენოთ იმპერატორების თქუენისა დიდებულებასა ჩვენი სამკვიდროსა და სჯულიერსა<sup>1</sup> ტახტსა ზედა აღსლვა და თქვენის იმპერატორების დიდებულებისაგან ვითხოვოთ ამის დამტკიცება.

### ამ სათხოველს

ბ.

აწ, აღსრული სჯულიერსა<sup>1</sup> და სამკვიდროსა ჩემსა საქართ-ველოსა და კახეთისა ტახტსა ზედა, უმდაბლესად ვითხოვ თქვენის იმპერატორების დიდებულებისაგან ამისსა დამტკიცებასა და ჩემ-თანა პირმშოსა ჩემისა შეილისა, იმპერატორების თქვენის დიდე-ბულების [მაღალ-სახელოვანსა სამსახურსა შინა მყოფისა ღენერალ-მაიორად, დავითის ჩემად მეკვიდრედ მიღებასა და დამტკიცე-ბასა.

მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორ-გი მეათსამეტე\*.

ყოვლად მოწყალევე ხელმწიფევე, უმონებრიესად ვითხოვ თქვე-ნის იმპერატორების დიდებულებისაგან ამ ჩემს სათხოვარს სის-რულე უბოძოთ.

ოკდომბერს, წელსა ჩღვ.

ხელს ვაწერ.

<sup>1</sup> სჯულიერსა.

\* უნდა იყოს „მეათთორმეტე“.

[1799 წ.]

წელსა ჩღჟთ, სეკდემბრის ზ. ჩვენ მიერ მიცემულნი წინაშე  
მათის იმპერატორების დიდებულების წასაყენებელნი აზრი-მო-  
ხსენებანი, რომელიცა ჩვენგან წარვლინებულთა, ჩვენს ერთ-  
გულთ ყმათ, უფალთ დესპანთ მოგეცათ:

1\*. უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელო ჩემი  
უზაკველითა და ქრისტიანებრითა ჭეშმარიტებითა მსხვერპლებითა,  
და დაუდევით არა თუ მფარველობასა ჭეშე უდიდებულესსა დიდსა  
რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა  
ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერიდგან დაიდვას სა-  
მეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად, წესითა მით ვი-  
თარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა პყრობილნი პროვინციანი სარ-  
გებლობენ.

2. შემდგომად მსხვერპლებისა, ყოვლად უმდაბლესად წარუდ-  
გინეთ იმპერატორსა დიდისა რუსეთისასა, რათა, ჟამსა მისგან სა-  
ქართველოსა სამეფოს სრულსა ძალასა და ნებასა შინა თვისსა მი-  
ღებისასა, განამხნოს პუნქტსა ამას თხოვილი ჩემი ყოვლად უმო-  
წყალესითა აღთქმითითა წერილით ვითარმედ სახლსა  
შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფენი, გარნა ოდენ სა-  
მეფოს მემკვიდრითი-მემკვიდრეთ ვითარცა წინაპარნი  
ჩემი.

3. ეგრეთვე ითხოვეთ ყოვლად მოწყალისა ჯელმწიფისაგან  
ყოვლად უმდაბლესად, თქვენ მიერ მირთმეულითა წერილითა,  
ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა შინა საშესაბამო აგარაკნი, ჩემთვის  
და ძეთა ჩემთათვის, საბოლოოდ და სამკვიდროდ, რომლისადა  
ბოძება იქმნების ჩემთვის უმწვერვალესისა შეკრულებისა ნიშნად.

მეფე სრულიად საქართველოსა გიორგი.

4. ესრეთვე ითხოვეთ ჯამაგირიცა შესაბამისა სახითა შემდ-  
გომად სრულყოფისა ზემორე მოხსენებულთა აზრთასა.

მეფე სრულიად საქართველოსა გიორგი.

---

\* ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

[1799 წ.]

[არზა]

ქ. ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი, მათი უმდაბლესის მონისა და მარად მლოცველის დავით-გარესჯის წინამძღვრის თეოდოსისა.

თქუენის სიმაღლის ოქმი და იასაული გვებოძა, რომ მონასტრის ყმაზედ სამი კაცი არის ბრძანება, ჯარში წამოვიდესო. მოეხსენება თქუენს სიმაღლეს, სანატრელთ თქუენთ მამა-პაპათ მეფეთაგან არ გაყვანილან ჯარში და თქუენის სიმაღლისაგან უმეტესად დამტკიცდა. მოწყალეებას ვითხოვ, რა გვარად თქუენი მოწყალეება აქვს მონასტერს, ის ჩვეულება არ მოაკლოთ და მოწყალე ოქმი გვებოძოს განთავისუფლებისა და ყოველთჳს არ გვაწუხებდენ. ჩემი მოხსენება ეს არის და ნება თქუენი სიმაღლისა აღსრულდეს.

ავგისტოს ივ, ქორონიკონს უპჳ.

[ოქმი]

ქ. ჩუენი ბძანება არის, რომელიც ჩუენი მოხელენი ხართ და ან ჯარის გამოყვანი მოხვიდეთ!

მერე ყველამ ასე უნდა იცოდეთ: ამ მონასტრის ყმის ჯარში გამოყვანა არც პაპის ჩუენის დროს ყოფილა, არც მამის ჩუენის დროსა და ვერც ჩუენ გამოვიყვანთ და არც იქნება ამათი ჯარში გამოყვანა, არც ერთისა, არც ორისა, არც სამისა, არც ათისა და არც ასისა. ამათი ჯარში გამოყვანა არ იქნება, ყველამ ასე უნდა იცოდეთ.

ავგისტოს ივ, ქორონიკონს უპჳ.

და თუ ძალა მოინდომოს ვინმე, უფალო წინამძღვარო, თუ შენ ბძანდებოდე მანდა, თქუენ ავით მოეპყართ, და თუ თქუენ არ ბძანდებოდეთ მანდა, მონასტრის ყმანო და რომელიც მოიუზრავი გყავსო, თქუენ ავით მოეპყართ.

თქუენი ჯარში გამოყვანა არ იქნება და არ იქნება!

ბეჭედი გიორგი მეფისა.

154. [წყალოვის წიგნი ღვთის მემკვიდრისა იოანე  
ციციის შვილისადმი]

[1801 წ.]

ბრძანებითა მისის დიდებულებისა პავლე პირუელისა იმპერატორისა ყოვლისა როსიისა და სხუათა და სხუათა და სხუათა.

ჩვენ მე მკვდრე მან ყოვლისა საქართველოჲსა ქართლისა, კახეთისა და სხუათამან დ[ა] როსიის ლენერალ-ლეიტენანტმან და კავალერმან და ვით.

მოგიბოძეთ წყალობა ესე თქვენ, ჩვენს სახასოს ყმას ციციის-შვილს ი[ოანეს], ძმასა შენსა კაციას, დათუას, შვილთა თქვენთა და ყოველთა სახელისა თქვენისა მომავალთა ასე, რომ:

თქვენ უმამულონი იყავით და ქართლში აქა იქ სოფლებში ხიზნად დახვიდოდით; მოხვედით და წყალობას გვეაჯენით. ჩვენც შეგიწყალეთ და [გიბოძეთ] სურამს ამოწყვეტილის ბერელაშვილის გოგიას მამული ბეითალმანი სახლ-ქარი, აგრევე მიწა საჯნავე თუ უჯნავე, ვენახი თავისის ქვევრ-მარნით, წისქვილით, დუქნით და ყოვლითავე მისის სამართლიანის მიჯნით და სამზღურით, რისაც მქონებელი ყოფილ[იყო], ყოველივე თქვენთჳს გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლად. და არ მოგეშალოს წყალობა ესე ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთაგან.

ამას გარდა ჩვენგან სხვაც წყალობის წიგნიცა გაქვსთ ბოძებული, რომ ჩვენგან გააზატებული ხართ, რომ ყოვლის სათხოვრ[ისაგან] განგვითავისუფლებიხართ, რომ საჩვენო სათხოვარი და ან სხვა რამ არა გეთხოვებოდესთ [რამ].

და თვითონ შენ, იოანე პატარობითვე რომ ჩვენს მოძღვარს და ლალას დირექტორს დავითს რომ თან ახლდი, შენ ჩვენის მოწყალებით იზრდებოდი, და როგორც ჩენი მოძღვარი განუშორებლად თან დაგვდევდა ყოველს ალაგს, შენც იმას დასდევდი, ამისთვის ეს წყალობა [გიბოძ]ეთ.

ყოველნო ჩვენნო კარის მოჭელენო და ყოველნო მოსაქმენო და სურამის მოურაო, ეს ჩენი ბრძანება თქვენც ასე გაიგონეთ და აღასრულეთ; შეწვენის კიდე სხვას ნურარასა ჰყოფთ.

ხოლო წყალობის წერილსა ამას ზედა თვთ ჳელითა ჩეენითა მოეაწერეთ და [ზედა] დროებითითა ბეჳდითა ჩეენითა დავბეჳდეთ. მიეცა სამეფოსა ქალაქსა ტფილისს, თთუესა მარტსა ით, წელსა ჩყა, ქორონიკონს უჳთ.

დავითის ხელით:

საქართველოს მმართველი ლენერალ-ლეიტენანტი და კავალერი დავით.

ბეჳდით.

155. [ბრძანება დავით მემკვიდრისა ზაქარია ანდრონიკაჳილი-სადმი]

[1801 წ.]

ქ. სრულიად საქართველოს მემკვდრე და მმართველი დავით გიბრძანებ საგარეჯოს მოურავო ენდრონიკოვო ზაქარიაჳ.

მერე რომელიც წმიდის ნინოს ეკლესი[ი]ს განწესება არის თავის ყმის ქურდობისა, ჯარიმისა და ან თავის ყმის სამართლისა იმ მსგავსად უნდა ამსახურო. და რომელიც თავის ყმა შემაწუხებელ ექმნებოდეს, უნდა დასტუჳსევედ და გარდა[ა]ხდევიენბდე.

ბერთუბნელები სადმე აწუხებენ ნინოწმიდელს და იმათ ხალხს მამულზე. ამ საქმეზე ჩეენი ოქ[მ]იცი არის და არ უოქმიათ და კიდევ სადმე აშფოთებენ ნინოწმიდელებს.

ახლაც კიდევ ამას გწერთ, რომ ყადაღა უნდა უყო; როგორც აქამდის ყოფილან, ახლაც ის[ე] მოიქცნენ. და როდესაც მოვიცლით და სამართალში ვალაპარაკებთ, მას უჳან ვისაც დარჩება, იმისი იქნება.

აპრილის 3, ქორონიკონსა უჳთ.

ბეჳდით.

156. [სარქარდრობის წყალობის წიგნი დავით მემკვიდრისა ბეჳან ავილახვარისადმი]

[1801 წ.]

წყალობითა ღმრთისათა და მისის დიდებულებისა იმპერატორისა ალექსანდრე პირველისა, პავლეს ძისა და თვითმჳკრობელის ყოვლისა როსიისათა და სხვათა და სხვათა და სხვათა.

ჩვენ, ყოვლისა საქართველოისა მმართველმან და მემკვიდრემ<sup>1</sup> და რუსეთის ლენერალ-ლეიტენ[ან]ტმან და კავალერმან მეფის ძემ დავით ჩვენს თავადს ამილახვრის შვილს მინბაჳს ბეჳანს შენის ერდგულებისა, მრავალჯამ თანამდებობისამებრ სამსახურისა

<sup>1</sup> მამკვიდრემ.

და მრავალგზის გამარჯვებისათვის გიბოძეთ ზემო ქართლის სასარდლოს დანტის ჯარის სარქარდრობა, რომელსაცა ძალ-გიცს ასის თავთა, ხუთასისთავთა და მინბაშთა ბრძანებისა მიცემა და თანამდებხარ ყოველთა საქმეთა მოქმედებად, რაიცა თავის ეყვის ჯარისა დაძახებასა და ომსა შინა ქცევასა, რომელიცა პატივის-იცემები ჩვენგან და ერისა ჩვენისა ქართველთაგან სარდლობისა მეორისა ხარისხისა პატივისცემითა.

მიეცა ქალაქსა ტფილის[ს], წელსა 1801, თთვესა აპრილის 29 დღესა.

**157. [სარგოზს განწესების წიგნი დავით მამაკვიდრისა ბეჟან ამილახვარისადმი]  
[1801 წ.]**

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მმართველმან და მემკვიდრემ და რუსეთის ლენერალ-ლეიტენანტმან და კავალერმან დავით ჩვენს თავადს ამილახვარის შვილს ბეჟანს, ზემო ქართლის სარქარდარს, განგიწესეთ წლითი-წლად ჯამაგირი ოცდაათი\* თუმანი თქვენის სარქარდრობისათვის, რომელიცა მოგეცემის ნახევარი თეთრი სახარჯოდ და ნახევარი ფარჩა ტანისამოსად.

მაისის 18, ქორონიკონს უბთ.  
ბეჟედი.

**158. [წყალობის წიგნი დავით მამაკვიდრისა ჯანდიერის  
შვილებისადმი]  
[1801 წ.]**

ქ. ბრძანებითა მათის იმპერატ[ორების დიდებულებისათა, ჩვენ სრულიად საქართველოს მემკვიდრემან, დიდისა რუსეთისა ლენერალ-ლეიტენანტ და კავალერმან, მეფის ძემ დავით ესე სამართლისა და წყალობისა ს[იგე]ლი და განჩინება გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს და მრავალგვარად ნამსახურს თავადს ჯანდიერის შვილს კალაურის მოურავს ომანს, ძმასა შენსა როსებს, გრიგოლს და პაატას, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა.

ასე რომ, შთამომავლობათა თქვენთა მამა-პაპათა ჩვენთათვის სისხლის დაღვრითა და სახელოვნად უმსახურნიათ, რომელსაც წინაპართა ჩვენთა მეფეთაგან ბოძებულნი წყალობის წერილები გიცხადებთ.

და თქვენ სიყრმითგანვე ჩვენს პალატში აღიზარდენით და მრავალჯერ ფიცებელს ომებში სახელოვნად გამოხჩნდით. ეს გვარნა-

\* „ოცდაათი“ ჩაწერილია თვით დავითის ხელით.

მსახურობისა თქვენისათვის სამართლ[ი]თ დაგიპტიცეთ წყალობა ესე, რომ:

უწინარეს ამისა ქორონიკონს [უ]მდ იმ დროს სანატრელსა პაპაჩვენს შ[ეფ]ეს ერეკლესთან ჯანდიერიანთ ოთხთავ ბიძაშვილებს ეჩივლათ: პაატა მდივანბეგის შვილს დიდ ზაზას, [ო]მანიშვილს გოგიას, კიდევ დავითის შვილს გოგიას და პაპ[უა]სა და პატარა ზაზას; და მათს უმაღლესობა მეფეს სამართლის ძალით ერთმანეთისათვის მოეშორებინა; ყმაცა, მამულიცა და სახელოებიც გაეყო დ[ა] გაყრის წიგნებიც კელთა ჰქონდათ.

და ეს უფროსი ძმა პაატა მდივანბეგიშვილი დიდი ზაზა უშვილო ყ[ო]ფილიყო და თავის ბიძაშვილს პაპუასა და პატარა ზაზასთან შესულიყო, თავისი ყმა და მამული და სახელო იმათთან შეეტანა და წიგნიც მიეცა იმათთვის, რომ [ვი]ნემ ცო[ცხალ ვარ, შე]მინახეთ, მერე ჩემი წილი მამული და სახელო თქვენი იყოს\*...

159. [МАНИФЕСТ ПАВЛА I-ГО  
О ПРИСОЕДИНЕНИИ ГРУЗИИ  
К РОССИИ]  
[18. I. 1801]

[მანიფესტი პავლე I-ისა საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ]\*

[Божьей милостью Мы, Павел Первый, Император и Самодержец Всероссийский, и прочая, и прочая, и прочая].

Съ давнихъ уже времянь Грузинское Царство, угнетаемое иноверными соседями, истощало силы свои непрестаннымъ рагованнемъ въ собственную оборону, чувствуя неизбежныя следствия войны, почти всегда несчастливои.

[1] წყალობითა ღმრთისათა ჩუენ, პაველ პირველი, იმპერატორი და თვთმპყრობელი ყოვლის რუსეთისა და სხუათა, და სხუათა, და სხუათა.

მრავლის ჟამთაგან ქართველთ სამეფო შეიწრებულ იყო ურწმუნოთა მეზობელთა თვსთაგან და ამით განღეულ იყო ძალი მათი დაუცხოველით მბრძოლველობითა და ვერღა ეძლოთ თავით თვსით დაცვა თავთა თვსთა, მხილველთა ამისთა, რომელ მიუცილებელად შეუდგებოდა მარადის ბრძოლად მათდა, უფრო-ესლა უბედურება.

\* ტექსტი აკლია.

\*\* ხელნაწერი იწყება ასე „როსიის იმპერატორის მიერ მოწერილი ჩუენდადნა“.

Къ симъ присовокупились несогласия въ доме Царскомъ, угрожающія довершить падение Царства сего, возродя въ немъ междуусобную войну.

Царь Георгій Ираклиевич, видя, приближающуюся кончину дней его, знатныя чины и самъ народъ Грузинскій прибегли нынѣ къ покрову Нашему, и не предвидя инаго спасенія отъ конечной гибели и покоренія врагами ихъ, просили чрезъ присланныхъ полномочныхъ о принятіи областей, Грузинскому Царству подвластныхъ, въ непосредственное подданство Императорскому Всероссийскому Престолу.

Внимая прошению сему, по сродному Намъ ко всемъ единоверцамъ Нашимъ милосердію и по всегдашнему Нашему о пользахъ Грузинскаго народа попеченію, определили Мы исполнить Царя Георгія Ираклиевича и Грузинскаго народа желаніе, и для того повелели, сколько для удержанія внутренняго въ зем-

да амистананеве შეერთებულ იქმნა უთანხმობა სახლს შინა სამეფოსა, რომელიცა ამიზეზებდა სრულებით დამზობასა მისსა, ვინაჲთგან წარდგომილ იყო მათ შორის ბრძოლა ურთიერთისადმი.

მეფემან გიორგი ირაკლიეიჩმან იხილა მოახლოება დაპსრულებისა დღეთა თუსთასა და ჩინებულთაცა მოახლოება და თვთ ერმანცა საქართველოჲსმან ჰყვეს შევრდომა მფარველობისადმი ჩუენისა, ვინაჲთგან წინათვე ჰხედვიდენ, რომელ სხვა არლარა იყო ღონე, რომელითაცა კსნილ იყო დასრულებითისა დანთქმისაგან და დამონაებისაგან მტერთა თუსთასა. და ამისთვის ითხოეს, წარმოგზავნითა სრულის ძალის მქონებელთა დესპანთათა, მიღება სამფლობელოსი საქართველოსა სამეფოჲსა, მფლობელობასა დამონებასა ქვეშე ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა.

მივიღეთ ვედრება ერთსაოწმუნოებით მონათესაობითა ჩუენითა, მოწყალებითა ჩუენითა და მარადის ჩუენგან ზრუნვითა სარგებლობისათჳს საქართველოჲსა მის ერთასა და განვაწყესეთ ჩუენ აღსრულება სურვილისა მეფის გიორგის ირაკლის ძისა და საქართველოჲსა ერისა. და ამისთვის, რაოდენთაცა დაყენებისათჳს შინაურთა ქუეყანათა აღ-



ლე უსრუიჲსა, სოილქო დღა ოგრაჲდენიჲსა ონოი ოტჲ ვნეშნიჲსა ნაჲდენიჲსა, ვნეშნიჲსა ნაშნი ვიჲსკა ნაშნი ვიჲსკა გრუზინსკიჲსა.

И симъ объявляемъ Императорскимъ Нашимъ Словомъ, что по присоединении Царства Грузинскаго на вечныя времена подъ Державу Нашу, не только предоставлены и въ целости соблюдены будутъ Намъ любезно-вернымъ повымъ подданнымъ Нашимъ Царства Грузинскаго и всехъ оному подвластныхъ областей, все права, прсимушества и собственность, законно каждому принадлежащая, но что отъ сего времени каждое состояниѣ народное вышеозначенныхъ областей имѣть пользоваться и всеми теми правами, вольностями, выгодами и преимуществами, каковыми древниѣ подданные Россійскіе, по милости Нашихъ Предковъ и Нашей, наслаждаются подъ покровомъ Нашимъ.

Въ прочемъ пребудемъ удосто-верены, что сии новые поддан-ные Наши и ихъ потомки, сохра-неннемъ непоколебимой вернос-ти Намъ и Преемникамъ Нашимъ и усердиемъ къ пользе Им-

ერულეზისათა ეგეოდენვე გარეულ-თა მეზრძოლთა ზედან დასხმისა[ვ] უშიშრობისათჳს, ვზრძანეთ გარ-დასლვა მვედრებისა ჩუენისა ქუ-ეყანასა შინა საქართველოჲსასა.

და ამით ვაცხადებთ ჩუენის იმპერატორებითის სიტყვით, რომელ შეერთებული სამეფო ქართლისა საუკუნოსა ჟამადმდე მპყრობელობასა ქვეშე ჩუენსა, არათუ მხოლოდ დაცეულ იქმნებიან სრულებასა შინა ჩუენნი იგი საყუარელნი ახალნი ყმანი სამეფოჲსა საქართველოსანი და ყოველნი გარეშემონი მისნი სამფლობელონი ყოველსა შინა წესს, აღმატებულებასა და საკუთრებისათა, მსჯულსა თუთოეულთა შესაბამეთასა, არამედ ამის ჟამითგან თუთოეულთა მდგომარეობათა ერთა ზემო აღწერილთა სამფლობელოთა ექმნებისთვე შემატებულება და ყოველივე იგი წესი, თავისუფლება, სარგებლობა და აღმატებულება ესევეითარი, ვითარცა ძველნი მონანი ერნი რუსეთისანი, მოწყალებასა ჩუენსა და ჩუენსა წინაპართასა, არიან დატკობილ მფარველობასა ქვეშე ჩუენსა.

და სხვეზრ ვიქმნებით დარწმუნებულნი, რომელ ახალნი ესე ყმანი ჩუენნი და შთამომავლობა<sup>1</sup> მათი დაიდ[ი]ცავს შეურყეველად ერთგულებასა ჩუენსა და მემკვიდრეთა ჩუენთასა და ჰყოფს

<sup>1</sup> შთამომავლობა.

нерии Нашей, коей по всеблагому промыслу Всевышняго учинились они ныне сочленами, потышатся заслуживать Монаршее благоволение Наше.

[Дан в Санктпетербурге, в лето от Рождества Христова 1801, генваря 18 дня, Царствования же Нашего в пятое, а Великаго Магистерства в третье лето.

На подлинном подписано собственное Его Императорскаго Величества рукою тако]:

[Павел].

**160. [МАНИФЕСТ АЛЕКСАНДРА  
I-ГО О ПРИСОЕДИНЕНИИ  
ГРУЗИИ К РОССИИ]  
[12. IX. 1801]**

Божиею Милостию Мы, Александр Первый, Императоръ и Самодержецъ Всероссийский, и прочая, и прочая, и прочая.

Объявляемъ всемъ обитателямъ Царства Грузинскаго, кому о томъ ведать надлежитъ.

Покровительство и Верховная власть Российской Империи надъ Царствомъ Грузинскимъ всег-

гულსმოდგინებით სარგებლობასა საიმპერატოროსა ჩუენისასა, რომლისადმიცა განზრახვისამებრ ყოვლად უმაღლესისა აწქმნილი შეერთებულება იგი მათი, იქმნების აღრაცხილ მოქმედებით თუმპყრობელობითა კეთილმნებელობითა ჩუენითა.

დაიბეჭდა სანკტპეტერბურსს, სენატსა შინა, [ი]ანვრის იმ დღესა, ჩუა წელსა.

ქვემოცე მოწერილ არს საკუთართა მისის იმპერატორების დიდებულების კელი ესრეთ:

პ ა ვ ე ლ .

**[განიხვისტი ალექსანდრე I-ისა  
საქართველოს რუსეთთან  
შეერთების შესახებ]**

წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, ალექსანდრე პირველი, იმპერატორი და თვითმპყრობელი ყოვლისა რუსეთისა და სხვათა, და სხვათა, და სხვათა.

განუცხადებთ ყოველთა საქართველოესა სამეფოსა შინა მყოფთა ვისდამიცა სათანადო არს ცნობად მისთვის.

მფარველობა და უზენაესი ხელმწიფება რუსეთისა იმპერიისა სამეფოსა ზედა ქართველთასა,

და პალაგალი на Монарховъ Рос-  
сийскихъ и долгъ защиты.

Въ 1796 году, противъ силь-  
лаго впадения къ вамъ Аги-Мег-  
метъ Хапа, въ Бозе почивающая  
Великая Государыня Императ-  
рица Екатерина Алексеевна  
послала часть войскъ своихъ.

Столь успешное тогда не  
только спасение Царства Гру-  
зинскаго, но и счастливое по-  
корение всехъ областей и наро-  
довъ отъ береговъ Каспійскаго  
моря до рекъ Кумы и Аракса,  
ограждали васъ отъ всякихъ  
опасностей; оставалось только  
внутреннимъ благоучрежде-  
ниемъ благоденствие ваше ут-  
вердить на векъ.

Но внезапное и скоростни-  
жное отступление войскъ Рос-  
сийскихъ изъ Персии, Арме-  
нии и изъ пределовъ вашихъ,  
непровергли справедливое ожи-  
дание ваше.

Все потомъ претерпенныя ва-  
ми бедствия, пашествие не-  
верныхъ и иноплемненныхъ на-  
родовъ, разорение городовъ и  
селений, порабощение и увле-  
чение въ пленъ отцовъ, матерей,  
женъ и детей вашихъ, наконецъ,  
раздоръ Царской Фамилли и

სდებენ მარადის ერთ-მთავართა  
ზედა როსიელთასა, ვალსაცა ხე-  
ლის აპყრობისასა.

ჩუჲ წელსა, პირისპირ ძლი-  
ერად დაცემისა თქვენზედა აღა-  
მაჰმად-ხანისა, ლეთისადმი გან-  
სვენებულმან დიდმან ხელმწიფა  
იმპერატრიცა ეკატერინა აღექ-  
სენამ წარგზავნა ნაწილი მხედ-  
რობათა თვისთა.

ესე ოდენი წარმართებაჲ, მა-  
შინ არა თუ ოდენ განარინებდა  
საქართველოჲსა სამეფოსა, არა-  
მედ ბედნიერებითი დაპყრობა  
ყოველთა სამფლობელოთა და  
ერთა კიდურსა ზედა კასპიის  
ზღვისასა მდებარეთა ვიდრე  
მტკვრად და არეზადმდე, შეგ-  
ზლუდვიდენ თქვენ ყოველთა სა-  
შიშოთა გამო; დაშთებოდა ოდენ  
შინაგანითა კეთილ დაწესები-  
თა დამყარება კეთილდღეობისა  
თქვენისა საუკუნოდ.

გარნა, მეყვესულად მსწრაფლ  
მოწვევითმან გამოსელამან რუ-  
სეთისა მხედრობისამან სპარსე-  
თით, სომხითით და საზღვრით  
გამო თქვენით, აღმოფხვრეს სა-  
მართლიანი ლოდინი თქვენი.

შემდგომად, ყოველმან თქვენ  
მიერ მოთჳენილმან განსაცდელ-  
მან, მოსელამან სხვათა სარწმუ-  
ნობისა ერთამან, დაქცევამან  
ქალაქთა და შენობათა, და მო-  
ნებამან და წარზიდვამან მამათა,  
დედათა, ცოლთა და შვილთა  
თქვენთა, უკანასკნელ უთანხმო-

разделение народа между разными искателями царскаго достоинства влекли вас въ междоусобныя брани.

Окружающие васъ хищные народы готовы были напасть на Царство ваше и ненаказанно растерзать его остатки.

Соединениемъ всехъ сихъ золъ не токмо народъ, но даже и имя народа Грузинскаго, храбростью прежде столь славнаго во всей Азии, истребилось<sup>1</sup> бы от лица земли.

Стоя въ бездне сей, неоднократно призывали вы покровительство Россійское.

Вступление войскъ Нашихъ и поражение Омар-Хана Аварскаго приостановили гибель вашу, устранивъ всехъ хищниковъ, наполняющихъ горы Кавказския и техъ, кои раздрають область Персии и Великой Армении; затихли крамолы по среде васъ, и все вы единодушно и торжественно воззвали власть Россійскую управлять вами непосредственно.

ებამან მეფისათა სქესთამან და განყოფამან ერთა სხვათა და სხვათა მეფობისა ღირსებისა მეციებელთა შორის მიგზინდეს თქვენ ურთიერთისა საბრძოლველად.

გარემოსნი თქვენნი წარმტაცნი ერნი იყვნენ მზა დაცემად სამეფოსა ზედა თქვენსა და დაუსჯელად განგლეჯად დაშთომილთა მისთა.

შერთებითა ყოვლისა მის ბოროტებისათა არა თუ ოდენ ერთი, არამედ თითქმის სახელითა ქართლოსანთა, პირველვე გულოვნობითა დიდებული ყოველსა აზიასა შინა, აღიფხვრებოდაცა პირისაგან ქვეყანისა.

მდგომელნი უფსკრულსა ამას შინა, არა ერთგზის უწოდლით თქვენ მფარველობასა როსსიისასა.

შესვლამან სპათა ჩვენთა და დაწყლევამან ომარხან ავარისა დააყენეს წარწყმენდა თქვენნი, შეაძრწუნა ყოველნი წარმტაცნი კავკასიის მათათა აღმავსებელნი, და იგინიცა, რომელნიცა ჰკერებენ სამფლობელოსა სპარსეთისა და დიდისა სომხითისასა; დამყუდრდა შორის თქვენსა მიმგვირიობა და თქვენ ყოველთაცა ერთსულობითა და დღესასწაულებითა დაღადჰყავით, რათა ხელმწიფება რუსეთისა გმარებდესთ თქვენ უსაშვალოდ.

<sup>1</sup> „потребилось“.

Мы, вступя на Всероссийскій Престоль, обрели Царство Грузинское, присоединенное к Россіи, о чем и Манифестъ въ 18 день Генваря 1801 года изданъ уже былъ во всенародное извѣстіе.

Вникая въ положеніе ваше, и видя, что посредство и присутствие войскъ Россійскихъ въ Грузіи и до нынѣ одно удерживаетъ пролитіе крови Намъ единовѣрныхъ, и конечную гибель, уготованную вамъ отъ хищныхъ и неверныхъ сопредельныхъ вамъ народовъ, желали Мы испытать еще, нетъ ли возможности возстановить первое правленіе подъ покровительствомъ Нашимъ и сохранить васъ въ спокойствіи и въ безопасности.

Но ближайшія по сему изслѣдованія наконецъ, убедили Насъ, что разныя части народа Грузинскаго, равно драгоценныя Намъ по человечеству, праведно страшатся гоненія и мести того, кто изъ искателей достоинства Царскаго могъ бы достигнуть его власти, поелику противъ всехъ ихъ большая часть въ народѣ столь явно себя обнаружила.

ჩვენ, აღსრულთა ყოვლისა რუსეთისა საყდარსა ზედა, ვჰპოეთ სამეფო საქართველოსა შერთებულთ რუსეთისადმი, რომლისათვისცა გამოცხადება იყო უკვე იანვრის იმ დღესა, წელსა ჩუა, საყოველთაოდ ცნობისა.

მიმწოთმან მდგომარეობისა თქვენისა, და მხილველმან ვითარმედ ღონიერება და ყოფნა რუსეთისა მხედრობათა საქართველოსა შინა იპყრობს მხოლოდ იგი დათხევასა ჩვენთა ერთსარწმუნოთასა სისხლსა და ნამდვილსა წაწყმედასა, განმზადებულსა თქვენთვის სხვათა ნათესავთა მესაზღვრეთა თქვენთა ერთაგან, და ვისურვეთ ჩვენ გამოცდა, ვალად არს შეძლება აღდგინებად პირველისა მმართველობისა მთარველობასა ქვეშე ჩვენსა და მიიღ დაცვად თქვენდა უშიშროებასა და განსვენებასა შინა.

გარნა, უახლოესმან გამოძიებამან ამისმან მიგეიზიდნეს ჩვენ, ვითარმედ პირად-პირადი ნაწილი საქართველოს ერისა, თანასწორ უძვირფასესი ჩვენთვის კაცობრიობისა ძლით, იშიშვის სამართლად დევნულებისა და ნაცვალულებისა მის, რომელიცა მეძიებელი მეფობისა ღირსებისა შეიძლებდაცა მიწვედომასა ხელმწიფებისა მისისასა, ვინაჲდგან პირისპირ ყოველთა მათ უფროსმან ნაწილმან ერთაგან ესოდენ ცხად-ჰყო თავი თვისი.

Одно сомнение и страхъ сихъ последствийъ возродивъ безпокойства, неминуемо были бы истощникомъ междуособный и кровопролития.

Сверхъ того, бывшее Правление даже и въ Царство Царя Ираклия, который духомъ и достоинствомъ своимъ соединилъ весь подъ власть свою, не могло утвердить ни внешней, ни внутренней безопасности.

Напротивъ, столькократно вовлекало васъ въ бездну золь, на краю коей и ныне вы стоите, и въ которую по всемъ соображениямъ должны вы будете низвергнуться, если мощная рука справедливой власти отъ падения сего васъ не удержитъ.

Сила обстоятельствъ сихъ, общее по сему чувство ваше, и гласъ Грузинскаго народа, преклонили Намъ не оставить и не предать на жертву бедствия языкъ единоверный, вручивший жребий свой великодушной защите России.

Возбужденная надежда ваша сей разъ обманута не будетъ.

მხოლო მან ექვმან და შიშ-  
მან შესადგომელთა ამათ ჰჳვა  
განუსვენებელობა, და უცილებე-  
ლად იქმნებოდაცა წყაროდ ურ-  
თიერთისა შორის სისხლთ-მთხე-  
ველობისა.

გარდა ამისა, მმართველობამან-  
ცა მეფობასა შინა მეფის ირაკ-  
ლისასა, რომელმანცა სულითა და  
ღირსებითა თვისითა შეაერთა  
ყოველი ხელმწიფებასა ქვეშე  
თვისსა, ვერ ხელეწიფა დამტ-  
კიცება ვერცა გარეგანისა და  
ვერცა შინაგანისა უშიშრო-  
ებისა.

პირისპირ, ესოდენ გზის მიგ-  
ზიდნათ თქვენ ფსკერსა შინა  
ბოროტებისასა, რომლისა კიდუ-  
რსა ზედაცა დღეს სდგებათ  
თქვენ, და რომელსა შინა-  
ცა ყოველთა გამოხატვათამებრ  
გშვენისთ თქვენ შთაცვივნა, უკე-  
თუ ძლიერი ხელი მართლისა  
ხელმწიფებისა არა შეგიპყრობსთ  
თქვენ დაცემისა ამისაგან.

ჩალმან გარემოებათა ამათ,  
ზოგად ამის ძლით გრძნობამან  
თქვენმან, და ხმამან საქართვე-  
ლოასა ერისამან, მოგვზიდნეს  
ჩვენ, არა დაუტეოთ და არა მი-  
ესცეთ მსხვერპლად განსაცდე-  
ლისა ენა ერთმორწმუნეთა, მო-  
მცემელთა ხვედრისა თვისისა  
დიდ სულისა რუსეთსა საფარ-  
ველისადმი.

განღვიძებული იმედი თქვენი  
არა იქმნების მოტყუებული ამ-  
გზის.

Не для приращения силъ, не для корысти, не для пространства предельовъ и такъ уже обширнейшей въ свете Империи, приемлемъ Мы на себя бремя управления Царства Грузинскаго.

Единое достоинство, единая честь и человечество налагають на Насъ священной долгъ, внявъ молению страждущихъ въ отвращение ихъ скорбей, учредить въ Грузии Правление, которое могло бы утвердить правосудие, личную и имущественную безопасность, и дать каждому защиту закона.

А по сему, избравъ Нашего Генераль-Лейтенанта Кнорринга быть Главноуправляющимъ посреде васъ, дали Мы ему полныя наставления открыть сие Правление особеннымъ отъ Имени Нашего объявлениемъ и привести въ силу и действие предшчертанное отъ Насъ постановление, къ исполнению коего приобщая избранныхъ изъ васъ по достоинствамъ и по общей доверенности, уновасемъ, что вы вверяясь Правлению сему, несомненно подъ сению онаго начально спокойствие и безопасность обрящете, а потомъ и благоденствие и изобилие.

არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთათათვის, არა განვრცვლებისათვის საზღვართა, და ესრეთცა უკვე ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებელობისასა.

მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმრთოსა ვალსა. მსმენმან ვნებულთა ვედრებისა განსაღვეწვლად შექირვებათა მათთა, დავაწესო საქართველოსა შინა მმართველობა, რომელსაცა ეძღოსცა დამყარება მართლმსაჯულებისა, ნივთისა და საქონლისა უშიშროებისა, და მიცემად თვითოეულისა დაცვა სჯულისა.

ხოლო ამისათვის გამომრჩეველმან ჩვენისა დენერალ-ლეიტენანტისა კნორრინგისა, რათა იყოს უპირატეს მმართველად თქვენ შორის, მივეციტ ჩვენ მას სრული მოძღვრება გამოაცხადოს მმართველობა ესე საკუთრად სახელითა ჩვენითა და მოიყვანოს ძალსა და მოქმედებასა შინა ჩვენ მიერ დათხზული განწესებაჲ, რომლისა სრული საყოფელადცა უზიარებთ თქვენ მიერ ღირსებათა და საზოგადოდ ნდობათამებრ გამორჩეულთა, ვსასოებთ, ვითარმედ თქვენ მორწმუნენი მმართველობისა ამის, უმკველად სიგრილისა ქვეშე მის დასაბამსავე მოიპოვებთ განსვენებასა და უშიშროებასა და შემდგომად კეთილდღეობასა და უხეებასა.

Все подати съ земли вашей повелели Мы обращать въ пользу вашу, и что за содержаниемъ Правления оставаться бѣдетъ, употреблять на восстановление разоренныхъ городовъ и селеній.

Каждой пребудеть при преимуществвахъ состоянія своего, при свободномъ отправлении своей веры и при собственности своей неприкосновенно.

Царевичи сохранять уделы свои, кроме отсутствующихъ; а симъ годовой доходъ съ уделовъ ихъ ежегодно производимъ бѣдетъ деньгами, где бы они ни обретались, лишь бы сохраняли долгъ присяги.

Во взаимность сихъ великодушныхъ попечений Нашихъ о благе всехъ и каждаго изъ васъ, Мы требуемъ, чтобы вы для утверждения постановленной надъ вами власти дали присягу въ верности по форме, при семъ приложенной.

Духовенство, яко Пастыри душевные, первые должны дать примеръ.

Наконецъ, да познаете и вы цену добраго Правления, да водворится между вами миръ, правосудие, уверенность какъ личная, такъ и имущественная, да пресекутся самоуправство и лютыя истязанія, да обратится

ყოველნი ხარკნი თქვენისა ქვეყანისანი, ვუბრძანებთ ჩვენ, რათა მიაქციონ სასარგებლოდ თქვენდა, და რააცა სახარჯოდ მმართველობისა დარჩების აღსადგინებელად დაქცეულთა ქალაქთა და შენობათა.

თვითოეული დარჩების უპირატესობათა თანა მდგომარეობისა თვისისათა, თავისუფლად და შეუხებელად სარწმუნოებისა და საკუთრისა თვისისა თან.

მეფის ძენი დასცვენ მამულთა თვისთა, გარდა განზორცებულთა, და განზორცებულთა მათ მიეცემისთ მამულთა თვისთა გამოსავალი ყოველ წლივ თეთრად, სადაცა იქმნებიან იგინი, ოდენცა სცვიდენ ვალსა ფიცისასა.

ნაცვლად დიდსულობითთა ზრუნვათა ამათ ჩვენთვის, ვითხოვთ ჩვენ თქვენგან, რათამცა თქვენ დამტკიცებისათვის თქვენზედ დაწესებულისა ხელმწიფებისა ჰყოთ ფიცი ერთგულებასა ზედა, ამასთანა მდებარისა სახისამებრ.

სამღვდელთათა, ვითარცა მწყემსთა სულისა თანა, პირველად შეენისთ მიცემა მაგალითისა.

უკანასკნელ, რათა სცნათ თქვენ ფასი კეთილად მმართველობისა, რათა დაეშენოს შორის თქვენსა მშვიდობა, მართლმსაჯულება, რწმუნება, ვითარცა ნივთთა, ესრეთვე საქონლისაცა, რათა მოისპოს თვითმმართველობა და



каждой к лучшим пользам своимъ и общественнымъ, свободно и невозбранно упражняясь в земледелии, промыслахъ, торговле, рукоделияхъ, подъ сеныя законовъ, всехъ равно покровительствующихъ.

Избытки и благоденствие ваше будетъ приятнейшею и единою для Насъ наградою.

Данъ въ Престольномъ граде Москве, Сентября 12 дня 1801 года.

[Подлинный подписан собственною Его Императорскаго Величества рукою так]:

(Александр).

ალექსანდრე.

161. ქიზიყის მოურავის სარგო შეღვენილი რეპაზ  
ანდრონიკაშვილის მიერ

[1802 წ.]

ქორონიკონს უფ. ქიზიყიდან რაც განწესება არის სარდლის მოურავისა, ამას ქვემოთ სახელდობ თითვეულად დაგვიწერია:

- 1\*. ქ. ქიზიყის მოსამართლეობა თავისა სარგებლოთი.
2. ქ. ქიზიყიდან რაც ბაგი ავა, აქედამ ორი წილი ბატონისა არის და მესამედი მოურავისა არის.
3. ქ. ნაქურდლისა ასე არის: შეიდიდამ ორი პატრონისა არის, დარჩება ხუთი, აქედამ ერთი ხევისთავისა არის, დარჩება ოთხი, აქედამ ორი წილი ბატონისა არის და მესამედი მოურავისა არის.
4. ქ. თავის გასამტეხლო ერთი ჯარი მოურავის არის.
5. ქ. ვინც მღევარში კაცი და[ა]კლდება ქიზიყში, იმ კაცს ჯარიმად ხარი გამოერთმევა. რაც დადგება, აქედამ ერთი წილი ბატონისა არის, ერთი მოურავისა და ერთი სოფლისა.

\* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

6. ქ. ბატონმა რომ ლაშქარს დაუძახოს და კაცი და[ა]კლდეს, იმ კაცს ბატონი ჯარიმას გამოართმევს, რაც ენებება. აქედამ ორი წილი ბატონისა არის და მესამედი მოურავისა არის.

7. ქ. ბატონი რომ ჯარში<sup>1</sup> ბძანდებოდეს და იქ საშოვარი მოჭდეს, იმ საშოვარიდამ ხუთზედ ერთი ფანჯიაქად გამოერთმევა. აქედამ ორი წილი ბატონისა არის; მესამედი მოურავისა. თუ სარდალი მოურავი თითონ გაგზავნა, აგრევე რასაც<sup>2</sup> ჯარი იშოვნის და ფანჯიაქი აიღება, ორი წილი ბატონისა არის, მესამედი მოურავისა.

8. ქ. ქიზიყმან რომ დავლა მოიტანოს, ფანჯიაქი გამოერთმევა; იმ ფანჯიაქიდამ ორი წილი ბატონისა არის, მესამედი მოურავისა.

9. ქ. ქიზიყში რაც დამნაშავეს კაცს ბატონისაგან ჯარიმა გამოერთმევა, ან მოურავისაგან, იმ ჯარიმიდამ ორი წილი ბატონისა არის, მესამედი მოურავისა არის.

10. ქ. ქიზიყში რომ კაცი ამოსწყდეს, რომ არა დარჩეს რა, მამულს გარდა რაც ნივთი დარჩება, სამად გაიყოფა: ერთი წილი მკვდრი[ს] სამარხად მიეცემა, ერთი წილი ბატონი[ს] სარქარში მივა და ერთი წილი მოურავს მიეცემა.

11. ქ. ქიზიყში ვისაც კოდის-პური გამოერთმევა და ყალანი აძევს, იმას მოურავის ულუფაც აძევს, რომ მოურავი გამოართმევს.

12. ქ. კახეთი რომ აიწერება ბატონის ბძანებით, რაც მოურავი[ს] სასარდლოდამ სამწერლო აღგება, იქიდამ აბაზში ნახევარშაური მოურავისა არის, სამაშაურნახევარი მდივნისა და ვინც ბატონის ბძანებით მდივანთან იქნება, იმათი არის.

13. ქ. ქიზიყში რომ კაცი გაიყრება, ერთი ჯარი მოურავისა არის. თუ ჯარი ყავს, ჯარი უნდა გამოართოს; თუ არა, ოთხი მიწალთუნი უნდა გამოართოს.

14. ქ. ქიზიყში მანჯანიკზედ სამი სტილი ქალაქი[ს] სტილით, რომელიც სამი სტილი იქნება, ოთხმოცდაცხრამეტი მისხალი აბრეშუმი მოურავისა არის.

15. ქ. ქიზიყში საბალახე რაც ავა, საბატონო არის.

16. ქ. სიღნაღში კომლზე<sup>3</sup> ექვსი შ[ა]ური ს[ა]მოურაო არის<sup>4</sup>. ამ ზემო ნაწერის ქიზიყის მოურავის შემოსავალი წელიწადში ქიზიყიდამ დადგებოდა ჯამად სამასი თუმანი. ხან მეტი შემოვიდოდა, მარამ ამაზედ ნაკლები კი არ იყო შემოსავალი.

თავადი ან დრონიკოვი რევაზი.

<sup>1</sup> ჯარშია. <sup>2</sup> რასაც რაც. <sup>3</sup> სიღნაღში კომალახე. <sup>4</sup> არისა.

[20] მუხლანი სათხოვარანი ყოვლად უმოწესად წარსადგინე-  
ბელი ყოვლად უმალღესისად თვის დამტკიცებისა.

1. მე, სოლომონ, გვარისაგან ბაგრატიონთა, [v] მეფე ყოვ-  
ლისა იმერეთისა, სჯულიერი იმერეთის სამეფოისა მფლობელი,  
დღიდგან ამა<sup>1</sup> დადგინებისა ქვემოწერისა და შემდგომად ფიცისა  
აღტქმისა აღსრულებისა წესისამებრ მივსცემ თავსა ჩემსა ყოვლისა  
ჩემისა სჯულიერისა შთამომავლობისა თანა და ყოვლითა ჩემითა  
სამეფოჲთა საუქუნოსა და ერთგულსა მონებასა და ქვეშევრდო-  
მობასა შინა უმალღესსა ყოვლისა რუსეთისა კელმწიფობასა, აწ  
ბედნიერად მეფედ მყოფსა, ყოვლად უგანათლებულესსა, დიდსა  
უმპყრობელესსა კელმწიფესა იმპერატორსა ალექსანდრეს  
პავლეს ძესა, თვითმპყრობელსა ყოვლისა რუსეთისასა და მა-  
ღალთა მისთა მენაცუალეთა.

2. სახიერებითა მისისა იმპერატორებითის დიდებულებისა  
ყოვლად უმოწყალესისა ჩუენისა კელმწიფისა და მბრძანებ[ბ]ლისა-  
თა ნებად მოცე[მუ]ლ მექმნას მე და შეილთა ჩემთა.

ხოლო, უკეთუ ღმერთმან არა სათნო იჩ[ი]ნოს კურთხევა სა-  
ხელისა ჩემისა მამობრისა სქესისა შთამომავლობითა, მაშინ, შე-  
მდგომად ჩემსა, მეფის ძეს კოსტანტინეს დავითის ძეს და მისთა  
შთამომავლობასა მიერ სარგებლობა სამართალთა [21] და უპირა-  
ტესობათა იმერეთის მეფისათა ყოველთა შეკრულებათათურთ ერდ-  
გულ ქვეშევრდომოისა მონისათა ყოვლისა რუსეთის კელმწიფისა  
იმპერატორისა, ვითარცა უზენაესისა ჩემისა და მენაცუალეთა ჩემთა  
დიდისა კელმწიფისა და მბრძანებელისა.

ესევეითარისა უკვე ღირსებისათვის განბედნიერებულ ვიქმნე  
მე უმალღესისა მისისა იმპერატორებითისა დიდებულებისა ღრა-  
მოტითა და ესევეითარივე მენაცუალენიცა ჩემნი ყოვლისა ახლიად  
სამეფოჲსა ტახტსა შესულისა ჟამსა დამტკიცებულ იქმნებოდენ  
ამისა მსგავსთა უმალღესთავე ღრამოტათა მიერ.

3. მოწყალებითა მისისა იმპერატორებითისა დიდებულებისა  
ყოვლად უმოწყალესისა ჩემის კელმწიფისა და მბრძანებელისათა  
მოცემულ იქმნა ნებად ჩემდა და ჩემთა მენაცუალეთა მსჯავრი და  
სამართლობა სამეფოსა შინა ჩემსა და ყოვლისა რუსეთისა მონა-  
ობასა შინა მყოფსა.

<sup>1</sup> ამა.

ხოლო ვინაიდან საქართველომ უბირატეს მმართველსა ლენერალისა ინჰანტერიიდან და კავალეროსანისა თავადისა ციციანოვისა მიერ გამოცხადებულ მექმნა მე, რომელ ყოვლისა რუსეთისა მონაობასა შინა არამოსათმენელ არს სიკუდილითა დასჯა, ანუ ასოთა<sup>1</sup> რაითამე მოკლება, ამისთვის მოცემულ მექმნა მე ბრძანებისამებრ მისისა იმპერატ[ო]რობითისი დიდებულებისა ყოვლად უმოწყალებისა ჩემისა ჯელმწიფისა და მბრძანებლისა სჯულნი, რომელთაცა მიერ გამოცემულ მექმნებოდის დასჯანი კაცის მკულელობისათვის, ტყვეთ-მსყიდველობისათვის, ქურდობისა და ავაზაკობისათვის.

ვიდრემდის უკვე გამოცემულ იქმნებოდენ ესე უმაღლესნი სჯულნი, ნებადართულ მექმნას გავაგრძო დასჯა მებრ უწინარესისა, რათა აღვირ-სხმულ იქმნან ბოროტმოქმედებანი, რომელთაცა ძალ-უკსთ განმრავლება ერთა უჩვევარობისა გამო წყნარისადმი განმგებლობისა.

4. ძალითა მძალ-დიდებულისა საქურვილისა მისისა იმპერატორობითისა დიდებულებისა ყოვლად უმოწყალებისა ჩემისა ჯელმწიფისა და მბრძანებელისათა შეზღუდვილ იქმნას იმერეთი, ვითარცა ყოვლისა რუსეთისა მონაობასა შინა მყოფი, და დანიშნულ იქმნას, რათა მას შინა რომელიმე ნაწილი ყოვლისა რუსეთისა მხედრობისა საუკუნოდ იმყოფებოდეს დასაცველათ გარეშეთა [22] მტერთა და [მ]ბრძოლთაგან და ეგრეთვე თვით იმერეთისა სამეფოსაცა შორის განსვენებისა და მყუდროებისა დასამყარებელად.

5. უხვებათაგან მისისა იმპერატორობითისა [უ]დიდებულისა ყოვლად უმოწყალებისა ჩემისა ჯელმწიფისა და მბრძანებელისათა არა დაგდებულ ვიქმნა მე რომელიმესა ნაწილითა შემოსავლისათა, ოდესცა პოვნილ-დამუშავებულ იქმნან სამეფოსა შინა იმერეთისასა მადანნი ოქროსა, ვეცხლისა და ანუ სხვასა რაისა მენი.

6. უკეთუმცა ოდესმე აღდგინებულ იქმნას ახალი რაიმე ქალაქი სამეფოსა შინა იმერეთისასა, ყოვლისა რუსეთის მონაობისა სახიერებისამებრ მისისა იმპერატ[ო]რობითისა დიდებულებისა ყოვლად უმოწყალებისა ჩემისა ჯელმწიფისა და მბრძანებელისა, ვისარგებლო მეცა რომელიმესა ნაწილითა მისგან შემოსავლისათა, უკეთუ ყოვლისა რუსეთისა<sup>2</sup> იმპერიასა შინა შევალს სახაზინაოდ შემოსავალი რაიმე ქალაქთაგან.

<sup>1</sup>+ (წვრთა). <sup>2</sup> რუსეთისა.

7. სამაგიეროდ ზემოთქმულთა ჩემთა ვედრებათა ამათ მისისა იმპერატ[ო]რობითისა დიდებულებისა ყოვლად უმოწყალებისა [v] ჩემისა ჯელმწიფისა და მბრძანებელისადმი მე, ქვემო ხელმომწერი, მენაცვალეთა ჩემთათურთ შევიკვრი, რათ[ა] ჯელმწიფებათ დადგინებულთა მისისა იმპერატ[ო]რობისა დიდებულებისაგან, ესე იგი საქართველოს უპირატესს მმართველსა დაემორჩილებოდეთ ყოველსა შინა, ვითარცა ერთგული მონა ყოვლისა რუსეთის ჯელმწიფისა იმპერატორისა.

8. შევიკვრი მე მენაცვალეთა ჩემთათურთ, რათა მალალ-დიდებულთა ყოვლისა რუსეთისა მხედრობათა აღნიშნულთა სამყოფელად სამეფოსა შინა იმერეთისასა, ყოვლისა რუსეთისა მონაობასა შინა. მყოფსა, აღუშენოთ<sup>1</sup> სახლნი და გათბობისათვის მათთასა მივსცეთცა ჩემთა მონათა მიერ შეშა.

9. შევიკვრი მე მენაცვალეთა ჩემთათურთ, რათა [მ]ხედრობათა მათ ვაძლიოთ ხორბალი და ღომი, ანუ ბრინჯი, ვგრეთვე ქერი და თივა, ანუ ბზე ზომიერისა და არა ძვირისა ფასითა და ვიმეცადინაოთ, ყოვლისა ღონისა გულსმოდგინებისამებრ, რათა არაოდეს არ [აქუნდეს] ნაკლულევანება რაამე.

[23] 10. შევიკვრი<sup>2</sup> მე მენაცვალეთა ჩემთათურთ, რათა ოდესცა პოვნილ-დამუშავებული იქმნან მადანნი რუსეთის ხელოსანთა მიერ, მივსცემდეთ საჭიროსა რიცხვსა მუშათა მადანთ-მთავართაგან განსაწესელითა.

11. უკეთუ ტყეთა შინა იმერეთისა სამეფოჲსათა პოვნილ იქმნან სახმარნი ხეები ხომალდთ<sup>3</sup> აღსაშენებელად შავის ზღვის რუსეთის სამხედრო ხომალდთათვის<sup>4</sup>, მაშინ, ვითარცა ერთგულსა მონასა მისისა იმპერატორებითისა დიდებულებისა ყოვლად უმოწყალებისა ჩემისა ჯელმწიფისა და მბრძანებელისასა, მე და მონაცვალეთა ჩემთა არა ძალ-გვიძს ხეებისათვის მის ძიება არცა უმცირესისა ფასისა, და დაუშლელ ექმნასთ რუსეთისა ზღვის აფიციერთა მოხელეთა, რომელ ხეები იგი დაინიშნონ დალითა, მისთვის რათამცა ნუ—ვინმე იმერეთისა მონათაგანმან იკადროს მოჭრა მათი.

ხოლო მოჭრისათვის ხეთა მათ და მათისა მიტანისათვის ზღვის ნავთსაყუდელათ ბრძანებულ იქმნას საქუთრისა მოწყალებითა მიერ მისისა იმპერატორებითის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალებისა ჩემისა ჯელმწიფისა და მბრძანებელისა, [v] რათა მიეცემოდეს მუშათა ზომიერი და არა ძვირ[ი] ფასი, რათა არა შეწუხებულ იქმნას მით ხალხი.

<sup>1</sup> აღუშენოთ. <sup>2</sup> შევიკვრი. <sup>3</sup> ხომალდთ. <sup>4</sup> ხომალდთათვის.

12. ყოველნი ტყვენი, თავადისა დადიანისა სამფლობელოსაგან წარმოყვანილნი, უკუნ-ვაქციოთ და ეგრეთვე ციხეებიცა, აღებული ოდიშისა და ლეჩხუმისა შინა, მათთა გარშემოთათურთ, დავცალოთ და არა ოდესმე არღა ვდაობდეთ მათდა. მოკლე ვსტკვა: არცა მე და არცა მენაცვალეთა ჩემთა თავადისა დადიანისა სამფლობელოსადმი არაოდეს არა რაჲმე ძიება გვაქუნდეს.

13. შევიკვრი<sup>1</sup> მე მენაცვალეთა ჩემთათურთ, რათა გზა საქართველოსა საზღვრიდგან ვახანზუდ მდებარე ქუთათისადმდე და მუნით ოდიშისა და ფოთისაკენ გა[ვ]აწმენდინოთ და გავაკეთებინოთ საურმე გზად და ვიქონიოთ ყოველთვის იგი სრულისა წარმართვითა.

და ეგრეთვე პასუხის-გამცემ ვიყვნეთ სიმრთელისა და უნებლობისათვის გზათა მათ ზედა გამლველთა ქარავანთა სხვა და სხვა ხარისხისა კაცთა და უფროლა სამხედრო მოსამსახურეთა.

[24] 14. რაჲცა შეხუდებოდა მეფის ძესა კოსტანტინეს დავითის ძეს მამული, ესე იგი საბატონისშვილო, სრულად და უკლებელად ესრედ, ვითარცა უწყიან იგი ყოველთა ჩინებულთა იმერეთისა კეთილშობილთა, ყოველსა მას დაუთმობ მე უგანათლებულესს მეფის ძეს კოსტანტინეს, რათა აქუნდეს უსაშუალოდ გამგებელობასა<sup>2</sup> შინა თვისად მისთა შემოსაგაღთაგან საცხოვრებელად.

15. სამაგიეროდ ამისა ჩემმ მიერ კეთილნებიერისა დათმობისა მეფის ძე კოსტანტინე დავითის ძე იმყოფებოდეს საქართველოსა, ანუ რუსეთსა შინა, ვიდრე უკანასკნელთა<sup>3</sup> ჩემთა დღეთადმდე რათა არა შემთხვეულ იქმნეს განხეთქილება რაიმე კელმწიფებისა ჩემისა, რათამცა მიიღოს შესაფერი ხარისხისა მისისა აღზრდილება საფარველსა და შეწევნასა ქვეშე მისისა იმპერატორებითის დიდებულებისა, ყოვლად უმოწყალესის კელმწიფისა ჩემისა და მბრძანებელისასა და რათამცა არა აღრეულ იქმნას გამგებელობა ჩემი მისისა აქა ყოფნითა არა-კეთილ<sup>4</sup> მოაზრთა კაცთაგან, იმერეთსა შინა მყოფთა.

[v] 16. საქონელთაგან, რომელნიცა გატარებულ იქმნ[ე]ბიან იმერეთზედ ზღვის ნავთსაყუდელთაგან საქართველოდ და საქართველოთგან მათდამი, ეგრეთვე თავადისა დადი[ა]ნისა სამფლობელოთდამი და მათგანცა-მე, და ფარჩა თუ სხვა რაჲმე ნივთი, მეცვალნი ჩემნი, განსავრცელებულად ვაჭრობისა, არა უნდა აღვიღებდეთ ბაჟსა.

<sup>1</sup> შევიკვრივი. <sup>2</sup> განგებელობასა. <sup>3</sup> უკანასკუნელთა. <sup>4</sup> + არა კეთი.

ხოლო ამისა სამაგიეროდ განწესებულ მექმნას მე უხეებათა-  
გან მისისა იმპერატორებითის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალე-  
სისა ჩემისა ტელმწიფისა და მბრძანებელისათა საბაჟოთა რუსეთის  
შემოსავალთაგან რომელიმე ნაწილი სამაგიეროსა საჯილდაოდ და-  
ნაკლესათვის.

17. საქართველო და იმერეთი რადგანაც იქმნების თანასწორ-  
სა მონაობასა შინა ყოვლისა რუსეთის მპყრობელისასა, ამისთვის  
დღიდგან დადგინებისა ამის მოწერისა არა ვისმე ექმნების იმერე-  
თიდგან საქართველოს გარდავიდეს დასასახლებელად, თვინიერ  
ცნობისა და ნებისა ჩემისა.

და ეგრეთვე არცა ვისმე აქუნდების ნება საქართველოთგან  
იმერეთს გარდამოვიდეს დასასახლებელათ, თვინ[25]იერ საქართ-  
ველოს უპირატეს მმართველის ნებისა.

აქამომდე უკვე გარდამოსრულნი საქართველოდგან იმერეთს  
და იმერეთიდგან საქართველოს გარდასრულნი დაშთებიან მუნ, სა-  
დაცა აწ იგინი იმყოფებიან, ამისთვის რომელ იმერეთსა და სა-  
ქართველოსა აქამომდე, აქუნდათ რა სხვა და სხვა მთავრობა, ძალ-  
ედვათ და თანამდებცა იყვნენ შემწეობათ და მფარველობად უც-  
ხოსა ქვეყნით გარდამოსულთა კაცთა, ვითარცა ესე მიღებულ არს  
ესრეთ ყოველთა განათლებულთაცა ტელმწიფებათ შინა.

დასასრულად ყოვლისა ამის მე გვამისათვის ჩემისა და ყო-  
ველთა ჩემთა მეცვალეთათვისცა დაევამტკიცებ ამას, ჩემსა ყოვლად  
უმონაესსა ვედრებასა მისისა იმპერატორების დიდებულებისა ყოვ-  
ლად [უ]მოწყალესისა ჩემისა ტელმწიფისა და მბრძანებელისადმი, სა-  
კუთრისა ჩემის ტელის მოწერითა და დაბეჭდვითა სახელისა ჩემისა  
ბეჭდითა თვითოეულსა მუხლსა ქვეშე და შეუერდენ ყოველსა ამას  
მისსა იმპერატორებითსა დიდებულებასა ყოვლად უმოწყალესსა  
ჩემსა ტელმწიფესა და მბრძანებელსა [v] ყოვლად უმაღლესისათვის  
კეთილ-განხილვისა და დამტკიცებისა.

შესრულებულ და ქვემო მოწერილ არს ქუთათის, წელთა გან-  
ტორციელებიდგან ქრისტეს ჩყდ, მარტის დღეს.

163. საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ ხეუთა  
დროთა შიგომღებული სჯულნი  
[1810—1815 წწ.]

**საზოგადო მამულისა და ყმის მონასყიდეთათვის**

[32] 1. ნასყიდობის სიგელს თვით ყმისა და მამულის გამსყიდველნი დაუწერდნენ, ანუ, წერის არცოდნის გამო, გარეშე კაცს დააწერინებდენ და მისცემდენ მსყიდველს იქ დამხუდუროთ ღირს გვაგმთ დამოწმებით. გარნა მათ არათერი მეფის სასარგებლოდ პოშლინა არ ედვათ.

და მხოლოდ ტფილისსა შინა ნასყიდობის სიგელი დაიწერებოდა ტფილისის მელიქის გამოძიებით და ღირსად რწმუნებულის მოქალაქეთ დამოწმებით, და რუბლზედ ერთი შაური პოშლინა,—ეკლესიის ყმათ გარდა,—გამოერთმეოდათ, მათის შერიგებისამებრ, მსყიდველს ანუ გამსყიდველს მეფის სასარგებლოდ.

და უკეთუ შერიგებულნი არ იქნებოდნენ პოშლინა მხოლოდ გამსყიდველს გამოერთმეოდა.

და ისეთნი სიგელნი შემდგომ ხელმოწერისა და ბეჭდის [v] დასმისა არ მოიშლებოდა, და არც მიმსყიდველს ანუ მეგვიდრესა მისსა ეძლო გამოხსნა გასყიდულის ყმისა და მამულისა.

მეფის ვახტანგის კანონის მესამეს წიგნის სმ (240), სმა (241) და სმა (243) მუხლნი არ მოხმარებულა.

**განმარტება**

ყმისა და მამულის სყიდვა პირველ გამსყიდავის მონათესავეს შეხედებოდა, შემდგომ მომიჯნავესა, იმ ფასათ, რაერთსაც სხვანი შეაძლევენ.

და უკეთუ ისინი არ ისურვებდენ სყიდვას, მერმე ყველას შეეძლო სყიდვა; არამედ ვინც მეტს ფასს მისცემდა, სიგელი იმის სახელზედ დაიწერებოდა.

მეფის ვახტანგის კანონის მეორეს წიგნის იგ (13) მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოამარებულ არს.

2. მრავალ არიან საქართველოსა შინა ნასყიდობის სიგელნი და ხელწერილნი არა მქონებელნი წელთა, თვის რიცხვთა და არცა



დამტკიცებულნი ბეჭდით ანუ საკუთრის ჯელმოწერით, არამედ ნაცულად ბეჭდისა და ჯელმოწერისა დასწულ არიან ნიშნად ჯგარნი და მელნით დაწებებულის თითით გაშავებულნი ადგილნი, გარნა ესეთნი სიგელნი ნამდვილ აღიარებულ იყვნენ, უკეთუ სიგელსა მას შინაგან [ჰჰ] წერებულნი მამულნი და ყმანი ეკირებოდა მსყიდველს და ექნებოდა მით სარგებლობა.

### საზოგადო თამასუქით ვალისათვის

ჰ. თამასუქი და ჯელწერილი, რომელიც მიმცემისაგან ნამდვილ აღიარებულ იქმნებოდა, უკეთუ ისი მიაწევდა სასამართლო ადგილთა შინა, იმას არარაი დააყენებდა, თუ არ ბათილამა; და დასაცველად საზოგადო ესტიბრისა და ვაქრობის წარმართებისათვის აიძულებდენ. ყოვლის ღონითა მოვალეს გარდახდისათვის; არა ქონებისა გამო ჯელად თეთრისა — გასყიდვით. ანუ დაგირავებით მოძრავის და უძრავის ქონებისა თვინიერ ყოვლისა აპელაციისა და სამართლის წარმოებისა.

ხოლო უკეთუ მოვალეს ექნებოდა მასესხებელისაგან ბარათი თამასუქის რიცხვში მიცემულისათვის, ისი რიცხვი გამოეანგარიშებოდა, რაერთიც ბარათით ცხად იყოფებოდა.

[v] 4. ვალისათვის, ოდესაც საჩივარი მიაწევდა სასამართლოდ, რომ თამასუქში სარგებელი წერებულისყო, მაშინ ჯერეთ ზიუცემელს სარგებელს თუმანხედ თვეში ორ შაურს გაუჩენდნენ, მაშინაც თუნდა თამასუქში. მეტის სარგებლის მიცემაც წერებულისყო.

მეფის ვახტანგის კანონის მესამეს წიგნის სლბ (232), მეხუთეს წიგნის მგ (46), მეშვიდეს წიგნის ლთ (39) მუხლნი არ მონმარებულ არს.

ბ. ესეც მოხდებოდა, მოვალე სარგებელს თვე და თვე ცლევას დაუწყებდა თეთრის პატრონს ასე, რომ ხუთს ანუ ექვს წელს გაეველო აღებიდა? და სარგებელი მიცემულ ჰქონიყო და თავნი ისევ დარჩომილ ყოფილიყო, და მასუქან რამდენიმე ხანი გასულიყო, სარგებელი აღარ ეძლია ასე, რომ თავნს სარგებელი შესწორებიყო და იქნებოდა კიდევ გარდამატებოდა; მაგრამ როდისაც საჩივარი შეექნებოდათ, იმ პირველად მიცემულს სარგებელს ველარ უანგარიშებდენ თეთრის პატრონს, არამედ თავნს ერთი-ორად გამოართმევდენ და მასესხებელს მისცემდენ.

მეფის ვახტანგის კანონის პირველის წიგნის რკე (125) მუხლი ამ ჩვეულებებისამებრ მონმარებულ არს.

[34] 6. ვისაც ექნებოდა თამასუქი ანუ სხვა წერილი ვადით, და ვადაზედ მოვალე არ გარდუხდიდა, იმ თეთრს საჩივრის შემდგომ მიცემამდის სარგებლით მიაცემინებდენ, თუნდა თამასუქში სარგებელიც ხსენებულ არ ყოფილიყო.

ხოლო თუ ვისმე ბარათით ანუ ნუსხით ემართებოდა ვისიმე თეთრი და სარგებლის მიცემისათვის წერილით შეკრულ არ იქნებოდა, მაშინ გავლილის ხანისათვის სარგებელს არ გაუჩენდნენ.

### საზოგადო გირაოთ აღებული ვალისათვის

7. ვინც აიღებდა ვალს და დაუგირავებდა რასმე თეთრის პატრონს, მოძრავს ანუ უძრავს ქონებას და იმათში ლაპარაკი შეიქმნებოდა ასე, რომ სისამართლოდ მიწვევულიყო, მაშინ თუ დამგირავებელი მაშინვე გირაოდამ ჰქვს აიღებდა, თეთრის პატრონი ველარას იტყოდა, თუნდა ნაკლებათაც ღირებულიყო, უნდა თავის გირაოს დასჯერებიყო, [v] უკეთუ მოვალე შეკრულ არ იქნებოდა პირობით, რომ თუ შემთხვევით გირაო საკმარ არ ყოფილიყო სხვას ქონებიდამ შეესრულებინა.

და თუ გააცოდვილებდა და ალაპარაკებდა, არც გირაოს მოაკლებდენ და საჩივრიდამ თეთრის მიცემამდინ სარგებლით მიაცემინებდენ, თუნდა გირაოდამაც არ შესრულებიყო.

მეფის ვახუანგის კანონის ბერძულის მეორე წიგნის რა (101) მუხლი ამ ჩვეულებისაჰებრ იხმარებოდა.

8. რომელსაც მასესხებელს ნასესხების თავნისათვის გირაოთ ექნებოდა როგორიმე მოძრავი თუ უძრავი ქონება, იმას არა რომლისამე მიზეზით მოაკლებდენ თავის გირაოს.

და უკეთუ ისი გირაო იქნებოდა სხვასთანაც დაგირავებული, ოდესაც გაყიდდნენ იმას; პირველად სიგლით მოგირავენს. მიეცემოდა თეთრი და მასუქან შემდგომსა.

და უკეთუ უსიგლოდ იქნებოდა გირაოდ, მაშინ პირველ მოგირავენის თეთრის მიცემის შემდგომ დანარჩომს მეორეს მისცემდენ.

9. თუ რომ პირველის მოგირავენის გირაოს ფასილამ თეთრის მიცემისას იმდენი [35] თეთრი არ დარჩებოდა, რომ უქანასკნელ მოგირავენთაც მისცემიყო კმაყოფა, მაშინ რადგანც მოვალეს ერთი მამული მოტყუებით სიგლით და უსიგლოდ ორისა და სამის გვამისათვის დაეგირავენინა, ამისთვის იმათ ვისაც სხვა უგირავენო მასესხებელსავით მიაცემინებდენ კმაყოფას.

10. რომელსა კაცსაც როგორიმე თავის მამულს რამდენისამე რიცხვისათვის გირაოთ მიცემული ექნებოდა ვისთვისმე ამ სახით, რომ სარგებლის ნაცვლად გირაოს შემოსავლიდამ ესარგებლა და გირაოს წიგნშიაც ესრედ დაწერილ იქნებოდა: «რა ერთხანსაც შენი თეთრი ჩემთან დარჩეს, არც შენ თეთრის სარგებელი მთხოვო და არც მე ჩემგან გირაოდ მოცემულის მამულის შემოსავალი».

ამისთანას შემთხვევაში ვიდრემდის მასესხებელს თავნს სრულებით არ მისცემდენ, გირაოს არ ჩამოართმევდენ, რაც უნდა დიდხანს მასესხებელს [v] სჭერიყო გირაო და სარგებლის მიხედვით გირაოს შემოსავლიდან სარგებლობაც მეტი ქონიყო.

მეფის ვახტანგის კანონის სომხურის შესამეს წიგნის ხლგ (233) მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოხმარებულ არს.

11. ბევრჯერ მომხდარა, რომ ვალს აიღებდენ და თეთრის პატრონს მისცემდნენ მოძრავს თუ უძრავს მეტად ღირებულს ქონებას გირაოთ, და წიგნშიაც სხვათა შორის დაუწერდნენ: «შენს თეთრში ეს მამული დაგიგირავეო, თუ ამ ვადას გარდავაცილო და შენი თეთრი არ მოგცე, გირაო შენი იყოსო».

ამგვარს საქმეს სპარსულის ენით ბეუშათი ეწოდება, მაგრამ ამგვარი წერილი საქართველოსა შინა შეუწყნარებელი იყო და არც უსაქმია, გარნა მასესხებელს კანონისამებრ კმაყოფა მიეცემოდა ხოლმე.

12. ესა ალა-მაჰმად-ხანისაგან ტფილისის აოხრებისა და დაწვისას მოხდა საჩივარნი სახლისა და დუქნის მოგირავენთაგან.

მაშინ მეფემან ირაკლიმ მოკვლეთ თანდასწრებით დასდვა კანონად ტფილისისა შინა, რომელთაც აქუნდათ სახლი გირაოთ რაერთის თეთრისათვისაც, მათ მოგირავენთ [36] მეოთხედი მოუკლო და სამი წილი მიაცემინა მოვალეს მასესხებელისათვის.

და რომელთაც დუქანი ჰქონდათ გირაოთ და დამწვარიყო, მოგირავენეს ააშენებინა, და დამგირავებელს მასუკან თეთრი მიაცემინა მასესხებელისათვის, რაერთიც ემართა.

თუ ორნი, სამნი მოგირავენნი იყვნენ, თავ-თავის კვლად დაუკლო თეთრი; არა თუ ეს მხოლოდ ტფილისისათვის დასდვა, არამედ საყოველთაოდ, რომ სადაც ესეთი ცხადი საზოგადო წახდენა ქალაქთა და დაბათა შემთხვევიყო, მასესხებელთ მოვალისათვის ზემოთქმულისამებრ შეემსუბუქებინა.

## საზოგადო. ვალის გარდუმხდელთათვის.

13. უკეთუ თავადნი ანუ აზნაურნი და მოქალაქენი აიღებდენ ვალს და თეთრის პატრონს აღარ გარდუმხდიდნენ ბოროტგანზრახვით, ასე რომ ექნებოდათ ალაგი გარდახდისა და თავს არშკონებლად გამოაცხადებდენ და იმგვარის მიზეზით გააჯანჯლებდენ თეთრის გარდახდას, მაშინ [v] მოსამართლენი ძალის დატანებით ყმასა და მამულს გაუყიდნენ და ისე მიაცემინებდენ თეთრის პატრონისათვის კმაყოფას; არამედ მოვალის შეიღს მამის სიკუდილს უკან ვალის გარდუმხდლობის გამო მემკვიდრობის უარყოფა არ ეძლო.

14. უკეთუ ვაქარნი ანუ გლეხნი აიღებდენ ვალს და ამგვარ მიზეზებს მისცემდენ, როგორც ზემო მუხლსა შინა წერილ არს, თეთრის პატრონთ, ასე რომ არა როგორიმე დაზიანება შემთხვევიყოთ მტრით, ცეცხლით და წყლით, არამედ მხოლოდ თეთრის პატრონის გაცოდვილებისათვის მოიფიქრებდენ რასმე, მაშინ მოსამართლენი დაიჭერდნენ მათ მოვალეთ და ძალდატანებით გამოართმევდენ თეთრს:

მეფის ვახტანგის კანონის სომხურის მესამეს წიგნის მ-ს (40), მა-ს (41) მუხლნი არ მოხმარებულ არს.

15. რომელიც მოვალე ბოროტგანზრახვით ვალს არ გარდუმხდოდა და იმას შეაჩნდებოდა, რომ თავის ცოლისათვის [37] მიეცეს ღირებული რამ, ის შეუწყნარებელი იქნებოდა; არამედ ცოლს მხოლოდ მზითვევი, ნიშანი და პირის სანახავი მიეცემოდა, და სხვა ყოველივე მოვალის ქონებად აღითვლებოდა შეკერილისა და მოსახმარებელს ნივთს გარდა.

მეფის ვახტანგის კანონის სომხურის მესამეს წიგნის რლე (135) მუხლი ცოლისა და რძლის მზითვის ვალში ნიციემისათვის არ მოხმარებულა.

16. უკეთუ გლეხი ვინმე აიღებდა ვალს თავის ბატონის დაუკითხავად და იმის საჩივარი მიაწევდა სასამართლოდ, მაშინ მოიყვანდნენ გლეხს და რაც მოძრავი ქონება ექნებოდა, იქილამ გარდაწყვეტილებდენ ვალს.

და უკეთუ ვერ აუღებოდა, ვადას დაადებინებდენ, რომ მოეგო და გარდუმხდა; მამულსა და კაცს—კი არ მისცემდენ, ამიტომ რომ იმისის ბატონის დაუკითხავად მიუცია მასესხებელს თეთრი.

და თუ მებატონის ბეჭდით და ნებით იქნებოდა აღებული, მამულსაც მისცემდენ და კაცსაც, თუ მოძრავის ქონებით არ აუღებოდა.

17. დედაკაცს არ შეეძლო ქმრის დაუქითხავად ვალის აღება და არც [v] ქმარი გარდუხდიდა მას.

და თუ ქმარი ეყოლებოდა სხვას მხარეს გამგზავრებული, ანუ რომლისაზე საოჯახოს საჭიროებისათვის აიღებდა და მოახმარებდა, ისეთი ვალი შეიწყნარებოდა და ქმრის ქონებიდამ გარდინდებოდა.

18. თუ ვინმე მოვალე წავიდოდა სხვას მხარეს და მასესხებელი იჩივლებდა, მაშინ, თუ ის ვალის ამღები იმ ქვეყნის საბრძანებელში იქნებოდა, მოაყვანიებდნენ მას იქ, საცა მასესხებელი ცხოვრებდა ან საც ეჩივლა.

და თუ სამძღვარს გარეთ იქნებოდა, იქაურს მეუფროსეს მისწერდნენ მეგობრულად და სთხოვდნენ იმ კაცის გამოგზავნას; თუ არ მოვიდოდა, რაც ქონება ექნებოდა, იქიდან მისცემდნენ კმაყოფას.

19. მოვალეს, რომელსაც შეხვდებოდა მოულოდინებელი დაზიანება, ესე იგი ცეცხლით, წყლით, გაქურდვით, მტრისაგან დარბევით, და ანუ ვაქრობით, [ჰ8] და ის ცხადად ცნობილ იქნებოდა, მაშინ თუ როგორიმე წინათ იმედი დაინახებოდა, რომ რამდენსამე ღროს უკან შეიძლებდა ვალის გარდახდას, მეფის ბრძანებით და მასესხებელთ თანხმობით დაუნიშნევდნენ ვადას და იმ ვადამდის შეძლებისამებრ ვალს გარდაახდევინებდნენ.

და თუ იმედი ისი არ იყო, მაშინ ყოველსავე ქონებას გაუყიდნენ და მასესხებელთ, თავნისა და სარგებლის მიხედვით, ვის რაერთი შეხვდებოდა, გაუწილევდნენ; გარნა გირაოს მქონებელი გირაოსა თვისსა არ მოაქლდებოდა.

20. მოვალე, რომელიც გარდიცვლებოდა, და დარჩებოდა უასაკო შვილი, მაგრამ ქონება არა იმდენი, რომ მითი ვალის გარდახდა შესძლებიყო, ამისთანას შემთხვევაში, უკეთუ გამოძიებით დაინახებოდა, რომ რამდენსამე ღროს შემდგომ ის ობლად დარჩომილი შეიძლებდა ვალის გარდახდას, მაშინ მოიხმარებდნენ ცდას, რომ მასესხებელნი ვადის მიცემისათვის ეთანახმავებინათ და ისე ვადას მისცემდნენ, არამედ [v] ვალის გარდახდამდის არა როგორისაზე ქონების გასყიდვა მასესხებელთ უთანახმოდ არ შეეძლო.

მოვალის შვილს არ შეეძლო მეფის ვახტანგის კანონის პირველის წიგნის რლო-სა (139) და სომხურის მესამის წიგნის რკგ (123) მუხლს მინდობიყო და მამისა არც ქონება ენდობა და არც ვალის გარდახდა.

21. უკეთუ მცირეს წლოვანის მოვალის შეილისაგან არადერი მამავალს დროს ვალის გარდახდის იმედი არ დაინახებოდა და არც მასესხებელნი ვადას მისცემდნენ, მაშინ გაუყიდნენ ქონებასა და მასესხებელთ გაუწილევდნენ თავნისა და სარგებლის მიხედვით.

და თუ რომელიმე მასესხებელი უარშიობით თვისდა შეხვედრილს რიცხეს არ მიიღებდა და დააკლიდა მას მოვალის ობოლს, მაშინ ის, ოდესაც მოვალის ობოლი მოიქონიებდა, შემძლებელ იყო გამოერთმევინა ვალი თვისი შეძლებისამებრ.

22. მამის უმორჩილოს შეილისაგან აღებულს ვალს მამას ვერა სთხოვდნენ კანონის ძალით, მაგრამ მამის სიკვდილის უკან თუნდა ვალის ამღები შეილიც აღარ ყოფილიყო ცოცხალი, იმ ვალს მამის ქონებიდამ, რაც [39] ამღებს წილი შეხვდებოდა, იქიდან მიაცემინებდნენ.

მეფის ვახტანგის კანონის პირველის წიგნის რმ (140) მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოიხმარებოდა.

### საზოგადო ვაქრობისათვის

23. ყოველი ამხანაგობის და პირობის წერილი, მოვაქრე ამხანაგთა, ვექილთა და თირქაშიკთა შორის დადებული. აღსრულდებოდა სრულს ძალსა ზედა; და ვერა რომელი მხარე ვერ შეიძლებდა იმის დარღვევას და ყოველთვის მოექცევიდნენ მათ შორის ქმნილის წერილისამებრ.

24. თუ რომელიმე ამხანაგი, ვექილი და თირქაშიკი თავიანთ შორის დადებულის წერილისა, პირობისა და ანუ ამხანაგისაგან მიწერილის უკანასკნელის წიგნის წინააღმდეგ მოიქცევიდა, მაშინ მეორის ამხანაგის ნებაზედ იყო დამოკიდებული, უკეთუ თავიანთის ვაქრობით მოგებას დაინახევდა თვისდა სასარგებლოდ, პირობის წერილისამებრ დაიდებდა მოგებიდამ წილს.

და თუ [v] ერთის მხრისაგან პირობის გარდასვლით დაზიანება შეემთხვევიდათ, თავნსა თვისსა თვეში თუმნის თავს ორის შაურის სარგებლით გამოართმევდა.

25. თუ ამხანაგთა, ვექილთა და თირქაშიკთა სხვასადასხვას აღაღეს ყოფნით ერთმანერთთან ანგარიშისა ანუ სხვას საპირობისათვის მოკითხვის წიგნით მიწერ-მოწერა ექნებოდათ, ისი წიგნი დავის შემთხვევისას შეწყნარებულ იქნებოდა სრულს ძალსა ზედა.

და რომელსა წიგნსა შინაცა თქმულ იქნებოდა, რომ იმას იმასი მართებს ესოდენ რიცხვი თეთრი ანუ სხვა რაიმე, ამისთანანი მიღებულ იქმნებოდნენ ნაცვლად თამასუქისა; და მიმწერი თანა-

მდებ იყო უცვალბებლის მიცემისა, როგორისაც წოდებისა უნდა. ყოფილიყო მასესხებელი ანუ მოვალე, [40] უკეთუ უკანასკნელი დამაყენებელი წერილი არ იქნებოდა.

26. ოდესაც ამხანაგთა, ვეკილთა და თირქაშიკთა შორის სავაჭრო ანგარიშისათვის სხვადასხვა დავა, უჯათი და საძიებელი მოხდებოდა და იჩივლებდნენ, მაშინ იმ დროს პატივეცემულ ვაჭართ ჰკითხვდნენ თავიანთს ვაჭრობაში იმ გვარის შემთხვევისათვის მოხმარებულს რიგს და ისე მოექცეოდნენ.

27. ვისაც ექნებოდა ვისთანმე ანგარიშით დავა, გინა დავთრით, და ისინი იმ დავის გარდასაწყვეტელად არ მოინდომებდნენ კეთილმნებებლობით ბკის აღმორჩევას და შეიტანდნენ საჩივარს, მაშინ იმ საანგარიშებლის შესაფერს ვაჭართ მიანდობდნენ მათის ანგარიშის ნახვას და შემდგომ იმ ვაჭართაგან ქმნილის ანგარიშის გაშინჯვით მისცემდნენ გარდაწყვეტილობას.

[v] 28. რომელიც შვილი მამის სიცოცხლეში სარისტაში და ალებ-მიცემაში ყოფნისას აილებდა ვალს, რომ იმას ალებ-მიცემა მამის ცოდნით ჰქონიყო, და ან ოჯახზედ დახარჯული და მოხმარებული ექნებოდა, რომ მაშინ იმ ვალის გარდახდისათვის მამა ისე მოვალე იყო, — ვითარცა თავისაგან ალებულისა.

29. რომელიც ვაჭარი სხვაზედ წადავებისას თავის თხოვნით ნეაკვრევიებდა მოსამართლეთ მოპასუხის საქონელს ანუ თეთრს, და ისი შემდგომ თავის სადაოს ვერ უსაბუთებდა და გამტყუნდებოდა, მაშინ იმ ტყუილს მოდავეს შეკრულისა საქონლისა და თეთრისათვის რასაც მოგებას და სარგებელს მოსცდებოდა, აზღვევინებდნენ.

### გარდაცვლილ კაცთათვის

30. უკეთუ ასეთი კაცი მომკუდარიყო კეთილშობილთა ანუ [41] მოქალაქეთაგანი, რომელსაც დარჩომიყო ქალნი გაუზითაენი და ეყოლებოდა ვაჟიშვილი, გაუყრელი ძმა, ანუ ძმის-წული, ამისთანას შემთხვევაში ქონებასა მისსა დაიმკვიდრებდნენ შვილნი, ძმანი და ძმისწულნი და ქალს შეძლებისამებრ გაამზითევდნენ მაშინაც, თუნდა მამისაც არა დარჩომოდათ რა.

31. რომელიც კეთილშობილი გარდიცვლებოდა, არ დარჩებოდა ვაჟი ანუ ქალი და არცა გაუყრელი ძმა ანუ ძმის-წული, მამულთა მისთა საქართველოს მეფენი არა ითვისებდნენ საყოველთაოდ ხაზინის სასარგებლოდ, არამედ უბოძებდნენ თვით უმორგეს ნათესავთაცა.

და არა შეიძლება თქმა, რომ მნებელობითა თვისითა ოდეს-მე გარეშეთა თვისიცა არ ებოდებინოს შემთხვევასა შინა მძიზის გარემოებისა ანუ ჩინებულის სამსახურისა ამღვრეულთა დროთა შინა აუცილებელის [v] სამეფოს საჭიროებისათვის.

ხოლო მახლობელთა ნათესავეთათვის ოთხ თაობადმდე თანამდებ იყო მოქცევად ძიროვანის ჩვეულებითა სწორედ ისე, როგორც ბრძანებულ არს კანონსა შინა მეფის ვახტანგისა.

32. გარდაცვლილს მოქალაქეთ, რომელსაც არ დარჩებოდა ვაჟი, გაუყრელი ძმა ანუ ბიძაშვილი, არამედ ქალი, ამისთანას შემთხვევაში ქეთხუდების და მოყვარების მარიფათით იმ ქალის ქმარს ზედსიძეთ შეიყვანდნენ და დააპატრონებდნენ გარდაცვლილის ქონებას, და შეიქნებოდა ისი ისე სამეფო ხარჯის მძლეველი, ვითარცა მამულის პატრონი იყო.

და უკეთუ ქალიც არ ეყოლებოდა, ცოლს შეეძლო ქმრის ახლო მონათესავეთაგანი შეილად აეყვანა და ქმრის ქონებაზედ დაეპატრონებინა.

[42] 33. გარდაცვლილს კაცს რომელსაც არ დარჩებოდა ვაჟისშვილი, გაუყრელი ძმა, ბიძა და ბიძაშვილი, არამედ ქალნი გათხოვილნი, მაშინ იმ კაცისაგან მონაღვაწი ქონება გაეწილეოდათ მხოლოდ ქალთ. და წინაპართაგან დათშომილს ქონებას ტფილისის მოხელე რამდენისამე ქეთხუდის და სამღვდლო გვამთ დასწრებით გაუწილედა გარდაცვლილის კაცის მონათესავეთ და იმ ქალთაც მეტ-ნაკლებ სისხლის მიხედვით; აგრეთვე სულის მოსახმარისადაც გარდასდებდნენ ნაწილსა გარდაცვლილის კაცის კანონიერის ანდერძის მიხედვით. გარნა პირველ ქონებიდამ ვალს გარდაუხდიდნენ და შემდგომ ზემოთქმულებისამებრ მოექცეოდნენ.

34. თუ ასეთი მოქალაქე გარდიცვლებოდა, რომ მას არც შვილნი და არც მამულ-დედეული ახლო მონათესავენი არ დარჩებოდა, მაშინ ქონებასა მისსა იმისთანა მონათესავე და მოყვარე [v] ვერ დაიმკვიდრებდა, რომელთა შორისცა დიდი ხნის დაშორებით ერთმანერთში სჯულიერის კანონით მოყვრობა მოხდებოდა.

არამედ დანათშომსა გარდაცვლილის ქონებას გასწილევენდნენ სამს წილად: ერთი წილი მიერთმეოდა მეფეს სამადლო დასახარჯავათ, მეორე ტფილისის მოხელეს და ქეთხუდებს საზოგადოების სასარგებლო დასახარჯავათ და მესამე გარდაცვლილის კაცის მოძღვარს და რამდენსამე სამღვდლო გვამთ გარდაცვლილის სულის მოსახმარისად. როგორათაც ამა მუხლებთა შინა თქმულების თანახმად კიდევ იქონება მეფეთ წყალობის სიგელი.



35. რომელნიც კეთილშობილთა, მოქალაქეთა ანუ გლეხთაგანი როგორისამე სახით გრანიცას გარეთ გავიდოდნენ და იქ დასახლდებოდნენ, [43] თუ იმას არ ეყოლებოდა შვილნი ანუ გაუყრელი ძმა, ბიძა და ბიძაშვილი, მაშინ ქონება მისი სამეფოდ დაიდებოდა და ვასაც ენებებოდა, მას უბოძებდა.

მაგრამ თუ იმ კაცს ვალი ექნებოდა, პირველად ქონებიდამ ვალს გარდუხდიდნენ და შემდგომ ზემოთქმულებისამებრ მოექცეოდნენ.

36. კეთილშობილთ და მოქალაქეთა, არა მყოფელთ ვაჟის-შვილისა, ვისაც ეყოლებოდა მხოლოდ ქალი, შეეძლო დაემკვიდრებინა ქონებასა თვისსა ზედა ქმარი ქალისა და ისრედ დაიმკვიდრებდენ იმ ქალთან ნაყოფნი შვილნი; არამედ კეთილშობილთ გვაჩისა და ღირსების გარდაცემა უმეფოდ არავის შეეძლო.

37. კეთილშობილთა და მოქალაქეთაგანნი, ძმანი ანუ სხვანი ნათესავნი, უკეთუ იქნებოდნენ გაუყრელნი, მათის მამულის შემოსავლის მოხმარება თვის ეყოდა უფროს ძმას, უკეთუ ისი ვნებულ არ იქნებოდა.

[v] და თუ მას არ შეეძლო ისი, ვინც შემძლებელ იქნებოდა მათში სახლის კეთილწარმართებისა, ყოველივე შემოსავალი მისის განგებით იქნებოდა მოხმარებული სახლის საჭიროებისათვის; და გაყრისას, რაც ქონება ანუ ვალი ექნებოდათ, ყოველსავე თანასწორ გაიყოფდენ.

38. გაუყრელი სახლის შვილი ვინც დარჩებოდა მცირეწლოვანი, რომ მას ეყოლებოდა ძმა ანუ ბიძა, შემძლე მამულისა და სახლის მოვლისა, მის წილის შემოსავალს ის მოახმარებდა მასა და სახლსაც.

უკეთუ ის უფროსნი იქნებოდნენ ბედოვლათნი, შემოსავლისა და ჩამომავლობითის ქონების გამფუჭებელნი ანუ წარმგებლნი, და ცნობილ იქნებოდა, მაშინ მეფე თუ მოსამართლე, ან მუნებური მოხელე და მცირეწლოვანის მონათესავენი დაუყენებდენ კაცს ზედამხედველად და აღარ გაუფუჭებინებდენ მის მცირეწლოვანის[44] წილს შემოსავალსა, და იქნებოდა, კიდევ გაეყარათ ერთმანერთისათვის.

და სანამ ის მცირეწლოვანი გაიზდებოდა, მის ახლო მონათესავეს მიუბარებდენ ყოველსავე მისდა შეხვედრილს მამულსა და შემოსავალს დასაცველად.

39. კეთილშობილთ და გლეხთ გაყრისათვის მეფის ვახტანგის კანონის პირველს წიგნსა შინა საკმარებლად წერილ არს, რომელიც მოხმარებულ არს და იხმარების კიდევ გარდა მოქალაქეთა. და მოქალაქეთ გაყრისათვის იხმარებოდა შემდგენი ჩვეულებანი.

40. გაუყრელ ძმათა, ბიძათა და ბიძაშვილთა ერთობასა შინა შემთხვეული ჭირსა და ლხინში ხარჯი, ზარალი, მოგება, ვალი, ასალეზ-მისაცემი, ესე ყოველივე საერთოდ აღეთვლებოდათ და გაყრისას საერთო [v] ქონება თანასწორ გაეწილვოდათ, თვინიერ ქვემოაღწერილის მუხლებისა.

41. ოდესაც ძმანი, ბიძანი და ბიძაშვილნი თავიანთის კეთილნებობით არ გაიყრებოდნენ და მოხდებოდა ჩივილი, მაშინ ტფოლისის მოხელე ეცდებოდა, რომ მათ თავიანთ გასაყრელათ დაენიშნათ რამდენიმე მოქალაქე.

თუ ისინი ამას არ მოინდომებდენ, დაუნიშნევდა თითონ რამდენსამე პატივეცემულს მოქალაქეთაგანსა და მიანდობდა მათს გაყრას და, უკეთუ საჭიროდ დაინახევდა, თითონაც დაესწრებოდა, თუ არა, — ისინი გაჰყრიდნენ ესრედ.

42. გაყრასა შინა შესვლისას თუ ერთს მეორეზედ ეჭვი ექნებოდათ და გამყრელნიც იმ მოღებულს ეჭვს დაინახავდენ მართლად და კიდევ ამჯობინებდენ შეკვრას, მაშინ ვის ჯელთაც მათი საერთო ქონება იქნებოდა, იმას შეკრევდენ.

[45] 43. უფროს ძმას მამულისა და ქონების მიხედვით ერთერთს მამულს საერთოდამ საუფროსოდ მისცემდენ; და, თუ მცირე ქონება ექნებოდათ, რომ მამული არ ერგებოდა, მათის შეძლების მიხედვით თეთრს მისცემდნენ.

მაგრამ, თუ იმ უფროსს ძმას დიდხან ოჯახი შეენახა, ჭირი და ლხინი გარდებოდა, აგრევე თავის ოჯახისათვის არა დაეკლრა, იმას უფრო მეტს საუფროსოს მისცემდნენ.

44. თუ უფროსს ძმას გაყრამდის ქალები არ ეყოლებოდა გათხოვილი, და გაყრისას გასათხოვარი ქალები ეყოლებოდა, მათის შეძლების მიხედვით ერთის ქალის მუითევეს მისცემდნენ საერთოდამ. და, თუ გათხოვილნი ეყოლებოდა, არას მისცემდნენ.

45. რომელიც ძმა გაყრამდის დაუსახლებელი იქნებოდა, გაყრისას რაც უფროსის ძმის ცოლისათვის [v] ნიშნად გაგზავნილა, უმცროსებსაც იმ ფასის ნიშანს მისცემდენ საერთოდამ, თუ ისივ

პირველი შეძლება ექნებოდათ, აგრეთვე საქორწილოსაც თეთრად გაუჩინდნენ იმდროინდელის მათის შეძლებისამებრ.

46. რომელს ძმასაც, უფროსს თუ უმცროსს, თავის საკუთრის გარჯით თეთრი ანუ ქონება მოპოვებული ექნებოდა და თავისის ღვაწლით შემატებული, იქილამ იმის გარჯის და მოგების მიხედვით საჭირნახულოს მისცემდნენ და დანარჩონს ძმათ გაუყოფდნენ.

47. გაყრისას თუმცა რომლისამე იმისაგან აღებულს ვალსაც საერთოს ქონებილამ მისცემდნენ, ანუ როგორც ქონების გაუყოფდნენ, ისე ვალსაცა.

მაგრამ, თუ ვალის ამღებს იმას თავის ბედოვლათობაზედ გაეფუჭებინა ესრედ, რომ არც ოჯახზედ და არც თავის სახმარებელს ხარჯათ მოეხმარებინა, არამედ ბედოვლათობით [46] გაეფუჭებია, და ეგრეთვე ის აღებული ვალი ვაჭრობით არსად დაზიანებია, და იმ ვალის საერთოდამ მიცემას გამყრელნი დიდს დაკლებად დაინახავდნენ, ასე რომ ვალის ოდენი იმას არა თუ წილი არ შეხვდებოდა, არამედ სხვა ძმათაც თავიანთის წილილამ დააკლდებოდათ, მაშინ გამყრელნი სვინილისისამებრ მოიქცეოდნენ, იმ ბედოვლათის ძმისაგან აღებულს ვალს სრულებით საერთოდამ არ გარდუხდიდნენ, არამედ ცოტას რითამე შემწეობას მისცემდნენ.

48. გაყრის დროს ვისაც რა ტანისამოსი ანუ იარაღი ექნებოდა, ყველას თავთავისას მისცემდნენ, თუნდა მეტნაკლებადაც ღირებულიყო. და თუ მამული თოფი, იარაღი იქნებოდა დარჩომილი, იმასაც რომელს უნცროს ძმას არ ექნებოდა, იმას მისცემდნენ.

49. რაც საოჯახო წიგნი ანუ ასეთი რამ იქნებოდა, რომ გაწილვა არ შეიძლებოდა, იმას უფროსს ძმას მიიბარებდნენ, თუ რომ ის უფროსი ძმა გიყი ანუ ბნედიანი და ანუ ბედოვლათი არ იქნებოდა, ესრედ რომ [v] ის მიიბარებული საჭიროს დროს ყოველს ძმათ შესძლებიყო მოხმარება.

50. გაყრის დროს ვისაც რაერთი ვალი შეხვდებოდა, ის იმას უნდა გარდაეხადა, ანუ თავისის საკუთრის თამასუქის მიცემით მასესხებელი შეეჯერებინა და ძველი თამასუქი დაეხსნა, რომ მეორე ძმებთან მასესხებელს დავა აღარა ჰქონიყო.

და თუ ამას არ იქმოდა და არც მეორე ძმები უბეჯითებდნენ, რომ ისრე ექნევინებინათ, მაშინ ერთობაში მიცემულის თამასუქის ძალით თეთრს იმას გამოართმევდნენ, ვისაც მათგანს შეძლება ექნებოდათ.

51. გაყრის დროს თუ რომლისამე ძმისათვის სიმამრიდგან ფეშქაშათ მოსული თეთრი აღმოჩნდებოდა დახარჯულად, იმ თეთრს

უსარგებლოდ საერთოდამ მისცემდნენ იმას, ვის სახელზედაც მოსულიყო.

[47] თუ რომლისაზე ძმის ცოლის მზითვევი, თეთრი თუ ნიეთი, საოჯახოდ დახარჯული იქნებოდა, იმას საერთოდგანვე სარგებლით მისცემდნენ ისე, როგორც გარეშე მასესხებელს.

და თუ რომ მას ქალს ექნებოდა გაცვეთილი, დახარჯული ანუ დაქარგული, იმას კი არ უზღამდნენ.

52. გაყრისას დედას ანუ დედისნაცვალს ზითივსა, ნიშნისა, პირის სანახავისა ანუ ქმრისაგან ნაჩუქებისა რაც რომ ექნებოდა, ისინი მათვე მიეცემოდან; და თუ იმაებისაგან თავის ქალების გათხოვებისას ექნებოდა მზითვად მიცემული რამ, იმას კი არ უზღვევდნენ.

და, გარდა იმისა, უკეთუ გათხოვდებოდა ისა,—მხოლოდ სამარხს, და თუ არ გათხოვდებოდა, სარჩოსაც მისცემდნენ და სამარხსაც რაოდენსაზე რიცხვს დაუნიშნავდნენ შეძლებისამებრ.

და იმ მიცემულს მზითვეს და ნიშანს, თუ სახელდობ რომელსაზე შეიღს განსაკუთრებით არ უანდერძა, შემდგომ იმის სიკვდილისა [v] შეიღნი თანასწორ დაიმკვიდრებდნენ; არამედ დიარსებულს ნივთს გარეშეს კაცს ვერ უანდერძებდა.

შეფის ვახტანგის კანონის ბერძულის მეორეს წიგნის რაჲ (185) მუხლი არ მოხმარებულ არს.

53. რომელს ქვრივის რძალს ეყოლებოდა შვილი, ვაჟი ანუ ქალი მცირეწლოვანნი, იმათ დააგდებდა და გათხოვდებოდა, ამისთანას შემთხვევაში, თუ ექნებოდა საკმაო მზითვევი, მისცემდნენ მხოლოდ იმას, თვინიერ სამარხისა, და საკმაოს მზითვის უქონლობისას, გარდა მზითვისა, სამკუდროსაც მისცემდნენ.

და თუ მეორეს ქმართან, რომელსაც შეირთავდა, შვილი არ ეყოლებოდა და უშვილოდ გარდიცვლებოდა, მაშინ იმის სამარხად, დახარჯულს გარდა, მზითვევი პირველს ქმართან ნაყოლს შეიღს დარჩებოდა.

და თუ შვილი არ ეყოლებოდა და გათხოვბას მოინდომებდა ანუ იმ ოჯახიდან გასვლას, მაშინ მზითვეს გარდა შეძლებისამებრ სამარხიც მიეცემოდა.

და უკეთუ არც ერთს ქმართან შეიღნი არ დარჩებოდა, ქალის მამა და ძმები გაიტანდნენ თავიანთგან მიცემულს მზითვეს, რაც დაქარგული ან გაცვეთილი და თავისაგან დახარჯული არ იქნებოდა.

[45] 54. ოდესაც გაყრისას ყოველსავე ზემო მუხლებთამებრ იმოქმედებდნენ, შემდგომ დაუწერდნენ რამთენიცი ძმანი იყვნენ იმ-  
თენს გაყრის წერილს. და ის წერილნი როგორც გამყრელთაგან,  
აგრეთვე ტფილისის მელიქის და ქეთხუდებთაგან დაიბეჭდებოდა  
და დარჩებოდა სრულს ძალასა ზედა, და შემდგომ იმ გაყრის წე-  
რილის მიცემისა ყოველნივე თავთავისთვის იქნებოდნენ და ერთ-  
მანერთთან აღარაფერი საქმე ექნებოდათ.

55. გაყრის წერილის მიცემის შემდგომ თუ რომელსამე ძმას  
უპოვნინდნენ დამალულს თეთრს ანუ ნივთს, ასე რომ გაყრის ჟამს  
გამყრელთათვის არ გამოეჩინოს, ის დამალული მიეცემოდა [v] იმ  
ძმათა, რომელთათვისაც დაემალა, და დამმალავს იქილამ არაფერი  
წილი არ დაედებოდა, თუ ძმები თავიანთის ნებით არ მისცემდნენ.

ჩვეულება ესე არა მხოლოდ მოქალაქეთა ზედა იხმარებოდა,  
არამედ კეთილშობილთა ზედაცა ტფილისში.

56. გაყრის შემდგომ თუ მათ წინაპართაგან აღებულნი ასეთი  
ვალი გამოჩნდებოდა, რომ მათ არა სკოდნიყოთ, იმ ვალს როგორც  
ქონება ექნებოდათ გაწილული, იმის მიხედვით მიაცემინებდნენ;  
აგრეთვე ასაღებსაცა.

#### ახლის სახლის და ვენახის შენობისათვის

57. არ არის შესაძლებელი, რომ მეზობელმან მეზობლის სახ-  
ლის მხრისაკენ თავის სახლს ფანჯარა გაუკეთოს, რომ [49] შიგ  
ჩაყურებდეს; და თუ შუაზე ქუჩა არის, თავის სახლს ფანჯარას და-  
ატანს, საცა უნდა, ქუჩის მხარისაკენ.

და გარდა ამისა არცა ვის ძალუცს, რომ თოვლი ანუ წყალი  
მეზობლის სახლის ეზოსა და ბანზედ მიჰყაროს და მიუგდოს; და თუ  
ძველთაგან ჰქონია გზათა, მაშინ ველარას ეტყვის მეზობელი მეზო-  
ბელს.

58. უკეთუ ვინმე მისცემდა ვისმე ცარიელს მიწას, ვენახად  
რომ აეშენებინა, მათ შუა ამისთვის პირობა როგორც იქნებოდა  
წერილით, იმას ვერ გარდასცილდებოდნენ; და როდესაც ვადა  
შესრულდებოდა, შუა გაიყოფდნენ მიწის პატრონი და ამშენებელი,  
ანუ გააკეთებდნენ საერთოდ და მოსავალს შუა გაიყოფდნენ.

და თუ ვენახის გამკეთებელი [v] კაცი მოსული იქნებოდა და  
იმას თავის ბატონი აყრიდა, ისი ნაშენობა დაფასდებოდა და ნა-  
ხევარ ფასს მამულის პატრონი ამშენებელს მისცემდა, მაგრამ რაც  
პირველვე წერილით პირობა დაიდებოდა, ისე გარდასწყდებოდა.

და უკეთეს მამულის პატრონი იმ მამულის გასყიდვას მონ-  
დომებდა, იმის სყიდვა გამკეთებელს შეხვედებოდა და, თუ ის არ  
იყილდა, შემდგომ მამულის პატრონს ეძლო, ვისთვისაც სდომიყო,  
მიეყიდნა..

### მოსამართლეთ და ბჭეთ განჩინებისათვის

59. განჩინება მდივანბეგთა, ბჭეთა და ადგილობით დადგინე-  
ბულ მოსამართლეთა, სადაოს საქმისათვის ქმნილი, [50] დაჩრებო-  
და სრულს ძალსა ზედა მეფისაგან დაუმტკიცებელიცა, უკეთეს მეფე  
იმ განჩინების წინააღმდეგს წერილობითს საბუთს არ უბოძებდა  
და ანუ თვით მეფე არ ინებებდა იმის მოშლას და გაჩრევას.

60. ორთა მოდავეთაგან საქართველოსა შინა არა აღმორჩეულ  
არს შეკრულების ზელწერილით ბჭენი, არამედ უწერილოდ. ესრეთ  
ორნი მოდავენი, ვინც იქნებოდნენ, ურთიერთის თანხმობით გამო-  
ირჩევდნენ ორს, სამს, ექვსსაც ბჭეს და მეტს კი აღარ, ანუ მეფის  
ბრძანებით, ანუ სადაურნიც იქნებოდნენ მოდავენი, მუნებურის  
მოხელის ბრძანებით, და ისე გარდასწყვეტდნენ მათს სადაოს. და-  
უწერდნენ გარდაწყვეტილობის განაჩენს ორსავე მხარეს.

და თუ, ვინ იცის, [v] რომელიმე მათგანი მოჩივარი იჩი-  
ვებდა მეფეთა ანუ მოხელეთა თანა, ასე რომ მედიატორთაგან  
უსამართლო დამემართაო, გაშინჯევდნენ მათს გარდაწყვეტილო-  
ბის განაჩენს.

უკეთეს მართლად აღმოჩნდებოდა მოჩივარი, მათს გარდაწყვე-  
ტილობას მოშლიდნენ და მოჩივარს კანონიერს კმაყოფას მისცე-  
მდნენ.

და თუ კანონიერად იქნებოდა გარდაწყვეტილი, განაჩენსაც  
დაამტკიცებდნენ და მას ტყუილს მოჩივარსაც ჯარიმის გარდახდე-  
ვინებით დასჯიდნენ.

და როდისაც გაიხსნა რუსეთის მმართველობა, აღმორჩევა  
წარმოებს მედიატორთა მოჩივართ კეთილნებობით, თვინიერ მართე-  
ბელობის გარეგითა. მისცემენ მედიატორთ [51] შეკრულების ჯელის  
წერილს და დაამოწმინებენ სასამართლოსაც.

მეფის ვახტანგის კანონის პირველი წიგნის სიე (215). მეორის წიგნის ბერ-  
ძელის რლე (136) და აღბულას მეექვსეს წიგნის ე (90), ეთ და რ (102) მუხლი ამ  
ჩვეულებისანებრ მოხმარებულ არს, და ბერძელის მეორეს წიგნის რლე (137), და  
რლე (138) მუხლი სრულს ძალაზედ მაშინ მოიყვანებოდა, ოდესაც ბჭენი კემა-  
რიტობით განსჯიდნენ.

## [მებატონეთა და ყმათათვის]

61. უკეთუ დედოფალი ანუ ძენი მეფეთანი გასცემდენ თავიანთ წილს ყმასა და მამულსა, მეფეთაგან ნაბოძებთა ანუ თვისგან ნასყიდთა, ისი გაცემული ყმა და მამული დაემტკიცებოდათ, ვისაც უბოძებდენ, ვითარცა მეფეთ ნაბოძები და აღარ მოეშლებოდათ; იქნებოდა, რომელთამე მეფეთათვისა დაემტკიცებინათ და რომელთამე არა, მაგრამ ორივე მტკიცე წყალობა იქნებოდა და არა მოიშლებოდა.

62. უკეთუ გლეხნი თავისის მებატონისაგან იქნებოდნენ წარგზავნილ სადმე საჰიროს საქმისათვის და იგი წარგზავნილი კაცი დაიკარგებოდა, თუ მებატონეს [v] შეეძლო, თავისის მნებებელობით დაიხსნიდა და ისევე იმისი ყმა იქნებოდა; და თუ თავისის ნაქონის მამულიდამ დაიხსნებოდა მაინც მებატონისა იყო.

და თუ იგი, დაკარგული კაცი, თავისთავად მოვიდოდა თავისავ ნაქონს მამულზედ და ხანს რასმე დაყოფდა, ერთს კვირასაც არის, მებატონეს ვეღარ წაუვიდოდა ყმობიდან.

და კიდევ, თუ რომლისამე შემთხვევით მტერი დაესხმოდათ, წახდებოდა ქალაქნი ანუ სოფელნი, და იქ დაკარგული ტყვე როცა მოვიდოდა, მებატონეს არ დაეკარგებოდა და ვერც ყმობიდან წაუვიდოდა.

და თუ მებატონისაგან ზემოთქმულთამებრ გაგზავნილი კაცი დაიკარგებოდა და თავისის მეცადინობით მოვიდოდა ტყვეობიდან და თავის ნაქონებს [62] მამულში აღარ შევიდოდა, მებატონის ყმობიდან თავისუფალ იყო, მხოლოდ თვით ცოლით თვისით; და შეილნი მისნი პირველის ბატონისა იყვნენ და არ გამოეერთმევეოდათ ისინი პირველს მას მებატონეს.

63. უკეთუ მეფე ანუ დედოფალი ანუ ძენი მათნი და ან თავადნი ახლის სოფლის აღმენებას იწყობდნენ და შეასრულებდნენ, მათ გლეხთ აზატობას მისცემდენ რამდენსამე წელს, და არა ნაქლებ ექვსის წლისა, ვითარცა სახასოთა, აგრეთვე სათავადოთა.

64. არიან თავადნი და აზნაურიცა, რომელთაც აქვსთ ალაგი ტყისა, წყლისა და ბალახისა მთით და ბარით და ჰფლობენ იმა ალაგებთა; უკეთუ არა მნებებელობითა მათითა ვერავის ძალედვა მათის ალაგებიდან სარგებლობა [v] რისამე, გარნა მუნებურნი და უახლოესნი სოფლის ხალხნი გამოიტანდნენ შემას და ხე-ტყეს სახლისათვის და არა გასასყიდლად; და აგრეთვე ბალახსაც ვერ დაუჰკერენ საქონლის საძოვრად.

და უკეთეს სხვა სოფლებისა რომლისამე მცხოვრებელნი ისარგებლებდნენ იმ ალაგებიდან მებატონის ნებით, მაშინ განწესებულს სარგებლობას მისცემდნენ.

და თუ არ ენებათ მამულის მებატონეთ, თავიანთ მამულში არაყის შეუშვებდნენ, თვინიერ თავის ყმისა.

65. არის ადგილობითი ჩვეულება, რომ ოდესაც გათხოვდება პირველად ქალი, მაშინ მუნებური მებატონე ანუ მოხელე, ვისიც გლეხის ქალი იქნებოდა, ვინც წაიყვანდა, წამყვანს გამოართმევდნენ ექვს აბაზს, ორს მინალთუნს და ანუ სამს მინალთუნს. და ეს ჩვეულება არის თავად-[53] აზნაურთ ყმათა ზედა. და თუ საქელმწიფო ყმა წაიყვანს, მასაც გამოართმევენ.

მაგრამ გარდა ამისა არის ჩვეულება, უკეთეს თავადისა და აზნაურის ყმის ცოლი დაქვრივდებოდა და ითხოვდა ვინმე, იმ ქვრივს ვინც წაიყვანს, საქვრივოს გამოართმევენ ღირსებისამებრ ქვრივისა ხუთის მინალთუნნიდამ ვიდრე ხუთს თუმნამდე.

66. უკეთეს ინებებდა მეფე სოფლის აშენებას ანუ დედოფალი, უბრძანებდნენ რომელთამე თავადთა ანუ აზნაურთაგანსა, დაიწყებდნენ სოფლის შენობას. როდესაც შესრულდებოდა შენობა, ანუ პირველს დაწყებაშივე, მას აღშენებულისა სოფლის მოურაობას უბოძებდნენ მას მოჭირნახულეს საუკუნოდ და საშვილშვილოდ, და ექნებოდა მოუშლელად წყალობა იგი.

და გარდა ამისა ამგვარადვე უბოძებდნენ სოფლებს [v] სახელოდ, რომელნიც იმსახურებოდნენ სისხლით, ანუ აჩვენებდნენ როგორმე სხვა რიგს სასარგებლოს სამსახურს, და იგი მიცემული წყალობა არაყის მოეშლებოდათ, თვინიერ შეცოდებისა.

და აქუნდათ მათ სოფლებთა შინა თავიანთ სახელო კაცთა ზედა, ნება ჯოხით გალახვისა და ჯარიმის გარდახდევინებისა, და რაიცა იქნებოდა გამგებლობა სოფლისა, ყოველივე იქნებოდა მოურავთაგან.

და აქუნდათ მათ სოფლებთაგან სხვადასხვა სარგებლობა და ზოგს ათისთავი სამეფოს შემოსავლიდამ, გარდა სარგებლობისა და სამოურაოსა, რომელ ესეცა აქუნდათ.

67. უკეთეს თავადთა ანუ აზნაურთაგანი სახლის უფროსი მიცვლებოდა, მაშინ მეფე იმის [54] ყმასა და მამულს იმ წელს სამეფოს სათხოვრისაგან გაათავისუფლებდა.



68. თუ რომელიმე სოფელი საქელმწიფო, სათავადო, ანუ სააზნაურო დაისეტყვებოდა, იმ წელიწადს აღარას გამოართმევდნენ გამოსაღებს.

69. უკეთუ რომელიმე სოფელი საქელმწიფო, სათავადო ანუ სააზნაურო მტერთაგან წარიტყვევებოდა, სანამ მასშიგან მცხოვრებელნი თავისავე მდგომარეობად მოვიდოდნენ, განათავისუფლებდნენ ყოვლის გამოსაღებიდამ.

70. სოფლებთა შინა აქვთ თვის-თვისად ჩვეულება, რომელდასდებენ წერილთ აღთქმას მოსავლის წაუხდენლობისათვის, ანუ სნების მორიდებისათვის განაწესებენ გარდასახადსა. ვინც იმ პირობას [v] გარდვიდოდა, გარდაახდევინებდნენ დადებულს ჯარიმას. იმათ ამისათვის ნება ჰქონდათ და ვერც არავინ უსაყვედურებდა. მაგრამ ისი უფრო მტკიცე მაშინ იქნებოდა, უკეთუ მათის მეფუროსის თანხმობით იქმოდნენ მას.

71. მებატონე თავად-აზნაურნი ოდესაც შეცოდებისათვის თავიანთ ყმათ გაუწყობდნენ, გარდაახდევინებდნენ ჯარიმით და ჯოხის ცემითაც, თვინიერ ნასაღისა. ამისთვის შეფე არას უსაყვედურებდა ამგვარის საქმისათვის, რადგან მებატონეთ ყმათა ზედა სრული უფლება აქვს და ვერც სადმე უჩივლებდა ყმა ბატონსა თვისსა.

72. მომხდარა, რომ თავადის შესახვედრს აზნაურს დაეგდო პირველი მებატონე თვისი და მისვლიყოს სხვას, ისრედ ყოვლისავე მოძრავის ქონებით და ცოლ-შვილით მიუვიდოდა მეფეს ანუ სხვას თავადს; [55] და უძრავი ქონება, რომელიც მას აზნაურს ეჭირებოდა, ის დარჩებოდა უუჯათოდ პირველს მებატონესა მისსა..

73. დახსნილ ტყვეთათვის თუმცა კანონთა შინა თქმულ არს, რომ დანიშნულს დრომდის გამომსახურების შემდგომ განათავისუფლონ, გარნა თვით ესე მხოლოდ დამხსნელის ნებასა ზედა დამოკიდებულყო; და თუ დამხსნელი დაასახლებდა თავის ყვად, მაშინ არავის ეძლო იძულებით განეთავისუფლებინათ ისი.

მეფის ვახტანგის კანონის ბერძულის მეორე წიგნის ზ (7) და მ (40), სომხურის მესამეს წიგნის სდ (204) და მოსეს მეშვიდეს წიგნის ვ (6) ძუხლნი. არ მოხმარებულ არს.

74. გლებთ აღწერა მეფის ნებაზედ იყო დამოკიდებული, და ორდესაც მეფე ინებებდა აღწერას, მაშინ დანიშნევდა სამს ანუ

ოთხს მოხელეს აღსაწერლად; არამედ იმათ ვალ-ედვათ აღწერასა მას შინა მებატონეთ [v] მოსამსახურენი, ქვრივ-ობოლნი და შეუძლებელნი არ ჩაეწერათ, აგრეთვე სოფლის მოხელენიცა, რომელ ამათის ჩაუწერლობისათვის ამწერეთ ჰქონდათ ნების დართვა.

164. [სჯულის დადება სამეგრელოს მემკვიდრე-მმართველის  
დავით დადიანის მიერ]  
[1841 წ.]

სამეგრელოს უზენაეს სასამართლოს

შესვლისა ჩემისა მმართველობისა შინა სამენგრელოსასა განვიხილე, რომელ მცხოვრებნი შინი, თავადნი, აზნაურნი, სამღვდელონი და თითქმის გლეხნიცა, აწარმოებენ რა სყიდვასა და გასყიდვასა, ანუ მიმზითვებასა, ჩუქებასა და დაგირავებასა, უძრავთა გინა მოძრავთა, ყმათა და მამულთასა კერძობითით ბარათით შეიკვრიან.

ისე რომ სინამდვილე ანუ სიყალბე მათ სიგელთასა ძნელად გამოსაცნობელ არს, რაისაგან გამოდის ნრავალნი უწესობანი და საქმეთ წარმოებასა შინა სიძნელენი.

მოსასპობელად მომავლისა დროისათვის ყოველთა ამათ სიძნელეთ სრულიად საქთავროისა შინა ჩვენსა, დავსდებთ შემდგომსა განკარგულსა.

1. თავადნი, გინა აზნაურნი და სამღვდელონი უკეთუ სყიდულობდნენ ურთიერთისაგან, ანუ გასყიდვიდნენ, გინა აგირავებდნენ მამულსა და ყმასა უმცირეს ას ორმოცდაათის მანეთისასა, დაიმოწმებოდეს, რომელ არავითარიმე საშუალობა დაბრკოლებისა არს მას შინა, მაზრის გამგებელთ მეორე კლასის მდივანბეგებისაგან; და დასამტკიცებლად წარმოუდგენდნენ სამენგრელოს უზენაესს სასამართლოს.

2. უმეტეს ას ორმოცდაათის მანეთისა საღირლის ყმისა და მამულის ნასყიდობაებთა წარმოადგენდეს უზენაესი სასამართლო მენგრელიისა ჩემს დასამტკიცებლად.

3. ხოლო თამასუქი ვაზშისა ორმოცდაათს მანეთამდეს დაიმტკიცებოდეს მაზრის მდივანბეგთაგან; და უმეტესი ამისა უზენაესის მენგრელიის სასამართლოსაგან.

4. გლეხთა ნუ მიეცემათ ნება ნურცა ყმის გასყიდვისა, ნურცა სყიდვისა, ნურცა მიმზითვებისა, გინა დაგირავებისა.

5. იქონიონ ვითარცა სასამართლომ, ეგრეთვე მაზრის მეორე კლასის მდივანბეგთაცა ამა საგანზედა განკერძოებული ჟურნალი ნომერსა ქვეშე; და წლითი-წლად ესრეთი ჟურნალი წარმოიგზავნებოდეს დასაცველად ჩემს კანცელარიაში.

[6] ვაცნობებ რა სამენგრელოს უზენაეს სასამართლოს, უბრძანებ განუცხადოს ყოველთა მოხელეთა ჩემსა სამფლობელოსა შინა ესრეთი სჯულის და დება; და პირველის იანვრიდან ჩუმა-ის წლით იხელმძღვანელოდეს.

და შემდგომი ყოველი წერილობითი საბუთი, თვინიერ ზემოთქმულთა წესთაებრ დამტკიცებული, იქმნას უქმი.

მემკვიდრე-მმართველი მენგრელიისა  
და ვ ი თ და დ ი ა ნ ი

№ 1, ჩუმა-სა წელსა,  
ა იანვარს, გრიგორიპოლს.

---

8060835080



## I. ნასყიდობის დაწერილი ფაენელისა შიომღვიმისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—1; პირი; ეტრათი; სამ კეფად. ტექსტი გადაწერილია XV საუკუნეში, მხედრულად. ვადამწერს, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონია მეტად დაზიანებული დედანი, რის გამო ტექსტი ძლიერ დამახინჯებულია. ტექსტის გულდასმითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ხელნაწერი შეიცავს ორ საბუთს (თუმცა, ორივე ეს საბუთი ხელნაწერში შერწყმულია ერთ საბუთად): ნასყიდობის დაწერილს ფაენელისა შიომღვიმისადმი და ბეგრის დადების დაწერილს შიომღვიმისა. მაგრამ ამ ორ საბუთს შორისაც, ჩვენი აზრით, ჩართულია სხვა ნასყიდობის დაწერილის ფრაგმენტი.

პირველი საბუთი წარმოადგენს ნასყიდობის დაწერილს, რომელსაც ფაენელი აძლევს შიომღვიმის მონასტერს. ამ საბუთის ტექსტი წყდება იქ, სადაც ფაენელი გაყიდულ სოფლებს მიუთვლის შემდეგი თეოდორეს, ხოლო მყიდველი აძლევს ფაენელს გასამრჩელოს ფულისა და სხვა ფსელდობის სახით.

ამის შემდეგ იწყება ახალი ნასყიდობის ტექსტის ფრაგმენტი. ამ ტექსტის მიხედვით გამყიდველი სარკინის წინამძღვარია, რომელიც ღებულობს თეთრსა და სხვა ფასეულობას მყიდველისაგან, მაგრამ მყიდველის ვინაობა ტექსტიდან არ ჩანს. ფრაგმენტი მთავრდება სიტყვებით „აჰ ნიჩბელი, კორითელი და ვახტანგ ბივრიტელი“. თუმცა ტექსტი მეტად ფრაგმენტული და შინაარსით ბუნდოვანია, მაგრამ შეიძლება ვითქვამოდ, რომ აქ ჩამოთვლილია ის პირები, რომლებიც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას ეწევიან და, ვითარცა მოწმენი, ადასტურებენ დაწერილის ნამდვილობას.

რაც შეეხება საბუთის დათარიღებას, პირველი საბუთი უფრო ადრინდელი ჩანს მეორეზე, რომელიც 913—918 წლებს შორისაა დაწერილი და ამიტომ იგი IX საუკუნის დავათარიღეთ. საფიქრებელია, რომ იგი IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს მიეკუთვნება.

ხელნაწერში „ო“-ნი და „უ“-ნი ენაცულება ერომანეთს, რაც ტექსტშივე გავასწორეთ მიუთითებლად. სხვა მხრივ დატულია ხელნაწერის ორთოგრაფია. გავასწორეთ მხოლოდ აშკარა შეცდომები.

ნასყიდობის დაწერილი ფაენელისა წარმოადგენს ჩვენამდე მოღწეულ უძველეს წერილობით საბუთს, რომელშიც ასახულია ეკლესიების მიხედვითი სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები.

გ ა მ ო ქ ე ვ ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

1. თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 87—88.

2. თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 1—2.

## 2. ბეგრის დადების დაწერილი შიომღვიმისა

როგორც უკვე ითქვა, ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad—1 ნუსხა გარდა ფაენელის ნასყიდობის დაწერილისა, შეიცავს ბეგრის დადების დაწერილს შიომღვიმისა

სა. საბუთის გამკვეთი არის მიქაელ მემღვიმე, რომელსაც აფხაზეთისა და კახეთის მეფეებისაგან შეუვალა მონასტრის სოფლისათვის. ამ მეორე საბუთს არაერთი შინაარსობლივი კავშირი არა აქვს პირველ საბუთთან, თუმცა ხელნაწერში ორივე შერწყმულია ერთ საბუთად. პირველი საბუთი წარმოადგენს ნასყიდობის დაწერილს, ხოლო მეორე ბეგრის დადების დაწერილს და, მაშასადამე, ეს ორი დოკუმენტი სრულიად განსხვავებულ იურიდიულ ურთიერთობებს აწესრიგებს.

მთლიანი სახით არც ეს საბუთია შემონახული. ჩვენი აზრით, მას აკლია დასაწყისი. ეს ხარეზი ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია წერტილებით.

საბუთი, მასში მოხსენიებული მეფეების მიხედვით, თარიღდება 853—913 წლებით: აფხაზეთა მეფე კოსტანტინე III (ძე ბაგრატიისა)—893—929 წწ., კახეთის ქორეპისკოპოსი ფადლა I—881—893 წწ. და კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე I—893—918 წწ.

გამოქვეყნებულია:

1. ქრონიკები, I, გვ. 88.
2. შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 2—3.

#### 8. ჯელი ცხრაზმის ქვეის ქვეისუფალთა სამსახურის დადების შესახებ

წარწერა მეჯუდას ხეობიდან (სოფ. მეჭერისხევის ჩრდილოეთით, ქართლში) ძველი აღმოაჩინა და პირველად გამოსცა გიორგი ბოქორიძემ („ორი ფიქალწერილი“, საისტორიო მოამბე, წიგნი I, 1925 წ., გვ. 96—101).

საბუთის ახალი გამოცემა ეკუთვნის ანა ბაქრაძეს „X საუკუნის წარწერა მეჯუდას ხეობიდან“ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XIX — B, გვ. 5—9). ამ გამოცემის მიხედვით იბეჭდება ხსენებული წარწერის ტექსტი.

„ქელი“ წარმოადგენს ქვაზე ამოკვეთილ იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც დაწერილია ცხრაზმის ქვეის ქვეისუფალთა—რამინისა და გიორგის მიერ. „ქელი“ მაშინ დაუწერიათ, „ოდეს კოსტანტი ქართლისა გამგებელი ყოვილა. ამის მიხედვით შეიძლება საბუთი X საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღდეს.

გ. ბოქორიძის აზრით, ფიქალწერილში მოხსენიებული კოსტანტი და გიორგი აფხაზეთა მეფის ძე კოსტანტინე ერთი და იგივე პირი უნდა იყოს, „ამიტომ დანამდვილებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ფიქალწერილი დაწერილია დაახლოებით 923—926 წლებში“ (იქვე, გვ. 99).

#### 4. შეწირულების სიკელი ბაგრატი IV-ისა შიომღვიმისაღმ

ხელნაწერთა ისტიტუტი, Ad—14; ღედანი; ეტრატი; 3 კევი; დაწერილი მხედრულად; 107X27,5 სმ; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ (ბევრგან გადასულია). პირველად, ხელნაწერის პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის დაცვით, გაუმართავი ტექსტი გამოაქვეყნა დ. ჟორდანიამ („ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა“, 1896 წ., გვ. 3—5). საბუთი, მასში აღნიშნული 31-ე ინდიკტიონის მიხედვით, თარიღდება 1057 წლით. ხელნაწერში ხშირად ო-ნის ნაცვლად უ-ნია და პირიქით: „გათავისოფლეთ“, „მეონებლისა“, „შიოლისთა“, „აზნაორთა“ და სხვ. ჩვენს გამოცემაში ეს აღრევა გასწორებულია ტექსტშივე. სკოლიოში მიუთითებლად. ტექსტი გამართულია თანამედროვე პუნქტუაციით.



ნ. სიგელი ბაგრატ IV-ისა ოპიზატთა და მიქნამორელთა  
სამამულე ღავის გამო

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd—1201; დედანი; ეტრათი: 250×28 სმ; განკვეთილობის ნიჰნად ნახმარია ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ; დაწერილია გარდამავალი მხედრულით, თავი და ბლო აკლია. ეს შესანიშნავი სიგელი ცნობილმა ისტორიკოსმა და იურისტმა დიმიტრი ფურცელაძემ ათავაქუთაისში. ბრწყინვალე ძველი ქართული დიპლომატიკისა და სასამართლო წარმოებისა. შეიცავს საპროცესო სამართლის ძვირფას ტერმინოლოგიას.

ამასთან, ეს საბუთი, ბაგრატ IV-ის მეორე სიგელთან ერთად (იხ. აქვე, გვ. 5—7). არის ყველაზე ძველი დოკუმენტი ჩვენამდე დედნების სახით მოღწეულ ისტორიულ დოკუმენტთა შორის. ამდენადვე ის უძველესი ნიმუშია ქართული მხედრული დამწერლობისა.

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

1. Д. Бакрадзе, Статьи по истории и древностям Грузии. Приложение к LV-му тому записок Имп. Акад. наук. №1, СПб, 1887, გვ. 20—22.

2. შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 8—9.

3. საქართველოს სიძველენა, II, 1909, გვ. 2—5.

4. ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, პალეოგრაფიული ალბომი (პალეოგრაფიული პირი სიგლისა).

ღ. ბაქრაძისა და თ. ქორდანიას გამოცემებში დაბეჭდილია გაუმართავი ტექსტი, ხელნაწერის პუნქტუაციის დაცვით. ექ. თაყაიშვილის მიერ გამოცემული ტექსტი გამართულია ახალი პუნქტუაციის გამოყენებით. საბუთი თარიღდება ბაგრატ IV-ის მეფობის წლებით.

მ. შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი II-ისა შიომღვიმისადმი

ხელნაწერი დაკარგულია. ტექსტი იბეჭდება თ. ქორდანიას გამოცემის მიხედვით (შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 10—12). თ. ქორდანიას გამოცემაში სიგელი იწყება ასე: „ქ. სიგელი გიორგი მეფისა ცხირეთს ცხავარისა. გავაზისა, კოტმანისა, გველდესისა და სხვათა სოფელთა შინა გლეხებისა და მამულებისა“. მაგრამ ცხადია, რომ ეს გვიანდელი სათაურია და ამიტომ ტექსტს ვერ მიეკუთვნება. ტექსტშივე გავასწორეთ „უ“-ნისა და „ო“-ნის უადგილო ხმარება: „დაოწერია“, „გაოთავისუფლებია“, „კროლმეცა“, „აკოროსხონ“ და სხვ.

საბუთს თარიღად უზის გიორგი II-ის მეფობის ერთი ინდიკტიონი, ე. ო. 1072 წ.

7. ანდერძი ღავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი

(1123 წ.)

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

1. შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 15—19.

2. ს. კაკაბაძე, ანდერძი ღავით აღმაშენებლისა შიომღვიმისათვის დაწერილი (ტექსტს დართული აქვს ფოტოპირი ხელნაწერისა, რომელიც XVII საუკუნის ნუსხახუცურით არის დაწერილი). ამჟამად ხელნაწერი დაკარგულად ითვლება.

ჩვენს გამოცემაში ქორდანიას ტექსტი აღნიშნულია A ლიტერით. ხოლო კაკაბაძისა B-თი.

ანდერძის დასაწყისი სიტყვები: „ნებთა ღმრთისათა მე. ღავითს მიწყეი“, დაწერილია მხედრულად, როგორც ჩანს, თვით ღავით აღმაშენებლის ხელით. ასე-

ვე ანდერძის ბოლო მხედრული მინაწერი: „სიმტიცეო ყოველთაო. ღმერთო, მტიცე მტიცედ აქციე“, დავითს უნდა ეკუთვნოდეს.

ანდერძი დაწერილია დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის თურქთაგან განთავისუფლების (1122 წ.) შემდეგ, დაახლოებით — 1123 წ.

### 8. ანდერძი დავით აღმაშენებლისა (1126 წ.)

ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—2854; კრებული; 1859 წელს გადაწერილი. ეს ხელნაწერი ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია A ლიტერით.

ანდერძის ტექსტი გამოქვეყნებულია:

1. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 512—513.

2. ქრონიკები, II, გვ. 51—52.

თ. ჟორდანიას ტექსტი ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია B ლიტერით. ჟორდანიას გამოცემაში ტექსტი დასათაურებულია: „ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა, პანკრატიონ დავითიანისა, რომელი წარმოუთხრა მოძღვრსა თჳსსა არსენის, ეამსა გარდაცუალებისა თჳსისასა, ყოველთათჳს ღიდებელთათჳსთა“.

ცხადია, ეს მერმინდელი სათაურია, რომელიც ტექსტს ვერ მიეკუთვნება და ამიტომ სქოლიოში ჩავეიტანეთ.

ანდერძი, როგორც ამას თვით საბუთის ტექსტი გვამცნობს, დაწერილია დავით აღმაშენებლის სიკვდილის წინ, ე. ი. 1125 წელს.

### 9. მამულის მფლობელობისა და შეუვადლობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1351; დედანი; ეტრათი; 250×22,6; 5 კვფი; მხედრულად ნაწერი; მკირედ დაზიანებული; განკვეთილობის ნიშნად იხმარება ორწერტილი, ხოლო წინადადების ბოლოს ორი წერტილი და ხაზი.

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

1. კ ა რ ბ ე ლ ა შ ე ი ლ ი, ვახ. „ივერია“, 1901 წ., № № 6 და 7.

2. საქართველოს სიძველენი, ტომი III, დამატება, 1926, გვ. 2—7.

საბუთს თარიღად უზის გიორგი III-ის მეფობის ინდიკტიონი, ე. ი. 1170 წ.

### 10. საქართველოს ეკლესიის შეუვადლობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—15; დედანი; ეტრათი; 61×17,5 სმ; თავი და ბოლო აკლია; მხედრულად ნაწერი. ტექსტი მეტად გაფერმკრთალებულია, ზოგან გადასულიც. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია ორწერტილი. ეტრათის მეორე გვერდზე ნუსხახუცრით დაწერილია ერწო-თიანეთის საეპისკოპოსოს სარგოს გარიგების წიგნი. სიგელი პირველად თ. ჟორდანიამ გამოსცა (ქრონიკები, I, 1892 წ., გვ. 265—266). უახლესი გამოცემა ეკუთვნის თ. ბარნაველს: („უკულისწულ დემნას ამბოხების თარიღისათვის“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XIX—A და XXI—B, გვ. 113).

ხელნაწერში ზოგჯერ „ო“-ნი და „უ“-ნი ენაცვლება ერთმანეთს.

საბუთი დათარიღებულია თ. ბარნაველის გამოცემის მიხედვით.

### 11. შეწირულების სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი

ცსსა, ფ. 1448, № 5004; დედანი; ეტრათი; 5 კვფი; 208×29 სმ; I და IV კვთები დაზიანებულია; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ

ყვის შემდეგ ტექსტი პირველად გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ (ქრონიკები, 11, გვ. 73—75). მეორედ — ი. ცინცაძემ (საქართველოს არქივი, II, 1927, გვ. 22—23).

ხელნაწერში ზოგჯერ „ო“-ნი და „უ“-ნი ენაცვლება ერთმანეთს. სიგელის პირველი ხელრთვა, სადაც ნათქვამია: „განაჩენი ჩემითა კელითა ცოდვილითა დამიმტკიცებია“, თამარ მეფეს უნდა ეკუთვნოდეს.

საბუთს თარიღად უზის თამარის მეფობის მე[ხუ]თე ინდიქტიონი, ე. ი. 1188 წ.

## 12. შეწირულების დაწერილი კიაბერისა შიომღვიმისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—2; დედანი; ეტრათი; 152×19 სმ; მხედრულად ნაწერი; 3 კვეთი.

გ ა მ ო კ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

1. შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 21—23.

2. ქრონიკები, I, გვ. 277.

საბუთს ივ. ჭავჭავაძის შვილი ათარიღებს 1184—1185 წლით (იხ. ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 181—182), კ. გრიგოლია — 1191—1213 წლებით (ამასთან, ნაქარაულდოდ იძლევა უფრო ზუსტ თარიღს: 1212—1213 წლებს. იხ. მისი: კიაბრის შეწირულების წიგნის დათარიღებისათვის, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XI—B, 1944 წ., გვ. 177—182).

ჩვენი აზრით, საბუთი უნდა დათარიღდეს, კიაბრის მიერ ქეთისგან ეინვანის მიღების ახლო დროით, ე. ი. 1191 წლის ახლო ხანებით.

პირველი ხელრთვა: „ესე მანდატურთ-ხუცესისაგან შეწირული განაჩენი ჩემგანცა მტკიცეა“, თამარ მეფეს უნდა ეკუთვნოდეს. ხელნაწერში „ო“-ნის ადგილას ხშირად „უ“-ნია და პირიქით.

## 13. შეწირულების სიგელი თამარ მეფისა შიომღვიმისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—81; პირი; XIX საუკუნის პირველ ნახევარში გადაწერილი. ეს ნუსხა ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია A ლიტერით. ტექსტი შემოკლებით გამოცემულია თ. ჟორდანიას მიერ (ქრონიკები, II, გვ. 79—82). ეს გამოცემა ჩვენს ტექსტში აღნიშნულია B ლიტერით.

სიგელის პირველი ხელრთვა: „მტკიცე ყოს ღმერთმან შეუცვალებლად“, თამარ მეფეს უნდა ეკუთვნოდეს.

სიგელის დაწერის თარიღია თამარის მეფობის მეოთხრამეტე ინდიქტიონი, ე. ი. 1201 წ.

## 14. ქელი ლაშა გიორგისა საუფლისწულო მფლობელობის შესახებ

ხელიანი სტელა. წარმოადგენს ქვის ფილას, რომლის შუაში გამოქანდაკებულია ხელი. აღმოჩენილია სოფელ გუნია-ყალაში (წალკის რაიონში, 7 კილომეტრის მანძილზე მის დასავლეთით, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირას) 1936 წელს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ, რომელსაც პროფ. გ. ჩიტაია ხელმძღვანელობდა. ხელიანი სტელის წარწერა შესრულებულია ასომთავრული დამწერლობით.

გამოქვეყნებულია:

1. გ. ჩიტაია და ე. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ირ-  
ნაშენი, გვ. 19.

2. ლ. მუსხელიშვილი, თორელთა გენეალოგიის დადგენის ცდა, სა-  
ქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X—B, გვ. 36.

3. ა. ბაქრაძე, XIII ს. წარწერა გუნია-ყალადან, საქართველოს სახელმ-  
წიფო მუზეუმის მოამბე, XVII—B, გვ. 219.

4. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლ-  
ების კატალოგი“. შედგენილი ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ.  
1953 წ., გვ. 25—26.

გაწვდის ცნობებს სამეფო მიწათმფლობელობისა და XIII ს. დასაწყისა-  
მეფის ვაზირთა შესახებ.

#### 15. შეწირულების სიგელი ლაშა გიორგისა ქვათახევისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—18; დედანი; ეტრათი; XIII საუკუნის მხედ-  
რული ხელით ნაწერი; ძლიერ დაზიანებული; ბოლო-ნაკლული; 57,5X27,5 სმ.  
განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.  
თ. ყორდანიას სიგელს შეედომით 1178 წლით ათარიღებს (ქრონიკები, I,  
გვ. 266). ტექსტში მოხსენებული პირების მიხედვით საბუთი ლაშა გიორგის  
დროით (1213—1222 წწ.) თარიღდება.

#### 16. გამოსაღების გაშვების სიგელი ლაშა გიორგისა შიომღვიმისადმი

ცსსა, ფ. 1448; № 1723 — დედნის ფრაგმენტი (ბოლო კეფი) სიგლისა; ეტრ-  
ათი; 35X25 სმ; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის  
შემდეგ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია სრული პირი სიგლისა Ad—477,  
გადაწერილი XVII ს. (ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია A ლიტერით).

გამოქვეყნებულია:

1. შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 12—14 (ჩვენს გამოცემაში აღ-  
ნიშნულია B ლიტერით).

2. ს. კაკაბაძე, შიომღვიმის სამი სიგელი, სიგელი გიორგი VII ლამისა,  
1912 წ., გვ. 11—13 (გამოცემას დართული აქვს სიგლის დედნის ფოტო).

სიგელს თ. ყორდანიას, პალეოგრაფიული ნიშნებისა და შინაარსის მიხე-  
დვით გიორგი II-ს გაცემულად სთვლის და 1082 წლით ათარიღებს. ს. კაკაბა-  
ძე კი სიგელს მიაკუთვნებს ლაშა გიორგის და ათარიღებს 1220 წლით.

სიგელი მართლაც ლაშა გიორგის უნდა მიეკუთვნოს და დათარიღდეს 1222  
წლით (ლაშა გიორგის მეათე ინდიქტიონით).

#### 17. ქელი რუსუდან მეფისა კავთის მამულის შეუვადლობის შესახებ

ხელიანი სტელა. წარმოდგენს მიჯნის ქვას, რომლის შუაში გამოქანდაკებუ-  
ლია ხელი. აღმოჩენილ იქნა სოფ. არხობტში (თეთრი წყაროს რაიონი, მანგლისის  
დასავლეთით 9 კილომეტრის მანძილზე). ხელიანი სტელის წარწერა შესრულებუ-  
ლია ასომთავრული დამწერლობით.

გამოქვეყნებულია:

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების  
კატალოგი, შედგენილი ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ,  
1953 წ., გვ. 41.

18. შეუვალობის განახლების დაწერილი ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელისა შიომღვიმისადმი

ტექსტი პირველად გამოქვეყნებულია თ. ჟორდანიას მიერ, შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 52—58.

ქრონიკები, II, გვ. 97—102.

ამჟამად საბუთის ძირითადი ტექსტის ხელნაწერი, რომელიც ჩვენი გამოცემის 37—39-ე გვერდებს შეიცავს, დაკარგულია. შემონახულია მხოლოდ საბუთის ფრაგმენტი—ხელრთვები: ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—1; ეტრატი; მხედრულად ნაწერი: 236,5×25,5 სმ: 6 კეფი: I—37,5 სმ, II—40,5 სმ, III—54 სმ, IV—47 სმ. V—43 სმ, VI—42,5 სმ. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

თ. ჟორდანიას საბუთს ათარიღებს 1227—1230 წლებით. ს. კაკაბაძე 12:5 წლის ახლო ხანით (საისტორიო მოამბე, II, 1925 წ., გვ. 131). ნ. ბერძენიშვილი საბუთს 1245 წლის შემდეგ დაწერილად თვლის (ენიმკის მოამბე, V—VI, 1940 წ., გვ. 405—406).

ამ ბოლო დროს საბუთის დათარიღების საკითხი საფუძვლიანად განიხილა ნ. შოშიაშვილმა. მისი აზრით: „გრიგლ სურამელის დაწერილი შედგენილია არა უადრეს 1247 წლისა. ყველა მისი ხელრთვები საბუთის თანადროულია. ამდენად, არსენ კათალიკოსისა და არსენ კათალიკოს-მწიგნობართუხუცეს ყოფილის ხელრთვებიც უნდა მივაკუთვნოთ 1247 წლის არაუადრეს ხანას“ („XIII საუკუნის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის“. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVIII—ნ, 1954 წ., გვ. 123). საბუთის დაწერის თარიღი ვერ გადასცილდება 1250 წელს, რადგან ამ დროიდან კათალიკოსად უკვე ნიკოლოზი ჩანს (იხ. იქვე, გვ. 126—129).

19. ნასყიდობის დაწერილი შიომღვიმის კრებულისა მსახურთ-უხუცეს გრიგოლ სურამელისადმი

დედანი დაკარგულია. საბუთი პირველად თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა, მაგრამ შემოკლებით (შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 54—65; ქრონიკები, I, გვ. 126—128). მეორედ სრულად, მაგრამ დედნის მართლწერისა და პუნქტუაციის დაცვით, ს. კაკაბაძემ (სიგელი მსახურთ-უხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1250 წელს შიომღვიმისათვის დაწერილი, 1912 წ., გვ. 4—7. ამ გამოცემას დართული აქვს საბუთის დედნის ფოტო).

ჩვენს გამოცემაში თ. ჟორდანიას ტექსტი აღნიშნულია A ლიტერით, ხოლო ს. კაკაბაძისა—B-თი.

თ. ჟორდანიას საბუთს ათარიღებს 1246—1257 წლებით. ხოლო ს. კაკაბაძის აზრით, „სიგელი ბოძებული უნდა იყოს 1250 წელს, ან, შესაძლებელია, 1249 წლის დასასრულს“. საბუთი გრიგოლის მსახურთ-უხუცესობისა და ნიკოლოზის კათალიკოზობის მიხედვით უნდა დათარიღდეს.

ნ. შოშიაშვილის გამოკვლევით, მსახურთ-უხუცეს გრიგოლ სურამელის დაწერილი, უნდა მივიჩნიოთ 1247—1250 წლებში დაწერილ საბუთად (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVIII—ნ, 1954 წ., გვ. 128). ჩვენც ამ დათარიღებას ვიზიარებთ.

ტექსტი იბეჭდება ორი უძველესი ხელნაწერის მიხედვით: 1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—560; ეტრატი; პირი; XVI საუკუნის ნუსხახუცურით დაწერილი და 2. ამავე ინსტიტუტის S—352 ხელნაწერი; ქალაღი; კრებულო; დაწერილი XVII ს. ნუსხახუცური ხელით. პირველი ხელნაწერი ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია A ლიტერით, ხოლო მეორე—B-თი.

Ad—560 ნუსხაში საბუთს ასეთი სათაური აქვს: „წესი და განგება დარბაზობისა, რომელი აღესრულებს მცხეთას კურთხევისა მეფეთასა“. ამას მოსდევს შესავალი, რაც გვიანდელი ჩანართი ჩანს, და მას ორგანული კავშირი ძირითად ტექსტთან არა აქვს.

საბუთი პირველად თ. ე. ო რ დ ა ნ ი ა მ გამოაქვეყნა (ქრონიკები, I, 1892 წ., გვ. 45—46). იგი ფიქრობდა, რომ საბუთში მოხსენიებული „მეფე არჩილი უნდა იყოს პირველი (გარდაიცვალა 434 წ.) და არა მეორე (გარდაიცვალა 718 წ.). რადგან უკანასკნელის დროს მიქელ კზრი არა სჩანს და არც დასაჯერებელია, რომ VII—VIII საუკუნეების არეულობების დროს ამისთანა კითხვაზე მოცლა შესაძლებელი უაფილიყოს; არც დიდი „სომხობის მიტროპოლიტი“ ყოფილა VIII საუკუნეში. მაგრამ რადგან ათაბაგი არის მოხსენიებული „დარბაზობაში“ და სხვადასხვა რამდენიმე არჩილ I დროის წინააღმდეგნი წესწყობილებანი, ამით საფუძველი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ „დარბაზობაში“, დროთა მიხედვით, სხვა და სხვა ცვლილება უნდა შემოეღოთ“ (ქრონიკები, I, 1892 წ., გვ. 46—47, შენიშვნა).

ალ. ც ა გ ა რ ე ლ ის აზრით, ამ ძეგლში მოთავსებული დარბაზობის წესი გაცილებით უფრო გვიან უნდა იყოს საბოლოოდ ჩამოყალიბებული, სახელდობრ XI—XII საუკუნეებში (Сведения о памятниках грузинской письменности, III, გვ. XXXVI).

ე. თ ა ყ ი შ ვ ი ლ ის აზრით „განგება დარბაზობისა“ უფრო გვიან არის შედგენილი ვიდრე „ველმწიფის კარის გარიგება“. კარის გარიგებაში იშვნილი პირველია ეპისკოპოსთა შორის, ხოლო „განგება დარბაზობისაში“ მას მე-10 ადგილი უჭირავს. გარდა ამისა, ამ ძეგლში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსებია ჩამოთვლილი. დასავლეთ საქართველოდან მართო კყონდიდელა მოხსენიებული. ეს იმას მოასწავებს, რომ ეს ძეგლი საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფის შემდეგ არის შედგენილი აღმოსავლეთ საქართველოსათვის და მეფეთმეტე საუკუნის ადრინდელი არ უნდა იყოს (ველმწიფის კარის გარიგება, 1920 წ., გვ. XXVIII—XXIX).

ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი იხილავს რა ზემოხსენებულ მოსაზრებებს, აღნიშნავს, რომ მირონის საქართველოში კურთხევის უფლება ჩვენმა ეკლესიამ IX ს. მეორე ნახევარში მოიპოვა. ამიტომ ცხადია, რომ მირონის კურთხევისათვის V საუკუნეში დარბაზობის წესს არაფერ შეადგენდა, რადგან მაშინ საქართველოს ეკლესიას საკუთარი მირონის კურთხევის უფლება არა ჰქონდა. არც დარბაზობის წესი შეიქმნა XI—XII საუკუნეებში საბოლოოდ ჩამოყალიბებულად მივიჩნიოთ, რადგან ამ წესში იხსენიება ათაბაგი, რომლის სახელი შემოღებული იქნა საქართველოში 1212 წელს. რაჟი ამ ძეგლში ასეთი ანაქრონიზმია, შეუძლებელია ის XIII ს. მეორე ნახევარზე ადრე იყოს შედგენილი. მაგრამ ძეგლში დაცული ანაქრონიზმები გვაფიქრებინებს, რომ აქ ნატყუარ ძეგლთან გვაქვს საქმე. უეჭველია, XV საუკუნეზე უწინარეს შედგენილი არ უნდა იყოს, მაგრამ ჯერ კიდევ გამოსარკვევი,

როდის ჩნდება იგი დანამდვილებით (ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, 1928 წ., გვ. 72—73).

„განგება დარბაზობისა“ ჩვენ XIII საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილად მიგვაჩნია. ამასთან უეკველია, რომ საუკუნეთა განმავლობაში საეპისკოპოსოების აღზევებასა და დაცემასთან, აგრეთვე სხვადასხვა სამოხელეო ინსტიტუტების შემოღებასთან ერთად შესაბამისი ცვლილებები შექონდათ ძველში.

## 21. წესი და განგებაჲ მეფეთ კურთხევისა

✓ ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—352: პირი; ქალაღი; კრებელი; XVII ს. ნესხაზუცურით დაწერილი.

ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს აზრით, მეფის კურთხევის წესი „უნდა იყოს შედგენილი არა უადრეს XIII საუკუნისა, რადგან მასში მოხსენებული თანამდებობა ათაბაგისა შემოვიდა ჩვენში XIII საუკუნის დასაწყისს... ამას კიდევ ამტკიცებს ის გარემოება, რომ წესში აფხაზეთის კათალიკოზია მოხსენებული, ხოლო აფხაზეთის საკათალიკოზო კათედრა დაარსდა არა უადრეს 1196 წლისა, უფრო XIII საუკუნის დასაწყისში... შესაძლებელია, რომ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი მეფეთა კურთხევისა თამარის მეფობის მეორე ნახევარში იყოს შედგენილი. მართლაც, თამარის მემკვიდრეს გიორგი ლაშის გვირგვინი უკროსხეს დედის სიცოცხლეშივე, ჩემის გამოანგარიშებით 1204 წლის დასასრულს ან 1205 წლის დასაწყისს და შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილი წესი გიორგი ლაშის კურთხევისათვის იყოს შედგენილი“ („მეფის კურთხევის წესი, მე-XIII საუკ. დასაწყისის შედგენილი“, 1913 წ., გვ. I—II).

6. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ი ლ ი არ იზიარებს ს. კაკაბაძის აზრს, თითქოს მეფის კურთხევის წესი ლაშა გიორგის კურთხევისათვის ყოფილიყოს შედგენილი. თანაც მსახურთ-უხუცესი ამ ძველში ვაზირთა შორის იხსენიება, ამიტომ იგი შეუძლებელია რუსუდანის გამეფებამდის იყოს დაწერილი, რადგან ცნობილია, რომ მსახურთ-უხუცესს პირველად რუსუდან მეფემ მიანიჭა ვაზირის უფლება. „ამის გამო ეს ძველი რუსუდანის გამეფებამდის არ შეიძლება იყოს დაწერილი... მეფეთ კურთხევის წესი და განგება არ შეიძლება დადებულ იყოს XIII საუკუნის 40-იან წლებზედ ადრე“. („დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება“, მიმოძიწილელი, I, 1926 წ., გვ. 105—106, შენიშვნა).

მეფის კურთხევის წესი XIII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს შედგენილი: მეფეთა კურთხევის წესიდან ჩანს ჭყონდიდელისა და ათაბაგის მალაღი მღგომარეობა. მეფე რომ კურთხევის მისაღებად გაემართება, „ჭყონდიდელი და ათაბაგი მარცხენით მეფისა ვიღოდენ“, ხოლო კურთხევის შემდეგ „პირველად დედოფალმან თაყვანი-სცეს, მერმე-ლა კათალიკოზმან, ჭყონდიდელმან, ათაბაგმან“...

საბუთის დასათარღებლად მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაჲ რომ მეფის კურთხევის დროს ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსების შემდეგ ჭყონდიდელთან ერთად იხსენიება იშხნელი, რომელიც პირველობს ეპისკოპოსებს შორის. როცა კურთხევის შემდეგ მეფე სასახლისაკენ გაემართება „მარჯვენა კელი კათალიკოსსა ეპიროსს, ხოლო მარცხენა კელი აფხაზეთისა კათალიკოსსა, ანუ ჭყონდიდელსა, ანუ იშხნელსა და ეგრეთ შეჰყვენ პალატსა შინა“.

ამრიგად, იშხნელი პირველია ეპისკოპოსთა შორის, იგი პატივით დანარჩენ ეპისკოპოსებზე მალაღ დგას. იშხნელის ასეთი მღგომარეობა დამახასიათებელია სწორედ XIII საუკუნისათვის.

„წესი და განგებაჲ შეფეთა კურთხევისაჲ“ ქართული საერო სამართლის მეტად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლია, იგი „საეკლესიო კურთხევის წესს კი არ წარმოადგენს, არამედ მისი სახელმწიფოებრივი წესის განგებაა. ამიტომ იგი ძვირფას წყაროდ უნდა იქნეს მიჩნეული მეფის ხელისუფლების, სამოხელეო წესწყობილებისა და სახელმწიფო დარბაზობის შესასწავლად“. (ივ. ჭავჭავაძე, ქართული სამართლის ისტორია, I, წიგნი I, გვ. 70—71).

**22. ლოცვა დადგინებასა მთავართასა**

**22<sup>1</sup>. კურთხევა ერისთავისა**

**22<sup>2</sup>. ლოცვა დადგინებასა ერისთავთ-ერისთავისასა**

**22<sup>3</sup>. კურთხევა ცოტაჲს ერისთავის დადგინებისასა უფლისა მიმართ ვილოცოთ**

ოთხივე ტექსტი იბეჭდება კ. კეკელიძის გამოცემის მიხედვით (ეტიულები, III, 1955 წ., გვ. 162—165).

„ლოცვა დადგინებისა მთავართასა“ წარმოადგენს გადაკეთებას ბერძნულ „წესისა“. შემდგენელს ბიზანტიურ, „არხოზ“-თან გაუიგივებია ქართული „მთავარი“. მაგრამ, მიუხედავად ტერმინის მსგავსებისა, იგივეობასთან საქმე არ გვაქვს. ბიზანტიური არხოზი მოხელეა, ქართული „მთავარი“ კი თავის სამთავროში ეზენესი გამგეა“ (ეტიულები, III, გვ. 160—161).

**23. შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთ-უხუცეს კახა თორელიისა რკონის მონასტრისადმი**

ტექსტი იბეჭდება ხელნაწერთა ინსტიტუტის Sd—2859 ნუსხისა და თ. ჟორდანიას გამოცემის მიხედვით (ქრონიკები, II, გვ. 133—145). Sd—2859 ხელნაწერი წარმოადგენს პირს, რომელიც დატულია დ. ბაქრაძის კრებულში. ხელნაწერი შეიცავს საბუთის მხოლოდ ძირითად ტექსტს. ხელრთვები და შეწირულების მინაწერები მასში არ არის.

თ. ჟორდანიას დაბეჭდილი აქვს საბუთის სრული ტექსტი, რაც ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია A ლიტერით, ხოლო Sd—2859 ხელნაწერი აღნიშნულია B ლიტერით. მე-17, 18 და 19 ხელრთვები, რომლებიც თ. ჟორდანიას გამოცემაში საბუთის ბოლოს, შეწირულების მინაწერების შემდეგ არის, თავის ადგილას—ალექსანდრე მეფისა და მის ძეთა ხელრთვების შემდეგ გადმოვიტანეთ (იხ., გვ. 67).

საბუთში ზოგჯერ „ო“-ნი და „უ“-ნი ენაცვლებიან ერთმანეთს.

საბუთიდან ჩანს, რომ ის დაწერილია მონღოლთა მიერ ბლდადის აღების (1258 წ.) ახლო ხანებში. ამის მიხედვით საბუთი თარიღდება 1259 წლით.

**24. შეწირულების დაწერილი ძაგან აბულეთის ძისა შიომღვიმისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—5; დედანი; ეტრათი; თავ-ნაკული; 160.5×22; 3 კეფი; XIII საუკუნის მხედრული ხელით დაწერილი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

საბუთი გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას (შიომღვიმის ისტორიულ საბუთები, გვ. 66—68).



დოკუმენტი დაწერილია მონღოლთა მიერ ბაღდადის აღების (1258 წ.) ახლო ხანებში.

## 26. შუევალობის განახლების სიგელი დავით ნარინისა ხეფინიქველთა და წაქველთადმი

საბუთის ტექსტი დაბეჭდილი აქვს ექ. თაყაიშვილს (საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1910 წ., გვ. 6—7). მანვე გამოაქვეყნა ხელნაწერი თავის „პალეოგრაფიულ ალბომში“, გვ. 9—10.

ექ. თაყაიშვილი საბუთს 1266—1268 წლებით ათარილებს.

სიგელის ბოლოს ნათქვამია „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ოცდამეთორმეტესა“. დავით ნარინი მეფედ—რუსულანის თანამოსაყდრედ აყურთხეს 1230 წელს (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საეპიროფოდალურ საქართველოში, ენიშქის შოამბე, V—VI, 1940 წ., გვ. 404). მაშასადამე, გამოდის, რომ საბუთი შედგენილია 1261 წელს.

## 20. შეწირულების სიგელი დავით ნარინისა გელათისადმი

სიგელის ტექსტი გამოქვეყნებულია თ. ჟორდანიას მიერ (ქრონიკები, II, გვ. 159—160) სიგლის გვიანდელი სათაურია: „დავთარი საბანელასი“.

თ. ჟორდანიას, ეყრდნობა რა „აბხაზთა ქრონიკას“, რომლის მიხედვით დავით ნარინი 1236 წელს გამეფდა, საბუთს ათარილებს 1278 წლით. საბუთის ბოლოში ნათქვამია, რომ „დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ორმოცდა მეორესა“. ამჟამად დადგენილია, რომ დავით ნარინი მეფედ აყურთხეს 1230 წელს, მაშასადამე, გამოდის, რომ საბუთი შედგენილია 1271 წელს.

## 27. შეწირულების დაწერილი დავით ნარინის შეუღლის თამარ დედოფლისა გელათისადმი

საბუთი გამოქვეყნებულია თ. ჟორდანიას მიერ (ქრონიკები, II, გვ. 160—161). სიგლის გვიანდელი სათაურია „დავთარი კვახჭირისა“. საბუთი უთარილოა. იგი გაცემულია მაშინ, როდესაც „ემენელას ძისა ასული თამარ“ ცოლად შეურთავს დავით ნარინს.

მ. ბროსე, ემყარება რა ლეზოს ცნობას, აღნიშნავს, რომ ხსენებული თამარი უკანონო ქალი ყოფილა ბიზანტიის იმპერატორ მიხაილ პალეოლოგისა, რომელიც დავით ნარინს ცოლად გაჰყოლია 1267 წელს (Hist. G., I. გვ. 519, შენიშვნა 3).

თ. ჟორდანიას თვლის, რომ დავით ნარინის შეუღლე თამარი ასული იყო ტრაპიზონის კეისრის თერ-ემანუელისა, იგივე თეოდორა. ამრიგად, თამარი, თ. ჟორდანიას მიაჩნია თეოდორას შეცვლილ სახელად. საბუთს თ. ჟორდანიას ათარილებს 1267—1288 წწ.

ივ. ჭავჭავაძე იღობს თ. ჟორდანიას ვარაუდს თეოდორასა და თამარის გაიგივებაზე იმ საფუძველით, რომ დავით ნარინის ცოლი ბერძენთა მეფისაგან, როგორც ჟამთააღმწერელის, ისევე ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, პა-

ლეოლოგის ასული ყოფილა და არა კომნიანოსისა. ამას გარდა, ივ. ჭავჭავაძის აზრით, თამარ დედოფლის სიტყვები ცხადყოფენ, რომ ის სამეფო შთამომავლების ქალი არ ყოფილა. ივ. ჭავჭავაძის აზრით, თამარი იყო დასავლეთ საქართველოს დიდებულების ემანელისძეთა ასული და დავით ნარინის პირველი ცოლი, ხოლო დავითის მეორე ცოლი იყო ბიზანტიის იმპერატორის მიხაილ პალეოლოგის ასული (იხ. ქართველ ერთა ისტორია, III, 1949 წ., გვ. 149—152).

ივ. ჭავჭავაძის აზრს იზიარებს ალ. გამყრელიძე (იხ. მისი მიქელ პანარეტორის „ტრაპიზონის ქრონიკა“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960 წ., გვ. 57, შენიშვნა 25).

ჩვენც ვიზიარებთ ივ. ჭავჭავაძის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ დედოფალი „თამარ ემენელას ძის ასული“ ალბათ დასავლეთ საქართველოს დიდებულთა ემანელისძეთა ქალია და არა ბერძენთა მეფის ასული (არც პალეოლოგის და არც კომნიანოსის). ამასთან, ცხადია, რომ ის პირველი ცოლია დავითისა, რადგან დავითს 4 ვაჟიდან, ეამთაღამწერლის ცნობით, პალეოლოგის ქალიდან მხოლოდ უმცროსი ვაჟი ჰყოლია.

ამასთან, რადგან ეამთაღამწერელთან პალეოლოგის ასული დავითის ცოლად მოხსენებულია 1269—1270 წელს (თეგულდარის გადასვლა დასავლეთ საქართველოში) და ლებოსაც მიხაილ პალეოლოგის ქალის გათხოვება 1267 წლითა აქვს დათარიღებული, თამარი დავითის ცოლად უნდა მივიჩნიოთ 1267 წელზე ადრე და ამის მიხედვით თამარის საბუთიც უნდა დავათარიღოთ 1260—1267 წლებით (ქვედა თარიღად აღებული გვაქვს დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების წელი).

28. შეწირულების დაწერილი დავით ნარინის მეუღლის  
თამარ დედოფლისა გელათისადმი

ტექსტი დაბეჭდა თ. ყორღანიამ (ქრონიკები II, გვ. 161—162). საბუთის გვიანდელი სათაურია. „დავთარი ჭიქეფონისა“. ეს საბუთიც უთარიღოა და იმავე 1260—1267 წლებით უნდა დათარიღდეს.

29. დაწერილი მსახურთ-უხუცეს ბეგა სურამელისა  
ქომარდის ძისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1358ა. დედანი; ეტრატის; 57×17,5 სმ; 2 კვთვ; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთი გამოსცა თ. ყორღანიამ (ქრონიკები, II, გვ. 168—169). საბუთი უთარიღოა. თ. ყორღანიას აზრით, საბუთი 1296 წლის ახლო ხანებს ეკუთვნის. ასეთი ზუსტი დათარიღებისთვის საბუთი არ იძლევა მასალას. ცხადია მხოლოდ, რომ საბუთი არ არის 1260 წელზე ადრინდელი: ამ წელს მსახურთ-უხუცესად უკანასკნელად იხსენიება ბეგას მამა გრიგოლ სურამელი. ამდენად საბუთი XIII ს. II ნახევრით უნდა დათარიღდეს.

საბუთი „ა“ მეტია. „ო“-ნი და „უ“-ნი ენაცვლება ერთმანეთს.

30. შეუვალობის განახლების დაწერილი მიქელ სურამელის  
მეუღლის ქაქანასი ქვათაქვისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—9; დედანი; ეტრატის; 34,5×17 სმ; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

ტექსტი გამოქვეყნებულია თ. ჯორდანიას მიერ (ქრონიკები, II, გვ. 170—171). საბუთი უთარილოა. გამომცემელი საბუთს 1299 წლის ახლო ხანებში შედგენილად თვლის. ასეთი ზუსტი დათარიღების საფუძველს საბუთი არ იძლევა. ის უნდა დათარიღდეს X|VI ს. მიწერულით (მიქელ სურამელის მამა ბეგა იხსენიება ამ საუკუნის ბოლომდე).

### 31. გარიგება ჯელმწიფის კარისა

ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—3094: ქალაღი; XVII საუკუნის ნუსხახეულო ხელით გადაწერილი, შავი მელანი, სათაური და პირველი სიტყვა ნაწერია სინგურით. თითოეულ გვერდზე ოცი სტრიქონია. ფურცლები აკინძულია და ჩანსმულია ყდაში. ტექსტი რვეულებად იყოფა, თუმცა გარდა მესამე რვეულისა, სათვალავი აღნიშნული არ არის. რვეულში ექვსი ფურცელია. ტექსტს თავში, შესა და ბოლოში აკლია ფურცლები და მთელი რვეულები. თავში ერთი რვეული აკლია, ბოლოში, თუ მეტი არა, ერთი რვეული მაინც აკლია.

ექ. თაყაიშვილის ანგარიზით „სულ უნდა ყოფილიყო დარჩენილი რვეულების მიხედვით თორმეტი რვეული, თუ ბოლოში მარტო ერთს რვეულს მივიჩნევთ ნაკლებად. ამთგან მთლად დაკარგულია პირველი, მეექვსე, შერეე, მგათე და მეთორმეტე. მთლად დაცულია მეორე, მეოთხე, მეშვიდე და მეცხრე; მესამე რვეულიდან უკანასკნელი ფურცელია დაცული და პირველი ხუთი აკლია, მეხუთე რვეულიდან მარტო პირველი ფურცელია შენახული, დანარჩენი ხუთი აკლია, მეთერთმეტე რვეულს აკლია ორი ფურცელი. საერთოდ ნაკლებოვანი რვეულების ფურცლები ექვსია და უდრიან რიცხვით ერთს რვეულს... შეგვიძლია დავასკვნათ: საზოგადოთ ხელნაწერით ტექსტს და მასში მოქცეულს ჯელმწიფის კარის გარიგებას ჩვენამდის ნახევარსაც არ მოუღწევია“ (ჯელმწიფის კარის გარიგება, 1920 წ., გვ. 1—11).

შესაუკუნეების ქართული სახელმწიფო სამართლის ეს უნიკალური ძეგლი ჩვენმა დიდმა მოამაგემ ექ. თაყაიშვილმა იპოვა ქართლში მოგზაურობის დროს, როგორც თვითონ ამბობს, „ერთს გაპარტახებულს სახლში და ამოვიღეთ ნაგავიდან, რომელიც ჩვენს თვალწინ გამოგავეს ოთახიდან“.

მანვე 1920 წელს ამ ძეგლის ტექსტი ვრცელი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოაქვეყნა. გამოკვლევაში განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები: 1. ცნობა ხელნაწერის შესახებ, 2. დრო კარის გარიგების შედგენისა, 3. სად არის დანწერილი ანუ შედგენილი კარის გარიგება და გვაქვს თუ არა ცნობა ამ ძეგლის შესახებ ლიტერატურაში, 4. ვის მიერ უნდა იყოს შედგენილი კარის გარიგება, 5. რა წყაროებით სარგებლობს ავტორი კარის გარიგების შედგენისათვის, 6. ენა და ტექსტი კარის გარიგებისა, 7. სასულიერო პირნი, კარის გარიგებაში მოხსენებულნი, და მოძღვართ-მოძღვარი, 8. მნიშვნელობა კარის გარიგებისა საქართველოს ისტორიისა და სამართლისათვის.

ხელნაწერში დაცულია ორი ძეგლი: 1. „ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ“ (გვ. 1—23) და 2. „გარიგება ჯელმწიფის კარისა“ (გვ. 24—66). ამასთან დაკავშირებით და კარის გარიგებაში დაცული ცნობების ანალიზის შედეგად აკად. ექ. თაყაიშვილი წერს „ძეგლი უნდა ეკუთვნოდეს მეთოთხმეტე საუკუნეს, განსაკუთრებით გიორგი ბრწყინვალის დროს. მეცამეტე საუკუნიდან მეხუთმეტემდის ეს ერთადერთი ღირშესანიშნავი დრო იყო, როდესაც საქართველო გაერთიანდა,

მონღოლთა უფლება დაეცა და ერთმეფობა დამკვიდრდა. შემთხვევით კი არ უნდა იყოს გიორგი ბრწყინვალის სამართალი და კარის გარიგება ერთად მოქცეული ჩვენს ხელნაწერში, არამედ ეს ორი ძეგლი ერთ და იმავე დროს უნდა ეკუთვნოდეს. ამას ემორწმება თანამდებობა სამცხის სპასალარისა, რომელიც გიორგი ბრწყინვალემ მოუბოძა სარგის II (გარდ. 1334 წ.), ბექას შვილს“ (იქვე, გვ. VIII).

ფასდაუდებელია ექ. თაყაიშვილის დამსახურება ამ ძეგლის შესწავლისა და მისი როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობის შეფასებაში.

აღნიშნავს რა ხელმწიფის კარის გარიგების დიდ მნიშვნელობას საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების ისტორიის შესასწავლად, ექ. თაყაიშვილს წერს:

„ამ ოცდაათი წლის განმავლობაში აუარებელი ძეგლები და ისტორიული საბუთები აღმოჩნდა და გამოქვეყნდა, რომელთა მეოხებით ქვეყნთხედი ჩაყარა ჩვენი ისტორიის შესწავლას, მაგრამ ჯერ არ აღმოჩენილა ძეგლი, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების, სახელმწიფო ყოფაცხოვრების და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც ჯელმწიფის კარის გარიგებას აქვს. ასეთი ძეგლი იშვიათია თითო უარეს კულტუროსან დიდ ხალხების და სახელმწიფოთა ისტორიაშიც... ასეთია მნიშვნელობა კარის გარიგებისა და ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარის გარიგების აღმოჩენაზე იშვიათია ჩვენი ისტორიისათვის...“ (იქვე, გვ. XXIV, XXVIII).

ექ. თაყაიშვილის გამოკვლევა, მიძღვნილი ხელმწიფის კარის გარიგებისადმი, ფუძემდებლურ ნაშრომს წარმოადგენს და ყოველი ახალი კვლევა, მიძღვნილი ამ ძეგლისადმი, მის ნაშრომს უნდა დაემყაროს.

ხელმწიფის კარის გარიგებას გამოსაცემად ამზადებდა ივ. ჯავახიშვილი. მაგრამ, სამწუხაროდ, ტექსტზე მუშაობის დამთავრება ვერ მოასწრო. ტექსტი დაიბეჭდა 1953 წელს „ქართველი ერის ისტორიის“ მეხუთე ტომის დანართის სახით (გვ. 204—224). პირველ გამოცემასთან შედარებით ტექსტი უფრო კრიტიკული და გაუმჭობესებელია. ივ. ჯავახიშვილს ტექსტზე მუშაობისას, როგორც ჩანს, ხელთ არ ჰქონია ძეგლის ერთადერთი ხელნაწერი. ის ემყარებოდა ექ. თაყაიშვილის მიერ დაიბეჭდილ ტექსტს და შენიშვნებიც ამ წიგნის ამავე გვერდებზე გაუკეთებია.

ივ. ჯავახიშვილს კარის გარიგების ტექსტის ხანგრძლივი და საფუძვლიანი შესწავლის შედეგად გამოთქმული აქვს მეტად საეულისხმო მოსაზრებანი ტექსტის ნაწილებისა და მათი თავდაპირველი ადგილმდებარეობის შესახებ. ამავე დროს აღდგენილი აქვს ტექსტის წარყვნილი ადგილები და მოცემულია აღდგენილი ტექსტების დასაბუთება. 20 წელზე მეტ ხანს სწავლობდა და აკვირდებოდა განსვენებული მეცნიერი კარის გარიგების ტექსტს, რის შედეგად დიდი წვლილი შეიტანა ტექსტის ისტორიულ-ფილოლოგიურ კვლევაში.

ხელმწიფის კარის გარიგების ტექსტის აღდგენისათვის ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექსტის ნაწილების პირვანდელი თანმიმდევრობის აღდგენას, რაც ურთულეს საკითხს წარმოადგენს.

კარის გარიგების ტექსტში, როგორც ეს აღნიშნული აქვს ექ. თაყაიშვილს, ზოგიერთი მუხლი თავის ადგილზე არ არის, არეულია გადაწყობის დროს ან არეულად და ნაკლულად ყოფილა დედანში, რომლიდანაც გადმოუწერიათ.

ივ. ჭავჭავაძის, იმომეებს რა ექ. თაყაიშვილის აზრს. დაწერილებით იხილავს ტექსტის ნაწილების თანმიმდევრობისა და მათი თავდაპირველი ადგილმდებარეობის საკითხს. მისი ძირითადი დასკვნები ასეთია:

1. უპირველესად უნდა დავასკვნათ, რომ ვაზირთა უფლება-მოვალეობის აღმნუსხველი ნაწილი თავის თავდაპირველ ადგილას არ არის, არამედ შეცდომითა დარბაზობის გარიგებაში ჩართული.

2. კარის გარიგების თავდაპირველ ტექსტში ჯერ დარბაზობის გარიგება ყოფილა მოთავსებული, ხოლო შემდეგ უკვე დიდი დღესასწაულების წესები, რომელთა აღწერილობით დარბაზობის მთელი გარიგება თავდებოდა კიდევაც.

3. ამრიგად, ხელმწიფის კარის გარიგება ორი მთავარი ნაწილისაგან შედგება: ვაზირების უფლება-მოვალეობათა აღმნუსხველი და ვაზირობის აღმწერი ნაწილისა და დარბაზობის წესრიგისა და დღესასწაულების მომხრობელი ნაწილისაგან. ამიტომ ხელმწიფის კარის გარიგების შინაარსის აწინდელი დალაგებულობა ამ ძეგლის პირვანდელი დალაგების თანმიმდევრობის საფუძვლად არ გამოდგება. ერთადერთ სანდო საყრდნობად ამ შემთხვევაში ისევ მხოლოდ ვაზირთა უფროს-უმცროსობის პრინციპის მიჩნევა შესაძლებელი, რადგან ამ ძეგლის ავტორი თითონაც დარბაზობისა თუ ვაზირობის დროს სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობას იქნებოდა მიჩვეული (ქართული ერის ისტორია, წიგნი მეხუთე, 1953 წ., გვ. 168—169, 175).

ხელმწიფის კარის გარიგების ტექსტი ხელნაწერში მუხლებად დაყოფილი არ არის. ძეგლის პირველმა გამომცემელმა, ექ. თაყაიშვილმა მთელი ტექსტი 39 მუხლად დაყო. ტექსტის მუხლებად დაყოფას მან საფუძვლად დაუდო სინგურით ნაწერი სიტყვები და დაბეჭდილ ტექსტში ყოველ ნაწილს, რომლის პირველი სიტყვა ხელნაწერში სინგურითაა დაწერილი, მუხლის სათვალავი მიუწერა.

ივ. ჭავჭავაძის გამოცემაშიც შენარჩუნებულია ხელმწიფის კარის გარიგების ტექსტის ასეთი დაყოფა.

მაგრამ ამ ნიშნის მიხედვით ტექსტის მუხლებად დაყოფა შინაარსობლივ შესაბამისასა და აღრევას იწვევს. ამიტომ ცხადია, რომ იგი ტექსტის მუხლებად დაყოფის საფუძვლად ვერ გამოდგება.

ტექსტი ის მუხლებად დაყოფა მხოლოდ და მხოლოდ მისი შინაარსობლივი ანალიზის შედეგად უნდა მოხდეს. სწორედ ასეთი მიდგომით შეიძლება აღვადგინოთ ტექსტის თავდაპირველი თანმიმდევრობა და ეიკონით ნათელი წარმოდგენა ძეგლში გათვალისწინებული იურიდიული ინსტიტუტების შინაარსზე.

ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ექ. თაყაიშვილისა და ივ. ჭავჭავაძის გამოცემებში მუხლებს სათაურები არა აქვს.

ჩვენს გამოცემაში ხელმწიფის კარის გარიგების ტექსტი მისი შინაარსობლივი ანალიზის შედეგად 16 მუხლად დავყავით და თითოეულ მუხლს შესაბამისი სათაური მივეცი. დანაც ზოგიერთი მუხლის ტექსტი, მასში გათვალისწინებული ძირითადი ინსტიტუტების მიხედვით რამდენიმე ქვესათაურით გამოვყავით (მუხ. 6, 8, 13).

ამის შედეგად ტექსტი თანმიმდევრულად დალაგდა და თითოეულ მუხლში ერთგვაროვანი იურიდიული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები და დებულებები მოთავსდა.

დარჩა მხოლოდ ორი ფრაგმენტული მუხლი (მუხ. 5 და 14). მე-5 მუხლი (თაყაიშვილის გამოცემით მე-10 მუხლი) წარმოადგენს ფრაგმენტს დაკარგული ტექსტისა, რომელიც, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ხუთ ფურცელს შეადგენდა. ხოლო მე-15 მუხლი (თაყაიშვილით 34-ე მუხლი) წარმოადგენს ნაწყვეტს დაკარგული ტექსტისა, რომელიც, ექ. თაყაიშვილის ვარაუდით, ორ ფურცელს შეადგენდა. თანაც ეს მუხლი შეიცავს არა ნორმატულ მასალას, არამედ ისტორიულ ექსკურსს, რომელიც ძეგლის შემდგენელს შემოაქვს ტექსტში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენს გამოცემაში ტექსტის ისტორიული ექსკურსებო ყველგან განსხვავებული შრიფტით გამოვყავით.

კარის ვარიანტების თაყაიშვილისეული გამოცემის 1 და 2 მუხლები ერთ სვანს—წელიწდის თავის დღესასწაულის რიგს ეხება. მეორე მუხლი უშუალოდ აგრძელებს პირველი მუხლის შინაარსს. ამიტომ მისი ცალკე მუხლად გამოყოფა უმართლებელია. ეს ორი მუხლი ერთ მუხლად (მუხ. 1). გაეერთიანეთ და შესაბამისად ასე დავასათაურეთ: „წელიწდის თავის დღესასწაული“.

მთავე გამოცემის მე-3, 4 და 5 მუხლები განაცხადების დღესასწაულის დროს დარბაზობის რიგს შეეხება. სამთვე მუხლი ერთ მუხლად (მუხ. 2). შევავრთოთ, ასეთი სათაურით: „განცხადებების დღესასწაული“. ამ მუხლში დაცულია მცირე ფრაგმენტი ერთი ისტორიული ექსკურსისისა, რომელიც გიორგი მეფეს შეეხება.

თაყაიშვილის ტექსტის მე-6 და 7 მუხლები აღვსების დღესასწაულზე მალა თანამდებობის მოხელეთა მოკითხვის რიგს ითვალისწინებს შესაბამის სახელოთა ჩამოთვლით. ცხადია, მათი ცალკე მუხლებად გამოყოფა უმართლებელია. ეს ორი მუხლიც ერთ მუხლად (მუხ. 3) გაერთიანდა, სათაურით: „აღვსების დღესასწაული“.

სხვანაირი პუბლიკაციის მე-8 და 9 მუხლები ჭყონდიდლის სახელოს ფუნქციებსა და უფლება მოსილებას განსაზღვრავს. ეს მუხლები მე-4 მუხლად გამოვყავილ სათაურით: „ჭყონდიდლის საქელო“.

მე-10 მუხლი, როგორც უკვე ითქვა, დაკარგული ტექსტის ფრაგმენტი და ჩვენს გამოცემაშიც ცალკე, მე-5 მუხლად დავტოვეთ.

მუხლის თაყაიშვილისეული გამოცემის მე-11, 12 და 13 მუხლები (გარდა მე-13 მუხლის ბოლო ნაწილისა) მანდატურთ-უხუცესისა და მის ხელქვეით მოხელეთა კომპეტენციებს ითვალისწინებს. ეს მუხლები მე-6 მუხლად გამოვყავით და შესაბამისად ასევე დავასათაურეთ: „მანდატურთ-უხუცესის საქელო“. თანაც ამ მუხლის ტექსტი ხელქვეით მოხელეთა მიხედვით ოთხ ქვესათაურად და დაყოფილი.

თაყაიშვილის გამოცემის მე-13 მუხლის ბოლო ნაწილი, რომელიც მეჭამეთ-უხუცესის სახელოს შეეხება, ჩვენს გამოცემაში მე-7 მუხლად არის, სათაურით: „მეჭამეთ-უხუცესის საქელო“.

დასახელებული გამოცემის მე-14, 15, 16 მუხლები და 17 მუხლის პირველი ნაწილი მსახურთ-უხუცესის სახელოსა და მის ხელქვეით მოხელებებს შეეხება. ეს მუხლები ჩვენს გამოცემაში მე-8 მუხლად გამოვყავით, სათაურით: „მსახურთ-უხუცესის სახელო“. თანაც ეს მუხლი მასში მოხსენიებულ ხელქვეით მოხელეთა მიხედვით ოთხ ქვესათაურად დავყავით.

მე-17 მუხლის მეორე ნაწილი (თაყაიშვილის გამოცემით), რომელიც მეჭურჭლეთ-უხუცესის უფლება მოსილებას ითვალისწინებს, ჩვენს გამოცემაში წარმოდგენილია მე-9 მუხლად.

ჩენი გამოცემის მე-10 მუხლი, რომელიც ამირსპასალარისა და მის ხელქვე-  
ით მოხელეთა უფლება-მოვალეობას განსაზღვრავს, შეიცავს თაყაიშვილის გამო-  
ცემის მე-18 მუხლს.

თაყაიშვილის გამოცემის მე-19 მუხლი და 20-ე მუხლის პირველი ნაწილი,  
რომელიც მეღვინეთ-უხუცესისა და მის ხელქვეით მოხელეთა ფუნქციებს ითვა-  
ლისწინებს, ჩვენს ტექსტში წარმოდგენილია მე-11 მუხლად.

ხოლო მე-20 მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც მონადირეთა მოვალეობებს  
აწესებს, ჩვენს გამოცემაში მოცემულია მე-12 მუხლად.

რაც შეეხება მე-20 მუხლის მესამე ნაწილს, სიტყვებიდან: „საწოლის მე-  
რე დიდსა დარბაზობასა ზედა ქვე ვერ დაჯდების“, როგორც ტექსტიდანაც ჩანს,  
მეკუთვნება დიდი დარბაზობის რიგს, რომლის აღწერას უშუალოდ აგრძელებს  
მომდევნო 21—33 მუხლები. ამიტომ მე-20 მუხლის მესამე ნაწილი დიდი დარბა-  
ზობის რიგში შევიტანეთ.

ამრიგად თაყაიშვილის გამოცემის მე-20 მუხლის უკანასკნელი ნაწილი და მი-  
სი მომდევნო 21-33 მუხლები შეიცავენ დიდი დარბაზობის რიგის განწესებას,  
რომელიც ჩვენს გამოცემაში წარმოდგენილია მე-13 მუხლად.

დიდი დარბაზობის რიგში დადგენილია: ხელქვეშეთ მეფე-მთავართა დაჯდო-  
მის წესი; მოძღვართ-მოდღერის, კათალიკოზთა, კუონდილისა და სამთა ვეზირთა  
(ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთ-უხუცესი) წვევა, ორთა ვეზირთა (მე-  
კურკლეთ-უხუცესი, მსახურთ-უხუცესი) და ამილახორის წვევა; ეპისკოპოსთა  
წვევა; ერისთავნი და ჭელის მქონებელნი დიდისა თამარ მეფისა: პურობა და  
ძღვენი საწელიწდისთაო. თითოეული ზემოჩამოთვლილი საყთხი ჩენი გამოცე-  
მის მე-13 მუხლში გამოყოფილია შესაბამისი ქვესათაურით.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი შეუსაბამობა, რომელიც ხელნაწერიდან მომდინა-  
რეობს და ექ. თაყაიშვილის გამოცემაშიც დატოვებულია უცვლელად. ხელნაწე-  
რის მიხედვით დიდი დარბაზობის დროს ეპისკოპოსთა მოწვევას (თაყაიშვილას  
გამოცემით 28-ე მუხლის პირველი ნაწილი) უშუალოდ მოსდევს ტექსტი საწე-  
ლიწდისთაო ძღვენის შესახებ (28-ე მუხლის მეორე ნაწილი და 29 მუხლი). ხო-  
ლო შემდეგ ჩამოთვლილია ერისთავნი და ხელის მქონებელნი დიდისა თამარ მე-  
ფისა (მუხ. 30). ცხადია, ტექსტი საწელიწდისთაო ძღვენის შესახებ გადაადგოლე-  
ბული ჩანს, რაც არღვევს დარბაზის რიგის თანმიმდევრობას. უეჭველია, ტექსტის  
ეს ნაწილი თავდაპირველად დარბაზობის ბოლოს იქნებოდა და აქ, ალბათ, დედ-  
ნის ფურცლების დაშლილობის გამო გადააწერეს შეცდომით ჩაურთავს.

ეს რომ ასეა, დასტურდება ხელმწიფის კარის გარიგების ტექსტის ანალიზი-  
დან. თაყაიშვილის გამოცემის 29-ე მუხლის ბოლოს, სადაც საწელიწდისთაო  
ძღვენის ჩამოთვლა მთავრდება, ნათქვამია: „დასრულდა დარბაზის  
წესი“.

მაგრამ მომდევნო 30, 31, 32 და 33 მუხლები სწორედ დარბაზის წესის გაგრ-  
ძელებას შეიცავს.

იმავე გამოცემის 32-ე მუხლის ბოლოს გელათური, გარეჯული და უდაბნოთა  
საწელიწდისთაო ძღვენის შესახებ ნათქვამია: „ვითარცა მართებს, ქვემო  
სწერია“.

მაგრამ როგორც ხელნაწერში, ასევე თაყაიშვილის გამოცემაშიც (მუხ. 29  
და 29) „ძღვენი საწელიწდისთაო“ ზემოთ სწერია და არა ქვემოთ.

ზემოაღნიშნულის გამო ჩვენს გამოცემაში „ძღვენის საწელიწდისთაო“ დღე-ღარბაზობის რიგის ბოლოს გადავიტანეთ, სადაც ამ ტექსტის უკანასკნელი ფრაზა—„დასრულდა ღარბაზის წესი“ სწორედ თავის ადგილას აღმოჩნდა. სქოლიოშიც სათანადო შენიშვნა დაეურთეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბეჭდვის დროს შეედრომა გაგვეპარა: შენიშვნის ნიშანი ნაცვლად 91 გვერდის ბოლო სიტყვისა 90-ე გვერდის ბოლო სიტყვაზე აღმოჩნდა, რაც შეედრომათა გასწორებაში მიეუთითეთ.

თაყაიშვილის გამოცემით 34-ე მუხლი, როგორც უკვე ითქვა, დაკარგულ-ტექსტის ფრაგმენტია, რომელიც ჩვენს გამოცემაში მე-14 მუხლად არის წარმოდგენილი.

ჩვენი ტექსტის მე-15 მუხლი, რომელიც მეფის შეკაზმვას ითვალისწინებ, შეესაბამება თაყაიშვილის გამოცემის 35-ე მუხლს.

თაყაიშვილის ტექსტის 36, 37, 38 და 39 მუხლები ვეზირობის რიგს გადმოგვცემენ. აღნიშნული მუხლები ჩვენს გამოცემაში გაერთიანებულია და წარმოგვგნილია მე-16 მუხლად.

ასეთია ხელმწიფის კარის გარიგების ტექსტის თანმიმდევრობა წინამდებარე გამოცემის მიხედვით.

თვალსაჩინოებისათვის აქვე მოგვყავს შედარებითი ნუსხა კარის გარიგების მუხლებისა ექ. თაყაიშვილის გამოცემისა და ჩვენი გამოცემის მიხედვით.

**ჩვენი გამოცემა**

**თაყაიშვილის გამოცემა**

მუხლი 1

მუხლი 1—2

2

3—5

3

6—7

4

8—9

5

10

6

11—13

7

13 (ბოლო ნაწილი)

8

14—17 (პირველი ნაწილი)

9

17 (მეორე ნაწილი)

10

18

11

19—20 (პირველი ნაწილი)

12

20 (მეორე ნაწილი)

13

20 (მესამე ნაწ.) და 21—33

14

34

15

35

16

36—39

გარდა ამისა, როგორც მკითხველი დაინახავს, ტექსტის გასამართლად ხმარებული პუნქტუაციის შედეგად ჩვენს გამოცემაში ბევრი ადგილი ახლებურად გვაქვს გააზრებული და განმარტებული. ტექსტის შინაარსის სიცხადისა და აზრის უკეთ გაგების მიზნით მთელი ტექსტი, გარდა მუხლების სათაურებისა და ქვესათაურების აღნიშვნისა, აბზაცებად დაყავით. ამასთან ხელნაწერის ზოგერთი ადგილი წაკითხულია ახლებურად. ტექსტის წაკითხვათა სხვაობანი ხელნაწერისა და ტექსტის წინანდელ გამოცემათა მიხედვით ნაჩვენებია სქოლიოებში.



ხელნაწერი (H-3094) აღნიშნულია A ლიტერით, ექ. თაყაიშვილის გამოცემა-B-თი, ხოლო ივ. ჭავჭავაძისა-C-თი.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო ვფიქრობთ, მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ხელნაწიფის კარის გარიგების წინამდებარე ტექსტი ახალი, კრიტიკული და დამოუკიდებელი გამოცემის ცდას წარმოადგენს დაწილოს კიდევ ერთი საკითხი.

ექ. თაყაიშვილს ხელნაწიფის კარის გარიგება არ მიაჩნია საკანონმდებლო ძეგლად, იმის გამო, რომ იგი მეფის მიერ დამტკიცებული არ არის დადგენილი წესის მხედვით.

„ჩვენი კარის გარიგება საერთოდ ოფიციალური აქტი არ არის. ის არ არის განწესებული და გამოცემული ერთი მეფის მიერ როგორც სახელმწიფო კანონმდებლობა, არამედ შედგენილია რომელიმე კარისკაცის მიერ პრაქტიკული საკიროებისათვის, პრაქტიკული მიზნით, როგორც სახელმძღვანელო კარის კაცებისათვის, ხელისუფალთათვის და საზოგადოდ ყველა მოხელეთათვის. ეს არის ერთგვარი კრებული, კოდექსი, სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა, მეფის კარის წესრიგისა, მოხელეთა და ხელისუფალთა უფლება-მოვალეობისა, რომელიც დაკანონებული იყო სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა მეფის მიერ და კანონად და ჩვეულებად შემოღებული“ (იქვე, გვ. XV).

ამავე აზრს იზიარებს ივ. ჭავჭავაძე: „თვით ძეგლს, როგორც ეტყობა, ოფიციალური ხასიათი არა აქვს, კანონმდებლობის შედეგი არ არის, არამედ მოქმედ სახელმწიფო სამართლისა და წესის აღნუსხვა“ (ქართული სამართლის ძეგლები, I, წიგნი I, 1928, გვ. 65).

ზემოთ მოყვანილი მოსაზრება არ მიგვაჩნია დამაჯერებლად. ხელნაწიფის კარის გარიგება შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური სამართლის უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ძეგლია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო წყობილების, მართვა-გამგეობისა და მოხელეთა უფლება-მოვალეობის წესებს.

სახელოვანი მეცნიერი ექ. თაყაიშვილი მართებულად ამბობს, რომ კარის გარიგება ისეთი კოდექსია, რომელიც დაკანონებული იყო სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეფის მიერ და კანონად შემოღებული. რასან კარის გარიგება კანონად შემოღებულია კოდექსია, თუმცა სხვადასხვა მეფის მიერ დაკანონებული, ცხადია, რომ იგი საკანონმდებლო ძეგლია, ოფიციალური აქტია. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ იგი განწესებული, გამოცემული და ხელჩართული არ არის ერთი მეფის მიერ. ამ ფორმალური ნიშნით არ შეიძლება ძეგლის საკანონმდებლო ხასიათის უარყოფა. ძეგლის საკანონმდებლო ხასიათის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთელი ნორმატიული მასალა, რომელიც საკანონმდებლო ხასიათის წესებსა და დადგენილებებს შეიცავს. კარის გარიგება არ წარმოადგენს სამეფო კარის კაცის მიერ თავისი თაოსნობითა და ნებასურვილით შედგენილ წესჩვეულებათა ტრაქტატს ან კომპილიციას. ძეგლის ყოველ მუხლს საეპიდემიოლოგიისა და დადგენილების ხასიათი აქვს. იგი წარმოადგენს დაკანონებული წესისა და რიგის კრებულს, რომელშიც განსაზღვრულია სამეფო დარბაზობის, სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფალთა უფლებამოსილება, ფუნქციები და ქვეყნის წესები. ძეგლს რომ სავალდებულო ძალა აქვს, ეს ჩანს თუნდაც კარის გარიგების შემდეგი ადგილიდან: „საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია და პატრონისაგან არ მასპია, მისიან კეთილმანი... აწ, ვინათგან დაუწერია, აწ ვიო სსაწოლის მწიგ-

ნობარმან“ (იხ. აქვე, 90, სტრიქ. 12, 20). ცხადია, ასეთი გარიგების შედეგად მოუდგენელია მეფის სანქციისა და დასტურის გარეშე. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველი ტექსტი ანუ დედანი, რომელიც დაკარგულია, დამტკიცებული და სანქცირებული იქნებოდა მეფის მიერ. ჩვენს ხელნაწერსაც ხომ თავში, ბოლოსა და შუაში ტექსტი აკლია. საფიქრებელია, რომ ძეგლის ხელროვისა და დამტკიცების შემდეგი ტექსტიც დაკარგული იყოს. რაც შეეხება კარის გარიგებაში ჩართულ ისტორიულ ექსკურსებს და ერთგვარ პოლემიკას, ისინი ძეგლის ორგანულ ნაწილს არ შეადგენენ, მხოლოდ საილუსტრაციო მასალაა და შეიძლება მერმინდელი ინტერპოლაციაც იყოს. მაგრამ თუნდაც რომ ეს ადგილები თავიდანვე შეტანილი იყოს ძეგლში, ყოველ შემთხვევაში ისინი ძეგლის საკანონმდებლო ხასიათის უარყოფის საფუძველად ვერ გამოდგება.

**82. წყალობის სიგელი გიორგი ბრწყინვალისა ივანე  
თორელ-ჩავახიშვილისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—11628; დედანი; ქაღალდი; 44,5×20 სმ; მხედრულად ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; თავნაკლული; მარჯვენა მხარე დაზიანებულია.

სიგელი დათარიღებულია გიორგი ბრწყინვალის მეფობის 39 ინდიქტიონით. ამასთან, როგორც ჩანს, მეფობის წლები დათვლილია გიორგი ბრწყინვალის პირველი გამეფებიდან (1299 წ.).

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

საქართველოს სიძველენი, II, გვ. 8—9.

**83. წყალობის სიგელი გიორგი ბრწყინვალისა გამრეკელ  
ჩავახიშვილისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—11627; დედანი; ქაღალდი; 23,5×18 სმ; მხედრულად ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად იხმარება ორწერტილი. საბუთი დაზიანებულია. ხელნაწერში ზოგჯერ „ო“-ნი და „უ“-ნი ენაცვლება ერთმანეთს: „ერთგოლად“, „სამახორსა“, „ორდოს“, „ნორასა“ და სხვ. საბუთის უზის თარიღი: ქორონიკონი 33 (1345 წ.).

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

საქართველოს სიძველენი, II, გვ. 10.

**84. წყალობის სიგელი ანდრონიკე მეფისა წითლოსან  
ქვენიღნვეელისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1360; დედანი; ქაღალდი; 146×27 სმ; მხედრულად ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად იხმარება ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ხელნაწერში „ო“-ნი და „უ“-ნი ერთმანეთს ენაცვლება. სიგელს უზის თარიღი: ქორონიკონი 36 (1348 წ.).

საბუთის მიხედვით ირკვევა ერთ-ერთი „პროვიციის მეფის“ გამეფების თარიღი: 1340 წ.

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

საქართველოს სიძველენი, II, გვ. 10—12.

**36. წყალობის წიგნი დავით IX-ისა ეზოს ჩუხჩერას პიპოსადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—2199; დედანი; ქალაღი; 24×14 სმ; მეთო-  
ოხმეტე საუკუნის მხედრული ხელით ნაწერი, ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერ-  
ტილია; საბუთს უზის თარიღი: ქორნიკონი 53 (1365 წ.).

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

საქართველოს სიძველენი, დამატება, 1926, გვ. 7.

**37. წყალობის სიგელი გიორგი VII-ისა გუგუნი მაყაშვილისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—1284; პირი; ქალაღი; მხედრულად ნაწერი.  
საბუთს უზის თარიღი: ქორნიკონი 65 (1377 წ.) და გიორგი VII მეფობის 19 ინ-  
დიქტიონი. ცხადია, აქ გიორგი VII-ის თანამოსაყდრეობა იგულისხმება, მაგრამ,  
მინც გაუგებარი რჩება, როგორ იყო 1358 წლიდან (1377—19 წწ.) ის თანამო-  
საყდრე.

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

ქრონიკები, II, გვ. 190—191.

**38. ძეგლი ერისთავთა**

ტექსტი იბეჭდება შ. მესხიას გამოცემის მიხედვით (მასაღები საქართვე-  
ლოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1951 წ., გვ. 344—362).

„ძეგლი ერისთავთა“, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ქსნის ერისთავთა  
საგვარეულო ქრონიკას და არა საკანონმდებლო ძეგლს. მაგ-  
რამ იმის გამო, რომ ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის ისტორიის  
კვლევისთვის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, აღნიშნულ ძეგლს წინამ-  
დებარე ტომში ვათავსებთ.

**38. წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ავთანდილ ზერდგინისძისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—1524; Hd—4254; პირი.

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

საქართველოს სიძველენი, III, დამატება, 1926 წ., გვ. 8—9.

**39. წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ავთანდილ  
ზევდგინისძისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—11634; დედანი; ქალაღი; 101×24.5 სმ; გან-  
კვეთილობის ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, 1926 წ., გვ. 9—12.

**40. წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ავთანდილ  
ზევდგინისძისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1348; დედანი; ეტრავტი; 2 კეფი; 86×25 სმ.  
განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

გამოქვეყნებულია:

საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, 1926 წ., გვ. 12—14.

41. წყალობის წიგნი ალექსანდრე მეფისა სვეტიცხოველისადმი

ტექსტი იბეჭდება თ. უორდანიას პუბლიკაციის მიხედვით (ქრონიკები, II, გვ. 242—243).

42. წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ურდოელისადმი

ტექსტი იბეჭდება ს. კაკაბაძის პუბლიკაციის მიხედვით (ისტორიული საბუთები, წიგნი III, 1914 წ., გვ. 18—20). გამოქვეყნებულია აგრეთვე დრაგმენტების სახით თ. უორდანიას მიერ (იხ. ქრონიკები, II, გვ. 243—245).

43. მალის ამოკვეთის სიგელი ალექსანდრე მეფისა

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1368; დედანი; ქალაღი; 72×37 სმ; მხედრულად ნაწერი XV საუკუნის ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახპარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი 128 (1440 წ.).

გამოქვეყნებულია:

ქრონიკები, II, გვ. 247—249.

44. თარხნობის სიგელი ალექსანდრე მეფისა თბილელ-მანგლელ

იოვანესადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1369; დედანი; ქალაღი; 59,8×14,5 სმ; მხედრულად ნაწერი XV საუკუნის ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახპარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი. 129 (1441 წ.).

გამოქვეყნებულია:

ქრონიკები, II, გვ. 250—251.

45. წყალობის სიგელი გიორგი VIII-ისა ვირშელ წულუკიძისადმი

გამოქვეყნებულია:

ქრონიკები, II, გვ. 262—263.

საქართველოს სიძველენი, ტ. I, 1920 წ., გვ. 1—3.

46. შეუვალობის სიგელი გიორგი VIII-ისა ფილიპე

ერემაძისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1055; დედანი; ეტრათი; 43,2×19,5 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ახპარება სამი წერტილი; საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი 141 (1453 წ.).

47. წყალობის სიგელი გიორგი VIII-ისა ზევდგინისძეებისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1531; პირი.

გამოქვეყნებულია:

ქრონიკები, II, გვ. 266—267.

საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, 1926 წ., გვ. 14—15.

48. წყალობის სიგელი გიორგი VIII-ისა ქავახიშვილებისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1347; ეტრატი: მხედრულად ნაწერი. 40×26 სმ; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ სამი წერტილი. სიგელის პირები: ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—991 ა. ბ.

საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი 151 (1463 წ.).

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909 წ., გვ. 19.

49. წყალობის სიგელი კონსტანტინე მეფისა ქავახიშვილებისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—2007; დედანი; ქალაღი: 32×14 სმ; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი 154 (1466 წ.).

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 20—21.

50. მალის ამოკვეთის სიგელი გიორგი მეფისა სვეტცხოველისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1370; დედანი; ქალაღი: 78,7×15 სმ; მხედრულად ნაწერი; თავი დაზიანებული აქვს; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ სამი წერტილი.

საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი 156 (1468 წ.).

შემოკლებით გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

ქრონიკები, II, გვ. 287.

51. წყალობის სიგელი ბაგრატ და კონსტანტინე მეფეებისა ქავახიშვილებისადმი

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 40.

52. შეწირულების წიგნი შალვა ქვენიფნეველ ერისთვისა ლარგვისისადმი

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

საქართველოს სიძველენი, ტ. III, 1910, გვ. 555—561.

53. დაყენებულთა და უკეროთა და განგდებულთა ქორწინება-შახსობათოჲს

ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—85; კრებული; პირი; ქალაღი: წერილი ნუსხახუცროთ ნაწერი (473r—475v). ხელს მიხედვით გადაწერილი უნდა იყოს XVI საუკუნეში; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი და სამი წერტილი. ტექსტს ახასიათებს „მ“-მეტობა.

ხელნაწერში სათაურს ზემოთ სწერია „ტიტლოსი ზ“, ხოლო თვით ტექსტში ასეთი აღგზლია ჩართული: „ამისვე პირისათჲს ხარისხთათჲს ნათესაეობისათჲს მესამისაგან წიგნისა ინსტიტუტონასა“, რაც ქვესათაურად გამოყუყუთ.

ძველი წარმოდგენს გადაკეთებულ თარგმანს ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს ცნობილ საკანონმდებლო კრებულში — Corpus juris civilis-ში მოთავსებულ ინსტიტუციების მესამე წიგნის მე-6 თავისა Institutionum Iustiniani, liber tertius, tit. VI. „de gradibus cognationis“ (Corpus juris civilis, pars. I, 1887 წ., გვ. 31).

ტექსტი თარგმნილია მძიმე, მწიგნობრული ენით. მთარგმნელი ლათინური ტექსტის აზრისა და ცალკეული ტერმინების შინაარსის ზუსტად გადმოსაცემად იმდროინდელ ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიას სათანადოდ ვერ იყენებს. ტექსტი ბუნდოვანი და ძნელად გასაგებია.

ჩვენი ნუსხა, როგორც უკვე ითქვა, გადაწერილია XVI საუკუნეში, მაგრამ უდავოა, რომ ეს ძეგლი დიდი ხნით აღრეა თარგმნილი, რასაც ტექსტის ენაე ადასტურებს.

იმპერატორ იუსტინიანეს ინსტიტუციებისა და მისი Corpus-ის სხვა ნაწილების საკანონმდებლო ნორმები და დებულებები მოქმედობდნენ საქართველოში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში.

ინსტიტუციების აქ წარმოდგენილი ნაწილი ნათესაობის ხარისხსა და ქორწინების პირობებს განსაზღვრავს. აღნიშნული ნორმები ქართულ საოჯახო სამართალში ძველი დროიდანვე გამოიყენებოდა.

ძეგლს ხელნაწერში დართული აქვს ნათესაობის ხარისხის სქემა. იგი წარმოადგენს თარგმანს ინსტიტუციების მესამე წიგნის მე-6 ტიტულის („de gradibus cognationis“) მიხედვით შედგენილი სქემისა, რომელიც დართული ჰქონია ინსტიტუციების ტექსტს (იხ. Corpus juris civilis I, 1887 წ., გვ. 54).

მკითხველს რომ სქემის გაგება გაუადვილდეს, აქვე მოგვეყვას ქართული ტერმინების ლათინური შესატყვისები.

მესამე პაპი—Tritavus

მესამე ჰანი—Tritavia

ბიძა უდიდესი—Abpatruus. Abamita

მრჩობლ პაპი—Atavus

მრჩობლ ჰანი—Atavia

და უდიდესი ჰან-პაპთა დაე—Abavunculus. Abmatertera

უდიდესი ბიძის ძე და ასული—Propatruī, proamitae filius, filia

ბიძა დიდი—Propatruus. Proamita

პაპის პაპი—Abaus

ჰანის ჰანი—Abavia

დედისა ჰანის დაე—Proavunculus. Promatertera

დედისა ჰანის დისა ძე და ასული—Proavunculi, promaterterae filius, filia

დედის ბიძის ძის წული, ასულის წული—Sobrinus, sobrina

დედის ბიძის ძე და ასული—Propior sobrinus. Propior sobrina

ბიძა დიდი მამისა მიერი—Patruus magnus. Amita magna

წინა პაპი—Proavus

წინ ჰანი—Proavia

ჰანის დაე დიდი დედისა მიერი—Avunculus magnus. Matertera magna

ჰანის დისა დედისა ძე და ასული—Propior sobrinus. Propior sobrina

ჰანის დისა დედისა ძის წული, ასულის წული—Sobrinus. Sobrina

ბიძის ძის წულის შვილი, ასულის წულის შვილი—Fratris et sororis patruelis, amitini, amitinae nepos, neptis

ბიძის ძის წულის შვილი, ასულის წულის შვილი—Fratris et sororis patruelis, amitini, amitinae filius, filia

ბიძის ძე და ასული—Fratres et sorores patruelis, amitinus, amitina

ბიძა მამისა და დედისა მიერი—Patruus. Amita

პაპი—Avus

პანი—Avia

მამა-დედისა მიერი პანის და—Avunculus. Matertera

პანის დის ძე და ასული—Consobrinus. Consobrina

პანის დის ძის წული, ასულის წული—Consobrini, consobrinae filius, filia

პანის დის ძის წულის შვილი, ასულის წულის შვილი—Consobrini. consobrinae nepos, neptis

ძმის ძის წულის შვილის შვილი, ასულის წულის შვილის შვილი—Fratris abnepos, abneptis

ძმის ძის წულის შვილი, ასულის წულის შვილი—Fratris pronepos. proneptis

ძმის ძის წული, ასულის წული—Fratris nepos, neptis

ძმის ძე და ასული—Fratris filius, filia

ძმად—Frater

მამა—Pater

დედა—Mater

დადა—Soror

დის ძე და ასული—Sororis filius, filia

დის ძის წული, ასულის წული—Sororis nepos, neptis

დის ძის წულის შვილი, ასულის წულის შვილი—Sororis abnepos. abneptis

ძე—Filius

ასული—Filia

ძის წული—Nepos

ასულის წული—Neptis

ძის წულის შვილი—Pronepos

ასულის წულის შვილი—Proneptis

ძის წულის შვილის შვილი—Abnepos

ასულის წულის შვილის შვილი—Abneptis

ძის წულის შვილის შვილის შვილი\*—Adnepos

ასულის წულის შვილის შვილის შვილი\*—Adneptis

ძის წულის შვილის შვილის შვილი\*—Trinepos

ასულის წულის შვილის შვილის შვილი\*—Trineptis

#### 54. ქორწინებისა თავთავს

ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—229; კრებული; მხედრულად ნაწერი; XVIII საუკუნის 80-ან წლებში გადაწერილი. ჩვენი ტექსტი მოთავსებულია ხელნაწერის 172—190 გვერდებზე. ხელნაწერში 172-ე გვერდზე ძეგლის სათაურის შემდეგ სწერია: „თავი 291 მატესი“.

ძეგლი წარმოადგენს თარგმანს მათე ელასტარის სინტაგმის იმ თავებისა, რომლებიც ნათესაობის ხარისხსა და ქორწინების პირობებს განსაზ-

\* მთარგმნელის თუ გადამწერის შეცდომით ნათესავთა ხარისხი განმეორებულია.

ღვარჯუნ. ეს ძეგლი და მისი დანართი—„მაგალითნი ქორწინებისანი“ (იხ. ჩვენი გამოცემის, გვ. 164—175), როგორც გადამწერის მიერ ბოლოს დართული ანდერკიდან ჩანს, თარგმნილია ბერძნულიდან 1785 წელს მღვდელი იოანე ოსეს ძისა და ბერძენი იოანე მიხეილის ძის პაპუწის შვილის ქსიფილიონის მიერ.

მათე ვლასტარისა და მისი სინტაგმის შესახებ მოკლე ცნობები ჩვენ გამოვაქვეყნეთ „ქართული სამართლის ძეგლების“ I ტომში (გვ. 581—582). აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ვლასტარის ცნობილი ნაშრომი: ალფაბეტური სინტაგმა საეკლესიო კრებათა დადგენილებებისა და საერო კანონებისა, შედგენილია 1335 წელს.

მათე ვლასტარის სინტაგმის აქ წარმოდგენილი თავები და დებულებები, თუმცა XVIII საუკუნის 80-ან წლებშია თარგმნილი, უდავოა, რომ სინტაგმა დიდი ხნით ადრე მოქმედებდა საქართველოში. წარმოდგენილია, რომ მათე ვლასტარის საქვეყნოდ ცნობილი იურიდიული კრებული, რომელმაც ფართო გავრცელება პპოვა აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნებში, 400 წლის განმავლობაში უცნობი ყოფილიყო ქართული სამართლისათვის. ამიტომ მართებული იქნება ვიფიქროთ, რომ თუ მანამდე არა, ყოველ შემთხვევაში XV საუკუნიდან ეს კრებული უკვე გამოიყენებოდა ქართულ სამართალში. ასეთი გამოყენება საერაუღებელია, რიგორც კანონთა ბერძნული ტექსტის, ისე ქართული თარგმანის არსებობის სახითაც. მაგრამ „უამთა სიავის“ გამო XVIII საუკუნის 80-ან წლებამდე ასეთმა თარგმანმა ვერ მიაღწია, იგი დაიკარგა და ამიტომ ერეკლე II და ანტონ II საკიროდ მიიჩნიეს მისი ხელახლა თარგმნა.

### 55. მაგალითნი ქორწინებისანი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—229; კრებული (191r—198r). საბუთი წარმოდგენს დანართს წინა საბუთისა. „მაგალითნი. ქორწინებისანი“, როგორც თეოდექსტის შესავალშია ნათქვამი, შეადგინა „დიდმა ხარტოფილაქსმან, ესე იგი წიგნთა მცუელმან, უწმიდესისა ქრისტეს ღიდისა ეკლესიისა კოსტანტინუპოლისმან იეროდიაკონთა შორის უპირველესმან მანუელ ქსანთინოს“.

„მაგალითნი ქორწინებისანი“, როგორც უკვე წინა საბუთის აღწერისას ითქვა, თარგმნილია ბერძნულიდან 1785 წელს. იოანე ოსეს ძისა და იოანე პაპუნას შვილის ქსიფილიონის მიერ.

ძეგლი წარმოადგენს კანონიერი და უკანონო ქორწინების მაგალითების სქემას, რომელიც ემყარება და იმოწმებს მათე ვლასტარის სინტაგმის ტექსტის შესაბამის თავებს. ამრიგად, იგი წინა საბუთის დანართია და მას დამოუკიდებელი საბუთის მნიშვნელობა არა აქვს.

### V 56. ბიკვინტის იადგარი

ცსსა, ფ. 1448: № 5033; ეტრატის გრძელი გრაგნილი: 222 X 18 სმ; XVI საუკუნის წერილი ნუსხახუცურით ნაწერი. ზოგიერთი ასო და სიტყვა სინგურათაა დაწერილი. ხელნაწერს სიტყვის ბოლოს „ო“-ს და „ა“-ს შემდეგ ახასიათებს „ა“-მეტობა: „მორჩოა“, „პირმეტყუელოა“, „ტაძაროა“, „მეცნიერებისათა“ და სხვ. ჩვენს ტექსტში ეს და აგრეთვე „ხ“-სა და „ჟ“-ის აღრევა გასწორებულია, ხოლო „უძ“ კომპლექსი ყველგან წარმოდგენილია „უჟ“-ით.



ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ამ ძეგლის ორი პირი (Ad—2218 და S—3677) ამ ხელნაწერთა მიხედვით ჩვენ „ქართული სამართლის ძეგლების“ I ტომის შენიშვნებში (გვ. 611—613) დაბეჭდვით იადგარის ის ნაწილი, რომელიც სისხლის დაურევების ნორმებს შეიცავს.

ჩვენს გამოცემაში იბეჭდება ბიკვინტის საყდრის იადგარის ძირითადი ტექსტი, რომელიც კათალიკოზთა ხელრთვებით მთავრდება.

იადგარი სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, სისხლის განჩინების და დგენილებანი და დამტკიცების ხელრთვები.

იადგარის ამ ძირითად ტექსტს მოსდევს მე-17—18 საუკუნეების შეწირულების მინაწერები, რომელთა ტექსტი ძირითად ტექსტზე თითქმის ორჯერ მეტია.

ბიკვინტის საყდრის იადგარის ტექსტი შეწირულების მინაწერებითურთ პირველად ალ. ხახანაშვილმა გამოსცა (გუჯარები, 1891 წ., გვ. 124—153). ტექსტი დაბეჭდილია დამახინჯებულად და ბევრ შეცდომას შეიცავს.

უხედა რა იადგარის შედგენის დროს ალ. ხახანაშვილი წერს: „რადგან აქ მოხსენებულნი კათალიკოზნი სულეველა თანამედროვენი არ იყვნენ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი „ხელმოწერით დამტკიცება“ ერთ დროს არ ეკუთვნის. ეს შეიძლება ვსთქვათ, რომ ეს გუჯარი შესდგა და შესრულდა XVI—XVII საუკუნეში... ეს გუჯარი უნდა იყვეს თანდათანობით შედგენილი და შემდეგ გადაწერილი ერთის ხელით“ (იქვე, გვ. 156—157).

იადგარის განხილვას ალ. ხახანაშვილმა მიუძღვნა სპეციალური სტატია: „Дополнение к грузинским каталикосовым законам“ (Юридический Вестник, Т. XI, 1892 წ., გვ. 568—571). წერილში ჩართულია თარგმანი იადგარის იმ ნაწილისა, რომელიც სისხლის დაურევების დადგენილებებს შეიცავს. ქართული ტექსტის დამახინჯებული ადგილები მეორდება რუსულ თარგმანშიც.

ალ. ხახანაშვილის აზრით ბიკვინტის იადგარი წარმოადგენს „კათალიკოზთა სამართლის“ დამატებას. გუჯარი დგებოდა თანდათანობით ოთხი საუკუნის განმავლობაში და თავისი ახლანდელი სახე მიიღო არა უადრეს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედისა.

ბიკვინტის იადგარის ტექსტი, შეწირულების მინაწერებითურთ, მეორედ ს. კაკაბაძემ გამოსცა („აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი“. სისხტორიო მოამბე, II, 1925 წ., გვ. 180—197).

ს. კაკაბაძის აზრით „საბუთი წარმოადგენს არა ასლს, არამედ პირს. მე-16 საუკუნის დასასრულს შესრულებულს. პირველი სამი კათალიკოზის (მალაქია, ევდემონი, ეფთვმე) ხელისმოწერა ძირითადი ტექსტის ხელით არის მოყვანილი ნუსხახეურადღევ. მე-4 პირის—მალაქია კათალიკოზის და მის მომდევნო კათალიკოზთა ხელის მოწერა კი უკვე განსხვავებული და სხვადასხვა ხელით არის მოყვანილი და ნამდვილ ხელისმოწერას უნდა წარმოადგენდეს. ამგვარად, იადგარის ძირითადი ტექსტი გადაწერილია კათალიკოზ ეფთვმე საყვარელიძის დროს (1578—1616 წწ.). იადგარი, როგორც ჩანს, თავდაპირველად შედგენილია ბაგრატ მეფის დროს მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში და მალაქია კათალიკოზის დროს, რომლის სიგანტურა პირველად არის ნაჩვენები იადგარის ბოლოს. მაგრამ იადგარის ტექსტი მოწვეული სახით არ შეიცავს პირწმინდათ ბაგრატ მეფის დროს შედგენილ რე-

დაქცეა, არამედ წარმოადგენს ეფთვზე საყვარელიძის დროს იადგარის ახლად შედგენილ რედაქციას, შინაარსის არსებითად შეუცვლელად. ამგვარად ცხადდება, რომ იადგარი უნდა ეკუთვნოდეს თავისი არსებითი ნაწილით 1525—1557 წლებს, ხოლო მოწვევულ რედაქციაში დატულ ნართალი გლოსებით 1578—1600 წლებს. (საისტორიო მოამბე, წიგნი II, 1925 წ., გვ. 177—178).

ბიკვინტის იადგარი ლ. მუსხელიშვილს ნატყუარად მიაჩნია. ამასთან, როგორც ლ. მუსხელიშვილი გვამცნობს, იადგარის ნატყუარობაზე მას ყურადღება მიაქცევინა ივ. ჭავჭავაძის შვილიშვილი:

„საკათალიკოზო იადგარი ნატყუარი საბუთია, მაგრამ მაინც ვიყენებ აქ ერთგვან ქვემოთა იმ მოსაზრებით, რომ ყალიბისქმნელი იქ, სადაც ამას ნატყუარობის მიზანი არ მოითხოვდა, არ შეიტანდა მოგონილს და სინამდვილესთან შეუფერებელ ცნობებს. ეს იადგარი შეთხზული უნდა იყოს XVI ს. დამლევს (პირველი მინაწერი, ეფთვიში საყვარელიძისა, დაახლოებით ამ ხანს ეკუთვნის) და მას მიზნად ჰქონდა საკათალიკოზო მამულების და იურისდიქციის სრული შეუვალობის, ყმების სისხლის ფასის და, როგორც ჩანს, ზოგიერთი შეწირულობის დაყალბება. აი ამ ძველის ნატყუარობის ზოგიერთი ნიშნები: 1. რვა კათალიკოზის ხელრთვათაგან 3 პირველი იადგარის ტექსტის ხელითაა დასმული, ხოლო მე-4 და მე-5 სხვა, მაგრამ ორივე ერთი ხელით სწერია (ეკვის მომგვრელი უკვე ეს გარემოება, რომ რვავე ხელრთვა ხუცურია და არა მდივანმწიგნობრულია. იხ. საქართველოს ცენტრარქივის გრაგნილი № 5033). 2. ბაგრატ III თავისავე თავს „დიდად“ იხსენიებს. 3. მამია და დიანა (გარდაიცვალა 1532/3 წ.) პირველი პირით ლაპარაკობს და დადიანებად იხსენიებს თავის ძეს ლეონს და შვილისშვილებს გიორგის და მამიას (გარდ. 1590 წ.), რომელთა დადიანობას, რასაკვირველია, ვერ მოგვსწრებოდა, ისე რომ გამოდის, თითქოს ყველა შეწირულებანი ოთხსავე ერთად გაეკეთებინოთ. ასევე იქცევა როსტომ გურელი, რომელიც გურიელად ასახელებს თავის შვილს გიორგის. 4. გიორგი II სწირავს ხოშტიბელას და ჩუნეშს „ბიკვინტის ღვთისმშობელის“, იმ დროს, როდესაც მისივე 1559 წლის სიგლით მას შეუწირავს ეს ადგილები გელათის საჯ. ზოწმ. გრის ეკლესიისათვის (საეკლესიო საბუთები, I, გვ. 17—19). 5. დიდი ნაწილი იადგარში შეწირულად მოხსენებული სოფლებისა აფხ. საჯ. ზო დიდ დაეთარში შეტანილი არაა (წუგნა, კუეებლევი, კუხი, აითარნე, არუხა, რაბიწა და სხვ.), რაც გუეგებარი რჩება, თუ კი, როგორც კაკაბაძე ჰფიქრობს, ეს ძველი XVI ს-ის დამლევს შეუქსიათ თუ „გადაუწერიათ“. 6. სისხლის ფასი არაჩვეულებრივად მაღალია (მაგ., 600.000 თეთრი დასაურვებლად, 300.000 სისხლად და 15.000 სანახშიროდ). მოგვაგონებს სასისხლო სიგლებს და ამ მხრით საერთო არა აქვს რა „კათალიკოზთა და კრებისა მერს სამართალთან“, რომელიც შედგენილი უნდა იყოს 1543—49 წლებში“ (ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 269, შენიშ.).

ბიკვინტის იადგარის ნატყუარობის ნიშნებს ჩვენ უნდა დავუმატოთ კიდევ ორი ასეთი ნიშანი: 1. საბუთის ტექსტში მოხსენებულია კათალიკოსი ევდემონი (1557—1578 წწ.), რომლის შეწირულობას აახლებს ბაგრატ III (1510—1565 წწ.) გამოდის, რომ საბუთი დაიწერა არა უადრეს ევდემონის კათალიკოსობისა და არა უგვიანეს ბაგრატ III მეფობისა, ე. ი. 1557—1565 წწ. მაგრამ საბუთის ხელრთვებში ხდება უცნაური რამ: პირველ ხელჩამრთველად გვევლინება ევდემონის წინამორბედი კათალიკოსი ეფთვზე. გამოდის, რომ საბუთი დაიწერა ევდემონ კათა-

ლიკოსის დროს და მას ხელი ჩაუბრუნო უკვე გარდაცვლილმა ეფთჳშემ. 2. საბუთს ხელს არ ურთავს არც ერთი მისი გამკემი: არც მეფე, არც დადიანი, არც გურიელი, არამედ ხელს ურთავს საბუთის მიმღები კათალიკოსი. ასეთი რამ ქართული დიპლომატიისთვის უჩვეულა.

ამრიგად, ბიკვინტის იადგარი აშკარად ნატყუარია, მაგრამ ის მაინც მიღებული ყოფილა როგორც ნამდვილი. ამაზე მიუთითებს ბიკვინტის იადგარზე მინაწერების სახით მოთავსებული ნამდვილი დოკუმენტები გვიანდელი მეფე-მთავრებისა და ბიკვინტის იადგარის დამოწმება სხვა ნამდვილ დოკუმენტებში. ამის გამო იადგარი მაინც ძვირფასი წყაროა ქართული სამართლისა და მისი „ქართული სა-მართლის იეგლების“ წინამდებარე ტომში შეტანა საჭიროდ მივიჩნიეთ.

საბუთის თარიღად ტექსტში მოცემული გვაქვს ს. კაკაბაძის დათარიღება (1525—1550 წწ.), მაგრამ, როგორც ჩანს, საბუთი ყალიბისმკნელთა მიერ შედგენილია ევდემონ კათალიკოსის დროს (1557—1578 წწ.). მასზე ადრე საბუთი ვერ შედგებოდა, რადგან ტექსტის ხელით მიწერილ სამი ხელრთვიდან უკანასკნელი ევდემონისაა. ევდემონის კათალიკოსობაზე გვიან ეს ნაყალბევი საბუთი ვერ შედგებოდა, რადგან იადგარზე მიწერილია ევდემონის ნამდვილი საბუთი.

### 57. შეწირულების სიგელი ბაგრატ მეფისა გელათისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—11201; ქალაღი; 203,5×23 სმ; მხედრულად ნაწერი: დასაწყისი აკლია. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ტექსტი გამოქვეყნებულია ექ. თაყაიშვილის მიერ (საქ. სიძ. ტ. I, 1920 წ., გვ. 16—23). გამომცემელი აღნიშნავდა: „განცალკავებული ნაწილები სიგელისა თაე-თაეის ადგილას არ არის მიწებებული, ამიტომაც ჩვენ ტექსტი შინაარსის მიხედვით დაეწყეთ“. მაგრამ გრაგნილის კეფების არევის გამო ერთ ადგილას ტექსტი შეუსაბამოდ გადაადგილებული აღმოჩნდა (იხ. შენიშვნა 187 გვერდზე). გარდა ამისა ჩვენს გამოცემაში აღდგენილია რამდენიმე ადგილი და ქარავმები ყველგან გახსნილია. საბუთს თარიღად უხის ქორონიკონი 233 (1545 წ.).

### 58. მცხეთის სასარღლოს განწესების წიგნი ალექსანდრე მეფისა

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1712; დედანი; ქალაღი; 27×21 სმ. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; მხედრულად ნაწერი. საბუთის ბოლოს აღნიშნულია ქორონიკონი ში, რაც უდრის 1362 წელს. ამ თარიღმა სპეციალურ ლიტერატურაში დიდი დავა გამოიწვია.

საბუთი პირველად თ. ყო რ დ ა ნ ი ა მ გამოაქვეყნა (ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 187—188) და ასეთი შენიშვნა დაუტოო: „ჩვენის მატანიოთ ამ დროს მეფობდა ბაგრატ V და ალექსანდრე მეფედ არ სჩანს; ხოლო კათალიკოზი ბასილი მართლა სცხოვრობდა დავით VII დროს და მისსავე სიცოცხლეში მოკვდა და მისი ადგილი დაიკირა კზ დორეთოსმან... შეიძლება ალექსანდრე იყოს იმერთა მეფე, ბაგრატის ძე, რომელიც ბაგრატ V-მ დასვა იმერეთში ერისთავად და მეფედ იწოდებოდა. გუჯრის შინაარსიდან კი საგულისხმებელია, რომ ალექსანდრე არის მეფე ქართლისა. შეიძლება ნუსხაში შეცდომით იყოს აღნიშნული ქწნი, მაგრამ ალექსანდრე I-ის (1413—1442 წწ.) ყველა კზუბი ცნობილნი არიან და მათში არ იპოვება ბასილი, რომელიც კათალიკოზობდა დავით VIII-ის დროს 1505—1526.

გარდა ამისა გუჯრადამ სჩანს, რომ იმერეთი დამოკიდებულია ქართლზე და მცხეთის კზ ს იმერეთში ყმები ჰყოლია. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ გეგარი ეკუთვნის XIV საუკუნეს...“.

საბუთი დაბეჭდილი აქვს აგრეთვე ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს ა ც (საქართველოს სიძველენი, ტ. I, 1899 წ., გვ. 244—245), რომელმაც აგრეთვე ექვი გამოსთქვა საბუთის ნამდვილობაში და არსებითად გაიმეორა თ. ჟორდანია მსახრებანი: „მეფე ალექსანდრე 1362 წელს ცნობილი არ არის. შესაძლოა ქორონიკონი შეუდომით იყოს მოყვანილი და სიგელი ეკუთვნოდეს ალექსანდრე მცხეთის განმან-ლებელს 1413—1442“. ამავე ნაშრომის სარჩევის შენიშვნაში დასძინდა: „ამ დროს ქართლში მეფე ალექსანდრე ცნობილი არ არის, ხოლო ამ დროის ახლო ხანებში იმერეთს ცნობილია ალექსანდრე, მეფის ბაგრატ I-ის შვილი, რომელიც ბაგრატ დიდის დროს გამგებლათ იყო იმერეთისა, და შემდეგ მეფის სახელსაც ატარებდა“ (გვ. 497, შენიშვნა).

ეხება რა ამ საბუთის დათარიღების საკითხს, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი წერს: „აღსანიშნავია, რომ სიგელი სრულიად საქართველოს მეფისაგან არის ბოძებული, რადგან მისი განკარგულების ასპარეზი იმერ-ამიერ საქართველოს შეიცავს... ამნაირად ისე გამოდის, რომ საბუთი თითქოს ალექსანდრე I დიდის მიერ უნდა იყოს დაწერილი. მაგრამ ალექსანდრე დიდის სიგლები სხვანაირად იწერებოდა... ამას გარდა ალექსანდრე დიდის სხვა სიგლებში კათალიკოზი ბასილი არც გვხვდება... ამ საკითხთან დაკავშირებით ზემოდასახელებული ალექსანდრე მეფის 1362 წ. სიგლის სინამდვილეც გამოსარკვევია, რადგან ზემომოყვანილი არა ერთი გარემოება მას საეჭვოდა ჰქდის“ (ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ნაკვეთი I, 1928 წ., გვ. 59—60).

ახლახან ტექსტი გამოაქვეყნა ავ. კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ მ ა („მასალები XV—XVIII სს. ქართლისა და კახეთის საღროშოების ისტორიისათვის“. ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებული: „XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი“, 1964 წ., გვ. 138—139). კლიმაშვილიც აღნიშნავს, რომ საბუთს „თარიღად უზის ქორონიკონი მი — 1362 წ., რაც, ცხადია, შეცდომაა. არც ალექსანდრე მეფე და არც ბასილი კათალიკოსი ამ დროს ცნობილი არ არიან. საბუთს ვათარიღებთ პირობითად. აქ უნდა იგულისხმებოდეს კახეთის მეფე ალექსანდრე გიორგის-ძე (1476—1511 წწ.) ან — ალექსანდრე ლევანის-ძე (1574—1605 წწ.). საბარათიანოს მოხსენიება საბუთში XV საუკუნეზე ადრინდელ თარიღს გამორიცხავს“ (იქვე, გვ. 138).

უკანასკნელად საბუთის დათარიღების საკითხს შეეხო ჯ. ო ლ ი შ ვ ე ლ ი.

„გვაქვს ალექსანდრე II კახთა მეფის ორი სიგელი, დათარიღებული 1362 წლით. პირველი საბუთი ყმა-მამულის შეწირულების წიგნია, მიცემული ალექსანდრე მეფის, მისი მეუღლის დედოფალ თამარის (დედანში გასწორებულია თინათინად) და მის დავითის მიერ სევეტიცხოველისთვის (ბ. ი., Ad—614). საბუთში მოცემულია ალექსანდრეს მეფობის უცნაური ინდიკტიონი—15. მეორე საბუთი ალექსანდრე მეფე უმტკიცებს კათალიკოსს სევეტიცხოველის ყმების სარლობას (ბ. ი., Hd—1721, ქრონიკები, II, გვ. 187). საბუთის დამწერს სიტყვა ქორონიკონის ბოლო ასო „ს“, რომელიც მეორე სტრიქონის დასაწყისში გადაუტანია, 200-ს რიცხვით აღმნიშვნელადაც ჩაუთვლია და განმეორებით აღარ დაუწერია. ისე გამოდის, თითქოს ქორონიკონი არის მი და ამიტომ თ. ჟორდანია საბუთი 1362 წლისად მიუჩნევია. სრულიად უდავოა, რომ სიგელი ალექსანდრე II-ს ეკუთვნ

ნის. ამის დამადასტურებელია პირველ რიგში ხელრთვა, რომლის სხვა საბუთების ხელრთვებთან შედარებამ დაადასტურა, რომ იგი ალექსანდრე II-ს ეკუთვნის (ხ. ი., Ad—614, Sd—164). სიგელში ასახული დამოწმებული საქართველოს სურათი („ქართლსა, კახეთსა, საათაბაგოს, სომხეთს თუ საბარათიანოს, თრიალეთზედა, თუ იმერეთს“) ალექსანდრე II-ის ხანას ასახავს, ხოლო საბარათიანოს და სადროშოების მოხსენება XIV საუკუნეს სრულებით არ შეესაბამება...

...გრემის ეკლესიის წარწერის თარიღი, ზემოთ დამოწმებული საბუთების არეული თარიღები და ინდიკტიონები ერთგვარად ექვს იწვევენ. მაგრამ მიგვიტოთებენ, რომ ალექსანდრე ჯერ კიდევ ლევან მეფის შიერ ტახტის ქერის დროს მეფობას ეკიდებოდა, მეფის ტიტულს ისაკუთრებდა და რეალური ძალაც გააჩნდა. ან, ტახტისათვის ბრძოლაში გამარჯვებულმა ალექსანდრემ (მემკვიდრეობის წესით, მოკლული უფროსი ძმის გიორგის შემდეგ ტახტი მომდევნო ძმას იესუს ეკუთვნოდა) განზრახ მოახდენინა საბუთების თარიღთა ფალსიფიკირება“ (ალმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV—XVII სს.), კრებულში: XIV—XVII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, 1964, გვ. 102—103).

ჩვენ მართებულად მივიჩნით ზემოთ მოტანილი მოსაზრება საბუთის დათარიღებაზე.

ანალოგიური შინაარსისაა მცხეთის სასარდლოს განწესების 1720, 1749 და 1769 წლების წიგნები (იხ. აქვე, გვ. 333, 397, 418).

#### 50. წყალობის წიგნი გიორგი მეფისა კლიაშვილ-შალიკასშვილისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—8727; პირი; ქალაღი; მხედრულად ნაწერი.

ტექსტი გამოცემული აქვს შ. ბუ რ ჯ ა ნ ა ძ ე ს (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, წიგნი I, 1958 წ., გვ. 17—18). ჩვენს გამოცემაში ზოგიერთი ადგილი გასწორებულია.

#### 60. შეწირულების სიგელი კახთა მეფის ლეონისა სვეტიცხოველისადმი

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი - შ ე ი ლ ი ს რედაქციით, ტ. I, 1940 წ., გვ. 7.

#### 61. წყალობის წიგნი სვიმონ I-ისა გელეონ ელიოზისძისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd—527; დედანი; ქალაღი; 38,5×13,5 სმ; მხედრულად ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად ნახშირია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

საქართველოს სიძველენი, II, გვ. 126.

საბუთს თარიღად უზის ქორონიკონი 261 (1573 წ.).

#### 62. მალის ამოკვეთის წიგნი ალექსანდრე მეფისა დავით

ქორჯაძისადმი

იბეჭდება ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ი ლ ი ს გამოცემის მიხედვით (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, 1940 წ., გვ. 359—360).

**63. მამულების მფლობელობის განახლების წიგნი ალექსანდრე  
II-ისა სვეტაცხოველისადმი**

ტექსტი იბეჭდება ექ. თაყაიშვილის გამოცემის მიხედვით (საქართველოს სიძველენი, I, 1920 წ., გვ. 7—13).

**64. წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა როსაზ ჭენდიერიშვილისადმი**

ტექსტი იბეჭდება ექ. თაყაიშვილის გამოცემის მიხედვით (საქართველოს სიძველენი, I, I, გვ. 185—186).

**65. ბრძანება სვიმონ I-ისა შეკობრეთ-მძებნელის შესახებ**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1993; დედანი; ქალაღი; 34×15,5 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორაწერტილი, ხოლო სტრიქონის ბოლოს სწორი ვერტიკალური ხაზი; საბუთს თარიღად უზის ქორონიკონი 278 (1590 წ.).

**66. სისხლის განჩინების სიგელი სიმონ I-ისა მალაღაძეებისადმი**

ტექსტი იბეჭდება ელ. ფუთურიძის გამოცემის მიხედვით (ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 1955 წ., გვ. 45—47). მეტად მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლია, რომელიც ამტკიცებს, რომ ყველა სასისხლო სიგელი არ შეიძლება ნატყუარ საბუთად იქნეს მიჩნეული.

ამ სიგელისა და ბაგრატ კურაპალატის სამართლის დადგენილებათა მსგავსების შესახებ იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I, 1963 წ. გვ. 627—628.

**67. ჭიაურის ულუფის წიგნი ალექსანდრე II-ისა**

გამოქვეყნებულია:

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, 1940 წ., გვ. 361—362.

**68. მამულების მფლობელობის განახლების სიგელი ლევან დადიანისა  
ხოზის საყდრისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1551; დედანი; 151×21 სმ; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ეტრადი; მხედრულად ნაწერი. ჩვენს გამოცემაში სიგელის გრძელი ღმრთისმეტყველური შესავალი შემავალკეთ. სიგელს ბოლო აკლია. საბუთს ვათარიღებთ ლევან დადიანის მთავრად ყოფნის წლებით (1611—1657 წწ.).

**69. საკანონო გუჯარი თეიმურაზ I-ისა ალავერდისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—600; დედანი; ქალაღი; 31,5×17,6 სმ; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; მხედრულად ნაწერი, საბუთს თარიღი არა აქვს. 1612 წელი დადგენილ თარიღად არ მიგვაჩნა

და ამიტომ გამოცემაში კითხვის ნიშანი (?) უზის. ხელნაწერში ტექსტო მუხლებად დაყოფილი არ არის.

**70. წყალობის წიგნი სვიმონ II-ისა მანგლელ მთავარეპისკოპოს ათანასე ტატიშვილისადმი**

ტექსტი იბეჭდება ნ. ბერძენიშვილის გამოცემის მიხედვით (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, 1940 წ., გვ. 19—20).

**71. თბილელობის წყალობის წიგნი სვიმონ II-ისა ელისესადმი**

გამოქვეყნებულია:

Акты Кавказскою археографическою комиссиею. т. I, Тифлис, 1866 წ., გვ. 16. ჩვენს გამოცემაში უმკომპლექსი შეცვლილია უე-თი.

**72. მამულის სითარხნის წიგნი როსტომ მეფისა მერაბ უორღანაშვილისადმი**

ტექსტი იბეჭდება ნ. ბერძენიშვილის გამოცემის მიხედვით (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, 1940 წ., გვ. 23—24).

**73. მორღლის სარგოს წყალობის წიგნი როსტომ მეფისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი**

ტექსტი იბეჭდება ელ. ფუთურიძის გამოცემის მიხედვით (ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 1955 წ., გვ. 142—143).

**74. ყანუნლამა როსტომ მეფისა თბილისის ციხის კარზე ბაყის შესახებ**

ტექსტი იბეჭდება ელ. ფუთურიძის გამოცემის მიხედვით (ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 1955 წ., გვ. 148—149). შეადარე ეს საბუთი დასტურლამალის „ყაფანის რიგსა“ და „ჩელიეჟის ბაყს“ (აქვე, გვ. 282—285) და 1736 წლის „ქალაქის ბაყის, ყაფანისა და ციხის კარის შაროლამას“ (აქვე, გვ. 392—394).

**75. შეწირულების წიგნი როსტომ მეფისა სვეტიცხოველისადმი**

გამოქვეყნებულია:

Акты Кавказскою археографическою комиссиею. т. I, Тифлис, 1866 წ., გვ. 18.

ჩვენს გამოცემაში უმკომპლექსი წარმოდგენილია უე-თი.

**76. სითარხნის წყალობის წიგნი თეიმურაზ I-ისა ხოსროსადმი**

ტექსტი იბეჭდება ნ. ბერძენიშვილის გამოცემის მიხედვით (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, 1940 წ., გვ. 365—366).

**77. სითარხნის განახლების წიგნი როსტომ მეფისა ზაქარია რუსთველისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad—597; დედანი; ქალაღი: 34,5×21 სმ; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ მხედრულად ნაწერი; საბუთს თარიღად უზის ქორონიკონი 339 (1651 წ.).

**78. სადროშოს სარდლობის წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ანდუყაფარ ამილახორისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—2127; დედანი: ქალაღი; 48,5×29 სმ; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ სამწერტილია. თარიღად უზის ქორნიკონი 344 (1656 წ.).

**79. შეუვალობის წიგნი ვამეყ დადიანისა აფხაზეთის კათალიკოს სვიმეონ ჩხეტიძისადმი**

ტექსტი იბეჭდება ს. კაკაბაძის გამოცემის მიხედვით (დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. I, 1921 წ., გვ. 65—67) ვასწორებთ ტექსტს ზოგიერთ დამახინჯებულ ადგილს.

**80. შეწირულების წიგნი შაჰნავაზისა სვეტიცხოველისადმი**

ცსსა, ფ. 1448; № 1033; დედანი; ქალაღი; 33×16; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. თარიღად უზის ქორნიკონი 350 (1662 წ.).

**81. შეუვალობის წიგნი გიორგი გურიელისა აფხაზეთის კათალიკოს სვიმეონ ჩხეტიძისადმი**

ტექსტები იბეჭდება ს. კაკაბაძის გამოცემის მიხედვით (დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. I, გვ. 70—71). ჩვენს გამოცემაში ქარაგმები გახსნილია.

**82. მღივანბეგობის წყალობის წიგნი შაჰნავაზისა ვახტანგ ორბელაშვილისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd—536; დედანი; ქალაღი; 47,5×22,8 სმ; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი ორენოვანია; მხედრულად ნაწერი. თარიღად უზის ქორნიკონი 364 (1676 წ.).

**83. წყალობის წიგნი გიორგი XI-ისა ბეგთაბეგ შანშეან მარტეროზისშვილისადმი**

ტექსტი იბეჭდება ექ. თაყაიშვილის გამოცემის მიხედვით (საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909 წ., გვ. 100—102).

**84. წყალობის წიგნი გიორგი XI-ისა ზაალ დოღენჯიშვილისადმი**

ტექსტი გამოცემულია ექ. თაყაიშვილის მიერ (საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909 წ., გვ. 103).

**85. სითარხნის განახლების წიგნი ერეკლე I-ისა დავით-გარეჯისადმი**

ტექსტი ქვეყნდება ნ. ბერძენიშვილის გამოცემის მიხედვით (ლოკუმენტები საქართველოს სოციალურ ისტორიიდან, ტ. I, 1940 წ., გვ. 372—373).



88. თარხნობის გუქარი კახეთის ეპისკოპოსთა და დარბაისელთა დავით-  
გარეჯისადმი

გამოქვეყნებულია:

Акты Кавказскою археографическою комиссиею, т. I, Тифлис, 1866 წ., გვ. 25—26. ჩვენს გამოცემაში გუქარის გრძელი ლმობისმეტყველება შესავალი გამოტოვებულა.

გუქარში მოხსენიებული ხანია, რომელსაც ბრძანება გაუცია საერის ასაკით. არის ქალბალი ხანია, კახეთის გამგებელი 1695—1703 წლებში.

87. ბრძანება მეფისა საკათალიკოსო მამულების შეუვალობის შესახებ

გამოქვეყნებულია:

Акты Кавказскою археографическою комиссиею, т. I, Тифлис, 1866 წ., გვ. 28. საბუთი უთარილოა, არც ხელრთვა აქვს მეფისა. დაბეჭდილ ტექსტში საბუთს თარიღად 1707 წელი უზის, მაგრამ კიოხვის ნაშნით (?). საბუთი XVII საუკუნის მიწურულს ან XVIII საუკუნის დამდეგს უნდა იყოს შედგენილი.

88. ბრძანება ერეკლე I-ისა სამართლის ქმნის შესახებ

ტექსტი იბეჭდება თ. ყორღანისა გამოცემის მიხედვით (ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 518). უთარილო. ვათარლებთ ერეკლე I-ის მეფობის წლებით (1688—1703 წწ.). თუმცა ამაზე ადრინდელიც შეიძლება იყოს. რადგან, ერეკლე, ვიდრე ის საბოლოოდ დამკვიდრდებოდა ტახტზე გიორგი XI-თან ბრძოლაში, მანამდეც (ე. ი. 1688 წ.) იხსენიებს თავს მეფედ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლედ ის უფრო ხშირად სწორედ ამაზე ადრინდელ საბუთში იწოდება. ამის შემდეგ კი — უმთავრესად ნაზარალიხანად.

89. დასტურლამალი

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 131 ხელნაწერი. როგორც გადაწერის, მიჩვენა თუმანიშვილის, მინაწერიდან ჩანს იგი გადაწერილია 1729 წელს: „განსრულდა წიგნი ესე თვესა მკათათვის ა გასულს ქს უიჴ ქრისტეს აქათ ჩღვთ, ჴელითა თუმანიშვილის მირველ“ (გვ. 216).

დასტურლამალის 1729 წლის ხელნაწერი დაწერილებით აღწერა და გამოიკვლია ვ. გაბაშვილმა (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954 წ., გვ. 83—99).

ხელნაწერის ზომაა 31 $\frac{1}{2}$  × 20 $\frac{1}{2}$ . ხელნაწერი ჩასმულია ხის, ყვიფერ ტყავ-გადაკრულ ყდაში. ქალაქი მოთეთრო-მოყვითალო ფერისაა. კვირნიშანი: სვეტზე ამართული ორბუდიანი გვირგვინი თავზე გაკეთებული ჭვრით. სვეტს აქეთ-იქით უდგანან ამართული ლომები, სვეტში გამრავლების ნიშნის მსგავსი ხაზებია გავლებული, ხოლო მის ქვეშ მოყვანილია ლათინური ინიციალები: I (?) A. ზოგი ფურცლის კვირნიშანზე ლათინური ასოებით აღნიშნულია: I (?) rdel თუ Mardel, სიტყვის პირველი ასო ძნელად გასარკვევია.

ტექსტი დაწერილია ლამაზი ნუსხაზხედრული ხელით, შავი მელნით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი, ხოლო წინადადების ან დებულების ბოლოს—სამი წერტილი. სათაურები და გამოსაყოფი

ადგილები შესრულებულია სინგურით, მაგრამ 121 გვერდიდან მოყოლებული ზოლომდე, წიგნის ანდერძის გამოკლებით, სინგური აღარ იხმარება და ანც სინგურებია ცალკე გამოტანილი. აქ სათაური ტექსტის მარცხენა აშის გასწვრივ არი. მოთავსებული.

ხელნაწერში 216 გვერდია, გვერდში 19 სტრიქონია; ჰაგინაცია ახალია, ფაქტით გაკეთებული. ხელნაწერი დაყოფილია ფარდებად და რვეულებად. თითოეულ ფარდასა და რვეულში მოთავსებულია რვა-რვა ფურცელი, უკანასკნელი ფარდა და რვეული კი 6 ფურცლისაგან შედგება.

ხელნაწერი დაყოფილია 62 კარად. ტექსტის მინაწერები ნაჩვენებია ჩვენს გამოცემაში თავ-თავის ადგილას. ხელნაწერის წინა და უკანა ყდის შიგნით რამდენიმე მინაწერია, რომელიც შესრულებულია სხვა ხელითა და მელნით. ამ მინაწერებს დასტურლამალის ტექსტთან კავშირი არა აქვს.

ვ. ვ ა ბ ა შ ვ ი ლ ი სამართლიანად აღნიშნავს, რომ დასტურლამალის ამ ხელნაწერის დიდი ღირსება, გარდა სიძველისა, ის არის, რომ მან შემოგვინახა ატენის მოურავების სახევის თათო სამართლის წიგნი. ყულებების სია, თარიღები თის ბაჟის რიგი და სომხეთის მოურავის სარგო, რომლებიც დასტურლამალის სხვა ხელნაწერებში არ მოიპოვება. ამასთან ხელნაწერში ზოგი დებულების შინაარსი უფრო ვრცელია, ვიდრე დასტურლამალის სხვა ხელნაწერებში („კახეთისა და ქართლის სამძღვარი“). 1729 წლის ხელნაწერის შესწავლით ირკვევა დასტურლამალის ტექსტის მერმინდელი ჩანამატები. ამავე დროს ხსენებულ ნუსხას აკლია ზოგიერთი ისეთი გარიგება, რომელიც XVIII საუკუნის გვიანდელ ხელნაწერებშია და რომელიც ყველა ნუსხის მიხედვით ვახტანგ VI-ის დროს განეუთვნება („მეთოფეთ გარიგება“, „ცოხის ბაღისა“ და სხვ.).

1729 წლის ნუსხის მთავარი ღირსება ის არის, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დასტურლამალის თავდაპირველი შედგენილობის აღდგენის საქმეში. ხელნაწერში დატულია ძველის ზანდუკი, რომელიც დალაგებულია კარებად საგანთა შინაარსის კვალობაზე ტექსტის მიხედვით. დასტურლამალის დღემდე მოღწეულ ხელნაწერებიდან მხოლოდ 1729 წლის ნუსხაა კარებად დაყოფილი. ამ ხელნაწერში დასტურლამალი ძირითადად შენახულია იმ სახით, რა სახითაც იგი ვახტანგ VI-ის ხელიდან უნდა გამოსულიყო. მაგრამ იგი მაინც არ წარმოადგენს ვახტანგის დედნის ზუსტ გამეორებას. ამ ხელნაწერშიც დასტურლამალის შინაარსი აქა-იქ არეულია, ზოგან კარების თანმიმდევრობაც დარღვეული ჩანს, ზოგიერთი თავი აკლია, ჩანს, იგი გადაწერილია ნაკლები დედნიდან. ზოგი დებულება ან გარიგება დასრულებული არ არის, მხოლოდ სათაურია და ტექსტისათვის დატოვებულია ცარიელი ადგილი. ეს ხარვეზი შეიძლება ვახტანგის დედნიდანაც მომდინარეობდეს (ვ. ვ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 85—99).

ამრიგად, 1729 წლის ნუსხის აღმოჩენით დადასტურდა აკად. ივ. ჭავჭავაძის აზრი იმის შესახებ, რომ ვახტანგ მეფეს დასტურლამალი შინაარსის მიხედვით დაულაგებია, კარებად გაუყვია და თითოეული კარისათვის საგანგებო საგანი და განსაკუთრებული სათაურიც აურჩევია.

ხელნაწერის პირველი გვერდი იწყება ასე: „პირველი ფარდი: ა: რვეული: ა: შლით: ეშვიკას ბაშისა“.

შემდეგ იწყება დასტურლამალის ზანდუკი, რომელიც მეტად ძვირფასია იმ მხრივ, რომ იგი წარმოგვიდგენს დასტურლამალის ტექსტის თავდაპირ.

ველ შედგენილობას, აღადგენს ტექსტის კარებად დაყოფის თანმიმდევრობასა და კარების სათაურებს, რომლებიც ტექსტს აქა-იქ აკლია. ზანდუკი 62 კარისაგან შედგება. ზანდუკის კარებად დაყოფა, გარდა ორიოდ გამონაკლისისა, შეესაბამება ტექსტის კარებად დაყოფას. ეს გამონაკლისი შეეხება 55-ე და 56-ე კარს. ზანდუკში მეჯოგეთ-უხუცესის სახელო შეტანილია 55-ე კარში, ხოლო ტექსტში—56-ე კარში. ზანდუკის 56-ე კარის სათაურია: „სარქარბაშისა“, ტექსტში კი სარქარბაშის შესახებ არაფერია ნათქვამი.

დასტურლამალის ტექსტის ხმარების გასაადვილებლად ზანდუკის თითოეულ კარს ჩვენი გამოცემის გვერდები მივუწერეთ.

ჩვენს ხელნაწერში, რომლის ტექსტი 62 კარისაგან შედგება, დასათაურებელია მხოლოდ 14 კარი (1, 7, 10, 14, 15, 16, 17, 18, 19, 21, 24, 25, 38, 50). რაც შეეხება დანარჩენ კარებს, მათ სათაური არა აქვთ და ტექსტში მხოლოდ კარების სათვალავია აღნიშნული. ასეთ შემთხვევაში კარების სათაურები აღვადგინეთ როგორც ზანდუკის, ისე თვით ტექსტის შინაარსის მიხედვით.

ზანდუკის მიხედვით აღდგენილია სათაურები შემდეგი კარებისა: 2—6, 8, 9, 11—13, 20, 23, 26—35, 37, 39, 43, 45, 48, 49, 53, 54, 57—61.

ტექსტის მიხედვით აღდგენილია და ტექსტიდან გამოტანილია სათაურები 36, 40—44, 46, 47, 51, 52, 55, 56, 62 კარებისა.

კარები ქვესათაურებად იყოფა, მაგრამ ზოგიერთ კარს ყველა ქვესათაური არა აქვს. ჩვენ მიერ აღდგენილი ქვესათაურები ყველგან კაეებშია ჩასმული. ზოგი ქვესათაური კი ტექსტიდან გამოუყავით.

ხელნაწერის მე-14 გვერდი იწყება ასე: „ქ. კარი პირველი ყოვლის ქელჯოხინისა და მათის სარგოსი“. ეს დასტურლამალის პირველი კარის სათაურია და აქ სრულიად უადგილოდ არის ჩართული.

„კარი თ, ერბოს გარიგებისა“—ასე იწყება ხელნაწერის 48-ე გვერდი. მაგრამ ეს შეცდომაა, რადგან ზანდუკის მიხედვით და ტექსტის შინაარსითაც მე-9 კარით იწყება სადასახლოსის გარიგება. ერბოს გარიგება კი ამ კარის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

გადამწერის შეცდომით ნუსხის 74—84 გვერდების შემცველი ტექსტი ხელმეორედ გადაწერილია 95-ე გვერდის მე-7 სტრიქონიდან 105-ე გვერდის მე-9 სტრიქონამდე. ჩვენი გამოცემის 272—277 გვერდების სქოლიოებში მოტანილია სხვაობა ძირითად ტექსტსა და ხელახლა გადაწერილ ტექსტს შორის. პირველი აღნიშნულია **ა** ლიტერით, ხოლო მეორე—**ბ**-თი.

ხელნაწერის 77-ე გვერდის ბოლოს წერია: „კარი თ“, მაგრამ მე-19 კარის სათაური და ტექსტი, რომელიც ურბნისის რუს გამოსაღებს ეხება, ალბათ დედნის ფურცლების დაშლილობის გამო, გადატანილია 85-ე გვერდზე. ჩვენ აღვადგინეთ ტექსტის თანმიმდევრობა.

ჩვენი ნუსხის 83-ე გვერდზე წერია: „ქვეისთაეების რიგი. ქვეისთაეების რიგი ასრე არის“. აქ წყდება ტექსტი, რომლის დანარჩენი ნაწილი, ალბათ, დედნის ფურცლების დაშლილობის გამო, გადამწერს 104-ე გვერდზე გადაუტანია. ჩვენ აღვადგინეთ ტექსტის თანმიმდევრობა.

38-ე კარს ტექსტში სათაური არა აქვს, ხოლო ზანდუკის სათაური ამ კარისა ტექსტს არ შეესაბამება. ტექსტში ლაპარაკია ცხინვალის, რუისის და სამშვილდის გამოსაღების შესახებ, ზანდუკში კი 38-ე კარის სათაურია: „სომხითის სოფლებისა“.

ხელნაწერში (გვ. 185) 42-ე კარის ტექსტი ასე იწყება: „ყოფორზე ტუბილი ზიდის ულაყი ასრე აწერია“. ეს ტექსტი ჩვენ სათაურად გამოვყავით. ამ კარის სათაური ზანდუქშიც ასეთივეა: „ყოფორზედ ტუბილის მიტანისა“. მაგრამ დასახელებული კარის სათვალავი — „კარი მბ“ ტექსტში თავის ადგილას არ არის.

ტექსტში ორი დამატებითი კარის სათაური შევიტანეთ. „მდივანბეგის გარეგება“, რომელიც სრულიად დამოუკიდებელ საგანს შეეხება, ნუსხაში შეცდომა შეტანილია მე-15 კარში, ხოლო ამ კარის სათაურია: „ყაბებისა თუ რა უნდა მოცეს გასაკეთებლად“. აშკარა შეუსაბამობაა. მდივანბეგის გარიგება აქ სრულიად უადგილო ჩანს, რის გამო იგი ცალკე მე-15<sup>1</sup> კარად გამოვყავით და ტექსტის შინაარსის მიხედვით მუხლებად დავყავით.

იგივე უნდა ითქვას „ბოქაულთ-ხუცებისა და დავთარხანის იასაულების“ სახელოს შესახებ, რაც სრულიად უმართებულოდ შეტანილია იმავე მე-15 კარში. ყაბების რიგს რომ ეხება. ჩვენს გამოცემაში ეს ტექსტი 15<sup>2</sup> კარად გამოვყავით. ხელნაწერის 40, 83, 84, 126, 156, 163, 166, 168, 177, 197, 204 გვერდებზე გადაშწორის ტექსტისათვის ცარიელი ადგილი დაუტოვებია.

ჩვენი ნუსხის ზოგიერთი ფურცლის ბოლო, რომელზეც ტექსტი არ ყოფილა, შემდეგ მოუხევიათ (39, 77, 91, 134, 203, 215).

ტექსტში ზოგჯერ გვხვდება ასეთი მითითება: „როგორც ზემო დაგვიწერია“, „როგორც ქვემოთ დაგვიწერია“. ყველა ასეთ შემთხვევაში მითითებული გვაქვს შესაბამისი კარი, რაც ჩამუშავებულია კავეებში.

დასტურლამალის გვიანდელ ხელნაწერებში გვხვდება ტერმინი „თავილდარი“, რაც შერყენილი ფორმაა; უნდა იყოს „თაჰვილდარი“. ჩვენს ხელნაწერში „თაჰვილდარი“ მხოლოდ ერთხელ გვხვდება (გვ. 22). ყველა სხვა შემთხვევაში გადაშწორი „3“-ს კუმშავს და წერს „თავილდარი“, რაც აგრეთვე სწორი ფორმაა. ერთგვარობის შენარჩუნებისათვის ყველგან „თავილდარი“ დავტოვეთ.

ჩვენს გამოცემაში რიცხვის აღმნიშვნელი ასოები როგორც ზანდუქში, ასევე ტექსტშიც შეცვლილია ციფრებით.

ხელნაწერის ქანწილებს არ ვიცავთ, ვასწორებთ უხეშ ორთოგრაფიულ შეცდომებს, უმთავრესად „ქ“-ის უადგილო ხმარებას.

დასტურლამალი, როგორც ცნობილია, შედგენილია ვახტანგ VI-ის მიერ. ამიტომ ძეგლს სჯულმდებელი მეფის სახელი აქვს მიკუთვნებული. მაგრამ დასტურლამალის ტექსტის შესწავლა ცხადყოფს, რომ დასტურლამალში შეტანილი ყველა საკანონმდებლო მასალა ვახტანგ VI-ის არ ეკუთვნის. ძეგლში შეტანილია XVII საუკუნეში შედგენილი განწესებანი და გარიგებანი.

დასტურლამალი სხვადასხვა დროს შედგენილი დასტურლამების ანუ გარიგებათა წიგნების კრებულს წარმოადგენს. ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა იქნეს დასტურლამალის წყაროების შესწავლის დროს.

დასტურლამალის ტექსტში დაცულია რამდენიმე მითითება XVII საუკუნეში შედგენილ გარიგებათა შესახებ, რომლებიც თითქმის უცვლელადაა შეტანილი ამ საკანონმდებლო ძეგლში. ზოგიერთი ასეთი გარიგება მთლიანი საკანონმდებლო აქტის სახითაა შემონახული. ასეთია მაგალითად, 1704 წელს ლევან მეფის მიერ შედგენილი „მდივანბეგის გარიგება“ (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 267—269). გარიგების შესავალში ნათქვამია, რომ „ესე მტყიცე და მოუშლელი მდივანბეგობის წესი და რიგი, დასტურლამა გიბოძეთ“. გარიგებას ბოლოს ასეთი თარიღი უზის: „ქრონიკონს ტებ, ენკენისთვის კე, დაწერა ჰრძანება ესე“.

დასტურლამალის 39-ე კარში, რომელიც ყაიყულის გამოსაღებს ეხება, და-  
ცულია გიორგი მეფის მიერ შედგენილი ყაიყულის ვარიგება (იხ. გვ. 309--310).  
ტექსტში ამ ვარიგებას ასეთი სათაური აქვს: „ყაიყულის, მეფის გიორ-  
გის ვარიგებულნი, სამოურავო საქმე ასრე არის“, რასაც  
მოსდევს ვარიგების ტექსტი.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ მხოლოდ 1729 წლის ნუსხამ შემოგვინა-  
ხა სახევისთაო სამართლის წიგნი. დასტურლამალის სხვა გვიანდელ ნუსხებში  
ხევისთავეების ვარიგება დაცული არ არის.

ამ საკითხთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: „საქართველოში სასო-  
ფლო პოლიციის მოვალეობა, ქურდების და დაკარგულის აღმოჩენა XVII—  
XVIII სს. ხევის ბერებს ებარათ. ეს მოვალეობა სამართლის ისეთი დარგი იყო,  
რომ სახელმწიფოსაცა და მართლმსაჯულებასაც ეხებოდა და ამის გამო საქმე შეი-  
ძლებოდა არეულიყო, ამიტომ ვახტანგ VI ეს დარგი გამოაოცალ-  
კევა და განსაჯუთრებული „სახევისთაო სამართლის  
წიგნი“ შედგენა და აპირა... სამწუხაროდ მასალებიდან არა ჩანს,  
დასცალდა თუ არა ვახტანგს ამ თავისი განზრახვის ასრულება? ცხადია, მაინც,  
რომ ცალკე სახევისთაო სამართლის წიგნის დაწესებით ვახტანგ VI ქართული სა-  
პოლიციო სამართლის შემქმნელი იქნებოდა“ (ქართული სამართლის ისტორია,  
I, 1928 წ., გვ. 81).

ღიახ, დაუღალავ ვახტანგ მეფეს, როგორც დასტურლამალის ჩვენი ნუსხიდან  
ჩანს, თავისი განზრახვა შეუსრულებია—სახევისთაო სამართლის წიგნიც შეუდგე-  
ნია და ამრიგად ქართული საპოლიციო სამართლის შემქმნელიც გამხდარა. ხევის-  
თავეების ვარიგების წიგნი ჩვენს ნუსხაში შეტანილია 61-ე კარში (იხ. ჩვენი გა-  
მოცემის გვ. 323).

დაბოლოს საჭიროა შევეხოთ ქართული დასტურლამალის სპარსულ წყარო-  
ებთან დამოკიდებულების საკითხს.

დასტურლამალი არაბულ-სპარსული სიტყვაა, ქართულად „ვარიგების წიგნი“  
ნიშნავს. ეს ტერმინი, ბევრ სხვა სპარსულ სამოხელეო ტერმინთან ერთად, XVI:  
საუკუნეში, როსტომ მეფის დროს, შემოვიდა და დამკვიდრდა ქართულ დიპლო-  
მატიკაში.

ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი, რომ ქართული „დასტურლამალი“  
სპარსული დაეთრების მიბაძვით არის შედგენილი. ცნობილი ისტორიკოსი დ. ბაქ-  
რაძე წერდა: „ვახტანგის სამართალი და იმასთანავე „დასტურლამალი“, რომე-  
ლიც, როგორც ფიქრობენ, ამ დროსევა შედგენილი სპარსეთის სახელ-  
მწიფო დავთრების მიბაძვით, შეიკავს მთელს სურათს საქართვე-  
ლოს გამგეობისას“ (ვახტანგ VI, გვ. 26).

ცხადია, ამ აზრს დღეს არაეინ იზიარებს. ვახტანგის სამართალი და დასტურ-  
ლამალი ქართული ეროვნული სამართლის უმნიშვნელოვანესი საყანონმდებლო  
ძეგლებია.

ქართული დასტურლამალის სპარსულ წყაროებთან ურთიერთობის საკითხს  
ეხება ივ. ჯავახიშვილიც.

„რაი სიტყვა „დასტურლამალი“ არაბულ-სპარსული სიტყვაა, შეიძლებოდა  
გვეფიქრა, რომ თვით ეს ვახტანგის წიგნიც სპარსული ამგვარისავე თხზულების  
მიბაძვით ყოფილიყოს შედგენილი, მაგრამ სპარსულად ამნაირი ნაწარმოები არ  
არსებობს, მხოლოდ ერთ სპარსულ XIX საუკუნის ისტორიკოსს თავის წიგნის ბო-

ლოს სპარსეთის ყველა მოხელეთა ნუსხა აქვს დართული, მაგრამ ვახტანგის დასტურლამალსა და იმ ნუსხას შორის დიდი მზღვარი ძეგს“ (ქართული სამართლის ისტორია. წიგნი I, ნაკვეთი I, 1928 წ., გვ. 80).

ვ. გაბაშვილის სამართლიანი შენიშვნით, სახელოვანი მეცნიერის ეს აზრი დღეს, როცა უკვე აღმოჩენილია სპარსული დასტურლამალი, ერთგვარ შესწორებასა და დაზუსტებას საჭიროებს.

1924 წელს ბრიტანეთის მეზუემს შეუძენია ერთი სპარსული ნაწარმოები, რომლის სათაურია: „თ ა ზ ქ ი რ ა თ ა ლ-მ უ ლ უ ქ“ („მეფეთა სახსოვარი“). ეს წიგნი სეფიანთა ერანის სახელმწიფო წყობილების აღწერილობას შეიცავს. 1943 წელს ვ. მინორსკიმ გამოსცა ამ ნაწარმოების სპარსული ტექსტი, ინგლისური თარგმანი, შესავალი წერილთურთ და ვრცელი კომენტარებით (Tadhkirat al-muluk, a manual of Sufavid administration, Persian text in facsimile, with Translation and Commentary by V. Minorsky, London, 1943).

ეს ძეგლი შედგენილია 1725 წლის ახლო ხანში. ასეთი გარიგების წიგნები მანამდეც არსებობდა სპარსეთში. ჭერ კიდევ უზუნქასანის (XV საუკ.) და თამაზ I-ის (1524—1576 წწ.) დროს შედგენილი ყოფილა „დასტურ ალ-ამალ“-ები, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

ვ. მინორსკი ქართული დასტურლამალის ზოგიერთ ფრაგმენტს, რომელიც მისთვის საგანგებოდ უთარგმნიათ ინგლისურად, ადარებს 1725 წლის სპარსულ დასტურლამალს და ასეთ დასკვნას აკეთებს: „ეს წიგნი გამოკრებულად გამოსატყვის საქართველოს სამეფოს აღმინისტრაციას, რომელსაც სუზერენული სპარსეთის ინტიტუტებისა და ტერმინოლოგიის ძლიერი გავლენა ეტყობა. თავისი შინაარსით იგი თაზქირათ ალ-მულუქის იდენტურია, ოღონდ თარიღის მხრით კი ამაზე ცოტა ადრინდელი“ (იქვე, გვ. 205).

1725 წლის სპარსული დასტურლამალისა („თ ა ზ ქ ი რ ა თ ა ლ-მ უ ლ უ ქ“) და ქართული დასტურლამალის (1729 წლის ნუსხის) შინაარსის შედარებითი განხილვა წარმოდგენილია ვ. გაბაშვილის ვრცელ სტატიის—„სპარსული დასტურლამალი“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXV, 1949 წ., გვ. 191—219). ავტორი დაწერილებით და საფუძვლიანად იხილავს ამ ორი ძეგლის ურთიერთობის, მათი მსგავსება-განსხვავების საკითხს.

„ქართული დასტურლამალის პირველ შვიდ კარში მოხსენებული სამოხელეო სახელები და დაწესებულებები თითქმის უკლებლივ გვხვდება „თ ა ზ ქ ი რ ა თ ა ლ-მ უ ლ უ ქ შ ი...“

მე-8 კარიდან დაწყებული, ვიდრე 24-ე კარამდე ლაპარაკია ქართულ სახელმწიფო გადასახადებზე, ფეოდალურ გამოსაღებებსა და ვალდებულებებზე (მუშაობა), ქართლის აწერის წესებსა და ქართლისა და კახეთის საზღვრებზე. მე-8—23 კარის თითოეული გარიგების წიგნი ქართული მასალების მიხედვითაა შედგენილი, თვით ტერმინებიც კი, მაგალითად სახელმწიფო გადასახადების სახელები (კოდის-პური და სხვ.), უპირატესად, ქართულია, ოღონდ მე-11, 12, 13 და 15 კარის გარიგებათა შინაარსი მკიდროდ უკავშირდება ერანული ქარხნის ნაზირის დაწესებულებებსა და ერანისავე მეჯლის-პურობის მეურნეობას.

24—25 კარის შინაარსი ქალაქის რიგისაა. ქალაქის რიგის ზოგიერთ დანაწერს არა მარტო ეტყობა ერანის საქალაქო წყობილების გავლენა, არამედ იქ ისეთი სპარსული დაწესებულებაც კი არის აღწერილი, როგორც ქალაქის ზარაფხანა იყო.

კარი 26—„ელის გამოსაღების რიგისა“,—ეხება ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით მოწესრიგებულ ელია ხალხის (მომთაბარე—მეჭოვე თურქული ტომების) სახელმწიფო და სხვა რიგის მოქალაქეობა-ვალდებულებებს.

26—41 კარი შეიცავს სამეფო სახასო სოფლების დებულებებსა და სოფლო-მობეღეთა გარიგებისა და სარგოს წიგნებს. ყველა გარიგების წიგნი ორიგინალურია, ქართულია. მარტო ეს საქმარისია იმისათვის, რომ მოიხსნას ქართული დასტურლამალისა და „თაზქირათალ-მულუქის“ შინაარსთა იდენტურობის საკითხი. დასახელებულ გარიგებისა თუ სარგოს წიგნებში სოფლის მობეღეთა სახელებიც ქართულია (მაგ., მოურავი, მამასახლისი, ნაცვალი): ქართულივეა სამოხელეო გამოსაღებთა ტერმინები: თავისგასამტეხლო, საქვირო, სამობაო ძღვენი, სააღდგომო, სამასპინძლო; აქვე უნდა აღინიშნოს არა ქართული, მაგრამ ძველ დროს შეთვისებული: კულუხი, ღალა, მალი. საზოგადოდ სამოხელეო და სავადსახადო სახელები ქართულია ყველგან, სადაც არ იგრძნობა ერანული წყობილების თუ წესების გავლენა.

42—46 კარშიც ქართულ ფეოდალურ ვალდებულებებზეა საუბარი.

47—61 კარი უქირავს მობეღეთა სარგოს წიგნებს. აქ ჩამოთვლილ მობეღეთა დიდი უმეტესობის სამოხელეო სახელები სპარსულ-თურქულია. მეტად საყურადღებოა, რომ კარის მობეღეთა ჯამაგირისა და სარგოს აღმნიშვნელი სახელებიც აომოსავლური წარმოშობისაა: რუსუმი, ღეშალიკი, ჰაჰასალა.

62 კარით, რომელშიც თრიალეთის საზღვრებია აღწერილი, სრულდება ქართული დასტურლამალი.

ამრიგად, დასტურლამალის 47 კარი თითქმის მთლიანად ქართული მასალებისაგან შედგება, მათი შინაარსი ქართული სახელმწიფოს და ფეოდალური საზოგადოების თავისებურებათა გამომხატველია. მხოლოდ 11 კარის შინაარსს მეტნაკლებად ეტყობა სპარსულის გავლენა. დასტურლამალის ამ ნაწილში ზოგი თანამდებობა აშკარად ყიზილბაშურია, ზოგიც „შერეული წესის“ (ქართულ-ყიზილბაშური) მატარებელია, ზოგსაც სახელი ყიზილბაშურ ყაიდაზე აქვს შეცვლილი, თვითონ სახელის თვისება-შინაარსი კი ქართულია“ (იქვე, გვ. 207—208).

ქართული და სპარსული დასტურლამალის შედგენილობის დაწვრილებითი განხილვის შედეგად ვ. გაბაშვილი დაასკვნის:

„ამრიგად, ყველა ზემოაღნიშნულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ: ქართული და სპარსული დასტურლამალის აგებულება-შედეგენილობა ძირითადად ერთიმეორისაგან განსხვავებულია.

შედგენილობის იგივეობა დასტურდება მხოლოდ: ა) სასახლის მობეღეების დაწესებულებათა და ქარხნების შესახებ ნაკვეთების (შდრ. ქართული დასტურლამალის კარი 4, 5 და 6; სპარსული დასტურლამალის კარი III, §§ 33—49); ბ) ქალაქის რიგის გარიგებათა (შდრ. ქართ. დასტურლამალის კარი 24 და 25; სპარსული დასტურლამალის კარი V) და გ) მოხელეთა ჯამაგირისა და სარგოს შესახებ მასალის განაწილებაში. სხვა მხრივ (კარების რაოდენობა, სათანადო თავების დასათაურების წესი, მობეღეთა სიები და სხვ.) ქართულ დასტურლამალს არაფერი აქვს საერთო სპარსულ დასტურლამალთან.

კიდევ უფრო დიდი განსხვავებაა ქართულ და სპარსულ დასტურლამალს შორის შინაარსის მხრით. შინაარსობრივად რამდენადმე იდენტურია მხოლოდ: ა) უშიკადასბაშის, მეითარის, ნაწილობრივ ქარხნის

ნაზირის, მდივანბეგის, ყულარადასის და ქალაქის მოურავის სამოხელეო ფუნქციები; ბ) კარის მოხელეობის ჯამგირებისა და სარგოს ზოგიერთი სახეობანი (რუსეთი, პამასლა, ინამი, დუშალიკი); გ) ერანის შაჰის სასარგებლოდ დაწესებული გამოსადებები და „ყიზილბაშური“ რიგის გადასახადები (ხარჯი, ფადიშაჰი, ბარხანე, ნავრუზანა, ფეშაჰი, ჩობანბეგი). მაგრამ ყველაფერი ეს აღებულია არა სპარსული დასტურლამალებიდან, ან გვეთებული „სპარსული დავთრების მიბაძვით“, არამედ აიხსნება სეფიანთა ერანის სახელმწიფო წყობილების უეკველი გავლენით. ამ „გავლენის“ ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა ძნელი არ იქნება, თუ გავიხსენებთ ერან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას XVI საუკუნიდან მოკიდებული და, განსაკუთრებით, როსტომ ხანის პოლიტიკის მიზანსა და მისი სამოხელეო „რეფორმის“ შედეგებს.

ქართული და სპარსული დასტურლამალების ერთმანეთთან შედარება-შეწამებით დასტურდება, რომ ქართული დასტურლამალი ორიგინალური ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლია (იქვე, გვ. 216—217).

დასტურლამალის 1729 წლის ნუსხა ჩვენამდე მოღწეული უძველესი ტექსტია, რომელიც, მართალია, დედანი არ არის, მაგრამ ამ ძეგლის სხვა ხელნაწერებთან შედარებით დედანთან ყველაზე ახლო არის როგორც მისი გადწერის დროს, ისე რაც მთავარია, საკანონმდებლო მასალის თავდაპირველი განლაგების მიხედვით. ამიტომ 1729 წლის ნუსხას, სანამ დედანი არ აღმოჩენილად, დასტურლამალის ტექსტის დადგენისათვის დედნის მნიშვნელობა აქვს. იგი საფუძვლად უნდა დაედოს დასტურლამალის ტექსტის კრიტიკულ გამოცემას. სხვა გვიანდელი და საკმაოდ შერყენილი ხელნაწერები ამ ძვირფასი ნუსხის მიხედვით უნდა შემოწმდეს და გაიმართოს.

მხოლოდ ჩვენი ნუსხის მიხედვით შეიძლება გამოარკვეული და აღდგენილი იქნეს დასტურლამალის პირვანდელი სახე და შინაარსი.

დასტურლამალის კრიტიკული ტექსტის გამოცემა ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ივ. სურგულაძე ამზადებს. ტექსტზე მუშაობა, რამდენადაც ვიცი, უკვე დამთავრებულია. ავტორმა მოამზადა ვრცელი გამოკლევა, რომელიც დაერთვის დასტურლამალის ტექსტის ახალ გამოცემას.

იმის გამო, რომ დასტურლამალის ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლისას 1729 წლის ნუსხა ინარჩუნებს დამოუკიდებელი პირველწყაროს მნიშვნელობას, მისი ცალკე გამოცემა „ქართული სამართლის ძეგლების“ წინამდებარე სერიისი არა მარტო მიზანშეწონილია, არამედ აუცილებელიც.

**90. ბრძანება ვახტანგ VI-ისა ორბელიშვილთა სახლში საუფროსოს აუღებლობაზე**

ტექსტი იბეჭდება ექ. თაყაიშვილის გამოცემის მიხედვით (საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909 წ., გვ. 327). საბუთი უთარილოა; ვათარილებმა ვახტანგის ზეობის წლებით (1703—1724 წწ.).

**91. წყალობის წიგნი ვახტანგ VI-ისა ავთანდილ მოურავიშვილისადმი**

ტექსტი იბეჭდება ვლ. ფუთურაძის პუბლიკაციის მიხედვით (ქართულ სპარსული ისტორიული საბუთები, 1955 წ., გვ. 423—425).



**02. წიგნი იმამყულიხანისა ალავერდელ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილისადმი  
რუსთველისათვის ბისონის წყალობის შესახებ**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—328; დედანი; 40×27 სმ; მხედრულად ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი; ტექსტი ახლახან გამოაქვეყნა აკ. კლიშიაშვილმა (XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, 1964 წ., გვ. 147—148).

**03. წიგნი რუსუდან დედოფლისა კათალიკოზ დომენტისადმი ტყვის-  
სყიდვის აკრძალვაზე**

ტექსტი იბეჭდება გამოცემით: Акты Кавказскою археографическою комисиєю, т. I, Тифлис, 1866 წ., გვ. 55.

**04. ქარვასლის შეუვალობის წიგნი ბაქარ მეფისა ჭვრის მონასტრისადმი**

დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, წიგნი პირველი, შეადგინეს ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძენიშვილმა, 1962, გვ. 119--120. საბუთში მოხსენიებული გიორგი მეფის ნაბოძები წიგნი, რომელიც ჭვარის მამას პართენის გაყოლია, ანალოგიური შინაარსისაა (იხ. იქვე, გვ. 98).

**05. მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნი ვახტანგ VI-ისა**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—2407; დედანი; ქალაღი: 32,5×25,8; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; თარიღად უზის ქორონიკონი 408 (1720 წ.).

**06. საწირავის გარიგების სიგელი დავით იმამყულიხანისა ხარკაშო-  
სადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—321; დედანი; ქალაღი: 60×25,5 სმ; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; მხედრულად ნაწერი; თარიღად უზის ქორონიკონი 409 (1721 წ.).

**07. ღმრთეების გუჯარი**

ტექსტი იბეჭდება ს. კავაბაძის გამოცემისა (ისტორიული საბუთები, წიგნი I, 1913 წ., გვ. 3—42) და ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული კათალიკო. კალისტრატე ცინცაძის ფონდის ხელნაწერის მიხედვით. ს. კავაბაძის გამოცემა აღნიშნულია A ლიტერით, ხოლო ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა—B-თი.

ს. კავაბაძის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი დედანია, მაგრამ არაკრიტიკული და გაუმართავი, შენარჩუნებულია ხელნაწერის ორთოგრაფია, პუნქტუაცია და პარაგმები.

ჩვენს გამოცემაში ტექსტი აქა-იქ შესწორებულია, დაყოფილია აბზაცებად და

გამართულია სასვენი ნიშნების ხმარების თანამედროვე წესის მიხედვით. სხვა-  
ბა A-სა და B ტექსტს შორის ნაჩვენებია სქოლიოში.

ტექსტში ხმარებული „ლ“ თების, „ლ“ თეების, „მლ“ თების ფორმებზე ჩვენს გამოცემაში ყველგან გასწორებულია „ლმრთაების“-ად. ლმრთაების გუჟარს მისი შემდგენელი „ლმრთაების გუჟარს“ ანუ ლმრთაების ძვირფას თვალს უწოდებს.

ლმრთაების გუჟარი წარმოადგენს ქართული დიპლომატიკის უნიკალურ ნიმუშს: ტექსტი დაყოფილია 5 კარად. თითოეული კარი თავისებურად საინტერესოა კოსმოგონიის, ლმრთისმეტყველების, ფილოსოფიის, მარტყოფის ეკლესიის ისტორიისა და მრავალი სხვა თვალსაზრისით. საბუთში აღნიშნულია იმამყულიხანის მეფობის ინდიკტიონი, მისი წლოვანება, მისი ავადმყოფობა და სიკვდილი. ძველი შეიყავს მდიდარ მასალას ქართული სახელმწიფო წყობილების (სამეფო მოხელეები) და სხვა საკითხების შესასწავლად.

### 118. განწესება სარუსთველო დროშისა

ტექსტი იბეჭდება ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოცემისა (ისტორიული საბუთები, წიგნი I, 1913 წ., გვ. 42—45) და ხელნაწერთა ინსტიტუტის Sd—2182 პირის მიხედვით. ს. კაკაბაძის გამოცემა აღნიშნულია A ლიტერით, ხოლო ხელნაწერთა ინსტიტუტის — B-თი.

როგორც ს. კაკაბაძის გამოცემიდან ჩანს, ტექსტი ამ განწესებისა დართული ჰქონია წინა საბუთს (ლმრთაების გუჟარს). ორივე საბუთი შეკრული ყოფილა ერთიანად და ბოლოშიც, ბეჭდების შემდეგ, სხვა ხელით ორი ასეთი მინაწერი ჰქონია:

„ქ. მე, ყოვლად უღირსმან რუსთველ მეტროპოლიტმან დომენტიმ ეს ლთაების გუჟარი დაშლილი იყო და შევაკერევინ და გავაკეთებინე. ვინცა ვინ იხილავდეთ, ლოცვით მომიხსენიებდეთ მქდომარეობასა ჩემსა ხარისხსა ამას ზედა წელსა მეორესა, ხოლო ქრისტეს აქეთ გარდასულთა წელთა რიცხსა ჩლზ, ქკს უკდ“.

„ქ. მე, რუსთველს ჩანდიერიშვილს დომენტის შემიწირავს ქალაქს ტფილისისას სასახლეს. ჩემი ნაშოვნი და ჩემგან აშენებული, მარტყოფის მღვთაებისათვის. რამანც ანუ ჭემწიფემ ანუ თვადმა და სხვამ ვინმე გამოსწიროს, რისხვიდეს პირი მღვთისა და მამა ანტონი. ვინცა ვინ მქდომარე იქმნებოდეთ, ლოცვათა შინა მომიხსენებდეთ. ამ სახლის სიგელი და განაჩენიც მომირთმევიო მღვთაებისათვის. საქართველოს პატრიარქის ბატონისშვილის დომენტის ბეჭედი და ქართველი ეპისკოპოზისა და დარბაისელთ ბეჭდები და მოწმობა არის ამ სახლის სიგელში. ქრისტეს აქეთ ჩლმ“.

ხეულად: რუსთველი დომენტი.

განწესების ტექსტი მინაწერებითურთ ლმრთაების გუჟართან ერთად დაყულოა აგრეთვე ჩვენ მიერ ზემოთ მითითებული კათალიკოს კალისტრატე ცინცაძის ფონდის ნუსხაშიც, რომელიც დედნიდან გადაწერილ პირს წარმოადგენს. ჩვენი ტექსტის ხსენებულ ხელნაწერთან შეჯერებისას გამოირკვა მათი იგივეობა და ამიტომ ეს ნუსხა ცალკე ლიტერით აღარ აღვნიშნეთ.

### 119. წუალობის წიგნი ვახტანგ VI-ისა ტფილისის მოსახლეობისადმი

ტექსტი იბეჭდება ნ ი კ ო ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა და მ ა მ ი ს ა ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემის მიხედვით (ლოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის,

I, 1962 წ., გვ. 125). ჩვენს გამოცემაში შესწორებულია ერთი დამახინჩებული ადგილი, ქარაგმები გახსნილია და პუნქტუაცია განსხვავებულია.

**100. მოურავობის წყალობის წიგნი კონსტანტინე მეფისა საჯვარელ ჩოლოყაშვილისადმი**

ტექსტი იბეჭდება გამოცემით: Акты Кавказскою археографическою комиссией, т. I. Тифлис, 1866 წ., გვ. 36 — 38. ტექსტი გავმართეთ; „უძ“ კომპლექსი „უძ“-თი შეცვალეთ.

**101. ქალაქის ბაჟის, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა**

ტექსტი იბეჭდება შ. მ. ე. ს. ი. ა. ს. გამოცემის მიხედვით (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, 1954 წ., გვ. 75—77). შართლამის ტექსტი დართული აქვს „დასტურლამალის“ ნუსხას, გადაწერილს თამაზ ქობულაშვილის მიერ. შეადარე შართლამა როსტომ მეფის 1639 წ. ყანუნლამას (აქვე, გვ. 216—217) და დასტურლამალის „ყაფანის რიგსა“ და „ჩელიეჟის ბაჟს“ (აქვე, გვ. 282—285).

**102. ბისონის წყალობის წიგნი თეიმურაზ II-ისა ნეკრესელისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—329; დედანი: ქალაღი: 45×24.8 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი, ხოლო აბზაყის ბოლოს ორწერტილი ხაზით (:-). თარიღად უზის 1740 წ.

გამოქვეყნებულია:

ა. კლიშიაშვილი, მასალები XV—XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშობის ისტორიისათვის (კრებული: XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, 1964 წ., გვ. 149—150).

**108. სამწყსოს განახლების სიგელი ერეკლე II-ისა წილენელ ქრისტეფორესადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—590; დედანი: ქალაღი: 31×25 სმ; მხედრულად ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

**104. მცხეთის სასარღლოს განწესების წიგნი თეიმურაზ II-ისა**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—13658; დედანი: ქალაღი: 51×23 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი; თარიღად უზის ქორონიკონი 437 (1749 წ.)

გამოქვეყნებულია:

ა. კლიშიაშვილი, მასალები XV—XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშობის ისტორიისათვის (კრებული: XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, 1964 წ., გვ. 140).

**105. გუჟარო ერეკლე II-ისა და ანტონ I-ისა წინოწმინდელის პატივისა და ადგილის შესახებ დარბაზობის დროს**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd—3028; პირი: გადაწერილი დ. ბაქრაძის მიერ და შეტანილი მისივე კრებულში. დაბეჭდილ ტექსტში თარიღი (1749 წ.) შეც-

დომითაა. საბუთის დაწერის დროს თეიმურაზ II გარდაცვლილია. საბუთს ვათარილებთ ანტონ I-ის მეორედ კათალიკოზობის წლებით (1763—1788 წწ.).

გ ა მ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი , არქეოლოგიური მოგზაურობა, I, 1907 წ., გვ. 85—88.

**106. ქალაქის მოურავობის წყალობის წიგნი თეიმურაზ II-ისა გვიამილახორისადმი**

ტექსტი იბეჭდება ნიკო ბერძენიშვილისა და მამისა ბერძენიშვილის გამოცემის მიხედვით (დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, 1962 წ., გვ. 242—243).

**107. წიგნი პაატა აბაშიძისა ბეჟან ნახუცვარიშვილისადმი ტაშის-კარის ბაჟის მიზარების შესახებ**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—13828; დედანი; ქალაღი; 31×13 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

**108. ნუსხა ტაშის-კარის ბაჟისა**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—14541; ქალაღი; 33,5×11,5 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ხან წერტილი და ხან ორწერტილი. ეს და წინა საბუთი გამოაქვეყნა ო. ს ო ს ე ლ ი ა მ (მასაღები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29, 1951 წ., გვ. 58—59).

**109. ზემო ქართლის მორიგე ლაშქრის ნუსხა თეიმურაზ II-ისა, ოქმით იასაულისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—8723; დედანი; ქალაღი; 87×16 სმ; მხედრული ხელით ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. ტექსტი დაბეჭდილია აკ. კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი ს მიერ (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, 1963 წ., გვ. 203—204).

**110. ბრძანება თეიმურაზ II-ისა ალავერდელის პატივისა და რიგის საქმეზე**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—232; ქალაღი; 40,5×15,5 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. თარიღად უზის ქორონიკონი 440 (1752 წ.).

**111. განწესება თეიმურაზ II-ისა საკერემლო სამწყსოს მიზარების შესახებ**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—1029; ქალაღი; 56×25,5 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ხან წერტილი, ხან ორწერტილი და იშვიათად — მძიმე. თარიღად უზის 1757 წ.

**112. განჩინება ერეკლე II-ისა ქიზიუში სამეფო და სამოურავო ხარგოს შესახებ**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—309; პირი; ქალაღი; მხედრულად ნაწერი. ჩენი გამოცემის მე-10 და 11 მუხლების შემკველი ტექსტი, რომელიც თავის გასამტებლოს ეხება, ხელნაწერში გადამწერს შეცდომით სხვა ადგილას გადაუტანია. ჩვენ აღუადგინეთ ტექსტის თანმიმდევრობა, საბუთს ვათარილებო ერეკლე II-ის კახეთში მეფობის წლებით (1744—1762 წწ.).

**118. ბოღბლის მოხელეების რიგის განაჩენი ერეკლე II-ისა**

ტექსტი იბეჭდება გამოცემით: **Акты Кавказскою археографическою комиссиею, т. I, Тифлис, 1866 წ. გვ. 44 — 45.** ჩვენს გამოცემაში ტექსტი დაყოფილია მუხლებად.

**114. განაჩენი ერეკლე II-ისა ალავერდელის პატივის შესახებ**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—233; ქალაღი; 33,5×17 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.  
თარიღად უზის ქორონიკონი 452 (1764 წ.).

**115. წიგნი ერეკლე II-ისა ყულარაღას გიორგისადმი მორიგისთვის თავის ამრიდებელთა დარბევის შესახებ**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—2525; დედანი; ქალაღი; 28×25 სმ; მხედრულად ნაწერი; სასვენი ნიშნები არ იხმარება; ქორონიკონი 454 (1766 წ.).

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

აქ. კ ლ ი მ ი ა შ ე ი ლ ი, მორიგე ლაშქრის საკითხისათვის XVIII ს. II ნახ. აღმოსავლეთ საქართველოში (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, 1963 წ., გვ. 206).

**116. ბრძანება ერეკლე II-ისა სარღალ შიომ გედონისძისადმი მცხეთის გლეხთა თარხნობის შესახებ**

ტექსტი იბეჭდება ექ. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი ს გამოცემის მიხედვით (საქართველოს სიძველენი, I, 1899 წ., გვ. 273—274).

**117. წიგნი ერეკლე II-ისა ნეკრესელისა და იანე მოურავისადმი გაღმა მხრის საქმეებზე**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—281; დედანი; ქალაღი; 39×15,4 სმ; მხედრულად ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

თარიღად უზის ქორონიკონი 457 (1769 წ.).

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

აქ. კ ლ ი მ ი ა შ ე ი ლ ი, მასალები XV—XVIII სს. ქართლისა და კახეთის საღრაშოების ისტორიისათვის (კრებული: XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, 1964 წ., გვ. 150—151).

118. მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნი ერეკლე II-ისა

ცსსა, ფ. 226, № 9213. დედანი; 35×14,5 სმ; დაზიანებული; განკვეთილების ნიშნად ნახშირია თითო წერტილი.

გ ა მ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

ა. კლიმიაშვილი, XV—XVIII სს. ქართლისა და კახეთის საღრმეების ისტორიისათვის (კრებული: XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, 1964 წ., გვ. 142).

110. წიგნი ერეკლე II-ისა რევაზ ამილახორისადმი მორიგეში მდევრულად გამოსვლის შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—14454; დედანი; ქალაღი; 13,7×9,8 სმ; მკერული ხელით ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახშირია თითო წერტილი; თარღლად უზის ქორონიკონი უნზ (1769 წ.).

გ ა მ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

ა. კლიმიაშვილი, მორიგე ლაშქრის საყთხისათვის XVIII საუკ. II ნახ. აღმოსაღლეთ საქართველოში (ხელნაწერთა ინსტიტუტის შოამბე, V, 1963 წ., გვ. 206—207)

120. ქართლ-კახეთის შოსახლეობა 1770 წელს

იბეკღება აღ. ხახანაშვილის პუბლიკაციის მიხედღით (კვაღი, № 11, 1898 წ., გვ. 194—195). ამ ძვირფასი საბუთის ხელნაწერი, რომელიც აღ. ცაგარელმა აღმოაჩინა, დაცული ყოფიღა მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის საქართველოს საქმეებში (Архив Министерства Иностраннх дел Грузинские дела). ცნობა ამ საბუთის შესახებ აღ. ცაგარელმა დაბეღდა რუსულად (Жур. Мин. Нар. Прос., 1883 წლის იანღვარი).

საბუთს დართული აქვს აღ. ხახანაშვილის შემღდეღი შენიშვნა:

„ამით თავღება ეს საინტერესო დოკუმენტი. მიკთხვეღი ხეღაღვ, რომ იღა შეიცავს მცხოვრებთა რაოდენობას, მეფის შემოსავალს და ჭარის კაციის რიცღვს საქართველოში. ვინც მონიღღომებს აქ მოყვანიღი მცხოვრებთა რიცღვის შეღღარებას ჩვენი დროის რაოდენობასთან, მან კომღი უნღდა ხუთჯერ გაამრავლოს, როგორც მიღღებუღია სტატისტიკაში. თფიღისში 1770 წელს ყოფიღა 4000 მცხოვრები კომღი, ესე იღი 20.000 სული (4000×5=20,000); ამჟამად (1897 წ.) თბიღისში ირიცღება 160.000 მცხოვრები“.

ეს ძეღღი მეტად მნიშუნეღლოვანია არა მარტო საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, არამედ აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. მხოლოდ ამ ძეღღში მოგვეპოვეღა ცნობა ქართლ-კახეთის შოსახლეობის ეროვნებათა მიხედღით დანაწიღების შესახებ XVIII საუკუნეში.

121. ერთგულეღბის პირობის წიგნი მამია გურიეღღისა სოლომონ I-სადმი

ტეღსტი იბეკღება აღ. ცაგარელის გამოცემის მიხედღით (Грамоты, т. I, вып. I, 1898 წ., გვ. 76—77). ჩვენს გამოცემაში ქარაგმეღი გახსნიღა.

122. წყაღობის ვედრებისა და სამსახურის აღტემის წიგნი ერეკლე II-ისა გაატერიღე II-სადმი

ტეღსტი იბეკღება აღ. ცაგარელის გამოცემის მიხედღით (Грамоты, т. II, вып. I, 1898 წ., გვ. 83—84). ჩვენს გამოცემაში ტეღსტი დაყოფიღა მეზღღებად და ქარაგმეღი გახსნიღა.

123. ქარის დაბარების წიგნი ერეკლე II-ისა რევაზ ამილახორისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—6983; დედანი; ქალაღი; 24×16 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი; თარიღად უზის ქორონიონი 460 (1772 წ.).

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

ა. კ ლ ი მ ი ა შ ე ი ლ ი, მასალები XVI—XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის (კრებული: XIV—XVIII საუკ. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, 1964 წ., გვ. 130).

124) ზემო ქართლის მღევრობის განწესება ერეკლე II-ისა

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—13714; დედანი; ქალაღი; 43,8×17 სმ; მხედრული ხელით დაწერილი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი.

გ ა მ ო ქ ე ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა :

ა. კ ლ ი მ ი ა შ ე ი ლ ი, ზემო ქართლის მღევრობის განწესება ერეკლე II-ისა („მაცნე“, № 1, 1966 წ., გვ. 93—95).

125. შეწირულების წიგნი სოლომონ I-ისა, ქუთაისის ღმრთისმშობლისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—2222; პირი; ქალაღი; მხედრულად ნაწერი; თარიღად უზის 1773 წ.

სიგელში მოხსენიებული „ძველი დავთარი“, „ძველი მათიანე“, „ძველი ნაწერი“, „ძველი გუჟარი“, „ძველი გრაგნილი“ ქუთაისის საყდრის 1578 წლის გამოსაღების დავთარს უნდა გულისხმობდეს.

126. მეგობრობის დადგინებულობა ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ს შორის

ტექსტი იბეჭდება ალ. ც ა გ ა რ ე ლ ი ს გამოცემით (Грaмoтa, т II, вьп. I, 1898 წ., გვ. 94—96). ჩვენს გამოცემაში ქარაგმები გახსნილია.

127.) შორიგის ლაშქრობის განაჩენი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1614; Hd—11640 და Hd—1613; დედნები; ქალაღი; 493×15 სმ; 300×15 სმ; 367×14,5 სმ; მხედრულად ნაწერი XVIII საუკუნის 70-იანი წლების ხელით; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. თარიღად უზის 1774 წ. სულ დატულია განჩინების 9 დედანი და 3 პირი.

ჩვენს გამოცემაში Hd—1614 ნუსხა აღნიშნულია A ლიტერით, Hd—11640 აღნიშნულია B-თი, ხოლო Hd—1613 ნუსხა აღნიშნულია C-თი. B ნუსხა ნაკლებია, მასში არ არის განჩინების 3—14 მუხლების შემცველი ტექსტი. ქარაგმები ყველგან გახსნილია. ხელნაწერთა ვარიანტული სხვაობანი ნაჩვენებია სქოლიოებში.

128. ბრძანება გიორგი ბატონიშვილისა ბოქაულთ-უხუცეს ზურაბისადმი ლარგვისის მონასტრის შეუწავლობის შესახებ

ტექსტი იბეჭდება ექ. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი ს გამოცემით (საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909 წ., გვ. 458).

129. განწესება ერეკლე II-ისა და ანტონ I-ისა დოდოს მონასტრის უმა მამულის დაეთ-გარეჯის არქიმანდრიტისათვის შიბარების შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—727; დედანი; ქალაღი; 49×33 სმ; მკურულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი იშვიათუ; თარიღად უზის ქორონიკონი 467 (1779 წ.).

130. ბრძანება ერეკლე მეფისა შემანდრების სარგოს შესახებ

ტექსტი იბეჭდება შ. მესხიას გამოცემის მიხედვით (მასალა საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I (26), 1948 წ., გვ. 75).

131. განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—885; Sd—493; და H—1283. ტექსტი იბეჭდება ი. ფუტყარაძის გამოცემის მიხედვით (ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, 1964, გვ. 105—110).

132. სათხოვრის წიგნი ერეკლე II-ისა ეკატერინე II-სადმი

ტექსტი იბეჭდება ი. ცინცაძის გამოცემის მიხედვით (1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, 1960 წ., გვ. 195—197). ტექსტი მუხლებად ჩვენ დაყუვიო.

133. სახელოს წყალობის წიგნი ერეკლე II-ისა ზაალ საამისშვილისადმი

ტექსტი იბეჭდება შ. მესხიას გამოცემის მიხედვით (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I(26), 1948 წ., გვ. 62).

134. ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—2073; დედანი; ეტრათი ორ რველად. ხელნაწერს ახასიათებს „შ“-სა და ჳ-ს უადგილო ხმარება. თარიღად უზის 1783 წ. ჩვენს გამოცემაში უჭ კომპლექსი შეცვლილია უე-თი, სხვა მხრივ დატულია ხელნაწერის ორთოგრაფია. ქარაგმები ყველგან გავხსენიო. დაყოფით დაბეჭდილი სიტყვები დედანში ასომთავრულითაა დაწერილი.

ქართული ტექსტის პარალელურად ჩვენ ვებეჭდავო ტრაქტატის რუსულ ტექსტს, რომელსაც ასევე აუტენტური ძალა ჰქონდა. ჩვენი დაკვირვებით ქართული ტექსტი რუსულიდან უნდა იყოს თარგმნილი, თუმცა რუსული ხელნაწერის გარეკანზე აღნიშნულია, რომ ტექსტი თარგმნილია ქართულიდან, მაგრამ ეს გვიანდელი მინაწერია. ჩვენს მოსაზრებას ამტკიცებს ქართული ტექსტის ენა, რომელიც მეტისმეტად მწიგნობრული, მძიმე და ძნელად გასაგებია. მთარგმნელს აქვს გამოყენებული ქართული იურიდიული ტერმინოლოგია. იგი რუსული ტექსტების მიბაძვით ხელოვნურად ქმნის ტერმინებს, რომელთაც იმდროინდელი ქართული დიპლომატია არ იცნობს და არც შემდეგ დამკვიდრებულა ქართულ იური-



დიულ ტერმინოლოგიაში. ზოგიერთი სიტყვა რუსულიდან გადაუთარგმნელად შეტანილია ქართულში. რუსული ტექსტის მოშველიების გარეშე ოთქმის შეუძლებელია ქართულში ზოგიერთი ადგილის გაგება.

რუსული ტექსტი იბეჭდება АВРР, ф. „Трактаты“, 1783 г., д. № 178. ხელნაწერის მიხედვით\*.

ხელნაწერის პირველ გვერდზე ასეთი წარწერაა:

## VII. съ Царемъ Карталинскимъ

### № I

#### Договоръ

заключенной между ея Императорскимъ величествомъ и Царемъ Карталинскимъ и Кахетинскимъ, Ираклиемъ Теїмуразовичемъ, о признании имъ верховной власти и покровительства Ея Императорского величества всероссийской; обмененный съ Полномочными его въ Георгиевской крепости 24-го Июля 1783 г. на Грузинскомъ языке, съ переводомъ российскимъ с двумя секретными и 4 сепаратными артикулами.

მინაწერი ხელნაწერის მეორე გვერდზე:

1783. Договор о принятии Грузии подъ покровительство России.

Traité sur le protectorat, accordé par la Russie à la Géorgie.

ორივე ეს მინაწერი გვიანდელ ხანას ეკუთვნის.

ტრაქტატის ქართული ტექსტი შეიცავს ხელნაწერის 3გ—8გ, ხოლო რუსული 9გ—16ვ. ჩვენს გამოცემაში დატულია რუსული ხელნაწერის ორთოგრაფია.

1783 წლის ტრაქტატის რუსული ტექსტი დაბეჭდილია: Полное собрание законов Российской империи с 1649 г., т. XXI, 1781—1783 гг., СПб, 1830 г., გვ. 1013—1017.

ტრაქტატის ქართული და რუსული ტექსტი ვრცელი გამოკვლევით 1960 წელს გამოაქვეყნა პროფ. ი. ცინცაძემ (1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, 1960 წ.).



ნუსხა ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურებისა

ტექსტი იბეჭდება ხელნაწერთა ინსტიტუტის სამი ნუსხის: H—103, H—1129, H—399 მიხედვით. სამივე ხელნაწერში სია ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურებისა დართული აქვს 1783 წლის ტრაქტატს. სამივე ნუსხა წარმოადგენს შემდგომ გადაწერილ პირს დედნისა. მაგრამ ისინი ერთი დედნიდან არ უნდა მომდინარეობდნენ. სხვაობა ამ სამ ნუსხას შორის ნაჩვენებია სქოლიოებში.

ეს საბუთი წარმოადგენს 1783 წლის ტრაქტატის დანართს. თუმცა, შედგენილია ერთი თვით ადრე ტრაქტატზე (ტრაქტატი 1783 წ. 24 ივლისს, თავად-აზნა-

\*ხელნაწერის ფოტოპირი დოც. გ. პაიჭაძემ გადმოგვცა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ურთა ნუსხა—23 იენის). როგორც ჩანს, ნუსხა წინასწარ მომზადდა ტრაქტატისათვის დასართავად. ტრაქტატის მე-9 მუხლში ნათქვამია, რომ უგანათლებელსობა ერეკლე II-ისა, „შეიკრუს წარგზავნად კარისადმი მისისა დიდებულეებისა ნუსხასა ყოველთა კეთილშობილთა გუარათასა, რათამცა მით შესაძლებელ იყოს ცნობად ნამძლი ზედმიწევნილებათ, თუ რომელსა ეითარიჲმ ნამდვილი ეშესაბამების სამართალი“.

სია ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურებისა დატულია აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტის Sd—5512, Sd—5505, Sd—5506 და Sd—5508 ნუსხებში. აქედან Sd—5512 ხელნაწერში სია ერთვის ტრაქტატის ტექსტს, ხოლო უკანასკნელსამ ნუსხაში შემონახულია მართო სიები ტრაქტატის გარეშე.



130. თემის ხეობის მდევართა უფროსობის წყალობის წიგნი ერეკლე

II-ისა თეიმურაზ ჭავჭავიძელისა და ნინია

გალურჯიძისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—14053; დედანი; ქალაღი; 20,5×16 სმ; მხედრულად ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი ყოველ სიტყვის შემდეგ. თარიღად უზის ქორონიკონი 472 (1784 წ.).

### 137. ქალაქის მოურავის სარგო

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd—781; ქალაღის გრავილი; 312×16,5 სმ; მხედრულად ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი; ტექსტი გამოკვეყნებული აქვს ექ. თაყაიშვილს (საქართველოს სიძველენი, II, 1909 წ., გვ. 523--528).

### 138. ქალაქის მოურავის სარგო

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd—782; დედანი; ქალაღი; 151×16 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი იშვიათად. ტექსტი გამოაქვეყნა ექ. თაყაიშვილმა (საქართველოს სიძველენი, II, 1909, გვ. 528—531).

ვ. გაბაშვილმა აღნიშნა ქალაქის მოურავის სარგოსა და სპარსული დასტურამალის მსგავსება. „თუ შევედარებთ „ქალაქის მოურავის სარგოს წიგნის“ შინაარსს „თაჯირათალ-მულუქში“ მოთავსებულ ისფაჰანის ტარულას გარიგების წიგნის სათანადო ადგილებს, გასაგება გახდება ის თვალსაჩინო მსგავსება, რაც ისფაჰანის ტარულასა და ქალაქის მოურავის ადმინისტრაციულ თუ სასამართლო კომპეტენციათა შორის არსებობდა“ („სპარსული დასტურამალი“. უნივერსიტეტის შრომები, XXXV, 1949 წ., გვ. 211).

139. ხელშეკრულება ერეკლე II-სა და ახალციხელ სულეიმან

ფაშის შორის

ტექსტი იბეჭდება ი. ცინცაძის გამოცემით (1783 წლის მფარველობით ტრაქტატი, 1960 წ., გვ. 256—257).

110. ბრძანება დარეკან დედოფლისა ურბნელ იუსტინესადმი ღმრთისმშობლის  
ეკლესიის მიბარების შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—536; დედანი; ქალაღი; 28×13 სმ; მხედ-  
რულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი ყოველი  
სიტყვის შემდეგ. თარიღად უზის ქორონიკონი 474 (1786 წ.).

141. ერთობის ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1335; პირი; ქალაღი; მხედრულად ნაწერი. თა-  
რიღად უზის 1790 წ., ეს ნუსხა ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია A ლიტერით, ხო-  
ლო პლატონ იოსელიანის ტექსტი (ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გა-  
წერელის რედაქციით, 1936 წ., გვ. 18—23) აღნიშნულია B-თი.

142. განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა  
თუსთაღმი სამეფოასათუს საქართველოსა

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd—2140; პირი; ქალაღი; მხედრულად ნაწერი;  
შეიცავს 27 გვერდს. თარიღად უზის 1791 წ. ქართული ტექსტის პარალელურად  
არის რუსული თარგმანი, შესრულებული ბატონიშვილის მირიანის მიერ. ტექსტი  
პირველად გამოაქვეყნა ექ. თაყაიშვილმა (საქართველოს სიძველენი, I,  
1899 წ., გვ. 211—235) და ექვი გამოსტევა განწესების ნამდვილობაში, მაგრამ  
ამჟამ ნაშრომის მეორე გამოცემაში თვითონვე უარყო ეს აზრი (საქართველოს  
სიძველენი, გამოცემა მეორე, წიგნი I, 1920, გვ. 200).

ჩვენს გამოცემაში მუხლების აღმნიშვნელი ასოები შეცვლილია ციფრებით,  
უც კომპლექსი — უე-თი, ქარაგმები ყველგან გახსნილია.

143. წიგნი გრიგოლ დადიანისა სოლომონ II-სადმი ქურდების დასჯის  
შესახებ

ტექსტი იბეჭდება გამოცემით: Акты Кавказскою археографическою ко-  
миссиею, т. I, Тифлис. 1866 წ., გვ. 60 — 61.

144. ქარის დაბარების წიგნი ერეკლე II-ისა იოანე ამილახორი-  
შვილისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—1350; დედანი; ქალაღი; 16,3×16 სმ; მხედ-  
რულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად იხმარება თითო წერტილი; თარიღად  
უზის ქორონიკონი 480 (1792 წ.).

გამოქვეყნებულია:

აკ. კლიმიაშვილი: მასალები XV—XVIII სს. ქართლისა და კახეთის  
სადროშობების ისტორიისათვის (კრებული: XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული  
ისტორიული დოკუმენტი, 1964 წ., გვ. 130).

145. ბეთაღმანი მამულის წყალობის სიგელი ერეკლე II-ისა იოსებ  
ყორღანაშვილისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—8922; დედანი; ეტრატი; 51×49 სმ; განკვე-  
თილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი და ორწერტილი; მხედრული ხელით  
დაწერილი; თარიღად უზის 1793 წ.

146. ჭამაგირის წიგნი ერეკლე II-ისა მღივანბეგ ჩოლოყაშვილისადმი

ტექსტი იბეჭდება შ. მესხიას გამოცემის მიხედვით (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I (26), 1948 წ., გვ. 51).

147. ჭარის დაბარების წიგნი ერეკლე II-ისა ოთარ ამილახერისადმი

ტექსტი იბეჭდება აკ. კლიშიაშვილის პუბლიკაციის მიხედვით (XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, 1964 წ., გვ. 131).

148. პირობის წიგნი გიორგი ბატონიშვილისა იულონ და აღმახსნან ბატონიშვილებისადმი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd—2141; პირი; ქალაღი; მხედრულად ნაწერი; თარიღად უზის 1797 წ.

149. განწესება ერეკლე მეფის დაკრძალვისა

ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—105; დედანი; მხედრულად ნაწერი; კრებულად ვით რეკტორისა. განწესების ტექსტი ხელნაწერის 19r—26r შეიცავს. თარიღად უზის 1798 წ. ჩვენს გამოცემაში უმკომპლექსი შეცვლილია უე-თი, სხვა მხრივ დატულია ხელნაწერის ორთოგრაფია.

განწესება შედგენილია თელავის სემინარიის რეკტორის დავითის მიერ. უპეველია, რომ ამგვარი განწესება საქართველოში ძველად იქნებოდა შედგენილი ისე, როგორც თავის დროზე შედგენილი იყო „წესი და განგება მეფეთა კურთხევისაჲ“, მაგრამ, როგორც ჩანს, დაიკარგა და საკირო გახდა ახლის შედგენა.

150. ბრძანება გიორგი XII-ისა საეკლესიო უმების გააზატების შესახებ

ტექსტი იბეჭდება გამოცემით: Акты Кавказскою археографическою комиссиею, т. I, Тифлис, 1866 г., გვ. 47 — 48.

151. თხოვნა გიორგი მეფისა იმპერატორ პავლე I-სადმი ქართლ-კახეთის მეფედ მისი დამტკიცების შესახებ

ტექსტი იბეჭდება აღ. ცაგარელის გამოცემის მიხედვით (Грамоты, т. II, выпуск I, გვ. 155 — 156). ჩვენს გამოცემაში ქარაგმები გახსნილია.

152. აზრი-მოხსენებანი გიორგი მეფისა იმპერატორ პავლე I-სადმი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ

ტექსტი იბეჭდება აღ. ცაგარელის გამოცემის მიხედვით (Грамоты, т. II, выпуск I, გვ. 187 — 188). ჩვენს გამოცემაში ტექსტი დაყოფილია მუხლებად.

153. ოქმი გიორგი მეფისა დავით-გარეჯის წინამძღვრის არჩაზე მონასტრის უმების ჭარიდან განთავისუფლების შესახებ

ტექსტი იბეჭდება გამოცემით: Акты Кавказскою археографическою комиссиею, т. I, Тифлис, 1866 წ., გვ. 48 — 49.

**154. წყალობის წიგნი დავით მეშველდრისა იოანე ციციისშვილისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—1020; დედანი; ქალაღი; 58,5×38 სმ; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ხან მძიმე და ხან წერტილი; თარიღად უზის 1801 წ.

**155. ბრძანება დავით მეშველდრისა ზაქარია ანდრონიკაშვილისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—174; დედანი; ქალაღი; 33,5×13,5 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი იშვიათად. თარიღად უზის ქორონიკონი 489 (1801 წ.).

**156. სარქარდრობის წყალობის წიგნი დავით მეშველდრისა ბეჟან ამილახვარისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—1058; დედანი; ქალაღი; 44,5×21,5 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ხან წერტილი და ხან ორწერტილი, ზოგჯერ მძიმეც. თარიღად უზის 1801 წ.

**157. სარგოს განწესების წიგნი დავით მეშველდრისა ბეჟან ამილახვარისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—1404; დედანი; ქალაღი; 21×15,5 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ხან წერტილი და ხან ორწერტილი, ზოგჯერ მძიმეც. თარიღად უზის ქორონიკონი 489 (1801 წ.).

**158. წყალობის წიგნი დავით მეშველდრისა ქანდიერის შვილებისადმი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—2171; დედანი; ქალაღი; 18,5×31 სმ; მხედრულად ნაწერი; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ხან წერტილი, ხან ორწერტილი, ზოგჯერ მძიმეც. ბოლონაკული, უთარიღო; საბუთს ვათარიღებთ დავითის მეშველდრეობის დროით (1801 წ.).

**159. მანიფესტი პავლე I-ისა საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ**

მანიფესტის ქართული ტექსტი იბეჭდება ხელნაწერთა ინსტიტუტის Sd—5012 ნუსხის მიხედვით. რუსული ტექსტი დაბეჭდილია: Полное собрание законов Российской империи с 1649 г., т. XXVI, 1800—1801, СПб, 1830, გვ. 502.

**160. მანიფესტი ალექსანდრე I-ისა საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ**

მანიფესტის ქართული ტექსტი იბეჭდება პლ. იოსელიანის მიხედვით (ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ავ. გაწერულიას რედაქციით, 1936 წ., გვ. 234—239).

რუსული ტექსტი დაბეჭდილია: Полное собрание законов Российской империи с 1649 г., т. XXVI, 1800—1801, СПб, 1830 წ., გვ. 782—784.

101. ქიზიყის მოურავის სარგო შედგენილი რევაზ ანდრონიკაშვილის მიერ

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—310; პირი; ქალაღი; მხედრულად ნაწერა; თარიღად უზის ქორონიკონი. 490 (1802 წ.).

ხელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

102. მუხლნი სათხოვარნი სოლომონ II-ისა აღექსანდრე I-სადმი  
იმერეთის სამეფოზე მისი უფლებების დამტკიცების შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd—5032; პირი; ქალაღი; მხედრულად ნაწერი. ჩვენს გამოცემაში ტექსტის ქარაგმები გახსნილია, უმ კომპლექსი შეცვლილია უფ-თი.

108. საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა  
ღროთა შემოღებულნი სჯულნი

ცსსა, ფ. 1; № 235; დედანი; ქალაღი; 41,8×34,6.

ტექსტი იბეჭდება ჩვენი გამოცემის მიხედვით (საქართველოს ჩვეულებითი სჯული, 1960 წ., გვ. 41—80).

ჩვეულებითი სჯული ქართული ადათობრივი სამართლის კრებულია, და არა საკანონმდებლო ძეგლი. მაგრამ რაკი იგი წარმოადგენს საუკუნეების განმავლობაში საქართველოში მოქმედ დაუწერელ სამართალს, „ქართული სამართლის ძეგლების“ წინამდებარე სერიაში მისი შეტანა აუცილებელია არა მარტო გამოცემის მთლიანობის, არამედ მოქმედი სამართლის ისტორიის თვალსაზრისითაც.

104. სჯულის დადება სამეგრელოს მემკვიდრე-მმართველის  
დავით დადიანის მიერ

საბუთი იბეჭდება გვ. „შრომა“, № 10, 1881 წ. გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით. ვახუთისათვის ეს საბუთი ცნობილ მკვლევარს ალექსანდრე მირიანის ძე ჭყონიას გადაუცია.

ტექსტს დართული აქვს ალ. ჭყონიას შემდეგი შენიშვნა:

„ამ დოკუმენტს ორნაირი თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ერთი ისტორიული: ეს დოკუმენტი არღვევს იმ საზოგადოდ გავრცელებულს შემეღარ აზრს, ვითომც სამეგრელოში, რუსის მმართველობის შესვლამდის, სიგელების შედგენა არ ექვემდებარებოდა არავითარს წესსა და რიგს, ვითომც ყველა სიგელების შინაურულად შედგენა შეიძლებოდა და ამისთანა სიგელებს სრული კონონიერი ძალა ექნებოდა.

გარდა ამისა, ამ დოკუმენტს აქვს დღესაც პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგანაც ამ კანონის ძალით უნდა იყვნენ განხილული ის სიგელები, რომელნიც დაწერილან 1841 წლიდან 1857 წლამდის, ე. ი. სამეგრელოში რუსეთის მმართველობის დადგენამდის“.

დავით დადიანის სჯულდება ქართული სასამართლო წარმოების მეტად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ტომი XIX საუკუნის დასაწყისით მთავრდება, ხოლო სჯულდება შედგენილია ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების 40 წლის შემდეგ, მისი აქ დაბეჭდვა საჭიროდ მივიჩნევთ.

საქონლის





## საკუთარ ხახელთა სპიხბელი

### ა. პირთა ხახელები\*

ა

- აბაზაძე 106  
აბაზასძე ნავროზ 106  
აბაზ-ყული-ხანი 390  
აბაშიშვილი დავით 240  
აბაშიძე. ბატონი აბაშიძე 192  
აბაშიძე გიორგი 190  
აბაშიძე ნიკოლაოზ 403  
აბაშიძე შაატა 403  
აბაშიძის ძე მაქსამე, ქუთათელ-მიტრო-  
პოლიტი აბაშიძის ძე მაქსიმე 429  
აბრაამ, ამბა ალავერდელი აბრაამ 128  
ადარნახე 21  
ადარნახე, მეფე ადარნახე 105  
ავაჯ სარგისი 65  
ავალიშვილი ზაზა 240  
ალექსიოს, პატრიარხი ალექსიოს 153  
აბეხაძე 59  
აბულეთის ძე ძაგან 69, 71  
ავგაროზის ძე აბრაჰამ, კარის მწიგნო-  
ბარი აბრაჰამ ავგაროზისძე 97  
ალექსანდრე (ლეონ კახთა მეფის ძე)  
მეფე ალექსანდრე 190; პატრონის ლე-  
ონის ძე მეფეთ-მეფე პატრონი ალექ-  
სანდრე 197; კელმწიფე ალექსანდრე  
203; მეფეთ-მეფე პატრონი ალექსანდრე  
195  
ალექსანდრე (სიმონ I-ის ძმა) 194
- ალექსანდრე (სიმონ I-ის ძე) 194  
ალექსანდრე, ბაქარის შვილი ალექსანდ-  
რე 454, 455  
ალექსანდრე (ძე სოლომონ I-სა), უფ-  
ლისწული ალექსანდრე 430; ბატონი-  
შვილი ალექსანდრე 433  
ალექსანდრე მეფე I, მეფეთა მეფე  
ალექსანდრე 67, 118, 121, 124, 128;  
